მალხაზ მაცაბერიძე, ოთარ ჯანელიძე, ირაკლი იაკობაშვილი,
პაატა სურგულაძე, თამარ ორჯონიკიძე, ნათია ზედგინიძე

საქართველოს დამფუძნებელი კრება

ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება

თბილისი
2022

მონოგრაფია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტის - „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“ (გრანტის ნომერი - FR-18-20157) ფარგლებში.

წამყვანი ორგანიზაცია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თანამონაწილე ორგანიზაცია - საქართველოს პარლამენტი
საგრანტო პროექტის მონაწილეები
მალხაზ მაცაბერიძე - პროექტის ხელმძღვანელი
თამარ ორჯონიკიძე - პროექტის კოორდინატორი
ოთარ ჯანელიძე - მკვლევარი
პაატა სურგულაძე - მკვლევარი
ირაკლი იაკობაშვილი - მკვლევარი
ნათია ზედგინიძე - მკვლევარი
პროექტის კონსულტანტი - სტივენ ჯონსი

ნაშრომის საერთო რედაქცია: მალხაზ მაცაბერიძე
რეცენზენტი: სტივენ ჯონსი

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG). The Constituent Assembly of Georgia: The Experience of the Georgian Parliamentarism". Grant number FR-18-20157
Research Team
Malkhaz Matsaberidze – Principal investigator
Tamar Orjonikidze – Project coordinator
Otar Janelidze – researcher
Paata Surguladze – researcher
Irakli Iakobashvili – researcher
Natia Zedginidze – researcher
Research advisor – Stephen F. Jones

ISBN 978-9941-9787-2-2

სპირიდონ კედია:

„პირველად საქართველომ თავის თავი ჩაიბარა და დაიყუდნა, პირველათ მთელი ქართველი ხალხი დაეუფლა თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობას; ეს პირველად აირჩია და შეადგინა დამფუძნებელი კრება, რომელმაც საქართველოს ძირითადი კანონები უნდა დასწეროს. ამით ისტორიამ დიდი მოვალეობა დაგვაკისრა. ჩვენს ნამოქმედებს და ნააზრევს ისტორია წაიკითხავს და განსჯის. ჩვენი დღევანდელი ნამოქმედარი განსაზღვრავს მომავლის მიმართულებას და ბედს. და სწორეთ ამიტომ ჩვენ ვერ ვიქნებით თავისუფალნი და ჩვენი ქეიფის ამყოლნი ჩვენი უფლების მოხმარებაში, ჩვენს მოქმედებაში, საქართველოს მარადიულ მიმდინარეობაში ჩვენი აქ ყოფნა ერთი წუთია. და ამ წუთმა არ უნდა შეიწიროს ჩვენი ქვეყნის უკვდავება“ (ოქმები, ტ. I, გვ.86). 1919 წლის 22 მარტი

ალექსანდრე ლომთათიძე:

„მე არ ვიტყვი, რომ საქართველოს ერის უზენაესი ორგანო, მისი დამფუძნებელი კრება, უნაკლოა. მისი სისწორით დაფასება პირუთვნელი ისტორიის საქმეა. მაგრამ მე ვიტყვი იმას, რაც უნდა აღიაროს ყოველმა მიუდგომელმა: ის სდგას ჭეშმარიტ დემოკრატიულ ნიადაგზე, მისი მოღვაწეობის მთავარი ხაზი, ეს არის სრული უზენაესობა ხალხისა, ხალხის საშუალებით მის წყლულთა განკურნება. ეს არის მისი მთავარი იდეალი; მტკიცეთა სდგას ის ამ გზაზე, ის მას არ გადაუხვევს. ამით ის პირნათელი შვილია დიდი რევოლიუციის, უდავო გამამართლებელია ქართველი ხალხის იმედებისა“(ოქმები, ტ. V, გვ.469). 1920 წლის 12 მარტი

ლეო შენგელაია:

„დღევანდელს ჩვენს პირობებში ერთი წელიწადი უდრის თუ ერთ საუკუნეს არა, ნახევარ საუკუნეს მაინც“ (ოქმები, ტ. IV, გვ.119). 1919 წლის 28 ნოემბერი

ექვთიმე თაყაიშვილი:

„შეუძლებელია ჩვენ დავაფასოთ დღეს ის, რაც ისტორიამ უნდა დააფასოს. ეხლანდელ მოქმედებას ისტორია გაარჩევს. ისტორია ყველას თავისას მიუსჯის. ის ყველას გაგვასამართლებს“ (ოქმები, ტ. IV, გვ.204). 1919 წლის 5 დეკემბერი

ნიკო ნიკოლაძე:

„ჩვენ სულით და გულით გვინდა დავაარსოთ ჩვენი სახელმწიფო, გავამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ დამოუკიდებლობისათვის საჭირო არის, რომ არ ვაფერხებდეთ მთავრობას, გავაძლიეროთ და მივცეთ მას ყოველგვარი საშუალება, ებრძოლოს ყველას, ვინც წინააღმდეგია ჩვენი დამოუკიდებლობისა“ (ოქმები, ტ. III, გვ.412). 1919 წლის 31 ოქტომბერი

გიორგი გვაზავა:

„საქართველოს ხალხი, საქართველოს შვილები გრძნობენ, რომ დღევანდელი დღე არის დიდი ისტორიული მომენტი, ხედავენ, რომ თანდათან უახლოვდებიან უმაღლეს უღელტეხილს, რომლის იქით მომავალი საბედნიეროდ გადაშლილი იქნება და საქართველოს ბედი უზრუნველყოფილი იქნება“ (ოქმები, ტ. II, გვ.160). 1919 წლის 17 ივნისი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებები:

ს. დ. - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია
ე. დ. - საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია
ს. რ. - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია
ს. ფ. - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია
ე. პ. - საქართველოს მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია
დშ. - სომხეთის რევოლუციური ფედერაცია „დაშნაკცუტიუნი“
დ. ს. დ. - დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია („ახალი სხივი“)

სცა - საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი

აქტები - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921).

ოქმები - საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები

შინაარსი

წინასიტყვაობა 11

თავი I. დამფუძნებელი კრების იდეა 1917-1921 წლების ქართულ საზოგადოებაში (მალხაზ მაცაბერიძე) 14

1.1.როდის იწვევენ დამფუძნებელ კრებას 14
1.2.დამფუძნებელი კრების არჩევის მნიშვნელობა 15
1.3. პარტიები დამფუძნებელი კრების შემადგენლობის შესახებ 17
1.4. „სოციალისტური“ დამფუძნებელი კრება 19
1.5. დამფუძნებელი კრება და რევოლუცია: როდის მთავრდება რევოლუცია 19
1.6. საგანგებო ზომების აუცილებლობის შესახებ 20
1.7. დამფუძნებელი კრება და საფრანგეთის რევოლუცია 21
1.8. დამფუძნებელი კრების სრულხელისუფლებიანობა 22
1.9. დამფუძნებელი კრება როგორც კანონმდებელი ძალა 23
1.10. დამფუძნებელი კრება როგოც აღმასრულებელი ძალა 24
1.11. დამფუძნებელი კრება და სასამართლო ხელისუფლება 26

თავი II. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები და მისი შედეგები 28

2.1. საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია (ოთარ ჯანელიძე) 28
2.2.სოციალისტური პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმები საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს (მალხაზ მაცაბერიძე) 39
2.3. მემარჯვენე პოლიტიკური ძალების წინასაარჩევნო პლატფორმები (ოთარ ჯანელიძე) 41
2.4. საარჩევნო კამპანიის ეთიკური საკითხები - ნათია ზედგინიძე 49
2.5.საქართველოს დამფუძნებელი კრების სოციალური პროფილი (თამარ ორჯონიკიძე, ნათია ზედგინიძე) 56
2.6. ქალები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921) (თამარ ორჯონიკიძე) 59
2.7. ცვლილებები დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში 62

თავი III. დამფუძნებელი კრების გახსნა (მალხაზ მაცაბერიძე) 65

3.1. დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების თარიღის განსაზღვრა 65
3.2. დამფუძნებელი კრების შეკრების ადგილი 67
3.3. დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის დღის წესრიგი 68
3.4. ქართული პრესა დამფუძნებელი კრების გახსნის წინ 69
3.5. რა ხდებოდა სასახლის გარშემო დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის წინ 70
3.6. დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა 71
3.7. დამფუძნებელი კრების უცხოელი სტუმრები და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური გზავნილები 74
3.8. სილიბისტრო ჯიბლაძის და ალექსანდრე ლომთათიძის სიტყვების საშინაო-პოლიტიკური გზავნილები 75
3.9. ზეიმი სხდომის შემდეგ 77

თავი IV. საერთაშორისო ვითარება, დამფუძნებელი კრების მოწვევის დროს (მალხაზ მაცაბერიძე) 79

4.1. დრო - ხელსაყრელი და რთული 79
4.2. საქართველოს სტრატეგიული საზღვრების უზრუნველყოფის საკითხი 80
4.3. გართულებული ურთიერთობა ინგლისის მისიასთან 82
4.4. პარტიების მიერ საერთაშორისო ვითარების განსხვავებული ხედვა 83

თავი V. დამფუძნებელი კრების სამუშაო ადგილი (მალხაზ მაცაბერიძე) 86

5.1. ტფილისის სასახლის საკანონმდებლო ორგანოსთვის გადაცემა 86
5.2. გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების შენობის გარემონტების შესახებ 87
5.3. დამფუძნებელი კრების კანცელარია 88
5.4. ზრუნვა დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკაზე 90
5.5. დამფუძნებელი კრების სტამბა 90
5.6. დროშა სასახლის თავზე 91
5.7. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სამეურნეო ხარჯები 93

5.8. 1921 წლის იანვარი: დამფუძნებელი კრების ყოველდღიური საჭიროებანი 93
5.9. შეიძლება თუ არა დამფუძნებელ კრებასთან საპროტესტო აქციის გამართვა....94
თავი VI. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი (მალხაზ მაცაბერიძე) 96
6.1. დამფუძნებელი კრების რეგლამენტი....96
6.2. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის უფლებამოსილება....97
6.3. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის არჩევნები (1919 წელი)....98
6.4. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განახლება (1920 წელი)....100
6.5. ეპიზოდები დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის საქმიანობიდან
(1921 წლის იანვარი)....101
6.6. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრების შემდგომი ბედი....102
თავი VII. დამფუძნებელი კრების კომისიები (მალხაზ მაცაბერიძე) 105
7.1. დამფუძნებელი კრების კომისიების უფლებამოსილება....105
7.2. დამფუძნებელი კრების მიერ კომისიების ჩამოყალიბება (1919 წელი)....107
7.3. დამფუძნებელი კრების კომისიების ხელახალი არჩევნები (1920 წელი)....112
7.4. დამფუძნებელი კრების მცირე და სპეციალური კომისიები....114
7.5. დამფუძნებელი კრების საგანგებო კომისიები 116
**თავი VIII. დამფუძნებელი კრების დეპუტატის სტატუსი
(მალხაზ მაცაბერიძე) 118**
8.1. დამფუძნებელი კრების წევრთა სხდომებზე დასწრების რეგულირება 118
8.2. დამფუძნებელი კრების წევრის იმუნიტეტი (შეუვალობა) 119
8.3. დამფუძნებელი კრების წევრის დიეტა (ჯამაგირი)....124
8.4. კანონი შეუთავსებლობის შესახებ და დაშვებული გამონაკლისები 126
**თავი IX. საქმეთა განხილვის წესი დამფუძნებელ კრებაში
(მალხაზ მაცაბერიძე) 136**
9.1. საკანონმდებლო საკითხების განხილვის და კანონების გამოქვეყნების წესი 136
9.2. საბიუჯეტო საკითხების განხილვის წესი 138
9.3. დეკრეტების განხილვის წესი....140
9.4. დეპუტატების შეკითხვები მთავრობისადმი და მათი განხილვა 140
თავი X. დამფუძნებელი კრების სხდომები (მალხაზ მაცაბერიძე) 148
10.1. დამფუძნებელი კრების ჩვეულებრივი, სასწრაფო, საზეიმო და დახურული სხდომები....148
10.2. დამფუძნებელი კრების სხდომების დაწყების და დამთავრების დრო....149
10.3. დამფუძნებელი კრების ქვორუმის საკითხი....151
10.4. დამფუძნებელი კრების სხდომის ვადაზე ადრე შეწყვეტა....155
10.5. დამფუძნებელი კრების სხდომაზე განსახილველი საკითხები....156
10.6. დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრამები 157
10.7. როგორ უნდა აშუქებდეს სახელმწიფო მედია დამფუძნებელი კრების მუშაობას....159
**თავი XI. დამფუძნებელი კრების სხდომების მიმდინარეობა
(მალხაზ მაცაბერიძე) 162**
11.1. დისკუსია პარლამენტარიზმის შესახებ....162
11.2. ხელისუფლებისა და ოპოზიციის პასუხისმგებლობის შესახებ....163
11.3. სხდომას წარმართავდა და წესრიგს იცავდა თავმჯდომარე....164
11.4. მსჯელობის წესი დამფუძნებელი კრების სხდომებზე 168
11.5. კამათი დამფუძნებელი კრების სხდომებზე 169
11.6. ფიზიკური დაპირისპირება დამფუძნებელი კრების წევრებს შორის 174
11.7. ერთიანობის დემონსტრირება დამფუძნებელი კრების სხდომებზე....178
11.8. ანდაზები, აფორიზმები და ხუმრობები დამფუძნებელი კრების სხდომებზე....179
11.9. რეპლიკები 182
11.10. ორი სახის ოპოზიციის განსხვავება....183
11.11. მთავრობის თავმჯდომარეს სიტყვა 62-ჯერ შეაწყვეტინეს 184
11.12. დაპირისპირება ესერებსა და ფედერალისტებს შორის 185
11.13. დებატების გაჭიანურების ტაქტიკა 186

თავი XII. დამფუძნებელი კრება და საქართველოს მთავრობის ფორმირება (მალხაზ მაცაბერიძე) 187
12.1. საქართველოს პარლამენტის მთავრობის ანგარიში 187
12.2. ახალი მთავრობის შედგენის საკითხი 188
12.3. დამფუძნებელი კრება და „იაფი“ მთავრობის ფორმირების საკითხი 192
12.4. დამფუძნებელი კრება და მთავრობის წევრთა ხელფასები....194
12.5. მთავრობის წარმომადგენლობითი ხარჯები 196
თავი XIII. დისკუსია „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის“ შესახებ (მალხაზ მაცაბერიძე 198
13.1. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია 198
13.2. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პოზიცია....199
13.3. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პოზიცია....200
13.4. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია 201
თავი XIV. დამფუძნებელი კრება და ერი სახელმწიფოს კონცეფცია (მალხაზ მაცაბერიძე) 204
14.1. გზა ერი-სახელმწიფოს იდეამდე 204
14.2. ერი და ეროვნული იდეა....205
14.3. საკონსტიტუციო კომისია და ერი-სახელმწიფოს კონცეფციის დასაბუთება 207
თავი XV. დამფუძნებელი კრება და საქართველოს ტერიტორიული მოწყობა 210
15.1. უნიტარიზმი და ავტონომიური მმართველობის პრინციპი (მალხაზ მაცაბერიძე)....210
15.2.აფხაზეთის საკითხი საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (ოთარ ჯანელიძე) 212
15.3. საქართველოს დამფუძნებელი კრება და ბათუმის ოლქი (თამარ ორჯონიკიძე)....218
თავი XVI. რეფორმები მთავრობაში (მალხაზ მაცაბერიძე) 228
16.1. სახელმწიფო და მმართველი პარტია....228
16.2. „ჩვენთან არ არის პიროვნების კულტი“....229
16.3. მომარაგების სამინისტროს დაარსება და ნოე ჟორდანიას გამოსვლის მოლოდინი 230
16.4. ნოე ჟორდანიას გამოსვლა მთავრობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ 232
16.5. დისკუსია მთავრობის თავმჯდომარისთვის განსაკუთრებული უფლებამოსილების მინიჭების შესახებ....234
16.6. მთავრობის მორიგი რეფორმა: მთავრობის თავმჯდომარის მუდმივი მოადგილე 236
თავი XVII. დამფუძნებელი კრება და საქართველოს პარტიული სისტემის ფორმირება (მალხაზ მაცაბერიძე) 238
17.1. ქართული პარტიების „რუსული“ ფესვები 239
17.2. საქართველოს პარტიული სპექტრი დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ....240
17.3. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები....241
17.4. ცვლილებები საქართველოს დამფუძნებელი კრების პარტიულ შემადგენლობაში 242
17.5. დამოკიდებულება პარტიებს შორის 245
17.6. მემარცხენე პარტიების „კლასობრივი ხედვა“....246
17.7. პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური დებატები 249
თავი XVIII. ფრაქციები დამფუძნებელ კრებაში 253
18.1. საქართველოს დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია (ოთარ ჯანელიძე) 253
18.2. ეროვნული პარტია დამფუძნებელ კრებაში (მალხაზ მაცაბერიძე)....266
18.3 დემოკრატიული პარტიის შექმნა და დამფუძნებელ კრებაში შესაბამისი ფრაქციის ჩამოყალიბება (მალხაზ მაცაბერიძე) 270
18.4.დაშნაკცუთიუნის ფრაქცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (ოთარ ჯანელიძე) 274
18.5. დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია (მალხაზ მაცაბერიძე)....281

თავი XIX. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921) (მალხაზ მაცაბერიძე, თამარ ორჯონიკიძე) 287
19.1. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკა.....287
19.2. არჩევნები როგორც ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური ინტეგრაციის ფორმა.....288
19.3. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს ტრადიციული პოლიტიკურ პარტიების საარჩევნო სიებში.....288
19.4. ეროვნული უმცირესობების პარტიები.....290
19.5. უცხოური პოლიტიკური პარტიები 290
19.6. ეროვნული უმცირესობები დამფუძნებელ კრებაში.....292
19.7. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ: დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლების შემდგომი ბედი 294
თავი XX. დამფუძნებელი კრება და საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება (მალხაზ მაცაბერიძე) 297
20.1. კონსტიტუციის შემუშავების გაჭიანურება.....297
20.2. კონსტიტუციის პროექტის წარმოდგენის დაჩქარების მოთხოვნა.....298
20.3. ღონისძიებები საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დასაჩქარებლად და კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება.....300
20.4. კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაწყება.....301
20.5. სოციალ-დემოკრატების მიერ კონსტიტუციის მიღების დაჩქარების სურვილი 303
20.6. ესერების მიერ დამფუძნებელ კრებაში წარდგენილი კონსტიტუციის პროექტის კრიტიკა 305
26.7. ეროვნული დროშის შესახებ.....305
26.8. საჭიროა თუ არა რეფერენდუმი კონსტიტუციის მისაღებად 306
თავი XXI. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ახალი მეხსიერების პოლიტიკის ფორმირება (მალხაზ მაცაბერიძე) 308
21.1. უქმე დღეები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 308
21.2. „დამფუძნებელ კრებას არ სჭირდება კონსულტაცია ეკლესიასთან“.....309
21.3. რატომ უნდა იზეიმონ საქართველოში „რუსეთის რევოლუციის პირველი დღე“ 310
21.4. რა მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისათვის „მუშათა ინტერნაციონალის დღეს“.....312
21.5. „ორმაგად საზეიმო“ თარიღი 313
21.6. დამფუძნებელი კრება და 26 მაისი 315
თავი XXII. დამფუძნებელი კრება და ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლა 317
22.1. ანარქიის გამომწვევი მიზეზები.....317
22.2. სამხედრო სასამართლოების შექმნა 321
22.3. რისი პროპაგანდა შეუძლია დამფუძნებელი კრების წევრს.....323
22.4. დროებითი საგანგებო ზომები ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად.....326
22.5. სასჯელი შეიარაღებულ ძალებში ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებისათვის 329
22.6. ანარქიის წინააღმდეგ მებრძოლი სტრუქტურები 331
22.7. მემარცხენე ოპოზიციის ბოლშევიკური გავლენის ქვეშ მოქცევა 332
თავი XXIII. საგარეო პოლიტიკის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (ოთარ ჯანელიძე, პაატა სურგულაძე) 335
თავი XXIV. დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა საქართველოს ფაქტობრივი აღიარების გამო (მალხაზ მაცაბერიძე) 351
24.1. „ჩვენო დიდო ნოე!“.....351
24.2. საქართველოს ევროპული არჩევანი.....352
24.3. ფაქტობრივი აღიარებიდან იურიდიული აღიარებისაკენ 353
24.4. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის განმტკიცება 353
24.5. კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის შესახებ 354
24.6. ერთა ლიგაში საქართველოს შესვლის საკითხი.....354
24.7. დისკუსია დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებული ამნისტიის მასშტაბის გამო.....355

24.8. დამოუკიდებლობის ფონდის შექმნა....357
თავი XXV. საქართველოს დამფუძნებელი კრება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხები (1920 წლის აპრილი-მაისი) – (მალხაზ მაცაბერიძე, ოთარ ჯანელიძე)....358
25.1. აზერბაიჯანის გასაბჭოება და საბჭოთა რუსეთის თავდასხმის საფრთხე....358
25.2. ახალი ბრესტ-ლიტოვსკის საფრთხე....359
25.3. საქართველო კვლავ მარტო დარჩა....359
25.4. ბოლშევიკების იმპერიალისტური პოლიტიკა....360
25.5. რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმი და ქართული პოლიტიკური სპექტრი....361
25.6. მზადყოფნა თავდაცვისა და მოლაპარაკებებისათვის....362
25.7. საქართველოს საზღვრების შესახებ....362
25.8. გამარჯვების იმედი....363
25.9. მოლაპარაკების კულისებში....364
25.10. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულება და საქართველოს დამფუძნებელი კრება....365
თავი XXVI. დამფუძნებელი კრება და ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან (მალხაზ მაცაბერიძე)....367
26.1. საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი....367
26.2. კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციები....369
26.3. საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულება....369
26.4. სომხეთი და საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულება....371
თავი XXVII. საქართველოს დამფუძნებელი კრება და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი (მალხაზ მაცაბერიძე)....372
27.1. დამფუძნებელი კრების საქმიანობის დამამთავრებელი ეტაპი....372
27.2. დამფუძნებელი კრება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული აღიარება....373
27.3. ახალი თავდასხმა საქართველოზე....374
27.4. ახალი ფრაქცია და დამფუძნებელი კრების პარტიული სპექტრი 1921 წლის თებერვალ-მარტის წინ....375
27.5. კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის გაგრძელება....376
27.6. „წითელი სომხეთის თავდასხმის“ განხილვა დამფუძნებელ კრებაში (15 თებერვალი)....376
27.7. თბილისი საფრთხის ქვეშ....377
27.8. ფრონტისპირა თბილისი: მიტინგები დამფუძნებელ კრებასთან და ჯარის ნაწილების საომრად გაცილება....379
27.9. კონსტიტუციის მიღება დამფუძნებელი კრების მიერ....380
27.10. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფრანგულენოვანი თარგმანის შესახებ (ირაკლი იაკობაშვილი)....380
27.11. დამფუძნებელი კრების საქმიანობა თბილისის დატოვების წინ....385
27.12. დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში (28 თებერვალი)....387
27.13. დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომები ბათუმში....388
27.14. დამფუძნებელი კრება და საბჭოთა რეჟიმი....392
27.15. დამფუძნებელი კრება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია....394
დასკვნა....396
დანართი....398
საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმიანობის ქრონიკა....398
1919 წელი....398
1920 წელი....405
1921 წელი....412
დამფუძნებელი კრების წევრები (1919-1921)....415
დამფუძნებელი კრების სხდომები (1919-1921)....430
დამფუძნებელი კრების მუდმივი კომისიები (1919 წელი)....442

დამფუძნებელი კრების მუდმივი კომისიები (1920 წელი) 444
დამფუძნებელი კრების მიმართვა ჯარსა და გვარდიას საქართველოს იურიდიულ აღიარებასთან დაკავშირებით 447
დამფუძნებელი კრების დადგენილება (1921 წლის 15 თებერვალი) 447
დამფუძნებელი კრების მოწოდება (1921 წლის 16 თებერვალი) 448
დამფუძნებელი კრების მოწოდება (1921 წლის 17 თებერვალი) 448
დამფუძნებელი კრების დადგენილებანი (1921 წლის 21 თებერვლის საღამოს სხდომა) 449
ქართველ ხალხს დამფუძნებელ კრებისაგან (1921 წლის 28 თებერვალი) 450
საქართველოს დამფუძნებელი კრების მიმართვა პარლამენტებისადმი (1921 წლის 28 თებერვალი) 451
ბიბლიოგრაფია 453

წინასიტყვაობა

საქართველოს დამფუძნებელ კრებას (1919-1921) განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და, შესაბამისად, საქართველოს უახლეს ისტორიაში. საქართველოს დამფუძნებელი კრება არის საქართველოს ისტორიაში პირველი საყოველთაო არჩევნების საფუძველზე შექმნილი წარმომადგენლობითი ორგანო. დამფუძნებელი კრებით იწყება პოსტსაბჭოთა პერიოდში მოწვეული საქართველოს პარლამენტების ათვლა, დამფუძნებელი კრებით იწყება ქართული პარლამენტარიზმის ისტორია.

მიუხედავად დიდი ისტორიული მნიშვნელობისა, საქართველოს დამფუძნებელი კრება ჯერ კიდევ ელის სიღრმისეულ კვლევას. ამ ხარვეზის შევსების ამოცანას ემსახურება მოცემული ნაშრომი. წარმოდგენილი მონოგრაფია დამფუძნებელი კრების საქმიანობასთან დაკავშირებით ბევრ საკითხზე იძლევა პასუხს, მაგრამ, ალბათ, ბევრ კითხვასაც წარმოშობს. ესეც შეიძლება მივიჩნიოთ წარმოდგენილი ნაშრომის ერთ-ერთ მიზნად, - ხელი შეუწყოს ამ მიმართულებით შემდგომ კვლევებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები, იმდროინდელი შეხედულებების შესაბამისად, მიიჩნევდნენ, რომ ახალი სახელმწიფოს კონსტიტუციის შესამუშავებლად უნდა მოეწვიათ განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი წარმომადგენლობითი ორგანო, - დამფუძნებელი კრება (ეს საკითხი განხილულია ნაშრომის პირველ თავში).

საქართველოს დამფუძნებელი კრებამ მუშაობა დაიწყო 1919 წლის 12 მარტს, უკანასკნელი სხდომა გამართა 1921 წლის 17 მარტს. დამფუძნებელმა კრებამ იმუშავა ორი სრული სესიის, 737 დღის განმავლობაში. მან შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა, რისთვისაც იყო მოწვეული, - შეიმუშავა და მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. მაგრამ ეს მოხდა არა ისე, როგორც ჩაფიქრებული იყო. კონსტიტუციის მიღების შემდეგ უნდა დანიშნულიყო პარლამენტის არჩევნები, რომლის შეკრებამდეც დამფუძნებელი კრება გააგრძელებდა თავის საქმიანობას. მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. საქართველოს კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს საბჭოთა რუსეთის თავდასხმის პირობებში, როდესაც თბილისის მისადგომებთან მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა. დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომის გადაწყვეტილებით კი საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი ემიგრაციაში გაიგზავნა, რათა ემუშავათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამის გაკეთება მხოლოდ შვიდი ათეული წლის შემდეგ მოხერხდა, როდესაც ცოცხალი აღარ იყო დამფუძნებელი კრების არცერთი წევრი. მათი უმეტესობა ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა...

გარდა კონსტიტუციის შემუშავებისა, დამფუძნებელი კრება ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, წარმართავდა მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ეს იყო ურთულესი პერიოდი, როდესაც პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეული ნგრევის, მსოფლიო რევოლუციური ტალღის პირობებში, ხდებოდა დიდი ძვრები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ცდილობდნენ შეექმნათ დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო. და ეს უნდა გაეკეთებინათ სახელმწიფოს არქონის საუკუნოვანი შუალედის შემდეგ.

ქვეყანა რომ ჩვეულებრივ დროს არ განიცდიდა, ეს კარგად ესმოდათ იმდროინდელ მოღვაწეებს. დამფუძნებელი კრების წევრი ლეო შენგელაია (ს. რ.) დამფუძნებელი კრების ერთ-

ერთ სხდომაზე აღნიშნავდა: „დღევანდელს ჩვენს პირობებში ერთი წელიწადი უდრის თუ ერთ საუკუნეს არა, ნახევარ საუკუნეს მაინც“ (ოქმები, ტ. IV, გვ.119).

იმდროინდელი ვითარების, საქართველოს დამფუძნებელი კრების ისტორიული მისიის შესახებ, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სიტყვები სპირიდონ კედიას (ე. დ.) ეკუთვნის. 1919 წლის 22 მარტს, დამფუძნებელი კრების მუშაობის დასაწყისში, დამფუძნებელი კრების სხდომაზე განაცხადა: „პირველათ საქართველომ თავის თავი ჩაიბარა და დაიყუდნა, პირველათ მთელი ქართველი ხალხი დაეუფლა თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობას; ეს პირველათ აირჩია და შეადგინა დამფუძნებელი კრება, რომელმაც საქართველოს ძირითადი კანონები უნდა დასწეროს. ამით ისტორიამ დიდი მოვალეობა დაგვაკისრა. ჩვენს ნამოქმედებს და ნააზრევს ისტორია წაიკითხავს და განსჯის. ჩვენი დღევანდელი ნამოქმედარი განსაზღვრავს მომავლის მიმართულებას და ბედს. და სწორეთ ამიტომ ჩვენ ვერ ვიქნებით თავისუფალნი და ჩვენი ქეიფის ამყოლნი ჩვენი უფლების მოხმარებაში, ჩვენს მოქმედებაში, საქართველოს მარადიულ მიმდინარეობაში ჩვენი აქ ყოფნა ერთი წუთია. და ამ წუთმა არ უნდა შეიწიროს ჩვენი ქვეყნის უკვდავება“ (ოქმები, ტ. I, გვ.86).

ამ რთულ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოღვაწეები სწორ ნაბიჯებსაც დგამდნენ და შეცდომებსაც უშვებდნენ. ყველა პოლიტიკურ ძალას თავისი პოზიცია სწორად მიაჩნდა და დაუნდობლად ეკამათებოდა სხვა პოზიციაზე მდგომ ადამიანებს. დღეს, როდესაც ამ მოვლენებიდან ას წელზე მეტია გასული, ბევრ იმ კითხვას გაეცა პასუხი, რაზეც კამათობდნენ დამფუძნებელ კრებაში სწორედ ამაზე საუბრობდა ექვთიმე თაყაიშვილი (ე. დ.): „შეუძლებელია ჩვენ დავაფასოთ დღეს ის, რაც ისტორიამ უნდა დააფასოს. ეხლანდელ მოქმედებას ისტორია გაარჩევს. ისტორია ყველას თავისას მიუსჯის. ის ყველას გაგვასამართლებს“ (ოქმები, ტ. IV, გვ.204).

საქართველოს დამფუძნებელი კრება საბჭოთა პერიოდში სამეცნიერო კვლევის საგანი არ ყოფილა, ეს უბრალოდ შეუძლებელი იყო. პოსტსაბჭოთა პერიოდში დამფუძნებელი კრების საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებების შესახებ რიგი ნაშრომები დაიწერა, ნაშრომების რაოდენობამ იმატა დამფუძნებელი კრების გახსნის მე-100 წლისთავის მოახლოებასთან ერთად. გამოიცა დოკუმენტების კრებულები:

-„საქართველოს დამფუძნებელი კრება - 1919“, რომელშიც შესულია დამფუძნებელი კრების წევრთა ბიოგრაფიები და სტატისტიკური მასალა დამფუძნებელი კრების შემადგენლობის შესახებ;

-„პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“, მასში მოცემულია საარჩევნო სიები, არჩევნების შედეგები და სხვა დოკუმენტური მასალა.

დამფუძნებელი კრების საქმიანობის შესასწავლად მნიშვნელოვანია დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები. მათ გამოცემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დამფუძნებელი კრება, რომელმაც მოამზადა და 1919-1920 წლებში გამოსცა თავისი სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები (1919. სხდომები N 1- N 78; 1920. პირველი სესია. სხდომა N 79 (14.I.) – 98 (16.III.); 1920. მეორე სესია. სხდომა N 2 (9.VII – 71 (21.XII). სამწუხაროდ, დამფუძნებელმა კრებამ ბოლომდე ვერ მიიყვანა თავისი სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების გამოცემის საქმე. 1921 წელს გამართული დამფუძნებელი კრების საქმიანობის შესახებ ფრაგმენტული საარქივო დოკუმენტების და იმდროინდელ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით. ესაა დამფუძნებელი კრების სხდომებზე გამოსული დეპუტატების სრული ან შემოკ-

ლებით გადმოცემული სიტყვები, რეპორტაჟები დამფუძნებელი კრების სხდომებიდან, სტატიები დამფუძნებელი კრების საქმიანობის შესახებ.

დამფუძნებელი კრების 100 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 2019-2020 წლებში გამოსცა რვა ტომად „საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები“. მასში შევიდა ადრე თავად დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემული სხდომის ოქმები და დაემატა დამფუძნებელი კრების საქმიანობის შესახებ დღეისათვის გამოვლენილი 1921 წლის მასალებიც.

თავი I. დამფუძნებელი კრების იდეა 1917-1921 წლების ქართულ საზოგადოებაში (მალხაზ მაცაბერიძე)

XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის უდავოდ იყო მიჩნეული, რომ ცარიზმის დამხობის შემდეგ ახალი პოლიტიკური წყობილების საფუძვლების განსაზღვრისათვის უნდა მოეწვიათ დამფუძნებელი კრება. თავიდან იგულისხმებოდა რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევა, შემდეგ დღის წესრიგში დადგა საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის საკითხი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის წინ და დამფუძნებელი კრების მუშაობის პერიოდში ქართულ პრესაში ბევრი იწერებოდა, ისევე როგორც დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან ბევრს საუბრობდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევის მნიშვნელობის, მის წინაშე მდგარი ამოცანების, ფუნქციების, მუშაობის ხასიათის თაობაზე.

დამფუძნებელ კრების უმთავრესი ამოცანა კონსტიტუციის შემუშავება, ახალი სახელმწიფოებრივი წყობილებისთვის საფუძვლის ჩაყრა იყო. 1919 წლის 21 მარტს წაკითხული მთავრობის დეკლარაციის მიხედვით დამფუძნებელი კრება მოწოდებული იყო შეემუშავებინა რესპუბლიკის კონსტიტუცია და მტკიცე ნიადაგზე დაემკვიდრებინა დამოუკიდებელი სახელმწიფო (ოქმები, ტ. I, გვ.73). რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) თქმით, დამფუძნებელი კრება „ერთის მხრივ იმუშავებს კონსტიტუციას. მეორე მხრივ უნდა შექმნას პირობები ამ კონსტიტუციის ცხოვრებაში გასატარებლად“ (ოქმები, ტ. I, გვ.195-196). ანუ დამფუძნებელმა კრებამ არა მარტო უნდა შეიმუშაოს კონსტიტუცია, არამედ „მოაწყოს ის აპარატი, რომელიც უძღვება მთელ სახელმწიფოს“ (ოქმები, ტ. I, გვ.195).

საქართველოს დამფუძნებელ კრებას, თუკი მოინდომებდა, მოწვევის შემდეგ შეეძლო ამ ამოცანის რამდენიმე თვეში გადაწყვეტა და ამაში უჩვეულო არაფერი იქნებოდა. დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის ხელში იყო საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის მიერ მომზადებული კონსტიტუციის პროექტის თავები, კვლავ დომინირებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც კონსტიტუციის საკითხების საკუთარი ხედვა ჰქონდა და დამფუძნებელ კრებაში მოპოვებული აბსოლუტური უმრავლესობის წყალობით, შეეძლო დამოუკიდებლადაც მიეღო კონსტიტუცია სხვა პარტიების მხარდაჭერის გარეშეც. ამით დამფუძნებელი კრება თავის უმთავრეს ამოცანას შეასრულებდა და უკვე კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდებოდა საპარლამენტო არჩევნები. მაგრამ, რიგი მიზეზების გამო, ასე არ მოხდა და დამფუძნებელმა კრებამ ორი წლის განმავლობაში მუშაობდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმდროინდელ ხედვებს დამფუძნებელი კრების უფლებამოსილების და ფუნქციების შესახებ.

1.1.როდის იწვევენ დამფუძნებელ კრებას

დამფუძნებელი კრების წევრებს კარგად ესმოდათ, რომ დამფუძნებელი კრება იკრიბება ქვეყნისთვის გარდამტეხ პირობებში. 1919 წლის 8 აპრილს დამფუძნებელი კრების სხდომაზე რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) აღნიშნავდა, რომ დამფუძნებელ კრებას იწვევენ „რყევის, ნგრევა-შენების ხანაში“, მას იწვევენ ახალი წყობილების დასამყარებლად, როდესაც ჯერ „ცხოვრება არ შემუშავებულა, არ დადუღებულა, არ ჩამოსხმულა იურიდიულ გარკვეულ კალაპოტში“ (ოქმები, ტ. I, გვ.313). დამფუძნებელი კრება არსებობს ისეთ დროს, როდესაც „არ არის უკვე დამუშავებული სისტემა წყობილებისა, არც მოქალაქეა თავისუფალი, უზრუნველყოფილი, არც სხვა ასე-

თი კონსტიტუციური ვარიანტები არსებობს“, როდესაც მიმდინარეობს „ერთგვარი მოუწესრიგებელი ბრძოლა მოქალაქეთა შორის“, არის „რევოლუციის ტალღები, რომელნიც ყოველთვის შეიცავენ თავის შინაარსში ერთგვარ ანარქიის ტალღებს“ (ოქმები, ტ. I, გვ.313).

საერთო აზრის თანახმად, დამფუძნებელი კრებით დაიწყებოდა „ახალი ხანა სახელმწიფოს ცხოვრებაში“, ძირფესვიანად გარდაიქმნებოდა „სოციალ-პოლიტიკური წყობილება და ურთიერთობა“. თუ რა მოლოდინი და იმედები არსებობდა დამფუძნებელ კრებასთან დაკავშირებით, კარგად ჩანს რაფიელ ინგილოს სტატიაში „დამფუძნებელი კრება“:

„ახალ, ან და აღდგენილ სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის ერი იწვევს დამფუძნებელ კრებას - უზენაეს ორგანოს, რომელიც საფუძველს უყრის სახელმწიფო ცხოვრების ყოველ დარგს, დროებითსა და წარმავალ წესებს მტკიცე და სამარადისო დანიშნულებას აძლევს და საბოლოოდ განამტკიცებს სახელმწიფო წეს-წყობილებას. დამფუძნებელი კრება იმუშავებს კონსტიტუციას, იგი ჰქმნის ძირითად კანონებს, სახელმწიფო მართვა-გამგებლობას სათავეში რომ უნდა დაედვას; დამფუძნებელი კრების დანიშნულებას შეადგენს სახელმწიფოს წესწყობილების ტიპის გამონახვა, იგივე აძლევს ქვემდებარე დაწესებულებებს სახელმძღვანელო გეზს სოციალურ და ეკონომიურ კანონმდებლობისას; საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში დამფუძნებელი კრება მკვიდრ ნიადაგზე ამყარებს სახელმწიფოს უფლებრივ მდგომარეობას და სუვერენიტეტს და კულტურული კაცობრიობის ოჯახში სათანადოთ აძლიერებს სახელმწიფო ერთეულის გავლენასა და მნიშვნელობას“ („საქართველო“, 15.01.1919).

რაჟდენ არსენიძის თქმით, დამფუძნებელ კრებას იწვევენ „რყევის, ნგრევა-შენების ხანაში“, როდესაც „არ არის უკვე დამუშავებული სისტემა წყობილებისა, არც მოქალაქეა თავისუფალი, უზრუნველყოფილი“, დამფუძნებელი კრება მოწოდებულია „ახალი წყობილება დაამყაროს“ (ოქმები, I, გვ.313).

1.2.დამფუძნებელი კრების არჩევის მნიშვნელობა

დამფუძნებელი კრების მოწვევა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის თვალსაზრისით. რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) დამფუძნებელი კრების 1919 წლის 10 მაისის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ თვით ფაქტი დამფუძნებელი კრების არსებობისა „მოწმობს დიდ სახელმწიფოებრივ შემოქმედებას იმ ერისა, იმ ხალხისა, იმ დემოკრატიისა, რომელმაც შესძლო ასეთი დიდი უფლებები და რევოლიუციონური ლოზუნგები განეხორციელებინა, ფაქტად ექცია“ (ოქმები, I, გვ.427).

საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ქართულ პრესაში დაწვრილებით განიხილებოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ „უდიდეს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოვლენად“ მიიჩნეოდა. შალვა ალექსი-მესხიშვილი (ს. ფ.) აღნიშნავდა, რომ „დამფუძნებელი კრების მოწვევა დიადი ფაქტია ყოველი ერის ცხოვრებაში“ (ოქმები, I, გვ.82).

პირველ რიგში დამფუძნებელი კრების მოწვევა მნიშვნელოვანი იყო **საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის,** როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. გაზეთ „ერთობის“ სარედაქციო სტატიის მიხედვით, საქართველოს პარლამენტს, მართალია, ხალხი უცხადებდა ნდობას, მაგრამ ის არ იყო ხალხის მიერ არჩეული ორგანო. „ამ გარემოებას... მუდამ სადემაგოგიოთ იყენებენ ჩვენს წინააღმდეგ ჩვენი რესპუბლიკის და დემოკრატიის მტრები“ („ერთობა“, 10.01.1919). ეს ხდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, „ზოგიერთ ჩამორჩენილ კუთხეში“, ისე საერთაშორისო არენაზეც.

გარკვეული წრეები ამტკიცებდნენ, თითქოს ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა არ უნდოდა და 1918 წლის 26 მაისს „ერთმა მუჭა შოვინისტურმა ინტელიგენციამ მოახვია ხალხს არაპოპულარული სეპარატისტული აქტი“. ასეთ ვითარებაში ხალხის მიერ არჩეულ დამფუძნებელ კრებას პირველ რიგში დამოუკიდებლობის აქტის დადასტურება მოუწევდა. რაფიელ ინგილო დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ წერდა: „დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებაც აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის დასადასტურებლად. წინდაწინვე ვუწყით, რომ დამოუკიდებლობის განმეორებით მიღება დამფუძნებელი კრების მიერ იქნება დიდებული მანიფესტაცია განთავისუფლებულ საქართველოს მიმართ“ („საქართველო“, 19.01.1919).

იმავეს აღნიშნავდა ი. ხახანაშვილი, რომლის განცხადებითაც დამფუძნებელი კრება მტკიცედ იდგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის პოზიციაზე - „საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სიტყვა იქნება: დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველო, რადგან ამ ლოზუნგით შეიჭრა ჩვენში მომქმედი ყოველი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფი და პარტია ქართული ერის მასაში. ამ ლოზუნგმა მიაღებინა ყველას ქართველი ერის ნდობა“ („საქართველო“, 28.02.1919). ეს სიტყვები გაფრთხილება იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვისაც, რომელიც დიდხანს გამოდიოდა „ერთიანი დემოკრატიული რუსეთის“ და „ამიერკავკასიის ფედერაციის“ მხარდამჭერის როლში და დამფუძნებელი კრების არჩევნების პერიოდში ვიღაცეები კვლავ ალაპარაკდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თაობაზე.

ისიც აღინიშნებოდა, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც დამფუძნებელი კრება შეიკრიბა. „ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი ცხოვრება უკვე კალაპოტშია ჩამდგარი და ჩვენი მომავალიც უზრუნველ-ყოფილია“ („სახალხო საქმე“, 23.01.1919).

სოციალ-დემოკრატები, რომელთა ინიციატივითაც დამფუძნებელი კრების მოწვევა დაჩქარდა, მიუთითებდნენ **დამფუძნებელი კრების არსებობის მნიშვნელობაზე საქართველოს საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით.** ცნობილი გახდა, რომ პარიზში მოწვეული იქნებოდა მსოფლიო სამშვიდობო კონგრესი, სადაც გადაწყდებოდა „აღდგენილ თუ ახლად წარმოშობილ სახელმწიფოთა ბედი“ („საქართველო“, 27.01.1919). ამიტომ, სოციალ-დემოკრატების აზრით, მნიშვნელოვანი იყო დამფუძნებელი კრება შეკრებილიყო პარიზის საზავო კონფერენციის მუშაობის დაწყების დროისათვის. სწორედ ამ არგუმენტით სოციალ-დემოკრატებმა მოითხოვეს დამფუძნებელი კრების მოწვევის დაჩქარება. 1919 წლის 3 იანვარს საქართველოს პარლამენტმა განიხილა „კანონპროექტი დამფუძნებელ კრების მოწვევის ვადის შემოკლებისა“. სოციალ-დემოკრატების განცხადებით, რადგანაც „ახლო მომავალში“ უნდა შეკრებილიყო „მსოფლიო სამშვიდობო კონფერენცია“, ამიტომ საჭირო იყო „საქართველოს თვითმყოფობა“ მთელ ხალხს ოფიციალურად დაედასტურებინა და ეს აზრი წარედგინათ „საერთაშორისო ტრიბუნალისათვის“ („საქართველო“, 5.01.1919).

დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადის შემცირების წინააღმდეგ გამოვიდა თითქმის ყველა საპარლამენტო ფრაქცია, - ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატები, სომხები და მაჰმადიანები. მოწინააღმდეგენი აღნიშნავდნენ, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობას სახელმწიფონი დაიცავენ დამფუძნებელ კრების მოწვევის გარეშედაც, ხოლო უკეთუ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რომელიმე სახელმწიფო გამოვა, ვერც დამფუძნებელი კრება გვიშველის“. დამფუძნებელი კრების მოწვევის დაჩქარების მოწინააღმდეგეთა აზრით, უკვე არსებული საქართველოს პარლამენტი სავსებით გამოხატავდა „ხალხის ნებისყოფას და ახლო წარსულმა საკმაოდ დაამტკიცა მისი პოპუ-

ლარობა“ („საქართველო“, 5.01.1919). პარლამენტმა ხმების უმეტესობით დაადგინა დამფუძნებელი კრების მოწვევის დაჩქარება.

გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო კონფერენცია იმდენად გაუწევდა საქართველოს ანგარიშს, რამდენადაც „სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით“ ის „ყოველმხრივ შეიარაღებული“ გამოვიდოდა („ერთობა“, 10.01.1919). „ყოველმხრივ შეიარაღებაში“ ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს ქონა იგულისხმებოდა.

დამფუძნებელი კრების მოწვევის დაჩქარების არგუმენტი შემდეგ ნაწილობრივ სხვა პარტიებმაც გაიზიარეს. მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი ორგანო სარედაქციო სტატიაში აღნიშნავდა: „საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებს გარეშენიც დიდ ყურადღებას აქცევენ. მისი საშუალებით ჩვენ წარვსდგებით სრულუფლებიან წევრად ევროპის ხალხთა წინაშე და ვიტყვით ჩვენს სიტყვას საკუთარ დამოუკიდებლობის დასაცავად და განსამტკიცებლად“ („სახალხო საქმე“, 8.02.1919).

აღინიშნებოდა დამფუძნებელი კრების მოწვევის მნიშვნელობის კიდევ ერთი ასპექტიც. **დამფუძნებელი კრების არჩევას უნდა მოეწესრიგებინა ურთიერთობა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან,** ანუ მაშინდელი ტერმინოლოგიით, „ურთიერთობა წვრილ ერებთან“. „ერთობა“ აღნიშნავდა, რომ საქართველოს პარლამენტში შეიყვანეს საქართველოში მცხოვრები „თითქმის ყველა წვრილი ერის“ წარმომადგენლები, მაგრამ ეს არჩევნების გზით არ მომხდარა, შედეგად „დეპუტატების სავარძლებს დაეპატრონენ შემთხვევითი პირები“ და „იმის მაგიერ, რომ ჩვენთან ერთად იმუშაონ, ეს დეპუტატები, განსაკუთრებით მისი ერთი ნაწილი, განზე დგანან და თითქოს სეირს უყურებენო, ისე იქცევიან“ („ერთობა“, 10.01.1919). დამფუძნებელი კრების არჩევნები ქვეშევრდომობის კანონის საფუძველზე ტარდებოდა და გაზეთი „ერთობა“ ვარაუდობდა, რომ „წვრილი ერებიც ისეთებს მიანდობენ თავის ინტერესების დაცვას, ვინც ჩვენს დამოუკიდებლობას და სახელმწიფოებრიობას სცნობს და საკუთარ საქმედ სთვლის“ („ერთობა“, 10.01.1919).

დამფუძნებელი კრების მოწვევას უკავშირდებოდა **კოალიციური მთავრობის ფორმირებისა და ზეპარტიული პოლიტიკის გატარების** იმედიც, რასაც პრინციპში, რეალიზება არ ეწერა, სოციალ-დემოკრატების დიდი უპირატესობით გამარჯვების გამო. დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ გამოქვეყნებულ სტატიაში ტიტე მარგველაშვილი (ფსევდონიმით; ტ. მ.) აღნიშნავდა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აქამდე „პარტიული ბატონობა იყო გამეფებული. მთავრობის კონსტრუქცია და პლატფორმა იყო პარტიული“ („საქართველო“, 22.01.1919). მას ამგვარი ვითარება დიდ ნაკლად მიაჩნდა და იმედოვნებდა, რომ არჩევნების შედეგად დამფუძნებელ კრებაში ეროვნული დემოკრატია ისეთ პოზიციებს მოიპოვებდა, რომ კოალიციური მთავრობის შექმნა გახდებოდა აუცილებელი. ეს შესაძლებელს გახდიდა მოწყობილიყო „პარტიათა თანამშრომლობის პრინციპზე აგებული ქვეყნის მართვა-გამგეობა“, ჩამოყალიბებულიყო „მტკიცე ძლიერი მთავრობა კოალიციის ნიადაგზე დამყარებული“, ეს მოსპობდა „პარტიულ შუღლს და დაუნდობლობას“ და მის ნაცვლად პარტიათა თანამშრომლობას დაამკვიდრებდა. პარტიათა თანამშრომლობა კი შესაძლებელს გახდიდა „მთავრობის ერთი მთლიანი სამოქმედო პლატფორმის“ შემუშავებას, რომელიც მკაფიოდ გამოხატავდა „არა რომელიმე პარტიის, არამედ მთელი ხალხის ნების-ყოფას“ („საქართველო“, 22.01.1919).

1.3. პარტიები დამფუძნებელი კრების შემადგენლობის შესახებ

საქართველოს პარლამენტის მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნების დანიშვნასთან ერთად, გაზეთი „ერთობა“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავდა, რომ მომავალ დამფუძნებელ კრე-

ბაში უმრავლესობა კვლავ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელში იქნებოდა. გაზეთის თქმით, „თამამად შეიძლება ითქვას“, რომ დამფუძნებელი კრების შემადგენლობა დიდად განსხვავებული არ იქნებოდა საქართველოს პარლამენტის შემადგენლობისაგან. „ჩვენი პარლამენტის დიდ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატია შეადგენს და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ თანაგრძნობას, რომლითაც ხალხი გამოეხმაურა პარლამენტის და მთავრობის დაძახილს სომხეთთან ომის დროს ჩვენთვის აშკარა გახდება თუ საით იქნება გადაჭრილი მომავალ არჩევნებში ხალხის სული და გული“ („ერთობა“, 10.01.1919). „ერთობის“ დასკვნით, „ყველაფრიდან სჩანს, რომ ჩვენი დამფუძნებელი კრება გაგრძელება იქნება ჩვენი პარლამენტის, როგორც შემადგენლობით, ისე პოლიტიკური ხაზით“ („ერთობა“, 10.01.1919).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ორგანო „საქართველო“ პესიმისტურად იყო განწყობილი დამფუძნებელი კრების პარტიულ შემადგენლობასთან დაკავშირებით. 1919 წლის 14 თებერვალს, დამფუძნებელი კრების არჩევნების პირველ დღეს „საქართველო“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავდა: „საეჭვოა, რომ მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ მეტის სისრულით და სისწორით გამოხატოს საქართველოში არსებულ ძალთა განწყობილება, ვიდრე პარლამენტი ხატავდა“ („საქართველო“, 14.02.1919).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისთვის ცხადი იყო, დამფუძნებელი კრების არჩევნები პარტიისათვის „დიდ პოლიტიკურ გამოცდას“ წარმოადგენდა. „თუ პარტია ამ გამოცდაში დამარცხდა, მისი სახელი დიდის ხნით, შეიძლება სამუდამოდაც, წაიშლება საქართველოს რესპუბლიკის მატიანეში“, - აღნიშნავდა გაზეთი „საქართველო“ სარედაქციო სტატიაში („საქართველო“, 14.01.1919). ეროვნულ-დემოკრატებს პესიმისტურად განაწყობდა წინა არჩევნებში (რუსეთის დამფუძნებელი კრების, საერობო არჩევნები) წარუმატებლობა და პარტიის შიგნით არსებული განხეთქილება. სწორედ ამიტომ გაზეთი აღნიშნავდა: „უმჯობესია ეროვნულმა დემოკრატიამ დამფუძნებელ კრებაში მცირერიცხოვანი ფრაქცია იყოლიოს, ვიდრე ისეთი ელემენტები გაგზავნოს, რომელნიც ფარულად ერთი მეორეს დაუპირდაპირდებიან და ძალთა ნეიტრალიზაციას გამოიწვევენ“ („საქართველო“, 14.01.1919).

სოციალისტ-ფედერალისტები იმედს გამოთქვამდნენ, რომ მათი პარტია, რომელსაც „დიდი ხანია აღმართული აქვს დროშა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისა, დამფუძნებელი კრების არჩევნებში უფრო გაძლიერებული გამოვა“ („სახალხო საქმე“, 15.01.1919). ასევე იმედოვნებდნენ, რომ „დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია და თვით დამფუძნებელი კრების მუშაობა იქნება ახალი ეტაპი სოციალისტ-ფედერალისტთა განვითარებისა“ („სახალხო საქმე“, 4.02.1919)

ესერები აცხადებდნენ, რომ სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობის მქონე დამფუძნებელი კრება ვერ შეასრულებდა თავის განსაკუთრებულ მისიას. „ჯერ გამორკვეული არ არის, დაიმსახურებს საქართველოს დამფუძნებელი კრება თავის მომავალ მოღვაწეობით ხალხის ნდობას თუ არა“ (ოქმები, I, გვ.68), - განაცხადა ივანე გობეჩიამ დამფუძნებელი კრების 1919 წლის 21 მარტის სხდომაზე, რასაც სოციალ-დემოკრატების აღშფოთება მოჰყვა. ამ სიტყვებს სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძეც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ შეუძლებლად მიაჩნდა ნათქვამის უყურადღებოდ დატოვება. „აქ ითქვა... დამფუძნებელი კრება დაიმსახურებს თუ არა ხალხის ნდობასო. მე მგონი ამ ტრიბუნიდან ასეთ ლაპარაკს ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ვიმედოვნებ, რომ ამიერიდან არც ექნება ადგილი“ (ოქმები, I, გვ.70).

1.4. „სოციალისტური“ დამფუძნებელი კრება

სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები დამფუძნებელი კრების მისიას არა ეროვნული, არამედ კლასობრივ-რევოლუციური თვალსაზრისით უყურებდნენ. ისინი ვერ ახერხებდნენ და არც აპირებდნენ თავიანთ „პარტიულ ხედვებზე“ მაღლა დგომას.

ესერები დამფუძნებელ კრებას სოციალისტურად მიიჩნევდნენ. შენგელაიას განცხადებით. ეს იყო „სოციალისტური დამფუძნებელი კრება“ (ოქმები, ტ. I, გვ.233).

ლეო შენგელაიას (ს. რ.) თქმით, დამფუძნებელი კრება იყო „სიმბოლო დემოკრატიის გამორკვევისა და ერის თავისუფლებისა“, რომელმაც „უნდა ჩაუყაროს ახალი და მტკიცე საფუძველი ჩვენს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგს უნდა დააჩნდეს დამფუძნებელი კრების მძლავრი შემოქმედების ხელი“ (ოქმები, ტ. I, გვ.92).

ესერების დეკლარაციაში ხაზგასმული იყო ევროპაში გაშლილი რევოლუციური პროცესი და მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება უნდა გამხდარიყო „ორგანო რევოლუციის და სოციალური გაღრმავებისა“. დამფუძნებელი კრება მათი აზრით უნდა ყოფილიყო „პერმანენტული რევოლიუციონური შემოქმედება, მწყობრი კოლექტივიზაცია შრომისა და საკუთრებისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.94).

ამ თვალსაზრისით სოციალ-დემოკრატები უფრო ზომიერები იყვნენ. რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) აღნიშნავდა, რომ მათი პარტიის მიზანი სოციალიზმის განხორციელება იყო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ „ჩვენ დღესვე შეუდგეთ საქართველოში ამის ექსპერიმენტებს“ და სოციალიზმზე გადასვლა მოხდებოდა „მხოლოდ დემოკრატიის განმტკიცებით“ (ოქმები, ტ. I, გვ.97).

როგორც გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავდა „სოციალ-დემოკრატიას, რომელიც დამფუძნებელი კრების დიდს უმრავლესობას შეადგენს, უხდება არსებითად ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შენება და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მაგრამ ისე კი, რომ განხორციელებულ იქნას უდიდესი სოციალური რეფორმებიც“ („ერთობა“, 27.02.1919)

ესერები სოციალ-დემოკრატების მიერ დაკავებულ პოზიციას „რევოლუციის ღალატად“ მიიჩნევდნენ. ლეო შენგელაიას (ს. რ.) განცხადებით, „სოციალ-დემოკრატია ცდილობს ჩვენი ცხოვრება აქა-იქ შეაკეთოდ, შეიტანოს მასში აქა იქ კორექტივები“ (ოქმები, ტ. III, გვ.43). მოგვიანებით კი დამფუძნებელი კრების მუშაობას შემდეგ შეფასებას აძლევდა: „ორი წელიწადი მუშაობს დამფუძნებელი კრება და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არც ერთი სერიოზული კანონი არ მიგვიღია“ (ოქმები, ტ. VII, გვ.55).

1.5. დამფუძნებელი კრება და რევოლუცია: როდის მთავრდება რევოლუცია

ეროვნულ-დემოკრატები დამფუძნებელი კრების შეკრებას რევოლუციის დამთავრებად მიიჩნევდნენ. 1919 წლის 29 მარტს დამფუძნებელი კრების სხდომაზე გიორგი გვაზავამ (ე. დ.) განაცხადა: „ბატონებო, ეს რევოლიუცია ხომ უნდა როდესმე გავათაოთ“, რასაც დარბაზში სიცილი მოჰყვა (ოქმები, ტ. I, გვ.131). თუ გვაზავასთვის დამფუძნებელი კრება კონსტიტუციური წესრიგის დამყარებას და რევოლუციის დასასრულს ნიშნავდა, ასე არ ფიქრობდნენ სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ დამფუძნებელ კრებაში.

გიორგი გვაზავას თქმით, „თუ ჩვენ ეხლა იმის შემდეგ, რაც დამფუძნებელი კრება მოვიწვიეთ, კიდევ განვაგრძობთ ყვირილს, რომ რევოლიუცია არისო, მაშინ რა არის დამფუძნებელი კრება? მე მგონია, რომ ეხლა უნდა დავადგეთ არა დანგრევის გზას, არამედ აღმშენებლობისას“

(ოქმები, ტ. I, გვ.131). ამ სიტყვებს ადგილიდან ნიკოლოზ ელიავას (ს. დ.) წამოძახილი მოჰყვა: „რევოლიუცია მარტო დანგრევა ხომ არ არის?“, რასაც გვაზავამ უპასუხა: „შეიძლება თქვენ რევოლიუციას ეძახით დამფუძნებელი კრების მუშაობას, მაშინ გასაგებ ენაზე ილაპარაკეთ, ყველას გააგებინეთ, რომ რევოლიუცია თურმე ყოფილა მშვიდობიანობა და მიზანშეწონილი მუშაობა“ (ოქმები, ტ. I, გვ.131).

რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) უპასუხა გიორგი გვაზავას რევოლუციის დამთავრების საკითხზე. მისი თქმით, რევოლუცია დეკრეტით ვერ დამთავრდებოდა. „ვერავითარი დეკრეტით ჩვენ რევოლიუციას ვერ შევაჩერებთ, ვერც გავაძლიერებთ. არც კი ვიცით დამფუძნებელი კრება გათავდება უფრო ადრე, თუ რევოლიუცია, ვერც ამას გადაგიჭრით. არც დამფუძნებელი კრების მოწვევით შეიძლება ჩავთვალოთ რევოლიუცია დამთავრებულად. მხოლოდ მე მგონი, თუ ჩვენ დავაგვირგვინებთ იმას, რაც რევოლიუციით შევიძინეთ და გავახორციელებთ, ცხოვრება ჩადგება ერთგვარ კალაპოტში“ (ოქმები, ტ. I, გვ.138).

რაჟდენ არსენიძემ ბოლოს მაინც დაასახელა, თუ როგორ წარმოედგინა რევოლუციის დამთავრება: „თუ გინდათ გაიგოთ, როდის გათავდება რევოლიუცია, აი ამის ნიშანი: როდესაც აღარ იქნება სახალხო გვარდია, აღარ იქნება დამფუძნებელი კრება და მის ადგილს დაიჭერს ჩვეულებრივი, ნორმალური პარლამენტი, ან სხვა ამგვარი რამ პარლამენტარულ ხასიათის დაწესებულება, მაშინ დამთავრებულია რევოლიუცია“ (ოქმები, ტ. I, გვ.142).

სოციალისტები დამფუძნებელ კრებას რევოლუციის ორგანოდ მიიჩნევდნენ. რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) თქმით, დამფუძნებელი კრების მოწვევა იყო „უპირველესყოვლისა გამომხატველი ამ რევოლიუციის შემოქმედებითი მუშაობისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.141).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ივნისის სხდომაზე გიორგი გვაზავა (ე. დ.) კვლავ ცდილობდა სოციალისტი დეპუტატების დარწმუნებას, რომ რევოლუცია დამთავრდა 26 მაისს მაინც და საჭიროა არა რევოლუციური, არამედ დემოკრატიული პოლიტიკის გატარება: „თქვენი პოლიტიკა არ არის პოლიტიკა დემოკრატიული. თქვენი პოლიტიკა გადახრილია უფრო მარცხნივ, არის სარევოლიუციო პოლიტიკა და რევოლიუცია კი გათავდა, საქართველოში გათავდა მაინც 26 მაისს“, მის სიტყვებს დარბაზში „სიცილი და ხმაურობა“ მოჰყვა. გვაზავამ მოკლედ უპასუხა: „ამას ჩაუკვირდით, ეს სასაცილო არ არის“ (ოქმები, ტ. II, გვ.159).

სოციალისტები კი რევოლუციას დამთავრებულად არ მიიჩნევდნენ. მაგალითად, ზაქარია გურული (ს. დ.) დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 ივლისის სხდომაზე აღნიშნავდა: „რევოიუცია ჯერ არ გათავებულა“ (ოქმები, ტ.III, გვ.79).

გიორგი გვაზავა შემდგომშიც ცდილობდა სოციალისტებისთვის დაესაბუთებინა, რომ დამფუძნებელი კრების საქმიანობა რევოლუციას აღარ ნიშნავდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 21 მაისის სხდომაზე, როდესაც აგრარულ სფეროსთან დაკავშირებულ კანონს რევოლუციურ აქტად განიხილავდნენ, გიორგი გვაზავამ აღნიშნა, რომ ხალხის მიერ არჩეულ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონს აღარ ქონდა „რევოლიუციური აქტის ხასიათი“ და მან უკვე „კანონის სახე მიიღო“. რევოლუციონურ აქტს კი „განსაკუთრებული პირობები და განსაკუთრებული იარაღი უნდა, რომ იგი გატარდეს ცხოვრებაში“ (ოქმები, ტ. VI, გვ.374).

1.6. საგანგებო ზომების აუცილებლობის შესახებ

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 6 მაისის სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა ოკრიბის მხარეში მილიციის რაზმის უკანონო ქმედებების საკითხი, მთავრობას ზოგადად, „ადმინისტრაციული ზომების“ მიღება უსაყვედურეს. საპასუხოდ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა ადმინისტრაციული ზომების მიღება ქვეყანაში არსებულ რევოლუციურ ვითარე-

ბას დაუკავშირა. „ჩვენ ვიღებთ ადმინისტრაციულ ზომებს... ვიღებთ იმიტომ, რომ ჩვენ გვგონია, რომ ჩვენ ჯერ ვიმყოფებით რევოლიუციონურ ხანაში, საცა ჯერ არ არის საკმაოდ მოწესრიგებული სასამართლო. და ასე ვიქცევით არა მარტო ჩვენ, ყველა რევოლიუციონური მთავრობა“ (ოქმები, ტ. I, გვ.352). ნოე რამიშვილის თქმით, ადმინისტრაციული ზომები მიმართული იყო „იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც ძირს უთხრიან ან, ყოველ შემთხვევაში, სცდილობენ ძირი გამოუთხარონ ჩვენ რესპუბლიკას“ (ოქმები, ტ. I, გვ.352-353).

ნოე რამიშვილის განცხადებით, სანამ „ჩვენ რესპუბლიკას, დემოკრატიას საფრთხე მოელის“, მთავრობა ისარგებლებდა „არა ჩვეულებრივი უფლებებით, რომლებითაც ყოველთვის სარგებლობენ მთავრობები რევოლიუციონურ ხანაში“. თუმცა, ნოე რამიშვილის თქმით, თუკი დამფუძნებელი კრება ამის წინააღმდეგი იქნებოდა, „რა თქმა უნდა, მთავრობა ქედს მოიხრიდა დამფუძნებელი კრების წინაშე“ (ოქმები, ტ. I, გვ.354).

ნოე რამიშვილი შემდგომშიც არაერთხელ იშველიებდა საფრანგეთის რევოლუციის გამოცდილებას, იმის ასახსნელად „თუ მართლა როგორ იქცევა რევოლუციონური მთავრობა ისეთ ხანაში, ისეთ მომენტში, რომელსაც განიცდის დღეს ჩვენი რესპუბლიკა“ (ოქმები, ტ. II, გვ.11). დამფუძნებელი კრების 1919 წლის 30 მაისის სხდომაზე ნოე რამიშვილმა ბევრი ისაუბრა საფრანგეთის კონვენტის მიერ 1793 წელს გატარებულ რეპრესიულ ზომებზე (ოქმები, ტ. II, გვ.11-12).

1.7. დამფუძნებელი კრება და საფრანგეთის რევოლუცია

სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამფუძნებელ კრებას ხშირად ადარებდნენ საფრანგეთის კონვენტს, მაგრამ ამავე დროს ხედავდნენ სპეციფიკასაც, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ბატონობდა ერთი პარტია, - სოციალ-დემოკრატია და მას სხვა პარტიები რაიმე საფრთხეს ვერ შეუქმნიდნენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიაჩნდათ, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრებას უნდა მიემართა საფრანგეთის კონვენტის გამოცდილებისათვის და „შინაურ და გარეშე მტრების ასალაგმავად“, „საჭიროების დროს“ მიემართა „უკიდურეს რევოლუციონურ ზომებისათვის“. გაზეთი „ერთობა“ სარედაქციო სტატიაში მთელ ამ მსჯელობას შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „ასე გვაქვს ჩვენ წარმოდგენილი დამფუძნებელი კრების მომავალი საქმიანობა“ („ერთობა“, 27.02.1919).

რევოლუციური ზომების გატარების საჭიროების დასასაბუთებლად ნოე რამიშვილმა ისტორიაც მოიშველია. მისი თქმით, „საფრანგეთის კონვენტმა მიიღო კონსტიტუცია, მაგრამ მისი განხორციელება კი გადასდო, სწორედ იმ მოსაზრებით, რომ რევოლიუციონურ ხანაში არის აუცილებელი ეს არა ჩვეულებრივი ზომები, რომლებსაც ჩვენი სასამართლო ჯერჯერობით ვერ იღებს“ (ოქმები, ტ. I, გვ.352).

კონვენტის მაგალითის მოშველიება სოციალ-დემოკრატების მიერ ზოგჯერ სხვა პარტიების წარმომადგენელთა უკმაყოფილებას იწვევდა. 1919 წლის 6 მაისის სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა დეპუტატის იმუნიტეტის საკითხი, რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) კონვენტის მაგალითი მოიშველია, რასაც იესე ბარათაშვილის (ს. ფ.) პროტესტი მოჰყვა, - „ის, რაც მოხდა 100 წლის წინად, შეუძლებელია, რომ ბრმად დღეს ჩვენ მივიღოთ. დღეს ჩვენ სხვა ცხოვრებას განვიცდით“ (ოქმები, ტ. I, გვ.323). ამ განცხადებას რაჟდენ არსენიძის პროტესტი მოჰყვა. მისი თქმით, აუცილებელი იყო ისტორიის გაკვეთილების გათვალისწინება. ამის არ გაკეთება იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ „პოლიტიკური მომზადება და სიმწიფე გვაკლია“ (ოქმები, ტ. I, გვ.323), „100 წლის გამოცდილების“ გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოდ მიიჩნია მათთვის, „რომელთაც უნდათ ახალი რამ შეჰქმნან“ (ოქმები, ტ. I, გვ.323).

საფრანგეთის რევოლუციის მაგალითის ხშირი მოშველიება ოპოზიციის უკმაყოფილებას იწვევდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 ივლისის სხდომაზე ჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ „საფრანგეთის რევოლუციის დროს სასტიკად სჯიდნენ ხალხის მოწინააღმდეგეებს“, ილია ლორთქიფანიძე შეეკამათა: „კონვენტი ორასი წლის წინეთ იყო და აბა აქ რა მოსატანია!“. ჯაფარიძემ თავის გამოსვლა გააგრძელა და საფრანგეთის რევოლუციის პერიოდი ნიკოლოზ II-ის მმართველობას შეადარა. მისი თქმით, „საფრანგეთის რევოლიუციის დროს ხალხი უფრო მკაცრად იცავდა თავს, ვინემ ნიკოლოზის მთავრობა თავის რეჟიმს“ (ოქმები, ტ. VII, გვ.149).

1.8. დამფუძნებელი კრების სრულხელისუფლებიანობა

რადგანაც დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატები და, ზოგადად, სოციალისტები დომინირებენ, მნიშვნელოვანია მათი თვალსაზრისის გათვალისწინება დამფუძნებელი კრების უფლებამოსილების შესახებ. სოციალისტები, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ დამფუძნებელი კრება „ჩვეულებრივი პარლამენტი“ არ არის და თავისი უფლებამოსილებით გაცილებით აღემატება მას.

რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) თქმით, დამფუძნებელი კრება ჩვეულებრივ პარლამენტთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი, „მხოლოდ დამფუძნებელი კრება შეიძლება ჩაითვალოს მთელი ერის სუვერენობის, მისი სულისკვეთების, მისი აზრების მისწრაფების გამომხატველად, მაშინ როდესაც ყველა პარლამენტი შეზღუდულია ასე თუ ისე თავის მოქმედებაში, სწორედ იმ ფარგლებით, რომლებიც ძირითად კონსტიტუციაში არის განსაზღვრული და შემოფარგლული“ (ოქმები, ტ. I, გვ.312).

რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) შემდეგნაირად ახასიათებდა დამფუძნებელი კრების უფლებამოსილებას: „არც ერთი უფლება არ არის ჩვენში, რომელიც არ გამომდინარეობდეს დამფუძნებელი კრებისაგან, არავითარი უფლება, არც აღმასრულებელი, არც წარმომადგენლობისა, არც მოსამართლეობის, და არც წარმომადგენლობის უფლება სხვა რესპუბლიკების წინაშე არ არსებობს, თუ ამის დასტური, თუ ამის ნებართვა და დაკანონება არ მიუღია დამფუძნებელ კრებისაგან“ (ოქმები, ტ. I, გვ.236).

კირილე ნინიძე (ს. დ.) დამფუძნებელი კრების 1919 წლის 21 მარტის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ ერთმანეთში არ უნდა აერიათ „პარლამენტარული წესწყობილება“ და დამფუძნებელი კრება, რადგანაც მათ შორის იურიდიულად დიდი განსხვავებაა. „პარლამენტი მოქმედობს სამინისტროს შემწეობით, ის ანდობს იმას განსაზღვრულ აღმასრულებელ ძალას და შემდეგ შეკითხვის საშუალებით მოსთხოვს პასუხს მთავრობას და თუ დაინახეს, რომ სამინისტრო ვერ ატარებს ამ ხაზს, რომელიც შეეფერება მდგომარეობას, რომელიც გამომდინარეობს კანონმდებელთა მუშაობიდან, მაშინ მთავრობას უნდობლობას უცხადებს, და ეს უკანასკნელიც უნდა გადადგეს, მაგრამ ის, რაც პარლამენტის შესახებ ითქმის, მისაღები არ არის დამფუძნებელი კრების შესახებ. დამფუძნებელი კრება ეხლა ჰქმნის კონსტიტუციას, ეხლა ამყარებს ახალ ცხოვრებას, და აქედან ცხადია, რომ მას აქვს იურიდიულადაც, უზენაესი უფლება, ის უმაღლესი უფლება, რომელიც მას ხალხმა მიანდო“ (ოქმები, ტ. I, გვ.70).

დამფუძნებელი კრების უფლებამოსილების თაობაზე დებატები შედგა დამფუძნებელი კრების 1919 წლის 21 მარტის სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა ახალციხეში გაგზავნილი საგანგებო კომისიის თავმჯდომარის გიზო ანჯაფარიძის შეკითხვა, ჰქონდა თუ არა კომისიას უფლება დაეპატიმრებინა „გამოვლენილი ბოროტმოქმედი“, გადაეყენებინა თანამდებობის პირი. სოციალ-დემოკრატებისთვის აქ საკამათო არაფერი იყო. ნიკოლოზ ელიავამ (ს. დ.) აღნიშნა, რომ „საჭირო ზომების მიღების“ უფლება კომისიას დამფუძნებელი კრების დადგენილებით

უკვე მინიჭებული ჰქონდა. „კომისიას აქვს სრული უფლება ყოველნაირი ზომები მიიღოს“, გამოავლინოს და დააპატიმროს დამნაშავე, - განაცხადა ნიკოლოზ ელიავამ (ოქმები, ტ. I, გვ.65-66). მისივე აზრით, დამფუძნებელ კრებას ეს გარემოება საგანგებოდ უნდა განემარტა და მთავრობასაც სათანადო განკარგულება გამოეცა, რათა ყველა თანამდებობის პირს ცოდნოდა, რომ „დამფუძნებელი კრების კომისია უმაღლესი უფლებით არის აღჭურვილი“ (ოქმები, ტ. I, გვ.66).

სოციალისტ-რევოლუციონერები იზიარებდნენ სოციალ-დემოკრატების ხედვას დამფუძნებელი კრების განსაკუთრებული უფლებამოსილების თაობაზე. ივანე გობეჩია (ს. რ.) „დამფუძნებელი კრების იურიდიული ბუნების“ დახასიათებისას აღნიშნავდა, რომ „ჩვენი დამფუძნებელი კრება ყველა არსებულ სახელმწიფოებრივ ორგანოებზე და კერძო პირებზე უფრო მაღლა სდგას და ყოველგვარი უფლებით მას შეუძლია ისარგებლოს, რადგანაც ის თვითონ არის ყოველგვარი იურიდიული უფლების წყარო“ (ოქმები, ტ. I, გვ.69). დამფუძნებელი კრების „იურიდიული ბუნებიდან“ გამომდინარე, დამფუძნებელ კრებას შეეძლო აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების შეთავსებაც. ივანე გობეჩიას თქმით, დამფუძნებელ კრებას „სრული უფლება“ ჰქონდა დაეპატიმრებინა „ყოველი მოქალაქე, რომლის დაკავებას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესი“, გაეკეთებინა ეს თავად ან დაევალებინა სხვა პირებისათვის (ოქმები, ტ. I, გვ.69).

ივანე გობეჩიას თქმით, იმდენი განცხადება გაკეთდა დამფუძნებელი კრების განსაკუთრებული იურიდიული ბუნების თაობაზე, რომ თუკი ახალციხეში გაგზავნილ საგანგებო კომისიას არ მიენიჭებოდა „კერძო პირის დაპატიმრების უფლება“, ამით მოხდებოდა საზოგადოების თვალში დამფუძნებელი კრების პრესტიჟის დაცემა. „თუ დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყებისთანავე ჩვენ მისი პრესტიჟის დაცემას ხელი შევუწყვეთ, მაშინ ჩვენ მეტათ ცუდ სამსახურს გავუწევთ მის მომავალს“, - აღნიშნა ივანე გობეჩიამ (ოქმები, ტ. I, გვ.68-69).

ილია ნუცუბიძის (ს. რ.) განცხადებით „დამფუძნებელი კრება... არ ემორჩილება არავითარ ტრადიციას, თვით ქმნის ტრადიციას. დამფუძნებელი კრება, როგორც ასეთი, არის დასაბამი და დასასრული, ის არის უზენაესი წარმომადგენელი ხალხისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.231).

გრიგოლ ვეშაპელი (ე. პ.) დამფუძნებელი კრების 1919 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ „ქართულ დამფუძნებელ კრებას არ გაუყვია ჯერ სავსებით აღმასრულებელი ძალა საკანონმდებლო ძალისაგან“ და ასეთი გამიჯვნა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ „როცა კონსტიტუცია მიიღება“ (ოქმები, ტ. III, გვ.457). მისივე თქმით, თავად ხალხი ჯერ არ მიჯნავდა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას. „ჩვენი ხალხი არ არის გაცნობილი აღმასრულებელ და კანონმდებელ ორგანოს ფუნქციების გაყოფას... ხალხი არ უყურებს დამფუძნებელ კრებას, როგორც მარტო კანონმდებელ ორგანოს“ (ოქმები, ტ. III, გვ.457).

1.9. დამფუძნებელი კრება როგორც კანონმდებელი ძალა

რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) აღნიშნავდა, რომ დემოკრატიულ წყობილებაში „დამფუძნებელი კრება, როგორც სუვერენული გამომხატველი ხალხის სუვერენული ნება-უფლებისა, არის ერთად ერთი კანონმდებელი ძალა“, „სხვა რამე დაწესებულების და ორგანოს მონაწილეობაზე კანონმდებლობაში ლაპარაკიც კი ზედმეტია“ (ოქმები, ტ. I, გვ.227). მისივე თქმით, რადგანაც დამფუძნებელი კრება ერთადერთი კანონმდებელი ძალაა, ყოველივე რაც მოწონებულია დამფუძნებელი კრების მიერ „იღებს სავალდებულო ხასიათს მთელ რესპუბლიკისთვის“ (ოქმები, ტ. I, გვ.227).

დამფუძნებელი კრება მოწვეული იყო საქართველოს კონსტიტუციის შესამუშავებლად და მისაღებად. 1920 წლის 24 ნოემბერს, როდესაც დამფუძნებელი კრება შეუდგა კონსტიტუციის პროექტის განხილვას, მომხსენებელმა პავლე საყვარელიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ „დამფუძნებელი კრება უპირველეს ყოვლისა ამ საკითხისთვის იყო მოწვეული“ (ოქმები, ტ. VII, გვ.539). მისივე თქმით, დამფუძნებელმა კრებამ „ბევრი დიდი საქმე გააკეთა, კიდევ ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი, მაგრამ მისი ძირითადი, მთავარი დანიშნულება არის სწორედ მიღება... კონსტიტუციის, რომ პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ნორმალური და უფლებრივი მიმდინარეობა მიიღოს“ (ოქმები, ტ. VII, გვ.539).

დამფუძნებელმა კრებამ, რიგი მიზეზების გამო, კონსტიტუციის პროექტის შემუშავება და განხილვა ძალზედ გააჭიანურა, შედეგად დამფუძნებელი კრება მართავდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ორი წლის განმავლობაში, მის დაცემამდე. შედეგად, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სოციალისტურ წრეებში არსებულმა ხედვამ დამფუძნებელი კრების განსაკუთრებული უფლებამოსილების შესახებ.

1.10. დამფუძნებელი კრება როგოც აღმასრულებელი ძალა

სოციალ-დემოკრატები ხაზს უსვამდნენ დამფუძნებელი კრების აღმასრულებელ უფლებამოსილებასაც. დამფუძნებელი კრება, რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) თქმით, „აღმასრულებელი ძალაც არის და ხშირად მოხდება, რომ იგი პირდაპირ უშუამავლოდ მიიღებს მონაწილეობას აღმასრულებელ ძალის მუშაობაში“ (ოქმები, ტ. I, გვ.228).

დამფუძნებელი კრების უფლებას, ჩარეულიყო აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში, ფრთხილად უდგებოდნენ ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები. „ჩვენ ხშირად ვბაძავთ ხოლმე დამფუძნებელ კრებას, რომელსაც ჰქონდა ადგილი ევროპაში, სხვა და სხვა დროს. განსაკუთრებით ჩვენს ყურადღებას იპყრობს საფრანგეთის კონვენტი“ (ოქმები, ტ. I, გვ.67), - აღნიშნა გიორგი გვაზავამ (ე. დ.) და შეეცადა განემარტა, რომ ვითარება, რომელშიც შეიკრიბა დამფუძნებელი კრება საქართველოში განსხვავდებოდა იმ ვითარებისგან, რომელშიც მოწვეული იყო სხვა ქვეყნების დამფუძნებელი კრებები. მისი თქმით, კონვენტი იმიტომ „ებღაუჭებოდა ყოველგვარ უფლებებს, როგორც საკანონმდებლოს, აგრედვე მართვა-გამგეობას და სასამართლოს“ (ოქმები, ტ. I, გვ.67), რომ არ ქონდა გამართული ადმინისტრაცია, ბევრი იყო „ნაშთები აბსოლუტიზმისა“, „ფსიხოლოგია... გაჟღენთილი იყო წარსულ რეჟიმით“, მთელი ევროპა მიმართული იყო „საფრანგეთის და რევოლიუციის წინააღმდეგ“.

საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა კი ასეთი არ იყო. „არ არის საკმარისი საფუძველი რომ მივყვეთ იმ გზას, რომელზედაც იდგა საფრანგეთის კონვენტი“. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების დროს უკვე არსებობდა „დემოკრატიის ნდობით აღჭურვილი“ ადმინისტრაცია და დამფუძნებელ კრებას შეეძლო მას დაყრდნობოდა. „ჩვენ ადმინისტრაცია გვყავს, სამინისტროები გვაქვს, ადმინისტრაცია ემორჩილება მინისტრს... მთელი აპარატი სახელმწიფოსი ჩვენ ხელშია. ასეთ მდგომარეობაში შერევა სხვა და სხვა ფუნქციებისა ყოვლად შეუწყნარებელია და არც არის სასარგებლო ჩვენთვის“ (ოქმები, ტ. I, გვ.67). გვაზავას განცხადებით, ახალციხეში გაგზავნილ კომისიას უნდა მიეღო კანონიერი ზომები - მიემართა არსებული სახელმწიფო აპარატისთვის და „მისი შემწეობით და საშუალებით ემოქმედა“ (ოქმები, ტ. I, გვ.68), მით უმეტეს, რომ კონვენტის პერიოდისგან განსხვავებით, არსებობდა ტელეფონი და ტელეგრაფი და, საჭიროების შემთხვევაში, პირდაპირ მინისტრისთვის მიემართათ.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის თვალსაზრისს იზიარებდნენ სოციალისტ-ფედერალისტები. იესე ბარათაშვილი (ს. ფ.) არ უარყოფდა, რომ „დამფუძნებელი კრება არის ბატონ-პატრონი... როგორც მოისურვებს, ისე უნდა იყოს ყოველი კითხვა გადაწყვეტილი“, მაგრამ ახალციხის საგანგებო კომისიისთვის აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში ჩარევის უფლების მიცემა „სრულიათ არ იქნებოდა მიზან-შეწონილი“ (ოქმები, ტ. I, გვ.66).

ახალციხეში იყო გენერალ-გუბერნატორი, გაგზავნილი იყო „განსაკუთრებული აღმასრულებელი უფლებებით“ საგუბერნიო ინსპექტორი, იქ აღმასრულებელი როლი ეკუთვნოდა საქართველოს მთავრობას ე. ი. სამი დაწესებულება ასრულებდა აღმასრულებელ როლს და დამფუძნებელი კრების კომისიისთვის აღმასრულებელი უფლებამოსილების მინიჭება შეიტანდა „ერთგვარ რყევას, ფუნქციების არევ-დარევას“ (ოქმები, ტ. I, გვ.66).

სოციალისტ-ფედერალისტთა აზრით, დამფუძნებელი კრების კომისიას საკითხი უნდა შეესწავლა და თავისი მოსაზრება გაეცნო მთავრობისა და მისი ადგილობრივი წარმომადგენლებისათვის, ასევე „მიზეზების გამორკვევის შემდეგ“ მოხსენება უნდა წარედგინა დამფუძნებელი კრებისათვის (ოქმები, ტ. I, გვ.66).

სოციალ-დემოკრატებმა არ გაიზიარეს ეროვნულ-დემოკრატებისა და ფედერალისტების მოსაზრებები. კირილე ნინიძემ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით კიდევ ერთხელ განმარტა, თუ რა განსხვავებას ხედავდნენ პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებას შორის და განაცხადა, რომ ახალციხის მაზრაში გაგზავნილი დამფუძნებელი კრების კომისია „აღჭურვილი უნდა იყოს უზენაეს უფლებით“ და თუკი ის შეასრულებდა „უბრალო გამომძიებლის როლს“ და დაემორჩილებოდა ადგილობრივ ადმინისტრაციას, ეს კ. ნინიძის თქმით, დამცირება იქნებოდა „დამფუძნებელი კრების უფლებისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.71).

დამფუძნებელ კრებაში გაშლილ კამათს ახალციხის მაზრაში გაგზავნილი საგანგებო კომისიის უფლებამოსილების თაობაზე სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ერთობა“ გამოეხმაურა სარედაქციო სტატიით „დამფუძნებელი კრების აღმასრულებელი მუშაობა“. გაზეთი აღნიშნავდა, რომ მიღებული გადაწყვეტილებით „დამფუძნებელმა კრებამ უკვე გადადგა ნაბიჯი აღმასრულებელ მუშაობაში მონაწილეობისათვის“ („ერთობა“, 21.03.1919). დამფუძნებელი კრების ასეთ უფლებამოსილებას გაზეთი ეჭვქვეშ არ აყენებდა, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა „მეტი გარკვეულობა“ ყოფილიყო შეტანილი „კომისიების კომპეტენციაში“, რათა ადმინისტრაციისა და კომისიების ერთობლივ მუშაობას არევ-დარევა არ შეეტანა მართვა-გამგეობაში. დამფუძნებელი კრების მიერ გაგზავნილი კომისიის საქმე წვრილმანების გამოდევნება არაა და მუდმივმოქმედ ორგანოს არ წარმოადგენს. დამფუძნებელი კრება საგანგებო კომისიას გზავნის იქ, სადაც განსაკუთრებული პირობები და არევ-დარევაა. ასეთი კომისიის ამოცანაა „ადმინისტრაციის საერთო ხაზის გამორკვევა, ბოროტმოქმედებათა აღმოჩენა და ბოროტმოქმედთა შეუბრალებლათ დასჯა, ხალხის გასაჭირის მიზეზების შეტყობა და მათი თავიდან ასაცდენათ ადმინისტრაციის ამუშავება“ („ერთობა“, 21.03.1919). კომისიას „განაჩენის სისრულეში მოყვანის“ უფლებაც უნდა ჰქონდეს და მას შეიარაღებული ძალაც უნდა დაემორჩილოს. გაზეთის განცხადებით, კომისიის ბრძანება „თვით დამფუძნებელი კრების ბრძანებაა“, რომლის აუსრულებლობა ხალხის წინააღმდეგ წასვლას უდრის, ნიშნავს „ერის უზენაეს ორგანოს შეურაცხყოფას და ურჩობას, რაც სასტიკ სასჯელს ვერ ასცილდება“. გაზეთის დასკვნით, მხოლოდ ამ გზით დამფუძნებელი კრება „გაამაგრებს კანონიერების გრძნობას ხალხში“ („ერთობა“, 21.03.1919).

1.11. დამფუძნებელი კრება და სასამართლო ხელისუფლება

დამფუძნებელი კრების სრულხელისუფლებიანობის თაობაზე სოციალისტური პარტიები ერთი აზრის იყვნენ, მაგრამ განსხვავდებოდნენ იმის გააზრებით, თუ როგორ უნდა განეხორციელებინა დამფუძნებელ კრებას თავისი ეს უფლება. ამ საკითხთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატები და ესერები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. სოციალ-დემოკრატების აზრით, ეს არ ნიშნავდა, რომ დამფუძნებელი კრება უშუალოდ ახორციელებდა სასამართლო ძალაუფლებას. „მათი აზრით, - აღნიშნავდა ესერებთან მიმართებაში რაჟდენ არსენიძე, - თუ არ დავჯექით და მოსამართლეობა არ გავწიეთ, ეს თურმე იქნება ამ უფლების შეზღუდვა“ (ოქმები, ტ. I, გვ.236).

ამასთან დაკავშირებით საინტერესო იყო ის დისკუსია, რაც გაიმართა დამფუძნებელ კრებაში - უნდა გადასინჯოს თუ არა დამფუძნებელმა კრებამ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. კერძოდ, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 15 აპრილის სხდომაზე თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ დამფუძნებელ კრებას სთხოვა გადაეწყვიტა პრობლემა, რომლის წინაშეც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი აღმოჩნდა. პრეზიდიუმის სახელზე ამ დროისათვის უკვე შესული იყო ათამდე თხოვნა ორი მთავარი შინაარსის: ნაწილი ეხებოდა წმინდა სამოქალაქო სამართლის საქმეებს, ნაწილი კი სისხლის სამართლის საქმეებს. პრეზიდიუმმა მიმართა დამფუძნებელ კრებას თხოვნით გამოერკვია „ეს საკითხი პრინციპიალურად, თუ რა მიმართულება მიეცეს ამნაირ ხასიათის თხოვნებს“ (ოქმები, ტ. I, გვ.241).

რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) თქმით მოქალაქეთა თხოვნა შეწყალების, სასამართლო განაჩენის შემსუბუქების თაობაზე „სრულიად კანონიერი“ იყო და მხოლოდ გადასაწყვეტი იყო „უნდა გაერიოს ამ საკითხებში დამფუძნებელი კრება თუ არა, ვალდებულია კრება ასეთი საკითხები თითონ განიხილოს, თუ სხვა რამე გზა და მიმართულება უნდა მისცეს მას“ (ოქმები, ტ. I, გვ.242). მისივე თქმით, „ამისთანა საკითხები ერთხელ და სამუდამოდ უნდა იყოს გადაწყვეტილი გადაჭრით“ და წინადადება წამოაყენა, რომ საკითხი გადაეცათ იურიდიული კომისიისთვის და მის დასკვნას დალოდებოდნენ (ოქმები, ტ. I, გვ.242).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 აპრილის სხდომაზე იურიდიულმა კომისიამ უკვე წარმოადგინა თავისი დადგენილება „სასამართლოს განაჩენების გამო შემოსულ არზების განხილვის შესახებ“.

დავით ონიაშვილმა (ს. დ.) კომისიის სახელით აღნიშნა, რომ ყველა ის თხოვნა, რომელიც სასამართლოს დადგენილების შეცვლას შეეხებოდა, დამფუძნებელი კრების მიერ განუხილველი უნდა დარჩენილიყო (ოქმები, ტ. I, გვ.258). სხვა შემთხვევაში დამფუძნებელი კრება იძულებული იქნებოდა გადაქცეულიყო „სასამართლო დაწესებულებათ“. ამით, ერთი მხრივ, შეფერხდებოდა კანონმდებლობითი მუშაობა, მეორე მხრივ კი დაეცემოდა სასამართლოს პრესტიჟი (ოქმები, ტ. I, გვ.258). ეს არ ნიშნავდა, რომ დამფუძნებელი კრება სამუდამოდ უარს ამბობდა ასეთი თხოვნების გარჩევაზე, იურიდიული კომისიის აზრით, დამფუძნებელი კრება როგორც რესპუბლიკის უზენაესი დაწესებულება „როდესაც... დაინახავს, რომ სასამართლოს მიერ ჩადენილი არის შეცდომა, მას შეუძლიან ჩაერიოს ასეთ საქმეებში. ეს ჩარევა უნდა მოხდეს დამფუძნებელ კრების ინიციატივით, მისი სურვილით და მის დადგენილებით“ (ოქმები, ტ. I, გვ.258). ასევე მთავრობისთვის უნდა მიეცათ წინადადება სასწრაფოდ შეედგინა კანონპროექტი, სადაც განსაზღვრული იქნებოდა ასეთი თხოვნების განხილვის წესი (ოქმები, ტ. I, გვ.258).

სოციალისტ-რევოლუციონერების ფრაქცია იურიდიული კომისიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ წავიდა. ლეო შენგელაიამ (ს. რ.) ამაში დამფუძნებელი კრების უფლებამოსილების შეზღუდვა დაინახა. მისი განცხადებით, კიდევ უფრო იზრდებოდა მთავრობის და მისი თავმ-

ჯდომარის უფლებამოსილება და საქმე „თანდათან მიდის სოციალ-დემოკრატიულ მონარქიისკენ“ (ოქმები, ტ. I, გვ.259). ლეო შენგელაიას დასკვნით სოციალ-დემოკრატიამ არ იცოდა თუ როგორ გაენაწილებინა ხელისუფლება, „ე. ი. არ იცის რა უფლება უნდა მიანიჭოს მთავრობას და რა უფლება უნდა დაუტოვოს დამფუძნებელ კრებას“ (ოქმები, ტ. I, გვ.259).

ივანე გობეჩიამ (ს. რ.) ითხოვა, რომ დამფუძნებელ კრებას იმ პირთა თხოვნები მაინც განეხილა, „რომელთაც სიკვდილით დასჯა აქვთ მისჯილი და რომელნიც შეწყალებას თხოულობენ“ (ოქმები, ტ. I, გვ.266).

სოციალ-ფედერალისტებიც წინააღმდეგი წავიდნენ იურიდიული კომისიის დადგენილებისა. იესე ბარათაშვილის (ს. ფ.) აზრით, უნდა შექმნილიყო „იმისთანა ინსტანცია, იმისთანა დაწესებულება, რომელიც აღჭურვილია უფლებებით საქმის გადასინჯვისა, ანუ შეწყალებისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.260). ეს უფლება არ უნდა მინიჭებოდა ერთ პირს, - მთავრობის თავმჯდომარეს და საკითხი უნდა გადაეწყვიტა მთავრობის კოლეგიას (ოქმები, ტ. I, გვ.261). რაც შეეხება შეწყალების უფლებას, იესე ბარათაშვილის განცხადებით, ეს უფლება დამფუძნებელი კრების პრეროგატივაა და „ეს პრეროგატივა კანონში ჩამოყალიბდეს“ (ოქმები, ტ. I, გვ.268).

განსხვავებული იყო გიორგი გვაზავას (ე. დ.) პოზიცია, რომელმაც ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით აღნიშნა, რომ „შეწყალების უფლება“ დამფუძნებელ კრებას უნდა ჰქონოდა. დამფუძნებელ კრებას უნდა განეხილა სისხლის სამართლის თხოვნები და ამისათვის უნდა აერჩიათ „მცირე კომისია, რომელსაც დაევალება განხილვა ყველა ამისთანა თხოვნისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.262). ასეთი კომისიის შექმნის იდეა დავით ონიაშვილმა (ს. დ.) გააკრიტიკა. მისი თქმით, ასეთი წინადადების მიღების შემთხვევაში „მაშინვე დაეცემა ავტორიტეტი სასამართლოსი“ (ოქმები, ტ. I, გვ.270).

კირილე ნინიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ თხოვნების გარჩევის დაწყების შემთხვევაში „დამფუძნებელი კრება გადაიქცევა სასამართლოს უწყებათ, სასამართლო უწყების აპარატათ“, „დამფუძნებელი კრება ამას ვერ შესძლებს“, „ჩვენ ამით დავცემთ პრესტიჟს თვით სასამართლოისას, დამოუკიდებელ სასამართლოს პრინციპს“ (ოქმები, ტ. I, გვ.264-265).

თავი II. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები და მისი შედეგები

2.1. საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია (ოთარ ჯანელიძე)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს მშენებლობას მხოლოდ დემოკრატიულ საფუძველზე მოიაზრებდნენ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს მიაჩნდათ, რომ „ერთადერთ დაწესებულებად, რომელსაც შეეძლება საქართველოს დემოკრატიის ბატონ-პატრონათ გამოაცხადოს თავი“, დამფუძნებელი კრებაა. ამ თვალსაზრისს არსებითად მოწინააღმდეგე არც ჰყოლია. დემოკრატიულ პრინციპებს, მათ შორის სახელმწიფოს მოწყობა-განვითარების სფეროში, ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა იმჟამინდელი ქართული პოლიტიკური სპექტრის აბსოლუტური უმრავლესობა. არავის გაუხდია სადავოდ, რომ სახელმწიფოს დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ერთი უმთავრესი პირობა მისი ხელისუფლების არჩევითობაა. ამიტომ დღის წესრიგში იმთავითვე დადგა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირება დემოკრატიული არჩევნების გზით, ანუ, საერთო-სახალხო ნებით უნდა შექმნილიყო ისეთი წარმომადგენლობითი საკრებულო, რომელსაც შეეძლებოდა სრულად გამოეხატა ქვეყნის არა მხოლოდ სატიტულო ერის - ქართველობის, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება და სასიცოცხლო ინტერესები.

ცნობილია, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ახალი წევრებით, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებითაც შეივსო და პარლამენტად გარდაიქმნა, ქვეყნის ყველა გავლენიან პოლიტიკურ ძალას აერთიანებდა, - ე. ი. ასახავდა საქართველოს ძირითად პოლიტიკურ სპექტრს და შემადგენლობითაც პოლიეთნიკური იყო. ამასთან, ეროვნულ საბჭოს (პარლამენტს) მმართველობის სადავეებშიც დიდი მოცილე არ ჰყოლია, თუმცა საქართველოში მუშათა და გლეხთა დეპუტატების რევოლუციური საბჭოების არსებობა, რომლებიც ფაქტობრივად ფლობდნენ ძალაუფლებას და ხელისუფლების ერთგვარ ალტერნატივას წარმოადგენდნენ, ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ პოლიტიკური რეჟიმი ორპოლუსიანი იყო და ქვეყანაში „პოლიტიკურ ბიპოლარიზმი“ ყალიბდებოდა (ჯოჯუა დ. 2010-2013, გვ.453, 456). ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებიდან მალევე, როგორც ნოე ჟორდანია წერს: „რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა გამოსთქვეს სურვილი სახელმწიფოებრივი ფუნქციები გადასცენ მთავრობას“ („ერთობა“, 26.06.1918). საგულისხმოა ისიც, რომ მუშათა და გლეხთა საბჭოებს მთლიანად ჩამოერთვათ ადგილობრივი მმართველობის ფუნქცია, რომელიც სამაზრო ერობებისა და საქალაქო სათათბიროების ხელში გადავიდა.

ამგვარი რეალობის მიუხედავად, დემოკრატიული რესპუბლიკის „დამფუძნებელი მამები“ გრძნობდნენ, რომ საქართველოს პარლამენტს, დემოკრატიული თვალსაზრისით, ლეგიტიმაცია აკლდა, რადგან იგი ეროვნულ ყრილობაზე იყო დაკომპლექტებული (დამატებითი წევრები ეროვნულ საბჭოში კოოპტაციის წესით შეიყვანეს) და არ ყოფილა ჩამოყალიბებული საერთო-სახალხო არჩევნების საფუძველზე. ახალ, სრული ლეგიტიმაციის მქონე არჩევით წარმომადგენლობით ინსტიტუციად მიჩნეულ იქნა დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრება წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმაა. ამ სახელწოდების სახელისუფლებო ორგანო პირველად საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის პერიოდში წარმოიშვა გენერალური შტატების ჯერ ეროვნულ ასამბლეად, ხოლო შემდეგ დამფუძნებელ კრებად გარდაქმნის შედეგად. კიდევ ერთი დამფუძნებელი კრება იმავე საფრანგეთში 1848-1849 წლების რევოლუციას უკავშირდება, 1871 წელს, საფრანგეთ-პრუსიის ომის მიმდინარეობისას, კი შეიქმნა საფრანგეთის ეროვნული კრება. ყველა ამ ორგანოს დამფუძნებელი ხასიათი ჰქონდა და მათი მთავარი ამოცანა კონსტიტუციის შემუშავება იყო.

რუსეთის იმპერიაში დამფუძნებელი კრების იდეამ აქტუალობა 1905-1907 წლების პირველი სახალხო რევოლუციის წლებში შეიძინა. კრების იდეა კიდევ უფრო პოპულარული გახდა და პრაქტიკულადაც მომწიფდა განსახორციელებლად თვითმპყრობელობის დამხობის შემდგომ. 1917 წლის შემოდგომაზე ჩატარდა არჩევნებიც, მაგრამ ძალაუფლებას დაუფლებულმა ბოლშევიკებმა რუსეთში არ დაუშვეს დამფუძნებელი კრების მუშაობა და იგი შეკრებისთანავე გარეკეს.

რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს, აქ ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში გამართულ ეროვნულ ყრილობაზე ოფიციალურად გამჟღავნდა, რომ განზრახული იყო, მოეწვიათ საქართველოს დამფუძნებელი კრება. თავის რეზოლუციაში პოლიტიკური მომენტის შესახებ ყრილობამ მიუთითა: „საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის ზრუნვა ევალება საქართველოს ეროვნულ საბჭოს“ („საქართველო“, 24.11.1917). კრების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა ასევე 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის მეშვიდე მუხლში აღნიშნულია: „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო“.

დამფუძნებელ კრებას ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფოს იერ-სახის განსაზღვრა, სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების სამართლებრივ საფუძველზე დამკვიდრება, ქვეყნის უმთავრესი კანონის - კონსტიტუციის შემუშავება და დამტკიცება ევალებოდა. კრება განახლებული საქართველოს პოლიტიკური მესაძირკვლე უნდა გამხდარიყო. დამფუძნებელი კრების მეშვეობით მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლეოდა, გამოეთქვა აზრი, გამართლებული იყო თუ არა პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილება, დაემტკიცებინა ან საერთოდ უარეყო საქართველოს დამოუკიდებლობა. „ჩვენ მივდივართ ხალხთან და გვინდა მან სთქვას, სწორი იყო ჩვენი ნაბიჯი თუ შემცდარი, ...მან დააფუძნოს ის, რაც ჩვენ გამოვაცხადეთ, ესე იგი მისცეს საფუძველი და სიმტკიცე, დასცეს დასტური იმ აქტს დამოუკიდებლობისა, რომელიც 26 მაისს ...იქნა გამოქვეყნებული,“ - წერდა გაზეთი „ერთობა“ („ერთობა“, 22.01.1919).

სამზადისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისთანავე დაიწყო. შემუშავდა დამფუძნებელი კრების დებულება, რომელსაც თითქმის ნახევარი წელი დასჭირდა. დებულება 119 მუხლად დაყოფილი 10 თავისაგან შედგებოდა. განხილვაში ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციური პარტიების საპარლამენტო ფრაქციები.

ყოველ მუხლზე გულდასმით და საფუძვლიანად მსჯელობდნენ. ცხარე პაექრობა გაიმართა კრების წევრთა რაოდენობის განსაზღვრის, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების, ამომრჩეველთა ასაკის დადგენის, ჯარისკაცების, პოლიციისა თუ ადმინისტრაციის მოხელეთათვის ხმის უფლების მიცემა-არმიცემის შესახებ და სხვ.

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები პროპორციული სისტემით გაიმართებოდა. დამფუძნებელ კრებაში აირჩევდნენ 130 დეპუტატს, ხოლო საარჩევნო ხმის უფლებით ისარგებლებდნენ რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 20 წელი.

1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების დებულება. დებულება ნამდვილად პროგრესული დოკუმენტი იყო, რომლის განხილვა და მიღებაც ქართული პოლიტიკური სპექტრის პოლიტიკური კულტურის მაღალ დონეს ცხადყოფდა. მკვლევარ სტივენ ჯონსის სიტყვით, 1918 წლის ნოემბრის საარჩევნო კანონი ყველაზე დემოკრატიული იყო მსოფლიოში (ჯონსი ს. 2019, გვ.45).

დაამტკიცდა დამფუძნებელი კრების ხარჯთაღრიცხვა (არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 60) მთავრობას კრების არჩევნების ჩასატარებლად 4 მილიონი მანეთის გამოყოფა დაევალა. („საქართველოს რესპუბლიკა,“ 15.01.1919 წ.).

დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვლისათვის დაინიშნა. შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია სოციალ-დემოკრატ ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი თედო ღლონტი, ხაზინადარი - ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა. კომისიაში სულ 21 კაცი შედიოდა. აღსანიშნავია, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების პროექტით გათვალისწინებული იყო 15 წევრიანი ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა. ესერთა ფრაქციის წინადადებით, წევრთა რიცხვი 21-მდე გაზარდეს (საქართველოს პარლამენტი, 1918 წ. 2 ნოემბრის სხდომის ანგარიში, გვ. 12).

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დანარჩენებზე მეტი - 7 წევრი ჰყავდა წარგზავნილი. სხვა საპარლამენტო პარტიები - სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები - ორ-ორი კაცით, ხოლო არჩევნებში მონაწილე უფრო მცირერიცხოვანი პოლიტიკური სუბიექტები კომისიაში თითო-თითო წევრით იყვნენ წარმოდგენილნი.

სამაზრო საარჩევნო კომისიების შედგენა ერობათა გამგეობებს ევალებოდა. იმ ადგილებში, სადაც ერობა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული, კომისიის ფორმირება სამაზრო ქალაქის თვითმმართველობის გამგეობას უნდა უზრუნველეყო, მაზრაში მოქმედი პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების შესაბამისად (საქართველოს პარლამენტი, 1918 წ. 2 ნოემბრის სხდომის ანგარიში, გვ. 12-13) თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიაში 9 წევრი შედიოდა, ქუთაისისა და ფოთის 7-7, ხოლო დანარჩენი ქალაქებისა 5-5 წევრისაგან შედგებოდა (ცინაძე ზ., 2013/2014, გვ.223).

სოფლის საზოგადოების კომისიებს, რომლებიც 7-7 წევრს აერთიანებდნენ, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთაგან სათანადო მაზრის საარჩევნო კომისია აკომპლექტებდა. საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებად, მაგალითად, თბილისში დანიშნულნი იყვნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც. („საქართველოს რესპუბლიკა“, 31.01.1919)

საარჩევნო დებულების თანახმად, მთელი საქართველო ერთ საარჩევნო ოლქად გამოცხადდა, ხოლო არჩევნებზე ხმის მისაცემად რესპუბლიკის ტერიტორია საარჩევნო უბნებად დაიყო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გარდა, ჩამოყალიბდა საქალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოებებისა და წვრილი სასოფლო (საუბნო) საარჩევნო კომისიები. განისაზღვრა ელექტორატის რიცხვი - 876 910 ამომრჩეველი, რომელიც მიახლოებითი გამოთვლით, საქართველოს მთელი მოსახლეობის 45 %-ს შეადგენდა (ხსენებულ რაოდენობაში გათვალისწინებული არ ყოფილა ზოგიერთი იმ კუთხის მონაცემი, რომლებშიც კენჭისყრა ამ თუ იმ გარემოების გამო ვერ იმართებოდა). დაზუსტდა ამომრჩეველთა სიები. მოეწყო საარჩევნო უბნები: თბილისში – 51, ქუთაისში 12 და ა. შ. N 1 საარჩევნო უბანი (თავმჯდომარე ესტატე ავალიშვილი) განთავსებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში.

ხმის მიცემა საარჩევნო ბარათებით წარმოებდა, რომლებიც გარეგნულად ერთნაირი უნდა ყოფილიყო და იდებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ბეჭედდასმულ გაუმჭვირვალე კონვერტში. თითოეულ საარჩევნო სუბიექტს განსხვავებული ფერის ბიულეტენები ჰქონდა (საკანდიდატო სიის შემცველი ბიულეტენები ეროვნული უმცირესობების ენებზეც იყო დაბეჭდილი), რასაც არჩევნებისას მათი დათვლა უნდა გაეადვილებინა. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო ბიულეტენი ყავისფერი იყო. („ჩვენი ქვეყანა“, 9.02.1919)

ხელისუფლებამ გარკვეული ღონისძიებები განახორციელა, რათა არჩევნები, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, კონკურენტულ გარემოში ჩატარებულიყო. საარჩევნო პროცესის თანასწორ, სამართლიან, გამჭვირვალე და თავისუფალ ვითარებაში წარმართვის უზრუნველსაყოფად შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეციალური ცირკულარით აკრძალა არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება („საქართველო“, 20.02.1919). პოლიციას მითითება მიეცა, არ გასცდენოდა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და დაეცვა პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი. საარჩევნო ადმინისტრაციას კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია და გამოვლენილ დარღვევებზე ოპერატიული რეაგირება დაევალა და სხვ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაუშვა 15 პარტია, კავშირი და ჯგუფი. არც ერთი მათგანი სხვასთან საარჩევნო ბლოკად არ გაერთიანებულა. თითოეულმა კანდიდატთა საკუთარი სია წარადგინა და ძალა დამოუკიდებლად მოსინჯა.

საარჩევნო პოლიტიკური სუბიექტები რეგისტრაციაში შემდეგი თანმიმდევრობით გატარდნენ: N 1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია; N 2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; N 3. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; N 4. დაშნაკცუთიუნი, N 5. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია; N 6. მუსულმანთა ეროვნული საბჭო; N 7. საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია; N 8. საქართველოს ეროვნული პარტია; N 9. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია; N 10. შოთა რუსთაველის ჯგუფი; N 11. დამოუკიდებელი (უპარტიო) კავშირი; N 12. ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი; N 13. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ); N 14. ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა და N 15. საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი (არქივი, ფონდი 1834, ანაწ.1, საქ.18, ფურც. 68-90).

ეს ჩამონათვალი საყურადღებოა ეთნიკური თვალსაზრისითაც. აქ ქართული პოლიტიკური პარტიების გარდა წარმოდგენილი არიან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების - აზერბაიჯანელ მაჰმადიანთა ორი (მუსულმანთა ეროვნული საბჭო, ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი), სომეხთა (დაშნაკცუთიუნი), ბერძენთა (საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი) და ნაწილობრივ რუსთა (რსდმპ) ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციებიც. დასახელებულთაგან ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი რეგიონული ტიპის ორგანიზაცია იყო. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე კანონმდებლობით, რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით პოლიტიკური პარტიების არათუ არჩევნებში მონაწილეობა, შექმნაც კი დაუშვებელია (იხ. საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ).

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტთა ასეთი მრავალფეროვნება მკაფიოდ ცხადყოფს, რომ ახლად შექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როგორც ეროვნულ საკითხს, ისე არჩევნებს ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპებით უდგებოდნენ (ამ გარემოებას საგანგებოდ უსვამს ხაზს თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი პიტერ

სკინერიც- იხ. Skinner, 2014, გვ.461), სატიტულო ერის გვერდით ფართო უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი „ნატეხი ერებიც“ (ასე მოიხსენიებდნენ ეთნიკურ უმცირესობებს 1918-1921 წლების საქართველოში). ნოე ჟორდანიას სიტყვებით: საქართველოში ყველა ერის ინტერესებს თანასწორად ვიცავდით. „ჩვენთვის არ არსებობდა ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებად ვრაცხდით“ (ჟორდანია ნ., 1990, გვ.104).

მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონმდებლობა, რომელიც სამართლებრივად განსაზღვრავდა პარტიათა ქონების წყაროებს და მათ შორის კანონით დადგენილ შემთხვევებში – სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების ოდენობას. პარტიებს დიდი ფინანსური შესაძლებლობანი არ ჰქონიათ. პოლიტიკურ პარტიების საქმიანობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების წესი შემოღებული არ ყოფილა. ზოგიერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში არც საწევრო შენატანების პრაქტიკა არსებულა, მოკრძალებული იყო შემოწირულობანი, პარტიის სიმბოლიკის გავრცელებით, საჯარო ლექციების, საგამომცემლო თუ სხვა საქმიანობიდან შემოსული თანხები.

კანდიდატთა სიაში ყველაზე მეტი - 130 წევრი ჰყავდა დასახელებული სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ყველაზე ცოტა, - მხოლოდ ერთი კაცით იყო წარმოდგენილი შოთა რუსთაველის ჯგუფი პარტია. დამფუძნებელი კრების წევრობის მსურველთა საერთო რაოდენობა 550-ს აღემატებოდა. რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის საკანდიდატო სიაში ქალებიც იყვნენ შეყვანილი. მათი რიცხვი 26-ს შეადგენდა (არჩევნები 1919, გვ.31), კერძოდ:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია: 1. ტერ-პარსეგოვა-მახვილაძისა ელეონორა მიხეილის ასული; 2. ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული; 3. შარაშიძე ქრისტინე გიგოს ასული; 4. ბოლქვაძე ელისაბედ (ლიზა) იოსების ასული; 5. სოლოღაშვილი ანნა ილიას ასული; 6. ბერიანიძე მარიამ ლეონტის ასული.

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია: 1. ჩხეიძე მარიამ ილიას ასული; 2. მაჩაბელი-ანდრონიკაშვილისა ნინო გრიგოლის ასული; 3. სანიკიძე-ვალაბუევისა ოლღა იესეს ასული; 4. ზარიძე სოფიო გაბრიელის ასული; 5. ნადირაძე ნინო თეოფანეს ასული.

სომეხთა სარევოლუციო პარტია დაშნაკცუთიუნი: 1. თადეოსიანი დარია გრიგორის ასული; 2. ამირბეგიანი სირანუშ ბეგლარის ასული.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია: 1. ნაკაშიძე ნინო იოსების ასული; 2. გველესიანი მელანია ონისიმეს ასული; 3. სანიკიძისა ალექსანდრა ვასილის ასული; 4. ფალავანდიშვილი თამარ ალექსანდრეს ასული; 5. იმნაძისა ელენე ვასილის ასული; 6. მაჭავარიანი თამარ პეტრეს ასული; 7. ბახტაძე აგრაფინა ლაზარეს ასული; 8. ჩხენკელისა ლიუბა კონსტანტინეს ასული; 9. იურკევიჩი ანნა ვიქტორის ასული.

საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია: 1. შალამბერიძისა ნადეჟდა ევგენის ასული.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია: 1. დგებუაძე ნინო ფარნაოზის ასული; 2. ქავთარაძე შუშანიკ ფარნაოზის ასული; 3. ჩიკვაიძე ნადეჟდა მიხეილის ასული.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები იმდენად დემოკრატიული იყო, რომ მასში მონაწილეობის უფლება არ შეუზღუდავთ ბოლშევიკებისთვისაც, რომლებიც არ ცნობდნენ ქართულ სუვერენულ სახელმწიფოს და გამალებით მის დამხობას ესწრაფოდნენ. ბოლშევიკებს ოპოზიცია არ ეთქმოდათ. ისინი ქვეყნის დანარჩენი პოლიტიკური ძალებისაგან განსხვავებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აშკარა, დაუფარავი მტრობითა და ძირგამომთხრელი საქმიანობით გამოირჩეოდნენ.

საქართველოს ბოლშევიკებს დამფუძნებელი კრების არჩევის მომენტისათვის თავიანთი დამოუკიდებელი პარტია არ გააჩნდათ, მაგრამ ჰქონდათ რამდენიმე საოლქო და საქალაქო ორ-

განიზაცია, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა). ორგანიზაციულ მხარეს ბოლშევიკებისათვის არ შეუშლია ხელი, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. მათ ამაზე უარი პრინციპული მოსაზრებით განაცხადეს, გადაჭრით დაუპირისპირდნენ საქართველოს დამფუძნებელ კრებას და, კრემლის მითითებათა შესაბამისად, ბოიკოტის ტაქტიკას მიმართეს.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, რომელშიც წამყვან როლს ქართველი ბოლშევიკები ასრულებდნენ, 1919 წლის თებერვალში, არჩევნების ჩასაშლელად ფართო მასების მიზიდვის მიზნით, ასეთი მოწოდება გაავრცელა: „მენშევიკები და ყველა რჯულის ნაციონალისტები აპირებენ კვლავ მოატყუონ ხალხი, იწვევენ რა დამფუძნებელ კრებას საყოველთაო არჩევნების გზით. ...ჩვენი პარტია, მუშების, ღარიბი გლეხობის, ჯარისკაცებისა და ყველა პატიოსან მშრომელთა პარტია გამოდის წინააღმდეგ ასეთი კრებისა და იმგვარი არჩევნებისა, რომლის შემწეობით მენშევიკებს, ყველა კაციჭამია ნაციონალისტებსა და გაქსუებულთა პარტიას განზრახული აქვთ კვლავ მოატყუონ ხალხი. ისინი აპირებენ სამუდამოდ მოსწყვიტონ ჩვენი ქვეყანა რევოლუციურ რუსეთის მუშებს, გლეხებსა და წითელარმიელებს, სურთ გადააქციონ იგი გაზულუქებულ ქართველთა მამულად. ამიტომაც ჩვენი პარტია არ იღებს არავითარ მონაწილეობას ამგვარ არჩევნებში. უცხადებს ბოიკოტს ნაციონალურ დამფუძნებელ კრებას და მოუწოდებს ყველას არ მიიღონ მონაწილეობა მენშევიკებისა და სხვა ნაციონალისტების მატყუარა საქმეებში. ...გაუმარჯოს ბოიკოტს!“ (Борьба, 1958, с. 379-380).

ბოლშევიკების ბოიკოტის ტაქტიკამ შედეგი ვერ გამოიღო. სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები აქტიურად შეუდგნენ საარჩევნო სამზადისს. იანვრის მეორე ნახევარში თავთავიანთ პარტიულ პერიოდიკაში სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოციალისტ-ფედერალისტთა და, ასევე, ეროვნულმა პარტიამ გამოაქვეყნეს წინასაარჩევნო პლატფორმები.

ამათგან, ეროვნული პარტიის გარდა, ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი იყო. მართალია, აქამდე საქართველოში საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარებულა, მაგრამ ბევრ მაზრაში გაიმართა საერობო, ხოლო ქალაქებში მუნიციპალური არჩევნები, რომლებშიც თავიანთი ხმოსნები ძირითადად სწორედ დასახელებულმა და ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანეს.

როგორც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ისე არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა ძალებმა გაშალეს სააგიტაციო მუშაობა, ეწყობოდა საჯარო ლექციები, შეკრებები, გაზეთების მეშვეობით მოსახლეობას განემარტებოდა დამფუძნებელი კრების რაობა, მისი მნიშვნელობა თუ საჭიროება. რამდენჯერმე გამოქვეყნდა დეტალური ინფორმაცია, როგორ უნდა წარმართულიყო საარჩევნო პროცესი და უშუალოდ კენჭისყრა არჩევნების დღეს.

„დამფუძნებელი კრება - ეს რევოლუციის გვირგვინია; მის შენაძენთა განმტკიცებაა, მის წყალობათა და მადლთა ქვეყნიურ რეალობად ქცევაა, ხალხის ბატონობის დღესასწაულია;“ „დამფუძნებელი კრება რესპუბლიკის დედაბოძია, მისი დანგრევა თვით ამ რესპუბლიკის ძირის გამოთხრაა,“ „დამფუძნებელი კრება დიდი, საისტორიო, საკაცობრიო მოვლენაა, - იგი ხალხის გამარჯვების მომასწავებელია,“ - წერდა გაზეთი „ერთობა“ (15.01.1919, 12.02.1919)და მკითხველს არჩევნების აუცილებლობაში არწმუნებდა.

„ჩვენ თაობას ბედნიერი წილი ჰხვდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობით. ჩვენ მონაწილენი ვართ ისტორიის იშვიათი მოვლენისა! დიდ მოვალეობას და პასუხისგებას აკისრებს ბედი ქართველ ხალხს! ...დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოებრიობას მტკიცე საფუძველი ეყრება და მასზე კედლების აღმართვა ქართველი ერის არქიტექტონიკურ ნიჭზეა დამოკიდებული;“ „მოქალაქენო! არჩევნების დღეს უნდა გადაწყდეს საქართველოს ბე-

დი! თქვენ თვითონ უნდა გამოჭედოთ იგი! საქართველოს ერთი დიდი მტერთაგანი იქნება არ-ჩევნებისადმი გულცივობა! ...არჩევნების დღეებში არც ერთი არ დარჩეთ შინ! ყველამ მიაშურ-ეთ საარჩევნო ყუთებს! არც ერთმა არ დაჰკარგოთ ხმა!“ - მოუწოდებდა ქართული პრესა.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში ფავორიტ ძალად სოციალ-დემოკრატიული პარტია მიიჩნეოდა. თავის მხრივ, სოციალ-დემოკრატებს მთავარ პოლიტიკურ კონკურენტად ეროვ-ნულ-დემოკრატიული პარტია ესახებოდათ და ამიტომაც წინასაარჩევნო ბრძოლა ძირითადად მათთან დაპირისპირების ნიშნით წარიმართა.

ეროვნულ-დემოკრატები, რა თქმა უნდა, გრძნობდნენ, რომ დამფუძნებელი კრების არ-ჩევნებში მათი ბრძოლა სოციალისტურ ძალებთან თანაბარი ვერ იქნებოდა. მცირე ფინანსურ რესურსზე რომ არა ითქვას, სოციალისტური მიმართულების პარტიებისაგან განსხვავებით, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას საარჩევნო ბატალიებში მონაწილეობის გამოცდილებაც ნაკ-ლები ჰქონდა, რაც სულაც არ იყო უმნიშვნელო ფაქტორი. ამის თაობაზე გაზეთი „ჩვენი ქვეყა-ნა“ შემდეგს სწერდა: „ჩვენი პარტია ჯერ ახალი პარტიაა, მას არა აქვს ყველგან მტკიცე ორგანი-ზაციები და რაც უმთავრესია - არჩევნების საწარმოებლად ფული. თუ სოციალისტური პარტი-ები ავტომობილებითა და ეტლებით კალიებივით მოედვნენ დაბა-სოფლებს, ჩვენ თითო პრო-პაგანდისტიც ვერ გაგვიგზავნია, რომ გლეხობისათვის ჩვენი პროგრამა განემარტათ“. („ჩვენი ქვეყანა“, 18.02.1919 წ).

წინასაარჩევნო დაპირისპირების სიმწვავეს კარგად ასახავს პარტიათა სააგიტაციო მასა-ლის შინაარსი. სოციალ-დემოკრატებმა პოლიტიკური მოწინააღმდეგის კომპრომეტაციის მიზ-ნით დაბეჭდეს პლაკატი, რომელზეც შარჟით გამოხატული იყო ქართველი თავადი და თავი-ანთ მომხრეებს მოუწოდებდნენ, გაეშავებინათ „გლეხობის ექსპლოატატორი, მემამულეთა ინ-ტერესების დამცველი“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატები. საპასუხოდ, ეროვ-ნულ-დემოკრატებმაც გაავრცელეს პლაკატი ასეთი წარწერით: „მაწანწალა ვიყავი, კომისარი გავხდი“ (კომისრებად, როგორც წესი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ). პლაკატების „ომი“ „ეს იყო პატარა მასშტაბი ამერიკული სისტემის გადმონერგვისა ჩვენშიო“, - შენიშნავდა ერთი იმდროინდელი პუბლიცისტი.

არჩევნების პროცესში პოლიტიკური პარტიების მძაფრი პაექრობის ნიმუშად გამოდგება მათი წინასაარჩევნო ლოზუნგებიც, რომლებიც ფართოდ შემოინახა პერიოდულმა პრესამ. სო-ციალ-დემოკრატები მოუწოდებდნენ: „მოქალაქენო! ქართველი ნაციონალ-დემოკრატები რეაქ-ციას ემსახურებიან და მემამულეთა ინტერესებს იცავენ. ხმა მიეცით მემამულეთა პარტიის წი-ნააღმდეგ!“ ეროვნულ-დემოკრატთა ლოზუნგი პასუხობდა: „მოქალაქენო! სოციალ-დემოკრა-ტები მოითხოვენ ხალხის პროლეტარიზაციას (გაღატაკებას); ეროვნულ-დემოკრატები იცავენ ხალხში დოვლათის და სიმდიდრის დაგროვებას!“ ან კიდევ, სოციალ-დემოკრატები მიუთით-ებდნენ: „ნაციონალისტები მუდამ ომის გაჩაღებას ელტვიან. მათ ხალხის სისხლი არ ენანებათ. სოციალ-დემოკრატია მშვიდობიანობის მოტრფიალეა. სოციალ-დემოკრატიამ შესძლო სომ-ხეთთან ომის დროზე დაბოლოება!“ ეროვნულ-დემოკრატები პასუხობდნენ: „ეროვნულ-დე-მოკრატია სასტიკად ებრძვის სომეხი პლუტოკრატიის ბატონობას საქართველოში და ქალაქის თვითმმართველობაში. მიეცით ხმა მეორე ნომრის სიას“ და სხვ.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წინასაარჩევნო ლოზუნგიც კატეგორიულად მო-უწოდებდა: „მოქალაქენო! საქართველოს დამოუკიდებლობას და ქართველი მშრომელი ხალ-ხის ინტერესებს ღირსეულად დაიცავენ მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტთა კანდიდატები. ხმა მიეცით N 5-ს. არც ერთი ხმა სხვა პარტიებს!“ („სახალხო საქმე“, 10.02.1919 წ.)

სხვებს არც საქართველოს ესერები ჩამორჩებოდნენ. აი, მათი მოწოდების ნიმუშებიც: „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია არის ერთადერთი პარტია ჩვენში, რომელიც მშრო-

მელ ხალხს ყოველთვის სიმართლეს ეუბნებოდა. მიეცით ხმა სიას N 3!; „ყველამ, ვინც თავის შრომითა სცხოვრობს, ხმა უნდა მისცეს N 3-ს!“ („შრომა“, 24.01.1919).

ესერთა პარტიის ერთ-ერთი მიმართვა თავისი ელექტორატისადმი შემდეგი შინაარსის იყო: „თქვენ ხელში, ამხანაგო გლეხებო, დიდი ბასრი იარაღია. ეს იარაღია კენჭები. თუ გაუთ-ეთრეთ კენჭი თქვენს პარტიას, გლეხობის პარტიას, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სიას N 3, თქვენს ბედს ...ძაღლი არ დაჰყეფს, რადგან სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მუდამ თქვენზე იზრუნებს და თქვენს კეთილდღეობას განამტკიცებს. აბა, გლეხებო, 14 თებერ-ვალს სწყდება თქვენი ბედი და არ დაიღუპოთ, თქვენი ხელით არ გამოიჭრათ კისერი - ხმა არ მისცეთ სხვა პარტიას, ის თქვენს ინტერესებს არ დაიცავს!“ („შრომა“, 8.02. 1919).

მაშინდელ გაზეთებში საარჩევნო ექსპრომტებიცაა შემორჩენილი. ისინი რაიმე მხატვრუ-ლი ღირსებით არ გამოირჩევიან, მაგრამ მკაფიოდ გვიჩვენებენ პოლიტიკური ძალების ურთი-ერთმიმართებას საარჩევნო პროცესში. მაგალითად: სოციალ-დემოკრატიული პარტიის ექს-პრომტი: „აი, აქვე ამ ადგილას, გამათავოს ზეცით მეხმა, თუ ეროვნულ-დემოკრატებს მივაშავო კვირას მე ხმა!“ („სახალხო საქმე“, 2.02.1919) სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის: „მართა-ლია, მეგობარო, შენც მოგბეზრდა, შენც დაღალდი, მაგრამ მაინც ერთხელ კიდევ დაიჭირე ეს ქაღალდი, ინახულე შენს უბანში საარჩევნო დიდი ყუთი და ჩაუშვი ჩვენი სია: მხოლოდ ხუთი, მხოლოდ ხუთი!“ („სახალხო საქმე“, 15.02.1919). ესერთა საარჩევნო ექსპრომტში ვკითხულობთ: „სოფლად მინისტრები სთესვენ უმეცრებას, გააესდეკებენ დამფუძნებელ კრებას“; „სადაც იქნე-ბა საარჩევნო ყუთი, შიგ არ ჩააგდოთ ნომერი ხუთი“ („შრომა“, 12.02.1919; 13.02.1919).

როგორც ინფორმაციის გავრცელების წყარო, საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი კომპონენტი იყო პოლიტიკური რეკლამაც.

პოლიტიკური რეკლამის მთავარი დანიშნულებაა, რომ მან ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექ-ტის პოლიტიკური პლატფორმის არსი მისაწვდომი ემოციური, ლაკონური და ადვილად დასა-მახსოვრებელი ფორმით გადმოსცეს; „განაწყოს ამომრჩეველი მის მხარდასაჭერად, შექმნას ფსიქოლოგიური განწყობა, რაც განაპირობებს გრძნობების სიმპათიების მიმართულებას და შემდეგ ადამიანის მოქმედებასაც“ (პოლიტიკური რეკლამა და მისი გავლენა არჩევნებსა და მედიაზე ანალიზი და რეკომენდაციები. http://www.cec.gov.ge/uploads/other/17/17172.pdf).

დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ პოლიტიკური რეკლამის ფორმები მრავალფერო-ვანი არ ყოფილა, მაგრამ ყველა არსებულს (პლაკატები, ტრანსფარანტები, სააგიტაციო ფურ-ცლები, საგაზეთო განცხადებები) პოლიტიკური პარტიები წარმატებით იყენებდნენ. მაგალი-თად, არჩევნების დღეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო რეკლამა განთავსებული იყო ტრამვაის ვაგონებზე, თბილისის ცენტრალურ ქუჩებში იყო სარეკლამო ბოძებიც - ბილ-ბორდები. თუმცა გაზეთების ცნობით, რეკლამა უფრო მოკრძალებული იყო, ვიდრე წინათ („საქართველო“, 18.02.1919). (იგულისხმება 1917 წ. ნოემბერში რუსეთის დამფუძნებელი კრე-ბის არჩევნები).

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები წარმატებით ჩატარდა. პოლიტიკური პარტიებისა და პერიოდული პრესის აქტიურმა აგიტაციამ შედეგი გამოიღო. აბსენტეიზმი უმ-ნიშვნელო იყო. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, მიუხედავად მკაცრი კლიმატური პირობებისა (თბილისში 5 გრადუსი ყინვა, ბევრგან დიდთოვლობა და ქარბუქი აღინიშნა), მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში და გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გა-მო, არჩევნების ორგანიზება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვერ მოხერხდა (იხ. ქვემოთ).

ქართული პერიოდული პრესის მოწმობით, რევოლუციის პირველი დღეების შემდეგ არც ერთ არჩევნებს ასეთი ინტერესი არ გამოუწვევია, როგორიც დამფუძნებელი კრების არჩევნებმა გამოიწვია („ერთობა“, 18.02.1919). მართლაც, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მონაწილეობა მიი-

ღო დამფუძნებელი კრების არჩევნებში და გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება. საარჩევნო ურნებთან ელექტორატის დაახლოებით 58 პროცენტი მივიდა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ლეგიტიმურად 505 477 ხმა ჩათვალა. საარჩევნო მეტრად (ერთი დეპუტატის გასაყვანად) განსაზღვრული იყო 3756 ამომრჩევლის ხმა.

როგორც სავარაუდო იყო, არჩევნებში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა. სოციალ-დემოკრატებმა ხმების 84 %-მდე დააგროვეს და 109 მანდატი მიიღეს. დანარჩენი 21 ადგილი სამმა პოლიტიკურმა პარტიამ გაინაწილა. ეროვნულ-დემოკრტებმა და ფედერალისტებმა დამფუძნებელ კრებაში 8-8 დეპუტატი გაიყვანეს, 5 ადგილი სოციალისტ-რევოლუციონერებს ერგოთ.

ბორჩალოს მაზრაში, ახალციხესა და ახალქალაქში ხმის მიცემას ხელი შეუშალა სომხეთთან საომარი მოქმედების შედეგებმა, ხოლო ზემო სვანეთში, თიანეთისა და დუშეთის მაზრების ნაწილში კენჭისყრა დიდთოვლობის გამო არ გამართულა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დამატებითი არჩევნები ამ რეგიონებში მოგვიანებით, 1919 წლის აგვისტოს ბოლოს მოეწყო. სამი მანდატი სომეხთა სარევოლუციო პარტია დაშნაკცუთიუნმა, ხოლო ერთი საქართველოს ეროვნული პარტიის წარმომადგენელმა გრიგოლ ვეშაპელმა მოიპოვა. როგორც ვხედავთ, დამატებით არჩევნებს დამფუძნებელი კრების პარტიულ შემადგენლობაში სერიოზული კორექტივები არ შეუტანია. ქვეყნის პოლიტიკურ საჭეს სოციალ-დემოკრატები დაეუფლნენ.

ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. როგორ შეიძლება აიხსნას ამ პარტიის ესოდენ მნიშვნელოვანი წარმატება? გაზეთი „გრუზია“ შენიშნავდა: „დამფუძნებელი კრების არჩევნებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხმების დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიას არგუნა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მცხოვრებთა დიდი ნაწილი სოციალიზმის პრინციპებს აღიარებდეს. ეს არის პირდაპირი და ბუნებრივი შედეგი იმ აუტანელი მდგომარეობისა, რომელშიც ჩვენ ას წელზე მეტი ვიმყოფებით. უსამართლობას, უფულობას და გაჭირვებას მიჩვეული მშრომელი ხალხი მისდევს იმ პარტიებს, რომელნიც ადვილად აძლევენ დაპირებებს“ („ერთობა“, 22.02.1919).

სოციალური დემაგოგიის გარდა, რასაც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების რუსულენოვანი გაზეთი მიუთითებდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიღწევა დამფუძნებელი კრების არჩევნებში სხვა ფაქტორებმაც უზრუნველყო. ამ პოლიტიკურმა ძალამ გაიმარჯვა არა იმიტომ, რომ მისი პროგრამა და საარჩევნო პლატფორმა სხვაზე უკეთესი იყო (დამფუძნებელი კრების არჩევნებისას პროგრამათა ჭიდილი არ გამართულა), ანდა მარქსისტული იდეოლოგია სჯობდა ეროვნულ მიზანდასახულობებს. საქმე ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნდათ (მონაწილეობდნენ და გაიმარჯვეს რუსეთის ოთხივე სახელმწიფო სათათბიროსა და რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში), როგორც ძირითადი სახელისუფლებო პარტია, იგი ფლობდა სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებზე მეტ ფინანსებს, ჰქონდა აგიტაცია-პროპაგანდის გაცილებით ფართო საშუალება და ადმინისტრაციული რესურსი, მის სასარგებლოდ მოქმედებდა არჩევნების პროპორციული სისტემა და სხვ. ამასთან, პარტიის საკანდიდატო სია გამოირჩეოდა ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის მრავალფეროვნებით, რაც ამომრჩევლის ფართო სპექტრის მიმხრობის მარჯვე საშუალება იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მასობრიობამ, სახალხოობამ და საარჩევნო სტრატეგიის სწორად გათვლამ განაპირობა კიდეც მისი წარმატება.

არჩევნებში სოციალ-დემოკრატების გამარჯვებას მოგვიანებით საინტერესოდ ხსნიდა გიორგი გვაზავა. მისი სიტყვებით: საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მარქსისტი არ ყოფილა, ყველას არც „დამატებითი ღირებულების ან ეკზისტეც-მინიმუმის თეორია“ ჰქონია შესწავლილი. „ხალხის მოძრაობის მიზეზი ...უნდა ვეძიოთ არა სოციალურ იდეოლოგიაში, არ-

ამედ ეროვნულ ფსიხოლოგიაში. ხალხი გაიტაცა არა სოციალისტურმა დოქტრინამ, რომლის მას არაფერი გაეგებოდა, არამედ მისივე გულის ნადებმა: თავისუფლების წყურვილმა და იმ ეროვნულ ღირსების ახმაურებამ, რომელიც ჩაქსოვილი იყო მის გულში თვითონ ბუნებით და წარსულ საუკუნოებით. ...ხსნა ისევ „ერთობაში“ დაინახა, ე. ი. მთელი ერის შეერთებულ მოძრაობაში თავისუფლების მოსაპოვებლად“ (გვაზავა გ., 1928, გვ.8).

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებს ოფიციალური საერთაშორისო მეთვალყურეები და დამკვირვებლები არ დასწრებიან. იმ ხანად არც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები არსებულან, რომლებიც მონიტორინგს გაუწევდნენ საარჩევნო პროცესს. ცხადია, არ გამოუყენებიათ არც ხმების პარალელური დათვლის მეთოდი და არც - ეგზიტპოლების სისტემა, მაგრამ არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. ოპოზიციურმა პარტიებმა, მართალია, ხმის მიცემისას სხვადასხვა დარღვევა გამოამჟღავნეს, აღნიშნეს ხარვეზები, რამაც გარკვეული ჩრდილი მიაყენა არჩევნებს, მაგრამ მათივე სამართლიანი შეფასებით, ყველაფერი რომ იდეალურად წარმართულიყო, საბოლოო შედეგი დიდად მაინც არ შეიცვლებოდა („სახალხო საქმე“, 9.03.1919; „საქართველო“, 12.03.1919).

პირველწყაროთა ანალიზით იკვეთება, რომ ოპოზიციური სპექტრი ხელისუფლებას ძირითადად, ძალადობასა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებდა. მმართველ პარტიას ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მის ხელში იყო მთავრობის მთელი ადმინისტრაციული აპარატი და დიდი მატერიალური რესურსი, რომელიც პარტიამ არჩევნებში გამარჯვებისათვის გამოიყენა. ზოგად ბრალდებათა გარდა, ოპოზიციურ ბეჭდვით სიტყვაში გაშუქებულია დარღვევების კონკრეტული ფაქტებიც საარჩევნო უბნების მიხედვით, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებშიც („სახალხო საქმე“, 21.02.1919; „საქართველო“, 15, 18, 21.02.1919; ოქმები, ტ. I, გვ. 107-108; 110). წინასაარჩევნო კამპანიისა თუ კენჭისყრის დღეს გამოვლენილი დარღვევების მიმართ გამოიყენებოდა სხვადასხვა სადამსჯელო ღონისძიება (დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, თბ., 1918, მუხლი 93-96).

საინტერესოა ამერიკელი ჟურნალისტის, ფართოდ ცნობილი გამოცემის „National Geographic“ ერთ-ერთი ძირითადი ავტორის მეინარდ ოუენ უილიამსის ჩანაწერი, რომელიც, მართალია, ეხება 1917 წლის ნოემბერში ჩატარებული რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებს თბილისში, მაგრამ დამახასიათებელი იყო საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვისაც 1919 წელსაც. უილიამსის თანახმად, „არჩევნები თბილისში არის მეტად რთული ამბავი მეეზოვეებისთვის და ძალიან მომგებიანი მბეჭდავებისთვის, ყველა პარტია ეჯიბრება ერთმანეთს იმაში, რომ სხვა პარტიაზე მეტი ფლაერი, პოსტერი, ბანერი იყოს ქუჩაში მისი გამოკრული. ...ხშირად ერთი პარტიის პოსტერი გადაფარულია მეორე პარტიის პოსტერით (ზედ აქვს გადაკრული)“ (ჯაგუნავა პ., 2017/2018, გვ. 293 სამწუხაროდ, მსგავსი სურათი არც ჩვენი თანამედროვე არჩევნების პროცესისთვისაა უცხო).

ცალკე გაშუქებას საჭიროებს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების საკითხი აფხაზეთში. აფხაზეთში ანუ სოხუმის ოლქში, როგორც იმხანად ეს მხარე იწოდებოდა, 1919 წლის თებერვალში მიმდინარეობდა მმართველობისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების (ერობები, აფხაზეთის სახალხო საბჭო) ფორმირება და რეგიონში დამფუძნებელი კრების არჩევნები არ გამართულა. კენჭისყრა აქ ვერც პირველი დამატებითი არჩევნებისას შედგა.

დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს აფხაზეთში ისიდორე რამიშვილს 1919 წლის დამდეგს რეკომენდაცია მისცა, მოეწყოთ საოლქო საარჩევნო კომისია დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვისაც და ხმების მისაცემად გამოეყენებინათ ადგილობრივი სახალხო საბჭოს საარჩევნო სიები (არქივი, ფონდი

1834, ანაწ. 1, საქმ. 76, ფურც. 1). მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მთავარი აქცენტი რეგიონში ადგილობრივი მმართველობითი სტრუქტურის - აფხაზეთის სახალხო საბჭოს ჩამოყალიბებაზე შეაჩერა და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები მომავლისათვის გადაიტანა. მთავრობის ოფიციოზი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1919 წლის 30 იანვარს იუწყებოდა: „სოხუმის ოლქში მომავალ 14-16 თებერვალს არჩევნები დამფუძნებელი კრებისა არ მოხდება, რადგანაც ამ ჟამად სწარმოებს ერობისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები. ამ ოლქისათვის მარტის დამლევს ან აპრილის პირველ რიცხვებში დანიშნული იქნება დამატებითი არჩევნები“ („საქართველოს რესპუბლიკა,“ 30.01. 1919).

გაზაფხულისთვის ნავარაუდევმა არჩევნების თარიღმა ზაფხულისათვის გადაიწია. დამფუძნებელი კრების არჩევნები სოხუმის ოლქში დანიშნულია 10, 11, 12 აგვისტოს, წერდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს არზაყან ემხვარსა და გაგრის ქალაქის თავს (არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 76, ფურც. 4-5). რეგიონში დამატებითი არჩევნების ორგანიზებისათვის ივლისში „მცირე საარჩევნო კომისიაც“ შეიქმნა. კომისიის წევრებად პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დანიშნეს: ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ - ალექსანდრე თორაძე, ფედერალისტებმა - სიმონ ხუნდაძე, ესერებმა - ილია ნუცუბიძე და სხვ. (არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 76, ფურც. 7-9).

მალე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ სოხუმიდან ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო: „არჩევნების დაწყებას თვლიან ნაადრევად. არჩევნების საკითხს განიხილავენ აფხაზეთის საბჭოში. დაწვრილებით ჰკითხეთ ი. რამიშვილს“ (არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 76, ფურც. 10). დამფუძნებელი კრების არჩევნები ამ კუთხეში, როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ გადაიდო.

სამანდატო კომისიის მოხსენებაში, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 29 სექტემბერს მოისმინა, მკაფიოდაა აღნიშნული, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ მოახერხა დამატებითი არჩევნების დანიშვნა ყველგან, სადაც იგი პირველი არჩევნების დროს არ ჩატარებულა. „ზოგ ადგილში ეს პირდაპირ შეუძლებელი იყო. ასეთი იყო მაგალითად აფხაზეთი“ (ოქმები, ტ. III, გვ.180) ის ფაქტი, რომ აფხაზეთში საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები არ შედგა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სპირიდონ კედიამ ასე განმარტა: „აფხაზეთის საბჭო თავის თავს სუვერენულ ორგანოდ სთვლის. იგი აბრკოლებს და წინ ეღობება ჩვენს გავლენას და სახელმწიფოებრივ მოქმედებას აფხაზეთში. ...ჩვენმა წარმომადგენელმა ბ-ნმა ისიდორე რამიშვილმა, არ ვიცი რატომ, საჭიროდ დაინახა შეჰკითხოდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს აფხაზეთში დამატებითი არჩევნების მოწყობის შესახებ. ამ შეკითხვამ საბჭოს საბაბი და საბუთი მისცა თავისათვის დაეტოვებია გარდამწყვეტი უფლება არჩევნების გამართვის ნებართვისა; მან პრინციპული დამოკიდებულება დაიჭირა ამ წინადადებისადმი და მხოლოდ იმ პირობით და მაშინ თანხმდება აფხაზეთში დამატებითი არჩევნების გამართვაზე, თუ ჩვენ მივიღებთ იმ კონსტიტუციას, რომელსაც აფხაზთა საბჭო იმუშავებს, თუ არა და - არა! ასეთია ...სახალხო საბჭოს პირობა“ (ოქმები, ტ. III, გვ.120).

სპირიდონ კედიას განცხადება რომ სინამდვილეს შეესაბამებოდა, ცხადყოფს 1919 წლის 25 ნოემბერს გამართული აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომა, რომელიც მართლაც განიხილავდა საქართველოს დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების საკითხს, მაგრამ საბჭოს ზოგიერთი წევრის წინააღმდეგობის გამო, სხდომა ჩაიშალა (ჩიტაია დ., 2006, გვ.316-317).

რადგან პირველი დამატებითი არჩევნებისას აფხაზეთში ვერ მოხერხდა ხმის მიცემა, ასევე, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში გარკვეული დარღვევების გამო, კენჭისყრის შედეგები გაუქმდა (თბილისის 50-ე უბანი, დუშეთი, გომბორი, დაგეთ-ხაჩენი, ბოლნის-ხაჩენი), საჭირო გახდა მეორე დამატებითი არჩევნების დანიშვნა. იგი 1920 წლის მაისის მეორე ნახევარში გაიმ-

ართა (Janelidze O., 2021, , p. 2). საგულისხმოა, რომ ამ არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებთან ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანდნენ რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია და უპარტიოთა კავშირი. ბლოკის ერთობლივი საკანდიდატო სიის ნომერი იყო 16.

საქართველოს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფონდში დაცული დოკუმენტებით (სამანდატო კომისიის სხდომის ჟურნალი, სოხუმის ოლქის არჩევნების ცხრილი) ირკვევა, რომ ამჯერად არჩევნები აფხაზეთშიც ჩატარდა. აქ რეგისტრირებული 65 ათასამდე ამომრჩევლიდან, ქალაქების სოხუმის, გუდაუთის, გაგრისა და ოჩამჩირის, ასევე, კოდორის, გუდაუთის, გუმისთისა და სამურზაყანოს მაზრებიდან საარჩევნო ურნებთან 22 250-ზე მეტი ადამიანი მისულა (არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 2, საქმ. 17, ფურც. 57; კუპატაძე ბ., 2019, გვ.331).

მეორე დამატებითი არჩევნების შედეგად, დამფუძნებელ კრებაში პოლიტიკურ ძალთა ამგვარი ბალანსი ჩამოყალიბდა: 102 მანდატი ჰქონდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, 9 მანდატი - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, 8 - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, 6 - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას, 3 - დაშნაკცუთიუნსა და 2 მანდატი - საქართველოს ეროვნულ პარტიას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ცდილობდა, რომ დამფუძნებელი კრება ქვეყნის ყველა კუთხის მცხოვრებთ აერჩიათ. სამწუხაროდ, ეს ბოლომდე შეუძლებელი გახდა. მაგალითად, სამუსლიმანო საქართველოში, რომელზეც 1920 წლის 7 ივლისამდე ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, არჩევნები არ გამართულა.

გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები მთლიანობაში კონკურენტულ გარემოში ჩატარდა. დემოკრატიული გზით დაკომპლექტდა სრულიად ლეგიტიმური მრავალპარტიული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც წარმატებით შეასრულა მთავარი დანიშნულება - შეიმუშავა და მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. თავისი ორწლიანი მოღვაწეობით კრებამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცხოვრებაში, შექმნა გარკვეული პრაქტიკა და გამოცდილება, რომელიც კვლავ ინარჩუნებს თავის აქტუალობას.

2.2.სოციალისტური პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმები საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს (მალხაზ მაცაბერიძე)

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში (1919 წლის 14-17 თებერვალი) 15 პოლიტიკური პარტია და გაერთიანება მონაწილეობდა. თუმცა, იმდროინდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სოციალისტური პარტიები დომინირებდნენ. საკმარისია ითქვას, რომ 1919 წლის 12 მარტს შეკრებილ 130-წევრიან დამფუძნებელ კრებაში 109 ადგილი მოიპოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ (სია N 1), 8 ადგილი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ (სია N 5) და 5 ადგილი საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ (სია N 3).

საარჩევნო კამპანიის აუცილებელ ნაწილად სოციალისტური პარტიები თავიანთი წინასაარჩევნო პლატფორმების გამოქვეყნებას მიიჩნევდნენ. სხვებზე ადრე ეს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გააკეთა და დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა პარტიის ცენტრალურ ორგანოში - გაზეთ "ერთობაში" 1919 წლის 22 იანვარს გამოაქვეყნა. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საარჩევნო პლატფორმა ამ პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა "სახალხო საქმემ" 1919 წლის 26 იანვარს გამოაქვეყნა. სოციალისტ-რევოლუციონერთა საარჩევ-

ნო პლატფორმა კი უშუალოდ არჩევნების წინ – 12 თებერვალს გამოქვეყნდა გაზეთ “შრომაში”, რომელიც ამ პარტიის ცენტრალური ორგანო იყო.

სოციალისტური პარტიების საარჩევნო პლატფორმები საინტერესო დოკუმენტებია, რომლებიც კარგად წარმოაჩენენ ამ პარტიების მაშინდელ განწყობას და მიმდინარე მოვლენების ხედვას.

საქართველოს წამყვანი სოციალისტური პარტიები მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას უახლოესი მომავლის საქმედ მიიჩნევდნენ. სოციალ-დემოკრატები ქვეყანაში მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს განიხილავდნენ როგორც მომზადებას “დიდი სოციალისტური გადატრიალების შესახვედრად” და იმედით შეჰყურებდნენ “დასავლეთ ევროპაში აღორძინებულ რევოლუციურ ბრძოლას”. სოციალისტ-ფედერალისტები საარჩევნო პლატფორმაში აღნიშნავდნენ: „უკვე ახლოვდება ჟამი ქვეყნის ძირითადი გარდაქმნისა, ახლოვდება სოციალისტური რევოლუცია, როცა ერთიან უნდა დაინგრეს ბატონობა კაპიტალისა და ბურჟუაზიის“. სოციალისტ-რევოლუციონერები კი ირწმუნებოდნენ, რომ პარტიის ყოველი ნაბიჯი იყო „ბრძნული და გაბედული მზადება გენერალური ბრძოლისათვის“.

სოციალისტური პარტიები ფაქტობრივად ერთიანი იყვნენ თავიანთი მიზნის - სოციალიზმის დახასიათებისას (ამ საკითხს საარჩევნო პლატფორმაში სოციალ-დემოკრატები ფედერალისტებსა და ესერებთან შედარებით გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ), მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მათი პოზიციები სოციალიზმისკენ მიმავალი გზების განსაზღვრისას. სოციალ-დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში უნდა მიეღწიათ „სრული დემოკრატიზმისათვის“, რასაც საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდნენ სოციალიზმის მისაღწევად. „სრულ დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ, ასეთია ჩვენი გზა“, - ნათქვამია სოციალ-დემოკრატების საარჩევნო პლატფორმაში. დაახლოებით ასეთივე იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პოზიციაც. ფედერალისტები ამოცანად სახავდნენ საქართველოში „წმინდა ხალხურ, დემოკრატიული სახელმწიფოს“ მოწყობას, რაც გულისხმობდა „აწინდელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში“ ისეთი ძალების შექმნას, „რომლებიც გაგვიადვილებენ და დაგვეხმარებიან სოციალისტურ სახელმწიფოში, შრომის სამეფოში გადასასვლელად“.

სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტებისაგან განსხვავებით სოციალისტ-რევოლუციონერები ფორმულას „ბურჟუაზიული დემოკრატიიდან - სოციალიზმისაკენ“ მოძველებულად მიიჩნევდნენ და საჭიროდ თვლიდნენ სოციალიზმის მშენებლობის დაუყოვნებლივ დაწყებას. „სოციალისტური ძალაუფლებიდან - სოციალიზმისაკენ... სისტემატიური კოლექტივიზაცია შრომისა და საკუთრებისა, - ასეთია ერთად ერთი გზა“, - აღნიშნავდნენ ესერები თავიანთ პლატფორმაში.

თითოეული სოციალისტური პარტია ირწმუნებოდა, რომ სწორედ ის იყო ჭეშმარიტი სოციალისტური პარტია და მშრომელთა ინტერესების გამომხატველი:

სოციალ-დემოკრატები თავიანთ საარჩევნო პლატფორმაში მოკლედ წარმოაჩენდნენ თავიანთ 30-წლიან მოღვაწეობას და ხაზს უსვამდნენ თავიანთ დამსახურებას ცარიზმის დამხობაში, რევოლუციური მონაპოვრების შენარჩუნებაში, საქართველოში „სოციალ-დემოკრატიამ შესძლო შენარჩუნება იმისა, რაც დიდმა რუსეთმა დაკარგა: რევოლიუციის და თავისუფლების“,- აღნიშნულია სოციალ-დემოკრატების საარჩევნო პლატფორმის შესავალ ნაწილში. დოკუმენტის ბოლოს კი აცხადებდნენ: „ს.-დემოკრატიული პარტია ერთათ ერთი პარტიაა, რომელიც საქმით იცავს მუშათა, გლეხთა და ნაციონალურ უმცირესობათა ნამდვილ ინტერესებს“.

სოციალისტ-ფედერალისტები აცხადებდნენ, რომ სწორედ მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა მათი პროგრამის სისწორე - საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, რასაც ადრე „შოვინიზმად“ მიიჩნევდნენ „კოსმოპოლიტური ინტერნაციონალიზმის“

პოზიციაზე მდგომი სხვა სოციალისტები. „დღეს საქართველოში ყველა სოციალ. პარტია ეროვნულია ე.ი. როგორც იმ თავითვე იყო ჩვენი პარტია - ეროვნული და იმავ დროს ინტერნაციონალური“.

სოციალისტ-რევოლუციონერები თავს ერთადერთ პარტიად მიიჩნევდნენ, რომელიც რევოლუციური სოციალიზმის პოზიციაზე იდგა. „სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია ერთად ერთი პარტიაა ჩვენში, რომელიც დარჩა ერთგული რევოლიუციონური სოციალიზმისა და მიწის მუშებისა და პროლეტარიატის საქმეს პირნათლად ემსახურება“, - ნათქვამია ამ პარტიის საარჩევნო პლატფორმაში.

2.3. მემარჯვენე პოლიტიკური ძალების წინასაარჩევნო პლატფორმები (ოთარ ჯანელიძე)

საარჩევნო პლატფორმა პოლიტიკური ძალის (ბლოკი, მოძრაობა, პოლიტიკური პარტია) მიერ საარჩევნო კამპანიის პერიოდში გამოქვეყნებული კონცეპტუალური დოკუმენტია, რომელიც მოკლედ აღწერს საარჩევნო სუბიექტის სტრატეგიას, ხედვას, მიზნებს, პრიორიტეტულ ამოცანებსა და მათი მიღწევის გზებს (https://www.crf-usa.org/election-central/political-parties-platforms.html) იგი აგრეთვე შეიცავს პოტენციური ამომრჩევლისათვის შეთავაზებულ არსებით დაპირებებს, „წინასაარჩევნო ვალდებულებებს“, რომელთა განხორციელებაც არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაშია დაგეგმილი.

არჩევნები მოქალაქეს საშუალებას აძლევს, გააანალიზოს საარჩევნო სუბიექტების, როგორც პარტიების, ისე პოლიტიკოსთა განვლილი საქმიანობა, შეაფასოს მათი პროგრამები და გააზრებული არჩევანის გზით სახელმწიფოს მართვის მანდატი გადასცეს მათ, ვისაც უფრო ენდობა და ვისი სამომავლო ხედვებიც თანხვდება საკუთარ მისწრაფებას.

პოლიტიკურ პარტიის წარმატება საარჩევნო პროცესში გარკვეულად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეესაბამება მისი პოზიცია ამომრჩევლის მოლოდინსა და განწყობას, თანხვდება ან პასუხობს თუ არა პარტიის დეკლარირებული დაპირება ელექტორატის ინტერესებსა და სურვილებს. ამისათვის, საარჩევნო სტრატეგიის შემუშავებისას, პარტიები, როგორც წესი, ქმნიან და ელექტორატისათვის გასაცნობად აქვეყნებენ თავიანთ წინასაარჩევნო პლატფორმებს.

სიტყვა „პლატფორმის“ პოლიტიკური მნიშვნელობით გამოყენება, როგორც „განცხადებისა პარტიის პოლიტიკის შესახებ“, ჯერ კიდევ 1803 წლიდან იწყება. სავარაუდოდ, ტერმინი „plate-forme“ პირდაპირი მნიშვნელობით მის თავდაპირველ დანიშნულებას, „ბრტყელ ფორმას“ უნდა უკავშირდებოდეს ანუ სცენას ან ფიცარნაგს, რომელზეც იკრიბებიან, დგანან და საუბრობენ პოლიტიკოსები თავიანთი მოწოდებებით („Platform”. Online Etymology Dictionary. Retrieved 2012-11-07).

წინასაარჩევნო პლატფორმა „საარჩევნო ტექნოლოგიის“ ნაწილი და მოქალაქეებთან პოლიტიკურ კომუნიკაციის ფორმაა. მისი ძირითადი დანიშნულება პლატფორმაში გადმოცემული ინფორმაციის ხალხისათვის მიწოდებაში გამოიხატება. იგი ემსახურება საკუთარი უპირატესობების ხაზგასმას და გამიზნულია ამომრჩევლის დასარწმუნებლად საარჩევნო სუბიექტის ხედვისა თუ დასახული მიზნების სისწორეში, ასევე, ელექტორატის ნდობის მოსაპოვებლად და მეტი მხარდამჭერის მისაზიდად ხმის მიცემის პროცესში.

წინასაარჩევნო პლატფორმის როლისა და მნიშვნელობის შესახებ განსხვავებული აზრი აქვთ პოლიტტექნოლოგებსა და ექსპერტ პოლიტოლოგებს. თუ ერთნი მას საარჩევნო კამპანიის

სოლიდურ რესურსად მიიჩნევენ, მეორეთა თანახმად, პლატფორმა ხმების რაოდენობაზე გავლენას ნაკლებად ახდენს.

რამდენადაც წინასაარჩევნო პლატფორმა მოსახლეობის ფართო მასების ყურადღების მიპყრობაზეა ორიენტირებული, ხოლო თითოეული პარტია ცდილობს ხაზი გაუსვას საკუთარ დამსახურებას, შთამბეჭდავად წარმოაჩინოს მიღწეული შედეგები, გულუხვი იყოს დაპირებებში და მიიმხროს ამომრჩეველი, - პლატფორმა პროპაგანდისტული ტექსტის ხასიათის იძენს და პოპულიზმის ნიშნებსაც ატარებს.

სტრუქტურულად წინასაარჩევნო პლატფორმა შეიცავს საარჩევნო სუბიექტის თვითიდენტიფიკაციას, ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ზოგად შეფასებას, საგარეო ურთიერთობისა თუ საშინაო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას, ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში შექმნილი მდგომარეობის დახასიათებას, სტრატეგიული პრიორიტეტების, ტაქტიკური მიზნებისა და სხვა საკითხების სადა, ყველასათვის გასაგები ენით გადმოცემას.

წინასაარჩევნო პლატფორმა შეიძლება განმარტავდეს, რის წინააღმდეგია და რისკენ მიისწრაფვის პარტია, რის დაძლევას აპირებს, რაში ხედავს ქვეყნის განვითარების პერსპექტივას და ა. შ. დოკუმენტში ფოკუსირებულია იდეოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, სულიერი მარკერები, რაც ამომრჩეველს საშუალებას მისცემს თავისი რჩეული „უცხოსგან“ გამოყოს.

წინასაარჩევნო პლატფორმა, ჩვეულებრივ, ასახავს იმ ღირებულებებსა და პრინციპებს, რასაც ემყარება საარჩევნო სუბიექტის პროგრამა და ცხადყოფს პარტიის სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრიორიტეტებს. პროგრამიდანვე გამომდინარეობს საარჩევნო ლოზუნგი (ლოზუნგები), სარეკლამო კამპანიის - ფურცლების, პლაკატებისა და სხვ. არსებითი ტექსტებიც.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური აქტორების უმრავლესობა იდეოლოგიური პარტიები იყვნენ და მხოლოდ ორიოდე თუ წარმოადგენდა საარჩევნოდ შექმნილ ინტერესთა თავისუფალ ერთობაზე დაფუძნებულ გაერთიანებას („უპარტიოთა კავშირი“, „ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა“).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი წინასაარჩევნო პლატფორმების ამომრჩევლისათვის წარდგენა უფრო ფართოდ 1919 წლის იანვარ-თებერვალში, დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიის პროცესში მოუხდათ. მანამდე, ადგილობრივი თვითმმართველობის - სამაზრო და სათემო ერობებისა თუ ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისას ელექტორატთან პოლიტიკური კომუნიკაციის ეს ფორმა არსებითად გამოყენებული არ ყოფილა. თუმცა ზოგიერთ საარჩევნო სუბიექტს სათანადო გამოცდილება ჰქონდა, რომელიც მათ რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებისას, 1917 წლის ნოემბერში შეიძინეს.

რამდენიმე ქართული პოლიტიკური ორგანიზაციისაგან განსხვავებით, საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიისას ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას თავისი წინასაარჩევნო პლატფორმა, როგორც ცალკე დოკუმენტი, არ გამოუქვეყნებია. საარჩევნო სუბიექტებს არ ჰქონიათ არჩევნების დებულებით ან სხვა საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული ვალდებულება, რომელიც საარჩევნო პლატფორმისა თუ ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარების საარჩევნო კომისიაში წარდგენას ითვალისწინებს.

რით უნდა აიხსნას რომ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ამომრჩეველს არ შესთავაზა თავისი წინასაარჩევნო პლატფორმა? კითხვაზე პასუხს გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილ ერთ პუბლიკაციაში ვპოულობთ, სადაც აღნიშნულია: „პირველ ადგილას სახელმწიფო ინტერესი უნდა იდგეს. პატრიოტულმა ვალდებულებამ უნდა დაჩრდილოს პარტიული მოსაზრება-

ნი. საარჩევნო აგიტაცია კი ხალხს პარტიული პლატფორმებისა და ლოზუნგების გარშემო რაზმავს, რაიცა უეჭველია ანელებს ეროვნულ ენერგიას. ...საქართველოს ხსნა არ არის ერთი რომელიმე პარტიისა და კლასის საქმე. რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი ხდება, რომ არც ერთ პარტიულ დოგმას არ შეუძლია ერის ცხონება. ჩვენ გვგონია, რომ დადგა დრო, როცა ქვეყანამ უნდა მოუწოდოს პრაქტიკულ საქმიანობისა და ზნეობრივ დისციპლინის ადამიანებს, რომელნიც თავისუფალნი იქნებიან ყოველგვარი დოქტრინული ფანატიზმისაგან“ („საქართველო“, 14.02.1919).

საგულისხმოა, რომ მსგავსი თვალსაზრისი ცოტა მოგვიანებით ნიკო ნიკოლაძემაც გამოთქვა. ამ მხცოვან მოღვაწეს საკუთარი სახელმწიფოებრიობის პირობებში პოლიტიკური პარტიების ძველი ფორმით არსებობა ანაქრონიზმად მიაჩნდა და მხარს უჭერდა მათ განახლება-გადახალისებას. „დღევანდელ ჩვენ ცხოვრების სინამდვილეს არაფერნაირად არ შეეფერება ჩვენი პარტიულად დანაწილება. ...ყველა პარტიას დაუდგა დრო, რომ ჩაფიქრდეს, სხვანაირად შეიმუშაოს პროგრამა და აწარმოოს თავის ძალები იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ჩვენს გარშემოა. თორემ ის ძველი სახელები, ძველი განყოფილება, ძველი უკმაყოფილება ერთი მეორის წინააღმდეგ მარტო ნგრევის და არა შენების იარაღია“, - აცხადებდა იგი (ოქმები, ტ. III, გვ. 411).

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო აგიტაცია ეყრდნობოდა ამ ორგანიზაციის პროგრამას, რომელიც მიღებული იყო 1917 წლის ივნისში პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე (1906 წელს შემუშავებული პირველი პროგრამა არ დაუმტკიცებიათ, რადგან მაშინ პარტიის შექმნა ვერ მოხერხდა) (ჯანელიძე ო., 2002, გვ.171). პროგრამის პოლიტიკური ნაწილი ახალ რეალობას ვეღარ პასუხობდა - საქართველო უკვე დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო იყო, პროგრამა კი რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ ავტონომიას ითხოვდა, მაგრამ ზოგადი პრინციპები და სხვა დანარჩენი - ადამიანის უფლებები, სოციალ-ეკონომიკური, სამეურნეო თუ სამრეწველო, განათლების, კულტურის, სარწმუნოებისა და სხვა საკითხები კვლავაც დღის წესრიგის აქტუალურ თემები იყო. „ეროვნული თავისუფლება, მოქალაქეობრივი თავისუფლება და თავისუფალი შრომა ქონებრივი კეთილდღეობის შესაქმნელად“ ეროვნულ-დემოკრატებისათვის განმსაზღვრელ პოსტულატებად რჩებოდა.

„ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ...საერთო ეროვნული ინტერესი აღიარა, ... წოდებათა და კლასთა უფლებრივი თანასწორობა აღიარა და საერთო ეროვნული უზენაესი ინტერესების პრიმატის ქვეშ, მათი სოლიდალურ თანამაშრომლობის პრინციპი წამოაყენა“, – მიუთითებდა ელისე პატარიძე (პატარიძე ე., 1995, გვ.34).

ეროვნულ-დემოკრატები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობის პრინციპს, როგორც ეროვნული აღორძინების ერთ-ერთ საფუძველს. მუშათა საკითხს ისინი არ თვლიდნენ მხოლოდ სოციალისტური პარტიების მონოპოლიად და იგი ყოველი პროგრესული, მათ შორის, თავიანთი პოლიტიკური ორგანიზაციის ზრუნვის საგნად მიაჩნდათ. ამიტომაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გვერდს არ უვლიდა მშრომელთა სოციალურ უფლებებს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ითვალისწინებდა არამარტო მიწის მუშათა, არამედ მიწის მფლობელთა – მემამულეების ინტერესებს. კერძო საკუთრება, როგორც ქონებრივი კეთილდღეობის საფუძველი მტკიცედ და შეუვალად უნდა ყოფილიყო დაცული.

დამფუძნებელი კრების ჩამოყალიბების შემდგომ, 1919 წლის ივლისში გამართულმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციამ პრიორიტეტულ ამოცანებად დასახა საქართველოს სუვერენობის დაცვა, სახელმწიფოებრივი წყობილების დემოკრატიულ და რესპუბ-

ლიკურ საფუძვლებზე განმტკიცება, ცხოვრებაში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამოსამართლო ფუნქციების გამიჯვნა, რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესება და სხვ. (ჯანელიძე ო., 2002, გვ.178).

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა-განვითარების საკითხებზე მემარჯვენე ოპოზიციური ძალის - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შეხედულებები, მიზნები და ამოცანები, რომლებიც მოკლებული იყო პოპულიზმსა და უმთავრესად საღი რეალიზმით საზრდოობდა, გადმოცემული იყო ცალკეულ საგაზეთო პუბლიკაციებში, საარჩევნო ლოზუნგებსა თუ პლაკატებში.

დამფუძნებელი კრების არჩევნების დანიშვნიდან მალევე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ცნობილმა ქართველმა იურისტმა გიორგი გვაზავამ გაზეთ „საქართველოში“ გამოაქვეყნა წერილების სერია, საერთო სათაურით „საარჩევნო კამპანია“. პუბლიკაცია მოსახლეობას განუმარტავდა დამფუძნებელი კრების არსსა და დანიშნულებას, უხსნიდა არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობას, გააცნობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაზრისს ამა თუ იმ აქტუალურ საკითხზე და სხვ.

გიორგი გვაზავას წერილები შეიცავდა მმართველი პოლიტიკური ძალის - სოციალ-დემოკრატიის კრიტიკას სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მიუთითებდა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ვერ ცვლიან მოვლენებს, მაგრამ ცვლიან სახელებს და ამით უნდათ ფონს გასვლაო. მაგალითად მოჰყავდა, რომ „სოციალ-დემოკრატებმა სამშობლოს სახელი ამოშალეს თავიანთი პროგრამიდან და განდევნეს სიტყვიერი ხმარებიდან“, რომ მათ „სამშობლოს უწოდეს დემოკრატია, პოლიტიკურ თავისუფლებას - რევოლუციის მონაპოვარი“ და სხვ. იმის გამო, რომ ამ პარტიის იდეოლოგია წმინდად კლასობრივი და ინტერნაციონალურია, მან ვერ შექმნა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ცენტრი. წერდა: სოციალ-დემოკრატებმა შეასუსტეს ქვეყნის „ეროვნული ორგანიზმი, მისი მილიტარული ძლიერება და ფინანსური ძალა“ და დასძენდა, რომ საჭირო იყო გამოფხიზლება „სოციალისტური ბურანისაგან“ („საქართველო“, 13.02.1919).

წინასაარჩევნო პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აქცენტი გადატანილი ჰქონდა მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრებზე, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საჯარო ლექციებისა და მიტინგების ფორმით ტარდებოდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მმართველი რგოლის წევრები მოგზაურობდნენ საქართველოს დაბა-ქალაქებში, ეცნობოდნენ იქ არსებულ ვითარებას, ისმენდნენ ხალხის აზრს, პასუხობდნენ მათ შეკითხვებს და სხვ. ამგვარი უშუალო შეხვედრებისას თუ ლექციების მეშვეობით, დაინტერესებულ საზოგადოებას განემარტებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაზრისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, მიეწოდებოდა ინფორმაცია პარტიის პრიორიტეტებიის შესახებ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში და ა. შ.

1919 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილმა წარმომადგენლებმა მსგავსი არაერთი შეხვედრა და საუბარი გამართეს. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის წევრები რაფიელ ივანიცკი (ინგილო) და იოსებ მაჭავარიანი მოხსენებებით გამოვიდნენ თელავის საზოგადოების წინაშე („საქართველო“, 26.01.1919).

1919 წ. 28 და 29 იანვარს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა ტიტე მარგველაშვილმა სიღნაღში წაიკითხა ორი საჯარო ლექცია: 1. „დამფუძნებელი კრება და ეროვნული დემოკრატია“ და 2. „ეკონომიკური ვითარება საქართველოსი“ („საქართველო“, 2.02.1919).

6 თებერვალს ტიტე მარგველაშვილმა მოხსენება „დამფუძნებელი კრება“, საჯარო ლექციის სახით ქ. გორშიც წაიკითხა. გაზეთის ინფორმაციით, „მოხსენებას მრავალი ხალხი დაეს-

წრო. რადგან დამსწრე საზოგადოებას დარბაზი ვერ იტევდა, ნაწილი მსმენელებისა იძულებული იყო კარებსა და დერეფნებში გაჩერებულიყო. მოხსენებამ გასტანა საათი და ორმოცი წუთი. ლექტორს რამოდენიმეჯერ შეაწყვეტინეს მხურვალე ტაშით“ („საქართველო“, 7.02.1919). საგულისხმოა, რომ ამგვარი მოხსენებების შემდეგ შეკრებილი საზოგადოება დასმული საკითხების ირგვლივ იღებდა გადაწყვეტილებას, რეზოლუციას, დადგენილებასა თუ რეკომენდაციებს. ტიტე მარგველაშვილის მოხსენების გამო შეკრებილმა აუდიტორიამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „1. სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს, რომ დამფუძნებელი კრება სისწორით გამოჰხატავდეს ხალხის სრულ ნებისყოფას; ამისათვის კრება მოითხოვს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული საარჩევნო კანონები ყოველგან და ყოველთვის დაცულ იქნას ადგილობრივ მმართველობათა მიერ. 2. სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ დამფუძნებელმა კრებამ დაამყაროს ძლიერი და მტკიცე მთავრობა, სრულიად გამომხატველი ხალხის სულისკვეთებისა და ურყევი ნებისყოფისა, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობაში განსახიერდება ხალხის ყველა მიმდინარეობა და არა მაშინ, როდესაც ის განასახიერებს ერთ პარტიულ მიმდინარეობას“.

1919 წლის 9 თებერვალს თბილისში, ქართულ კლუბში შედგა პოლიტიკური მიტინგი, რომელზეც სიტყვებით გამოვიდნენ გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი გერონტი ქიქოძემ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრები გიორგი გვაზავა, შალვა ამირეჯიბი, ტიტე მარგველაშვილი, პართენ გოთუა და სხვები („საქართველო“, 12.02.1919).

გორში შეკრებაზე მიღებული რეზოლუციიდან და სხვა მსგავსი დადგენილებიდან მკაფიოდ ჩანდა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მთავრობის კოალიციური გზით შექმნის მომხრე იყო. მსოფლიო დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებაზე რომ არაფერი ითქვას, კოალიციური მთავრობის პრაქტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ჰქონდა და დამფუძნებელი კრების არჩევნების დროისათვისაც კი მისი აღმასრულებელი ხელისუფლება ამ პრინციპით იყო დაკომპლექტებული.

კოალიციურ მთავრობას არაერთი დადებითი მახასიათებელი გააჩნია. უპირველესად, იგი პოლიტიკურ ცხოვრებაში რადიკალიზმის შემცირებას განაპირობებს, ხელს უწყობს კომპრომისების მიღწევას საზოგადოების ცალკეულ სეგმენტებს შორის, სტიმულს აძლევს ეროვნულ ერთობას და აფართოებს პოლიტიკური სპექტრის მართვაში მონაწილეობა-ჩართულობას. საზოგადოდ, კოალიციური მთავრობა არც ნაკლისგანაა დაზღვეული. მაგალითად, სხვადსხვა პარტიის წარმომადგენელობა აფერხებს სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას, ხელი ეშლება ერთიანი და მტკიცე პოლიტიკის წარმოებას. თუ კოალიცია იდეოლოგიურად მოწინააღმდეგე ძალებს აერთიანებს, იგი უძლურია გაატაროს მნიშვნელოვანი რეფორმები და სხვ. (ჯანელიძე ო., 2016, გვ.12-13).

1918 წლის 26 მაისის შემდგომ ქართული სახელმწიფოს 9 თვიანი გამოცდილება საზოგადოებას კოალიციის სასარგებლოდ უფრო განაწყობდა, ვიდრე საწინააღმდეგოდ. სავარაუდოდ, ამ გარემოებასაც ეყრდნობოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ვასილ წერეთელი, რომელმაც დამფუძნებელი კრების არჩევნების დასრულებისას წინადადება წამოაყენა, რომ უმჯობესი იქნებოდა საქართველოში კვლავ კოალიციური მთავრობა ჩამოეყალიბებინათ. მისი აზრით, ევროპა - ინგლისი და საფრანგეთი, რომელთა მთავრობები სოციალიზმსა და ბოლშევიზმს ებრძვიან - კოალიციურ ხელისუფლებას უფრო მეტ ანგარიშს გაუწევდა. თუ „სოციალ-დემოკრატიულ პარტიას პატრია (მამული) ურჩევნია“, - ასე უნდა მოიქცესო, წერდა იგი („ჩვენი ქვეყანა“, 18.02.1919).

საკითხი აქტუალური იყო, მაგრამ დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის უპირატესობა იმდენად დიდი იყო უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შე-

სულ სხვა პარტიებზე ცალ-ცალკე თუ ყველაზეც ერთად (109 მანდატი 130 შესაძლებლიდან), რომ ამ უკანასკნელთა მხრიდან კოალიციის შეთავაზება არარეალური ჩანდა. ახლა მხოლოდ გამარჯვებული ძალის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული, გააგრძელებდა მთავრობის დაკომპლექტების კოალიციურ პრინციპს თუ დაადგებოდა სხვა გზას. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ერთპარტიული მთავრობა ამჯობინეს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების მოახლოებისას, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მთელი ქვეყნის მასშტაბით მობილიზაცია გამოცხადდა. საარჩევნო შტაბმა გაზეთ „საქართველოს“ მეშვეობით არაერთხელ მიმართა პარტიის წევრებსა და თანამგრძნობთ, რომლებიც პროვინციებში მიემგზავრებოდნენ, შეევლოთ მთავარ კომიტეტში და მიეღოთ დავალებები სხვადასხვა პირველადი ორგანიზაციისათვის გადასაცემად. ამასთან, პარტიის ყოველი წევრი დათქმულ დღეებში უნდა გამოცხადებულიყო მახლობელ პარტიულ ორგანიზაციაში და არჩევნების ხელმძღვანელი ორგანოებისაგან მიეღო შესაბამისი მითითება.

პარტიის მთავარი კომიტეტი ორგანიზაციის რიგით წევრებსა და მომხრეებს განუმარტავდა, რომ „ეს არჩევნები საბოლოოდ გადასწყვეტს საქართველოს ბედს“, მოუწოდებდა არ დარჩენილიყვნენ შინ და ხმა მიეცათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო სიისათვის.

თავის ერთ-ერთ წინასაარჩევნო მიმართვაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კიდევ ერთხელ შეახსენებდა ამომრჩეველს პარტიის პრიორიტეტებს და კენჭისყრისას მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა. მიმართვაში სახელწოდებით „გახსოვდეთ“, - აღნიშნული იყო: „იცოდეთ რომ ერთადერთი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იცავს მედგრად თავის სამშობლოს ინტერესებს, მხოლოდ ეს პარტია ჩასწვდა ქართველი ერის სულისკვეთებას. ...მხოლოდ მაშინ განახორციელებთ სამშობლოს თავისუფლების იდეას, როდესაც წარსდგებით წინ და ხმამაღლა მოითხოვთ თქვენი სამშობლოს ჭრილობა-იარათა განკურნება-გამრთელებას. კარგად გახსოვდეთ ჩვენი პარტიის პროგრამის ძირითადი დებულებანი. არ უღალატოთ, არ შესცდეთ, არ მოსტყუვდეთ. არ დაივიწყოთ რომ მხოლოდ ჩვენი პარტია დაიცავს თქვენს კერძო საკუთრებას. ...კარგად გაითვალისწინეთ სოციალისტური პარტიების მოთხოვნილებანი. იცოდეთ, სოციალიზმი მტერია საქართველოს უმრავლესობის. თუ გწამთ თქვენი საკუთარი თავის თაოსნობა, მოვლა და პატრონობა, უნდა მისცეთ ხმა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც სამართლიანად სამშობლოს პარტიას ეძახიან“ („საქართველო“, 11.02.1919).

სხვადასხვა პირველწყაროდან მკაფიოდ და ნათლად ჩანს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საარჩევნოდ კვლავაც თავისი ძირითადი პრინციპების ერთგული რჩებოდა. ეს პრინციპები კი იყო: სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ეროვნული კონსოლიდაცია, კერძო საკუთრების დაცვა, მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება, შრომის უფლება ყველასათვის, მოქალაქეთა თანასწორობა და სხვ.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს წიგნიერი მოსახლეობა („შეგნებული ამომრჩეველი“) მხარს არ დაუჭერდა სოციალისტური მსოფლმხედველობის პარტიებს და არჩევნებში ხმას ამ მემარჯვენე ძალას მისცემდა. გაზეთ „საქართველოს“ შეფასებით, „პრაქტიკულმა ცხოვრებამ შეურყევლად დაამტკიცა ჩვენი პარტიის იდეოლოგიისა და პროგრამის უპირატესობა სოციალისტური დოგმების წინაშე. ...განსაკუთრებით შეგნებული ამომრჩევლები, ქალაქისა და მოწინავე პროვინციების მცხოვრებლები უცხადებენ ნდობას ეროვნულ-დემოკრატიას. სოციალისტებს რჩებათ საქართველოს მივარდნილ კუთხეები, სადაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია ჩვენს გაზეთს და სიტყვიერ პროპაგანდას“ („საქართველო“, 2.02.1919).

ეროვნულ-დემოკრატთა მოლოდინი ვერ გამართლდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალისტური მიმდინარეობის პარტიებმა, უპირატესად საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ გაიმარჯვა. მართალია, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ეროვნულ-დემოკრატებიც მოხვდნენ, მაგრამ ამ მემარჯვენე პოლიტიკური ძალის წარმომადგენლობა დიდი არ ყოფილა (8 მანდატი 130-დან).

ცნობილია რომ, დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის მზადების პარალელურად, საქართველოში საქალაქო თვითმმართველობათა წინასაარჩევნო კამპანიაც მიმდინარეობდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სხვებთან ერთად ამ არჩევნებისთვისაც საგანგებოდ ემზადებოდა. საგულისხმოა რომ, თბილისის საქალაქო არჩევნებში, რომელიც 1919 წლის 1-2 თებერვალს გაიმართა, ეროვნულ-დემოკრატები მათგან გამოყოფილ რადიკალ-დემოკრატებთან (დავით ჩიქოვანი, ალექსანდრე ახმეტელი, თედო სახოკია და სხვ.) და ასევე, ახლად შექმნილ უპარტიოთა კავშირთან (კოტე აფხაზი, ივანე ჯავახიშვილი, კოტე მაყაშვილი და სხვ.) ერთობლივი სიით გამოვიდნენ („საქართველო“, 25.01.1919; ჯანელიძე ო., 2002, გვ.330). ამის მიუხედავად, დამფუძნებელი კრების არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიული და რადიკალ-დემოკრატიული პარტიების ერთ ბლოკში გაერთიანების საკითხი არც განხილულა. რადიკალებმა კანდიდატთა დამოუკიდებელი სია წარადგინეს (N 7).

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში შესაძლებელი იყო ეროვნულ-დემოკრატიული და მისგან 1918 წლის სექტემბერში ჩამოშორებული დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (გრიგოლ ვეშაპელი, რევაზ გაბაშვილი, დავით ვაჩნაძე და სხვ.) ერთობლივი მონაწილეობა. საკითხი არჩევნებში საერთო სიით გამოსვლის თაობაზე დამოუკიდებლებმა წამოჭრეს კიდეც, მაგრამ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა უარყო მათი ეს წინადადება („საქართველო“, 16.01.1919). დამოუკიდებელმა ეროვნულ-დემოკრატებმა ამის შემდეგ თავს „ეროვნული პარტია“ უწოდეს და არჩევნებშიც ცალკე გამოვიდნენ (სია N 8).

წინასაარჩევნო დაპირებები წერილობით არც რადიკალ-დემოკრატებს შეუდგენიათ და ისინი ძირთადად იმ რეგიონში ზეპირი აგიტაციით შემოიფარგლნენ (ქიზიყი), რომელშიც უფრო მეტი წევრი, მომხრე და მიმდევარი ჰყავდათ. რაც შეეხება კიდევ ერთ მემარჯვენე ძალას - ეროვნულ პარტიას, მან 1919 წლის 31 იანვარს, თავის გაზეთში „კლდე“ დაბეჭდა და ელექტორატს წარუდგინა წინასაარჩევნო პლატფორმა, რომელშიც ასახული იყო ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ხედვა, ქვეყნის განვითარების სტრატეგია და მისი მიღწევის გზები.

ეროვნული პარტიის საარჩევნო ლოზუნგი იყო „საქართველო ჯერ ქართველებისთვის!“ წინასაარჩევნო პლატფორმაში დეკლარირებული იყო, რომ ეროვნული პარტია მტკიცედ იცავს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, მოითხოვს აგრარული საკითხის სახელმწიფოებრივ გადაწყვეტას, მიწის მფლობელობის ნორმის გადიდებას, ჩამორთმეულ მიწაში მეპატრონისათვის საფასურის გადახდას, მიწის ყიდვა-გაყიდვის დაშვებას (პლატფორმის შესაბამისად, ვიდრე ქართველი გლეხობის საჭიროება არ დაკმაყოფილდებოდა, უცხოელებს მიწის შეძენა უნდა აკრძალვოდათ).

ეროვნული მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად პარტიის პლატფორმა მონოპოლიების შეზღუდვას, სპეკულაციის აღკვეთას და ქართველ ვაჭარ-მრეწველთა მიმართ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა.

პარტიისათვის პრიორიტეტული ამოცანა იყო ქვეყნის თავდაცვის პრობლემა, რისთვისაც აუცილებლად მიაჩნდა მთლიანი სამხედრო ძალის - მუდმივი რეგულარული არმიის შექმნა. რაც შეეხება ამა თუ იმ პარტიულ რაზმსა და სახალხო გვარდიას, - ეროვნული პარტია მათ გაუქმებას მოითხოვდა. ეროვნულმა პარტიამ მუდმივ ჯარში სამსახურისათვის გარკვეული პრი-

ვილეგიების დაწესების იდეაც წამოაყენა. პლატფორმის თანახმად, „თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახურ ქართველებს“.

ეროვნულ პარტიას მმართველი სოციალ-დემოკრატიის არც კონფესიური პოლიტიკა მოსწონდა. მართალია, სეკულარიზაციის წინააღმდეგ არ ილაშქრებდა, მაგრამ აუცილებლად მიაჩნდა „ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათის დაცვა“. პარტია მთავრობას ურჩევდა, მეტი პატივისცემით მოპყრობოდა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს.

პლატფორმა მიმართავდა მოსახლეობას, არ მიეცა ხმა სოციალისტური პარტიებისათვის, რადგან ისინი „სულ სხვისი საკუთრების წართმევაზე ფიქრობენ“. ეროვნული პარტია აფრთხილებდა ელექტორატს, არ დაეჯერებინათ არც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, არც რადიკალ-დემოკრატებისა და უპარტიოთა კავშირისათვის, რადგან მათ „არ სწამთ ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა“. ეროვნული პარტიის პლატფორმა მთავრდებოდა მოწოდებით: „მამულიშვილნო, მხოლოდ საქართველოს ეროვნული პარტია დაიცავს მტკიცედ, ისე როგორც „კლდე“ სახელმწიფოებრივ პროგრამას.

მოითხოვეთ ყოველ საარჩევნო ყუთთან ჩვენი ბიულეტენი N 8.“ („კლდე“, 31.01.1919)

მემარჯვენე ძალებმა საარჩევნო ბლოკი დამფუძნებელი კრების მხოლოდ მეორე დამატებითი არჩევნებისას - 1920 წლის მაისში შეკრეს. ბლოკში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, უპარტიოთა კავშირი და რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა კავშირი გაერთიანდნენ. მათ კანდიდატთა საერთო სია # 16 წარადგინეს. ბლოკს წინასაარჩევნო პლატფორმა არ გამოუქვეყნებია. მასალა არც იმის საილუსტრაციოდ მოიპოვება, რა ფორმისა და შინაარსის საარჩევნო კამპანია აწარმოა ბლოკმა ან აწარმოა თუ არა იგი საერთოდ. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ ამ მემარჯვენე საარჩევნო სუბიექტმა ჯამში 2350-მდე ხმა დააგროვა, რაც სადეპუტატო მანდატის მისაღებად საკმარისი არ იყო.

აქვე, როგორც ისტორიულ დოკუმენტს, დავურთავთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმის ტექსტს რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის, რომელიც დათარიღებულია 1917 წლის 14 ნოემბრით და გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველო“:

„მამულიშვილნო! საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიზანია თავისუფალი საქართველოს აღდგენა.... მთელი ამერეთი და იმერეთი უნდა გაერთიანდეს და დაამყაროს ის ეროვნული თვითმმართველობა, რომლის უფლებანი საქართველოს ეკუთვნის 1783 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებით.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ არის სოციალისტური პარტია, იგი მოითხოვს ყველა კლასთა შეთანხმებას და თანამშრომლობას, რათა ქართველმა ერმა გაერთიანებული ძალებით დაიცვას თავისი თავი და მიაღწიოს თავისუფლებას.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იცავს კერძო მესაკუთრეთა უფლებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ვინაიდან მხოლოდ კერძო საკუთრების კერძო თაოსნობის და კერძო შემოქმედების განმტკიცებით შეიძლება ქართველი ერის გამდიდრება, განათლება და გამრავლება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს თანასწორობას ქართული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს, რათა საქართველოს ავტონომიურმა მთავრობამ გამოისყიდოს იძულებით დიდი მამულები და გადასცეს იგი უშუალოდ მიწის მუშას, გლეხს სრულ საკუთრებად, იმ წესით, რა წესითაც საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება დაადგენს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს ქართული მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის და აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარებას.

მამულიშვილნო! ვისაც გწამთ რომ მთლიანი თავისუფალი საქართველო კერძო მესაკუთრეს თავისუფალ შრომაზე უნდა იყოს აშენებული, მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას N 8-ს.

მესაკუთრენო! გახსოვდეთ, არც ერთი ხმა სოციალისტებს; მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაიცავს თქვენს ინტერესებს როგორც რუსეთის, ისე საქართველოს დამფუძნებელი კრებაზე".

2.4. საარჩევნო კამპანიის ეთიკური საკითხები - ნათია ზედგინიძე

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონმდებლობის მორალურ–ზნეობრივი გააზრება აუცილებელია სამართლიანი გარემოს დასამკვიდრებლად. აღნიშნულის უზრუნველყოფის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი გზაა პროფესიული ეთიკის კოდექსები. ეთიკის კოდექსები ხელს უწყობს სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე მოხელეთა და პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას.

პოლიტიკის სფეროს მარეგულირებელი ეთიკის კოდექსებიდან ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საპარლამენტო ქცევის ეთიკის კოდექსი. დამფუძნებელი კრება (1919–1921) წარმოადგენდა საქართველოს ისტორიაში დემოკრატიულად არჩეულ პირველ საკანონმდებლო ორგანოს. მართალია, იმ პერიოდში ცალკე სახით ქცევის ეთიკური წესების დოკუმენტები არ შემუშავებულა, თუმცა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებში ვხვდებით მორალურ–ეთიკურ დებულებებს, რომლებიც თანამედროვე ეთიკის კოდექსებისათვის არის დამახასიათებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში რთულია გამიჯნავი ხაზის პოვნა სამართლებრივ და ეთიკურ ნორმას შორის, რამდენადაც კანონში ეთიკური პრინციპების გათვალისწინების გარეშე სამართლიანობის უზრუნველყოფა შეუძლებელია.

1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება, რომელსაც უნდა უზრუნველეყო დემოკრატიული, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარება. საქართველოს ისტორიაში პირველი საყოველთაო სახალხო არჩევნების საფუძველზე შექმნილი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 14–16 თებერვალს პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15–მა საარჩევნო სუბიექტმა და პარტიული სიებიდან არჩეულ იქნა 130 დეპუტატი. დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებაში, რომელიც 119 მუხლისაგან შედგებოდა, დეტალურად გაიწერა საარჩევნო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. მე–9 თავი „არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა", ადგენდა, როგორც საარჩევნო კამპანიის თავისუფლად და სამართლიანად ჩატარების აუცილებელ ნორმებს, ისე მათი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი დასჯის მექანიზმებს -თავისუფლების აღკვეთას ან ფულად ჯარიმას (აქტები, გვ.84-109).

საგულისხმოა, ის ფაქტი, რომ დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებით განსაზღვრული ნორმები, რაც უზრუნველყოფდა საარჩევნო პროცესის სამართლიანად წარმართვას, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ძირითადად ეთიკის კოდექსებით რეგულირდება. საქართველოში 1990 წლიდან დღემდე, ვერ მოხერხდა პოლიტიკური პარტიებისათვის წინასაარჩევნოდ ქცევის ეთიკური წესების დოკუმენტზე საერთო თანხმობა, საარჩევნო პროცესის ღირსეულ, თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, რაც

რეალური დემოკრატიის დამკვიდრებისა და სახელისუფლო ორგანოების ლეგიტიმურობის ფუნდამენტური წინაპირობაა.

ამგვარად, 100 წლის წინ დამტკიცებული დებულება „დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“, რომელიც ცალსახად პროგრესული შინაარსის მატარებელი იყო, ერთგვარ შესაძლებლობას გვაძლევს გავიაზროთ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო მოღვაწეების პოლიტიკური კულტურისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების მასშტაბები. ამ ფონზე, შევაფასოთ საარჩევნო პროცესისა და პოლიტიკური კულტურის მიმდინარე პრობლემები და გავითვალისწინოთ ისტორიული გამოცდილება დღევანდელი პოლიტიკური პროცესის გასაჯანსაღებლად.

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი დარღვევები, რაც არ უნდა დაეშვათ საარჩევნო კამპანიის დროს:

- საარჩევნო მოწოდებების, სიების შეცვლა და გადაფარვა (მუხლი 93)

- წინასაარჩევნო აგიტაციისთვის განკუთვნილ შენობაში შეჭრა, სააგიტაციო ლიტერატურის განადგურება, აგიტაციის გამწევ პირებზე მუქარა ან ძალადობა. (მუხლი 94)

- კანდიდატის პიროვნების, მისი პირადი ცხოვრების შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მიზნად ისახავდა კანდიდატისა და მისი ორგანიზაციისადმი ნდობის დაკარგვას. (მუხლი 95)

- კანდიდატობაზე თანხმობის შესახებ ყალბი ან გადაკეთებული განცხადების წარდგენა; ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დამფუძნებელი კრების წევრობაზე კენჭისყრაში მონაწილეობის ყალბი ან გადაკეთებული განცხადების წარდგენა.(მუხლი 96)

- ყალბი საკანდიდატო სიებისა და საარჩევნო ბარათების გავრცელება.(მუხლი 97)

- საკანდიდატო სიების წარმომადგენელთა მიერ წინასწარ მოწვეული საარჩევნო კრებებისათვის ან საარჩევნო კომისიების მუშაობისათვის ხელის შეშლა ძალადობრივი მოქმედებით, მუქარით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით ან უწესობის ჩადენით. (მუხლი 98)

- ეკლესიებსა და ღვთისმსახურების შესასრულებელ სხვა ადგილებში დამფუძნებელ კრების საარჩევნო აგიტაცია როგორც ქადაგების, ისე სიტყვიერ ან წერილობითი მოწოდების სახით. (მუხლი 99)

- პიროვნებაზე ძალადობა მოტყუილებით, მუქარით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით ან ეკონომიკური დამოკიდებულების საშუალებით საარჩევნო უფლების მქონესათვის თავისუფლად ხმის მიცემის განხორციელებისათვის ხელის შეშლა.(მუხლი 100)

- ძალადობის საშუალებით, მუქარითა თუ უწესობის მოხდენით საარჩევნო სიების, საარჩევნო დოკუმენტებისა და ყუთების გაფუჭება ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობით ხელის შეშლა საარჩევნო პროცესის წარმოებისას კომისიის შენობაში. (მუხლი 101)

- უწესობით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ამომრჩეველთათვის ხელის შეშლა. ისჯებოდა აგრეთვე ცდა ამგვარი დანაშაულის.(მუხლი 102)

- საარჩევნო უბანზე, აკრძალული იყო წინასწარი აგიტაციის ჩატარება. ასევე არჩევნების წარმოებისას წესრიგის დარღვევა. (მუხლი 103)

- ამომრჩეველის გადაბირება დაპირებით, მისთვის ან მისი ოჯახის წევრისათვის პირადი ან ქონებრივი სარგებლის მიცემით, რომ უკანასკნელს არ მიეღო მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში. ისჯებოდა აგრეთვე ცდა ასეთი დანაშაულის ჩადენისა. ასეთივე სასჯელით ისჯებოდა ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვია ან მიუღია პირადი სარგებლობა ზემოაღნიშნული მიზნით. (მუხლი 104)

- ამომრჩევლის გამასპინძლება იმ მიზნით, რომ დამფუძნებელ კრებაში არჩევნების დროს ხმა მიეცემინებინა თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ.(მუხლი 105)

- პიროვნებას, რომელსაც არ ჰქონდა ან დაკარგული ჰქონდა საარჩევნო ხმა და მაინც მიიღებდა არჩევნებში მონაწილეობას ისჯებოდა დატუსაღებით. ასეთივე სასჯელი იყო გათვალისწინებული, იმ პირთათვის, რომლებიც ერთზე მეტ ხმას მისცემდნენ სხვადასხვა საარჩევნო უბანში ან სხვის მაგიერ მისცემდნენ ხმას თუნდაც მისი თხოვნით.(მუხლი 106)

- ხმის მიცემის შედეგების დამახინჯება, საარჩევნო ბარათების ჩამორთმევის, დათვლის ან გამოქვეყნების დროს, საარჩევნო პროცესის წარმოებისას საარჩევნო ბარათების ჩამატება ან შეცვლა ისჯებოდა კანონით. აგრეთვე ისჯებოდა დანაშაულის ჩადენის ცდაც (მუხლი 107).

- აკრძალული იყო ხმის მიცემის საიდუმლოების გამოაშკარავება დამფუძნებელი კრების არჩევნებში (მუხლი 108).

- საარჩევნო კომისიის წევრები ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევდა დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოეხდინა არჩევნების მსვლელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, ისჯებოდა დატუსაღებით ან უფრო მკაცრი სასჯელით (მუხლი 109).

დამფუძნებელი კრების საარჩევნო პროცესის წარმოება ევალებოდა ცენტრალურ, საქალაქო, სამაზრო, სასოფლო საზოგადოებისა და სოფლის წვრილ საუბნო საარჩევნო კომისიებს, რომელთაც ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა არჩევნები სამართლიანად და წესიერების ფარგლებში ჩატარებულიყო (აქტები, გვ.86) დამფუძნებელი კრების დებულებაში გაწერილი ეთიკურ–სამართლებრივი ნორმების გარდა, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ იქნა ცირკულარი, რაც კრძალავდა საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული მოხელეების ჩართვასა და პარტიული მიზნებისთვის მათ გამოყენებას („საქართველო“, 20.02.1919). მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების თავისუფლების დაცვა კანონმდებლობით იყო უზრუნველყოფილი, იმდროინდელი პრესის ფურცლებზე მრავლად ვხვდებით ოპოზიციური პარტიების კრიტიკას არჩევნების მიმდინარეობისას საკანონმდებლო მუხლების დარღვევის შესახებ.

უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარება მოიაზრებოდა, 1919 წლის გვიან გაზაფხულზე, თუმცა პარლამენტმა სოციალ–დემოკრატიული პარტიის წინადადებით, შეცვალა ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონი და დააჩქარა არჩევნები. სოციალ–დემოკრატები აღნიშნულ გარემოებას ხსნიდნენ საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით. კერძოდ, პარიზის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციამდე, საქართველოს ხალხის მიერ საყოველთაო და პირდაპირი წესით უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს–დამფუძნებელი კრების არჩევა, ცხადყოფდა, ქართველი ხალხის ურყევ და მტკიცე ნებას დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრებისა, რაც გააბათილებდა რუსეთში შეთხზულ ამბავს, თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მხოლოდ ინტელიგენციის სურვილით. ამგვარად, სოციალ–დემოკრატების მოსაზრებით, დაჩქარებული წესით, დამფუძნებელი კრების არჩევა, მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა საქართველოს საერთაშორისო აღიარების საქმეში („საქართველო“, 6.03.1919)

„ეროვნულ–დემოკრატიული“ პარტიის წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ სოციალ–დემოკრატიული პარტიის ზემოაღნიშნულ არგუმენტს და მიაჩნდათ, რომ თუ ევროპის დიდი სახელმწიფოებისთვის მიუღებელი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ვერავითარი დამფუძნებელი კრების არჩევა და ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა მიზანს ვერ მიაღწევდა. ამასთანავე, პარიზის კონგრესზე ის ქვეყნებიც იყვნენ წარდგენილნი, რომელთაც დამფუძნებელი კრების არჩევნები ვერ ჩაატარეს, თუმცა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ელოდნენ („საქართველო“, 6.03.1919)

ეროვნულ–დემოკრატების მოსაზრებით, დამფუძნებელი კრების რამდენიმე კვირით გვიან მოწვევა, არ გამოიღებდა სავალალო შედეგს, არჩევნების დაჩქარებამ კი გაანახევრა ვადა სიების გამოქვეყნების, შეცვლის, შესწორების, საარჩევნო ბარათების დაგზავნისა თუ სხვა, რამაც გამოიწვია მთელი რიგი ხარვეზები საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას, დაირღვა საარჩევნო კანონის თითქმის ყველა მუხლი, არ მოესწრო სიების შედგენა, ქალაქების გარდა სიები არსად გამოქვეყნებულა, კომისიები ნაჩქარევად შედგა, საარჩევნო ბარათები გვიან მივიდა ადგილებზე (ოქმები, ტ. I, გვ.108) და შედეგად თავისუფალი საქართველოს პირველი სახალხო წარმომადგენლობა მიემსგავსა უფრო მორიგ პარტიულ ყრილობას, ვიდრე ერის პარლამენტს („საქართველო“, 6.03.1919).

საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას გამოვლენილ დარღვევებზე, ვრცელი ინფორმაცია გვხვდება იმდროინდელი პრესის ფურცლებზე. გაზეთი „საქართველო“ იუწყებოდა, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნებზე მმართველი პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი არღვევდა საარჩევნო კანონს, ამომრჩეველს ემუქრებოდა რეკვიზიციის წესით ქონების ჩამორთმევით, სხვადასხვა სახის შევიწროებით, იმ შემთხვევაში თუ ეროვნულ–დემოკრატიულ პარტიას მისცემდნენ ხმას („საქართველო“, 8.03.1919).

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით იკრძალებოდა საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული მოხელეების პარტიული მიზნებით გამოყენება, კომისარ-მილიციელები და სხვა მოხელეები აქტიურად იყვნენ ჩართული საარჩევნო პროცესში მმართველი პარტიის სასარგებლოდ. მაგალითად, მანგლისში არჩევნების მიმდინარეობისას, კომისარ-მილიციელები და გვარდიელები, სხვადასხვა სოფლებში შედიოდნენ იარაღით და მოსახლეობას ემუქრებოდნენ თუ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ და ხმას არ მისცემდნენ N1 სოციალ-დემოკრატებს, დაჯარიმდებოდნენ–კაცი 10 მანეთით, ქალი– 5 მანეთით. გვარდიელები ინიშნებოდნენ სოფლის კომისიის ინსტრუქტორებადაც („საქართველო“, 28.02.1919). აღნიშნული გარემოებით, ირღვეოდა არამხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, არამედ საარჩევნო კანონის ის მუხლები, რომლებიც კრძალავდა დაშინებას, მუქარას, ძალადობას და ამომრჩევლის ეკონომიური მდგომარეობით სარგებლობას, მოქალაქის არჩევანზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

გაზეთი „საქართველო“ იუწყებოდა, რომ 14 თებერვალს მანგლისის სოფლებში გვიან საღამომდე არ ჩანდნენ საარჩევნო პროცესზე პასუხისმგებელი პირები და არც საარჩევნო ყუთები დაუდგამთ, რის გამოც დილიდან შეკრებილი ამომრჩეველი საარჩევნო უფლების გამოყენების გარეშე დაიშალა. სოფელ ღვევში, საღამოს ხუთ საათზე ჩასულმა გვარდიელებმა, რომლებიც ამავდროულად სოფლის კომისიების ინსტრუქტორებიც იყვნენ, ისარგებლეს ზემოაღნიშნული გარემოებით, სოფელ–სოფელ დაიწყეს საარჩევნო ყუთის ტარება, რასაც უნდოდათ იმას სჩადიოდნენ, ასევე მრავლად ჰქონდათ ცარიელი ბიულეტენებიც, რომელთა გამოყენებას სარაიონო კომისიაში საარჩევნო ყუთის გადატანამდე თავისუფლად შეძლებდნენ. ამომრჩეველი იარაღის შიშით არსებული უკანონობის წინააღმდეგ ხმას ვერ იღებდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი პროტესტს აცხადებდა კანონდარღვევების გამო, თუმცა უშედეგოდ. ღვევის საზოგადოებაში კომისიის მიერ არც ერთი დებულების მუხლი არ იყო შესრულებული. ყუთი არ იყო დალუქული, კომისიის წევრი მრავალჯერ შესდევდა ამომრჩეველს ოთახში ბიულეტენის ჩასადებად. თავმჯდომარეობდა და მდივნობდა იგივე პროპაგანდისტი–ინსტრუქტორი. კომისარი საარჩევნო ყუთთან აგიტაციას ეწეოდა. შენიშნული იყო, რომ მცირეწლოვნებიც იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას და სხვა მრავალი. აღნიშნულ კანონდარღვევებზე ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის რწმუნებულმა 16 თებერვალს წერილობითი განცხადება

შეიტანა სარაიონო კომისიის თავმჯდომარე ბერიძის სახელზე, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია („საქართველო“, 28.02.1919).

ანგარიში არ ეწეოდა არც საარჩევნო კანონმდებლობას და არც შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებულებას, რომელიც კომისრებისა თუ სხვა ადმინისტრაციულ მოხელეებს საარჩევნო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უკრძალავდა. ადმინისტრაცია მიჩვეული იყო პარტიული ორგანიზაციის ეგოიზმს. სოციალ–დემოკრატებმა მარჯვედ გამოიყენეს ადმინისტრაცია. პროპაგანდისტებსა და კომისრებს აუარებელი ხალხი მიყავდა სოფლებში საარჩევნო ყუთებთან. შინაგან საქმეთა მინისტრის ჟესტი, ცირკულარის მიღება, ჟესტად დარჩა და პილატესავით დაიბანა ხელები. ეროვნულ–დემოკრატების მოსაზრებით, ამ გარემოებების გამო დაემსგავსა დამფუძნებელი კრება სოციალ–დემოკრატიული პარტიის ყრილობას და არა დამფუძნებელ კრებას („საქართველო“, 20.02.1919).

თბილისში 14 თებერვალს არჩევნების პირველ დღეს საარჩევნო ყუთებთან მისული ამომრჩევლების რიცხვი 100 კაცს არ აღემატებოდა. 15 თებერვალს საარჩევნო კომისიები, ზოგიერთი უბნის გარდა ცარიელი რჩებოდა. ამგვარი ტენდენცია გაგრძელდა 16 თებერვლის შუადღემდე. ხმების დათვლის პროცესში, მოულოდნელად, საარჩევნო ყუთები სავსე აღმოჩნდა კონვერტებით, რაც ეჭვს ბადებდა. ეს გარემოება განსაკუთრებით დაეტყო იმ ადგილებს, სადაც კომისიების შემადგენლობა მცირერიცხოვანი იყო, ან კომისიაში ერთი ან ორი პარტიის წარმომადგენელი იყო („საქართველო“, 18.02.1919).

არჩევნების დასრულების შემდეგ საარჩევნო პროცესში ჩადენილი მრავალი უკანონობა გამოვლინდა. დადგინდა, რომ უმეტეს წილად საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა, არათუ იცოდნენ საარჩევნო კანონი, არამედ თავად არღვევდნენ და ნებით თუ უნებლით, საშუალებას აძლევდნენ ზოგიერთ პარტიებს აშკარა ბოროტმოქმედებანი ჩაედინათ. მაგალითად, მეოცე პუნქტში ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტებს: ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი კომისიაში გამოცხადდა 15 თებერვლის 9 საათზე, როდესაც კომისია კანონის თანახმად დაიხურა მეორე დღის 9 საათამდე, ხმის მისაცემად გამოცხადებულ პირთა რიცხვი დაახლოებით 100 კაცს უდრიდა, ხოლო მეორე დღეს 16 თებერვალს დილის 10 საათზე, როდესაც ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი მივიდა, ხმის მიმცემთა რიცხვი აღმოჩნდა 300. კომისიაში ამ დროისთვის მხოლოდ 2 წარმომადგენელი იყო, სოციალ–დემოკრატიული და სოციალ–ფედერალისტების პარტიიდან. ბიულეტენის დამრიგებელნი კი აცხადებდნენ, რომ დილით ყუთთან 10–15 კაცზე მეტი არ მისულა. თუ 14–15 თებერვალს ხმათა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: N1 სოციალ-დემოკრატები 132 ხმა; N2 ეროვნულ–დემოკრატები 34 ხმა; N5 სოციალ-ფედერალისტები 18 ხმა; ზემოაღნიშნული ინციდენტის შემდგომ, 16 თებერვალს, ხმები ამგვარად გადანაწილდა N1 სოციალ–დემოკრატები 292 ხმა; N 2 ეროვნულ–დემოკრატები 38 ხმა; N5 სოციალ–ფედერალისტები 161 ხმა, რამაც ეჭვი გააჩინა საარჩევნო კანონის დარღვევაზე („საქართველო“, 18.02.1919).

ასეთივე ამბავი განმეორდა მრავალ ადგილას. 49–ე პუნქტში, დიდუბეში ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტს: ცენტრალურ კომისიის წევრმა ლ. ჯაფარიძემ შენიშნა, რომ საარჩევნო კომისიის კარებთან უცნობი პირი პირადობის ბარათების დიდ ოდენობას ჩუმად აწვდიდა ქალს. ბარათები დაუყოვნებლივ ჩამორთმეულ იქნა. ამ ფაქტის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისიის დადგენილებით, იმ პირებს ეგზავნებოდათ საპირადო ბარათები, ვისაც ბინაზე არ მიუღია, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. გამოირკვა, რომ ის პირი ვინც ბარათებს არიგებდა, აღმოჩნდა N 1 ბიულეტენების დამრიგებელი ვინმე შენგელია. აღნიშნული ფაქტის შესახებ ოქმი შედგა და საუბნო კომისიის საქმე გაეგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, კანონიერი მსვლელობის მისაცემად.

საარჩევნო კანონი დაირღვა ავლაბარში, სადაც დაპატიმრებულ იქნა ორი პირი, რომლებიც დაშნაკცუთუნის სასარგებლოდ აძლევდნენ ხმას სხვის მაგიერ. იმავე მისამართზე აღმოჩნდა დაშნაკცუთუნის ბიურო, სადაც ყალბი მოწმობები მზადდებოდა. ბიურო დაკეტეს. აგრეთვე, ერთობის უბანში დაპატიმრებულ იქნა შვიდი პირი ყალბი მოწმობებით, რომლებიც მემარცხენე სოციალ–ფედერალისტების აგენტები აღმოჩნდნენ. თბილისში მე–20 პუნქტში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 520–მა კაცმა, ხოლო კონვერტების დათვლის დროს აღმოჩნდა 30–ით მეტი. აშკარა ბოროტმოქმედების გამო არჩევნების შედეგი საქალაქო კომისიამ არ მიიღო მხედველობაში („საქართველო“, 18.02.1919). გარდა ზემოაღნიშნული დარღვევებისა, წინასაარჩევნო პროცესში მრავალი ხრიკი იქნა გამოყენებული. 12 თებერვალს რამდენიმე ახალგაზრდამ თბილისში, ელისაბედის ქუჩაზე მაცხოვრებლებს პირადობის ბარათები მოტყუებით ჩამოართვა და ბარათების მაგიერ ბიულეტენი N5 დაუტოვა. მოცემულ დანაშაულზე საქმე აღიძრა მათ პასუხისგებაში მისაცემად.

დუშეთში ჩატარებული არჩევნები კომისიამ არ დაამტკიცა, ვინაიდან, ოთახში სადაც არჩევნები ჩატარდა ჭერი იყო ჩატეხილი და საარჩევნო ყუთი ქვემოდან დაჭყლეტილი. საქმე გადაეცა გამოძიებას. გამოძიების დასრულების შედეგები უნდა მოხსენებოდა ცენტრალურ კომისიას და შემდგომ ამისა, სამანდატო კომისიას მიეცემოდა შესაძლებლობა ეს ხმები გადაენაწილებინათ სხვადასხვა პარტიებს შორის (ოქმები, ტ. I, გვ.101-102).

ობიექტურობა მოითხოვს, ითქვას, რომ დამფუძნებელი კრების საარჩევნო პროცესში ზემოაღნიშნული კანონდარღვევების გარდა, ასევე ვხვდებით, კანონის გააზრების ზნეობრივ–მორალურ მიდგომებს. კანონი წარმოადგენს რა ზოგადი ხასიათის ნორმას, ვერ ითვალისწინებს კონკრეტულ შემთხვევებს, ამიტომ იმისათვის რომ კანონის აღსრულებით სამართლიანობა დადგეს, საჭიროა მისი ზნეობრივ–მორალური კუთხით გააზრება. სწორედ ამგვარი გააზრების ცალკეულ შემთხვევებს ვხვდებით დამფუძნებელი კრების არჩევნებისას.

საარჩევნო დებულების მიხედვით, არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 14–16 თებერვალს. ვინაიდან, დიდთოვლობისა და ქარბუქის გამო რაჭაში ვერ ჩატარდა არჩევნები კანონით განსაზღვრულ ვადებში, სამაზრო კომისიამ ნება დართო ამომრჩეველს 17–19 თებერვალს გამოეყენებინა საარჩევნო უფლება. მოგვიანებით, სადავო არჩევნების განხილვისას, სამანდატო კომისიამ აღიარა რაჭის არჩევნების შედეგები, რადგან განზრახ ბოროტმოქმედებას არ ჰქონია ადგილი (ოქმები, ტ. I, გვ.102). თუ პროცედურულ ჭრილში შევხედავთ კანონს, მაშინ ზემოაღნიშნული ფაქტი, აშკარა კანონდარღვევა იყო, მაგრამ თუ ეთიკურ–სამართლებრივი კუთხით გავიაზრებთ, კომისიების გადაწყვეტილება სამართლიანობაზე იყო ორიენტირებული, ვინაიდან გაუთვალისწინებელი ბუნებრივი პირობების გამო მოქალაქეებს არ შეუზღუდეს უმთავრესი დემოკრატიული უფლება არჩევნებში მონაწილეობისა.

ასევე, სადავოდ მიიჩნეოდა თელავის მაზრის რამდენიმე სოფელში დაფიქსირებული შემთხვევა. მაგალითად, სოფელ გულგულაში ადგილობრივმა მოსახლეობამ საზოგადო ყრილობაზე მიიღო დადგენილება, რომ ერთ კონკრეტულ დღეს გამოცხადებულიყო არჩევნებზე და ყველას ხმა მიეცა N1–თვის. ასეც მოიქცნენ, თუმცა საარჩევნო კომისიამ ხმები ადგილზე არ დაითვალა და დალუქული ყუთი სამაზრო კომისიაში ჩაიტანა, რითაც დაარღვია საარჩევნო კანონი. მიუხედავად იმისა, რომ იმდენი ხმა იყო რამდენიც ბიულეტენი, მოცემული შემთხვევა ეჭვს ბადებდა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნები არ დაამტკიცა მანამ, სანამ სპეციალურმა კომისიამ ადგილზე არ გამოარკვია საქმის ვითარება. კომისიის მოხსენებით, ადგილობრივი სოფლის საზოგადოება არ იყო გაცნობილი ყველა კანონს, რომლის დაცვაც ევალებოდათ საარჩევნო პროცესში. აქედან გამომდინარე, მიიჩნიეს, რომ დალუქული ყუთის სამაზრო კომისიაში ჩატანა, გულუბრყვილობის შედეგი იყო და არა განზრახ გამიზნული ბოროტ-

მოქმედების. შესაბამისად, არჩევნების შედეგები დამტკიცებულ იქნა სამანდატო კომისიის მიერ (ოქმები, ტ. I, გვ.102). სადავო არჩევნების განხილვისას არაერთი მსგავსი მაგალითი გვხვდება, როდესაც კანონების მორალური გააზრებით სამართლიანობის უზრუნველყოფა ხდებოდა.

მოგვიანებით, დამფუძნებელი კრების სხდომაზე ეროვნულ–დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელი ალექსანდრე ასათიანი, საარჩევნო პროცესში გამოვლენილი დარღვევების უმეტესობას, გაუმართავ საარჩევნო კანონს უკავშირებდა და მომავალი პარლამენტისათვის კანონის შემუშავების პროცესში ყველა ხარვეზის გასწორების აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას. განსაკუთრებით აკრიტიკებდა კანონს, რომელიც კომისიებს „პარტიულ ძალთა განწყობილების მიხედვით“ ადგენდა. ასათიანი აღნიშნავდა, რომ ამგვარი წესით შემდგარი მმართველობა არასდროს იქნებოდა კანონის ნამდვილი დამცველი და მორჩილი. ვინაიდან, მმართველ პარტიას შესაძლებლობა მისცა მაზრაში კომისიის წევრებად ძირითადად თავისი პარტიის წარმომადგენლები დაენიშნა, რაც ცხადყო კომისიის ოქმებში აზრთა სხვადასხვაობის უქონლობამ და პროტესტის არარსებობამ.

ალექსანდრე ასათიანი მიიჩნევდა, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა, რომელიც გამოხატავდა ხალხის უმრავლესობის სულისკვეთებასა და ინტერესს, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როდესაც საარჩევნო მუშაობის დროს კანონი სავალდებულოდ იქნებოდა მიჩნეული და ყველა პარტია და ჯგუფი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობდა ერთნაირი უფლებით იქნებოდა აღჭურვილი სამუშაო პროცესში. თუ კანონს ანგარიში არ გაეწეოდა და არჩევნები მოეწყობოდა „პარტიულ ძალთა განწყობილების“ სისტემით, მმართველი პარტია ყოველთვის შეძლებდა მიეღო ისეთი შედეგი, როგორიც მას მოესურვებოდა. აქვე დასძენდა, რომ აღნიშნული გამოსვლით ჩრდილს არ აყენებდა დამფუძნებელი კრების სუვერენიტეტს და მხოლოდდამხოლოდ მიზნად ისახავდა ზემოაღნიშნული მძიმე შეცდომების გათვალისწინებასა და აღმოფხვრას მომავალი პარლამენტისათვის საარჩევნო კანონის შემუშავების პროცესში (ოქმები, ტ. I, გვ.110-112).

ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წევრი ვასილ წერეთელი გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე, აკრიტიკებდა სოციალ–დემოკრატებს, რომელთაც საარჩევნო პროცესში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიმართ ძალმომრეობა არ იკმარეს და თუ ვინმე კრიტიკულ შენიშვნას გამოთქვამდა საარჩევნო პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე ან დამფუძნებელი კრების მისამართით, საქართველოს მტრებს უწოდებდნენ და დასჯით ემუქრებოდნენ. „ხმა გაკმინდეთ, კრინტი არ დაძრათ საარჩევნო ძალმომრეობის შესახებ, რომელიც მმართველმა პარტიამ თავის მოპირდაპირეთა წინააღმდეგ იხმარა, რადგან ამგვარი განქიქება დამფუძნებელ კრებას უცხოელების თვალში სახელს გაუტეხო“. აქვე ვასილ წერეთელი დასძენდა, რომ ვინაიდან, დამფუძნებელი კრება წარმოადგენდა ერთადერთ საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ორგანოს, უკანონოდაც რომ ყოფილიყო არჩეული, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია პატივს სცემდა და დაემორჩილებოდა დამფუძნებელი კრების კანონებსა და დეკრეტებს, თუმცა იმ პირობით რომ კრიტიკის უფლებას დაიტოვებდა. „ჯერ ერთი შეუმცდარი არავინ არის, მეორე დამფუძნებელ კრებაზე უფრო მიგვაჩნია საქართველო და მესამე, თვით საქართველოს ერის შეცდომების შესახებაც კი მოვალე ვართ ვთქვათ ჩვენი სიტყვა“. ვასილ წერეთელი ხაზს უსვამდა, რომ დამფუძნებელი კრება ხალხისთვის იყო და არა ხალხი დამფუძნებელი კრებისათვის, ამიტომ მოვალეობად მიაჩნდათ დამფუძნებელი კრების შეცდომების გამომზეურება და ჯანსაღი კრიტიკა („საქართველო“, 8.03.1919).

2.5.საქართველოს დამფუძნებელი კრების სოციალური პროფილი
(თამარ ორჯონიკიძე, ნათია ზედგინიძე)

დამფუძნებელი კრების წევრთა ბიოგრაფიული მონაცემები, მისი სოციალური შემადგენლობა თავის დროზე თავმოყრილი და გაანალიზებული იყო დამფუძნებელი კრების მიერ. შეადგინეს სპეციალური ცხრილიც, - „დამფუძნებელი კრების შემადგენლობის საერთო სურათი“, რომელშიც წარმოდგენილი იყო დამფუძნებელი კრების წევრთა ეროვნება, პროფესია, განათლება, ასევე თუ საქართველოს რომელი კუთხიდან იყო არჩეული. ეს ცხრილი წარმოდგენილია დოკუმენტების კრებულში „საქართველოს დამფუძნებელი კრება -1919“. მასში ასევე შესულია დამფუძნებელი კრების წევრთა ბიოგრაფიები. კრებულში „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“ მოცემულია საარჩევნო სიები, არჩევნების შედეგები და სხვა დოკუმენტური მასალა. დასახელებული პუბლიკაციები, ისევე როგორც იმდროინდელი ქართული პრესა და საარქივო მასალები საფუძვლად დაედო წინამდებარე ნარკვევს.

საქართველოს დამფუძნებელი კრება შედგებოდა პროპორციული წესით არჩეული 130 წევრისაგან. დამფუძნებელი კრების ძირითადი არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 14-16 თებერვალს. საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილებში, სადაც ამ დროს ვერ მოხერხდა არჩევნების ჩატარება, 1919 წლის ზაფხულსა და 1920 წლის გაზაფხულზე გაიმართა ორი დამატებითი არჩევნები. დამატებითი არჩევნების, დეპუტატთა გარდაცვალების თუ სხვა მიზეზთა გამო, დამფუძნებელი კრების შემადგენლობა იცვლებოდა. დამფუძნებელი კრების დეპუტატის სტატუსი სულ 145 პიროვნებას ჰქონდა.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება: სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიაში 85-ე ნომრით დასახელებული კაციაშვილი ნიკოლოზი 1919 წლის თებერვალში გარდაიცვალა. თუმცა 1919 წლის 22 მარტს, დამფუძნებელი კრების მე-5 სხდომაზე, როდესაც მოისმინეს სამანდატო კომისიის მოხსენება, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ გაყვანილი 109 დეპუტატის ჩამონათვალში მაინც შედიოდა გარდაცვლილი ნიკოლოზ კაციაშვილი (ოქმები, ტ. I, გვ.108). აღნიშნული სია დამფუძნებელმა კრებამ ამ სახით დაამტკიცა (ოქმები, ტ. I, გვ.114). წესით, ის უნდა ჩაენაცვლებინათ N110 დეპუტატით - ანა სოლოღაშვილით და ეს დამფუძნებელი კრების სხდომაზე უნდა გაკეთებულიყო. არც მე-5 სხდომის და არც მე-6 სხდომის ოქმიდან ეს არ ჩანს. მაგრამ დამფუძნებელი კრების მე-7 სხდომაზე, 1919 წლოს 4 აპრილს, უკვე ჩანს ანა სოლოღაშვილი (ოქმები, ტ. I, გვ.161).

დამფუძნებელი კრების უხუცესი წევრი იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე (1843-1928), ყველაზე ახალგაზრდა, - გიორგი (გოგიტა) ფაღავა (1895-1924).

დამფუძნებელი კრების 6 წევრი საქართველოს გასაბჭოებამდე გარდაიცვალა. ყველანი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები იყვნენ:

გვარი და სახელი	გარდაცვალების თარიღი
1. კაციაშვილი ნიკოლოზ	1919 წლის თებერვალი
2. გვარამაძე თავაზ-ყადირ	1919 წლის 24 აპრილი
3. ჩიხლაძე რაფიელი	1919 წლის 27 აპრილი
4. შარვაშიძე ყადირი	1919 წლის 8 მაისი
5. სურგულაძე სიმონ	1920 წლის 23 იანვარი
6. კიღურაძე ლავროსი	1920 წლის ივნისი

ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გზაზე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი - საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსი მიიღო ხუთმა ქალმა (სოციალ-დემოკრატიული პარტია), მათ შორის ერთ-ერთი (ქრისტინე შარაშიძე) გახდა კრების მდივანი.

„დამფუძნებელი კრების შემადგენლობის საერთო სურათში“, რომელიც 1920 წელს არის შედგენილი, აღნიშნული იყო, რომ დამფუძნებელი კრების წევრთაგან 83 იყო ცოლშვილიანი, 39 უცოლშვილო, 4 ქვრივი და 2 ქმრიანი.

ჩატარებული არჩევნების შედეგად, კრება სრულყოფილად ასახავდა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური შემადგენლობის სურათს.

დამფუძნებელ კრებაში შედიოდა საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენელი: იმერეთიდან იყო 37 დეპუტატი, 33 გურიიდან, 17 სამეგრელოდან, 17 ქართლიდან, 12 კახეთიდან, 11 თბილისიდან, 5 აფხაზეთიდან, 4 რაჭიდან, 3 აჭარიდან, 2 ლეჩხუმიდან, 2 მესხეთიდან, 1 ბორჩალოდან და 1 საინგილოდან.

დამფუძნებელი კრების წევრთა უმეტესობას მოსამსახურეები შეადგენდნენ. სრული სურათი კი შემდეგნაირია:

- მოსამსახურე - 108
- მუშა - 25
- მეურნე - 8
- სამხედრო (ოფიცერი) - 3
- გაურკვეველი - 1

დამფუძნებელი კრების წევრები, როგორც აღინიშნა, „ყოფილი წოდების“ მიხედვითაც აღრიცხეს და ამ მხრივ შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ:

- გლეხი - 65
- აზნაური - 27
- მოქალაქე - 27
- სასულიერო წოდება - 16
- თავადი - 11
- გაურკვეველი - 1

დამფუძნებელი კრების წევრთა დიდ ნაწილს უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული, ძირითადად რუსეთში; გარკვეულ ნაწილს კი ევროპაში.

- უმაღლესი - 75 (რუსეთი-51; ევროპა - 23; ოსმალეთი - 1)
- არასრული უმაღლესი - 14 (რუსეთი - 11; ევროპა - 3)
- საშუალო - 21
- არასრული საშუალო - 4
- დაწყებითი - 15
- არასრული დაწყებითი - 1
- საშინაო - 7
- ტექნიკური - 5

პროფესიას რას შეეხება,

დამფუძნებელი კრებაში ყველაზე მეტ წევრს იურიდიული განათლება ჰქონდა (33). იყვნენ პედაგოგები (24), ჟურნალისტები (17), კოოპერატორები (10), ექიმები (6), ეკონომისტები (5), ასევე 3 აგრონომი, 2 ისტორიკოსი, ასევე თითო ბუღალტერი, ვეტერინარი, ინჟინერი, კანცელარიის მოხელე, მწერალი, პედაგოგი-მოლა, ფილოლოგი და ქიმიკოსი.

აღრიცხული იყო დამფუძნებელი კრების წევრი 25 მუშის პროფესიაც: 4 ტრამვაის მუშა, 3 ასოთამწყობი, 3 ზეინკალი, 2 ელექტრო-ტექნიკოსი, 2 რკინიგზელი მემანქანე, 2 ხარატი, 1

დურგალი, 1 მაღაროელი, 1 ფეიქარი, 1 ხარაზი, დარჩენილი 5 მუშის პროფესია კი არ იყო დაკონკრეტებული.

რამსეი მაკდონალდი, საქართველოში მოგზაურობის შემდეგ, 1921 წლის თებერვალში ჟურნალ „The Contemporary Review"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ეხებოდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ეთნიკურ და პროფესიულ შემადგენლობას, ბუნებრივია, საქართველოში მიღებული მონაცემების და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის იმდროინდელი მდგომარეობის საფუძველზე: „საინტერესოა იმის გაანალიზება, თუ რა ტიპის ადამიანებისგან შედგება სოციალისტთა ეს უმრავლესობა. ის წარმოდგენილია ექვსი ეროვნებით: 89 ქართველი, 4 რუსი, 3 სომეხი, 2 ოსი, 2 გერმანელი, 1 ბერძენი და 1 ებრაელი. მათ შორისაა 32 მუშა, 20 პედაგოგი და დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, 14 ჟურნალისტი, 13 იურისტი, 13 მუნიციპალური მოხელე, 7 ექიმი და 13 ინჟინერი და ტექნიკოსი. 33-მა წევრმა ისწავლა რუსეთის უმაღლეს სკოლებსა და უნივერსიტეტებში; რვამ ისწავლა ევროპის ასეთსავე სასწავლებლებში; 34-მა მიიღო საშუალო განათლება; 20-მა მხოლოდ დაწყებითი სკოლა დაამთავრა; 7-მა საშინაო განათლება მიიღო" (მაკდონალდი რ., 1921, გვ.90).

საქართველოს დამფუძნებელ კრება (1919-1921) ასახავდა იმდროინდელი საქართველოს რეალობას და მასში წარმოდგენილი იყო საქართველოს ყველა კუთხე, თითქმის ყველა სოციალური ფენის და პროფესიის პირი. დამფუძნებელი კრების გენდერულ და სოციალურ მრავალფეროვნებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის წევრებიც დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ დამფუძნებელ კრებაში.

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები რეპრესიების ორი ტალღის ქვეშ მოექცნენ. რადგანაც უმრავლესობა მემარცხენე რევოლუციური პარტიების წარმომადგენლები იყვნენ, ბევრი მათგანი არაერთხელ იყო რეპრესირებული მეფის მთავრობის მიერ. ეს ინფორმაცია თავის დროზე შეაგროვეს დამფუძნებელი კრების „სოციალური სურათის" შედგენის დროს.

1860-იანი წლებიდან 1917 წლამდე რეპრესიები შეეხოთ:

- ერთხელ - 44
- ორჯერ - 25
- სამჯერ -20
- ოთხჯერ - 14
- ხუთჯერ - 6
- ექვსჯერ - 4
- შვიდჯერ - 1
- არცერთხელ -17
- უცნობია - 14

საბჭოთა ოკუპაციის დროისათვის დამფუძნებელი კრების მოქმედი და ყოფილი დეპუტატების რიცხვი შემცირდა და შეადგინა 139-ს. მათგან 31-მა საქართველო 1924 წლამდე დატოვა. ემიგრაციაში წასულებიდან 2 მოკლეს, 2-მა თავი მოიკლა.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დამფუძნებელი კრების დეპუტატები უკვე საბჭოთა რეჟიმის რეპრესიების ქვეშ მოექცნენ. დარჩენილი 108 დეპუტატიდან 93 იყო რეპრესირებული ბოლშევიკური რეჟიმის მიერ (დახვრიტეს 51; ციხესა და გადასახლებაში გარდაიცვალა 5; დააპატიმრეს ან გადაასახლეს 37). რეპრესიებს გადაურჩა რვა დეპუტატი, შვიდი წევრის ბედი უცნობია.

1921 წლიდან 1950-იან წლებამდე რეპრესირებული იყო:

- ერთხელ - 33

- ორჯერ - 27
- სამჯერ - 12
- ოთხჯერ - 7
- ხუთჯერ - 9
- ექვსჯერ - 1
- შვიდჯერ - 3
- რვაჯერ - 1
- არცერთხელ - 8
- უცნობია - 7.

2.6. ქალები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921)

(თამარ ორჯონიკიძე)

1919 წელს ჩატარებული არჩევნებით (ძირითადი და დამატებითი), საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი 5 ქალი გახდა იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოთა უმრავლესობში არჩევნებში ხმის მიცემის უფლებაც კი არ ჰქონდათ ქალებს. საქართველოში არამხოლოდ აირჩეს დამფუძნებლი კრების დეპუტატებად ქალები, არამედ ისინი კრების კომისიების წევრები გახდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართულნი მათ მუშაობაში. ერთ-ერთი მათგანი დამფუძნებელი კრების მდივანი გახდა. არჩეული 5 დეპუტატი ქალი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიერ იყო წარდგენილი პროპორციული სიით.

დამფუძნებელი კრების წევრი ქალები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი კრების და მისი კომისიების მუშაობაში. ოკუპაციის შემდგომ, მათი როლი ანტისაბჭოთა მოქმედებებში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. საბჭოთა რეჟიმმა რეპრესიული ზომები არა მხოლოდ მათი ოჯახის წევრების მიმართ გამოიყენა, არამედ თვითონ ისინიც იყვნენ მსხვერპლნი საბჭოთა რეპრესიული ბუნების ყოველგვარი გამოვლინებისა და საბოლოოდ 2 მათგანი დახვრიტეს 1937 წელს.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა ქალები საარჩევნო სიებში წარმოდგენილი ჰყავდა კიდევ 5 პარტიას, თუმცა მხოლოდ ერთი პარტიის წარმომადგენლებმა მოიპოვეს დეპუტატთა მანდატი. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიერ წარმოდგენილ 130 კანდიდატიან სიაში 6 ქალს ვხვდებით, მათგან 4 ძირითადი არჩევნების შედეგად მოხვდა დამფუძნებელ კრებაში(თებერვალი, 1919); მეხუთე კი დამატებითი არჩევნების შედეგად გახდა დეპუტატი. დამფუძნებელი კრების წევრები იყვნენ: N 36 ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე; N 61 მინადორა ტოროშელიძე; N 72 ქრისტინე შარაშიძე; N 79 ელისაბედ ბოლქვაძე; N 110 ანა სოლოღაშვილი.

ქალი კანდიდატები შემდეგი პარტიული სიით იყვნენ წარმოდგენილნი:

პარტიის სახელწოდება	ქალ კანდიდატთა რაოდენობა	კანდიდატთა ჯამური რაოდენობა	ქალები პარტიულ სიაში	არჩეული დეპუტატები
N 1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია	6	130	N 36; N 61; N72; N 79; N 110; N126	5

N 3 საქართველოს სოციალ-ისტ-რევოლუციონერთა პარტია	5	73	N 31; N 49; N51; N 54; N 68	
N 4 სომეხთა რევოლუციონ-ური პარტია „დაშნაკციუთ-უნი“	2	19	N 11; N 19	
N 5 საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევო-ლუციო პარტია	9	120	N 26; N 37; N41; N43; N46; N56; N 65; N 78; N107	
N 7 საქართველოს რადი-კალდემოკრატიულ გლეხთა პარტია	1	50	N 24	
N 9 საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალ-თა პარტია	3	38	N 20; N 28; N34	

წყარო: *პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში* (2017). გვ.31

ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე (1875-?)

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარჩევნო სიის N 36, ელეონორა ტერ-ფარსე-გოვა-მახვილაძისა 1902 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევ-რი. 1905 წლიდან ცხოვრობდა და ასწავლიდა სოხუმში და საკმაოდ აქტიურად იყო ჩაბმული რევოლუციურ საქმიანობაში. 1917 წლამდე რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1919 წელს კი საქარ-თველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად აირჩიეს და გახდა შრომის, საპენსიო და სახალ-ხო ჯანმრთელობის კომისიების წევრი. 1919 წლიდანვე არჩეული იყო თბილისის საპატიო მომ-რიგებელ მოსამართლედ და თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად. ხელმძღვანელობდა მკერავ-თა პროფკავშირებს.

1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდგომ არ დაუტოვებია ქვეყანა და აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა საწინააღმდეგო მოძრაობაში. შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკ-რატიული მუშათა პარტიის ქალთა კომიტეტში, რომელიც არალეგალურად მუშაობდა პოლი-ტიკური პატიმრებისა და მათი ოჯახების დასახმარებლად. 1922 წლის თებერვალში საქართვე-ლოს ოკუპაციის წლისთავის აღნიშვნისას ანტისაბჭოთა დემონსტრაციების აღსაკვეთად საქარ-თველოს საგანგებო კომისიამ ანტისაბჭოთა ლიდერების დაპატიმრება დაიწყო. დააპატიმრეს ელეონორაც და 3 თვით იზოლაციის წესით პატიმრობა მიუსაჯეს. 1925 წელს აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, თავმჯდომარის დაპატიმრების შემდგომ კი თავად ხელმძღვანელობდა აღნიშნულ კომიტეტს. პარტიული მეტსახელი ჰქონდა - ლუბა. 1926 წელს ელეონორა გაასახლეს ამიერკავკასიის ფარ-გლებიდან. გადასახლებიდან დაბრუნების შემდგომ 1930-იან წლებში კერძო პედაგოგიურ საქ-მიანობას დაუბრუნდა. გარდაიცვალა 1930-იან წლებში. ზუსტი თარიღი უცნობია.

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879–1967)

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარჩევნო სიის N 61 მინადორა ტოროშელი-ძე 1901 წლიდან ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა და აქტიურ-ად მუშაობდა ჟენევის სოციალისტურ წრეებში, „ისკრის“ დამხმარე ჯგუფში. გიორგი პლეხანო-

ვის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა მარქსიზმის თეორიას. 1905 წელს თბილისში დაბრუნებული მინადორა ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. იყო აქტიური მენშევიკი, განსხვავებით ბოლშევიკი მეუღლის - მალაქია ტოროშელიძისაგან. 1917 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის ქალთა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. მინადორა ტოროშელიძე ეროვნული საბჭოს წევრი და ერთ-ერთი ხელმომწერი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტზე 1918 წლის 26 მაისს.

1919 წელს აირჩეს საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად და გახდა შრომის კომისიის მდივანი და სახალხო ჯანმრთელობის კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი.

დამფუძნებელ კრებაში მუშაობის პარალელურად, მინადორა ტოროშელიძე თავმჯდომარეობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა ორგანიზაციას, რომელიც ქალთა პოლიტიკურ კლუბს და დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოებას ზედამხედველობდა.

1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდგომ არ დაუტოვებია ქვეყანა და აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა საწინააღმდეგო მოძრაობაში. ხელმძღვანელობდა „საქართველოს პოლიტიკურ წითელ ჯვარს“ - ბოლშევიკურ რეჟიმთან მებრძოლი პარტიების ერთიან ორგანიზაციას. 1924 წელს მინადორა ტოროშელიძე მოსკოვში გაასახლეს. 1925 წელს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მუშაობაზე უარის თქმის შემდეგ, ნება მისცეს, დაბრუნებულიყო საქართველოში.

1936 წლის ოქტომბერში დაპატიმრეს მინადორას მეუღლე - მალაქია, შვილი - გიორგი და თავად მინადორა ტოროშელიძე. ანტისაბჭოთა საუბრებში ბრალდებული მინადორა, რომელმაც ბრალდება არ აღიარა, 5 წლით ყაზახეთში გადაასახლეს. 1937 წელს კი დააპატიმრეს და 8 წლით შრომა-გასწორების კოლონიაში პატიმრობა მიუსაჯეს. 1937-1938 წლებში დახვრიტეს მინადორა ტოროშელიძის მეუღლე და ორივე შვილი.

გადასახლებული მინადორა მუშაობდა საავადმყოფოში. მიუხედავად იმისა რომ მინადორა ტოროშელიძის სასჯელის ვადა 1945 წელს სრულდებოდა, მას არ მისცეს სამშობლოში დაბრუნების უფლება, გადასახლების ვადა გაუგრძელეს და დაბრუნება მხოლოდ 1950 წელს შეძლო.

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე რეაბილიტირებული იქნა 1956 წელს. გარდაიცვალა 1967 წელს.

ქრისტინე შარაშიძე (1887-1973)

1905 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ქრისტინე შარაშიძე 1917 წელს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი. 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად აირჩეს და გახდა პრეზიდიუმის წევრი(მდივანი) და შედიოდა სამი კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქრისტინე შარაშიძე რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. იყო მნიშვნელოვანი შრომების ავტორი სამხრეთ საქართველოს შესახებ. მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებასა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. ქრისტინე შარაშიძე გარდაიცვალა 1973 წელს.

ანა სოლოღაშვილი (1882-1937)

1903 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ანა სოლოღაშვილი მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში. 1919 წელს კი დამფუძნებელი კრების დეპუტატად აირჩიეს და რამდენიმე კომისიის წევრი გახდა. საქართველოს ოკუპაციის შემდგომ ჩართული იყო ანტისაბჭოთა არალეგალურ საქმიანობაში. ცხოვრობდა და ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. 1937 წელს დააპატიმრეს და მიუსაჯეს დახვრეტა ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდისა და შოვინისტური განწყობების, ასევე ისიდორე რამიშვილთან კავშირის ბრალდებით.

ელისაბედ ბოლქვაძე (1885-1937)

1904 წლიდან სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი ელისაბედ ბოლქვაძე, აქტიურად მონაწილეობდა პარტიულ მუშაობაში გურიაში. რასაც ამიერკავკასიიდან მისი გაძევება მოჰყვა. მან სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ 1917 წელს, რევოლუციის შემდგომ მოახერხა. 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს ჩართული იყო რამდენიმე კომისიის მუშაობაში.

საქართველოს ოკუპაციის შემდგომ დარჩა ქვეყანაში და აქტიურად იყო ჩაბმული წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1923 წელს ბოლქვაძე დააპატიმრეს და ურალის მხარეში გადაასახლეს. იქიდან დაბრუნება 1925 წელს შეძლო და მუშაობდა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატში.

ჩაბმული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში. 1926 წელს კვლავ დააპატიმრეს და 3 წლით კრასნოიარსკში გააგზავნეს. მალევე პატიმრობა გადასახლებით შეუცვალეს.

1936 წელს ბოლქვაძე კვლავ დააპატიმრეს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ბრალდებით და მიუსაჯეს დახვრეტა. დახვრიტეს 1937 წლის თებერვალში.

2.7. ცვლილებები დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში

დამფუძნებელი კრების გარდაცვლილი წევრების ჩანაცვლება

ცვლილებები დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში მალევე მოხდა. ეს განპირობებული იყო ორი მიზეზით: ერთი იყო დამფუძნებელი კრების წევრის გარდაცვალება და მეორე უარის თქმა დამფუძნებელი კრების წევრობაზე.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 6 მაისის სხდომაზე პატივი მიაგეს სოციალ-დემოკრატთა სიით არჩეული რაფიელ ჩიხლაძეს, რომელიც 27 აპრილს გარდაიცვალა და ოსმან შავყი გვარამაძეს, რომელიც ახალციხის მაზრაში მოღვაწეობდა და ვერ მოახერხა დასწრებოდა დამფუძნებელი კრების სხდომებს. დეპუტატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს მათ ხსოვნას (ოქმები, ტ. I, გვ.307-308).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 9 მაისის სხდომაზე პატივი მიაგეს დამფუძნებელი კრების კიდევ ერთ გარდაცვლილ წევრს - ყადირ-ბეგ შერვაშიძეს, რომელიც საქართველოს ერთიანობისათვის იბრძოდა ახალციხის მხარეში (ოქმები, ტ. I, გვ. 357-358).

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სამი წევრი დაკარგა და 9 მაისის სხდომაზე მათ ნაცვლად დამფუძნებელი კრების წევრებად მათ ნაცვლად ჩაირიცხა სოციალ-დემოკრატიული

პარტიის საკანდიდატო სიიდან მომდევნო წევრები: სოლომონ ვადაჭკორია, ერმალოზ სირბილაძე და იოსებ ირემაშვილი (ოქმები, ტ. I, გვ. 358).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 იანვრის სხდომაზე თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გარდაიცვალა სიმონ სურგულაძე. დამფუძნებელმა კრებამ მის სხდომას ფეხზე ადგომით პატივი მიაგო. მის ნაცვლად, რეგლამენტის თანახმად, ოლღა სოლოღაშვილი გახდა დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატების სიიდან (ოქმები, ტ. V, გვ. 59).

1920 წლის 17 თებერვლის სხდომაზე თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ დააყენა საკითხი დეპუტატების მიერ გადახდილი ჯარიმებით გარდაცვლილი დეპუტატების ოჯახების დასახმარებლად გამოეყენებინათ: „მოგეხსენებათ, დეპუტატები ჯარიმის სახით იხდიან ფულს; ეს ფული კასაში ინახება. გახლავთ ასეთი წინადადება, რომ ეს ფული მოხმარდეს განსვენებული დეპუტატების ქვრივ-ობლებს“ (ოქმები, ტ. V, გვ. 233). დამფუძნებელმა კრებამ ეს წინადადება ერთხმად მიიღო.

უარის თქმა დამფუძნებელი კრების წევრობაზე

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 15 აპრილის სხდომაზე წაიკითხეს იოსებ გედევანიშვილის დეპეშა, რომელიც სამხედრო სამსახურის გამო უარს ამბობდა დამფუძნებელი კრების წევრობაზე. მისი ადგილი, კანონის შესაბამისად, დაიკავა სოციალისტ-ფედერალისტთა სიის მე-9 კანდიდატმა თედო ღლონტმა (ოქმები, ტ. I, გვ.240).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე წაიკითხეს დავიდხანიანის განცხადება, რომელმაც უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრობაზე. მისი ადგილი დაიკავა ტერ-სტეფანიანმა (ოქმები, ტ. III, გვ.472).

1920 წლის 9 ნოემბერს ნიკო ნიკოლაძემ (ე. დ.) პირადი განცხადების საფუძველზე უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრობაზე და მისი ადგილი დაიკავა მომდევნო კანდიდატმა შალვა ამირეჯიბმა (ოქმები, ტ. VII, გვ.500). მანდატზე უარის თქმის მიზეზი ხანგრძლივი მივლინებები იყო, რის გამოც ვეღარ მონაწილეობდა დამფუძნებელი კრების საქმიანობაში. ნიკო ნიკოლაძე 1920 წლის აპრილიდან იყო საქართველოს ეკონომიკური მისიის წევრი, „ჩემოს“ (ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოების) ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მიავლინეს „ჩემოს“ საგარეო წარმომადგენლად.

უფლებამოსილების შეწყვეტა შეუთავსებლობის კანონის საფუძველზე

1920 წლის 13 აგვისტოს სხდომაზე სხდომაზე სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მოითხოვა უფლებამოსილების შეწყვეტა თავისივე დეპუტატის იოსებ ელიგულაშვილისათვის. ფრაქციამ წერილით მიმართა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს „სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შეკრებილი ცნობების თანახმად, დეპუტატი ი. ელიგულაშვილი დანიშნულია აგენტად როტერდამსა და საფრანგეთში, ე. ი. უკავია დეპუტატობასთან შეუთავსებელი თანამდებობა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი ვალდებულია დაიცვას დეპუტატობისა და მოხელეობის კანონი“ (ოქმები, ტ. VII, გვ.414).

ამ მოთხოვნის საფუძველზე დამფუძნებელმა კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება და იოსებ ელიგულაშვილის ნაცვლად დამფუძნებელი კრების წევრი კვლავ ანა სოლოღაშვილი გახდა: „დამფუძნებელი კრება ადგენს იოსებ ელიგულაშვილი გამორიცხულ იქნეს დამფუძნებელი კრების წევრობისაგან და თავმჯდომარე აცხადებს, რომ ი. ელიგულაშვილის ნაცვლად დამფუძნებელი კრების წევრად ჩაირიცხება სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით პირველი კანდიდატი ანა სოლოღაშვილის ასული (ოქმები, ტ. VII, გვ.414).

ფრაქციიდან გასვლა

1919 წლის 27 მაისის სხდომაზე წაიკითხეს გერონტი ქიქოძის განცხადება, რომ „იგი აღარ ითვლება ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციაში (ოქმები, ტ. I, გვ.528). თავის მოგონებებში გერონტი ქიქოძე აღნიშნავდა: „მე არჩეული ვიყავი ნაციონალ-დემოკრატიის სიით, მაგრამ ჩქარა გამოვედი პარტიიდან. ასე რომ ერთადერთი უპარტიო დეპუტატი მე ვიყავი“ (ქიქოძე გ., 2003, გვ.17). რაც შეეხება პარტიიდან გასვლის მიზეზებს, გერონტი ქიქოძე ამას შემდეგნაირად ხსნიდა: 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ის ახლად დაარსებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მუშაობდა და ერთხანს მის მთავარ ბეჭდვით ორგანოს „საქართველოსაც“ რედაქტორობდა. როგორც რედაქტორი, შეეცადა დაყრდნობოდა „პატრიოტულად მოაზროვნე ქართველ ინტელიგენციას“ და გაზეთი მათი იდეებისა და მისწრაფებების გამომხატველ ორგანოდ ექცია, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდა „პარტიის ფაქტიური ლიდერის სპირიდონ კედიას მხრით“ (ქიქოძე გ., 2003, გვ.394). ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან წასვლის შესახებ: „ბოლოს, დავინახე, რომ ჩემი შრომა პარტიასა და მის ყოველდღიურ ორგანოში უნაყოფო გახდა და იძულებული შევიქენ გამოვთხოვებოდი ერთსაც და მეორესაც. პარტიის რიგებიდან გასვლამ ვიწრო დისციპლინის სალტეებიდან გამათავისუფლა, მაგრამ შეასუსტა ჩემი გავლენა დამფუძნებელ კრებაში, ხოლო პრესის კარები, არსებითად, დამეხშო“ (ქიქოძე გ., 2003, გვ.40).

თავი III. დამფუძნებელი კრების გახსნა (მალხაზ მაცაბერიძე)

3.1. დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების თარიღის განსაზღვრა

დამფუძნებელი კრების 14-16 თებერვალს ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ დღის წესრიგში დადგა დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების თარიღის განსაზღვრა. 1919 წლის 5 მარტს სამთავრობო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა მოკლე განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის და დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, რომ „დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა დანიშნულია ამა მარტის 12-ს შუადღის 12 საათზე“, ოღონდ არ იყო გადაწყვეტილი, თუ სად ჩატარდებოდა სხდომა და როგორი იქნებოდა მისი დღის წესრიგი.

დამფუძნებელი კრების გახსნის თარიღი შემთხვევით არ იყო შერჩეული - 12 მარტი (ახალი სტილით) რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების დღე იყო. სოციალ-დემოკრატებისათვის, რომელთაც არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს, ამ დღეს დამფუძნებელი კრების გახსნას ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა:

ერთი მხრივ, როგორც უკვე ითქვა, ეს იყო რუსეთის თებერვლის რევოლუციის წლისთავი, რომელსაც სოციალისტები დიდ პატივს სცემდნენ. დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი ორგანო სარედაქციო სტატიაში წერდა: „დღეს ორი წლისთავია რევოლუციის. მან ყველას თვალწინ გაიარა. დღესაც მისით ვსცოცხლობთ და ვცხოვრობთ... რა მოგვიტანა, რა მნიშვნელობა აქვს კერძოდ საქართველოსათვის რევოლიუციას - ესეც ყველასთვის ცხადია. ჩვენ დღეს ეროვნულად დამოუკიდებელნი ვართ და სოციალურ რეფორმების ხანას განვიცდით“. გაზეთი იმედს გამოთქვამდა, რომ რევოლუცია ევროპასაც მოედებოდა - „რევოლუციის ცეცხლი გასწმენდს და განაახლებს უკვე დრომოჭმულ წეს-წყობილებას ევროპისას და ჩვენ ჩქარი ნაბიჯით წავალთ სოციალიზმისაკენ“ („სახალხო საქმე“, 12.03.1919).

რუსეთის თებერვლის რევოლუციასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკა“ აღნიშნავდა: „ისტორიამ ნაკლებათ იცის ასეთი ბრწყინვალე დღე, - იგი ძუნწია და უფრო შავი დღეებით ითვლის თავის გზას. მაგრამ დღევანდელი ბრწყინვალე დღე გამოვგლიჯეთ მას ხელიდან... გასწორდა წელში ხალხი. აღიმართა დიდი რევოლუცია“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 12.03.1919).

დამფუძნებელი კრების გახსნის დღე რომ რუსეთის რევოლუციის მეორე წლისთავს დაამთხვიეს, ამის თაობაზე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1919 წლის 12 მარტს საგანგებოდ იუწყებოდა: „დღეს, რევოლიუციის ორი წლის თავზე გაიხსნება საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა“. რუსულ ენაზე გამომავალი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბორბა“ აღნიშნავდა, რომ „რუსეთის რევოლუციისგან შობილად უნდა ჩაითვალოს ჩვენი დამფუძნებელი კრება“ (ციტ.: „საქართველო“, 13.03.1919).

მეორე მხრივ, 12 მარტს დამფუძნებელი კრების გახსნა რუსეთის რევოლუციის წლისთავს დაამთხვიეს არა მარტო პატივისცემის, არამედ იმის ნიშნადაც, რომ საქართველომ შეძლო რუსეთის რევოლუციის დემოკრატიული მიღწევების შენარჩუნება, ეს დამთხვევა სიმბოლურად იმის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველო აგრძელებდა რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის გზას, ემსახურებოდა ამ რევოლუციის იდეალების ცხოვრებაში დამკვიდრებას, რაც თავად რუსეთში შეუძლებელი აღმოჩნდა ბოლშევიკური გადატრიალების გამო. „დამფუძნებე-

ლი კრება და რევოლიუციის წლის თავი - ეს დედა და შვილის შეხვედრაა, მიზეზის და შედეგის ერთმანეთზე გადახლართვაა“, - აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა“ და იმედსაც გამოთქვამდა, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც „მხოლოდ საღი გამოხატულებაა რევოლიუციის საღი მიმდინარეობის“. შეიძლება „პირველი მერცხალი“ გამხდარიყო „რუსეთის რევოლიუციის გამომრთელების, შეიძლება მისმა მაგალითმა კვლავ დაანახვოს ახლობელ და შორეულ მეზობლებს საჭიროება იმ გზის, რომელიც დღემდე უარყოფილი და მივიწყებული იყო“ (ციტ.: „საქართველო“, 13.03.1919). გაზეთ „ერთობის“ თქმით, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უნდა შეინარჩუნოს და გააგრძელოს რუსეთის რევოლუციის მონაპოვრები და „ის მწყობრ, იურიდიულ ფორმაში ჩამოასხას“ („ერთობა“, 14.03.1919)

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მნიშვნელობაზე ისაუბრა დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე გამოსულმა ორივე ორატორმა, - სილიბისტრო ჯიბლაძემ (ს. დ.) და ალექსანდრე ლომთათიძემ (ს. დ.). სილიბისტრო ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ დამფუძნებელი კრების გახსნის დღე რუსეთის რევოლუციის მეორე წლისთავი იყო. „ჩვენი დემოკრატია, მადლიერი დემოკრატია არ დაივიწყებს დიდ ამაგს რუსეთის დემოკრატიისას. მუხლის მოდრეკით მოვიხსენიებთ ამ დემოკრატიის გმირებს, რომელთაც თავი დასდვეს საკაცობრიო სამსხვერპლოზე“ (ოქმები, ტ. I., გვ.20), - აღნიშნა ს. ჯიბლაძემ და ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის დემოკრატიიდან გადარჩა მხოლოდ საქართველო „ჩვენი პატარა ნავი... დიდი რევოლიუციის, დიდი გემისა“ (ოქმები, ტ. I., გვ.19).

ალექსანდრე ლომთათიძემ თავის სიტყვაში ასევე გამოყო რუსეთის რევოლუციის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ „დღეს, 12 მარტს წლის თავია ამ დიდი გადატრიალებისა“ (ოქმები, ტ. I., გვ.22) და ასევე ხაზი გაუსვა, რომ „26 მაისიდან დაწყობილი დღევანდლამდინ, საქართველოს დემოკრატია ვითა გააფთრებული ლომი იბრძვის, რომ შეინარჩუნოს მონაპოვარი დიდებულ რევოლიუციისა თავის მიწა წყალზე“ (ოქმები, ტ. I., გვ.23).

ზემოთ აღნიშნული ამ ორი, სოციალისტებისთვის მნიშვნელოვანი გარემოებისა, რაც 12 მარტს უკავშირდებოდა, ეს თარიღი, ამიერიდან მნიშვნელოვანი ხდებოდა საქართველოსთვისაც. როგორც კი 5 მარტს ცნობილი გახდა დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების თარიღი, რაფიელ ინგილო (ე. დ.) მეორე დღეს აღნიშნავდა: „დამფუძნებელ კრების პირველი სხდომა 12 მარტს შესდგება. დამოუკიდებელი საქართველოს მატიანეში ეს დღე სამართლიანად ჩაითვლება პირველხარისხოვან და ღირსშესანიშნავ მოვლენად“ („საქართველო“, 6.03.1919). იგივე გაზეთი დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს აღნიშნავდა: „დიდი ისტორიული დღეა - 12 მარტის თარიღით ქართველი ერის ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო“ („საქართველო“, 12.03.1919).

სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი ორგანო „სახალხო საქმე“ დამფუძნებელი კრების გახსნის წინ აღნიშნავდა: „ხვალ გაიხსნება პირველი სხდომა დამფუძნებელი კრებისა. ასის წლის მონობის შემდეგ ეს მეორე მომენტია საქართველოს ცხოვრებაში, რომელსაც მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და საშვილიშვილოდ მოსაგონარი და ნეტარი იქნება ეს წუთები. პირველი მომენტი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მაისის 26. ხოლო მარტის 12 ამ აქტის გამართლება და დადასტურებაა („სახალხო საქმე“, 11.03.1919).

სილიბისტრო ჯიბლაძემ, რომელმაც გახსნა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, დასაწყისშივე აღნიშნა თავისი სიხარული, რომ წილად ხვდა გახსნა „ამ დიადი, ამ ორმაგი დღესასწაულისა“ (ოქმები, ტ. I., გვ.17).

3.2. დამფუძნებელი კრების შეკრების ადგილი

დამფუძნებელი კრების გახსნის თარიღის გამოცხადებასთან ერთად, თავიდან ღიად იყო დატოვებული საკითხი, თუ სად შეიკრიბებოდნენ დამფუძნებელი კრების წევრები: „ადგილი სხდომებისა ცალკე იქნება გამოცხადებული“, - ნათქვამი იყო განცხადებაში („საქართველოს რესპუბლიკა“, 5.03.1919). თუმცა, ისიც ცნობილი იყო, რომ სასწრაფოდ რემონტდებოდა, როგორც მაშინ უწოდებდნენ, სასახლე, სადაც საქართველოს პარლამენტის სხდომები მიმდინარეობდა. დამფუძნებელი კრების სამუშაო ადგილად შეირჩა ყოფილი მეფისნაცვლის შენობა, რომელიც უკვე ორი წელი გადასული იყო რევოლუციის ადგილობრივ მესვეურთა ხელში.

7 მარტს შედგა საქართველოს პარლამენტის და დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეერთებული სხდომა, სადაც საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა უკვე განსაზღვრულ დღესა და დროს გაიმართებოდა სასახლეში, თეთრ დარბაზში.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 7 მარტს მოკლედ აღწერდა იმ მზადებას, რაც სასახლეში მიმდინარეობდა დამფუძნებელი კრების სხდომისათვის, მთლიანად მოვიტანთ ამ ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის თუ როგორ გამოიყურებოდა დამფუძნებელი კრების სამუშაო არეალი: „დამფუძნებელი კრებისათვის დიდი მზადებაა. საგანგებოდ გაკეთდა სასახლის თეთრი, ყვითელი და სპარსული ზალები. თეთრს ზალაში თავმჯდომარის ადგილის მარჯვნივ მოთავსებულია მთავრობის ადგილი, რომელიც არის გაკეთებული პარლამენტის ქვესტორის[1] ადგილი, მარცხნივ კი მომხსენებლის ტრიბუნა თავმჯდომარის ადგილის წინ. მარცხნივ მოთავსებულია მთავრობის ადგილი, რომელიც დეპუტატთა ადგილებზე ცოტათი ამაღლებულია. ყოფილი პრესბიუროს ოთახი მთავრობისათვის არის დათმობილი. ეს ოთახი პირდაპირი კარით უერთდება თეთრი ზალის იმ ნაწილს, სადაც მთავრობის ალაგია. ყვითელი ზალა გადაკეთებულია დიპლომატიური წარმომადგენლებისათვის და უცხო სტუმრებისათვის. ლამაზი და ცალკე ლოჟებია გაკეთებული აგრეთვე დიპლომატებისათვის. სპარსულ ზალაში მოთავსებულია სამკითხველო და ბუფეტი. დამფუძნებელ კრების დარბაზში დეპუტატებისათვის არის განსაკუთრებული შესავალი. ზალაში იატაკი ამაღლებულია. თვითეული დეპუტატისათვის იქნება ცალკე სკამი და პიუპიტერი. დეპუტატების სკამების უკან დადგმულია სკამები ერობის და ქალაქების მოღვაწეთათვის. მარჯვნივ სამი განყოფილებაა საკუთარი შესავლით: პირველი განყოფილება ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებისათვის, მეორე უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის. როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ და თავმჯდომარის ადგილის პირდაპირ ზევით გაკეთებულია ადგილები დამსწრე საზოგადოებისათვის. ყველა სკამები დანომრილია და განსაკუთრებული შესასვლელი ბილეთებით შეიძლება შესვლა. დამსწრეთათვის ადგილები შედარებით წინანდელთან ბევრად მომატებულია. არის 500 კაცზე მეტი ადგილი“ („საქართველოს რესპუბლიკა", 7.03.1919).

გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი პუბლიკაცია დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ გამოიყურებოდა დამფუძნებელი კრების სხდომათა დარბაზი:

„თვით სხდომის დარბაზი ახლად არის შეკეთებული; პრეზიდიუმის ამაღლებულ ადგილის წინ, რომელიც ძალიან ლამაზად მოქნილი ხისაგან არის გაკეთებული, ორატორთათვის ამართულ ტრიბუნაზედ, გამოსახულია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, საქართველოს ღერბი -

[1] ქვესტორი - ძველ რომში ასე ეწოდებოდა ხაზინადარს. ახალ დროში ზოგიერთ პარლამენტში (მაგალითად საფრანგეთში) ასე ეწოდება პირს, რომელიც თვალს ადევნებს წესრიგს პარლამენტში. ზოგიერთ პარლამენტში კი ქვესტორი არის თანამდებობის პირი, რომელიც განაგებს ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობას.

თეთრი გიორგი. გერბის ქანდაკება კარგად არის გაკეთებული მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მიერ, ხოლო ბრინჯაო ჩამოსხმულია თბილისის არსენალში. დეპუტატების ადგილები ორ წყებად არის დაყოფილი პიუპიტრებით: მარცხნით და მარჯვნით და თითო მხარეზედ ათ-ათი დეპუტატი ზის.

პრეზიდიუმის მარცხენა მხარეზედ პირველი ლოჟა, მთავრობისათვის არის მოწყობილი, მეორეში მოთავსებულია საკათალიკოსო საბჭო, და შემდეგ დიპლომატიური კორპუსი. მარცხნით პრესაა და უწყებათა წარმომადგენელნი. პრეზიდიუმის პირდაპირ, დეპუტატების უკან ერობაში და ქალაქებში მომუშავეთა ადგილია“ („საქართველო“, 13.03.1919)

3.3. დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის დღის წესრიგი

საქართველოს პარლამენტის და დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეერთებულ სხდომაზე 1919 წლის 7 მარტს ასევე განისაზღვრა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის დღის წესრიგი: სხდომა უნდა გაეხსნა დამფუძნებელი კრების უხუცეს წევრს. უხუცესი წევრი ნიკო ნიკოლაძე (ე. დ.) იყო, მაგრამ ის თბილისში არ იმყოფებოდა და დამფუძნებელ კრებას გახსნიდა სილიბისტრო ჯიბლაძე (ს. დ.), რომელიც წარმოთქვამდა შესავალ სიტყვას. მდივნის თანამდებობას შეასრულებდა დამფუძნებელი კრების ყველაზე უმცროსი წევრი, რომლის ვინაობაც ამ დროისათვის ცნობილი არ იყო და გაირკვეოდა არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამების შემდეგ.

დამფუძნებელი კრების უხუცესი წევრის შესავალი სიტყვის შემდეგ ჩატარდებოდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის არჩევნები. არჩევნების შემდეგ დამფუძნებელი კრების მდივანი ტრიბუნიდან წაიკითხავდა მილოცვის დეპეშებს და წერილებს. მისალოცი სიტყვის წარმოთქმის უფლება არავის ეძლეოდა („საქართველოს რესპუბლიკა“, 9.03.1919).

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის დღის წესრიგის შემუშავებაში მთავრობაც ჩაერთო, დღის წესრიგში კი, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩაემატა უმნიშვნელოვანესი პუნქტი - „თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ გამოცხადებული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც დამფუძნებელი კრების წევრნი ხელს მოაწერენ“ ("სახალხო საქმე", 11.03.1919).

დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერას რაიმე განხილვის და სიტყვის წარმოთქმის გარეშე განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა: „ქართველოს პოლიტიკური სახეობის გამორკვევისათვის არავითარი სჯაბაასი, არავითარი ბრძოლა არ იქნება. დამფუძნებელ კრების ხელმძღვანელებს უდაოდ მიუჩნევიათ ეს დიადი ისტორიული აქტის ყოველ პარტიის მიერ ერთნაირად განაწილება და დეპუტატები ამ აქტს ხელს მოაწერენ, ქვეყნიერებას ამცნობენ, როგორც ისეთ აქტს, რომელიც არავითარ სიტყვას, არავითარ დავას არ საჭიროებს. ასეთ ნაბიჯის პოლიტიკური მნიშვნელობა ყველასათვის აშკარაა. ჩვენს ხელისუფლებას დუმილით და პირდაპირის ხელისმოწერით სურთ საქართველოს სუვერენობის აუცილებლობის და ეროვნულ აზრის აქტად გამოცხადება“ („სახალხო საქმე“, 12.03.1919).

ხალხის მიერ არჩეული დეპუტატების მიერ დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერა კიდევ ერთხელ აჩვენებდა ქართველი ხალხის ნებას, რომ ეს იყო „საქართველოს ხალხის კატეგორიული გადაწყვეტილება“, ყველასთვის ცხადი გახდებოდა „რუსეთში შეთხზული ცილისწამების“ უსაფუძვლობა, „თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობა ხალხის სურვილის წინააღმდეგ გამოაცხადა უპასუხისმგებლო ინტელიგენციამ, ხალხი კი რუსეთის ფარგლებში დაბრუნებას ითხოვდეს“ („საქართველო“, 6.03.1919) .

დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე დასწრება ძალზედ ბევრს სურდა, ადგილები კი შეზღუდული იყო. ამიტომ დამფუძნებელ კრების გახსნაზე დასასწრები ბილეთები პარლამენტის პრეზიდიუმმა და დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიამ გაანაწილა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და „მოპატიჟებულ პირთა“ შორის. პარლამენტის ქვესტორი სერ. ჟორჟოლიანი პრესაში გამოქვეყნებული განცხადებით ითხოვდა, რომ ახალი ბილეთები აღარავის მოეთხოვა: „უმორჩილესი თხოვნაა ახალი მოთხოვნები არ იქნეს წარმოდგენილი, ვინაიდან მათი დაკმაყოფილება შეუძლებელია დარბაზში უადგილობის გამო და ყველა მოქალაქეთ მოგიწოდებთ ამ დიად დღეს თვით დაიცვათ წესიერება და ამით საშუალება მოგვცეთ მნიშვნელოვან დღეს წესრიგი გვქონდეს“("სახალხო საქმე", 11.03.1919).

აღსანიშნავია დამფუძნებელ კრების პირველ სხდომაზე დასასწრები ბილეთების განაწილება, რაც კარგად აჩვენებს იმ ადამიანთა წრეს, ვინც სხდომას სტუმრის სტატუსით ესწრებოდა: საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ეროვნულ უმცირესობათა ყველა საბჭოსთვის თითო ბილეთი; საქართველოს და უცხო სახელმწიფოთა პრესის ყველა წარმომადგენელთ თითო ბილეთი გამოცემაზე; სამაზრო ერობას - 1 ბილეთი; საერობო ცენტრს - 1; ქალაქთა კავშირს - 2; თბილისის საქალაქო საბჭოს - 2; სახალხო გვარდიას - 5; გენერალ-გუბერნატორს - 1; მილიციის უფროსს - 1; ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს - 1; სამხედრო სამინისტროს - 3; ქართულ უნივერსიტეტს - 1; ქართულ წითელ ჯვარს - 1; წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას - 1; სახელმწიფო თეატრს - 1; საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას - 1; ფილარმონიულ საზოგადოებას - 1; სახალხო უნივერსიტეტს - 2; სასოფლო კომისიას - 5; მუშათა საბჭოს - 5; რკინიგზის კომიტეტს - 5; ვაჭართა და მრეწველთა საზოგადოებას - 3; ფოსტა-ტელეგრაფის რაიონულ გამგეობას - 2; თბილისის კონსერვატორიას - 2; პარტიათა წარმომადგენლებს - 30; ყოფილ დეპუტატებს - 21; დამფუძნებელი კრების კომისიას - 7; პროფესიულ კავშირს - 10; პარლამენტის კანცელარიას - 3; მთავრობის კანცელარიას - 2 („საქართველოს რესპუბლიკა“, 12.03.1919).

დასახელებული ორგანიზაციების „შესაფერის რწმუნებულებით აღჭურვილ წარმომადგენლებს“ დასასწრები ბილეთების გატანა შეეძლოთ სასახლეში, ქვესტორის კაბინეტიდან, 11 მარტს. თუ ბილეთებს დასახელებულ ვადაში არ გაიტანდნენ, ბილეთები სხვა ორგანიზაციებს გადაეცემოდა. ხოლო დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს ბილეთები აღარ გაიცემოდა.

3.4. ქართული პრესა დამფუძნებელი კრების გახსნის წინ

1919 წლის 11-12 მარტს გამოსულ ქართულ გაზეთებში კარგად ჩანს ის განწყობა და მოლოდინი, რაც იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში არსებობდა. ქართული გაზეთების სარედაქციო სტატიები, მიუხედავად ამ გაზეთების პარტიული მიმართულებისა, დამფუძნებელი კრების გახსნას დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდნენ.

დამფუძნებელი კრების გახსნა ცხადდებოდა მეორე უმნიშვნელოვანეს თარიღად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში 26 მაისის შემდეგ: „ხვალ გაიხსნება პირველი სხდომა დამფუძნებელი კრებისა. ასის წლის მონობის შემდეგ ეს მეორე მომენტია საქართველოს ცხოვრებაში, რომელსაც მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და საშვილიშვილოდ მოსაგონარი და ნეტარი იქნება ეს წუთები. პირველი მომენტი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მაისის 26. ხოლო მარტის 12 ამ აქტის გამართლება და დადასტურებაა“ („სახალხო საქმე“, 11.03.1919).

გაზეთ „საქართველოს“ შეფასებით, „12 მარტის თარიღით ქართველ ერის ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო“ („საქართველო“, 12.03.1919).

დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს, 12 მარტს, „საქართველოს რესპუბლიკა“ საზეიმოდ და იმედით აღსავსე აღნიშნავდა: „დღეს მოვიდა საქართველოს ბატონი - დამფუძნებელი კრება. დღეს შეუდგება იგი საქართველოს სახელმწიფო გემის მართვას და გვწამს, რომ შესძლებს იგი აფორიაქებულ, ატალახებულ და ამთაგორებულ ცხოვრებიდან ქვეყანა კვლავ გამარჯვებული გამოიყვანოს“ („სახალხო საქმე“, 12.03.1919).

3.5. რა ხდებოდა სასახლის გარშემო დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის წინ

იმდროინდელ პრესაში დაწვრილებით აღწერილია თუ რა ხდებოდა 1919 წლის 12 მარტს, დილით, ქალაქის ცენტრში, დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების წინ. ამ დღეს აღწერდნენ თბილისში გამომავალი გაზეთები და თითოეული გარკვეულ დამატებით შტრიხს უმატებდა საერთო სურათს.

12 მარტისთვის საგანგებოდ მოემზადა თბილისის გამგეობა. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა: „ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელ კრების გახსნის დღეს ქალაქის თვითმმართველობის სახლი ერევნის მოედანზე ხალიჩებით, ეროვნულ დროშებით და ყვავილებით შეამკოს და საღამოთი გააჩირაღდნოს. ეროვნული დროშებით გალამაზებულ უნდა იქნენ აგრეთვე ბინები ქალაქის ყველა დაწესებულებისა. ეროვნულ დროშების შესაძენათ და ამ ზეიმის მოსაწყობათ ქალაქის გამგეობამ 5 ათასი მან. გამოყო“ (“საქართველოს რესპუბლიკა“, 9.03.1919).

ამ დღეს კარგი ამინდი გამოვიდა და ცხადი იყო, რომ ქალაქის ქუჩებში დაგეგმილ ღონისძიებებს ხელი არ შეეშლებოდა: „მარტის თორმეტს მზიანი დღე დადგა. თუმცა ცოტათი ჰქროდა, მაგრამ დარი საერთოდ და ნამდვილი გაზაფხულისა იყო“ („სახალხო საქმე“, 14.03.1919).

სასახლის გარშემო, სადაც უნდა გახსნილიყო დამფუძნებელი კრების სხდომა, ხალხი, სამხედრო და გვარდიის ნაწილები დილიდანვე იკრიბებოდნენ: „12 მარტს დილიდანვე თბილისის ქუჩებზე დიდი მოძრაობაა. ყველა მაღაზიები დახურულია; სახლებზედ ეროვნული დროშები ფრიალებენ; ყველაფერს ზეიმის ელფერი ადევს; დილის 10 ს. ქალაქის ყოველ კუთხიდან მანიფესტაციები იმართება სასახლისაკენ, სადაც უნდა გაიხსნას საქართველოს დამფუძნებელი კრება, ჯარის სხვა და სხვა ნაწილები, თავისი სარდლობით, მუსიკით მიემართებიან და წინასწარ მიჩენილ ადგილს იჭერენ გოლოვინის პროსპექტზედ; წითელი დროშები ფრიალებენ გვარდიის და სოციალ-დემოკრატიის მსვლელობებზედ; 12 საათისათვის, ყოველი მხრიდან მოსული ჯარი, გვარდია, და სახალხო მანიფესტაციები, სასახლის წინ მწკრივდებიან. სასახლე ეროვნული დროშებით არის მორთული, ხოლო ზევით უკვე დახეული ძველი წითელი ბაირაღის ნაცვლად, ამართულია ახალი წითელი ბაირაღი“. („საქართველო“, 13.03.1919)

სხვა დეტალებს უმატებდა გაზეთი „სახალხო საქმე“: „დილიდანვე ქუჩა, განსაკუთრებით სასახლის ახლოს, სავსეა ხალხით. ასე, თორმეტის ნახევარზე მოდიან სხვადასხვა უბნებიდან წითელი და ეროვნული დროშებით, რევოლიუციონური სიმღერებით სასახლის წინვე მოდიან პარტიული კლუბებიდან ეროვნულ და რევოლიუციონურ დროშებით სოციალისტ-ფედერალისტები. მალე სასახლესთან ტევა აღარაა, ქუჩის ორივე მხარე სავსეა ხალხით, ნემსი ვერ ჩავარდებაო, რომ იტყვიან სწორედ ისეა. ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია. ეს აუარებელი ხალხი უცდის დამფუძნებელი კრების სხდომის დამთავრებას, რომ თვით დეპუტატებისაგან მოისმინოს ახალი სიტყვა და გამხნევება“ („სახალხო საქმე“, 14.03.1919).

სამთავრობო „საქართველოს რესპუბლიკა“ დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს შემდეგნაირად წარმოადგენდა: „ოთხშაბათს, 12 მარტს, დილა ადრიანვე, ტფილისმა სადღესასწაულო სახე მიიღო. ქუჩებში დიდი მოძრაობა იყო, ნამეტნავათ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. სხვა და სხვა განაპირა უბნებიდან მოქალაქენი მიეშურებოდენ რუსთაველის (ყოფილ გოლოვინის) ქუჩაზე, რომ სასახლესთან ახლო მოთავსებულიყვნენ ზეიმზე დასასწრებათ. დილის 11 საათზე სასახლესთან დაიწყო მოსვლა სხვა და სხვა პროფესიონალურ და მუშათა ორგანიზაციებმა თავიანთი სარევოლიუციო და საერო დროშებით და სიმღერით. აქვე მივიდნენ სხვა და სხვა სასწავლებლების მოსწავლენი გაფრიალებულ დროშებით და მუსიკით, ინტერნაციონალის და ქართულ ჰიმნის დაკვრით და სარევოლიუციო სიმღერებით. ქალაქის ყველა კუთხიდან მოსული ყველა პროფესიის და ეროვნების და ორივე სქესის მასსა გამწკრივდა და შემოერტყა სასახლეს, სადაც ამ დღეს დანიშნული იყო დიდი ისტორიული პირველი სხდომა საქართველოს დამფუძნებელ კრებისა. სასახლე გარედან მთლათ დამშვენებული იყო ქართულ ეროვნულ ბაირაღებით და მცენარეულების წნულით და მათ ზემოთ ფლაგშტოკზე ამაყათ ფრიალებდა სარევოლიუციო წითელი დროშა, რომლის ქვეშ ამ ორი წლის განმავლობაში თავისუფლებამ საქართველო მიიყვანა დამფუძნებელ კრებამდე და დამოუკიდებლობის განხორციელებამდე“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 14.03.1919).

სოციალ-დემოკრატების მთავარი ორგანოს მიმომხილველი განი ამ დღეს ლირიული გრძნობების მოჭარბებით აღწერს: „დემოკრატიის დიდი ხნის ნატვრა ასრულდა. 12 მარტს, სასახლეში, იმ სასახლეში, სადაც ვინ მოსთვლის რამდენი შავი საქმე გაკეთებულა, შემობრძანდა ხალხის უზენაესი უფლება. არე-მარე სადღესასწაულოთ მორთულ-მოკაზმულიყო. ქუჩები ხალხით გაჭედილა. გრილი ნიავი წითელ დროშებს ეამბორ-ეკეკლუცება, სიამის ნეკტარს სტაცებს და უდარდელი სიცელქით მთა და ბარში უხვათ აბნევს“ („ერთობა“, 14.03.1919).

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის გახსნას აღწერს გაზეთ „ერთობის“ მეორე კორესპონდენტიც: „10 საათიდან სხვადასხვა უბნებიდან ხალხმა დენა იწყო სასახლისკენ. მოდიოდნენ დროშებით მუშები პროფესიონალურ კავშირთა პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მოსწავლეები - მასწავლებელთა მეთაურობით და სხ. 12 საათზე სწორედ ხალხის ზღვა იყო სასახლის წინ. უკრავდა რამდენიმე ალაგას სამხედრო მუსიკა, მომღერალთა გუნდი მღეროდა და სხ. („ერთობა“, 14.03.1919).

ამავე დროს „ალექსანდრე ნევსკის სამხედრო ტაძრის გალავანში გამწკრივდა ტფილისის გარნიზონის ჯარის ნაწილები, რომელნიც პარადში იყვნენ დანიშნულნი საქართველოს პირველ სამხედრო დროშის მისაღებათ და სამსახურიდან თავისუფალი მილიციის რამზმი“, ხოლო „სიონის საკათედრო სობორში წირვის შემდეგ სამღვდელოების მიერ მრავალი ხალხის დასწრებით პარაკლისი იყო გადახდილი“ („საქართველოს რესპუბლიკა“ 14.03.1919).

3.6. დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა

სასახლეში, სადაც იხსნებოდა დამფუძნებელი კრება, სამი შესასვლელი კარი იყო და შემსვლელებიც განაწილებული იყვნენ: მარჯვენა კარით შედიოდნენ მთავრობის წევრები, დეპუტატები და დიპლომატიური წარმომადგენლები; მარცხენა კარით - პრესის და უწყებათა წარმომადგენლები; შუა კარით კი ქანდარისკენ მიემართებოდა დამსწრე საზოგადოება („საქართველო“, 13.03.1919).

12 საათისათვის დარბაზი გაივსო. პრესის მეშვეობით ვიცით დამსწრე დეპუტატთა რაოდენობა და მათი განლაგება დარბაზში: „მარცხენა სკამებზედ წინ ზიან სოციალისტ-რევოლუციონერების 4 დეპუტატი. მარცხენა წყობის უკანასკნელი სკამები სოც-ფედერალისტთა

დეპუტატებს უკავიათ; შემდეგ და თითქმის მთელ დარბაზში სოციალ-დემოკრატები; მარცხენა რიგზედ ეროვნულ დემოკრატები არიან. პირველი სხდომისათვის 130 დეპუტატიდან 99 გამოცხადდა“ („საქართველო“, 13.03.1919). სხდომაზე დამსწრე 99 დეპუტატს ასახელებს გაზეთი „ერთობაც“ (14.03.1919).

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ დარბაზში დეპუტატთა განლაგებას შემდეგნაირად აღწერდა: „სასახლის თეთრ დარბაზში შუა ალაგები დაიჭირეს დამფუძნებელი კრების სოციალ დემოკრატების ფრაქციის წევრებმა, მარჯვნივ ადგილები დაიკავეს ეროვნულ დემოკრატების ფრაქციის წევრთა და მარცხენა ალაგები - სოციალ-რევოლუციონერთა და სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციებმა“ („საქართველოს რესპუბლიკა“,14.03.1919.

დარბაზი სავსე იყო: „კრების გახსნის დროს ყველა ლოჟები დაკავებული იყო დიპლომატიურ წარმომადგენლების, უწყებათა, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების და სხვა დაწესებულებების მიერ. ყველა ადგილები სავსე იყო გარეშე საზოგადოებით“ ("ერთობა", 14.03.1919).

მთავრობის ლოჟებში სხდომის გახსნას ესწრებოდნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი, მისი ამხანაგი ალ.მდივანი, იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი და სახელმწიფო კონტროლიორი ფილიპე გოგიჩაიშვილი („საქართველო“, 13.03.1919).

ბ. ჩხიკვიშვილმა სოხუმიდან აფხაზეთის დელეგაცია ჩამოიყვანა დამფუძნებელი კრების გახსნაზე დასასწრებად („საქართველოს რესპუბლიკა“, 15.03.1919).

სავსე იყო დიპლომატიური კორპუსის ორივე ლოჟა.

პირველ ლოჟაში ისხდნენ მისი უწმინდესობა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე, სემინარიის რექტორი, დეკანოზი პროფესორ კორნელი კეკელიძე, დეკანოზი კ. ცინცაძე და საკათალიკოსო საბჭოს წევრი რ. ივანიცკი (ინგილო) ("საქართველო", 13.03.1919; ("საქართველოს რესპუბლიკა", 14.03.1919).

12 საათისთვის თეთრი დარბაზი შევსებული იყო. პრეზიდიუმის ამაღლებაზე ავიდა და თავმჯდომარის ადგილი დაიკავა დამფუძნებელი კრების უხუცესმა წევრმა სილიბისტრო ჯიბლაძემ, რომელმაც „მდივნის თანამდებობის ასასრულებლად“ მიიწვია ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი გოგიტა ფაღავა. ამ უკანასკნელმა მის გვერდით, მდივნის ადგილი დაიკავა.

სოციალ-დემოკრატების მთავარი ორგანო გაზეთი „ერთობა“ განსაკუთრებით გამოყოფს სილიბისტრო ჯიბლაძის ძველ დამსახურებებს: „კრებას ხსნის დეპუტატთა უხუცესი, ცნობილი რევოლიუციონერი, ბრძოლის ცეცხლში გაკაჟებული სილიბისტრო ჯიბლაძე. მის გამოჩენას ტრიბუნაზე დეპუტატები და დამსწრენი ფეხზე ადგომით მხურვალე ტაშით ხვდებიან“ („ერთობა“, 14.03.1919).

როდის გაიხსნა დამფუძნებელი კრების სხდომა? ზოგიერთი გაზეთის ინფორმაციით ეს მოხდა ზუსტად დანიშნულ დროს - „სრულ 12 საათზედ“ („საქართველო“, 13.03.1919) „სრულ 12 საათზე საგანგებოდ გადაკეთებულ სასახლის თეთრ დარბაზში გაიხსნა დამფუძნებელი კრება“ („ერთობა“, 14.03.1919). სამთავრობო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ კი ოდნავ განსხვავებულ დროს ასახელებს: „ნაშუადღევის 12 საათზე და 13 წუთ. დამფუძნებელ კრების შეკრებულთა შორის უხუცეს წევრმა ს.ბ.ჯიბლაძემ გახსნა პირველი სხდომა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 14.03.1919). თუმცა, სტენოგრაფიული ანგარიშის მიხედვით სხდომა გაიხსნა 12 საათსა და 12 წუთზე (ოქმები, ტ. I., გვ.17).

სილიბისტრო ჯიბლაძემ თავის სიტყვის ბოლოს აღნიშნა, რომ „დამფუძნებელი კრების მუშაობისთვის საჭირო არის ღირსეული და დახელოვნებულ ხელმძღვანელის არჩევა“ (ოქმები,

ტ. I., გვ.21). ბუნებრივია, დამფუძნებელი კრების შემადგენლობიდან გამომდინარე, ეს თანამდებობა სოციალ-დემოკრატს უნდა დაეკავებინა. ნოე ცინცაძემ (ს. დ.) სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ დაასახელა ნიკოლოზ ჩხეიძე და მის უფროს ამხანაგად ალექსანდრე ლომთათიძე. ორივე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. თავმჯდომარედ დასახელებული ნიკოლოზ ჩხეიძე საქართველოში არ იმყოფებოდა და მის მაგივრად დამფუძნებელი კრებისათვის მის უფროს ამხანაგს უნდა ეხელმძღვანელა.

დანარჩენ ფრაქციებს თავისი კანდიდატები არ დაუსახელებიათ და დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად აირჩია დასახელებული პირები (ოქმები, ტ. I., გვ.21). თავმჯდომარის ადგილი დაიკავა ალ. ლომთათიძემ, რომელმაც წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა (იხ. ქვევით).

სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ალ. ლომთათიძემ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც „დეპუტატები ფეხზე ადგომით ისმენენ“ (ოქმები, ტ. I., გვ.24). დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვის შემდეგ ალ. ლომთათიძემ დეპუტატებს მიმართა, რომ ხელი მოეწერათ „ამ დიდებული აქტისთვის“ და პირველ რიგში, ამის გასაკეთებლად მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია მიიწვია (ოქმები, ტ. I., გვ.25). „11/2 საათზე[2] დაიწყო ამ აქტზე დამფუძნებელ კრების წევრთა მიერ ხელის მოწერა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 14.03.1919). ნოე ჟორდანიას შემდეგ დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერეს მთავრობის წევრებმა.

ხელმოწერის დამთავრების შემდეგ ალ. ლომთათიძემ აღნიშნა, რომ „დამოუკიდებლობის აქტი ერთხმათ არის მიღებული“ (ოქმები, ტ. I., გვ.26). ხელი მოაწერა სხდომაზე მყოფმა 99 დეპუტატმა. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს დაემატა შესავალი, რომელშიც აღნიშნული იყო დამფუძნებელი კრების მიერ მისი დადასტურება: „საქართველოს დამფუძნებელი კრება, - არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, - თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ...“ (ოქმები, ტ. I., გვ.24).

დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერის დამთავრების შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით ერთხმად დაინიშნა დამფუძნებელი კრების მეორე სხდომა - 14 მარტს 12 საათზე და განისაზღვრა მისი დღის წესრიგი: „პრეზიდიუმის დანარჩენ წევრების არჩევა და მეორე, მთავრობის მოხსენება“ (ოქმები, ტ. I., გვ.26).

სხდომის ბოლოს ალ. ლომთათიძემ დამფუძნებელი კრების წევრები სურათის გადასაღებად მიიწვია: „არის ერთი წინადადება და თხოვნა. მე მგონი, რომ კრებას არაფერი ექნება საწინააღმდეგო. აი აქ არის სინემატოგრაფიული და ფოტოგრაფიული აპარატი და გვთხოვენ ეს დიდებული მომენტი აღბეჭდილ იქმნეს“ (ოქმები, ტ. I., გვ.26). ამის შემდეგ დარბაზში „რამდენიმე ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული სურათი გადაიღეს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 14.03.1919).

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა დამთავრდა 2 საათსა და 50 წუთზე (ოქმები, ტ. I., გვ.26). თუმცა, სხდომის დამთავრების დროსთან დაკავშირებით იმდროინდელ პრესაში სხვა ცნობებია: „ნაშუადღევის 1 საათ და 45 წუთ. კრების პირველი სხდომა დაიხურა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 14.03.1919).

[2] გაზეთის მიერ დასახელებული დრო არასწორია.

3.7. დამფუძნებელი კრების უცხოელი სტუმრები და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური გზავნილები

დამფუძნებელი კრების პირველ სხდომას დაესწრო საქართველოში იმ დროს მყოფი უცხო ქვეყნების წარმომადგენლები. გაზეთები დაწვრილებით იუწყებოდნენ, თუ ვინ ესწრებოდა უცხოეთის წარმომადგენლებიდან, - „საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზედ შემდეგი სახელმწიფოთა წარმომადგენლებია: ინგლისის მისიის წარმომადგენელი - მაიორი სანდერსი, საფრანგეთის - კაპიტანი გასფელდი, ამერიკის - დოქტ. მეინი, შვეიცარიის - ბ-ნი ბერლემონი, ისპანიის - ბ-ნი ოსტროვსკი, საბერძნეთის - ბ-ნი მანუილიდის, უკრაინის - ბ-ნი კულინსკი, ლიტვის - ბ-ნი დაილიდა, ჩეხო-სლოვაკების - ბ-ნი სვატოში, სპარსეთის - ბ-ნი მაზარეტ-დოულე, მთიელთა - ფ.ახუნდოვი და ბ-ნი ჯაბაგიევი, სომხეთის - სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი სიკო სააკიანი და სომხეთ-საქართველოს კონფერენციაზედ მყოფი დელეგაციის წევრნი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელი ბ-ნი მემედ-იუსუფ ჯაფაროვი“ („საქართველო“, 13.03.1919). გაზეთი „ერთობა“ და „საქართველოს რესპუბლიკა“ ამ ჩამონათვალს უმატებენ ბაშკირი ხალხის წარმომადგენელს - მონატოვს ("ერთობა", 14.03.1919; „საქართველოს რესპუბლიკა“,14.03.1919).

სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელმაც დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გახსნა, თავის გამოსვლის დასაწყისშივე მიესალმა დარბაზში მყოფ უცხოელ სტუმრებს: „ნება მომეცით დიდის მოკრძალებით მივესალმო და დაბლა თავი დაუკრა უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს“ (ოქმები, ტ. I., გვ.17), რასაც დარბაზში ტაში მოჰყვა.

სილიბისტრო ჯიბლაძემ განსაკუთრებით გამოჰყო დასავლეთის წამყვანი ქვეყნები დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შეერთებული შტატები და, ასევე შვეიცარია, თითოეული მათგანის დახასიათებისას ხაზი გაუსვა მათ დამსახურებას დემოკრატიის წინაშე. სტენოგრამაში კარგად არის გადმოცემული დარბაზის რეაქციაც ორატორის სიტყვებზე: „სალამი დიდს ბრიტანეთს (ტაში; დეპუტატები ფეხზე ადგომით მიესალმებიან ბრიტანეთის წარმომადგენლებს) ამ აკვანს დემოკრატიისას (ტაში). ნება მიბოძეთ მივესალმო საფრანგეთს, სამშობლოს რევოლიუციისას (ტაში და ოვაცია). ნება მიბოძეთ მივესალმო, ამერიკის ბუმბერაზ შეერთებულ შტატებს, სიმბოლოს თავისუფლებისას (მხურვალე ტაში და ოვაცია). პატარა შვეიცარიას (ტაში და ოვაცია), ამ ყველა დევნილთა მფარველს. მე მწამს, მე მჯერა, რომ დიდი და მაღალი კულტურა ამ კულტურულ სახელმწიფოებისა, მოჰფენს თავის ძლევა მოსილს სხივს ჩვენ ნორჩსა და პატარა რესპუბლიკასაც“ (ოქმები, ტ. I., გვ.17).

ამის შემდეგ მიესალმა რუსეთის განთავისუფლებულ ერებს, საქართველოს მეზობელი რესპუბლიკების წარმომადგენლებს და ასევე ჩამოთვალა ყველა ქვეყანა, რომლის წარმომადგენლებიც დარბაზში იმყოფებოდნენ (ოქმები, ტ. I., გვ.18).

ალექსანდრე ლომთათიძეც თავის გამოსვლაში მიესალმა დარბაზში მყოფ უცხოეთის წარმომადგენლებს, მაგრამ ეს მისალმება უკვე შეიცავდა ორ საგარეო-პოლიტიკურ გზავნილსაც, ერთი მიმართული იყო დასავლეთის ქვეყნებისადმი, მეორე - საქართველოს მეზობელი ქვეყნებისადმი.

პირველ რიგში ალექსანდრე ლომთათიძემ აღნიშნა ქართველი ერის ნება, - გამხდარიყო ევროპის ნაწილი: „ჩვენ გვინდა აზია დავტიოთ, ევროპის საერთო ხალხთა ოჯახში შევიდეთ და ჩვენი ძალით და სხვის დახმარებითაც, თუ ეს დახმარება ვისმესგან გვეღირსება, გავხდეთ სწორუფლებიანი წევრი ევროპიულ ხალხებთან, ევროპიულ დემოკრატიათა და მათ სახელმწიფოთა ოჯახისა“ (ოქმები, ტ. I., გვ.23). ალ. ლომთათიძის ამ სიტყვებს დარბაზში ტაში მოჰყვა. ამის შემდეგ ალ. ლომთათიძემ სთხოვა დასავლეთის წამყვან ქვეყნებს ანგარიში გაეწიათ საქართვე-

ლოს ამ სურვილისათვის: „ჩვენ გვინდა, რომ გაიგოს ეს ყველამ, გაუწიოს ამას ანგარიში, მე მგონი რომ ის ევროპის სახელმწიფოები, რომლის წარმომადგენლები დღეს არიან აქ, დიდი ბრიტანეთი, განთქმული თავის დემოკრატიულ კონსტიტუციით, დიდი რევოლიუციის აკვანი, დიდი საფრანგეთი, დემოკრატიული შვეიცარია, დიდი ამერიკა, ამას სათანადო ანგარიშს გაუწევენ, და მართლაც, რომ ჩვენ გვერგება წილი ამ საკაცობრიო ლოზუნგის განხორციელების დროს, რომლის ძალით მცირე ერს და მის დემოკრატიას საშუალება უნდა მიეცეს თავის საკუთარი ბედი თვითონ გამოსჭედოს“ (ოქმები, ტ. I, გვ.23).

ალ. ლომთათიძის მიერ გაჟღერებული მეორე საგარეო-პოლიტიკური გზავნილი მეზობელ ქვეყნებს, „ნორჩ რესპუბლიკებს“ ეხებოდა და წარმოადგენდა მოწოდებას კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისა და თანამშრომლობისაკენ. „მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს, მივმართო მათ მხოლოდ ერთი სურვილით. ჩვენ ხელთ არის ჩვენი ხალხისა, ჩვენი დემოკრატიის ბედ-იღბალი, ჩვენ შეგვიძლიან დავანგრიოთ ამ ერების ბედნიერება, სამუდამო საფლავი მოუმზადოთ მათ და მათს იდეალებს. მაგრამ ჩვენ ხელთ არის აგრეთვე გამოვჭედოთ მათთვის საუკეთესო მომავალი. და მე მგონია, რომ ეს შეგვეძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ, მეზობლებთან ერთად, საერთო ძალით ხელი ხელთ ჩაკიდებული, ძმურად ვივლით. მაშინ ჩვენი მტრები არც ისე საშიშრები იქნებიან“ (ოქმები, ტ. I., გვ.24).

ალ. ლომთათიძის ამ სიტყვების მნიშვნელობა მით უფრო ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ დროს არსებულ ვითარებას. დაძაბული იყო საქართველო-სომხეთის ურთიერთობები, ქრონიკული სამარი მოქმედებები მიმდინარეობდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ამ პირობებში საქართველოს ხელისუფლება თავის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიიჩნევდა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მიღწევას.

3.8. სილიბისტრო ჯიბლაძის და ალექსანდრე ლომთათიძის სიტყვების საშინაო-პოლიტიკური გზავნილები

დამფუძნებელ კრების პირველ სხდომაზე გამოსული ორივე ორატორი, გარდა საგარეო-პოლიტიკური გზავნილებისა, მიესალმებოდნენ დამფუძნებელ კრებას, ახასიათებდნენ საქართველოს მიერ განვლილ გზას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და საუბრობდნენ იმ ამოცანებზე, რაც დამფუძნებელი კრების წინაშე იდგა.

სილიბისტრო ჯიბლაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავდა: „მის გამოსვლას დეპუტატები ტაშის ცემით ხვდებიან. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მხცოვან რევოლიუციონერის გულწრფელმა სიტყვამ, რომელიც რამოდენიმეჯერ გააწყვეტინეს ტაშის ცემით და ოვაციებით“ („ერთობა“, 14.03.1919).

სილიბისტრო ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ მსოფლიო შესულია რევოლუციურ ეპოქაში, ხდება ძირეული ცვლილებები, „რომლის მსგავსი ასეთი ფართო მასშტაბით არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას“ (ოქმები, ტ. I., გვ.18). ამ ძირეული ცვლილებების ნაწილი იყო რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუცია. ახლა საქართველოს წინაშე იდგა ახალი ამოცანა: „მეფის თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ხალხის თვითმპყრობელობის გამაგრება“ (ოქმები, ტ. I., გვ.19). სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტა ეკისრებოდა საქართველოს დამფუძნებელ კრებას. „დამფუძნებელი ყრილობა - ეს გვირგვინია რევოლიუციისა, მის მონაპოვართა განმტკიცებისა“ (ოქმები, ტ. I., გვ.19), - აღნიშნა სილიბისტრო ჯიბლაძემ და ხაზი გაუსვა საქართველოს დემოკრატიას და მის მთავრობას, „რომელმაც ერთად ერთმა არ დაჰკარგა გონება, არ მიეცა სასოწარკვეთილებას - ამ საერთო განცდის დროს“ (ოქმები, ტ. I., გვ.19) და ქვეყანა სწორი გზით ატარა, დამფუძნებელი კრების მოწვევა შედეგი იყო „არა უბრალო, ბრმა და ბედნიერი შემთხვევის, როგორც

ზოგიერთნი ფიქრობენ, არამედ ჩვენი დემოკრატიის... სწორი პოლიტიკური სიბრძნე-სიმწიფისა“ (ოქმები, ტ. I., გვ.19).

სილიბისტრო ჯიბლაძემ თავის გამოსვლაში ძალზე საინტერესოდ დაახასიათა სწორი პოლიტიკური კურსის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებაში და ნამდვილად ღირს მისი სიტყვების ციტირება: „არ არის დარგი ისეთი რთული და საიდუმლოებით მოცული, როგორც პოლიტიკა და ვაი იმ ხალხს, რომლის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს არ შესწევს გამჭრიახობა ჩაიხედონ ამ საიდუმლოების სიღრმეში და გაიკვლიონ გზა ამ იშვიათ ხელოვნების ბნელ ლაბირინთში. თვითეული ნაბიჯი მრუდედ გადადგმული ამ სფეროში, შეიძლება გახდეს საბედისწერო ნაბიჯად მთელი ხალხისათვის“ (ოქმები, ტ. I., გვ.19).

სილიბისტრო ჯიბლაძე თავის სიტყვაში მოკლედ შეეხო ასევე, თუ როგორ დადგა ქართული სოციალ-დემოკრატია დამოუკიდებლობის გზაზე. მისი თქმით, „ჩვენი სურვილი იყო რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ბრძოლა და ჭირსა და ლხინში მასთან ყოფნა, მასთან სიცოცხლე. მაგრამ მწარე სინამდვილემ გვიმტყუნა და გაგვიცრუა ეს იმედები“. ამიტომ ქართველი სოციალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ შემოფარგლულიყვნენ „პირველად მთელ ამიერკავკასიის და შემდეგ ჩვენ რესპუბლიკის ფარგლებში“. საქართველო იძულებული გახდა დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა მაშინ, როდესაც დღის წესრიგში დადგა საკითხი საქართველოს „ფიზიკური ყოფნა არ ყოფნისა“ და სოციალ-დემოკრატიამ „არ ყოფნას ყოფნა არჩია“. ამის გამო კი „კეთილის მსურველებმა“ მათ დემოკრატიის „ღალატში“ დასდეს ბრალი (ოქმები, ტ. I., გვ.20). სილიბისტრო ჯიბლაძემ წარმატება უსურვა „საქართველოს თავისუფალი დამოუკიდებელი რესპუბლიკის თავისუფალ დემოკრატიას“ და მის დამფუძნებელ კრებას (ოქმები, ტ. I, გვ.20-21).

ალექსანდრე ლომთათიძემ თავის სიტყვაში გამოყო სამი ისტორიული თარიღი, მნიშვნელოვანი საქართველოს უახლესი ისტორიისთვის. 1801 წელი, როდესაც „მაშინდელ საქართველოს მესვეურებმა საუკეთესოდ დაინახეს, რომ თავის ხალხის და თავის ერის ბედ-იღბალი მოსაზღვრე დიდ სახელმწიფოსთვის ჩაებარებინათ“ (ოქმები, ტ. I, გვ.22). სამწუხაროდ, აქ ალექსანდრე ლომთათიძე იმეორებს დამოუკიდებლობის აქტში ჩადებულ ისტორიის ვერსიას, თითქოს გეორგიევსკის ტრაქტატი ასეთ რამეს ითვალისწინებდა, თუმცა იქვე აღნიშნავს რომ საქართველოს იმედი გაუცრუვდა.

ალექსანდრე ლომთათიძის მიერ გამოყოფილი მეორე თარიღი იყო 1917 წლის 27 თებერვალი (ახალი სტილით 12 მარტი), როდესაც „შეერთებულმა ძალამ რუსეთის და საქართველოს დემოკრატიებისამ, დაანგრია თვითმპყრობელობა“ (ოქმები, ტ. I, გვ.22). მის მიერ დასახელებული მესამე თარიღი კი 1918 წლის 26 მაისია, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმ მიზეზების დახასიათებისას, თუ როგორ მივიდა საქართველო დამოუკიდებლობამდე, ალექსანდრე ლომთათიძეც სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისს ანვითარებს, რომ მათი სურვილი იყო „რუსეთის ერთიან დემოკრატიულ ფრონტში“ ყოფნა, მაგრამ რუსეთში „დემოკრატიის მარცხმა“ ეს შეუძლებელი გახადა. პესიმისტურად და პრინციპში, სწორად აფასებს რუსეთში დემოკრატიის ბედს, რომ ამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში „თითქოს დემოკრატია თავის ნავთსაყუდელს გადადიოდეს, პირიქით მას უმზადებენ ხანგრძლივს დამარცხებას და კიდევ უფრო მეტ შავბნელ დღეებს“ (ოქმები, ტ. I, გვ.23).

ალექსანდრე ლომთათიძის თქმით, რუსებმა „საკუთარ ძალის და ბედის ანაბარა დაგვტოვეს“. შეუძლებელი აღმოჩნდა ამიერკავკასიის ხალხების მიერ „საერთო ძალით... საერთო კეთილდღეობის გამოჭედვა“ და საქართველო იძულებული გახდა 1918 წლის 26 მაისიდან საკუთარი ძალებით ებრძოლა რათა შეენარჩუნებინა „მონაპოვარი დიდებულ რევოლიუციისა თავის მიწა წყალზე“.

ალექსანდრე ლომთათიძის თქმით, საქართველოს დემოკრატიამ „თავგანწირული ბრძოლით“ მოიტანა „თავისი წმინდა დროშა, საქართველოს დემოკრატიის საუკეთესო შვილების სისხლით განბანილი“ და ახლა „დამოუკიდებლობისათვის საარსებო მნიშვნელობის საქმის კეთება“ დამფუძნებელ კრებას უნდა გაეგრძელებინა (ოქმები, ტ. I, გვ.23).

3.9. ზეიმი სხდომის შემდეგ

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის დამთავრების შემდეგ სასახლის წინ გაიმართა მიტინგები. სიტყვებით გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები - ს. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, ალ. ლომთათიძე, ვ. ჯუღელი და სხვები. „ალ. ლომთათიძემ მიტინგზე წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც დამსწრენი ცხარე ტაშისცემით შეხვდნენ“ („ერთობა“, 14.03.1919).

სხდომის დამთავრების შემდეგ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ა. ლომთათიძე სამხედრო მინისტრთან ერთად სასახლიდან გადავიდა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის გალავანში, სადაც ჯარი იყო შეკრებილი საქართველოს პირველ სამხედრო დროშის გადასაცემად საქართველოს მე-5 ქვეითი მსროლელ პოლკისათვის. ამ ღონისძიებაზე დასასწრებად სასახლიდან გადავიდნენ „დამფუძნებელი კრების წევრნი, მთავრობის წევრნი თავის თავმჯდომარე ბ-ნ ნ. ნ. ჟორდანიათი და ზოგნი უცხოეთ სახელმწიფოების წარმომადგენელნი ამ ზეიმზე დასასწრებათ“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 15.03.1919).

ზეიმისათვის მზადება დაწვრილებით აღწერილი აქვს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“: „ნაშუადღევის პირველ საათზე დასახელებულ ტაძრის გალავანში მოვიდნენ ტფილისის გარნიზონის ჯარის ნაწილები მუსიკით, რომელნიც დანიშნულნი იყვნენ პარადში და გამწკრივდნენ ერთ ხაზზე ტაძრის პირდაპირ.

ჯარის მარჯვენა ფლანგზე მოთავსდა მუსიკა, რომლის გვერდზე გამწკრივდა გარნიზონის სადარაჯო რაზმი. მათ გვერდზე გამწკრივდა საქართველოს მე-5 ქვეითი მსროლელი პოლკის მცირე ნაწილი და მის მარცხენა ფლანგზე - საპიორების რაზმი.

გალავნის ჩრდილოეთ მხარეს გამწკრივდა ტფილისის მილიციის რაზმი, რომელიც თავისუფალი იყო სამსახურიდან. მილიციის რაზმის მარჯვნივ ფლანგზე მოთავსდა მილიციონერთაგან შედგენილი მუსიკის გუნდი.

გალავნის გარშემო ერმოლოვის და როზენის ქუჩები გაჭედილი იყო ხალხით. მრავალმა მოასწრო გალავანში შესვლა და ეს მასსა გაჩერებულ იყო ჯარის პირდაპირ მის და ტაძრის შუა ამ ზეიმის სანახავათ.

ნაშუადღევის 11/2 საათზე[3] გალავანში მოვიდა სასახლიდან სოხუმიდან წინა დღეს ჩამოსული ტფილისის ქალაქის მოურავი ბ. გ.ჩხიკვიშვილი, რომელსაც თან ახლდა მილიციის უფროსი ა. ურუშაძე, მილიციის დასათვალიერებლათ და დღესასწაულის მისალოცათ.

მილიციის მუსიკა მიეგება ქალაქის მოურავს სალამის დაკვრით. ბ-მა ჩხიკვიშვილმა მილიციის უფროსის ურუშაძითურთ ჩამოუარა მილიციონერების რაზმის ხაზს, მიესალმა და მიულოცა მათ ეს დღესასწაული. ამის შემდეგ ამ დღესასწაულის მილოცვის სიტყვით ბ-მა ჩხიკვიშვილმა მიმართა აგრეთვე ჯარის ნაწილებს. 15 წუთის შემდეგ მოვიდა გენერალი კონიევი, ჩამოუარა ჯარს და მილიციას და აგრეთვე მიულოცა დიდი რევოლუციის ორი წლისთავი და დამფუძნებელ კრების გახსნა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 15.03.1919).

როდესაც ტაძრის გალავანში შევიდნენ ალ. ლომთათიძე და დამფუძნებელი კრების სხდომიდან წამოსული სხვა პირები, ხალხი ტაშით და „ვაშას“ ძახილით მიესალმა. უკრავდა

[3] გაზეთში საათი არასწორად არის მითითებული.

სამხედრო ორკესტრი. იმდროინდელი გაზეთი მოვლენებს შემდეგნაირად აღწერს: „ბ-ნ ალ. ს. ლომთათიძეს ჯარის წინ დაუხვდა აღლუმის ხელმძღვანელი გენერალი ბალუაშვილი, რომელიც მას და სამხედრო მინისტრს თან გაჰყვა ჯარის და მილიციის რაზმის ჩამოვლის და მისალმების დროს.

ჩამოუარა რა ჯარს, მილიციის რაზმს ბ-ნი ალ. ს. ლომთათიძე დადგა ჯარის წინ შუა ალაგას და მიმართა შეკრებილ ჯარს და მილიციას სიტყვით, რომელშიაც აუხსნა მათ ამ დიდებულ დღის მნიშვნელობა. და წარმოსთქვა თავის რწმუნება, რომ ისინი გმირულათ დაიცავენ იმ საქართველოს სამხედრო დროშას, რომელიც მას ხელში ეჭირა და რომელსაც მათ აბარებს საქართველოს დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეს სიტყვის შემდეგ ბ-ნ ალ. ლომთათიძესთან მივიდა მეხუთე ქვეითთა მსროლელ პოლკის გენერალი ბალუაშვილი და დიდის კრძალვით მუხლმოდრეკილი მიიღო ბ-ნ ლომთათიძის ხელიდან ეს პირველი, სამხედრო დროშა, რომელსაც დამფუძნებელი კრება აბარებს მის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ პოლკს.

თანახმად დროშის ჩაბარების ცერემონიალისა, აქვე დამფუძნებელ კრების და მის თავმჯდომარის მოადგილეს და მთავრობის წინ გენერალმა ბალუაშვილმა ეს დროშა გადასცა პოლკის ადიუტანტს, რომელმაც აგრეთვე მუხლ მოდრეკილმა ჩაიბარა ეს წმინდა დროშა და გადასცა პოლკის მუხლმოდრეკით მდგომარე მედროშე გმირ ჯარისკაცს, რომელსაც გული მოჭედილი ჰქონდა ოთხივე ხარისხის ვერცხლის და ოქროს გიორგის ჯვრებით და სამხედრო მედლებით ბრძოლის ველზე გამარჯვების ჯილდოებით.

ჯარმა თოფები სადარაჯოთ დაიკავა და მედროშემ დიდის ამბით გადაიტანა დროშა პოლკის წინ. მედროშეს მისდევდა საპოლკო ადიუტანტი. მუსიკა კი დროშის შესახვედრ ჰანგებს უკრავდა. მოათავსეს რა დროშა თავის ალაგას მედროშესთან დადგნენ ორი ასისტენტი ოფიცრებთაგანი.

ამ ცერემონიის შემდეგ ჯარს მიმართეს სიტყვით ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. ვ. რამიშვილმა და შემდეგ სამხედრო მინისტრმა გ. ტ. გიორგაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში მოიხსენა აგრეთვე განსვენებული გმირნი და მოუწოდა ჯარს რწმენით სამსახურისკენ დამფუძნებელ კრებისადმი, დასასრულ ბ-მა გ. ტ. გიორგაძემ და მასთან ჯარმა და მილიციამ შესძახეს "ვაშა" დამფუძნებელ კრებას.

ეს ზეიმი ცერემონიალურ მარშით დამთავრდა. ჯერ ჯარის ნაწილებმა და შემდეგ მილიციის რაზმმა აღლუმის მიმღებ ბ-ნ ალ. ს. ლომთათიძის წინ, რომელიც შემორტყმულ იყო დამფუძნებელ კრების წევრებით და მთავრობით და უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებით, ცერემონიალურ მარშით გაიარეს და გაემგზავრნენ თავიანთ ბინებში“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 15.03.1919).

გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა, რომ "პარადმა" მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ამის შემდეგ საზოგადოება ნელ-ნელა დაიშალა. ღამით ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. კარგათ იყო მორთული სასახლე, ქალაქის თვითმმართველობის შენობა, სახელმწიფო თეატრი და სხ. („ერთობა“, 14.03.1919).

ზეიმი ღამითაც გაგრძელდა: „ღამით ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. კარგათ იყო მორთული სასახლე, ქალაქის თვითმმართველობის შენობა, სახელმწიფო თეატრი და სხვა“ („ერთობა“, 14.03.1919).

სიონის საკათედრო ტაძარში კი „წირვის შემდეგ სამღვდელოების მიერ მრავალი ხალხის დასწრებით პარაკლისი იყო გადახდილი“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 14.03.1919).

ასე ჩაიარა 1919 წლის 12 მარტმა, რომელიც სამუდამოდ შევიდა საქართველოს ისტორიაში.

თავი IV. საერთაშორისო ვითარება, დამფუძნებელი კრების მოწვევის დროს (მალხაზ მაცაბერიძე)

4.1. დრო - ხელსაყრელი და რთული

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 მარტის სხდომაზე გამოსვლისას ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება შეიკრიბა უაღრესად ხელსაყრელ დროს. მისი თქმით, სახეზე იყო „სამგვარი ნაყოფი“: უზრუნველყოფილი იყო საგარეო მყუდროება, საშინაო მყუდროება, შენარჩუნებული იყო რევოლუციის ყველა მონაპოვარი. ჟორდანიას განცხადებით, „არც ერთი დამფუძნებელი კრება არ შეკრებილა ასეთ ხელსაყრელ საზოგადოებრივ პირობებში. ყველა იძულებული იყო ეს სამივე ნაყოფი თვით მოეპოებია; თვით ებრძოლა მისთვის და ისე განეხორციელებინა. ჩვენს დამფუძნებელ კრებას ყოველივე ეს მზა-მზარეული დახვდა“. ამგვარ ვითარებაში დამფუძნებელი კრების ამოცანა იყო „ამ ნაყოფის განვითარების შესაფერი იურიდიული და პოლიტიკური კალაპოტის შექმნა და მუდმივი საგარეო მყუდროების დამკვიდრება“ (ოქმები, ტ. I, გვ.29).

ნოე ჟორდანიას სიტყვები დამფუძნებელი კრების შეკრების დროს „საშინაო და საგარეო მყუდროების“ თაობაზე, შემდეგ რამდენჯერმე გაიხსენეს და სოციალ-დემოკრატებს წამოაძახეს. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 30 დეკემბრის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) აღნიშნა: „როდესაც დამფუძნებელი კრება შეიკრიბა, ბ. მთავრობის თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება, სადაც სიტყვა-სიტყვით სთქვა, ისეთ პირობებში, როგორც ჩვენში, არსად არ შეკრებილა დამფუძნებელი კრებაო. შიგნით მშვიდობა, გარედ მშვიდობა, რევოლიუციის ყველა მონაპოვარი - აი რეზიუმე ბ. ჟორდანიას მოხსენებისა. შიგ მყუდროება, გარედ მყუდროება, მაშასადამე ხელს არავინ გიშლიდათ. ახლა კი გამოდიხართ და იძახით, განსაკუთრებული პირობებიო, განსაკუთრებული პირობებიო“ (ოქმები, ტ. IV, გვ.358).

ესერების ამ რეპლიკას კირილე ნინიძემ უპასუხა, რომ ვითარება ნოე ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ შეიცვალა: „თუ სერიოზულად იმეორებთ ნ. ჟორდანიას სიტყვას - „გარეთ მყუდროება, შიგნით მყუდროებაო“, ეს გაუგებარია. თქვენ იმეორებთ იმ სიტყვებს და არ გინდათ გაიგოთ რა დროს და როგორ იყო ნათქვამი... მართალია ნ. ჟორდანიამ სთქვა, გარეთაც, შიგნითაც მყუდროება გვაქვსო, მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ სამუდამოდ მშვიდობიანობა გვექნება? ეხლა დენიკინის მხრითაც და ბოლშევიკების მხრითაც საფრთხე მოგველის“ (ოქმები, ტ. IV, გვ.363).

თუმცა, ნოე ჟორდანიას თეზისს „ორმაგი მყუდროების“ თაობაზე ყველა სოციალ-დემოკრატიც არ იზიარებდა. მაგალითად, ცნობილი სოციალ-დემოკრატი პავლე საყვარელიძე დამფუძნებელი კრების 1920 წლის 24 ნოემბერს აღნიშნავდა: „თქვენ იცით, რომ დამფუძნებელი კრება მოწვეული იყო ძალიან რთულ პირობებში“ (ოქმები, ტ. VII, გვ.539).

ნოე ჟორდანია როდესაც ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაზე ლაპარაკობდა, მართალი იყო იმ აზრით, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას სასიკვდილო საფრთხე არ ემუქრებოდა და დამფუძნებელი კრების გახსნის დროს არც აქტიური საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. თუმცა რესპუბლიკის მდგომარეობა არც ისე მყარი იყო:

- დარღვეული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მის აღდგენას სერიოზული ძალისხმევა სჭირდებოდა;

- მისაღწევი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება;

- რთული იყო ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან;

- ამიერკავკასიაში შემოსული ბრიტანეთის ჯარები რიგ შემთხვევებში უგულვებელყოფდნენ საქართველოს სუვერენიტეტს და ურთიერთობა ინგლისელებთან საკმაოდ ცივი და დაძაბული იყო.

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის განხილვა მოუხდა დამფუძნებელ კრებას 1919 წლის 17 აპრილს, საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი გეგეჭკორის განცხადების შემდეგ, ქართული ჯარის მიერ გაგრის რაიონის დაკავების თაობაზე. 1919 წლის 9 მაისს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე ევგენი გეგეჭკორი კვლავ გამოვიდა განცხადებით „საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“ (ოქმები, ტ. I, გვ.390). ე. გეგეჭკორის ორივე განცხადებას მოჰყვა დამფუძნებელი კრების ფრაქციების წარმომადგენელთა გამოსვლები. 9 მაისის სხდომა გაგრძელდა, ამიტომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით, მეორე დღეს, 10 მაისს დაინიშნა საგანგებო სხდომა, სადაც იმსჯელეს „გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადების გამო“ (ოქმები, ტ. I, გვ.399).

საქართველო რომ რთულ ვითარებაში იმყოფებოდა, ამას ყველა კარგად გრძნობდა. „მეტად სერიოზულ და საპასუხისმგებლო მომენტს განვიცდით“, - აღნიშნავდა 1919 წლის 10 მაისს თავის გამოსვლაში ე. გეგეჭკორი (ოქმები, ტ. I, გვ.397), „მძიმე მომენტს, მძიმე წუთს განვიცდით“, -აცხადებდა გრ. გიორგაძე (ს. დ.) (ოქმები, ტ. I, გვ.425), რაჟდენ არსენიძის შეფასებით იდგა „კითხვა არსებითი, კითხვა საქართველოს თვითარსებობისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.426), სპირიდონ კედიას (ერ. დ.) თქმით, „დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა განსაკუთრებით მწვავე არის და, შეიძლება, ხიფათითაც სავსე“ (ოქმები, ტ. I, გვ.417). სიმონ მდივანის (ს. ფ.) სიტყვებით „საბედისწერო საკითხები“ ისეთი იყო, რომ „ამ გადაჭრაზე არის დამოკიდებული ჩვენი ყოფნა თუ არა ყოფნა“ (ოქმები, ტ. I, გვ.400). ქვეყნის რთული საერთაშორისო მდგომარეობის განხილვა დიდ ინტერესს იწვევდა და დეპუტატებთან ერთად „აუარებელი ხალხი“ შეგროვდა დამფუძნებელი კრების დარბაზში (ოქმები, ტ. I, გვ.425).

თავის გამოსვლაში 1919 წ. 9 მაისს ე. გეგეჭკორი აღნიშნავდა, რომ „ევროპამ ჩვენ და ჩვენისთანა პატარა ერები თითქოს დაივიწყა“ (ოქმები, ტ. I, გვ.391) და უცნობია პარიზში „როდის დაისმება ამიერ-კავკასიის საკითხი“ (ოქმები, ტ. I, გვ.391).

4.2. საქართველოს სტრატეგიული საზღვრების უზრუნველყოფის საკითხი

საქართველოს მთავრობის და, შესაბამისად, ახლად შეკრებილი საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმიანობაში, დიდი ყურადღება ეთმობოდა საქართველოს ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების უზრუნველყოფის საკითხს. ეს კარგად ჩანს დამფუძნებელი კრების პირველივე სხდომების დღის წესრიგიდან.

1919 წლის 17 აპრილის სხდომაზე გამოსვლისას მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, ევგენი გეგეჭკორმა თავისი გამოსვლა სწორედ შავი ზღვის სანაპირო ზოლში საქართველოს სტრატეგიული საზღვრის უზრუნველყოფის საკითხს დაუთმო. „საქართველოს მთავრობამ ბრძანება მისცა სოჭის ფრონტზე მდგომ ჩვენ ჯარებს გადავიდეს მდინარე ბზიბი, დაიკავოს გაგრის ოლქი და სტრატეგიული ჩვენი პუნქტი მდინარე მეხადირი“ (ოქმები, ტ. I, გვ.271), - ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ევგენი გეგეჭკორმა. თავის მოკლე სიტყვაში მან რამდენჯერმე აღ-

ნიშნა საქართველოს სტრატეგიული საზღვრების უზრუნველყოფის აუცილებლობა: მისი თქმით, მთავრობა „იძულებული იყო“ ეს ნაბიჯი გადაედგა, „დაეჭირა ის საზღვრები, რომელიც მას მიაჩნია სტრატეგიულ საზღვრებად“ (ოქმები, ტ. I, გვ.271), „აუცილებლად მიგვაჩნია დაგვეჭირა ის საზღვრები, რომელიც ერთნაირად უზრუნველყოფენ ჩვენს რესპუბლიკას მტრის შემოსევისაგან“ (ოქმები, ტ. I, გვ.271), ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელი იყო, რადგანაც „ჩვენ არ გვეჭირა ისეთი საზღვრები, რომლებიც გვაძლევენ გარანტიას, რომ ჩვენი რესპუბლიკა უზრუნველყოფილი იქნებოდა თავდასხმისგან“ (ოქმები, ტ. I, გვ.272), ეს აუცილებელი იყო იმიტომ, რომ „ჩვენთვის სასურველი სტრატეგიული საზღვარი, პუნქტი არ გვეჭირა“ (ოქმები, ტ. I, გვ.272), აუცილებელი იყო მთავრობას „დაეჭირა ის პუნქტი, რომელიც მას სტრატეგიულად საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნია“ (ოქმები, ტ. I, გვ.272).

ე. გეგეჭკორის თქმით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული საზღვრის უზრუნველყოფას საქართველო სამი თვის განმავლობაში ცდილობდა „დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით“ გადაეწყვიტა და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგა „სამხედრო ნაბიჯი“. საქართველოს მთავრობამ სულ მალე იგივე ნაბიჯი გადადგა სამხრეთის მიმართულებით - საქართველოს ჯარმა დაიკავა ფოცხოვის და არტაანის რაიონები.

სტრატეგიული საზღვრების დაცვის თეზისის საწინააღმდეგოდ არაფერი თქმულა და ამ მხრივ აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. განსხვავებული იყო რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) პოზიცია, რომელიც სტრატეგიული საზღვრების მნიშვნელობას არ უარყოფდა, მაგრამ ეს არ მიაჩნდა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხად. მისი თქმით, „არც არტაანი ყოფილა ჩვენს ხელში მაშინ, როდესაც ჩვენი დამოუკიდებლობის საძირკველი ჩაიყარა, და არც მეხადირის მდინარე გვქონდა ჩვენ მაშინ საზღვრათ“ (ოქმები, ტ. I, გვ.426). რ. არსენიძის განცხადებით, საქართველოს ისეთი დიდი სახელმწიფოები უპირისპირდებოდნენ, რომ „ჩვენი ხმალი ვერაფერს გააწყობს, ვერაფერი სიმაგრე, ვერავითარი სიმაღლეები, ვერც გარდაუვალი მთები დაგვიფარავენ ამ შემოსულ ძალებისაგან“. ამდენად, საკითხი არ წყდებოდა „სტრატეგიული მდგომარეობით“ (ოქმები, ტ. I, გვ.426). რ. არსენიძის თქმით, „საკითხი ჩვენი დამოუკიდებლობისა“ უნდა გადაწყვეტილიყო გატარებული პოლიტიკით, „პოლიტიკური გამჭრიახობით“, „ჩვენი თვით არსებობის უნარით“ (ოქმები, ტ. I, გვ.426).

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ სტრატეგიული საზღვრების საკითხს დამფუძნებელი კრების ყველა წევრი ერთნაირად არ უყურებდა. ამ მხრივ აღსანიშნავია დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 ნოემბრის სხდომა. ლეო შენგელაია (ს. რ.) სომხეთზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ დესპოტიზმმა სომხის ერი გაანადგურა, რევოლუციამ და სოციალიზმმა ის უნდა აღადგინოს და „ჩვენი მოვალეობაა ამ პროცესს ხელი შეუწყოთ რითაც შეგვიძლია“ (ოქმები, ტ. IV, გვ.20). ლეო შენგელაია სწუხდა იმაზე, რომ „სომხის ერი არის ერი უტერიტორიო“, მომწყვდეული ერევნის „ყოვლად უხეირო გუბერნიაში“ და თუ „სომხის ერს გასაქანი არ მიეცა, ის სრულიად ბუნებრივად არ იქნება არც თავისი და არც სხვისი დამოუკიდებლობის მომხრე“ (ოქმები, ტ. IV, გვ.19-20). სომხეთის დამოუკიდებლობა რომ „ობიექტურად შესაძლებელი“ რომ გამხდარიყო, ლეო შენგელაიას საჭიროდ მიაჩნდა ტერიტორიული დათმობები საქართველოს მხრიდან. „კერძოდ, ტერიტორიის გამიჯვნის დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ეტნოგრაფიული პრინციპით“ (ოქმები, ტ. IV, გვ.20). ლეო შენგელაიას ამ გამოსვლას, სტენოგრამის მიხედვით, დარბაზში ტაში მოჰყვა. სავარაუდოდ, ესერების და სოციალ-დემოკრატების ნაწილის მხრიდან. მემარჯვენე პარტიებმა დაინახეს საფრთხე „ჩვენი წინაპრებისგან შემოხაზულ ტერიტორიის შემოსაზღვრის დროს“ (სპ. კედია). მემარჯვენეების ასეთი შეშფოთების საპასუხოდ გერასიმე მახარაძემ (ს. დ.) წამოიძახა: „კაციჭამია ნაციონალიზმი!“ (ოქმები, ტ. IV, გვ.13).

4.3. გართულებული ურთიერთობა ინგლისის მისიასთან

1919 წლის 9 მაისის დამფუძნებელი კრების სხდომაზე ევგენი გეგეჭკორის გამოსვლის დიდი ნაწილი ინგლისელებთან ურთიერთობაში არსებულ პრობლემებს ეხებოდა. უმთავრესად ამ საკითხზე ისაუბრეს 10 მაისს თავიანთ გამოსვლებში ფრაქციების წარმომადგენლებმაც. გამოიკვეთა საკმაოდ რთული რეალობა, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტთან დაკავშირებით.

1.ინგლისელეთა სარდლობამ უკმაყოფილება გამოთქვა საქართველოს მიერ სტრატეგიული საზღვრების აღდგენის მცდელობებზე, თუმცა თავიდან არსებობდა ინგლისელთა თანხმობა (ოქმები, ტ. I, გვ.392-393).

2. ინგლისელთა სარდლობდა არღვევდა საქართველოს სუვერენიტეტს. ე. გეგეჭკორის თქმით, საქართველოს სურდა ინგლისელებთან „კეთილ-სინდისიერი მოკავშირეობა“ (ოქმები, ტ. I, გვ.392). საქართველოს მთავრობა ასრულებდა მოკავშირეების წინაშე აღებულ ვალდებულებებს, ინგლისელებსაც უნდა შეესრულებინათ თავიანთი დაპირება, რომ „მოკავშირეთა წარმომადგენელნი ჩვენ შინაურ საქმეში არ ჩაერევიან და ჩვენ თავისუფლებას არ შებღალავენ“ (ოქმები, ტ. I, გვ.396).

3. მტკივნეულად აღიქვეს ინგლისელი გენერლის, კავკასიაში მოქმედი ინგლისის ჯარების მთავარსარდლის გ. მილნის ხელმოწერით გამოცემული მოწოდება - პროკლამაცია, რომელიც გააკრეს ბათუმში, ბაქოში და ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში. პროკლამაციის მიხედვით წესრიგის უზრუნველყოფას ბრიტანელები საკუთარ თავზე იღებდნენ. ეს პროკლამაციები „ყოვლად მიუღებელია საქართველოს რესპუბლიკისათვის“ (ოქმები, ტ. I, გვ.395).

4. ინგლისელები აფერხებდნენ საქართველოს სავაჭრო კავშირების განვითარებას ევროპის ქვეყნებთან.. ს. მდივანმა ამას „ჩუმი ბლოკადა“ უწოდა (ოქმები, ტ. I, გვ.407). ორ თვეზე მეტხანს გააჩერეს პარიზში მიმავალი საქართველოს დელეგაცია კონსტანტინეპოლში და მხოლოდ „საფრანგეთის მუშათა კლასის ჩარევამ“ საშუალება მისცა საქართველოს დელეგაციის ორ წევრს ჩასულიყო პარიზში (ოქმები, ტ. I, გვ.408).

5. ინგლისელი ექიმის მკვლელობა თბილისში ინგლისელთა საწინააღმდეგო ქმედებად განიხილებოდა და იმის მაჩვენებლად, რომ საქართველომ ვერ მოახერხა სახელმწიფოს აშენება და წესრიგის დამყარება. ქართული მხარე ამგვარ ბრალდებას გადაჭრით უარყოფდა. ე. გეგეჭკორის თქმით „ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ ერთი წლის განმავლობაში მოწყობილიყოს სახელმწიფოებრივი აპარატი ისე, რომ მას რაიმე დეფექტი არ ჰქონდეს“. მსგავსი რამ შეიძლება მომხდარიყო დიდი სახელმწიფოებრივი ისტორიის სახელმწიფოებშიც, სადაც „ასის წლობით არის მუშაობა სახელმწიფოებრივ სფეროში“ და მომხდარიდან არ უნდა გაკეთებულიყო დასკვნა, თითქოს საქართველოს არ შესწევდეს „უნარი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.394).

6. უკმაყოფილებას და შეშფოთებას იწვევდა რეიტერის სააგენტოს და „ტაიმსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციები. ამ ინფორმაციების მიხედვით საქართველოს მთავრობას „დღეს თუ ხვალ ჩამოაგდებენ“, „ლონდონში უკმაყოფილონი არიან საქართველოს მთავრობის მოქმედებით“ და „ინგლისელები აპირებენ ამიერ-კავკასიაში მთელი ძალაუფლება თვით ჩაიგდონ ხელში“ (ოქმები, ტ. I, გვ.406). “Times”-ს წერილის თანახმად „თითქოს საქართველომ მთელი წლის განმავლობაში ვერ გამოიჩინა ვერავითარი სახელმწიფოებრივი უნარი და ენერგია და საჭიროებს ბატონ-პატრონს“ (ოქმები, ტ. I, გვ.395). ეს ინფორმაციები ოფიციალური წრეებიდან არ მომდინარეობდა, მაგრამ „არც ერთხელ ინგლისის სარდლობას ეს ცნობები არ უარუყვია“ (ოქმები, ტ. I, გვ.405-406). ამგვარი პუბლიკაციები საფუძვლად ედებოდა სხვადასხვა ხმე-

ბის გავრცელებას, რაც ე. გეგეჭკორის თქმით კიდევ უფრო „ართულებდა და სწამლავდა“ „ისედაც ნერვიულ საზოგადოებრივ ატმოსფეროს“ (ოქმები, ტ. I, გვ.390).

4.4. პარტიების მიერ საერთაშორისო ვითარების განსხვავებული ხედვა

ე. გეგეჭკორს, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 10 მაისის სხდომაზე გამოსვლისას, როდესაც აღწერა საქართველოს რთული მდგომარეობა, ფაქტობრივად არაფერი უთქვამს შექმნილი ვითარებიდან გამოსავალზე.

დამფუძნებელი კრების 17 აპრილის და 10 მაისის სხდომებზე ყველა პარტიული ფრაქციის წარმომადგენელმა დააფიქსირა საერთაშორისო ვითარების საკუთარი აღქმა. კვლავ მკაფიოდ გამოჩნდა მემარცხენე პარტიების რევოლუციური ხედვები, საპირისპიროდ ეროვნულ-დემოკრატებისა. ხელისუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატები კი „რევოლუციურ რომანტიზმს“ უკვე თავს არიდებდენ და ცდილობდენ რეალიზმის პოზიციიდან შეეხედათ მიმდინარე პროცესებისათვის.

მთავრობის სახელით დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსული ე. გეგეჭკორი ლაპარაკობდა საქართველოს სტრატეგიულ საზღვრებზე, საიდანაც მოსახერხებელი იქნებოდა თავის დაცვა დენიკინის და ბოლშევიკების თავდასხმისგანაც; პარიზში მიმდინარე კონფერენციისგან ელოდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას და საზღვრების დადგენას.

სოციალისტურმა პარტიებმა, - ესერებმა და ფედერალისტებმა საერთაშორისო ვითარების შეფასებაში რევოლუციური ხედვა შეიტანეს. თედო ღლონტის (ს. ფ.) აზრით, „საერთაშორისო რევოლუციის თვალსაზრისით“ უნდა შეეხედათ ქართული ჯარის სოჭის ოლქში შესვლისთვის (ოქმები, ტ. I, გვ.277). იგივე აზრის იყვნენ ესერებიც. ორივე პარტია გარკვეული სიმპათიით იყო განწყობილი ბოლშევიკების მიმართ, რომლებიც მათთვის „რევოლუციონურ დემოკრატიას“ წარმოადგენდნენ. თედო ღლონტი აღნიშნავდა, რომ დენიკინის მიერ შევიწროებულ „ბოლშევიკურ ძალებს“ „ურჩევნიათ საქართველოს დემოკრატიასთან ყოფნა“ (ოქმები, ტ. I, გვ.277). ივ. გობეჩიამ (ს. რ.) კი ბოლშევიკები პირდაპირ მოკავშირეებად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ საჭირო იყო „რევოლუციონური ძალების შეერთება“ (ოქმები, ტ. I, გვ.279).

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია კატეგორიულად გაემიჯნა მემარცხენე ოპოზიციის რევოლუციურ განწყობას. გ. გვაზავას (ერ. დ.) შეფასებით, დენიკინსა და ბოლშევიკებს შორის განსხვავების გავლება იყო ისეთი შეცდომა, „რომელიც არყევს მდგომარეობას და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას“ (ოქმები, ტ. I, გვ.284), გვაზავას თქმით, „ჩვენ უნდა ჩვენი საზღვრები დავიცვათ და შევებრძოლოთ ყველას, ვინც ემუქრება ჩვენს სახელმწიფოს და თავისუფლებას, სულერთია, დენიკინის ჯარი იქნება ეს თუ ბოლშევიკების“ (ოქმები, ტ. I, გვ.285).

გ. გვაზავამ გააკრიტიკა ხელისუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატებიც. მისი თქმით, სწორედ „მთავრობის სოციალისტური მსოფლმხედველობა“ მთავრობის მერყეობის მიზეზი იყო, რომელიც „ხშირად ყოყმანობდა, ხშირად ირყეოდა“ (ოქმები, ტ. I, გვ.283), გვაზავამ სწორედ ასეთი მერყეობის შედეგად მიიჩნია სტრატეგიული საზღვრების დაკავებამდე 3-თვიანი ლოდინი (ოქმები, ტ. I, გვ.284).

10 მაისის განხილვის დროს სოციალისტური პარტიების „ანტიიმპერიალისტური ხედვა“ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა. ივანე გობეჩიამ (ს. რ.) დაგმო „საზოგადოების ზოგიერთ წრეებში“ გავრცელებული ილუზიები იმის თაობაზე, რომ შეიძლება შეთანხმება მომხდარიყო „ისეთ მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის, როგორიც არის იმპერიალისტური ქვეყნის სარდლობა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა“ და თავიდანვე უნდა სცოდნოდათ,

რომ „ინგლისის სარდლობის გულს საქართველოს სოციალისტები ვერ მოიგებდნენ“ (ოქმები, ტ. I, გვ.422).

ესერების შეფასებით, ინგლისის სარდლობა ამიერკავკასიაში მოქმედებდა რუსეთის კონ-ტრრევოლუციური ძალების ინტერესების შესაბამისად და სურდა „დენიკინის ჯარის საშუალ-ებით“ გაემეფებინა რეაქცია „მთელ ყოფილ რუსეთის იმპერიაში“, მათ შორის საქართველოშიც (ოქმები, ტ. I, გვ.424). ი. გობეჩიას აზრით, საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებოდა, თუკი საერთო ენას ვერ გამონახავდნენ „რევოლუციონურ დემოკრა-ტიასთან“ (ოქმები, ტ. I, გვ.425) ანუ ბოლშევიკებთან.

სოციალისტ-ფედერალისტების აზრით, რომელთა სახელითაც სიმონ მდივანი გამოვიდა, რთულ ვითარებაში საქართველო მანამდე იქნებოდა, სანამ მისი გადაწყვეტა ახალი ძალის - „მსოფლიო სოციალისტური დემოკრატიის“ ხელში არ გადავიდოდა. ეს ძალა კი „ჩვენდა საუბ-ედუროდ“, ჯერ არ იყო „მოწყობილი“ და ვერ ახერხებდა საკითხის „დღესვე გადაჭრას“ (ოქმე-ბი, ტ. I, გვ.402).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პასუხი ძირეულად განსხვავებული აღმოჩნდა. პარტიის დეპუტატების აზრით, საჭირო იყო ინტერესთა თანხვედრის და კომპრომისის ძიება ინგლისთან. აღნიშნული სახელით გამოსული სპირიდონ კედიას თქმით, საქართველო არ იყო ისეთი ძლიერი, რომ თავისი შეიარაღებული ძალებით თავიც დაიცვას და „თავისი რევოლიუც-იური პოლიტიკა სხვა სახელმწიფოებსაც მიაღებინოს“ (ოქმები, ტ. I, გვ.419). ამიტომ საქართვე-ლოს სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ „უნდა საბოლოოდ გამოარკვიოს, თუ ვისი მხარე უჭირავს და ვისი სიმპატიები აქვს“. საქართველოს არჩევანი უნდა გაეკეთებინა „ანტან-ტის სახელმწიფოებსა“ და „ბოლშევიკურ უწესობას“ შორის (ოქმები, ტ. I, გვ.418). არჩევანი კი უნდა გაეკეთებინა ანტანტის სახელმწიფოების სასარგებლოდ, „რომელნიც დღეს ბატონები არ-იან“. საქართველოს ხელისუფლებას უნდა გადაეხედა თავის პოლიტიკისათვის და საქმე ისე წაეყვანა, რომ არ ყოფილიყო „არც პრინციპული კონფლიქტები და არც მეთოდური კონფლიქ-ტები“ დასავლეთის წამყვან ქვეყნებთან (ოქმები, ტ. I, გვ.419).

ამისათვის, ეროვნულ-დემოკრატების აზრით:

ა/ საქართველოს მთავრობას უნდა შეეცვალა თავისი საშინაო პოლიტიკა. სპ. კედიას თქმით, „საქართველომ თავის შინაურ პოლიტიკას ინდა მისცეს ზომიერი ლიბერალური ხასია-თი, როგორც ევროპა-ამერიკის დემოკრატიულ ქვეყნებში და გადაჭრით უკუაგდოს ბოლშევი-კურ რევოლუციის ქაოსში გახვეული რუსეთის პრინციპი და მეთოდი“ (ოქმები, ტ. I, გვ.419).

ბ/ საქართველოში სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მყოფ ინგლისთან ინტერე-სების თანხვედრის ძიება. სპ. კედიას განცხადებით, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა შედიოდა ბრიტანეთის ინტერესებში. ორივე ქვეყნის ინტერესების თანხვედრის გამოძებნა უნ-და ყოფილიყო „მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პოლიტიკა“ (ოქმები, ტ. I, გვ.421).

საქართველოში დასავლეთის ქვეყნების არსებულ ინტერესებზე და ინტერესთა თან-ხვედრის ძიებაზე სოციალ-დემოკრატებიც ლაპარაკობდნენ. „ჩვენ გვჯეროდა და დღესაც გვჯე-რა, იმედი სრულიად არ დაგვიკარგავს, რომ მოკავშირეებს საქართველოში უნდა ჰქონდეთ და აქვთ რეალური ინტერესები“, - აღნიშნავდა გრ. გიორგაძე. მისივე თქმით, საქართველო არის „ხიდი აღმოსავლეთ დასავლეთს შორის, - ინგლისელებს და სხვა მოკავშირეებს ჰქონდა და დღესაც აქვთ რეალური ინტერესები“. სწორედ ამ ინტერესებს უნდა დამყარებოდა „რაიმე კავ-შირი მოკავშირეებთან“ (ოქმები, ტ. I, გვ.411).

თუმცა, სოციალ-დემოკრატები, განსხვავებით ეროვნულ-დემოკრატების რჩევისაგან, არ აპირებდნენ თავიანთი საშინაო პოლიტიკის შეცვლას. რაჟდენ არსენიძის თქმით, საქართვე-ლოს უნდა განეხორციელებინა „ბრწყინვალე იდეალები დიდი რევოლიუციისა“, გაეტარებინა

„პირდაპირი პოლიტიკა“ (ოქმები, ტ. I, გვ.428), საქართველოსთვის მთავარი იყო „მოწყობა ჩვენი სახელმწიფოსი“ (ოქმები, ტ. I, გვ.427), ინგლისელები კი „ფაქტიურ მდგომარეობას“ უწევენ ანგარიშს.

ინგლისის მისია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ცუდ პოლიტიკას რომ ატარებდა, ეს ყველამ დააფიქსირა. მაგრამ რა იყო გამოსავალი? მემარცხენე ოპოზიციის პასუხი „რევოლუციური“ იყო: ა/ კავშირის დამყარება „ანტიიმპერიალისტურ ძალასთან“ - ბოლშევიკებთან (ესერები); ბ/ „მსოფლიო სოციალისტური დემოკრატიის“ მოლოდინი (ფედერალისტები). მემარჯვენე ოპოზიცია (ეროვნულ-დემოკრატები) ემხრობოდნენ კომპრომისის ძიებას ინგლისელებთან, რასაც საფუძვლად ინტერესთა თანხვედრა უნდა დადებოდა.

რა უნდა გააკეთოს საქართველომ

პარტია	პოზიცია
სოციალ-დემოკრატები	რევოლუციური მონაპოვრების შენარჩუნება ქვეყნის შიგნით, თანამშრომლობის შესაძლებლობის გამონახვა „მსოფლიოს უძველეს დემოკრატიულ სახელმწიფოსთან“.
სოციალისტ-რევოლუციონერები	იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, დაკავშირება „რევოლუციურ დემოკრატიასთან“, ე. ი. ბოლშევიკებთან.
სოციალისტ-ფედერალისტები	მომავალი „სოციალისტური დემოკრატიის“ იმედი, რომელიც დაიცავს საქართველოს სუვერენიტეტს.
ეროვნულ-დემოკრატები	ქვეყნის შიგნით სოციალისტური პოლიტიკის შეცვლა ლიბერალური პოლიტიკით, რაც მისაღები იქნება დასავლეთის სახელმწიფოებისთვის. დასავლეთის წამყვან ქვეყნებთან საერთო ენის გამონახვა.

თავი V. დამფუძნებელი კრების სამუშაო ადგილი (მალხაზ მაცაბერიძე)

5.1. ტფილისის სასახლის საკანონმდებლო ორგანოსთვის გადაცემა

შენობას, სადაც დამფუძნებელი კრების სხდომები იმართებოდა, „ტფილისის სასახლე“ ეწოდებოდა. თავიდან, როდესაც დამფუძნებელი კრება გაიხსნა, სასახლეში განთავსებული იყო არა მხოლოდ საკანონმდებლო დაწესებულება, არამედ მთავრობის საქმეთა კანცელარია და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი. სასახლის მართვა-გამგეობა, მთავრობის დადგენილებით, მინდობილი ჰქონდა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას. ის იყო „გამგე სასახლისა“.

ნოე ჟორდანიამ სასახლის სამართავად შექმნა საგანგებო კომისია სამი წევრის შემადგენლობით, რომელშიც შედიოდნენ სასახლეში განლაგებული დაწესებულებების წარმომადგენლები: ერთი იყო დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წარმომადგენელი, ერთი სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წარმომადგენელი და ერთიც მთავრობის თავმჯდომარის წარმომადგენელი.

რაც შეეხება სასახლის ბაღს, ის გადაცემული იყო მიწათმოქმედების სამინისტროს გამგეობაში. შედეგად, „სახლით სარგებლობდა სამი დაწესებულება და მართვა-გამგეობა კი ორი ორგანოს ხელთ იყო“ (ოქმები, ტ. VI, გვ.400).

სასახლე სამივე დაწესებულებას არ ჰყოფნიდა და დამფუძნებელი კრების ზოგიერთ კომისიას თავისი ოთახიც კი არ ჰქონდა. ყოფილ კადეტთა კორპუსის მთავრობის სახლად გადაკეთების შემდეგ იქ გადავიდა მთავრობის საქმეთა სამმართველოს კანცელარია და სახალხო გვარდიის შტაბი. შედეგად სასახლე მთლიანად დამფუძნებელ კრებას დარჩა. ამიტომ საჭიროდ მიიჩნიეს სასახლის მართვა-გამგეობა მთავრობის თავმჯდომარის მიერ შექმნილი საგანგებო კომისიისაგან გადასულიყო საკანონმდებლო ორგანოს ხელში.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 25 მაისის სხდომაზე გამოტანილი იქნა „დეკრეტი ტფილისის სასახლის საკანონმდებლო დაწესებულების საბინადროდ აღიარებისა“ (ოქმები, ტ. VI, გვ.400-401), რომელიც კრებას წარუდგინა კონსტანტინე ჯაფარიძემ (ს. დ.). მისი თქმით, ასეთ გადაწყვეტილებას „აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა“, რადგანაც „გაუგებრობა დაიბადებოდა, რომ ფაქტიურად სასახლით სარგებლობდეს ერთი დაწესებულება და მართვა-გამგეობა კი მეორე დაწესებულების ხელში იყოს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.401).

აღნიშნული დეკრეტით გადაწყვიტეს სასახლის ბაღის ბედიც. ბაღი სასახლის განუყოფელ ნაწილად მიიჩნიეს. კონსტანტინე ჯაფარიძის თქმით, „ბაღით სარგებლობა და გამგებლობაც... უნდა იყოს იმის ხელში, ვის ხელშიაც იქნება სასახლე“ (ოქმები, ტ. VI, გვ.401). გარდა ამისა, ბაღის გამგებლობის სხვა ორგანოს ხელში დატოვება ხელს შეუშლიდა სასახლის დაცვას.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა და შემდეგ სამეურნეო კომისიამ მიიჩნია, რომ სასახლეში ყოფილიყო დამფუძნებელი კრება, შემდეგ კი მომავალი პარლამენტი და „სასახლე და ბაღის გამგებლობაც მის ხელში იქნეს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.401).

წარმოდგენილ დეკრეტთან დაკავშირებით, არც ზოგადი მსჯელობის და არც მუხლობრივი განხილვის დროს, არავის გამოუთქვამს თავისი აზრი, დეკრეტი ერთხმად იქნა მიღებული.

5.2. გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების შენობის გარემონტების შესახებ

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 აგვისტოს სხდომაზე გამოტანილი იქნა „დეკრეტი სასახლის შესაკეთებლად 9 მილიონი მანეთის გადადებისა“. მომხსენებელმა ი. გომართელმა (ს. დ.) დეპუტატებს წარუდგინა პრეზიდიუმის თვალსაზრისი სასახლის შენობის მდგომარეობის შესახებ. „ამ სახლს მეტად დიდი რემონტი ესაჭიროება, რომლის განხორციელებაც დღევანდელ პირობებში პრეზიდიუმს შეუძლებლად მიაჩნია, მაგრამ არის ბევრი რამ ისეთი, რომლის შეკეთებაც მიუცილებელი გახლავთ“, - აღნიშნა ი. გომართელმა (ოქმები, ტ. VII, გვ.434).

ასეთ, „პირველ რიგში გასაკეთებლად“ მიჩნეული იქნა შემდეგი:

ა/ ბიბლიოთეკის და სამკითხველო დარბაზის რიგიანად მოწყობა. დამფუძნებელ კრებას „ძვირფასი ბიბლიოთეკა“ ჰქონდა შეძენილი და მისი შევსება გრძელდებოდა;

ბ/ საჭირო იყო ოთახების მოწყობა, სადაც დამფუძნებელი კრების დეპუტატებს შეეძლებოდათ მუშაობა;

გ/ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის აზრით, საჭირო იყო დამფუძნებელი კრების სხდომათა დარბაზის გადაკეთებაც. ივანე გომართელმა განმარტა, თუ რა იყო დარბაზში გადასაკეთებელი: „თვით ეს ტრიბუნაც გადასაკეთებელია, რადგან დარბაზიდან თავმჯდომარე არა სჩანს და არც ორატორის სიტყვები ესმის მას“ (ოქმები, ტ. VII, გვ.434).

პირველი რიგის გასაკეთებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა 8 მილიონ მანეთს შეადგენდა, მაგრამ იმის გამო, რომ „მუშა-ხელი და მასალა დღითი-დღე ძვირდება“ კომისიამ ამას ანგარიში გაუწია და ჩათვალა, რომ „8 მილიონი არ იქნეს საკმარისი და 9 მილიონი მოითხოვა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.434-435).

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის აზრით, საჭირო იყო „განსაკუთრებული სატეხნიკო კომისიის“ შექმნა, რომელსაც დამფუძნებელი კრება აირჩევდა და „ყოველგვარი ხარჯების გაწევა“ მას ექნებოდა დავალებული, პრეზიდიუმი ამა თუ იმ ხარჯს „მხოლოდ ამ კომისიის მოთხოვნილების მიხედვით“ გასწევდა (ოქმები, ტ. VII, გვ.435).

სატეხნიკო კომისია დამფუძნებელი კრების იმავე სხდომაზე შეიქმნა 9 წევრის შემადგენლობით. დამფუძნებელი კრების დადგენილებით, საგანგებო კომისია შეუდგა სასახლის შეკეთებას (ოქმები, ტ. VII, გვ.454).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 აგვისტოს სხდომაზე, როდესაც მიიღეს გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების სხდომების 15 ოქტომბრამდე შეწყვეტის შესახებ, აპირებდნენ ამ პერიოდში სასახლის გარემონტებასაც. ამ პროცესის სახელმძღვანელოდ შეიქმნა „სატეხნიკო კომისიაც“. თუმცა, შენობის რემონტის დამთავრება ამ პერიოდში ვერ მოესწრო. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე პავლე საყვარელიძემ წარმოადგინა „სატეხნიკო კომისიის მოხსენება დამფუძნებელი კრების სასახლის შესაკეთებლად წარმოებული მუშაობის შესახებ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.455).

პავლე საყვარელიძემ ახსნა სარემონტო სამუშაოების დაუმთავრებლობის მიზეზები: ა/ სასახლის შეკეთების გეგმის შედგენისას ვერ გაითვალისწინეს ყველა შესაძლო სამუშაოები, მაგალითად, ფანჯრების გაფართოებისას აღმოჩნდა, რომ „კედლები თითქმის სულ დარღვეული იყო“ და საჭირო გახდა „მთელი კედლები ხელახლა ამოეშენებინათ“; ბ/ გეგმის შედგენის შემდეგ ინჟინრებს მიეცათ ახალი დავალებები, მაგალითად, მთავრობის ოთახების მოწყობა, რასაც მეტი დრო დასჭირდა; გ/ გაძნელდა რემონტისათვის საჭირო მასალის მოძიება; დ/ რთული იყო კვალიფიციური მუშახელის მოძიება. თბილისში „უმაგალითო სიძვირის გამო“, ისინი სამუშაოდ სხვა ქალაქებში იყვნენ წასული და „მთელი ტფილისი მოკლებულია ამგვარ ხელოსნებს“; ე/

უამინდობა. ამის გამო იძულებული იყვნენ გალესილი კედლები ცეცხლით გაეშროთ, რათა შესაღებად მოემზადებინათ.

რადგანაც 15 ოქტომბრისათვის შენობა მზად არ იყო, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მოიწვია თათბირი ფრაქციების წარმომადგენლების და სატეხნიკო კომისიის მონაწილეობით და დაადგინეს: „15 ამა თვეს გაიხსნას კრება მხოლოდ ერთის დღით და მიენდოს პრეზიდიუმს, რაც შეიძლება დაჩქარებით მოაწესრიგოს ეს საქმე და მოიწვიოს შემდეგი კრება, როგორც კი საშუალება იქნება“ (ოქმები, ტ. VII, გვ.455).

პავლე საყვარელიძემ დეპუტატებს აუწყა, რომ სათანადო ზომები მიღებული იყო და „რამდენიმე დღის შემდეგ“ იმდენად დამზადებული იქნებოდა ფრაქციების ოთახები, რომ შესაძლებელი იქნებოდა დამფუძნებელი კრების მუშაობა (ოქმები, ტ. VII, გვ.455-456).

დამფუძნებელმა კრებამ განხილვის გარეშე მიიღო დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომის დადგენილება, რომ 15 ოქტომბერს სხდომა შეწყვეტილიყო და პრეზიდიუმს მინდობოდა შემდეგი სხდომის მოწვევა. სხდომის დამთავრებისას თავმჯდომარემ დამფუძნებელი კრების წევრებს სთხოვა დაეთვალიერებინათ სასახლე და „მასში წარმოებული მუშაობის მიმდინარეობა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.456).

მომდევნო სხდომის მოწვევა მხოლოდ 20 დღის შემდეგ, - 1920 წლის 5 ნოემბერს მოხერხდა.

5.3. დამფუძნებელი კრების კანცელარია

დამფუძნებელი კრების კანცელარიის შტატები

დამფუძნებელ კრებას საქმიანობისათვის, ბუნებრივია, ჭირდებოდა გარკვეული დამხმარე პერსონალი. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 8 აპრილის სხდომაზე დამტკიცდა დამფუძნებელი კრების 1919 წლის ხარჯთაღრიცხვა (3.223.510 მანეთი), რომელსაც თან ერთვოდა დამფუძნებელი კრების კანცელარიის საშტატო განრიგი, სულ 41 შტატით (ოქმები, I, გვ.190-191).

N	თანამდებობა	შტატების რაოდენობა
1.	კანცელარიის გამგე	1
2.	საბიუჯეტო-საფინანსო განყოფილების საქმეთა მმართველი	1
3.	საქმის მწარმოებელი	8
4.	ექსპედიტორი	1
5.	ექსპედიტორის თანაშემწე	1
6.	მანქანით გადამწერი - უფროსი კატეგორიისა	7
6ა.	მანქანით გადამწერი - უმცროსი კატეგორიისა	3
7.	სტენოგრაფიული ოქმების რედაქტორი - უფროსი	1
7ა.	სტენოგრაფიული ოქმების რედაქტორი - უმცროსი	1
8.	სტენოგრაფიული ოქმების შემდგენელი	8
9.	ეკზეკუტორი	1
10.	ეკზეკუტორის თანაშემწე	1
11.	ქვესტორი	1
12.	ქვესტორის თანაშემწე უფროსი	1
12ა.	ქვესტორის თანაშემწე უმცროსი	1
13.	ბუხჰალტერი	1
14.	კანცელარიის მოხელე მორიგეობისათვის	1
15.	ბიბლიოთეკის გამგე	1
16.	ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწე	1

ხელფასების ზრდა

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის შუამდგომლობით განიხილეს დეკრეტი „დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა“. მომხსენებელმა იოსებ ირემაშვილმა (ს. დ.) აღნიშნა, რომ „ცხოვრების სიძვირის ზრდამ და... პირველ მოთხოვნილების საგნების ფასების აწევამ კვლავ აიძულა სახელმწიფო ჯამაგირები მოემატებინა ყველა თავის უწყების მოსამსახურეებისათვის“ (ოქმები, ტ. III, გვ.132). ეს მომატება შრომის სამინისტრომ 20 მაისს განახორციელა და ხელფასები 50%-ით გაიზარდა, მაგრამ ეს არ შეხებია დამფუძნებელი კრების კანცელარიას, რომლის შტატებიც 8 აპრილს იყო დამტკიცებული. შედეგად „შტატი კანცელარიისა... უფრო ცუდ პირობებში იყო, ვიდრე სხვა უწყების მოსამსახურეები“. ამიტომ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი ითხოვდა კანცელარიის მოსამსახურეებისათვის ხელფასების 50%-ით გაზრდას. ეს დეკრეტი დამფუძნებელმა კრება, ულაპარაკოდ მიიღო (ოქმები, ტ. III, გვ.132).

1919 წლის 2 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო მოსამსახურეებს ხელფასი 40%-ით ეზრდებოდათ, მაგრამ იქვე აღნიშნული იყო, რომ ეს არ ვრცელდებოდა დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეებზე. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე დამფუძნებელი კრების კანცელარიის თანამშრომელთა ხელფასების საკითხს ცალკე დაუბრუნდნენ. მომხსენებელმა გრიგოლ გიორგაძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეები განსხვავებულ პირობებში იმყოფებოდნენ: ა/ მათი ძირითადი ხელფასი დაბალი იყო და სხვა უწყებების მსგავსად მხოლოდ 40%-ით გადიდება მათ მდგომარეობაში ბევრ არაფერს შეცვლიდა; ბ/ დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეების დატვირთვა ძალზედ დიდი იყო. ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დეკრეტით („დეკრეტი დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეების ჯამაგირის მომატებისა“) მათ ხელფასი დაახლოებით 100%-ით იზრდებოდა. წარმოდგენილი დეკრეტი დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო (ოქმები, ტ. IV, გვ.255).

დამფუძნებელი კრების კანცელარიის შტატების გაზრდა

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 9 დეკემბრის სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს დეკრეტი დამფუძნებელი კრების კანცელარიის შტატების გაზრდის შესახებ. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მოითხოვა დამფუძნებელი კრების კანცელარიაში ორი ახალი თანამდებობის შემოღება, - დამფუძნებელი კრების კანცელარიის გამგის ამხანაგის და ხაზინდარის. მომხსენებელმა გრიგოლ გიორგაძემ (ს. დ.) ახალი შტატების საჭიროება შემდეგნაირად დაასაბუთა: „გამგის ამხანაგის საჭიროება იმითია გამოწვეული, რომ დამფუძნებელ კრებას ბევრი საქმეები აქვს და ხშირად ბევრი ამ საქმეებიდან სასწრაფოდ არის შესასრულებელი და ერთი გამგე ამ საქმეებს ვერ აუვა. გარდა ამისა, როდესაც მას არ სცალიან აუცილებლად საჭიროა, რომ კაცი იყოს, რომელიც მის თანამდებობას შეასრულებს“ (ოქმები, ტ. IV, გვ.243). ხაზინდარის საჭიროება კი იმით აიხსნებოდა, რომ „დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში არის დიდ ძალი თანხა სხვა და სხვა საჭიროებისათვის. ამას ანგარიში უნდა... ამას ყველას უნდა სისწორით წარმოება და ამისათვის სათანადო პასუხისმგებელი პირებია საჭირო“ (ოქმები, ტ. IV, გვ.243).

5.4. ზრუნვა დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკაზე

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე მიღებული იქნა „დეკრეტი ერთი მილიონ მანეთის გადადებისა დამფუძნებელ კრების ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძენად“.

მომხსენებელმა ექვთიმე თაყაიშვილმა (ე. დ.) აღნიშნა, რომ 1919 წლის ხარჯთაღრიცხვით ბიბლიოთეკისათვის გადადებული იყო 200 ათასი მანეთი, მაგრამ „ზოგიერთი ბიბლიოთეკის“ და ცალკე წიგნების შეძენის შემდეგ ეს თანხა ამოწურული იყო. ამავე დროს, ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, „მოთხოვნილება წიგნებისა დიდია“, „როგორც დამფუძნებელ კრების წევრები, ისე ხშირად სხვა და სხვა უწყება ჩვენი რესპუბლიკისა საჭიროებს მოუცილებლად ზოგიერთ გამოცემას“ (ოქმები, ტ. IV, გვ.339). რადგანაც უცხოეთიდან წიგნების შემოტანა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, ამიტომ ბიბლიოთეკის შევსების ერთადერთ გზად ადგილობრივ მათი შეძენა რჩებოდა. „რამოდენიმე კარგი ბიბლიოთეკა შევიძინეთ, მაგრამ ეს სრულიად საკმარისი არ არის დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის“ (ოქმები, ტ. IV, გვ.339), - განაცხადა ექვთიმე თაყაიშვილმა და დასძინა, რომ „საბიბლიოთეკო კომისიას და პრეზიდიუმს“ განზრახული ჰქონდათ „ორიოდე დიდი კერძო ბიბლიოთეკის“ შეძენა, რადგანაც წიგნების ფასი მკვეთრად იზრდებოდა, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი ითხოვდა ამისათვის ერთი მილიონი მანეთის გამოყოფას (ოქმები, ტ. IV, გვ.339340).

ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნების შეძენასთან ერთად, დღის წესრიგში დგებოდა წიგნების სათანადო განთავსების საკითხიც. „როდესაც აქ ჩვენ ბიბლიოთეკას ვაფართოებთ, ამისთვის შესანახი ბინა გვინდა. სრულებით ბიბლიოთეკას შესაფერი ბინა არა აქვს, არა აქვს იმისთვის, რომ პატარა ოთახში ვერ ვთავსდებით და ამას გარდა ინჟინრები გვაფრთხილებენ, თუ კიდევ სიმძიმე მოუმატეთ, იატაკი ჩაინგრევაო“, - განაცხადა ექვთიმე თაყაიშვილმა (ოქმები, ტ. IV, გვ.340). ამიტომ დამფუძნებელი კრებისგან ითხოვდა „შესაფერი ოთახების“ დათმობას, - „ან დამფუძნებელი კრების სადგურში, ანდა ცალკე სხვაგან“ (ოქმები, ტ. IV, გვ.340). დამფუძნებელმა კრებამ წარდგენილი დეკრეტი ერთხმად, განხილვის გარეშე მიიღო.

5.5. დამფუძნებელი კრების სტამბა

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 28 ივლისის სხდომაზე გამოტანილი იყო დეკრეტის პროექტი დამფუძნებელი კრების მიერ საკუთარი სტამბის მოწყობის შესახებ (ოქმები, ტ. III, გვ.19). ამის წინააღმდეგ გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. ფრაქციის სახელით გამოსულმა სოლომონ ვადაჭკორიამ აღნიშნა, რომ მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებს თავიანთი სტამბები გააჩნიათ, არის 7 თუ 8 სტამბა და „ზოგიერთი მათგანი გაჩერებული არის“. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გადაწყვეტილებით უნდა მომხდარიყო ამ სტამბების გაერთიანება, „მოეწყოს ერთი მართველობა, რომ უფრო შესაძლებელი გახდეს საქმის დაწესება და უფრო იაფი წარმოება“ (ოქმები, ტ. III, გვ.20). მისი თქმით, როცა „მთავრობის სტამბების საქმე“ მოწესრიგდებოდა, შეიძლება საჭირო აღარ გამხდარიყო „დამფუძნებელი კრებისათვის საკუთარი სტამბის დაარსება“ (ოქმები, ტ. III, გვ.20). დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სახელით გამოსული ირემაშვილი (ს. დ.) თავის აზრზე დარჩა და მოითხოვდა სტამბის დაარსებას დამფუძნებელი კრების კანცელარიასთან, მაგრამ კენჭისყრით გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება (ოქმები, ტ. III, გვ.20).

5.6. დროშა სასახლის თავზე

დამფუძნებელი კრების შენობაზე, ანუ სასახლეზე, მისი გახსნის დღიდან, ორი დროშა ფრიალებდა, - წითელი, რევოლუციური და სამფეროვანი, ეროვნული. ეს „ორდროშიანობა“ გარკვეულ დაპირისპირებას ქმნიდა საზოგადოებაში. დამახასიათებელია შემდეგი ეპიზოდი: დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა აღნიშნა: „წარმოვიდგინოთ ერთი წუთით ბოლშევიკური დროშის აფრიალება სოხუმში და ფოთში“. ბოლშევიკების დროშა იგივე იყო, რაც ქართველ სოციალისტებს ჰქონდათ. აქ გაისმა გიორგი გვაზავას (ე. დ.) რეპლიკა: „თქვენ, რომელი დროშა გაქვთ!“. ამ კითხვაზე ერთდროულად ორი პასუხი გაისმა. თავად ნოე რამიშვილის: „ის დროშა, რომელიც მიიღო პარლამენტმა“ და ვალიკო ჯუღელის რეპლიკა: „წითელი დროშა“. ნოე რამიშვილმა ჯუღელის წამოძახილს ყურადღება არ მიაქცია და გააგრძელა: „სახელმწიფოს, ბ-ნო გვაზავა, აქვს ერთი დროშა“. ეს გვაზავამაც კარგად იცოდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატებს რომ წითელი დროშა არ ეთმობოდათ, ეს ჯუღელის სიტყვებმაც აჩვენა. ნოე რამიშვილის ნათქვამს, რომ სახელმწიფოს ერთი დროშა აქვსო, გიორგი გვაზავამ ახალი რეპლიკით უპასუხა: „სწორედ ეს გვინდა, რომ ერთი დროშა ჰქონდეს“ (ოქმები, ტ. III, გვ.381). დასახელებულ სხდომაზე გიორგი გვაზავამ თავის გამოსვლაში მთავრობას მოუწოდა „ეხლა მაინც გაბედულად ააფრიალონ ნამდვილი სახელმწიფოებრივი დროშა, ნათქვამია, რომ ხალხი თვალებით აზროვნებს, და აი, სწორედ ამიტომ საჭიროა, შეჰქმნათ ისეთი პირობები, რომ ხალხს შეეძლოს აზროვნება გასწიოს იმ ემბლემით, რომელიც გამოხატავს მის ეროვნულ არსებას“ (ოქმები, ტ. III, გვ.408).

საქართველოს სახელმწიფო დროშას კი სოციალისტთა ნაწილი ადვილად არ ღებულობდა და „ნაციონალისტურად“ მიიჩნევდა. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 9 მაისის სხდომაზე ივანე გობეჩიამ (ს. რ.) განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ „ზოგიერთ სოციალისტურ პარტიებმა თავის ძველ სოციალისტურ ტრადიციებს უღალატეს და თავიანთი ინტერნაციონალური დროშა შესცვალეს ნაციონალისტური დროშით“ (ოქმები, ტ. I, გვ.378).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 30 დეკემბრის სხდომაზე გრიგოლ გიორგაძე (ს. დ.) აღნიშნავდა: „ჩვენი მთავრობა არ დაუშვებს იმ დროშას, რომელიც მას უჭირავს და რომელიც მას დამფუძნებელმა კრებამ ჩააბარა სატარებლად და დასაცავად. ეს არის დროშა საქართველოს დამოუკიდებლობისა“. მის ამ სიტყვებს ჯუღელის რეპლიკა მოჰყვა: „წითელი დროშა!“. დროშის საკითხი, - წითელი თუ ეროვნული, - ჯუღელს ძალზედ აფიქრებდა და წითელი დროშა არ ეთმობოდა. თუმცა გრიგოლ გიორგაძემ ეს რეპლიკა არ შეიმჩნია (ოქმები, ტ. IV, გვ.396).

1920 წლის 14 იანვარს სასახლიდან წითელი დროშა ჩამოხსნეს და მხოლოდ ეროვნული დატოვეს. ამას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა სოციალისტურ წრეებში. მაგალითად, ვალიკო ჯუღელი თავის დღიურში 1920 წლის 15 იანვარს აღნიშნავდა: „გუშინდელი დღე სამწუხარო ინციდენტით დასრულდა: სასახლიდან წითელი დროშა ჩამოხსნეს. ბევრს ატკინა გული და ბევრიც ააღელვა“, თუმცა იქვე გამოთქვამს იმედს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურად მოწვეული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხდომა ძველ ვითარებას აღადგენდა: „ხვალ ფრაქციის სხდომაა. სხდომა ამ ინციდენტს ეძღვნება და ჩვენ ისევ აღვმართავთ ჩვენს წითელ დროშას“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.260). სხდომამ ვ. ჯუღელის იმედები არ გაამართლა, რასაც ასევე გულის ტკივილით აღნიშნავს თავის დღიურში: „იმედები გაგვიცრუვდა... სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ უარი თქვა სასახლეზე წითელი დროშის აღდგენაზე. ამით მან უარყო წითელი დროშა. ზურგი აქცია რევოლუციის დროშას! მე კი

ზურგს ვაქცევ ასეთ გადაწყვეტილებას. და ვრჩები წითელი დროშის ერთგული...“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.260).

სასახლის თავზე ჩამოხსნილი წითელი დროშის თემას ვალიკო ჯუღელი მომდევნო დღესაც დაუბრუნდა: „მე მიყვარდა ჩვენი სასახლე. დიდი ქალაქის ყველა ბოლოდან ვტკბებოდი მასზე ამაყად აღმართული, მოფრიალე წითელი დროშით. და ყველა დროშაზე უფრო მაღლა იდგა ის წითელი დროშა! ჩვენი დროშა! და ჩვენ გვიყვარდა ის ძალიან მხურვალედ! ეს დროშა რევოლუციის გაგრძელების სიმბოლო იყო. ის ჩვენი რევოლუციური ოცნება, ჩვენი საბოლოო იმედი იყო. მაგრამ დროშა ჩამოხიეს და შეუბრალებლად მოკლეს ოცნებაც და ეს ჩაიდინეს არა ეროვნულ-დემოკრატებმა, არამედ სოციალ-დემოკრატებმა... ზოგიერთმა სოციალ-დემოკრატმა“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.262).

შენობაზე, სადაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამფუძნებელი კრება სხდომებს მართავდა, დარჩა მხოლოდ სახელმწიფო დროშა და ეს ნაბიჯი სოციალისტთა ნაწილისთვის რევოლუციის ღალატად აღიქმებოდა და ჯუღელის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, ეროვნული დროშა მისთვის ბევრ არაფერს ნიშნავდა წითელ დროშასთან შედარებით...

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 4 თებერვლის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) სასახლიდან წითელი დროშის ჩამოხსნის გამო სოციალ-დემოკრატები რევოლუციის ღალატში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, „დამფუძნებელმა კრებამ კარგა ხანია გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი რევოლიუციასთან, ამაში დამეთანხმებით მას შემდეგ, რაც თვით სასახლეს ჩამოხსენით წითელი დროშა რევოლიუციისა, არ უფლება თქვათ, რომ დგეხართ რევოლიუციის ნიადაგზე“ (ოქმები, ტ. V, გვ.147).

ეროვნულ-დემოკრატები მანამდე დიდი ხნის განმავლობაში მოითხოვდნენ ეროვნული და კლასობრივი დროშის გამიჯვნას. ეროვნული დროშა სავალდებულოა ყველასთვის კლასობრივი არა. ამასთან დაკავშირებით დამფუძნებელი კრების 1919 წლის 13 ივნისის სხდომაზე ალექსანდრე ასათიანი (ე. დ.) აღნიშნავდა: „სახელმწიფოს დღესასწაული, სახელმწიფოს დროშა - ეს ერთი არის და ინტერნაციონალური, კლასიური უქმე და დროშა - მეორე არის. დამფუძნებელ კრებაში ამის გარჩევა ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს. არავინ არ მოითხოვს, რომ ინტერნაციონალი არ იდღესასწაულოს ვისაც ეს სურს, მაგრამ ნურავინ ნუ მოითხოვს, რომ კლასიური უქმე იდღესასწაულოს მთელმა ქართველმა ხალხმა“ (ოქმები, ტ. II, გვ.128).

სოციალისტ დეპუტატებს შორის დამკვიდრებული იყო ნაციონალური და წითელი დროშის ერთად მოხსენიების პრაქტიკა. ეს დროშები გვერდი-გვერდ თანაარსსებობენ. თუმცა, ჩნდება ეროვნული დროშის სხვაგვარი გააზრებაც, როგორც ეროვნულის და რევოლუციურის განსახიერებისა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე კონსტიტუციის პროექტის 1-ლი თავის ზოგადი განხილვის დროს პავლე საყვარელიძე (ს. რ.) აღნიშნავდა: „ჩვენი ნაციონალური დროშა სინთეზია რევოლუციისა და ჩვენი ნაციონალური იდეის“ (ოქმები, ტ. VII, გვ.675).

ჩნდება ეროვნული დროშით სიამაყეც. როდესაც დამფუძნებელი კრების 1920 წლის 9 ივლისის სხდომაზე ალექსანდრე ლომთათიძემ წაიკითხა მთავრობის თავმჯდომარის დეპეშა მოკავშირეთა მიერ ბათუმის საქართველოსთვის გადმოცემის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა „მათი დროშების ალაგას ააფრიალეს ჩვენი დროშა“ (ოქმები, VII, გვ.10). ამის შემდეგ ალექსანდრე ლომთათიძემ სიამაყით განაცხადა: „იქ ფრიალებს საქართველოს, ჩვენი ერის დროშა, დროშა სისხლით განბანილი და ბრძოლის ცეცხლიდან გამოტანილი საქართველოს მშრომელი ხალხის და დემოკრატიის მარჯვენის წყალობით“ (ოქმები, VII, გვ.11).

5.7. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სამეურნეო ხარჯები

1919 წელს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს სხვადასხვა ხარჯებისათვის გამოყოფილი ქონდა 200 ათასი მანეთი. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ამავე მიზნით გამოეყო ასევე 200 ათასი მანეთი (ოქმები, ტ. IV, გვ.340).

სასახლის დამფუძნებელი კრებისათვის გადაცემამ დამატებითი ხარჯები გააჩინა, რაც შენობის შენახვას უკავშირდებოდა. 1920 წლის 13 ოქტომბერს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მოიწვია სხდომა ფრაქციათა წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც განიხილეს დეკრეტი „დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისათვის 3 მილიონი მანეთის გადადებისა“.

დეკრეტი განსახილველად გამოიტანეს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე. მომხსენებელმა თედო ღლონტმა (ს. ფ.) აღნიშნა, რომ დამფუძნებელი კრების 1920-1921 წლების ხარჯთაღრიცხვით დამფუძნებელი კრების განკარგულებაში სხვა და სხვა „მოულოდნელ და წინასწარ გაუთვალისწინებელ“ ხარჯებისათვის გამოყოფილი იყო 500 ათასი მანეთი, ამ თანხიდან უკვე დახარჯული იყო 413.596 მანეთი და პრეზიდიუმს რჩებოდა მხოლოდ 86.404 მანეთი. მას შემდეგ, რაც სასახლის მთელი მეურნეობა დამფუძნებელი კრების ხელში გადავიდა, გაჩნდა წმინდა სამეურნეო ხარჯებიც, რომლებიც სულ უფრო იზრდებოდა. მაგალითად, ნაგვის გატანა თვიურად 10 ათას მანეთამდე ჯდებოდა, ელექტროსადგურების სათბობი მასალის მოტანა კი 4.500 მანეთი ჯდებოდა (ოქმები, ტ. VII, გვ.454). ამიტომ პრეზიდიუმმა გადაწყვიტა „ცხენების და ფურგონების შეძენა“, ასევე საჭირო იქნებოდა „საკვებ და სხვა საგნების ყიდვაც“, ამიტომ 13 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე გადაწყდა 3 მილიონი მანეთის გამოყოფა, რომელიც შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდებოდა (ოქმები, ტ. VII, გვ.454). დეკრეტი დამფუძნებელმა კრებამ არსებითი განხილვის გარეშე მიიღო.

5.8. 1921 წლის იანვარი: დამფუძნებელი კრების ყოველდღიური საჭიროებანი

დამფუძნებელი კრების ნორმალური საქმიანობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტა იყო საჭირო, ზოგიერთმა დღეს შეიძლება ღიმილიც გამოიწვიოს, მაგრამ მათ საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა და რომელიმე მათგანის იგნორირებას, შეიძლება, შეეფერხებინა დამფუძნებელი კრების საქმიანობა.

1921 წ. 5 იანვარს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა განიხილა რესტორან „შამპანის“ მეპატრონის გ. კერესელიძის თხოვნა დამფუძნებელი კრების წევრებისა და მოხელეებისათვის სასახლეში სასადილოს მოწყობის შესახებ. თუკი ამის ნებას მისცემდნენ, პირობას დებდა, რომ ფასები არსებულ ნიხრთან შედარებით 40%-ით ნაკლები იქნებოდა. პრეზიდიუმის დადგენილებით ამის ნება მიეცა, თუკი სასადილო „ბაზრის ფასებთან შედარებით 50%-ით ნაკლებად“ ივაჭრებდა. გარდა ამისა, გ. კერესელიძეს სასადილოს მოსაწყობად მიეცა „საჭირო ჭურჭლეულობა სასახლის საწყობიდანვე“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.29).

იმავე სხდომაზე თავმჯდომარის უფროსმა ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ პრეზიდიუმის საჭიროებისათვის ეტლის შეძენის საკითხი დააყენა, რაც დადებითად გადაწყდა და სასახლის გამგეს დაევალა „შეიძინოს ეტლი თვისი მოწყობილობით“, რისთვისაც მიეცა საჭირო თანხა (ოქმები, ტ. VIII, გვ.29).

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა 1921 წ. 22 იანვარს განიხილა „სასახლის ბუხრების და ღუმელების ცეცხლის გაჩენისაგან უზრუნველყოფის“ გამორკვევის საკითხი და სთხოვა „ტფილისის ბრანდმეისტერს“ დროულად უზრუნველეყო „სასახლის ბუხრებისა და ღუმელების“ შემოწმება (ოქმები, ტ. VIII, გვ.1279).

1921 წლის 27 იანვარს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა განიხილა სასახლის განათების საკითხი. თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ პრეზიდიუმს მოახსენა, რომ „სასახლეს მხოლოდ რამდენიმე დღის საყოფი გასანათებელი მასალა დარჩა“ და საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება, რომ „სასახლე სიბნელეში არ დარჩეს“. გამოინახა პრობლემის გადაწყვეტის გზები: სამხედრო უწყებას შეეძლო ბენზინის გარკვეული ნაწილის დათმობა და ასევე შეიძლებოდა სასახლეს შუქი ქალაქის ელექტროსადგურიდან მიეღო, რისთვისაც სასახლის სადგურის გადაკეთება იქნებოდა საჭირო. ყველაზე რეალური აღმოჩნდა გზათა უწყების მზაობა, რომელსაც შეეძლო სასახლისთვის დაეთმო „ათი ფუთი ბენზინი და ნავთი, რაც სასახლის სადგურს ეყოფა შუა თებერვლამდი“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.170).

მოქალაქე მატისევიჩმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს შესთავაზა თავისი ნაშრომის შეძენა ოსმალეთის საქართველოს შესახებ და ამ ნაშრომს 100 ათას მანეთად აფასებდა. 1921 წ. 27 იანვარს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა განიხილა ეს საკითხი და ე. თაყაიშვილს დაავალა აღნიშნული ნაშრომის შეძენა და „ავტორთან ფასის შესახებ მოლაპარაკება“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.171).

5.9. შეიძლება თუ არა დამფუძნებელ კრებასთან საპროტესტო აქციის გამართვა

1919 წლის 12 მარტს შეკრებილი დამფუძნებელი კრების შენობის წინ ხალხმრავლობა და სხვადასხვა ღონისძიებები იშვიათი არ იყო, სასახლის წინ შეკრებილი ადამიანებისთვის აივნიდან ხშირად მიუმართავთ დამფუძნებელი კრების წევრებსაც. დამფუძნებელ კრებასთან ჩატარებული დემონსტრაციები და კრებები ან საზეიმო ხასიათს ატარებდა, ანდა მხარდაჭერის გამომხატველი იყო.

ისე მოხდა, რომ დამფუძნებელი კრების ორწლიანი მუშაობის განმავლობაში, პირველად მხოლოდ 1921 წლის 2 თებერვალს გაიმართა დამფუძნებელი კრების წინ საპროტესტო აქცია. სოციალისტ-ფედერალისტები და მათი მხარდამჭერები, ძირითადად სტუდენტები, მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრებიდან ბენია ჩხიკვიშვილის (ს. დ.) გაძევებას, მის მიერ შალვა ნუცუბიძისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების გამო.

განხილვის საგანი გახდა არა მხოლოდ მომხდარი სკანდალი, არამედ დამფუძნებელი კრების წინ გამართული საპროტესტო აქციის საკითხიც. დემოკრატიული პარტიის მთავარმა ორგანომ გაზეთმა „საქართველომ“ ასეთი აქციების გამართვა დაუშვებლად მიიჩნია. გაზეთის თქმით, „ასეთი დემონსტრაციები პარლამენტის წინაშე საზოგადოთ დაუშვებელია. კანონმდებელნი მუდამ დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ თავიანთ მოქმედებაში და სრულიად თავისუფალნი შემთხვევით შეკრებილ საზოგადოების ზეგავლენიდან“ („საქართველო“, 6.02.1921). გაზეთი სარედაქციო სტატიაში მიუთითებდა, რომ საპროტესტო აქციების მიზანი არის დამფუძნებელი კრების წევრებზე „ერთგვარი ზეგავლენის და ძალ დატანების მოხდენა“ და, გაზეთის განცხადებით, რას დაემსგავსებოდა ყველაფერი, თუკი „ხვალ, არც თუ პოლიტიკური საქმის გამო, სხვა ფრაქციებმა მუშათა და მოქალაქეთა დემონსტრაციები გამართონ დამფუძნებელი კრების წინ“.

გაზეთ „საქართველოს“ აზრით, დამფუძნებელი კრების წინ დასაშვები იყო „მხოლოდ პატრიოტული მანიფესტაციები“. ცხადია, ასეთი რამ კანონით არ იყო განსაზღვრული და, პრინციპში, საპროტესტო დემონსტრაციებს ვერც აკრძალავდნენ, მაგრამ გაზეთ „საქართველოს“ მიერ გამოთქმული მოსაზრება იმ ორწლიან გამოცდილებიდან გამომდინარეობდა, რაც დამფუძნებელ კრებას გააჩნდა და რომლის ფონზეც უცნაურად დას მიუღებლად გამოჩნდა საპროტესტო აქცია დამფუძნებელი კრების წინ. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ მოსაზრებას ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის მთავარი ორგანო გამოთქვამდა.

თავი VI. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი (მალხაზ მაცაბერიძე)

6.1. დამფუძნებელი კრების რეგლამენტი

დამფუძნებელი კრების სტრუქტურას და საქმიანობის წესს განსაზღვრავდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტი. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 21 მარტის სხდომაზე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა წინადადება წამოაყენა, რომ დამფუძნებელი კრების რეგლამენტის შემუშავებამდე, დროებით გამოეყენებინათ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი[4], რასაც დამფუძნებელი კრება დაეთანხმა (ოქმები, ტ. I, გვ.65).

სარეგლამენტო კომისია პირველად 1919 წლის 19 მარტს შეიკრიბა და გადაწყვიტა ყოველდღე შეკრებილიყვნენ, რადგანაც სასწრაფოდ იყო შესამუშავებელი დამფუძნებელი კრების რეგლამენტი. საფუძვლად აიღეს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, რომელშიც შეჰქონდათ გარკვეული ცვლილებები. სარეგლამენტო შემუშავებული რეგლამენტის პროექტი დამფუძნებელ კრებას წარუდგინა 1919 წლის 4 აპრილის სხდომაზე. მომხსენებელმა იესე ბარათაშვილმა (ს. ფ.) აღნიშნა, რომ დამფუძნებელი კრების რეგლამენტის შემუშავების დროს სარეგლამენტო კომისია ხელმძღვანელობდა „რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს, ამიერკავკასიის სეიმის და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტებით“, თუმცა, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ახალ რეგლამენტში იყო რიგი განსხვავებებიც; მისი თქმით, ეს განპირობებული იყო იმ უფლებებისა და მოვალეობებიდან გამომდინარე, რაც დაკისრებული ჰქონდა დამფუძნებელ კრებას (ოქმები, ტ. I, გვ.185).

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის საბოლოო ტექსტი დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 25 აპრილის სხდომაზე დაამტკიცა (ოქმები, ტ. I, გვ.292).[5]

დამფუძნებელი კრების რეგლამენტი შედგება რვა თავისგან. თავი 1-ლი არეგულირებდა დამფუძნებელი კრების გახსნის და დამფუძნებელი კრების წევრთა რწმუნებულობის შემოწმებას; თავი მე-2 ეხებოდა თანამდებობის პირთა არჩევას; თავი მე-3 დამფუძნებელი კრების კომისიებს; საკმაოდ ვრცელი იყო მე-4 თავი „საქმეთა განხილვის წესი“, რომელიც ოთხი ნაწილისგან შედგება: საკანონმდებლო საქმეთა განხილვის წესი, შემოსავალ-გასავალის განხილვის წესი, დეკრეტების განხილვის წესი და წესი ისეთი საქმეების განხილვისა, რომელსაც საკანონმდებლო ხასიათი არ ჰქონდა. ყველაზე ვრცელი იყო მე-5 თავი „დამფუძნებელი კრების სხდომის წესი“, რომელიც 6 ნაწილისგან შედგებოდა: სხდომის დანიშვნა, გახსნა, შეწყვეტა და დახურვა; საქმეთა განხილვის წესი; მსჯელობის წესი, მსჯელობის შემოკლება და შეწყვეტა, კითხვის დასმა, კენჭის ყრის წესი. მე-6 თავი ეთმობოდა, როგორც სათაურში იყო აღნიშნული „დამფუძნებელი კრების წევრთა პირად მდგომარეობას“, მე-7 თავი განსაზღვრავდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სტრუქტურას და ფუნქციებს. უკანასკნელი მე-8 თავი სულ ერთი მუხლისგან შედგებოდა და განსაზღვრავდა რეგლამენტის გადასინჯვის წესს.

---

[4] საქართველოს ეროვნული საბჭოს რეგლამენტი მიიღო ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 5 ივლისს (დოკუმენტი იხ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921. თბ., 1990, გვ.18-42); 1918 წ. 15 ოქტომბერს მიიღეს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დამატება „წესი ენის ხმარებისა“ (იხ. იქვე, გვ.83).

[5] საქართველოს დამფუძნებელი კრების რეგლამენტი გამოქვეყნებულია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921“. თბ., 1990, გვ.240-266; ასევე: საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები, ტ.VIII, 2020, გვ.360-380.

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის დაცვას განუხრელად ცდილობდნენ და რეგლამენტის დაცვის თუ დარღვევის თემაზე დებატებიც იმართებოდა. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 მარტის სხდომაზე თავმჯდომარემ განაცხადა: „ჩაწერილი გახლავთ ბარათაშვილი და იგი თავის სიტყვას უთმობს დადიანს, მაგრამ დადიანი ეხლა ვერ ისარგებლებს დათმობით, ვინაიდან 106 მუხლი რეგლამენტისა ამბობს, რომ წევრს შეუძლია დაუთმოს სიტყვა იმას, ვისაც არა აქვს აღებული“ (ოქმები, ტ. VI, გვ.100), სამსონ დადიანს (ს. ფ.) კი სიტყვა აღებული ჰქონდა.

როცა დამფუძნებელი კრების აღნიშნულ სხდომაზე, მინისტრის დავალებით, სიტყვა მიეცა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს მგელაძეს იოსებ ბარათაშვილმა (ს. ფ.) სიტყვა მოითხოვა რეგლამენტის დარღვევის გამო. მისი განცხადებით, „სიტყვა რიგს გარეშე მიეცემა მთავრობის წევრს და არა მოხელეს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.88). გარდა ამისა, დამფუძნებელი კრების წინაშე „პასუხისმგებელნი არიან მინისტრები და არა მოხელენი“ (ოქმები, ტ. VI, გვ.88), ე. ი. ირღვეოდა „კონსტიტუციური წესიც“, - მთავრობის წევრმა „უნდა იცოდეს დაწვრილებით საქმის ვითარება და ყოველი მოხელის მოქმედებისათვის მან უნდა აგოს პასუხი“ (ოქმები, ტ. VI, გვ.88). სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე ლომთათიძემ ის გამოსავალი ნახა, რომ ოლქის უფროსი იგივე დეპარტამენტის დირექტორია, რეგლამენტით კი მათ „დამფუძნებელ კრებაშუ განმარტებით გამოსვლა არ აქვთ აკრძალული“ (ოქმები, ტ. VI, გვ.88).

6.2. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის უფლებამოსილება

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის მიხედვით, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის არჩევნებს არეგულირებდა რეგლამენტის მე-2 თავი. პრეზიდიუმში შედიოდა თავმჯდომარე, მისი ამხანაგები. მდივანი და მისი ამხანაგები. პრეზიდიუმის წევრთა რიცხვს განსაზღვრავდა თავად დამფუძნებელი კრება. აღნიშნულ თანამდებობებზე კანდიდატები უნდა დასახელებულიყო ბარათებით. კენჭი ეყრებოდა მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც ამაზე თანხმობას განაცხადებდნენ.

არჩევნები უნდა ყოფილიყო ფარული, კენჭისყრა ბარათების მეშვეობით უნდა მომხდარიყო. არჩეულად ის ითვლებოდა, ვინც ხმების ნახევარზე მეტს მიიღებდა. თუ კანდიდატები თანაბარ ხმებს მიიღებდნენ, მათ წილს უყრიდა თავმჯდომარე, თუ ხმების ნახევარზე მეტს ვერავინ მიიღებდა, უნდა ჩატარებულიყო ხელახალი კენჭისყრა, თუ მეორე კენჭისყრის შემდეგაც ხმების ნახევარზე მეტს ვერავინ მიიღებდა, მაშინ არჩეულად ჩაითვლებოდა ის, ვისაც მეტი ხმა ქონდა მიღებული.

პრეზიდიუმის წევრებს ირჩევდნენ ერთი სესიის ვადით და ისინი განაგრძობდნენ თავისი მოვალეობის შესრულებას მომდევნო სესიის დასაწყისშიც, სათანადო თანამდებობის პირთა ხელახალი არჩევნების ჩატარებამდე.

თუკი რომელიმე თანამდებობა ვადის გასვლამდე განთავისუფლდებოდა, ამას პრეზიდიუმი ატყობინებდა დამფუძნებელი კრების უახლოეს სხდომას, რომელიც დანიშნავდა ახალი არჩევნების დღეს. ახლად არჩეული პირი თანამდებობაზე დარჩებოდა იმ ვადამდე, როდემდეც არჩეული იყო მისი წინამორბედი.

პრეზიდიუმის მოვალეობა იყო: ა/ მოეხსენებინა დამფუძნებელი კრებისათვის თავისი მოსაზრება მუშაობის შესახებ და თავისი მოსაზრების თანახმად დამფუძნებელი კრებისათვის წარედგინა დასამტკიცებლად დამფუძნებელი კრების სხდომის დღის წესრიგი; ბ/ წარედგინა დასკვნა რეგლამენტში აღნიშნულ საკითხებზე; გ/ განესაზღვრა თუ რა მსვლელობა უნდა მიეცა დამფუძნებელი კრების სახელზე შესულ დოკუმენტებს; დ/ განეგო დამფუძნებელი კრების წევ-

რების სხდომებიდან გათავისუფლების საკითხები და იმ წევრთა საქმეები, რომლებიც სხდომებს არასაპატიო მიზეზით აცდენდნენ; ე/ ხელმძღვანელობდა დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეთა მიღების, დათხოვნის და სხვა საქმეებს.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ეკისრებოდა დამფუძნებელი კრების შინაგანი წესრიგის უზრუნველყოფა ყოველ იმ შემთხვევისათვის, რომელიც განსაზღვრული არ იყო რეგლამენტით ან დამფუძნებელი კრების რაიმე გადაწყვეტილებით.

პრეზიდიუმს უფლება ჰქონდა ან საკუთარი ინიციატივით, ან დაინტერესებული მხარის განცხადებით გაეუქმებინა დამფუძნებელი კრების ყოველი ორგანოს ისეთი დადგენილება, რომელიც კანონს, რეგლამენტს ან დამფუძნებელი კრების დადგენილებას ეწინააღმდეგებოდა.

პრეზიდიუმის სხდომას იწვევდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, ამავე დროს თავმჯდომარე მოვალე იყო მოეწვია პრეზიდიუმი, თუ ამას მისი ორი წევრი მოითხოვდა. პრეზიდიუმის სხდომა კანონიერად ითვლებოდა, თუკი მას ესწრებოდა არა ნაკლებ სამი წევრი, მათ შორის დამფუძნებელი კრების მდივანი ან მისი ამხანაგი. პრეზიდიუმის მუშაობის ჟურნალის წარმოების წესრიგს თავად პრეზიდიუმი შეიმუშავებდა.

6.3. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის არჩევნები (1919 წელი)

დამფუძნებელმა კრებამ თავის პირველ სხდომაზე 1919 წლის 12 მარტს, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ნიკოლოზ ჩხეიძე, მის უფროს ამხანაგად კი ალექსანდრე ლომთათიძე (ოქმები, I, გვ.21). ყველასთვის ცხადი იყო, რომ სოციალ-დემოკრატების დიდი უპირატესობის პირობებში, დამფუძნებელი კრების ხელმძღვანელის შერჩევა ამ პარტიის გადასაწყვეტი იყო და დანარჩენი ფრაქციებიც დაეთანხმნენ სოციალ-დემოკრატების მიერ შერჩეულ კანდიდატებს.

თუმცა, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პოსტზე სავარაუდო კანდიდატის შერჩევას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაში სერიოზული უთანხმოება და კამათი უძღოდა წინ. ამ პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ვალიკო ჯუღელი, თავის დღიურში 1919 წლის 2 მარტს აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატებს შორის არსებობდა მოსაზრება, რომ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ევგენი გეგეჭკორი აერჩიათ: „დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ევგენის ფიქრობენ. ეს კარგია. საერთოდ ევგენი ყველგან კარგია“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.201). 10 მარტით დათარიღებულ ჩანაწერში, ფრაქციის სხდომის წინ, ვალიკო ჯუღელი უკვე საუბრობს არსებულ უთანხმოებაზე: „ახლა უნდა დაანაწილონ მუშაკები მთავრობასა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში. დღეს ეს საკითხი უნდა გადაწყდეს. ბრძოლა იქნება“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.203). სხდომის შემდეგ კი მოკლედ აღნიშნავს იმ დიდ დაპირისპირებას, რაც სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში გამოიწვია დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის არჩევის საკითხმა. შეთანხმების მიღწევა მხოლოდ პარტიაში ნოე ჟორდანიას ავტორიტეტმა განაპირობა: „მთლიანად განადგურებული ვარ, მძიმეა და რთული!... დღეს ჩვენი ფრაქციის სხდომა ჩატარდა და ჩვენ მთავრობასა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში ძირითადი ადგილების განაწილების საკითხი გადავწყვიტეთ... დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის საკითხმა ჩვენში განხეთქილება გამოიწვია. ზოგიერთ ამხანაგთან მძაფრი კამათი მომიწია... მძიმე და სულის შემხუთავი ატმოსფერო შეიქმნა... და რა ბედნიერებაა, რომ ნოე ნიკოლოზის ძე ჩვენთან არის... ის ჩვენი ერთიანობის სიმბოლოა“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.204).

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის არჩევა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ შემთხვევითი არ იყო, თუკი გავიხსენებთ წინა პერიოდს: 1918 წლის თებერვალში ის აირჩიეს ამიერკავკა-

სიის სეიმის თავმჯდომარედ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ნ. ჩხეიძე გახდა ეროვნული საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) თავმჯდომარე. 1919 წლის დასაწყისში ნ. ჩხეიძე საქართველოდ დელეგაციის თავმჯდომარის სტატუსით გაემგზავრა პარიზში სამშვიდობო კონფერენციაზე. მისი ამოცანა, ირაკლი წერეთელთან ერთად, იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მდგომარეობის განმტკიცება, მისი საერთაშორისო აღიარების მიღწევა. ნიკოლოზ ჩხეიძის წარდგენას ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელის სტატუსით, ჩანაფიქრის მიხედვით, ამ პროცესისთვის უნდა შეეწყო ხელი. დამფუძნებელი კრების არჩევნებიც ხომ სწორედ ამისათვის დააჩქარეს.

დამფუძნებელი კრების მეორე სხდომაზე, 1919 წლის 14 მარტს, დღის წესრიგის პირველ საკითხად შეტანილი იყო პრეზიდიუმის წევრთა არჩევა (ოქმები, I, გვ.27), თუმცა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით რაჟდენ არსენიძემ წინადადება შეიტანა, აერჩიათ მხოლოდ უფროსი მდივანი, რაც საკმარისი იქნებოდა სხდომის გასაძღოლად, ხოლო პრეზიდიუმის დანარჩენი წევრების არჩევა გადაედოთ შემდეგი სხდომისათვის, „იმ მოსაზრებით, რომ შესაძლებელი გახდეს ყველა ფრაქციასთან, ყველა მიმდინარეობასთან მოლაპარაკება და შეთანხმება“ (ოქმები, I, გვ.28).

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ნაწილობრივი არჩევნების იდეას დამფუძნებელი კრება ერთხმად დაეთანხმა, შემდეგ კი ასევე ერთხმად აირჩია სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ უფროს მდივნად დასახელებული კონსტანტინე ჯაფარიძე (ოქმები, I, გვ.185).

1919 წლის 18 მარტის სხდომაზე დამთავრდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრების არჩევა. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მეორე ამხანაგად აირჩიეს სოციალისტ-ფედერალისტების მიერ დასახელებული სვიმონ მდივანი, ასევე თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს ეროვნულ-დემოკრატების მიერ დასახელებული ექვთიმე თაყაიშვილი, უმცროს მდივნებად კი სოციალისტ-რევოლუციონერების მიერ დასახელებული გრიგოლ (გიგო ნათაძე) და სოციალ-დემოკრატების მიერ დასახელებული ქრისტინე შარაშიძე. (ოქმები, I, გვ.59).

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრები აირჩიეს ერთხმად, როგორც ჩანს, ფრაქციები წინასწარ იყვნენ შეთანხმებული და ფრაქციების მიხედვით განაწილებული ჰქონდათ თანამდებობები. უნდა ითქვას, რომ დამფუძნებელი კრების რეგლამენტი ითვალისწინებდა პრეზიდიუმის წევრების არჩევას ფარული კენჭისყრით. შეიძლება ეს იმით ავხსნათ, რომ ამ დროისათვის დამფუძნებელ კრებას არ ჰქონდა მიღებული თავისი მუშაობის რეგლამენტი, მაგრამ როგორც უკვე ითქვა, დროებით მოქმედებდა ეროვნული საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) რეგლამენტი, რომელიც ასევე ითვალისწინებდა პრეზიდიუმის წევრების ფარულ არჩევნებს და დამფუძნებელი კრების რეგლამენტი პრეზიდიუმის არჩევის წესის თაობაზე ფაქტობრივად იმეორებდა ეროვნული საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) რეგლამენტის მე-2 თავს „თანამდებობის პირთა“ არჩევის შესახებ.

1919 წელს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, რომელიც 7 წევრით განისაზღვრა, შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

თანამდებობა	დეპუტატი	პარტია
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე	ნიკოლოზ ჩხეიძე	ს. დ.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი	ალექსანდრე ლომთათიძე	ს. დ.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი	სვიმონ მდივანი	ს. ფ.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი	ექვთიმე თაყაიშვილი	ე. დ.
დამფუძნებელი კრების უფროსი მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ს. დ.

დამფუძნებელი კრების უმცროსი მდივანი	გიგო ნათაძე	ს. რ.
დამფუძნებელი კრების უმცროსი მდივანი	ქრისტინე შარაშიძე	ს. დ.

დამფუძნებელი კრების პირველი სესიის განმავლობაში (1919 წ. მარტი - 1920 წ. მარტი) შედგა პრეზიდიუმის 171 სხდომა (აქედან 11 ფრაქციების წარმომადგენლების მონაწილეობით).

6.4. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განახლება (1920 წელი)

1920 წლის 16 მარტის სხდომაზე დამფუძნებელი კრების წევრებს გააცნეს დამფუძნებელი კრების 1919-1920 წლის საკანონმდებლო საქმიანობის ანგარიში, რაც სპეციალური ცნობის სახით დაურიგდათ დეპუტატებს. ამ დროისათვის დამფუძნებელი კრების საქმიანობის დაწყებიდან ერთი წელი იყო გასული. ამიტომ გადაწყდა ხელახალი არჩევნების ჩატარება დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და კომისიების განახლების მიზნით.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით კვლავ უნდა არჩეულიყო 7 წევრისგან შემდგარი პრეზიდიუმი. რადგანაც ესერებმა გადაწყვიტეს თავი შეეკავებინათ არჩევნებში მონაწილეობისაგან, პრეზიდიუმში ერთი ადგილი თავისუფალი დატოვეს. არჩევნებს არ ესწრებოდა ნიკოლოზ ჩხეიძე, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ალექსანდრე ლომთათიძე, ოჯახური მიზეზების გამო. თუმცა, არსებობდა ორივეს თანხმობა თანამდებობებზე არჩევასთან დაკავშირებით. არჩევნები ჩატარდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტის შესაბამისად. კენჭისყრის შედეგების დათვლისას გაბათილდა რუსულად შევსებული ბარათები (ოქმები, ტ. V, გვ.477).

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ნიკოლოზ ჩხეიძე, თავმჯდომარის უფროს ამხანაგად ალექსანდრე ლომთათიძე, ორივე სოციალ-დემოკრატი. თავმჯდომარის ამხანაგებად ხელახლა აირჩიეს ეროვნულ-დემოკრატებიდან ექვთიმე თაყაიშვილი და ფედერალისტებიდან სიმონ მდივანი. ესერებმა, როგორც უკვე ითქვა, თავისი კვოტის გამოყენებაზე უარი თქვეს. დამფუძნებელი კრების მდივნად ასევე ხელახლა აირჩიეს კონსტანტინე ჯაფარიძე (ს. დ.), მდივნის ამხანაგად ქრისტინე შარაშიძე (ს. დ.).

როგორც ვხედავთ, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილებები არ მომხდარა, მხოლოდ ესერების ბოიკოტის გამო მათი კვოტა პრეზიდიუმში ცარიელი დარჩა და შესაბამისად, პრეზიდიუმში აღარ იყო ამ პარტიის წარმომადგენელი გიგო ნათაძე.

კენჭისყრის შედეგები შემდეგი იყო (ოქმები, ტ. V, გვ.476-477):

	მომხრე	წინააღმდეგი	თავი შეეკავა	გაბათილდა
ჩხეიძე ნიკოლოზ - თავმჯდომარე	44	-	5	2
ლომთათიძე ალექსანდრე - თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი	45	1	6	2
თაყაიშვილი ექვთიმე - თავმჯდომარის ამხანაგი	42	-	6	-
მდივანი სიმონ - თავმჯდომარის ამხანაგი	44	-	4	-
ჯაფარიძე კონსტანტინე - მდივანი	42	-	6	3
შარაშიძე ქრისტინე - მდივნის ამხანაგი	42	-	6	-

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ არჩეული ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე დიდი ხნის განმავლობაში არ იმყოფებოდა საქართველოში და დამფუძნებელი კრების სხდომებს უმ-

თავრესად თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე ხელმძღვანელობდა. თუმცა, სხდომების წაყვანა ექვთიმე თაყაიშვილსაც და სიმონ მდივანსაც უხდებოდათ (იხ. დანართი N 3).

ნიკოლოზ ჩხეიძე საქართველოში მხოლოდ 1920 წლის ბოლოს დაბრუნდა და „თავმჯდომარეობდა უკანასკნელ თვეებში დამფუძნებელ კრებას“ („ბრძოლა“, 1926 N 12-13, გვ.32). კერძოდ, ის თავმჯდომარეობდა დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21, 23 და 25 იანვრის სხდომებს, ასევე დამფუძნებელი კრების სხდომას ქუთაისში 1921 წლის 28 თებერვალს და დამფუძნებელი კრების სხდომას ბათუმში 1921 წლის 15 მარტს. სავარაუდოდ, ნიკოლოზ ჩხეიძე უნდა ყოფილიყო დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის თავმჯდომარეც 1921 წლის 17 მარტს.

დამფუძნებელი კრების სხდომების ოქმები, განსაკუთრებით მეორე სესიის პერიოდის, სრულყოფილი არ არის და რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვანი ხარვეზების შემცველია. ამიტომ სრული სურათის შექმნა იმის თაობაზე, თუ ვინ რამდენ სხდომას თავმჯდომარეობდა, მდივნის მოვალეობას ასრულებდა ან პრეზიდიუმში იყო წარმოდგენილი, დღეისათვის შეუძლებელია. არსებული მონაცემებით კი (იხ. ცხრილი N 3) შემდეგ სურათს ვღებულობთ:

	სხდომის თავმჯდომარე	სხდომის მდივანი	პრეზიდიუმში იმყოფებოდა
ნიკოლოზ ჩხეიძე - თავმჯდომარე	5		
ალექსანდრე ლომთათიძე - თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი	134		1
ექვთიმე თაყაიშვილი - თავმჯდომარის ამხანაგი	21	1	77
სიმონ მდივანი - თავმჯდომარის ამხანაგი	29		47
კონსტანტინე ჯაფარიძე - უფროსი მდივანი	1	93	47
გრიგოლ ნათაძე - უმცროსი მდივანი		25	38
ქრისტინე შარაშიძე - უმცროსი მდივანი		54	65

6.5. ეპიზოდები დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის საქმიანობიდან (1921 წლის იანვარი)

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს უხდებოდა დეპუტატების რიგი თხოვნების განხილვა. ივანე ლორთქიფანიძემ ითხოვა, რომ 4 იანვრიდან რამდენიმე დღით გაეთავისუფლებინათ „ავათმყოფი დედის სანახავათ“, ილია ნუცუბიძე ითხოვდა ოჯახური მდგომარეობის გამო 18 იანვრიდან „რამდენიმე დღით გაენთავისუფლებინათ“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.171).

დამფუძნებელი კრების წევრი გერასიმე შევჩუკი აღნიშნავდა, რომ „საპროპაგანდო მიზნით ნეიტრალური გზის მოვლის დროს“ ავად გახდა და დამფუძნებელი კრების მუშაობას ვერ დაესწრებოდა. დამფუძნებელი კრების წევრი ილია კოპალეიშვილი სოფელში ყოფნის დროს რამდენჯერმე მიიწვიეს „საპროპაგანდო მიზნით“ და დახარჯა სამგზავრო ფული 2.700 მანეთი, რის ანაზღაურებასაც ითხოვდა (ოქმები, ტ. VIII, გვ.128).

დეპუტატებმა შევჩუკმა, ვარდოიანცმა, ჩხეიძემ და კოვალიოვმა მოინახულეს ფრონტზე მყოფი გვარდიის ნაწილები და გვარდიელების მისალმება გამოუგზავნეს დამფუძნებელ კრებას (ოქმები, ტ. VIII, გვ.132).

დამფუძნებელი კრების წევრი გრ. გიორგაძე ითხოვდა ტფილისი-ერევნის მატარებლის ბილეთის ანაზღაურებას (69.980 მან), რადგანაც „ერევანს გაგზავნილი იყო მთავრობის მიერ“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.171).

სკანდალი მოჰყვა სოფელ ვორონცოვკაში დეპუტატ ივანე ლორთქიფანიძის განცხადებას, რომელმაც ვალიკო ჯუღელს „მაუზერისტების მეთაური“ უწოდა. ამას იქ მდგომი გვარდიის ნაწილების საპროტესტო დეპეშები მოჰყვა დამფუძნებელ კრებაში (ოქმები, ტ. VIII, გვ.129-130). 27 იანვარს კი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა ამასთან დაკავშირებით მიიღო სოხუმის ოლქის გვარდიელთა მეორე კონფერენციის საპროტესტო დეპეშა (ოქმები, ტ. VIII, გვ.171).

1921 წლის იანვარში საქართველო არ ომობდა, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებთან განლაგებულ ნაწილებს „ფრონტზე მდგომად“ მიიჩნევდნენ და ასეც უწოდებდნენ. დამფუძნებელი კრების წევრები, როგორც ვნახეთ, ჩადიოდნენ სამხედრო ნაწილების მოსანახულებლად. 1921 წლის 22 იანვარს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა განიხილა სამხედრო მინისტრის 20 იანვრის წერილი, მინისტრი მიესალმებოდა და მიზანშეწონილად მიიჩნევდა დამფუძნებელი კრების წევრების მიერ სამხედრო ნაწილების მონახულებას, მაგრამ აღნიშნავდა, რომ კანონის მიხედვით ბრძოლის ხაზის დათვალიერება შეიძლებოდა მხოლოდ „ფრონტის სარდლის ნებართვით“. მინისტრი ითხოვდა, რომ „ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დამფუძნებელი კრების წევრები მოისურვებენ ფრონტის დათვალიერებას“, წინასწარ ეცნობებინათ, „რათა საშუალება გვექნეს ამის შესახებ თავის დროზე ვაცნობოთ ფრონტის სარდალს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.124).

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ თუ დამფუძნებელი კრების ფრაქცია, კომისია თუ სხვა მოისურვებდა თავის წარმომადგენლის ფრონტის დასათვალიერებლად გაგზავნას, ამის შესახებ ჯერ უნდა ეცნობებინათ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისათვის, „რათა მან ამის შესახებ აცნობოს სამხედრო მინისტრს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.125).

6.6. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრების შემდგომი ბედი

საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი 7 ადამიანი იყო. მათგან ემიგრაციაში წავიდა სამი (კ. ჩხეიძე, ე. თაყაიშვილი, ს. მდივანი), რომელთაგან ერთი (ე. თაყაიშვილი) შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, რომელიც სიცოცხლის ბოლოს საბჭოთა რეჟიმისგან დევნას განიცდიდა.

საქართველოში დარჩენილი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ოთხი წევრისგან ერთი (ალექსანდრე ლომთათიძე) დაპატიმრების შემდეგ გარდაიცვალა, ორს (კონსტანტინე ჯაფარიძე და ქრისტინე შარაშიძე) საბჭოთა რეპრესიები შეეხოთ, თუმცა სიკვდილს გადაურჩნენ, ქრისტინე შარაშიძეს კი სამეცნიერო მუშაობის შესაძლებლობა მიეცა. რეპრესიები არ შეხებია მხოლოდ ერთს (გრიგოლ ნათაძეს), რომელსაც ასევე მიეცა სამეცნიერო მუშაობის შესაძლებლობა. ცოტა დაწვრილებით წარმოვადგინოთ ამ ადამიანების შემდგომი ბედი.

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1924)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამ ნიკოლოზ ჩხეიძისთვის უაღრესად დამთრგუნველი იყო. 1926 წელს, ნიკოლოზ ჩხეიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთი „ბრძოლა“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავდა: „ვისაც კარლო ახსოვს 1921 წლის თებერვალ-მარტში, ემახსოვრება, რომ არც ერთ ჩვენთაგანზე - არც საქართველოში დარჩენილთა და არც უცხოეთში გადმოხიზნულთა შორის - მტრის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობას ისეთი

ღრმა, მძიმე შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორიც კარლოზე მოახდინა. ორი-სამი კვირის განმავლობაში კარლო რამოდენიმე წლით მოხუცდა, თვალშესამჩნევად მოტყდა“ („ბრძოლა“, 1926, N 12-13, გვ.7).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხების შემდეგ კარლო ჩხეიძე ემიგრაციაში წავიდა და აქტიურად მუშაობდა საქართველოს დეოკუპაციის მისაღწევად. ნოე რამიშვილი შემდეგ აღნიშნავდა: „რუსეთის ლაშქრის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ უცხოეთში გახიზნულ ეროვნულ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მთავარი მოვალეობა იყო ბოლშევიკების მოქმედებისა და მათ მიერ დაქირავებულ პირთა მხილება. ამ მიზნით კარლო ჩხეიძესა და მე წილათ გვხვდა შუა ევროპის ქვეყნებში გამგზავრება. 1921 წ. ზაფხულში ჩვენ მოვიარეთ გერმანია, პოლონეთი და სკანდინავიის ქვეყნები. ჩვენ საქმისადმი ყველგან დიდ სიმპატიას იჩენდენ“ (რამიშვილი ნ., 1926, გვ.36). 1924 წლის აჯანყების დამარცხებამ კარლო ჩხეიძე მძიმე სულიერ მდგომარეობაში ჩააგდო. 1926 წლის 7 ივნისს კარლო ჩხეიძემ თვითმკვლელობა სცადა და ჭრილობის შედეგად 1926 წლის 11 ივნისს გარდაიცვალა. დაკრძალეს 15 ივნისს პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

ალექსანდრე ლომთათიძე (1882-1924)

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი, სოციალ-დემოკრატი. კარლო ჩხეიძის საქართველოში არყოფნის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თავმჯდომარეობდა დამფუძნებელი კრების სხდომებს. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა. როდესაც საქართველოს მთავრობა 1921 წლის 24-25 თებერვალს ღამით თბილისს ტოვებდა, ალექსანდრე ლომთათიძეს უთქვამს: „მთავრობაც რომ წავიდეს და თქვენც რომ მასთან გაყვეთ მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი“. დააპატიმრეს 1921 წლის 13 ივლისს, როდესაც ნაძალადევის კლუბში სტალინის საპასუხო სიტყვით გამოვიდა. მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად 1923 წლის 20 მარტს გაგზავნეს სუზდალის ციხეში, შემდეგ გადასახლებული იყო მარიის და ჩუვაშეთის ავტონომიურ ოლქებში. მძიმე ავადმყოფობის გამო უფლება მისცეს ტაშკენტში გადასულიყო საცხოვრებლად. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ ალექსანდრე ლომთათიძე კვლავ დააპატიმრეს ტაშკენტში, სადაც მალევე გარდაიცვალა ციხეში.

ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953)

დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი, საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარე, ხელოვნების კომისიის მდივანი, სახალხო განათლების კომისიის წევრი. დამფუძნებელი კრების 1921 წლის 17 მარტის დადგენილების შესაბამისად წავიდა ემიგრაციაში. როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი, მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართულ ძალისხმევაში. იცავდა საზღვარგარეთ გატანილ საგანძურს. 1945 წლის აპრილში, საგანძურთან ერთად, საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნდა. დაინიშნა თსუ პროფესორად, 1946 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად. 1952 წლიდან საბჭოთა რეჟიმმა ფაქტობრივად შინაპატიმრობაში მოაქცია. 1953 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა. 1963 წელს გადაასვენეს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 2000 წელს მთაწმინდის პანთეონში. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

სიმონ მდივანი (1876-1937)

დამფუძნებელი კრების წევრი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ფედერალისტების კვოტით. გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სამხედრო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიების მდივანი, გზათა კომისიის წევრი. 1921 წლის დასაწყისში დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად თურქეთში. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ დარჩა ემიგრაციაში და აქტიურად მუშაობდა საქართველოს განთავისუფლებისათვის. მაგალითად, 1922 წელს გენუის კონფერენციაზე იცავდა საქართველოს ინტერესებს. 1937 წლის დეკემბერში გარდაიცვალა პარიზთან ახლოს, სოშოში, დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

კონსტანტინე ჯაფარიძე (1884 – 1940)

დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, დამფუძნებელი კრების უფროსი მდივანი. საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და ცხოვრობდა მშობლიურ სოფელში, რაჭის მაზრის სოფ. შარდომეთში. მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. დააპატიმრეს 1923 წლის დასაწყისში. 1924 წლის დეკემბერში ამნისტიით გაანთავისუფლეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კვლავ ჩაერთო წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1926 წლის იანვარში გახდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1926 წლის ივლისში კვლავ გადაასახლეს საქართველოდან ენისეისკში, 1932 წელს კვლავ დააპატიმრეს და რამდენიმე თვის შემდეგ გაანთავისუფლეს. დაბრუნდა საქართველოში და ცხოვრობდა ქვიშხეთში.

გრიგოლ ნათაძე (1878-1951)

დამფუძნებელი კრების წევრი სოციალისტ-რევოლუციონერთა სიით, დამფუძნებელი კრების უმცროსი მდივანი ესერთა სიით პირველი სესიის დროს. სარედაქციო კომისიის მდივანი, განათლების, სამანდატო, სარედაქციო და საფინანსო კომისიების წევრი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას. 1924 წელს დაიცვა დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1926 წელს აირჩიეს პროფესორად. მუშაობდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში, იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1951 წელს გარდაიცვალა თბილისში.

ქრისტინე შარაშიძე (1889-1973)

დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატების სიით, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის უმცროსი მდივანი. საბიბლიოთეკო, სარედაქციო და სახალხო განათლების კომისიების წევრი. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. თავიდან ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში, რისთვისაც 1922 წელს დააპატიმრეს კიდეც. 1927-1931 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ დაკავებული იყო სამეცნიერო საქმიანობით. 1953 წელს გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვის დროს. გარდაიცვალა 1973 წელს.

თავი VII. დამფუძნებელი კრების კომისიები (მალხაზ მაცაბერიძე)

7.1. დამფუძნებელი კრების კომისიების უფლებამოსილება

დამფუძნებელი კრების საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილ კომისიებზე მოდიოდა. კომისიებს დამფუძნებელი კრება ავალებდა საქმეების წინასწარ განხილვას. დამფუძნებელი კრების კომისიების არჩევა ფარული კენჭის ყრით მოხდებოდა, თუკი ამას დამფუძნებელი კრების რომელიმე წევრი მოითხოვდა. არჩეულად ითვლებოდა დამფუძნებელი კრების ის წევრი, რომელიც ნახევარზე მეტ ხმას მიიღებდა. თუკი ამ წესით კომისიის სრულ შემადგენლობას ვერ აირჩევდნენ, მაშინ უნდა ჩატარებულიყო მეორე დამატებითი არჩევნები. ამ შემთხვევაში არჩეულად ის ჩაითვლებოდა, ვინც სხვასთან შედარებით მეტ ხმას მიიღებდა. კომისიების წევრთა რიცხვს განსაზღვრავდა დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის მიხედვით დამფუძნებელი კრება ირჩევდა მუდმივ და დროებით კომისიებს. მუდმივ კომისიებს ეკისრებოდათ განსაკუთრებული ვალდებულებები, ანდა ევალებოდათ „განხილვა ერთგვარი კანონ-პროექტებისა და საკითხებისა (კანონმდებლობის განსაკუთრებული განყოფილებისა)“, დროებით კომისიებს კი განსახილველად გადაეცემოდათ განსაზღვრული კანონპროექტები და საკითხები (ოქმები, ტ. VIII, გვ.361). დროებითი კომისია გაუქმებულად ჩაითვლებოდა იმ დროიდან, როცა დამფუძნებელი კრება საბოლოოდ გადაჭრიდა საკითხს, რისთვისაც ეს კომისია იყო არჩეული.

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის მიხედვით განსაზღვრული იყო 5 მუდმივი კომისიის არჩევა, თუმცა ისიც აღნიშნული იყო, რომ დამფუძნებელი კრება თუკი საჭიროდ დაინახავდა, შეეძლო სხვა მუდმივი კომისიების შექმნაც. მუდმივი კომისიების არჩევნები ტარდებოდა ყოველი სესიის დასაწყისში

დამფუძნებელი კრების რეგლამენტით გათვალისწინებული მუდმივი კომისიები:

კომისია	კომისიის ფუნქციები
საკონსტიტუციო	საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შემუშავება და დამფუძნებელი კრებისთვის განსახილველად გადაცემა.
საფინანსო-საბიუჯეტო	„განხილვა შემოსავალ-გასავალის პროექტისა უწყებათა საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვასთან ერთად, განხილვა სხვა და სხვა ხარჯისა, რომელიც ხაზინამ უნდა გაიღოს და აგრეთვე წინასწარი განხილვა იმ საქმეებისა, რომელნიც საფინანსო კანონმდებლობას შეეხება“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.361).
სარედაქციო	ევალება დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონპროექტის საბოლოო ტექსტის შემუშავება.
საბიბლიოთეკო	განაგებს დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკას.
სამეურნეო-საგამგეო	განაგებს დამფუძნებელი კრების სამეურნეო საქმეებს.

კომისიის პირველ სხდომას იწვევდა დამფუძნებელი კრების მდივანი თავმჯდომარის განკარგულებით, არა უგვიანეს სამი დღისა კომისიის არჩევის შემდეგ. კომისიის პირველი სხდომა უნდა გაეხსნა უხუცეს წევრს. პირველი სხდომა კანონიერად ითვლებოდა, თუკი წევრთა ნახევარზე მეტი დაესწრებოდა, შემდეგი სხდომები კი უფლებამოსილი იყო ემუშავა, თუკი დაესწრებოდა კომისიის მთელი შემადგენლობის არა ნაკლებ ერთი მესამედისა. ის კომისია,

რომლის წევრთა კანონიერი რიცხვი 3-ჯერ მოწვევის შემდეგ ვერ შეიკრიბებოდა, გაუქმებულად ჩაითვლებოდა და ახალი არჩევნები ინიშნებოდა.

კომისიას პირველივე სხდომაზე უნდა აერჩია თავმჯდომარე და მდივანი. სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ თავმჯდომარის ამხანაგის არჩევაც. არჩევნები იმავე წესით ტარდებოდა, როგორითაც პრეზიდიუმის არჩევნები. არჩევნების შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინათ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისთვის. რეგლამენტის მიხედვით არავის შეეძლო ერთდროულად ორი კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი ყოფილიყო. კომისიები, თუ საჭიროდ დაინახავდნენ, შეეძლოთ „მცოდნე პირების“ მიწვევა. დამფუძნებელი კრების წევრებს შეეძლოთ სათათბირო ხმის უფლებით დასწრებოდნენ კომისიის სხდომებს.

კომისიას შეეძლო თავის შემადგენლობიდან აერჩია მცირე კომისია, რომლის არჩევის წესსაც თავად კომისია განსაზღვრავდა. მცირე კომისიების საკითხი შემდეგ, დამფუძნებელი კრების სხდომაზე ცხარე განხილვის საგანი გახდა.

მმართველობის სხვადასხვა დარგის გამოსაძიებლად, სარევიზიოდ, საკონტროლოდ თუ სხვა მიზნებისათვის, დამფუძნებელ კრებას შეეძლო აერჩია განსაკუთრებული კომისია ან პირი. რეგლამენტის მიხედვით ასეთ კომისიას უფლება ქონდა მოეთხოვა ადმინისტრაციული, სასამართლო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის და თანამდებობის პირებისათვის გარკვეული ცნობების წარმოდგენა და სიტყვიერი ან წერილობითი განმარტების მიცემა. ეს პირები და დაწესებულებები ვალდებული იყვნენ კომისიის მოთხოვნა დაუყოვნებლივ შეესრულებინათ (ოქმები, ტ. VIII, გვ.364). ასეთ კომისიებს თავისი მოქმედების ანგარიში უნდა წარედგინათ დამფუძნებელი კრებისათვის, ან მის მიერ არჩეული სპეციალური ორგანოსათვის.

დამფუძნებელი კრების კომისია, თუკი საჭიროდ ჩათვლიდა, შეეძლო მოეთხოვა მთავრობის წევრთა და სხვა თანამდებობის პირთა სიტყვიერი განმარტებები, ანდა მოეთხოვა რაიმე საბუთი განსახილველად. ამისათვის უნდა მიემართა შესაბამისი პირების და დაწესებულებებისთვის და ისინი ვალდებული იყვნენ დაეკმაყოფილებინათ კომისიის მოთხოვნა. თავის მხრივ მთავრობის წევრს უფლება ქონდა კომისიისთვის წარედგინა თავისი განმარტებები, ანდა გადაეცა რაიმე დოკუმენტი განსახილველად (ოქმები, ტ. VIII, გვ.362).

რაც შეეხება კომისიის მუშაობის წესს, კომისიის მდივანს უნდა ეწარმოებინა სხდომის ჟურნალი, სადაც აღნიშნული უნდა ყოფილიყო: სხდომის დრო, დამსწრეთა სახელი და გვარი, სია განხილული საკითხებისა, კომისიაში შეტანილი სხვა და სხვა წინადადებანი, დადგენილებები და დასკვნები.

კომისიაში საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო ხმის უბრალო უმრავლესობით. თუ ხმები თანასწორად გაიყოფოდა, გადამწყვეტი იყო თავმჯდომარის ხმა და მიღებულად მიიჩნეოდა ის აზრი, რომელსაც თავმჯდომარე მიემხრობოდა. თუ საკითხის გამო რამდენიმე სხვა და სხვა დასკვნა იქნებოდა წარმოდგენილი და უმრავლესობა არც ერთს არ მიემხრობოდა, ამ შემთხვევაში კომისიას დამფუძნებელი კრებისთვის წარსადგენ მოხსენებაში უნდა აღენიშნა ის ორი წინადადება, რომელსაც კომისიის შედარებით მეტი წევრი მიემხრობოდა.

კომისიის მიერ დამფუძნებელი კრების მოხსენებას, კომისიის მოსაზრებათა და საქმის ვითარების აღნუსხვის გარდა, თან უნდა დართოდა დასკვნა პროექტის სახით. კომისიის ყოველ წევრს უფლება ქონდა თავისი განსაკუთრებული აზრი წარედგინა კომისიისთვის წერილობით. ამ შემთხვევაში კომისია ვალდებული იყო ეს აზრი, თავის მოხსენებასთან ერთად, განსახილველად წარედგინა დამფუძნებელი კრებისათვის. დამფუძნებელი კრებისათვის „განმარტების მისაცემად“, ან წერილობითი მოხსენების წარსადგენად, კომისიას უნდა აერჩია ერთი ან რამდენიმე მომხსენებელი.

კომისიის მოხსენება, დამფუძნებელ კრებაში წარდგენისთანავე, უნდა დაეგზავნათ დამფუძნებელი კრების წევრებისთვის და მთავრობის „სათანადო წევრებისათვის“. დაგზავნიდან მოხსენების დამფუძნებელი კრების სხდომაზე წარდგენამდე უნდა გასულიყო არა ნაკლებ სამი დღე. ეს ვადა შეიძლება შემცირებულიყო მხოლოდ დამფუძნებელი კრების დადგენილებით (ოქმები, ტ. VIII, გვ.363).

თუ კანონპროექტი ერთზე მეტ კომისიას შეეხებოდა, დამფუძნებელ კრებას შეეძლო დაედგინა, რომ ასეთი კანონპროექტი განეხილა კომისიათა შეერთებულ სხდომას. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარე და მომხსენებელი კომისიათა შეერთებულ სხდომაზე უნდა აერჩიათ. ამავე დროს დამფუძნებელ კრებას შეიძლება მოეთხოვა კომისიისათვის, რომ თავის მოხსენებასთან ერთად წარმოედგინა სხვა კომისიების დასკვნაც მოცემულ საკითხზე.

კომისიას, რომელსაც კანონპროექტის განხილვა ევალებოდა, შეეძლო დამფუძნებელი კრების დაუდგენლადაც დაკავშირებოდა სხვა კომისიებს და მათთვისაც მოეთხოვა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში მოწვეული კომისიის წევრები კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ და არც თავის განსაკუთრებულ მომხსენებელს ირჩევდნენ.

კომისიას, რომელიც წარმოადგენდა დასკვნას სპეციალური საკითხის გამო, თავისი მომხსენებელი უნდა აერჩია დამფუძნებელი კრების სხდომის წინაშე დასკვნის დასასაბუთებლად.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც კომისიას სურდა მონაწილეობის მიღება მეორე კომისიისთვის მინდობილი საქმის განხილვაში, ან ვერ შეუთანხმდებოდა მეორე კომისიას საერთო მუშაობის თაობაზე, ან უარს ამბობდა დამფუძნებელი კრების დავალებაზე, კომისიას სათანადო შუამდგომლობით უნდა მიემართა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისათვის, რომელიც ამ შუამდგომლობას დამფუძნებელ კრებას წარუდგენდა თავის დასკვნასთან ერთად.

7.2. დამფუძნებელი კრების მიერ კომისიების ჩამოყალიბება (1919 წელი)

დამფუძნებელი კრების მე-3 სხდომაზე, 1919 წლის 18 მარტს, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით, აირჩიეს 4 კომისიის - სარეგლამენტო, საკონსტიტუციო, საბიუჯეტო-საფინანსო და სარედაქციო კომისიების შემადგენლობა (ოქმები, ტ. I, გვ.60-61). მე-6 სხდომაზე, 29 მარტს ასევე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით აირჩიეს კიდევ 9 კომისიის (შრომის, თვითმმართველობის, აგრარული, სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის, სამხედრო, იურიდიული, ხელოვნების და საგზაო) წევრები (ოქმები, ტ. I, გვ.152-157).

ამრიგად, დამფუძნებელმა კრებამ თავიდან შექმნა 13 კომისია. იყო კიდევ ორი კომისიის შექმნის მოთხოვნა. გიორგი გვაზავამ (ე. დ.) მოითხოვა საგარეო საქმეების კომისიის შექმნა. გვაზავას თქმით, „საერთაშორისო ხასიათის ყოველ საკითხს“ თვალყურის დევნება ჭირდებოდა, რადგანაც სწორედ იქ წყდებოდა „ჩვენი ბედი და უბედობა“. მანვე მოიშველია ნოე ჟორდანიას განცხადებაც, რომ კომისიები აერჩიათ იმის მიხედვით, თუ რა სამინისტროები იარსებებდა (ოქმები, ტ. I, გვ.153). რადგანაც არსებობდა საგარეო საქმეთა სამინისტრო, უნდა არსებულიყო შესაბამისი კომისიაც დამფუძნებელ კრებაში. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პოზიცია ასეთი კომისიის შექმნის თაობაზე უარყოფითი იყო. ნოე ცინცაძემ (ს. დ.) ფრაქციის სახელით აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა კომისია დამფუძნებელი კრების წინამორბედ საქართველოს პარლამენტში შექმნილი იყო, მაგრამ ფაქტიურად არაფერს აკეთებდა. ამავე დროს არ გამორიცხავდა, რომ სამომავლოდ, თუკი საჭირო გახდებოდა, შექმნიდნენ ასეთ კომისიას (ოქმები, ტ. I, გვ.153-154).

ექვთიმე თაყაიშვილმა (ე. დ.) სასწრაფოდ მოითხოვა საბიბლიოთეკო კომისიის არჩევა, ვინაიდან პრეზიდიუმი დამფუძნებელი კრებისათვის გეგმავდა „ერთი კარგა მოწყობილი ბიბლიოთეკის“ შეძენას და ამისათვის ბიუჯეტში უკვე გამოყოფილი იყო 200 ათასი მანეთი (ოქმები, ტ. I, გვ.153). სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საბიბლიოთეკო კომისიის არჩევა სამომავლოდ გადადო, ნოე ცინცაძის თქმით, საკითხი მაშინ დადგებოდა, როცა საჭირო გახდებოდა, თუმცა არ გამორიცხა, რომ ასეთი კომისია დამფუძნებელი კრების მომდევნო სხდომაზეც შეექმნათ (ოქმები, ტ. I, გვ.153).

კომისიების შექმნის საკითხს დამფუძნებელი კრება დაუბრუნდა 1919 წლის 8 აპრილის სხდომაზე. პრეზიდიუმმა მოითხოვა საბიბლიოთეკო კომისიის სასწრაფოდ არჩევა. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, გარდა აღნიშნულ კომისიისა, მოითხოვა კიდევ სამეურნეო კომისიის შექმნა. დამფუძნებელმა კრებამ ორივე კომისია დააკომპლექტა (ოქმები, ტ. I, გვ.200).

ამრიგად, დამფუძნებელმა კრებამ, მთლიანობაში, 15 კომისია დააკომპლექტა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის, თავისი მრავალ-რიცხოვნობის გამო, კომისიების დაკომპლექტება პრობლემას არ წარმოადგენდა. ისინი ყველა კომისიაში უმრავლესობას შეადგენდნენ. თუმცა, სოციალ-დემოკრატებიც რიგ კომისიებში ერთი და იგივე პირებს ასახელებდნენ. რაც შეეხება ოპოზიციურ ფრაქციებს, ისინი იმდენად მცირერიცხოვანი იყვნენ, რომ მხოლოდ რამდენიმე კომისიაში იყო წარმოდგენილი რომელიმე ოპოზიციური ფრაქცია ორ-ორი წევრით, დანარჩენ კომისიებში კი თითო წევრით იყვნენ წარმოდგენილი, ამასთან ერთი და იგივე პირი რამდენიმე კომისიის წევრად იყო არჩეული.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კვლავ მოითხოვდა საგარეო საქმეთა კომისიის შექმნას. 1919 წლის აპრილის ბოლოდ გ. გვაზავამ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით წინადადება შეიტანა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში „საგარეო საქმეთა კომისიის შედგენის“ შესახებ. გ. გვაზავა ასახელებდა სამ ძირითად არგუმენტს: „ა/ თბილისში გაიხსნა კონფერენცია კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებისა, სადაც აღიძვრიან ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა საკითხები; ბ/ საქართველო რამდენიმე ფრონტზე ომს აწარმოებს, ამ ნიადაგზედაც წამოიჭრება ბევრი საერთაშორისო საკითხები; გ/ ყველა საკითხები გადაწნულია ინგლისისა და სხვა მოკავშირეთა განწყობილებასთან“. გვაზავა აღნიშნავდა, რომ „ასეთ პოლიტიკურ კონიუნქტურაში შეიძლება დაიბადოს ბევრი საქართველოსთვის საბედისწერო მომენტები“. ასეთ პირობებში, აღნიშნავდა გვაზავა, „დამფუძნებელ კრებას არა აქვს ზნეობრივი უფლება თვითონ არ მიიღოს მონაწილეობა ამ კითხვების გადაჭრაში და არ მოახმაროს მთელი თავისი გონება და ენერგია ნამდვილი და მიზანშეწონილი პოლიტიკის დამყარებას და მის წარმოებას“ („საქართველო“, 30.04.1919, N 92, გვ.2).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დამფუძნებელი კრების 1919 წლის 6 მაისის სხდომაზე კვლავ დაუბრუნდა საგარეო საქმეთა კომისიის შექმნის საკითხს. ფრაქციის სახელით გამოსული გიორგი გვაზავა შეეცადა კომისიის შექმნის აუცილებლობა ისე დაესაბუთებინა, რომ სოციალ-დემოკრატებისთვის მისაღები გაეხადა. გ. გვაზავას თქმით, საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში იყო „დიდი სამუშაო და ისეთი საპასუხისმგებლო სამუშაო, რომელსაც დამფუძნებელმა კრებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, მოანდომოს მთელი თავისი გონება და მთელი თავისი ენერგია, რადგანაც ამაზე არის დამოკიდებული თვით ჩვენი სახელმწიფოს არსებობა“ (ოქმები, ტ. I, გვ.342-343). მან მოიყვანა შვეიცარიის, აშშ-ის და საფრანგეთის მაგალითები, რომ ამ ქვეყნებში საგარეო საქმეთა წარმართვაში მარტო მინისტრს არ ემყარებიან და აქტიურად ჩართულია საკანონმდებლო ორგანო.

გ. გვაზავამ მიუთითა თბილისში მიმდინარე კავკასიის ქვეყნების კონფერენციაზეც, სადაც განიხილებოდა მნიშვნელოვანი საკითხები და დამფუძნებელ კრებას არ ჰქონდა „ზნეობ-

რივი უფლება განზე გადგეს ამ საკითხთა გადაწყვეტაში“ (ოქმები, ტ. I, გვ.343). გვაზავას განცხადებით დამფუძნებელი კრება უნდა ჩართულიყო მოლაპარაკებების პროცესში და ხელშეკრულებების მომზადებაში. თუკი დამფუძნებელი კრება საქმეში ჩაერთვებოდა მხოლოდ რატიფიცირების ეტაპზე და არ მოეწონებოდა უკვე დადებული ხელშეკრულება, მას რჩებოდა მხოლოდ ერთი შესაძლებლობა - არ მოეხდინა ხელშეკრულების რატიფიცირება, ეს კი მხოლოდ „საქმის გაფუჭება“ იქნებოდა (ოქმები, ტ. I, გვ.343-344).

საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში „ყოველ დღეს შეიძლება წამოიჭრას ისეთი საკითხი, რომლითაც შეიძლება მოხდეს ჩვენი ბედის გადაწყვეტა. როგორ შეიძლება, რომ დამფუძნებელმა კრებამ თითონ არ მიიღოს დაახლოვებული მონაწილეობა ამისთანა საქმეების წარმოებაში?“ - კითხვას სვამდა გ. გვაზავა (ოქმები, ტ. I, გვ.344).

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით საგარეო კომისია უნდა შემდგარიყო 10 წევრისგან, აქედან 5 სოციალ-დემოკრატი უნდა ყოფილიყო, 2 ეროვნულ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი და 1 სოციალისტ-რევოლუციონერი (ოქმები, I, გვ.344).

სოციალ-დემოკრატები ამჯერად დათანხმდნენ საგარეო საქმეთა კომისიის შექმნას, ოღონდ თავიანთი პირობებით. ილია ფირცხალაიშვილის (ს. დ.) განცხადებით საკმარისი იქნებოდა 8 წევრისგან შემდგარი კომისია, აქედან 5 სოციალ-დემოკრატი უნდა ყოფილიყო, ამასთან კომისიას დროებითი ხასიათი უნდა ქონოდა, სანამ მუშაობდა კავკასიის ქვეყნების კონფერენცია თბილისში (ოქმები, ტ. I, გვ.344).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ივლისის სხდომაზე კვლავ დაუბრუნდნენ გარეშე საქმეთა კომისიის საკითხს. სიმონ მდივანმა აღნიშნა, რომ გარეშე საქმეთა დროებითი კომისია უნდა დახურულიყო, „როდესაც ოფიციალურად დაიხურება ამიერ-კავკასიის კონფერენცია“ (ოქმები, ტ. II, გვ.354), მაგრამ ამავე დროს დამფუძნებელ კრებას მოახსენა კომისიის აზრი, რომლის თანახმადაც გარეშე საქმეთა კომისია მუდმივად უნდა არსებულიყო და დაასახელა რამდენიმე არგუმენტი: ა/ საჭირო იყო თვალ-ყურის დევნება და ჩარევა საგარეო საქმეთა სამინისტროს ცხოვრებაში, „როგორც შესაფერი კომისიები ერევიან ამა თუ იმ უწყების მდგომარეობაში“; ბ/ საგარეო სფეროში წამოიჭრა მრავალი საკითხი, „რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის“; გ/ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა უნდა გადასცემოდა „სათანადო კომისიას“ და ეს გარეშე საქმეთა კომისია უნდა ყოფილიყო; დ/ რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო „მინისტრის და კომისიის შეთანხმებით“; ე/ საგარეო საქმეთა სამინისტროს კავშირი უნდა ჰქონდეს დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციასთან და საჭიროა მათი დროული ინფორმირება „დღევანდელ გარეშე პოლიტიკის მდგომარეობაზე“. ამ არგუმენტების საფუძველზე საგარეო საქმეთა კომისია ითხოვდა გადაქცეულიყო მუდმივ კომისიად, იმავე უფლებებით, რაც სხვა მუდმივ კომისიებს ჰქონდათ. დამფუძნებელმა კრებამ განხილვის გარეშე მიიღო ეს წინადადება (ოქმები, ტ. II, გვ.354).

დამფუძნებელი კრების იმავე, 11 ივლისის სხდომაზე, ალექსანდრე ასათიანმა (ე. დ.) წინადადება წამოაყენა, აერჩიათ კიდევ ერთი მუდმივი კომისია - სახალხო მეურნეობის. ალ. ასათიანის თქმით, ეკონომიკის სფეროში მოქმედებდა რამდენიმე კომისია - საფინანსო-საბიუჯეტო, გზათა, შრომის, აგრარული და სხვა. ეს კომისიები მუშაობდნენ რომელიმე უწყების სფეროში და საკანონმდებლო მუშაობას აწარმოებდნენ ამა თუ იმ სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტის მიხედვით, ან საკუთარი ინიციატივით. არ არსებობდა არცერთი კომისია, რომელსაც დაკისრებული ექნებოდა საერთო ხასიათის ეკონომიკური საკითხების მოგვარება. ალ. ასათიანის განცხადებით, საჭირო იყო „სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში სისტემა“, უნდა არსებულიყო „მთლიანი გეგმა ეკონომიური კითხვების გადასაჭრელად“. ამისათვის, ალ. ას-

ათიანის წინადადებით, დამფუძნებელ კრებაში უნდა შეექმნათ სპეციალური კომისია, რომელშიც „ეს საერთო გეგმა და საერთო გეზი შემუშავდება“, რაც „გარკვეული ეკონომიკური პოლიტიკის“ საწარმოებლად იქნება საჭირო (ოქმები, ტ. II, გვ.355). ასეთი კომისია „ყველა მთავარ საკითხებს“ გაარკვევდა „საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით“ და შესაძლებელს გახდის ყველა უწყებამ იმუშაოს „მათთვის მიჩნეულ კალაპოტში“, გამოირიცხება მათ შორის „დავა და უთანხმოება“ კომპეტენციების თაობაზე (ოქმები, ტ. II, გვ.355-356). გარდა ამისა, ალ. ასათიანის აზრით, სახალხო მეურნეობის კომისიას უნდა განეხილა და განესაზღვრა დამფუძნებელ კრებაში წამოჭრილი „ყველა რთული ეკონომიკურ-ფინანსიური საკითხები“. ახალი კომისიის საქმე უნდა ყოფილიყო ასეთი საკითხების „საერთო სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით განხილვა, შესწავლა და აწონ-დაწონვა“ (ოქმები, II, გვ.356). ალ. ასათიანის თქმით, ასეთი საკითხების განხილვა ძალა-უნებურად ეკისრებოდა საბიუჯეტო კომისიას, რომელიც ისედაც გადატვირთული იყო, რადგანაც ნებისმიერი დეკრეტი და კანონი გადადიოდა საბიუჯეტო კომისიაში „მათი ბიუჯეტის თვალსაზრისით განსახილველად“ (ოქმები, ტ. II, გვ.356).

ასეთი კომისიის შექმნის წინააღმდეგ გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომლის სახელითაც დიომიდე თოფურიძემ ილაპარაკა, რომელმაც ახალი კომისიის შექმნა „უმიზნოდ და უსაბუთოდ“ მიიჩნია. მისი თქმით, ამგვარი კომისიის შექმნა ზედმეტი იყო, რადგანაც სამეურნეო კომისიის მიერ განხილული საკითხები მაინც მივიდოდა საბიუჯეტო კომისიაში, რადგანაც „საბიუჯეტო კომისია ვალდებულია სამეურნეო საკითხები შეისწავლოს“ (ოქმები, ტ. II, გვ.357) და ახალი კომისიის შექმნა „მეტი დროის დაკარგვა“ იქნებოდა. თოფურიძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავების შემდეგ „საბიუჯეტო კომისიას უსათუოდ ექნება ბევრი თავისუფალი დრო“ (ოქმები, ტ. II, გვ.357).

დ. თოფურიძემ მოითხოვა, რომ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას პირდაპირ დავალებოდა ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების შესწავლა და თუკი აღნიშნული კომისია საჭიროდ ჩათვლიდა, გამოეყო მცირე კომისია, რომელიც ასეთ საკითხებს „უფრო გულდასმით“ განიხილავდა. დ. თოფურიძის განცხადებით, ამგვარად მოწყობილი კომისია „უფრო ორგანული მთლიანობა“ იქნება, რომელიც ერთდროულად გაითვალისწინებდა „როგორც ეკონომიურ მხარეს საკითხებისა, ისე მათ ფინანსიურ მნიშვნელობას“ (ოქმები, ტ. II, გვ.358). ამდენად, უარყოფილი იქნა სამეურნეო კომისიის შექმნის წინადადება.

სოციალ-დემოკრატების არგუმენტები, ალ. ასათიანის აზრით, სრულიად უსაფუძვლო იყო, რადგანაც ამ ლოგიკით არცერთი სხვა კომისია არ უნდა არსებულიყო, რადგანაც მათ მიერ განხილული საკითხები გადადიოდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში „ბიუჯეტის თვალსაზრისით“ განსახილველად. მეორე მხრივ საფინანსო კომისია იმდენად დატვირთული იყო, რომ შეუძლებელია ბევრი დრო დარჩენოდა „სხვა რთულ საკითხების გადასაჭრელად“ (ოქმები, ტ. II, გვ.358).

ალ. ასათიანს თოფურიძის გამოსვლაც გაუკვირდა, რადგანაც ეს საკითხი მასთან განხილული ჰქონდა და თოფურიძეც სავსებით იზიარებდა სამეურნეო კომისიის შექმნის საჭიროებას. ალ. ასათიანის თქმით, ის დიდხანს ელოდა, რომ სამეურნეო კომისიის შექმნის ინიციატივით დიომიდე თოფურიძე გამოვიდოდა. ალ. ასათიანს იქვე აუხსნეს, რომ თოფურიძე გამოვიდა არა თავის პოზიციის გამოსახატავად, არამედ „ფრაქციის აზრი“ გაახმოვანა (ოქმები, ტ. II, გვ.359). მთლიანობაში, დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილი მუდმივი კომისიების რიცხვმა 16 შეადგინა.

დამფუძნებელი კრების კომისიები (1919 წელი)

კომისია	სულ	ს. დ.	ს. ფ.	ერ. დ.	ს. რ.
სარეგლამენტო	7	4	1	1	1
საკონსტიტუციო	15	10	2	2	1
საბიუჯეტო-საფინანსო	15	10		2	1
სარედაქციო	7	4	1	1	1
შრომის	15	10	1	1	1
თვითმმართველობის	11	8	1	1	1
აგრარული	15	10	1	1	1
სახალხო განათლების	12	8	1	1	1
სახალხო ჯანმრთელობის	9	6		1	
სამხედრო	17	12	1	1	1
იურიდიული	9	6	1	1	1
ხელოვნების	10	7	1	1	1
საგზაო	9	6	1	1	
საბიბლიოთეკო	7	4	1	1	1
სამეურნეო	7	4	1	1	1
საგარეო საქმეთა	8	4	1	1	1

1919 წელს ჩატარებული პირველი დამატებითი არჩევნების შემდეგ, როდესაც დამფუძ-ნებელ კრებაში ახალი ფრაქციები გაჩნდა, კომისიებში მათი წარმომადგენლების მონაწილეო-ბის საკითხიც დადგა. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე გადაწყდა, რომ საბიუჯეტო-საფინანსო კომისია გაიზრდებოდა ორი წევრით. ერთი ადგილი ეროვნულ პარტიას დაეთმო და მეორე დაშნაკცუტიუნის პარტიას (ოქმები, ტ. III, გვ.238).

დამფუძნებელი კრების კომისიების საქმიანობაზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც გვიჩვენებს 1919 წლის მარტიდან 1920 წლის მარტამდე 1-ლი სესიის განმავლობაში კომისიების მიერ გამართული სხდომების რაოდენობას:

- სარედაქციო კომისია - 93
- საბიუჯეტო-საფინანსო კომისია - 74
- განათლების კომისია - 67
- იურიდიული კომისია - 54
- სამხედრო კომისია - 49
- საკონსტიტუციო კომისია - 48
- გზათა კომისია - 47
- ხელოვნების კომისია - 47
- თვითმართველობის კომისია - 44
- აგრარული კომისია - 38
- საბიბლიოთეკო კომისია - 24
- სამეურნეო-საგამგეო კომისია - 18
- შრომის კომისია - 20
- სახალხო ჯანმრთელობის კომისია - 9
- სამანდატო კომისია - 3

- გარეშე საქმეთა კომისია - 3
- საპროპაგანდო კომისია - 5

7.3. დამფუძნებელი კრების კომისიების ხელახალი არჩევნები (1920 წელი)

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან ერთად, 1920 წლის 16 მარტის სხდომაზე აირჩიეს დამფუძნებელი კრების კომისიებიც. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით უნდა აერჩიათ 19 კომისია, დასახელდა ასევე, თუ რამდენი წევრი უნდა ყოფილიყო თითოეულ კომისიაში, მათ შორის რამდენი უნდა ყოფილიყო სოციალ-დემოკრატი. ზოგიერთ კომისიაში ისე გამოდიოდა, რომ ადგილი არ იყო გათვალისწინებული დამფუძნებელ კრებაში არსებული ყველა ფრაქციისათვის. ამას ოპოზიციის აღშფოთება მოჰყვა.

ლ. შენგელაიამ (ს. რ.) აღნიშნა, რომ ყოველ ფრაქციას უნდა ჰქონოდა ადგილი ყველა კომისიაში, იგივე მოითხოვა გ. გვაზავამაც (ე. დ.), რომელმაც ხაზი გაუსვა კომისიების მნიშვნელობას საპარლამენტო მუშაობაში. მისი თქმით, სწორედ კომისიებში მზადდებოდა კანონპროექტები და „კომისიაში ხდება ის უმთავრესი მუშაობა, რომელსაც ჰქვიან შეთანხმება“ (ოქმები, ტ. V., გვ.478). ამიტომ, მისი განცხადებით, პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, რომ ყველა პარტიის ფრაქციას უფლება ქონოდა მონაწილეობა მიეღო ყველა კომისიის მუშაობაში. გ. გვაზავას თქმით, პროპორციული სისტემა მუშაობს დამფუძნებელი კრების კენჭისყრის დროს, ხოლო კომისიებში უნდა ყოფილიყო შეთანხმების პრინციპი. „აქ, პარლამენტში უმრავლესობა გაატარებს თავის აზრს, მაგრამ კომისიაში უნდა ისმოდეს ყოველი ხმა ყოველი ფრაქციისა... ყოველ ფრაქციას უნდა მიეცეს უფლება იყოლიოს თავისი წარმომადგენელი კომისიებში გარდამწყვეტი ხმით“ (ოქმები, ტ. V., გვ.479).

სოციალ-დემოკრატებს კომისიებში ოპოზიციისთვის გადამწყვეტი ხმის მინიჭების თაობაზე არაფერი უთქვამთ, მაგრამ აღნიშნეს, რომ მიესალმებიან ოპოზიციის ყოფნას ყველა კომისიაში. გრ. გიორგაძის (ს. დ.) თქმით, ოპოზიციური ფრაქციები აქამდე ნაკლებად მუშაობდნენ კომისიებში, გარდა ამისა ოპოზიციური ფრაქციები მცირერიცხოვანი იყვნენ და ერთ ადამიანს რამდენიმე კომისიაში მოუწევდა მუშაობა. სოციალ-დემოკრატების მხრიდან გაკეთდა დათქმა, რომ შემდგომში, ოპოზიციური ფრაქციებიდან სურვილის გამოთქმის შემთხვევაში მონაწილეობა მიეღო რომელიმე კომისიის მუშაობაში, რომელშიც მისი წარმომადგენელი არჩეული არ იყო, მაშინ „დამფუძნებელი კრება მისცემს საშუალებას, რომ გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ამა თუ იმ კომისიაში“ (ოქმები, ტ. V, გვ.479).

კომისიები აირჩიეს ამ დათქმით, რამაც დააკმაყოფილა ოპოზიცია. 1920 წლის 16 მარტს არჩეული დამფუძნებელი კრების კომისიების პარტიული შემადგენლობა კი შემდეგი იყო (ოქმები, ტ. V, გვ.480-483):

კომისია	წევრი	სოციალ-დემოკრატი	სოციალისტ-ფედერალისტი	სოციალისტ-რევოლუციონერი	ეროვნული-დემოკრატი	ეროვნული პარტია	დამნაკთა პარტია
სამანდატო	7	4	1	1	1	-	-
სარეგლამენტო	5	3	1	-	1	-	-
საკონსტიტუციო	15	9	2	1	2	-	1
საბიუჯეტო-საფინანსო	18	12	2	1		1	
სარედაქციო	4	4	-	-	-	-	-
სახალხო განათლების	12	7	2	1	1	1	-
სამხედრო	16	12	1	1	1	1	-
ხელოვნების	9	6	1	1	1	1	-
გზათა კომისია	11	6	1	1	1	1	1
იურიდიული	9	5	2	1	1	-	-
სახალხო ჯანმრთელობის	16	13	1	1	1	-	-
შრომის							
აგრარული	12	9	1	1	1	-	-
საბიბლიოთეკო	7	4	1	1	1	-	-
სამეურნეო	9	6	1	1	-	-	1
გარეშე საქმეთა	9	5	1	1	1	1	-
ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის	11	8	1	-	1	-	1
საპროპაგანდო	6	4	1	-	1	-	-
მომარაგების	8	5	1	1	1	-	-

დამფუძნებელი კრების ახალი კომისიების არჩევა შემდგომშიც გრძელდებოდა.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 აგვისტოს სხდომაზე აირჩიეს საპენსიო და სატეხ-ნიკო კომისიები, თითოეული 9 წევრის შემადგენლობით (ოქმები, ტ. VII, გვ.437). სატეხნიკო კომისიას ევალებოდა ზედამხედველობა სასახლეში(დამფუძნებელი კრების შენობაში) მიმდი-ნარე რემონტისთვის. 1920 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე ჩანიშნული იყო „სატეხნიკო კომი-სიის მოხსენება დამფუძნებელი კრების სასახლის შესაკეთებლად წარმოებული მუშაობის შესა-ხებ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.453).

დამფუძნებელი კრების პატარა ფრაქციებს უჭირდათ კომისიებში თავიანთი წევრების გაგზავნა, რადგანაც კომისიების რაოდენობა აღემატებოდა ფრაქციის წევრთა რაოდენობას და ერთ დეპუტატს რამდენიმე კომისიაში უხდებოდა მუშაობა. მაგალითად, ეროვნულმა პარტიამ, რომელიც დამფუძნებელ კრებაში ორი წევრით იყო წარმოდგენილი, 1920 წლის 8 ივნისის სხდომაზე შალვა ქარუმიძე გააგზავნა აგრარულ, განათლების, მომარაგების, სამეურნეო და შრომის კომისიებში, ხოლო გრიგოლ ვეშაპელი საკონსტიტუციო, საპროპაგანდო, იურიდიულ,

თვითმმართველობის და ხელოვნების კომისიებში (ოქმები, ტ. VI, გვ.478). იმავე სხდომაზე სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ ივ. ლორთქიფანიძე გააგზავნა გზათა, ადგილობრივი მმართველობის და სახალხო ჯანმრთელობის კომისიებში (ოქმები, ტ. VI, გვ.478).

კომისიის წევრად დეპუტატს თავისი ფრაქცია ასახელებდა, მაგრამ გერონტი ქიქოძემ, რომელიც დამოუკიდებელი დეპუტატის იყო, 1920 წლის 30 მარტს დამფუძნებელ კრებას პრეზიდიუმის მეშვეობით აცნობა, რომ სურდა ემუშავა საბიბლიოთეკო, სამხედრო და ხელოვნების კომისიებში, რაზეც თანხმობა მიიღო (ოქმები, ტ. VI, გვ.157).

მცირერიცხოვან ოპოზიციურ ფრაქციებს, რასაკვირველია, უჭირდათ ყველა კომისიაში თავისი წარმომადგენელის გაგზავნა. ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები რამდენიმე, მათი აზრით, საკვანძო მნიშვნელობის კომისიებში ერთდროულად მუშაობდნენ, თუმცა ამის გაკეთება რთული იყო. ამას ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლებიც აღნიშნავდნენ. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) განაცხადა: „ჩვენ ოთხი კაცი ვართ სულ 15 კომისიაში. რასაკვირველია ვერ შევძლებთ მუშაობას ისე, რაც ოთხ კაცს შეუძლია ყველგან დავდივართ, ვმუშაობთ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.291).

7.4. დამფუძნებელი კრების მცირე და სპეციალური კომისიები

დამფუძნებელ კრებას 1919 წლის 8 აპრილის სხდომაზე სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წინადადება წამოაყენა შექმნილიყო მცირე კომისიები. ფრაქციის სახელით გამოსულმა რაჟდენ არსენიძემ განაცხადა, რომ დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებელი ჰქონდა სახელმწიფო უწყებების შტატები და საჭირო იყო სასწრაფოდ გამოერკვიათ თუ „რას აკეთებდნენ ის მოხელენი და ის დაწესებულებანი, რომელნიც სათავეში უდგანან ჩვენს რესპუბლიკას“. იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება „გამარტივება მმართველობისა და გამარტივება და გაადვილება იმ აპარატის მუშაობისა, რომელმაც ცხოვრებაში უნდა გაატაროს ჩვენი დადგენილებანი“ (ოქმები, ტ. I, გვ.196). საქმე ეხებოდა არა უწყებებში შესაძლო „ბოროტ-მოქმედებათა“ გამოვლენას, არამედ იმის განსაზღვრას, შესაძლებელი იყო თუ არა მოხელეთა რიცხვის შემცირება, რათა „მოხელეების უფრო ნაკლები რიცხვით“ იგივე სამუშაო შესრულებულიყო; როგორი რეორგანიზაცია იყო საჭირო დაწესებულებებისა, რომ „უფრო მარტივად, სწრაფად და ცოცხლად სწარმოებდეს მათი მუშაობა“ (ოქმები, ტ. I, გვ.196).

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით ეს სამუშაო უნდა შეესრულებინა „ორი სამი პირისაგან“ შემდგარ „მცირერიცხოვან“ კომისიებს. ეს კომისიები უნდა ჩამოეყალიბებინათ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ „დიდ კომისიებს“. მათ რევიზია უნდა მოეხდინათ „თვითეულ ცენტრალურ დაწესებულებაში“ (ოქმები, ტ. I, გვ.196). დიდ კომისიებს უნდა თავად უნდა შეემუშავებინათ სამუშაო ინსტრუქციები მათ მიერ შექმნილი კომისიებისათვის, რადგანაც „თვითეულ უწყებას აქვს მრავალნაირი განსაკუთრებული თვისება და ხასიათი“ და შეუძლებლად იქნა მიჩნეული „ერთნაირი რევიზია“ გასწეოდა საფინანსო დაწესებულებას და „რომელიმე ადმინისტრაციულ დაწესებულებას“ (ოქმები, ტ. I, გვ.197). დამფუძნებელი კრების კომისიებისათვის უფრო ადვილი იქნებოდა შესამოწმებელ უწყებაზე მორგებული ინსტრუქციის შემუშავება.

მცირე კომისიას თავისი კვლევის შედეგები უნდა წარედგინა მისი შემქმნელი დიდი კომისიისათვის, ეს უკანასკნელი კი დამფუძნებელ კრებას წარუდგენდა შესაბამისი უწყების შტატების და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების დროს (ოქმები, ტ. I, გვ.197).

რაც შეეხება რეგიონებში ადგილობრივ დაწესებულებათა ანალოგიურ შემოწმებას, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით, საჭირო იქნებოდა სპეციალური კომისიების შექმნა,

„ვინაიდან იქ გაგზავნილი დამფუძნებელი კრების წევრნი დროებით უნდა მოშორდნენ დამ-ფუძნებელი კრების მუშაობას“. ეს იქნებოდა დროებით შექმნილი სპეციალური კომისიები „დროებით გაგზავნილი სხვა და სხვა ალაგებში“ (ოქმები, ტ. I, გვ.196).

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციისათვის. ლეო შენგელაია (ს. რ.) თქმით, თავად დამფუძნებელი კრება იყო „იმავე დროს რესპუბლიკის უმაღლესი კონტროლიორი“ და მცირე კომისიებს კი არ უნდა დაკისრებოდათ საკონტროლო ფუნქციები, არამედ დამფუძნებელ კრებას უნდა შეექმნა „საგანგებო ცალკე კომისია“, რომელსაც მუდმივი ხასიათი ექნებოდა, საჭირო იყო „მუდმივი აპარატი, რომელიც კონტროლს გაუწევს ცენტრალურ დაწესებულებებს“ (ოქმები, ტ. I, გვ.197).

ესერებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტსაც, რომ არჩეულ მუდმივ კომისიებში დომინირებდნენ სოციალ-დემოკრატები, აქედან გამომდინარე შესაძლებელი იყო საკონტროლო მიზნით შექმნილ მცირე კომისიებში „მხოლოდ უმრავლესობის ფრაქცია აღმოჩენილიყო“ კონტროლის ინტერესი კი მოითხოვდა, რომ ასეთ კომისიებში „უმრავლესობა ჰყავდეს ყველაზე ნაკლები წარმომადგენელი“ (ოქმები, ტ. I, გვ.198). ლ. შენგელაიას წინადადებით საკონტროლო კომისიებში უნდა ყოფილიყო „ან თანასწორი წარმომადგენლობა ყველა ფრაქციისა“, ანდა კიდევ უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ „უმრავლესობის პარტიას ყველაზე ნაკლები წარმომადგენლები ჰყავდეს“. სხვა შემთხვევაში „სოციალ-დემოკრატიული საკონტროლო კომისია“ კონტროლს გაუწევდა „ისევ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას და მის სამინისტროებს“ (ოქმები, ტ. I, გვ.198).

სოციალ-დემოკრატების წინადადება არ მოიწონეს სოციალ-ფედერალისტებმაც. იესე ბარათაშვილის (ს. ფ.) აზრით, დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილ კომისიებს ისედაც ბევრი სამუშაო ექნებოდათ, კონტროლის განხორციელებაც შრომატევადი საქმე იყო და კომისიებს აღარ დარჩებოდათ დრო „კანონ-პროექტების შესამუშავებლად“ (ოქმები, ტ. I, გვ.198).

ფედერალისტებმა არასწორად მიიჩნიეს ესერების წინადადებაც კონტროლის მიზნით ერთი დიდი კომისიის შექმნაც, რადგანაც „სხვა და სხვა დარგებს“ ერთი კომისია ვერ შეამოწმებდა. გამოსავალი მათი აზრით იყო ან არსებული კომისიების შემადგენლობის გაზრდა და იქიდან მცირე კომისიების გამოყოფა, ანდა რამდენიმე ახალი კომისიის შექმნა, რომლებიც აღჭურვილი იქნებოდნენ „რევიზორის და კონტროლიორის უფლებებით“. ამასთან ამ კომისიებში „თანასწორობის პრინციპი“ უნდა ყოფილიყო დაცული (ოქმები, ტ. I, გვ.198).

სოციალ-დემოკრატებმა ეს შენიშვნები უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. რაჟდენ არსენიძის თქმით საერთოდ საკვირველი იყო, რატომ შეხვდა წინააღმდეგობა „ასეთ უბრალო და მარტივ წინადადებას“ (ოქმები, ტ. I, გვ.199). კენჭისყრის დროს ესერების წინადადება ერთი მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ ვერ გავიდა, ფედერალისტებს თავიანთი მოსაზრება კენჭისყრაზე არც დაუყენებიათ. მიიღეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება (ოქმები, I, გვ.199).

მომდევნო სხდომაზე, 1919 წლის 11 აპრილს დამტკიცდა დამფუძნებელი კრების დადგენილების საბოლოო ტექსტი „ცენტრალურ დაწესებულებათა რევიზიისთვის მცირე კომისიის დაარსებისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.198).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს 150 ათასი მანეთი გამოეყო „მოულოდნელი ხარჯებისათვის“. როგორც მომხსენებელმა დავით შარაბიძემ (ს. დ.) აღნიშნა, მთავარ კომისიებთან დაარსებული „ეგრედ წოდებული მცირე კომისიები“ დიდ მუშაობას ეწევიან და „ხშირად უხდებათ მცოდნე პირების მოწვევა ამა თუ იმ დარგში“ (ოქმები, ტ. III, გვ.133). მცოდნე პირებს გასამრჯელოს უხდიდნენ და „ყველა ეს ხარჯები“ აწვებოდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს (ოქმები, ტ. III, გვ.133). გარდა

ამისა, თავად „დამფუძნებელი კრების მოსამსახურეები იძულებული არიან ხშირად ვადის მეტი იმუშაონ“ (ოქმები, ტ. III, გვ.133) და ეს შრომაც ასანაზღაურებელი იყო.

1919 წლის 29 დეკემბერს გამართულ დამფუძნებელი კრების სხდომაზე კვლავ დადგა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისათვის ამ მიზნით თანხის გამოყოფის საკითხი, რადგანაც, როგორც მომხსენებელმა ალექსანდრე ასათიანმა აღნიშნა, ამ დროისათვის ადრე გამოყოფილი 150 ათასი მანეთი თითქმის მთლიანად დახარჯული იყო (ოქმები, ტ. I V, გვ.340).

მცირე კომისიების საქმიანობა გააკრიტიკა გრიგოლ ვეშაპელმა. მისი განცხადებით, „მცირე კომისია... ფიქტიურ დაწესებულებად და საქმედ გადაიქცა“ (ოქმები, ტ. IV, გვ.341). გრიგოლ ვეშაპელმა გაიხსენა მმართველი პარტიის დაპირება, რომ მცირე კომისიები „გადაიქცეოდა ახლობელ სახელმწიფო უწყებების მზვერავ ორგანოდ, რომ ის რევიზიას გაუკეთებდა ამ მთავარ უწყებებს და დაწესებულებებს, რომ ამით გამოასწორებდა არსებულ შეცდომებს და საზოგადოდ დიდ როლს ითამაშებდა და დიდ საქმეს გააკეთებდა რესპუბლიკის ცხოვრებაში“ (ოქმები, ტ. IV, გვ.341).

გრიგოლ ვეშაპელის თქმით, მცირე კომისიებმა ვერ გაამართლეს მოლოდინი. მცირე კომისიებში „დეპუტატები თითქმის არ მუშაობენ. იქ მუშაობენ საგანგებოდ მოწვეული პირები“. ამან მცირე კომისიების ავტორიტეტის შეამცირა, რადგანაც სულ სხვა იქნებოდა, რომ „მმართველი პარტიის წევრებს გაეკეთებინათ რევიზია უწყებებისათვის“ (ოქმები, ტ. IV, გვ.341).

ვეშაპელის განცხადებით, მცირე კომისიების შექმნიდან რამდენიმე თვე გავიდა და არც პრეზიდიუმმა და არც კომისიებმაც არ იცოდნენ „ამ მცირე კომისიის მუშაობის შედეგი“ (ოქმები, ტ. IV, გვ.341). გრ. ვეშაპელმა მოითხოვა, რომ დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოეტანათ მცირე კომისიების მუშაობის შედეგები, - რა გაკეთდა, რაში დაიხარჯა თანხები და საჭირო იყო თუ არა საერთოდ მცირე კომისიების არსებობა.

მომხსენებელმა ალექსანდრე ასათიანმა (ე. დ.) აღნიშნა, რომ მცირე კომისიების საჭიროების საკითხი ფინანსთა კომისიაშიც იყო განხილვის საგანი. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ „კომისიებმა დაწყებული საქმეები დაასრულონ და მოხსენებით წარუდგნენ დამფუძნებელ კრებას“ (ოქმები, ტ. IV, გვ.342). ამის შემდეგ ცხადი გახდებოდა, თუ რა გააკეთეს მცირე კომისიებმა. ეს კი, ალ. ასათიანის თქმით, „სულ ახლო მომავალში“ მოხდებოდა (ოქმები, ტ. IV, გვ.342).

7.5. დამფუძნებელი კრების საგანგებო კომისიები

პირველი საგანგებო კომისიის არჩევა დამფუძნებელ კრებას მოუხდა მანამდე, სანამ ჩამოყალიბდებოდა მუდმივი კომისიები. ამის მიზეზი იყო ახალციხის მაზრაში შექმნილი მდგომარეობა. დამფუძნებელი კრების მე-3 სხდომაზე 1919 წლის 14 მარტს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა „რიგ-გარეშე“ წინადადება საგანგებო კომისიის არჩევის შესახებ: „არჩეულ იქნეს დამფუძნებელი კრების წევრთაგან საგანგებო კომისია ახალციხის მაზრაში მდგომარეობის გამოსარკვევად და სათანადო ზომების მისაღებად“ (ოქმები, ტ. I, გვ.50).

14 მარტი იყო დამფუძნებელი კრების პირველი სამუშაო დღე და სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საჭიროდ მიიჩნია საგანგებო კომისიის შექმნა ახალციხის მაზრაში შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად. „დღესვე პირველ კრების დროს, ამ მხარეს მიაქციოს დამფუძნებელმა კრებამ უეჭველად ყურადღება და არჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია, ამ მდგომარეობის გამოსარკვევად და საჭირო ზომების მისაღებად“ (ოქმები, ტ. I, გვ.51), - განაცხადა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დავალებით ნიკოლოზ ელიავამ.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით კომისიაში დამფუძნებელი კრების სამი წევრი უნდა შესულიყო და თავისი პარტიის სახელით დაასახელა ორი კანდიდატი: გუსე-

ინ მამედოვი და გიორგი ანჯაფარიძე. რჩებოდა ერთი ადგილი, მაგრამ კომისიაში თავისი წარმომადგენლის შეყვანა მოინდომა კიდევ ორმა ფრაქციამ - ეროვნულ-დემოკრატებმა, რომელთაც დაასახელეს პეტრე სურგულაძე და სოციალისტ-ფედერალისტებმა კი სამსონ ფირცხალავა. ეროვნულ-დემოკრატებმა წინადადება წამოაყენეს კომისია ოთხწევრიანი ყოფილიყო, რასაც სოციალ-დემოკრატები დაეთანხმნენ, ოღონდ ხაზი გაუსვეს, რომ კომისია დაუყოვნებლივ უნდა შედგომოდა მუშაობას (ოქმები, ტ. I, გვ.51). საგანგებო კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია გიორგი ანჯაფარიძე. კომისიას სრული სახით ეწოდებოდა: „ახალციხის საგანგებო კომისია“ (ოქმები, ტ. I, გვ.163).

1919 წლის 21 მარტს, მე-4 სხდომაზე დამფუძნებელი კრება დაუბრუნდა საგანგებო კომისიის საკითხს, რადგანაც კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ანჯაფარიძემ დამფუძნებელ კრებას გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც ითხოვდა ეცნობებინათ, ქონდა თუ არა კომისიას უფლება, თუკი „კომისიამ გამოარკვია ბოროტმოქმედება, მიაგნო ბოროტ-მომქმედს, დაატუსაღოს იგი (ოქმები, I, გვ.65). ამას მოჰყვა დისკუსია დამფუძნებელი კრების ფრაქციების წარმომადგენელთა შორის იმის თაობაზე თუ რა უფლებამოსილება ჰქონდა დამფუძნებელ კრებას და რით განსხვავდებოდა იგი პარლამენტისგან (ოქმები, ტ. I, გვ.66-71).

რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ხმათა უმრავლესობით თავისი თვალსაზრისი გაიტანა: „თანახმად 14 მარტის სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციისა, საგანგებო კომისიას, რომელიც გაგზავნილია ახალციხის მაზრაში, უფლება აქვს საჭიროებისამებრ გასცეს განკარგულება ბოროტ მომქმედთა და მოღალატეთა დასატუსაღებლად, მისცეს ასეთი პირები სამართალში განურჩევლად მათი მდგომარეობისა და თანამდებობისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.72). კომისიამ მართლაც გამოიყენა მინიჭებული უფლებები, დაატუსაღა და თბილისში გამოაგზავნა ისინი, რომლებიც შედიოდნენ სერვეთ-ბეგოს „კომისარიატში“(ოქმები, ტ. I, გვ.171).

საგანგებო კომისიამ შეასრულა დაკისრებული ამოცანა და 1919 წლის 4 აპრილს დამფუძნებელი კრების მე-7 სხდომაზე გიორგი ანჯაფარიძემ წარმოადგინა მოხსენება, სადაც მოცემული იყო „ნამდვილი სურათი მომხდარ ამბისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.163). კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ ეს არ იყო ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება. აღინიშნა, რომ მომხდარში ჩართული იყვნენ ოსმალეთის და დენიკინის აგენტები, საქართველოს უშუალო მეზობლები - აზერბაიჯანი და სომხეთი.

წარმოდგენილი მოხსენების საფუძველზე ნიკო ელიავამ (ს. დ.) აღნიშნა „ნაყოფიერი მუშაობა... დამფუძნებელი კრების პირველი კომისიისა“, კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენების საფუძველზე კი გამოიტანა სამწუხარო დასკვნა: „აქ შეერთებულია ყველა ის ძალები, რომელნიც ჩვენი მთავრობის ყოველ ნაბიჯს ებრძვიან, ებრძვიან ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს დამოუკიდებლობას“ (ოქმები, ტ. I, გვ.174).

საგანგებო კომისიის მოხსენებაში ცალკე იყო აღნიშნული ახალციხის მაზრაში მოქმედი ქართული ჯარის ხელმძღვანელის გენერალ კვინიტაძის დამსახურება, რომელიც, კომისიის თქმით, „არის მეტად ნიჭიერი და თავის საქმეების კარგად მცოდნე ღენერალი და მან მართლაც საუცხოოდ შეასრულა ის მოვალეობა, რომელიც მას დაეკისრა“ (ოქმები, ტ. I, გვ.170).

ახალციხის საგანგებო კომისიამ დააყენა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და სამუსლიმანო საქართველოსთვის ავტონომიური მმართველობის მინიჭების საკითხი (ოქმები, ტ. I, გვ.161).

განხილვის შემდეგ მიიღეს არა კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი, არამედ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ მომზადებული რეზოლუცია, რომელიც საჭიროდ მიიჩნევდა „სამხედრო და სამოქალაქო ძალების შესათანხმებლად“ მთავრობას დაენიშნა „თავისი საგანგებო რწმუნებული“ (ოქმები, ტ. I, გვ.184).

თავი VIII. დამფუძნებელი კრების დეპუტატის სტატუსი (მალხაზ მაცაბერიძე)

8.1. დამფუძნებელი კრების წევრთა სხდომებზე დასწრების რეგულირება

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის თანახმად (რეგლამენტის თავი 6, - ოქმები, ტ. I, გვ.377-379) დამფუძნებელი კრების დეპუტატს სესიაში სამუშაოდ ჩამოსვლისთანავე დამფუძნებელი კრების კანცელარიისთვის უნდა მიეწოდებინა თავისი მისამართი და სხვა „საჭირო ცნობები“.

თუკი დამფუძნებელი კრების წევრს სურდა დროებით განთავისუფლება დამფუძნებელი კრების მუშაობიდან, მას განცხადებით უნდა მიემართა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისთვის, სადაც აღნიშნულიყო თუ რა ვადით ითხოვდა განთავისუფლებას. თუ განცხადებაში ვადა არ იქნებოდა მითითებული, ვადა ითვლებოდა განცხადების დაწერის მეორე დღიდან იმ დღემდე, როცა დაბრუნების შემდეგ სხდომაზე დამსწრეთა წიგნში პირველად მოაწერდა ხელს. პრეზიდიუმი დამფუძნებელი კრების წევრს პასუხს შეუთვლიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლება შეუძლებლად მიაჩნდა. თუკი დამფუძნებელი კრების წევრი განცხადების დაწერის დღის განმავლობაში პრეზიდიუმისგან პასუხს ვერ მიიღებდა, ეს ნიშნავდა, რომ პრეზიდიუმს არაფერი საწინააღმდეგო არ ჰქონდა დამფუძნებელი კრების წევრის განთავისუფლებისა. თუკი სხვადასხვა მიზეზის გამო დეპუტატი იძულებული იყო სასწრაფოდ წასულიყო, იგი ვალდებული იყო განცხადება გამოეგზავნა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისთვის სამი დღის განმავლობაში.

წელიწადში ერთ თვეზე მეტი ვადით განთავისუფლების საკითხს წყვეტდა თავად დამფუძნებელი კრება. ამისათვის დეპუტატს უნდა წარედგინა წერილობითი განცხადება, რომელიც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის დასკვნასთან ერთად დამფუძნებელი კრების სხდომას მოხსენდებოდა დაუყოვნებლივ. ოღონდ ავადმყოფობის გამო განთავისუფლება ამ ვადაში არ შედიოდა.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 15 ივნისის სხდომაზე ერიკ ბერნშტეინმა ითხოვა თვე-ნახევრით განთავისუფლება, რადგანაც მომარაგების სამინისტროს დავალებით იგზავნებოდა ევროპაში. დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად ნება დართო 5 კვირით გამგზავრებულიყო (ოქმები, ტ. VI, გვ.505). 1920 წლის 18 ივნისის სხდომაზე კი საზღვარგარეთ წასვლის გამო ექვსი კვირით განთავისუფლება ითხოვა გიორგი გვაზავამ. კენჭისყრის შედეგად, დამფუძნებელმა კრებამ მასაც წასვლის ნება დართო (ოქმები, ტ. VI, გვ.526-527).

დამფუძნებელი კრების წევრი, რომელიც განთავისუფლებული არ იყო, მაგრამ დამფუძნებელი კრების სხდომებს საპატიო („პატივ-სადები“) მიზეზის გამო ვერ დაესწრო, ეს უნდა აღენიშნა სხდომაზე არა დამსწრე წევრთა სიაში. ეს სიაში უნდა აღენიშნა „არა უგვიანეს ერთი დღისა იმ თვის გათავების შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც წევრი სხდომას ვერ დაესწრო“. წინააღმდეგ შემთხვევაში არასაპატიო გაცდენად ჩაეთვლებოდა. „თუ უკანასკნელი დღე კვირა-უქმე შეხვდა“, მაშინ ვადის დასასრულად ითვლებოდა „კვირა უქმის შემდეგი პირველი საქმის დღე“. თუ დამფუძნებელი კრების წევრი ვერ ახერხებდა პირადად აღენიშნა კრებაზე მიუსვლელობის მიზეზი, მაშინ წერილობითი განცხადება უნდა წარედგინა თავმჯდომარისთვის. თუ

დამფუძნებელი კრების წევრს დაავიწყდებოდა თავისი გვარის აღნიშვნა დამსწრეთა სიაში, განცხადება ამის თაობაზე სასწრაფოდ უნდა წარედგინა თავმჯდომარისათვის.

სხდომაზე დაუსწრებლობის საპატიო მიზეზად ითვლებოდა: ა/ დამფუძნებელი კრების წევრის ავადმყოფობა; ბ/ ოჯახის წევრის სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა; გ/ სამუშაო, რომელიც დამფუძნებელი კრების მოქმედებასთან იყო დაკავშირებული; დ/ გადაუდებელი საქმეები.

პერიოდულად უნდა გამოცხადებულიყო იმ წევრების სია, რომლებიც სხდომებს ვერ ესწრებოდნენ საპატიო ან არასაპატიო მიზეზების გამო. დამფუძნებელი კრების წევრს, რომელიც სხდომას არასაპატიო მიზეზის გამო გააცდენდა, ყოველ გაცდენილი სხდომისათვის უნდა დაქვითვოდა ხელფასის ერთი ოცდამეათედი.

რეგლამენტის თანახმად, დამფუძნებელი კრების წევრი, რომელიც ორი თვის განმავლობაში სრულად არ დაესწრებოდა სხდომას და არც რაიმე განმარტებას წარმოადგენდა, ის დამფუძნებელი კრების წევრობიდან გარიცხულად ითვლებოდა და მისი ადგილი მორიგ კანდიდატს უნდა დაეკავებინა.

რაც შეეხება დამფუძნებელი კრების წევრობაზე უარის თქმას, ამისათვის განცხადება უნდა წარედგინათ თავმჯდომარის სახელზე, რომელიც ამ განცხადებას დამფუძნებელი კრების სხდომას მოახსენებდა. განცხადების უკან წაღება შეიძლებოდა მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ამის თაობაზე დამფუძნებელ კრებას მოხსენდებოდა. თუ აღნიშნული განცხადება პირადად არ იყო წარდგენილი, ხელის მოწერა სათანადოდ უნდა შემოწმებულიყო. ამის გარეშე განცხადებას მსვლელობა არ უნდა მისცემოდა.

8.2. დამფუძნებელი კრების წევრის იმუნიტეტი (შეუვალობა)

დეკრეტი „დამფუძნებელი კრების წევრთა შეუვალობისა“

1919 წლის 9 მაისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დეკრეტი „დამფუძნებელი კრების წევრთა შეუვალობისა“ (აქტები, გვ.267-268). დეკრეტში ჩამოყალიბებული დებულებები არსებითად იმეორებდნენ დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკას, როგორც რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) აღნიშნავდა, „ეს ყველა კონსტიტუციისთვის, ყველა წყობილებისთვის უდავოა“ (ოქმები, ტ. I, გვ.314). თუმცა, საინტერესოა ის არგუმენტაცია და დისკუსია, რაც დამფუძნებელი კრების სხდომაზე დეკრეტის პროექტის განხილვას მოჰყვა.

დეკრეტის პროექტი განიხილეს დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1919 წლის 6 მაისს. მომხსენებელმა რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) გამოყო დამფუძნებელი კრების წევრის იმუნიტეტის მნიშვნელობის ორი ასპექტი. ერთი მხრივ, დამფუძნებელი კრების წევრს განსაკუთრებული მისიას აკისრია, - „ცხოვრება არ ჩამდგარა რაიმე კალაპოტში“ და ის უნდა ჩაერიოს „აღმასრულებელი ძალის მუშაობაში“, „მთავრობის მოქმედებაში“, ამიტომ დამფუძნებელი კრების წევრს უნდა ჰქონოდა ისეთი გარანტიები, რომ მას „შეძლება ჰქონდეს ქვეყნის მოვლისა და პატრონობისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.313); მეორე მხრივ, დამფუძნებელი კრების წევრი მატარებელი იყო ხალხის სუვერენობის იდეისა და ამის გამოც მას შეუვალობის უფლებით უნდა ესარგებლა. „დამფუძნებელი კრება არის გამომხატველი ხალხის სუვერენობისა და თუ ხალხის სუვერენობა ხელშეუხებელი უნდა იყოს, მაშასადამე ხელშეუხებელი უნდა იყოს მატარებელი ამ ხალხოსნურ იდეისა“, - განაცხადა რაჟდენ არსენიძემ (ოქმები, ტ. I, გვ.313-314).

შეუვალობის დეკრეტის მიხედვით, არ შეიძლებოდა დამფუძნებელი კრების წევრების პასუხისგებაში მიცემა იმ აზრისა და შეხედულობისათვის, რომელსაც იგი სიტყვით, ხმის მიცემითა ან სხვა გზით გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს“ (აქტები, გვ.267).

დამფუძნებელი კრების სხდომაზე დეპუტატს უნდა ჰქონოდა „აზრის თავისუფალი გამოთქმის“ შესაძლებლობა. რადგანაც, რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთელი ხალხის აზრი, როგორც ფოკუსში, ისე უნდა იხატებოდეს დამფუძნებელ კრებაში. ყოველ წევრს უნდა ჰქონდეს საშუალება თავის ნამდვილი რწმენა, ნამდვილი თავის აზრი სავსებით გამოააშკარავოს, გამოსთქვას ტრიბუნიდან“ (ოქმები, ტ. I, გვ.314-315).

დამფუძნებელი კრებაში გამოსვლის დროს დეპუტატს დანაშაულად არ ეთვლებოდა სიტყვა, ვინმეს შეურაცხმყოფელი, ან არაკანონიერი მოქმედებისკენ მოწოდება. ასეთ შემთხვევებში დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს შეეძლო შეეჩერებინა „ესა თუ ის წევრი და კრება ჩააყენოს ერთგვარ კალაპოტში“ (ოქმები, ტ. I, გვ.314).

დამფუძნებელი კრების წევრს თავისი საქმიანობის დროს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა „პოლიტიკური, საზოგადოებრივი, მაგრამ არა იურიდიული“. დასაშვები იყო ერთადერთი იურიდიული პასუხისმგებლობა. – „დისციპლინარული პასუხისმგებლობა თავმჯდომარის წინაშე, თუ დამფუძნებელი კრების წევრი შეურაცყოფას მიაყენებს ან დამფუძნებელი კრების წევრს, ან თვით დამფუძნებელი კრების ღირსებას შელახავს“ (ოქმები, ტ. I, გვ.314).

დამფუძნებელი კრების სხდომაზე განხილვის საგანი გახდა საკითხი, თუ რას ნიშნავდა დამფუძნებელი კრების წევრის მიერ „თავის მოვალეობის ასრულება“. რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) განმარტებით, ეს იყო დამფუძნებელი კრების სხდომაზე მისი გამოსვლა და ასევე, მისი მუშაობა დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ და სხვაგან გაგზავნილ კომისიებშიც (ოქმები, ტ. I, გვ.317-318).

სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენელი იესე ბარათაშვილი არ დაეთანხმა დამფუძნებელი კრების წევრის შეუვალობის შემოფარგვლას მოვალეობის შესრულების პერიოდით და მოითხოვა სიტყვების „მოვალეობის ასრულების დროს“ დეკრეტიდან ამოღება. მისი განცხადებით, „საცა და როცა კი არ იყოს, დამფუძნებელი კრების წევრი ასრულებს თავის მოვალეობას“ (ოქმები, ტ. I, გვ.319).

სოციალ-დემოკრატებისათვის ამ სიტყვების დეკრეტიდან ამოღება მიუღებელი იყო. რაჟდენ არსენიძის თქმით, ეს იქნებოდა „უფლება თვითნებობისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.320), დამფუძნებელი კრების წევრი „კანონზე მაღლა“ ვერ იდგება (ოქმები, ტ. I, გვ.321). დამფუძნებელი კრების წევრი, როდესაც თავის მოვალეობას არ ასრულებს, ის „ჩვეულებრივი მოქალაქეა“ და, შესაბამისად, „ყოველი მისი მოქმედება გაიზომება ისე, როგორც გაიზომება სხვა მოქალაქის მოქმედება“ (ოქმები, ტ. I, გვ.315). რაჟდენ არსენიძის თქმით, აჯანყებისთვის მოწოდებისათვის დამფუძნებელი კრების წევრსაც დააპატიმრებდნენ (ოქმები, ტ. I, გვ.325).

ოღონდ, დამფუძნებელი კრების წევრის დაპატიმრება და „სამართალში მიცემა“ შესაძლებელი იყო მხოლოდ დამფუძნებელი კრების დადგენილებით, დაპატიმრებული დამფუძნებელი კრების წევრი კი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლებულიყო დამფუძნებელი კრების დადგენილებით. რაჟდენ არსენიძის თქმით, „დამფუძნებელი კრების წევრი ხელშეუხებელი უნდა იყოს სხვა დანარჩენ ორგანოებისათვის... თუ სასამართლოს, ან გამომძიებელს უფლება ექნება თვითეული დამფუძნებელი კრების წევრი დაიჭიროს, ციხეში ჩასვას, მაშინ ის გამგებელი გახდება დამფუძნებელი კრებისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.315), „თითონ დამფუძნებელ კრებას აქვს უფლება... თავის წევრი მისცეს სამართალში, ან არ მისცეს“ (ოქმები, ტ. I, გვ.316).

შეუვალობის დეკრეტის პროექტის მიხედვით დამფუძნებელი კრების წევრის დაპატიმრება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც „დანაშაულის ჩადენის დროს მიასწრებენ“, რის

შესახებაც „დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამფუძნებელ კრებას“. ივანე გობეჩიამ (ს. რ.) მოითხოვა, რომ „დანაშაული“, რისთვისაც შეიძლებოდა დამფუძნებელი კრების წევრის ადგილზე დაპატიმრება დაზუსტებულიყო და ჩამატებოდა სიტყვა „მძიმე“(ოქმები, ტ. I, გვ.328). მართალია შემდეგ განხილვის საგანი გახდა, თუ რა ითვლებოდა „მძიმე დანაშაულად“, მაგრამ ესერების შესწორება დეკრეტის პროექტში კენჭისყრის შედეგად მიიღეს (ოქმები, ტ. I, გვ.329).

დეკრეტში დამფუძნებელი კრების წევრის შეუვალობის შესახებ, აღნიშნული იყო, რომ „დამფუძნებელ კრების წევრის დაპატიმრება და სამართალში მიცემა გადასწყდება დამფუძნებელ კრების სხდომაზე ხმის ორი მესამედის უმეტესობით“ (აქტები, გვ.267). რაჟდენ არსენიძის თქმით, კვალიფიციური უმრავლესობის მოთხოვნით ოპოზიციისთვის იქმნებოდა დამატებითი დემოკრატიული გარანტიები, რადგანაც უმრავლესობის მქონე პოლიტიკურ ძალას შეუძლია ბოროტად გამოიყენოს თავისი უპირატესობა და დააპატიმროს ოპოზიციის წევრი, მაგრამ როდესაც ამისათვის საჭიროა არა უბრალო უმრავლესობა, არამედ კვალიფიციური უმრავლესობა, ამ შემთხვევაში „ერთი ნაწილი ოპოზიციისა უნდა მომხრე იყოს აზრისა, რომელსაც ადგა უმრავლესობა“. თუმცა, რაჟდენ არსენიძე იქვე შენიშნავდა, რომ ამ პრინციპს საქართველოს დამფუძნებელი კრების შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დამფუძნებელი კრების „თითქმის 9/10-ს“ შეადგენდა (ოქმები, ტ. I, გვ.317).

„ერთობა“ დეპუტატის შეუვალობის მნიშვნელობის შესახებ

დამფუძნებელი კრების წევრის შეუვალობის კანონის შემუშავებას გამოეხმაურა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ორგანო, გაზეთი „ერთობა“ სარედაქციო სტატიით „დამფუძნებელ კრების წევრთა იმუნიტეტი“ („ერთობა“, 6.05.1919). გაზეთის თანახმად, დამფუძნებელი კრების წევრთა შეუვალობა იცავს „დამფუძნებელი კრების ძლევამოსილებას და ავტორიტეტს“, დეპუტატებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ „თავისი მოვალეობა თავისუფლათ აასრულონ“. გარდა ამისა, საჭირო იყო, რომ „დამფუძნებელი კრების წევრი სარგებლობდეს ერთგვარ პატივისცემით, რადგან თვით მისი არჩევის ფაქტით დადასტურებულია, რომ ის განსაკუთრებული ნდობით და ავტორიტეტით სარგებლობს“ („ერთობა“, 6.05.1919).

გაზეთი აღნიშნავდა, რომ დაცულობის ის ზომები, რაც დამფუძნებელი კრების წევრებს უწესდებოდათ, „ყველა უფლებრივ სახელმწიფოშია დაწესებული ჩვეულებრივ მოქალაქეთათვის“, მაგრამ საქართველო „ჯერ ძალიან დაშორებულია... უფლებრივ სახელმწიფოებრივ ცხოვრების ფორმებს“ („ერთობა“, 6.05.1919).

გაზეთი დამფუძნებელი კრების წევრთა შეუვალობის უზრუნველყოფა იმის გარანტიადაც მიაჩნდა, რომ ისინი ალაგმავდნენ თანამდებობის პირთა თვითნებობას, ეს კი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. გაზეთის თქმით, თანამდებობის პირები „ხშირათ ყოველივე წრეს გადადიან და მათი უკანონო საქციელით მოქალაქის პიროვნება ხშირათ ითელება“ („ერთობა“, 6.05.1919). თუ დამფუძნებელი კრების წევრის შეუვალობა უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, არ იქნებოდა ის ორგანო, „რომელიც თავის ავტორიტეტით ისარგებლებს და მოხელეთა თვითნებობას ალაგმავს“. გაზეთის დასკვნით იმუნიტეტის კანონის მიღება „ერთი აუცილებელი ნაბიჯთაგანი“ იყო „დამფუძნებელი კრების ავტორიტეტის განსამტკიცებლად და მოქალაქის პიროვნების განსათავისუფლებლათ მოხელეთა თვითნებობისაგან“ („ერთობა“, 6.05.1919).

1919 წლის 9 მაისის კანონი „დამფუძნებელი კრების წევრთა შეუვალობისა“ აღნიშნავდა, რომ აკრძალული იყო „დამფუძნებელი კრების წევრის ან მისი ნივთების“ გაჩხრეკა. ეს შეიძლებოდა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ნებართვით („აქტები“, 267).

„ხმები“ დეპუტატის შეუვალობის დარღვევის შესახებ

დამფუძნებელი კრების წევრის შეუვალობის დარღვევის თაობაზე ბრალდებები სწორედ ამ მუხლთან დაკავშირებით წარმოიშვა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 27 მაისის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) თავის სიტყვაში ისაუბრა „დაჟინებით გავრცელებულ ხმებზე“, რომ „საგანგებო რაზმმა გაჩხრიკა დამფუძნებელი კრების ერთ-ერთი დეპუტატი“, თანაც ეს დეპუტატი ყოფილა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი და „სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს ყოველი ზომები, რომ ეს ფაქტი არ გახმაურებულიყო“ (ოქმები, I, გვ.554). ლეო შენგელაია, ერთი მხრივ, აღნიშნავდა, რომ არ იცის თუ რამდენად მართალი იყო ეს ხმები, მეორე მხრივ კი აცხადებდა, რომ „არავითარი გარანტია არ არსებობდა“, რომ იგივე საგანგებო რაზმი არ მივიდოდა სხვა დეპუტატთან „არა მარტო გასაჩხრეკად“, არამედ დასაპატიმრებლად“ (ოქმები, ტ. I, გვ.554).

კირილე ნინიძემ (ს. დ.) საპასუხოდ აღნიშნა, რომ ლეო შენგელაიას არ ჰქონდა დამფუძნებელი კრების წევრის გაჩხრეკის რაიმე საბუთი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებული იქნებოდა „ეს შეკითხვა შემოეტანა პირველად“ (ოქმები, ტ. I, გვ.554).

თავის გამოსვლაში გაცხარებულმა ბენია ჩხიკვიშვილმა (ს. დ.) აღნიშნა, რომ დიდი ნდობით ეკიდებოდა ყველას, „განსაკუთრებით დამფუძნებელი კრების წევრებს და იმათ იმუნიტეტს“, მაგრამ თუკი „რომელიმე დამფუძნებელი კრების წევრი“ უკანონოდ შეიჭრებოდა „ქალაქის თვითმმართველობაში. თუგინდ მემარცხენე“ და მოინდომებდა „ჩვენი დაწესებულების განადგურებას“, მაშინ იმასაც დაატუსაღებდნენ, „თუნდაც უკანასკნელ მილიციონერის საშუალებით“ (ოქმები, ტ. II, გვ.19). თუმცა ეს უკვე არა დამფუძნებელი კრების წევრის გაჩხრეკა, არამედ „დანაშაულის ადგილზე“ მისი დაკავება.

პრესაში განცხადება პასუხისგების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო

დამფუძნებელი კრების წევრი სხდომაზე სიტყვით გამოსვლის დროს ნათქვამზე პასუხს არ აგებდა, მაგრამ გაზეთში გამოქვეყნებული მასალის გამო, შეიძლება ვინმეს სასამართლოში ეჩივლა. სწორედ ამის გათვალისწინებით ბენია ჩხიკვიშვილი ესერებს მიმართავდა: „თუ რამის დამტკიცება გინდათ - პრესაში უნდა სთქვათ, რომ იმ პირებს, რომლებსაც ცილს სწამებთ, პასუხისგებაში შეეძლოთ თქვენი მიცემა. თქვენ სარგებლობთ ამ ტრიბუნით, რომ ვინმეს წინააღმდეგ შური იძიოთ და პასუხი არ აგოთ. ეს არ შეეფერება დამფუძნებელ წევრის ღირსებას“ (ოქმები, ტ. V, გვ.359).

როდესაც დეპუტატს შეურაცყოფისთვის უჩივიან

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 აპრილის სხდომაზე განიხილეს მოქალაქე ივანე ზედგინიძის თხოვნა. ის სასამართლოში უჩიოდა დამფუძნებელი კრების წევრს სერგი ჯაფარიძეს შეურაცხყოფისათვის. მომხსენებლის კირილე ნინიძის (ს. დ.) თქმით, „სასამართლოს უხელმძღვანელებია დამფ. კრების კანონით და საქმე შეუჩერებია“. ზედგინიძე სთხოვდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, რომ „მას ნება მიეცეს ეს საქმე განაახლოს სასამართლოში“. იურიდიულმა კომისიამ მოისმინა სერგი ჯაფარიძის თვალსაზრისიც, რომ იმ შემთხვევაში „როდესაც პასუხისგებაში აძლევენ შეურაცხყოფისათვის“ არ იყო საჭირო „დამფ. კრების დასტური“. ეს მოსაზრება იურიდიულმა კომისიამ არ გაიზიარა და ამ საკითხზე საჭიროდ მიიჩნია დამფუძნებელი კრების თანხმობა. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი დადგენილება: „დამფ. კრება წინააღმდეგი არ არის ივანე ზედგინიძის და სერგი ჯაფარიძის საქმე შეურაცხყოფის თაობაზე გაირჩეს სასამართლოს წესით“ (ოქმები, ტ. VI, გვ.267).

„კირილე ნინიძის ინციდენტი“ - დისკუსია დეპუტატის შეუვალობის კანონის დარღვევის შესახებ

„ვგონებ, არც ერთ კონსტიტუციაში არ არის ისე მკაფიოდ გამოკვეთილი კანონი დეპუტატის შეუვალობის შესახებ, როგორც ეს ჩვენს კანონშია“ - აღნიშნავდა სოციალისტ-რევოლუციონერი ილია ნუცუბიძე (ოქმები, ტ. VII, გვ.651). დამფუძნებელი კრების არსებობის პერიოდში დეპუტატის შეუვალობის კანონის დარღვევის მხოლოდ ერთი შემთხვევა განიხილეს კირილე ნინიძესთან (ს. დ.) დაკავშირებით 1920 წლის დეკემბრის ბოლოს. ამ დროისათვის კირილე ნინიძეს თავის პარტიასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და „დეპუტატის შეუვალობის დარღვევის“ შესახებ სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ შეიტანა და დამფუძნებელი კრების 1920 წლის 21 და 24 დეკემბრის სხდომებზე ცხარე კამათისა და დაპირისპირების მიზეზი გახდა.

სოციალისტ-რევოლუციონერები აცხადებდნენ დამფუძნებელი კრების წევრის ბინის გაჩხრეკასა და დეპუტატისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაზე. ილია ნუცუბიძის (ს. რ.) განცხადებით, მომხდარი კერძო შემთხვევა არ იყო და „ლოღიკური დასკვნაა მთავრობის პოლიტიკისა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.653). თუკი დამფუძნებელი კრება მომხდარს შეურიგდებოდა, „მმართველ წრეებს ყოველთვის ექნებათ საშუალება დააპატიმრონ ის ურჩი დეპუტატი, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრებს“ (ოქმები, ტ. VII, გვ.652).

სოციალ-დემოკრატი ორატორები ერთმანეთისგან განასხვავებდნებ „შეუვალობის დარღვევის მომენტს“ და „თვით ინციდენტის დასაწყისს“, რომელშიც კირილე ნინიძის დანაშაულს ხედავდნენ. საქმე ეხებოდა განოვის ქუჩა N 24-ში, „ზევითა სართულში“ მდებარე ბინას, რომელიც მთავრობის განკარგულებაში იყო. ამ ბინაში გადასვლა ნოე ჟორდანიასაც შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვა. თუმცა, შესვლის მსურველი ბევრი იყო. როგორც ნოე ჟორდანიამ განაცხადა, „მე იმ ბინას მთხოვდნენ ბევრი ამხანაგები, ზოგს არ აქვს, ზოგს აქვს და ცუდია ან ვერ ეტევა, მაგრამ მე მათ ყველას უარი უთხარი. მათ შორის უარი უთხარი გიორგი ცინცაძეს და ვალერიან ჯუღელს“ (ოქმები, ტ. VII, გვ.664). მთავრობა გეგმავდა ამ ბინაში გერმანიის სრულუფლებიანი წარმომადგენელის დასახლებას, მაგრამ მან ჩამოსვლა დააგვიანა და 1920 წლის 10 დეკემბერს თავდაცვის საბჭომ დაადგინა, რომ ბინა გადაეცათ უკვე ჩამოსულ ანგორის მთავრობის წარმომადგენელ პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეისთვის (ოქმები, ტ. VII, გვ.664). თავისუფალი ბინის არსებობის შესახებ ბევრმა იცოდა და ეს ბინა 11 დეკემბერს დეპუტატმა კირილე ნინიძემ თვითნებურად დაიკავა. როდესაც მთავრობამ ამის შესახებ შეიტყო, ნოე ჟორდანიას თქმით, გადაწყვიტეს, რომ შედარებით იზოლირებული „ოთხი მზიანი ოთახი“ ნინიძესთვის დაეტოვებინათ, დანარჩენი ოთახები კი ქიაზიმ-ბეისთვის გადაეცათ. ეს საკითხი ჯერ არ იყო მოგვარებული, რომ იქ ქიაზიმ-ბეი მიიყვანეს. ეს უკანასკნელი შეესწრო „აყალ-მაყალს“ და საგარეო საქმეთა სამინისტროში წავიდა „რა ამბავია, რა ხდება ჩემ ბინაზეო“ (ოქმები, ტ. VII, გვ.666).

გრიგოლ ლორთქიფანიძემ (ს. დ.) დამფუძნებელი კრების 1920 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე აღნიშნა, რომ დეპუტატი ნინიძე „ბინაში შესული იყო უკანონოდ“, მთავრობის პოზიცია კი „ლოიალური და ამხანაგური“ იყო. მხოლოდ დეპუტატისთვის დატოვებულ ოთახებში ნივთების გადატანის დროს „დეპუტატს ხელით შეეხნენ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.669). სწორედ ეს იყო „შეუვალობის დარღვევის მომენტი“ (ოქმები, ტ. VII, გვ.670). ნოე ჟორდანიას განცხადებით, მთავრობას დეპუტატის შეუვალობა არ დაურღვევია. „მე არ არ უარვყოფ იმას, რომ მოხდა შებღალვა დეპუტატობის შეუვალობის, მაგრამ არა მთავრობის მიერ, არამედ მის მიერ გაგზავნილ პირების მიერ, რომელთაც ბრძანება არ შეასრულეს. ამ მხრივ ისინი ღირსნი არიან სასჯელისა და დაისჯებიან კიდეც“ (ოქმები, ტ. VII, გვ.666).

გრიგოლ ლორთქიფანიძის განცხადებით, კირილე ნინიძე არ ელოდა, რომ დიპლომატიური სკანდალის წინაშე აღმოჩნდებოდა, ეგონა რომ „სხვას შეხვდებოდა და შეეტაკებოდა და ეს ცუდი საქმე შერჩებოდა“, მაგრამ „ბოლოს შეიგნო თავის შეცდომა, დაემორჩილა სოციალ-დე-

მოკრატიული ფრაქციის დადგენილებას და თავის ძველ ბინაზე დარჩა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.670).

საინტერესოა რეზოლუციების პროექტები, რომლებიც წარადგინეს სოციალისტ-რევოლუციონერთა, სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალ-დემოკრატთა ფრაქციებმა (ოქმები, ტ. VII, გვ.671):

სოც. რევ. ფრაქცია	„მოისმინა რა მთავრობის განმარტება სოც.-რევ. ფრაქციის შეკითხვის გამო დეპუტატის კ. ნინიძის პიროვნებისა და ბინის შეუვალობის შელახვის შესახებ - დამფუძნებელი კრება ადგენს: დეპუტატის კ. ნინიძის პიროვნებისა და ბინის შეუვალობის შელახვა უდავო ფაქტია და დამნაშავენი დასჯილი უნდა იქნენ სათანადო კანონის მთელი სისასტიკით“.
სოც.-ფედ. ფრაქცია	„დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა რა მთავრობის განმარტება სოც.-რევ. ფრაქციის შეკითხვის გამო, ღრმა მწუხარებას აცხადებს, რომ მთავრობის უტაქტო მოქმედებით შეურაცხყოფილი იქნა დეპუტატი, იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში მთავრობა ფრთხილად მოიქცევა ამგვატ შემთხვევებში...“
სოც.-დემ. ფრაქცია	„მოისმინა რა სოც. რევ. ფრაქციის შეკითხვა საგანგებო რაზმის აგენტების მიერ დამფუძნებელი კრების წევრის კ. ნინიძის შეუვალობის შელახვის შესახებ - დამფუძნებელი კრება მწუხარებას გამოსთქვამს ამის გამო და, იღებს მხედველობაში მთავრობის განცხადებას, რომ ხსენებული აგენტები უკვე მიცემული არიან სასამართლოში, ჯმაყოფილდება ამით...“

რეზოლუციის პროექტები გვიჩვენებს, რომ ესერები და ფედერალისტები კვლავ მთავრობის დანაშაულს ხედავდნენ დეპუტატის შეუვალობის დარღვევაში, ხოლო სოციალ-დემოკრატების რეზოლუცია კი აფიქსირებდა არა მთავრობის, არამედ დავალების შემსრულებელი პირების დანაშაულს. ხმათა უმრავლესობით მიღებული იქნა სოციალ-დემოკრატების რეზოლუცია.

8.3. დამფუძნებელი კრების წევრის დიეტა (ჯამაგირი)

1919 წლის 18 მარტს დამფუძნებელი კრების მე-3 სხდომაზე, როდესაც სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა საკანონმდებლო წინადადება „დეპუტატობის და მოხელეობის შეუთავსებლობისა და დეპუტატთა დიეტისა“. ამ წინადადების თანახმად დამფუძნებელი კრების წევრს გასამრჯელოდ უნდა მიეღო 1500 მანეთი თვიურად (ოქმები, I, გვ.58).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 მარტის სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა აღნიშნული საკითხი, მომხსენებელმა რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ დემოკრატიული პრინციპის თანახმად, პარლამენტის წევრებს „შესაფერი ჯამაგირი“ უნდა მიეღოთ, რათა მათ შეეძლოთ „მთელი თავისი ძალ-ღონე ამ მუშაობას მოახმარონ და იძულებული არ იყვნენ თავისი სარჩენი სახსარი გარეშე ამ მუშაობისა შეიძინონ“ (ოქმები, ტ. I, გვ.58). კომისიისთვის ისიც უდავო იყო, რომ შეთავსების დაშვების შემთხვევაში, პირს შეეძლო თავისი სამსახურის მხოლოდ ერთი ადგილიდან აეღო ხელფასი.

კომისიაში კამათი გამოიწვია დამფუძნებელი კრების დეპუტატის ხელფასის ოდენობის საკითხმა. რაჟდენ არსენიძის თქმით, კომისიაში ასახელებდნენ 2 ათას - 3 ათას მანეთს თვიურ გასამრჯელოს, რათა დეპუტატს ჰქონოდა ისეთი ხელფასი, რომ შეძლებოდა ოჯახის შენახვა და არ გამხდარიყო იძულებული „თავის თავის და ოჯახის გამოკვებისათვის“ ეძებნა „გარეშე სახსარი“. მაგრამ ხმათა უმრავლესობით დეპუტატის თვიურ ანაზღაურებად დადგინდა 1500

მანეთი. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობა და საერთო ფინანსური კრიზისი. „ჩვენ ვიცით, რომ ხარჯის ყოველი აწევა ერთ დაწესებულებაში, იწვევს ხარჯების აწევას დანარჩენ დაწესებულებაში, ყველა ჯამაგირის აწევა კი მოითხოვს ისეთ თანხას, რომლის გაღება სახელმწიფოს არ შეუძლიან და რომლის სიმძიმის ქვეშ სახელმწიფო დაინგრევა. ეს უმთავრესი საფუძველი იყო იმის, რომ მიღებული იქმნა ზომიერი გასამრჯელო დამფუძნებელ კრების წევრთათვის“, - აღნიშნა რაჟდენ არსენიძემ (ოქმები, ტ. I, გვ.123).

სწორედ 1500 მანეთი დადგინდა დამფუძნებელი კრების წევრის თვიურ გასამრჯელოდ საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 4 აპრილის კანონით (აქტები, გვ.237).

დამფუძნებელი კრების წევრის ანაზღაურება მართლაც ზომიერი იყო. რომ შევადაროთ, დამფუძნებელი კრების კანცელარიის გამგის თვიური ჯამაგირიც განისაზღვრა 1500 მანეთით, კანცელარიის საფინანსო განყოფილების გამგე 1400 მანეთს, სტენოგრაფიული ოქმების შემდგენელი იღებდა 1100 მანეთს, საქმის მწარმოებელი 1000 მანეთს (ოქმები, ტ. I, გვ.149).

დამფუძნებელი კრება რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა დეპუტატის ანაზღაურების საკითხს. 1919 წლის 17 ივნისის სხდომაზე განიხილეს და მიიღეს „დეკრეტი დამფუძნებელ კრების წევრების გასამრჯელოს გადიდებისა“. მომხსენებელმა ივ. ჭავჭანიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ საკითხი „ცოტა არ იყოს უხერხულობას“ იწვევდა, რადგანაც დამფუძნებელი კრების წევრები თავად იზრდიდნენ ხელფასს, გარდა ამისა „ამ საკითხს ძალიან ფართოდ გამოიყენებენ დემაგოგები“ და საზოგადოების ნაწილში უკმაყოფილების გამოწვევას შეეცდებოდნენ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წინადადებით ნაცვლად არსებული 1500 მანეთისა, დამფუძნებელი კრების წევრის ანაზღაურება 3.000 მანეთი უნდა გამხდარიყო. კომისიის აზრით, ეს შეადგენდა „ისეთ მინიმუმს, რომლის ნაკლები პირდაპირ შეუძლებელი იქნება დღევანდელ პირობებში დეპუტატისთვის“. დეპუტატს მიღებული ჯამაგირით უნდა დაეკმაყოფილებინა პირადი მოთხოვნილებანი და ასევე შეესრულებინა „მოვალეობა, რომელსაც მას აკისრებს დამფუძნებელი კრების წევრობა“ (ოქმები ტ. II, გვ.147).

საინტერესოა მომხსენებლის მიერ დეპუტატის მოვალეობების აღწერა, რაც მისი მხრიდან ხარჯების გაწევას უკავშირდებოდა: დეპუტატს უნდა გაეწია მგზავრობის ხარჯები - მისი მოვალეობა იყო პერიოდულად შეხვედროდა ამომრჩევლებს, გაცნობოდა მათ მდგომარეობას და ესაუბრა მათთან ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე; დეპუტატს თვალი უნდა ედევნებინა ყველა იმ საკითხისთვის, რომელზედაც მას მოუხდებოდა „თავისი აზრის გამოთქმა დამფუძნებელი კრების კომისიებში“. ამისათვის მას სჭირდებოდა პერიოდული გამოცემებისა და წიგნების შეძენა, რისთვისაც უხდებოდა „ხარჯის გაღება“. იყო კიდევ სხვა ხარჯებიც - მაგალითად, პროვინციელი დეპუტატი ხშირად ღებულობდა დეპეშებს, რაზეც დეპეშითვე ან წერილით უნდა გაეცა პასუხი. შედეგად, ივ. ჭავჭანიძის განცხადებით, დეპუტატი თავისი დიეტის „თითქმის ნახევარს ახმარს მაინც, სწორედ იმ ვალდებულებას, რომელსაც მას აკისრებს სწორედ დეპუტატის მოვალეობა“ (ოქმები ტ. II, გვ.147).

სოციალ-დემოკრატებს კომისიის მიერ მოთხოვნილი თანხა, - 3 ათასი მანეთი ებევრათ და მოითხოვეს 2500 მანეთამდე შემცირება, რასაც დარბაზში „სიცილი და ხმაურობა“ მოჰყვა. მომხსენებელმა ივ. ჭავჭანიძემ ხაზი გაუსვა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის აზრით 3 ათასი მანეთი იმ მინიმუმს წარმოადგენდა, „რომლის შემოკლება შეუძლებელი იყო“ (ოქმები ტ, II, გვ.147), თუმცა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესწორება მიღებული იქნა. აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის დროს დეკრეტი ერთხმად მიიღეს. თავმჯდომარია (ალ. ლომთათიძის) ინიციატივით დეკრეტი მაშინვე გადაეცა სარედაქციო კომისიას თხოვნით, რომ სხდომის ბო-

ლოსთვის წარმოედგინათ საბოლოო ტექსტი (ოქმები ტ. II, გვ.148). საბოლოო ტექსტი მართლაც წარმოადგინა ოლ. სოლოღაშვილმა და დამფუძნებელმა კრებამ ის უცვლელად დაამტკიცა (ოქმები ტ. II, გვ.188).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე, მთავრობის წევრების ხელფასების გაზრდასთან ერთად, ასევე განიხილეს დამფუძნებელი კრების წევრთა გასამრჯელოს გადიდების საკითხი. ეს დეკრეტიც ადრე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით, დაუბრუნდა საბიუჯეტო კომისიას დამატებითი განხილვისათვის. გრიგოლ ურატაძის (ს. დ.) თქმით, საბიუჯეტო კომისიამ „საჭიროდ დაინახა იგივე ციფრების დატოვება, რომელიც წინედ იყო შემოტანილი“ (ოქმები ტ. IV, გვ.56). აქაც სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საჭიროდ დაინახა 1 ოქტომბრის ნაცვლად დეკრეტი ამოქმედებულიყო 1 ნოემბრიდან, ხოლო დამფუძნებელი კრების წევრის ხელფასი 7.500 მანეთის ნაცვლად ყოფილიყო 6.000 მანეთი (ოქმები ტ. IV, გვ.56).

დეპუტატის მოვალეობის შესრულების დროს გასაწევი ხარჯების შემცირებას ემსახურებოდა 1920 წლის 8 აპრილს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული დეკრეტი „დამფუძნებელი კრების წევრებისათვის რესპუბლიკის რკინის გზით უფასოდ მიმოსვლის უფლების მიცემისა“ (აქტები, გვ.381). აღნიშნული დეკრეტი განიხილეს და მიიღეს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 8 აპრილის დღის სხდომაზე.

დეკრეტის განხილვისას საფინანსო კომისიის მომხსენებელმა ერმალოზ კალაძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ დეკრეტის დანიშნულება დამფუძნებელი კრების წევრებისთვის მიმოსვლისა და ამომრჩეველთან დაკავშირების გაადვილება იყო, რათა ამ დროს ისინი „მატერიალურ შევიწროებას არ განიცდიდნენ“ (ოქმები VI, გვ.202). მომხსენებელმა და ი. იმნაიშვილმა (ს. დ.) ისაუბრეს, თუ რა სამუშაო იყო გაწეული გზათა უწყებასთან და მთავრობასთან საკითხის შესათანხმებლად. მაგალითად, გზათა უწყების წარმომადგენელი თავიდან იმ აზრის იყო, რომ უფასო მგზავრობის უფლება მისცემოდა არა დამფუძნებელი კრების ყველა წევრს, არამედ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს გადასცემოდა 15-20 უსახელო ბილეთი, რომელსაც პრეზიდიუმი გაანაწილებდა. არსებობდა მოსაზრებაც, რომ რკინიგზით უფასოდ მგზავრობის უფლება მისცემოდათ მხოლოდ მცირე კომისიების წევრებს, რომელთაც უფრო ხშირად უხდებოდათ მგზავრობა, მაგრამ შემდეგ გადაწყდა, რომ უფასოდ მგზავრობის უფლება დამფუძნებელი კრების ყველა წევრზე გავრცელდებოდა, მით უმეტეს, რომ არსებობდა სხვა ქვეყნების გამოცდილებაც, - სადაც პარლამენტის წევრებს რკინიგზით უფასო მგზავრობის უფლება ჰქონდათ. ხაზი გაესვა იმასაც, რომ დეკრეტში ნახსენები იყო არა „უფასო ბილეთი“, არამედ „უფასო მიმოსვლა“, რაც მოიცავდა მგზავრობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებსაც (ოქმები ტ. VI, გვ.202-203). წარმოდგენილი დეკრეტი დამფუძნებელმა კრებამ რაიმე კამათის გარეშე მიიღო.

8.4. კანონი შეუთავსებლობის შესახებ და დაშვებული გამონაკლისები

ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წევრებს ეკრძალებათ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურის შეთავსება. ასეთი კანონი შეიმუშავა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამაც. აღნიშნული კანონის უმთავრეს მიზანს მოგვიანებით განმარტავდა მელიტონ რუსია (ს. დ.) მისი თქმით, „მიზანი კანონისა იყო უმთავრესად ის, რომ დამფუძნებელი კრების წევრი არ ყოფილიყო ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, რომ ის, როგორც მოხელე მთავრობის გავლენის ქვეშ ყოფილიყო, ეს ერთი. მეორე - დამფუძნებელი კრების წევრი არ უნდა ყოფილიყო დატვირთული ისეთ საქმეებით, რომელიც შეუშლიდა ხელს პირნათლად შეესრულებინა დამფუძნებელი კრების წევრის მოვალეობა“ (ოქმები V, გვ.295).

ასეთი კანონის შემუშავებაზე დამფუძნებელი კრების წამყვანმა ფრაქციამ, - სოციალ-დემოკრატებმა თავიდანვე იზრუნეს. 1919 წლის 18 მარტს დამფუძნებელი კრების მე-3 სხდომაზე, როდესაც სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა საკანონმდებლო წინადადება „დეპუტატობის და მოხელეობის შეუთავსებლობის“ შესახებ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დააფიქსირა გამონაკლისები შეუთავსებლობის კანონში, რაც არსებითად მორგებული იყო ამ პარტიის ინტერესებზე.

სხდომის მდივანმა კ. ჯაფარიძემ (ს. დ.) წაიკითხა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივა, რასაც შემდეგ დიდი კამათი მოჰყვა:

„1/ მთავრობის დაწესებულებებში მოსამსახურენი არ შეიძლება იმავე დროს იყვნენ დამფუძნებელი კრების წევრად. გამონაკლისს შეადგენენ: მთავრობის წევრები (მინისტრები), მათი ამხანაგები, ელჩები და სახალხო გვარდიის შტაბის წევრები.

ამ უკანასკნელთათვის შეფასება დასაშვებია.

2/ ადგილობრივ თვითმმართველობათა გამგეობის წევრებს და ხმოსნებს არ ეკრძალებათ იყვნენ იმავე დროს დამფუძნებელ კრების წევრად...

4/ არავის აქვს უფლება აიღოს ჯამაგირი ერთ და იმავე დროს დამფუძნებელ კრებიდან და სახელმწიფო დაწესებულებიდან, ან ადგილობრივი მართველობებიდან.

5/ ყოველი წევრი დამფუძნებელი კრებისა, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებებში მსახურებს, ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში დღიდან კანონის მიღებისა, წარმოადგინოს საბუთი იმისა, რომ მან შეუთავსებელი თანამდებობა დატოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დამფუძნებელ კრების წევრათ არ ჩაითვლება და მის ადგილს შემდეგი კანდიდატი დაიჭერს“ (ოქმები ტ. I, გვ.57-58).

ამ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით ისევ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელმა რაჟდენ არსენიძემ ითხოვა სიტყვა და „შესაფერისად მიიჩნია“, რომ წინადადება, რომელსაც ჰქონდა „ფინანსური და ერთგვარი საკონსტიტუციო ხასიათი“, შესასწავლად გადასცემოდა ორ შესაბამის კომისიას, რომლებიც მიმდინარე სხდომაზე უნდა აერჩიათ (ოქმები ტ. I, გვ.58).

შეუთავსებლობის საკითხს დაუბრუნდნენ დამფუძნებელი კრების მე-6 სხდომაზე 1919 წლის 29 მარტს. მომხსენებელი იყო იგივე რაჟდენ არსენიძე, რომელმაც ჯერ განიხილა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შემდეგ ქართული რეალობის დასაბუთებას შეუდგა. მისი განცხადებით, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი შეესაბამებოდა საქართველოს „ფაქტიურ კონსტიტუციონურ მდგომარეობას“ (ოქმები ტ. I, გვ.121). რ. არსენიძის თქმით, შეუთავსებლობის კანონში მთავარი და ძირითადი იყო „შეუთავსებლობა საკანონმდებლო დაწესებულების, დამფუძნებელი კრების წევრობისა და მისი ღირსებისა ზოგიერთ თანამდებობასთან“ (ოქმები ტ. I, გვ.118). ამ პრინციპს დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქცია ეთანხმებოდა, რაჟდენ არსენიძე კი ამტკიცებდა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი უზრუნველყოფდა ერთი მხრივ დამფუძნებელი კრების წევრის ღირსების დაცვას და მეორე მხრივ „თავისუფალი იქნეს ის თავის საკანონმდებლო, საკონტროლო და სხვა მხრივ მუშაობაში, რომლისთვისაც იგი მოწოდებულია“ (ოქმები ტ. I, გვ.118).

რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) განცხადებით, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი შეესაბამებოდა საქართველოს „ფაქტიურ კონსტიტუციონურ მდგომარეობას“. თუმცა, ის გამონაკლისები შეუთავსებლობის კანონიდან, რომლის დაშვებასაც მოითხოვდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, მიუღებელი იყო სხვა ფრაქციებისთვის და დიდი კამათი მოჰყვა დამფუძნებელ კრებაში. განვიხილოთ ცალ-ცალკე, რისი შეთავსებაც, სო-

ციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით, დამფუძნებელი კრების წევრისთვის შესაძლებელი იყო და რაც საკამათო იყო სხვა ფრაქციებისთვის.

მთავრობის წევრები და ელჩები

რაჟდენ არსენიძის თქმით, დამფუძნებელი კრების წევრობა შეიძლება შეეთავსებინათ მთავრობის წევრებს, რადგანაც ეს იყო უმაღლესი ორგანო და არავითარ „სხვა ადმინისტრაციულ დაწესებულებას არ ემორჩილება“, დამოკიდებულია მხოლოდ საკანონმდებლო დაწესებულებაზე (ოქმები, ტ. I, გვ.118-119). თუმცა იქვე შენიშნავდა, რომ „მეტად დემოკრატიული რეს-პუბლიკის“, - შვეიცარიის კონსტიტუცია, ასეთ გამონაკლისს დასაშვებად არ მიიჩნევდა (ოქმები, ტ. I, გვ.119).

რაჟდენ არსენიძის თქმით, ქართულ რეალობას უფრო შეესაბამებოდა საფრანგეთის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მინისტრებს ჰქონდათ უფლება ერთ და იმავე დროს ყოფილიყვნენ „წევრებად დამფუძნებელ კრებისა და თან ასრულებდნენ თავის თანამდებობას“ (ოქმები, ტ. I, გვ.121).

იოსებ ბარათაშვილი (ს. ფ.) მთავრობის წევრობისა და დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსების შესაძლებლობას დაეთანხმა, გიორგი გვაზავაც (ე. დ.) თანახმა იყო, რომ „კანონი შეუთავსებლობისა არ შეეხება მინისტრს და მის ამხანაგს“ (ოქმები, ტ. I, გვ.129), მაგრამ მოითხოვა, რომ მინისტრად მყოფ დამფუძნებელი კრების წევრს, სანამ მინისტრი იქნებოდა, მონაწილეობა მიეღო მხოლოდ საკითხის განხილვაში და არ ჰქონოდა „უფლება ხმის მიცემისა“, რადგანაც დაუშვებლად მიაჩნდა, რომ მინისტრი ამ შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო, არ შეიძლება რომ „თავის თავს თეთრი კენჭი მისცეს“ (ოქმები, ტ. I, გვ.130). გიორგი გვაზავას თქმით, მართალია ამით კენჭისყრის დროს სოციალ-დემოკრატები რამდენიმე ხმას დაკარგავდნენ, მაგრამ მათი დიდი უპირატესობის გათვალისწინებით (109 მანდატი 130-დან), ამას სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა.

გიორგი გვაზავას მოსაზრება მიუღებლად მიიჩნიეს სოციალისტ-ფედერალისტებმა. იოსებ ბარათაშვილმა (ს. ფ.) შეუძლებლად მიიჩნია მინისტრს მონაწილეობა არ მიეღო კენჭისყრაში (ოქმები, ტ. I, გვ.134). ამ საკითხზე ესერებს არ გამოუთქვამთ თავისი მოსაზრება. კენჭისყრის შედეგად კი, ბუნებრივია, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ თავისი თვალსაზრისი გაიტანა და არ გაითვალისწინა გვაზავას მოსაზრება.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია, გიორგი გვაზავას თქმით, დამფუძნებელი კრების წევრობის და ელჩად ყოფნის შეთავსების „პრინციპიალურად წინააღმდეგი“ იყო, იმიტომ რომ „ელჩები ინიშნებიან მთავრობის მიერ და მათი ხელქვეითნი არიან“, მაგრამ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც დამფუძნებელი კრების წევრები გაგზავნილი იყვნენ „სხვა და სხვა ქვეყნებში“ გამონაკლისის დატოვება შესაძლებლად მიიჩნია (ოქმები, ტ. I, გვ.130).

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით, შესაძლებელი იყო დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრობასთან, რადგანაც, რაჟდენ არსენიძის განცხადებით, ის იყო „უაღრესად პოლიტიკური დაწესებულება“, „მეთაური შეიარაღებულ რევოლიუციისა“, ეს წარმომადგენლობითი ორგანო არ იყო „ადმინისტრაციაზე დაქვემდებარებული“ (ოქმები, ტ. I, გვ.121).

ასეთი შეთავსების დაშვების წინააღმდეგ გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია. გიორგი გვაზავას (ე. დ.) აზრით, არათუ გვარდიის მთავარი შტაბის წევრს, არამედ გვარდიის წევრსაც არ უნდა შესძლებოდა დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსება. გიორგი გვაზავას განცხადებით „გვარდიის მოსამსახურე, ვინც უნდა იყოს, ასე თუ ისე, ექვემდებარება თავის

უფროსს... არის მისი ზეგავლენის ქვეშ“ (ოქმები, ტ. I, გვ.130). გვარდიაზე უნდა გავრცელებულიყო ისეთივე შეუთავსებლობა, როგორიც ჯარში სამსახურის შემთხვევაში იყო დაწესებული.

სხვა ფრაქციები ამ საკითხს არ შეხებიან, გვაზავას გამოსვლამ კი ძალზედ აღაშფოთა სოციალ-დემოკრატები და ცხარე კამათი გაიშალა, რომლის დროსაც განიხილეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თეორიული საკითხი, თუ როდის დასრულდებოდა რევოლუცია.

რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდა გვარდიისა და მუდმივი ჯარის გაიგივებისა. მისი თქმით. „გვარდია არის შეიარაღებული რევოლუცია“ (ოქმები, ტ. I, გვ.137), გვარდიელი უბრალო მოქალაქეა. რომლის მობილიზაცია შეუძლია „მთავრობის თავმჯდომარეს ან მთავარ შტაბს“ (ოქმები, ტ. I, გვ.138), გვარდიის შტაბი კი დამოუკიდებელი ორგანოა და „არ არის ადმინისტრაციული სახელმწიფო აპარატის მუშაობაზე დამოკიდებული“, გვარდიაში და შტაბში „წმინდა პოლიტიკური საზოგადოებრივი მოღვაწეებია“ (ოქმები, ტ. I, გვ.138), „შტაბი გვარდიისა, საზოგადოდ გვარდია არის, უპირველესად ყოვლისა, პოლიტიკური ორგანიზაცია“ (ოქმები, ტ. I, გვ.137).

რაჟდენ არსენიძის თქმით, „გვარდიელი უნდა იყოს კანონმდებლად, ვინაიდან ის იცავს იმას, რასაც ეწოდება რევოლიუციონური კანონმდებლობა და რევოლიუციის წარმომადგენლობა რევოლიუციურ ხანაში, სწორედ ამიტომ გვარდიელებისათვის შეიძლება დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსება“ (ოქმები, ტ. I, გვ.142).

სოციალ-დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატები თავიანთი არგუმენტებით ვერ დაარწმუნეს, მაგრამ კენჭისყრის დროს თავისი თვალსაზრისი გაიტანეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსნები და გამგეობის წევრები

ყველაზე დიდი კამათი გამოიწვია სოციალ-დემოკრატების პოზიციამ, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსნებისა და გამგეობის წევრების შეთავსებას დამფუძნებელი კრების წევრობასთან. რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) არგუმენტაციით შეთავსება დასაშვები იყო იმიტომ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გამგეობის წევრები არ იყვნენ დამოკიდებული ცენტრალურ ადმინისტრაციაზე, დამოკიდებული არიან მხოლოდ თავის ამომრჩევლებზე და ამიტომ „ამისთანა პირებისთვის არ უნდა იყოს აკრძალული ორ თანამდებობაზე ყოფნა, ესე იგი თვითმართველობის წევრად ყოფნა და დამფუძნებელი კრების წევრად ყოფნა ერთ და იმავე დროს“ (ოქმები, ტ. I, გვ.122).

ასეთი შეთავსების დაშვების წინააღმდეგ ყველაზე მძაფრად სოციალისტ-ფედერალისტებმა გაილაშქრეს. იესე ბარათაშვილმა (ს. ფ.) მიუღებლად მიიჩნია თვითმმართველობის გამგეობის წევრობის და დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსება, რადგანაც გამგეობა აღმასრულებელი ორგანოა და „გამგეობის წევრი მთავრობის წევრს ექვემდებარება“, გამგეობის წევრი სახელმწიფო მოხელეა და „არ შეუძლიათ დამფუძნებელი კრების წევრობა“ (ოქმები, ტ. I, გვ.124).

ლეო ნათაძემ (ს. დ.) სერიოზულად მიიჩნია იესე ბარათაშვილის მოსაზრება, მაგრამ შეთავსების დასაშვებად დაასახელა ორი არგუმენტი, გამომდინარე არსებული მდგომარეობიდან. პირველ არგუმენტად ლეო ნათაძემ ის დაასახელა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას კადრები არ ჰყოფნიდა. თუკი დამფუძნებელი კრების წევრებად გამხდარი პირები თვითმმართველობებიდან წამოვიდოდნენ, თვითმმართველობა დასუსტდებოდა. „ჩვენ თვითმართველობაში ძალიან ცოტა მოღვაწეები გვყავს, თვითმართველობას რომ ჩვენ მოვაკლოთ ის მოღვაწეები, რომელნიც იქ არიან შეიძლება იმით საშინელი ზიანი მივაყენოთ ახალ თვითმართველობას, რომელიც ეს არის ეწყობა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ დიდი რიცხვი ამ თვითმართველობის მოღვაწეებისა დამფუძნებელ კრების წევრად არიან არჩეული. იმათ რომ ავუკრძალოთ დამფუძნებელ კრების წევრობა, ან დამფუძნებელ კრების წევრებათ რომ მივიჩნიოთ და ავუკრ-

ძალოთ თვითმართველობაში მოღვაწეობა, - ეს ძალიან დიდ ზიანს მოუტანს ამ ახალ საქმეს. ჩვენ ასე ღარიბნი ვართ ინტელიგენტურ ძალებით, რომ ამნაირი ნაბიჯის გადადგმა ჩვენ არ გამოგვადგება“ (ოქმები, ტ. I, გვ.125), - განაცხადა ლეო ნათაძემ.

მეორე მოსაზრება, ლეო ნათაძის თქმით, უფრო „ღრმა და პრინციპიალური“ იყო. „დემოკრატიული კონსტიტუციის აგების“, „სახელმწიფოს დემოკრატიულ ნიადაგზე დამყარების“ დროს ნაკლი ის იყო, რომ „თვითმართველობას ეძლევა მეტის მეტად დიდი უფლება“ (ოქმები, ტ. I, გვ.125), შედეგად „ხალხის არჩევნებით შედგენილი ორგანოები საგრძნობელათ დამოუკიდებელი არიან ცენტრისაგან“ (ოქმები, ტ. I, გვ.125). იმისათვის, რომ „სახელმწიფო იყოს მთლიანი, ერთიანი, ძლიერი, დაახლოებული იყოს პროვინციის ორგანოებთან და მასთან ერთად პროვინციას მიენიჭოს რაც შეიძლება მეტი თავისუფლება“ (ოქმები, ტ. I, გვ.125). ამ ვითარებიდან სოციალ-დემოკრატებს გამოსავალად ესახებოდათ „თვითმართველობაში მოღვაწეობის და დეპუტატობის შეთავსება“ (ოქმები, ტ. I, გვ.126), თვითმმართველობის წარმომადგენელნი „პროვინციის ხმას ცენტრში მოიტანენ“, პროვინციაში კი „სახელმწიფოებრივი პრინციპების მატარებელნი“ (ოქმები, ტ. I, გვ.126) იქნებოდნენ. „ცენტრალური სახელმწიფო იქნება გამსჭვალული იმ ინტერესებით, რომლებითაც პროვინცია ცხოვრობს, და პროვინცია იქნება გამსჭვალული იმ სახელმწიფოებრივ ინტერესებით, ურომლისოდაც პროვინცია პარტიკულარიზმში ვარდება“ (ოქმები, ტ. I, გვ.127).

ამ ორი არგუმენტიდან გამომდინარე, ლეო ნათაძის განცხადებით, თვითმმართველობის გამგეობის წევრობის და დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსება „არამც თუ დასაშვებია, არამედ სასურველიც კი არის“ (ოქმები, ტ. I, გვ.127). ეს შეთავსება ლეო ნათაძეს შემდეგნაირად წარმოედგინა: „როცა ისინი აქ უფრო საჭირო არიან, აქ იქნებიან და როცა იქ უფრო საჭირო არიან, იქ იქნებიან“ (ოქმები, ტ. I, გვ.127).

დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსება ადგილობრივ თვითმმართველობაში მუშაობასთან შეუძლებელი და კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა ესერებისთვის. ივანე გობეჩიას (ს. რ.) თქმით, „გამგეობის წევრი, თუ ის სინიდისიერად შეასრულებს თავის მოვალეობას, ვერ შეძლებს ერთს და იმავე დროს, ემსახუროს საზოგადოებას ადგილობრივ და აქაც, როგორც დამფუძნებელი კრების წევრი“, შეთავსების შემთხვევაში „ვერც იქ გააკეთებს ვერაფერს და ჩვენთვისაც გამოუსადეგარი იქნება, რადგანაც ის მეტ დროს მოანდომებს გზაში მიმოსვლას, ვიდრე სადმე მუშაობას“ (ოქმები, ტ. I, გვ.132).

ივანე გობეჩიას აზრით, თვითმართველობაში მუშაობის და დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსებას ისევ „დამფუძნებელი კრების დეპუტატთა რიცხვის“ შემცირება სჯობდა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო: „სხვა და სხვა მოსაზრებათა მიხედვით აუცილებელია, რომ ჩვენ დამფუძნებელ კრებაში 130 დეპუტატზე ნაკლები არ ვიყოლიოთ“ (ოქმები, ტ. I, გვ.132).

ესერების პოზიციას იზიარებდნენ სოციალისტ-ფედერალისტებიც. იესე ბარათაშვილის (ს. ფ.) განცხადებით, „შეუძლებელია ამის შეთავსება იმიტომ, რომ აქაც და იქაც ერთი და იგივე პირი ვერ შეასრულებს იმ დავალებას, რომელსაც დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა უთითებს“ (ოქმები, ტ. I, გვ.133). იესე ბარათაშვილი არ დაეთანხმა სოციალ-დემოკრატების განცხადებასაც, რომ დამფუძნებელი კრების 130 წევრით „ამოიწურება ჩვენი კულტურული ძალა“ და შესაძლებლად მიიჩნია „ადგილობრივ იმისთანა პირების პოვნა, რომელთაც იციან საქმე და შეასრულებენ თავის მოვალეობას“ (ოქმები, ტ. I, გვ.133).

რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) იესე ბარათაშვილის განცხადება, - „თქვენ ხალხი არა გყავთ ადგილობრივ მაგრამ არის სხვა ბევრი ხალხიო“ საწყენად მიიღო, - „ამაში პარტიული კინკლაობა გამოიხატება და არა საქმიანობა“ (ოქმები, ტ. I, გვ.137), - განაცხადა მან. თუმცა, იესე ბარათაშვილმა მხოლოდ ის აღნიშნა, რაზეც ლეო ნათაძემ გულახდილად ილაპარაკა.

ეროვნულ-დემოკრატების პოზიცია ადგილობრივი თვითმართველობის გამგეობის და დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსების საკითხში შუალედური იყო. შეთავსება დასაშვებად მიიჩნია თბილისთან ახლოს მდებარე თვითმმართველობების წარმომადგენლებისათვის, რადგანაც ისინი ადვილად შეძლებდნენ თბილისში ჩამოსვლას დამფუძნებელი კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და უკან დაბრუნებას - „არ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ამ მომზადებულ პირებს აღუკვეთოთ საკანონმდებლო მუშაობაც“ (ოქმები, ტ. I, გვ.129), - აღნიშნა გიორგი გვაზავამ. რაც შეეხება ლეო ნათაძის მიერ მოშველიებულ არგუმენტს თვითმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების შეთავსების შესახებ, გვაზავას განცხადებით, ეს საკითხი იყო „წმინდად უფლებრივი და არა პერსონალური“ (ოქმები, I, გვ.129). მისი გადაწყვეტაც სამართლებრივი კუთხით იყო საძიებელი. „თუ ყველა უფლებები გადაეცემა ადგილობრივ თვითმართველობებს, მაშინ რასაკვირველია ისინი იმოქმედებენ სრულებით ავტონომიურად“ (ოქმები, ტ. I, გვ.129).

პროფესორი

დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსება პროფესორობასთან, რასაც კანონი ითვალისწინებდა, არავის სადავოდ არ გაუხდია. გიორგი გვაზავას თქმით, „ეს გამონაკლისი მისაღებია იმიტომ, რომ სწორედ პროფესორები შეიძლება, ჩვენთვის უფრო საჭირო არიან. გონებით, ჭკუით, განათლებით ბრწყინვალენი არა ვართ და პროფესორები, რასაკვირველია, ძალიან სასურველია, რომ დარჩნენ“ (ოქმები, ტ. I, გვ.130).

პროფესორებისთვის გამონაკლისის დაშვებას სოციალ-დემოკრატებიც შეეხნენ. ოღონდ იმის დასასაბუთებლად, რომ თვითმართველობის გამგეობის წევრებისთვისაც დაეშვათ გამონაკლისი. რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) თქმით, შეიძლებოდა ანალოგიების გავლება „პროფესორების მოღვაწეობას და თვითმართველობის გამგეობის წევრთა მოღვაწეობას შორის“ (ოქმები, ტ. I, გვ.135).

შეუთავსებლობის კანონის ამოქმედების შედეგი

სოციალ-დემოკრატებმა ხმათა უმრავლესობით მიიღეს შეუთავსებლობის კანონის საკუთარი ვერსია. დაშვებული იქნა ყველა ის შეთავსება, რასაც საჭიროდ თვლიდა დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობის მქონე პარტია. კანონის ამ სახით მიღების ერთ-ერთი შედეგი ქვორუმის პრობლემატურობა აღმოჩნდა. ქვორუმად დადგინდა 50 წევრის დასწრება, ანუ ნახევარზე ნაკლებისა.

ამ კანონის თანახმად, დამფუძნებელი კრების ყოველი წევრი, „რომელიც შეუთავსებელ თანამდებობას“ ასრულებდა, ვალდებული იყო „ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის მიღებისა“, შეეტანა განცხადება, რომ „შეუთავსებელი თანამდებობა“ დატოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში კარგავდა „დამფუძნებელი კრების წევრის უფლებას“ და მის ადგილს დაიკავებდა „მორიგი კანდიდატი სათანადო სიიდან“ (აქტები, გვ.238).

შეუთავსებლობის კანონის შედეგი იყო იოსებ გედევანიშვილის (ს. ფ.) მიერ უარის თქმა დამფუძნებელი კრების წევრობაზე. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 15 აპრილის სხდომაზე წაიკითხეს მის მიერ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისათვის გაგზავნილი დეპეშა: „სამხედრო სამსახურისა გამო უარს ვამბობ დამფუძნებელი კრების წევრობაზე“. კანონის თანახმად მისი ადგილი დაიკავა სოციალისტ-ფედერალისტთა სიის მე-9 კანდიდატმა თედო ღლონტმა (ოქმები, ტ. I, გვ.240).

ახალი ცვლილება შეუთავსებლობის კანონში: გამონაკლისების გაფართოება

შეუთავსებლობის კანონში გამონაკლისების გაკეთებისას სოციალ-დემოკრატებმა გაითვალისწინეს ამ კანონის მიღების დროს მათთვის სასურველი ყველა გამონაკლისი, - გვარდიის შტაბის წევრები იქნებოდნენ, თვითმმართველობის ხმოსნები თუ ელჩები. ამ დროისათვის სა-

ხელმწიფო ბანკი არ არსებობდა. სახელმწიფო ბანკის წესდება დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე მიიღო (ოქმები, ტ. III, გვ.198-199).

1920 წლის 20 თებერვლის სხდომაზე დამფუძნებელ კრებას უნდა აერჩია სახელმწიფო ბანკის გამგე და გამგეობის წევრები. გამგეობის წევრებს შორის დასახელებული იყო დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ ელიავა (ს. დ. სიის N 14). ამან გამოიწვია ოპოზიციური ფრაქციების უკმაყოფილება. ამიტომ სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ დეპუტატებს მიმართა თავიანთი აზრი გამოეთქვათ თუ რამდენად დასაშვები იყო დამფუძნებელი კრების წევრის არჩევა სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრად. „პრეზიდიუმს ჰგონია, რომ უნდა გამოითქვას აზრი იმის შესახებ, დასაშვებად მიგაჩნიათ თუ არა, დამფუძნებელი კრების წევრი, როგორც გამონაკლისი ამ შემთხვევაში, არჩეულ იქნეს ამ თანამდებობაზე“ (ოქმები, ტ. V, გვ.248).

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით, რომელიც გრიგოლ გიორგაძემ (ს. დ.) გადმოსცა, შესაძლებელი იყო „კანონმდებლობის გზით“ სიარული და შეუთავსებლობის კანონში ცვლილების შეტანა, მაგრამ ამჯობინებდნენ მეორე ვარიანტს, - დამფუძნებელ კრებას უბრალოდ მიეღო დადგენილება, რომ „დამფუძნებელი კრების წევრს უფლება ექნება ბანკის საბჭოს წევრობისაც“, აღენიშნა, რომ „მიღებულ კანონში გამოტოვებულია ეს და ჩვენ ამ გამონაკლისით შევავსებთ მას“ (ოქმები, ტ. V, გვ.250).

ეს გზა მიუღებელი იყო ოპოზიციური ფრაქციებისათვის. გიორგი გვაზავამ (ე. დ.) განაცხადა, რომ პარლამენტის წევრობა შეუთავსებელი იყო „ისეთ თანამდებობასთან, როგორიც არის ბანკში სამსახური“ (ოქმები, ტ. V, გვ.248) და დაცული უნდა ყოფილიყო შეუთავსებლობის პრინციპი. შალვა მესხიშვილის (ს. ფ.) აზრით, დადგენილების მიღება დამფუძნებელი კრების წევრის ბანკის საბჭოს წევრად ყოფნის შესახებ შექმნიდა ცუდ პრეცედენტს, „რომლის გამეორებაც სხვა შემთხვევაში პირდაპირ საოცარ მდგომარეობაში ჩააგდებს დამფუძნებელ კრებას“ (ოქმები, ტ. V, გვ.251). ასეთი დადგენილების მიღება უნდა ხდებოდეს „ყოველთვის კანონიერი გზით, კანონმდებლობის წესით“ (ოქმები, ტ. V, გვ.251). თუკი დამფუძნებელი კრება დაარღვევდა თავის მიერ მიღებულ კანონებს „მაშინ შეუძლებელია მოვთხოვოთ მისი ასრულება და დაცვა სხვას“ (ოქმები, ტ. V, გვ.250).

ამ პასუხმა სოციალ-დემოკრატები არ დააკმაყოფილა. თევზაიას (ს. დ.) განცხადებით დამფუძნებელი კრების ხელში იყო უდიდესი უფლებამოსილება და შეუძლია „ერთი დადგენილებით“ გაეუქმებინა „ყველა კანონები“ და, ბუნებრივია, შეეძლო „თვით მისგან დაწესებულ კანონებისთვის ერთნაირი განმარტება“ მიეცა და დაეკანონებინა, რომ „დამფუძნებელი კრების წევრს შეუძლია იყოს სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრადაც“ (ოქმები, ტ. V, გვ.251). თევზაიას ნაჩვენები გზით წასვლა სოციალ-დემოკრატებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ და ხმათა უმრავლესობით მიეღოთ საჭირო დადგენილება, მაგრამ მაინც აირჩიეს ის გზა, რაზეც ოპოზიცია მიუთითებდა, - შეუთავსებლობის შესახებ არსებულ კანონში ცვლილებების შეტანა.

ცოტა ხნის შემდეგ, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 თებერვლის სხდომაზე გამოიტანეს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 1919 წლის 4 აპრილის კანონში ახალი გამონაკლისების დაშვებას ახალი კანონპროექტით გამონაკლისების ჩამონათვალი ფართოვდებოდა და დამფუძნებელი კრების წევრობა თავსებადი ყოფილიყო სახელმწიფო ბანკის საბჭოს და პრეზიდიუმის წევრობასთან (ოქმები, ტ. V, გვ.295).

აღნიშნული კანონპროექტის ინიციატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. დამფუძნებელმა კრებამ გადაწყვეტილება სახელმწიფო ბანკის დაარსების თაობაზე 1919 წლის 31 დეკემბერს მიიღო. იმავე დღეს დაამტკიცეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებაც (აქტები, გვ.325-355). ბუნებრივია, როდესაც რამდენიმე თვის წინ გამონაკლისებს ამტკიცებდნენ შეუთ-

ავსებლობის კანონში სახელმწიფო ბანკს ვერ მოიხსენიებდნენ. ამიტომაც დადგა 1919 წლის 4 აპრილის კანონში ცვლილების შეტანის საკითხი.

ცვლილების ინიციატორი სოციალ-დემოკრატები აღნიშნავდნენ, რომ ამით არ იცვლებოდა შეუთავსებლობის კანონის არსი. სახელმწიფო ბანკი უშუალოდ დამფუძნებელ კრებას ემორჩილებოდა და სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრი არ იქნებოდა მოქცეული მთავრობის გავლენის ქვეშ; შეთავსების შემთხვევაში დამფუძნებელი კრების წევრს პირნათლად შეეძლო თავისი მოვალეობის შესრულება (ოქმები, ტ. V, გვ.295).

აღნიშნულმა წინადადებამ ესერების და ეროვნულ-დემოკრატების პროტესტი გამოიწვია. ლ. შენგელაიას (ს. რ.) აზრით ცვლილებები იმიტომ ხდებოდა, რომ „მეწშევიკებს შესაფერისი კანდიდატები“ ჰყავდათ, მისივე თქმით, დამატებითი გამონაკლისების დაშვებას „ახალი საჭიროება არ მოითხოვს“ და არც „მიზანშეწონილობის თვალსაზრისით შეიძლება ეს გავამართლოთ“. შენგელაიას თქმით დამფუძნებელი კრების გარეთ არიან „საბანკო და სამრეწველო მოღვაწენი“ და შეუძლიათ ბანკში აღნიშნული მოვალეობების შესრულებაც (ოქმები, ტ. V, გვ.296-297).

ეროვნულ-დემოკრატ გ. გვაზავას აზრითაც არ იყო საჭიროება იმისა, რომ დამფუძნებელი კრების წევრებისთვის ახალი შეთავსების აუცილებლობა შეექმნათ, რადგანაც ბევრი იყო მომზადებული ადამიანი, თუნდაც „ვაჭარ-მრეწველთა წრეებში“ (ოქმები, ტ. V, გვ.298). ორივე ფრაქციის აზრით, არ ღირდა დამფუძნებელი კრების წევრების ნაწილის დატვირთვა დამატებითი საქმიანობით. გ. გვაზავა თანხმდებოდა ახალი შეთავსების დაშვებას, თუკი ბანკის საბჭოს წევრებს არ ექნებოდათ ხელფასი (ოქმები, ტ. V, გვ.298).

სოციალ-დემოკრატებისთვის საბანკო-სამრეწველო წრეებზე მითითება კატეგორიულად მიუღებელი იყო. კ. ნინიძემ (ს. დ.) გამორიცხა სახელმწიფო ბანკის წევრებად ვაჭრის, მრეწველის, ფინანსისტის დანიშვნა, რადგანაც სახელმწიფო ბანკმა „ამ ვაჭრებს, სპეკულანტებს“ საზღვარი უნდა დაუდოს (ოქმები, ტ. V, გვ.298).

შეუთავსებლობის საკითხებზე დებატებმა უცნაური ხასიათი მიიღო.

თავის გამოსვლის დროს გ. გვაზავამ (ე. დ.) განაცხადა, რომ დამფუძნებელი კრების წევრი სრულიად თავისუფალი უნდა ყოფილიყო ისეთი გავლენისაგან, „რომელიც ცვლის მის ნებისყოფას, მიმართულს ერის კეთილდღეობისაკენ“ (ოქმები, ტ. V, გვ.298). კ. ნინიძემ ეს სიტყვები ხელზე დაიხვია და განაცხადა, რომ გვაზავას იდეალის განხორციელების შემთხვევაში, დამფუძნებელი კრების წევრი თავისუფალი უნდა ყოფილიყო კლასობრივი ინტერესებისაგანაც. იქვე ნინიძემ ეროვნულ-დემოკრატებს გაუხსენა, რომ ისინი წინააღმდეგნი იყვნენ აგრარული რეფორმის და დაასკვნა: „თქვენ მეტად მჭიდროდ ყოფილხართ დაკავშირებულნი იმ კლასთან, რომელმაც თქვენ აქ გამოგგზავნათ, აქედან გამომდინარეობს, რომ თქვენც ზეგავლენის ქვეშ იმყოფებით და თავისთავად ცხადია, რომ ამ თქვენ თვალსაზრისს დავემყაროთ, თქვენ არ უნდა ისხდეთ აქ, ვინაიდან თქვენ არა ხართ ერის წარმომადგენელი, არამედ შებოჭილი ხართ იმ კლასის ინტერესებით, რომელმაც თქვენ აქ გამოგგზავნათ“ (ოქმები, ტ. V, გვ.299), „ძალიან ბევრი წრეების წარმომადგენლები აღარ უნდა იყვნენ აქ დამფუძნებელი კრების წევრებად“ (ოქმები, ტ. V, გვ.300).

ამას ამბობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, იმ პარტიისა, რომელიც თავის კლასობრივ სახეს არც მალავდა და თავგამოდებით ამტკიცებდა, - მუშათა კლასის ინტერესებს ვემსახურებიო. ამიტომაც სპ. კედიამ კ. ნინიძეს ერთსიტყვიანი რეპლიკით უპასუხა: „თქვენ?“ (ოქმები, ტ. V, გვ.300).

რა თქმა უნდა, ცვლილება შეუთავსებლობის კანონში იმ სახით მიიღეს, როგორც ეს სოციალ-დემოკრატებს სურდათ. თუმცა, ოპოზიციის შიში, რომ სახელმწიფო ბანკის საბჭო გაივ-

სებოდა მაინც და მაინც სოციალ-დემოკრატი დეპუტატებით არ გამართლდა. ბანკის თავმ-ჯდომარედ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი დეპუტატი ნიკოლოზ ელიავა, საბჭოს წევრი კი დამ-ფუძნებელი კრების წევრებიდან მხოლოდ ერთი იყო - სოციალისტ-ფედერალისტი სიმონ მდი-ვანი (ოქმები, ტ. V, გვ.480).

ესერების ბრალდება სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მიერ შეუთავსებლობის კანონის დარღვევის თაობაზე

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია ხშირად საუბრობდა სოციალ-დემოკრატების მხრიდან შეუთავსებლობის კანონის დარღვევაზე. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 25 მაისის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) განაცხადა, რომ ეს კანონი ცხოვრებაში არ გატარებულა და „შეიძლება ითქვას სოც-დემოკ. ფრაქციის ნახევარი ჩინოვნიკებისაგან შესდგება“ (ოქმები, ტ. VI, გვ.390).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 22 ივლისის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) სოცი-ალ-დემოკრატების წარმომადგენელ რიგ დეპუტატებს ბრალდება წაუყენა შეუთავსებლობის კანონის დარღვევის თაობაზე, რომ მუშაობდნენ რამდენიმე ადგილზე და ხელფასსაც ყველგან იღებდნენ. ამჯერად ამას სოციალ-დემოკრატების მხრიდან აღშფოთება მოჰყვა და შენგელაიას მოსთხოვეს დაესახელებინა ბრალდების დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები. ლეო შენ-გელაიამაც დაასახელა შეუთავსებლობის კანონის დამრღვევი რამდენიმე სოციალ-დემოკრატი დეპუტატი, რასაც არც იმ სხდომაზე და არც მომდევნო სხდომებზე სოციალ-დემოკრატების მხრიდან უარყოფა არ მოჰყოლია.

სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშში აღნიშნულ საკითხზე მძაფრი და საინტერესო დი-ალოგია დაფიქსირებული:

„ლეო შენგელაია: ...ჩვენში ყოველი სოციალ-დემოკრატი, თუ მას ცოტა სტაჟი მაინც აქვს და გავლენიანი პირია, ღებულობს ჯამაგირებს არა ერთს, არამედ 5-6 ადგილზედ.

თევზაია: დაასახელე!

ხმა: ეგ უკადრისი საქციელია!

შენგელაია: დავასახელო? დიდი სიამოვნებით, ამ წუთში.

გელეიშვილი: დაასახელეთ!

შენგელაია: ბატონებო! მე მეუბნებიან, დაასახელეთო. მეც ვასახელებ: აი დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი, ვინმე პაშალიდი, თუმცა ჯერ-ჯერობით აქ არც კი ყოფი-ლა, მაგრამ იღებს 7.600 მან., როგორც დამფუძნებელი კრების წევრი; როგორც აფხაზეთის საბ-ჭოს წევრი - 10.000 მან., მსახურობს საავადმყოფოში და იღებს იქაც 6.000 მან., სულ 23.000 მა-ნეთს იღებს.

ხმა: დამფუძნებელი კრების წევრი არ იქნება!

შენგელაია: დიახ, გახლავთ, მაგრამ თქვენ არც კი იცნობთ. აგრეთვე შერვაშიძე იღებს, როგორც დამფუძნებელი კრების წევრი - 7.600 მან.; როგორც თავმჯდომარე აფხაზეთის საბჭო-სი - 12.000 მან., სამხედრო ლაზარეთში სამსახურისათვის - 6.000 მან.

ხმა: ერგება თუ მიიღო?

შენგელაია: ღებულობს, ბატონო, ღებულობს. სულ ღებულობს 26.000 მანეთს.

ღლონტი: ეს კი უკანონობაა!

შენგელაია: გურჯუა ვასილი, როგორც დამფუძნებელი კრების წევრი - 7.600 მან.; რო-გორც აფხაზეთის საბჭოს წევრი - 10.000 მან.; როგორც მონოპოლიის გამტარებელი რწმუნებუ-ლი - 15.000 მან. სულ გამოდის 32.000 მან. ისიდორე რამიშვილი (ხმაურობა) 7.600 მან., როგორც დამფუძნებელი კრების წევრი; როგორც სოხუმის საბჭოს წევრი - 10.000 მანეთს.

თევზაია: ისიდორე, კაცო, ისიდორე?

შენგელაია: დიახ, ბატონო, თქვენი ისიდორეც!

ხმა: ტყუილია!

შენგელაია: მე ძლიერ გამიხარდებოდა, რომ ეს მართალი არ იყოს. მე პატივსა ვსცემ მას, როგორც ძველ მოღვაწეს და ვწუხვარ, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა.

კედია: სხვები?

შენგელაია: მაშასადამე, ეს არის ერთი მიზეზი, რომ ჩვენ აუარებელი ფული გვეხარჯება...“ (ოქმები, ტ. VII, გვ.100).

სოციალ-დემოკრატების მხრიდან ამ ბრალდებას არავინ გამოეხმაურა. რამდენიმე სხდომის შემდეგ, 1920 წლის 28 ივლისს, ლეო შენგელაიამ (ს. რ.) კვლავ განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები თავისავე მიღებულ კანონებს არ ასრულებდნენ და ერთ-ერთ მაგალითად შეუთავსებლობის კანონი დაასახელა: „ავიღოთ კანონი შეუთავსებლობის შესახებ. ეს კანონი არ ტარდება“ (ოქმები, ტ. VII, გვ.100).

თავი IX. საქმეთა განხილვის წესი დამფუძნებელ კრებაში (მალხაზ მაცაბერიძე)

9.1. საკანონმდებლო საკითხების განხილვის და კანონების გამოქვეყნების წესი

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის თანახმად, დამფუძნებელ კრებაში წარდგენილი კანონპროექტებისა და საკანონმდებლო წინადადებათა სია დამფუძნებელი კრების უახლოესი სხდომისთვის უნდა წარედგინათ. დამფუძნებელი კრება საკანონმდებლო საქმეს გადაწყვეტდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმე განხილული იქნებოდა კომისიაში, რომელსაც უნდა წარმოედგინა სათანადო მოხსენება. კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების კომისიაში გადაცემის შემდეგ, ყველა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც კომისიაში გადაცემულ საქმეს შეეხებოდა, უნდა გადასცემოდა მასალად იმავე კომისიას (აქტები, გვ. 246).

კომისიის მიერ დამფუძნებელ კრებაში შეტანილი ყოველი კანონპროექტი სამჯერ უნდა განხილულიყო. კანონპროექტის განხილვა იწყებოდა მისი ძირითადი დებულებების საზოგადო განხილვით (პირველი განხილვა), რომლის შემდეგაც თუკი დამფუძნებელი კრება მუხლობრივ განხილვაზე გადასვლას საჭიროდ არ მიიჩნევდა, კანონპროექტი უარყოფითად ითვლებოდა.

რეგლამენტის თანახმად, პირველ და მეორე განხილვას შორის უნდა გასულიყო არა ნაკლებ 7 დღე. განსახილველი კანონპროექტის შესწორებები და დამატებები, ან დამატებითი მუხლები უნდა წარედგინათ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისთვის „არა უგვიანეს სამი დღისა პირველი განხილვის შემდეგ“. ამავე დროს, დამატებები და შესწორებები პრეზიდიუმის განკარგულებით ეგზავნებოდათ დამფუძნებელი კრების წევრებს სხდომამდე ერთი დღით ადრე მაინც სხდომამდე, რომელზედაც კანონპროექტის მეორე განხილვა იგეგმებოდა (აქტები, გვ.246).

კანონპროექტის მეორე განხილვის მიზანი იყო ცალ-ცალკე მუხლების განხილვა. ცალკე მუხლების განხილვის დროს, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, შეიძლება მუხლობრივი განხილვის წესი შეცვლილიყო, ან რამდენიმე მუხლი ერთად განეხილათ, ანდა ერთი მუხლი რამდენიმე ნაწილად დაეყოთ და თითოეული ნაწილი ცალკე განეხილათ (აქტები, გვ. 247).

შესწორებები და დამატებები თავმჯდომარეს უნდა გამოექვეყნებინა იმ მუხლის განხილვის დაწყებამდე, რომელსაც შესწორება ან დამატება შეეხებოდა, მუხლის განხილვის დროს კი შესწორებისა და დამატების შეტანა აღარ შეიძლებოდა. მომხსენებლის, ან მთავრობის წევრის განცხადებით შემოტანილი შესწორებები და დამატებები დამფუძნებელი კრების სხდომაზე განხილვამდე კომისიას უნდა გადასცემოდა წინასწარ განსახილველად. ასეთ შემთხვევაში კანონპროექტის ან ცალკე მუხლის მეორე განხილვა უნდა გადადებულიყო იმ დრომდე, სანამ თავის დასკვნას არ წარმოადგენდა კომისია. დასკვნის წარმოსადგენად დამფუძნებელ კრებას შეეძლო განსაზღვრული ვადის დაწესება. სარედაქციო ხასიათის შესწორებები კი კენჭისყრის გარეშე უნდა გადასცემოდა სარედაქციო კომისიას.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ დამფუძნებელ კრებას მთლიანობაში უნდა მიეღო კანონპროექტი შესწორებებით. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონპროექტი კვლავ გადაეცემოდა სარედაქციო კომისიას საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად, რომელიც მუხლობრივ განსახილველად (მესამე განხილვა) და დასამტკიცებლად წარედგინებოდა დამფუძნებელი

კრების სხდომას. მესამე განხილვის დროს მხოლოდ სარედაქციო შესწორებების შეტანა შეიძლებოდა. კანონპროექტის საბოლოო ტექსტი დეპუტატებს უნდა გადასცემოდათ ერთი დღით ადრე იმ სხდომამდე, რომლის დღის წესრიგშიც იყო შეტანილი.

დამფუძნებელი კრების რეგლამენტში არ იყო განსაზღვრული კანონის გამოქვეყნების წესი. ეს საკითხი განიხილეს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 აპრილის სხდომაზე. კომისიამ საჭიროდ ჩათვალა შეენარჩუნებინა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკვე დამკვიდრებული პრაქტიკა, როდესაც საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონის გამოქვეყნება ევალებოდა მთავრობას. რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) თქმით, კომისიამ მიიჩნია, რომ „ეს სახე გამოქვეყნებისა დარჩენილიყო არა მარტო კანონებისათვის, არამედ დამფუძნებელ კრების ყოველ გვარ დადგენილებისათვის“ (ოქმები, I, გვ.227).

დამფუძნებელი კრების ყველა დადგენილებაზე ხელი უნდა მოეწერა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრს. ასევე გადაწყდა, რომ მთავრობის თავმჯდომარეს ხელი მოეწერა კანონებისა და დეკრეტების ქვეშ, ე. ი. ისეთ დოკუმენტებზე, „რომელნიც შეიცავენ ერთგვარ იურიდიულ ნორმებს“ (ოქმები, I, გვ.228). დადგენილებაზე მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერა არ ჩაითვალა საჭიროდ, რადგანაც „ჩვეულებრივ დადგენილებას ექნება განკარგულების ხასიათი, ან დაწუნება-მოწონების ხასიათი და არა კანონმდებლობითი“. ამასთან დადგენილება შეიძლება ხშირად შეეხებოდა მთავრობის კაბინეტს, ე. ი. თვით თავმჯდომარესაც (ოქმები, I, გვ.228).

მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერა, რაჟდენ არსენიძის განცხადებით, ნიშნავდა იმას, რომ ეს იყო „ერთგვარი ვალდებულება, რომ აღმასრულებელმა ძალამ მიიღო ესა თუ ის კანონი, ესა თუ ის დეკრეტი ასასრულებლად და ვალდებულია დაუყონებლივ ცხოვრებაში გაატაროს და მის გატარებაში პასუხიც აგოს. აი ასეთი მნიშვნელობა აქვს თავმჯდომარის ხელისმოწერას“. მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერა იმას ნიშნავდა, რომ „აღმასრულებელი ძალა სავსებით ემორჩილება და ექვემდებარება ამ კანონების ასრულებას და ცხოვრებაში გატარებას“ (ოქმები, I, გვ.229). ხაზგასმული იყო, რომ მთავრობის თავმჯდომარის ხელმოუწერლობა ვერ შეაჩერებდა „კანონის გამოქვეყნებას და ძალაში შესვლას“.

მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერის მეორე უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა კი ის იყო, რომ ხალხში უნდა განემტკიცებინა მთავრობის ავტორიტეტი. „თუ რაიმე არის სუსტი დღეს ამ საზოგადოებრივ რყევის ხანაში, - ეს არის მთავრობა და მთავრობის აპარატი“, - აღნიშნავდა რაჟდენ არსენიძე (ოქმები, I, გვ.229).

სოციალისტური ოპოზიციური პარტიები დამფუძნებელ კრებაში - ფედერალისტები და ესერები სასტიკი წინააღმდეგი აღმოჩნდნენ კანონებზე მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერისა.

იესე ბარათაშვილი (ს. ფ.) აღნიშნავდა, რომ კანონისათვის ხელი უნდა მოეწერა მხოლოდ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს და ეს საკმარისი იქნებოდა. მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერა კი იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ მთავრობის თავმჯდომარე მონაწილეობდა „როგორც კანონის შემუშავებაში, ისე მის გადაწყვეტაში“ (ოქმები, I, გვ.230). იესე ბარათაშვილის აზრით, ამით გამოდიოდა, რომ მთავრობის თავმჯდომარე იღებდა „მონაწილეობას კანონმდებლობაში“ (ოქმები, I, გვ.231) და ამით მთავრობის თავმჯდომარე ემსგავსებოდა პრეზიდენტს.

იგივე მოსაზრება გამოთქვა ილია ნუცუბიძემ (ს. რ.), რომლის განცხადებითაც დამფუძნებელი კრების მუშაობაში თანდათან ეპარებოდათ „ისეთი ელემენტები, რომლებსაც მივყავართ დამფუძნებელი კრების სუვერენობის შეზღუდვისაკენ“ (ოქმები, I, გვ.231). მისი განცხადებით, ეს პირველად მაშინ მოხდა, როდესაც მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის უმაღ-

ლეს წარმომადგენლად აირჩიეს; მეორედ, როდესაც ღებულობდნენ გადაწყვეტილებას, რომ კანონისთვის მთავრობის თავმჯდომარესაც უნდა მოეწერა ხელი. ილია ნუცუბიძის განცხადებით, გამოდიოდა, რომ ერთსა და იმავე დროს არსებობდა „ორი უზენაესი წარმომადგენელი“ – „რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და დამფუძნებელი კრება“. ნუცუბიძის განცხადებით, „ხალხი შეეჩვეოდა იმ აზრს. რომ „ჩვენი მთავრობა არის კანონმდებელი“ (ოქმები, I, გვ.232).

ეროვნულ-დემოკრატები კამათში არ ჩარეულან. მათთვის არათუ კანონებზე მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერა იყო მისაღები, არამედ ისინი მხარს უჭერდნენ მთავრობის თავმჯდომარისთვის პრეზიდენტის უფლებამოსილების მინიჭებასაც. სოციალ-დემოკრატებისთვის კი ფედერალისტების და ესერების არგუმენტაცია მიუღებელი იყო. მათ კიდევ ერთხელ განმარტეს თავისი თვალსაზრისი. რაჟდენ არსენიძის განცხადებით, „სუვერენული უფლება დამფუძნებელი კრებისა“ სრულიად დაცული იყო (ოქმები, I, გვ.237).

პავლე საყვარელიძის თქმით, კი დამფუძნებელმა კრებამ „მთავრობის თავმჯდომარეს მისცა ნება წარმოადგინოს სახელმწიფო საგარეო და შინაურ კითხვებში და იმავე დროს მან ანგარიში მისცეს ყველა თავის მოქმედებაში დამფუძნებელ კრებას“ („ოქმები“, I, გვ.234).

9.2. საბიუჯეტო საკითხების განხილვის წესი

როგორ უნდა განეხილათ ბიუჯეტი

საბიუჯეტო საკითხების („შემოსავალ-გასავლის“) განხილვის წესი ცალკე იყო გამოყოფილი. მთავრობის მიერ შეტანილი ბიუჯეტის პროექტი, უწყებების საფინანსო ხარჯთაღრიცხვები, ასევე დამფუძნებელი კრების ხარჯთაღრიცხვა დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტის განხილვის დაწყება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება დაეწყო, როცა საბიუჯეტო კომისია წარმოადგენდა თავის მოხსენებებს: ა/ მთელი შემოსავალ-გასავლისა; ბ/ შემოსავლებისა და ცალკე ხარჯების პროექტისა. საბიუჯეტო კომისიის მოხსენებები დაურიგდებათ დამფუძნებელი კრების წევრებს, განხილვის დაწყება კი შესაძლებელი იყო მოხსენებების დარიგებიდან „არა უადრეს ერთი კვირისა“ (აქტები, 1990, გვ.248).

რეგლამენტის თანახმად, პირველად უნდა განხილულიყო ხარჯთაღრიცხვის პროექტის ძირითადი საფუძვლები. ამის შემდეგ კენჭისყრით უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი მუხლობრივ განხილვაზე გადასვლის შესახებ. საბიუჯეტო კანონპროექტში შეტანილი შესწორებები დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისთვის უნდა წარედგინათ პირველი განხილვის დამთავრებამდე. ამ შესწორებებს პრეზიდიუმი გადასცემდა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას სათანადო დასკვნის წარმოსადგენად. აღნიშნული შესწორებები, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნასთან ერთად, მეორე განხილვის დაწყებამდე ერთი დღით ადრე მაინც უნდა მიეწოდებინათ დამფუძნებელი კრების წევრებისათვის.

პირველ და მეორე განხილვებს შორის უნდა ყოფილიყო არანაკლებ 7-დღიანი შუალედი. მეორე განხილვის მიზანია შემოსავალ-გასავლის ცალ-ცალკე მუხლების განხილვა. თუ წარმოდგენილი იყო როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნუსხა, პირველად უნდა განეხილათ და კენჭი ეყარათ გასავლის პროექტისათვის. რომელიმე უწყების ბიუჯეტის განხილვისას ჯერ უნდა განეხილათ მთელი უწყების საფინანსო ხარჯთაღრიცხვის საფუძვლები, შემდეგ კი ხარჯთაღრიცხვის პროექტის ცალ-ცალკე მუხლები.

შემოსავლის პროექტის განხილვის დროსაც პირველად უნდა ემსჯელათ პროექტის საზოგადო საფუძვლების თაობაზე, შემდეგ კი მისი თვითეული პარაგრაფის გამო ცალ-ცალკე. ასევე ცალ-ცალკე უნდა ეყარათ კენჭი. განხილვის დაწყების დროს ახალი შესწორების შეტანა არ შეიძლებოდა. როდესაც შემოსავალ-გასავლის ყველა მუხლის კენჭისყრა დამთავრდებოდა. საბიუჯეტო კომისია გაითვალისწინებდა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ შესწორებებს და ბიუჯეტის განახლებულ პროექტს წარუდგენდა დამფუძნებელ კრებას. ამის შემდეგ კენჭი უნდა ეყარათ ბიუჯეტის კანონპროექტის თვითეულ მუხლისთვის ცალ-ცალკე და ბოლოს, კანონ[პროექტისათვის მთლიანად. თუ შესწორება დაგვიანებით იყო წარმოდგენილი, დამფუძნებელი კრების გადასაწყვეტი იყო, დასკვნის გამოსატანად გადასცემდნენ თუ არა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას. ამ დადგენილების მიღებამდე სიტყვა უნდა მისცემოდა შესწორების ავტორს და საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელს.

ბიუჯეტის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 ივლისის სხდომაზე დაიწყო სახელმწიფოს 1919-1920 წლის ბიუჯეტის პროექტის ზოგადი განხილვა. მომხსენებელმა გრიგოლ გიორგაძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ „ეს პირველი შემთხვევა“ იყო, როდესაც დამფუძნებელი კრება „ამ დიდმნიშვნელოვან აქტს“ იხილავდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 29 ივლისის სხდომაზე იმავეს აღნიშნავდა ს. ავალიანი (ფინანსთა მინისტრის ამხანაგი): „ეს გახლავთ პირველი ბიუჯეტი, რომელსაც იხილავს ჩვენი საკანონმდებლო დაწესებულება... არის პირველი ბიუჯეტი იმ სახელმწიფოსი, რომელიც მხოლოდ ორი წლის განმავლობაში არსებობს“ („ოქმები“, VII, გვ.211).

თუმცა, ეს არ იყო ჩვეულებრივი საბიუჯეტო განხილვა. დამფუძნებელ კრებას უხდებოდა საუბარი არა მომავალი წლის, არამედ იმ დროისათვის უკვე გასული წლის ბიუჯეტის განხილვა. განიხილებოდა უკვე გაწეული ხარჯები და არა მომავალში გასაწევი. სწორედ ამ გარემოებას აღნიშნავდა ალექსანდრე ასათიანი (ე. დ.): „ეს არ არის ბიუჯეტი, არამედ წარსულ წელს გაწეული ხარჯების ანგარიშები“. დამფუძნებელ კრებას მთელი წლის განმავლობაში უხდებოდა, დაუმტკიცებელი ბიუჯეტის პირობებში, მთავრობისათვის სხვადასხვა ხარჯების გაწევის უფლება მიეცა. შესაბამისად, დამფუძნებელ კრებას არ შეეძლო ბიუჯეტის კორექტირება, რადგანაც ხარჯები გაწეული იყო და „ფაქტიურად და ფორმალურად“ მათ გამართლება ჰქონდათ („ოქმები“, VII, გვ.251).

დამფუძნებელი კრების მიერ „შესრულებული ბიუჯეტის“ განხილვის დანიშნულება სამომავლოდ დასკვნების გაკეთება იყო. გრიგოლ გიორგაძის თქმით, „დამფუძნებელი კრების მოვალეობაა, რომ შემოსავალი და გასავალი ერთმანეთს დაუახლოვოს: ხარჯები შევამციროთ, მართვა-გამგეობა გავამარტივოთ“ („ოქმები“, VII, გვ.34).

როგორი გამოვიდა 1919-1920 წლის ბიუჯეტი

დამფუძნებელ კრებაში წარდგენილი 1919-1920 წლის ბიუჯეტის პარამეტრები შემდეგი იყო: გაწეული ხარჯები - 1.960.490.798 მანეთი; შემოსავალი - 1.163.564.485 მანეთი; დეფიციტი - 796.926.313 მანეთი. გაწეული ხარჯები პროცენტულად შემდეგნაირად ნაწილდებოდა: თავდაცვა - 27,5%; გზათა უწყება - 22,2%; შინაგან საქმეთა სამინისტრო - 10,5%; სახალხო განათლების სამინისტრო - 7%; მიწათმოქმედების სამინისტრო - 4,25%; იუსტიციის სამინისტრო - 2,57%; ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის უწყებები - 2,1%; გარეშე საქმეთა - 1,8%; დამფუძნებელი კრება - 0,5%; სახელმწიფო კონტროლი - 0,5%; მთავრობა -0,10%, შრომის სამინისტრო - 0,07% („ოქმები“, VII, გვ.32).

9.3. დეკრეტების განხილვის წესი

დამფუძნებელი კრების რეგლამენტი საკანონმდებლო საქმეთა განხილვის წესის გარდა, ცალკე ითვალისწინებდა დეკრეტების განხილვის წესს. რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) განმარტებით, „კანონი არია იურიდიული ნორმა, დეკრეტიც უმრავლეს შემთხვევაში შეიცავს იურიდიულ ნორმას, თუმცა დროებითი ხასიათის“ (ოქმები, I, გვ.228).

რეგლამენტის მიხედვით, დამფუძნებელ კრებაში შეტანილი „ყოველი წინადადება დეკრეტების, ინსტრუქციის და დადგენილების პროექტის სახით“, კრების საგანგებო დადგენილებით შეიძლება გადასცემოდა „სათანადო კომისიას“, თუმცა დამფუძნებელ კრებას შეეძლო კომისიაში გადაუცემლადაც განეხილა ასეთი წინადადება. თუმცა, განხილვამდე 24 საათით ადრე მაინც უნდა დარიგებოდათ დამფუძნებელი კრების წევრებს განსახილველი წინადადება (აქტები, გვ. 250).

დეკრეტი, ინსტრუქცია და დადგენილება უნდა განხილულიყო ორჯერ - „ჯერ საზოგადოდ და შემდეგ მუხლობრივ“. ამ ორ განხილვას შორის ინტერვალის დაცვა სავალდებულო არ იყო. განხილვის შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტი უნდა გადასცემოდა სარედაქციო კომისიას, რომელიც ვალდებული იყო საბოლოო ტექსტი წარმოედგინა იმავე ან შემდეგ სხდომაზე (აქტები, გვ. 250).

თუკი დეკრეტი საკანონმდებლო ნორმას შეიცავდა, დამფუძნებელ კრებას შეეძლო დაედგინა მისი განხილვა საკანონმდებლო წესის თანახმად

9.4. დეპუტატების შეკითხვები მთავრობისადმი და მათი განხილვა

დამფუძნებელი კრების საქმიანობა ითვალისწინებდა დეპუტატების მიერ შეკითხვების დასმას მთავრობის მთლიანად ან მთავრობის რომელიმე წევრისადმი. შეკითხვების დასმა რეგულირდებოდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტით (აქტები, გვ. 250-251). გაზეთ „ერთობის“ თქმით, შეკითხვა „ერთი უძლიერესი იარაღთაგანია მთავრობისათვის კონტროლის გასაწევათ... შეკითხვამ უნდა გადაუშალოს ხალხის წარმომადგენლობას მთავრობის უკანონო მოქმედების სურათი და მიუთითოს მას მოქმედების საჭირო ხაზზე; გარდა ამისა შეკითხვის მიზანია თვით საზოგადოებას, მის აზრს მიმართოს და ეს უკანასკნელი გახადოს მსაჯულად“ („ერთობა“, 10.05.1919).

შეკითხვის მნიშვნელობის თაობაზე კირილე ნინიძემ (ს. დ.) ისაუბრა დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე: „ყველა პარლამენტარულ ქვეყნებში სარგებლობენ შეკითხვებით. რა მნიშვნელობა აქვს შეკითხვას საერთოდ წარმომადგენლობითი დაწესებულებებისათვის? შეკითხვა აღნუსხავს იმ უკანონობას, რომელიც მთავრობამ ჩაიდინა... ეს არის მთავარი დებულება, რომელიც სცდილობს აღნუსხოს ესა თუ ის უკანონო მოქმედება, რომელიც მთავრობამ ჩაიდინა. ეს არის ფორმალური მხარე. თუ მოქმედება გახდება შეკითხვის საგნად მაშინ შეკითხვის ავტორი და ოპოზიცია ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ესა თუ ის ზომა არ არის მიზანშეწონილი, რომ ის აძლევს ზარალს არსებულს სახელმწიფო წყობილებას. ეს ორი მთავარი დებულებაა, რომლითაც ხელმძღვანელობს ყოველი შემკითხველი“ (ოქმები, ტ. III, გვ.294).

უფრო მოგვიანებით, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 9 მარტის სხდომაზე სოლოღაშვილი (ს. დ.) აღნიშნავდა „სწორად დასმული“ შეკითხვის დიდ მნიშვნელობას და აკრიტიკებდა ოპოზიციას: „შეკითხვას აქვს დიდი მნიშვნელობა მაშინ, როდესაც იგი გამომდინარეობს საქმის ნამდვილ ვითარებიდან და აგებულია ნამდვილ საბუთებზე და ცნობებზე, თუ ის არ გამომდი-

ნარეობს საქმის ნამდვილ ვითარებიდან, მაშინ ის დაკარგავს თავის მნიშვნელობას და იქცევა უბრალო მსჯელობად“ (ოქმები, ტ. V, გვ.441).

შეკითხვის მნიშვნელობაზე ისაუბრა გრიგოლ ვეშაპელმაც (ე. პ.): „შეკითხვა უმეტეს შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ ეს თუ ის ფრაქცია დამფუძნებელი კრების, პარლამენტის შეცდომებს ნახულობს მთავრობის მოქმედების ამა თუ იმ დარგში, ან პატარას, ან დიდს, ისეთ დიდს, რომ მოითხოვოს ხოლმე, თუ რა საკვირველია, ძალთა განწყობილება ამას ხელს უწყობს, მთავრობის გადადგომას“ (ოქმები, ტ. VI, გვ.47). თუმცა, საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ძალთა ისეთი თანაფარდობა იყო, რომ სოციალ-დემოკრატების მთავრობას ოპოზიცია გაერთიანების შემთხვევაშიც ვერაფერს დააკლებდა.

დამფუძნებელი კრების წევრს მთავრობის მიმართ შეკითხვა წერილობით უნდა შეეტანა სხდომის დაწყებამდე. სხდომის თავმჯდომარეს დამფუძნებელი კრებისათვის შეკითხვა უნდა მოეხსენებინა სხდომის დასასრულს და პირველი სიტყვა შემკითხველისთვის უნდა მიეცა. მთავრობას შეტანილ შეკითხვაზე პასუხი უნდა გაეცა ან დაუყოვნებლივ, ან ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე, თუმცა არა უგვიანეს ერთი კვირისა დღიდან შეკითხვის გამოცხადებისა დამფუძნებელი კრების სხდომაზე.

თუ შემკითხველს შეკითხვა სასწრაფოდ მიაჩნდა, ამის თაობაზე შეკითხვის ტექსტში უნდა აღენიშნა. თუკი პასუხის სასწრაფოდ გაცემის მოთხოვნას დამფუძნებელი კრებაც დაადასტურებდა, მთავრობას პასუხი უნდა გაეცა არა უგვიანეს სამი დღისა შეკითხვის დამფუძნებელ კრებაში განცხადების შემდეგ. იმის გასარკვევად სასწრაფო იყო შეკითხვა თუ არა, სიტყვა ეძლეოდა ორ დეპუტატს: ერთს - მომხრეს, მეორეს - მოწინააღმდეგეს. თითოეულს უნდა ელაპარაკა არა უმეტეს ათი წუთისა.

შეკითხვის განსახილველად დამფუძნებელ კრებას შეეძლო განსაკუთრებული სხდომის დანიშვნა; ამ შემთხვევაში ყველა შეკითხვის განხილვა ამ სხდომისათვის გადაიდებოდა.

შეკითხვის გარდა დამფუძნებელი კრების წევრს შეეძლო მთავრობისთვის მიემართა კითხვით „ამა თუ იმ საგნის განსამარტებლად“ (აქტები, გვ. 251). განსამარტებელი საკითხი სხდომის დაწყებამდე წერილობით უნდა ეცნობებინათ თავმჯდომარისათვის, რომელიც ამის თაობაზე დამფუძნებელ კრებას მოახსენებდა და სხდომის დასასრულს სიტყვა უნდა მიეცა კითხვის ავტორისთვის. მას ეძლეოდა 5 წუთი, „მხოლოდ კითხვის დასასმელად მთავრობის მიმართ“. კითხვის საპასუხოდ მთავრობას განმარტება უნდა მიეცა დაუყოვნებლივ ან შემდეგ სხდომაზე. რეგლამენტის თანახმად, კითხვის დასმის და მთავრობის განმარტების გამო დამფუძნებელი კრება კამათს არ მართავდა და არც დადგენილება გამოჰქონდა.

დამფუძნებელი კრების პირველი სესიის (1919 წლის მარტი - 1920 წლის მარტი) განმავლობაში, სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, წამოყენებული იქნა 17 შეკითხვა. ფრაქციების მიხედვით ეს შეკითხვები შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციისაგან - 8

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციისაგან - 3

ეროვნული ფრაქციისაგან - 3

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციისაგან - 2

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისაგან -1.

დასმული 17 შეკითხვიდან სესიის განმავლობაში განიხილეს 13, დღის წესრიგიდან მოიხსნა 2, განსახილველი დარჩა 2 შეკითხვა.

შეკითხვა მთავრობისადმი მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა დამფუძნებელი კრების ოპოზიციური ფრაქციებისათვის. სხვადასხვა სამინისტროების ხელმძღვანელები განმარტებას

იძლეოდნენ, რასაც, რიგ შემთხვევებში, მოსდევდა დისკუსია დამფუძნებელი კრების დეპუტატებს შორის. სოციალ-დემოკრატების მხრიდან გაჩნდა „უსაფუძვლო შეკითხვების“ ცნებაც.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე სერგი ჯაფარიძე (ს. დ.) შეეხო შეკითხვის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ „მრუდე მიმართულებას ღებულობს ჩვენში შეკითხვების სისტემა“ (ოქმები, ტ. IV., გვ.90). მან განიხილა საპარლამენტო ქვეყნებში შეკითხვების დასმის პრაქტიკა და დაასკვნა, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ოპოზიცია დაადგა ფრანგულ მანკიერ სისტემას: „ტიპიურ საპარლამენტო ქვეყნებში, როგორიც არის, მაგალითად, ინგლისი... შეკითხვებს მიმართავენ იშვიათ შემთხვევებში... იქ შეკითხვებს მიმართავენ მაშინ და იმ მიზნით, როდესაც უნდათ გამოარკვიონ მთავრობის მოქმედების საერთო მიმართულება, ან მთავარი ხაზი. ზოგიერთ საპარლამენტო ქვეყანაში კი, როგორც მაგალითად საფრანგეთი არის, ამ შეკითხვების სისტემამ უფრო მახინჯი ხასიათი მიიღო... და სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი პარლამენტიც ამ გზას ადგება. ე. ი. სახელმწიფო საერთო ხაზის გამოსაკვლევად კი არ სარგებლობენ შეკითხვით, არამედ აიღებენ ცალკე შეკითხვას, მიადგებიან მთავრობას გასაკიცხავად, სალაყბოთ და საჭორიკანოთ... მე ვამბობ, რომ ასეთი შეკითხვებით სარგებლობა ყოვლად შეუწყნარებელი გახლავთ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.90).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 30 მაისის სხდომაზე ბენია ჩხიკვიშვილმა (ს. დ.) მკაცრად გააკრიტიკა ესერები „უსაფუძვლო შეკითხვების“ დასმის გამო. მისი განცხადებით, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ „არავითარი დადებითი ნამდვილი პარლამენტარული, ნამდვილი დემოკრატიული მუშაობისთვის“ სოციალისტ-რევოლუციონერებს არც ძალა შესწევდათ და არც უნარი. „უსაფუძვლო შეკითხვების“ დანიშნულება მხოლოდ ის იყო, რომ პარტიას თავი მოეგონებინა ამომრჩევლებისათვის. ბენია ჩხიკვიშვილის თქმით, „ყველა ამ გვარი შეკითხვის დანიშნულება ისაა უმთავრესად, რომ თავიანთ ამომრჩევლებს ბ. ბ. ესერებმა მოაგონონ თავიანთი არსებობა ჩვენს სახელმწიფოში... ყოველთვის, რომ უსაფუძვლო შეკითხვებით შეეცადოთ თქვენი არსებობის დამტკიცებას, მართალია დაამტკიცებთ უკიდურეს შემთხვევაში, რომ არსებობთ, მაგრამ არა იმ ადგილას და არა იმ სახით, რომლითაც უნდა ისარგებლოთ“ (ოქმები, ტ. II, გვ.16).

ესერების „უსაფუძვლო შეკითხვების“ თაობაზე საუბრობდნენ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხვა წარმომადგენლებიც. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 ივლისის სხდომაზე ცინცაბაძემ (ს. დ.) ესერების შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა: „როდესაც სოც-რევოლუციონერებს შემოაქვთ რაიმე შეკითხვა, ყოველთვის შეკითხვა დაუსაბუთებელია და ამიტომ ედებიან ცას და ბარს, აზვიადებენ პატარა რამეს და უნდა შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამა თუ იმ მაზრის ადმინისტრაციის დეფექტებით მთელი რესპუბლიკის მოღვაწეობა ფასდებოდეს“ (ოქმები, VII, გვ.41-42).

ოპოზიციური ფრაქციების მხრიდან პირველად შეკითხვები მთავრობისადმი დაფიქსირდა დამფუძნებელი კრების 1919 წლის 6 მაისის სხდომაზე, როდესაც დღის წესრიგში იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის ერთი და ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის სამი შეკითხვა (ოქმები, I, გვ.310):

ფრაქცია	შეკითხვა	ვის მიმართ
სოციალისტ-რევოლუციონერები	ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ადეიშვილის უკანონო მოქმედების შესახებ	შინაგან საქმეთა მინისტრს
ეროვნულ-დემოკრატები	სასამართლო პალატის თავმჯდომარის მიხეილ მღვდლიშვილის დათხოვნის შესახებ	მთავრობისადმი
ეროვნულ-დემოკ-	ძეგვის ხიდის ამფეთქებელთათვის სიკვდილით	მთავრობისადმი

რატები	დასჯის 12 წლის კატორღით შეცვლის შესახებ	
ეროვნულ-დემოკ- რატები	ძეგვის ხიდის ამფეთქებელთა და სხვათა სასჯელი- საგან სრულიად განთავისუფლების შესახებ	მთავრობისადმი

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 6 მაისის სხდომაზე ილია ნუცუბიძემ (ს. რ.) ესერთა ფრაქციის სახელით ითხოვა მათ მიერ შეტანილი შეკითხვა ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ადეიშვილის უკანონო მოქმედების შესახებ პირველ რიგში განეხილათ. „ეს შეკითხვა სასწრაფო არის. შემოტანილია 30 აპრილს და დღეს 6 მაისია. დიდად დაგვიანებული არის და ამასთან კიდევ ამ საკითხის გარშემო პრესაში ბევრი რამ დაიწერა. ხალხიც ასე თუ ისე დაინტერესებულია ამ საკითხზე მთავრობისაგან პასუხის მიღებაში (ოქმები, I, გვ.310). ილია ნუცუბიძის თქმით, შეკითხვას თუ დღის წესრიგის ბოლოსთვის დატოვებდნენ, მისი განხილვა არ მოესწრებოდა და შემდეგი სხდომისათვის კი დაგვიანებული იქნებოდა (ოქმები, I, გვ.311).

საპასუხოდ კირილე ნინიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ შეკითხვის პირველ რიგში განხილვის არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, მაგრამ რეგლამენტის თანახმად, შეკითხვა „დღიურ წესრიგის ბოლოს“ უნდა განხილულიყო და დღის წესრიგის შეცვლა არასასურველად მიიჩნია. სხდომის თავმჯდომარემ ესერთა წინადადება შეკითხვის პირველ რიგში განსახილველად კენჭისყრაზე გაიტანა და დამფუძნებელმა კრებამ ეს წინადადება უარყო (ოქმები, I, გვ.311).

დამფუძნებელი კრების 6 მაისის სხდომა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით გახანგრძლივდა (ოქმები, I, გვ.342) და ესერთა შეკითხვის განხილვის დაწყებაც მოხერხდა. ილია ნუცუბიძემ (ს. რ.) აღნიშნა ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ადეიშვილმა ოკრიბაში ყაჩაღ მორჩაძის დაპატიმრების მოთხოვნით რამდენიმე სოფელი ააწიოკა, სურსათი და საყოფაცხოვრებო ნივთები ჩამოართვა და მცხოვრებთა ნაწილს მისი რაზმი ფიზიკურად გაუსწორდა. ილია ნუცუბიძე „უმაღლეს მთავრობას“ არ აბრალებდა, რომ ადეიშვილი მისი მითითებით მოქმედებდა და მომხდარი „ადმინისტრაციულ თვითნებობად“ მიაჩნდა. ილია ნუცუბიძის თქმით, „დემოკრატიულ წყობილებას არც ერთი ისეთი მტერი არ ჰყავს, როგორიცაა ეს ადმინისტრაციული თვითნებობა“ (ოქმები, I, გვ.347).

განმარტებით გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, რომელმაც ოკრიბაში მომხდარს „აღმაშფოთებელი ამბავი“ (ოქმები, I, გვ.349) უწოდა და ხაზი გაუსვა, რომ „მთავრობა არაფერ შუაშია“ (ოქმები, I, გვ.351), „გაიგო თუ არა მთავრობის წარმომადგენელმა“ მომხდარის შესახებ მაშინვე მიიღო ზომები (ოქმები, I, გვ.350), მთავრობამ ადეიშვილის დაპატიმრების ბრძანება გასცა და მას სასამართლოს გადასცემდნენ (ოქმები, I, გვ.352). ნოე რამიშვილის თქმით, „ჩადენილი იყო წარმოუდგენელი ბოროტმოქმედება და მათ წინააღმდეგ მიღებულია კანონიერი ზომები. მაშასადამე არავინ ხელს არ აფარებს ამ ბოროტმოქმედებას, რომელიც იქ მოხდა“ (ოქმები, I, გვ.353-354).

ამ საკითხზე ფრაქციათა წარმომადგენლების გამოსვლები და კამათი მომდევნო სხდომისათვის გადაიდო (ოქმები, I, გვ.354). როდესაც მომდევნო სხდომის დღის წესრიგი ცხადდებოდა, გიორგი გვაზავამ (ე. დ.) მოითხოვა, რომ ჯერ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგი ამოწურულიყო, სადაც ბოლო საკითხად ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვები შედიოდა. ერთ-ერთს ფრაქცია სასწრაფოდ მიიჩნევდა. ამ განცხადებაზე თავმჯდომარისგან მიიღო პასუხი, რომ „შეკითხვა განიხილება ყოველთვის სხდომის დასასრულს“, როდესაც კანონ-პროექტების განხილვა დამთავრდებოდა (ოქმები, I, გვ.355). თუმცა რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) მომდევნო სხდომაზე განსახილველი საკითხების გადანაცვლება არ გამორიცხა.

დამფუძნებელი კრების მომდევნო, 1919 წლის 9 მაისის სხდომაზე გიორგი გვაზავამ აღნიშნა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შემოტანილი შეკითხვებიდან ერთ-ერთი სასწრაფო იყო, მაგრამ შეკითხვა ისევ სხდომის ბოლოს იყო მოქცეული და ასე თუ გაგრ-

ძელდებოდა, ეს შეკითხვა არასოდეს განხილული არ იქნებოდა. გვაზავას წინადადებით, განსახილველი საკითხების დღის წესრიგის სათავეში უნდა მოექციათ „ბოლო წარსული წესრიგისა“ (ოქმები, I, გვ.360).

გვაზავას წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა რაჟდენ არსენიძე (ს. დ.), მან დღის წესრიგის ამგვარ ცვლილებაში დაინახა „ერთგვარი ხელ-ფეხის შეკვრა დამფუძნებელ კრებისა“ (ოქმები, I, გვ.360). მისი თქმით, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს საშუალება უნდა ჰქონოდა გაენაწილებინა დღიური წესრიგი იმისდა მიხედვით, თუ რომელი საკითხი უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი“ იყო (ოქმები, I, გვ.360-361). არსენიძის განცხადებით შეკითხვების გადმოტანა „არავითარ საჭიროებით“ არ იყო გამოწვეული და „უფრო რთული და დიდი მნიშვნელოვანი კითხვები“ იყო განსახილველი. ამავე დროს მართებულად მიიჩნია ჯერ ესერების მიერ შემოტანილი შეკითხვის განხილვის დამთავრება და მერე სხვა შეკითხვაზე გადასვლა (ოქმები, I, გვ.361).

კენჭისყრის დროს გიორგი გვაზავას წინადადება საკითხების გადანაცვლების შესახებ ვერ გავიდა (ოქმები, I, გვ.362). დამფუძნებელი კრების 9 მაისის სხდომა ისე დამთავრდა, რომ შეკითხვების განხილვა ვერ მოხერხდა. რაჟდენ არსენიძის წინადადებით, მეორე დღეს, 10 მაისს დაინიშნა რიგგარეშე სხდომა, რომელზედაც ასევე უნდა განეხილათ შემოტანილი შეკითხვები (ოქმები, I, გვ.398). თუმცა სხდომა ისე დამთავრდა, რომ შეკითხვების განხილვა ვერ მოასწრეს.

ესერების ფრაქციის შეკითხვის განხილვის დამთავრება მხოლოდ დამფუძნებელი კრების 1919 წლის 13 მაისის სხდომაზე მოხერხდა, როდესაც თავისი მოსაზრება გამოთქვეს ფრაქციების წარმომადგენლებმა. ოპოზიციური ფრაქციების აზრით ოკრიბაში მომხდარი ადმინისტრაციის მოუწყობლობის გამოხატულება იყო. თედო ღლონტის (ს. ფ.) განცხადებით, ამისთანა ფაქტებს ადგილი რომ ჰქონდა, ეს ნიშნავდა, რომ „ახალ რესპუბლიკამ ვერ შესძლო ადმინისტრაციული აპარატის მოწყობა“ (ოქმები, I, გვ.447). თედო ღლონტმა იქვე აღნიშნა ადმინისტრაციული აპარატის გაუმჯობესების სიძნელეც,- „ჩვენ გარდამავალ ხანაში, ჩვენ ადმინისტრაციის ან სრულად განწმენდაზე, ან რეორგანიზაციაზე... რამდენადაც ლაპარაკი ადვილია, იმდენად შესრულება ძნელია“ (ოქმები, I, გვ.447).

თედო ღლონტმა თავისი ფრაქცია მიიჩნია „პასუხისმგებელ ოპოზიციად“ და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის მოუწყობლობის უამრავ ფაქტს არ გამოიყენებდნენ „შეკითხვის საგნად“, რადგანაც დარწმუნებულები იყვნენ, რომ „მთავრობა თითონ იბრძვის ამის წინააღმდეგ და თითონ აღშფოთებული არიან ასეთი შემთხვევებით“ (ოქმები, I, გვ.447), ოღონდ „ყველა ფრაქციას, რომელიც ამისთანა ფაქტებს აღნიშნავს“, მხარს დაუჭერდნენ (ოქმები, I, გვ.448). სოციალისტ-ფედერალისტები მთავრობას სთხოვდნენ, რომ ადმინისტრაციული დარღვევების შემთხვევებში, მიეღო „დაუყონებლივ ზომები“ (ოქმები, I, გვ.447).

უფრო რადიკალური იყო ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლის იოსებ მაჭავარიანის გამოსვლა. მისი განცხადებით, „შეკითხვამ ოკრიბის დარბევის შესახებ ახადა ფარდა და დაგვანახვა მხოლოდ ნაწილი იმ უწესობის მორევისა, რომელშიაც ჩვენი ადმინისტრაცია ესოდენ ხშირად ახრჩობს სახელმწიფოებრივ წესიერებას. ის რაც მოხდა ოკრიბაში, ხდება თითქმის ყოველდღე, ამა თუ იმ სახით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“, მილიციაში გამეფებულია „უწესობა, უდიერობა, ცარცვა, ქურდობა, მექრთამეობა, ... აღვირახსნილობა“ (ოქმები, I, გვ.449).

შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის საპასუხო გამოსვლა ოპოზიციის მიმართ ბრალდებებით იყო სავსე. მისი თქმით, საქმე რომ ჰქონოდა „კეთილსინდისიერ მოწინააღმდეგესთან“, კამათს ექნებოდა „მართლა ხასიათი კეთილსინდისიერად დაყენებული საკითხისა“

(ოქმები, I, გვ.455). მან მიუღებლად მიიჩნია მიდგომა, „თითქოს მექრთამეობა გამეფებული არ-ის, როგორც სისტემა... თითქოს გამეფებული არის ისეთი მდგომარეობა, როცა ბოროტმოქმე-დება დაუსჯელი რჩება“ (ოქმები, I, გვ.455).

განხილვის შემდეგ, სოციალ-დემოკრატებმა თავისი უპირატესობით ისარგებლეს და მი-ღებული იქნა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომ დამფუძ-ნებელი კრება „დაკმაყოფილებულია დამნაშავეთა წინააღმდეგ მთავრობის მიერ კანონიერი ზომების მიღებით და დარწმუნებულია, რომ მთავრობა ყოველ კანონიერ საშუალებას იხმარს, რომ ადმინისტრაციის მოხელეთა თვითნებობას და ბოროტმოქმედებას მომავალში ადგილი არ ქონდეს“ (ოქმები, I, გვ.459).

ამ განხილვას სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ორგანო გაზეთი „ერთობა“ 1919 წლის 10 მაისს სარედაქციო სტატიით გამოეხმაურა. „ერთობამ“ დაიწუნა დასმული შე-კითხვები და აღნიშნა, რომ „ჩვენი ოპოზიცია ჯეროვნად ვერ სარგებლობს შეკითხვის უფლე-ბით“, შეკითხვა „მთავრობის დამცირებას როდი უნდა ისახავდეს მიზნათ“, არამედ უნდა გამო-არკვიოს ის პირობები, „რომელშიც აღმოცენებულა ესა თუ ის უფლება“. ესერების შეკითხვამ, „ერთობის აზრით“, მხოლოდ „დემოკრატიული წყობილების უვარგისობის“ შთაბეჭდილება დატოვა.

„ერთობას“ კიდევ უფრო არ მოსწონდა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ დას-მული შეკითხვები, განსაკუთრებით ძეგვის ხიდის ამფეთქებლების შეწყალებასთან დაკავში-რებით. გაზეთის თქმით, შეწყალების უფლების გამოყენებით მთავრობას „ოდნავათაც არ შე-ულახავს დამფუძნებელი კრების უფლებები“, რადგანაც თავად დამფუძნებელმა კრებამ უარყო დასჯილთაგან შემოსული თხოვნების განხილვა. გარდა ამისა, ცნობილი იყო ისიც, თუ რატომ აიცილეს სასჯელი დამნაშავეებმა. „რისი გამორკვევა სურთ შემკითხველებს? იქნება იმისი, რომ ძლიერმა სახელმწიფომ ძალა დაატანა ჩვენს მთავრობას? დაკმაყოფილდება თუ არა ოპოზიცია საერთაშორისო მდგომარეობის აღნიშვნით თუ შეეცდება სახელი გაუტეხოს დემოკრატიულ მთავრობას და ხალხის ღალატიც კი დააბრალოს მას... ვნახოთ“ („ერთობა“, 10.05.1919).

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვები ზემოთ აღნიშნულ სამივე სხდომის დღის წესრიგში იყო, მაგრამ დამფუძნებელმა კრებამ მხოლოდ 1919 წლის 16 მაისის სხდომაზე განიხილა (ოქმები, I, გვ.484-494). თუმცა შეკითხვა, რომლის განხილვაც ეროვნულ-დემოკრა-ტიულ ფრაქციას სასწრაფოდ მიაჩნდა, უკვე ფაქტობრივად ამოწურული იყო. იუსტიციის მი-ნისტრის მოადგილის სერგი ჯაფარიძის მიერ სამსახურიდან განთავისუფლებული სასამარ-თლო პალატის თავმჯდომარე მიხეილ მღვდლიშვილი თანამდებობაზე დააბრუნა იუსტიციის მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა, ხოლო სერგი ჯაფარიძემ, რომელიც თავის მოქმედებას კანონი-ერად თვლიდა, თანამდებობიდან გადადგა (ოქმები, I, გვ.486-487). „ჩვენ დაკმაყოფილებულნი ვართ და ვხსნით ჩვენს შეკითხვას“, - განაცხადა გიორგი გვაზავამ (ოქმები, I, გვ.487).

შემდეგი შეკითხვა მთავრობისადმი „ძეგვის ხიდის ამფეთქებელთა სიკვდილით დასჯის 12 წლის კატორღით შეცვლის გამო“ გიორგი გვაზავამ ასევე მოხსნა, ვინაიდან საკითხს ჰქონდა „კონსტიტუციური ხასიათი“ (ოქმები, I, გვ.487).

მცირე განხილვა მოჰყვა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მესამე შეკითხვას მთავ-რობის მიერ ძეგვის ხიდის ამფეთქებლების სასჯელისაგან „სრულიად განთავისუფლების“ გა-მო. იუსტიციის მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა გააკეთა განმარტება, რაც დამფუძნებელი კრე-ბისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ ძეგვის ხიდის ამფეთქებლები შმაგაილოვი და კუჩარიანცი ინგლისელთა ჩარევით გაანთავისუფლეს. შმაგაილოვის განთავისუფლება საქართველოს მთავრობას ინგლისის სარდლობამ მოსთხოვა, რომ შმაგაილოვი მათი აგენტი იყო და რაც მო-

იმოქმედა, მიმართული იყო „არა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, არამედ მისი მტრის, გერმანიის და გერმანიის კოალიციის წინააღმდეგ“ (ოქმები, I, გვ.489).

მთავრობის ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს სოციალ-დემოკრატებმა. გრიგოლ გიორგაძემ განაცხადა, რომ „ეს დადგენილება მთავრობისა იყო მიზანშეწონილი, ეს იყო დაკავშირებული სხვა და სხვა პირობებთან, რომელნიც ჩვენ გარშემო არსებობენ (ოქმები, I, გვ.491).

ეროვნულ-დემოკრატებისთვის მთავრობის ახსნა-განმარტება არადამაჯერებელი იყო. მომხდარს სპირიდონ კედიას (ე. დ.) განცხადებით, ჰქონდა „დიდი პრინციპიალური სახელმწიფოებრივი ხასიათი“ (ოქმები, I, გვ.492). მისი აზრით მთავრობამ დიდი დანაშაული ჩაიდინა, რადგან „აშკარად შებღალა საქართველოს სახელი და პრესტიჟი და ჩვენი მართლმსაჯულება“, „მთავრობა ვალდებული იყო მთელი თავისი სიმტკიცით ამართულიყო თავის სასამართლოს დასაცავად, თუნდაც კრიზისი შექმნილიყო ამის გამო“ (ოქმები, I, გვ.492), რადგანაც „ეს საკითხი ძირითადი საკითხია ეროვნულ ღირსებისა, თავმოყვარეობისა, მართლმსაჯულებისა და სუვერენობისა. ჩვენ მთავრობას ეს აზრად არ მოსვლია“ (ოქმები, I, გვ.492-493). ეროვნულ-დემოკრატების სახელით გამოსულმა გიორგი გვაზავამ ასევე განაცხადა, რომ ეს იყო „ნამდვილი წაშლა სასამართლოს განაჩენისა“ (ოქმები, I, გვ.488) და ქვეყნის სუვერენობის დარღვევა.

ეროვნულ-დემოკრატების აზრით, „მთავრობა ვალდებული იყო“ დამფუძნებელი კრებისთვის „მოეხსენებინა ეს გარემოება“ და დამფუძნებელი კრება იმსჯელებდა ამ საკითხზე (ოქმები, I, გვ.488). სპირიდონ კედიას (ე. დ.) განცხადებით, შეკითხვა იმიტომ იყო დასმული, რომ „შემდეგ მაინც ისეთი საკითხი, რომელიც ეხება ერის ძირითად ღირსებას, მართლმსაჯულებას და სუვერენობას, შინაურულად არ გადასწყდეს ხოლმე“ (ოქმები, I, გვ.493).

საპასუხოდ ევგენი გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით „პატიების უფლება ეს არის უფლება მთავრობისა“ (ოქმები, I, გვ.490) და მთავრობის განცხადებით, „სწორედ ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა, რომ ჩვენ ეს ნაბიჯი გადაგვედგა“ (ოქმები, I, გვ.490).

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი, კრიტიკასთან შედარებით, რბილი იყო, მომხდარზე არაფერს ამბობდა და მომავალზე იყო ორიენტირებული. რეზოლუციის პროექტის თანახმად, დამფუძნებელი კრება „დარწმუნებულია იმაში, რომ საქართველოს მთავრობა მომავალში შესძლებს საქართველოს სუვერენობის დაცვას სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში“ (ოქმები, I, გვ.493). თუმცა, ამ რეზოლუციის პროექტს მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებმა დაუჭირეს მხარი. კენჭისყრის შედეგად გავიდა სოციალ-დემოკრატების რეზოლუცია, რომელიც მიზანშეწონილად მიიჩნევდა მთავრობის მოქმედებას ძეგვის ხიდის ამფეთქებლების განთავისუფლებასთან დაკავშირებით: „დამფუძნებელი კრება აღიარებს, რომ შექმნილ საერთაშორისო პირობებში მთავრობის მოქმედება მიზანშეწონილი გამოსავალი გზა იყო“ (ოქმები, I, გვ.494). სოციალისტ-ფედერალისტებმა ორივე რეზოლუციის პროექტის მხარდაჭერისგან თავი შეიკავეს (ოქმები, I, გვ.494).

1919 წლის 27 მაისის სხდომაზე სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ კიდევ ორი შეკითხვა დასვა (ოქმები, I, გვ.557-558), 1919 წლის 17 ივნისის სხდომაზე შეკითხვა დასვეს სოციალისტ-ფედერალისტებმა (ოქმები, II, გვ.140, 150-188), 11 ივლისის სხდომაზე კი ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ (ოქმები, II, გვ.352):

ფრაქცია	შეკითხვა	ვის მიმართ
სოციალისტ-რევოლუციონერები	გაფიცვისათვის ქალაქის მოსამსახურეთა გადასახლებისა და დაპატიმრების შესახებ	შსს და იუსტიციის მინისტრის მიმართ
სოციალისტ-რევო-	შავი ზღვის რკინის გზაზე სახაზინო ქონების და-	გზათა მინისტრი-

ლუციონერები	ტაცების შესახებ	სადმი
სოციალისტ-ფედერალისტები	გენერალ ნათიშვილის მიერ დენიკინის დასახმარებლათ „ამიერ-კავკასიის მკვიდრთა კორპუსის“ შედგენის შესახებ	მთავრობისადმი
ეროვნული დემოკრატები	სოხუმის ოლქის მდგომარეობის და ამბების შესახებ	მთავრობისადმი

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 27 მაისის სხდომაზე სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ მოითხოვა სასწრაფოდ განხილულიყო მათი შეკითხვა შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების მიმართ „გაფიცვისათვის ქალაქის მოსამსახურეთა გადასახლების და დაპატიმრების შესახებ“. ამ მოთხოვნას სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დათანხმდა (ოქმები, ტ. I, გვ.545) და ლეო შენგელაიას (ს. რ.) სიტყვა მიეცა. მან სოციალ-დემოკრატიას ბრალი დასდო „რევოლუციისა და სოციალიზმის ღალატში“ და მომხდარი მიიჩნია ადმინისტრაციაში არსებული „გახრწნისა და მოშლილობისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.554). „რევოლიუციის გაფართოების ნაცვლად ჩვენ გვაქვს გაფართოება რეპრესიებისა“, - განაცხადა ლეო შენგელაიამ (ოქმები, ტ. I, გვ.546).

საპასუხოდ კირილე ნინიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ მთავრობას ქონდა „ადმინისტრაციული ზომების მიღების“ უფლება (ოქმები, ტ. I, გვ.555). შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პ. ჭიჭინაძემ, რადგანაც „ზოგიერთი ფაქტიური ცნობები“ ხელთ არ ქონდა, რეგლამენტის თანახმად ითხოვა, რომ პასუხს გასცემდა სამი დღის შემდეგ, ანუ შეკითხვაზე ოფიციალური პასუხის გაცემა მომდევნო სხდომისთვის გადაიდო (ოქმები, ტ. I, გვ.557).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 30 მაისის სხდომაზე დაუბრუნდნენ ესერთა შეკითხვის განხილვას, რამაც დიდი დაპირისპირება გამოიწვია ესერებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას ამ განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია, სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენელმა შალვა ნუცუბიძემ მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატებს (ოქმები, ტ. II, გვ.34), რის გამოც ბენია ჩხიკვიშვილის (ს. დ.) მოწონება დაიმსახურა (ოქმები, ტ. II, გვ.37). ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ 1921 წლის იანვარში შალვა ნუცუბიძესა და ბენია ჩხიკვიშვილს შორის დიდი დაპირისპირება მოხდა, ალბათ ყველაზე მასშტაბური დამფუძნებელი კრების ისტორიაში.

ესერების განცხადების საპასუხოდ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ გაფიცვისათვის არავინ დაუპატიმრებიათ. დააპატიმრეს მხოლოდ ისინი, ვინც გაფიცვის გამოყენებას პოლიტიკური მიზნებით ცდილობდა, სურდა „დამხობა ჩვენი რესპუბლიკისა“. ბენია ჩხიკვიშვილის თქმით, ბოლშევიკებსა და დენიკინელებს ერთი რამ აერთიანებდათ - „სურვილი ჩვენი რესპუბლიკის დამხობისა და რუსეთის აღდგენისა“ (ოქმები, ტ. II, გვ.12-13) და ესერებს ბრალი დასდო დენიკინის სასარგებლო შეკითხვების დასმაში. მისი შეფასებით, როდესაც „ბნელი გარეშე ძალები ემუქრებიან ჩვენ რესპუბლიკას, სწორედ ასეთი შეკითხვის შემოტანა ნიშნავს... დენიკინის წახალისებას და მათი რაზმების წისქვილის აბრუნებას“ (ოქმები, ტ. II, გვ.15).

თავი X. დამფუძნებელი კრების სხდომები (მალხაზ მაცაბერიძე)

10.1. დამფუძნებელი კრების ჩვეულებრივი, სასწრაფო, საზეიმო და დახურული სხდომები

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის თანახმად დამფუძნებელი კრების სხდომის დღეს და საათს აწესებდა თავად დამფუძნებელი კრება (აქტები, გვ.252). გარდა დამფუძნებელი კრების მიერ დადგენილი სხდომებისა, დამფუძნებელი კრების რეგლამენტის თანახმად, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს შეეძლო „სასწრაფო“ სხდომის დანიშვნა (აქტები, გვ.252). რეგლამენტში არ იყო ნათქვამი, მაგრამ სასწრაფო სხდომების კატეგორიაში შეიძლება მოვაქციოთ დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებში დაფიქსირებული „არაჩვეულებრივი“, „საგანგებო“ და „საზეიმო“ სხდომები.

სასწრაფო და საგანგებო სხდომები

სასწრაფო სხდომებს იწვევდნენ, როდესაც განსახილველად „მრავალი კანონპროექტი იყო დაგროვილი“ და ჩვეულებრივ რეჟიმში მათი განხილვა ვერ ესწრებოდა. ასეთი სხდომები მოიწვიეს 1919 წლის 28 ივლისს (41-ე), 28 ნოემბერს (65-ე), 3 დეკემბერს (67-ე).

„სასწრაფო“ სხდომას რაიმე საგანგებო მოვლენასთან დაკავშირებითაც იწვევდნენ. 1919 წლის 1 ივნისს დაინიშნა სასწრაფო (22-ე) სხდომა, რათა მოესმინათ რესპუბლიკის მთავრობის განცხადება (ოქმები, ტ. II, გვ.49). ასეთი სხდომების აღსანიშნავად ჩნდება „საგანგებო“ სხდომის ცნებაც: 1919 წლის 10 მაისს მოისმინეს საგანგებო სხდომა საერთო პოლიტიკური მდგომარეობის განსახილველად, 1919 წლის 22 ივნისს მოიწვიეს საგანგებო სხდომა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განსახილველად (ოქმები, ტ. II, გვ.217). 1920 წლის 8 აპრილს (საღამოს) ჩატარდა საგანგებო სხდომა, სადაც განიხილეს აზერბაიჯანის პარლამენტის რეზოლუცია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტთან დაკავშირებით.

კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაწყებასთან დაკავშირებით მოწვეულ დამფუძნებელი კრების დამატებით სხდომებს ხან „სასწრაფო“ და ხან „საგანგებო“ ეწოდებოდა. ასეთი საგანგებო სხდომები დაიწყო 1920 წლის 24 ნოემბერს და შემდეგ დაინიშნა 15 დეკემბერს, 22 დეკემბერს, 5 იანვარს და 26 იანვარს.

1920 წლის 5 ნოემბერს ჩატარებულ დამფუძნებელი კრების სხდომას „არაჩვეულებრივი“ ეწოდა, - განიხილეს მთავრობის თავმჯდომარის განცხადება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ (ოქმები, ტ. VII, გვ.457).

საზეიმო სხდომები

თავის არსებობის მანძილზე დამფუძნებელმა კრებამ სულ სამი საზეიმო სხდომა ჩაატარა:

1920 წლის 14 იანვარს ჩატარდა „საგანგებო საზეიმო სხდომა“ საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარების გამო (ოქმები, ტ. V, გვ.7).

1920 წლის 12 მარტს „სასწრაფო საზეიმო სხდომა“ მიეძღვნა რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მესამე წლისთავს და საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების წლისთავს

1920 წლის 15 სექტემბერს შედგა საგანგებო სხდომა, რომელსაც „საზეიმო კრება“ უწოდეს (ოქმები, ტ. VII, გვ.440). ეს იყო საქართველოში ჩამოსულ ევროპის სოციალისტურ დელეგაციასთან შეხვედრა.

უცნაურია, მაგრამ დამფუძნებელ კრებას არ ჩაუტარებია საზეიმო სხდომა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, თუმცა აქტიურად მონაწილეობდა მის აღნიშვნაში 1919 და 1920 წლებში.

დამფუძნებელი კრების დახურული სხდომები

დამფუძნებელი კრების სხდომებზე ზოგიერთ საკითხს დახურულ რეჟიმში განიხილავდნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ საიდუმლოების შემცველ სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით. ამ დროს სხდომაზე მყოფ გარეშე პირებს, რომლებიც ესწრებოდნენ სხდომას, დარბაზს ატოვებინებდნენ. მაგალითად დამფუძნებელი კრების 1920 წლის 4 მაისის სხდომაზე თავმჯდომარემ განაცხადა:

„შემდეგი საკითხი არის „დეკრეტი დარიალის სანაპირო რაზმთან არსებულ ორ საარტილერიო მწყობრის დროებითი შტატის დამტკიცებისა“. საზოგადოებას ვსთხოვ დარბაზი დაცალოს, ვინაიდან საკითხი სამხედრო საქმეს შეეხება (საკითხი განხილულ იქნა დახურულ რეჟიმში)“ (ოქმები, ტ. VI, გვ.314-315).

საკითხის განხილვა დაიხურა დამფუძნებელი კრების 1920 წლის 15 ივნისის სხდომაზეც. სტენოგრაფიულ ანგარიშში აღნიშნულია თავმჯდომარის სიტყვები: „ვინაიდან შემდეგი საკითხი დახურულ კარებში უნდა განვიხილოთ, ქვესტორს ვსთხოვ საზოგადოებას დააცლევინოს დარბაზი (საზოგადოება დარბაზს სცლის). ასე რომ კანონ-პროექტი სახალხო გვარდიის შტატის დამტკიცებისა და ცვლილების შესახებ განხილულ იქნა დახურულ კარებში“ (ოქმები, ტ. VI, გვ.496).

თუმცა, ზოგიერთი სამხედრო საკითხის განხილვის დროს, რომელიც საიდუმლოს შემცველად არ მიიჩნეოდა, დამფუძნებელი კრების სხდომა არ იხურებოდა. მაგალითად, 1919 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე, როდესაც მიიღეს დეკრეტი სახალხო გვარდიის შესანახად 20 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ, სხდომა არ დახურულა (ოქმები, ტ. IV, გვ.265).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 21 მაისის სხდომაზე განიხილეს დეკრეტი „სახალხო გვარდიის მობილიზაციით გამოწვეული ხარჯის დასაფარად 55.400.000 მან. გადადებისა“. მომხსენებელმა ს. მდივანმა (ს. ფ.) მოკლედ ისაუბრა და აღნიშნა: „დაწვრილებით ვერ მოგახსენებთ, ვინაიდან იგი ერთგვარ საიდუმლოებას შეიცავს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.366).

10.2. დამფუძნებელი კრების სხდომების დაწყების და დამთავრების დრო

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის თანახმად დამფუძნებელი კრების სხდომის დღეს და საათს აწესებდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 6 მაისის სხდომაზე გამოცხადდა პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, რომ დამფუძნებელი კრების სხდომების დღეები უნდა ყოფილიყო სამშაბათი და პარასკევი: დასაწყისი 12 საათი და დასასრული 15 საათი (ოქმები, ტ. I, გვ.310).

სამი საათის განმავლობაში მუშაობა დღის წესრიგში მდგარი საკითხების განსახილველად საკმარისი არ იყო და ამიტომ დამფუძნებელი კრების 1919 წლის 13 მაისის სხდომაზე თავმჯდომარე ალ. ლომთათიძემ დააყენა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება, რომ დამფუძნებელი კრების სხდომები დაწყებულიყო ერთი საათით ადრე, - 11 საათზე და დამთავ-

რებულიყო დღის 3 საათზე. წინადადება განხილვის საგანი არ გამხდარა და ერთხმად იქნა მიღებული (ოქმები, ტ. I, გვ.432-433).

1920 წლის 3 თებერვლის სხდომის დროს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაგროვილი საკითხების განსახილველად პრეზიდიუმმა 4 თებერვალს საგანგებო სხდომა დანიშნა 12 საათზე, რასაც კედიას რეპლიკა მოჰყვა: „12-ზე და არა ორზე, ბატონო!“ (ოქმები, ტ. V, გვ.133)

1920 წლის 17 თებერვლის სხდომაზე თავმჯდომარემ დააყენა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება, რომ სხდომები დილის 11 საათის ნაცვლად დაწყებულიყო 12 საათზე. თუმცა, პრეზიდიუმის აზრით, სხდომა 11:30-ზე უნდა დაწყებულიყო. „ეს ნახევარი საათი საშეღავათო დროთ იქნება“, - აღნიშნა თავმჯდომარემ. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო პრეზიდიუმის წინადადება (ოქმები, ტ. V, გვ.233)

1920 წლის 7 აგვისტოს სხდომის ბოლოს თავმჯდომარემ დეპუტატებს აცნობა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბიუროს მიერ შეტანილი წინადადება, რომელიც შეთანხმებული იყო სხვა ფრაქციებთან. ფრაქცია ითხოვდა, რომ „სესიის დამთავრებამდე სხდომები იწყებოდეს დილის 10 საათიდან“ (ოქმები, ტ. VII, გვ.344). თუმცა, ეს ვერ მოხერხდა და მომდევნო სხდომა 10 აგვისტოს 11 საათსა და 15 წუთზე დაიწყო (ოქმები, ტ. VII, გვ.345).

1920 წლის 11 აგვისტოს სხდომის ბოლოს დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი წინადადებას, რომ მომდევნო სხდომა დაწყებულიყო დილის 10 საათზე (ოქმები, ტ. VII, გვ.401). სხდომის დაწყება 13 აგვისტოს 11 საათზე მოხერხდა (ოქმები, ტ. VII, გვ.403). 13 აგვისტოს სხდომაზე სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მოითხოვა მომდევნო სხდომები დაენიშნათ 14 და 16 აგვისტოს და ორივე სხდომა დაწყებულიყო დილის 10 საათზე (ოქმები, ტ. VII, გვ.413). ამის გაკეთება მაინც ვერ მოხერხდა. 14 აგვისტოს სხდომა დაიწყო მხოლოდ 13 საათსა და 30 წუთზე (ოქმები, ტ. VII, გვ.415), 16 აგვისტოს კი 11 საათზე (ოქმები, ტ. VII, გვ.423).

დამფუძნებელი კრების სხდომა 3 საათზე უნდა დამთავრებულიყო. ამ დროს სხდომის თავმჯდომარე დამფუძნებელი კრების წევრებს ეკითხებოდა სურდათ თუ არა სხდომის გაგრძელება. თუკი დამფუძნებელი კრების წევრები თანახმა იყვნენ და ქვორუმიც იყო, სხდომა 4 საათამდე გრძელდებოდა. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე, როდესაც შესრულდა სამი საათი, სხდომის თავმჯდომარემ სიმონ მდივანმა იკითხა: „უკვე სამი საათი გახლავთ, რეგლამენტის ძალით სხდომა უნდა დაიხუროს, მაგრამ წინადადება შემოვიდა სხდომა გაგრძელდეს ოთხ საათამდე. მე კენჭს უყრი ამ წინადადებას. წინააღმდეგი არავინ არის“ (ოქმები, ტ. IV, გვ.90).

ზოგჯერ დამფუძნებელი კრების წევრები თანხმდებოდნენ, რომ სხდომა გაეგრძელებინათ რამდენიმე წუთით, სანამ ტრიბუნაზე მყოფი ორატორი სიტყვას დაამთავრებდა. სხდომის გაგრძელებაც და შეწყვეტაც სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაზე იყო დამოკიდებული. ოპოზიცია, რიგ შემთხვევებში, სხდომის შეწყვეტის წინააღმდეგი იყო. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომის დროს, როდესაც 3 საათი შესრულდა, თავმჯდომარემ განაცხადა: „ჩაწერილია კიდევ სამი ორატორი, მაგრამ შემოვიდა წინადადება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისაგან, რომ რადგანაც საკითხი გამორკვეულია, კამათი შეწყდეს“ (ოქმები, ტ. III, გვ.312). სამსონ დადიანმა (ს. ფ.) სიტყვა ითხოვა და გააპროტესტა სხდომის შეწყვეტა: „მე ყოველთვის, როდესაც დამფუძნებელი კრების ერთი წევრი მაინც წინააღმდეგი იქნება კამათის გაგრძელებისა, ყოველთვის ვიტყვი, რომ ეს არის ბოროტება. ამ საკითხის შესახებ თქვენ თითონ აღნიშნეთ, რომ ეს დიდი სერიოზული საკითხია. თქვენ ილაპარაკეთ ამის შესახებ... იმ დროს, როდესაც ჩვენ სიტყვას პირში გვჩრით. ეს არის უსამართლობა და ვთხოულობთ, რომ მოგვცეთ საშუალება გიპასუხოთ... თუ გაქვთ გამბედაობა გვიპასუხეთ და ჩვენც გიპასუხებთ“ (ოქმები, ტ. III, გვ.312-313). მიუხედავად ამისა, კენჭისყრის შედეგად, სხდომა შეწყდა.

10.3. დამფუძნებელი კრების ქვორუმის საკითხი

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის შემუშავებისას სარეგლამენტო კომისიამ დაადგინა, რომ დამფუძნებელი კრების სხდომაზე ქვორუმი უნდა ყოფილიყო „არა ნაკლებ 50 წევრისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.185). კომისიაში ამ საკითხმა კამათი გამოიწვია და ხმათა უმრავლესობით გადაწყდა (ოქმები, ტ. I, გვ.195).

1919 წლის 8 აპრილს რეგლამენტის მუხლობრივი განხილვის დროს ესერების ფრაქცია გამოვიდა ქვორუმის 50 წევრით განსაზღვრის წინააღმდეგ. ილია ნუცუბიძის (ს. რ.) განცხადებით, დამფუძნებელ კრებას მეტად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა ეკისრება და ამიტომ ასეთი საკითხების გადაწყვეტაში „თუ ორი მესამედი არა, დამფუძნებელი კრების ნახევარმა ერთის მიმატებით მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა“ (ოქმები, ტ. I, გვ.194). ანუ ქვორუმი ესერების წინადადებით უნდა ყოფილიყო არა 50, არამედ 66 წევრის დასწრება. ესერების აზრით, თუკი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას მიიღებს დამფუძნებელი კრების წევრების დიდი უმრავლესობა, ეს საზოგადოებაში თავად დამფუძნებელი კრების პოპულარობის ზრდას შეუწყობდა ხელს.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით გამოსულმა კირილე ნინიძემ ერთი მხრივ აღნიშნა, რომ ჩვეულებრივ შემთხვევაში ქვორუმად მიღებულია აბსოლუტური უმრავლესობა, ისიც კარგია, თუკი სხდომებს რაც შეიძლება მეტი დეპუტატი დაესწრება, მაგრამ ამავე დროს შეუთავსებლობის კანონმა დაუშვა გამონაკლისები და დამფუძნებელი კრების წევრებს უფლება მიეცათ ყოფილიყვნენ „ადგილობრივი თვითმმართველობათა გამგეობის წევრები, მინისტრები, მათი ამხანაგები, ელჩები, პროფესორები და სხვები“ (ოქმები, ტ. I, გვ.194-195). ამიტომ ნინიძის აზრით, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ სხდომაზე 66 წევრის შეკრება მოხერხდებოდა. „სოციალ-რევოლუციონერთა წინადადება გამოდის კარგი სურვილიდან, მაგრამ ეს მოასწავებს პირდაპირ საბოტაჟს“. ამიტომაც სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს ქვორუმის 50 წევრით განსაზღვრას. კენჭისყრის შედეგად ესერების წინადადება ვერ გავიდა და ქვორუმი 50 წევრის დასწრებით განისაზღვრა (ოქმები, ტ. I, გვ.195).

დამფუძნებელი კრების სტენოგრამებში არ არის აღნიშნული, თუ სხდომის დაწყებისას რამდენი დეპუტატი ესწრებოდა. არის მონაცემები მხოლოდ არჩევნების დროს, - ფიქსირდებოდა კენჭისყრის შედეგები. მაგალითად. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 9 მაისის სხდომის დროს, როდესაც აირჩიეს სახელმწიფო კონტროლიორი, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 66 დეპუტატმა (ოქმები, ტ. I, გვ.370).

დამფუძნებელი კრების სხდომების ოქმებში არ არის დაფიქსირებული, თუ რამდენი დეპუტატი ესწრებოდა ამა თუ იმ სხდომას. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ „რიგით“ სხდომებზე მოსული დეპუტატების რაოდენობა ბევრად არ აღემატებოდა 50-ს. დარბაზში მყოფი დამფუძნებელი კრების წევრების რაოდენობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ იმ სხდომების მიხედვით, სადაც რაიმე თანამდებობაზე კენჭისყრა ტარდებოდა. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე აირჩიეს სენატის წევრები. თავმჯდომარის ინფორმაციით დარიგდა 59 ბარათი, პრეზიდიუმს (ანუ 3 ადამიანს) მონაწილეობა არ მიუღია (ოქმები, ტ. III, გვ.236).

ამის დასტურად ასევე შეიძლება მოვიშველიოთ დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 მარტის სხდომა, სადაც ჩატარდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ხელახალი არჩევნები. სხდომის ოქმში დაფიქსირებულია პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატების არჩევნების შედეგები. კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა (მომხრე, თავი შეიკავა, ბიულეტინი გაბათილდა) მხოლოდ ერთხელ იყო 54, ორჯერ 51 და სამჯერ 48 (ოქმები, ტ. V, გვ.476-477).

ესერები ხშირად საყვედურობდნენ სოციალ-დემოკრატებს, რომ დამფუძნებელი კრების სხდომებს აცდენდნენ. 1919 წლის 23 დეკემბერს ლეო შენგელაიამ (ს. რ.) თავის გამოსვლაში აღნიშნა: „ჩვენ 5 კაცი ვართ, თქვენ კი 105, მაგრამ თქვენი ფრაქციის დიდო ემეტესობა არამც თუ კომისიებში არ დადის, თვით დამფუძნებელ კრების სხდომებს არ ესწრებიან. სულ დადის რაღაც 30 კაცი, სხვა დეპუტატები არ გვინახავს, შეიძლება ისე დავიშალოთ, რომ ვერც კი გავიგოთ სად არიან ისინი“. მის ამ სიტყვებს ალექსანდრე ასათიანის დამცინავი რეპლიკა მოჰყვა „პროპაგანდას ეწევიან!“ (ოქმები, ტ. IV, გვ.291).

შეიძლება ასევე გავიხსენოთ დამფუძნებელი კრების 1920 წლის 4 თებერვლის სხდომაზე ლ. შენგელაიამ (ს.-რ.) გაცხარებულმა განაცხადა: „დამფუძნებელ კრებაში არჩეული არის 105 მენშევიკი, ჩვენ 40 წევრზე მეტი არ გვინახავს“ დარბაზში მყოფიო (ოქმები, ტ. V, გვ.146).

დამფუძნებელი კრების საქმიანობისათვის სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა სხდომების დიდი დაგვიანებით დაწყება კვორუმის უქონლობის გამო. დამფუძნებელი კრების სხდომების დაწყება დანიშნული იყო დღის 11 საათისათვის. რეგლამენტის 79-ე მუხლის მიხედვით თუ ნახევარი საათის განმავლობაში, სხდომისათვის დანიშნული დროის შემდეგ დამფუძნებელი კრების 50 წევრზე ნაკლები შეიკრიბებოდა, თავმჯდომარეს უფლება ჰქონდა გამოეცხადებინა, რომ „კრება არ შესდგა“. თუმცა რეგლამენტის 81-ე მუხლი თავმჯდომარეს უფლებას აძლევდა, რომ „თუ სხდომის დროს წევრთა საკმაო რიცხვი“ (ანუ 50) არ აღმოჩნდებოდა, მას შეეძლო ან პირდაპირ დაეხურა სხდომა, ან „ცოტა ხნით“ შეეწყვიტა. თუ რამდენი იყო ეს ცოტა ხანი განსაზღვრული არ იყო. თუ სხდომის შეწყვეტის შემდეგაც წევრთა „საკმაო რიცხვი“ არ აღმოჩნდებოდა, სხდომა იხურებოდა. სხდომაზე დამსწრეთა რიცხვის გამორკვევა თავმჯდომარის საქმე იყო (აქტები, გვ.252).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 6 ივნისის სხდომის დასაწყისშივე ალ. ლომთათიძემ პრეზიდიუმის სახელით აღნიშნა, რომ დამფუძნებელი კრების ზოგიერთი წევრი „დროზე არ მოდის ხოლმე სხდომაზე“, რაც „ძალიან უშლის ხელს დამფუძნებელი კრების მუშაობას“. მან დამსწრეთ შეახსენა რეგლამენტის 168-ე მუხლი, რომელიც დამფუძნებელი კრების წევრის მიერ სხდომის არასაპატიო მიზეზით გაცდენა ისჯებოდა ჯარიმით - ყოველი გაცდენილი სხდომისთვის გასამრჯელოს 1/30-ის ოდენობით (ოქმები, ტ. II, გვ.84). თავმჯდომარის თქმით, პრეზიდიუმს ეს მუხლი ჯერ არ ქონდა გამოყენებული, ამიერიდან კი პრეზიდიუმის სახელით „სასტიკად იქნებიან დაცული“ და სთხოვა ფრაქციებს, რომ შესაბამისი ზომები მიეღოთ (ოქმები, ტ. II, გვ.85).

1920 წლის დასაწყისში დამფუძნებელი კრების სხდომები მნიშვნელოვანი დაგვიანებით იწყებოდა:

დამფუძნებელი კრების სხდომა	სხდომის დაწყების დრო
14 იანვარი	1 სთ. 30 წთ.
23 იანვარი	12 სთ.
27 იანვარი	1 სთ. 52 წთ.
30 იანვარი	12 სთ. 55 წთ.
3 თებერვალი	1 სთ. 30 წთ.
4 თებერვალი	1 სთ. 05 წთ.

1920 წლის 4 თებერვლის სხდომა 11 საათის ნაცვლად დაიწყო დღის 1 საათსა და 5 წუთზე. რეგლამენტის დარღვევის შესახებ სიტყვა ითხოვა ილია ნუცუბიძემ (ს. რ.), რომელმაც აღნიშნა, რომ რეგლამენტის 79-ე მუხლი სისტემატიურად ირღვეოდა. კრება დანიშნულ 11 საათის ნაცვლად ხშირად იწყებოდა დღის 1 ან 2 საათზე. ასეთი ვითარება მიუღებელია „უბრალო

პარლამენტარული წესის თვალსაზრისითაც“. მისი თქმით, ამგვარ ვითარებას ბოლო უნდა მოღებოდა და დამფუძნებელი კრების მუშაობას ნორმალური ხასიათი მისცემოდა, რადგანაც მნიშვნელოვნად ფერხდებოდა კრების საქმიანობა. „ჩვენ, როდესაც ვიკრიბებით 1 ან 2 საათზე, ვერ ვასწრებთ დღიური წეს-რიგის გარჩევას სამ საათამდის და იძულებული ვართ განვაგრძოთ სხდომა. და ხშირად გვიხდება აგრეთვე საგანგებო სხდომების დანიშვნა. ეს კი დამფუძნებელი კრების წევრთ, რასაკვირველია, ძლიერ ბევრ დროს ართმევს მაშინ, როდესაც მას ბევრი სხვა საქმეებიც აქვს“ (ოქმები, ტ. V, გვ.136).

რეგლამენტის დაცვა პირველ რიგში სოციალ-დემოკრატებს ეხებოდა, რადგანაც „ისინი შეადგენენ ქვორუმს და მათზე არის დამოკიდებული სხდომის დაწყება“. ი. ნუცუბიძის თქმით, ოპოზიციური ფრაქციები დროზე იკრიბებოდნენ და უხდებოდათ ცდა უმრავლესობის წარმომადგენლებისათვის. „პატარა რიგიანობა მაინც მოითხოვს, მოგვეცეს საშუალება ვიმუშაოთ და კარიდორებში არ უცადოთ უმრავლესობის ფრაქციას და ზედმეტი დრო არ დავკარგოთ“, - განაცხადა ი. ნუცუბიძემ (ოქმები, ტ. V, გვ.136-137).

სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ ილია ნუცუბიძის განცხადება „ფრიად სამართლიანად“ მიიჩნია, ოღონდ რეგლამენტის დარღვევაში პრეზიდიუმი „არაფერ შუაში“ იყო, თუ არ ჩავთვლით რეგლამენტით მოცემული უფლების გამოუყენებლობას, - ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ სხდომა ჩაშლილად გამოეცხადებინა. ალ. ლომთათიძის თქმით, „ერთ-ორჯერ“ ელაპარაკა ამ საკითხზე ფრაქციების წარმომადგენლებს და სთხოვა ზომების მიღება, რომ რეგლამენტი ამ საკითხში აღარ დარღვეულიყო. „შეუძლებელია დეპუტატმა ორი საათი იცადოს, მაშინ, როდესაც მთელი დრო მას განაწილებული აქვს“. ალ. ლომთათიძემ შესთავაზა დეპუტატებს, რომ სხდომის დაწყება 11 საათის ნაცვლად 1 საათზე გადაეტანათ, ოღონდ იმ პირობით, რომ სხდომა ზუსტად 1 საათზე დაიწყებოდა, ასევე პრეზიდიუმის სახელით სთხოვა ფრაქციებს, რომ ეფიქრათ „უფრო რადიკალური ზომების“ შემუშავებაზე (ოქმები, ტ. V, გვ.137).

აღნიშნა ისიც, რომ ეს იყო უმრავლესობისათვის მიმართვა. რაც შეეხება პრეზიდიუმს, მის დანაშაულად ა. ლომთათიძემ რეგლამენტის მოთხოვნის შეუსრულებლობა მიიჩნია, კერძოდ არ განუცხადებიათ, რომ „სხდომა არ შესდგება“. მისი თქმით, პრეზიდიუმმა „ერთი-ორჯერ მოუყარა თავი ფრაქციებს“ და მათ წარმომადგენლებს გააცნეს მდგომარეობა და იმედი გამოთქვა, რომ ასეთი მოვლენები აღარ გამეორდებოდა. „შეუძლებელია დეპუტატმა ორი საათი იცადოს, მაშინ, როდესაც მთელი დრო მას განაწილებული აქვს, თუ ინებებთ და ყველა დანიშნულ დროზე მობრძანდებით, მაშინ ყველა თავის განაწილებულ დროს შესაფერისად მოიხმარს“ (ოქმები, ტ. V, გვ.137). ალ. ლომთათიძემ დეპუტატებს ისიც კი შესთავაზა, რომ სხდომა დღის 1 საათზე დაეწყოთ, ოღონდ იმ პირობით, რომ სხდომა ზუსტად 1 საათზე დაიწყებოდა.

1920 წლის 4 თებერვალს გამართული სხდომის დასასრულს ალ. ლომთათიძემ დამფუძნებელი კრების წევრები საგანგებოდ გააფრთხილა, რომ მომდევნო სხდომა 6 თებერვალს გაიხსნებოდა ზუსტად 11:30 წუთზე და თუ ქვორუმი არ იქნებოდა, სხდომა დაიხურებოდა და იმ დღეს აღარ შედგებოდა (ოქმები, ტ. V, გვ.160).

ილია ნუცუბიძის გამოსვლას და პრეზიდიუმის სახელით ალექსანდრე ლომთათიძის მოწოდებას რეგლამენტის დაცვის შესახებ შედეგი არ მოჰყოლია. დამფუძნებელი კრების მომდევნო სხდომა 1920 წლის 6 თებერვალს უნდა შეკრებილიყო. 11 საათსა და 30 წუთზე ალექსანდრე ლომთათიძემ აღნიშნა, რომ დარბაზში მხოლოდ 39 დეპუტატი იყო და სხდომა არ შედგა. მან პრეზიდიუმის სახელით განაცხადა, რომ მომავალშიც ასე მოიქცეოდა, სხდომას 11 სთ 30 წუთზე გახსნიდა და თუ ქვორუმი კვლავ არ შედგებოდა სხდომას დახურავდა. „გარდა ამისა

მოგახსენებთ, რომ ყველა ის დეპუტატი, რომელიც არ ბრძანდებოდა სხდომაზე, დაჯარიმებული იქნება თანახმად თქვენი დადგენილებისა“ (ოქმები, ტ. V, გვ.161).

პრეზიდიუმის მიერ რეგლამენტის ზუსტად დაცვამ და შედეგად სხდომის ჩაშლამ სათანადო ეფექტი გამოიღო და მომდევნო ორი სხდომა (10 და 13 თებერვალს) 11:30 საათზე დაიწყო, თუმცა შემდეგ სხდომებზე კვლავ თავი იჩინა დეპუტატთა დაგვიანებამ და ქვორუმის შეკრების პრობლემამ. ერთად-ერთი სხდომა, რომლის დაწყებაც ყველაზე ადრე მოხერხდა 12 მარტს გაიმართა და საზეიმო სხდომა იყო, - დამფუძნებელი კრების ერთწლიანი საქმიანობის აღნიშვნას ეძღვნებოდა.

დამფუძნებელი კრების სხდომა	სხდომის დაწყების დრო
10 თებერვალი	11 სთ. 30 წთ.
13 თებერვალი	11 სთ. 30 წთ.
17 თებერვალი	12 სთ.
20 თებერვალი	12 სთ.
24 თებერვალი	12 სთ. 05 წთ.
27 თებერვალი	12 სთ. 30 წთ.
1 მარტი	12 სთ. 10 წთ.
2 მარტი	12 სთ. 25 წთ.
5 მარტი	12 სთ. 20 წთ.
9 მარტი	12 სთ. 30 წთ.
12 მარტი	11 სთ. 10 წთ.
16 მარტი	13 სთ.

დამფუძნებელი კრების სხდომები ხშირად ძალზედ დაგვიანებით იწყებოდა კვორუმის არქონის გამო. შეკრებილი დეპუტატები ორი-სამი საათი ელოდებოდნენ როდის შეიკრიბებოდნენ სხვადასხვა მიზეზით დაგვიანებული დეპუტატები. ასე მოხდა 1921 წლის 4 იანვრის სხდომაზეც. აღნიშნული სხდომა დაიწყო სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის წარმომადგენლის ილია ნუცუბიძის გამოსვლით, რომელმაც რეგლამენტის დაცვა მოითხოვა.

დამფუძნებელი კრების სხდომების დაგვიანებით დაწყება ოპოზიციური ფრაქციების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რადგანაც სხდომების დაგვიანებით გახსნა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ბრალდებოდა. „სოციალ-დემოკრატი დეპუტატები მაინც და მაინც დიდის ხალისით არ ესწრებიან სხდომებს“, - აღნიშნავდნენ ესერები. ასეთი ინდეფერენტიზმი და სხდომების დაგვიანებით გახსნა, ილია ნუცუბიძის განცხადებით, „მეტად აფერხებს პარლამენტის მუშაობას“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.8). და ამავე დროს, სახელსაც უტეხდა დამფუძნებელ კრებას („შრომა“, 9.01.1921).

საგულისხმოა ოპოზიციის თვალით დანახული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქმიანობის ხასიათიც: „სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრების უმრავლესობა არავითარ მონაწილეობას არ იღებდა არასოდეს დამფუძნებელ კრების მუშაობაში, თუ არ ჩავთვლით ასეთად მათ უაზრო წამოძახილებს, ტაშის დაკვრას და ხმაურობის ატეხას“. ისინი მოქმედებენ „სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის არისტოკრატიის - ბიუროს დირიჟორობით“ („შრომა“, 9.01.1921).

ოპოზიციის აზრით, ასეთ „მართულ“ დეპუტატებს, ანუ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უმრავლესობას მოსწყინდა ასეთი მუშაობა და სხდომებს ან არ ესწრებოდნენ, ან დაგვიანებით მოდიოდნენ. შეკრებილებს კი უხდებოდათ „მთელი საათობით ცთა და ყურება, თუ როდის შეიკრიბებიან ეს სოციალ-დემოკრატი დეპუტატი-სტატისტები“ („შრომა“, 9.01.1921).

სხდომის თავმჯდომარემ ალ. ლომთათიძემ აღნიშნა, რომ რეგლამენტის დარღვევა პრეზიდიუმის ბრალი არ არის და დეპუტატების დაგვიანების გამო „თვით პრეზიდიუმს უხდება მთელი საათობით ცდა“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.23). ლომთათიძის განცხადებით, მდგომარეობის გამოსასწორებლად აღადგენდნენ სანქციებს, - იმ დეპუტატების ფულად დაჯარიმებას, რომლებიც ან არ დაესწრებოდნენ, ან დააგვიანებდნენ სხდომაზე მისვლას. გარდა ამისა, მოუწოდა ფრაქციებსა და თავად დეპუტატებს მიეღოთ ზომები „სხდომის დროზე გახსნისათვის“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.8).

მიუხედავად ამისა, კვორუმის შეკრება კვლავ პრობლემად რჩებოდა. მაგალითად, 1921 წლის 12 იანვარს დანიშნული სხდომა ლოდინის შემდეგ კვორუმის არქონის გამო ვერ გაიხსნა და ჩაიშალა (ოქმები, ტ. VIII, გვ.52).

დამფუძნებელი კრების სხდომის დაწყების შემდეგ, რაც ქვორუმის შეკრების შემდეგ (50 დეპუტატი) ხდებოდა, პერიოდულად, ზოგიერთი დეპუტატის მოთხოვნით, ან სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდებოდა ქვორუმის გადამოწმება. ამის მიზეზი სხდომის დამთავრებამდე დეპუტატთა ნაწილის წასვლა იყო. თუკი აღმოჩნდებოდა, რომ ქვორუმი არ იყო, სხდომა წყდებოდა.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 10 ოქტომბრის სხდომა 12 საათზე დაიწყო. 1 საათზე ცოტა მეტი დროის გასვლის შედეგ თავმჯდომარემ განაცხადა: „შემოტანილი გახლავთ განცხადება, რომ ქვორუმს აკლია 8 კაცი, ვთხოვ ქვესტორს დათვალოს... ვინაიდან აღმოჩნდა, რომ ქვორუმი არ არის, მე კრებას ვხურავ“ (ოქმები, ტ. III, გვ.248). დახურვის წინ წაიკითხეს მომდევნო სხდომის დღის წესრიგი.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზეც შევიდა წინადადება, რომ ქვორუმი არ იყო. გადათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ დარბაზში იყო დამფუძნებელი კრების 50 წევრი. სხდომა გაგრძელდა (ოქმები, ტ. III, გვ.286).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 იანვრის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარემ მიიღო შეკითხვა ქვორუმის არსებობის შესახებ. ქვესტორმა დაითვალა და ქვორუმის არსებობა დადასტურდა. (ოქმები, ტ. V, გვ.79).

1920 წლის 28 ივლისის სხდომა, რომელიც საღამოს 7 საათზე დაიწყო და 1919-1920 წლების ბიუჯეტის განხილვას ეძღვნებოდა, თავმჯდომარემ 10 სთ 40 წთ, როდესაც თედო ღლონტი (ს. ფ.) ლაპარაკობდა, შეწყვიტა: „ბატონებო! ქვორუმი აღარ არის, სხდომა შემდეგისათვის გადაიდება. ორატორს სალაპარაკოდ კიდევ 20 წუთი რჩება. სხდომა დახურული გახლავთ (ოქმები, ტ. VII, გვ.186). 1920 წლის 29 ივლისის სხდომაზე, თავმჯდომარემ, დღის 3 საათზე, კრების ერთი საათით გაგრძელების წინ, ქვორუმის შემოწმება მოითხოვა. „ამბობენ, რომ ქვორუმი არ არისო, გთხოვთ დათვალოთ. ქვორუმი გახლავთ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.211), - განაცხადა თავმჯდომარემ და სხდომა გაგრძელდა. 1920 წლის 6 აგვისტოს სხდომა კი თავმჯდომარემ შეწყვიტა ქვორუმის არარსებობის გამო: „მივიღე განცხადება დამფუძნებელი კრების წევრების: ალ. ასათიანის და ვლ. მგელაძისა, რომ ქვორუმი არ არისო. შევამოწმე ეს, ქვორუმი მართლა არ აღმოჩნდა და ამიტომ ვხურავ სხდომას“ (ოქმები, ტ. VII, გვ.324).

10.4. დამფუძნებელი კრების სხდომის ვადაზე ადრე შეწყვეტა

დამფუძნებელი კრების სხდომა დაუყოვნებლივ წყდებოდა, თუკი აღმოჩნდებოდა, რომ ქვორუმი აღარ იყო, მაგრამ იყო სხვა იშვიათი შემთხვევები სხდომის შეწყვეტისა.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 20 თებერვლის სხდომა შეწყდა ძლიერი მიწისძვრის გამო. სიტყვით გამოდიოდა სამსონ დადიანი (ს. ფ.), თუმცა მან თავისი გამოსვლა ბოლომდე

ვერ მიიყვანა. სხდომის სტენოგრამა შემდეგნაირად მთავრდება: „ამ დროს ხდება მიწისძვრა. დარბაზში არეულობა ხდება. საზოგადოება გარეთ გარბის. დეპუტატები ფეხზე დგებიან. ორატორი სწყვეტს სიტყვას და თავმჯდომარის სიტყვების შემდეგ - ბ-ნებო კრება გადაიდო - დარბაზი ცალიერდება“ (ოქმები, ტ. V, გვ.254).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 9 ივლისის სხდომა შეწყდა მას შემდეგ, რაც შეიტყვეს მოკავშირეთა მიერ ბათუმის საქართველოსთვის გადმოცემის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ განაცხადა: „შემოტანილი გახლავთ წინადადება ს.-დ. ფრაქციისა, რომ ბათომის შემოერთების ზეიმის აღსანიშნავად კრება დაიხუროს. აქ დემოკრატია არის მოსული სამანიფესტაციოდ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.12).

დამფუძნებელი კრების 1921 წლის 30 იანვრის სხდომის მიმდინარეობისას სიტყვა ითხოვა ნოე ჟორდანიამ და განცხადება გააკეთა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობის შესახებ. ნოე ჟორდანიას შემდეგ სიტყვით გამოვიდა ალექსანდრე ლომთათიძე, რის შემდეგაც სხდომა შეწყდა და „დეპუტატები, მთავრობის წევრები და სხდომაზე დამსწრე საზოგადოება დამფუძნებელი კრების დარბაზიდან აღფრთოვანებული გამოიშალენ ეროვნული ჰიმნის გალობით - ქუჩებში“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.195).

10.5. დამფუძნებელი კრების სხდომაზე განსახილველი საკითხები

ყოველ სხდომაზე განსახილველ საკითხებს წინა სხდომის ბოლოს ამტკიცებდნენ. ყოველი სხდომის ბოლოს, დასრულების წინ, თავმჯდომარის თხოვნით, მდივანი კითხულობდა მომდევნო სხდომის წესრიგს. მომდევნო სხდომის დაწყების წინ ისევ კითხულობდნენ „სხდომის წესრიგს“ და დეპუტატებს შეეძლოთ ან უცვლელად დაემტკიცებინათ დღის წესრიგი, ანდა წინადადება შეეტანათ საკითხების განხილვის თანმიმდევრობის შეცვლის, ან რომელიმე საკითხის ამოღების თაობაზე. ცხადია, ამ დროს უპირატესობა ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომელსაც ხმათა უმრავლესობით შეეძლო სასურველი ცვლილების გატანა.

სხდომების „დღიური წესრიგი“, როგორც წესი, მრავალი საკითხისაგან შედგებოდა:

დამფუძნებელი კრების სხდომა	დღიური წესრიგის საკითხების რაოდენობა
1919 წლის 14 ნოემბერი	18 საკითხი (IV, 8)
1919 წლის 18 ნოემბერი	17 საკითხი (IV, 34)
1919 წლის 21 ნოემბერი	18 საკითხი (IV, 57-58)
1919 წლის 25 ნოემბერი	17 საკითხი (IV, 73-74)
1919 წლის 28 ნოემბერი	15 საკითხი (IV, 99-100)
1919 წლის 2 დეკემბერი	22 საკითხი (IV, 135-136)
1919 წლის 3 დეკემბერი	„სასწრაფო“ სხდომა
1919 წლის 5 დეკემბერი	21 საკითხი (IV, 191-192)
1919 წლის 9 დეკემბერი	22 საკითხი (IV, 211-212)
1919 წლის 12 დეკემბერი	21 საკითხი (IV, 246-247)
1919 წლის 16 დეკემბერი	15 საკითხი (IV, 251-252)
1919 წლის 19 დეკემბერი	17 საკითხი (IV, 263-264)
1919 წლის 23 დეკემბერი	8 საკითხი (IV, 271-272)
1919 წლის 26 დეკემბერი	6 საკითხი (IV, 299)
1919 წლის 30 დეკემბერი (დილის სხდომა)	14 საკითხი (IV, 343-344)
1919 წლის 30 დეკემბერი (დღის სხდომა)	17 საკითხი (IV, 369-370)
1919 წლის 31 დეკემბერი	12 საკითხი (IV, 403-404)

ზოგჯერ დღის წესრიგს ემატებოდა დამატებითი საკითხები. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 18 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგში თავიდან იყო 14 საკითხი, დაემატა კიდევ 3 საკითხი. 1919 წლის 23 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგში იყო 6 საკითხი, დაემატა 2 საკითხი (ოქმები, ტ. IV, გვ.143).

როცა ბევრი საკითხი გროვდებოდა და ვერ ასწრებდნენ მათ განხილვას ინიშნებოდა „სასწრაფო“ დამატებითი სხდომა. ასე მოხდა 1919 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე, როდესაც სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით დამატებითი სხდომა უნდა დანიშნულიყო მომდევნო დღეს, 12 საათზე. თავმჯდომარემ ეს წინადადება სამართლიანად მიიჩნია, „ვინაიდან მრავალი კანონ-პროექტი იყო დაგროვილი“ (ოქმები, ტ. IV, გვ.271-272).

ყოველი სხდომის დასაწყისში დამფუძნებელი კრება ამტკიცებდა დღის წესრიგს. ზოგჯერ დღის წესრიგს უცვლელად ამტკიცებდნენ, თუმცა ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ხდებოდა განსახილველი საკითხების თანმიმდევრობის შეცვლა, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანიც. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 5 მარტის სხდომის დღის წესრიგში 20 საკითხი იდგა. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ თანმიმდევრობის შეცვლა მოითხოვა:

„თავმჯდომარე - წინადადება არის შემოტანილი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ: მერვე საკითხი გადატანილი იქნას მესამე საკითხად, ე. ი. პირველ საკითხად საბოლოო ტექსტების შემდეგ. მეცამეტე საკითხი - მეოთხე საკითხად. მეოთხე წინადადებაა: მეხუთე საკითხი გადადებულ იქნას უკანასკნელ საკითხად. მეოთხე წინადადება გახლავთ პრეზიდიუმისა: მეცხრე საკითხი გადატანილ იქნას მეხუთე საკითხად“ (ოქმები, ტ. V, გვ.387-388).

საკითხების თანმიმდევრობის შეცვლა ხმათა უმრავლესობით წყდებოდა და აქ, ცხადია, ინიციატივა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელში იყო. მხოლოდ მათ შეეძლოთ საკუთარი წინადადების გატანა, ანდა ოპოზიციის რომელიმე ფრაქციის მიერ შეტანილი წინადადების მიღება.

10.6. დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრამები

სხდომების სტენოგრამების შედგენას დამფუძნებელი კრება ყოველთვის სერიოზულად ეკიდებოდა. სხდომის მიმდინარეობის დროს სტენოგრაფისტები გამომსვლელთა სიტყვებს იწერდნენ, ხოლო სტენოგრაფისტების მიერ სტენოგრამის შედგენის შემდეგ, სტენოგრამას ნახულობდნენ შესაბამის სხდომაზე სიტყვით გამოსული ორატორები და ამოწმებდნენ, თუ რამდენად სწორად იყო გადმოცემული მათი სიტყვა და, თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ, შესწორებაც შეჰქონდათ სტენოგრამაში.

როგორც აღმოჩნდა, ზოგჯერ ეს ჩასწორება კონფლიქტის მიზეზიც ხდებოდა. 1921 წლის 22 იანვარს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს მოუხდა იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის წერილის განხილვა, რომელიც დამფუძნებელი კრების წევრის შალვა ნუცუბიძის მოქმედებას აპროტესტებდა სტენოგრამასთან დაკავშირებით: „სტენოგრამის გაცნობამ დამარწმუნა, რომ დამფუძნებელი კრების წევრს შალვა ნუცუბიძეს, მთავრობის რეორგანიზაციის გამო წარმოთქმულ სიტყვიდან ამოუშლია ან გადაუსხვაფერებია თითქმის ყველა ის ვითომდა ფაქტები და ბრალდებები, რომელზედაც მე ფაქტიური პასუხი გავეცი... სამაგიეროთ, მოუთავსებია ისეთი ბრალდება, რომელზედაც პასუხის გაცემა მაშინაც კი თავის დამცირებად მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.125).

რ. არსენიძის საჩივრის არსი შემდეგი იყო: „მკითხველისათვის, რომელიც სტენოგრაფიული ანგარიშებიდან გაეცნობა საკითხს, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქოს მე სულ

სხვა საგანზე ვილაპარაკე, ვინემ მედავებოდა დამფუძნებელი კრების წევრი შალვა ნუცუბიძე“. რ. არსენიძე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისგან ითხოვდა შემდეგს: „გთხოვთ შეიტანოთ სტენოგრაფიულ ანგარიშებში შენიშვნა, რომ დეპუტატმა შალვა ნუცუბიძემ თითონ ამოშალა სტენოგრამაში ის ადგილები, რომელსაც ჩემი საპასუხო სიტყვა ეხება“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.125).

ამ საკითხთან დაკავშირებით დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა იმსჯელა და დაადგინა, რომ „დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიულ ოქმში“ ამ შემთხვევისათვის უნდა დაბეჭდილიყო „ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვის ის ტექსტი, რომელიც დადასტურებული იქნება პრეზიდიუმის მიერ“. პრეზიდიუმი განიხილავდა შალვა ნუცუბიძის და რაჟდენ არსენიძის სიტყვების სტენოგრამას, მხედველობაში მიიღებდა მათ შესწორებებს და შეიმუშავებდა მათი სიტყვების საბოლოო ტექსტს, „რომელიც დაიბეჭდება სტენოგრაფიულ ოქმებში და რომელიც სავალდებულო იქნება ორატორისათვის“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.125).

დამფუძნებელი კრების წევრებს კარგად ესმოდათ, რომ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიში ისტორიის კუთვნილება ხდებოდა და ოფიციალურად დაფიქსირებული ტექსტის მიხედვით მომავალში იმსჯელებდნენ დამფუძნებელი კრების შესახებ. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 11 მაისის სხდომაზე ევგენი გეგეჭკორმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, სიტყვა სწორედ სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშის გამო აიღო. გიორგი გვაზავამ (ე. დ.) გააკრიტიკა ნოე ჟორდანია ლენინისთვის გაგზავნილი დეპეშის გამო. გეგეჭკორმა კი სიტყვა იმიტომ აიღო, რომ სხდომის სტენოგრამის წამკითხველს არასწორი შთაბეჭდილება არ შექმნოდა. „ყოველ შემთხვევაში მე ამას იმიტომ ვშვები, რომ შესაძლებელია... ყოველ შემთხვევაში თვით სტენოგრამაში ისე იქნება მოყვანილი ანგარიში ამ სხდომისა, რომ შემდეგში მკითხველმა მიიღოს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ადგილი ჰქონდეს ისეთ ფაქტს, რომელზედაც ამბობს ბ. გვაზავა“ (ოქმები, ტ. VI, გვ.341).

სტენოგრამას მიმართავდნენ სადავო საკითხების გასარკვევად. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ შენიშვნა მისცა სიტყვით გამოსულ ივანე გობეჩიას (ს. რ.): „ბატონებო! ბ. გობეჩიას სიტყვაში იყო ერთი ადგილი, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ. მან განაცხადა: ჩვენი ჯარი ვერც იბრძოლებს და არც იბრძოლებსო. ასეთ განცხადებას დამფუძნებელი კრების წევრის პირიდან, დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდან ადგილი არ უნდა ქონდეს... იმედს გამოვსთქვამ და მოვითხოვ, რომ ასეთი რამ არ გამეორდეს“ (ოქმები, ტ. III, გვ.356).

ივანე გობეჩიამ უარყო თავმჯდომარის შენიშვნა: „აქ მე მომაწერეს ის, რაც არ მითქვამს. მე არ მითქვამს - „ჯარი არ იბრძოლებს“. მაგრამ მე ვთქვი, რომ საქმე ისეა მოწყობილი, რომ ბრძოლა არ მოუხდება მას. თუ კი საჭიროებამ მოითხოვა, რასაკვირველია, საქართველოს რესპუბლიკის ჯარი იბრძოლებს“ (ოქმები, ტ. III, გვ.365).

თავმჯდომარემ უკან არ დაიხია და თავის სიმართლის დასამტკიცებლად სტენოგრამის ნახვა მოითხოვა.

„ალ. ლომთათიძე: მე საჭიროდ მიმაჩნია გავიმეორო ის, რაც ბ. გობეჩიამ სთქვა: „ჯარი არ იბრძვის და არც იბრძოლებსო“. აი ეს სიტყვები წარმოსთქვა მან. თუ ეს თქვენთვის სადავოა, მაშინ მე იძულებული ვიქნები მოვითხოვო სტენოგრაფიული ანგარიშები და აღვადგინო მისი სიტყვები (ხმა: არის საჭირო!) ამოწმებს თუ არა დამფუძნებელი კრება იმ შენიშვნას, რომელიც გაუკეთე ბ-ნ გობეჩიას? (ხმა: ამოწმებს, ამოწმებს! ტაში)“ (ოქმები, ტ. III, გვ.365).

ცდილობდნენ ენობრივი ნორმების დადგენა-დაცვასაც და ამის თაობაზე კამათობდნენ კიდეც. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 21 მაისის სხდომაზე სამსონ დადიანმა (ს. ფ.) არასწორად მიიჩნია კანონში სიტყვა „უზენაესის“ გამოყენება, - „ჩვენ მიერ მიღებული კანონი უწოდებს ამ სენატს „უზენაეს სასამართლოს“. უნდა აღვნიშნო, რომ ეს ტერმინი „უზენაესი“ სრუ-

ლიად არ შეესაბამება რაც ამ დედამიწაზე არსებობს. „უზენაესი“ ეწოდება იმას, რაც იქ, ცაში ეგ-ულებათ“ (ოქმები, ტ. VI, გვ.380).

დამფუძნებელი კრების იმავე სხდომაზე ნ. იმნაიშვილმა (ს. დ.) დაიწუნა სარედაქციო კომისიის მუშაობა. მისი განცხადებით, სარედაქციო კომისია მიუღებელ შესწორებებს აკეთებდა, მაგალითად, „თითქმის ყველგან მრავლობითი რიცხვის მაგივრად მხოლობით რიცხვს ხმარობს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.385). არ მოიწონა ასევე დაბოლოებების შეცვლა სიტყვებში „ოფიციალური“-ს მაგივრად „ოფიცილი“, „სოციალური“-ს მაგივრად „სოციალი“. ბოლოს მაინც შესაძლებლად ჩათვალა „ოფიციალი“-ს ხმარება, ოღონდ არა „სოციალი“-ს. მას სარედაქციო კომისიის სახელით უპასუხა ქრ. შარაშიძემ (ს. დ.), რომელმაც აღნიშნა, რომ „ქართული ენის ბუნება მოითხოვს და უფრო ეგუება მხოლობით რიცხვს“, ასევე „ქართული ენის კანონების მიხედვით შეიძლება ვიხმაროთ სოციალი და არა სოციალური“ (ოქმები, ტ. VI, გვ.386). კენჭისყრის შედეგად სარედაქციო კომისიის პოზიციამ გაიმარჯვა, რასაც მემარჯვენე ოპოზიციის ზეიმი მოჰყვა. სტენოგრამაში დაფიქსირებულია კომენტარები: „კედია: კომისიამ გაიმარჯვა! მაჭავარიანი: სოციალისტური ხელები დამარცხდენ!“ (ოქმები, ტ. VI, გვ.386).

10.7. როგორ უნდა აშუქებდეს სახელმწიფო მედია დამფუძნებელი კრების მუშაობას

ესერების პრეტენზიები ოფიციალური მედიის მიმართ

როგორც უკვე ითქვა, სპეციალურად დგებოდა დამფუძნებელი კრების სტენოგრამები, დამფუძნებელი კრების სხდომების ანგარიშებს აქვეყნებდნენ გაზეთები. პრესა პარტიული იყო და, ცხადია, ყოველი გაზეთი დაწვრილებით გადმოსცემდა თავისი პარტიის წარმომადგენლის გამოსვლას. მაგრამ გარდა პარტიული პრესისა, იყო სახელმწიფო ბიუჯეტის ფულით დაფინანსებული სამთავრობო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ და სახელმწიფო დეპეშათა სააგენტო.

დამფუძნებელი კრების ოპოზიციური ფრაქციები, პირველ რიგში კი სოციალისტ-რევოლუციონერები თვლიდნენ, რომ ოფიციალური გაზეთი და სახელმწიფო სააგენტო ოპოზიციის დისკრიმინაციას ახდენდა. ესერებმა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მათი სიტყვების შინაარსის დამახინჯების გამო დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს საპროტესტო წერილი გაუგზავნეს (ოქმები, ტ. VI, გვ.419, 421). ასევე ამ საკითხზე რამდენიმე წერილიც გამოაქვეყნეს პრესაში (ოქმები, ტ. VI, გვ.419).

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისათვის მიმართვაში ესერები მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფო სააგენტოს ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენელთა სიტყვები ობიექტურად გადმოეცა. გარდა ამისა, „ვინაიდან ყოველი გამოსვლა დამფუძნებელ კრებაში, ყოველი სიტყვა არის საპასუხისმგებლო, სახალხო, ამიტომ მოვითხოვთ, რომ, ვიდრე დაიბეჭდებოდეს, სიტყვის მოკლე შინაარსი წარედგინოს დეპუტატს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.419). ესერთა ფრაქციას ამ მოთხოვნაზე დადებითი პასუხი არ მიუღია.

მაგრამ დადგა დრო, როდესაც ესერთა ფრაქციას შეეძლო თავისი პრეტენზიები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ და სახელმწიფო სააგენტოს მიმართ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან აქტიურად დაეყენებინა. ეს მოხდა 1920 წლის 28 მაისის სხდომაზე, როდესაც დამფუძნებელი კრება განიხილავდა ორ დეკრეტს სახელმწიფო მედიასთან დაკავშირებით - „დეკრეტი მთავრობის მოამბის „საქართველოს რესპუბლიკის“ შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა“ და „დეკრეტი საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შტატისა და ხარჯთ-აღრიც-

ხვის დამტკიცების შესახებ“. საკითხი დაფინანსების გაზრდას ეხებოდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ წამოიწყო დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აშუქებდნენ სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებები დამფუძნებელი კრების წევრების გამოსვლებს. ლეო შენგელია და ი. ნუცუბიძე, ზოგადად, ოპოზიციის სახელით ლაპარაკობდნენ, მაგრამ სხვა ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები (სპ. კედია, გრ. ვეშაპელი, გ. გვაზავა) სიტყვით არ გამოსულან, მხოლოდ რეპლიკებით შემოიფარგლნენ.

ლეო შენგელაიას (ს. რ.) განცხადებით, სამთავრობო გაზეთი და სააგენტო დაწვრილებით გადმოსცემდნენ მინისტრების და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრთა გამოსვლებს, მაშინ როდესაც ძალზედ მოკლედ იყო გადმოცემული ოპოზიციის წარმომადგენელთა გამოსვლები, რიგ შემთხვევებში დამახინჯებული შინაარსით, ანდა მხოლოდ დასახელებული იყო სხდომაზე გამოსული ოპოზიციონერი დეპუტატების გვარები. „მთავრობის მოამბე, როგორც ორგანო, რომელიც ხალხის ხარჯზე გამოდის, ვალდებულია მოათავსოს ჩვენი სხდომების ანგარიშები, რამდენადაც შესაძლებელია მიუდგომლად. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ამ მოვალეობას ის არ ასრულებს და თუ ასრულებს, ისე რომ ყოვლად შეუძლებელია: ზოგიერთი ორატორების სიტყვები სულ არ მოჰყავთ, ზოგიერთის დამახინჯებით, ხოლო ზოგიერთი დეპუტატების სიტყვები იბეჭდება მთელ სვეტებათ და ფელეტონებად“ (ოქმები, ტ. VI, გვ.407).

სოციალისტ-რევოლუციონერთა აზრით, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ საერთოდ უნდა დაეხურათ, ხოლო სახელმწიფო სააგენტოს მიმართ მრავალი პრეტენზია გამოითქვა. მოვიყვანთ მხოლოდ ფრაზებს ლეო შენგელაიას გამოსვლიდან:

- „სააგენტო სისტემატიურად ებრძვის არასოციალ-დემოკრატ ორატორებს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.423);

- „სააგენტო ჩვენ სიტყვას ობიექტურად კი არ გადასცემს, არამედ რეცენზიას უკეთებს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.421-422);

- სააგენტო სისტემატიურად ებრძვის ჩვენს თავისუფალ სიტყვას, ამახინჯებს და ამასხარავებს მას, განსაკუთრებით ოპოზიციის ორატორების სიტყვებს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.419);

- „სააგენტო ალამაზებს სოციალ-დემოკრატ ორატორების სიტყვებს. რუსულ ენაზე ეს სიტყვები უფრო კარგად გამოდის, ვიდრე ამ ტრიბუნიდან“ (ოქმები, ტ. VI, გვ.421).

სოციალ-დემოკრატი და ესერი ორატორების კამათს თუ მოკლედ შევაჯამებთ, რამდენიმე საკვანძო საკითხი შეიძლება გამოიყოს

საბიუჯეტო ფულით დაფინანსებული მედია სამთავრობოა თუ სახელმწიფო

შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის განცხადებით, ესერების მხრიდან წამოსული კრიტიკა სრულიად უსაფუძვლო იყო, რადგანაც „ყველგან, სადაც კი არსებობს ოფიციალური გაზეთი, ის სწორედ ისეთი ხასიათისაა, როგორც ჩვენი ოფიციალური ორგანო“ (ოქმები, ტ. VI, გვ.409). მისივე თქმით, გაზეთმა უნდა მისცეს ხალხს „დასაბუთება იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებს დამფუძნებელი კრება და მისი ნდობით აღჭურვილი მთავრობა“, „ეს არის მოვალეობა ყოველი მთავრობისა და არასოდეს არც ერთი მთავრობა სხვანაირ პოლიტიკას არ აწარმოებს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.411). ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ ოფიციალურ გაზეთში ვერ დაიბეჭდებოდა დამფუძნებელ კრებაში წარმოთქმული ყველა სიტყვა, ისევე როგორც დეპეშათა სააგენტო მათ ვერ გადასცემდა. ამ საინფორმაციო საშუალებების ვალდებულება იყო ხალხს გააცნოს „პოლიტიკა მთავრობისა“, ამიტომ „დეპეშათა სააგენტომ და ამ გაზეთებმა სწორედ ამ პოლიტიკის დამახასიათებელი სიტყვები და ცნობები უნდა მისცეს ხალხს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.409). იგივე გაიმეორეს სხვა სოციალ-დემოკრატმა ორატორებმაც. ვ. თევზაიას თქმით, „საქართველოს რესპუბლიკა“ იყო ოფიციალური ორგანო და იქ შეუძლებელი იყო დაბეჭდილიყო „სხვა ხასიათის წერილები“ (ოქმები, ტ. VI, გვ.412). რუსიას განცხადებით, „ყოვლად შეუძლებე-

ლია სტენოგრაფიული ანგარიში თქვენი წარმოთქმული სიტყვისა... დეპეშათა სააგენტოს ამის არც ადგილი და არც საშუალება არ ექნება“ (ოქმები, ტ. VI, გვ.424).

ესერებისთვის მიუღებელი იყო მოსაზრება, რომ სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებს მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის პოზიციის გაშუქება ევალებოდა. ილია ნუცუბიძის (ს. რ.) თქმით, „სოციალ-დემოკრატებს ჰგონიათ, რომ ოპოზიცია არ არის სახელმწიფოებრივ ორგანიზმის ნაწილი“, ამიტომ „ოფიციალური ორგანო... აწვდის ხალხს ცალმხრივ ცნობებს ჩვენი მუშაობის შესახებ“ (ოქმები, ტ. VI, გვ.417). ილია ნუცუბიძე აღნიშნავდა, რომ ოპოზიციონერი დეპუტატები იყვნენ „იმგვარივე წესით არჩეულნი, როგორც უმრავლესობა, ჩვენც ისეთივე უფლება და ვალდებულებანი გვაქვს და ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ ჩვენი ხმაც მისწვდეს ხალხს“, კერძო პარტიულ ორგანოებს შეუძლიათ „სავსებით არ მოიყვანონ მოწინააღმდეგე პარტიის ორატორების აზრი“, მაგრამ „ოფიციალურ ორგანოს, რომელსაც ასაზრდოებს ნივთიერად დამფუძნებელი კრება, არავითარ შემთხვევაში ამის უფლება არ აქვს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.417).

ლეო შენგელია ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ მთავრობის გაზეთის დანიშნულება მთავრობის პოლიტიკის გაშუქებაა, მაგრამ ასევე მის ვალდებულებად მიაჩნდა დამფუძნებელი კრების სხდომების ანგარიშების გამოქვეყნება, „რამდენადაც შესაძლებელია მიუდგომლად“ (ოქმები, ტ. VI, გვ.407).

პროპაგანდის უფლება თუ ხალხისთვის ოპოზიციის მოსაზრებების მიწოდების უფლება

სოციალ-დემოკრატების მტკიცებით, ესერები სინამდვილეში ითხოვდნენ ოფიციალური გაზეთის და სააგენტოს მეშვეობით პარტიული პროპაგანდის უფლებას. ვ. თევზაიას (ს. დ.) მტკიცებით, ლეო შენგელაიას უნდოდა მოეთხოვა დამფუძნებელი კრებისაგან სპეციალური დადგენილება, რომ „მისი სიტყვები დაბეჭდონ ვრცლად“ (ოქმები, ტ. VI, გვ.411). რუსიამ (ს. დ.) ეს თემა გააგრძელა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო სააგენტო არ იყო „სააგიტაციო ორგანო... სხვა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებისა“ (ოქმები, ტ. VI, გვ.424).

ესერების აზრით მიუღებელი იყო დამფუძნებელი კრების დეპუტატების დაყოფა ხელისუფლების წარმომადგენლებად, რომელთაც პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდნენ და ოპოზიციონერებად. ლეო შენგელაიას (ს. რ.) განცხადებით, ეს იყო „არა სასურველი და მახინჯი მოვლენა ჩვენს პარლამენტარულ ცხოვრებაში“ (ოქმები, ტ. VI, გვ.415) და „სოციალისტურ დამფუძნებელ კრებაში“ არ უნდა ქონოდა ადგილი პრივილეგიებს დეპუტატთა ნაწილისათვის. „ჩვენ ვართ ხალხის წარმომადგენელნი და როგორ შეიძლება, რომ ხალხის ერთ წარმომადგენელს ჰქონდეს ერთი უფლება და მეორეს ნაკლები“ (ოქმები, ტ. VI, გვ.415). იგივე გაიმეორა ილია ნუცუბიძემაც (ს. რ.): „ჩვენ დეპუტატები, ხალხის წარმომადგენლები ვართ და არა გაქვთ ზნეობრივი უფლება, რომ ჩვენი სიტყვები არ იქნას მოთავსებული ისე, როგორც ათავსებთ თქვენ სიტყვებს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.417). ლეო შენგელაიას თქმით, ეს იყო „უარყოფა პარლამენტარიზმისა“ (ოქმები, ტ. VI, გვ.423).

უნდა თუ არა ხალხს ოპოზიციის მოსმენა

სოციალ-დემოკრატმა ორატორებმა ის არგუმენტიც მოიშველიეს, რომ ხალხი ოპოზიციის აზრების მოსმენის წინააღმდეგი იყო. რუსიას (ს. დ.) თქმით, მათ ოპოზიციის აზრების გავრცელება თუნდაც რომ დაეწყოთ, „ამის ნებას ხალხი არ მოგვცემს“-ო (ოქმები, ტ. VI, გვ.424).

ესერების აზრით კი იმის გადაწყვეტის უფლება, თუ რა უფრო აინტერესებს ხალხს მმართველ პარტიას არ ჰქონდა. ლეო შენგელაიას განცხადებით, „ვისი სიტყვა არის უფრო ახლოს ხალხთან და ვისი შორს, ვისი სიტყვა უფრო იცავს ხალხის ინტერესებს, ეს სადავო საკითხია. დეე ეს ხალხმა გაარკვიოს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.415).

თავი XI. დამფუძნებელი კრების სხდომების მიმდინარეობა (მალხაზ მაცაბერიძე)

11.1. დისკუსია პარლამენტარიზმის შესახებ

დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატიის აბსოლუტური დომინირება ქმნიდა ვითარებას, რომ მათ არ სჭირდებოდათ რომელიმე ოპოზიციურ ფრაქციასთან თანხმობის ძიება. მათ შეეძლოთ პარტიის შიგნით განეხილათ ნებისმიერი საკითხი და, მიუხედავად დამფუძნებელი კრების დარბაზში მიმდინარე დებატებისა, ოპოზიციის მიერ წამოყენებული არგუმენტებისა და მოსაზრებებისა, არ მიექციათ ამ ყველაფრისთვის ყურადღება და მაინც თავისი თვალსაზრისი უცვლელი სახით გაეტანათ. ასეთი ვითარება ოპოზიციის უკმაყოფილებას იწვევდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სოციალ-დემოკრატებმა ფაქტობრივად პარლამენტარიზმი მოკლეს.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე გრიგოლ ვეშაპელმა (ე. პ.) თავის გამოსვლის დროს განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ „ძირში ჩაკლა და მოსპო სახე პარლამენტარიზმისა და ... უკანასკნელი თავის კაბინეტში გადაიტანა“ (ოქმები, ტ. IV, გვ.86). მოგვიანებით, მისივე თქმით, პარლამენტარიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის „არის საჭირო, რომ ერთი პარტია არ იყოს მთავრობაც, დამფუძნებელი კრებაც, რესპუბლიკაც და ყველაფერიც“ ოქმები, ტ. VI, გვ.51). მის ამ სიტყვებს დარბაზში „საერთო სიცილი“ მოჰყვა.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 მარტის სხდომაზე შალვა ნუცუბიძე (ს. ფ.) დაწვრილებით შეეხო პარლამენტარიზმის არსს, მის პრინციპებს, აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატია არ აფასებდა პარლამენტარიზმს და საპარლამენტო ბრძოლის მნიშვნელობას. შალვა ნუცუბიძის თქმით, პარლამენტი წარმოუდგენელია ოპოზიციის გარეშე, პარლამენტს მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფი პარტია ვერ შექმნის. „აშკარაა ყველასათვის, რომ თქვენ არა გაქვთ შეგნებული პარლამენტარიზმი, მისი ტრადიციები, თქვენ ცდებით, ბატონებო, თუ გგონიათ რომ პარლამენტი თქვენ მიერ არის შექმნილი. არა, უნდა შეურიგდეთ აზრს, რომ პარლამენტის შექმნაში მონაწილეობა მიიღო ყველა ფრაქციებმა... წარმოიდგინეთ, ბატონებო, რომ ერთ მშვენიერ დღეს გავედით აქედან, რა მდგომარეობა შეიქმნება მაშინ? იკისრებთ მარტო თქვენ პასუხისმგებლობას?... გაქრება, რა თქმა უნდა, უკანასკნელი ნასახიც პარლამენტარიზმისა“ (ოქმები, ტ. V, გვ.353).

შალვა ნუცუბიძე ბრალს სდებდა სოციალ-დემოკრატებს იმაში, რომ სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა გადაიტანეს თავიანთი ფრაქციის ოთახში, - „იქ, მეორე ოთახში არსებობს დღეს ფაქტიური პარლამენტი, იქ არსებობს დღეს ფაქტიური მენშევიკური ფრაქცია, იქ სწყდება საკითხები, ეს კი აი, ეს დარბაზი მხოლოდ მოჩვენებაა, მხოლოდ ლამაზი შირმაა“ (ოქმები, ტ. V, გვ.353). შალვა ნუცუბიძის შეფასებით, ეს იყო სახელმწიფოებრივი საქმეების „ნამალევი კეთება“ და ეს იმიტომ ხდებოდა, რომ სოციალ-დემოკრატებს არ ჰქონდათ შეგნებული „სახელმწიფოებრივი მუშაობის ხასიათი... ფასი პარლამენტარიზმისა“ (ოქმები, ტ. V, გვ.352).

პასუხის გაცემა იკისრა ბენია ჩხიკვიშვილმა (ს. დ.). მისი თქმით, ყველა საპარლამენტო ფრაქციას სასახლეში ჰქონდა „საკუთარი ოთახი, ბიურო“ (ოქმები, ტ. V, გვ.361) და არავის უნდა გაკვირვებოდა, რომ „პასუხისმგებელ ფრაქციაში მინისტრები შედიან და ანგარიშს აძლევენ მას თავიანთ მოქმედების შესახებ“ (ოქმები, ტ. V, გვ.361). ბენია ჩხიკვიშვილის განცხადებით უცნაური იყო მოთხოვნა, რომ პარტიულ ფრაქციას ცალკე არ ემსჯელა და განსახილველი საკითხები დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოეტანა. „ყველა პარლამენტისთვის სავალდე-

ბულოა, რომ ჯერ ფრაქციებში იქნას საკითხი განხილული და შემდეგ აქ გადმოტანილი, ხოლო ის, რაც ითქმება ფრაქციაში ერის საკეთილდღეოთ, ის არ იმალება... ჩვენი მოღვაწეობა დღემდე ამის თავდებია“ (ოქმები, ტ. V, გვ.362).

ამგვარი დებატების შემდეგ არც ოპოზიცია იცვლიდა აზრს დამფუძნებელ კრებაში „პარლამენტარიზმის სიკვდილის“ შესახებ და არც სოციალ-დემოკრატები ხედავდნენ რაიმე პრობლემას დამფუძნებელ კრებაში არსებულ ვითარებაში.

11.2. ხელისუფლებისა და ოპოზიციის პასუხისმგებლობის შესახებ

დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოპოზიციის არსებობის საჭიროებას, ცხადია, არავინ უარყოფდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 მარტის სხდომაზე ევგენი გეგეჭკორი (ს. დ.) კიდევ ერთხელ შეეხო ოპოზიციის დანიშნულებას და აუცილებლობას პარლამენტში. „ოპოზიცია აუცილებელ მოვლენას წარმოადგენს და მასთან, მოვლენას პროგრესიულს, ვინაიდან ის მოწოდებული არის უჩვენოს მომქმედ ჯგუფს, მმართველ აპარატს იმ შეცდომებზე, რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ ეს მმართველი აპარატი ჩაიდენს“, მაგრამ მისი თქმით, ამასთან ერთად ოპოზიციამ უნდა დააკმაყოფილოს „ერთი აუცილებელი მოთხოვნილება“, კერძოდ უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი. „თუ ის ამ მოთხოვნილებას ვერ ასრულებს, მაშინ ის, თავისთავად ცხადია, პირნათლად ვერ ემსახურება თავის დანიშნულებას“ (ოქმები, ტ. VI, გვ.40). ამ სახის განსჯა ოპოზიციის მნიშვნელობის თაობაზე მმართველ პარტიას იმისთვის სჭირდებოდა, რომ დამფუძნებელ კრებაში არსებული ოპოზიცია, განსაკუთრებით მემარცხენე, არაობიექტურობასა და ტენდენციურობაში დაედანაშაულებინა.

დამფუძნებელი კრების სხდომებზე ზოგჯერ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთთან დაპირისპირების დროს საუბრობდა პასუხისმგებლობის შესახებ. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე თედო ღლონტი (ს. ფ.) სოციალ-დემოკრატებს მიმართავდა: „ჩვენ, ოპოზიციას, გვაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა სახელმწიფოს წინაშე და ეს გრძნობა უფრო უნდა იყოს გაღვიძებული თქვენში“ (ოქმები, ტ. IV, გვ.115). სპირიდონ კედია (ე. დ.) ხაზგასმით აღნიშნავდა მმართველი პარტიის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე: „უმრავლესობის ფრაქციას, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფოს საჭე და რომელსაც საბოლოო ანგარიშში მხოლოდ ერის ინტერესი უნდა დაიცვას, არ შეუძლია ჰქონდეს სხვანაირი საზომი, გარდა სახელმწიფო საზომისა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.205).

სოციალ-დემოკრატებისთვის უპასუხისმგებლო ოპოზიცია იყო. ნ. ხომერიკი (მიწათმოქმედების მინისტრი) აღნიშნავდა: „ოპოზიციის ბევრი ორატორი რომ გრძნობდეს პასუხისმგებლობას, პატივსა სცემდეს დამფუძნებელ კრებას და აფასებდეს ამ მაღალ ტრიბუნას, ასე არ მოიქცეოდა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.243). ოპოზიციისთვის პირიქით, - ხელისუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატები. ამ მხრივ დამახასიათებელია დამფუძნებელი კრების 1919 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე გაშლილი კამათი. ლეო შენგელაია (ს. რ.) პასუხობდა გრიგოლ გიორგაძეს (ს. დ.): „მან ბრძანა - თქვენ ხართ უპასუხისმგებლო ოპოზიციაო. მე მინდა მოგახსენოთ თუ მართლაც ვინ არის უპასუხისმგებლო და ვინ არა, და როგორ გვესმის ეს პასუხისმგებლობა. ჯერ ერთი ყოველი ჩვენი ფრაქციის წევრი სახალხო დეპუტატია, ჩვენი ფრაქცია არჩეული არის ისეთივე სისტემით, ისეთივე წესით, როგორც თქვენი, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ უპასუხისმგებლო. ჩვენ პასუხს ვაგებთ ხალხის და მომავლის წინაშე, ჩვენ ვეკუთვნით პარტიას, ჩვენ ვართ პასუხისმგებელი პარტიის წინაშე... ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ხალხის წინაშე“ (ოქმები, ტ. IV, გვ.289-290). ლეო შენგელაიას თქმით, სოციალ-დემოკრატებს პასუხისმგებლობა თავისებურად ესმოდათ. „სოციალ-დემოკრატებს უნდათ, რომ ჩვენ ვიყოთ პასუხისმგებელნი

მათი მოქმედებისა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან სოციალ-დემოკრატების მოქმედების პასუხისმგებელნი ვიყოთ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.290). ლეო შენგელაიამ უპასუხისმგებლოდ სოციალ-დემოკრატია გამოაცხადა: „უპასუხისმგებლო ის არის, ვინც მხოლოდ თავის თავის წინაშე აგებს პასუხს. ს.-დ. პასუხს აგებს მხოლოდ თავის თავის წინაშე. მაშასადამე უპასუხისმგებლონი ბრძანდებით თქვენ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.289-290).

სოციალ-დემოკრატების მხრიდან დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ ნეგატიური იყო, მიაჩნდათ, რომ ოპოზიცია რაიმე საყურადღებო და ანგარიშგასაწევ შეთავაზებას არ გააკეთებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია შემთხვევა დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე. ილია ნუცუბიძის (ს. რ.) სიტყვებს: „იმედს გამოვსთქვამთ, რომ მომავალში მთავრობა აწარმოებს უფრო მტკიცე პოლიტიკას“, ვ. ჯუღელის (ს. დ.) დამცინავი რეპლიკა მოჰყვა: „გვასწავლით?“ ილია ნუცუბიძის პასუხმა არ დააყოვნა: „რა გასწავლოთ, როცა ჩვენსას მაინც არაფერს გაიგონებთ, ვინაიდან ოპოზიციის მიერ ნათქვამი, ყველაფერი ეშმაკური გგონიათ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.140).

სოციალ-დემოკრატები თავიანთ პოლიტიკას ერთადერთ სწორ გზად მიიჩნევდნენ. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე ნოე რამიშვილი აღნიშნავდა: „ის გზა, რომელსაც ადგა მთავრობა არის ერთად ერთი სწორი და სამართლიანი გზა“ (ოქმები, ტ. III, გვ.308) და „თუ პარტიას სურს სერიოზული ოპოზიცია და არა დემაგოგია, მან უნდა იცოდეს, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, არის ერთად ერთი სწორი გზა“ (ოქმები, ტ. III, გვ.310).

სოციალ-დემოკრატები აცხადებდნენ, რომ ოპოზიცია მხოლოდ კრიტიკით იფარგლებოდა და არ ჰქონდა საკუთარი გეგმა იმის თაობაზე თუ რა უნდა გაკეთებულიყო. ვ. თევზაია (ს. დ.) აღნიშნავდა ბიუჯეტის განხილვის დროს: „ჩვენ გვეგონა, რომ ოპოზიციის ორატორები დაგვიწუნებდნენ ბიუჯეტს და თავის გეგმას წარმოადგენდნენ. მაგრამ ეს არ მოხდა. სამწუხაროდ, უბადრუკია ის ოპოზიცია, რომელსაც საკუთარი გეგმა არა აქვს, ან და ვერ ახერხებს მის დამფუძნებელ კრების წინაშე გამოქვეყნებას“ (ოქმები, ტ. VII, გვ.188).

სოციალ-დემოკრატების აზრით, ოპოზიციის გამოსვლები, როგორც ბენია ჩხიკვიშვილი(ს. დ.) აღნიშნავდა, გამოწვეული იყო იმით, რომ „დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან პარტიული კინკლაობა აწარმოვონ“ (ოქმები, ტ. V, გვ.359). მაშინ როდესაც, ნოე რამიშვილის თქმით, „ყოველი პარტიის მოვალეობა არის მთავრობის მოღვაწეობას შეეხოს... იმისთვის, რომ მართლაც უჩვენოს მოქმედების გზა იმ პარტიას, რომელიც სათავეში უდგას სახელმწიფოს“ (ოქმები, ტ. V, გვ.328).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 მარტის სხდომაზე კირილე ნინიძემ (ს. დ.) ოპოზიციის კრიტიკისას აღნიშნა, რომ ოპოზიციას „ერთი ზნე დასჩემდა“. კერძოდ, ფიქრობს, რომ „სიმართლის თქმა მარტო უმცირესობის ფრაქციას შეუძლია, რომ ის არის მარტო დამცველი დემოკრატიისა და ჭეშმარიტებისა“, „მათ მაინც გონიათ, რომ რაკი უმცირესობაში ბრძანდებიან, ისინი უთუოდ უნდა იყვნენ ოპოზიციონერები და ყოველ წვრილმან საკითხზე ასტეხონ დავა“ (ოქმები, ტ. VI, გვ.100).

11.3. სხდომას წარმართავდა და წესრიგს იცავდა თავმჯდომარე

თავმჯდომარის უფლებამოსილება

რეგლამენტის თანახმად, დამფუძნებელი კრების სხდომებს თავმჯდომარე ხელმძღვანელოდა. არავის ჰქონდა უფლება თავმჯდომარისთვის სიტყვა შეებრუნებინა მისი შენიშვნისა

და განმარტების გამო. არავისშ შეეძლო სიტყვის წარმოთქმა თავმჯდომარის ნებართვის გარეშე. შეიძლებოდა მხოლოდ წერილობითი პროტესტის წარდგენა თავმჯდომარის მოქმედების გამო, რაც სხდომის ჟურნალში იქნებოდა შეტანილი გამოქვეყნების გარეშე.

თუ ორატორი „საგანს გადაუხვევდა“, თავმჯდომარეს წინადადება უნდა მიეცა საკითხს დაბრუნებოდა (რეგლამენტი, მუხლი 109). თუ ორატორი თავმჯდომარეს არ ემორჩილებოდა, იყენებდა შეურაცხმყოფელ, უკმეხ ან ზოგადად, „დამფუძნებელ კრების ღირსების შეუფერებელ სიტყვებს“, თავმჯდომარეს შეეძლო შემდეგი ზომები მიეღო: ა/ მოეწოდებინა წესიერებისკენ; ბ/ მიეცა შენიშვნა; გ/ ჩამოერთვა სიტყვა (სიტყვა ჩამორთმეულ ორატორს იმ თემაზე სიტყვა აღარ მიეცემოდა იმავე სხდომაზე); დ/ წინადადება მიეცა დამფუძნებელი კრებისთვის ასეთი წევრი გაეძევებინათ („დაეთხოვათ“) ერთი, ორი ან სამი სხდომიდან (რეგლამენტი, მუხლი 110). თუკი წესრიგს არღვევდა დამფუძნებელი კრების წევრი, თავმჯდომარეს შეეძლო: ა/ მოეთხოვა მისთვის „წესიერების დაცვა“; ბ/ მიეცა შენიშვნა; გ/ წინადადებით მიემართა დამფუძნებელი კრებისთვის, რომ წესრიგის დამრღვევი დეპუტატი „სხდომიდან დაეთხოვათ“ (რეგლამენტი, მუხლი 111).

თავმჯდომარის წინადადებებს წესრიგის დამრღვევი ორატორის ან დამფუძნებელი კრების წევრის სხდომიდან გაძევების შესახებ კენჭი ეყრებოდა კამათის გარეშე. მაგრამ კენჭისყრამდე „წესიერების დამრღვევ წევრს“ შეეძლო პირადად ან დამფუძნებელი კრების რომელიმე სხვა წევრის მეშვეობით კრებისთვის წარედგინა თავისი განმარტება, ამასთან მხოლოდ ერთხელ და ამისათვის 10 წუთი ეძლეოდა (რეგლამენტი, მუხლი 112).

რეგლამენტი ითვალისწინებდა სხდომის ჩაშლის შესაძლრბლობასაც. „თუ დარბაზში ხმაურობა ასტყდა, ან უწესობა დაიწყო და თავმჯდომარემ მისი შეჩერება ვერ მოახერხა“, ამ შემთხვევაში თავმჯდომარე თავის ადგილს ტოვებდა და სხდომა ნახევარი საათით შეწყვეტილად ითვლებოდა. თუ სხდომის განახლების შემდეგაც „ხმაურობა და უწესოება“ გაგრძელდებოდა, თავმჯდომარეს სხდომა დახურულად უნდა გამოეცხადებინა (რეგლამენტი, მუხლი 113).

დამფუძნებელი კრების მუშაობის დროს, თავმჯდომარეს ხშირად უხდებოდა დამფუძნებელი კრების წევრების ცხარე კამათის დარეგულირება. თავმჯდომარე მოუწოდებდა ორატორს დაბრუნებოდა სალაპარაკო საგანს (ოქმები, ტ. III, გვ.34). თავმჯდომარე ითხოვდა მისი სიტყვისთვის კომენტარები არ გაეკეთებინათ: „მე ბოდიშს ვიხდი თქვენ წინაშე, უმორჩილესად გთხოვთ ჩემს სიტყვებს კომენტარებს ნუ გაუკეთებთ“ (ოქმები, ტ. III, გვ.34). იყო შემთხვევები, როდესაც თავმჯდომარე ორატორს სთხოვდა, ხმამაღლა ელაპარაკა: „გთხოვთ ხმა მაღლათ ილაპარაკოთ“, „თუ შეიძლება ხმა მაღლა ილაპარაკეთ“ (ოქმები, ტ. III, გვ.34 და 35). „თუ შეიძლება ხმა მაღლა“ (ოქმები, ტ. III, გვ.200).

იყო სხვადასხვა სიტუაციები:

კათედრის ღირსებას თავმჯდომარე იცავს

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე ბენია ჩხიკვიშვილს, რომელიც სიტყვით გამოდიოდა, გიორგი გვაზავა ადგილიდან შეეპასუხა: „სირცხვილია ამაზე ტრიბუნიდან ლაპარაკი“, რაზედაც თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა: „უკაცრავად ბატონო, კათედრის ღირსების დაცვა მიანდეთ თქვენს თავმჯდომარეს“ (ოქმები, ტ. III, გვ.148).

ორატორს ხელს უშლიან

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზე გიორგი გვაზავას (ე. დ.) სიტყვით გამოსვლას ხელს უშლიან, დარბაზში ხმაურია, სხდომის თავმჯდომარე ცდილობს წესრიგის დამყარებას და დარბაზს აფრთხილებს, რომ დაასახელებს დამფუძნებელი კრების იმ წევრებს, რომლებიც ორატორს ხელს უშლიან. „თავმჯდომარე: მე იძულებული ვიქნები დავა-

სახელო ის დეპუტატები, რომელნიც ხელს უშლიან ორატორს. გთხოვთ განაგრძოთ!“ (ოქმები, ტ. III, გვ.269).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე თავმჯდომარეობდა სიმონ მდივანი. მას უხდება წესრიგის დაცვა. სტენოგრამაში დაფიქსირებულია შემდეგი: „ხმაურობა სკამებზე. არ ისმის არაფერი. ზარი. თავმჯდომარე: ბატონებო, აცალეთ ორატორს სიტყვის თქმა, თორემ მე იძულებული ვიქნები მივმართო არასასურველ ზომებს“ (ოქმები, ტ. IV., გვ.153).

ორატორს თავმჯდომარე კორექტულობას სთხოვს

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 თებერვლის სხდომაზე თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ შენიშვნა მისცა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ა. ჭიჭინაძეს მის მიერ გამოყენებული სიტყვის გამო, რამაც დეპუტატის აღშფოთება გამოიწვია:

„ა. ჭიჭინაძე: ... როდესაც ასე აყენებთ საკითხს, უნდა დავსვათ საკითხი: სინდისიერი კრიტიკა არის ეს თუ უსინდისო.

შენგელაია: შეიძლება ასე ლაპარაკი? როგორ შეგიძლიათ დეპუტატის შეურაცხყოფა, ფაქტები უარყავით!

გვაზავა: შეუძლებელია ასეთი სიტყვების ხმარება!

თავმჯდომარე: ნება მიბოძეთ გავიგო რაშია საქმე. გთხოვთ ბ-ნო ორატორო გაიმეოროთ უკანასკნელი სიტყვები.

ჭიჭინაძე: მე უწოდებ ასეთ კრიტიკას არა სინდისიერს.

თავმჯდომარე: გთხოვთ ყოველ შემთხვევაში ფრთხილად იყოთ ასეთი სიტყვების ხმარების დროს“ (ოქმები, ტ. V, გვ.309).

თავმჯდომარე წესრიგის დამრღვევ დეპუტატების გვარების დასახელებით იმუქრება

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზე სიტყვით გამოდიოდა გიორგი გვაზავა. თავმჯდომარეობდა სიმონ მდივანი. თავმჯდომარე: „შეუძლებელია ასეთის წესით კამათის გაგრძელება. გთხოვთ სიწყნარეს. განაგრძეთ ბ. გვაზავა!“. თუმცა დარბაზში ხმაური გრძელდებოდა. თავმჯდომარე ხელისშემშლელი დეპუტატების დასახელებით იმუქრება: „მე იძულებული ვიქნები დავასახელო ის დეპუტატები, რომელნიც ხელს უშლიან ორატორს. გთხოვთ განაგრძოთ!“ (ოქმები, ტ. III, გვ.269).

თავმჯდომარე დეპუტატს სხდომიდან გაძევებით ემუქრება

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 მარტის სხდომაზე სიტყვით გამოდის შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. მის გამოსვლას თან სდევს რეპლიკები დარბაზიდან, თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძე ილია ნუცუბიძეს (ს. რ.) სხდომიდან გაძევებით დაემუქრა:

„ხმაურობაა. შალვა ნუცუბიძე ღელავს.

თავმჯდომარე: მე ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არავითარი ღონე და ძალა არა მაქვს ნუცუბიძეზე რაიმე გავლენა მოვახდინო, თუ კიდევ განაგრძეთ ბ. ნუცუბიძევ ასეთი ყოფა-ქცევა, მე იძულებული ვიქნები გაგაძევოთ სხდომიდან.

ილ. ნუცუბიძეც ღელავს და რეპლიკებს იძლევა, ხმაურობაა, რეპლიკა არ ისმის.

თავმჯდომარე: გთხოვთ, დაწყნარდეთ ბ. ნუცუბიძე ილია, ნუ ჩამაყენებთ ისეთ მდგომარეობაში, რომ რეპრესიულ ზომებს მივმართო; კეთილ ინებეთ და მოუსმინეთ ბ. მინისტრის სიტყვას“ (ოქმები, ტ. V, გვ.343).

უცნაური დიალოგი თავმჯდომარესა და დეპუტატს შორის

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 25 ნოემბრის სხდომის დამთავრებისას თავმჯდომარემ განაცხადა: „ეხლა რეპლიკები გააგრძელეთ!“. თავმჯდომარის სიტყვას წინ უსწრებდა ოქმ-

ში დაფიქსირებული გ. გვაზავას 5 რეპლიკა, თავმჯდომარის განცხადება სწორედ გვაზავას ბოლო რეპლიკას მოჰყვა, ამიტომ გ. გვაზავა გამოეხმაურა:

„გვაზავა: რა ამბავია?

თავმჯდომარე: ის ამბავია, რომ დაწყნარდით!

გვაზავა: მე დაწყნარებული ვარ.

თავმჯდომარე: მაშ განაგრძეთ თქვენი სიჩუმე“ (ოქმები, ტ. IV, გვ.243).

თავმჯდომარის კონფლიქტი დამფუძნებელი კრების წევრთან

თავმჯდომარეს სხდომის დროს წესრიგის დამყარებისას შეიძლება გაენაწყენებინა დამფუძნებელი კრების წევრი. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ გრიგოლ ვეშაპელის გამოსვლის დროს შენიშვნა მისცა გიორგი გვაზავას. ეს სხდომის სტენოგრამაში შემდეგნაირად არის დაფიქსირებული; „...გთხოვთ დაბრძანდეთ ბატონო გვაზავა! (ხმაურობა ერ.-დემ. სკამებზე, გვაზავა - სიტყვას ვთხოულობ რეგლამენტის დარღვევის გამო!) გთხოვთ დაბრძანდეთ!... ბა-ნო ორატორო განაგრძეთ სიტყვა“ (ოქმები, ტ. III, გვ.388).

გაბრაზებულმა გიორგი გვაზავამ ეს არ დაივიწყა და დამფუძნებელი კრების სხდომაზე განცხადება გააკეთა: „ბატონებო, ჩემი განცხადება ცოტა დაგვიანებულია. როდესაც ბატონი ვეშაპელი ლაპარაკობდა, მაშინ თავმჯდომარემ დამიყვირა. მე მაშინვე შევიტანე განცხადება და ვითხოვე სიტყვა. ეს სიტყვა მას უნდა მოეცა ჩემთვის მაშინვე, რადგანაც რეგლამენტის 103 მუხლის ძალით, დამფუძნებელი კრების წევრს შეუძლიან მიიღოს სიტყვა რიგს გარეშე... ჩემის აზრით შეუძლებელია, რომ თავმჯდომარე ისე უყვიროდეს დამფუძნებელი კრების წევრს, თითქოს იგი მისი მოსამსახურე იყოს (ხმები მარცხნივ: - მართალია!). მართალია რეგლამენტი განსაზღვრულ უფლებას აძლევს თავმჯდომარეს, რომ მან შენიშვნა მისცეს წევრს, მაგრამ ყვირილი, რომელიც დამამცირებელია პიროვნებისა, ყოვლად მიუღებელია. ამიტომ მე ასეთი მოქცევის წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებ“ (ოქმები, ტ. III, გვ.392-393).

გ. გვაზავას გამოსვლის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ალ. ლომთათიძემ განმარტება გააკეთა. მისი თქმით, რეგლამენტის 103-ე მუხლით დამფუძნებელი კრების წევრს შეუძლია რიგგარეშე სიტყვის მოთხოვნა, მაგრამ რეგლამენტში არ არის განსაზღვრული, - ეს სიტყვა მაშინვე უნდა მიეცეს თუ მოგვიანებით. გ. გვაზავას გამოსვლის მეორე ნაწილის შესახებ ალ. ლომთათიძემ განაცხადა, რომ ეს რეგლამენტის დარღვევას არ შეეხებოდა: „ეს არის კრიტიკა თავმჯდომარის მოქმედებისა და ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ იმავე რეგლამენტის ძალით თავმჯდომარის მოქმედების კრიტიკა დამფუძნებელი კრების წევრის მიერ დაუშვებელია. მაშასადამე, თუ რეგლამენტის დარღვევაზე არის ლაპარაკი, ეს გვაზავას მხრივ მოხდა“ (ოქმები, ტ. III, გვ.393).

თუმცა ალექსანდრე ლომთათიძემ იქვე მოუბოდიშა გვაზავას, რომ მას შეურაცხყოფის მიყენება არც უფიქრია: „ხმა მაღლა ლაპარაკზე უნდა მოგახსენოთ, რომ მე არა ვარ დამნაშავე იმაში, რომ ბუნებას ჩემთვის ასეთი ხმა მოუცია. მე არასოდეს არ მქონია ის ველური აზრი, რომ ვინმე დამემცირებინა. ვიმეორებ, რომ ასეთი ველური აზრი არასოდეს არ მომსვლია თავში. და ჩემი ნახევარი წლის მოქმედება თავმჯდომარის როლში ამის დამამტკიცებელია. (ხმები: მართალია!) ეს არის ჩემი განმარტება და დანარჩენი თქვენი საქმეა“ (ოქმები, ტ. III, გვ.393).

თავმჯდომარე დეპუტატებს „შეუფერებელი სიტყვების“ გამოყენებას უკრძალავს

თავმჯდომარე ცდილობდა თავიდან აეცილებინა დამფუძნებელი კრების სხდომებზე „შეუფერებელი“ სიტყვების გამოყენება. ეს იყო ყველა ისეთი გამონათქვამი, რაც შეურაწყოფად აღიქმებოდა დამფუძნებელი კრების წევრების მიერ. მაგალითად, ფრაზა „დამფუძნებელი კრების წევრნი, რომელნიც იცავენ სპეკულანტებს“ (ოქმები, ტ. V, გვ.433). შეურაწმყოფელი იყო.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 9 მარტის სხდომაზე თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ „ამ უკანასკნელ სხდომებზე შეუფერებელი სიტყვების ხმარება დაიწყეს ორატორებმა“. ალექსანდრე ლომთათიძის თქმით, „პრეზიდიუმის მოგონება არ უნდა ყოფილიყო საჭირო დეპუტატებისათვის შესახებ იმისა, თუ როგორ ფორმაში ჩამოასხას დეპუტატმა თავისი სიტყვა. ბევრჯერ ისეთ სიტყვებს აქვს ადგილი, რომელიც დაუშვებელია. უმორჩილესად გთხოვთ, ასეთი სიტყვები აღარ იხმაროთ და თავი შეიკავოთ, ეს ამცირებს დამფუძნებელ კრებას და დაუშვებელია დამფუძნებელ კრების წევრისთვის“ (ოქმები, ტ. V, გვ.432). თავმჯდომარის ამ სიტყვებს ტაში მოჰყვა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია „შეუფერებელი სიტყვების“ გაქრობა ორატორთა ლექსიკონიდან.

თავმჯდომარე ორატორს დეპუტატის გვარს უსწორებს

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 აპრილის სხდომაზე პავლე საყვარელიძეს (ს. დ.) ერთ-ერთი დეპუტატის გვარი შეეშალა: „ბატონებო! დამფუძნებელი კრების წევრი ბ. თევზაძე ამბობს, რომ ეს შეზღუდვა არის...“, თავმჯდომარემ შეაწყვეტინა და გვარი შეუსწორა: „უკაცრაოთ, თევზაძე არ გახლავთ“. პავლე საყვარელიძემ ბოდიში მოიხადა: „უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი. ბატონო ნუცუბიძე...“ (ოქმები, ტ. I, გვ.232).

11.4. მსჯელობის წესი დამფუძნებელი კრების სხდომებზე

რეგლამენტის თანახმად, დამფუძნებელი კრების წევრს სიტყვის მისაღებად განცხადება უნდა შეეტანა იმ საკითხზე გადასვლის შემდეგ, რომლისთვისაც სიტყვას ითხოვდა. ამასთან, სიტყვის წარმოთქმამდე დამფუძნებელი კრების წევრს არ შეეძლო მეორედ მოეთხოვა სიტყვა. თავმჯდომარე ორატორებს სიტყვას აძლევდა წარდგენილი განცხადებების რიგის მიხედვით. მთავრობის წევრებს სიტყვა რიგგარეშე უნდა მისცემოდათ.

მომხსენებლის გარდა, არავის შეეძლო ერთ საათზე მეტი ელაპარაკა. დამფუძნებელ კრებას შეეძლო უკამათოდ მიეღო გადაწყვეტილება ორატორის სიტყვის გაგრძელების თაობაზე. ყოველ ორატორს, გარდა მომხსენებლისა, ერთსა და იმავე საკითხზე შეეძლო ელაპარაკა მხოლოდ ერთხელ. ეს შეზღუდვა არ შეეხებოდა კამათის შეწყვეტის შემდეგ წარმოთქმულ სიტყვას. როდესაც დამფუძნებელი კრების წევრი სიტყვას ითხოვდა ისეთი საკითხის გამო, რომლის შესახებაც კამათი რეგლამენტით იყო შეზღუდული (იხ. ქვემოთ), მას განცხადებაში უნდა აღენიშნა, ემხრობოდა თუ ეწინააღმდეგებოდა განსახილველ წინადადებას. ამის აღნიშვნის გარეშე განცხადება „უყურადღებოდ იქნებოდა დატოვებული“. თუ სიტყვას ითხოვდა ორატორთა მეტი რიცხვი, ვიდრე რეგლამენტით იყო განსაზღვრული. მაშინ სიტყვა იმას ეძლეოდა, ვინც პირველი წარუდგენდა განცხადებას თავმჯდომარეს (რეგლამენტი, მუხლი 96-101).

კომისიის მომხსენებელს და განსახილველი წინადადების ავტორს რიგგარეშე უნდა მისცემოდათ სიტყვა, ოღონდ მას შემდეგ, რაც მის მიერ სიტყვის მოთხოვნის დროს მოლაპარაკე ორატორი თავის გამოსვლას დაათმავრებდა. თუ სიტყვას მომხსენებელი და განცხადების ავტორი ერთდროულად თხოულობდნენ, მათში პირველი სიტყვა მომხსენებელს ეკუთვნოდა.

ორატორს სიტყვა აუცილებლად ტრიბუნიდან უნდა წარმოეთქვა. თუ თავმჯდომარე მოისურვებდა განსახილველად დასმული საკითხის გამო სიტყვით გამოსვლას, მაშინ რიგში უნდა ჩაწერილიყო და თავისი სიტყვის წარმოთქმის დროს თავმჯდომარეობა სხვისთვის უნდა დაეთმო (რეგლამენტი, მუხლი 107-108). თუ დამფუძნებელი კრების წევრი დარბაზში არ აღმოჩნდებოდა, როდესაც მისი სიტყვის წარმოთქმის რიგი მოვიდოდა, მისი გვარი უნდა გადაეტანათ ორატორთა სიის ბოლოს. თუ მეორედაც არ აღმოჩნდებოდა დარბაზში, სიტყვის უფლებას კარგავდა. დამფუძნებელი კრების წევრებს შეეძლოთ ერთმანეთისთვის შეეცვალათ რი-

გი ან დაეთმოთ სიტყვა იმისათვის, ვისაც სიტყვა აღებული არ ჰქონდა (რეგლამენტი, მუხლი 105-106).

დამფუძნებელი კრების წევრს სიტყვა შეიძლება აეღო რეგლამენტის დარღვევის და პირადი საკითხის გამო. რეგლამენტის დარღვევის გამო რიგგარეშე სიტყვის აღება შეეძლო დამფუძნებელი კრების ყოველ წევრს. ამ შემთხვევაში ორატორს 5 წუთი ეძლეოდა და მისი გამოსვლის გამო კამათი არ იწყებოდა. თუ დეპუტატის ამ განცხადების შემდეგ თავმჯდომარე თავის განმარტებას წარუდგენდა დამფუძნებელ კრებას, ახალი განცხადების შეტანა იმავე საკითხის გამო აღარ შეიძლებოდა. პირადი საკითხის გამო დამფუძნებელი კრების წევრს სიტყვა უნდა მისცემოდა იმავე სხდომაზე, ოღონდ მას შემდეგ, რაც განსახილველად დასმულ საკითხზე კამათი დამთავრდებოდა. ამ შემთხვევაშიც ორატორს 5 წუთი ეძლეოდა და მისი გამოსვლის გამო კამათი არ იწყებოდა (რეგლამენტი, მუხლი 103-104).

მომხსენებლის სიტყვის შემდეგ იწყებოდა კამათი. მხოლოდ კამათის დაწყების შემდეგ შეიძლება შეეტანათ წინადადებები ორატორთა სიის დახურვის, სიტყვის დროს განსაზღვრის, კამათის სრული ან ნაწილობრივი შეწყვეტის შესახებ. აღნიშნულ წინადადებათა გამო სიტყვა ეძლეოდა ერთ მომხრეს და ერთ მოწინააღმდეგეს, თითოს არა უმეტეს 5 წუთისა. ეს წინადადებები უარყოფილად ჩაითვლებოდა, თუკი მათ წინააღმდეგ ხმას მისცემდა 12 ან მეტი წევრი.

რეგლამენტი ითვალისწინებდა, რომ ორატორის სიტყვა 10 წუთზე ნაკლები ვადით არ შეიზღუდებოდა. თავმჯდომარე ვალდებულიუ იყო გამოეცხადებინა ჩაწერილ ორატორთა სია, თუკი ამას მოითხოვდა რომელიმე წევრი კამათის დროს, რომელიც მსჯელობის შემოკლებას ან შეწყვეტას ეხებოდა.

კამათის ნაწილობრივი შეწყვეტის შემდეგ დამფუძნებელ კრებას უნდა განესაზღვრა, ჩაწერილ ორატორთაგან რამდენს მისცემოდა სიტყვა, ამ ორატორებს ასახელებდა თავმჯდომარე მთელი სიიდან, ხოლო მათ შეეძლოთ თავიანთი სიტყვა სხვისთვის დაეთმოთ. სანამ თავმჯდომარე კენჭს უყრიდა საკითხს კამათის ნაწილობრივი შეწყვეტის შესახებ, სხდომა უნდა დროებით შეწყვეტილიყო, თუკი ამას მოითხოვდა დამფუძნებელი კრების არანაკლებ 5 წევრი (ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ოპოზიციური ფრაქციები მცირერიცხოვანი იყვნენ).

როდესაც ჩაწერილ ორატორთა სია ამოიწურებოდა, ან დამფუძნებელი კრება დაადგენდა კამათის სრულ შეწყვეტას, თავმჯდომარე კამათს დასრულებულად აცხადებდა. ამის შემდეგ სიტყვა ეძლეოდა კომისიის მომხსენებელს, განსახილველი წინადადების და განსაკუთრებული აზრის ავტორებს, თუკი ისინი მოისურვებდნენ; სიტყვა ეძლეოდათ ასევე იმათ, ვინც პირადი საკითხის ან ხმის მიცემის მოტივების გამო იყვნენ ჩაწერილი.

რეგლამენტის თანახმად, თუკი კამათის შეწყვეტის ან შემოკლების შემდეგ მთავრობის წარმომადგენელი წარმოთქვამდა სიტყვას, მაშინ ორატორთა ჩაწერა უნდა განახლებულიყო და გაუქმებულად ითვლებოდა გადაწყვეტილება კამათის შეზღუდვის ან შეწყვეტის თაობაზე. ამას უკვე თავიდან სჭირდებოდა შესაბამისი დადგენილების მიღება.

11.5. კამათი დამფუძნებელი კრების სხდომებზე

დამფუძნებელი კრების სხდომებზე ურთიერთობა სახელისუფლო სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასა და ოპოზიციას შორის დაძაბული იყო. ადრინდელ პერიოდს რომ დავანებოთ თავი, დამფუძნებელ კრებაში შესვლის შემდეგ მათ ბევრი ცუდი რამ უთხრეს ერთმანეთს და იდეოლოგიურ დაპირისპირებას, რიგ შემთხვევებში, პიროვნული დაპირისპირებაც ემატებოდა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე ილია ნუცუბიძე (ს. რ.) აღნიშნავდა თუ რა დამოკიდებულება იყო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის: „ თვით დამფუძ-

ნებელ კრებაში არსებობს ცენზურა. როცა მოწინააღმდეგე ლაპარაკობს, ორმოცდაათი დეპუტატი სოციალ-დემოკრატი ახმაურდება და აყვირდება და არ აძლევს საშუალებას მოწინააღმდეგეს გამოსთქვას თავისი აზრი“ (ოქმები, ტ. IV, გვ.199).

დეპუტატები რიგ შემთხვევებში საკმაოდ არა-კორექტულად იქცეოდნენ, თუმცა ყველა თანახმ იყო, რომ დამფუძნებელ კრებაში გამოსვლის დროს საპარლამენტო ქცევის წესები არ უნდა დაერღვიათ. ასეთ ქცევაში, როგორც წესი, ოპონენტებს ადანაშაულებდნენ. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე ილია ნუცუბიძე (ს. რ.) აცხადებდა: „მე მგონია ეს ტრიბუნა არის უწმინდესი და ყოველივე სიტყვა უნდა იქნას ჩამოყალიბებული პარლამენტარულ ფორმაში და არა უხეშ ტლანქ ფორმაში, ისე როგორც ამას ბ-ნი არსენიძე ჩადის“ (ოქმები, ტ. IV, გვ.199).

ფრაქციის წევრები, ბუნებრივია, მხარს უჭერდნენ თავიანთ ორატორს მოწონების რეპლიკებით და ტაშის დაკვრით. თედო ღლონტმა (ს. ფ.) დამფუძნებელი კრების 1920 წლის 28 ივლისის სხდომაზე აღნიშნა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში დამკვიდრებული წესი, - თავიანთი ორატორისთვის ტაშით დაეჭირათ მხარი: „ჩვეულება არის დამფუძნებელ კრებაში, როდესაც სოციალ-დემოკრატი ორატორი გასაჭირ მდგომარეობაში ჩავარდება, ტაშს დაუკრავენ მას“ (ოქმები, ტ. VII, გვ.181).

დამფუძნებელი კრების სხდომებზე განსაკუთრებით ცხარე კამათი იმართებოდა შეკითხვების განხილვის დროს.

ორატორი დასცინის რეპლიკის ავტორს

კამათის დროს ზოგჯერ ორატორი დარბაზიდან რეპლიკის ავტორს დასცინოდა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე სიტყვით გამოდიოდა შალვა ნუცუბიძე (ს. ფ.). ამ დროს კირილე ნინიძემ (ს. დ.) ადგილიდან რაღაც თქვას პროფესორზე, რაც სტენოგრაფისტმა ვერ დააფიქსირა. სამაგიეროდ გაიგონა შალვა ნუცუბიძემ და გაიმართა დიალოგი:

„შ. ნუცუბიძე: ბ. ნინიძევ, თქვენ რაღაც მოგონება გაკავშირებთ პროფესორებთან. უეჭველია გამოცდებზე არა ერთხელ ჩაჭრილხართ (არ ისმის. ხმაურობა, თავმჯდომარის ზარი).

ნინიძე: დამიჭერია...

ნუცუბიძე: დაჭერას კი დაჩვეული ხართ, - გორის მაზრაში კომისრათ ხართ ნამყოფი (სიცილი. თავმჯდომარის ზარი. ხმაურობა).

თავმჯდომარე: გთხოვთ კერძო საუბარს თავი დაანებოთ“ (ოქმები, ტ. III, გვ.223).

შალვა ნუცუბიძეს პროფესორობას „არ უვიწყებდნენ“. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 სექტემბერს, როდესაც შალვა ნუცუბიძე სიტყვით გამოდიოდა შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა ადგილიდან დაუძახა: „აქ სტუდენტები არ არიან“ (ოქმები, ტ. III, გვ.193). ნუცუბიძემ პასუხი გასცა: „მე ვგრძნობ, რომ აქ სტუდენტები არ არიან, მაგრამ...“ (სამწუხაროდ ოქმი ხარვეზითაა)

შალვა ნუცუბიძეს და კირილე ნინიძეს არცთუ იშვიათად უხდებოდათ ერთმანეთთან დაპირისპირება. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 მარტის სხდომაზე შალვა ნუცუბიძე მიმართავდა სოციალ-დემოკრატებს:

„ისტორია თქვენ ბევრ რამეს არ გაპატიებთ, გაპატივებთ თქვენ უმოქმედობას, ბოროტმოქმედებას, ვინაიდან მას სჩადიხართ უცოდინარობის გამო. მაგრამ ისტორია არ გაპატიებთ იმას, რომ თქვენ ასეთი სასაცილონი ხართ.

შენგელია: სრული ჭეშმარიტებაა!

ხმაურობა მენშევიკების სკამებზე.

ნინიძე: დიდი ჭკუა უნდა გქონდეთ, ასეთ სიბრძნეს რომ ამბობთ!

შ. ნუცუბიძე: ცხადია ბ-ნო ნინიძე, ჩემი ჭკუა იმდენი მაინც არის, რომ თქვენი ჭკუის აპარატში არ დაეტიოს.

სიცილი ყველა სკამებზე“ (ოქმები, ტ. V, გვ. 357).

დაცინვის ობიექტი თავად შალვა ნუცუბიძეც ხდებოდა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე სიტყვით გამოდიოდა ს. ჯაფარიძე (ს. დ.), მას სიტყვა შეაწყვეტინა შალვა ნუცუბიძემ რეპლიკით: „განა ეგ კაზუისტიკა არ არის?“ ს. ჯაფარიძემ უპასუხა: „თქვენ თუ არ გესმით ბ. პროფესორო, თუ რა არის იურიდიული ნორმა და რა არის ხელშეკრულების შინაარსი, მაშინ პროფესორობა ვინ მოგცათ? არ ვიცი! (ხმაურობა. სიცილი)“ (ოქმები, ტ. IV, გვ.91).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზე სიტყვით გამოდიოდა გიორგი გვაზავა. რაჟდენ არსენიძემ რეპლიკა წამოიძახა, რასაც გვაზავას პასუხი მოჰყვა: „მე მიკვირს, რომ ამას ამბობს არსენიძე, რომელიც თავმჯდომარეა საკონსტიტუციო კომისიის. აქედან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ რა მშვენიერ კონსტიტუციას შეგიდგენთ იგი“ (ოქმები, ტ. III, გვ.270).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე ლეო შენგელაიას (ს. რ.) გამოსვლის შემდეგ იოსებ სალაყაიამ (ს. დ.) განაცხადა: „მე მგონია, რომ ბ. შენგელაიას სიტყვა ჰქონდა დამზადებული სხვა რამისათვის“, რასაც ხოჭოლავამ (ს. დ.) დაუმატა: „შეეშალა!“(ოქმები, ტ. IV, გვ.294).

გამომსვლელს ენას უწუნებდნენ

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე გამოდიოდა ს. ჯაფარიძე (ს. დ.) და უცბად განაცხადა: „იქანა შეკითხვებს მიმართავენ იშვიათ შემთხვევებში“, დარბაზიდან სამსონ დადიანმა (ს. ფ.) შეუსწორა: „იქანა რა არის?“, ს. ჯაფარიძემ მკვახედ უპასუხა: „ქართულ ენის გაკვეთილს თქვენგან ვერ ავიღებ ბ. დადიანო!“ (ოქმები, ტ. IV, გვ.90).

ორატორს დეპუტატის სახელი ეშლება

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 13 მაისის სხდომაზე პავლე საყვარელიძემ თავის გამოსვლის დროს აღნიშნა: „როდესაც მიშა არსენიძე ლაპარაკობდა“. ამას ხმაური, თავმჯდომარის ზარი და სახელის შეხსენება მოჰყვა: „რაჟდენ“. ორატორმა უკვე სწორად გააგრძელა: „რაჟდენ არსენიძემ სიტყვა სთქვა“, თუმცა დარბაზი მაინც ხმაურობდა, დეპუტატები იცინოდნენ და თავმჯდომარეს ისევ ზარის გამოყენება დასჭირდა (ოქმები, ტ. I, გვ.443).

ზოგჯერ მოწინააღმდეგეს აფასებდნენ

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე, თავის გამოსვლის დროს ს. ჯაფარიძემ (ს. დ.) განაცხადა: „მე არ ვეკუთვნი იმ ვექილთა რიცხვს, რომლებიც ფულზე ყიდიან თავის სინდისს“. სოციალისტ-ფედერალისტთა მხრიდან გაისმა რეპლიკა: „ეგ მართალია“, გიორგი გვაზავამ (ე. დ.) კი შეკითხვა დაუსვა: „თქვენ ხომ არ მოაწერდით ხელს ამ ხელშეკრულებას?“ (ოქმები, ტ. IV, გვ.95).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 ივლისის სხდომაზე ონიაშვილმა ესერები ცუდი იდეების მატარებელ კეთილ ადამიანებად მოიხსენია. მისი თქმით, ესერები ეწევიან „იაფ ფასიან დემაგოგიას, და ამ დემაგოგიას ეწევიან იმიტომ კი არა, რომ ბოროტი ხალხი არის, პირიქით, მაგალითად, გობეჩია და შენგელაია ძალიან გულკეთილი ადამიანები არიან (შენგელაია: გმადლობთ), მაგრამ უბედურება იმაში არის, რომ მათი გონება მოშხამული არის ერთგვარი უტოპიზმით“ (ოქმები, ტ. III, გვ.48).

ორატორს ბრალს სდებენ არაკორექტულ განცხადების გაკეთებაში

1919 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე სიტყვით გამოდიოდა გრიგოლ ვეშაპელი (ე. პ.), განიხილებოდა „სიბუნიონთან“ გაფორმებული ხელშეკრულება. გრიგოლ ვეშაპელმა განაცხადა:

„არ მოიპოვება მტკიცე კავშირი ჩამოსულ რუსის ებრაელთა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის“. მას გამოეხმაურა სერგი ჯაფარიძე (ს. დ.) ადგილიდან“: „ამ ტრიბუნის ღირსებას არ შეეფერება მთელი ხალხის შეურაცყოფა! (ხმაურობა, ზარი)“ (ოქმები, ტ. IV., გვ.87). სერგი ჯაფარიძემ ამ საკითხზე თავის გამოსვლაშიც გაამახვილა ყურადღება: „რასაკვირველია ის, რაც იკადრა აქ ვეშაპელმა, რომელიც რაღაც ჭორებს უშვებს მხოლოდ ბაზარზე ურიებთან გაქვთ საქმეო, პასუხის ღირსი არ არის“ (ოქმები, ტ. IV, გვ.91).

საქმეში უკვე თავმჯდომარე სიმონ მდივანი ჩაერია, რომელმაც განაცხადა, რომ შეამოწმა გრიგოლ ვეშაპელის გამოსვლის სტენოგრამა და სერგი ჯაფარიძის ბრალდება მართებული არ იყო: „მე საჭიროს მიმაჩნია განვაცხადო, რომ ჯაფარიძის სიტყვის შემდეგ მე მოვითხოვე ვეშაპელის სიტყვის სტენოგრამა, მაგრამ ის საბოლოოდ არ არის დამოწმებული. აქ არ არის მთელ რუსეთის ებრაელებზე, არამედ ეს ეხება იმ უცხო ებრაელებს, რომელნიც აქ შემოდიან ან და ახერხებენ აქ ჩუმად საქმის კეთებას. ასეთია ჯერ-ჯერობით სტენოგრამა“ (ოქმები, ტ. IV, გვ.97).

ორატორის გამოსვლას არაკორექტულად აფასებენ

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 ივლისის სხდომის დროს გრიგოლ ცინცაბაძემ (ს. დ.) რომელიც ეკამათებოდა სამსონ დადიანს (ს. ფ.), მას შეურაწყოფა მიაყენა, რასაც ხმაური და თავმჯდომარის მხრიდან გაფრთხილება მოჰყვა:

„გრ. ცინცაბაძე: აქ დადიანმა ბევრი სისულელეები ილაპარაკა და იმისთვის თუ არის ტრიბუნა, მაშინ მე არ ვიცი...

დადიანი: მე პროტესტს ვაცხადებ!

თავმჯდომარე (ზარს რეკავს, ხმაურობაა. როცა დაწყნარდებიან, თავმჯდომარე ამბობს): ბ-ნო ორატორო, გთხოვთმ ცოტა ფრთხილად ილაპარაკოთ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.156).

ვინ არის მსუქანი

სხვადასხვა ფრაქციების წარმომადგენლები ერთმანეთს არცთუ იშვიათად სიტყვიერ შეურაწყოფას აყენებდნენ. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 აპრილის სხდომაზე რ. არსენიძემ აღნიშნა, რომ გრიგოლ ვეშაპელმა „ორი-სამი თვის განმავლობაში მხოლოდ ორი მჭლე ფაქტი გამოსძებნა“. ეს ეწყინა ვეშაპელს და ორატორს ადგილიდან მიაძახა: „მსუქანი თქვენ ბრძანდებით!“. არსენიძემ თავისი სიტყვა რეპლიკაზე გამოხმაურებით გააგრძელა: „მე სრულიად არა მსურს ამ ჟამად არც მსუქან ვეშაპელს გამოვუდგე, არც მის მსუქან ფაქტებზე ვილაპარაკო და მათ გარჩევას შევუდგე“ (ოქმები, ტ. VI, გვ.248).

ესერებმა მხოლოდ დაჭრა იციან

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11ნოემბრის სხდომაზე გერასიმე გიორგაძემ (ს. დ.) სამსონ დადიანის გამოსვლასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ის კიდეც სჭრის და კიდეც კერავს.“ სტენოგრამაში დაფიქსირებულია წამოძახილი დარბაზში: „ესერები?“ ამ რეპლიკას მდივანმა, ორატორის მაგივრად, მოკლედ უპასუხა: „ესერებმა დაჭრა იციან მხოლოდ“ (ოქმები, ტ. III, გვ.482).

კამათი ლანძღვის გარეშეც შეიძლება

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 ივლისის სხდომაზე მიწათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა სპირიდონ კედიას (ე. დ.) მიმართა: „ბატონო კედია, უნდა ვთქვა, რომ მცირე კომისიაში არ არის ჩვენი განმარტებები წარდგენილი“. მიმართვის ზრდილობიანმა ფორმამ თედო ღლონტი გააკვირა და რეპლიკით შეხვდა: „ლოიალური საუბარი!“. მის წარმოდგენაში, როგორც ჩანს, კორექტული დიალოგი ხელისუფლების წარმომადგენელთან ოპოზიციონერისთვის მიუღებელი იყო. თედო ღლონტის რეპლიკას სპირიდონ კედიას პასუხი მოჰყვა: „კამათი შეიძლება ლანძღვის გარეშეც!“ (ოქმები, ტ. VII, გვ.245).

ამ საუბარს საინტერესო გაგრძელება მოჰყვა. ნოე ხომერიკმა მემარცხენე ოპოზიციას „უპასუხისმგებლო სიტყვების“ ხმარებაში დასდო ბრალი: „ოპოზიციის ორატორებს და მათ შორის განსაკუთრებით კი ლ. შენგელაიას უყვარს უპასუხისმგებლო სიტყვის წამოსროლა... რატომ არის, რომ დეპუტატი, რომელიც თავდაჭერილი უნდა იყვეს, ასეთ უპასუხისმგებლო სიტყვებს წამოისვრის?“. აქ ნოე ხომერიკმა უცნაური რამ თქვა, რომ ასეთი „უპასუხისმგებლო სიტყვების“ წარმოთქმა მემარჯვენე ოპოზიციის მხრიდან იყო მოსალოდნელი, - „ამათ რომ სთქვან ეს (ხელს იშვერს ნაც-დემოკრატებისკენ) კიდევ მესმის...“. ნოე ხომერიკს ასეთი მოლოდინი „კლასობრივი პოზიციიდან“ გამომდინარე ჰქონდა, მაგრამ სპირიდონ კედიამ მისი ასეთი მოლოდინი მოკლე რეპლიკით გააბათილა: „არ ვიტყვით!“. ნოე ხომერიკმა თავისი გამოსვლა უკვე სხვანაირად გააგრძელა: „არ ვიტყვითო, ამბობს კედია, და მართლაც მე იმედო მაქვს, რომ არ იტყვიან ასეთ რამეს. ეს ბ. შენგელაიას ჰგონია, რომ მოწინააღმდეგე თუ ხარ, რიგიანობაც უნდა დაჰკარგო“ (ოქმები, ტ. VII, გვ.248).

ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების მხარდაჭერა უცნაურად ეჩვენებოდათ

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 5 მარტის სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა რკინიგზის საკითხი, ნიკო ნიკოლაძემ (ე. დ.) განაცხადა, რომ მათი ფრაქცია „სავსებით მხარს უჭერს ამ კანონპროექტის დამტკიცებას“. ამ სიტყვებს დარბაზიდან რეპლიკა მოჰყვა: „ბარემ აქეთ გადმობრძანდით!“, რასაც ნიკო ნიკოლაძის პასუხი მოჰყვა ოპოზიციის არსის თაობაზე: „ბატონებო ჩვენ ფრაქციას სულ სხვანაირად ესმის თანამშრომლობა დამფუძნებელ კრებაში, ვიდრე თქვენ ფრაქციას. ჩვენ გვგონია, რომ როდესაც ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ არა იმიტომ, რომ უთხრათ, ჩამოდექით და ჩვენ დავსხდებით თქვენს სკამებზეო. ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი მამულის და თავისუფლების განმტკიცებას“. მის ამ სიტყვებს სამსონ დადიანის რეპლიკა მოჰყვა: „კარგი დამცველი გაუჩნდა მენშევიკებს!“ (ოქმები, ტ. VII, გვ.248).

დეპუტატს ტყუილში ამხელენ

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 აპრილის სხდომაზე პავლე საყვარელიძემ (ს. დ.) ფედერალისტ იოსებ ბარათაშვილის შესახებ განაცხადა: „ბ. იოსებ ბარათაშვილი აქ გვეწინააღმდეგება, თვარა საკონსტიტუციო კომისიაში გვემხრობოდა. იქ კანონი ერთხმად იყო მიღებული“ (ოქმები, ტ. I, გვ.235).

წარსულის გახსენება ოპონენტების დისკრედიტაციისთვის

დამფუძნებელი კრების სხდომებზე ესერები ყველაფერს აკეთებდნენ მმართველი პარტიის დისკრედიტაციისთვის. საპასუხო ბრალდებებსაც ღებულობდნენ. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 ივლისის სხდომაზე, ესერებთან კამათის დროს, ნოე ხომერიკმა გაიხსენა „წლინახევრის უკან“ მომხდარი შემთხვევა, როდესაც ესერთა პარტიამ ი. ლორთქიფანიძეს, „თავის წარმომადგენელს მთავრობაში“ დაავალა, რომ „სახაზინო ქონება გამოეყენებინა პარტიის საჭიროებლოდ, საარჩევნო ფონდის შესაქმნელად“ (ოქმები, ტ. VII, გვ.249). კერძოდ, „უბაჟოდ შემოტანილი სახაზინო ნავთი ცისტერნებით გაეყიდა და გამორჩენა ცენტრალური კომიტეტისათვის გადაეცა არჩევნების ფონდის შესაქმნელად“ (ოქმები, ტ. VII, გვ.250). ეს ამბავი გამოძიებამ აღმოაჩინა ი. ლორთქიფანიძემ მთავრობის თავმჯდომარესთან აღიარა, რომ „მან ეს საქმე ცენტრალური კომიტეტის დავალებით მოახდინა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.250). ეს გაიგეს პარტიის ხელმძღვანელებმა გობეჩიამ და შენგელაიამ და უარყვეს ლორთქიფანიძის ნათქვამი, - „ჩვენ ეს არ მიგვინდვიაო“ (ოქმები, ტ. VII, გვ.250).

ნოე ხომერიკის მიერ ამ ამბის მოყოლას დიდი ხმაური მოჰყვა დარბაზში. შენგელაია და გობეჩია, სტენოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით, პერიოდულად აწყვეტინებდნენ სიტყვას წამოძახილებით „სიცრუეა“, „ჭორია“. თევზაიამ (ს. დ.) კი განაცხადა: „მე მოვითხოვ, რომ ოქმში იქნას შეტანილი, რომ შენგელაია ლაჩარია!“ (ოქმები, ტ. VII, გვ.250).

ილია ჭავჭავაძის გახსენება

ლეო შენგელაიამ (ს. რ.) დამფუძნებელი კრების 1919 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე სოციალ-დემოკრატებს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდიც გაუხსენა. ლეო შენგელაიას განცხადებით „გვახსოვს ის დრო, როდესაც თქვენ სასტიკად და განურჩევლად საშვალებისა ებრძოდით არამც თუ რომელიმე მიმართულებას, არამედ კერძო პირებსაც კი (ხმაურობა. ხმები: დაასახელეთ!) ილია ჭავჭავაძე, კიტა აბაშიძე“ (ოქმები, ტ. IV, გვ.290).

სოციალ-დემოკრატები ილია ჭავჭავაძეს ისევ ედავებოდნენ. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე გრიგოლ ერაძემ (ს. დ.) სწორედ ილია ჭავჭავაძესთან კამათი გაიხსენა: „ეს დავა თქვენსა და ჩვენს შორის არის ის დავა, რომელიც 25 წლის წინედაც არსებობდა. იგი დაიწყო ილია ჭავჭავაძიდან. როცა მუშათა კლასი პირველად გამოვიდა საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზზე, მას ილია ჭავჭავაძემ ნულები დაუძახა... ჭავჭავაძეს ჰქონდა აუარებელი თეორეტიული საბუთი ელაპარაკნა მაშინ მუშებზე ამგვარად. მაგრამ დრეს, როცა ოცდახუთმა წელმა განვლო მას შემდეგ და ქართველმა მუშათა კლასმა დაამტკიცა თვისი პოლიტიკური სიმწიფე“ (ოქმები, ტ. VII, გვ.632).

11.6. ფიზიკური დაპირისპირება დამფუძნებელი კრების წევრებს შორის

დამფუძნებელი კრების წევრებს შორის დაძაბულ ურთიერთობას ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევაც მოჰყვა. ასეთი ინციდენტი 1921 წლის 1 თებერვალს მოხდა დამფუძნებელ კრებაში, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში და ფართოდ განიხილებოდა პრესაში. მას მოჰყვა სტუდენტთა პირველი საპროტესტო დემონსტრაციაც. თუმცა, ამ აქციაში სტუდენტობა ერთსულოვანი არ ყოფილა და პარტიული ნიშნით იყო გამიჯნული. სოციალ-დემოკრატი და ნაციონალ-დემოკრატი სტუდენტები არ ღებულობდნენ დემონსტრაციაში მონაწილეობას.

უნდა ითქვას, რომ დეპუტატებს შორის ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა ადრეც ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ილია ნუცუბიძე (ს. რ.), რომელმაც განაცხადა, რომ სპარსულ დარბაზში მყოფ ესერთა ფრაქციის დეპუტატებთან მივიდა სოციალ-დემოკრატი დეპუტატი და ცხვირთან მუშტის მოღერებით გაიძახოდა: „ცხვირი უნდა დაგამტვრიოთ, ასე გიზამთ და ისე გიზამთ, თუ კიდევ გაბედავთ ასეთ გამოსვლასო“. მისი ეს გამოსვლა სოციალ-დემოკრატებმა სასაცილოდ აიგდეს:

„ხმები: ვინ იყო, ვინ იყო?

ილია ნუცუბიძე: ...აღმოჩნდა, რომ ის იყო დეპუტატი ვასო წულაძე! (სიცილი).

ვ. ჯუღელი: წულაძემ შეგაშინათ? ვასო წულაძე იყო, თუ ვასო ცაბაძე?“ (ოქმები, ტ. VII, გვ.653).

საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე დამფუძნებელ კრებაში მაინც მივიდა.

ინციდენტი

1 თებერვალს, დამფუძნებელი კრების სხდომის შემდეგ, სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა ბენია ჩხიკვიშვილმა, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა და თბილისის ქალაქის თავმა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სოციალისტ-ფედერალისტ დეპუტატს შალვა ნუცუბიძეს. საქმე ეხებოდა დაახლოებით ერთი თვის წინ მათ შორის მომხდარ შელაპარაკებას. კონკრეტულად რა მოხა მათ შორის ამაზე მხოლოდ გაკვრით აღნიშნავს გაზეთი „ახალი სხივი“: „უკანასკნელმა (შალვა ნუცუბიძემ - მ. მ.) დამფუძნებელი კრების 1920

წლის 24 დეკემბრის სხდომაზე აღნიშნა ერთი არასასიამოვნო ეპიზოდი ჩხიკვიშვილის ცხოვრებიდან“ („ახალი სხივი“, 6.02.1921). დამფუძნებელი კრების 1920 წლის 24 დეკემბრის სტენოგრამას თუ გადავხედავთ (ოქმები, ტ. VII., გვ.657-672), სხდომა საკმაოდ ხმაურიანი იყო და კირილე ნინიძესთან დაკავშირებული ინციდენტი განიხილებოდა, იყო შეკამათებაც კირილე ნინიძესა და ბენია ჩხიკვიშვილს შორის, მაგრამ არ არის დაფიქსირებული რაიმე სიტყვიერი დაპირისპირება ბენია ჩხიკვიშვილს და შალვა ნუცუბიძეს შორის.

1 თებერვალს მომხდარი ინციდენტის შესახებ თავად ბენია ჩხიკვიშვილმა ილაპარაკა დამფუძნებელი კრების 1921 წლის 4 თებერვლის სხდომაზე. მან სიცრუე უწოდა გავრცელებულ ვერსიას, თითქოს „დინჯი ლაპარაკის დროს“ გაერტყას მას ნუცუბიძისათვის. „პირიქით მან, ჩხიკვიშვილმა, მოსთხოვა ნუცუბიძეს სრულიათ კულტურული გზით იმის დამტკიცება, რაც დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან იყო თქმული ჩხიკვიშვილის საწინააღმდეგოთ“ (ოქმები, ტ. VIII., გვ.224). ნუცუბიძემ უარი უთხრა გაყოლოდა საამხანაგო სასამართლოში და გამომწვევი კილოთი უთხრა „კიდევ გავიმეორებ იმ სიტყვებს ტრიბუნიდანო“. ჩხიკვიშვილის თქმით, მხოლოდ ამის შემდეგ ვერ მოითმინა და დაარტყა ნუცუბიძეს. „ვაცხადებ, რომ არავითარ წინასწარ განზრახვას ადგილი არ ჰქონია, იყო მხოლოდ აფექტი ნუცუბიძის გამომწვევი ლაპარაკით გამოწვეული“ (ოქმები, ტ. VIII., გვ.224). ჩხუბი როგორ წარიმართა და როგორ გააშველეს, ამის თაობაზე ბენია ჩხიკვიშვილს არაფერი უთქვამს, მხოლოდ სამსონ დადიანის მოქმედების შესახებ აღნიშნა: „ბატონო დადიანო, როდესაც მე და ნუცუბიძეს ეს შეგვემთხვა, მაშინ თქვენ რამოდენიმეჯერ დედა შემაგინეთ, ნაცვლად იმისა, რომ ორი მოჩხუბარი მხარე გაგეშველებინათ!“ (ოქმები, ტ. VIII., გვ.224).

გამოხმაურება

დამფუძნებელ კრებაში მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებას მძაფრი რეაქცია მოჰყვა საზოგადოებაში, პირველ რიგში ფედერალისტთა მხრიდან. „დამფუძნებელი კრების წევრი ბ. ჩხიკვიშვილი ფიზიკურად შეურაწყოფას აყენებს ქართულ უნივერსიტეტის ერთს საუკეთესო პროფესორს ბ. შ. ნუცუბიძეს. გათავხედებული დეპუტატი ივიწყებს ხალხის უფლებას და უხეშად, როგორც მეკობარი თავს ესხმის იმას, ვისაც მთელი შეგნებული ახალგაზრდობა პატივს სცემს“, - წერდა ფედერალისტთა მთავარი გაზეთი („სახალხო საქმე“, 3.02.1921).

გაზეთების ნაწილი, მათი პოლიტიკური პოზიციიდან გამომდინარე, მკაცრ შეფასებას აძლევდა მომხდარს: „დამფუძნებელ კრებაში მომხდარი ველურობა“, „დეპუტატის მიერ ჩადენილი უმსგავსობა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 4.02.1921); „ველური, ბარბაროსული საქციელი“, „მოიშველია მუშტი, ფიზიკური შეურაცხყოფით, თვალის ამოთხრით მოინდომა მისი მძლავრი არგუმენტების დარღვევა და მძაფრი კრიტიკის განიავება“ („სახალხო საქმე“, 4.02.1921).

შეურაცხყოფილ შალვა ნუცუბიძეს თანაგრძნობას უცხადებდნენ და ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტები იყვნენ. შალვა ნუცუბიძეს სახლში ეწვივნენ უნივერსიტეტის რექტორი და დეკანი.

სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე“ წერდა:

„ამხ. შ. ნუცუბიძისა და ბ. ჩხიკვიშვილის ინციდენტის გარშემო

თანაგრძნობა პროფ. ნუცუბიძეს. ბ. ჩხიკვიშვილის მხეცურ მოქმედებით შეურაცხყოფილი ამ. შ. ნუცუბიძე ინახულეს და თავიანთი თანაგრძნობა გადასცეს: 1. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა და დეკანმა. ტრამვაელმა მუშებმა და 3. სოციალისტ-რევოლიუც. პარტიის წარმომადგენლებმა“ („სახალხო საქმე“, 5.02.1921).

საპროტესტო აქცია

მომხდარიდან მეორე დღეს, 2 თებერვალს ქართული უნივერსიტეტის ფედერალისტმა სტუდენტებმა „უნივერსიტეტის დიდ დარბაზში“ დღის 4 საათზე მოიწვიეს კრება, სადაც დაგმეს ჩხიკვიშვილის საქციელი და მიიღეს საპროტესტო რეზოლუცია: „ქართველი სტუდენტობა აღშფოთებული იმ სამარცხვინო-ველურ მოქმედებით, რომელიც ჩაიდინა დეპუტატმა ბენია ჩხიკვიშვილმა ჩვენი პროფესორის შალვა ნუცუბიძის მიმართ, უცხადებს სასტიკ პროტესტს და ზიზღს ჩხიკვიშვილს, ხოლო ნუცუბიძეს - გულითად თანაგრძნობას. სტუდენტობას ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს უზენაესი ორგანო დაიცავს თავის პრესტიჟს, სათანადოდ დააფასებს უღირს საქციელს და მას დამფუძნებელი კრების წევრობიდან გააძევებს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 4.02.1921).

ფედერალისტმა სტუდენტებმა გადაწყვიტეს საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობაც, რასაც გაემიჯნენ სოციალ-დემოკრატი და ეროვნულ-დემოკრატი სტუდენტები. დემონსტრანტებმა უნივერსიტეტის ეზოდან „იწყეს ნელი ნაბიჯით, მარსელიოზის მღერით სვლა ქუჩისკენ. წინ ეროვნული დროშა“ მიუძღოდათ („საქართველოს რესპუბლიკა“, 4.02.1921). დემონსტრანტები მცირე ხნით შეჩერდნენ ვერეს დაღმართზე, სადაც მიტინგი მოაწყეს, შემდეგ მივიდნენ შალვა ნუცუბიძის სახლთან. რამდენიმე სტუდენტმა „ხელით გამოიყვანა ქუჩაში ავადმყოფი პროფესორი“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 4.02.1921). შალვა ნუცუბიძემ „აღნიშნა ინციდენტის უმთავრესი მომენტები“ და წარმოთქვა „მოკლე, მაგრამ გრძნობიერი და შინაარსიანი სიტყვა“, მადლობა გადაუხადა შეკრებილთ და პირობა დადო, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ გააგრძელებდა როგორც სამეცნიერო მუშაობას, ისე იბრძოლებდა პოლიტიკურ ასპარეზზე.

დემონსტრანტები რუსთაველის პროსპექტის გავლით მივიდნენ სასახლესთან, რომლის აივანზეც დეპუტატები გამოვიდნენ. შალვა მესხიშვილმა (ს. ფ.) დემონსტრაციის მონაწილე ახალგაზრდებს „ერის სინდისი“ უწოდა და „სიამოვნება გამოთქვა“, რომ სტუდენტობა „ასე მედგრად“ იცავდა „დამფუძნებელი კრების წევრის და თვისი პროფესორის ღირსებას“. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელით ალექსანდრე ლომთათიძემ აღნიშნა, რომ დამფუძნებელი კრება დაიცავდა თავის პრესტიჟს და „შესაფერ მსჯავრს დასდებს ამ სამარცხვინო ინციდენტის ჩამდენს“. ასე გაიგო ალექსანდრე ლომთათიძის ნათქვამი დემონსტრაციის მონაწილემ, რომელმაც შემდეგ გაზეთში გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებები („საქართველოს რესპუბლიკა“, 4.02.1921). თუმცა სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ერთობა“ სხვანაირად გადმოსცემს ალექსანდრე ლომთათიძის ნათქვამს: „დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელით ალ. ლომთათიძემ განუმარტა დემონსტრანტებს, რომ არავითარ მოთხოვნას და ძალდატანებას დამფუძნებელი კრება არ მიიღებს, დამფუძნებელმა კრებამ იცის რა აკეთოს და ვის წინაშე აგოს პასუხი“ („ერთობა“, 4.02.1921). ბოლოს სიტყვით გამოვიდა კირილე ნინიძე (ს. დ.), რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ახალგაზრდობა „სიფხიზლეს იჩენდა ... დამფუძნებელ კრების და დეპუტატის ღირსების დაცვის საქმეში“. ბოლოს დემონსტრანტებმა უნივერსიტეტში მიღებული საპროტესტო რეზოლუცია დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს გადასცეს და ამით დამთავრდა დემონსტრაცია („საქართველოს რესპუბლიკა“, 4.02.1921).

განხილვა დამფუძნებელ კრებაში

დამფუძნებელი კრების 1921 წლის 4 თებერვლის სხდომაზე განიხილეს ჩხიკვიშვილსა და ნუცუბიძეს შორის მომხდარი სკანდალი. სხდომის დაწყების წინ გარეშე დამსწრეთათვის განკუთვნილი ადგილები („ქანდარა“) სავსე იყო ხალხით. როგორც გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავდა „ასეთი დიდი რიცხვი მოქალაქეების შეკრებილა სენსაციისათვის“ („ერთობა“, 6.02.1921). სხდომაზე თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე. თავმჯდომარის განცხადებით, პრეზიდიუმში შესული იყო სოციალისტ-ფედერალისტთა განცხადება „დეპუტატ ბენია ჩხიკვიშვილის

წევრობიდან გადაყენების შესახებ“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.220). დამფუძნებელი კრების გადასაწყვეტი იყო თუ რა მიმართულება უნდა მისცემოდა აღნიშნული საკითხის განხილვას. თითოეულ გამომსვლელის სიტყვის ხანგრძლივობა მხოლოდ 5 წუთით განისაზღვრა.

შალვა მესხიშვილმა (ს. ფ.) განაცხადა, რომ „დეპუტატ ჩხიკვიშვილის მიერ დეპუტატ შალვა ნუცუბიძისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება“ იყო „დიდი პოლიტიკური საკითხი“ და დამფუძნებელი კრებისგან მოითხოვა „დღესვე“ გამოეტანა გადაწყვეტილება (ოქმები, ტ. VIII, გვ.216-217). ფედერალისტებს მხარი დაუჭირეს ესერებმა. ლეო შენგელაიას (ს. რ.) განცხადებით, ინციდენტის შედეგად შეურაცხყოფილი იყო „არა ერთი დეპუტატი, არამედ მთელი დამფუძნებელი კრება“ და თუკი ინციდენტი „აქ არ ამოიწურებოდა“, ესერების ფრაქცია, „ნიშნად პროტესტისა“ სხდომას დატოვებდა (ოქმები, ტ. VIII, გვ.217). საკითხის „პლენუმზე ამოწურვა“ დაშნაკთა სახელით მოითხოვა გარეგინ ტერ-სტეფანიანმა (ოქმები, ტ. VIII, გვ.217).

განსხვავებული იყო ახალშექმნილი დემოკრატიული ფრაქციის პოზიცია, რომლის სახელითაც ალექსანდრე ასათიანმა განაცხადა, რომ „ამ სამწუხარო ინციდენტის შესახებ“ დამფუძნებელ კრებას არ უნდა ელაპარაკა და ის უნდა განეხილა კომისიას. მან საჭიროდ ჩათვალა „განსაკუთრებული კომისიის არჩევა ან სასამართლო წესით ამ საკითხის განხილვა“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.217). დემოკრატიული ფრაქციის აზრით „დამფუძნებელი კრების შენობაში ადგილი ჰქონდა კრივს ორ დეპუტატს შორის“. ეს რომ პარლამენტის გარეთ მომხდარიყო „მას მხოლოდ პირადი შეურაცხყოფის ხასიათი მიეცემოდა“ და არავის ექნებოდა საბაბი „ინციდენტის პარლამენტში გამოტანისთვის“, მაგრამ ახლა „დამფუძნებელ კრებას უნდა გამოეძებნა ინციდენტის ავტორის პასუხისგების ფორმა“ („საქართველო“, 6.02.1921).

სხდომაზე გამოსული სოციალ-დემოკრატი დეპუტატების აზრით, მომხდარი ინციდენტი არ ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს, მათი განცხადებით, ეს იყო ორ დეპუტატს შორის მომხდარი „კერძო საკითხი“, შალვა ნუცუბიძის, როგორც დეპუტატის უფლებები რომელიმე სახელმწიფოებრივ დაწესებულებას არ დაურღვევია. ამიტომ, პავლე ბერიშვილის (ს. დ.) განცხადებით, „კერძო საკითხის შესახებ“ დამფუძნებელი კრება „ვერ იქონიებდა მსჯელობას“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.218).

კონსტანტინე გვარჯალაძემ (ს. დ.) ერთი მხრივ აღნიშნა, რომ მსგავსი ინციდენტები „ევროპის პარლამენტებშიც“ ხდებოდა. მეორე მხრივ, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დამფუძნებელ კრებაში, მათ შორის ტრიბუნიდან, ზოგიერთი დეპუტატი ისეთი სიტყვებით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს, რომლებიც „სრულებით არ იყო დასაშვები“ და სწორედ ეს იწვევდა „სამწუხარო შედეგებს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.217).

პავლე ბერიშვილმა გაიხსენა რამდენიმე ასეთი შემთხვევა: „ერთმა დეპუტატმა ესერების ფრაქციიდან გვარდიის მეთაურს „მაუზერისტი“ უწოდა“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.218). თუმცა, ასეთი შემთხვევების გახსენებისას, აქცენტი შალვა ნუცუბიძეზე იყო გადატანილი. გაიმართა „საგულისხმო“ დიალოგი:

„პავლე ბერიშვილი: მე გავიგონე, რომ ერთმა დეპუტატმა მეორე დეპუტატს ჯიბგირი უწოდა...

ვასო წულაძე ადგილიდან: ეს შალვა ნუცუბიძე იყო!

პავლე ბერიშვილი: განა ეს დასაშვებია? ეს დაავალა მას ხალხმა?

იესე ბარათაშვილი: ეს საჯაროთ არ ყოფილა თქმული! (სიცილი).

პავლე ბერიშვილი: ეს სულერთია, ასე ხომ იყო თქმული. აქ ამას წინეთ დეპუტატ ლეო შენგელაიას „მეგრული თხა“ უწოდეს...

ვასო წულაძე: ეს იყო დეპუტატი შალვა ნუცუბიძე!“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.218).

გაზეთი „ერთობა“ დამფუძნებელ კრებაში გამართული ამ დიალოგის კომენტირებისას აღნიშნავდა: „გამოირკვა, რომ დამფუძნებელ კრებაში ყოფილა ხალხი, რომელთაც დიდი ხანია ხელობათ გადაუქცევიათ წევრების პიროვნების აბუჩად აგდება და შეურაცხყოფა“ და იმედს გამოთქვამდა, რომ პრეზიდიუმი მომავალში კრებიდან გააძევებდა ასეთ პირებს („ერთობა“, 6.02.1921).

„პირადი საკითხისათვის“ სიტყვა მიეცა ბენია ჩხიკვიშვილს, რომელმაც თავისი მოქმედება, როგორც უკვე ითქვა, ნუცუბიძის გამომწვევი მოქმედებით და აფექტში ყოფნით ახსნა და განაცხადა, რომ „თუ დამფუძნებელი კრება არ გაარჩევდა ამ საკითხს“, თანახმა იყო „ბატონ ნუცუბიძეს“ გაყოლოდა „საჯარო სამედიატორო სასამართლოში ან ოფიციალურ სასამართლოში“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.218).

საბოლოოდ, შეტანილი იქნა სამი რეზოლუციის პროექტი. ფედერალისტების, - ბენია ჩხიკვიშვილის დამფუძნებელი კრებიდან გაძევების შესახებ; დემოკრატიული ფრაქციის, - საკითხის კომისიისთვის გადაცემის შესახებ და სოციალ-დემოკრატების, - „სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია წინადადებას იძლევა, რომ სოც. ფედერალისტთა წინადადება დეპ. ჩხიკვიშვილის გაძევების შესახებ მოხსნილ იქნას და დამფუძნებელ კრებაში მსჯელობა ამის შესახებ მოისპოს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.219).

ცხადია, ხმათა უმრავლესობით გავიდა სოციალ-დემოკრატების რეზოლუცია. შალვა მესხიშვილმა სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ „ნიშნად პროტესტისა“ მათი ფრაქცია არ დაესწრებოდა დამფუძნებელი კრების სამ სხდომას. ფედერალისტებმა და ესერებმა სხდომა დატოვეს (ოქმები, ტ. VIII, გვ.219).

რეზოლუცია არ მოიწონა დემოკრატიული პარტიის ფრაქციამაც. ამ პარტიის აზრით, „უმრავლესობის ფრაქციამ თავისი რეზოლუციით დაამტკიცა, რომ იგი მართლაც და ძალმომრეობას ეთაყვანება, რომ მას აკლია ზნეობრივი სიმტკიცე დაჰგმოს თავის წევრის ყოვლად უღირსი საქციელი! ჩვენ არ გვიკვირს, რომ მმართველმა ფრაქციამ გახრწნილების ამ წერტილს მიაღწია ამ სამი წლის უკონტროლო ბატონობის დასასრულში“ („საქართველო“, 6.02.1921).

ინციდენტის განხილვის შემდეგ, დემოკრატიული პარტიის მთავარი ორგანო „საქართველო“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავდა, რომ დამფუძნებელი კრებიდან დეპუტატ ჩხიკვიშვილის გაძევების მოთხოვნა „ყოველმხრივ მიუღებელი“ იყო. გაზეთის თქმით, „ასეთი დანაშაულისთვის ხალხის წარმომადგენლისთვის დეპუტატის უფლებების აყრა არ შეიძლება“ და „დეპუტატისათვის მანდატის ახდა უნდა შეიძლებოდეს მხოლოდ კანონში მტკიცედ განსაზღვრულ შემთხვევებში, მძიმე ბოროტმოქმედების გამო“. მომხდართან დაკავშირებით ასევე შენიშნავდა: „ასეთს შემთხვევებში დეპუტატების გაძევება რომ დაკანონდეს, მმართველ ფრაქციას, თუ მოისურვებენ, მთელი ოპოზიციის პარლამენტიდან გაძევებაც არ გაუძნელდება“ („საქართველო“, 6.02.1921).

შესაძლოა, ფედერალისტები ჩხიკვიშვილი-ნუცუბიძის სკანდალს შემდეგშიც დაბრუნებოდნენ, მაგრამ მოვლენათა განვითარებამ სულ მალე ისეთი ხასიათი მიიღო, რომ აღნიშნულ სკანდალზე სასაუბროთ აღარ ეცალათ.

11.7. ერთიანობის დემონსტრირება დამფუძნებელი კრების სხდომებზე

დამფუძნებელი კრების სხვადასხვა ფრაქციების წევრები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და მკაცრი კრიტიკით გამოდიოდნენ, ერთიანობის დემონსტრირებასაც ახდენდნენ ორ შემთხვევაში, როდესაც დამოუკიდებლობის დღე ან რაიმე სხვა

საზეიმო მოვლენა აღინიშნებოდა, ანდა როდესაც ქვეყანა მნიშვნელოვანი საგარეო საფრთხის წინაშე დგებოდა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე სამსონ დადიანი (ს. ფ.) აღნიშნავდა: „არის ერთი რამ, რაც აუცილებლად ყველას გვაერთებს... რომლის გათვალისწინებაში და შეფასებაში ყველანი ერთ პოზიციაზე, ერთ ნიადაგზე უნდა ვიდგეთ“ (ოქმები, ტ. III, გვ.480). ეს გამაერთიანებელი საკითხი არის სამშობლოს დაცვა.

1920 წლის 14 იანვარს ჩატარდა დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივ აღიარებასთან დაკავშირებით. ამ სხდომასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავდა: „დამფუძნებელ კრებაში ამ სხდომის დროს, ამ ისტორიულ აქტის დაფასების დროს, აღარ იყო ფრაქციები, აღარ იყო სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობანი და მისწრაფებანი. საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით გამოწვეულმა სიხარულმა ყველანი გააერთიანა. პოლიტიკურ ცხოვრების ყველა ნაკადები შეაერთა ერთ დიდ მდინარეში“ („ერთობა“, 16.01.1920)

1920 წლის 30 აპრილს დამფუძნებელი კრების სხდომაზე სიტყვით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, რომელმაც დამფუძნებელი კრების წევრებს აცნობა რუსეთის წითელი ჯარების მიერ აზერბაიჯანის დაპყრობა და საქართველოზე მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხე. ფრაქციების სახელით გამოსულებმა აჩვენეს თავიანთი მზადყოფნა საერთო ძალებით დაეცვათ სამშობლო. ეს სულისკვეთება კარგად ჩანს ლეო შენგელაიას (ს. რ.) გამოსვლაში, რომელიც სხვა დროს მკაცრად აკრიტიკებდა ხელისუფლებას: „ამ ნაირად მომენტის მთავარ საკითხად ხდება გარეშე საფრთხე, თავდაცვის ორგანიზაცია ეს არის დღეს ყველაზე უფრო დიდი და რთული საქმე და აი ჩვენ ვამბობთ: ამ საქმეში განზე გადგომა და ხელის შეშლა იქნება ერის ღალატი! (ტაში) ამ საკითხში ყოყმანი და რყევა იქნება ისტორიული დანაშაული! (საერთო ტაში)“ (ოქმები, ტ. VI, გვ.283). იგივე იყო შალვა ნუცუბიძის პოზიციაც (ს. ფ.): „ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი, ყოველს გარედან მოსულ ძალას დაუხვდება მიუხედავად პოლიტიკური რწმენისა“ (ოქმები, ტ. VI, გვ.282). ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა ტერსტეპანიანმა (დშ.): „ჩვენმა პარტიამ, როგორც მოგეხსენებათ, პირველი დღიდანვე მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობა და ბოლომდე ამ ნიადაგზე ვიდგებით“ (ოქმები, ტ. VI, გვ.298).

სპირიდონ კედიამ (ე. დ.) იმავე სხდომაზე აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო პარტიები ამაღლდნენ „პარტიულ მოძღვრების ზევით“ და გაერთიანდნენ „სამშობლოს დაცვის იდეის გარშემო“. ამავე დროს ისიც აღნიშნა, რომ წარსულ ომებში, რომლებიც „ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, ასეთნაირი იდეური გაერთიანება არ იყო“ (ოქმები, ტ. VI, გვ.291).

11.8. ანდაზები, აფორიზმები და ხუმრობები დამფუძნებელი კრების სხდომებზე

დამფუძნებელი კრების დეპუტატები თავიანთ გამოსვლებში საკმაოდ ხშირად იშველიებდნენ ანდაზებს. მათი დანიშნულება იყო იმ აზრის გაღრმავება და ხატოვანი ეფექტის მინიჭება, რაზეც საუბრობდა ორატორი.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 28 ივლისის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.), როდესაც შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობდა, ქართული ანდაზა მოიშველია: „შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომლის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი ქართული ანდაზა: „ბუს არ ჰქონდა, ყვავს გაჰქონდაო“ (ოქმები, ტ. III, გვ.110).

ანდაზებს ხშირად იყენებდნენ სოციალ-დემოკრატი ორატორები ესერების წინააღმდეგ. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 აპრილის სხდომაზე დავით ონიაშვილმა (ს. დ.) თავის გამოსვლა დაიწყო სიტყვებით: „ერთი ქართული ანდაზა არის: „რძეზე შეშინებული დოს უბერავდაო“, სოციალისტ-რევოლიუციონერები ამას ამართლებენ“ (ოქმები, ტ. I, გვ.268). იმავე სხდომაზე ანდაზა გრიგოლ გიორგაძემაც (ს. დ.) მოიშველია შენგელაიას გამოსვლასთან დაკავშირებით: „როდესაც ის ჩვენ გვიკიჟინებს, რომ ჩვენი შეხედულობა არის ცალმხრივიო, „კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა“-ო, აი სწორედ ამაზეა ნათქვამი“ (ოქმები, ტ. I, გვ.301). დამფუძნებელი კრების 1919 წლის 13 მაისის სხდომაზე ესერების წინააღმდეგ ანდაზა პავლე საყვარელიძემ მოიშველია: „ქართული ანდაზა არის: ჩიტი ბრდღვნად არა ღირდა, დევნა მეტი იყოო. ზედმეტი და ნამეტანი მჭლე იყო სწორედ ბ-ნ გობეჩიას გამოსვლა“ (ოქმები, ტ. I, გვ.440).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ივნისის სხდომაზე სიმონ მდივანმა (ს. ფ.) ესერებს შეუტია: „როდესაც ვაჟბატონი გობეჩია გამოვიდა და მაშინ კი დავრწმუნდი, რომ იგი ამართლებდა ქართულ ანდაზას: „ყოველ ქურდს ქუდი ეწვის თავზედ“ (ოქმები, ტ. II, გვ.184).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 8 ივნისის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) სოციალ-დემოკრატების კრიტიკის დროს ანდაზა მოიშველია: „სწორედ ამაზე იტყვიან „ჩემი შენ გითხარი - გული მოგიკალიო“ (ოქმები, ტ. VI, გვ.475).

ანდაზით ოპონენტის შეურაცხმყოფელ რეპლიკასაც პასუხობდნენ. დამფუძნებელი კრების 1921 წლის 25 იანვრის სხდომაზე თედო ღლონტი (ს. ფ.) სიტყვას ამბობდა მთავრობის პოლიტიკის შესახებ. გაისმა ვიქტორ თევზაიას (ს. დ.) რეპლიკა: „თქვენ უზრდელი კაცი ყოფილხარ და მატყუარა!“. განაწყენებულმა თედო ღლონტმა განაცხადა: „მე ასეთ რეპლიკას პასუხს არ გავცემ არასოდეს... მე მხოლოდ ვიტყვი, რომ „კოკასა შიგან რაცა სდგა იგივე წარმოდინდების!“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.160).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე გრიგოლ ვეშაპელმა (ე. პ.) ერთბაშად ორი ანდაზა მოიშველია: „გეკითხებით, რა უფრო ხელსაყრელი იყო ეროვნული პოლიტიკისათვის, 2 პროცენტის განსხვავების მიუხედავად ქართველებთან შეგეკრათ ხელშეკრულება... სხვა რომ არა იყოს, ჩვენი ხალხის ანდაზა ლაპარაკობს: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“ (სიცილი. ისმის ხმები: ეს ჯამია თქვენ რომ გაწუხებთ) თუ გნებავთ კიდევ სხვა ანდაზაც არის ჯამზე: „ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო“ (სიცილი)“ (ოქმები, ტ. IV, გვ.88).

გრიგოლ ვეშაპელის „ლუკმა გავარდეს“ არ დავიწყებიათ და დ. ონიაშვილმა (ს. დ.) ცოტა ხნის შემდეგ გაუხსენა და მისი კრიტიკისთვის გამოიყენა: „ჩვენ, რასაკვირველია, ვეშაპელს ბევრს არაფერს მოვსთხოვთ, ვინაიდან მან ერთი აფორიზმი გადმოისროლა აქ, არ ვიცი შეგნებულად თუ შეუგნებლად - „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“ - და, რასაკვირველია, ის, ვინც ასე სწყვეტს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებს და ამ ფრაზით ზომავს ყველაფერს, ჩვენ ყურადღებას ვერ დაიმსახურებს“ (ოქმები, ტ. IV, გვ.153). ონიაშვილის ამ გამოსვლას ვეშაპელის რეპლიკა მოჰყვა, - თუ ყურადღებას არ ვიმსახურებთ მაშინ ამდენს რატომ ლაპარაკობო.

ზოგჯერ ორატორის მიერ გამოყენებულ ანდაზასაც იწუნებდნენ. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 დეკემბრის სხდომაზე ნოე ჟორდანიამ ანდაზა მოიშველია: „შეიძლება ვინმეს ეჩქარებოდეს, მაგრამ ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ აჩქარებული კვიცი ღვარში გადავარდაო“. ანდაზა არ მოუწონა გრიგოლ ვეშაპელმა და თავისი ვარიანტი შესთავაზა: „დედას რომ გაუსწრებს, არა?“ (ოქმები, ტ. IV, გვ.435-436).

1920 წლის 30 აპრილის სხდომაზე, როდესაც საუბრობდა აზერბაიჯანის სწრაფი გასაბჭოების მიზეზებზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) ქართული ანდაზა მოიშველია: „ადერბეიჯანმა თვი-

თონ უარყო თავისი დამოუკიდებლობა და ამნაირად მასზე სავსებით გამართლდა თქმულება: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“-ო! (საერთო სიცილი. მართალია!)“ (ოქმები, ტ. VI, გვ.283).

ანდაზების გამო კამათიც იწყებოდა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე თ. კიკვაძემ (ს. დ.) ანდაზა გამოიყენა „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“-ო. (ოქმები, ტ. III, გვ.220). ეს დაიმახსოვრა შალვა ნუცუბიძემ (ს. ფ.) და ანდაზა სოციალ-დემოკრატი ორატორის დასაცინად გამოიყენა: „ბ. კიკვაძემ სთქვა, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში დავემყარეთ ძველ ანდაზას: „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“-ო. ხმა ერისა, ალბათ რაჭისა და ლეჩხუმის მაზრის დემოკრატიის ხმა უნდა იყოს, ხმა ღვთისა კი ბ. შინაგან საქმეთა მინისტრის ხმა იქნება (სიცილი)“ (ოქმები, ტ. III, გვ.224).

უცხოური ანდაზები

დამფუძნებელი კრების წევრები უცხოურ ანდაზებსაც იშველიებდნენ. თ. კიკვაძემ (ს. დ.) რომაული ანდაზა გამოიყენა: „როგორც ამბობს რომაული ანდაზა: „pereat munedus, fiat justicia” ესე იგი - ოღონდ იუსტიცია გადარჩეს, თუნდაც ქვეყანა დაინგრეს“ (ოქმები, ტ. III, გვ.220).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე კირილე ნინიძემ განაცხადა: „ეს ჯენტლმენობა გამოდის გოტენტოტური მორალით: „მე ნუ შემჭამთ და სხვას თუ შევჭამთ - კარგიაო“ (ოქმები, ტ. III, გვ.295).

არ დავიწყებიათ რუსული გამოთქმებიც. პეტრე გელეიშვილმა (ს. დ.) შენგელაიას სიტყვის შემდეგ განაცხადა: „ბ. შენგელაიას გამოსვლამ მომაგონა რუსული თქმულება: «Гора родила мышь» (ოქმები, ტ. V, გვ.190).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე სიტყვით გამოდიოდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, რომელმაც რუსული ანდაზა მოიშველია: „ფედერალისტებს, რასაკვირველია, საჭიროა წარწერა გაუკეთოთ: «Се лев, а не собака», რასაც ფედერალისტი სამსონ დადიანის მხრიდან რეპლიკა მოჰყვა: „მინისტრებმა ანდაზები უნდა იცოდეთ!“ (ოქმები, ტ. III, გვ.309).

ლეო შენგელაიამ (ს. რ.) დამფუძნებელი კრების 1919 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე გრიგოლ გიორგაძის წინააღმდეგ ასევე მოიშველია რუსული ანდაზა: „ბატონებო, დამფუძნებელი კრების წევრნო! რუსებს აქვთ ერთი ანდაზა, რომელიც ზედ გამოჭრილი არის ბ. გიორგაძეზედ: „У нашего Якова свои речи про всякого“ (ოქმები, ტ. IV, გვ.289). ლეო შენგელაია ისევ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ აღნიშნავდა: „ნათქვამია: „Рожденный ползать – летать не может“-ო (ოქმები, ტ. VII, გვ.491).

შოთა რუსთაველი

დამფუძნებელი კრების სხდომებზე გამოსვლისას ორატორები „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებსაც იშველიებდნენ. გიორგი გვაზავას (ე. დ.) დამფუძნებელი კრების 1920 წლის 11 მაისის სხდომაზე, ჟორდანიას მიერ ლენინისთვის გაგზავნილმა წერილმა შოთა რუსთაველი გაახსენა: „უნდა სთქვათ ბატონებო, რომ ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების. დაშავდა კიდეც“ (ოქმები, ტ. VI, გვ.308).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 აპრილის სხდომაზე, აზერბაიჯანის გასაბჭოებასთან და რუსეთის თავდასხმის რეალურ საფრთხესთან დაკავშირებით თავის გამოსვლა ნოე ჟორდანიამ შოთა რუსთაველის აფორიზმით დაამთავრა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, რასაც „ოვაციები და მხურვალე ტაში“ მოჰყვა (ოქმები, ტ. VI, გვ.273). მის ამ სიტყვებს გამოეხმაურა სპირიდონ კედია (ე. დ.): „მთავრობის თავმჯდომარემ თავისი სიტყვა დაამთავრა ჩვენი უკვდავი დიდების, შოთა რუსთაველის სიტყვით. მე მინდა რომ ის ახალი მოქმედება, რომელშიაც გადავდივართ, დამთავრდეს იმ ძლიერების სიგრძნე-სიგანით, რომე-

ლიც შოთას დროს პასუხისმგებელმა მმართველებმა შექმნეს ქართველი ერისათვის“ (ოქმები, ტ. VI, გვ.291).

ილია ჭავჭავაძე

თავიანთ გამოსვლაში დამფუძნებელი კრების 1919 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე ესერმა ორატორმა ლეო შენგელაიამ ილია ჭავჭავაძეც მოიშველია: „მმართველ პარტიას ჰგონია, რომ ჩვენში ყველაფერი რიგზე არის, მისი აზრით ჩვენში ყველაფერი მშვენივრად არის მოწესრიგებული, ისე მშვენივრად, რონ გაზეთი „ერთობა“ სიხარულისგან მღერის: „ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერიო“ (ოქმები, ტ. IV, გვ.39).

ხუმრობები

დამფუძნებელი კრების წევრები ზოგჯერ ხუმრობდნენ, ან ხუმრობა გამოსდიოდათ. 1919 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე გამოდიოდა ივანე გობეჩია (ს. რ.): „... შეხვდა ერთი მოხუცი მოქალაქე, რომელმაც დეპუტატს შეეკითხა: იცნობთ თუ არა თქვენ ნოესო“. სოციალ-დემოკრატები დაინტერესდნენ და ოქმში რეპლიკაა დაფიქსირებული „რომელ ნოესო“. აინტერესებდათ გაერკვიათ, ნოე ჟორდანიაზე იყო ლაპარაკი თუ ნოე რამიშვილზე. ივანე გობეჩიამ დააზუსტა: „კიდობანი რომ ჰქონდა, აი, იმ ნოეს“. იმ მოხუცს მართლაც ბიბლიური ნოეს მაგალითი მოჰყავდა, მაგრამ კიდობნის მქონე ნოეს ხსენებამ საერთო სიცილი გამოიწვია (ოქმები, ტ. IV, გვ.310).

თუმცა, ლეო შენგელაია „ნოეს კიდობანი“ მოეწონა და ასე შეარქვა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მთავრობას და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას (ოქმები, ტ. V, გვ.146).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 28 ივლისს ლეო შენგელაიამ, იმის გამო, რომ ბიუჯეტს საღამოს სხდომაზე განიხილავდნენ თავის სიტყვის დასაწყისში იხუმრა: „ჩვენს ბიუჯეტს, როგორც სჩანს, დღის სინათლის ეშინია. ალბათ ამიტომ აიხსნება ის გარემოება, რომ მისი განხილვა სოციალ-დემოკრატიამ საღამოსთვის გადაიტანა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.159). ამ სიტყვებს დარბაზში, როგორც სტენოგრამაშია აღნიშნული „სიცილი და ხმაურობა მოჰყვა“, გელეიშვილმა კი რუსულად ირონიული კომენტარი გააკეთა: „განწყობას ქმნის!“

დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსვლისას ანეგდოტიც მოუყოლიათ. 1920 წლის 9 მარტის სხდომაზე სამსონ დადიანმა (ს. ფ.) თავის გამოსვლაში აღნიშნა: „ეს მუხლი მე მაგონებს ერთ ანეგდოტს: ერთმა კაცმა ბილეთი იყიდა რკინის გზაზე, უცებ მატარებელი დაიძრა და წავიდა. მგზავრი კი არხეინად სდგას - სად გამექცევა, ბილეთი აგერა მაქვსო“. ამ ანეგდოტს მაშინ საერთო სიცილი მოჰყვა (ოქმები, ტ. V, გვ.423).

11.9. რეპლიკები

დამფუძნებელი კრებაში გამოსვლების დროს ორატორს არცთუ იშვიათად აწყვეტინებდნენ სიტყვას. სტენოგრამაში ზოგჯერ დარბაზის რეაქცია დაფიქსირებულია სიტყვით „ხმაურობა“. სტენოგრაფისტებს ზოგჯერ არ ესმოდათ რეპლიკა, ამას სხვადასხვანაირად ასახავდნენ ოქმებში: „არ ისმის“, ან აღნიშნავდნენ თუ ვისი რეპლიკა იყო: „მესხიშვილის რეპლიკა“ (ოქმები, ტ. IV, გვ.243). „ასათიანი (რეპლიკა არ ისმის)“ (ოქმები, ტ. IV, გვ.243).

თუკი სტენოგრაფისტს ესმოდა, თუ ვინ წამოიძახა, აფიქსირებდა გვარს და მის მიერ ნათქვამ რეპლიკას. წამოძახილი და რეპლიკა შეიძლება ყოფილიყო როგორც ორატორის მხარდამჭერი, ისე კრიტიკული. რეპლიკა ლეგიტიმურად მიიჩნეოდა, თუკი ის მოსაზრების გამოთქმა იყო. როგორც ბენია ჩხიკვიშვილმა აღნიშნა ერთხელ, „რეპლიკებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, როდესაც გამოთქვამს თავის აზრს მკაფიოდ, მაგრამ იმისთვის, რომ ხელი შეუშალონ მოლაპარაკეს, სრულიად უადგილო და დაუშვებელია“ (ოქმები, ტ. II, გვ. 165).

ორატორი, როგორც წესი, რეპლიკის ავტორს პასუხობდა და სამაგიეროდ ახალ რეპლიკას ღებულობდა. ეს სხდომის თავმჯდომარის უკმაყოფილებას იწვევდა: „ნება მომეცით ხელმეორედ გავახსენოთ დამფუძნებელი კრების წევრებს, რომ რეპლიკებს ნუ მისცემთ შინაური დიალოგისა და ბაასის ხასიათს“ (ოქმები, ტ. IV, გვ.93). დამფუძნებელი კრების 1919 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე ს. ჯაფარიძის გამოსვლის დროს თავმჯდომარე სიმონ მდივანი იძულებული გახდა განეცხადებინა: „მე გთხოვთ, რეპლიკებს ნუ მისცემთ დიალოგის ხასიათს. თქვენ რეპლიკას რეპლიკა მოჰყვება (ასათიანი: გარანტია არა მაქვს, რომ მალაპარაკებენ... ბატონო ორატორო, თქვენ ნუ მიაქცევთ ყურადღებას რეპლიკებს და ისე განაგრძეთ თქვენი სიტყვა“ (ოქმები, ტ. IV, გვ.95).

ვინ ააშენა კავკასიონის ქედი

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 მარტის სხდომაზე სიტყვით გამოდიოდა ბენია ჩხიკვიშვილი. ის ცდილობდა დეპუტატებისთვის შეეხსენებინა სოციალ-დემოკრატიის დამსახურება საქართველოს წინაშე. „ვინ შეუნარჩუნა საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმა? ვინ იხსნა ის არევ-დარევისაგან?“ სიტყვა შენგელაიას (ს. რ.) რეპლიკამ შეაწყვეტინა, - „სომხეთს და ადერბეიჯანს ვინ შეუნარჩუნა?“, ანუ იგულისხმებოდა, რომ დამოუკიდებლობა ამ ქვეყნებმაც შეინარჩუნეს ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატების ყოფნის გარეშეც. გრიგოლ ვეშაპელმა იქვე სხვა რეპლიკა წამოისროლა, რომელიც დამცინავ ხასიათს ატარებდა: „კავკასიონის ქედი ვინ ააშენა?“, რასაც სიცილი მოჰყვა დარბაზში (ოქმები, ტ. V, გვ.360-361).

გრიგოლ ვეშაპელის რეპლიკა დაამახსოვრდათ და რამდენჯერმე გაიხსენეს კიდეც.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 19 მარტის სხდომაზე სიმონ მდივანმა (ს. ფ.), როდესაც სოციალ-დემოკრატების რეპლიკას პასუხობდა, კავკასიონის ქედის აშენებაც გაიხსენა: „ჩვენ არა ვართ ჩვეული ტრაბახობას. ტრაბახი თქვენი თვისებაა, კავკასიონის ქედიც კი თურმე თქვენი აშენებულია, როგორც აღნიშნა ეს ვეშაპელმა თავის კლასიკურ რეპლიკაში“ (ოქმები, ტ. VI, გვ.57).

კავკასიონის აშენების თემა გიორგი გვაზავამაც გაიხსენა დამფუძნებელი კრების 1920 წლის 11 მაისის სხდომაზე: „ს.-დ. ყოველთვის გაიძახიან მაინც ყველაფერი ჩვენ გავაკეთეთო. ვეშაპელი ამბობდა, რომ კავკასიონის ქედიც ჩვენ ავაგეთო ს.-დ. იტყვიანო“ (ოქმები, ტ. VI, გვ.337).

11.10. ორი სახის ოპოზიციის განსხვავება

დამფუძნებელი კრების 1921 წლის 4 იანვრის სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ვალიკო ჯუღელმა თავის გამოსვლაში ზოგადად დაახასიათა ოპოზიცია. ჯუღელმა ერთმანეთს შეადარა „მემარცხენე სოციალისტების“ და „მემარჯვენე-კონსერვატიული ოპოზიციის“ კრიტიკა. ჯუღელმა „მწუხარებით აღნიშნა“, რომ „მემარჯვენეთა კრიტიკა უფრო მაღალ საფეხურზე სდგას, ვიდრე სოციალისტების“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.14).მემარჯვენეთა კრიტიკა სერიოზულ ხასიათს ატარებს და „ცდილობს ფაქტების და საბუთების ნიადაგზე დადგეს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.14). ამიტომ მთავრობა „მეტ ყურადღებას მიაქცევს მას“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.19).

მემარცხენე ოპოზიცია, რომელშიც ჯუღელი ესერებს გულისხმობდა, წყდება ფაქტებს და „სუბიექტური მომენტი“ და „დემაგოგიური ელემენტები“ შემოაქვს. მათი მხრიდან წამოსულ კრიტიკას, რიგ შემთხვევებში, „ვნება მოაქვს არა პარტიისათვის, არამედ სახელმწიფოსათვის“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.14). „მემარცხენე ოპოზიციის გამოსვლებს წვრილმანი კრიტიკანობის სურ-

ვილი ამოძრავებდა. მათ სურდათ რაიმე ეთქვათ და შემდეგ რა იქნებოდა, ამას აღარ ეძიებენ“(ოქმები, ტ. VIII, გვ.17).

აღსანიშნავია, რომ ჯუღელის ამ სიტყვებს სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერის სამსონ დადიანის მხრიდან რეპლიკა მოჰყვა, - მემარჯვენეების მიმართ „ნამეტანი ბევრი რევერანსები მოგივიდათ“-ო.

დამფუძნებელი კრების მომდევნო სხდომაზე 1921 წლის 5 იანვარს უკვე თავად სამსონ დადიანს მოუხდა ოპოზიციის დახასიათება. მისი თქმით, შეიძლება არსებობდეს ორი სახის პოლიტიკური ოპოზიცია: „ერთი, რომელსაც ამოქმედებს პარტიული კაპიტალის შეძენის სურვილი და სრულიად არ უწევს ანგარიშს გარეშე პირობებს და მთელს ინტერესებს“, მეორე სახის ოპოზიცია ასევე ფიქრობს თავისი პოლიტიკური პარტიის გაძლიერებას, მაგრამ „სცდილობს თავისი კრიტიკა შეუთანხმოს მდგომარეობას“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.34). სამსონ დადიანის შეფასებით ესერთა პარტია სწორედ პირველი ტიპის ოპოზიციური ძალა იყო, რომელიც საკუთარი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე ანგარიშს არ უწევდა სახელმწიფოს ინტერესებს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.34). მათგან განსხვავებით, სოციალისტ-ფედერალისტები ხელისუფლების კრიტიკის დროს არ აყენებდნენ ისეთ წინადადებებს, რომელიც გასვლის შემთხვევაში „დაანგრევს ყველაფერს და დაღუპავს სახელმწიფოს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.34). სოციალ-დემოკრატ პავლე საყვარელიძის თქმით, ესერებს უნდათ „მოაჩვენონ ხალხს, რომ მას ყველა ღალატობს ესერების გარდა“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.61).

როგორც ვხედავთ, სოციალ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების დამოკიდებულება ესერების როგორც პოლიტიკური ძალისადმი, დაახლოებით ერთნაირი იყო და მას სახელმწიფო ინტერესების დამაზიანებლად მიიჩნევდნენ.

რასაკვირველია, უპასუხისმგებლო მემარცხენე ოპოზიციად გამოცხადებული ესერები ასეთ ბრალდებებს უარყოფდნენ და აცხადებდნენ, რომ მათი გამოსვლები გამოწვეული იყო „სახელმწიფოებრივი ინტერესებით“ და ლეო შენგელაიას თქმით, სწორედ მმართველი პარტია „თავის პარტიულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვინემ სახელმწიფოებრივს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.24). ესერების ლიდერის ლეო შენგელაიას თქმით, ისინი „საქმიანი ოპოზიცია“ იყვნენ.

ოპოზიციის დახასიათება სოციალ-დემოკრატების მხრიდან შემდეგშიც გრძელდებოდა. დამფუძნებელი კრების 1921 წლის 25 იანვრის სხდომაზე სოციალ-დემოკრატმა პავლე წულაიამ „პატარა, ოპოზიციონერულ ფრაქციების“ შესახებ აღნიშნა: „სხვა იმდენს ზიანს ვერ მოგაყენებს, რამდენიც შენი თავი“. წულაიამ გააკრიტიკა „ოპოზიციის კრიტიკის მეთოდი“, რომელიც „ერთგვარ წვრილმანებზე აგებული“ იყო და მას „არსებითი მნიშვნელობა“ არ ქონდა. ოპოზიცია ცდილობდა თავისი გამოსვლებით „მოეგოთ ხალხის გული, მათ დამცველებათ გამოსულიყვნენ“ და ურჩევდა ოპოზიციას „მოჰკიდონ ხელი ისეთ ფაქტებს და გარემოებებს, რომლებიც მართლაც და ოპოზიციონური არიან“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.154).

მემარცხენე ოპოზიცია, პირველ რიგში ესერები აკრიტიკებდნენ მემარჯვენე ოპოზიციასაც და მათ „უნიადაგოდ“ და სოციალ-დემოკრატების დამატებად მიიჩნევდნენ. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 მარტის სხდომაზე ილია ნუცუბიძემ (ს. რ.) განაცხადა, რომ „მემარჯვენენი თუ გამოვლენ მხოლოდ იმისთვის, რომ ტაში დაუკრან უმრავლესობის ფრაქციას“ (ოქმები, ტ. VI, გვ.110).

11.11. მთავრობის თავმჯდომარეს სიტყვა 62-ჯერ შეაწყვეტინეს

დამფუძნებელი კრების 1921 წლის 17 იანვრის სხდომაზე, დღის წესრიგის საკითხების განხილვის შემდეგ, სიტყვით მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გამოვიდა. მისი სიტყვა

შეჯამება უნდა ყოფილიყო მისივე განცხადების გამო გამართული დებატებისა, თუმცა მას მშვიდად გამოსვლის საშუალება არ მისცეს. ნ. ჟორდანიას სიტყვის სტენოგრამა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა („საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ. 9, 20, 27 და 28 იანვარი). მას სიტყვა რეპლიკებით 62-ჯერ შეაწყვეტინეს. ნ. ჟორდანიას უხდებოდა ამ რეპლიკებზე პასუხის გაცემა, რამაც დაარღვია მთავრობის თავმჯდომარის სიტყვის მთლიანობა.

დარბაზში ვითარება იმდენად დაძაბული იყო, რომ სხდომის თავმჯდომარემ ე. თაყაიშვილმა დეპუტატები გააფრთხილა, რომ სხდომას შეწყვეტდა თუ ასე გაგრძელდებოდა. „მე იძულებული ვიქნები, ბატონებო, სხდომა დავხურო, თუ არ მოუსმენთ მთავრობის თავმჯდომარეს და ხელს შეუშლით მის სიტყვას. არ შეიძლება და არც გეკადრებათ. ბატონებო, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ უშლით ხელს თავმჯდომარეს, დაამთავრებიეთ სიტყვა. თქვენ ჩაწერილი ხართ და შეძლება გექნებათ ილაპარაკოთ. გთხოვთ დაწყნარდეთ!“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.69). თუმცა თავმჯდომარის ეს მოწოდება ამაო გამოდგა. რეპლიკები და წამოძახილები გრძელდებოდა. ამ რეპლიკებში ჩანს ის დაძაბულობა და ერთმანეთით უკმაყოფილება, რაც ხელისუფლებაში მყოფ სოციალ-დემოკრატებს შორის დაგროვდა.

სხდომის თავმჯდომარეს კიდევ მოუხდა გამოსვლა წესრიგის აღსადგენად და პერსონალურად შალვა ნუცუბიძეს მიმართა, რომელიც განსაკუთრებით აქტიურობდა შეძახილებით და რეპლიკებით: „ბატონო შალვა! გთხოვეთ რამდენიმეჯერ - ნუ ხმაურობთ, გაგიცხადეთ, ნუ ილაპარაკებთ-თქო. თქვენ არ აასრულეთ; ეხლა შენიშვნას გაძლევთ, თუ კიდევ გაიმეორებთ - სამწუხაროდ, მე იძულებული ვიქნები მივმართო სხვა ზომებს. უმორჩილესად გთხოვთ დაწყნარდეთ!“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.71).

11.12. დაპირისპირება ესერებსა და ფედერალისტებს შორის

სამსონ დადიანმა სოციალისტ-ფედერალისტთა სახელით მკაცრად გააკრიტიკა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი. საპასუხოდ ესერებმა ფედერალისტებს „სახელის გასატეხი მასალა“ წამოუყენეს. დამფუძნებელი კრების 5 იანვრის სხდომაზე ლეო შენგელაიამ დამფუძნებელ კრებას წარუდგინა ფედერალისტთა ორგანოს „სახალხო გაზეთის“ 1914 წლის 26 ნოემბრის ნომერი, რომლის მე-3 გვერდზე დაბეჭდილი იყო იმპერატორ ნიკოლოზ II-ის სურათი და წაიკითხა წერილი, სადაც მიესალმებოდნენ მის თბილისში ჩამოსვლას. ამას მოჰყვა დარბაზში „ხანგრძლივი სიცილი“ და ესერების შეძახილები: „სირცხვილი სოციალისტური გაზეთებისთვის“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.32-33). შენგელაიას განცხადებით ამის შემდეგ ძნელი დასაჯერებელი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა „ფრაქციის და პარტიის სოციალისტობა“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.33).

სამსონ დადიანმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ სოციალისტურ გაზეთში იმპერატორის სურათის დაბეჭდვა დიდ ცოდვად არ მიიჩნია და ისიც გაიხსენა, რომ გაზეთ „კვალის“ იმ ნომერში, სადაც ნოე ჟორდანიას და მიხა ცხაკაიას სტატიები იყო დაბეჭდილი, ასევე მოთავსებული იყო ნიკოლოზ II-ის მთელი ოჯახის ფოტოსურათი. რაც შეეხება ესერების მიერ ნიკოლოზ II-ის სურათის მოშველიებას, ს. დადიანის განცხადებით ეს არ იყო პატიოსანი შეკამათება, „ბავშვურ ლაზღანდარობას“ წარმოადგენდა და მოწმობდა იმ ფრაქციის „როგორც ზნეობრივ, ისე ინტელექტუალურ სიკოტრეს“, რომელსაც „ამ საბუთის მეტი აღარაფერი შერჩენია ხელთ“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.46).

ს. დადიანმა, თავის მხრივ, ესერთა პარტიის სოციალისტობა დააყენა ეჭვქვეშ. შეახსენა, რომ ისინი კერენსკის პარტიის „ღვიძლი შვილი“ არიან და ესერთა პარტია რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში „დენიკინსა და ვრანგელში ჰპოულობენ ხსნას“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.45).

ესერებისა და ფედერალისტების დაპირისპირება იმდენად იყო გამწვავებული, რომ ერთმანეთის როგორც პარტიის არსებობას ეჭვქვეშ აყენებდნენ. ესერმა ლეო შენგელიამ განაცხადა, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი და უნიტარული სახელმწიფო, აქედან გამომდინარე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არსებობა უნიადაგო იყო. სამსონ დადიანი ამის საპასუხოდ აცხადებდა, რომ ფედერალისტთა პარტიის არსებობას ქვეყნის შიდა ტერიტორიული მოწყობა არ განაპირობებდა. სოციალისტური პარტიების განაცხადი ერთა სოლიდარობისა და „თავისუფალ ერთა კავშირის“ შესახებ არსებითად მსოფლიოს ფედერაციულ მოწყობას ნიშნავდა (ოქმები, ტ. VIII, გვ.43).

სოციალისტ-ფედერალისტები, თავის მხრივ, ესერთა პარტიას მიიჩნევდნენ ქართული რეალობისთვის უცხოდ. „არ შეგიძლიათ თქვენ დადგეთ ქართულ ეროვნულ ნიადაგზე, ვინაიდან თქვენ ხართ წმინდა რუსული პარტიის სოციალისტ-რევოლუციონერთა ჩამონატეხი, მისი ფსიქოლოგიით და „ველიკოდერჟავული“ სულით გაჟღენთილი“, - აცხადებდა დამფუძნებელ კრებაში ს. დადიანი. მისივე თქმით, ქართველმა ესერებმა, „როგორც რუსული პარტიის ჩამონატეხმა“, შეითვისეს რუსეთში გამარჯვებული „წმინდა წყლის რუსული პარტიის“ ბოლშევიკების მეთოდები. „თქვენი საქართველოში არსებობა არის ისტორიული გაუგებრობა... თქვენ არ გქონიათ საქართველოში წარსული, არ გექნებათ არც მომავალი. რომ აღსდგეს რუსეთი, თქვენ დაივიწყებთ არა თუ ამ დროშას, არამედ საქართველოს სამი წლის წმინდა ბრძოლას თავისუფლებისათვის და ისევ მას (რუსეთის) კალთას შეაფარებთ თავს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.46).

11.13. დებატების გაჭიანურების ტაქტიკა

დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქცია წევრთა რაოდენობით 5-ჯერ აღემატებოდა ყველა დანარჩენ ოპოზიციურ ფრაქციას, ერთად აღებულს. ასეთ პირობებში ოპოზიციას გავლენის მოხდენა არ შეეძლო დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებებზე, სამაგიეროდ, ოპოზიცია მაქსიმალურად იყენებდა კრიტიკის უფლებას. „ოპოზიციამ მოისურვა დამფუძნებელი კრება სალაყბოდ გადაექცია. ხშირათ უბრალო საკითხების გარჩევას მთელი სხდომები უნდება“, - აღნიშნავდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ორგანო გაზეთი „ერთობა“ 1921 წლის თებერვლის დასაწყისში („ერთობა“, 3.02.1921).

დამფუძნებელი კრების 1921 წლის 25 იანვრის სხდომაზე, როდესაც მთავრობის თავმჯდომარის განცხადების შემდეგ დებატები უკვე სამი თვე მიმდინარეობდა, შალვა მესხიშვილმა (ს. ფ.) კვლავ მოითხოვა „განსაკუთრებული სხდომის“ დანიშვნა, სადაც მთავრობის საქმიანობაზე ილაპარაკებდნენ. „გვისპობთ საშუალებას ვთქვათ ის, რაც ვიცით, რაც სიმართლეა, რაც ბევრ მინისტრს გააწითლებს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.161). ეს წინადადება სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ და, შესაბამისად, დამფუძნებელმა კრებამაც უარყო. „ბევრი ილაპარაკეთ, მაგრამ საბუთი არაფერი არ მოგიყვანიათ“, - განაცხადა ვალიკო ჯუღელმა (ოქმები, ტ. VIII, გვ.161).

ამ გადაწყვეტილებას ოპოზიციური ფრაქციების პროტესტი მოჰყვა, - „სირცხვილი, სირცხვილი, გაურბიხართ ბრძოლას, გეშინიათ ფაქტების“. შალვა მესხიშვილმა „განსაკუთრებული სხდომის“ არ დანიშვნა პოლიტიკური ბრძოლიდან გაქცევად შეაფასა: „თუ თქვენ არ გაურბიხართ პოლიტიკურ ბრძოლას, თუ არ გეშინიათ ოპოზიციის ორატორების საბუთების, რომელიც არა ერთს და ორ მინისტრს გააწითლებს, მაშინ დანიშნეთ კამათი ამ საკითხზე“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.164).

თავი XII. დამფუძნებელი კრება და საქართველოს მთავრობის ფორმირება (მალხაზ მაცაბერიძე)

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამკვიდრებულ მთავრობის შედგენის წესს სოციალ-დემოკრატები უნიკალურად მიიჩნევდნენ. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 აპრილის სხდომაზე რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) აღნიშნავდა, თუ როგორ ყალიბდებოდა მთავრობა არსებული პრაქტიკით: „მთავრობის თავმჯდომარე არის არჩეული დამფუძნებელ კრების მიერ და ყველა დანარჩენი წევრები კაბინეთში არიან მისგან მოწვეული და ერთგვარი პასუხისმგებლობის მატარებელი ჩვენს წინაშე“, მისი განცხადებით, „ეს თუ გნებავთ ორიგინალობაა, ვინაიდან მე არ ვიცი არც ერთი რესპუბლიკა, სადაც არსებობდეს მთავრობის შედგენის ასეთი წესი, როგორც არის ჩვენ მიერ მიღებული“ (ოქმები, ტ. I, გვ.230), იმავე გამოსვლაში რაჟდენ არსენიძემ კვლავ გაიმეორა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამკვიდრებულ პრაქტიკას „არ აქვს არავითარი ანალოგია სხვა კონსტიტუციებში. ვერ დამისახელებთ ვერც ერთს კონსტიტუციას, სადაც ამ წესით იყოს შედგენილი მთავრობა“ (ოქმები, ტ. I, გვ.236).

12.1. საქართველოს პარლამენტის მთავრობის ანგარიში

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 მარტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანია, რომელმაც განცხადება გააკეთა საქართველოს პარლამენტის მთავრობის გადადგომის შესახებ და მოკლე ანგარიში წარმოადგინა მთავრობის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე, მთავრობისა, რომელიც არსებობდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროიდან.

ნოე ჟორდანიას თქმით, მთავრობამ მიაღწია თავის ძირითად მიზანს - მოეწვია საქართველოს დამფუძნებელი კრება; ამასთან დამფუძნებელი კრება მუშაობას იწყებდა უაღრესად ხელსაყრელ საზოგადოებრივ პირობებში, როდესაც არსებობდა „სამ გვარი ნაყოფი“: საგარეო მყუდროება, საშინაო მყუდროება, რევოლუციის ყველა მონაპოვარი (ოქმები, ტ. I, გვ.29). „რუსეთის სხვა სახელმწიფოებთან და ერებთან შედარებით ჩვენი სახელმწიფოს გემი მშვიდად მოგიყვანეთ თქვენამდის“ (ოქმები, ტ. I, გვ.33), - მიმართა ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების წევრებს.

საინტერესოა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ხედვა, რომელიც ნოე ჟორდანიამ წარმოადგინა. მისი თქმით, „დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა საქართველოს გარეშე მდგომ ძალების ზეგავლენით“ (ოქმები, ტ. I, გვ.28). ერთი მხრივ, ეს იყო რუსეთის წასვლა, მეორე მხრივ ოსმალეთის მოსვლა. ნოე ჟორდანიას განცხადებით, ამ ორმა ისტორიულმა მოვლენამ დაბადა საქართველოს დამოუკიდებლობა, „როგორც აუცილებელი საშუალება ამ ქარტეხილში თავის გადარჩენის“ (ოქმები, ტ. I, გვ.29). საქართველო, „გადაჩვეული თავის მოვლას და ბატონობას“ (ოქმები, ტ. I, გვ.29), მოულოდნელად დარჩა „თავის ამარა“ (ოქმები, ტ. I, გვ.29). ასეთ ვითარებაში საქართველოს მთავრობამ წარმატების მოპოვება შეძლო „რევოლუციის მონაპოვართა ნიადაგზე ხალხის დარაზმვით“ და „დემოკრატიის დროშით“. ამან მთავრობის გარშემო შემოკრიბა „ყველა დემოკრატიული და რევოლუციური ორგანიზაცია“ (ოქმები, ტ. I, გვ.30).

ნოე ჟორდანიას თქმით, „საშინაო და საგარეო მყუდროების“ შენარჩუნება მოხერხდა შეიარაღებული ძალების - გვარდიის და მუდმივი ჯარის მეშვეობით. ჟორდანია ძალზედ კმაყოფილი იყო გვარდიით. „გვარდია შეიქნა რევოლიუციონურ ტალღებში საუკეთესო მოწინავე ელემენტებისგან და ეს ინსტიტუტი ჩვენ დავაკანონეთ“, - აღნიშნა მან (ოქმები, ტ. I, გვ.30). მი-

სივე თქმით, მთავრობა გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდა მუდმივ ჯარს, მაგრამ, ნოე ჟორდანიას შეფასებით, მთავრობის მუშაობამ ამ მიმართულებით „ვერ გამოიღო საჭირო ნაყოფი“ (ოქმები, ტ. I, გვ.30). ნოე ჟორდანიას აზრით, ამის მიზეზი პირველი მსოფლიო ომი იყო, რომლის შედეგად ხალხს „ყაზარმა შესძულდა“ და არათუ საქართველოში, ევროპაშიც მუდმივი ჯარის ყოლა პრობლემური იქნებოდა (ოქმები, ტ. I, გვ.30).

რაც შეეხება საქართველოს საგარეო მდგომარეობას, ნოე ჟორდანიას თქმით, საქართველოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ომში გამარჯვებულ დიდ ქვეყნებთან, ისევე როგორც მეზობლებთან. მისივე განცხადებით, საქართველო გახდებოდა „ხალხთა ლიგის“ (ერთა ლიგის) წევრი.

ნოე ჟორდანია შეეხო ქვეყნის რთულ ფინანსურ მდგომარეობას, რაც განპირობებული იყო იმით, რომ „სახელმწიფოს აშენების პროცესში... გადასახადის აკრეფა ძნელდება“ (ოქმები, ტ. I, გვ.32). მისივე თქმით, როცა ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა, ფინანსებიც მოწესრიგდებოდა. ნოე ჟორდანიამ ხაზი გაუსვა, რომ საქართველომ შეძლო გაფიცვების თავიდან აცილება. „ეს აიხსნება იმით, რომ მუშათა კლასი სრული ნდობით ეპყრობა მთავრობას“ (ოქმები, ტ. I, გვ.32).

„პარლამენტის მთავრობა მიდის და ადგილს უთმობს დამფუძნებელი კრების მთავრობას“ (ოქმები, ტ. I, გვ.33), - ამ სიტყვებით დაამთავრა ნოე ჟორდანიამ თავისი გამოსვლა. მთავრობის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ განცხადებას რაიმე განხილვა და კამათი არ მოჰყოლია. დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შეტანილი რეზოლუცია: „შეწყნარებულ იქნეს განცხადება მთავრობისა გადადგომის შესახებ და დავალოს იმავე მთავრობას განაგრძოს რესპუბლიკის საქმეთა მართვა ახალი მთავრობის შედგენამდე“ (ოქმები, ტ. I, გვ.33).

12.2. ახალი მთავრობის შედგენის საკითხი

ნოე ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი მთავრობის შექმნის საკითხი. ამასთან დაკავშირებით გამოსულმა მომხსენებელმა, რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) განაცხადა, რომ მთავრობის ფორმირება უნდა ყოფილიყო „პირველი აქტი დამფუძნებელ კრების ნამდვილ პრაქტიკულ მუშაობისა“. რაჟდენ არსენიძის თქმით, „რევოლუციურ ნგრევა-შენების ხანაში“ ყველაზე სუსტი მმართველობითი აპარატია და ყველაზე მეტად საქართველოს სახელმწიფოს „მმართველობის აპარატის გაღონიერება“ ესაჭიროებოდა (ოქმები, ტ. I, გვ.34). მისივე განცხადებით, ამის გაკეთება ადვილი არ იქნებოდა, მაგრამ მთავრობის სათავეში ისეთი პირები უნდა ჩაეყენებინათ, რომელთაც ენდობოდა დამფუძნებელი კრება და მეორე მხრივ, რომელთაც შეეძლებოდათ ამ სამუშაოს შესრულება.

რაჟდენ არსენიძის თქმით, „თუ როგორი უნდა იყოს ორგანიზაცია მთავრობისა“, ეს იყო „დიდი კონსტიტუციური საკითხი“ და მისი გადაწყვეტა „დიდ დროს, ბევრ დავას და ბევრ კამათს“ გამოიწვევდა (ოქმები, ტ. I, გვ.34). კონსტიტუციის არქონის გამო, დამფუძნებელ კრებას მთავრობის ფორმირებისას უნდა ესარგებლა „ერთგვარი კონსტიტუციური პრაქტიკით“ (ოქმები, ტ. I, გვ.34). მისი თქმით, დამფუძნებელი კრებების ისტორიაში იყო ორგვარი მაგალითი: ა/ დამფუძნებელი კრება ირჩევდა მთავრობის მთელ შემადგენლობას; ბ/ ერთ პირს ანდობდა მთავრობის შედგენას. რაჟდენ არსენიძის თქმით, თუ დამფუძნებელი კრება აირჩევდა მთავრობის ყველა წევრს, შეიძლება ამას უფრო გამოეხატა „დამფუძნებელი კრების ნებისყოფა“, მაგრამ, მისივე განცხადებით, ეს ვერ იქნებოდა „ყველაზე სწრაფი და სწორი გამტარებელი დამფუძნებელი კრების სურვილისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.35).

რაჟდენ არსენიძის თქმით, გასათვალისწინებელი იყო ეროვნული საბჭოს გამოცდილება, რასაც ცუდი შედეგი არ მოჰყოლია და უნდა მიეღოთ მთავრობის ფორმირების შემდეგი გზა: „დამფუძნებელი კრება აირჩევს ერთს და მას მიენდობა შედგენა კაბინეტისა, რომელიც წარმოსდგება ჩვენს წინაშე თავის დეკლარაციის და თავის შემადგენლობის დასამტკიცებლად“ (ოქმები, ტ. I, გვ.35).

რაჟდენ არსენიძის მიერ დამფუძნებელი კრებისთვის წარდგენილი მთავრობის შექმნის გეგმა არსებითად იმეორებდა ნოე ჟორდანიას მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს მთავრობის ორგანიზებასთან დაკავშირებით. 1919 წლის თებერვლის ბოლოს ნოე ჟორდანიამ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შეერთებულ კრებაზე წაიკითხა მოხსენება „დამფუძნებელი კრება, მისი ფუნქცია და ძალა-უფლება“. ნოე ჟორდანიას თქმით, „მთავარი კითხვა, რომელიც აქვს გადასადგმელათ დამფუძნებელ კრებას - არის მმართველობის ანუ აღმასრულებელ ძალის მოწყობა“.

ნოე ჟორდანიას თქმით, დამფუძნებელი კრება არ იქნებოდა საქართველოს პარლამენტის გამეორება და მწვავედ გააკრიტიკა ეროვნული საბჭოს საფუძველზე შექმნილი საკანონმდებლო ორგანო. პარლამენტი იქმნება კონსტიტუციის საფუძველზე, რომელსაც დამფუძნებელი კრება ქმნის. „იმით, რომ ჩვენს ნაციონალურ საბჭოს პარლამენტი დავარქვით, მართლა პარლამენტი არ გამხდარა და თვით ეს სახელი მას ისე შეეფერება, როგორც ძროხას უნაგირი. ის არსებითად დარჩა ნაციონალურ საბჭოთ. ჩვენ პრაქტიკულად შემოვიღეთ პარლამენტარული რეჟიმი, თუმცა საამისო არც კონსტიტუცია გვაქვს და არც ადათი. ჩვენ მხოლოდ მივბაძეთ რუსეთის დუმას, თითქოს უკეთესი მაგალითი ქვეყნათ არ მოიძებნებოდეს“ („ერთობა“, 1.03.1919). ნოე ჟორდანიამ საქართველოს „მოუწყობლობის“ „ერთ მთავარ მიზეზთაგანად“ მიიჩნია სწორედ ის გარემოება, რომ „ჩვენმა პარლამენტმა მართლა პარლამენტათ წარმოიდგინა თავი“ და „არ მიითვისა დამფუძნებელი კრების ზოგი ფუნქცია და არ ჩაერია პირდაპირ აღმასრულებელი ძალის მოქმედებაში“.

ნოე ჟორდანია ისტორიული მაგალითებით, პირველ რიგში კი საფრანგეთის გამოცდილებით ასაბუთებდა, რომ დამფუძნებელ კრებას შეეძლო არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ფუნქციების შესრულებაც, რაც კრიზისულ სიტუაციებში ხდება საჭირო. თუმცა, მისი აზრით, „ჩვენი დამფუძნებელი კრება“ ივლიდა „საშუალო გზით“, „აღმასრულებელი ძალის სავსებით თავის ხელში დატოვება“ არ დასჭირდებოდა.

„იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით საკმარისი იქნება მან აირჩიოს ერთი პირი აღმასრულებელი ძალის მეთაურად და მას მიანდოს კაბინეტის შედგენა და წინამძღოლობა", - აღნიშნა ნოე ჟორდანიამ („ერთობა“, 1.03.1919). მისივე განცხადებით, ეს საკმარისი არ იქნებოდა „თუ თვით კაბინეტის ორგანიზაცია არ გამოიცვალა და ახალ ნიადაგზე არ დადგა“. ნოე ჟორდანიას მიაჩნდა, რომ „გარდამავალ ხანაში“ მინისტრები რაც შეიძლება ნაკლები უნდა ყოფილიყო, ხოლო აპარატი „სწრაფი და მოძრავი“.

ნოე ჟორდანიას საჭიროდ მიაჩნდა მთავრობის შემადგენლობის მაქსიმალურად შემცირება. „საფრანგეთის დიდ რევოლიუციას არ ყოლია შვიდ მინისტრზე მეტი, ჩვენ კი ცხრამდი გავიჭიმეთ“, - განაცხადა ჟორდანიამ და აღნიშნა, რომ მისი აზრით 3 სამინისტრო (+ მთავრობის თავმჯდომარე) სავსებით საკმარისი იქნებოდა. მან ჩამოაყალიბა საქართველოს მთავრობის სტრუქტურის საკუთარი ხედვა, სამინისტროებს შიგნით უნდა ყოფილიყო დეპარტამენტები:

სამინისტრო	დეპარტამენტები
მთავრობის თავმჯდომარე	
სამინისტრო თავის დაცვისა	სამხედრო საგარეო საქმეთა
სამინისტრო შინაური საქმეებისა	საზოგადო მყუდროება სასამართლო განათლება
სამინისტრო სახალხო მეურნეობის	ფინანსები ვაჭრობა-მრეწველობა სახელმწიფო ქონება სასოფლო მეურნეობა მიმოსვლა შრომა

მაშასადამე, ნოე ჟორდანიას აზრით, საკმარისი იქნებოდა სამი სამინისტრო 11 დეპარტამენტით. თუმცა სახალხო მეურნეობის სამინისტრო სიდიდის გამო, არ გამორიცხავდა მის ორ სამინისტროდ გაყოფას.

ნოე ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ყველა სამინისტრო თავმჯდომარესთან ერთად, ერთ შენობაში უნდა ყოფილიყო განთავსებული, რაც შესაძლებელს გახდიდა, რომ „თავმჯდომარეს უკეთ შეეძლოს თვალყურის დევნება და თვით უწყებათა შორის ყოფილიყო „სწრაფი მიმოსვლა“. გარდა ამისა, სამინისტროების „ერთ შენობაში მოთავსება“ შესაძლებელს გახდიდა შტატების შემცირებას. ნოე ჟორდანიას აზრით, შესაძლებელი იქნებოდა „ერთი საერთო ბუხჰალტერი, ერთი საერთო რეგისტრაცია, საერთო გადამწერლები, ექსპედიცია, სტაჟიორები დ ა სხ.“

დამფუძნებელი კრების ჩარევა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში უნდა მომხდარიყო კომისიების მეშვეობით. „დამფუძნებელმა კრებამ უნდა აირჩიოს იმდენი კომისია, რამდენიც დეპარტამენტია და მათთან ერთად მუშაობდეს, როგორც კანონმდებლობით, ისე აღმასრულებით დარგში“. ამით დამფუძნებელი კრება „აღმასრულებელი ძალის ერთ ნაწილს“ აძლევდა სამინისტროებს, დანარჩენს კი თავად იტოვებდა. მათ შორის კონფლიქტის შემთხვევაში „უკანასკნელი სიტყვა“ ეკუთვნოდა დამფუძნებელ კრებას. ნოე ჟორდანიას აზრით, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც „ჩვენი ხლამის გამოგვა არავის არ ძალუძს, თუ არა დამფუძნებელ კრებას და მის კომისიებს“. ხალხსა და დამფუძნებელ კრებას შორის არ იქნებოდა სამინისტრო, როგორც „პარლამენტარულ რეჟიმშია".

ნოე ჟორდანიას მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგაც მიიღეს შემდეგი თეზისები:

„I. დამფუძნებელი კრების მთავარი საზრუნავია პირველ ყოვლისა მოახდინოს მართვა-გამგეობის რეორგანიზაცია. სახელდობრ:

1. შემცირება სამინისტროების
2. შემცირებს შტატების
3. ორგანიზაცია აღმასრულებელი ძალის

II. დამფუძნებელი კრება გარდა თავისი ჩვეულებრივი მოქმედებისა - დეკრეტებით, კანონების და კონსტიტუციის შემუშავებით, აარსებს კომისიებს, რომელნიც თვალყურს ადევნებენ აღმასრულებელი ძალის მოქმედებას და უფლება აქვს, რომ ამ მოქმედებაში ჩაერიოს, როცა საჭიროთ დაინახავს. დამფუძნებელი კრება ახორციელებს პირდაპირ აღმასრულებელ ძალას მთლიანათ თუ ნაწილობრივ როცა ამას მდგომარეობა მოითხოვს“ („ერთობა“, 1.03.1919).

სამინისტროების რიცხვის შემცირებას სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ყველა არ ეთანხმებოდა, მაგალითად, ვალიკო ჯუღელი თავის დღიურში ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „გადაწყდა იყოს მხოლოდ ხუთი მინისტრი: იუსტიცია, განათლება და გზები ერთიანდება შინაგან საქმეთა სამინისტროში. ეს ცუდია... მე არ მიმაჩნია მიზანშეწონილად სამინისტროების ასეთი შემცირება და შეკვეცა“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.201).

მთავრობის ფორმირება, დამფუძნებელი კრების მიერ მისი დამტკიცება და კომისიების შექმნა, არსებითად, ამ გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა. მთავრობის თავმჯდომარე რომ კვლავ ნოე ჟორდანია იქნებოდა, ამასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში საერთო აზრი არსებობდა. ვალიკო ჯუღელი თავის დღიურში 1919 წლის 10 მარტს აღნიშნავდა: „მთავრობის თავმჯდომარედ, ერთხმად, ნოე ნიკოლოზის ძე დასახელდა“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.204).

1919 წლის 21 მარტს დამფუძნებელი კრების მე-4 სხდომაზე დადგა „მთავრობის შედგენის“ საკითხი. სხდომის თავმჯდომარემ ალ. ლომთათიძემ წაიკითხა მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას განცხადება: „ჩემი თანამდებობის ასრულებას დროებით ვანდობ გარეშე საქმეთა მინისტრს ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორს (ოქმები, ტ. I, გვ.72). მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ევგენი გეგეჭკორმა მთავრობის დავალებით დამფუძნებელ კრებას აცნობა მთავრობის შემადგენლობა, რომელიც შედგებოდა მთავრობის თავმჯდომარის და ოთხი მინისტრისგან.

მთავრობის შემადგენლობა შემდეგი იყო:

მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია;

საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი - ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი;

შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების და სამხედრო საქმეთა მინისტრი - ნოე ვისარიონის ძე რამიშვილი;

მიწათმოქმედების, შრომის და გზათა მინისტრი - ნოე გიორგის ძე ხომერიკი;

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი - კონსტანტინე პლატონის ძე კანდელაკი.

დამფუძნებელი კრება „მხურვალე ტაშით“ შეეგება ამ განცხადებას (ოქმები, ტ. I, გვ.73).

მთავრობის შემადგენლობის დამფუძნებელი კრებისთვის გაცნობის შემდეგ ე. გეგეჭკორმა წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია სამომავლო საქმიანობის შესახებ. თუმცა, ფრაქციების წარმომადგენლებმა არ მოინდომეს იმავე დღეს კამათის დაწყება მთავრობის დეკლარაციის თაობაზე. სპირიდონ კედიას (ე. დ.) განცხადებით, დამკვიდრებული პრაქტიკა იყო, როდესაც „ფრაქციები წინასწარ გაეცნობიან ხოლმე მთავრობის დეკლარაციას პასუხის გასაცემად“ (ოქმები, ტ. I, გვ.77), რადგანაც ამჯერად ასე არ მოხდა მოითხოვა განხილვის შემდეგი სხდომისათვის გადადება, რათა ფრაქციებმა „მოსმენის შემდეგ კარგად განიხილონ მთავრობის დეკლარაცია“ (ოქმები, ტ. I, გვ.77). შალვა მესხიშვილმაც (ს. ფ.) ამავე მიზეზით მოითხოვა სხდომის გადადება. მისივე თქმით, „აქამდის ასეთი ადათი იყო ჩვენში. მთავრობა თავის დეკლარაციას დაბეჭდილს უგზავნიდა ფრაქციებს“ (ოქმები, ტ. I, გვ.77). შალვა მესხიშვილმა მოითხოვა სხდომის გადადება არა მეორე დღისათვის, არამედ „არა უადრეს კვირისა“ (ოქმები, ტ. I, გვ.77), წინაღმდეგ შემთხვევაში დეკლარაციის განხილვა ნაჩქარევი იქნებოდა.

სოციალ-დემოკრატების სახელით გამოსული რაჟდენ არსენიძე დათანხმდა მთავრობის დეკლარაციის განხილვის გადადებას, რათა ფრაქციებს მისცემოდათ საშუალება გამოეთქვათ „თავიანთი უფრო დასაბუთებული აზრი“, მაგრამ მოითხოვა სხდომის მომდევნო დღეს დანიშვნა, რადგანაც მთავრობას მუშაობის დაწყება მხოლოდ დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცების შემდედ შეეძლო და „თვითეულ დღეს უმთავრობოდ დარჩენილს, უმთავრობოდ დატოვებულს“ შეეძლო დიდი ზიანი მოეტანა რესპუბლიკისათვის, „განსაკუთრებით ეხლანდელ ხა-

ნაში“ (ოქმები, ტ. I, გვ.77-78). ამიტომ რაჟდენ არსენიძემ მოითხოვა სხდომა მთავრობის დეკლარაციის განსახილველად დაენიშნათ მეორე დღესვე - 22 მარტს. იყო კიდევ ეროვნულ-დემოკრატების წინადადება, რომ სხდომა დანიშნულიყო კვირას, 23 მარტს, მაგრამ კენჭისყრის შედეგად სოციალ-დემოკრატების წინადადება გავიდა.

1919 წლის 22 მარტს შედგა დამფუძნებელი კრების მე-5 სხდომა, სადაც განიხილეს მთავრობის დეკლარაცია. სოციალისტ-ფედერალისტთა სახელით გამოვიდა შალვა ალექსი-მესხიშვილი, რომელმაც გარდა სამთავრობო დეკლარაციის კრიტიკისა, წარმოადგინა სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის დეკლარაციაც, შემდეგ გამოვიდა სპირიდონ კედია (ე. დ.), დამფუძნებელ კრებაში ამ დროისათვის ერთადერთი არასოციალისტური პარტიის წარმომადგენელი, ბოლოს ესერთა სახელით ლეო შენგელია გამოვიდა და სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის დეკლარაცია წარმოადგინა. ფრაქციებს სოციალ-დემოკრატების სახელით უპასუხა რაჟდენ არსენიძემ.

ბოლოს საქმე მივიდა რეზოლუციის მიღებამდე. თავიანთი პროექტები წარმოადგინეს სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა. ფედერალისტების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი „ნეიტრალური“ იყო და მხოლოდ ფაქტს აფიქსირებდა: „დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა განცხადება მთავრობის შემადგენლობის შესახებ და აგრეთვე მისი დეკლარაცია და გადადის მორიგ საკითხზედ“ (ოქმები, ტ. I, გვ.103). დამფუძნებელმა კრებამ ხმათა უმრავლესობით მიიღო სოციალ-დემოკრატების მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომელსაც მხარი არ დაუჭირეს ესერებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა. სხდომის თავმჯდომარის სიტყვებს „მიღებულია სოციალ-დემოკრატების რეზოლუცია“, მოჰყვა გობეჩიას (ს. რ.) დამცინავი რეპლიკა: „არ მოელოდით?“ (ოქმები, ტ. I, გვ.103).

სოციალ-დემოკრატების რეზოლუცია სრულად იწონებდა მთავრობის შემადგენლობას და მთავრობის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციას: „მოისმინა რა მოხსენება მთავრობის შედგენის შესახებ და მისი სამოქმედო პროგრამა, დამფუძნებელი კრება სავსებით იწონებს მას, ამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას და გადადის მორიგ საკითხზე“ (ოქმები, ტ. I, გვ.103).

12.3. დამფუძნებელი კრება და „იაფი“ მთავრობის ფორმირების საკითხი

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი განაცხადი „მართვა-გამგეობის გამარტივება“ იყო. ეს გამარტივება პირველ რიგში სამინისტროების გაერთიანებაში გამოიხატებოდა და „რამდენიმე საპასუხისმგებლო სამინისტროებს ერთი კაცის ხელში მოუყარა თავი“. ამ პოლიტიკას ეროვნულ-დემოკრატები ეჭვის თვალით უყურებდნენ. „გამარტივება“ ხდებოდა მაშინ, „როცა ჩვენი ცხოვრება უფრო გართულებული იყო და დაუწყობელი“. ეს პოლიტიკა თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა, 1920 წლის დასაწყისიდან კი მთავრობამ ამაზე უარი თქვა და სამინისტროების რაოდენობის გაზრდაზე გადავიდა („საქართველო“, 3.01.1920).

მართვა-გამგეობის გამარტივების პოლიტიკის ნაწილს ე. წ. „სამინისტროების კონცენტრაცია“ წარმოადგენდა. მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ჩანაფიქრის მიხედვით, ყველა სამინისტრო ერთ შენობაში უნდა ყოფილიყო განთავსებული. ასეთ შენობად მთავრობამ საუკეთესოდ მიიჩნია ყოფილი კადეტთა კორპუსი.

1919 წლის 16 მაისის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ განიხილა 500 ათასი მანეთის გამოყოფის საკითხი ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადასაკეთებლად. ამ შენობაში, მთავრობის გადაწყვეტილებით, უნდა მოთავსებულიყო რესპუბლიკის ყველა სამინისტრო. მომხსენებელმა გ. ანჯაფარიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ ამით გაადვილდებოდა სამინისტროებს შორის კომუნიკაცია, იქვე მოთავსდებოდა „თავმჯდომარის მმართველობა, მისი კანცელარია და

თვით მისი კაბინეტი“, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა „სამინისტროების ნაყოფიერი მუშაობისათვის“. ერთ შენობაში მოთავსება შესამჩნევად შეამცირებდა ხარჯებს, აღარ იქნებოდა საჭირო რამდენიმე შენობის დაქირავება, საჭირო აღარ იქნებოდა დიდი კანცელარიები, შესაძლებელი იქნებოდა საერთო ბუღალტერის ყოლა და ა. შ. (ოქმები, ტ. I, გვ.498).

დამფუძნებელმა კრებამ მოთხოვნილი თანხის გამოყოფას მხარი დაუჭირა, ოღონდ რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) წინადადებით, თანხა უნდა მისცემოდა მთავრობას და არა შრომის სამინისტროს, რომელსაც მთავრობა ავალებდა შენობის გადაკეთებას (ოქმები, ტ. I, გვ.499). დეკრეტის საბოლოო ტექსტი მთავრობისათვის 500 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ დამფუძნებელი კრების 1919 წლის 20 მაისის სხდომაზე დაამტკიცეს (ოქმები, ტ. I, გვ.504).

გამოყოფილი თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 26 სექტემბრის სხდომაზე კვლავ იქნა გამოტანილი ყოფილი კადეტთა კორპუსის გარემონტების საკითხი. საქმე ეხებოდა დამატებითი დაფინანსების გამოყოფას. მომხსენებელმა გრ. ურატაძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ ადრე, როცა მთავრობამ მოითხოვა ამ მიზნით 500 ათასი მანეთის გამოყოფა, მაშინ ხარჯთ-აღრიცხვა წარმოდგენილი არ იყო, რადგანაც „ბევრი საჭირო მასალის ფასები არ იყო განსაზღვრული“ (ოქმები, ტ. III, გვ.172). ახლა უკვე ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილი იყო და თან გამოირკვა, რომ შენობას სჭირდებოდა აგრეთვე კაპიტალური შეკეთება. მთავრობა ითხოვდა დამატებით 700 ათას მანეთის გამოყოფას, რომლის საჭიროებაც დაადასტურა დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ. დეპუტატებს არც ზოგადი და არც მუხლობრივი განხილვის დროს არ გამოუთქვამთ რაიმე მოსაზრება. მიღებული იქნა „დეკრეტი ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადასაკეთებლად 700.000 მან. გადადებისა“ (ოქმები, ტ. III, გვ.172). დეკრეტის საბოლოო ტექსტი ყოფილ კადეტთა კორპუსის გადასაკეთებლად 700 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ 1919 წლის 30 სექტემბერს დამტკიცდა (ოქმები, ტ. III, გვ.198).

1920 წლის 30 მარტის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ სპეციალური დეკრეტით დაამტკიცა მთავრობის სასახლის შტატები და ხარჯთაღრიცხვა. შენობაში ამ დროისათვის მოთავსებული იყო მთავრობის საქმეთა სამმართველო, 6 სამინისტრო და გვარდიის მთავარი შტაბი. ამ დროისათვის არსებობდა შემდეგი სამინისტროები: 1. მიწათმოქმედების, 2. შინაგან საქმეთა, 3. მომარაგების, 4. შრომის, 5. განათლების, 6. სამხედრო. მთავრობის შტატებში შედიოდა 48 თანამდებობის პირი და 59 მოსამსახურე, აქედან 43 შედიოდა ცალ-ცალკე უწყების შტატებში, 16 კი მთავრობის საქმეთა სამმართველოში (ოქმები, ტ. VI, გვ.144).

მომხსენებლის ნ. იმნაიშვილის (ს. დ.) განცხადებით, მთავრობის ხარჯთაღრიცხვა მოიცავდა ხელფასებს და სამეურნეო-საკანცელარიო ხარჯებს. ეს ხარჯები განხილული ჰქონდა სახელმწიფო კონტროლს და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას. დამფუძნებელმა კრებამ განხილვის გარეშე, ერთხმად დაამტკიცა საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა (ოქმები, ტ. VI, გვ.145).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 20 მაისის სხდომაზე გამოყოფილი კრედიტით ზაფხულში ყოფილი კადეტთა კორპუსი გარემონტდა, მაგრამ შემოდგომის დამლევს იქ გაჩნდა ხანძარი და შენობის ერთი ნაწილი დაიწვა. მთავრობამ მომხდარის გამოსარკვევად დანიშნა სპეციალური კომისია სამხედრო სამინისტროს სპეციალისტებისაგან შემდგარი. მათი დასკვნით შენობის გადაკეთების დროს მუშაობა დამთავრებული არ ყოფილა.

დამფუძნებელი კრების საფინანსო კომისიამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ სარემონტო სამუშაოების ნაწილი „არ ყოფილა მტკიცეთ შესრულებული, ჯეროვნათ გაკეთებული იმ თავითვე“ და ეს რომ არ ყოფილიყო, შესაძლებელი იქნებოდა თავიდან აეცილებინათ ხანძრის გაჩენა (ოქმები, ტ. VI, გვ.167). საპასუხოდ მთავრობის წარმომადგენელმა კომისიას განუცხადა, რომ „მთავრობამ უკვე მიიღო შესაფერი ზომები“ და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცა (ოქმები, ტ. VI, გვ.167).

1920 წლის იანვარში თავი იჩინა სხვა პრობლემამაც. 1920 წლის 23 იანვარს, დილის 8 საათზე „სამინისტროების ბინას“ ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი გაჩნდა ზედა სართულზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სადგომის ბუხარში ჭვარტლისაგან, ცეცხლი მოედო ქვედა სართულსაც, სადაც მოთავსებული იყო მიწათმოქმედების სამინისტრო. შენობას გარს შემოერტყნენ ჯარისა და სახალხო გვარდიის ნაწილები, მივიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და ცეცხლი ჩააქრეს. დაიწვა შენობის სახურავის ნაწილი და ზოგიერთი ოთახის ჭერი. როგორც აღინიშნებოდა, „საქმეები არ დამწვარა“ და „სამინისტროებში მუშაობა არ შეწყვეტილა“ („ერთობა“, 24.01.1920).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 2 აპრილის სხდომაზე კვლავ დაუბრუნდნენ მთავრობის სახლის საკითხს და მიიღეს „დეკრეტი მთავრობის სახლის დამწვარ ნაწილის შესაკეთებლად, ცეცხლის საწინააღმდეგო მოწყობისათვის და სხვა სააღმშენებლო საჭიროებისათვის 1.686.000 მანეთის გადადების შესახებ“. მომხსენებელმა იმნაიშვილმა (ს. დ.) აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა, რაც შენობის გადაკეთება-გაუმჯობესებას სჭირდებოდა. ხარჯი ნაწილდებოდა შემდეგნაირად: ერთი ნაწილი ხმარდებოდა შენობის დამწვარი ნაწილის აღდგენას, მეორე ნაწილი „ცეცხლთან საბრძოლო მოწყობილობის“ შეძენისთვის იყო განკუთვნილი, მესამე - სხვა აუცილებელი სამუშაოების შესასრულებლად. დამფუძნებელი კრების საფინანსო კომისიამ მოთხოვნილი თანხა დაადასტურა, თუმცა სახელმწიფო კონტროლი თანხის შემცირებას მიიჩნევდა საჭიროდ (ოქმები, ტ. VI, გვ.166-167). დამფუძნებელმა კრებამ განხილვის გარეშე დაამტკიცა წარმოდგენილი დეკრეტი.

12.4. დამფუძნებელი კრება და მთავრობის წევრთა ხელფასები

ცხოვრების გაძვირება, მანეთის კურსის მკვეთრი დაცემა, ცხადია, განზე არ ტოვებდა რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობის პირებს და როდესაც სხვადასხვა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გაზრდის შესახებ ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს, ეს მთავრობის წევრებსაც უნდა შეხებოდათ.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე გამოიტანეს მთავრობის წევრთა ჯამაგირის გაზრდის დეკრეტი, მომხსენებლის ივანე ჭავჭანიძის (ს. დ.) განცხადებით, მთავრობის წევრებს, რომლებიც 3 ათას მანეთს იღებდნენ თვიურად, „ცხოვრება მეტად გაუჭირდათ“ (ოქმები, ტ. III, გვ.108). საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის გადაწყვეტილებით, მინისტრების ხელფასი 5 ათას მანეთამდე იზრდებოდა.

მთავრობის წევრების ხელფასების გაზრდის წინააღმდეგ გამოვიდა ლეო შენგელია (ს. რ.). მან თავისი პოზიციის დასასაბუთებლად რამდენიმე არგუმენტი მოიყვანა: 1/ მინისტრებისთვის ხელფასების გაზრდა ეწინააღმდეგებოდა იაფი მთავრობის იდეას, „იაფი მთავრობა; იაფი ამ სიტყვის პირდაპირის და ნივთიერი მნიშვნელობით ყოველთვის შეადგენდა დემოკრატიის იდეალს“ (ოქმები, ტ. III, გვ.108). 2/ მინისტრებისთვის ხელფასების გაზრდა, ლეო შენგელაიას განცხადებით, იყო „უცერემონიო მოპყრობა ხალხის ქონებისადმი“, რაც ასევე ეწინააღმდეგება დემოკრატიის ბუნებას. მთავრობა დემოკრატიული უნდა იყოს არა მხოლოდ პოლიტიკაში, ისე ხარჯებშიც. 3/ მინისტრების გაზრდილ ჯამაგირებს ქვეყნის „ნივთიერი მდგომარეობა“ ვერ აიტანდა, რადგანაც ეს იყო „საგრძნობი თანხა“. 4/ ცხოვრება მარტო მინისტრებისთვის არ გაძვირებულა. „თუ დამფუძნებელი კრების წევრს შეუძლია 2500 მანეთით იცხოვროს, რატომ არ შეუძლია ასეთივე თანხით იცხოვროს მინისტრმა“ (ოქმები, ტ. III, გვ.108); თუ „გონებრივი შრომის უმაღლესი წარმომადგენელი“ უნივერსიტეტის პროფესორი ცხოვრობს 1800 მანე-

თით, მინისტრი რატომ უნდა იღებდეს 5 ათას მანეთს. 5/ დეკრეტმა მინისტრებისთვის ხელფასების გაზრდის შესახებ შეიძლება „ფართო მასებში უკმაყოფილება გამოიწვიოს“ (ოქმები, ტ. III, გვ.109). 6/ რატომ უნდა გაეზარდოთ ხელფასი მინისტრებს, „რომლებმაც ვერ მოაგვარეს ვერც ერთი დარგი ჩვენი ცხოვრებისა“ (ოქმები, ტ. III, გვ.109).

დავით ონიაშვილმა (ს. დ.) ლეო შენგელაიას გამოსვლა დემაგოგიად შეაფასა. მისი განცხადებით, „ყოვლად შეუძლებელია, რომ ის ადამიანი, რომელიც აღჭურვილი არის ხალხის და დამფუძნებელი კრების ნდობით, და უნდა იყოს ასე თუ ისე ნივთიერად უზრუნველყოფილი, ყოვლად დაუშვებელი არის, რომ ასეთი ადამიანი ჩვენ ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, რომ მან ნივთიერი გასაჭირი განიცადოს“ (ოქმები, ტ. III, გვ.109). ივანე ჭავჭანიძის განცხადებით, ლეო შენგელაიას გამოსვლის მიზანი მარტივი იყო - „აი ჩვენ თქვენ ფულებს ვზოგავთ, სოციალ-დემოკრატები კი არ ზოგავენო“ (ოქმები, ტ. III, გვ.110). სხვა ფრაქციების წარმომადგენლებს განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ. დამფუძნებელმა კრებამ აღნიშნული დეკრეტი ხმათა უმრავლესობით მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტ-რევოლუციონერები მინისტრების ხელფასების გაზრდის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, იმასაც აღიარებდნენ, რომ ამ ხელფასების მსყიდველუნარიანობა ძალზე დაბალი იყო. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე ივანე გობეჩიამ (ს. რ.) აღიარა, რომ მინისტრების ჯამაგირები 5 ათასიდან 7 ათასამდე „პირველი შეხედვით ეს დიდი თანხაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მანეთის ღირებულებას, ეს თანხა სულ მცირედია და მინისტრს ნახევრად მშიერი არსებობის საშუალებას თუ მისცემს“ (ოქმები, ტ. III, გვ.112).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე დღის წესრიგის დამატებად იდგა ორი საკითხი: „განხილვა დეკრეტისა მთავრობის წევრთა ჯამაგირების გადიდების შესახებ“ და „განხილვა დეკრეტისა დამფუძნებელი კრების წევრის გასამრჯელოს გადიდების შესახებ“. ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო კირილე ნინიძე (ს. დ.) (ოქმები, ტ. III, გვ.290). თუმცა საქმე ამ საკითხების განხილვამდე არ მისულა. აღნიშნულმა საკითხებმა გადაინაცვლეს მომდევნო 21 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგში მე-2 და მე-3 საკითხად (ოქმები, ტ. III, გვ.317). თუმცა, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მოითხოვა მათი გადანაცვლება მე-8 და მე-9 საკითხებად (ოქმები, ტ. III, გვ.318). შესაბამისად, მათ განხილვამდე საქმე არ მისულა და ამ ორმა საკითხმა კვლავ გადაინაცვლა მომდევნო, 24 ოქტომბრის დღის წესრიგში მე-6 და მე-7 საკითხებად (ოქმები, ტ. III, გვ.341-342).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე დღის წესრიგში განსახილველად მე-6 საკითხად გამოტანილი იყო დეკრეტი „მთავრობის წევრთა ჯამაგირის გადიდების შესახებ“. მომხსენებელი იყო კირილე ნინიძე (ოქმები, ტ. III, გვ.347). როდესაც მომხსენებელი ტრიბუნაზე ავიდა, ის თავმჯდომარემ, ალექსანდრე ლომთათიძემ შეაჩერა, მან ორატორს ბოდიში მოუხადა და დამფუძნებელი კრების წევრებს მიმართა, რომ შემოსული იყო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წერილობითი წინადადება: „მოიხსნას დღიური წესრიგიდან განხილვა დეკრეტებისა მთავრობის წევრთა და დამფუძნებელ კრების წევრთა ჯამაგირების გადიდების შესახებ და დაუბრუნდეს იგინი საფინანსო და საბიუჯეტო კომისიას“ (ოქმები, ტ. III, გვ.347).

ამის გამო სიტყვით გამოვიდა სპირიდონ კედია (ე. დ.) და მოითხოვა იმ მოტივების განმარტება რის გამოც მეორედ იხსნებოდა დღის წესრიგიდან მთავრობის და დამფუძნებელი კრების წევრებისათვის ხელფასების მომატების საკითხი, რადგანაც უცნაურია საკითხის „შემოტანა და გატანა დაუსაბუთებლად“ (ოქმები, ტ. III, გვ.347).

დეკრეტის მოხსნის მოტივების გადმოსაცემად სიტყვით გამოვიდა ვალიკო ჯუღელი (ს. დ.). მისი თქმით, მთავარი მოტივი სავსებით გასაგები იყო; „ჩვენის შეხედულებით იგი დიდი მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან მას ერთგვარი გადამწყვეტი გავლენა ექნება მთელ სახელმწიფო ბიუჯეტზე და საერთოდ მოსამსახურეთა ჯამაგირებზე“. ჯუღელის თქმით, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას უნდოდა „მაღალ თანამდებობის პირთა ჯამაგირების მომატებისა“ გადაწყვეტილიყო „საერთო მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის და ჯამაგირების მიხედვით“ (ოქმები, ტ. III, გვ.348). კენჭისყრის შედეგად საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

საკითხს დაუბრუნდნენ თითქმის ერთი თვის შემდეგ. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე გამოტანილი იქნა დეკრეტი „მთავრობის წევრების ჯამაგირის გადიდების“ შესახებ. მომხსენებელმა გრიგოლ ურატაძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ საკითხი ერთხელ უკვე იყო დღის წესრიგიდან მოხსნილი და დაუბრუნდა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას. დაბრუნების მიზეზი ის იყო, რომ მთავრობის წევრების ხელფასები „შეეფარდებინათ რეს-პუბლიკის უმაღლეს მოხელეების ჯამაგირებთან“. საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ეს საკითხი და „შესაძლებლად სცნო დაეტოვებია ისე, როგორც იყო“ (ოქმები, ტ. IV, გვ.55). ზოგადი მსჯელობისთვის სიტყვა არავის აუღია, მუხლობრივი განხილვის დროს კი სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შესწორებები შეიტანა: ერთი თვით გადასწია დეკრეტის ამოქმედების ვადა, - 1919 წლის 1 ოქტომბრის ნაცვლად 1 ნოემბრიდან და შეამცირა მთავრობის წევრთა ხელფასები:

თანამდებობა	ხელფასი დეკრეტის პროექ-ტით	ხელფასი მიღებული დეკრე-ტით
მთავრობის თავმჯდომარე	12 ათასი მანეთი	10 ათასი მანეთი
მინისტრი	9 ათასი მანეთი	8 ათასი მანეთი
მინისტრის ამხანაგი	7,5 ათასი მანეთი	7 ათასი მანეთი

დეკრეტი ამ სახით მიიღეს (ოქმები, ტ. IV, გვ.55).

12.5. მთავრობის წარმომადგენლობითი ხარჯები

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე მიიღეს დეკრეტი „მთავრობის თავმჯდომარის, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგის და მინისტრების საწარმომადგენლო ხარჯების შესახებ“. მომხსენებელმა ივანე ჭავჭანიძემ (ს. დ.) განაცხადა, რომ მთავრობის წევრები ვალდებული არიან შეხვდნენ უცხოელებს, რაც „დიდ ხარჯებს იწვევს“. ამიტომ თითოეულ მინისტრს უნდა მიეცეს განსაზღვრული თანხა წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის. ეს თანხები საჭირო იყო იმისათვის, რომ „დემოკრატიის წარმომადგენლები უზრუნველყოფილი იყვნენ ამ მხრივ და უცხოელებთან მივიდნენ საჭიროების დროს“ (ოქმები, ტ. III, გვ.111). გამოყოფილი თანხები შემდეგი იყო:

თანამდებობის პირი	თანხა წლიურად
მთავრობის თავმჯდომარე	50.000 მანეთი
საგარეო საქმეთა მინისტრი	30.000 მანეთი
სამხედრო მინისტრი	20.000 მანეთი
ფინანსთა მინისტრი	20.000 მანეთი
მიწათმოქმედების მინისტრი	15.000 მანეთი

მთავრობის წევრებისათვის წარმომადგენლობითი ხარჯების გამოყოფის წინააღმდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, სოციალისტ-რევოლუციონერები გამოვიდნენ. ივანე გობეჩიამ (ს. რ.) ერთი მხრივ, არ უარყო, რომ წარმომადგენლობითი ხარჯები საჭირო იყო, მაგრამ იქვე

განაცხადა, რომ „საწარმომადგენლო ხარჯები ამ შემთხვევაში მხოლოდ შირმაა, არსებითად კი ამ დეკრეტით მინისტრებს ჯამაგირი ემატებათ“ და თუკი ხალხის მდგომარეობა ცოტათი მაინც არ გაუმჯობესდებოდა, „მთავრობას და ხალხს შორის გაითხრება ფართო და ღრმა უფსკრული“ (ოქმები, ტ. III, გვ.113).

თავი XIII. დისკუსია „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენ-ლის“ შესახებ (მალხაზ მაცაბერიძე)

დამფუძნებელი კრების 14 მარტის სხდომაზე რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) მთავრობის ფორმირების საკითხთან დაკავშირებით დააყენა საკითხი, რომ მთავრობის თავმჯდომარე ყოფილიყო „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი“ (ოქმები, ტ. I, გვ.35), რასაც დამფუძნებელ კრებაში პირველი დიდი კამათი მოჰყვა.

რაჟდენ არსენიძის თქმით, მთავრობის თავმჯდომარისთვის „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის“ სტატუსის მინიჭება იყო ფაქტობრივი მდგომარეობის იურიდიულად დაფიქსირება. გარდა ამისა, იყო სხვა პრობლემაც, რაც არ უთქვამთ სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ აღნიშნავდნენ ესერები და ეროვნულ-დემოკრატები. კერძოდ, გაურკვეველი იყო საკითხი "მთავრობისა და პარლამენტის თავმჯდომარეობის უფროს-უმცროსობის შესახებ საქართველოს წარმომადგენლობის დროს" („საქართველო“, 18.03.1919). დამფუძნებელი კრების 14 მარტის გადაწყვეტილებით კი ეს საკითხი გარკვეული ხდებოდა.

მოგვიანებით, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 აპრილის სხდომაზე რაჟდენ არსენიძემ კიდევ ერთხელ გაიხსენა და განმარტა, თუ რატომ გადაწყვიტეს მთავრობის თავმჯდომარისთვის „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელის“ ფუნქცია. ეროვნული საბჭოს დროს „თავმჯდომარე საკანონმდებლო კრებისა იწვევდა მთავრობის თავმჯდომარეს და მას ანდობდა კაბინეთის შედგენას“. ამ შემთხვევაში „საკანონმდებლო დაწესებულების თავმჯდომარე გამოდიოდა, როგორც მთელ რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ ძალის შემქმნელი ორგანო“. მაშინ კანონს ხელს აწერდა მხოლოდ პარლამენტის პრეზიდიუმი. შემდეგ, როგორც რაჟდენ არსენიძე აღნიშნავდა „უხერხულად დავინახეთ, რომ თავმჯდომარეს, რომელიც არის კრების გამძღოლი, ასეთი დიდი ფუნქციები ჰქონდეს მინიჭებული“, ამიტომ „საუკეთესოდ“ მიიჩნიეს, რომ „მთელ კრებას, უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებას აერჩია მთავრობის თავმჯდომარე და წარმომადგენელი რესპუბლიკისა“ („ოქმები“, ტ. I, გვ.235). მისივე თქმით, „უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა“ იყო, ასე ვთქვათ, „მთელი ჩვენი რესპუბლიკის ერთ პერსონაში განმახორციელებელი“, „ის უფლება, რომელიც საერთოდ აქვს დამფუძნებელ კრებას, როგორც წარმომადგენლობის მატარებელს, ჩვენ გადავეცით ამ ერთ პირს, ჩვენ მიერ არჩეულს“ („ოქმები“, ტ. I, გვ.229).

იმავეს აღნიშნავდა პავლე საყვარელიძე, რომლიც თქმითაც ვინც იცოდა „უბრალო ანბანი სახელმწიფოს ცხოვრებისა“, მისთვის ცხადი იყო, რომ უნდა არსებობდეს „აღმასრულებელ ორგანოს ერთი პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს“ („ოქმები“, ტ. I, გვ.233). რაჟდენ არსენიძე კი დამცინავად აღნიშნავდა: „როცა უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი მოვა, უნდა ავდგეთ და ვსთქვათ, ჩვენ ყველანი ვართ სახელმწიფოს წარმომადგენელი, ხოლო თუ ერთ პირს მივანდეთ სახელმწიფოს წარმომადგენლობა, თურმე ეს იქნება შეზღუდვა ჩვენი უფლებისა“ („ოქმები“, ტ. I, გვ.236).

13.1. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია

დამფუძნებელი კრების სხდომაზე სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოითხოვა ეროვნული საბჭოსა და პარლამენტის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის გაგრძელება. "ეს პრაქტიკა გახლავთ შემდეგი: არჩეულ იქნეს ერთი პიროვნება და მას მიენდოს მთავრობის შედგენა", - აღნიშნა რ. არსენიძემ. მისი თქმით, „ჩვენ რესპუბლიკაში დღემდის არ ყოფილა მთელი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენელი, გარდა მთავრობის თავმჯდომარისა“, „თუ დამფუძნებელი კრე-

ბა არის წარმომადგენელი მთელი ერისა, მას უნდა ჰყავდეს ასეთივე წარმომადგენელი მთელი რესპუბლიკისა“. რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) განცხადებით, "ჩვენ აქამდე არ გვყავდა პრეზიდენტი, ხოლო რესპუბლიკას აუცილებლად უნდა ყავდეს ერთი პიროვნება, გამომხატველი მისი სუვერენული უფლებისა, ეს იქნება ერთგვარი უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა". მისივე განცხადებით, ეს არ ნიშნავდა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებას, რადგანაც „ეს დიდი კონსტიტუციური საკითხი“ იყო („ოქმები“, I, გვ.35).

პავლე საყვარელიძემ დაასახელა კიდევ ერთი არგუმენტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციის დასაცავად. მისი თქმით, ნოე ჟორდანია აქამდეც იყო საქართველოს "პრეზიდენტი და წარმომადგენელი", არსებულ ვითარებაში კი როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეების თვალსაზრისით აუცილებელია "იყოს ისეთი პირი, რომელიც აღჭურვილი იქნება დამფუძნებელი კრების მიერ სრულის უფლებით" („ოქმები“, I, გვ.37-38).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტთან გაორებული იყო, - არც უარყოფა, არც პოზიციის მკაფიოდ დაფიქსირება. ქართველ სოციალ-დემოკრატებს უკვე ქონდათ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მაგალითი, რომელმაც დამფუძნებელ კრებაზე აირჩია პრეზიდენტად ებერტი. დამფუძნებელი კრების 14 მარტის სხდომაზე გამოსვლისას პ. საყვარელიძემ განაცხადა, რომ რესპუბლიკის „უმაღლესი წარმომადგენლობა" მართლაც „საპრეზიდენტო საქმეა" და რომ სოციალ-დემოკრატები „არ უფრთხიან თვით პრეზიდენტობის საკითხს", მაგრამ ჯერ არ უნდათ ეს სიტყვა „პრეზიდენტი" თქვან, „რადგან პრეზიდენტობა სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს". ამიტომ სოციალ-დემოკრატია დაკმაყოფილდა იმის დაკანონებით, რაც მანამდეც იყო მთავრობის თავმჯდომარის ხელში, კერძოდ რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის უფლებით" („ერთობა“, 16.03.1919).

ქართველი სოციალ-დემოკრატები მოერიდნენ პირდაპირ გარკვეული ფორმით ეთქვათ პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროების შესახებ - ასეთი იყო ეროვნულ-დემოკრატების შეფასება („საქართველო“, 18.03.1919).

13.2. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პოზიცია

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია თანმიმდევრულად იცავდა პრინციპს, რომ მთავრობა კოლეგია უნდა ყოფილიყო. პარტია ეთანხმებოდა სოციალ-დემოკრატების პოზიციას, რომ სამინისტროების რაოდენობა შემცირებულიყო, მაგრამ ძალიან შემცირებაც კოლეგიურობის პრინციპის დარღვევად მიაჩნდათ. "როდესაც მთავრობა სამი-ოთხი კაცისგან შედგება, მისი მოქმედება უფრო პიროვნულ ხასიათს მიიღებს, უფრო პირადული იქნება და ეს სრულებით არ შეესაბამება დემოკრატიულ მართებლობას", - აღნიშნავდა სამსონ ფირცხალავა („სახალხო საქმე", 2.03.1919).

დამფუძნებელი კრების სხდომაზე სოციალისტ-ფედერალისტთა სახელით შ. მესხიშვილმა მთავრობის თავმჯდომარის „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის“ სტატუსით აღჭურვა მიუღებლად მიიჩნია და მოითხოვა რეზოლუციის ამ ნაწილის მოხსნა. ფედერალისტები მოითხოვდნენ საკითხის გადადებას კონსტიტუციის შემუშავებამდე. მათი განცხადებით, სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ „პოლიტიკური კონტრაბანდის“ გზით მიეღწიათ პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებისთვის. „ეს უაღრესი კონსტიტუციონალური საკითხია. თქვენ გინდათ ეს უფლება ახლა მიანიჭოთ მთავრობის თავმჯდომარეს. ამით შექმნათ პრეცედენტი და კონსტიტუციის შემუშავების დროს დამფუძნებელი კრება ფაქტის წინაშე დააყენოთ" („ერთობა“, 16.03.1919), „როდესაც საკონსტიტუციო საკითხი დაისმის, თქვენ მზარ-მზარეულად გეყოლებათ პრეზიდენტი" („სახალხო საქმე“, 18.03.1919).

დამფუძნებელი კრების 14 მარტის სხდომის შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა შალვა ნუცუბიძემ გამოაქვეყნა წერილი „პრეზიდენტის“ არჩევის გამო“, რომელშიც იცავდა პარტიის პოზიციას. იგი უარყოფდა პრეზიდენტის ინსტიტუტს, როგორც არადემოკრატიულს. შალვა ნუცუბიძის თქმით, როდესაც ფედერალისტთა პარტიამ გაილაშქრა მთავრობის თავმჯდომარისთვის „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის" ფუნქციის მინიჭების წინააღმდეგ, ეს იყო ბრძოლა პრეზიდენტის ინსტიტუტის „კონტრაბანდის" გზით შემოღების წინააღმდეგ. „არსებითად ჩვენ პრეზიდენტის განსაკუთრებულ ინსტიტუტის შექმნის წინააღმდეგი ვიყავით და ვთქვით - ასეთი უფლება მთელს მთავრობას და არა ერთ პირს - ეს ჩვენ უფრო დემოკრატიულად მიგვაჩნია", - აღნიშნავდა შალვა ნუცუბიძე („სახალხო საქმე“, 19.03.1919).

ფედერალისტებისთვის მიუღებელი იყო არა მხოლოდ პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება, არამედ ამ ინსტიტუტის დამახასიათებელი რომელიმე ფუნქციის ერთი პირისთვის მინიჭებაც. ფედერალისტთა პოზიცია შემდეგი იყო: ამ ფუნქციას რიგრიგობით, მოკლე და განსაზღვრული დროით ასრულებენ მთავრობის წევრები. "ჩვენი აზრი უფრო დემოკრატიულია და არ ქმნის განსაკუთრებულ მდგომარეობას მთავრობის წევრთა შორის. მთავრობის ყოველი წევრი მოკლე და განსაზღვრულ ვადაში ასრულებს პრეზიდენტის ფუნქციებს" - აღნიშნავდა ნუცუბიძე. მისი განმარტებით, დემოკრატიულ მთავრობის ყოველი წევრი უნდა სწორუფლებიანი იყოს და ეს უნდა გამოიხატოს იმაშიც, რომ "მთავრობას, როგორც ასეთს, ეკუთვნის უმაღლესი უფლება და ყოველ წევრს შეუძლიან მიიღოს იგი".

შალვა ნუცუბიძის განცხადებით, სოციალ-დემოკრატების მიერ მთავრობის თავმჯდომარისთვის "რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელის" უფლებების მინიჭების შედეგად საქართველოს ეყოლებოდა დიქტატორი. სოციალ-დემოკრატების განცხადებას, რომ მთავრობის თავმჯდომარე დამფუძნებელი კრების არჩევამდე ასრულებდა ამ ფუნქციას, შალვა ნუცუბიძე პასუხობდა, რომ ამგვარ ვითარებას ურიგდებოდნენ გარდამავალ ხანაში, დამფუძნებელმა კრებამ კი მუშაობა უნდა დაიწყოს "ყოველივე განსაკუთრებული მდგომარეობის მოსპობით და კონსტიტუციის შემუშავებით". შალვა ნუცუბიძე სანიმუშოდ ასახელებდა შვეიცარიის მაგალითს, სადაც ფედერალური საბჭოს წევრები თითო წლით რიგრიგობით ასრულებდნენ პრეზიდენტის ფუნქციებს. "ასეა, ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყანაში. თქვენ კი განუსაზღვრელი ვადით მთავრობის ერთ წევრს ჩააბარეთ უმაღლესი წარმომადგენლობის უფლებები, მოსპეთ თანასწორობა მთავრობის წევრთა შორის" („სახალხო საქმე“, 19.03.1919).

13.3. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პოზიცია

მთავრობის თავმჯდომარისათვის „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის" ფუნქციის მინიჭების წინააღმდეგ გაილაშქრა ესერთა პარტიამაც. ივ. გობეჩიას განცხადებით, ნოე ჟორდანიას მთავრობის თავმჯდომარედ არჩევის წინააღმდეგი ფრაქცია არ იქნებოდა, მაგრამ მხარს არ უჭერდა მისთვის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის ფუნქციის მინიჭებას. ”როდესაც ასახელებენ პრეზიდენტს, სოციალისტ-რევოლუციონერები მას მხარს ვერ დაუჭერენ, რადგანაც წინააღმდეგნი არიან ყოველივე "პრეზიდენტის" და "კოროლების". („საქართველო“, 16.03.1919) "დღეს პრეზიდენტს ვირჩევთ, მერე ალბათ, "კოროლს" აგვარჩევინებთო", - განაცხადა გობეჩიამ („საქართველო“, 18.03.1919).

ივანე გობეჩიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის, ანუ პრეზიდენტობის საკითხი „ერთი ძირითადი საკონსტიტუციო საკითხთაგანია“ და ამიტომ ჯერ სა-

კონსტიტუციო კომისიას უნდა განეხილა სერიოზულად და „მხოლოდ შემდეგ შეიძლება დასმულ იქნეს დამფუძნებელ კრების სხდომაზე“ („ოქმები“, I, გვ.37-38).

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიულმა გაზეთმა "შრომამ" ამ თემას ორი სარედაქციო სტატია მიუძღვნა: ერთი დამფუძნებელი კრების სხდომის წინ ("რესპუბლიკის მეთაური"), მეორე კი სხდომის შემდეგ ("რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი").

დამფუძნებელი კრების სხდომის წინ გაზეთი "შრომა" აღნიშნავდა, რომ "ერთი იმ საკითხთაგანი, რომელიც უნდა დასვას საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უახლოეს დღიურ წესრიგში, იქნება საკითხი პრეზიდენტის შესახებ. თუმცა, სტატიის ავტორის აზრით, ნოე ჟორდანიას მოხსენებაში არ ჩანდა, თუ როგორ გადაწყდებოდა ეს საკითხი. ჟორდანია არ ეხება იმას, თუ "ვინ იქნება რესპუბლიკის სათავეში". გაზეთის განმარტებით, იქნება თუ არა რესპუბლიკა "პრეზიდენტით სათავეში" ან "სრულიად უპრეზიდენტოდ" არის "ჩვენი კონსტიტუციის ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანი" („შრომა“, 10.03.1919).

ესერთა პარტიის შეფასებით, ამ მხრივ საქართველოში გაურკვეველი ვითარება იყო. ქვეყანას ფორმალურად პრეზიდენტი არ ყავდა, მაგრამ ფაქტობრივად პრეზიდენტი არსებობდა და თანაც ორი: მთავრობის თავმჯდომარე და პარლამენტის თავმჯდომარე. "ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა ძნელია, ვინაიდან გულახდილად რომ ვსთქვათ, ფაქტიურად ორივე პრეზიდენტები არიან" („შრომა“, 10.03.1919).

ესერთა განცხადებით, პრეზიდენტი "უბრალო თავმჯდომარე" არაა და "დემოკრატიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის საკითხს". სოციალისტ-რევოლუციონერები ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი და მას არადემოკრატიულად მიიჩნევდნენ. პარტიას მიაჩნდა, რომ "რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, მით უფრო ნაკლები უფლებები აქვს პრეზიდენტს. აქედან აშკარაა ყველაზე უფრო დემოკრატიულ ქვეყანაში ის სრულებით საჭირო არ არის". ესერთა განცხადებით, პრეზიდენტის ინსტიტუტი კომპრომისი იყო ხალხის სუვერენიტეტისა და მონარქიის პრინციპებს შორის და აღნიშნავდნენ, რომ "საქართველოს დამფუძნებელი კრება ამ კომპრომისზე არ წავა". მათი შეფასებით, "პრეზიდენტი არის ნაშთი ბურჟუაზიული რევოლუციების, მშრომელთა რევოლიუციას ის არ სჭირდება" („შრომა“, 10.03.1919).

14 მარტის სხდომის შემდეგ გაზეთმა "შრომამ" გამოაქვეყნა სარედაქციო წერილი "რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენელთან" დაკავშირებით და სოციალ-დემოკრატებს ბრალს სდებდა "რევოლუციის ლიკვიდაციის" მცდელობაში, რომლის ერთ-ერთ დადასტურებად მიაჩნდათ რეზოლუცია მთავრობის თავმჯდომარის "რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლად" გამოცხადების თაობაზე. ეს ფორმულა პარტიის მიერ ფასდებოდა როგორც პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება. მათი განცხადებით, სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებს "რცხვენოდათ პირდაპირ ეთქვათ: პრეზიდენტი გვინდაო" („შრომა“, 16.03.1919).

"მართლაც "რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი", რომლის უფლებები არავინ იცის რით სჯობია ეს თუნდაც კაროლს?" -კითხულობდა გაზეთი "შრომა". ესერთა აზრით, პრეზიდენტი იყო "ნაშთი ძველი ბურჟუაზიული რევოლუციების და პირდაპირ სასაცილოა, როდესაც სოციალისტური დამფუძნებელი კრება პრეზიდენტს ეძებს". („შრომა“, 16.03.1919).

13.4. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია

მთავრობის თავმჯდომარის "რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის" ფუნქციით აღჭურვას ეროვნულ-დემოკრატებიც ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ სოციალისტური პარტიებისაგან (ფედერალისტები, ესერები) განსხვავებით, არა იმიტომ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის

წინააღმდეგნი იყვნენ, არამედ პირიქით, მიაჩნდათ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი ჭირდებოდა და ამის თაობაზე უფრო მკაფიო გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო. "ეს არის ძირითადი საკითხი კონსტიტუციისა და საჭიროა მისი არსებითი განხილვა", - აღნიშნავდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გიორგი გვაზავა. მან დამფუძნებელი კრების 14 მარტის სხდომაზე ჯერ მოითხოვა, რომ უმაღლესი წარმომადგენელის საკითხი „საკონსტიტუციო“ იყო და ამიტომ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოეხსნათ. შემდეგ კი, როდესაც სოციალ-დემოკრატები ამის წინააღმდეგი იყვნენ, წამოაყენა წინადადება, რომ მთავრობის თავმჯდომარე აღჭურვილიყო არა "რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის", არამედ "რესპუბლიკის წარმომადგენლის" ფუნქციით, „ვინაიდან უმაღლესი წარმომადგენელი და უმაღლესი ძალა ეხლა მაინც, ამ მომენტში არის დამფუძნებელი კრება“ („ოქმები“, I, გვ.35). სოციალ-დემოკრატებმა ხმების უმრავლესობით უარყვეს ეს შესწორება („საქართველო“, 16.03.1919). ჰ. საყვარელიძის თქმით, ეს უხერხულობას გამოიწვევდა, ვინაიდან სახელმწიფოს მრავალი წარმომადგენელი ყავს, მათ კი უნდოდათ გამოეყოთ „ერთი სახელმწიფოს მეთაური, რესპუბლიკის თავი“ („ოქმები“, I, გვ.40).

გვაზავას წინადადების არსი კი "რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის" ფუნქციის დატოვების მცდელობა იყო პრეზიდენტისათვის, რომელიც ეროვნულ-დემოკრატების აზრით, აუცილებლად უნდა არსებულიყო საქართველოში.

ამ საკითხზე გაზეთში "სალი კლდე" გამოქვეყნდა სტატია "საქართველოს პრეზიდენტობა", რომლის ავტორიც სავარაუდოდ გიორგი გვაზავაა. ეს სტატია გადაბეჭდა გაზეთმა "საქართველომ" („საქართველო“, 18.03.1919). გიორგი გვაზავას შეფასებით "14 მარტის დადგენილებით უსათუოდ მყარდება ტრადიცია პრეზიდენტობისა საქართველოს რესპუბლიკაში. ჩვენის აზრით, ეს ტრადიცია უნდა მივიდეს ნამდვილ პრეზიდენტობის დაწესებამდე" („საქართველო“, 16.03.1919).

ეროვნულ-დემოკრატების აზრით, საქართველოში უნდა შემოეღოთ აშშ-ის მსგავსი პრეზიდენტის ინსტიტუტი. გიორგი გვაზავას თქმით აშშ "ჩვენსაებრ ურდოებით იყო გარშემორტყმული დაარსების დროს; ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს თავი მარტო დეკორაციული წარმომადგენელი კი არ უნდა იყოს სახელმწიფოსი, არამედ ნამდვილი მმართველი". აშშ-ში პრეზიდენტის ხელშია "მთელი აღმასრულებელი ძალა", მინისტრებს პარლამენტი კი არა, პრეზიდენტი ირჩევს და მინისტრები პრეზიდენტის წინაშე არიან პასუხისმგებელნი. პრეზიდენტი არის "იმავე დროს უმაღლესი მთავარსარდალიც". გვაზავას დასკვნით "გლეხურ ქვეყანაში, აზიის ჭიშკართან "უპრეზიდენტო" - უთავო რესპუბლიკა ვერ გამოდგება" და კონსტიტუციის საკითხის გარკვევის დროს კარგი იქნებოდა თუ კანონმდებლები აშშ-ის მიბაძავდნენ („საქართველო“, 18.03.1919).

14 მარტის სხდომაზე პარტიების მიერ დაფიქსირებული პოზიციები შემდეგი ცხრილის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

პარტია	მთავრობის შესადგენად დამფუძნებელი კრების მიერ მთავრობის თავმჯდომარის არჩევა	მთავრობის თავმჯდომარე იმავდროულად რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელია	დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი
სოციალ-დემოკრატები	მომხრე	მომხრე	პარტიას გამოკვეთილი პოზიცია არ აქვს პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით

ეროვნულ-დემოკრატე-ბი	მომხრე	საჭიროა ამ წინადადე-ბის „არსებითი განხილ-ვა“	პარტია ემხრობა პრეზი-დენტის ინსტიტუტის შემოღებას
სოციალისტ-ფედერა-ლისტები	მომხრე	წინააღმდეგი,	პარტია წინააღმდეგია პრეზიდენტის ინსტი-ტუტისა, რადგანაც მთავრობა კოლეგია უნ-და იყოს
სოციალისტ-რევოლუ-ციონერები	მომხრე	წინააღმდეგი,	პარტია არ ემხრობა პრე-ზიდენტის ინსტიტუ-ტის შემოღებას

1919 წლის მარტში პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით საქართველოს წამყვანი პოლიტიკური პარტიების მიერ დაფიქსირებული პოზიციები შემდგომშიც არ შეცვლილა. ესერები და ფედერალისტები პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების წინააღმდეგი იყვნენ, ეროვნულ-დემოკრატები მის შემოღებას მოითხოვდნენ, სოციალ-დემოკრატების პოზიცია კი კვლავ შუალედური დარჩა.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წარმომადგენლები შემდგომშიც პერიოდულად აფიქსირებდნენ თავიანთ ნეგატიურ დამოკიდებულებას მთავრობის თავმჯდომარის რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლად მიჩნევას და მისთვის განსაკუთრებული უფლებამოსილების მინიჭებას. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 8 ივნისის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) განაცხადა, რომ საქართველო მონარქიის შექმნისკენ მიემართება და ეს აშკარა იყო, „მას შემდეგ, რაც მთავრობის თავმჯდომარე გახდა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი, რაც მას მიენიჭა რაღაც განსაკუთრებული უფლებები“ (ოქმები, ტ. VI, გვ.475).

თავი XIV. დამფუძნებელი კრება და ერი სახელმწიფოს კონცეფცია (მალხაზ მაცაბერიძე)

14.1. გზა ერი-სახელმწიფოს იდეამდე

თავისებური ბედი ხვდა საქართველოს 1918-1921 წლებში. დამოუკიდებელი სახელმწიფოს სათავეში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მანამდე არ ფიქრობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე. სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი არქონა, რევოლუციისა და სოციალიზმის იდეებით გატაცება საზოგადოების გარკვეულ წრეებში საკუთარი ერის ბედის, ეროვნული პრობლემებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იწვევდა. "არა ერთი და ორი პოლიტიკური მოღვაწე... თვითმპყრობელობასთან ბრძოლით თავდავიწყებამდე გატაცებული, გულწრფელად ივიწყებდნენ ერის ისტორიულ უფლებას და მის დაუცხრომელ ლტოლვას ნაციონალური თვითაღდგენისადმი". (”საქართველოს რესპუბლიკა”. 28.01.1920) პავლე საყვარელიძის ეს სიტყვები, პირველ რიგში, ქართველ სოციალ-დემოკრატებს შეეხებოდა. იმავეს აღნიშნავდა ესერთა ლიდერი ლეო შენგელაიაც: "ამ ასი წლის მონობამ ისე დაამახინჯა ჩვენი გონება და ეროვნული შეგნება, რომ თვით ჩვენ, ვინც ასე თავგამოდებით ვიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას, რამდენიმე წლის წინედ ვერ ვიმეტებდით საქართველოსათვის უბრალო ავტონომიას". (”შრომა”, 19.12.1920).

თუ სოციალ-დემოკრატიული და ესერთა პარტიების წარმომადგენლები თავიანთ ადრინდელ „არაეროვნულ“ პოზიციაზე დანანებით და მობოდიშებით საუბრობდნენ, მკაცრი და კრიტიკული იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის სპირიდონ კედიას შეფასებები. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 22 მარტის სხდომაზე მთავრობის დეკლარაციის შესახებ საუბრისას, მან აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა „ჩვენი მთავრობის პოლიტიკის და მთელი იმ მიმართულების წინააღმდეგ, საიდანაც ეს მთავრობა არის გამოსული“, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას „საქართველოს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის ძიება“ მიზნად „თავის დღეში არ ჰქონია“ და ამ პარტიამ „მხოლოდ გარემოების ძალდატანებით ჩაიბარა უკვე დამოუკიდებელ საქართველოს მართვა-გამგეობა“. სპირიდონ კედიას შეფასებით, „ეს ხალხი“ ანუ სოციალ-დემოკრატები „ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი იყო ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის“ (ოქმები, ტ. I, გვ.87).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში აქტიურად მიმდინარეობდა ახალი რეალობის გააზრების პროცესი - საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მნიშვნელობის აღიარება, რაც პარტიის დოქტრინაში ეროვნული პოზიციებისაკენ შემობრუნებას განაპირობებდა. ხდება იმის შეგნება, რომ კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის გულისთვის სამშობლოს დავიწყება არ შეიძლება, რომ დემოკრატიისთვის ბრძოლა არ მოითხოვს ეროვნულობის დავიწყებას და პირიქით, მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებშია შესაძლებელი მისი განხორციელება. ამ მხრივ აღსანიშნავია იმ დროს ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატის, ვიქტორ ნოზაძის წერილი "დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო - საქართველო", რომელიც ორ ნაწილად გამოქვეყნდა 1919 წლის 9 და 11 მარტს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარ ორგანოში - გაზეთ "ერთობაში" (NN 55 და 56). მას თან ახლდა შენიშვნა: "ამ წერილების ზოგიერთ თეორიულ დებულებებს რედაქცია არ იზიარებს". შემთხვევითი არც ისაა, რომ ვიქტორ ნოზაძის სტატია გამოქვეყნდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების (1919 წლის 12 მარტი) წინა დღეებში.

ვიქტორ ნოზაძე ფაქტობრივად პირველი იყო, ვინც შეეცადა 1918 წლის 26 მაისს შექმნილი საქართველოს, როგორც ერი-სახელმწიფოს, თეორიულ დასაბუთებას. მისი ნაშრომი პირველ რიგში განკუთვნილი იყო თავისი თანაპარტიელების - სოციალ-დემოკრატებისთვის და ამ საკითხის გააზრებას ცდილობს მარქსიზმის თეორიული არგუმენტების მოშველიებით. აქ ის პირველ რიგში ემყარებოდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ავტორიტეტის - კარლ კაუცკის ნაშრომებს. ვიქტორ ნოზაძე ასაბუთებდა, რომ პროლეტარიატი უარს ვერ იტყოდა დემოკრატიულ პოლიტიკურ მიზნებზე და მათ შორის ეროვნულ იდეაზე. მისი თქმით, ერთა თვითგამორკვევის უფლება, პრინციპი „ერთი ერი - ერთი სახელმწიფო“ სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნაა და მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოშია შესაძლებელი დემოკრატიის განმტკიცება და გაბატონება. ვიქტორ ნოზაძის განცხადებით, საქართველოს ჰქონდა თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული მკაფიო საზღვრები, მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა და ისტორიულ-კულტურული პირობები; ამ საზღვრებში ქართველები მოსახლეობის სამ მეოთხედს შეადგენენ და „ეთნოგრაფიულ მთლიანობას“ წარმოადგენენ. მისი შეფასებით, საქართველოში სახელმწიფოებრივი სამი ელემენტი - ტერიტორია, ხალხი, მთავრობა - სავსებით ეროვნულია.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ეროვნულ პოზიციისკენ შემობრუნების მიუხედავად, ბევრისთვის განმსაზღვრელი მაინც "ინტერნაციონალიზმი" იყო. ეს გარემოება - ეროვნულ ფასეულობათა უპირობო ფლობა კი არა, არამედ მათი თანდათანობითი შეთვისება თუ მათთან შეგუება, ბუნებრივია, ზეგავლენას ახდენდა სახელმწიფოს პოლიტიკაზე, რიგ შემთხვევებში კი განაპირობებდა სახელმწიფოებრივ ინტერესებზე პარტიული თვალსაზრისის დომინირებას. ამის მკაფიო დადასტურებაა თუნდაც ნოე ჟორდანიას გამოსვლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-2 ყრილობაზე 1920 წ. ივნისში. იგი აღნიშნავდა, რომ "უაღრესი როლი" პარტიის მოღვაწეობაში "ეჭირა და უჭირავს... სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებას, ხოლო ხელქვეითი როლი უჭირავს სხვა დანარჩენ შეხედულებას, მათ შორის ნაციონალურსაც" (არქივი, ფ.1825, ანაწ.1, საქ.159, ფურც.26). ნოე ჟორდანიას ლოგიკით, სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა დაეცვათ არა იმის გამო, რომ ეს მათი სამშობლო და უპირველესი მოვალეობა იყო, არამედ იმიტომ, რომ ამის გარეშე მოცემულ ეტაპზე ვერ მოხერხდებოდა პარტიის "მთავარი პოლიტიკური და სოციალური მოთხოვნილებათა განხორციელება".

ქართველი სოციალ-დემოკრატების ეროვნული პოზიციისკენ შემობრუნებას, მათი წარსული პოზიციის გამო, გარკვეულწილად უნდობლად ეკიდებოდნენ. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 28 ივლისის სხდომაზე თედო ღლონტმა (ს. ფ.) აღნიშნა, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა „არასოდეს ფიქრობდა ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებას“ (ოქმები, ტ. VII., გვ.172). ამის გამო ფედერალისტები არ ენდობოდნენ ამ ძალას, მისი თქმით, ამ პოლიტიკურმა ძალამ შეიძლება „პირველად აიღოს ხელი“ საქართვლოს დამოუკიდებლობის დაცვაზე და განაცხადონ „ვერ დავიცავით დამოუკიდებლობა“, რადგანაც „ქართველი ხალხის გულში არ არის ის ობიექტური შესაძლებლობა, რომელიც ხელს უწყობს ეროვნულ თავისუფლებას“ (ოქმები, ტ. VII., გვ.173).

14.2. ერი და ეროვნული იდეა

ქართველი ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენციისათვის ეროვნული სახელმწიფოს შექმნა ისტორიული პროცესის გამოვლინება იყო. გიორგი გვაზავას (ე. დ.) განცხადებით დამფუძნებელი კრების 1920 წლის 19 მარტის სხდომაზე, ეს გზა „არ ასცდება საქართველოსაც (ოქმები, ტ. VI, გვ.43). ამის მანიშნებელი იყო ქართული პოლიტიკური პარტიების ეროვნული იდ-

ეისკენ შემობრუნება, მიუხედავად იმისა, რომ „ზოგიერთი ჩვენი პარტიული მიმართულებანი, შეიძლება ზოგიერთი მოღვაწენიც წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოს თავისუფლებისა“, მაგრამ „დროება გამოიცვალა და გამოიცვალა აზრები და შეხედულებები“ (ოქმები, ტ. VI, გვ.43). თუკი ადრე ყოველი ერი ყვიროდა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო“, ეხლა „ყველა პროლეტარები იცავენ თავიანთ სახელმწიფოებს“ და „ევროპის ბევრი ერი ეხლა თავისუფალი სახელმწიფოები არიან“ (ოქმები, ტ. VI, გვ.43).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე შედგა საინტერესო და დამახასიათებელი დიალოგი ვალიკო ჯუღელსა (ს. დ.) და სპირიდონ კედიას (ე. დ.) შორის, სადაც კარგად ჩანს ეროვნული და კლასობრივი აზროვნების დაპირისპირება. ვალიკო ჯუღელმა თავის გამოსვლის დროს განაცხადა, რომ მუშათა კლასმა შექმნა სამშობლო, რასაც სპირიდონ კედიას რეპლიკები მოჰყვა:

„ვ. ჯუღელი: მუშათა კლასმა შეჰქმნა თავისი სამშობლო, თავისი ქვეყანა

კედია: ერმა?

ვ. ჯუღელი: მთელი სახელმწიფო, მუშათა კლასი რომ არ ყოფილიყო...

კედია: ერმა? ერმა რა ქნა ბატონო?

ვ. ჯუღელი: მე ვამბობ მუშათა კლასმა, რადგან ის შეადგენს ერის მთავარ ბოძს!“ (ოქმები, ტ. III, გვ.312).

იმავე სხდომაზე, როდესაც ვალიკო ჯუღელი საუბრობდა შექმნილ მძიმე ვითარებაზე („ჩვენ სახელმწიფოს საბედისწერო დღეები გვიდგება“), განაცხადა, რომ სიტყვა „სამშობლოს“ პირველად ამბობდა: „ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს, - აქ ვიტყვი სიტყვას მე, რომელსაც არასოდეს არ ვხმარობდი“. ამას მოჰყვა გიორგი გვაზავას რეპლიკა: „სამწუხაროდ“(ოქმები, ტ. III, გვ.310).

ის, რომ სოციალ-დემოკრატია დიდი ხნის განმავლობაში ეროვნული ნიჰილიზმის პოზიციაზე იდგა და არ ფიქრობდა საქართველოს ავტონომიაზეც კი, არათუ დამოუკიდებლობაზე, არაერთხელ შეუხსენებიათ დამფუძნებელ კრებაში ამ პარტიის წარმომადგენლებისთვის. ამ დროს სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას თავის დამსახურებად მიიჩნევდნენ.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 თებერვლის სხდომაზე ნოე რამიშვილმა, როდესაც პასუხობდა ოპოზიციის შეკითხვას, თუ რა გაკეთდა, მოკლედ უპასუხა: „რა გაკეთდა! გაკეთდა ის, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა აუცილებელი შეიქნა, რომ შინაურმა წესრიგმა დამოუკიდებლობის ცნობას მოუმზადა ნიადაგი“.

მის ამ განცხადება ორი რეპლიკა მოჰყვა:

„ს. დადიანი: თქვენი სურვილის წინააღმდეგ გაიმარჯვა ისტორიამ!

ნ. რამიშვილი: მე კი ვფიქრობ, რომ ამ ორი წლის ისტორიამ გამოაშკარავა, რომ სრულიად უნიადაგოა ის მოძღვრება, რომელსაც თქვენ იზიარებთ.

ს. კედია: და თქვენიც“ (ოქმები, ტ. V, გვ.324).

მანამდე სამსონ დადიანმა (ს. ფ.) ბრალი დასდო სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას იმაში, რომ სათანადოდ ვერ წარმართა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობა: „ყოველივე ის, რაც ჩვენ გვინდოდა, რისთვისაც ვოცნებობდით და ვიბრძოდით, თქვენ ისე წაახდინეთ, რომ ხალხს გული გაუტყდა. ჩვენი ეროვნული თავისუფლებაც ისე ვერ მოაწყეთ, რომ ხალხს იგი შეყვარებოდა“ (ოქმები, ტ. V, გვ.323).

თუმცა იგივე სამსონ დადიანი დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ დამოუკიდებლობა მათთვის „ფეტიში“ არ იყო და მხოლოდ პარტიული ამოცანის, - სოციალიზმისაკენ მიმავალი გზის გაადვილება იყო: „ჩვენ დამოუკიდებლობა ფეტი-

შად არაოდეს მიგვაჩნდა და არც დღეს მიგვაჩნია. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს დამოუკიდებლობა აუცილებელია, რათა ქართველი ერი დადგეს სწორ გზაზე, გაიადვილოს თავისი კულტურული მსვლელობის გზა იმ წეს-წყობილებისაკენ, რომელსაც ჩვენ სოციალისტები სოციალიზმს ვეძახით“ „სამწუხაროდ“(ოქმები, ტ. III, გვ.480).

შეიძლება ითქვას, რომ ეს სოციალისტებისთვის საერთო თვალსაზრისი იყო: დამოუკიდებლობის მხარდაჭერა იმიტომ, რომ ეს იყო გზა სოციალიზმზე გადასასვლელად. საქართველოს დამოუკიდებლობას უპირობოდ უჭერდნენ მხარს მხოლოდ მემარჯვენეები. განცხადებები, რომ „დამოუკიდებლობა ფეტიში არ იყო“, გიორგი გვაზავას (ე. დ.) თქმით, „მერყეობას ბადებდა“ საზოგადოებაში. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე გიორგი გვაზავა აღნიშნავდა: „ თქვენ თითონ ლაპარაკობთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ მიგაჩნიათ უდიდეს ღირებულებად და შესაძლებლად სცნობთ უარყოთ ეს დამოუკიდებლობა, თუ რუსეთი იქნება აღდგენილი (რეპლიკა: როდის ვთქვით ეგ?) დღეს თუ არ გითქვამთ, ეს აზრი ხშირად იყო გამოთქმული თქვენს პრესაში, რომ დამოუკიდებელი საქართველო ჩვენთვის ფეტიში არ არისო (რეპლიკა: მართალია, არ არის) თუ თქვენთვის არ არის ფეტიში, ხალხმა რად უნდა იბრძოლოს მის დასაცავად?!“ (ოქმები, ტ. III, გვ.408).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) სოციალ-დემოკრატებს განუცხადა: „თქვენ რომ აქ ყოფილიყავით უმცირესობა და რუსეთში უმრავლესობა, თქვენ არ იქნებოდით დამოუკიდებლობის მომხრენი“ (ოქმები, ტ. IV, გვ.290).

14.3. საკონსტიტუციო კომისია და ერი-სახელმწიფოს კონცეფციის დასაბუთება

საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე ორიენტაცია მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან მოითხოვდა რიგ საკითხებზე ადრინდელი შეხედულებების გადასინჯვას, ახალი პოზიციის ახსნა-დასაბუთებას: რამდენად შეესაბამება საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების მცდელობა მსოფლიოს განვითარების ტენდენციას, როგორ უთავსდება ერთმანეთს, ერთი მხრივ, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და, მეორე მხრივ, დემოკრატიისა და სოციალიზმისაკენ პარტიული სწრაფვა? მთლიანობაში, საჭირო იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კონცეფციის შემუშავება; უნდა დაძლეულიყო იმპერიალისტური იდეოლოგია, რომელსაც იმდროინდელ მსოფლიოში მრავალი პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი თუ პუბლიცისტი ამკვიდრებდა, მძლავრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული როგორც ბურჟუაზიულ, ისე სოციალისტურ წრეებში და საზოგადოების ფართო ფენებშიც. ამ თეორიის მიხედვით, მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, კაცობრიობის მიერ მიღწეული ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დონე განაპირობებდა ეროვნული სახელმწიფოების კვდომას. აქედან გამომდინარე, შეუძლებლად ცხადდებოდა ერთა თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკული რეალიზაცია. სწორედ ასეთი თვალსაზრისი იყო უარსაყოფი ქართველ პოლიტიკოსთა მხრიდან, რადგანაც, თუ მსოფლიოს განვითარების მიმდინარე ეტაპი ძირს უთხრიდა ეროვნული სახელმწიფოს არსებობას, მაშინ, შეუძლებელი და უიმედოდ განწირული საქმე ხდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრება.

საქართველოს, როგორც ერი-სახელმწიფოს, კონცეფცია თანმიმდევრულად იქნა გატარებული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს. საკონსტიტუციო კომისია ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მტკიცე ეროვნული სახელმწიფოს შექმნას მიიჩნევდა. "დღეს

ჩვენი მოვალეობა არის შევქმნათ მთლიანი, მტკიცე ეროვნული ორგანიზმი და ავიცდინოთ ის მიზეზები, რომლის გამო სუსტდება და ირღვევა იგი", - აღნიშნავდა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე (არქივი, ფ.1833, ანაწ.1, საქ.180, ფურც.177) სწორედ ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვეტილიყო ეროვნულ უმცირესობათა საკითხიც. ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა უდიდეს სახელმწიფოებრივ ინტერესად იქნა მიჩნეული, მაგრამ, ამავე დროს, "უმცირესობამ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი რესპუბლიკაა და რაც ავნებს სახელმწიფოს, ავნებს მათაც" (არქივი, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც. 180).

საკონსტიტუციო კომისიის ამოცანას წარმოადგენდა არა მარტო დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნა, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დამკვიდრების სამართლიანობისა და აუცილებლობის აღნიშვნა-დასაბუთებაც. ეს საჭირო იყო საერთაშორისო არენაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მისაღწევად, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობის დასაბუთება ბევრს სჭირდებოდა ქვეყნის შიგნითაც.

შემთხვევითი არ იყო, რომ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე კონსტიტუციის პროექტის დახასიათებისას სპეციალურად შეეხო ეროვნული სახელმწიფოს კვდომის თეორიას და ასაბუთებდა მის უნიადაგობას კარლ კაუცკის, სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ავტორიტეტის, ნაშრომებზე დაყრდნობით. პავლე საყვარელიძე აღნიშნავდა, რომ კაცობრიობის განვითარების კრიზისულ ეტაპზე, პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციების დროს, თვალსაჩინო გახდა არა ნაციონალური სახელმწიფოების კვდომის, არამედ სრულიად საპირისპირო ტენდენცია - "უკვე დიდი ხნის არსებული მრავალერიანი, რთული სახელმწიფოების დაშლისა და გარდაქმნისა ნაციონალურ სახელმწიფოებრივობის პრინციპის მიხედვით" (”საქართველოს რესპუბლიკა”, 3.04.1920). კერძოდ, დაიშალა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვანი იმპერიები და მათ ნაცვლად ნაციონალური სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. ცხადი გახდა, რომ ნაციონალური სახელმწიფო ყველაზე უფრო მტკიცე და მკვიდრი კავშირია.

პ. საყვარელიძე დაწვრილებით ჩერდება ნაციონალური სახელმწიფოს მნიშვნელობაზე. სახელმწიფოს არსებობა თავისთავად წარმოადგენს ეროვნულ ფასეულობას და გარკვეული ზნეობრივ-სოციალური მიზნების მატარებელია. ნაციონალური სახელმწიფო საუკეთესო საშუალებაა ერის მატერიალური ძალების ასაღორძინებლად, სულიერი ენერგიის გასაშლელად. "სახელმწიფოებრივი ჯავშანი" ერის არსებობისათვის ბრძოლის "უდიდეს და უძლიერეს იარაღს წარმოადგენს, იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს "ერის კოლექტიური პირადობის" დაცვის საქმეში. აქედან გამომდინარე, თავდაცვის ინსტინქტის კარნახით "ყოველი ჯანსაღი უსახელმწიფო ერი საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ მიისწრაფის. ეს არის მისი უკვდავი წყურვილი, ხოლო თუ ერს სახელმწიფო უკვე აქვს, ის მის დასაცავად და შესანარჩუნებლად არაფერს არ ზოგავს" (”საქართველოს რესპუბლიკა”, 26.03.1920).

1921 წლის კონსტიტუციის ავტორთა აზრით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრებას მჭიდროდ უკავშირდებოდა დემოკრატიული წყობილების დამყარების პერსპექტივაც. ეროვნული სახელმწიფო და დემოკრატია მათთვის ერთმანეთისგან განუყოფელი იყო. დემოკრატიის განვითარება ნიშნავს "ერთა თავისუფლებას და განთავისუფლებას ნაციონალურ სახელმწიფოებრიობის გზით". მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოს პირობებში შეუძლიათ დემოკრატიულ ძალებს "სრული განვითარება, სამართლიანობის იდეალებისათვის ყოველმხრივ დაუბრკოლებელი წინმსვლელობა. დემოკრატია ნაციონალურ სახელმწიფოში ნახულობს თავის თავსა და თავის ძალღონეს" (”საქართველოს რესპუბლიკა”, 3.04.1920).

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას "სამგვარი გამართლება" ჰქონდა:

1. ისტორიულ-სამართლებრივი. საუკუნეების მანძილზე საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ამ უკანასკნელის უფლება დამოუკიდებლად არსებობისა "არ მომკვდარა, არ გაუქმებულა", ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გამართლებული იყო "საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით".

2. კულტურულ-პოლიტიკური. საქართველოს რომც არ ჰქონოდა სახელმწიფოებრივი არსებობის ტრადიცია, მას დამოუკიდებლობის მოთხოვნა შეეძლო ეროვნული, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მიღწეული დონის საფუძველზე. "ერი, რომელიც განვითარებულია; ეკონომიკურად, კულტურულად, პოლიტიკურად მომწიფებულია და მოითხოვს დამოუკიდებლობას, ცნობილ უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფოებრივობის უფლებამოსილი მაძიებელი", - აღნიშნავდა პ. საყვარელიძე.

3. დემოკრატიულ-რევოლუციური. საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა ეცნოთ თვითგამორკვევის უფლების ძალითაც. "ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევისა ყველას უკარნახებს, რომ იცნონ საქართველოს უფლება, რომელიც განმტკიცდა, გამაგრდა, გაძლიერდა და დამოუკიდებლობის აქტში განხორციელდა".

საქართველოს დამოუკიდებლობის დასასაბუთებლად ზემოთდასახელებული არგუმენტები სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა მიერ სხვადასხვანაირად ფასდებოდა. თუ სოციალ-დემოკრატები პირველ რიგში ერთა თვითგამორკვევის რევოლუციურ უფლებას იშველიებდნენ, ეროვნულ დემოკრატებს, ტაქტიკური თვალსაზრისით, ეს მცდარად მიაჩნდათ, რადგანაც დამოუკიდებლობის აღიარება უნდა მიეღოთ იმ ქვეყნებისაგან, რომელთაც შეიძლება მრავალი სამფლობელო დაეკარგათ ამავე პრინციპის ძალით. ამიტომ, მათი აზრით, აქცენტი უნდა გადატანილიყო დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიულ-სამართლებრივ უფლებაზე.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ რაობას კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველივე სიტყვები განსაზღვრავდა, რომელთა თანახმადაც საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცხადდებოდა. ეს ნიშნავდა, რომ "საქართველო დამოუკიდებელია სხვების მიმართ, თავისუფალია შინ და საერთაშორისო ურთიერთობაში" (არქივი, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859. ფურც.34).

ცხადი იყო ისიც, რომ დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში საქართველოს პირველ რიგში საკუთარი თავის, საკუთარი ძალისხმევისა და ეროვნული ენერგიის იმედი უნდა ჰქონოდა. სწორედ ამაზე მიუთითებდა ერთ-ერთ წერილში პავლე საყვარელიძე: "ჩვენ შინაური სახელმწიფოებრივი ძალების სიმტკიცეს და ორგანიზაციას უნდა დავემყაროთ, ჩვენვე ვიცნოთ და შევიგნოთ ჩვენი თავი და მთელს ჩვენს კოლექტიურ არსებაში გავაუკვდავყოთ საქართველოს... დამოუკიდებლობა და თავისუფლება" (”საქართველოს რესპუბლიკა”, 24.01.1920).

თავი XV. დამფუძნებელი კრება და საქართველოს ტერიტორიული მოწყობა

15.1. უნიტარიზმი და ავტონომიური მმართველობის პრინციპი (მალხაზ მაცაბერიძე)

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველივე მუხლში აღნიშნული იყო, რომ საქართველო არის „განუყოფელი სახელმწიფო“. კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, ამით ცხადდებოდა „ჩვენი სახელმწიფოს არსი - უნიტარული რესპუბლიკა“. (ცსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც. 301).

განუყოფლობა ნიშნავდა, რომ ერთი მხრივ დაუშვებელი იყო სახელმწიფო ტერიტორიის გაყოფა, განაწილება, გაყიდვა, სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, მეორე მხრივ კი გამორიცხული იყო ქვეყნის „ფედერაციული ან კონფედერაციული მოწყობა“. განმარტავდა რა ამ მუხლის არსს, პ. საყვარელიძე აღნიშნავდა: „სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, განაწილება, გაყიდვა არავის შეუძლიან... კონსტიტუციურად, უფლებრივად არცერთ ხელისუფლებას, არც პარლამენტს, არავის შეუძლიან გაანაწილოს ტერიტორია, შექმნას ფედერაცია, მიანიჭოს რომელიმე კუთხეს ფედერაციული ავტონომია. ჩვენი სახელმწიფო უნიტარულია და ის უნდა იყოს მთლიანი ტერიტორიულად“(ცსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859, ფურც.25).

საქართველო ყალიბდებოდა როგორც უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენი ქვეყნის პირობებიდან გამომდინარე, მიუღებლად იქნა მიჩნეული ფედერალიზმის პრინციპი, რასაც ემყარებოდა დემოკრატიული რესპუბლიკა შვეიცარიასა და აშშ-ში. „უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა... ჯერ-ჯერობით ქვეყანაზე არ არსებობს“, - აღნიშნავდა ნ. ჟორდანია და მიუთითებდა, რომ თანამედროვე სახელმწიფოს მასშტაბით ასეთი რესპუბლიკის დამკვიდრების მცდელობა (საფრანგეთი, 1793 წლის კონვენტის კონსტიტუცია) მარცხით დამთავრდა.

ნ. ჟორდანიას სიტყვებით, დემოკრატიზმი მართვა-გამგეობაში წარმოშობს პარტიკულარიზმის საფრთხეს. ამიტომ ადგილობრივი ორგანოების მოქმედება არ უნდა არღვევდეს ცენტრის უფლებას, ერთ სახელმწიფოში არ უნდა ქმნიდეს მრავალ სახელმწიფოს, ეს დიდი პრობლემა თუ გადაჭრა საქართველოს კონსტიტუციამ, - აღნიშნავდა ნ. ჟორდანია დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე, - ეს იქნებოდა „პირველი მაგალითი მსოფლიოში, რომ უნიტარული რესპუბლიკა დაარსდა თავისი შესაფერი დემოკრატიული კონსტიტუციით“.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს უნიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ცალსახად დაუჭირეს მხარი ფედერალისტებმაც. მაგალითად, საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 2 ივლისის სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა საკითხი „განუყოფელი უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფო თუ არა“, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა ი. ბარათაშვილმა განაცხადა: „მე დღეს ვუჭერ მხარს უნიტარულ სახელმწიფოს, თუმცა ფედერალისტი ვარ“. მისი თქმით, ეს აუცილებელი იყო, „ვიდრე ქართველი ერი არ ჩამოყალიბებულა და არ იგრძნობს თავის თავს“ (ცსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც. 301).

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, საქართველოს ფედერაციული მოწყობა გაუმართლებელი იყო „ჩვენი ხალხის ან ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიის რაოდენობისა და სივრცის თვალსაზრისითაც“, ამას ხელს არ უწყობდა „არც ჩვენი ისტორიულ-

კულტურული ტრადიცია და უფლებრივი შემეცნება“. ფედერალიზმს გამორიცხავდა „ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობაც“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1.02.1920).

ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელს ს. დადიანს საქართველოში მმართველობის ხალხთან დასაახლოებლად საკმარისად მიაჩნდა ტერიტორიული თვითმმართველობანი ერობების და "სხვა ორგანიზაციების სახით". მისი აზრით, "ჩვენს რესპუბლიკაში ერობათა კონსტრუქცია სავსებით აკმაყოფილებს სახელმწიფოს დემოკრატიას. უფრო მეტიც ითქმის, ჩვენი ერობები უახლოვდებიან პოლიტიკური ავტონომიის საზღვრებს“ („სახალხო საქმე“, 1.11.1920).

პ. საყვარელიძე აღნიშნავდა, რომ უნიტარიზმის საკითხში საკონსტიტუციო კომისია "გაჰყვა ბელგიის კონსტიტუციას". უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპს უთავსდებოდა კონსტიტუციის მე-11 თავით დამკვიდრებული ავტონომია, რომელიც ენიჭებოდა ბათუმის ოლქს, აფხაზეთსა და ზაქათალას. პ. საყვარელიძე მიუთითებდა, რომ არ იყო არავითარი წინააღმდეგობა უნიტარიზმსა და ავტონომიის პრინციპს შორის, რადგან ეს არ იყო სახელმწიფოებრივი ავტონომია, რომელიც ნიშნავს „საკუთარ ტერიტორიალურ და მოქალაქეობრივ უფლებას“, „საკუთარ სახელმწიფო უფლებას“ და განმარტავდა, რომ „სახელმწიფო საზღვრებში არ არის ცალკე სახელმწიფო ტერიტორია აფხაზეთისა, ტერიტორია აჭარისა, არამედ არის ტერიტორია საქართველოს რესპუბლიკისა და ამ ტერიტორიის ფარგლებში ამ ნაწილთ მიეცემათ განსაკუთრებული მართვა-გამგეობა“ (ცსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859, ფურც.26-27).

ამრიგად, 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, ავტონომია არ არღვევდა "განუყოფელ ტერიტორიალიზმს" და "დემოკრატიული სახელმწიფოს მთლიანობას". პ. საყვარელიძის სიტყვებით, "ჩვენი სახელმწიფო განუყოფელი უნდა იყოს, რაც უნდა ავტონომიები მიენიჭოთ საქართველოს ფარგლებში მცხოვრებ ერთ" (ცსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181, ფურც. 302). ამ მხრივ, მათთვის მიუღებელი იყო ესერთა პოზიცია, რომლებიც ასევე უნიტარულ რესპუბლიკას ემხრობოდნენ, მაგრამ ავტონომიის პრინციპის დაშვება მიაჩნდათ უნიტარიზმის საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯად.

ავტონომია, ერთი მხრივ, განსხვავდება ადგილობრივი თვითმმართველობისაგან, მეორე მხრივ კი ფედერალიზმისაგან. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ „ფედერალიზმის საშუალებით ერთმანეთს უკავშირდებიან სრულიად თანასწორი უფლებებით აღჭურვილი ერთეულები, სახელმწიფოები. თვით ამ ერთეულის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, შევიდეს ფედერაციულ კავშირში თუ არა. ავტონომია გულისხმობს, რომ საქმე გვაქვს ერთ მთლიან სახელმწიფოსთან და არა მრავალ სახელმწიფოსთან. ამ ავტონომიური უფლებების მინიჭების წყაროა მთლიანად საქართველოს ერი, ხალხი. მთელი ერის ამ სურვილმა და ნებამ მიანიჭა აფხაზეთსა და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია. როდესაც საქართველოს დამფუძნებელი კრება ანიჭებს ამ ნაწილებს ავტონომიას, ამით ჩვენ ვამბობთ, რომ დამფუძნებელმა კრებამ საჭიროდ და აუცილებლად დაინახა, რომ ამ კუთხეს ჰქონდეს ავტონომიური მართვა-გამგეობა“ (ცსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.865, ფურც. 28-29).

1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ყალიბდებოდა უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, ის უნდა ყოფილიყო ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი, როგორც თავისი ტერიტორიით, ისე სახელმწიფოებრივი ხელისუფლებითა და სუვერენიტეტით. "ჩვენ რომ ავტონომიას ვაღიარებთ, ეს არის არა დამრღვევი, არამედ გამამთლიანებელი და განმამტკიცებელი სახელმწიფოსი", - აღნიშნავდა პ. საყვარელიძე (ცსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859, ფურც. 130).

15.2.აფხაზეთის საკითხი საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (ოთარ ჯანელიძე)

ეს საკითხი თითქოს, დამუშავებული და შესწავლილია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. არც ქართულ და არც აფხაზურ ისტორიოგრაფიაში არ მოიპოვება პირველწყაროებზე დაფუძნებული მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც პრობლემის მთელ არსს სიღრმისეულად წარმოაჩენდეს და მიუკერძოებლად გადმოსცემდეს. მაგალითად, ვერ ვიტყვით, რომ საფუძვლიანადაა გაშუქებული საქართველოს დამფუძნებელ კრებაში შემავალი პოლიტიკური პარტიების მიმართება აფხაზეთთან, არა გვაქვს პასუხი, რა გავლენა იქონია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების რეფორმებმა აფხაზეთის სოციალ-ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სინამდვილეზე, აზრთა სხვადასხვაობაა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე და სხვ. არადა, საამისო მასალა არსებობს. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ბევრი დღემდე გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, რომელიც მეტ სიცხადეს შეიტანდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიის სადავო საკითხებში; მოგვეპოვება ასევე მეტად მნიშვნელოვანი წყარო საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების სახით.

ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ქართული პოლიტიკური პარტიებისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს ურყევი აზრი იყო, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რომელიც აღჭურვილი იქნება „სრული შინაური დამოუკიდებლობით, ანუ ფართო ავტონომიით“. ამ მხრივ საგულისხმოა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის დავით სულიაშვილის გამოსვლა სოხუმის ოლქის გლეხთა ყრილობაზე 1918 წლის მარტში. მისი სიტყვით, „აფხაზეთი იქნება ერთი მთლიანი ერთეული ავტონომია ტერიტორიალურ-ეროვნულ პრინციპებზე დამყარებული. ქართული ეროვნული საბჭო სიამოვნებით მიეგებება თავის მოძმეთა ასეთ დასკვნას და ყოველთვის მზად იქნება ძმური ხელი გაუწოდოს მას“ („ერთობა“, 22.03.1918 წ.).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამაც კურსი იმთავითვე აფხაზეთის ავტონომიის აღიარებისაკენ აიღო, რაც არაერთგზის იყო დეკლარირებული. ერთ-ერთ სამთავრობო დადგენილებაში აღნიშნულია: „გამოქვეყნდეს მთავრობის მიმართვა, სადაც მითითებული უნდა იქნეს, რომ აფხაზეთს ენიჭება სახალხო წარმომადგენლობის უფლება და ამით შინაური ცხოვრების მოწყობა ავტონომიის საწყისებზე“ (გამახარია ჯ. 1991, გვ.73). სწორედ ამ საფუძველზე განვითარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართება აფხაზეთთან 1918-1921 წლების განმავლობაში.

არ არის გამორიცხული, გაჩნდეს კითხვა: შეიძლებოდა თუ არა აფხაზეთს მიეღო ნამდვილი ავტონომია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელიც უნიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა? რა თქმა უნდა შეიძლებოდა და ეს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამაც დაამტკიცა, მაგრამ მსოფლიოში არსებობს სხვა გამოცდილებაც. მაგალითად ფინეთი, რომლის ცენტრალიზებულ, უნიტარულ სახელმწიფოში ავტონომია აქვს მინიჭებული ალანდის კუნძულების შვედურ-ენოვან მოსახლეობას (Hepburn Eve, 2014).

განსხვავებული ტიპის ავტონომიები არსებობს ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც. მაგალითად: უნიტარულ ესპანეთში 10-ზე მეტი ავტონომიური გაერთიანებაა (არაგონი, ასტურია, გალისია, კატალონია, ნავარა და სხვა); დიდი ბრიტანეთის შემადგენელ ქვეყნებს და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია

და უელსი. ავტონომიებით სარგებლობენ: ფარერის კუნძულები და გრენლანდია - დანიის სამეფოში, აზორის კუნძულები - პორტუგალიაში, კორსიკა - საფრანგეთში და სხვა.

ვიდრე საქართველოს დამფუძნებელი კრება ჩამოყალიბდებოდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასა და აფხაზთა ეროვნულ საბჭოს შორის გაფორმებული იყო ოფიციალური ხელშეკრულება (1918 წლის 11 ივნისი), რომლის ძალითაც, აფხაზეთი ადასტურებდა საქართველოს განუყოფლობას, თვით აფხაზეთს კი საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური უფლებები ენიჭებოდა. საქართველოს მთავრობა კისრულობდა, სამხედრო-ეკონომიკური დახმარება გაეწია აფხაზეთისთვის, რომლის პოლიტიკური მოწყობის საკითხი უახლოეს მომავალში დემოკრატიულ საწყისებზე მოწვეულ მთელი მოსახლეობის ყრილობას უნდა გადაეწყვიტა.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, თავის პირველივე სხდომაზე, 1919 წლის 12 მარტს, დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი. აქტზე ხელმომწერთა შორის იყვნენ დამფუძნებელი კრების დეპუტატები აფხაზეთიდან: დიმიტრი ემუხვარი, ვარლამ შარვაშიძე, ვასილ ღურჯუა, ივანე ფაშალიდი და დიმიტრი ზახაროვი, რომლებიც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩევნებში გამარჯვებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით შევიდნენ.

საკუთრივ აფხაზეთში საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები მეორე დამატებითი ხმის მიცემის დროს, 1920 წლის მაისში გაიმართა. როგორც საარქივო მასალები ცხადყოფენ, ელექტორატი 22 354 ადამიანით იყო განსაზღვრული. მათგან საარჩევნო უფლებით 21019-მა ამომრჩეველმა ისარგებლა (სცა, ფ. 1834, ან. 2, საქ. 17).

ირკვევა, რომ აფხაზეთის პრობლემატიკა, რეგიონთან დაკავშირებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხები ხშირად იდგა საქართველოს დამფუძნებელი კრების დღის წესრიგში. მაგალითად, პირველი სიტყვა აფხაზეთთან დაკავშირებით კრების მეორე სხდომაზე, 1919 წლის 21 მარტს, მთავრობის დეკლარაციაში ითქვა.

დეკლარაციაში, რომელიც კრებას მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა წარუდგინა, აღნიშნული იყო: „აფხაზეთსა და სამუსლიმანო საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს. ჩვენი მიზანია ამ კუთხეებში თავისებური განვითარების უზრუნველყოფა, ადგილობრივი ძალებით შინაური მართვა-გამგეობის მოწყობა და დედა სამშობლოსთან შეგნებულათ დაკავშირება. აფხაზეთის სახალხო საბჭოს მოწვევით ...უკვე ჩაეყარა საფუძველი აფხაზეთის საქმეთა ამ ნიადაგზე მოწესრიგებას. ...მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ კუთხეების შემოერთება და კულტურული აღორძინება აუცილებელი პირობაა ჩვენი რესპუბლიკის ნორმალური განვითარებისა და თვით არსებობისაც კი“ (ოქმები, ტ. I., გვ.74).

მთავრობის მიმართებას აფხაზეთისადმი მხარი დაუჭირა კრების სოციალისტ-ფედერალისტურმა ფრაქციამ. მისი განცხადებით, „თუ ჩვენ აფხაზეთსა და სამაჰმადიანო საქართველოში არ განვახორციელებთ გამოცხადებულ თვითმართველობას, ფრიად გართულდება საქმე და ჩვენ ვერ შემოვიკრებთ ჩვენს გარშემო გაფანტულ ელემენტებს“ (ოქმები, ტ. I., გვ.86). ესერები ზოგადი დეკლარირებით დაკმაყოფილდნენ, რომ „განაპირა ოლქების ცხოვრების მოგვარება, მათი ეროვნულ-კულტურული მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება იქნება სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის მთავარი საზრუნავი“ (ოქმები, ტ. I., გვ.96), ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სპირიდონ კედიამ მთავრობის წინანდელი პოლიტიკა ქვეყნის განაპირა მხარეებში და მათ შორის აფხაზეთშიც, რომელიც მისი სიტყვით, არ გამოირჩეოდა კომპრომისით, „იდგა კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე და საზოგადოებაში სთესდა ...შეურიგებლობის იდეოლოგიას“, შეცდომად მიიჩნია (ოქმები, ტ. I., გვ.87-88).

ამავე სხდომაზე დეპუტატები გაეცნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარის არზაყან ემხვარის მიერ სოხუმიდან დეპეშით გამოგზავნილ „აქტს აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“. 1919 წლის 20 მარტს, აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მიღებული ეს დოკუმენტი აცხადებდა: ,,აფხაზეთი შედის საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. „აქტის“ თანახმად, აფხაზეთის კონსტიტუცია საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შერეულ პარიტეტული კომისიას უნდა შეემუშავებინა. დოკუმენტი ძალაში ორივე ამ ორგანოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ შევიდოდა (ოქმები, ტ. I., გვ.64).[6]

„აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“ რეგიონის თვითგამორკვევას ნიშნავდა. აფხაზეთი, მისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნებით, საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას აღიარებდა. (ნარკვევები, 2007, გვ.328) „აქტი“ მოიწონა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც შექმნის დღიდანვე აფხაზეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოზიციას იცავდა. აფხაზური ისტორიოგრაფია არ ითვალისწინებს ამ გარემოებებს და მიიჩნევს, რომ „აქტი“ ქაღალდზე დარჩა და „вся эта игра в «автономию» оказалась иллюзией самоуправления“ (Бгажба О., 2006б с.150; Лакоба С., 1990, с.75).

სინამდვილეში, აფხაზეთის ფაქტობრივი ავტონომიურობის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დაარსდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობა, რომელიც, სახალხო საბჭოს წარდგინებით, პოლკოვნიკმა რაფიელ ჩქოტუამ დაიკავა. პარალელურად, საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, სოხუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებული დანიშნა და ეს საპასუხისმგებლო პოსტი ერთერთ ყველაზე ცნობილ ქართველ სოციალ-დემოკრატს ისიდორე რამიშვილს ჩაბარდა.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს ავტონომიურობის საილუსტრაციოდაც არაერთი ფაქტის დასახელება შეიძლება, მათ შორის: საბჭო თბილისთან შეუთანხმებლად ირჩევდა და ამტკიცებდა ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას - კომისარიატს; საბჭოს დადგენილებით, სოხუმის ოლქს ეწოდა აფხაზეთი; აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო დაწესებულებების ენად დროებით დატოვებულ იქნა რუსული ენა (გამახარია ჯ., 1991, გვ.82); სახალხო საბჭომ უარი თქვა აფხაზეთში საქართველოს დამფუძნებელი კრების მეორე დამატებითი არჩევნების ჩატარების თაობაზე (1919 წ. აგვისტო) (სცა, ფ.1834, ან.1, საქ.76, ფ.7-9) სწორედ ეს აძლევდა საფუძველს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რამიშვილს, რომ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან განეცხადებინა: სახალხო საბჭოს, რომელიც აფხაზეთში მოქმედებს აქვს საკანონმდებლო ფუნქციები, ამიტომ ჩვენს მთავრობას და ჩვენს წარმომადგენელს არა აქვს არავითარი უფლება ჩაერიოს მის საქმეში. იგივე აზრს, ოღონდ უფრო მკვეთრად, გამოხატავდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები: „აფხაზეთის საბჭო თავის თავს სუვერენულ ორგანოდ სთვლის. იგი აბრკოლებს და წინ ეღობება ჩვენს გავლენას და სახელმწიფოებრივ მოქმედებას აფხაზეთში“ (ს. კედია, ეროვნულ-დემოკრატი); სახალხო საბჭოს სახით აფხაზეთს „აქვს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო, ჰყავს მთავრობა, ე. ი. ყველა ელემენტი დამოუკიდებელი სახელმწიფოსი“ (ლ. შენგელაია - ესერი) (ოქმები, ტ. III, გვ.120; 153).

აფხაზეთის სახალხო საბჭო ერთსულოვანი არ იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს განსხვავებული პოზიციები გააჩნდათ. მათგან „დამოუკიდებელი სოციალისტებისა“ და „ინტერნაციონალისტთა“ ფრაქციები დაუფარავად ანტიქართულ მისწრაფებებს გამოხატავდნენ. ამის მიუხედავად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესი აფხაზეთში თავისუფლად მიმდი-

[6] Журн. „Литературная Грузия“, 1989, № 11, с. 155-156.

ნარეობდა, ფუნქციონირებდა სოხუმის სათათბირო, საქალაქო და სასოფლო ერობები, მოღვაწეობდნენ პოლიტიკური ორგანიზაციები, სხვადასხვა დაწესებულებათა პროფკავშირები, აფხაზურ ენაზე გამოვიდა პირველი ბეჭდური გამოცემა გაზეთი „აფსნი“, გაიხსნა რამდენიმე ათეული ახალი სკოლა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი („საქართველოს რესპუბლიკა“, 3.09.1920) და სხვ. მორიგი მსჯელობა აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის 10 მაისს გაიმართა. იგი დაკავშირებული იყო მოხალისეთა არმიის სარდლის, გენერალ ა. დენიკინის შემოჭრასთან აფხაზეთში (Деникин А., 2002 с. 283)[7], რის საპასუხოდაც, საქართველოს მთავრობამ ჯარი დაძრა და გაგრა დაიკავა. ამ ფაქტის გამო მოკავშირეთა არმიის სარდლობამ, რომელიც მაშინ სამხრეთ კავკასიაში „საერთაშორისო არბიტრის როლს“ ასრულებდა, უკმაყოფილება გამოთქვა.

აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაგმო „მოხალისეთა არმიას“ აგრესიული მოქმედება, რომელსაც მოჰქონდა „დამონება და ცარიზმი“ („ერთობა“, 18.04.1919). დიმიტრი გულიას რედაქტორობით სოხუმში გამომავალმა გაზეთმა „Наше слово“ ალექსანდრე შარვაშიძეს, რომელიც იყო დენიკინის ჯარების აფხაზეთში მიწვევის თაოსანი, „მოღალატე“ და „აფხაზეთის იუდა“ უწოდა (ნარკვევები 2007, გვ.329). საქართველოს ხელისუფლებამ მოკავშირეთა სარდლობას განუმარტა, რომ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, დავიჭიროთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხაზი, რომელიც „ჩვენი არის ისტორიის მხრივ და რომლის შესახებ აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ დაადგინა, რომ ეს ხაზი არის აფხაზეთის საზღვარი, რომელიც შედის საქართველოში, როგორც ავტონომიური ერთეული“ (ოქმები, ტომი I, გვ. 415).

ნოე ჟორდანიას სიტყვით, „გაგრის ოლქი არის საქართველოს ჭიშკარი და გაგრის ჭიშკარი ჩვენ მიგვაჩნია სტრატეგიულ საზღვრად. ...საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს საზღვარი გაგრის ჭიშკარი იყო და ჩვენ მას ვერ დავთმობთ“ („სახალხო საქმე“, 20.02.1919). დამფუძნებელმა კრებამ სრულად გაიზიარა ეს პოზიცია და განაცხადა, რომ გაგრის დაკავება საქართველოს მხრიდან იყო თავდაცვა და მისი „წმინდა უფლების განხორციელება“.

1919 წლის 4 ივლისს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დამფუძნებელ კრებაში აფხაზეთის თემაზე წერილობითი შეკითხვით მიმართა რესპუბლიკის მთავრობას. მთავრობამ პასუხისათვის დრო ითხოვა და მსჯელობა ამ საკითხზე მხოლოდ 2 აგვისტოს გაიმართა. წამოჭრილ პრობლემებზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა ისაუბრა. განხილვაში დამფუძნებელი კრების მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა მიიღო მონაწილეობა. სპირიდონ კედიამ გააკრიტიკა მთავრობა, რომ მან ვერ გაუწია ანგარიში საქართველოს განაპირა მხარეების „სპეციფიურ დეტალებსა და ცენტრისაგან მათ განმასხვავებელ თვისებებს“. მიუთითა აგრარული რეფორმის ხარვეზზე აფხაზეთში, სადაც ყოველი გლეხკაცი და აზნაური 10-25 დესეტინამდე ნაკვეთს ფლობდა, დანარჩენი თავისუფალი მიწა კი ძირითადად ოსმალეთის ქვეშევრდომ სომეხ და ბერძენ მოიჯარადრეებს ეჭირათ (იყვნენ მცირერიცხოვანი ქართველი/ მეგრელი/ არენდატორებიც). რეფორმამ არ გაითვალისწინა, რომ „ეს მიწა აფხაზეთის ხალხის საკუთრებაა და ასედაც სთვლის მას. თუ მაინც და მაინც აფხაზი შეურიგდებოდა, რომ მიწის ნაწილიც ქართველობასაც რგებოდა, ...არამც და არამც იმას არ შეურიგდებოდა, რომ ეს მისი საკუთრება მიწა მისცემოდა ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხებს და ბერძნებს. ...ამ ნიადაგზე ისმის დიდი სამდურავი და ბევრი საჩივარიც აფხაზეთში“ (ოქმები, ტ. III, გვ. 122-12; 161).

---

[7] აფხაზი ისტორიკოსების სიტყვით, „В начале 1919 г. Добровольческая армия начала наступление в районе Гагры с целью отбросить грузинские войска за р. Бзыбь и объявить Сухумский округ (Абхазию) нейтральной территорией“. (О. Бгажба, С. Лакоба, История Абхазии с древнейших времен до наших дней, Сухум, 2006, с. 148)

ლეო შენგელაიას სიტყვით, „მთავრობამ თავიდანვე ვერ გამოიჩინა საჭირო ტაქტი და უნარი განაპირა ოლქების ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ...მთავრობას თავის განსაკუთრებული ზრუნვით უნდა შეეყვარებინა განაპირა კუთხეების მცხოვრებთათვის ჩვენი რესპუბლიკა, უნდა საქმით განემტკიცებია, ჩვენი ორიენტაცია. განაპირა ოლქებში მთავრობა სისტემატიურად აგვიანებდა სხვა და სხვა რეფორმებს, გზავნიდა უნიჭო პროპაგანდისტებს და უხეშ ადმინისტრატორებს. ...აფხაზეთის დამოუკიდებლობა აბსურდია, დამოუკიდებელი აფხაზეთი მეორე დღესვე გვერდში ამოუდგება დენიკინს. ...აფხაზეთს უნდა მიენიჭოს ფართო ავტონომია“ (ოქმები, ტ. III, გვ. 151-153).

საინტერესო იყო დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრის ვასილი ღურჯუას გამოსვლა. მან განაცხადა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება მტკიცება, თითქოს ჩვენ გამოყოფის გზას დავადექით და დამოუკიდებლობისაკენ მივილტვით. ჩვენ კარგად გვესმის, რომ აფხაზეთის ინტერესები მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან და ჩვენ ამ რესპუბლიკაში გერებად არ ვთვლით თავს, არამედ თანასწორ მოქალაქეებად, მის ღვიძლ შვილებად. ...აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული, მაგრამ ნაწილი ...საქართველოსი, მხოლოდ თავის შინაურ საქმეში იქნება დამოუკიდებელი“ (ოქმები, ტ. III, გვ. 142).

სოციალ-დემოკრატმა, იმ დროს აფხაზეთის საგანგებო კომისარმა ბენია ჩხიკვიშვილმა მიუთითა, რომ აფხაზეთში, სადაც მრავალი ეროვნება ცხოვრობს, ხალხის ფსიქოლოგია მოწამლულია ერთი-მეორეს შუღლით და უნდობლობით, ასეთ ვითარებაში საჭიროა დიდი სიფრთხილე, რომ ეს შუღლი არ გაძლიერდეს. შეუძლებლის გაკეთება არ შეგვეძლო, რაც შეგვეძლო ის გავაკეთეთ, მაგრამ ეს ცოტაა. აფხაზეთის მთელი დემოკრატია, განურჩევლად ეროვნებისა, ერთ პლატფორმაზე დგას და ესაა „ავტონომიური აფხაზეთი, მაგრამ განუყოფელი ნაწილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა“ (ოქმები, ტ. III, გვ. 146, 149).

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა აღიარა, რომ „ზოგიერთი ნაბიჯი, რომელსაც სხვა და სხვა წრეები სდგამენ, სრულიად არ შეეფერება არც ჩვენ ინტერესებს, არც კერძოდ, აფხაზეთის ინტერესებს. და, ამ შემთხვევაში, მთავრობა ყოველთვის სცდილობს, რომ გამონახოს ის საერთო ხაზი, რომელიც საჭირო არის ამ ინტერესების მოსარიგებლად“. ბოლოს კი დასძინა: „შექმნილ პირობებში მთავრობის პოლიტიკა უნდა იყოს ფხიზელი და არავითარ აჩქარებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს“ (ოქმები, ტ. III, გვ. 138, 141)

1920 წლის 14 იანვარს გაიმართა დამფუძნებელი კრების საგანგებო საზეიმო სხდომა, რომელიც ევროპის დიდ სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტოდ აღიარებას მიეძღვნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით აფხაზეთის სახალხო საბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ იმ დროისათვის სტრატეგიულ ზოგიერთ ნედლეულზე მონოპოლია გამოაცხადა, მათ შორის, ფოთოლ თამბაქოზე. გათვალისწინებული იყო მტკიცე შესასყიდი ფასების დაწესება და შესაბამისი რგოლის შექმნა, რომელიც აღნიშნულ საქმეს გაუძღვებოდა. როგორც ჩანს, მუშაობას ამ სფეროში გარკვეული ხარვეზები ახლდა. ამით იყო განპირობებული, რომ 1920 წლის 27 იანვარს ეროვნული პარტიის ლიდერმა გრიგოლ ვეშაპელმა დამფუძნებელ კრებაში ასეთი საპარლამენტო შეკითხვა შეიტანა: „თამბაქოს მონოპოლია აფხაზეთში არა ნორმალურად ხორციელდება, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს, როგორც მრეწველთა, ისე მწარმოებელთა შორის. რა ზომებს იღებს მთავრობა ამის გამო?“ შეკითხვას მთავრობის წარმომადგენელმა სამი დღის შემდეგ უპასუხა და განმარტა: თუ აღმოჩდა, რომ კანონი ირღვევა და უწესობები ხდება, მივიღებთ მკაცრ ზომებს და შედეგებს გაცნობებთო (ოქმები, ტ. V, გვ.90-93). იმავე წლის 13 თებერვალს მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ჭავჭანიძემ დამფუძნებელ კრებაში დეტალურად ისაუბრა თამბაქოს მონოპოლიის სა-

კითხზე და დაასაბუთა, რომ ადგილობრივი პლანტატორები და მეთამბაქოები კმაყოფილნი არიან მონოპოლიით და რომ პლანტატორებმა თავიანთ ყრილობაზე ეს თვალსაზრისი ერთმნიშვნელოვნად გამოხატეს. მისი სიტყვით, მონოპოლია მიუღებელი აღმოჩნდა ე. წ. სკუპჩიკების - სპეკულიანტებისათვის, რომლებიც ცდილობენ შეაფერხონ მისი ცხოვრებაში გატარება. (ოქმები, ტ. V, გვ.199-200). სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშის ანალიზი საფუძველს იძლევა ითქვას, რომ ოპოზიციონერი დეპუტატი ნაკლოვანებებს აზვიადებდა, მთავრობის წარმომადგენელი მათ სერიოზულ დარღვევად არ აღიქვამდა, ხოლო სიმართლე სადღაც შუაში იყო.[8]

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ რამდენჯერმე მიიღო დეკრეტი აფხაზეთისათვის სხვადასხვა მიზნით ფინანსების გამოყოფის თაობაზე. მათ შორის: „დეკრეტი კრედიტის გადაცემის შესახებ სოხუმის ოლქში გადამდებ ავათმყოფობასთან საბრძოლველად“ (1919 წლის ივლისი); აფხაზეთის კომისარიატისათვის ყოველთვიურად 1 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ (1920 წლის 6 აპრილი) (ოქმები, ტ. VI, გვ.177, 193) და სხვ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბიუჯეტში აფხაზეთს სერიოზული ყურადღება ჰქონდა დათმობილი. საგულისხმოა ისიც, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრის ხელფასი 10 ათასი მანეთს შეადგენდა, დამფუძნებელი კრების დეპუტატის თვიური სარგო კი 7 600 მანეთი იყო (ოქმები, ტ. VII, გვ.100).

დამფუძნებელ კრებაში აფხაზეთთან მიმართებით მომდევნო თემა რეგიონის კონსტიტუციის შემუშავებას უკავშირდება.

აფხაზეთის სახალხო საბჭომ ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც ერთხმად მიიღო მომავალი კონსტიტუციის მთავარი დებულება: „აფხაზეთი შედის დემოკრატიული საქართველოს შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. რაც შეეხება სხვა საკითხებს, მათ შესახებ განსხვავებული აზრის გამო, კომისია ორ ქვეკომისიად გაიყო და, შესაბამისად, ორი განსხვავებული პროექტი შეიმუშავა. მესამე - შემრიგებლური პროექტი აფხაზეთის კომისარიატმა შეადგინა (Ментешашвили А., 1998, с. 80-94).

საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმაც გამოყო ხუთკაციანი ჯგუფი სახალხო საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტზე სამუშაოდ. სხვადასხვა დროს თბილისში სოხუმიდან სახალხო საბჭოს რამდენიმე დელეგაცია ჩამოვიდა (სცა, ფ. 1861, საქ. 73, ფ.1-2; Маилян Б., 2009, с.39), მათ შორის იყვნენ სეპარატისტულად განწყობილი დეპუტატებიც.[9] საქართველოს ხელისუფლებამ ყველა მათგანის შეხედულება და მოსაზრება მოისმინა. შეიქმნა შეთანხმების პროექტი აფხაზეთის მმართველობის ძირითადი დებულებების შესახებ, რომელშიც რესპუბლიკასა და ავტონომიას შორის ფაქტობრივად ჩამოყალიბებული ურთიერთობანი აისახა.

1920 წლის თებერვალში სოხუმში, აფხაზეთის სახალხო საბჭოში სიტყვით გამოსვლისას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მშენებლობის ერთადერთი გზაა აფხაზეთის ავტონომიური უფლებების განმტკიცება“ (Гамахария Дж., 1997, с. 101-102).

აფხაზეთის კონსტიტუციის მიღება მაინც ჭიანურდებოდა. თბილისი არ ჩქარობდა მის დამტკიცებას, სანამ არ ამოქმედდებოდა ქვეყნის ძირითადი კანონი, რომელზეც მიმდინარეობ-

---

[8] დამფუძნებელი კრება თამბაქოს მონოპოლიის პრობლემას კიდევ ერთხელ დაუბრუნდა 1920 წლის 22 ივლისს. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ვ. თევზაიამ (ს. დ.), ალ. ასათიანი (ერ. დ.), ი. ლორთქიფანიძემ (ს. რ.), მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ჭავჭანიძემ (ოქმები, ტ. VII, გვ. 70-90).

[9] ერთ-ერთი მათგანის, მ. თურნავას სიტყვით, ავტონომიისა და კონსტიტუციის საკითხებზე საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებაში მონაწილეობით ვცდილობდით შეთანხმების ჩაშლას. „ვმოქმედებდით რა ასე, ერთდროულად ჩვენ ვეძებდით რსფსრ-სთან ურთიერთობისა და მის შემადგენლობაში შესვლის შესაძლებლობას“ (იხ. Тоидзе Л., 1996, с. 6).

და ინტენსიური მუშაობა. 1920 წლის შემოდგომისათვის სოხუმში შესაძლებელი გახდა კონ-სტიტუციის შეჯერებულ პროექტზე შეთანხმება. მისი დეტალურად განხილვისა და გარკვეუ-ლი კორექტირების შემდეგ, 16 ოქტომბერს სახალხო საბჭომ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექ-ტის საკუთარი ვერსია მიიღო. (აცსა, ფ.39, ანაწ. I, საქ.18, ფ. 260-270. დამოწმებულია წიგნიდან ჩიტაია დ., 2006). ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო აფხაზეთის მმართველობის დებულების პროექტს, რომელიც იმავე წლის 21 დეკემბერს დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ, ხოლო შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა. „დებულებაში“ ხაზგასმულია, რომ „აფხაზეთი მდინარე მეხადირიდან მდინარე ენგურამდე, შავი ზღვის სანაპიროდან კავკა-სიონამდე ითვლება საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად და ამ საზღვრებში ავ-ტონომიურად მართავს თავის შინაგან საქმეებს“.

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელმაც დააკანონა: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს - აფხაზეთს (სოხუ-მის ოლქი) ადგილობრივ საქმეებში ენიჭება ავტონომიური მმართველობა“.

15.3. საქართველოს დამფუძნებელი კრება და ბათუმის ოლქი (თამარ ორჯონიკიძე)

საქართველოს დამფუძნებელი კრების როგორც ძირითადი (1919 წ. თებერვალი), ისე ორი დამატებითი არჩევნები ისე ჩატარდა, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს სახელმწიფოს შემად-გენლობაში არ იყო. ბათუმის ოლქი მხოლოდ 1920 წლის ზაფხულში დაუბრუნდა საქართვე-ლოს. 1920 წლის 2 ივლისს ბათუმში ჩავიდნენ დამფუძნებელი კრების წევრები და ადგილობ-რივებს ახარეს ანტანტის მიერ ბათუმის ოლქის საქართველოსთვის გადაცემა. 11 ივლისს ბა-თუმში აღიმართა ქართული დროშა.

მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები ბათუმსა და მის ოლქში არ ჩატარებულა, დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გახდა ბათუმის ოლქის 3 მკვიდრი (ჰაიდარ აბაშიძე, ოსმან მიქელაძე და ყადირ შერვაშიძე). ყადირ შერვაშიძე თავდადებით იბრძოდა ბათუმის ოლქის დანარჩენ საქართველოსთან შემოერთები-სათვის. სამწუხაროდ, დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყებიდან მალევე, 1919 წლის 8 მა-ისს, სწორედ კრების ერთ-ერთ სხდომაზე დასასწრებად ბათუმიდან თბილისისაკენ მომავალი 31 წლის ყადირ შერვაშიძე, გარდაიცვალა. გარდაცვალების ოფიციალური მიზეზი ვერ დად-გინდა, ბევრ მის თანამებრძოლს მიაჩნდა, რომ შერვაშიძე მოწამლეს. დამფუძნებელი კრების სხდომაზე გაკეთებული განცხადებით, ის სახადით გარდაიცვალა[10]. ოფიციალური ცნობა გა-მოაქვეყნა მთავრობამ.

დამფუძნებელი კრება თავის სხდომებზე სისტემატიურად განიხილავდა ”განაპირა კუთ-ხეების” და მათ შორის ბათუმის ოლქის საკითხებს, იქ არსებულ ვითარებას და მათი სტატუსის

[10]„კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი უნდა მოგახსენოთ საქართველოს დამფუძნებელ კრებას. გუშინ წინ-წკლებიანი სახადით გარდაიცვალა დამფუძნებელი კრების წევრი ყადირ-ბეგ შერვაშიძე. სამუსლიმანო საქართველოს კუთხეს მოაკლდა ერთი შეგნებული, ქართველურ იდეის მატარებელი წევრი. და ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ასეთი ადამიანები ამ კუთხისთვის, რომლიდანაც ის იყო წარმოგზავნილი, მე-ტად საჭირო არიან. სამუსლიმანო საქართველო არ არის მდიდარი უმაღლეს სწავლით აღჭურვილ და ხალხოსნურ იდეით გაწვრთნილ ადამიანებით. დღეს, როდესაც ასე მწვავედ არის დასმული საკითხი, დღეს, როდესაც უნდა გადასწყდეს ბედ-იღბალი საქართველოისა, ყადირ-ბეგ შერვაშიძის დაკარგვა მე-ტად მძიმეა ჩვენთვის“ (ოქმები, ტ. I., გვ. 355).

საკითხს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. ბათუმის ოლქში არსებული ვითარება განიხილეს 1919 წელს დამფუძნებელი კრების 7 სხდომაზე, 1920 წელს კი 6 სხდომაზე.

ბათუმის ოლქისთვის, აჭარის ადგილობრივი პოლიტიკური ძალების მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროდ იქნა მიჩნეული ავტონომიური მმართველობის შემოღება. საკითხი განიხილებოდა როგორც დამფუძნებელი კრების, ისე მის მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე, შესაბამისი მუხლი (107-ე) შეტანილ იქნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში. ცალკე უნდა შემუშავებულიყო ავტონომიური მმართველობის დებულება (მუხლი 108-ე).

საბჭოთა რუსეთის საქართველოზე თავდასხმის შედეგად მოვლენები ისე წარიმართა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი ბათუმში მოუხდა გადასვლა. ბათუმში დაიბეჭდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაც.

ბათუმში, ქალაქის საბჭოს შენობაში, 1921 წლის 17 მარტს გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომაც. სხდომაზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით წასულიყო ემიგრაციაში საქართველოს ინტერესების დასაცავად, - „მთავრობას დაევალა დაეცვა საქართველოს და ქართველი ერის ინტერესები მთელი დედამიწის მთავრობებისა და ერების წინაშე“. დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის დადგენილებით მთავრობა აღიჭურვა შესაბამისი უფლებამოსილებით.

ბათუმის ოლქი დამფუძნებელი კრების მუდმივი ყურადღების საგანი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის ის ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი, გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ კი გამარჯვებულმა ანტანტამ ბათუმი საქართველოს არ დაუბრუნა, ის ინგლისელებმა დაიკავეს.

დამფუძნებელი კრების მიერ ბათუმის ოლქის პრობლემატიკის განხილვის დროს შეიძლება გამოიყოს ორი პერიოდი:

პირველი პერიოდი (1919 წ. მარტი - 1920 წ. მაისი) - ეს იყო ზრუნვა ბათუმის ოლქის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებისთვის

მეორე პერიოდი (1920 წ. ივნისიდან) - როდესაც ბათუმის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა და განიხილებოდა იქ სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხები.

დამფუძნებელი კრების საქმიანობის პირველი 3 თვის განმავლობაში (1919 წ. 12 მარტიდან 17 ივნისის ჩათვლით) ჩატარდა დამფუძნებელი კრების 27 სხდომა. აქედან 7 სხდომაზე (IV, VII, XI, XIV, XV, XXII და XXVII) ამა თუ იმ სახით იდგა ბათუმის ოლქის საკითხი. კერძოდ, განიხილებოდა:

- მთავრობის განაცხადი ბათუმის ოლქის დაბრუნების აუცილებლობასთან დაკავშირებით;
- დამფუძნებელი კრების როლი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში;
- ბათუმის ოლქის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში;
- საქართველოს მოწინააღმდეგე ძალების საქმიანობა ბათუმის ოლქში;
- ოპოზიციის მიერ მთავრობის კრიტიკა ბათუმის ოლქთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომების გამო;
- ახლო წარსულის გახსენება, - ბათუმის დროებითი დაკარგვა და ბრესტის ზავი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით მთავრობის და დამფუძნებელი კრების პოზიცია ერთსულოვანი იყო.

საქართველოს დამფუძნებელი კრების მეოთხე სხდომაზე (21.03.1919), მთავრობის დეკლარაციის განხილვას მოჰყვა სამუსლიმანო საქართველოსა და კონკრეტულად ბათუმის ოლ-

ქზე საუბარი. დამფუძნებელ კრებას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი გეგეჭ-კორმა გააცნო მთავრობის დეკლარაცია, რომელშიც ნახსენები იყო, რომ „საქართველოს მთავ-რობა მწვავეთ გრძნობს სამუსლიმანო საქართველოს დიდი ნაწილის დროებით ჩამოშორებას და სცდილობს ისტორიული უსამართლობის გამოსწორებას და მთლიანი რესპუბლიკის ფარ-გლებში მთელი სამუსლიმანო საქართველოს თავმოყრას (ოქმები, ტ. I., გვ. 72). გადადებული განხილვის დროს, ოპოზიციონერმა დეპუტატებმა მთავრობა სხვადასხვა საკითხის გამო გააკ-რიტიკეს და დაადანაშაულეს კონკრეტულად ბათუმის ოლქთან დაკავშირებით გადადგმულ არასწორ ნაბიჯებში - „მთავრობას საქართველოს განაპირა კუთხეებში შეცდომა შეცდომაზე მოსდის. სოხუმის ოლქი, ბათომისა და ზაქათალის ოლქები იგივე ბორჩალო, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები ყველა ეს კუთხეები ერთი ცოცხალი სურათია ჩვენი მთავრობის შემცდარი პოლიტიკისა“ - სპირიდონ კედია (ერ. დ.) (ოქმები. ტ. I., გვ. 85).

დამფუძნებელი კრების მე-7 სხდომაზე (04.04.1919) შინაგან საქმეთა მინისტრმა, ნოე რა-მიშვილმა კი კატეგორიულად განაცხადა - „ჩვენი რესპუბლიკა იარსებებს მხოლოდ იმ შემ-თხვევაში, თუ მას მჭიდროდ დაუკავშირდება სამუსლიმანო საქართველო“ (ოქმები, ტ. I, გვ. 179). ნოე რამიშვილის განცხადების მიხედვით, მთავრობა მუშაობდა პროექტზე, რომლის მი-ხედვითაც ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებდა დახმარებას როგორც სათესით, ასევე სურსა-თითაც. მინისტრი ასევე აღნიშნავდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც დაზარალდა მუ-სულმანთა სამლოცველოები, მთავრობა მათ დაეხმარებოდა, რათა მოსახელობას შესძლებოდა „სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“.

საქართველოს ხელისუფლებაში უდავო იყო ისიც, რომ „სამუსლიმანო საქართველოს“ ავ-ტონომია უნდა მინიჭებოდა. დამფუძნებელი კრების ამავე სხდომაზე (04.04.1919) შინაგან საქ-მეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ „სამუსლიმანო საქართველო მართლაც მოეწყო-ბა ავტონომიურად“ (ოქმები, ტ. I, გვ. 178-179).

საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას მხარს უჭერდა ბათუმის ოლქის მოსახლე-ობაც. მე-7 სხდომაზე (04.04.1919) სიტყვით გამოვიდა ოსმან-შავყი-ეფენდი-მიქელაძე (ს/დ), რომელმაც აღნიშნა, რომ მუსლიმი ქართველები, მათ შორის აჭარის მოსახლეობა მხარს უჭერს დანარჩენ საქართველოსთან გაერთიანებას და წინააღმდეგნი არიან იმ ძალებისა, რომელთაც სამუსლიმანო საქართველოს ჩამოშორება სურთ - მთელ ხალხს სურს, რომელ საქართველოს-თან ერთად ხელი ხელს ჩაკიდებული იაროს, და მომავალში არ მოსწყდეს თავის სამშობლოს“ (ოქმები, ტ. I., გვ. 178).

დამფუძნებელ კრებაში მკვეთრი კრიტიკის საგანი იყო ინგლისელთა პოლიტიკა, რო-მელთაც ოკუპირებული ჰქონდათ ბათუმის ოლქი და საქართველოს არ უბრუნებდნენ. ინგლი-სელთა საქმიანობით უკმაყოფილებო იყო სიმონ მდივანი (ს. ფ.), რომელიც აღნიშნავს, რომ ინ-გლისელთა საქმიანობა ბათუმში მიმართულია ამ ოლქის საქართველოსაგან ჩამოცილებისაკენ; იქმნება ე. წ. ადგილობრივი მთავრობა, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს მოსახლეობასთან (ოქმები, ტ. I., გვ.401) ასევე ის აღნიშნავს, რომ ბათუმისა და ბაქოს გაზეთებში იწერება ანტი-ქართული მასალები, თითქოს ინგლისელები კრიტიკულად უყურებდნენ საქართველოს მთავ-რობის მეთაურს და მას „დღეს თუ ხვალ ჩამოაგდებენ“ (ოქმები, ტ.1, გვ.403). მდივანი ასევე გან-საკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინგლისელთა მუქარაზე ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, რომელიც დაიბეჭდა ბათუმის გაზეთის ოფიციალურ განყოფილებაში და გააკრეს ბა-

თუმის, ბაქოსა და ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონებში.[11] აღნიშნულ პროკლამაციებს დამფუძნებელი კრების წევრი აფასებს, როგორც ინგლისელთა მცდელობას, ჩაერიონ საქართველოს შიდა პოლიტიკაში, რასაც დაუშვებლად მიიჩნევს და მთავრობას მოუწოდებს წინააღმდეგობისაკენ - „ნაკლები მერყეობა, მეტი სისასტიკე თავისუფლების დაცვაში“ (ოქმები, ტ. I., გვ. 408).

იმავე თემას აგრძელებს დამფუძნებელი კრების კიდევ ერთი წევრი, ივანე გობეჩია, რომელიც სიმონ მდივნის მსგავსად, ინგლისელთა მუქარას ბათუმის მცხოვრებლების მიმართ აფასებს, როგორც საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას და მიუთითებს ინგლისელთა მხრიდან პირობის დარღვევის შესახებ - არ ჩაერიონ რესპუბლიკის შინაურ საქმეებში (ოქმები, ტ. I., გვ.423).

ინგლისელთა ხელში მყოფ ბათუმის ოლქში კი თავისუფლად მოქმედებდნენ საქართველოს მოწინააღმდეგე ძალები, რაც არაერთხელ გახდა დამფუძნებელი კრების განხილვის საგანი.

თავიდან აქტიურობდნენ მუსლიმური ძალები, რომლებიც ე. წ. „ყარსის რესპუბლიკის“ შექმნას და სამუსლიმანო საქართველოს მასში მოქცევას ცდილობდნენ. დამფუძნებელი კრება ამ საკითხს განიხილავდა მეშვიდე სხდომაზე (04.04.1919). ახალციხეში, მუსლიმთა აჯანყების განხილვისას მომხსენებელმა, გ. ანჯაფარიძემ (ს. დ.) აღნიშნა პროთურქული პროპაგანდა სამუსლიმანო საქართველოში და მათ შორის ბათუმის მხარეში. მისი თქმით, „მსოფლიო ომის დასაწყისში, როდესაც პანისლამიზმის აგიტაციას განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო, ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელნი მუშაობდნენ ბათომისა და ყარსის ოლქში; ეს მოღვაწეები ვითომცდა საქველმოქმედო მიზნებს ისახავდნენ, მაგრამ სინამდვილეში კი განავითარებდნენ პან-თურქისტულ აგიტაციას“ - (ოქმები, ტ.I., გვ.162) ამ პროპაგანდის მიხედვით ყარსის, არდაგანისა და ბათუმის მხარეებისგან უნდა შემდგარიყო მუსლიმური სახელმწიფო, რომელიც ბათუმით დაუკავშირდებოდა გარესამყაროს (ოქმები, ტ. I., გვ. 163). მისივე თქმით, სერვერ-ბეი, რომელიც იმყოფებოდა ბათუმში, ამზადებდა აჯანყებას ახალციხის მაზრაში ზემოთაღნიშნული მიზნის მისაღწევად (ოქმები, ტ.I., გვ. 167).

მეთერთმეტე სხდომაზე (17.04.1919) რ. არსენიძე (ს/დ) შეეხო ბათუმის დაკარგვის ფაქტს 1918 წლის გაზაფხულზე (ოქმები, ტ. I, გვ. 283-284).

მეთოთხმეტე სხდომაზე (ევგენი გეგეჭკორი (საგარეო საქმეთა მინისტრი) აღნიშნავდა ბრძოლას ბათუმისათვის 1918 წლის გაზაფხულზე და უსაფუძვლოდ მიიჩნევდა ბრალდებას ქართველთა ღალატის შესახებ ოსმალთა მხარეზე გადასვლასთან დაკავშირებით - „ბათუმის დაცვა, აი ის ძმათა სასაფლაო, რომელიც აგებულია ანარიაზე, ანდა ჩოლოქის ბრწყინვალე გამარჯვება, ოზურგეთში ათასობით ჩვენი ლტოლვილები, რომლებიც გამოიქცნენ ბათუმიდან და დღესაც არ არიან დაბრუნებულნი. განა ეს არ მოწმობს იმას, რომ საქართველო, ქართველი ხალხი არასდროს მოღალატე არ ყოფილა და არც იქნება“ (ოქმები, ტ. I, გვ. 392-393)?

საქართველოს დამფუძნებელი კრების მეთხუთმეტე, საგანგებო სხდომაზე საქართველოს საგარეო მდგომარეობის განხილვის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის განცხადება გაჟღერდა, რომლის მიხედვითაც „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკა, რომლის განუყოფელი ნაწილიცაა სამუსლიმანო საქართველო, სურს და შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა და რომ მხოლოდ ამ პრინციპის ცნობით შეიძლება საქართველოს დემოკრატიის მეგობრუ-

[11]„ვინც მოკავშირეთა წინააღმდეგ რაიმეს მოიმოქმედებს ან დააპირებს, ან მტერს რაიმე საშუალებით დაეხმარება მიეცემა სამხედრო სასამართლოს, ან სიკვდილით და ან შესაფერ სასჯელით, დაისჯება“ - (ოქმები, ტ. I., გვ.406-407).

ლი განწყობილების მოპოვება“ (ოქმები, ტ. I., გვ. 427). კენჭისყრის შედეგად დამფუძნებელმა კრებამ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ფორმულა მიიღო.

საყურადღებოა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება საქართველოს დამფუძნებელი კრების ოცდამეორე სხდომაზე (01.06.1919). გეგეჭკორი საუბრობს დენიკინთან წარმოებულ ბრძოლებზე სხვადასხვა ფრონტზე (მთიელთა რესპუბლიკა; აზერბაიჯანი, სოჭი). განცხადების მიხედვით, აღნიშნული ბრძოლების პარალელურად ბათუმში დაგეგმილია გენერალ-გუბერნატორის პოსტზე რომანოვსკის დანიშვნა, რომლის განკარგულებაშიც იქნება მცირე მოხალისეთა რაზმი. საქართველოს მთავრობის მიერ აღნიშნული ფაქტი ფასდება, როგორც სხვადასხვა მხრიდან, მათ შორის ბათუმის საშუალებით საქართველოს რესპუბლიკის დაპყრობის მცდელობა - „დენიკინი და რუსეთის რეაქცია ამიერ-კავკასიას და ჩვენ რესპუბლიკას რგოლივით გარს ერტყმის და მას დედამიწის ზურგიდან ალაგმვას უქადის“ (ოქმები, ტ. I., გვ. 50).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დამფუძნებელი კრების ოცდამეშვიდე სხდომა (17.06.1919), რომლის უდიდესი ნაწილი დაეთმო სწორედ ბათუმის ოლქს. სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის წარმომადგენელმა, სიმონ მდივანმა, ბათუმის ოლქთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოსთვის შეუძლებელია ბათუმის ოლქის დათმობა: „საქართველოს არ შეუძლიან დასთმოს ბათომის ოლქი და ქალაქი ბათომი, ვინაიდან ეს არის ნაწილი საქართველოს მთლიან ტერიტორიისა, ეს არის ცენტრი სამაჰმადიანო საქართველოსი, ეს არის ის ძველი აკვანი, სადაც მძლავრი იყო საქართველოს კულტურა. ვინაიდან ჩვენ სხეულს ჩამოშორებული აქვს ეს ნაწილი, ჩვენი სხეული დაავადებული, დასუსტებული არის, და სანამ ის არ შემოუერთდება საქართველოს, ჩვენ ჯანმრთელობაზე ლაპარაკს ვერ დავიწყებთ“ (ოქმები, ტ. I., გვ. 150)

მან ინგლისელთა სამხედრო წარმომადგენლობა დაადანაშაულა ბათუმში წარმოებულ საქართველოსთვის მიუღებელ ეკონომიკურ საქმიანობაში, რის გამოც ზარალდებოდა დანარჩენი საქართველოს მოსახლეობა. დეპუტატის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა დემოკრატიებმა ხელი მოაწერეს და აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა, „მათი სამხედრო წარმომადგენლობა გვაყენებს წარმოუდგენელ პირობებში“ - ინგლისელთა ხელშეწყობით ბათუმში არსებული სამომხმარებლო საქონელი თბილისის გავლით გადის სხვადასხვა ადგილას, მაშინ როდესაც თვითონ თბილისის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ აქვს საშუალება შეიძინოს აღნიშნული საქონელი - „...და ამას, ვბედავ თამამად ვსთქვა, მფარველობას უწევს მოკავშირეთა სარდლობა“ (ოქმები, ტ. II., გვ. 151). დეპუტატი ინგლისელთა მხრიდან ვალუტით „სპეკულაციაზე“ საუბრობს - „ოქროს ფასი ხელოვნურად ეცემა“. ყოველივე აღნიშნულს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯებად აფასებს - „სანამ ჩვენ არ მოგვეპყრობიან ისე, როგორც ხალხს, რომელმაც მთელი ომის განმავლობაში თავისი ნეიტრალობა დაიცვა, თავისი ლოიალობა გამოამჟღავნა, რომელსაც არასდროს უღალატნია არც წარსულში, არც მომავალში უღალატებს ვისმე, იქამდე ვიმეორებ შეუძლებელია, რომ ჩვენს შორის სასურველი განწყობილება დამყარდეს. მათი სიტყვა სხვაა, საქმე სხვა (ოქმები, ტ. II., გვ. 152).

ზემოთაღნიშნულის გარდა, სიმონ მდივანი ინგლისელთა წარმომადგენლობას ადანაშაულებს, ბათუმში რუსეთიდან გამოქცეული ხალხის მხარდაჭერაში - „მთელი ეს დაბნეული და გამოქცეული ხალხი არა თავს აფარებს, არამედ ამ კუნძულზე ჰფიქრობს შექმნას დიდი რუსეთის სახელმწიფო“ (ოქმები, ტ. II., გვ. 153). ინგლისელთა სხვადასხვა მოქმედება ბათუმის ოლქში კი ხელს უწყობს შეიქმნას მდგომარეობა - „თითქოს აქ რუსეთი არსებობს“. სიმონ მდივანი ყარსსა და ბათუმში შექმნილ მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას, ადარებს მათ ერთმანეთს და ამბობს, რომ ინგლისელებმა მათ მიერვე დაარსებული სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის მთავრობის გაუქმებისას, ყარსის ოლქი გადასცეს სომხებს, ხოლო ბათუმის ოლქს რაც შეეხება, ისინი „არ აპირებენ გადმოგვცენ, როგორც კანონიერ მემკვიდრეს ამ ოლქისას, რომე-

ლიც ძალად წაგვგლიჯეს“ (ოქმები, ტ. II., გვ. 153). მდივანი აქვე კვლავ საუბრობს ბათუმის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის შესახებ და „მიუხედავად ამისა, არამცთუ გვიბრუნებენ, არამედ ჰქმნიან ასეთ პირობებს, რომ იგი გახდა ბუდე ბოლშევიკების მიერ დევნილ უსაქმო ადამიანებისა და კონტრ-რევოლუციონერებისა“ (ოქმები, ტ.II., გვ. 153). ამავე თემის გაგრძელებაა მდივანის განცხადება „ვიღაც ნათიშვილი-ნათიევის“ შესახებ, რომელმაც „მთელი რუსეთიდან მოკრეფილ ხალხისაგან მან შეჰქმნა კორპუსი და ამ კორპუსს სახელად უწოდა ამიერ-კავკასიის მკვიდრთა კორპუსი“ (ოქმები, ტ.II., ტ.2. გვ.154). ამ ფაქტით შეშფოთებული მდივანი დენიკინთან აღნიშნული კორპუსის შესაძლო კავშირზე საუბრობს, რაც საქართველოსთვის კარგის მომტანი ვერ იქნება.

დეპუტატი ბრესტის ზავზეც ამახვილებს ყურადღებას. ინგლისელებს, რომლებიც თავს ოსმალთა მემკვიდრეებად აცხადებენ, მიმართავს, „თუ მათ არ შეუძლიათ ბათომის ოლქის მართვა-გამგეობა, ეს გამგეობა ჩვენ უნდა ავიღოთ ხელში“ (ოქმები, ტ.II., გვ. 155). ბათუმში მუშათა განწყობებზე საუბრისას მდივანი აცხადებს, რომ ბათუმში ფრონტის ხაზი უნდა გაერთიანდეს - „ფრონტი საქართველოს დემოკრატიისა“. დეპუტატი ასევე საუბრობს ბათუმიდან თბილისში ჩამოსულ ადამიანებზე, რომელთა უდიდეს ნაწილს ის განიხილავს, როგორც აგენტებს (ოქმები, ტ.II., გვ. 156).

საინტერესოა ასევე, რომ სიმონ მდივანი ყურადღებას ამახვილებს ბათუმის ეკონომიკურ და კულტურულ მნიშვნელობაზე, ასევე მის როლზე ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას - „სანამ ბათომი ჩვენს ხელთ არ იქნება, ტყუილად თავს ნუ მოვიტყუებთ, რომ ზღვის პირას ვართ. ბათომი არის ერთად-ერთი ისეთი ნავსადგური, საიდანაც შეიძლება მართლა ზღვით სარგებლობა. ბათომი არის ისეთი მხარე, ისეთი კარი, საიდანაც შეგვიძლიან ყოველივე ეკონომიური და კულტურული დამოკიდებულება ვიქონიოთ დასავლეთ ევროპასთან. სანამ ეს ნაწილია ჩვენგან დაშორებულია, ჩვენ რაც უნდა ბევრი კარგი განწყობილება შევქმნათ, მაგალითად იტალიელებსა და საფრანგეთთან, თუ ჩვენს განკარგულებაში არ იქნება ბათომი, ვერავის ვერაფრით დაგვაკმაყოფილებს (ოქმები, ტ.II., გვ.156).

სიმონ მდივანმა საკუთარი ფრაქციის სახელით მთავრობისაგან მოითხოვა ბათუმთან დაკავშირებული შემდეგი საკითხების შესახებ პასუხების მოსმენა (ოქმები, ტ.II., გვ. 157):

- საზღვრების დაცვა
- ბათუმი არ უნდა გადაიქცეს ბაზად მტრისათვის
- სამაჰმადიანო საქართველოს საკითხი

სიტყვას სიმონ მდივანი ასრულებს შემდეგი ფრაზით: “ის მთავრობა, რომელიც არ მიიღებს ყოველივე ზომებს, ის მთავრობა თავის ადგილზე ვერ დარჩება. ის დამფუძნებელი კრება, რომელიც დაჰკარგავს ბათომს, არ იქნება დამფუძნებელი კრება, ის იქნება ისტორიის წინაშე დამნაშავე და ის დამფუძნებელი კრება ძალით და მათხარით გასარეკი იქნება“ (ოქმები, ტ. II., გვ. 157).

სიმონ მდივანის შემდეგ აღნიშნულ სხდომაზე სიტყვით ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი, გიორგი გვაზავა გამოვიდა, რომელმაც მას შემდეგ, რაც ბათუმის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის შესახებ ისაუბრა, ყურადღება ასევე გაამახვილა მთავრობის შეცდომებზე ბათუმის ოლქთან დაკავშირებით, კონკრეტულად კი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მუშაობის ხარვეზებზე ქვეყნის საზღვრებს გარეთ. გიორგი გვაზავას შენიშვნით, ბათუმის ოლქი საქართველოს ბრესტის ზავით ჩამოაცილეს. ანტანტის ქვეყნები ამ ზავის პირობებს არ სცნობდნენ, ამიტომ გაუგებარი იყო თუ რატომ არ უბრუნებდნენ ინგლისელები ბათუმის ოლქს საქართველოს (ოქმები, ტ.II., გვ. 159).

ამავე სხდომაზე კონკრეტულ ფაქტს ასახელებდა კვლავ გ. გვაზავა, რომლის თქმითაც, პარიზში ჩასული საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლები არ უნდა წასულიყვნენ სოციალისტურ შეკრებებზე. ბათუმი საქართველოსთვის ანტანტას უნდა დაებრუნებინა, საქართველოს მთავრობა კი თავისი სოციალისტური პოლიტიკით მათ აღიზიანებდა. გვაზავას თქმით, მაშინ, როდესაც ანტანტის სახელმწიფოები (საფრანგეთი, ინგლისი...) არ აღიარებდნენ ბრესტის ზავს, ამავე დროს ინგლისი სწორედ აღნიშნული ზავის პირობებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მოქმედებდა ბათუმში, რაც დეპუტატის შეფასებით, რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან უყურადღებოდ იქნა დარჩენილი და სწორედ მთავრობის არასწორი საგარეო პოლიტიკის შედეგი იყო. დეპუტატი საქართველოს მთავრობას ადანაშაულებს „მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასვლაში“, რასაც მათი პარიზის კონფერენციაზე არ გამოცხადებით ასაბუთებს - „თქვენ გზავნით დელეგაციას იმიტომ, რომ გამოითხოვოს ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა, მაშასადამე ამ საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ამ ცენტრში, პარიზში. აქ უნდა მოვთხოვოთ ცნობა ჩვენი უფლებისა, ჩვენ იმისთვის ვგზავნით წარმომადგენლებს და იმავე დროს ზოგიერთი მათგანი მიდიან იქიდან ბერნისა და ამსტერდამის კონფერენციაზე.. .თუ პარიზში არის მოქცეული საქართველოს ინტერესები, როგორ შეიძლება იმავე დროს გადავდივართ მოწინააღმდეგეთა ბანაკში და იქიდან რევოლუციით ვემუქრებით იმ სახელმწიფოებს, რომელთა ხელშია გადაწყვეტა ჩვენი ბედისა?“ (ოქმები, ტ. II., გვ. 157-160).

სიმონ მდივანსა და გიორგი გვაზავას იმავე სხდომაზე უპასუხა ევგენი გეგეჭკორმა - ის უარყოფს მის წინ გამომსვლელთა ბრალდებებს და აღნიშნავს, რომ „არავითარი საბუთი გამოსვლას არ აქვს, გარდა, რასაკვირველია, ერთი საბუთისა: ეს გახლავთ პროცესი გამოსვლისა, პროცესი ლაპარაკისა“ (ოქმები, ტ. II., გვ.160). ის მთავრობის მიერ ინგლისელთა მისიისადმი გაგზავნილ 2 ნოტაზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც მისივე თქმით აღნიშნულია, რომ „ბათომის მხარე-ეს განუყრელი ნაწილია საქართველოისა. საქართველოს მთავრობას ვერ წარმოუდგენია საქართველო უბათომოდ და ბათომი უსაქართველოდ. საქართველოს მთავრობამ აღნიშნა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის შემდეგ მას მოუხდა შებრძოლება ოსმალეთთან ბათომის ნიადაგზე, რომ მან შეძლებისდაგვარად დაიცვა ეს მხარე და მაშინ კიდევ, როდესაც გერმანიის კოალიცია თავის გამარჯვების უმრავლეს ზენიტად იდგა, - საქართველო არ შეუშინდა იმ უსამართლობას, რომელსაც აპირებდნენ მისთვის თავზედ მოეხვიათ. ის შეებრძოლა სათათრეთის და გერმანიის კოალიციას და პირველი სამართლიანი ნაბიჯი, რომელიც ამ მხრივ უნდა გადადგან მოკავშირეებმა, - ეს უნდა იყვეს აღდგენა საქართველოს საზღვრებისა (ოქმები, ტ. II., გვ.161).

საინტერესოა ასევე, რომ ამავე სხდომაზე სიტყვით გამომსვლელთა დაპირისპირება ბათუმის საკითხზე, გადაიზარდა პარტიულ ინტერესთა კონფლიქტში. გეგეჭკორი საკუთარ სიტყვაში, სადაც ის ცდილობს, გააქარწყლოს მთავრობის მიმართ გვაზავასა და მდივანის მიერ გამოთქმული ბრალდებები, აღნიშნავს: „მოქალაქე გვაზავას...თითქოს მთელი ის გარემოება, რომ დღესდღეობით ბათომის საკითხი და საერთოთ საკითხი ჩვენი დამოუკიდებლობისა არ არის გადაჭრილი, - ეს მხოლოდ მას იმით აუხსნია, რომ საქართველოს მეთაურად გამოდიან სოციალისტები და კერძოთ სოციალ-დემოკრატები. მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში მოქალაქე გვაზავას ალაპარაკებს არა საერთო ინტერესი, არა ჩვენი სახელმწიფოს ბედ-იღბალი...არამედ პარტიული ინტერესი“ (ოქმები, ტ. II., გვ. 162).

გეგეჭკორმა უპასუხა ბრალდებას კონფერენციებში მონაწილეობასთან დაკავშირებითაც. საქართველოს წარმომადგენელთა დასწრება ამსტერდამის კონფერენციაზე არათუ ხელისშემშლელად შეაფასა პარიზის კონფერენციაში მონაწილეობისას, არამედ პირიქით, მინისტრი იმ სარგებელზე ამახვილებს ყურადღებას საკუთარ გამოსვლაში, რაც მიიღო საქართველომ საერ-

თაშორისო კონფერენციაზე (ამსტერდამში) მისი წარმომადგენლის დასწრებით. მათ შორის მომხსენებელმა ისაუბრა სხვადასხვა ქვეყანათა კეთილგანწყობის მოპოვებასა თუ საქართველოს დემოკრატიის დაკავშირების მნიშვნელობაზე სხვა ქვეყნების დემოკრატიებთან - „ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ბათომი და ბათომის ოლქი ჩაბარდეს იმათ, ვისაც ჩამოაგლიჯა ეს კუთხე ოსმალეთმა...ეხლა მოქალაქე გვაზავა გვეკითხება, კონფერენციაზე რა გააკეთეთო, როგორია ჩვენი პოზიციაო? მე ვამბობ, ჩვენი პოზიცია კონფერენციაზე ასეთი არის, - მართალია ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონია საშუალება წარვდგენილიყავით კონფერენციაზე და მათთვის გამოგვეცხადებინა. ალბად ეს აიხსნება იმითვე, რითაც მოქალაქე გვაზავა ხსნიდა ერთ დროს, გახსოვთ თქვენ, დამფუძნებელი კრების წევრნო, იმ გარემოებას, რომ ჩვენი დელეგაცია სტამბოლში დარჩა და იქიდან ვერ გაემგზავრა იმიტომ, რომ დელეგაციის მეთაურები, სოციალისტები იყვნენო...მე არ ვიცი შერცხვა თუ არა მოქალაქე გვაზავას, ხოლო პირადად მე იმის მაგივრად შემრცხვა, როდესაც პირველ რიგში, პარიზში გაემგზავრნენ ამ დელეგაციის მეთაურები - ჩხეიძე და კაკი წერეთელი“ (ოქმები, ტ. II., გვ.162). „პარიზში გაგზავნილ დელეგაციის ერთი წევრი, კაკი წერეთელი ამსტერდამის საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო...კაკი წერეთელმა და ჩვენმა დელეგაციამ ამ მხრივ მხოლოდ თავიანთი წმინდა მოვალეობა შეასრულეს და სხვანაირი მოქმედება ამ დელეგაციას არ შეეძლო...დემოკრატიული პოლიტიკა სწორედ იმაში სწარმოებს, რომ ჩვენ უნდა გავაბათ მჭიდრო კავშირი ჩვენ დემოკრატიას და საერთაშორისო დემოკრატიას შორის“ (ოქმები, ტ. II., გვ.164-165).

გეგეჭკორი ასევე უბრუნდება მის ერთ-ერთ წინა გამოსვლაში ნახსენებ გენერალ რომანოვსკის. მინისტრის განცხადებით, მთავრობას აქვს ცნობები მისი ბათუმის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნის შესახებ, რასაც ქვეყნის ხელმძღვანელობა საფრთხის შემცველად მიიჩნევს. ამავე გამოსვლაში მკაფიოდ იკითხება ქვეყნის მთავრობის პოზიცია ბათუმში ინგლისელთა მმართველობის მიმართაც - როგორც ჩანს, არამხოლოდ დამფუძნებელი კრების ოპოზიციონერი დეპუტატები იყვნენ უკმაყოფილონი ინგლისელთა მუშაობით, არამედ გარკვეული პრეტენზიები მათ მიმართ მთავრობაშიც არსებობდა - „...ჩვენ წინააღმდეგ მზადდება ახალი ფრონტი, და მთავრობა მიიღებს შესაბამის ზომებს...მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრმა გაგზავნა ნოტა ადგილობრივ სარდლობის სახელზე, რომ თუ რომანოვსკი დაინიშნა გენერალ-გუბერნატორად, და საზოგადოდ გაგრძელდა ის პოლიტიკა, რომელსაც დღემდე ინგლისის სარდლობა აწარმოებდა ბათუმში და ბათუმის ოლქში, ეს იქნება მტრული განწყობილება საქართველოსადმი“ (ოქმები, ტ. II, გვ. 163). მომხსენებელი აქვე ინგლისელთა მიერ საგარეო საქმეთა მინისტრისათვის გამოგზავნილ პასუხსაც კითხულობს, სადაც აღნიშნულია - „მე რასაკვირველია, არ ვიცი თუ რა წყაროებიდან გაქვთ ცნობები გენერალ რომანოვსკი-რომანკოს ბათომის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნის შესახებ, მაგრამ მე გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, რომ ცხადია, შეცდომა მოხდა ზემოხსენებულის გენერალის გენერალ დენიკინის წარმომადგენლად დანიშვნის გამო ნოვოროსიასთან დამოკიდებულებისათვის. გენერალი კუკ-კოლისი რჩება სამხედრო გუბერნატორად ბათომისა და მთელს ოლქისა და ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ არავის აქვს ნება ჩაერიოს იქაურ საქმეში ან და ბათომი ბაზად გამოიყენოს გარდა ბრიტანეთის ლაშქარისა“ (ოქმები, ტ. II, გვ. 163). გეგეჭკორის განცხადებით, „ასეთი პასუხით საქართველოს მთავრობა ვერ დაკმაყოფილდებოდა...მე დავალება მაქვს განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ საქართველოს მთავრობა ყოველნაირ ზომებს მიიღებს, რომ არ მოხდეს ის უსამართლობა, რომელიც მზადდება ბათომის ოლქში და ბათომში. საქართველოს მთავრობას ძალიან კარგად აქვს წარმოდგენილი, რომ ის არ იქნება არც თქვენი და არც ხალხის ნდობის ღირსი, თუ კი მართლაც ის მთელ თავის ენერგიას, მთელ თავის შრომას, მთელ თავის უნარს არ მოახმარებს იმ მიზნის მისაღწევად, რომლითაც საქართველოზე ჩამონაგლეჯი მხარე საქარ-

თველოსვე უკან დაუბრუნდეს და რესპუბლიკის ფარგლებში შემოვიდეს. ეს შეადგენს უმთავრეს ღერძს მთავრობის პოლიტიკისას და ამ ხაზიდან მთავრობა იმ დრომდე, სანამ სარგებლობს თქვენის ნდობით, არ გადავა“ (ოქმები, ტ. II, გვ.164). გეგეჭკორისვე განცხადებით მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მზადაა, მიიღოს ყველანაირი ზომა ყოველგვარი საფრთხისაგან თავის დასაცავად, მას მაინც აქვს იმედი - „ინგლისი, ინგლისის სარდლობა დარწმუნდება იმაში, რომ ეს ოლქი, როგორც ისტორიულად, ისე ეთნოგრაფიულად და ეკონომიკურად არის განუყრელი ნაწილი საქართველოსი და მიიღებს ზომებს, რომ ეს ნაწილი უკანვე დაგვიბრუნდეს... არავითარი აგრესიული ნაბიჯი ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ შეგნებულად, არ გადაგვიდგამს, და ამ ნიადაგზე ვდგავართ დღესაც. მაგრამ მე ვაცხადებ თქვენ წინაშე, თუ დენიკინი ან სხვა ვინმე ამ ოლქს თავის ბაზად გახდის, თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ვალდებული იქნება, ამ შემთხვევაში, იმ ახლად შექმნილ მდგომარეობას და კონიუქტურას შესაფერისი ანგარიში გაუწიოს და შესაბამისი დასკვნა გააკეთოს“ (ოქმები, ტ. II, გვ. 164).

ამავე სხდომაზე ბათუმის საკითხს გამოეხმაურა კიდევ ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი ივანე გობეჩია. მან საზღვრების დაცვის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და ინგლისელები დენიკინის ხელშეწყობაში დაადანაშაულა - „ბათუმი შესაძლებელია ყოველთვის გახდეს დენიკინის ჯარისათვის ბაზად, რადგანაც ინგლისის სარდლობა ამიერკავკასიაში მას უწევს აშკარა დახმარებას...ასე, რომ მთავრობას უკვე უნდა ჰქონდეს მიღებული ყოველი ზომა, ბათუმის მხრიდან, მტრის შემოტევის ასაცდენად და მტრის დასამარცხებლად, თუ ეს შემოტევა მოხდა“ (ოქმები, ტ. II, გვ.177).

ამავე სხდომაზე სიტყვით გამოვიდა იოსებ მაჭავარიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ ბათუმის დაკარგვისათვის დამნაშავეები უნდა დაისაჯონ – „ბათომის დაკარგვისათვის ბევრს უნდა ეგო პასუხი აქამდის და ბევრია გასარეკი. დამნაშავეს სასტიკი პასუხი უნდა ეგო და დამნაშავენი, რომ ვართ ბათომის დაკარგვაში, ეს ცხადათ სჩანს თვით ჩხენკელის მოხსენებიდან, რომელიც მან წარუდგინა ეროვნულ საბჭოს ტრაპიზონიდან დაბრუნებისთანავე“ (ოქმები ტ. II, გვ. 179). აქ მომხსენებელს სწორედ ჩხენკელის სიტყვები მოჰყავს და ბოლოს საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართავს შეკითხვით, თუ რატომ არ დაისაჯა დამნაშავე იმ პირობებში, როდესაც სწორედ ზემოთნახსენებ მოხსენებაში ჩხენკელი ბათუმის დაკარგვაზე საუბრობს - „ჩვენ რომ დამოუკიდებლობა დროზე გამოგვეცხადებინა ჭკუით რომ ვყოფილიყავით, იმდენი რომ გვემუშავა საქართველოსთვის, რამდენიც სომხებისათვის, ბათომს არ დავკარგავდითო“...“ვიღაცამ, ბ-ნო საგარეო საქმეთა მინისტრო, უნდა აგოს პასუხი ამ დაკარგვისათვის ერის წინაშე“? - მიმართავს მომხსენებელი საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორს (ოქმები. ტ. II. გვ. 179).

მაჭავარიანი საკუთარ სიტყვას ასრულებს ერთიანობის მნიშვნელობაზე საუბრით, განსაკუთრებით საერთო მტრის წინააღმდეგ - „საქართველო ვერ დაუთმობს ვერავის თავის სამაჰმადიანო ნაწილს. ბათომში, სოჭის და სხვა ფრონტებზე ჩვენ უნდა აღვკვეთოთ მტერთა ბოროტი განზრახვანი და შევაჩეროთ მათი მოქმედება“ (ოქმები, ტ. II. გვ. 181).

აღსანიშნავია, რომ ოცდამეშვიდე სხდომა კამათის ფონზე მიმდინარეობდა. დამფუძნებელი კრების დეპუტატები ერთმანეთს სხვადასხვა საკითხზე უპირისპირდებოდნენ და შესაძლებელია ითქვას, რომ ბათუმის საკითხი ამ კინკლაობით და ურთიერთბრალდებებით გარკვეულწილად გადაიფარა. თუმცა ამის მიუხედავად, დამფუძნებელმა კრებამ სხდომის ბოლოს ბათუმთან დაკავშირებული რეზოლუცია მიიღო.

27-ე სხდომის ბოლოს დამფუძნებელმა კრებამ სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალ-დემოკრატთა ფრაქციების რეზოლუციები მოისმინა. კენჭის ყრის შედეგებით უარყოფილი იქნა სოციალისტ-ფედერალისტთა რეზოლუცია (იმ პასუხების მოსმენის შემდგომ შემუშავებუ-

ლი, რომელიც სიმონ მდივანმა სხდომის განმავლობაში დააყენა მთავრობის წინაშე და გეგეჭ-კორისგან პასუხები მოითხოვა დასმულ საკითხებზე).

დამფუძნებელი კრების 27-ე სხდომამ მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ფორმულას - „მოისმინა რა მთავრობის განმარტება სოციალისტ-ფედერალისტთა შეკითხვის გამო, დამფუძნებელი კრება სავსებით იზიარებს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სამუსლიმანო საქართველოს ჩვენს რესპუბლიკასთან შეერთებისაკენ და სრულიად დარწმუნებული, რომ იგი ყოველ ღონისძიებას მიიღებს, რათა ბათომი არ გადაიქცეს დენიკინის ჯარების ბაზათ, საქართველოს წინააღმდეგ სამოქმედოთ“ (ოქმები, ტ. II. გვ.188).

თავი XVI. რეფორმები მთავრობაში (მალხაზ მაცაბერიძე)

16.1. სახელმწიფო და მმართველი პარტია

დამფუძნებელ კრებაში სახელისუფლო ფრაქციას და ოპოზიციას შორის დისკუსიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ეხებოდა მმართველი პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხს. გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი: ა/ სოციალ-დემოკრატების მიერ სახელმწიფო მითვისება და ქვეყნის მართვა პარტიული ინტერესების შესაბამისად; ბ/ დამფუძნებელ კრებაში დომინირებული სოციალ-დემოკრატია მთავრობას კი არ აკონტროლებს, არამედ მთავრობა აკონტროლებს დამფუძნებელ კრებას.

პარტიული თუ სახელმწიფო ინტერესი

ოპოზიციის ერთ-ერთი უმთავრესი ბრალდება სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ის იყო, რომ მმართველ პარტიას ბრალს სდებდნენ სახელმწიფოს მართვის მითვისებაში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით სოციალისტ-რევოლუციონერები აქტიურობდნენ. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე ამასთან დაკავშირებით ლეო შენგელაია (ს. რ.) აღნიშნავდა: „ჩვენ სახელმწიფოს არსებითად განაგებს არა მთავრობა, არა დამფუძნებელი კრება, არამედ ქვეყანას განაგებს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ის განაგებს არსებითად სახელმწიფოს. ჩვენი მთავრობა მის წინაშე აგებს პასუხს. ცენტრალური კომიტეტის წევრები არიან ისევ მინისტრები, ასე რომ ისინი თავის წინაშე აგებენ პასუხს, ე. ი. ისინი არიან უპასუხისმგებლონი“ (ოქმები, ტ. IV, გვ.290). დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 მარტის სხდომაზე ილია ნუცუბიძემ (ს. რ.) განაცხადა, რომ „მთავრობა მოღვაწეობს არა როგორც მთავრობა, არამედ როგორც სოციალ-დემოკრატები, როგორც პარტიული მოღვაწენი, ამიტომ ხდება, რომ ხშირად ეს მთავრობა გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული“ (ოქმები, ტ. VI, გვ.111). დამფუძნებელი კრების 1921 წლის 4 იანვრის სხდომაზე ლეო შენგელაიამ კვლავ განაცხადა: „მმართველი პარტია თავის პარტიულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს ვიდრე სახელმწიფოებრივს. ჩვენი საქმიანი ოპოზიცია ამას მთელი თავის არსებით ებრძვის და მომავალშიაც შეებრძოლება... მმართველი პარტია მთელს საქართველოს თავის პარტიულ მონოპოლიათ აცხადებს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.24).

ანალოგიური იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პოზიციაც. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 მარტის სხდომაზე სამსონ დადიანი (ს. ფ.) აღნიშნავდა, რომ „გაბატონებული პარტია, სოციალ-დემოკრატები, მისი მთავრობა და მისი ადმინისტრაცია“ მოქმედებდნენ „ვიწრო პარტიული ინტერესების მიხედვით“ (ოქმები, ტ. VI, გვ.72).

სოციალ-დემოკრატია ასეთ ბრალდებას უარყოფდა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 9 დეკემბრის სხდომაზე რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) ოპოზიციის მხრიდან წამოსულ ამგვარ კრიტიკას პასუხობდა და აღნიშნავდა, რომ არსებულ სიტუაციაში შეეძლოთ სახელმწიფო პარტიისთვის დაემორჩილებინათ, მაგრამ ეს არ გაუკეთებიათ: „ჩვენ პირიქით ვამაყობთ იმით, რომ პარტია შეგვიძლია დაუმორჩილოთ სახელმწიფოს. თუმცა 9/10 საზოგადოების ნდობით ჩვენ ხელშია და შეგვეძლო სახელმწიფო პარტიისადმი დაგვემორჩილებია, მაგრამ ესე არ ვიქცევით და ეს არის ღირსება სოციალ-დემოკრატებისა“ (ოქმები, ტ. IV, გვ.236-237).

რაჟდენ არსენიძის განცხადებით, სახელმწიფოსა და პარტიას შორის არსებული განსხვავება იმით დასტურდება, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია თავის პრესაში ღიად აკრიტიკებს მთავრობას, თუმცა ამის გაკეთება კულისებშიც შეეძლო. არსენიძის აზრით, ამაში კარგად

ჩანდა, რომ მმართველი პარტია ერთი იყო და აღმასრულებელი ხელისუფლება მეორე: „სახელმწიფო და პარტია არ არის ერთი და იგივე, სახელმწიფო სხვა არის და პარტია სხვა (ტაში). თავის პრესაში პარტია კრიტიკას უკეთებს მთავრობას და აჩვენებს ნაკლს მას და არ ერიდება უთხრას ის, რასაც ამჩნევს, და ამას ის სჩადის საჯაროთ, მთელი ქვეყნის წინაშე. ჩვენ ხომ შეგვეძლო მიგვეღო ცნობები და მიგვეცა ჩუმათ კულუარებში მთავრობისათვის. მაგრამ ჩვენ ეს არ ჩავიდინეთ. თავის აზრს და შენიშვნებს პარტია ამბობს საჯაროთ, მას არ ეშინია კრიტიკის... პარტია ერთია და აღმასრულებელი ძალა მეორე. ეს არის მთავარი ძალა ჩვენი პოლიტიკის. ეს არის მთავარი ძალა იმ მიმართულების, რომელიც ზრუნავს არა პარტიულ კაპიტალზე, არა პარტიული კაპიტალის შეძენაზედ, არამედ მთელი საქართველოს დემოკრატიის კაპიტალზედ, მთელი რესპუბლიკის ინტერესებზე“ (ოქმები, ტ. IV, გვ.236).

თუმცა, სოციალ-დემოკრატიის პარტიული ორგანოების ჩარევა ადმინისტრაციის საქმიანობაში, განსაკუთრებით რეგიონებში მაინც გრძელდებოდა და ამის თაობაზე დამფუძნებელი კრების სხდომებზე ოპოზიცია განცხადებებს კვლავ აკეთებდა. ესერების მხრიდან წამოსული მორიგი ასეთი ბრალდების საწინააღმდეგოდ გრ. გიორგაძე (ს. დ.) დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 ივლისის სხდომაზე აღნიშნავდა: „ჩვენ ხელმძღვანელ ორგანიზაციებს მრავალჯერ გაუფრთხილებია ამხანაგები, ეს მიიღო პირველმა და მეორე ყრილობამაც და ცირკულიარით ეცნობა ყველას და არც ერთ პატარა ასეთ შემთხვევასაც არ სტოვებს უყურადღებოდ ჩენი გაზეთები“ (ოქმები, ტ. VII, გვ.43).

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და მთავრობა

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე სპირიდონ კედიამ (ე. დ.) აღნიშნა, რომ მთავრობას „არ აქვს დამფუძნებელი კრების რიდი“, რასაც ხელს უწყობდა უმრავლესობის ფრაქცია. „მართველი პარტია ისე უყურებს სა კითხს, თითქოს მას უფლება არა ჰქონდეს თავის წიაღიდან გამოსულ მთავრობას ანგარიში მკაცრად მოსთხოვოს. საფუძვლიანი კრიტიკა გაუკეთოს და პასუხი აგებიოს. მას ჰგონია, რომ ეს მისი დამარცხება იქნება და არა მთავრობისა“ (ოქმები, ტ. III, გვ.293).

სოციალ-დემოკრატები უარყოფდნენ ბრალდებებს, რომ მთავრობა თავის ნებაზე მოქმედებდა და მათი ფრაქცია მთავრობის ყველა მოქმედებას იწონებდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 მარტის სხდომაზე კირილე ნინიძე (ს. დ.) აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გაბატონებული მდგომარეობა „სრულებით არ იწვევს იმ შედეგს, ვითომც ჩვენ აღმასრულებელ ორგანოს ყოველგვარ მოქმედებას ვიწონებდეთ“ (ოქმები, ტ. VI, გვ.100-101).

16.2. „ჩვენთან არ არის პიროვნების კულტი“

ოპოზიციის მხრიდან გარდა მმართველი პარტიის გაბატონებული მდგომარეობის კრიტიკისა, კიდევ ერთი ბრალდება პარტიის ხელმძღვანელი ჯგუფის და, მთავრობის თავმჯდომარის განსაკუთრებულ როლს ეხებოდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე გიორგი გვაზავა (ე. დ.) ნოე ჟორდანიასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ „იგი დიდი პიროვნება არის, იგი დიდს გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. ამიტომ მე მგონია, იმის სიტყვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან იმას აქვს ბევრი ყალბი დებულებები...“ (ოქმები, ტ. VII, გვ.599). ამ შემთხვევაში ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა ნოე ჟორდანიას აკრიტიკებდა იმიტომ, რომ მარქსისტი და სოციალისტი იყო, თუმცა მემარცხენე ოპოზიცია ნოე ჟორდანიას „სოციალიზმის ღალატში“ ადანაშაულებდა.

რაც შეეხება ნოე ჟორდანიას პირად ცხოვრებას, ის საკმაოდ მოკრძალებული იყო. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე ნოე ჟორდანია აღნიშნავდა: „მე ვცხოვრობ საგარეო საქმეთა სამინისტროს ბინაზე, რომელსაც მე ვაწუხებ და სურვილი მქონდა სხვა ბინაზე გადასვლა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.664). ამ საკითხს ნოე ჟორდანია იმიტომ შეეხო, რომ ბინების განაწილებაშიც უხდებოდა მონაწილეობა და კირილე ნინიძემ (ს. დ.) თვითნებურად დაიკავა მთავრობის განკარგულებაში არსებული ერთ-ერთი ბინა. ამ ბინაში გადასვლას ნოე ჟორდანიას სთავაზობდნენ, მაგრამ მან უარი თქვა, მისი სიძვირის გამო: „ქალაქმა ის ბინა შეაფასა 6.000 მანეთად თვეში და ვიფიქრე, რომ ეს ბინა ძვირი დამიჯდებოდა; ამდენი ქირა და თან 10 ბუხრის გახურება, რომელიც იმ ბინაში იყო, მე ვერ ავიტან-თქო. ამიტომ უარი ვთქვი ამ ბინაზე“ (ოქმები, ტ. VII, გვ.664).

ნოე ჟორდანიას ავტორიტეტი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დიდი იყო. რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე პირდაპირ აცხადებდა: „ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადი“, ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია (ოქმები, ტ. VII, გვ.610).

დამფუძნებელი კრების 1921 წლის 4 იანვრის სხდომაზე ვალიკო ჯუღელმა (ს. დ.) განაცხადა, რომ პარტიაში არ არის პიროვნების კულტი, მისი თქმით „ჟორდანია, მაგალითად არის დიდი კაცი, სდგას მთავრობის და პარტიის სათავეში, მაგრამ პარტიულ ცხოვრებაში ის უბრალო წევრია და ხშირად მის მოქმედებას ვაკრიტიკებთ“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.17).

ვალიკო ჯუღელი თავის დღიურში ხშირად საუბრობს ნოე ჟორდანიაზე და მის დიდ ავტორიტეტზე სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. იმასაც აღნიშნავს, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთიანობას ნოე ჟორდანიას ავტორიტეტი უზრუნველყოფდა. 1919 წლის 2 ოქტომბერს ვალიკო ჯუღელი თავის დღიურში წერდა: „რატომღაც ხშირად ხდება დიდი ნოე ავად. ეს ძალიან მოქმედებს ჩვენს მუშაობაზე. ზოგჯერ შიშით ვფიქრობ: რა მოუვა ჩვენს საქმეს, თუ ნოე აღარ იქნება?! ... მაშინვე დაიწყება საყოველთაო დაშლა და ჩვენი პარტია ბევრ განშტოებად დაიყოფა! ამაში მე ხშირად ვრწმუნდები“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.251). რამდენიმე თვის შემდეგ, 1920 წლის 14 თებერვალს, ვალიკო ჯუღელი აღნიშნავს ნოე ჟორდანიას როლს მთავრობის მუშაობაში: „ნოეს ავტორიტეტი აძლიერებს მთავრობის კომპეტენციას და იოლად აგვარებს წამოჭრილ დაპირისპირებებს“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.264).

თუმცა, ვალიკო ჯუღელი მართალი იყო, როდესაც დამფუძნებელი კრების 1921 წლის 4 იანვრის სხდომაზე ამბობდა, - ნოე ჟორდანიას ვაკრიტიკებთ ხოლმეო. ჯუღელის დღიურში არის ნოე ჟორდანიას კრიტიკაც. 1920 წლის 14 თებერვალს ჯუღელი აღნიშნავს: „ნოე, ზოგჯერ, წვრილმანებში ცდება და ყოველთვის მართალი არ არის ხოლმე. დროდადრო ის ზედმეტად მიმნდობია. ხშირად, ზედმეტად აფასებს ან სრულიად ვერ აფასებს ყოფით ფაქტებს. და ასეთ შემთხვევებში ფხიზლად ყოფნა გვმართებს“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.265).

16.3. მომარაგების სამინისტროს დაარსება და ნოე ჟორდანიას გამოსვლის მოლოდინი

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე გაკეთდა მთავრობის თავმჯდომარის განცხადება ახალი სამინისტროს შექმნის შესახებ. განცხადება გააკეთა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, გარეშე საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა. მისი თქმით, „მთავრობამ დაადგინა დაარსდეს მომარაგების სამინისტრო, რომელსაც შეუერთდება შრომის სამინისტრო და ამ ორ უწყების სათავეში დანიშნულია შრომის მინისტრის ამხანაგი გიორგი

ერაძე (ოქმები, ტ. IV, გვ.9). ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარე ითხოვდა, რომ რადგანაც ვერ ესწრებოდა კრებას კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგისათვის გადადებულიყო. წინააღმდეგი არავინ იყო. ოქმში დაფიქსირებულია რეპლიკა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციიდან: „რასაკვირველია, სასურველია გადიდოს!“ (ოქმები, ტ. IV, გვ.9).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 21 ნოემბრის სხდომაზე დღის წესრიგის მე-10 საკითხად შეტანილი იყო „მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის განცხადების გამო მომარაგების სამინისტროს შრომის სამინისტროსთან შეერთების შესახებ“, მაგრამ სხდომის თავმჯდომარემ ს. მდივანმა წაიკითხა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის განცხადება: „მოიხსნას დღიურ წესრიგიდან მე-10 საკითხი, ვინაიდან მთავრობის თავმჯდომარე ავად გახლავთ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.58).

აღნიშნული საკითხი შემდეგი სხდომების დღის წესრიგშიც იყო შეტანილი: 28 ნოემბერს (ოქმები, ტ. IV, გვ.100), 2 დეკემბერს დღის წესრიგში მე-13 საკითხად იყო შეტანილი (ოქმები, ტ. IV, გვ.136), 5 დეკემბერს 21-ე საკითხად (ოქმები, ტ. IV, გვ.192), 9 დეკემბერს 22-ე საკითხად (ოქმები, ტ. IV, გვ.212), 12 დეკემბერს 21-ე საკითხად (ოქმები, ტ. IV, გვ.247), 16 დეკემბერს მე-15 საკითხად (ოქმები, ტ. IV, გვ), 19 დეკემბერს მე-17 საკითხად (ოქმები, ტ. IV, გვ.264). მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხი არ განხილულა და მთავრობის თავმჯდომარე არ მისულა დამფუძნებელ კრების სხდომაზე.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 23 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგში საკითხი აღარ იყო შეტანილი. ამან ოპოზიციის აღშფოთება გამოიწვია. სიტყვით გამოვიდა გრიგოლ ვეშაპელი (ე. პ.): „ბატონებო! 19 დეკემბრამდის ყოველ კრების წესრიგში ბოლოში ჩართული იყო საკითხი შესახებ მომარაგების სამინისტროს დაარსებისა და ამ სამინისტროსთან სხვა სამინისტროს შეერთებისა... ეს საკითხი დაისვა მას შემდეგ, როცა მთავრობის თავმჯდომარემ დაავალა თავის მოადგილეს ბ. გეგეჭკორს, რომ მას გაეცხადებინა დამფუძნებელ კრებისთვის, რომ მოხდა ასეთი ცვლილება სამინისტროების ორგანიზაციებში, დაარსდა ერთი სამინისტრო სხვა სამინისტროებთან შეერთების წესით. თანახმად რეგლამენტისა, მაშინ დამფუძნებელ კრებას დაეკითხნენ, სურდა თუ არა მას მსჯელობა ყოფილიყო ამ საგანზე, მისი სურვილი გამოთქმული იყო. მთავრობის თავმჯდომარემ მოგვთხოვა, რომ მას სურს პირადად მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხზე მსჯელობაში და სასურველად სცნობს მის გადადებას. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ეს და გადაიტანა საკითხი შემდეგი სხდომისათვის. მას აქეთ ეს საკითხი იდებოდა შემდეგი სხდომისათვის და უსათუოდ ბოლოში და ეხლა კი სულ დაიკარგა“ (ოქმები, ტ. IV, გვ.295). გრიგოლ ვეშაპელის გამოსვლას მოჰყვა დამცინავი რეპლიკები ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენელთა მხრიდან. შენგელია (ს. რ.): „უკვე ლიკვიდაცია დაიწყო!“, ასათიანი (ე. დ.): „გარდაიცვალა“.

გრიგოლ ვეშაპელმა აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა დამფუძნებელი კრების ავტორიტეტს და მოითხოვა საკითხის სხდომის დღის წესრიგში დაბრუნება: „მე წინადადებას ვიძლევი, რომ ეს დაკარგული საკითხი დაუბრუნდეს დღის წესრიგს, დავსვათ ის სათავეში, მით უმეტეს, მადლობა ღმერთს, ეხლა მთავრობის თავმჯდომარე კარგად არის“ (ოქმები, ტ. IV, გვ.295).

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე ლომთათიძემ, აღნიშნა, რომ ოცი დღე ის თბილისში არ იმყოფებოდა და მოადგილემ მოახსენა, რომ „ამ საკითხის შესახებ მოხდა ფრაქციათა წარმომადგენლების სხდომა“, სადაც გადაწყვიტეს მომარაგების მინისტრის მოხსენების მოსმენა (ოქმები, ტ. IV, გვ.296). ვეშაპელმა თავმჯდომარის განმარტება რეგლამენტის დარღვევად მიიჩნია. მისი თქმით, მინისტრის გამოსვლა არ ხსნიდა მთავრობის თავმჯდომარის მხრიდან დამფუძნებელი კრებისთვის განმარტების მიცემას ახალი სამინისტროს დაარსების მიზეზების თაობაზე. მუხრან ხოჭოლავამ (ს. დ.) აღნიშნა, რომ ფრაქციის აზრით მომარაგების მინისტრის

მოსმენით „მოხდებოდა საკითხის არსებითი განხილვა“, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია წინააღმდეგი არ იყო „ხელახლა იქმნეს ეს საკითხი დასმული დღიურ წესრიგში“ (ოქმები, ტ. IV, გვ.297).

მკაცრი იყო ალ. ასათიანის (ე. დ.) პოზიცია, რომლის განცხადებითაც მომარაგების მინისტრის ერაძის გამოსვლა ვერ შეცვლიდა დღის წესრიგში დიდი ხნის განმავლობაში მდგარ საკითხს, რასაც ეწოდებოდა მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის განცხადების შესახებ. „ამ საკითხზე ჩვენ უნდა მოგვესმინა მთავრობის თავმჯდომარის აზრი. ეს საკითხი კონსტიტუციური საკითხია, როგორც უნდა ხდებოდეს ძველი სამინისტროს გაუქმება და ახალის დაარსება და სხვა... ეს საკითხი დამფუძნებელი კრების დასტურით იყო შეტანილი დღის წესრიგში და მე ძლიერ მეეჭვება, რომ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ქონდეს უფლება თავისი ნებით, ჩვენ დაუკითხავად ამოიღოს კითხვა დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული დღიურ წესრიგიდან“ (ოქმები, ტ. IV, გვ.297-298).

სხდომის თავმჯდომარეს ალ. ლომთათიძეს თავის მართლება მოუხდა. ჯერ თქვა: „მე იმ სხდომას არ დავსწრებივარ და არ ვიცი გააკეთა თუ არა მოხსენება მთავრობის თავმჯდომარემ...“, შემდეგ კი ოპოზიციურ ფრაქციებს იქით შეუტია, რატომ აქამდე არაფერს ამბობდითო: „ეს საკითხი რამდენი ხანია, რაც დასმულია და არც ერთხელ არც ერთმა თქვენგანმა არა სთქვა რა ამაზე, ეს პრეზიდიუმს საბუთს აძლევდა ეფიქრა - ფრაქციის წარმომადგენლებმა იციან, რომ ამ საკითხის გარშემო შეთანხმება არის, ამას ანგარიშს უწევენ და არაფერს არ ბრძანებენო. როდესაც პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე ეს საკითხი უკანასკნელათ შემოიტანა, მაშინ უნდა ამდგარიყავით და გეთხოვათ: რა საბუთის ძალით ინებეთ, რომ მთავრობის თავმჯდომარის განცხადებაზე მსჯელობის საკითხი უკანასკნელათ შეიტანეთო“ (ოქმები, ტ. IV, გვ.298). ამას გრ. ვეშაპელის მოკლე რეპლიკა მოჰყვა: „მაშინ გიხათრეთ!“

16.4. ნოე ჟორდანიას გამოსვლა მთავრობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ

მომდევნო 1919 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე საკითხი „დღიურ წესრიგში“ აღდგენილი იყო, ოღონდ ისევ ბოლოში, - მე-6 საკითხად: „მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების - მომარაგების სამინისტროს დაარსებისა და ამ სამინისტროს შრომის სამინისტროსთან შეერთების შესახებ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.299). თუმცა საკითხი კვლავ არ განუხილავთ. აღნიშნული საკითხი არ განხილულა არც 29 დეკემბრის სხდომაზე, სადაც დღის წესრიგში მე-4 ადგილი ეკავა (ოქმები, ტ. IV, გვ.326).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 30 დეკემბრის დილის სხდომაზე აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში მე-7 იყო (ოქმები, ტ. IV, გვ.344), მაგრამ მთავრობის თავმჯდომარე ამ დღეს გამოვიდა მხოლოდ დღის სხდომაზე. ნოე ჟორდანიამ ილაპარაკა არა მხოლოდ მომარაგების სამინისტროს დაარსებაზე, არამედ დეპუტატებს მთავრობის კიდევ უფრო მასშტაბური რეფორმის შესახებ აუწყა.

ნოე ჟორდანიამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სანამ ის დამფუძნებელ კრებაში განცხადების გასაკეთებლად მივიდოდა, კიდევ ორი სამინისტრო შექმნა, - „ახალ მინისტრს კიდევ მოემატა ორი მინისტრი“ (ოქმები, ტ. IV, გვ.374). დეპუტატებს მან განუმარტა თუ რატომ შეიქმნა ახალი სამინისტროები და თავისი განმარტება მომარაგების სამინისტროს შექმნის საჭიროებით დაიწყო.

მომარაგების სამინისტროს დაარსების აუცილებლობა ნოე ჟორდანიამ ახსნა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში არსებული ომისშემდგომი ეკონომიკური კრიზი-

სით, როდესაც „ბაზარზე საქონელი მოდის ნაკლები, ვინემ ეს არის საჭირო საზოგადოებისათვის“ (ოქმები, ტ. IV, გვ.375). ასეთ პირობებში ბაზარზე ბატონობს სპეკულაციური კაპიტალი. ასეთ პირობებში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს საქმეში, „თვითონ დაიწყოს აღებ-მიცემობა და ვაჭრობა“ და საქმე აწარმოოს „ხალხის ინტერესების თანახმად“. ამავე დროს „სახელმწიფოს მიერ დღეს ვაჭრობის დაწყება ნიშნავს სპეკულიატურ კაპიტალის ერთგვარ ალაგმვას და მის სათანადო კალაპოტში ჩაყენებას“ (ოქმები, ტ. IV, გვ.375). ნოე ჟორდანიას განცხადებით, სწორედ ეს იყო მომარაგების სამინისტროს დაარსების მთავარი მიზეზი.

ნოე ჟორდანიამ განმარტა ისიც, თუ რატომ შეუერთა მომარაგების სამინისტრო შრომის სამინისტროს, რადგანაც ეს გაერთიანება იწვევდა „ერთნაირ პროტესტს... სად მომარაგების სამინისტრო და სად შრომის სამინისტრო“-ო (ოქმები, ტ. IV, გვ.375). ნოე ჟორდანიას განცხადებით, ამ ორ სამინისტროს შორის იყო მეტად მჭიდრო კავშირი, რადგანაც „სპეკულიაციის ხანაში, თუ ვინმე არის გაჭირვებული, უპირველეს ყოვლისა არის მუშათა კლასი და სახელმწიფო თუ სხვა დაწესებულებათა მოსამსახურენი“ (ოქმები, ტ. IV, გვ.375). მშრომელი ხალხის მოთხოვნილებები სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს და სწორედ „შრომის სამინისტრო არის ამ კლასის სამინისტრო, მის ინტერესებს იცავს“ (ოქმები, ტ. IV, გვ.376). ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ „თავისთავად ცხადი“ იყო - „ის საქონელი, სურსათი, მანუფაქტურა და სხვა, რასაც იყიდის სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადავიდეს ამ კლასის ხელში და ამ კლასს უნდა გაუნაწილდეს“. ნოე ჟორდანიას თქმით, ეს უნდა მომხდარიყო სწორედ შრომის სამინისტროს საშუალებით, „ვინაიდან ამ სამინისტროში არიან ამ კლასიდან გამოყოფილი ხალხი და ისინი თავის მოძმეთ უფრო კარგათ გაუნაწილებენ, ვიდრე სხვები“ (ოქმები, ტ. IV, გვ.376). ასე ახსნა მთავრობის თავმჯდომარემ მომარაგების და შრომის სამინისტროების გაერთიანების მიზეზი.

ამის შემდეგ ნოე ჟორდანიამ განმარტა ორი ახალი სამინისტროს შექმნის მოტივები.

ნოე ჟორდანიას თქმით, როდესაც მინისტრთა კაბინეტი დგებოდა, „ორი დიდი სამინისტრო“ - შინაგან საქმეთა და თავდაცვის, - ნოე რამიშვილს ჩაბარდა ერთი პირობით, რომ მას „ცხოვრებაში გაეტარებინა სამხედრო რეორგანიზაცია“, რის შემდეგაც „შინაგან საქმეთა მინისტრს შეეძლო სავსებით მისცემოდა თავის სამინისტროს“ (ოქმები, ტ. IV, გვ.376). ნოე ჟორდანიას თქმით, მინისტრმა ეს დავალება „ჩინებულად შეასრულა, მოახდინა... რეორგანიზაცია“. ამ რეფორმის საფუძველზე „აღდგება და აშენდება მტკიცე და მამაცი ჯარი“ და ასევე მოხდა „ჩვენი გვარდიის და ჯარის უფრო მჭიდრო დაკავშირება“ (ოქმები, ტ. IV, გვ.376).

ნოე ჟორდანიას განცხადებით, ამის შემდეგ ნოე რამიშვილი უბრუნდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სამხედრო მინისტრად მოიწვია გრიგოლ ლორთქიფანიძე. ამ განცხადებას მოჰყვა ი. მაჭავარიანის რეპლიკა: „გენერალია თუ რა არის?“. საპასუხოდ ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ „სამხედრო მინისტრისათვის აუცილებლად არ არის საჭირო, რომ ის იყოს მხედარი“ და „საფრანგეთში დიდი ხანია სამხედრო მინისტრად არ არიან სამხედრო პირები“ (ოქმები, ტ. IV, გვ.376). ამ პასუხმა ოპოზიცია მაინც ვერ დააკმაყოფილა და გრიგოლ ვეშაპელი (ე. პ.) დაინტერესდა გრიგოლ ლორთქიფანიძეს თუ ჰქონდა პარლამენტის სამხედრო კომისიაში მუშაობის გამოცდილება (ოქმები, ტ. IV, გვ.376), თუმცა ნოე ჟორდანიას ამ თემაზე სიტყვა აღარ გაუგრძელებია.

მთავრობაში ცალკე გამოყოფილი მეორე უწყება იუსტიციის სამინისტრო იყო, რომელიც მანამდე გარეშე საქმეთა მინისტრს ექვემდებარებოდა. ნოე ჟორდანიას თქმით, მართალია სენატის შექმნის შემდეგ, რომელიც მოსამართლეებს ნიშნავდა, სამინისტროს „შრომა რამოდენიმეთ მოაკლდა“, მაგრამ ამავე დროს იუსტიციის სამინისტროს წინაშე სხვა რთული საქმე იდგა, - დემოკრატიული რესპუბლიკის შესაფერისი სამოქალაქო კანონმდებლობის შექმნა. ნოე ჟორდანიას თქმით, ამ სფეროში არსებობდა „10-15 ტომი, რომელიც იყო ძველ არხაულ რუსეთში“.

სწორედ ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის შექმნა იყო იუსტიციის სამინისტროს მთავარი ამოცანა და ეს უწყება ჩააბარა, ნოე ჟორდანიას განცხადებით, „დიდი ენერგიის მქონე და მცოდნე პირს“ რაჟდენ არსენიძეს. ამ განცხადებას დარბაზში ტაში მოჰყვა (ოქმები, ტ. IV, გვ.376-377).

ნოე ჟორდანიამ მთავრობაში განხორციელებული ცვლილებების ერთ-ერთ მთავარ შედეგად მიიჩნია ის, რომ „ჩვენ გვყავს 8 მინისტრი, თითქმის თვითეულ უწყებას ჰყავს თავისი საკუთარი პატრონი და მომვლელი (ოქმები, ტ. IV, გვ.377). ეს სიტყვები გიორგი გვაზავამ მოიწონა. ოქმში დაფიქსირებულია მისი რეპლიკა: „რასაკვირველია, ეს საჭირო იყო“.

თავის სიტყვის ბოლოს, ნოე ჟორდანიამ მთავრობაში განხორციელებული ცვლილებების საჭიროება ახსნა ქვეყნის „მომავალი პოლიტიკური პერსპექტივებითაც“, - მიუთითა ჩრდილოეთიდან მომავალ საფრთხეზე, - „როცა ბოლშევიკები დაამარცხებენ დენიკინს, ისინი ჩვენს საზღვრებზედ არ გაჩერდებიან“ (ოქმები, ტ. IV, გვ.377). ნოე ჟორდანიას თქმით, ქვეყანა იმყოფებოდა ისეთ ხანაში, რომ „თვითეული მინისტრი, თვითეული მოქალაქე უნდა იყოს თავის პოსტზე. უნდა იყოს დარაჯათ რესპუბლიკის ინტერესებისა, რომ ამით მოსალოდნელი პოლიტიკური თუ სამხედრო, ასე ვთქვათ, გამწვავებანი თავიდან ავიცილოთ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.377).

ნოე ჟორდანიას სიტყვას ოპოზიციის მხრიდან კრიტიკული გამოსვლები მოჰყვა, რაც არა კონკრეტულად გამოტანილ საკითხს, არამედ, ზოგადად, მთავრობის საქმიანობას ეხებოდა. მათ თვალსაზრისს ქვემოთ განვიხილავთ, ჯერ შევეხებით მნიშვნელოვან საკითხს, რაც, მთავრობის პოლიტიკის მოწონებასთან ერთად, დააყენა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, მოითხოვეს მთავრობის თავმჯდომარის განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვა.

16.5. დისკუსია მთავრობის თავმჯდომარისთვის განსაკუთრებული უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, მთავრობის პოლიტიკის მოწონებასთან ერთად, დააყენა საკითხი, რაზეც ნოე ჟორდანიას არ უსაუბრია. გრიგოლ გიორგაძემ (ს. დ.) მოითხოვა მთავრობის თავმჯდომარე დამფუძნებელ კრებას აღეჭურვა განსაკუთრებული უფლებამოსილებით. „დღევანდელ პირობებში ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა, რომ მთავრობის თავმჯდომარე აღჭურვილი იყვეს განსაკუთრებული უფლებებით კანონების ასრულების და დაცვის საქმეში, რომ მას ჰქონდეს უფლება მიიღოს ესა თუ ის განსაკუთრებული ზომები, საჭიროების დროს. ეს ჩვენი ფიქრით აუცილებლად საჭიროა და ჩვენ წინადადებას ვიძლევით, ასეთი დადგენილება მიიღოს დამფუძნებელმა კრებამ. ამას მოითხოვს დღევანდელი პირობები, სახელმწიფოსა და ჩვენი დამოუკიდებლობის ინტერესი“ (ოქმები, ტ. IV, გვ.395-396).

მთავრობის თავმჯდომარის განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვის წინადადებას ოპოზიციის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა. გრიგოლ ვეშაპელმა (ე. პ.) დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 დეკემბრის სხდომაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ წინააღმდეგი იყო მთავრობის თავმჯდომარისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებისა, რადგანაც ნოე ჟორდანია იმავე დროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე იყო: „ბ-ნ გიორგაძის განცხადებით სოციალ-დემოკრატებს წინადადება შემოაქვთ რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი ბ. ნ. ჟორდანია განსაკუთრებულ უფლებით აღვჭურვოთ... დღეს ყოველ შემთხვევაში წინააღმდეგი ვიქნები განსაკუთრებული უფლებისა. ეს საკითხი კონსტიტუციის საკითხია - მე პრეზიდენტის მომხრე ვარ, მაგრამ, როცა სოც-დემ. ანიჭებენ განსაკუთრებულ უფლებებს თავიანთ კომიტეტის თავმჯდომარეს ოპოზიციას დიდი სიფრთხილე მართებს. ოპოზიციას არავითარი საბუთი არ აქვს მხარი დაუჭიროს განსაკუთრებულ უფლებებს მთავრობის თავმჯდომარისას, როცა იგი იმავე სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე არის!“ (ოქმები, ტ. IV, გვ.430).

ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი: „მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ, დამფუძნებელი კრება იწონებს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, უცხადებს მას სრულ ნდობას და ადგენს: სანამ კონსტიტუციით იქნებოდეს განსაზღვრული მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია, მიენიჭოს მას განსაკუთრებული უფლებანი მართვა-გამგეობისა და კანონიერების დაცვის საქმეში“ (ოქმები, ტ. IV, გვ.436).

ამ ფორმულის დასაცავად გამოვიდა კირილე ნინიძე (ს. დ.), რომელმაც აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მიღებამდე, სადაც განსაზღვრული იქნებოდა მთავრობის უფლებები და მოვალეობები, „დროებით მთავრობის თავმჯდომარე აღიჭურვოს განსაკუთრებული უფლებებით“ (ოქმები, ტ. IV, გვ.437). ამას მოჰყვა ოპოზიციის, კერძოდ ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან რეპლიკები. ალექსანდრე ასათიანი: „განსაზღვრეთ!“, სპირიდონ კედია: „განსაზღვრეთ, რანაირია ეს განსაკუთრებული უფლებები!“. კირილე ნინიძემ განმარტა: „ეს შეეხება კონტროლს სამინისტროების მოღვაწეობაში, რომ კანონიერება დაცული იყოს. განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვა მთავრობის თავმჯდომარისა არც საშიშია, რადგან ჩვენი მთავრობა ბოლოს და ბოლოს პასუხისმგებელია დამფუძნებელ კრების წინაშე“ (ოქმები, ტ. IV, გვ.437).

კირილე ნინიძეს გამოსვლამ ოპოზიცია ვერ დაარწმუნა. ყველა ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენელი ერთხმად გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარის განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვის წინააღმდეგ. ლეო შენგელაიამ (ს. რ.) „უდიდესი გაუგებრობა“ უწოდა სოციალ-დემოკრატების წინადადებას, რომ „მთავრობის თავმჯდომარეს შევასხათ მაგარი ხელები“ (ოქმები, ტ. IV, გვ.437). შენგელაიას განცხადებით, ეს ხელი ისედაც მაგარი იყო და მიუთითა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედებაზე. ასევე გაიხსენა, რომ ნოე ჟორდანიას რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. „ჩვენში ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის გვყავს თუ არა ჩვენ პრეზიდენტი. თითქოს ის კიდევაც გვყავს და კიდევაც არა. ის არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი, მაგრამ რა არის ეს უმაღლესი წარმომადგენელი, გამორკვეულია თუ არა მისი უფლებები, ეს არავინ იცის“ (ოქმები, ტ. IV, გვ.437).

ლეო შენგელაიამ (ს. რ.) მიუღებლად მიიჩნია „გამოურკვეველი უფლებებით“ აღჭურვილ უმაღლესი წარმომადგენელისთვის დამატებით განსაკუთრებული უფლებები მიენიჭებინათ. „ვთქვათ მთავრობის თავმჯდომარემ მოისურვა დამფუძნებელი კრების გარეკვა - შედის თუ არა ეს მის უფლებებში?“ - განაცხადა შენგელაიამ, რასაც დარბაზში სიცილი მოჰყვა. ლეო შენგელაიამ დამცინავად განაგრძო: „ამას მე სხვათა შორის ვამბობ, თორემ როგორ იქნება, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი პარტია გარეკოს“ (ოქმები, ტ. IV, გვ.438), რითაც მიუთითა დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობაზე.

ალექსანდრე ასათიანმაც (ე. დ.) „შეუძლებლად და შეუწყნარებლად“ მიიჩნია დადგენილება, რომელიც მთავრობის თავმჯდომარეს განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდა ისე, რომ არ იყო აღნიშნული „თუ რას შეეხება ეს განსაკუთრებული უფლება“ (ოქმები, ტ. IV, გვ.438). კირილე ნინიძეს რეპლიკას, რომ ეს განსაკუთრებული უფლება მართვა-გამგეობას შეეხებოდა, ალექსანდრე ასათიანმა უპასუხა, რომ მთავრობის თავმჯდომარეს ასეთი უფლება უკვე მინიჭებული ჰქონდა. გარდა ამისა, ალექსანდრე ასათიანმა დადგენილების პროექტის შემოტანა მთავრობის თავმჯდომარის განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვის თაობაზე რეგლამენტის დარღვევად მიიჩნია, რადგანაც ეს საკითხი სხდომის დღის წესრიგში არ შედიოდა, - დამფუძნებელი კრება განიხილავდა მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის განცხადებას მომარაგების სამინისტროს შექმნის შესახებ (ოქმები, ტ. IV, გვ.438-439).

იოსებ ბარათაშვილმა (ს. ფ.) ასევე აღნიშნა, რომ სოციალისტ-ფედერალისტები ასევე წინააღმდეგი იყვნენ სოციალ-დემოკრატების მიერ შემოტანილი ფორმულისა, რადგანაც კონკრე-

ტულად არ იყო ნაჩვენები თუ რას შეეხებოდა „განსაკუთრებული უფლებები“ (ოქმები, ტ. IV, გვ.439).

სოციალ-დემოკრატებს ხმათა უმრავლესობა ჰქონდათ და ოპოზიციის მხარდაჭერის გარეშეც შეეძლოთ თავიანთი წინადადების გატანა. კენჭისყრის შედეგად რეზოლუცია მიიღეს და მთავრობის თავმჯდომარე განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღიჭურვა. წინააღმდეგი იყვნენ ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტებმა თავი შეიკავეს (ოქმები, ტ. IV, გვ.439).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 დეკემბრის სხდომაზე მიღებული რეზოლუციის თანახმად, დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა მთავრობის რეორგანიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯები, გამოუცხადა მთავრობას სრული ნდობა და დაადგინა: „სანამ კონსტიტუციით იქნებოდეს განსაზღვრული მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია, მიენიჭოს მას განსაკუთრებული უფლებანი მართვა-გამგეობისა და კანონიერების დაცვის საქმეში“ („ერთობა“, 6.01.1920).

ვალიკო ჯუღელი თავის დღიურში 1920 წლის 14 თებერვალს მთავრობის თავმჯდომარისთვის განსაკუთრებული უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე აღნიშნავდა, რაც მისი თქმით, პირადად ნოე ჟორდანიას მიმართ არსებული დიდი ნდობით აიხსნებოდა: „ახლა ვცდილობთ, უფრო მეტი ძალაუფლება მივცეთ არა მარტო მთავრობას, არამედ მთავრობის თავმჯდომარესაც, ვინაიდან გვჯერა ამ თავმჯდომარის და დარწმუნებული ვართ, რომ ის არ მიისწრაფის დიქტატურისაკენ. ხელისუფლების სათავეში დიდი ნოე რომ არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, მოგვიწევდა ბევრი რამისთვის გადაგვეხედა და პირველ რიგში, უარი გვეთქვა მთავრობისა და მისი თავმჯდომარისთვის საგანგებო უფლებამოსილების მინიჭებაზე“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.264).

16.6. მთავრობის მორიგი რეფორმა: მთავრობის თავმჯდომარის მუდმივი მოადგილე

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე ნოე ჟორდანია გამოვიდა განცხადებით მთავრობაში განხორციელებული მორიგი ცვლილებების შესახებ. საქმე ეხებოდა განათლების სამინისტროს ცალკე გამოყოფას და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღებას.

ნოე ჟორდანიას თქმით, მთავრობის თავმჯდომარეს არ ჰყავდა არც ამხანაგი და არც მუდმივი მოადგილე. მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდა ხოლმე მხოლოდ დროებითი მოადგილე, „ეს მოადგილე მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობას მხოლოდ მაშინ ასრულებდა, როცა მთავრობის თავმჯდომარე ტფილისში არ იმყოფებოდა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.576). ნოე ჟორდანიას განცხადებით, უკანასკნელ პერიოდში მთავრობის თავმჯდომარის საქმეები მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათ მოგვარებას ვეღარ ასწრებდა. მისი თქმით, აუცილებლად საჭირო იყო „მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდეს მუდმივი მოადგილე, რომელიც ეწევა მუდმივ მუშაობას მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად. აი ასეთი თანამდებობის დაწესება აუცილებლად საჭიროდ მიმაჩნია. ეს გააუმჯობესებს და გააკეთებს ჩვენს საქმეებს“ (ოქმები, ტ. VII, გვ.576-577).

მთავრობის თავმჯდომარის მუდმივ მოადგილედ ნოე ჟორდანიამ დაასახელა გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც ასევე ცალკე გამოყოფილი განათლების სამინისტროს ხელმძღვანელად დანიშნა. მანამდე განათლების სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იყო გაერთიანებული. განათლების სამინისტროს ცალკე გამოყოფა ნოე ჟორდანიამ შემდეგნაირად ახსნა: „ეს გარემოება გამოწვეული იყო იმით, რომ განათლების სამინისტროს მივცეთ უფრო ფართო ხასიათი, ვიდრე იყო აქამდე. აქ იქნება, როგორც განათლების, ხელოვნების, ისე კულტურის,

რელიგიის საქმე. და ჩვენ გვინდა ამ სამინისტროს დაუკავშიროთ ყველა კულტურული და განმანათლებელი სექციები“ (ოქმები, ტ. VII, გვ.576).

ამრიგად, განათლების მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე იქნებოდა მთავრობის თავმჯდომარის მუდმივი მოადგილე.

ნოე ჟორდანიამ სამხედრო მინისტრად დანიშნა პარმენ ჭიჭინაძე, ხოლო ნოე ხომერიკის ნაცვლად, რომელმაც დატოვა მიწათმოქმედების სამინისტრო, მიიწვია დავით ონიაშვილი (ოქმები, ტ. VII, გვ.576).

მთავრობის თავმჯდომარის განცხადების შემდეგ მსჯელობის გამართვა მოითხოვეს სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციებმა, რომელიც 10 დეკემბრის სხდომისათვის გადაიდო (ოქმები, ტ. VII, გვ.577).

სანამ ეს განხილვა შედგებოდა, მთავრობაში კიდევ ერთი ცვლილება მოხდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 7 დეკემბრის სხდომას მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ ლორთქიფანიძემ დეპეშით აცნობა, რომ გზათა სამინისტრო გამოიყო მიწათმოქმედების მინისტრის უწყებიდან და გადაეცა შინაგან საქმეთა მინისტრს (ოქმები, ტ. VII, გვ.582).

თავი XVII. დამფუძნებელი კრება და საქართველოს პარტიული სისტემის ფორმირება (მალხაზ მაცაბერიძე)

1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის, საქართველოში არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია და პოლიტიკური ჯგუფი, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ჩამოყალიბდნენ. დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის შემდეგ ამ პარტიების ნაწილი, რომელთაც ადგილობრივი დასაყრდენი ჰქონდათ, საფუძვლად უნდა დასდებოდა საქართველოს პარტიულ სისტემას, სხვები კი გამქრალიყვნენ ქართული პოლიტიკური სცენიდან.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი ნიკო ნიკოლაძე, რომელიც მანამდე მრავალი სხდომის განმავლობაში უსმენდა პარტიების წარმომადგენელთა დაპირისპირებას. ნიკო ნიკოლაძემ განაცხადა, რომ საქართველოს სრულიად ახალი პოლიტიკური სპექტრი სჭირდებოდა: „ჩვენ კიდევ ვთვლით თავის-თავს და ერთმანეთს ძველ პარტიების ფარგლებში. ნუ-თუ დღესაც არა სჩანს თქვენთვის, რომ ძველი განყოფილება არის ანაქრონიზმი? დღევანდელ ჩვენ ცხოვრების სინამდვილეს არაფერნაირად არ შეეფარდება ჩვენი პარტიული დანაწილება. ნუ-თუ რაიმე საფუძველი და გამართლება აქვს დღეს ჩვენს ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, რომელიც საყოველთაო არჩევნებზე არის დამყარებული, სო-რევოლუციონერების და სოც.-ფედ. პარტიის არსებობას?“ (ოქმები, ტ. III, გვ.411). ეს სიტყვები ეწყინა ლეო შენგელაიას (ს. რ.), რომელმაც ადგილიდან რეპლიკით მიმართა: „თქვენ პარტიას?“ (ნიკო ნიკოლაძე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით იყო არჩეული). ნიკო ნიკოლაძემ მას უპასუხა და იგივე აზრი განაგრძო: „გინდ ჩვენს პარტიასაც! ყველა პარტიას დაუდგა დრო, რომ ჩაფიქრდეს, სხვანაირად შეიმუშაოს პროგრამა და აწარმოოს თავის ძალები იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ჩვენს გარშემოა. თორემ ის ძველი სახელები, ძველი განყოფილება, ძველი უკმაყოფილება ერთი მეორის წინააღმდეგ მარტო ნგრევის და არა შენების იარაღია“ (ოქმები, ტ. III, გვ.411). ივანე გობეჩიამ ირონიული რეპლიკით უპასუხა: „შევრიგდეთ!“

დამფუძნებელი კრების წევრებმა, როგორც ჩანს, ვერ გაიგეს ან მნიშვნელობა არ მიანიჭეს ნიკო ნიკოლაძის სიტყვებს. პარტიული იდეოლოგიის მატარებელი ადამიანები, განსაკუთრებით მემარცხენეები, დარწმუნებული იყვნენ საკუთარ სიმართლეში და განცხადება, რომ დამოუკიდებელ საქართველოში სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიების ადგილი აღარ იყო, მათთვის უცნაურად და სრულიად მიუღებელი ჩანდა. ნიკო ნიკოლაძე კი არსებითად მართალი იყო. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედი წამყვანი პოლიტიკური პარტიები რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში იყვნენ შექმნილი და მათი პროგრამები, მათი სტრატეგია და ტაქტიკა სწორედ ამ სახელმწიფოს არსებობაზე იყო გათვლილი. ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები მხოლოდ განაყოფი იყვნენ შესაბამისი საერთო-იმპერიული პარტიებისა, სოციალისტ-ფედერალისტები საუბრობდნენ რუსეთის სახელმწიფოს ფედერაციულ გარდაქმნაზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავდაპირველი მიზანი რუსეთის სახელმწიფოში საქართველოსთვის ავტონომიის მოპოვება იყო. დამოუკიდებელ საქართველოში მოქმედებდნენ პარტიები, რომელთაც კარგად ახსოვდათ თავიანთი წარსული, ხშირად ახსენებდნენ ერთმანეთს და ახალ პირობებში ძველ დავას აგრძელებდნენ. დამოუკიდებელ საქართველოში ახალი პოლიტიკური სპექტრი

უნდა ჩამოყალიბებულიყო, თუმცა ამის გააზრება არსებული პოლიტიკური სუბიექტების მიერ მეტად რთული იყო.

17.1. ქართული პარტიების „რუსული“ ფესვები

დამფუძნებელი კრების არსებობის პერიოდში ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები უკვე დამოუკიდებელ პარტიებს წარმოადგენდნენ, მაგრამ კარგად ახსოვდათ თავიანთი „საერთო-რუსული“ წარსული და ერთმანეთსაც წამოაძახებდნენ ხოლმე. რუსეთში „მენშევიკების“ და „ესერების“ მოქმედებას საკუთარ თავზე ღებულობდნენ.

ამ ქართულ პარტიებს ზოგჯერ კვლავ რუსულ სახელებს უწოდებდნენ. მაგალითად, სტენოგრაფიულ ოქმებში გვხვდება ჩანაწერები: „ხმაურობა მენშევიკების სკამებზე“ (ოქმები, ტ. V, გვ.356, 358), „რეპლიკა მენშევიკებიდან“, ორატორი „უჩვენებს მენშევიკებზე“ (ოქმები, ტ. V, გვ.358, 406),

აღსანიშნავია, რომ საქართველოში იყვნენ სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები, რომლებიც არ შევიდნენ შესაბამის ქართულ პარტიებში, მას შემდეგ რაც ეს პარტიები რუსეთის პარტიებს გამოეყვნენ.

სოციალ-დემოკრატები და ესერები ხშირად უხსენებდნენ ერთმანეთს „რუსულ“ წარსულს. ამ მხრივ დამახასიათებელია შემთხვევა დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე. ცხარე კამათი მიმდინარეობდა აგრარულ საკითხზე. დ. ონიაშვილმა (ს. დ.) სოციალისტ-რევოლუციონერთა დისკრედიტაციისთვის განაცხადა: „მე მგონია, რომ დამფუძნებელ კრებაში ყოველ დეპუტატს და ორატორს შეუძლია ილაპარაკოს აგრარულ კითხვებზე, გარდა იმ ფრაქციისა (მიუთითებს ესერებზე), იმიტომ, რომ იმის შემდეგ, რაც დამარცხება განიცადეს მათ რუსეთში, თქვენ ხომ ფილიალური განყოფილება ბრძანდებით იმ რუსეთის პარტიის“ (ოქმები, ტ. IV, გვ.153). აქ სიტყვა შეაწყვეტინა ლეო შენგელაიას (ს. რ.) მოკლე რეპლიკამ, რომელმაც ქართველ სოციალ-დემოკრატებს ასევე რუსული წარსული გაუხსენა: „თქვენ კი გაიმარჯვეთ?“ (ოქმები, ტ. IV, გვ.153).

სოციალისტ-რევოლუციონერები რუსეთის თებერვლის რევოლუციის დამარცხებაში „მენშევიკებს“ სდებდნენ ბრალს. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 ივლისის სხდომაზე ი. ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, რომ მისი აზრით, „რუსეთი დაღუპა სწორედ იმან“, რომ იქ სოციალისტ-რევოლუციონერები სოციალ-დემოკრატების რჩევას მისდევდნენ „ხშირად საუბედუროდ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.153). დამფუძნებელი კრების 1920 წლის 5 ნოემბრის სხდომაზე ლეო შენგელაიამ უპასუხა ჯუღელს, რომელმაც ესერებს რუსეთის თებერვლის რევოლუციის დამარცებაში დასდო ბრალი. ლეო შენგელაიამ კი პირიქით, ამაში „მენშევიკები“ დაადანაშაულა: ჯუღელმა „ასე დააყენა საკითხი: „თქვენი მთავრობა იყო და დაღუპა რუსეთი. მაშასადამე, თქვენი პოლიტიკა არ ვარგაო. თქვენ გახსოვთ, რომ კერენსკის მთავრობაში იყვნენ სოციალ-დემოკრატები წერეთელი და სხვები... თუ კერენსკის მთავრობა დამარცხდა, ეს იმიტომ, რომ გაიზიარა მენშევიკების პოლიტიკა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.493). მის სიტყვებს დარბაზში ხმაური, სიცილი და თავმჯდომარის ზარი მოჰყვა.

დამფუძნებელი კრების 1921 წლის 5 იანვრის სხდომაზე სამსონ დადიანი (ს. ფ.) ესერების კრიტიკის დროს აღნიშნავდა, რომ „ესერების პარტია რუსეთის პარტიის ჩამონატეხია და მას ჩვენში მომავალი არ ექნება“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.153).

ეროვნული პარტიები სოციალ-დემოკრატებს და სოციალისტ-რევოლუციონერებს შეახსენებდნენ ხოლმე მათ „რუსულ“ წარსულს. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე გრიგოლ ვეშაპელმა, როდესაც ლეო შენგელაიამ (ს. რ.) მისი „კლასობრივი ბუნების“

საჩვენებლად მიაძახა „შენ რომელ ბანაკს ეკუთვნითო“ განუცხადა: „ჩვენ ვეკუთვნით ქართულ ეროვნულ პარტიას და ყოველ შემთხვევაში ჩვენი პარტია არ შეადგენდა არც ერთ უცხო ერის პარტიის ფრაქციას“ (ოქმები, ტ. III, გვ.385).

17.2. საქართველოს პარტიული სპექტრი დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოში ჩამოყალიბდა და მოქმედებდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტია. ესენი იყვნენ ან ადგილობრივ ჩამოყალიბებული, ანდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციები.

დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრზე და საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებს შორის არსებულ ძალთა თანაფარდობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს ეროვნული ყრილობის (1917 წლის 19-22 ნოემბერი) მიერ დამტკიცებული ეროვნული საბჭოს შემადგენლობა:

პარტიის დასახელება	წევრი	კანდიდატი
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია	10	9
საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია	1	1
რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია	7	5
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	9	6
უპარტიონი	2	2
ალიონელები	4	4
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოციალ-დემოკრატები)	28	31
სამაჰმადიანო საქართველო (ბათუმის ოლქი)	3	3
ზაქათალის ოკრუგი (ჭარ-ბელაქანი)	1	-
სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო	1	-
სულ	66	61

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. 1918 წლის 13 სექტემბრის კანონით „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს 26 წარმომადგენლის არჩევის უფლება მიეცათ: სომხებს - 10, თათრებს[12] - 4, აფხაზებს - 3, რუსებს - 2, ოსებს - 2, ქართველ ისრაელებს - 2, ებრაელებს - 1, ბერძნებს - 1, გერმანელებს - 1.

ეროვნულ უმცირესობებს წარმომადგენლები უნდა გამოეგზავნათ იმ ეროვნულ საბჭოებს, რომლებიც არჩეული იყვნენ „საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებენ“. სადაც ასეთი საბჭო არ არსებობდა, საქართველოს ეროვნულ საბჭოში წევრის გაგზავნის უფლება მიეცა ამ ერის ისეთ წარმომადგენლებს, რომლებიც არჩეული იყვნენ „სხვადასხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში საქართველოს რესპუბლიკაში“ (აქტები, 1990, გვ.63).

[12] ასე იწოდებოდნენ მაშინ აზერბაიჯანელები

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების საქართველოს ეროვნულ საბჭოში შეყვანის შემდეგ 1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელი შეეცვალა და „საქართველოს პარლამენტი“ ეწოდა (აქტები, 1990, გვ.81).

საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 22 ნოემბერს დაამტკიცა „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“ (აქტები, 1990, გვ.84-109). არჩევნების მონაწილე სუბიექტების დაფიქსირება ხდებოდა უაღრესად დემოკრატიული წესით, თითოეული საკანდიდატო სიისთვის ხელი უნდა მოეწერა „არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა ორმოცდაათზე არა ნაკლებ“ პირს და სიას შეიძლება თან დართოდა „სახელწოდება მისი წარმომდგენი ორგანიზაციისა“ (აქტები, 1990, გვ.94-95).

დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულებიდან გამომდინარე, არჩევნებში მონაწილე სუბიექტის დაფიქსირება ძალზედ იოლი იყო. ამიტომ შეიძლება გასაკვირიც იყოს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სულ 15 საარჩევნო სუბიექტი დაფიქსირდა (ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა 15 საკანდიდატო სია, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ N 25-ის დამატებაში 1919 წლის 1 თებერვალს). მათ შორის იყო საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტია და პარტიებიდან ჩამოცილებული ფრაქციები, ასევე არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ზოგიერთი ეროვნული უმცირესობის და ქართული ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებმა.

17.3. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები

საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ფორმირებას დააჩქარებდა და ხელს შეუწყობდა წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების ჩატარება. არჩევნების გზით: ა/ გამოირკვეოდა საქართველოს პარტიული სპექტრი და ბ/ არჩევნების შედეგების მიხედვით გამოვლინდებოდა ამ პარტიებს შორის თანაფარდობა. ამ ამოცანების გადაჭრა წილად ხვდა საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომლის ძირითადი არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა, შემდეგ კი გაიმართა ორი დამატებითი არჩევნები (1919 წ. აგვისტოში და 1920 წლის მაისში) იმ ტერიტორიებზე, სადაც თავიდან არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე 15 პოლიტიკური სუბიექტი შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ:

- **ქართული პოლიტიკური პარტიები და მათი განაყოფები** - 7 სუბიექტი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია, საქართველოს ეროვნული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია);
- **არჩევნების წინ შექმნილი ქართული ინტელიგენციის პოლიტიკური ჯგუფები** - 3 სუბიექტი („შოთა რუსთაველის ჯგუფი“, „ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა“, დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი);
- **ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური გაერთიანებები** - 3 სუბიექტი (საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო, ბორჩალოს მაზრის მუსულმანები, ელინთა დემოკრატიული პარტია);

- **უცხოური პოლიტიკური პარტიები** - 2 სუბიექტი (სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკციუთუნი“, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) - ეს პარტიები საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მოქმედებდნენ. დაშნაკთა პარტია მმართველო პოლიტიკური ძალა იყო სომხეთში; რაც შეეხება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნამდე მისი წევრები სწორედ ამ პარტიაში შედიოდნენ.

არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ წინასაარჩევნოდ ნაჩქარევად შექმნილმა ინტელიგენციის პოლიტიკურმა პარტიებმა (უპარტიოთა კავშირი, შოთა რუსთაველის პარტია, ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა) ვერ მოიპოვა ელექტორატის მხარდაჭერა და მათ ერთი დეპუტატის გაყვანაც ვერ შეძლეს დამფუძნებელ კრებაში.

ამომრჩეველთა მხარდაჭერა ასევე ვერ მოიპოვეს ეროვნული უმცირესობების სახელით მოქმედმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა.

თუ შევადარებთ საქართველოს პარლამენტის პარტიულ შემადგენლობას დამფუძნებელი კრების ძირითადი არჩევნების შედეგებს, ვნახავთ, რომ სოციალ-დემოკრატებმა მკვეთრად გაზარდეს თავიანთი წარმომადგენლობა, სხვა პარტიების წარმომადგენლობა კი რამდენჯერმე შემცირდა:

პარტია	საქართველოს პარლამენტი 1918 წევრი (66) - %	დამფუძნებელი კრება 1919 წ. თებერვალი წევრი (130) - %
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია	28 (42,42%)	109 (83,84%)
ალიონის ჯგუფი	4 (6,06%)	შეუერთდნენ სოციალ-დემოკრ.
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	9 (13,63%)	8 (6, 153%)
სოციალისტ-ფედერალისტები	10 (15,15%)	8 (6, 153%)
სოციალისტ-რევოლუციონერები	7 (10,6%)	5 (3, 846%)

17.4. ცვლილებები საქართველოს დამფუძნებელი კრების პარტიულ შემადგენლობაში

პირველი დამატებითი არჩევნები

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე დამატებითი არჩევნების შესახებ სამანდატო კომისიის მოხსენებით გამოვიდა გრიგოლ ურატაძე (ს. დ.). სამანდატო კომისიის მოხსენებასთან დაკავშირებით სიტყვით არავინ გამოსულა და დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაამტკიცა. თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ მოკლედ შეაჯამა დამფუძნებელი კრების პარტიულ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები: „თანახმად თქვენი გარდაწყვეტილებისა, სოც.-ფედერალისტების მხრივ გასულია ს. დადიანი, დაშნაკელების მხრივ: ზორიანი, ავეტისიანი და დავითხანიანი, დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიიდან - ბ. გრიგოლ ვეშაპელი. პირველ ნომრის სიიდან გადარიცხულია კანდიდატთა სიაში: ოლღა სოლოღაშვილი, ერმალოზ სირბილაძე, სოლომონ ვადაჭკორია და იოსებ ირემაშვილი. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან გადარიცხულია კანდიდატთა სიაში დეპუტატი პ. სურგულაძე“ (ოქმები, ტ. III, გვ.184).

დამფუძნებელი კრების პარტიულ შემადგენლობაში შემდეგი ცვლილებები მოხდა:

საარჩევნო N	პარტიის სახელწოდება	ცვლილებები დეპუტატების შემადგენლობაში	ხმების ნაშთი
N 1		დააკლდათ ოთხი დეპუტატი: ვადაჭკორია, სირბილაძე, ირემაშვილი და ანა სოლოღა-შვილი	91
N 2		დააკლდა პ. სურგულაძე	546
N 3		შეინარჩუნა არსებული 5 ადგილი	676
N 4	დაშნაკები	გაიყვანეს 3 დეპუტატი ზორიანი, ავეტისიანი და დავითხანიანი	2649
N 5		გაიყვანეს 1 დეპუტატი: სამსონ დადიანი	1142
N 8	ეროვნული პარტია	გაიყვანეს 1 დეპუტატი: გრიგოლ ვეშაპელი	4407

მეორე დამატებითი არჩევნები

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 მარტის სხდომაზე დამატებითი არჩევნებისათვის 500 ათასი მანეთი გამოიყო. მომხსენებელმა ო. სოლოღაშვილმა აღნიშნა, რომ 1919 წელს არჩევნებისთვის 4 მილიონი მანეთის გამოყოფის დროს, ეგონათ „მოკლე ვადაში დამთავრდებოდა არჩევნები, რადგანაც ეს ერთ და იმავე დროს უნდა მომხდარიყო მთელ ტერიტორიაზე“ (ოქმები, ტ. VI, გვ.99), მაგრამ მხოლოდ „ძირითადი არჩევნები მოხდა“, დამატებითი არჩევნების დროს ფულის კურის დაეცა და „ნაწილობრივ არჩევნებმა გაცილებით მეტი ხარჯი გამოიწვია ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო“. ამიტომ ცენტრალური საარჩევნო კომისია დამატებით ითხოვდა 500 ათას მანეთს (ოქმები, ტ. VI, გვ.99).

1918 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „დეკრეტი დამფუძნებელ კრების არჩევნების დებულების დამატებისა“. მომხსენებელმა ილია ფირცხალაიშვილმა (ს. დ.) აღნიშნა, რომ თავის დროზე სოხუმის ოლქში არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ იქ „სწარმოებდა სამხედრო მოქმედება“, არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა პირველი დამატებითი არჩევნების დროსაც სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო და უმთავრესად იმიტომ, რომ „არ იყო დამზადებული საარჩევნო სიები“. არჩევნები 6 თვით გადაიდო, რომელიც 1920 წლის თებერვალში გადიოდა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა, რომ „სოხუმის ოლქში არჩევნები მოახდინოს საარჩევნო ვადის გასვლამდე“.

ამასთან, თუ სოხუმის ოლქში გამოჩნდებოდა „პარტია თუ ჯგუფი“, რომელსაც ადრე არჩევნებში მონაწილეობა არ ქონდა მიღებული (არ შედიოდა 15 საარჩევნო სუბიექტში), მას შეეძლო „20 დღით არჩევნების დაწყებამდის“ წარმოედგინა სია და მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა იყო ასეთი გადაწყვეტილების „უმთავრესი მოსაზრება“ - საჭიროდ ჩაითვალა, რომ „სოხუმის ოლქში არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება მეტმა ამომრჩეველმა“, „გვინდა სოხუმის ოლქში ყველა მომქმედმა პარტიებმა მიიღოს მონაწილეობა“ (ოქმები, ტ. IV, გვ.53). წარმოდგენილ დეკრეტს რაიმე განხილვა არ მოჰყოლია და დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო.

მეორე დამატებითი არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით სამანდატო კომისიის მოხსენება დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 25 მაისს მოისმინა. საარჩევნო მეტრი 4643 ხმა გახდა. დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ (არჩევნები, 1919, გვ.97):

N	პარტია	ადგილების რაოდენობა	ცვლილება შემადგენლობაში	ხმების ნაშთი
N 1		102	დააკლდა სამი დეპუტატი: ა. სოლო-ღაშვილი, ვ. ლორია, ლ. ჟღენტი	52
N 2		8	მიემატა 1 დეპუტატი პ. სურგულაძე	851
N 3		6	მიემატა 1 დეპუტატი ი. ლორთქიფა-ნიძე	3246
N 4		3	ცვლილება არ მომხდარა	2962
N 5		9	ცვლილება არ მომხდარა	1862
N 8		2	მიემატა 1 დეპუტატი შ. ქარუმიძე	50

არჩევნების მონაწილე უცხოური პოლიტიკური პარტიებიდან 1-ლ დამატებით არჩევნებზე სამი დეპუტატის გაყვანა შეძლო სომხეთის რევოლუციური ფედერაცია „დაშნაკცუტიუნმა“, საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ.

დამფუძნებელი კრების წევრობაზე უარის თქმის, გარდაცვალების და მათ ნაცვლად პარტიული სიიდან ახალი დეპუტატების შეყვანის, დამატებითი არჩევნების და ახალი პარტიების წარმომადგენელთა დამფუძნებელ კრებაში შესვლის, ფრაქციული გადაჯგუფებების შედეგად დამფუძნებელი კრების პარტიული სტრუქტურა გარკვეულწილად იცვლებოდა.

რაც შეეხება ჩვენს მიერ მოცემულ კლასიფიკაციაში პარტიათა პირველ ჯგუფს, 7 სუბიექტიდან დამფუძნებელ კრებაში მოხვდა ჯერ 4, შემდეგ კი, დამატებითი არჩევნების შედეგად, 5 სუბიექტი. დამფუძნებელ კრებაში ისინი შემდეგნაირად იყვნენ წარმოდგენილი:

პოლიტიკური პარტიები	ძირითადი არჩევნები - 1919 წ. 14-16 თებერვალი	1-ლი დამატებითი არჩევნები - 1919 წ. VIII	მე-2 დამატებითი არჩევნები - 1920 წ. V
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია	109	105	102
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	8	7	8
საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია	5	5	6
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია	8	9	9
„დაშნაკცუთიუნი“	-	3	3
საქართველოს ეროვნული პარტია	-	1	2

1921 წლის იანვარი პოლიტიკურად უაღრესად „ცხელი“ აღმოჩნდა. საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ძალებს კარგად ესმოდათ, რომ ქვეყანა ახალ საპარლამენტო არჩევნებს უახლოვდებოდა და ამისათვის აქტიურად ემზადებოდნენ. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ორი ძირითადი მოვლენა, რამაც გავლენა მოახდინა დამფუძნებელ კრებაში ძალთა თანაფარდობაზე:

- საქართველოში არსებული არასოციალისტური პარტიების გაერთიანება და საქართველოს დემოკრატიული პარტიის შექმნა, რასაც მოჰყვა დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი დეპუტატების ერთ ფრაქციად გაერთიანება;

- განხეთქილება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და მისგან გამოყოფილი დეპუტატების მიერ ცალკე ფრაქციის დაარსება „ახალი სხივის“ სახელწოდებით.

დამფუძნებელი კრების არჩევნებმა და მისი არსებობის ორწლიანმა პერიოდმა გამოკვეთა გარკვეული ტენდენციები ქართული პოლიტიკური სპექტრის განვითარებაში. კერძოდ:

- მემარცხენე პოლიტიკური პარტიების დომინირება - მათ ჰყავდათ ჯერ 122, შემდეგ 120 დეპუტატი დამფუძნებელი კრების მოქმედ 130 წევრიდან);

- სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასუსტების ტენდენცია - 109 დეპუტატიდან 93 დეპუტატამდე შემცირება. ამის მიზეზი იყო დამატებითი არჩევნების შედეგად სხვა პარტიების მიერ დეპუტატების გაყვანა და სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან მემარცხენე ფრთის („ახალი სხივის“ ჯგუფის) ცალკე პარტიად ჩამოყალიბება;

- მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გაერთიანება („დემოკრატიული პარტიის“ შექმნა)- 1921 წლის იანვარში გაერთიანდა ყველა არასოციალისტური დემოკრატიული პარტია და დამფუძნებელ კრებაში ერთიანი ფრაქცია შექმნეს.

რაც შეეხება პარტიების განლაგებას მემარცხენე-მემარჯვენეობის ხაზზე, თავიდან მემარჯვენე ფრთას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენდა. დამატებითი არჩევნების შედეგად დამფუძნებელ კრებას ეროვნული პარტია შეემატა, რომელსაც თავიდან ერთი, შემდეგ კი 2 დეპუტატი ჰყავდა. ეროვნული პარტია უფრო მემარჯვენედ მიიჩნეოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან შედარებით. 1919 წლის 14 ნოემბერს დამფუძნებელი კრების სხდომაზე აღნიშნავდა, რომ გრიგოლ ვეშაპელი „უფრო მემარჯვენე ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენელი“ იყო (ოქმები, ტ. IV, გვ.25).

დამფუძნებელი კრების პარტიული სპექტრი 1921 წლის 11 თებერვლისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

პარტია	ადგილები დამფუძნებელ კრებაში
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია	93
დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია „სხივი“	8
დემოკრატიული ფრაქცია (არა-სოციალისტური პარტიების გაერთიანება)	10
სოციალისტ-ფედერალისტები	9
სოციალისტ-რევოლუციონერები	6
დაშნაკცუთიუნი	3
დამოუკიდებელი დეპუტატი	1

1921 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო საქართველოს პარლამენტის არჩევნები 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, თუმცა საბჭოთა ოკუპაციამ მოვლენები სულ სხვაგვარად წარმართა.

17.5. დამოკიდებულება პარტიებს შორის

სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები

ესერების დამოკიდებულებას სოციალ-დემოკრატებისადმი განსაზღვრავდა მათ მიერ არსებული ვითარების შეფასება. ისინი დამფუძნებელ კრებას და ნოე ჟორდანიას მთავრობას

„სოციალისტურს“ უწოდებდნენ (ოქმები, ტ. I., გვ.545-546) და მათგან „სოციალიზმის აშენებას“ მოელოდნენ.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 27 მაისის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) განაცხადა, რომ მმართველი პარტიის პოლიტიკა „დაშორდა არამც თუ სოციალიზმს, დაშორდა უბრალო დემოკრატიზმსაც კი“ (ოქმები, ტ. I., გვ.545). მისი განცხადებით, მემარცხენე პარტია „უზომიერეს ნაციონალ-დემოკრატებზე მარჯვნით გადაიხარა“, რომ სოციალ-დემოკრატები თავიანთ მოქმედებაში „არაფრით განირჩევა ნაციონალ-დემოკრატებისაგან“ , „სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობაში არ არის რა სოციალისტური, არც რევოლიუციონური და არც დემოკრატიული“ (ოქმები, ტ. I., გვ.546).

ესერების განცხადებით, სოციალ-დემოკრატები რევოლუციის მონაპოვრების გაღრმავებაზე უარს ამბობდნენ, რადგანაც „ეს ტერმინი სოციალ-დემოკრატებისთვის მეტად რევოლიუციონური“ იყო (ოქმები, ტ. I., გვ.545).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 30 მაისის სხდომაზე ლეო შენგელაია (ს. რ.) კვლავ თავს დაესხა სოციალ-დემოკრატებს. მისი განცხადებით, „სოციალ-დემოკრატიის რევოლუციონური შემოქმედება ამოიწურა, გამოიფიტა. ამას ვხედავთ ჩვენ სოციალ-დემოკრატიის მუშაობაში, როგორც დამფუძნებელ კრებაში, ისე მის გარეშე პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც... ოპორტუნიზმისა და ორჭოფობის პოლიტიკამ ისინი გადააქცია ნამდვილ ბიუროკრატიათ“ (ოქმები, ტ. II., გვ.24).

სოციალ-დემოკრატების განაცხადი აეშენებინათ დემოკრატიული სახელმწიფო, ესერებს შეცდომად მიაჩნდათ. ლეო შენგელაიას თქმით „სოციალ-დემოკრატის თითონ აცხადებს, რომ ის დღეს სხვის საქმეს აკეთებს“, მაგრამ არც მშრომელ ხალხს უნდა აკეთოს სხვისი საქმე და „არც ბურჟუაზიას სურს არა მკითხე ოპეკუნები“ (ოქმები, ტ. II., გვ.24).

„სოციალიზმისა და დემოკრატიზმის სახელით ისინი ამტკიცებენ დღეს ბურჟუაზიულ წყობილებას“, - აცხადებდა ლეო შენგელაია. აქ საგულისხმოა ოქმში დაფიქსირებული გიორგი გვაზავას (ე. დ.) რეპლიკა: „სახელმწიფოს!“(ოქმები, ტ. II., გვ.24). ეროვნულ-დემოკრატები მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატების იმ ნაბიჯებს, რაც სახელმწიფოს მშენებლობისკენ იყო მიმართული.

17.6. მემარცხენე პარტიების „კლასობრივი ხედვა“

როგორ გავიგოთ კლასთა ბრძოლა

მემარცხენე პარტიები, რომლებიც პოლიტიკურ ცხოვრებას „კლასობრივი ბრძოლის“ თვალთახედვით აღიქვამდნენ, აუცილებლად მიიჩნევდნენ „მტრული კლასების“ წინააღმდეგ ბრძოლას. თუმცა, აქ განსხვავება უნდა გავავლოთ ერთი მხრივ, ესერებსა და ფედერალისტებს და, მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატებს შორის. ფედერალისტების ნაწილისთვის და, განსაკუთრებით, ქართველი ესერებისთვის, კლასობრივი ბრძოლა, საბოლოო ჯამში, შეიარაღებულ დაპირისპირებას ნიშნავდა და აქ მათზე დიდ გავლენას ახდენდა ბოლშევიკური რუსეთის მაგალითი. რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში ბოლშევიკების წარმატებებთან ერთად, ქართველი „რადიკალი“ მემარცხენეებისთვის მათი მაგალითი სულ უფრო „სანიმუშო“ ხდებოდა.

ალექსანდრე ასათიანი (ე. დ.) დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 ივლისის სხდომაზე შეეცადა დამფუძნებელ კრებაში მყოფი სოციალისტებისთვის ბოლშევიკური რუსეთის მაგალითით დაესაბუთებინა, თუ „რა ნაყოფი“ მოიტანა „უკიდურესმა სოციალისტური პოლიტიკის წარმოებამ რუსეთში“. ალექსანდრე ასათიანის აზრით, ბოლშევიკებმა რუსეთში სრულად განახორციელეს ის, რაც მარქსის მოძღვრებიდან გამომდინარეობდა. მისი თქმით, „კლასთა ბრძო-

ლის პრინციპი, ერთი კლასის ძალით მეორე კლასის დამხობა და ცხოვრების გარდაქმნა არის ის მთავარი საფუძველი, რომელსაც ემყარება მარქსი და ენგელსი და რომელიც სავსებით განახორციელეს ბოლშევიკებმა რუსეთში“ (ოქმები, ტ. VII, გვ.115). ბოლშევიკების მიერ რუსეთში განხორციელებულმა ამ პოლიტიკამ, „სოციალისტური დიქტატურის და კლასთა ბრძოლის პოლიტიკის გაჩაღებამ ვერ მოუტანა მშრომელ ხალხს რაიმე შვება და მდგომარეობის შემსუბუქება“ (ოქმები, ტ. VII, გვ.1175).

კლასთა ბრძოლის საკითხზე დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების თვალსაზრისის წარმოსაჩენად, საგულისხმო დებატები გაიმართა დამფუძნებელი კრების 1920 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა კანონი „შრომითი ხელშეკრულების შესახებ“. აღნიშნული კანონის წინააღმდეგ აქტიურად გამოვიდნენ ესერები, მიიჩნევდნენ მას „მუშების ინტერესების საწინააღმდეგოდ“, „კლასებს შორის ზავის“ გამოხატულებად. „კლასობრივი ზავი“ რევოლუციონერი სოციალისტის ლექსიკონში უმძიმეს პოლიტიკურ ბრალდებას წარმოადგენდა.

სოციალისტ-რევოლუციონერების და სოციალისტ-ფედერალისტთა ნაწილის მიერ კლასობრივი ბრძოლის ამგვარ გაგებას უპირისპირდებოდა ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიცია. აღნიშნულ სხდომაზე პავლე ბერიშვილმა (ს. დ.) რადიკალ-მემარცხენეებს პირდაპირ მიმართა: „თუ თქვენ გგონიათ, რომ რევოლვერების სროლა და ხმლის ტრიალი არის საჭირო კლასთა ბრძოლისათვის, შემცდარი ხართ. ჩვენ ამას არ ვიზიარებთ. ჩვენ ვადგივართ იმ აზრს, რომ კლასთა ბრძოლა არის მშვიდობიანი ბრძოლა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.271).

პავლე ბერიშვილის განცხადებით, კლასობრივი ბრძოლა კანონის ფარგლებში უნდა მიმდინარეობდეს. წარმოდგენილ კანონში შრომითი ხელშეკრულებების შესახებ ჩანდა „კლასთა ბრძოლა, რომელიც არსებობს რესპუბლიკის, ქვეყნის შიგნით“ და თვითონ კანონი იყო „მუშათა კლასის ბრძოლის შედეგი“. სოციალ-დემოკრატებისთვის წარმოდგენილი კანონი კლასთა ბრძოლის შედეგი და იმავდროულად სივრცე იყო კლასობრივი ბრძოლისათვის. პავლე ბერიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს კანონი არის თავგამოდებულ კლასთა ბრძოლის ნაყოფი და ამასთანავე არის ის მინდორი, რომელიც ეძლევა მუშათა კლასს კლასთა ბრძოლის გაჩაღებისათვის. აქ არის თავისუფალი კლასთა ბრძოლა და არა ზავი კლასთა შორის. ეს არის სწორედ ის ფარგალი კლასთა ბრძოლისა, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია სრულიად შესაძლებლად კლასთა ბრძოლის ქვეყანაში, დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ (ოქმები, ტ. VII, გვ.271).

ვის წინააღმდეგ არის მიმართული დამფუძნებელი კრება

სოციალ-დემოკრატები აღნიშნავდნენ, რომ დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობას „მუშათა კლასის ინტერესების დამცველები“ იყვნენ. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 20 ივლისის სხდომაზე ი. ფირცხალაიშვილმა (ს. დ.) განაცხადა, რომ „ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში დიდ უმრავლესობას მუშათა კლასის ინტერესების დამცველები შეადგენენ. ეს ჩვენგან მოითხოვს იმას, რომ მუშათა საკითხი პირველ რიგში წამოვაყენოთ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.53).

მიუხედავად მუშათა კლასის ინტერესების დომინირების აღიარებისა, სოციალ-დემოკრატები არ თვლიდნენ, რომ დამფუძნებელი კრება რომელიმე წოდების წინააღმდეგ იყო მიმართული. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე კირილე ნინიძემ (ს. დ.) განაცხადა: „დამფუძნებელ კრებას არ შეუძლია იბრძოლოს რომელიმე წოდების წინააღმდეგ. დამფუძნებელი კრება იბრძვის მხოლოდ უსამართლობის წინააღმდეგ“ (ოქმები, ტ. IV., გვ.170). განცხადებას, რომ ტყით სარგებლობის დეკრეტით ყოფილი თავადაზნაურების წარმომადგენლები ისარგებლებდნენ, კირილე ნინიძემ უპასუხა, რომ ამაში რაიმე პრობლემას ვერ ხედავს: „თუ ამ დეკრეტით ვინმე თავადიშვილი, ან აზნაური მიიღებს რამეს - ეს ჩვენ არ გვაშინებს...

ნორმა, რომელიც უნდა მიეცეს ყველას, თავადი იქნება, აზნაური თუ გლეხი - იქ არავითარი განსხვავება არ არის...“ (ოქმები, ტ. IV., გვ.170-171).

სხვა მემარცხენეები ასე არ თვლიდნენ. მათთვის სახელმწიფო მხოლოდ გარკვეული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა. ი. ლორთქიფანიძის (ს. რ.) განცხადებით, „არ შეიძლება ეკონომიკური ცხოვრების აღორძინებაში დავიცვათ ყველა კლასის ინტერესები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვიცოდეთ, ვის ემსახურება სახელმწიფო ძალა-უფლება“ (ოქმები, ტ.VII, გვ.224).

შეიძლება თუ არა ტაში დაუკრა სხვა კლასის წარმომადგენელს

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 5 მარტის სხდომაზე სამსონ დადიანი (ს. ფ.) გაკვირვებული დარჩა, რომ სოციალ-დემოკრატებმა ტაში დაუკრეს ნიკო ნიკოლაძის (ე. დ.) გამოსვლას და ეს „კლასობრივი მიდგომით“ ახსნა: „ალბათ ნიკოლაძის ბურჟუაზიული სულის კვეთება ძლიერ ეგუება მენშევიკურ-ბურჟუაზიულ საქმიანობას“ (ოქმები, ტ. V, გვ.407).

ქართული ბურჟუაზიის კრიტიკა

ესერები და ფედერალისტები მტრულად იყვნენ განწყობილნი ქართული ბურჟუაზიის მიმართ. როგორც თედო ღლონტი (ს. ფ.) აღნიშნავდა, „არც ერთ დარგში არ გამოჩენილა ჩვენი ბურჟუაზია, ის მხოლოდ პარაზიტული ელემენტი არის საქართველოში“ (ოქმები, ტ. VII, გვ.184), „ბურჟუაზია ჩვენში არ არსებობს, როგორც სოციალური ძალა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.185). მათთვის მიუღებელი იყო სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა, რომელიც მთავარ ამოცანად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას სახავდა და უარს ამბობდა საკუთრების „სოციალისტური განსაზოგადოების“ აქტიურ პოლიტიკაზე. ეს პოლიტიკა, მემარცხენე ოპოზიციის აზრით, აძლიერებდა ბურჟუაზიას საქართველოში, რასაც მომავალში „მძიმე შედეგები“ მოჰყვებოდა. იგივე თედო ღლონტი (ს. ფ.) ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ნუ ვქმნით ბურჟუაზიას იდეიაში“, „ნუ ვაძლევთ ბურჟუაზიას გაძლიერების საშუალებას“, რადგანაც ამის გამო შეიძლება „შემდეგ სისხლის ღვრა დაგვჭირდეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.185).

„კმაყოფილი“ თავად-აზნაურობა, რომელიც „აღარ არსებობდა“

მემარცხენე ოპოზიციის მხრიდან უცნაური იყო თავად-აზნაურობის კრიტიკა, რომელიც სოციალისტური იდეოლოგიის მიხედვით, რეაქციულ ძალას და მტრულ კლასს წარმოადგენდა. თედო ღლონტის (ს. ფ.) დახასიათებით, თავადაზნაურობა „საფრთხეს წარმოადგენდა მუშათა კლასისთვის. მაგრამ ის მოვსპეთ, ის დღეს აღარ არსებობს, ის დაიქსაქსა, ბევრი მათგანი მოკალათდა მენშევიკების პარტიაში“ (ოქმები, ტ. VII, გვ.184). ამის მიზეზი, თედო ღლონტის თქმით, სოციალ-დემოკრატების მიერ გატარებული აგრარული რეფორმა იყო. ქართველ თავადაზნაურობის უმრავლესობას 7-15 დესეტინაზე მეტი მიწა არ ჰქონდა და რეფორმამ „მისცა საშვალება არსებობისა და ამნაირათ, ეს კატეგორია შეუკავშირდა სახელმწიფოს... ამ კანონმა ის მოახდინა, რომ მოწინააღმდეგეები აღარა გვყავს თავად-აზნაურობაში“ (ოქმები, ტ. VII, გვ.184).

თავადაზნაურობის ეროვნულ პოზიციას, რომ ის ჩადგა დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურში ვალიკო ჯუღელიც აღნიშნავდა. თავის დღიურში 1919 წლის 28 ივნისს ის წერდა: „მემამულეთაგან ბევრი არა მარტო შეურიგდა მიწების დაკარგვას, არამედ დემოკრატიის სამსახურშიც კი ჩადგა“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.237).

როცა „მტრული კლასის“ ხსენება დამაჯერებელი არ არის

1919 წლის 6 მაისს, სოციალისტ-რევოლუციონერთა შეკითხვაზე პასუხის გაცემისას (ოკრიბაში მილიციის რაზმის უკანონო მოქმედების შესახებ), შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა თავის სიტყვაში „კლასობრივი მომენტი“ შემოიტანა. მინისტრმა აღნიშნა, რომ მილიციის რაზმს შეუერთდა „რამდენიმე პირი ადგილობრივი, ეგრედწოდებული პრივილეგიურ

წოდებისა... - აზნაურების“ და „გაერთიანებულმა რაზმმა მრავალი ბოროტმოქმედება ჩაიდინა“ (ოქმები, ტ. I, გვ.350). აზნაურების ხსენებას დამფუძნებელი კრების წევრთა ნაწილის მხრიდან სიცილი და კომენტარები მოჰყვა. დეპუტატები აზნაურების „ნეგატიური როლის“ ჩვენების მცდელობას აბსურდულად მიიჩნევდნენ.

იოსებ მაჭავარიანმა (ე. დ.) თავის გამოსვლაში დაგმო მინისტრის „ასეთი სისტემა არა სასურველ მოვლენების ახსნაში“, თითქოს აზნაურების „ზეგავლენით მოხდა ეს ბოროტმოქმედებაო“ (ოქმები, ტ. I, გვ.451). მაჭავარიანის განცხადებით, ეს იყო „დრომოჭმული ჩვეულება“ და „ძველი ხერხი ჩვენი სოციალ-დემოკრატებისა“, რომლებიც „ყოველივე უბედურებას ჩვენში აბრალებენ თავად-აზნაურობას. თუ ეს საჭირო იყო რევოლუციის პირველ დღეებში, - ისიც პარტიისათვის და არა ქვეყნისთვის, დღეს პრივილეგიურ წოდებაზე ლაპარაკი სრულებით ზედმეტი არის“ (ოქმები, ტ.I, გვ.451-452). მაჭავარიანის განცხადებით, მთავრობამ თავისი ცოდვები ოკრიბის აზნაურობას კი არ უნდა გადააბრალოს, არამედ გულახდილად აღიაროს ერის წინაშე თავის დანაშაული“ (ოქმები, ტ.I, გვ.453) და არ დაადანაშაულოს მით უმეტეს ოკრიბის აზნაურობა, რომელიც რევოლუციამდე „თითქმის არ განირჩეოდა გლეხისაგან“ (ოქმები, ტ. I, გვ.451).

„კლასობრივი მიდგომის“ აბსურდულობის საჩვენებლად იოსებ მაჭავარიანმა მთავრობის შემადგენლობაზე მიუთითა, სადაც უმრავლესობა ყოფილ აზნაურებს შეადგენდნენ. „ჩვენმა მთავრობამ, ღმერთმა დაიფაროს იგი, - და რამე ბოროტმოქმედება ჩაიდინოს ერის წინაშე, ჩვენ მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ მთავრობამ ეს ბოროტება ჩაიდინა იმისთვის, რომ ყველა ჩვენ მინისტრებში და მათ თანაშემწეებში, ორი თუ სამი კაცის გარდა, სუყველა აზნაურიშვილები არიან. რა შუაშია აქ აზნაურობა?“ (ოქმები, ტ. I, გვ.451).

17.7. პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური დებატები

დამფუძნებელ კრებაში მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებისთვის უდავოდ იყო მიჩნეული, რომ დეპუტატები გარკვეული იდეოლოგიის მატარებელნი იყვნენ და რომელიმე კლასის ინტერესებს იცავდნენ. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე ალექსანდრე ასათიანის (ე. დ.) იდეოლოგიის თაობაზე საკმაოდ ვრცელი მსჯელობა გაიმართა. ჯერ ნიკო ელიავამ (ს. დ.) ახსენა „...ის ჯგუფი, რომლის იდეოლოგად არის აქ ასათიანი“. მისთვის ალექსანდრე ასათიანი „ბურჟუაზიის იდეოლოგი“ იყო და, სოციალისტებისთვის თავად ამ ფაქტის აღნიშვნა შესაბამისი პოლიტიკოსის დისკრედიტაციას ნიშნავდა. ეს თემა სოციალ-დემოკრატებს არ დავიწყებიათ და ალექსანდრე ასათიანის სიტყვით გამოსვლის დროს გაისმა ვ. ჯუღელის რეპლიკა-შეკითხვა: „ვისი იდეოლოგი ხართ თქვენ?“ ალ. ასათიანის მიერ პასუხის გაცემამდე, სტენოგრაფიულ ჩანაწერში დაფიქსირებულია „ხმა“ (ანუ სტენოგრაფისტმა ვერ გაარჩია, თუ ვის ეკუთვნოდა რეპლიკა), რომელმაც პასუხი გასცა ჯუღელის კითხვას, - „ნორჩი ბურჟუაზიის იდეოლოგი!“. ალექსანდრე ასათიანმა ეს რეპლიკები, სოციალისტების აზრით მის დისკრედიტაციისთვის გამიზნული, უპასუხოდ არ დატოვა: „დიახ, ნორჩი ბურჟუაზიის იდეოლოგი ვარ. უნდა იცოდეთ, რომ ეს ნორჩი ბურჟუაზიაა მთელი საქართველო, თქვენ ეს უნდა იცოდეთ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.141).

შემდეგ გაიმართა დისკუსია ალ. ასათიანსა და ვ. ჯუღელს შორის მარქსიზმის მიერ ბურჟუაზიის როლის აღიარებისა და თავად მარქსიზმის შესახებ:

„ალ. ასათიანი: ...ვალ. ჯუღელს, რომ არ დავიწყებოდა, რომ ბურჟუაზია თვით მარქსისტული თვალსაზრისით არის მესაკუთრეთა კლასი - ჩვენი გლეხ-კაცობა... ქალაქის მესაკუთრე

მცხოვრებნი და ინტელიგენციაც, რომელსაც აქვს ერთგვარი გონებრივი კაპიტალი, ასე აღარ იფიქრებდა.

ჯუღელი: ეს მეორე ტიპის მარქსიზმია!

ალ. ასათიანი: არა ბ-ნო ჯუღელო, ეს კი არ არის მეორე ტიპის მარქსიზმი, არამედ თვითონ თქვენ არა ხართ იმ ტიპის მარქსისტი, რომლისაც იყო მარქსი“ (ოქმები, ტ. IV, გვ.141).

სოციალ-დემოკრატების იდეოლოგია ესერთა თვალით

ესერები საუბრობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიურ დაბნეულობაზე. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 ივლისის სხდომაზე ლეო შენგელაია (ს. რ.) აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატებისთვის მოულოდნელი იყო მთელი ძალა-უფლების მათ ხელში მოქცევა. „ასეთი მდგომარეობისათვის ის არ ემზადებოდა. დღევანდელი მისი მდგომარეობა ეწინააღმდეგება ყველა იმას, რასაც სოციალ-დემოკრატია ქადაგებდა... რეაქციონურ გლეხობის ქვეყანაში რომ სოციალ-დემოკრატია იდგეს სათავეში - ეს ეწინააღმდეგება მარქსის მოძღვრებას. სოციალ-დემოკრატია დაიბნა“ (ოქმები, ტ. III, გვ.44).

სოციალ-დემოკრატია, ილია ნუცუბიძის (ს. რ.) განცხადებით, ხალხის სახელით ლაპარაკობდნენ, მაგრამ „ხალხის საქმეს ნაკლებად აკეთებს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.110). ლეო შენგელაიას (ს. რ.) თქმით, „სოციალ-დემოკრატიის დემოკრატიზმი ისევე ყალბი და საეჭვოა, როგორც ყალბი და საეჭვოა მისი სოციალიზმი“ (ოქმები, ტ. VI, გვ.472).

ლეო შენგელაიას (ს. დ.) განცხადებით, „როგორც მენშევიზმი, ისე ბოლშევიზმი, წმინდა რუსული მოვლენაა“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.251). უფრო ადრე, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე ლეო შენგელაიამ ესერების დამოკიდებულება ამ ორი მიმართულებისადმი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ბოლშევიზმი - ეს არის სოციალიზმი უდემოკრატიოთ. მენშევიზმი - ეს არის დემოკრატია უსოციალიზმოთ. ჩვენ გვინდა ორივე ერთად“ (ოქმები, ტ. III, გვ.391).

ესერები მიუთითებდნენ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები, „მენშევიკები“ დიდი ხნის განმავლობაში „ბოლშევიკებთან“ ერთ პარტიას შეადგენდნენ, ერთი იდეოლოგიის იყვნენ და მხოლოდ რადიკალიზმის ხარისხით განსხვავდებოდნენ. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 მარტის სხდომაზე ილია ნუცუბიძემ (ს. რ.) ამის შესახებ აღნიშნა: „ბოლშევიკები და მენშევიკები ორი სხვა და სხვა ტოტია ერთი და იმავე ხის ტანის, ასე რომ თავის ბუნებით და ტაქტიკით ერთი და იგივე არიან, განსხვავება მხოლოდ მემარცხენე-მემარჯვენეობაშია... მენშევიკი იგივე ბოლშევიკია, მხოლოდ მარჯვნიდან. როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები არ ინდობენ არავითარ იდეურ მოწინააღმდეგეს“ (ოქმები, ტ. VI, გვ.111).

ილია ნუცუბიძის განცხადებით, სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთისათვის პოლიტიკაში ეთიკური ნორმები არ არსებობდა. მისი განცხადებით, „სოციალ-დემოკრატები არიან ეგნატე ლაიოლას მემკვიდრენი, როგორც თავის მოქმედებაში, ისე მოძღვრებაში და არსად და არასოდეს არ ზოგავენ არავითარ საშუალებას მიზნის მისაღწევად“(ოქმები, ტ. VI, გვ.110).

ესერთა აზრით, საქართველოში სოციალ-დემოკრატების ბატონობის გამო პარტიებს შორის ურთიერთობამ მახინჯი ფორმა მიიღო. ილია ნუცუბიძის თქმით, „არც ერთ სახელმწიფოში, არც ერთ ქვეყანაში დედამიწის ზურგზე არ ყოფილა ისეთი მახინჯი დამოკიდებულება პარტიებს შორის, როგორც ჩვენ ვხედავთ საქართველოში და ამის მიზეზი არის გაბატონებული პარტია, რომელმაც მოშხამა საზოგადოებრივი ატმოსფერა“ (ოქმები, ტ. VI, გვ.110-111).

ესერების იდეოლოგია სოციალ-დემოკრატების თვალით

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 ივლისის სხდომაზე დ. ონიაშვილმა (ს. დ.) ესერების იდეოლოგია დაახასიათა და ის უტოპისტურ და „ხალხოსნურად“ მიიჩნია. „მათი გონება მოშხამული არის ერთგვარი უტოპიზმით... სოციალ-დემოკრატიამ დაამტკიცა, რომ ამ იდეებს

დღეს ჩვენში... გასავალი არა აქვს, რადგანაც ყველა ეს ცხოვრებამ გაანადგურა“ (ოქმები, ტ. III, გვ.48). იმავე სხდომაზე ნოე რამიშვილმა (ს. დ.) დაინახა ესერებისა და ბოლშევიკების მსგავსება,- „არსებითად, პრინციპიალურად, სწორედ იმავე საფუძველზე დგეხართ და იდექით, და ყოველ შემთხვევაში, მრავალი თქვენი ადგილობრივი ორგანიზაციები სავსებით იზიარებენ იმ შეხედულებას, რომელსაც მუდამ იცავდა საბჭოთა რუსეთი“ (ოქმები, ტ. III, გვ.45).

ბოლშევიკებთან იდეურ სიახლოვეს არც თავად ქართველი ესერები უარყოფდნენ. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 აპრილის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) განაცხადა: „გულახდილად უნდა მოგახსენოთ, დამფუძნებელ კრებაში რომ ისხდნენ კომუნისტები ჩვენ მათთან სადაო ბევრი არაფერი გვექნებოდა“ (ოქმები, ტ. VI, გვ.285). თუმცა ისიც აღნიშნა, რომ თუკი რუსი კომუნისტები საქართველოში შემოიჭრა იქნებოდა „წმინდა წყლის ველიკორუსული იმპერიალიზმი“ (ოქმები, ტ. VI, გვ.285).

ფედერალისტები თავიანთ იდეოლოგიაზე

სოციალისტ-ფედერალისტები აცხადებდნენ, რომ მოვლენათა განვითარებამ დაასაბუთა მათი იდეოლოგიის სისწორე. დამფუძნებელი კრების 1921 წლის 23 იანვრის სხდომაზე სამსონ დადიანმა (ს. ფ.) კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „რევოლიუციამ... სოციალისტ-ფედერალისტებს გაგვინაღდა ჩვენი რწმენა, რომ სოციალიზმი და ეროვნული იდეა ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგებაო“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.145), ანუ დაადასტურა ის, რასაც სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები დიდი ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ.

ფედერალისტთა იდეოლოგია ესერების თვალით

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე ილია ნუცუბიძემ (ს. რ.) აღნიშნა ფედერალისტთა მსოფლმხედველობის არათანმიმდევრულობა. „მათი ფსიხოლოგია აბურდულ-დაბურდულია (სიცილი). ამიტომ მათი გაგება ძნელია. ხან ბოლშევიკები არიან, ხან ანარქისტებათ მოაქვთ თავი, ხან კი სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დგანან და ეს იმიტომ, რომ, როგორც ვსთქვით, მათ არა აქვთ ჩამოყალიბებული ფსიქოლოგია. გადახედეთ მათ წარსულს და ამაში სავსებით დარწმუნდებით“ (ოქმები, ტ. III, გვ.364).

სოციალ-დემოკრატები ფედერალისტების იდეოლოგიაზე

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 მარტის სხდომაზე კირილე ნინიძემ (ს.დ.) სამსონ დადიანს გაახსენა არჩილ ჯორჯაძის ერთი სტატია, რომელიც „მიმდინარე პოლიტიკის“ თვალსაზრისით ფედერალისტებს უხერხულობას უქმნიდა. როდესაც აღმოჩნდა, რომ სამსონ დადიანმა (ს. ფ.) ეს სტატია არ იცოდა, კირილე ნინიძემ განუცხადა: „დიდი სირცხვილი თქვენ, რომ თქვენი მამამთავრის ნაწერებს არ იცნობთ“ (ოქმები, ტ. VI, გვ.104) და იქვე დაუმატა, რომ არჩილ ჯორჯაძე „ერთხელ ანარქისტი იყო“ (ოქმები, ტ. VI, გვ.104).

სოციალისტური იდეოლოგიები - ეროვნული ინტერესის შენიღბვის ფორმა

მემარცხენე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, თავიანთი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ფიქრობდნენ რომ მსოფლიო იმყოფებოდა ეპოქალური სოციალური ტრანსფორმაციის პირობებში და ცხოვრებაში იწყებოდა სოციალიზმის მაღალი იდეალების განხორციელება. ასეთ პირობებში მათთვის პატარა ქვეყნის ეროვნული ინტერესები შეიძლება უმნიშვნელოდ გამოჩენილიყო. ასეთ პირობებში, მემარჯვენე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ სოციალისტური იდეოლოგიები დიდი ერების ინტერესების შენიღბვის ფორმა იყო.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 19 მარტის სხდომაზე გრიგოლ ვეშაპელმა (ე. პ.) აღნიშნა, რომ „ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენცია საქართველოში“ არ დაიჯერებდა მემარცხენეთა მტკიცებას იმის თაობაზე, თითქოს „მთელი ის დავიდარაბა, ომიანობა და ანარქია, რომელიც არის დღეს ევროპაში და აზიაში, იყოს მხოლოდ სოციალური ინსტიტუტების, სოცი-

ალური იდეების დაჯახების შედეგი“ (ოქმები, ტ. VI, გვ.51). მისი განცხადებით, ისტორია „ყოველთვის ამტკიცებდა და ეხლაც ამტკიცებს“, რომ „სოციალისტური სახელები: ბოლშევიკები, კომუნისტები, სპარტაკელები, არის შექმნილი იმისთვის, რომ განგებ ან უნებლიედ დამალონ ისტორიული ეროვნული ინტერესი“ (ოქმები, ტ. VI, გვ.51). ეს ზოგადი განსჯა სოციალისტური იდეოლოგიების შესახებ მოცემულ მომენტში ემსახურებოდა ბოლშევიზმის რეალური სახის წარმოჩენას.

რუსული ბოლშევიზმი - რუსული იმპერიალიზმის სახეობა

გრიგოლ ვეშაპელის განცხადებით, ბოლშევიზმი იყო „წმინდა ველიკორუსული მოვლენა“, რომელიც „დიდი რუსეთის“ აღდგენას ცდილობდა და საქართველოში ის არ უნდა აღექვათ მსოფლიო იდეად. „მე მგონია ქართველი ხალხი მხოლოდ წააგებს, თუ ის ანგარიშს გაუწევს ბოლშევიზმს, როგორც მსოფლიო მოვლენას, როგორც ახალ იდეებს. ბოლშევიზმი არის ჩვენთვის მხოლოდ რუსეთი და სხვა არაფერი“ (ოქმები, ტ. VI, გვ.51).

იმავეს აღნიშნავდა გიორგი გვაზავა (ე. დ.) დამფუძნებელი კრების იმავე, 1920 წლის 19 მარტის სხდომაზე: „რუსული ბოლშევიზმი - ეს რუსული იმპერიალიზმია, იმიტომ რომ ბოლშევიზმი ლამობს აღადგინოს რუსეთი ძველ საზღვრებში“ (ოქმები, ტ. VI, გვ.46).

სოციალ-დემოკრატები „კლასობრივ ბატონობას“ ესწრაფვიან

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე გიორგი გვაზავამ (ე. დ.) სოციალ-დემოკრატებს მოუწოდა ჭეშმარიტი დემოკრატიული პოლიტიკის გატარებისკენ. აწარმოეთ „ისეთი პოლიტიკა, რომელსაც მოითხოვს ნამდვილი დემოკრატიზმი და არა განსაკუთრებული მიდრეკილება, - თქვენი კლასობრივი ბატონობა“ (ოქმები, ტ. III, გვ.408).

გიორგი გვაზავა ხაზს უსვამდა სოციალ-დემოკრატების იდეურ კავშირს ბოლშევიზმთან „თქვენ შვილი ხართ ერთი და იმავე მოძღვრებისა და მთელი მეთოდი თქვენი მოღვაწეობისა მიმართული არის თავისუფლების შეზღუდვისაკენ, დიქტატურისაკენ“. გვაზავამ ისიც კი თქვა, რომ სოციალ-დემოკრატები ხელისუფლების დათმობას არ შეეგუებოდნენ. „დარწმუნებული ვარ, ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატებს, არჩევნებში რომ მეტი ხმები მიგვეღო, გაგვრეკავდით და ტყვიას დაგვიშენდით ისე, როგორც ბოლშევიკები“ (ოქმები, ტ. III, გვ.407), - განაცხადა გვაზავამ, რასაც ადგილიდან რეპლიკა მოჰყვა: „არა, არა!“.

სოციალ-დემოკრატები და ნაციონალ-დემოკრატები

ქართველი სოციალ-დემოკრატები რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში დემოკრატიის მშენებლობა იყო აუცილებელი და სოციალიზმის განხორციელება სამომავლო ამოცანად მიაჩნდათ, სოციალისტ-რევოლუციონერები მათ „ბურჟუაზიულ“ პარტიად აცხადებდნენ. მაგალითად დამფუძნებელი კრების 1919 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე ლეო შენგელაიამ (ს. რ.) სოციალ-დემოკრატებს მიმართა: „თქვენ ხართ ვითომ მარქსისტები, სოციალისტები, საქმით კი ნაციონალ-დემოკრატები“, რასაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის ალექსანდრე ასათიანის მოკლე რეპლიკა მოჰყვა: „ცუდი ნაციონალ-დემოკრატები!“ (ოქმები, ტ. IV, გვ.292).

თავი XVIII. ფრაქციები დამფუძნებელ კრებაში

18.1. საქართველოს დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია (ოთარ ჯანელიძე)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი მისი მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური პლურალიზმი იყო. მართალია, ქვეყანაში არ არსებობდა კანონი პოლიტიკური პარტიებისა და კავშირების შესახებ, მაგრამ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობისათვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 15 პოლიტიკური გაერთიანება (პარტია, კავშირი, ჯგუფი) დაარეგისტრირა, რომელთაგან - დეპუტატის მანდატების მოპოვება ოთხმა პარტიამ - სოციალ-დემოკრატებმა, ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და ესერებმა შეძლეს.

საკანონმდებლო ორგანოში, მით უმეტეს თუ იგი მრავალპარტიული შემადგენლობისაა, კომისიების გარდა, როგორც წესი, პოლიტიკური (იდეოლოგიური) ნიშნით საპარლამენტო ფრაქციები ყალიბდება. პოლიტიკური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის (ფრთის ან საპარლამენტო ჯგუფის) შექმნა ქვეყნის კონსტიტუციით ან კიდევ პარლამენტის რეგლამენტით რეგულირდება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სინამდვილეშიც საპარლამენტო ფრაქცია საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილ და დამფუძნებელ კრებაში არჩეულ დეპუტატთა გაერთიანებას ეწოდებოდა, რომელიც მოწოდებული იყო საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. ფრაქციის მთავარ ამოცანას კანონშემოქმედებითი საქმიანობის გზით, თავისი პარტიის პოლიტიკური კურსის გამოხატვა და გატარება წარმოადგენდა სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტაში;

თითოეულ ფრაქციას ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი - თავმჯდომარე ან ლიდერი, რომელიც კოორდინაციას უწევდა თანაპარტიელ დეპუტატთა საქმიანობას. ფრაქციებს გააჩნდათ საკანონმდებლო ინიციატივის, მთავრობისა და ცალკეული მინისტრისადმი შეკითხვით მიმართვის უფლება ამა თუ იმ საკითხის განმარტებისთვის, ხოლო ისინი ვალდებულნი იყვნენ, პარლამენტის სხდომაზე ეპასუხათ ამ შეკითხვისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს რეგლამენტი ფრაქციების შექმნას არ ითვალისწინებდა (აქტები, 1990, გვ.18-42), საბჭოს წევრი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ფრაქციებად დაჯგუფდნენ. ერთ-ერთი ასეთი ფრაქცია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა იყო. მას სათავეში პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, იურისტი გიორგი გვაზავა ედგა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედ ძირითად პოლიტიკურ ძალთა შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ყველაზე გვიან, 1917 წლის ივნისში ჩამოყალიბდა, თუმცა იგი მიმდინარეობის - ჟურნალებისა თუ გაზეთების რედაქციათა ირგვლივ შემოკრებილი ჯგუფების სახით, 1905-1907 წლების რევოლუციის დროიდან არსებობდა და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სპექტრში იმთავითვე გამოკვეთილი ნიშა ეკავა (ჯანელიძე ო., 2002, გვ.46-72).

ეროვნულ-დემოკრატები საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა პირველი შემთანხმებლური და გამაერთიანებელი ორგანოს - „ინტერპარტიული კრების“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორები და დამფუძნებლები იყვნენ. სწორედ 1917 წლის აპრილში ჩამოყალიბებული „ინტერპარტიული კრება“ გარდაიქმნა „საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოდ“, რო-

მელმაც 1917 წლის ნოემბერში, თბილისში, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა მოიწვია. ყრილობამ თავის მხრივ, „ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა ცხოვრებაში გასატარებლად“ მრავალპარტიული შემადგენლობის ეროვნული საბჭო აირჩია.

პოლიტიკური პროცესის ინსტიტუციონალიზაციას საქართველოში საფუძველი ამ დროიდან ეყრება. საქართველოს ეროვნული საბჭო ძირითადად პოლიტიკური პარტიების წარგზავნილებით დაკომპლექტდა, თუმცა მათ გარდა საბჭოში ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო, კომერციული და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებიც შედიოდნენ, რომლებსაც შემდეგ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც დაემატნენ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობა ეროვნულ საბჭოში თავიდან 9 კაცით განისაზღვრა და ეს უფლება შალვა ამირეჯიბს, გიორგი გვაზავას, იოსებ დადიანს, დავით ვაჩნაძეს, გრიგოლ ვეშაპელს, სპირიდონ კედიას, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი ჟურულსა და გერონტი ქიქოძეს მიენიჭათ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული საბჭოს შემადგენლობა ორგზის გაფართოვდა. პირველად ეს 1918 წლის 29 მაისს მოხდა, როდესაც საბჭოში შემავალი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობა პროპორციული სისტემით გაიზარდა, მეორედ კი - იმავე წლის ოქტომბერში, როცა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ადგილები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს დაეთმოთ და სადეპუტატო მანადატები პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც დაემატათ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით დეპუტატები გახდნენ: ვასილ წერეთელი, დიმიტრი ჯავახიშვილი, რევაზ გაბაშვილი, მიხეილ მაჩაბელი, იოსებ მაჭავარიანი, ალექსანდრე ასათიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, შალვა ქარუმიძე და ზაქათალის ოლქიდან საბჭოში ინგილოების წარმომადგენლად შესული რაფიელ ივანიცკი (ინგილო), რომელიც ეროვნულ-დემოკრატებს შეუერთდა.

ეროვნულ ყრილობაზე არჩეულ საქართველოს ეროვნული საბჭოს 15 კაციან აღმასრულებელ კომიტეტში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას 2 წევრი გიორგი გვაზავა და გრიგოლ ვეშაპელი წარმოადგენდნენ (აღმასკომის წევრობის კანდიდატებად ეროვნულ-დემოკრატთაგან ნიკო ნიკოლაძე და სპირიდონ კედია იყვნენ არჩეულნი). გრიგოლ ვეშაპელი საბჭოს პრეზიდიუმშიც შედიოდა, როგორც თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე).

ისე როგორც მმართველი პოლიტიკური ძალის, ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენელ საპარლამენტო ფრაქციებსაც საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მუდმივმოქმედ კომისიებში (ეროვნულ საბჭოში თავიდან კომისიების ფუნქციით სექციები იყო ჩამოყალიბებული). შეეძლოთ დაესახელებინათ და ჰყავდათ კიდევაც თავიანთი წარმომადგენლები. საარქივო მასალების საფუძველზე, ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენლობა ეროვნული საბჭოს სექციებში ასე გამოიყურება: ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის სექცია – ალექსანდრე ასათიანი (სექციის მდივანი), ვასილ წერეთელი და დიმიტრი ჯავახიშვილი (წევრები); განათლების – შალვა ქარუმიძე (წევრი); ჯანმრთელობის – დიმიტრი ჯავახიშვილი (სექციის მდივანი); გზათა – ნიკო ნიკოლაძე (წევრი); ხელოვნების – შალვა ამირეჯიბი (წევრი); სამანდატო – გიორგი გვაზავა, იასონ ლორთქიფანიძე (წევრები); სამეურნეო-საგამგეო - შალვა ქარუმიძე (სექციის მდივანი); საბიუჯეტო და საფინანსო – იასონ ლორთქიფანიძე (თავმჯდომარის მოადგილე), გერონტი ქიქოძე და ნიკო ნიკოლაძე (წევრები); სამხედრო – დავით ვაჩნაძე (წევრი); იურიდიული – რაფიელ ივანიცკი (ინგილო) (სექციის მდივანი), იოსებ მაჭავარიანი (წევრი); სარეგლამენტო – გრიგოლ ვეშაპელი (წევრი); საკონსტიტუციო – გიორგი გვაზავა (წევრი); სარწმუნოებათა – მიხეილ მაჩაბელი (თავმჯდომარე), რაფიელ ივანიცკი (ინგილო) (წევრი); საგზაო საქმეთა – შალვა ამირეჯიბი (წევრი); სარედაქციო – გრიგოლ ვეშაპელი (წევ-

რი); საბიბლიოთეკო – ექვთიმე თაყაიშვილი (თავმჯდომარე); დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია – სპირიდონ კედია (წევრი). მცირეოდენი ცვლილებით, რის უფლებაც პარლამენტში შემავალ თითოეულ პარტიას გააჩნდა, სექციებში ეროვნულ-დემოკრატთა ამგვარი წარმომადგენლობა დამფუძნებელი კრების არჩევამდე შენარჩუნდა.

1919 წლის თებერვალში ჩატარებულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში ელექტორატის ხმების დიდი უმრავლესობით წარმატებას სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიაღწია (130-დან 109 მანდატი). ეროვნულ-დემოკრატებმა 8 მანდატი მოიპოვეს. ამ პარტიის სიით დეპუტატები გახდნენ: ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე, გიორგი გვაზავა, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ მაჭავარიანი, ალექსანდრე ასათიანი და პეტრე სურგულაძე. 1919 წ. სექტემბერში, დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების შედეგად დეპუტატად არჩეულ იქნა ეროვნული პარტიის ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი. დამფუძნებელი კრების მეორე დამატებითმა არჩევნებმა (1920 წ. მაისი) უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ეროვნული პარტიის კიდევ ერთი წევრი - შალვა ქარუმიძე შემატა.[13] მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, ეროვნულ-დემოკრატები და მათგან გამიჯნული (შემდეგ ისევ ინტეგრირებული) საარჩევნო სუბიექტები დამფუძნებელ კრებაში არ შეკვრიან სხვა პოლიტიკურ ძალებს – ფედერალისტებსა და ესერებს, რომლებმაც მემარცხენე ოპოზიცია შეადგინეს.

როგორც დავინახეთ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობა დამფუძნებელ კრებაში შემცირდა, რის გამოც მათი ფრაქციის წევრებს ორ და ზოგჯერ მეტ კომისიაში უხდებოდათ მონაწილეობა. ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი გვაზავა არჩეულ იყო დამფუძნებელი კრების სარეგლამენტო, საკონსტიტუციო და საგარეო საქმეთა კომისიებში, სპირიდონ კედია – საკონსტიტუციო, თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის კომისიებში, ალექსანდრე ასათიანი – შრომის, აგრარულ, საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო კომისიებში, ექვთიმე თაყაიშვილი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობის პარალელურად მოღვაწეობდა სახალხო განათლებისა და საბიბლიოთეკო კომისიებში, ნიკო ნიკოლაძე იყო გზათა კომისიის წევრი, პეტრე სურგულაძე – სამხედრო, ხოლო გერონტი ქიქოძე – საფინანსო-საბიუჯეტო და ხელოვნების კომისიებისა (ჯანელიძე ო. 1998, გვ.136).

აღსანიშნავია, რომ კრების საბიბლიოთეკო კომისია ეროვნულ-დემოკრატ ექვთიმე თაყაიშვილის წინადადებით დაფუძნდა და თავმჯდომარედაც თვითონ იქნა არჩეული (ჯანელიძე ო. 1998, გვ.136). ასევე, ეროვნულ-დემოკრატთა მოთხოვნითა და დასაბუთებით ჩამოყალიბდა დამფუძნებელ კრებაში საგარეო საქმეთა კომისია, რომლის შემადგენლობაც 1919 წ. 6 მაისის სხდომაზე აირჩიეს (ოქმები, ტ. I, გვ.344-345).

დეპუტატებს, როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციის მხრიდან, რომლებიც არ შედიოდნენ ეროვნული საბჭოსა თუ დამფუძნებელი კრების მუდმივ კომისიებში, უფლება ჰქონდათ დასწრებოდნენ კომისიების სხდომებს სათათბირო ხმით (ეროვნული საბჭოს რეგლამენტი, თავი 3, მუხლი 27; ასევე, საქართველოს დამფუძნებელი კრების რეგლამენტი, თავი 3, მუხლი 26) (აქტები, 1990, გვ. 22; 243).

ოპოზიციური ფრაქციები მთავრობის საქმიანობის კონტროლისათვის მუდმივი კომისიების წევრობას იყენებდნენ, მაგრამ მათ გააჩნდათ კონტროლის კიდევ ერთი მექანიზმი - სადეპუტატო წერილობითი შეკითხვა, რომელზეც მთავრობის წარმომადგენელს ან დაუყოვნებლივ უნდა ეპასუხა ანდა ერთი კვირის განმავლობაში აუცილებლად გაეცა პასუხი პლენარულ სხდომაზე (აქტები, 1990, გვ. 27; 251). საპარლამენტო აქტივობის და უფლების ამ ფორმას ხში-

[13] მეორე დამატებით არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატები, ეროვნული პარტია და დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი ერთიანი ბლოკით გამოდიოდნენ.

რად მიმართავდა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივების გამოყენებას ეროვნულ საბჭოსა თუ დამფუძნებელ კრებაში მთავრობის მიმართ შეკითხვების დასმას ამჯობინებდა. ფრაქციის წევრთა წარმოდგენით, ასე უფო იოლი იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა ყურადღების გამახვილება მწვავე და საჭირბოროტო საკითხებზე.

ეროვნულ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქციის მიერ მთავრობის მისამართით საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და დამფუძნებელ კრებაში შეტანილი შეკითხვებიდან აღსანიშნავია: ,,რუსი გენერლებისა და ოფიცრების ანტიქართული საქმიანობის შესახებ“ (1918 წ. 2 ივლისი); ,,დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შესახებ“ (1918 წ. 9 ივლისი), ,,რუსული პრესის აგიტაციის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“ (1918 წ. 9 ივლისი), (სცა, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. N43, ფურც. 43-44; 53-59). ,,სასამართლო პალატის თავმჯდომარის მიხეილ მღვდლიშვილის დათხოვნის შესახებ“ (1919 წ. 6 მაისი), ,,გაზეთ ,,სალი კლდის“ დახურვისა და რევაზ გაბაშვილის დაპატიმრების შესახებ“ (1919 წ. 31 ივლისი), ,,ქალაქ ხონის მცხოვრებთა წარმომადგენლობის დაპატიმრების შესახებ“ (1919 წ. 26 სექტემბერი), ,,ტყის კანონის შეუსრულებლობის შესახებ“ (1920 წ. 27 თებერვალი; 12 აპრილი) და სხვ. არანაკლებ მძაფრი და საყურადღებო იყო შეკითხვები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და იურისდიქციის საკითხებს შეეხებოდა. მათ შორის შეიძლება გამოიყოს: ,,სოხუმის ოლქის მდგომარეობის და ამბების შესახებ“ (1919 წ. 26 სექტემბერი), ,,აფხაზეთში ქვეშევრდომობის კანონის გატარების შესახებ“ (1920 წ. 30 იანვარი) და სხვ.

მმართველი უმრავლესობის დეპუტატები საქმეს ისე წარმოაჩენდნენ, თითქოს ეროვნულ-დემოკრატთა შეკითხვების ტაქტიკა საქმის ინტერესებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ეს მათი ,,ხრიკი“ იყო, რომელიც ,,მხოლოდ დროის მოსაკლავად“ გამოიყენებოდა („სახალხო საქმე“, 4.10. 1918). ამაზე პირდაპირ მიუთითებდა სახელისუფლებო ბეჭდვითი ორგანოც. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ ოპოზიციის მისამართით შენიშნავდა, რომ საპარლამენტო შეკითხვებისათვის უნდა აეცილებინათ ,,პოლიტიკური კამპანიის ხასიათი“ და მათი დასმისას ,,ყოველთვის სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უნდა ეხელმძღვანელათ“ („საქართველოს რესპუბლიკა“,10.08.1918).

საქართველოს ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობა ორ ეტაპად შეიძლება გაიყოს: პირველ ეტაპს შეადგენს მონაკვეთი 1917 წლის 22 ნოემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე ანუ - ეროვნული საბჭოს ფორმირებიდან, ვიდრე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ხოლო მეორე ეტაპი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან (1918 წლის 26 მაისი) საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევის წინა ხანამდე (1919 წლის იანვარი) გაგრძელდა.

პირველ ეტაპზე, სანამ საქართველო თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მიაღწევდა, ეროვნულ-დემოკრატები წინა პლანზე აყენებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციის, საბჭოს ერთიანობის იდეას, რის გამოც ერიდებოდნენ პრობლემების ზედმეტ გამწვავებას და არც თუ იშვიათად მხარს მათთვის მიუღებელ გადაწყვეტილებებსაც უჭერდნენ. ეს პოზიცია კარგად არის გამოხატული ეროვნულ-დემოკრატ მიხეილ მაჩაბლის სიტყვაში, რომელიც მან საბჭოს სხდომაზე წარმოთქვა: ,,მე თუმცა სოციალ-დემოკრატების მომხრე არა ვარ, მაგრამ ისინი ხალხმა ამოირჩია თავისი ბედის ხელმძღვანელად და ამისთანა დიად საქმეში ყოველი ქართველი მოვალეა არამც ხელი არ შეუშალოს მათ, არამედ ყოველის ღონისძიებით დაეხმაროს... მერე, როცა მარტო დავრჩებით ჩვენ შინაურ ცხოვრებაში, მაშინ მე ამათი მოწინააღმდეგე ვიქნები, როგორც არასოციალისტი, ...მაგრამ ახლა კი ესენი ხელმძღვანელნი არიან და ხელი უნდა შევუწყოთ“ (სცა. ფ. 1836, ანაწ.1, საქ. N 5, ფურც.69-70).

ხსენებულ პერიოდში ეროვნული საბჭოს სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობასთან ეროვნულ-დემოკრატთა ასეთი მიმართება შეიძლება სისტემური ოპოზიციის გამოვლენად დავახასიათოთ. ეროვნულ-დემოკრატები მოქმედებდნენ არსებული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში, არ ესწრაფოდნენ მის ძირეულ ცვლილებას და მით უფრო - განადგურებას.[14] ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია თავის მოწოდებად უმრავლესობასთან დაპირისპირებას კი არ მიიჩნევდა, არამედ მასთან კონსენსუსს ამჯობინებდა, რითაც იგი საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ხელშემწყობადაც გვევლინებოდა.

თვით უმრავლესობის წარმომადგენლები ხელისუფლებასთან ოპოზიციის წარმატებულ თანამშრომლობას თავიანთი პოლიტიკური ძალის სიმტკიცესა და გავლენას მიაწერდნენ. აკაკი ჩხენკელის განცხადებით: ,,ის, რომ ...ხშირად მარჯვენა ფრთა იძულებულია მხარი დაგვიჭიროს, ეს მოასწავებს არა ჩვენს სისუსტეს, არამედ სიძლიერეს“ (ოქმები, ტ.VII, გვ.330).

ცნობილია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე თავს ზეკლასობრივ, სახელმწიფოებრივ პარტიად მიიჩნევდა, რომელიც ერთი რომელიმე კლასის განსაკუთრებულ მისწრაფებებს კი არ გამოხატავდა, არამედ საერთო უზენაეს ეროვნულ ინტერესებს პასუხობდა (ჯანელიძე ო., 2002, გვ.169), რეალურად ეროვნულ-დემოკრატები სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქართველი თავად-აზნაურობის, ბურჟუაზიის, ინტელიგენციის, სასულიერო წოდების, გენერალიტეტისა და ოფიცერთა ნაწილის შეხედულებებს ასახავდნენ და მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს იცავდნენ. რაოდენობრივად საზოგადოების ეს წრე ქვეყნის მთელი მოსახლეობის 10%-მდეც ვერ აღწევდა, მაგრამ მისი გავლენა მნიშვნელოვანი იყო. ამ ტიპის სახალხო გაერთიანებების შექმნა ძირითადად კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი და უმთავრეს მიზნად ეროვნულ-პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებასა და სუვერენული სახელმწიფოს შექმნას ისახავდა.

უსახელმწიფო ქართველ ერშიც პოლიტიკური ორგანიზაციის ამგვარი მისწრაფება არსებული ვითარების არაორდინალურობით იყო განპირობებული: ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ძალა სოციალ-დემოკრატიის სახით იმ დროს ჯერ კიდევ კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას ქადაგებდა. იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიზანს არ ისახავდა და თავის მოწოდებას უწინარესად ჩაგრული კლასების - მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვაში ხედავდა. რაც შეეხება ეროვნული თავისუფლების პრობლემას, იგი მისთვის მეორე რიგის ამოცანად რჩებოდა.

ეროვნულ-დემოკრატ მოღვაწეთა აზრით კი, ვიდრე საქართველო დაპყრობილი და ჩაგრული ქვეყანა იყო, აქაურ პოლიტიკურ პარტიებს განსაკუთრებული მიზნები და ამოცანები უნდა ჰქონოდათ. ეროვნულ-დემოკრატებს ჭეშმარიტი პარტია ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წინამძღოლად, მის მედროშედ წარმოედგინათ, რომელსაც გარკვეულწილად სახელმწიფოს ფუნქციებიც უნდა ეკისრა. ,,იქ, სადაც ეროვნული სახელმწიფოებრიობა არ არის, მის მაგიერობას ეროვნული და დემოკრატიული თვალსაზრისით აღჭურვილი პარტია ეწევა“, – წერდა გრიგოლ ვეშაპელი („საქართველო“, 4.06.1917).

როგორც ალექსანდრე ასათიანი შენიშნავდა, ეროვნულ-დემოკრატიული ,,დარაზმულობა არ იყო პარტია, საყოველთაოდ მიღებული ცნების მიხედვით, არამედ გაცილებით მეტი. ... ეს იყო საერო პოლიტიკური დაჯგუფება და იმავე დროს ერის ყველა ეკონომიურ ძალების გამძღოლი. ... მმართველობის გარეშე მყოფი, ის იყო დამაარსებელი და შემქმნელი სახელმწიფო-

[14] ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ მემარჯვენე ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდებოდა, სრულად იმემკვიდრებდა სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურ კურსს.

ებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დარგების და ის იყო ამ სახელმწიფოებრიობის ფაქტიური გამომხატველი“ (ასათიანი ა., 1937, გვ.23).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები მიიჩნევდნენ, რომ ,,სახელმწიფოებრივ პარტიას უპასუხისმგებლობის ოპოზიციის წარმოება არ შეუძლიან, მხოლოდ ოპოზიციისთვის. მისი პოზიცია, მოწონება თუ დაწუნება მუდამ საქმიანი და საპასუხისმგებლო უნდა იყოს და მხოლოდ ეროვნული სარგებლობისა და ინტერესის იდეით განიზომებოდეს“ („საქართველო“, 11.07.1918). 1921 წლის იანვარში, როდესაც საქართველოში მოქმედი არასოციალისტური ძალები გაერთიანდნენ და შეიქმნა გაერთიანებული დემოკრატიული პარტია, მისმა მესვეურებმა თავიანთი მოღვაწეობის ტაქტიკა ასე განსაზღვრეს: ,,იდეურს და სახელმწიფოებრივ ოპოზიციას მმართველი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ აწარმოებს მხოლოდ საქართველოს გაერთიანებული დემოკრატიული პარტია“ (იხ. გაზ. ,,საქართველო“, 12.02.1921).

ასეთი შეგრძნება პარტიის მესვეურებს უფრო მეტად უნდა გაძლიერებოდათ კოალიციურ მთავრობაში მონაწილეობის გამო. ეს გარემოება საფუძველს ქმნიდა, ეროვნულ-დემოკრატებს თავი ხელისუფლების ნაწილად აღექვათ, მაგრამ მათ იმთავითვე განაცხადეს, რომ ხელისუფლების პოლიტიკაზე პასუხისმგებლობას არ ინაწილებდნენ.

ოპოზიციურობის მეორე ეტაპის განმავლობაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც გიორგი ჟურულის სახით თავისი წარმომადგენელი ჰყავდა საქართველოს კოალიციურ მთავრობაში, გარეგნულად სახელისუფლებო პარტია იყო, სინამდვილეში კი მასთან დაპირისპირებულ ძალას წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც 1918 წ. ივნისში ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ უნდობლობა გამოუცხადა ნოე რამიშვილის კოალიციურ მთავრობას, გიორგი ჟურული მინისტრობიდან უნდა გადამდგარიყო, მაგრამ მან კაბინეტში დარჩენა და პარტიიდან გასვლა ამჯობინა.[15]

ხელისუფლებისადმი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის კრიტიკული დამოკიდებულება მკაფიოდ გამოვლინდა საქართველოს პირველი კოალიციური მთავრობის დეკლარაციის განხილვისას, რომელიც ეროვნულ საბჭოში 1918 წლის 15 ივნისს ნოე რამიშვილმა წარადგინა. დეკლარაციის განხილვა ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.[16] ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით გ. ვეშაპელმა განაცხადა: ,,ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის მოვალეობა ის არის, რომ არსებითი კრიტიკით შეხვდეს იმ შემცდარ ნაბიჯებს, რომელსაც სდგამს სოციალისტური მთავრობა მისთვის უცხო საქმის შესრულების დროს; და ეს კრიტიკა უნდა გაგრძელდეს მანამდის, სანამ ქართველი ერის შინაურ ძალთა განწყობილება, ის განწყობილება, რომლის პროპორციით არის შემდგარი ეროვნული საბჭო, ჩვენდა სასარგებლოდ არ შეიცვლება“ („საქართველო“, 20.06.1918).

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის რეზოლუციის პროექტში აღნიშნული იყო, რომ მოქმედი მთავრობის სამხედრო, აგრარული და ფინანსური პოლიტიკა საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს. ეროვნულმა საბჭომ მთავრობა კვლავაც კოალიციურ საფუძველზე, ოღონდ ,,სახელმწიფოებრივ და სოციალისტურ ელემენტებს“ შორის პარიტეტის პრინციპით უნდა დააკომპლექტოს.

პარიტეტის ეს ამბიციური მოთხოვნა ეროვნული საბჭოს სოციალისტურმა ფრაქციებმა, ცხადია, არ გაიზიარეს. ხმების უმრავლესობით მიიღეს სოციალ-დემოკრატების მიერ შემუშა-

---

[15] ასე რომ ეროვნულ-დემოკრატებს მთავრობაში წარმომადგენელი აღარ დარჩათ (საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1861, ანაწ. 3, საქმ. 1, ფურც. 42. ასევე, გაზ. ,,საქართველო“, 21.06.1918).

[16] ეროვნულ-დემოკრატიული პრესა ნოე რამიშვილის მთავრობას, მისი კოალიციური შემადგენლობის მიუხედავად, ,,წითელ სამინისტროს“ უწოდებდა („საქართველო“, 26.06.1918).

ვებული რეზოლუციის პროექტი, რომელიც ნოე რამიშვილის მთავრობას სრულ ნდობას უცხადებდა („ერთობა“, 18.06.1918; ასევე ჯანელიძე ო., 2015, გვ.70).

ეროვნულ-დემოკრატები არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ეროვნული საბჭოს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებით და მთავრობის დეკლარაციას თავიანთი პარტიული გამოცემის ფურცლებიდანაც გამოეხმაურნენ. კერძოდ, გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ვასილ წერეთლისა და რაფიელ ინგილოს (ივანიცკის) კრიტიკული სტატიები. ვასილ წერეთელი იწუნებდა მთავრობის მიერ გატარებულ ადმინისტრაციულ, ფინანსურ, აგრარულ კურსს და სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობას ასე მიმართავდა: ,,ოპოზიციაში იცით, რისთვის ჩავდექით?! იმიტომ, რომ თქვენს ცრუ პოლიტიკას ფარდა ავხადოთ და გაგაფრთხილოთ! ... ოპოზიციის, ულმობელი კრიტიკის წარმოება ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობაა!“ („საქართველო“, 19.06.1918).

არსებითი ბრალდება, რომელსაც ეროვნულ-დემოკრატები მმართველ ძალას უყენებდნენ, იყო ის, რომ იგი ვერ იქცა ეროვნულ ხელისუფლებად, რომ ,,მთავრობა, რომელიც მთელს ერს უნდა ხელმძღვანელობდეს, ჯერ კიდევ ვერ გასცილებია კლასობრივსა და პარტიულ პოლიტიკის ვიწრო ბილიკს“ („საქართველო“, 2.10.1918).

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ასევე კრიტიკულად შეაფასა მთავრობის მომდევნო დეკლარაცია, რომელიც 1919 წლის 21 მარტს, ახლა უკვე დამფუძნებელ კრებას ახლად არჩეული სოციალ-დემოკრატიული ერთპარტიული მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგენი გეგეჭკორმა წარმოუდგინა.

განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა სპირიდონ კედიას გამოსვლა. მან გამოკვეთა სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე დაშვებული მთელი რიგი შეცდომები, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ხარვეზები და ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა ფსიქოლოგიურად მოუმზადებელია ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის. მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერის აზრით, ეს იმის შედეგი იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია არასოდეს ესწრაფოდა ქვეყნის პოლიტიკურ თავისუფლებას და იგი მხოლოდ გარემოების ძალით აღმოჩნდა უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მართვა-გამგეობის სათავეში.

სპირიდონ კედიას სიტყვებით, მთავრობას დღემდე ვერ გაურკვევია სახელმწიფოებრივი შემოქმედების ორიენტაცია, მერყეობს ,,მებრძოლ ინტერნაციონალურ პოლიტიკასა და ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას შორის“, იგი ახორციელებს ,,რევოლუციონურ სოციალიზმის“ პროგრამას და მოქმედებს არა სახელმწიფოებრივი საზომითა და საჭიროებით, არამედ პარტიული იდეოლოგიის თვალსაზრისით. ,,მთავრობას ვერ გაუბედნია ან არ სურს იცნოს მესაკუთრის უფლება თავის საკუთრებაზე, გზას უხშობს თავისუფალ და კერძო ინიციატივას. ხელისუფლების უსისტემო და ულოღიკო ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება უფსკრულისაკენ მიექანება. მისი წარსული პოლიტიკის გაგრძელება ჩვენს ქვეყანას დაღუპავს და გაანადგურებს“.

სპირიდონ კედია მთავრობას ურჩევდა, დაეგმო ,,სარევოლუციო სოციალიზმის“ კურსი, რადიკალურად გარდაექმნა მუშაობა და დადგომოდა ,,ნაცად და საიმედო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოებრივი შემოქმედების გზას“ (ოქმები, ტ. I, გვ.87-88; 91).

სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობისათვის მათივე წარსულის შეხსენებაში ეროვნულ-დემოკრატები მოქალაქეობრივ სიფხიზლეს ხედავდნენ. ისინი ხელისუფლებას მართვის სტილს უწუნებდნენ და ბრალს დემაგოგიაშიც სდებდნენ. მაგალითად, გაზეთ ,,საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც ხელმოწერილია ,,იე“-ს ფსევდონიმით, აღნიშნულია: ,,ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა ბედის დიდი ცვალებადობა განიცადეს ამ ერთი წლის განმავლობაში: დევნილნი იყვნენ, მდევნელნი გახდნენ: სარდაფებში იყვნენ მიმალულნი, სასახლეების მაღალ დარბაზებში აცოცდნენ. ტალახში ფეხით ჩანჩალის ნაცვლად – ავტომობილები და

მეჩექმეობის მაგიერ – მინისტრობა, გენერლობა. ...ჩვენი სოციალ-დემოკრატები მხოლოდ გარეგნულად გამოიცვალნენ. ბუნება მათი, ხასიათი დარჩა ისევ ძველი. ... მათი ბუნება იყო და არის დემაგოგია და დემაგოგია“ („საქართველო“, 15.06.1918).

ასეთ შემთხვევაში უმრავლესობა მხოლოდ ოპოზიციური სპექტრის ზნეობრიობასა და სინდის-ნამუსზე აპელირებდა. გაზეთ ,,ერთობის“ სიტყვით: „ჩვენ გვინდა ოპოზიცია. ოპოზიცია აუცილებელია მართველთათვის ისე, როგორც თევზისთვის წყალი, მაგრამ წყალი ანკარა, წმინდა სათავიდან მომდინარე. ოპოზიცია სასტიკი, მედგარი, მტკიცე, მაგრამ... პატიოსანი, სინდისიერათ მოაზროვნე, საშუალო ნამუსის პატრონი მაინც“ („ერთობა“, 18.12.1919).

ახლად შექმნილი სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩეული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, გარდა იმისა რომ, პოლიტიკურად კომპეტენტურნი იყვნენ, იმავდროულად, განათლებითა და წიგნიერებითაც გამოირჩეოდნენ. მემარჯვენე ოპოზიციის ამ ლიდერებს საზოგადოებაში საკმაო მორალური და ზნეობრივი ავტორიტეტი გააჩნდათ. მათი არგუმენტების დაძლევა მთავრობის წევრებისა თუ მმართველი უმრავლესობის დეპუტატებისათვის არ იყო იოლი. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ თვალსაჩინო ლიდერს ირაკლი წერეთელს, როდესაც ეროვნულ საბჭოში გამოსვლისას აცხადებდა: ,,ჩვენ გვიძნელდება ეროვნულ-დემოკრატებთან ბრძოლა, რადგან არ ვიცით თუ საიდან მოიტანენ იერიშს“ („საქართველო“, 9.08.1918), ან კიდევ: ,,ჩემთვის ბატონ ნაციონალ-დემოკრატებთან კამათი დიდი სასჯელია“ („საქართველოს რესპუბლიკა“, დამატება, 10.09.1918).

ოპოზიციის, განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის უწყვეტი კრიტიკისა და შეტევისაგან თავდასაცავად, ხელისუფლება ზოგჯერ ამგვარ არგუმენტსაც იშველიებდა: ,,ჩვენი მთავრობა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა დღეს შედუღებული არის. დღეს მთავრობის სახელის გატეხა და დაცემა საქართველოს დამოუკიდებლობის სახელის გატეხას და გაბიაბრუებას უდრის“. ვითარებაში, როდესაც ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს და მის წინააღმდეგ მრავალი შინა თუ გარეშე მტერი გამოდის, ,,ყველა მოქალაქის და ჯგუფის ვალია მთავრობის პრესტიჟის აწევა და არა დაცემა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 10.08.1918).

ეროვნულ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქცია სხვაგვარად ფიქრობდა. მას გაუმართლებლად მიაჩნდა ხელისუფლებისა და სახელმწიფოს გაიგივება და მთავრობის საქმიანობის კრიტიკასა თუ უარყოფით შეფასებას სრულიადაც არ თვლიდა სახელმწიფოს სუვერენიტეტის შემლახავ მოქმედებად. ეროვნულ-დემოკრატთა შეხედულებით, ,,მთავრობა და სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის. სახელმწიფო არის მოვლენა მუდმივი. მთავრობა გამოხატავს ამა თუ იმ სახეს სახელმწიფოისას. შეიძლება ესა თუ ის მთავრობა დაეცეს, შეიცვალოს მეორე მთავრობით, მაგრამ სახელმწიფო დარჩეს იგივე“ („ქართული გაზეთი“, ბერლინი, 6.08.1918).

მემარჯვენე ოპოზიციის ,,ხშირი რეპლიკები“ მოსვენებას უკარგავდა თვით მთავრობის თავმჯდომარესაც. ნოე ჟორდანია იგონებს, რომ ეროვნულ-დემოკრატებთან ტრიბუნიდან ,,მკვახე შეკამათება“ მიხდებოდა, რადგან მათ ,,ღვთის წყალობაც ღვთის რისხვად ეჩვენებოდათ“. ,,ეს იყო ოპოზიცია ოპოზიციისათვის და არა საქმისათვის. ...ჩვენ ვაკეთებდით იმას, რის გაკეთებაც შეიძლებოდა ასეთ პირობებში, ოპოზიციონერები კი აყენებდნენ რა სჯობიას თეორიას“ (ჟორდანია ნ., 1990, გვ.109).

გაზეთ ,,ერთობის“ თანახმად, ,,მემარჯვენე ოპოზიცია, ე. ი. ოპოზიცია ეროვნულ-დემოკრატების, ხშირად იმოსება დემოკრატიზმის სამოსელში, მაგრამ უმეტესად მაინც იგი ნაციონალისტურ საზომით ხელმძღვანელობს. ამით მას უფრო გარკვეული ხაზი აქვს, თუმცა ხაზი მკრთალი – თითქმის უსახო და სუსტი“ („ერთობა“, 26.04.1919).

ასე იყო თუ ისე, 1918 წლის 26 მაისის შემდგომ ეროვნულ-დემოკრატთა მმართველ პარტიასთან დაპირისპირება აშკარა იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებში, სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის (გერბი, დროშა) მიღებისას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე მსჯელობისას, ასევე, აგრარული პრობლემების განხილვა-გადაწყვეტის პროცესში და სხვ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შეურიგებლობა ხელისუფლებასთან დამფუძნებელ კრებაში ყველაზე მძაფრად ისეთი საკითხების ირგვლივ გამოვლინდა, როგორიცაა თავდაცვა და უსაფრთხოება. მმართველი პოლიტიკური ძალა არ თვლიდა აუცილებელ საჭიროებად რეგულარული არმიის ჩამოყალიბებას, მეტიც, - გაზეთ „ერთობის“ თანახმად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა წინააღმდეგი იყო მუდმივი ჯარისა, რადგან „მუდმივი ჯარი საფრთხეს წარმოადგენს როგორც საგარეო მშვიდობიანობისათვის, ისე შინაური დემოკრატიისათვის“ („ერთობა“, 1.02.1918). მაშ, ვის უნდა დაეცვა ახლად წარმოშობილი სახელმწიფო გარე აგრესიისაგან, რომელიც მუდმივად იდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე? სოციალ-დემოკრატთა წარმოდგენით, ამგვარი ფორმირება შვეიცარიული სახალხო მილიციის მსგავსი შეიარაღებული ძალები უნდა ყოფილიყო (სილაქაძე დ., 2013-2015, გვ. 206). „დემოკრატია ვერ შეურიგდება მუდმივ ჯარს. ჩვენ უნდა შევქმნათ სახალხო მილიცია“, - აცხადებდა ნოე ჟორდანია („სახალხო საქმე“, 17.02.1917).

მილიციის ტიპის შენაერთი იყო ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისთანავე შექმნილი წითელი გვარდია, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ახლო ხანებში სახალხო გვარდია უწოდეს. გვარდია პარტიულ სამხედრო ფორმირებას, პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციას („რევოლუციის დამცველ პოლიტიკურ ჯარს“) წარმოადგენდა, რომელსაც იდეურ ხელმძღვანელობას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი უწევდა. გვარდიის სპეციფიკა იმაშიც ვლინდებოდა რომ, იგი თავისი მთავარი შტაბის მეშვეობით მთავრობის თავმჯდომარეს ექვემდებარებოდა და არა სამხედრო სამინისტროს.

რაჟდენ არსენიძის სიტყვებით, გვარდია ისეთი შეიარაღებული ძალაა, „რომელიც შედგება თავისუფალი თვისნებით მოსული ხალხისაგან, დღეს ასრულებს ჯარისკაცის მოვალეობას, ხვალ უბრალო მოქალაქეა, დღეს ფრონტზე სდგას და იბრძვის, ხვალ როცა ის ფრონტიდან თბილისში დაბრუნდება, ეს ჯარის კაცი აღარ იქნება, ის იქნება უბრალო მუშა, უბრალო მოქალაქე და თავის საქმეს, ჩვეულებრივ ნორმალურ თავის მუშაობას აწარმოებს“ (ოქმები, ტ. I, გვ.137).

არ იქნება სწორი ითქვას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა არ ცდილობდა შეექმნა ბრძოლისუნარიანი და მტკიცე არმია, მაგრამ იგრძნობოდა, რომ იგი პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული სახალხო გვარდიისადმი მეტ სიმპათიას ამჟღავნებდა, ვიდრე მუდმივი ჯარისადმი. ეს გარემოება მემარჯვენე ოპოზიციის მხრიდან მძაფრ და დაუნდობელ კრიტიკას იწვევდა. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია მოითხოვდა, რომ სამხედრო ძალა გამსჭვალული ყოფილიყო არა „პარტიული განწყობილებით“, არამედ – ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთებით.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენციამ 1919 წლის ივლისში საგანგებოდ განიხილა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული მდგომარეობა და ამგვარი რეზოლუცია გამოიტანა: ,,ვინაიდან ერთი დანიშნულების ორი ძალა: გვარდია და რეგულიარი ჯარი ერთმანეთს დაშორებულია სარდლობით და ორგანიზაციით და თვალსაჩინო უთანასწორო პირობებშია ჩაყენებული როგორც ნივთიერად, ისე მორალურად და ოფიციალურ მიწოდებისა და პატივისცემის მხრივ და ვინაიდან ყოველივე ეს ამ ორ ძალას შორის მძულვარებას ამ-

ყარებს და მით ასუსტებს საქართველოს მხედრობის ძლიერებას და სამხედრო მორალის ერთპირიანობას, ამიტომაც კონფერენცია გამოსთქვამს სურვილს, რომ დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ შეჰქმნან ბუნებრივი პირობები ამ ორი ძალის გაერთიანებისა და ერთსარდლობის ქვეშ მოქცევისათვის“ („საქართველო“, 13.07.1919).

გარკვეული მუშაობა ამ მიმართებით მართლაც წარმოებდა, მაგრამ გადაჭარბებულად მოსჩანს 1919 წლის 31 დეკემბერს გამოცემული, სამხედრო მინისტრის პოსტზე ნოე რამიშვილს ბოლო ბრძანებაში გამოთქმული აზრი, რომ ,,რეგულარული ჯარი სავსებით შეუსისხლხორცდა რევოლიუციის მონაპოვართა ნამდვილ დარაჯს - სახალხო გვარდიას“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 11.01.1920).

სახალხო გვარდია და ჯარი, სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში, მაინც დარჩნენ სხვადასხვა უწყებას დაქვემდებარებულ და უფლებრივად განსხვავებულ შეიარაღებულ შენაერთებად.

რეგულარული ჯარისა და გვარდიის ერთ სისტემაში გაერთიანების საკითხზე დაპირისპირება სოციალ-დემოკრატიულ და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებს შორის ემიგრაციაშიც გრძელდებოდა (ჯანელიძე ო., 2002, გვ.419). ამ დავაში რომ სიმართლე მემარჯვენეთა მხარეზე იყო, მოგვიანებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძეც აღნიშნავდა. წიგნში ,,ფიქრები საქართველოზე“ იგი წერდა: ,,სახელმწიფოს თავდაცვის საქმის ინტერესებს უფრო შეეფერებოდა, რომ ორი სამხედრო სისტემა აღარ დარჩენილიყო პარალელურათ“ და ,,საქართველოს ჯარი და საქართველოს გვარდია ერთ მხედრობათ გადაქცეული იქნებოდა უფრო ძლიერი, ვიდრე მათი მეხანიკური ჯამი“ (ლორთქიფანიძე გ., 1995, გვ.187).

ძირეულად განსხვავდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიების შეხედულებები აგრარულ საკითხში. სოციალ-დემოკრატთა პროგრამა მიწების მუნიციპალიზაციას ითვალისწინებდა: ,,ჩამორთმეული მიწები უნდა გადასულიყო ადგილობრივად არჩეული კომიტეტების, ან ერობის ხელში, რომელიც ხსენებულ მიწებზე დააწესებდა მინიმალურ იჯარას და ამ იჯარიდან მოგროვილი თანხა მოხმარდებოდა ისევ ადგილობრივ კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინების საქმეებს“ („ერთობა“, 14.07.1918). ეროვნულ-დემოკრატები კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას აღიარებდნენ და მოითხოვდნენ, გადასულიყო მიწები იმათ ხელში, ვინც მის დამუშავებასა და ჯეროვან გამოყენებას შესძლებდა.

ცნობილია, რომ აგრარული საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შედარებით უმტკივნეულოდ და წარმატებით გადაწყდა. ნოე ჟორდანიას განცხადებით, „ჩვენ ისე გავატარეთ აგრარული რეფორმა, რომ სამოქალაქო ომი არ ამტყდარა“ („ერთობა“, 10.12.1918). რეფორმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქართული სოფლის მოდერნული გარდაქმნის გზაზე და ხელს უწყობდა ფერმერული მეურნეობის განვითარებას.

მიწის საკითხის გადაწყვეტაში ეროვნულ-დემოკრატები ხაზს უსვამდნენ თავიანთ დამსახურებას, მიუთითებდნენ, რომ გლეხობისათვის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში გადაცემის აუცილებლობაში მმართველი პოლიტიკური ძალა მათმა პარტიამ დაარწმუნა. ამაში მართლაც იყო გარკვეული სიმართლე. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებს ჯერ კიდევ ეროვნულ საბჭოსა და პარლამენტში შეჰქონდათ შესწორებები უმრავლესობის რეზოლუციებში, რომ ხიზნებისა და მსხვილი მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწები მშრომელი გლეხობისათვის შეღავათიან ფასებში მიეყიდათ (სცა, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. 5, ფურც. 39), მაგრამ კენჭისყრისას ისინი უმცირესობაში რჩებოდნენ. დროთა განმავლობაში სოციალ-დემოკრატების პოზიცია ამ საკითხში თანდათან მარჯვნივ გადაიხარა და მათ უარი თქვეს მიწის ნაციონალიზაციისა და მუნიციპალიზაციის დოქტრინულ პროგრამულ ხედვებზე. ისინი თვით ცხოვრებამ

დაარწმუნა, რომ მიწაზე კერძო საკუთრებას საქართველოს სინამდვილეში გონივრული ალტერნატივა აღარ გააჩნდა, ამიტომ შესაძლებლად მიიჩნიეს დაეთმოთ თავიანთი პარტიული პრინციპი, მხარი ეროვნულ-დემოკრატიული თვალსაზრისისათვის დაეჭირათ და დაეშვათ გლეხობისათვის ნაკვეთების გადაცემა მინიმალურ საფასურად (დესეტინა მიწა 500-დან 1000 მანეთამდე ფასით - „ერთობა“, 8.11.1918). ეს ფაქტი კარგა ხანია შემჩნეული და აღნიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში (ბენდიანიშვილი ა., 2001, გვ. 246).

საერთოდაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა დაგვიანებით, მაგრამ ზოგჯერ მაინც ითვალისწინებდა კრიტიკოსთა მოსაზრებებს და ცდილობდა მათ ასახვას როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. „ჩვენ პარლამენტში, ისევე როგორც პრესაში და ცხოვრებაში, სოც. დემოკრატია თანდათან იმეორებს იმას, რასაც ჩვენ (ეროვნულ-დემოკრატები – ო. ჯ.) ვამბობთ დროზედ, როგორც რეალ პოლიტიკის მაღიარებელნი და ისინი დაგვიანებით, როცა უკვე ხელიდან წასულია საქმე“, – შენიშნავდა ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი „საქართველო“ („საქართველო“, 26.06.1918).

ეროვნულ-დემოკრატებს არცთუ იშვიათად ჰქონდათ ალტერნატიული გეგმები და შეეძლოთ, მოსახლეობისათვის შეეთავაზებინა როგორც განსხვავებული ხედვა, ისე მოქმედების გზები მმართველი ძალის მათ მიერ გაკრიტიკებული ან საერთოდ დაწუნებული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ. საგულისხმოა, რომ მემარჯვენე და მემარცხენე ოპოზიციის მიერ ხელისუფლების მისამართით გამოთქმული კრიტიკის ურთიერთშედარებისას ვალიკო ჯუღელი აცხადებდა: „უნდა აღვნიშნო, რომ კრიტიკა სპირიდონ კედიასი ბევრად უფრო საყურადღებოა, ვიდრე შენგელაიასი. ეს იმიტომ, რომ სპ. კედია ცდილობს მოიყვანოს საბუთები, ფაქტები და მათ ნიადაგზე დადგეს. მემარცხენე ორატორებს კი თავის მსჯელობაში სუბიექტური და დემაგოგიური მოტივები შეაქვთ“ („სახალხო საქმე“, 5.01.1921).

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის კრიტიკის საგანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკაც. მიუხედავად აკაკი ჩხენკელის აღიარებისა – ,,ეკონომიკისათვის ჩვენ დრო არა გვქონდა; პოლიტიკამ მეტად დიდი დრო წაგვართვა, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკამ და ქვეყნის დაცვამ“, – მთავრობა ცდილობდა, სათავეში მოქცეოდა მეურნეობასა თუ მრეწველობას და მათი გაძღოლა ეკისრა. ნოე ჟორდანია ერთგულებდა პრინციპს, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში აუცილებელია. მას არაერთხელ განუცხადებია: „ჩვენის ღრმა რწმენით, რესპუბლიკის ფინანსურ ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ საქმეში სახელმწიფო ჩაერევა აქტიურათ“ („ერთობა“, 17.12.1919).

ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევას ეროვნულ-დემოკრატები შეცდომად თვლიდნენ.[17] გიორგი გვაზავა პირდაპირ მიუთითებდა: რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა ხელისუფლება ქვეყნის ცხოვრების ეკონომიკურ სფეროში, მით უკეთესია სახელმწიფოსათვის... ,,აქ სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედება უნდა ამოიწუროს მხოლოდ წესიერების და კანონიერების დაცვით, ე. ი. დაცვით კონსტიტუციით უზრუნველყოფილი თავისუფლებისა“. მმართველ უმრავლესობას ოპოზიციის ამ შეხედულების გაზიარება დამღუპველად წარმოედგინა. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი აცხადებდა: ,,თუ ნაციონალისტების გზას მივყე-

[17] ეს საკითხი, შეიძლება ითქვას, დღემდე საკამათოა. ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, სახელმწიფოს მონაწილეობა ტრანსფორმირებად ეკონომიკაში ობიექტურად აუცილებელია. არგუმენტად იშველიებენ მსოფლიო ცივილიზაციის პრაქტიკას, რომელიც გვიჩვენებს, რომ არც ერთ ეკონომიკურ სისტემას ეფექტიანი განვითარებისათვის სახელმწიფოს გარეშე არ მიუღწევია.

ვით, ჩვენი ერის მომავალს ჩვენივე ხელით ჯვარი უნდა დავუსვათ“ („სახალხო საქმე“, 11.01.1919).

უკან დახევას არც ეროვნულ-დემოკრატები აპირებდნენ. სპირიდონ კედია საქართველოს დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან ასაბუთებდა: „თუ ჩვენ გვინდა ჩვენი წარმოების განვითარება, ...ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა, ჩვენი სისტემა ეკონომიკური საქმიანობისა. ჩვენ ვალდებული ვართ წარმოების ორივე აგენტის ინტერესი დავიცვათ, - როგორც მრეწველის, ისე მუშების, თუ გვინდა სწორი საშუალება მივსცეთ ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას“. ,,სახელმწიფოს არსებობა, მისი ეკონომიკური ცხოვრების მოგვარება …შესაძლებელია მხოლოდ აღებ-მიცემობისა და შემოსავალ-გასავალის საღ ანგარიშზე აგებულ ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებით“ – აღნიშნავდა თავის სხვა გამოსვლაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი (ოქმები, ტ. III, გვ. 307).

ეროვნულ-დემოკრატები ხელისუფლებას სთავაზობდნენ დასავლეთ ევროპის ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ სინამდვილესთან შეხამების გზას და საქართველოში დასავლური კაპიტალის შემოტანისათვის ხელის შეწყობას მოითხოვდნენ. ,,საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ უფრო საფუძვლიან მოლაპარაკებას ევროპის კაპიტალისტებთან, რომ ისინი მოვიზიდოთ ჩვენსკენ ...შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მწარმოებელნი კი არ იხიზნებოდნენ აქედან, არამედ მოდიოდნენ ჩვენში“ – არწმუნებდა ალ. ასათიანი დამფუძნებელი კრების დეპუტატებს და იქვე კონკრეტული პროგრამის პროექტსაც იძლეოდა: ,,უნდა მოეწყოს წესიერი აპარატი გადასახადების შესაკრებად... ამის შემდგომ ჩვენ უნდა მოვსპოთ ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც ჰბორკავენ ჩვენს სასოფლო მეურნეობას, მრეწველობას და წესიერ აღებ-მიცემობას... განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს საგარეო ვაჭრობას. ექსპორტი უნდა გავაცხოველოთ... საჭიროა იმპორტის შეზღუდვა... ბიუროკრატიულად მოწყობილმა მონოპოლიებმა არ გაამართლეს თავისი დანიშნულება“ (ოქმები, ტომი VII, გვ. 290) და სხვ.

მემარჯვენე ოპოზიცია აცნობიერებდა უცხოური ინვესტიციების როლს ეკონომიკის აღორძინებაში და მოუწოდებდა ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაკენ ამ კუთხით. მთავრობა მომეტებულ სიფრთხილეს იჩენდა უცხოელ ბიზნესმენთა მიმართ, რისი დასტურიცაა მის მიერ საზღვარგარეთული ფირმებისა და კომპანიების რამდენიმე საყურადღებო პროექტის დაბლოკვა (დაუშვილი ა., 2011, გვ.221). ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისადმი ამგვარი მიდგომა გარკვეულად სოციალ-დემოკრატების პარტიული შეხედულებებითა და პრინციპებითაც იყო ნასაზრდოები. სხვათა შორის, პირველი რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატ მესვეურებს ასეთი სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა მათი დიდი მხარდამჭერი, მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი კარლ კაუცკიც. იგი ურჩევდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ უპირატესობა საგარეო სესხისათვის მიენიჭებინათ, ხოლო ქვეყნის ექსპლუატაციის ისეთი მწვავე ფორმის ხელშეწყობისაგან, როგორიცაა უცხოელი კაპიტალისტების მიერ ადგილობრივი ინდუსტრიული საწარმოებისა თუ სატრანსპორტო კომუნიკაციების შეძენა, - თავი შეეკავებინათ (კაუცკი კ., 1920, გვ.24-25; ასევე ვადაჭკორია შ., 2001, გვ.270).

ამ შეხედულებების საწინააღმდეგოდ, გაზეთი ,,საქართველო“ მიუთითებდა: ,,მენშევიკური ფორმულები აღარ უდგება ნაციონალურ ჩარჩოებში ჩამწყვდეულ საქართველოს დემოკრატიას და მოძველებული ფრაზეოლოგიაც თანდათან ჰკარგავს დამაჯერებელი არგუმენტების მნიშვნელობას.“ („საქართველო“, 25.01.1921)

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე რელიგიის გავლენა მაღალი არ ყოფილა. ამის მიუხედავად, ხელისუფლების სათავეში მდგომმა სოციალ-დემოკრატებმა კურსი სეკულარიზმის პრინციპზე აიღეს, რაც ეკლესიის სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლის ეკლესიისაგ-

ან გამოყოფას ითვალისწინებდა. სეკულარიზმის პრინციპს ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციაც იზიარებდა, მაგრამ მოითხოვდა რომ გაყოფის შედეგად არც ეკლესია დაზარალებულიყო. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის პოლიტიკური პროცესისაგან ჩამოშორების პარალელურად, მმართველი უმრავლესობაცა და ოპოზიციური ძალებიც რელიგიის თავისუფლების მომხრენი იყვნენ.

როდესაც ხელისუფლებამ ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებში სპეციალური კანონით საღვთო სჯულის სწავლება აკრძალა, ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ეროვნულ-დემოკრატებმა შალვა ქარუმიძემ (ქარუმიძე შ., 1918) და სპირიდონ კედიამ. მათ აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილება გაუმართლებელია პოლიტიკურადაც და პედაგოგიურადაც. საჭიროა არა გაუქმება, არამედ სჯულის სწავლების გადახალისება თვით ეკლესიის მიერ, რომელიც, ხალხის აზრის გათვალისწინებით, განახორციელებდა ამ რეფორმას.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია შეეწინააღმდეგა უქმე დღეების რიცხვის საეკლესიო დღესასწაულების ხარჯზე შემცირების დაკანონებასაც, ურჩევდა მთავრობას მიენდოთ ეს საქმე ეკლესიისათვის, მაგრამ უშედეგოდ (ოქმები, ტ. II, გვ. 88-90; 121-122; 128-129).

დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქართველოში სასამართლო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, ესწრაფოდა, გაეთავისუფლებინა იგი ადმინისტრაციის გავლენისგან. ფრაქცია მიუთითებდა, რომ „თუ ქვეყანაში სამართალი არ არის, – მაშინ სახელმწიფოც არ არის“. „ჩვენ ვიცავთ ჩვენ სუვერენობას, მაგრამ თუ სასამართლოს სფეროში იგი დაცული არ არის, ლაპარაკი სუვერენობაზე ზედმეტია“ – აღნიშნავდა გიორგი გვაზავა და დასძენდა: „სასამართლო იმიტომ არის სასამართლო, რომ იმის დადგენილება არის კანონი, რომელიც უნდა ასრულდეს; ის ვინც არ ასრულებს, ან, ვინც ხელს შეუწყობს მის არ ასრულებას, ის თითონ არის დიდი დამნაშავე სახელმწიფოს წინაშე“ (ოქმები, ტ. II, გვ. 361, 488).

ეროვნულ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ „დამფუძნებელი კრება მოვალეა გამოსცეს კანონები და დარაჯად უდგეს მათ წესიერ ასრულებას“. ისინი მოუწოდებდნენ მთავრობასა და ხელისუფლებას შეექმნათ სახელმწიფოში ისეთი ფსიქოლოგიური განწყობილება, როდესაც კანონები უბრალოდ კი არ იწერება, არამედ მას იცავენ და ასრულებენ კიდეც. კანონთა რეალიზების აუცილებელ პირობად, ეროვნულ-დემოკრატთა აზრით, საჭირო იყო რწმენა, „რომ არის სამართალი და სამართლის შემწეობით კანონი იქნება დაცული და გატარებული ცხოვრებაში“ (ოქმები, ტ. II, გვ. 361).

ხელისუფლებისადმი ოპოზიციური დამოკიდებულების მიუხედავად, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია კმაყოფილებით ეგებებოდა მთავრობის ყოველ სწორ და გონივრულ გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც ხელს უწყობდა ქვეყნის სუვერენიტეტისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას (ჯანელიძე ო, 2018)

ქვეყნის ხელისუფლებასთან ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის კონსტრუქციული თანამშრომლობის ფაქტად უნდა მივიჩნიოთ მისი აქტიური მონაწილეობა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებასა და დამტკიცებაში (საკონსტიტუციო კომისიაში შედიოდნენ სპირიდონ კედია და გიორგი გვაზავა. ეს უკანასკნელი კომისიის მდივანი და კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის წევრიც იყო). გიორგი გვაზავას სიტყვებით, „არ არის არც ერთი მუხლი კონსტიტუციისა, რომლის დამუშავებაში ჩვენი პარტიის წარმომადგენელს არ მიეღოს ბეჯითი მონაწილეობა და არ შეეტანოს, სადაც საჭირო იყო, თავისი შესწორება“ (გვაზავა გ., 1928, გვ.7). აღნიშნულის დასტურად დავძენ, რომ კონსტიტუციის პროექტის თავი „სახელმწიფო და ეკლესია“ ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერის სპირიდონ კედიას მიერ იყო მომზადებული.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია წარმატებით ართმევდა თავს მის წინაშე დასახულ ამოცანებს. 1919 წლის ივლისში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენციამ, რომელზეც მოისმინეს გიორგი გვაზავას ანგარიში, მოიწონა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მიერ გაწეული მუშაობა და მას დადებითი შეფასება მისცა. ამ საკითხის გამო მიღებულ რეზოლუციაში ხაზი გაესვა, რომ „ფრაქციას აღუნიშნავად და დაუფასებლად არ დარჩენია არც ერთი ღირსშესანიშნავი მომენტი და მოვლენა ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და, რომ მისი გამოსვლები ყოველთვის სახელმწიფოებრივი ინტერესით იყო ნაკარნახევი და ატარებდა საქმიანი კრიტიკის ხასიათს“. კონფერენციამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ფრაქცია საგარეო საფრთხისა თუ ქვეყნის შინა ცხოვრების გართულების ჟამს, „ყოველთვის შინაური ფრონტის გაერთიანებისა და განმტკიცების მოციქულად გამოსულა და მხარი დაუჭერია საქართველოს მთავრობისათვის“.

კონფერენციამ ამავე დროს საპარლამენტო ფრაქციას დაავალა „გააცხოველოს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიუღებელი პრინციპებისა და ყოველი მისი ცდომილების მხილება“, მაგრამ საქართველოს როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების წინააღმდეგ მოქმედებისას კვლავაც მთავრობის გვერდით ყოფნა ურჩია („საქართველო“, 13.07.1919). გ

როგორც დავინახეთ, ეროვნულ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქცია ხელისუფლებასთან ურთიერთობის არაერთგვაროვან მოდელს მიმართავდა: იყო ღია დაპირისპირების, კონსტრუქციული თანამშრომლობის, კომპრომისების ძიების, უპირობო მხარდაჭერის და სხვ. შემთხვევები. მიუხედავად ამისა, მმართველი სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა მემარჯვენე ოპოზიციაში არ ხედავდა თანაბარუფლებიან პარტნიორს გადაწყვეტილებების მიღებისას და თავის აშკარა უპირატესობას კენჭისყრისას ხმათა სიმრავლით გამოხატავდა. ამის მიუხედავად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციის ინსტიტუტის არსებობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საჯარო პოლიტიკური სივრცის სიფართოვეს ადასტურებს და იგი ახლად შექმნილი სახელმწიფოს პოლიტიკური მოდერნიზაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო ინდიკატორადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

18.2. ეროვნული პარტია დამფუძნებელ კრებაში (მალხაზ მაცაბერიძე)

დამფუძნებელი კრების პირველ და მეორე დამატებით არჩევნებში მიწის მესაკუთრეთა ეროვნულმა პარტიამ ორი დეპუტატი გაიყვანა. დამფუძნებელ კრებაში არსებულ ერთ მემარჯვენე ფრაქციას, - ეროვნულ-დემოკრატებს, მეორე მცირერიცხოვანი ფრაქციაც დაემატა.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე პირველად გამოვიდა სიტყვით გრიგოლ ვეშაპელი და საჭიროდ ჩათვალა განმარტება გაეკეთებინა „პარტიის ტაქტიკაზე დამფუძნებელ კრებაში“ (ოქმები, ტ. III, გვ. 242). მისი განცხადებით, პარტიის ტაქტიკა დამფუძნებელ კრებაში ოპოზიციური იქნებოდა, ოღონდ ანგარიში გაეწეოდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ იყო. ამიტომ შეეცდებოდნენ, რომ „პარტიის გამოსვლა არ ართულებდეს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს“ (ოქმები, ტ. III, გვ. 242).

თავის გამოსვლის დროს გრიგოლ ვეშაპელმა თავისი პარტიის ტაქტიკის შესახებ ჩამოაყალიბა ცოტა რთული ფორმულა: „ზომა ჩვენი ოპოზიციისა იქნება პროპორციონალური იმისა, რამდენად თვით საოპოზიციო საგანი იქნება ხელის შემშლელი და არა ნორმალური საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“ (ოქმები, ტ. III, გვ. 242).

საქართველოს ეროვნული პარტია შეიქმნა 1918 წლის 12 სექტემბერს. მისი დამფუძნებლები გამოეყვნენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გათიშვის მიზეზებსა და ცალკე პარტიის ჩამოყალიბების აუცილებლობას ეროვნული პარტიის ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი შემდეგნაირად განმარტავდა: "ეროვნულ დემოკრატიული პარტიის გაყოფის მიზეზი იყო ის, რომ თავიდანვე პარტიაში ორგვარ მიმართულებას ჰქონდა ადგილი: ერთი, ჩვენი მიმართულება მთავარ ყურადღებას აქცევდა სოფლის, მიწის მესაკუთრეთა „აგრარულ" ინტერესებს, მეორე კი - გაზეთ „საქართველოს" მიმართულება - მთავარ ყურადღებას აქცევდა ქალაქის, „ბურჟუაზიულ" ინტერესებს. პროგრამისა და ტაქტიკის სხვადასხვაობამ გვაიძულა ჩვენ გავყოფოდით და ცალკე პარტიული ორგანიზაცია დაგვეარსებია" („ნაციონალისტი“, 29.10.1920).

ახალი პარტია ატარებდა „ეროვნულ და სოფლურ პოლიტიკას", მიზნად ისახავდა მშრომელი გლეხობის სამსახურს და საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლას. პარტიამ მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელი კრების არჩევნებში 1919 წლის თებერვალში (სია N 8) და მიიღო 1532 ხმა. დამატებითი არჩევნების შემდეგ (1919 წლის აგვისტო) პარტიამ დააგროვა დაახლოებით 9 ათასამდე ხმა და, როგორც უკვე ითქვა, საბოლოოდ ორი დეპუტატი გაიყვანა დამფუძნებელ კრებაში.

1920 წლის ივნისში ეროვნული პარტიის მთავარმა კომიტეტმა შეადგინა და გამოაქვეყნა პარტიის პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო "მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პოლიტიკის" ძირითადი დებულებები.

1920 წლის 23-24 ოქტომბერს თბილისში, ქალაქის საბჭოს შენობაში, შეიკრიბა ეროვნული პარტიის პირველი ყრილობა-კონფერენცია, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარტიის ცხოვრებაში. კონფერენცია მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის პარტიის პოლიტიკურ სახეზე და ამიტომ მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

წინასწარვე განსაზღვრული იყო, რომ თბილისიდან და პროვინციებიდან (ყველა მაზრიდან) კონფერენციაზე 100 დელეგატი წარიგზავნებოდა. მაზრებს შორის დელეგატების რაოდენობის განაწილებას საფუძვლად ედო დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებული ხმების ოდენობა (მაზრაში ეროვნული პარტიისათვის მიცემულ ყოველ 100 ხმაზე იგზავნებოდა ერთი დელეგატი). კონფერენციის წევრებად უნდა აერჩიათ ის პირები, რომლებსაც შემდეგ საპარლამენტო სიაში შეიყვანდნენ. კონფერენციის გახსნის დღეს გამოცხადდა 80 დელეგატი.

პარტიის ინტელექტუალურ პოტენციალზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს კონფერენციის ხელმძღვანელი და სამუშაო ორგანოების შემადგენლობის გაცნობა. კონფერენციის პრეზიდიუმში აირჩიეს მთავარი კომიტეტის ძველი პრეზიდიუმი: თავმჯდომარე - გრიგოლ ვეშაპელი, თავმჯდომარის ამხანაგები - შალვა ქარუმიძე, დავით ვაჩნაძე, აგრეთვე გიორგი წინამძღვრიშვილი, ნესტორ მაღალაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და კონსტანტინე კაპანელი, მდივანი - მთავარი კომიტეტის მდივანი მიხეილ იშხნელი. სამდივნოში პრეზიდიუმმა მიიწვია გ. ლეონიძე, ვ. ცხადაძე და ვეშაპიძე. სარედაქციო კომისიაში შევიდნენ რევაზ გაბაშვილი, გიორგი ამირეჯიბი და სარგის კაკაბაძე.

დღის წესრიგში იყო მოხსენებები პოლიტიკური მომენტისა და ტაქტიკის შესახებ (1. საქართველოს საგარეო პოლიტიკა, 2. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა და 3. პარტიის ოპოზიცია), მთავარი კომიტეტისა და დამფუძნებელი კრების ფრაქციის მოქმედების შესახებ, პროგრამისა და წესდების განხილვა, დელეგატების მოხსენებები მაზრების მიხედვით, საერობო და საპარლამენტო არჩევნებისათვის სამზადისი, პარტიის მთავარი კომიტეტის არჩევნები და მიმდინარე საკითხები.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ მოხსენებით გამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი, პარტიის თავმჯდომარე გრიგოლ ვეშაპელი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა რეალური ნაციონალური პოლიტიკის გატარება და ევროპის სახელმწიფოებთან შეკავშირება ერთა ლიგის საშუალებით. გ. ვეშაპელის აზრით, საქართველოს მთავრობა ამას ვერ ახორციელებდა თავისი სოციალისტური და ინტერნაციონალისტური ტაქტიკის გამო. ამიტომ მან საჭიროდ მიიჩნია ეროვნული პარტია ოპოზიციაში ყოფილიყო მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიმართაც.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მოხსენებით გამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი შალვა ქარუმიძე. მისი აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად აუცილებელი იყო სოფლის საწარმოო ძალების შესაფერი სამეურნეო პოლიტიკის განხორციელება. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ამას ეწინააღმდეგებოდა მთავრობის პოზიცია, რომელიც იცავდა ქალაქის და, კერძოდ პროლეტარიატის, ინტერესებს და სწორედ ეს მიიჩნია იმ მიზეზად, რამაც ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა.

პარტიის ტაქტიკის თაობაზე სპეციალური მოხსენება წაიკითხა დავით ვაჩნაძემ, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია იმ ოპოზიციური ტაქტიკის მტკიცედ გაგრძელება, რომელსაც პარტია ატარებდა თავისი დაარსების დღიდან.

პარტიის მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის მოქმედების თაობაზე მოხსენებით გამოვიდა გრ. ვეშაპელი. მან გააანალიზა ამ მხრივ გაწეული მუშაობა პარტიის შექმნის დღიდან გასული ორი წლის განმავლობაში. ეროვნული პარტიის საორგანიზაციო საქმიანობის მთავარ დაბრკოლებად მიიჩნია ის, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან გამოყოფის შემდეგ "საქართველოს" ჯგუფს დარჩა როგორც პარტიის სახელწოდება, ისე მთელი საგაზეთო და საორგანიზაციო აპარატი. ამიტომ ეროვნული პარტიის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად საჭირო პარტიული აპარატის შექმნა როგორც თბილისში, ისე, განსაკუთრებით, პროვინციებში.

დამფუძნებელ კრებაში ეროვნული პარტიის მუშაობის მთავარ ამოცანად მიჩნეული იყო ბრძოლა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატებს დამფუძნებელ კრებაში აბსოლუტური უმრავლესობა ჰქონდათ და დანარჩენი პარტიების საპარლამენტო ფრაქციებს არ შეეძლოთ მიღებულ გადაწყვეტილებებზე არსებითი ზეგავლენის მოხდენა. ამდენად, ეროვნული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ბრძოლას ჰქონდა თეორიული, პრინციპული ხასიათი, როდესაც პარტია თავის პოზიციას გადმოსცემდა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით. ამასთან, თანდათანობით აქცენტი გადატანილი იქნა პრაქტიკულ საკითხებზე.

ეროვნული პარტია "მარჯვნიდან" ედგა ოპოზიციაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ე. ი. მისთვის მიუღებელი იყო, როგორც აღნიშნავდნენ, მმართველი პარტიის "სოციალისტური ექსპერიმენტები" ეკონომიკის სფეროში: "ჩვენ ქართველ ერთან ერთად იმედებს არა ვკარგავდით, რომ ბოლოს და ბოლოს ქართველი მენშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობას და მის სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას შესწირავდნენ თავის მკვდარ დოგმებს, გამოფხიზლდებოდნენ და ანგარიშს გაუწევდნენ იმ ეროვნულ დროშას, რომელიც ასე აერთიანებდა და აერთსულოვნებდა მთელ ქართველ ხალხს. ეს იმედები ამ ბოლო დროს თითქმის გვიცრუვდება. ვინაიდან ჩვენი სოციალ-დემოკრატები არ ადგებიან იმ ერთადერთ გზას, რომელსაც ჰქვია ევოლუცია და რომელსაც კიდევ შეუძლია ჩვენი ერის ხსნა". („ნაციონალისტი“, 21.10.1920).

„ის გზა, რომელზედაც ასე ჯიუტად დგანან ჩვენი მენშევიკები რუსულ ბოლშევიზმისაკენ მიგვაქანებს და ყოველივე ჩვენი შრომა, დახმარება და სესხის გამოღება ამაო იქნება, მანამ ჩვენი მთავრობა არ დაადგება იმ გზას, რომელსაც ადგას ყოველი ევროპის სახელმწიფო. ჩვენ

ევროპას ვერ გავაკვირვებთ ვერც ჩვენი კულტურით, ვერც ენგელსით და მარქსით და ისა სჯობია მატრაკვეცობას თავი დავანებოთ და ჩვენზე დაწინაურებულს და მცოდნე ხალხს შევხედოთ და სანამ დაგვიანებული არ არის, მათი ჭკუა ვისწავლოთ" („ნაციონალისტი“, 19.10.1920).

პარტიის კონფერენციამ უცვლელად დაამტკიცა მთავარი კომიტეტის მიერ შედგენილი პროგრამის პროექტი, რომელშიც, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობოდა სოფლის მეურნეობის საკითხებს. პარტიის პროგრამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მასში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მუშაობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაქმნელად, რომელიც იმ დროს მიმდინარეობდა. პარტიის პროგრამაში შესულია ბევრი ისეთი დებულება, რომელთა კონსტიტუციაში ასახვის მიღწევას ცდილობდა პარტია.

ეროვნული პარტიის პოზიციის, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ გ. ლეონიძე კონფერენციის დამთავრების შემდეგ წერდა: „კონფერენციაზე დამსწრე გლეხობა ადასტურებდა, რომ ჩვენთან იქნება საქართველოს მაგარი ძარღვი - მმართველი პარტიისაგან განიავებული სოფელი. ჩვენთან იქნებიან კიდევ ისინი, რომელთა გული გახურებულია ერთობლივი და განუყოფელი საქართველოს იდეის ცეცხლით და რომელთათვის საღვთოა ანდერძები გადასულ ქართველობის, რომელიც იყო უკიდურესი მშვიდობისმყოფელი და ჯვაროსანი სამშობლო ტერიტორიის დაცვაში. დღეს, ჩვენში არსებული ძველი პარტიები, საკმაოდ მობერდნენ, ყველა ესენი უიმედო გასათხოვარ ქალებს ჰგვანან, ერთმანეთში რა ბრაზებით ჰყრილობენ ჯავრს. თითოეულ მათგანს აქვს ოცი და ორმოცი წლების უსიცოცხლო ისტორია, მაგრამ ქართველ ერს დღემდე ვერ უგრძვნია მათი ძალის სიმაგრე და სიცოცხლე. ზოგმა მათგანმა კიდეც მოატყუა ქართველი ერი, ზოგი სრულიადაც უცხოა საქართველოსთვის და ზოგიც საქართველოს ანადგურებს. ასეთ გარემოებაში ჩვენი პარტია მოდის როგორც ახალი ჯვაროსანი საქართველოსთვის; მან უნდა გამოსჭრას გზები ქაოსში და ანარქიაში და აღმართოს უწმინდესი ნაციონალი დროშა. მრისხანე საყვირების ცემით ცეცხლი უნდა ჩაუნთოს სოფელს, რომელსაც ახრჩობს კაპიტალის სპეკულაცია. ქართული ხმალის სიმართლით შემოჭრკალოს საქართველოს სახელმწიფოს სრული და ნააანდერძევი საზღვრები, ხოლო ქართულ კულტურას ახალი ბრწყინვალება მისცეს. იგი მოიტანს ახალ გამოჭედილ საქართველოს და ამ ბარაქიანი იდეალებისათვის ნელი-ნელ ვხსნით მის დროშას..." („ნაციონალისტი“, 28.10.1920).

ეროვნული პარტიის ხელმძღვანელობას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან. როდესაც კონფერენციაზე განიხილეს არასოციალისტურ პარტიებთან დამოკიდებულების საკითხი, გრ.ვეშაპელმა აღნიშნა, რომ სრულიად ზედმეტი იყო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან შეთანხმებაზე ლაპარაკი. მისი თქმით, ეროვნული პარტია საკმაოდ ძლიერი იყო როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულად იმისათვის, რომ "სოფლის, მიწის მესაკუთრეთა პოლიტიკა ქალაქის სპეკულანტებისაგან დამოუკიდებლად" ეწარმოებინა („ნაციონალისტი“, 31.10.1920).

მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა, პარტიული პროგრამებისა და მიზნების სიახლოვე საფუძვლად დაედო 1921 წლის იანვარში საქართველოს არასოციალისტური პარტიების გაერთიანებას საქართველოს დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით. მათ შორის იყო საქართველოს მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია.

18.3 დემოკრატიული პარტიის შექმნა და დამფუძნებელ კრებაში შესაბამისი ფრაქციის ჩამოყალიბება (მალხაზ მაცაბერიძე)

1921 წლის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს დემოკრატიული პარტიის შექმნა, რომელშიც გაერთიანდნენ არასოციალისტური დემოკრატიული პარტიები.

პარტიათა გაერთიანებას წინ უძღოდა სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა. 1920 წლის 7 დეკემბერს ეროვნულ-დემოკრატი-ულ, მიწის მესაკუთრეთა ეროვნულ და რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიების მთავარი კომიტეტების წარმომადგენლები (კ. ტყავაძე, გ. ვეშაპელი, ლ. ჯაფარიძე, ალ. ასათიანი, შ. ქარუმიძე, სპ. კედია) შეთანხმდნენ გაერთიანების პირობების თაობაზე. შეთანხმების მთავარ ოქმში ხაზგასმული იყო, რომ "გაერთიანება ერთს პარტიაში ყველა არა სოციალისტურ, დემოკრატიულ პარტიათა და კავშირთა არის საჭირო და ნაკარნახევი რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ვითარებით" („მიწა“, 16.01.1921).

პარტიათა გაერთიანება უნდა მომხდარიყო გამაერთიანებელ კონფერენციაზე, რომელიც რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა მოეწვიათ (შემდგომში განისაზღვრა, რომ კონფერენცია გაიხსნებოდა თბილისში 1921 წლის 23 იანვარს და გაგრძელდებოდა სამი დღე). გადაწყდა, რომ გაერთიანებულ პარტიას უნდა დარქმეოდა ახალი სახელი - "დემოკრატიული პარტია", მაგრამ ამასთან, პრაქტიკული მოსაზრებებით, ამ ახალი სახელის დამტკიცების შემდეგაც დასაშვებად მიიჩნიეს "შეერთებულ პარტიათა სახელწოდებების შენახვა" („მიწა“, 16.01.1921).

გაერთიანებული პარტია იდეურად და პრაქტიკულად უნდა დაყრდნობოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს. ამ პროგრამის გადახედვა და ახალ რეალობათა მიხედვით შევსება უნდა მომხდარიყო საერთო გამაერთიანებელ კონფერენციაზე. გაერთიანებული პარტიის მთავარ ყოველდღიურ ორგანოდ განისაზღვრა გაზეთი "საქართველო", ხოლო ყოველკვირეულად - "მიწა". მათ სახელმძღვანელოდ უნდა დანიშნულიყო სამი რედაქტორი: პირველი - ეროვნული პარტიიდან, მეორე - ეროვნულ დემოკრატებიდან და მესამე - რადიკალ დემოკრატებიდან.

გადაწყდა, რომ პარტიის მმართველი ორგანოები უნდა ყოფილიყო "მთავარი კომიტეტი" და "ბიურო". პირველში იქნებოდა 36 წევრი. აქედან ეროვნულ-დემოკრატებს მიეკუთვნათ 23 წევრი, ეროვნულ პარტიას - 9, რადიკალ-დემოკრატებს - 2 და უპარტიოთა კავშირს - 2. მთავარი კომიტეტისათვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია კონფერენციის მიერ კომიტეტის შემადგენლობიდანვე გამოყოფილ ბიუროს (9 კაცისაგან შემდგარი). მასში შევიდოდნენ 5 ეროვნულ-დემოკრატი, 2 - ეროვნული პარტიისა და თითო - რადიკალ დემოკრატების და უპარტიოთა კავშირის წარმომადგენლები. ბიუროს უნდა ჰყოლოდა თავმჯდომარე, ორი მისი ამხანაგი და მდივანი. თავმჯდომარის პირველი ამხანაგის თანამდებობას იკავებდა ეროვნული პარტიის წარმომადგენელი. პრეზიდიუმის დანარჩენ ადგილებს იკავებდნენ ეროვნულ-დემოკრატები.

კონფერენციის შემდეგ ასევე გაერთიანდებოდნენ დამფუძნებელ კრებაში მყოფი ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული პარტიის ფრაქციები.

კონფერენციის მოწვევის საქმეს ხელმძღვანელობდა ცენტრალური საკონფერენციო კომისია, რომელიც შედგებოდა ამ პარტიათა ხელმძღვანელ ორგანოთაგან. განისაზღვრა კონფერენციის დღის წესრიგი: 1. განცხადება ცენტრალური საკონფერენციო კომისიისა პარტიათა გაერთიანების შესახებ და ამ განცხადების განმარტებანი პარტიათა წარმომადგენლობის მიერ. 2. მოხსენებანი მომენტის შესახებ: ა) საშინაო მდგომარეობა, ბ) საგარეო მდგომარეობა და გ) ეკონომიკური მდგომარეობა, 3. პროგრამა და წესდება, 4. საარჩევნო მუშაობა (პარლამენტი, ერობა, ქალაქები), 5. არჩევნები მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

გრ. ვეშაპელი გამაერთიანებელ კონფერენციასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში მოკლედ იხსენებდა 1917 წელს შექმნილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაშლის ისტორიას: "ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში არასოციალისტური მესაკუთრე საქართველო გაერთიანდა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად; და ეს მიზანი საგარეო და საშინაო მუშაობით მიღწეულიც იქმნა. მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევასთან ერთად იყოფოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც. ჯერ მემარცხენე ფრთა გამოიყო რადიკალ-დემოკრატიული პარტიის სახით, მერე კი მემარჯვენე ფრთა - ეროვნული პარტიის სახით. პოლიტიკური ტაქტიკური დაყოფა დაუკავშირდა სოციალ-ეკონომიურ პროგრამულ დაყოფასაც. რადიკალ-დემოკრატიული პარტია და ეროვნული პარტია შეუკავშირდნენ როგორც პროგრამით, ისე პრაქტიკით სოფლის მესაკუთრეთა ინტერესებს, იმ განსხვავებით, რომ რადიკალ-დემოკრატიული პარტია სოფლად მარტო გლეხებს ეყრდნობოდა, ხოლო ეროვნული პარტია ყველა წოდების მიწის მესაკუთრეთა აგრარულ ინტერესებს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი, მიუხედავად არაკლასიურ პროგრამის შენახვისა, ტაქტიკით და პრაქტიკით თანდათან ბურჟუაზიულ, ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესებს უკავშირდებოდა" („მიწა“, 23.01.1921).

არასოციალისტურ პარტიათა გაერთიანება მიმართული იყო სოციალისტური პარტიების და პირველ რიგში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ. გრ. ვეშაპელის სიტყვით, გაერთიანების მიზანი იყო "საქართველოს განთავისუფლება სოციალისტურ ბოლშევიკების ხათრით მენშევიკურ დიქტატურისაგან და ნამდვილი ამ სიტყვის ევროპიული მნიშვნელობით დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება" („მიწა“, 23.01.1921).

პარტიათა გაერთიანება გარკვეულ წინააღმდეგობასაც წააწყდა. მაგალითად, გაერთიანების წინააღმდეგ გამოვიდა რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის 6 წევრი. მათ განაცხადეს, რომ არ შედიან ახლადშექმნილ პარტიაში. ესენი იყვნენ თედო სახოკია (კომიტეტის თავმჯდომარე), შ. დედაბრიშვილი (შ. არაგვისპირელი), დუშიკო ფალავანდიშვილი, ქრისტეფორე (ჩიტო) კაპანაძე (კომიტეტის მდივანი), დიმიტრი დეკანოზიშვილი და დავით ჩიქოვანი (პარლამენტის რადიკალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელმძღვანელი). („სახალხო საქმე“, 21.01.1921).

არასოციალისტური პარტიების გაერთიანებული კონფერენცია შედგა თბილისში 1921 წლის 23-27 იანვარს. კონფერენციას დაესწრო 220 დელეგატი, მათგან ეროვნულ-დემოკრატი იყო 150, ეროვნულ პარტიას წარმოადგენდა 50, რადიკალ-დემოკრატი იყო 15 და უპარტიო - 5 დელეგატი. („მიწა“, 30.01.1921).

პირველი სხდომა - 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე - გახსნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის უხუცესმა წევრმა ვ. წერეთელმა. მან აღნიშნა არასოციალისტურ პარტიათა გაერთიანების დიდი მნიშვნელობა საქართველოსთვის და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა.

კონფერენციას მიესალმა სრულიად საქართველოს კათალიკოსი ლეონიდე, აგრეთვე სამუსლიმანო საქართველოს და აფხაზეთის წარმომადგენლები. მეჯლისის და მისი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ხალილ კახიძემ და მესხეთის სახელით მოლა ასლან დვალიძემ მისალმებასთან ერთად იმედი გამოთქვეს, რომ ამ კონფერენციაზე გაერთიანებული პარტია მხარს დაუჭერს სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: გ. ვეშაპელი - საქართველოს საგარეო მდგომარეობის შესახებ; სპ. კედია - საშინაო პოლიტიკის შესახებ; შ. ქარუმიძე - სასოფლო მეურნეობის შესახებ; ტ.მარგველაშვილი - ვაჭრობა-მრეწველობაზე; კ.აფხაზი - ფინანსებზე; ალ.ასათიანი - საქართველოს ეკონომიკური ვითარების შესახებ. ს.დანელია კონფერენციის მუ-

შაობის დროს თბილისში არ იმყოფებოდა, ამიტომ წაიკითხეს მისი მოხსენების თეზისები პარტიის ტაქტიკის შესახებ.

26 იანვარს კონფერენციამ ერთხმად დაადგინა გაერთიანებულ პარტიას სახელად დარქმეოდა "საქართველოს დემოკრატიული პარტია. გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია და უპარტიოთა კავშირი". მცირე რედაქციული შესწორებებით ერთხმად იქნა მიღებული საკონფერენციო კომისიის მიერ შემუშავებული პარტიის პროგრამა.

27 იანვარს კონფერენციამ აირჩია მთავარი კომიტეტი. კონფერენციის დადგენილებით მთავარ კომიტეტში სრულუფლებიან წევრებად შევიდნენ ასევე სამაზრო კომიტეტების ყველა თავმჯდომარე, ხოლო ქუთაისის კომიტეტიდან თავმჯდომარე და მისი ამხანაგი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს ვ.ჯანელიძე, ნ.კაიშაური, გრ. ნიჟარაძე, ალ.ლორთქიფანიძე, შ.ბერიძე („საქართველო“, 29.01.1921).

კონფერენციამ გაგზავნა ორი მისასალმებელი დეპეშა. ერთი გაეგზავნა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს. ასლი სამხედრო მინისტრს და მთავარსარდალს გენერალ ოდიშელიძეს: "საქართველოს დემოკრატიული პარტიის (ეროვნულ-დემოკრატიულ, ეროვნულ, რადიკალ-დემოკრატიულ პარტიების და უპარტიოთა კავშირის) კონფერენცია გულმხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს ჯარს და გვარდიას; კონფერენცია გამოსთქვამს რწმენას, რომ საქართველოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალა თქვენი ხელმძღვანელობით კვლავ მედგრად დაიცავს სამშობლოს დამოუკიდებლობას. კონფერენციის თავმჯდომარეები: სპ.კედია, გრ. ვეშაპელი, ალ. ასათიანი, კ. აფხაზი და ალ. შანშიაშვილი" („საქართველო“, 29.01.1921).

მეორე დეპეშა გაეგზავნა საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს, ასლი სტუდენტთა გამგეობას. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ "კონფერენცია მიესალმება საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს და სტუდენტობას და ულოცავს მათ მეცნიერების ტაძრის არსებობის სამი წლის თავს. კონფერენცია იმედოვნებს, რომ საქართველოს უნივერსიტეტის მუშაკნი მედგარი კულტურული ბრძოლით მოუპოვებენ ქართველ ერს საპატიო ადგილს კულტურულ მსოფლიოში" („საქართველო“, 29.01.1921).

არასოციალისტური დემოკრატიული პარტიების გაერთიანებასთან დაკავშირებით გაზეთმა "საქართველომ" 28 იანვარს გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, რომელშიც მოკლედ იყო ჩამოყალიბებული ახალი პარტიის მიზნები და ამოცანები. გაზეთი აღნიშნავდა: "მოხდა ის, რაც ამხნობამდისაც უნდა მომხდარიყო! ყველა გრძნობდა, რომ არაბუნებრივი და არანორმალურია, როდესაც ერთმანეთს დაშორებულნი არიან ორგანიზაციულად ისეთი მიმართულებები, რომელთაც პრინციპულადაც და ტაქტიკურადაც არაფერი აქვთ გასაყოფი და როგორც ნაწილნი ერთი მთლიანი ორგანიზმისა ადრე თუ გვიან უნდა შეერთებულიყვნენ". ერთ პარტიად გაერთიანდნენ ის ძალები, რომლებიც კატეგორიულად უარყოფდნენ საქართველოში არსებულ წესებს და "იმ დამღუპველ ექსპერიმენტებს, რომელთა მეტისმეტი გახშირებით სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უფსკრულის პირამდის მიიყვანა საქართველო" სარედაქციო სტატიაში დაფიქსირებული პოზიციის თანახმად, კიდევ უფრო სავალალო იქნებოდა საქართველოსათვის სხვა სოციალისტური პარტიების - სოციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების შესაძლო მმართველობა. "მათი "სახელმწიფოებრივი საშუალებანი" სულ ერთიანად აატიალებენ ჩვენს სამშობლოს, თუ მას უბედურება ჰხვდება წილად და ეს ფანტაზიორები წამოისკუპა მმართველობის სათავეში" („საქართველო“, 28.01.1921)..

ახალი პარტიის სამოქმედო პროგრამა გაზეთს შემდეგნაირად ესახებოდა:

"საქართველოს სახელმწიფომ რაც შეიძლება მალე თავი უნდა დაახწიოს არსებულ სახელმწიფო და სოციალურ წესებს, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში წარმოადგენენ მხოლოდ გადასხვაფერებას რუსეთის კომუნისტურ წესწყობილებისას.

საქართველოს დაღუპვისაგან იხსნის მხოლოდ და მხოლოდ ასე ვთქვათ ევროპეიზაცია მისი მთელი სახელმწიფოებრივი შინაარსისა. ქართველ ხალხს გზა საუკეთესო მომავლისაკენ უნდა უჩვენონ არა ველიკორუსებმა, რომელთაც სხვა ანარქისტულ ელემენტებთან ერთად სულ მთლად გაანიავეს თავისი ქვეყნის დოვლათი და დასცეს კულტურა, არამედ დემოკრატიულმა მოწინავე ევროპამ.

საქართველოში ამ ჟამადვე უნდა აღკვეთილ იქნეს ყოველივე ნასახი სოციალიზაციისა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. საქართველოში უნდა დამკვიდრდეს კერძო საკუთრების ხელუხლებლობის შეგნება. საქართველოში დიდი სარგებელი უნდა მიეცეს კერძო თაოსნობას. ეკონომიკური კრიზისის კორიანტელში ჩავარდნილ საქართველოში უნდა შემოვიდეს უცხო კაპიტალი მთელი თავისი ატრიბუტებით. საქართველოში უნდა აყვავდეს სოფლის მეურნეობა. ერთის სიტყვით, სურათი საქართველოისა ისეთნაირად უნდა შეიცვალოს, რომ მსგავსების ნატამალიც აღარ ჰქონდეს აწ არსებულ შემზარავ სანახაობასთან.

დემოკრატიული საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიკუთვნებს თავის ადგილს კულტურულ სახელმწიფოთა ოჯახში, როდესაც პოლიტიკურსა და ნაციონალურ ემანსიპაციას თან დაერთვის კულტურული და ზნეობრივი ნამდვილი თავისუფლება. ეს ვერ შესრულდება არსებულ პირობებში. ამას ვერც შესძლებენ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი "მესვეურნი": ამისათვის ხელის შემშლელი ფაქტორი ერთობ გამჯდარია სოციალისტების ძვალ-რბილში.

კულტურული ევროპისაკენ საქართველოს მიაბრუნებს ის მიმართულება, რომელიც მთელის შინაარსით ევროპიულია და დემოკრატიული" („საქართველო“, 28.01.1921).

ს.დანელია ახალი პარტიის ტაქტიკის თაობაზე თავის მოხსენების თეზისებში აღნიშნავდა, რომ მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არსებითად ორი იდეური ოპოზიცია ჰყავდა: მარცხნივ ბოლშევიკები და მარჯვნივ - ახლად შექმნილი დემოკრატიული პარტია. ამასთან "ბოლშევიკების ოპოზიცია მთავრობის წინააღმდეგ სცილდება საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვრებს და მიმართულია ამ დამოუკიდებლობის დამხობისაკენ. იდეურს და სახელმწიფოებრივ ოპოზიციას მმართველი პარტიის წინააღმდეგ აწარმოებს მხოლოდ საქართველოს გაერთიანებული დემოკრატიული პარტია".

საქართველოს გაერთიანებული დემოკრატიული პარტია მიზნად ისახავდა პოლიტიკურად დაერაზმა ქალაქისა და სოფლის მესაკუთრენი, ინტელიგენცია. ამ პარტიას უნდა შეექმნა საქართველოში ისეთი პირობები, როდესაც გაძნელდებოდა "უპასუხისმგებლო და ერისათვის მავნე ექსპერიმენტების შესაძლებლობა"; ლეგალური ფორმა უნდა მიეცა მმართველი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ დაგროვილი უკმაყოფილებისათვის და ამით "სამშობლოსათვის აეცდინა არალეგალურ ან ანარქიულ გამოსვლების შესაძლებლობა". („საქართველო“, 12.02.1921).

არასოციალისტური პარტიების გაერთიანებას მოახლოებული არჩევნების წინ ბუნებრივია თან სდევდა პოლიტიკური ბრძოლის გამწვავება. გაძლიერდა დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარმართულიყო თავისუფალი საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარება: სოციალისტური თუ არასოციალისტური გზით.

ცვლილება მოხდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის პიროვნულ შემადგენლობაშიც. დამფუძნებელი კრების 1921 წ. 25 იანვრის სხდომაზე გაეცნენ დამფუძნებელი კრების წევრის პეტრე სურგულაძის (ერ.-დემ.) განცხადებას, რომელიც კრების წევრობაზე უარს ამბობდა: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დღეიდან, ჩემი პირადი მდგომარეობის გამო, იძულებული ვარ თავი დავანებო დამფუძნებელ კრებას“. დამფუძნებელმა კრებამ ეს განცხადება ცნო-

ბად მიიღო და თავმჯდომარემ (ნიკოლოზ ჩხეიძემ) განაცხადა, რომ პეტრე სურგულაძის ადგილს დაიკავებდა პარტიული სიის მომდევნო ნომერი რაფიელ ივანიცკი (ოქმები, ტ. VIII, გვ.147).

18.4.დაშნაკცუთიუნის ფრაქცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (ოთარ ჯანელიძე)

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში დემოკრატიულობის ერთ თვალსაჩინო მახასიათებელს მრავალპარტიულობა წარმოადგენდა. ქვეყანაში არ არსებობდა კანონი პოლიტიკური პარტიებისა და კავშირების შესახებ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნებისმიერ საზოგადოებრივ ჯგუფს თავისუფლად შეეძლო შეექმნა პოლიტიკური ტიპის გაერთიანება და მონაწილეობა მიეღო მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა თუ გამოხატვაში. სხვაგვარად, - ყოველ პოლიტიკურ გაერთიანებას სრული უფლება ჰქონდა ჩართულიყო პოლიტიკურ პროცესში და ეცადა ბედი როგორც ადგილობრივი (თვითმმართველობის), ისე ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტია, კავშირი, ჯგუფი) რეგისტრაცია ხორციელდებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მას შემდეგ, რაც ეს გაერთიანება წარადგენდა რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად გაფორმებულ საკანდიდატო სიას (რეგისტრაცია ნიშნავდა სიისათვის საარჩევნო ნომრის მინიჭებას). სხვა სახის შეზღუდვა არ არსებობდა (აქტები, 1990, გვ.94-95).

იმ ოთხი ძირითადი პოლიტიკური ძალის გარდა, რომელთა წარმომადგენლები ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში, საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე ჩამოყალიბებულ ეროვნულ საბჭოში შედიოდნენ, საქართველოში ფუნქციონირებას განაგრძობდნენ სომხური დაშნაკცუთიუნისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიები.

ერთი შეხედვით, უცნაური ჩანს, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა სახელმწიფოთა ინტერესების გამომხატველი არაქართული პოლიტიკური ორგანიზაციები, მაგრამ ამ მოვლენას აქვს თავისი ახსნა. რუსეთის კოლონიურ უღელქვეშ მოქცეული საქართველო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულში სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში იდგა. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასია და მათ შორის საქართველო რომანოვთა იმპერიის სუსტად განვითარებულ პერიფერიას წარმოადგენდა, რევოლუციური მოძრაობის მხრივ იგი მეტროპოლიას დიდად არ ჩამორჩებოდა. სწორედ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური შემართების ნიადაგზე აქ წარმოიშვნენ როგორც იმპერიის მასშტაბით მოქმედი პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციები, ისე ნაციონალისტური მისწრაფების საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებები. მათ შორის ერთ-ერთი პირველი დაშნაკცუთიუნი - ,,სომეხთა რევოლუციური ფედერაცია“ - იყო.

დაშნაკცუთიუნი, როგორც პოლიტიკური პარტია, 1890 წელს თბილისში ჩამოყალიბდა. მისი თაოსნები და პირველი ლიდერები იყვნენ: ქრისტეფორ მიქაელიანი, როსტომ ზორიანი და სიმონ ზავარიანი.

1892 წელს მიღებული პროგრამის თანახმად, პარტია მიზნად ისახავდა სომეხი ხალხის კონსოლიდაციას და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას დემოკრატიზმის საფუძვლებზე. ეს სახელმწიფო კი, არც მეტი არც ნაკლები - ,,დიდი სომხეთის“ ისტორიულ საზღვრებში წარმოედგინათ (Gerard J., 2004, p.366; Качазнуни О., 1923, с. 12; 43-44). გამოსცემდნენ გა-

ზეთს ,,დროშაკ“ (,,დროშა“). პარტიის საბრძოლო არსენალში, მშვიდობიანი ფორმებისა და საშუალებების გვერდით, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ტერორს, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა კიდეც (მაგალითად, ბაქოს გუბერნატორის თავად მ. ნაკაშიძის მკვლელობა 1905 წელს, გენერალ მ. ალიხანოვ-ავარსკის მკვლელობა 1907 წელს და სხვ.)[18].

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაშნაკცუთიუნი აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.[19] მისი წარმომადგენლები შედიოდნენ როგორც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (მ. პაპაჯანოვი, რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი), ისე ამიერკავკასიის კომისარიატისა (ხ. კარჩიკიანი – ფინანსთა კომისარი, გ. ტერ-გაზარიანი – სურსათის საქმეთა კომისარი, ა. ოჰანჯანიანი – მზრუნველობის სამინისტროს კომისარი) და ამიერკავკასიის სეიმის მიერ შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის (ა. სააკიანი – სურსათის საქმეთა მინისტრი, რ. კაჩაზნუნი – სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი, ა. ერზიკიანი – შრომის მინისტრი) შემადგენლობაში.

სეიმის თვითლიკვიდაციისა და სამხრეთ კავკასიის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ დაშნაკცუთიუნის პარტია სათავეში ჩაუდგა სომხეთის რესპუბლიკას, მაგრამ პარტიას არც საქართველოში შეუწყვეტია საქმიანობა. აქ დარჩა იმავე სახელწოდების ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნდა თავისი ადგილობრივი (სასოფლო, სამაზრო) და ცენტრალური სტრუქტურები. სომეხთა რევოლუციური პარტია დაშნაკცუთიუნის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იყო ჯერ დავით დავითხანიანი, შემდეგ კი ტიგრან ავეტისიანი. პარტია 1917 წლიდან თბილისში გამოსცემდა ყოველდღიურ სომხურენოვან გაზეთს სახელწოდებით ,,აშხატავორი“ (,,მშრომელი“). ჯერ-ჯერობით დოკუმენტურად ვერ საბუთდება, მაგრამ საქართველოში დარჩენილი დაშნაკცუთიუნის ორგანიზაცია სომხეთში გადანაცვლებული ამავე პარტიის ფილიალად უნდა გარდაქმნილიყო.

ტიგრან ავეტისიანის განცხადებით, დაშნაკცუთიუნის პოლიტიკური მიზანს ამიერკავკასიის ფედერაციულ ნიადაგზე მოწყობა, ხოლო ოსმალეთის საზღვრებში სომხებისთვის ავტონომიის მიცემა წარმოადგენდა. მისივე სიტყვებით, სოციალიზმის სფეროში დაშნაკებს იგივე მიზანი აქვს, როგორიც ყველა სოციალისტურ პარტიას („საქართველოს რესპუბლიკა“, 3.01.1919).

როგორც ცნობილია, 1918 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნული საბჭო ეროვნულმა უმცირესობებმა შეავსეს. საბჭოში ყველაზე ადრე სომეხთა წარმომადგენლები გამოცხადდნენ, რომელთა რიცხვი 10-ს შეადგენდა. ისინი სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები იყვნენ, კერძოდ: ტიგრან ავეტისიანი, დავით დავითხანიანი, ზორი ზორიანი (დაშნაკცუთიუნი), არშაკ ბარხუდაროვი (კადეტი), პავლე დოლუხანოვი (სახალხო პარტია), ნიკოლოზ თარხანოვი, ლეონ თუმანოვი (ესერთა პარტია), სერგო დანდუროვი, არამის ერზაკიანი და ბაგრატ მიკურტუმოვი (სოციალ-დემოკრატები).[20]

---

[18] 1905 წ. ოსმალეთის სულთან აბდულ ჰამიდის სალიკვიდაციოდ გამიზნული ბომბის დამზადებას შეეწირა ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ა. მიქაელიანი, რომელიც ერთპიროვნულად გეგმავდა ხსენებულ ტერორისტული აქტის განხორციელებას. იხ. Армянская Энциклопедия фонда ,,Хайазг“ - Христофор Микаелян http://ru.hayazg.info/Микаелян_Христофор

[19] დაშნაკცუთიუნმა თბილისის საქალაქო არჩევნებში 1917 წლის ივლისში 40 კაციანი საარჩევნო სია წარადგინა (N 3) და ამომრჩეველთა 19 ათასამდე ხმა მოაგროვა („სახალხო საქმე“, 20.07.1917).

[20] საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. 107; 119; საქმ. 121; ასევე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018, გვ. 65; 125; 130; 138; 178; 197-198; 276. საქართველოს პარლამენტის სომეხ დეპუტატთაგან ბევრი 1917 წლიდან თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსნადაც იყო არჩეული.

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე მათ გულთბილად მიესალმა. საპასუხო სიტყვა დავით დავითხანიანმა ქართულ ენაზე წარმოთქვა და განაცხადა: ,,ჩვენ მოვედით აქ არა მარტო იმისთვის, რომ ჩვენი კულტურული და ეროვნული მისწრაფებანი განგვეხორციელებინა და დაგვეცვა, არამედ იმისთვისაც, რომ ერთად შევებათ იმ უღელში, რომელიც ხელს შეუწყობს და განამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობას და გაუადვილებს მას აყვავებას. ...ამ შეგნებით მოვედით თქვენთან ერთად სამუშაოდ და სოლიდარობის განსამტკიცებლად“ („სახალხო საქმე“, 3.10.1918).

სომეხი დეპუტატის ეს გამოსვლა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილმა წარმომადგენელმა პეტრე სურგულაძემ შეაფასა, როგორც ,,ლოიალური და თავდაჭერილი“, მაგრამ არ იყო რა ბოლომდე დარწმუნებული დავითხანიანისა და მისი პარტიის გულწრფელობაში, იქვე დასძინა: ,,ჩვენ ველით, რომ ამ განცხადებას მისი შესაფერი მოქმედება მოჰყვება“ („საქართველო“, 9.10.1918).

მართლაც, დაშნაკცუთიუნის წარმომადგენლისაგან ქართული სახელმწიფოსათვის ერთგულების შეფიცვა, ისევე, როგორც მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის მზაობის გამოხატვა, მისასალმებელი იყო, მაგრამ უფრო არსებითი მნიშვნელობა ამ დეკლარირებული ლოიალობა-ერთგულების პრაქტიკაში განხორცილებას ენიჭებოდა. აქ კი საქართველოსა და სომხეთის ცალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბებისთანავე დაშნაკცუთიუნმა კომპრომისულ ურთიერთობას რადიკალური პოზიცია ამჯობინა. დაშნაკცუთიუნის ყრილობამ ჯერ კიდევ 1918 წლის 15 ივნისს მძაფრი პროტესტი გამოხატა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართ, რომელმაც ბორჩალოსა და ყაზახის მაზრები, სრულიად კანონიერად, თავის იურისდიქციაში მოაქცია. ამის გამო ყრილობამ საქართველოს მთავრობა ,,მენშევიკ-თავადთა ბლოკად“ მოიხსენია და მას ბრალი იმპერიალისტურ და შოვინისტურ მისწრაფებაში დასდო. ყრილობის რეზოლუციაში ვკითხულობთ: ,,სომხის დემოკრატია, მიუხედავად მასზედ ძალდატანებისა, არასოდეს შეურიგდება იმას, რომ სომხური რაიონები შეტანილ იქმნენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში და მოითხოვს ეროვნული საბჭოსაგან მთელი ძალღონით სასტიკად წინ აღუდგეს ამ მენშევიკ-თავადთა ახალ ავანტიურას“ („საქართველო“, 21.06.1918).

მალე ცხოვრებამ საქართველოს პარლამენტად გარდაქმნილ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქართველ და სომეხ პოლიტიკოსთა ერთობას სერიოზული გამოცდა მოუწყო. სომხეთ-საქართველოს ომმა, რომელიც 1918 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა, ქართულ-სომხური ,,დემოკრატიის სოლიდარობას“ საფუძვლიანი ბზარი გაუჩინა და ეჭვები უნდობლობაში გადაზარდა.

ხსენებულ ამბებს მათი თანამედროვე და მონაწილე, შემდგომში ემიგრაციაში მოღვაწე ვალიკო ჩუბინიძე ასე იხსენებდა: ,,სომხის ხალხის ხელმძღვანელ ინტელიგენტებმა, დაშნაკცუტუნის პარტიამ, ჯერ ასტეხა გესლიანი აგიტაცია ჩვენი მთავრობის და სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ, ბრალი დაგვდო, რომ საქართველოს მთავრობა ,,სპობს სომხის ხალხს. ...იღუპებიან ათასობით დარჩენილი ლტოლვილები. ...ჯავახეთი რომ შეიქმნეს ქართული, უნდა დაიღუპონ სომხის ლტოლვილები. ...სომხეთის მთავრობა, მთელი საქართველოს სომხების მოსახლეობა, ყველა ორგანიზაციები ტფილისში და ყველა მოქალაქე სომეხი არ უნდა დაერიდოს არავითარ მსხვერპლს და უნდა ძალა დაატანოს მთავრობას, რომ შეწყვიტოს სომხის ხალხის მოსპობა“. დაშნაკთა ასეთმა აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო. ,,მშვიდობიან ქართველების წინააღმდეგ სომხის ხალხი, მათი შეუგნებლობის გამო, საომრათ დაირაზმა“ (ჩუბინიძე ვ., 1938, გვ.72-73).

სომხეთ-საქართველოს ომი სამხრეთ კავკასიაში მყოფი ინგლისის სამხედრო წარმომადგენლობის ჩარევით შეწყდა. მალე (1919 წლის მარტი) სომხეთისა და საქართველოს რესპუბლი-

კებმა ერთმანეთის იურიდიულად აღიარების გადაწყვეტილებები მიიღეს, თუმცა საქართველოში მოქმედ დაშნაკცუთიუნის პარტიას ანტიქართული გამოხდომები არ შეუწყვეტია. მას ამ კუთხით დამატებითი შესაძლებლობაც გაუჩნდა, როდესაც 1919 წლის იანვარში, თბილისში, ახალი სომხურენოვანი გაზეთი ,,არაჩი"-ს (,,წინ") დააფუძნა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოფიციოზი ,,ერთობა" ასე გამოეხმაურა ამ ფაქტს: ,,ჩვენი სახელმწიფოებრიობის მოწინააღმდეგე პრესას კიდევ მიემატა ერთი თანამოძმე. ...ეს ახალი გაზეთი – ახალია მხლოდ სახელით, ნამდვილათ კი წარმოადგენს დაშნაკცუთიუნის ძველი მოღვაწეობის გაგრძელებას, რასაც არც თვითონ გაზეთი მალავს. ,,ჰარაჩის" ყოველი სიტყვა საქართველოს დემოკრატიის და მისი მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული" („ერთობა", 14.01.1919).

მმართველი უმრავლესობის პერიოდული პრესა დაშნაკცუთიუნს სხვა დროსაც ხშირად ამხელდა ნაციონალისტური მისწრაფებისა და კავკასიის ერთა შორის დაპირისპირების გაღვივების გამო. სტატიაში - „შოვინისტთა კონსპირაცია" ხაზგასმულია: „ერთა შორის ბრძოლაში აღიზარდა ეს პარტია - დაშნაკცუტიუნი, ერთა შორის მტრობის და შუღლის გაღვივებას ემსახურება იგი დღესაც. და სანამ ამას ბოლო არ მოეღება, სანამ დემოკრატია სომხისა არ შეაქცევს ზურგს ამ არა მკითხე ძალათ მაცხოვნეებს, მანამ გაჭირდება ძმობა-ერთობის განმტკიცება ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის" („ერთობა", 9.08.1918).

დაშნაკცუტიუნისადმი კრიტიკული იყო ფედერალისტთა დამოკიდებულებაც. ისინი სომხური პარტიას ორმაგ პოლიტიკაში ადანაშაულებდნენ, რომელიც მისთვის მეფის ხელისუფლების პერიოდშიც დამახასიათებელი იყო. არჩილ ჯაჯანაშვილის სიტყვით, დაშნაკცუტიუნის „პოლიტიკური მოღვაწეობა იმდენად ელასტიურია, რომ ვორონცოვ-დაშკოვის კაბინეტშიც თავსდება და შაუმიანის ოთახშიც" („სახალხო საქმე", 16.02.1918). [21]

სხვა პუბლიკაციაში გაზეთი „სახალხო საქმე" დაშნაკცუთიუნს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში ამხელდა, წერდა: „საქართველოში დაშნაკცუთიუნის პარტია უცხო პარტიაა. ...არც ერთ საზოგადოებრივ ჯგუფს იმდენი ზიანი არ მოუტანია საქართველოს რესპუბლიკისათვის, რამდენიც მოგვიტანა დაშნაკცუთიუნის პარტიამ. სისტემატიური აჯანყება, შუღლი, მტრობა, აი რა გზით ანვითარებდა დაშნაკცუთიუნი თავის პოლიტიკას. დაშნაკცუთიუნის პოლიტიკა ანგრევდა საქართველოს რესპუბლიკას, მაგრამ იგივე პოლიტიკა კიდევ უფრო მეტ ზიანს აძლევდა საქართველოში მცხოვრებ სომხებს" („სახალხო საქმე", 19.02.1919).

დაშნაკცუთიუნის მიმართ დიდი ლოიალობით არც თბილისური სომხური გამოცემების ნაწილი გამოირჩეოდა. მაგალითად, სახალხო პარტიის გაზეთი „ჟოღვორდი ძაინი" დაშნაკებს ასე ახასიათებდა: „უბედური ერის ბედნირი „განმათავისუფლებლები" („საქართველო", 26.02.1919).

ახალ ქართულ სახელმწიფოში ეთნიკურ უმცირესობათა ისედაც სუსტი ინტეგრაციის პირობებში, იქნებ უმჯობესი ყოფილიყო თუ საქართველოს ხელისუფლება და პოლიტიკური პარტიები მოერიდებოდნენ დაშნაკცუთიუნის უმწვავეს კრიტიკას, მაგრამ თავად დაშნაკცუთიუნის ქმედებები, როგორც ჩანს, ნაკლებ ადგილს ტოვებდნენ საამისოდ.

თავად არასდროს აღიარებდნენ, მაგრამ მალევე გამოირკვა, რომ დაშნაკცუთიუნის წევრები არა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, არამედ უფრო სომხეთის პოლიტიკურ მისწრაფებებს ემსახურებოდნენ. დაშნაკცუთიუნი ესარჩლებოდა საქართველოში მცხოვრებ სომხებს,

[21] ვორონცოვ-დაშკოვი - კავკასიის მეფისნაცვალი 1905-1916 წწ. ს. შაუმიანი - ცნობილი სომეხი ბოლშევიკი, ლენინის საგანგებო წარმომადგენელი ამიერკავკასიაში ბოლშევიკური არალეგალური მუშაობის სახელმძღვანელოდ.

მიუხედავად იმისა, ინარჩუნებდნენ ისინი ლოიალობას ქართული სახელმწიფოს მიმართ თუ არა. პარტიის მესვეურებს არაფერი უთქვამთ, როდესაც თბილისში არსებულ მანთაშევის ქარვასლაში დაშნაკთა კუთვნილი შეიარაღება (ზარბაზნები, ყუმბარები, ასაფეთქებელი მასალა) აღმოაჩინეს („საქართველოს რესპუბლიკა“, 10.08.1918), ან კიდევ, როდესაც მათი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით ააფეთქეს ძეგვის ხიდი, მაგრამ როგორც კი მთავრობის გადაწყვეტილებით, დედაქალაქში ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში ეჭვმიტანილი სომეხ მცხოვრებთა ჩხრეკა და დაპატიმრება განხორციელდა,[22] დეპუტატმა პ. დოლუხანოვმა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე შეკითხვა შეიტანა და ამ ფაქტის გამო ხელისუფლებისაგან განმარტება მოითხოვა („ერთობა“, 12.01.1919). 1918 წლის 15 ნოემბერს საქართველოს პარლამენტს ასეთივე შეკითხვით დეპუტატებმა ლ. თუმანოვმა და ნ. თარხანოვმაც მიმართეს (საქართველოს პარლამენტი. 1918 წ. 15 ნოემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 2).

პასუხად შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა დაშნაკცუთიუნის გარკვეული ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს მიმართ არალოიალურ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა. განაცხადა, რომ ადგილობრივ სომხებს სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას სომხეთის ჯარში იწვევდნენ და ამზადებდნენ ნიადაგს მეომარი საქართველოს ზურგში არევ-დარევის გამოსაწვევად („საქართველოს რესპუბლიკა“, 3.01.1919).

სომეხთა რევოლუციური პარტია ნაკლებ მონაწილეობას იღებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმშენებლობით საქმიანობაში, უფრო - პირიქით, - ცდილობდა ხელი შეეშალა მისთვის. ამის დასტურად გამოდგება ის, რომ დაშნაკცუთიუნმა 1919 წლის იანვარში ბოიკოტი გამოუცხადა თბილისის საქალაქო არჩევნებს და მისი ჩაშლა მოინდომა („საქართველო“, 26.01.1919). დედაქალაქის სომხურ მოსახლეობას ბოიკოტისაკენ აქტიურად მოუწოდებდა პარტიის ოფიციოზი გაზეთი ,,არაჩ“-იც („ერთობა“, 24.01.1919).

უნდა ითქვას, რომ პარტიის მოწოდებას თბილისში მცხოვრები სომხების გარკვეულმა ნაწილმა მართლაც დაუჭირა მხარი. 71 ათასი ამომრჩევლიდან ყუთებთან მხოლოდ 36 ათასი ადამიანი მივიდა („საქართველო“, 13.02.1919). დაშნაკცუთიუნს არჩევნებში მონაწილეობა არც გორის მაზრაში მიუღია („საქართველო“, 9.02.1919).

საერობო არჩევნებისაგან განსხვავებით, დაშნაკცუთიუნი აქტიურად ჩაერთო საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო სამზადისში. პარტიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინა საკანდიდატო სია, რომელსაც მე-4 ნომერი მიეკუთვნა. სია მრავალრიცხოვანი არ ყოფილა, - მხოლოდ 19 წევრს მოითვლიდა, რომელთა შორის იყო ორი ქალიც. სიის პირველი ხუთეული ასე გამოიყურებოდა: 1. ზორიანი ზორი ნავასარდის ძე, 2. ავეტისიანი ტიგრან გიორგის ძე, 3. დავითხანიანი დავით გიორგის ძე, 4. ტერ-სტეფანიანი გარეგინ არზასის ძე და 5. ტერ-არუთუნიანი გარეგინ იოსების ძე (სცა, ფონდი 1834, ანაწ.2, საქ.75, ფურც.1-2; „საქართველოს რესპუბლიკა“, 1.02.1919).

წინასაარჩევნო კამპანია პარტიათა მძაფრი დაპირისპირებით აღინიშნა. სოციალ-დემოკრატებმა არჩევნებში მონაწილე რამდენიმე პოლიტიკური ძალა ,,გაერშე მტრად“ დასახა, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ,,გუშინდელ ამხანაგებში და დღეს კი მის მტრად გადაქცეულებში“, რომელთაც გასულმა წელმა ,,ფერუმარილი ჩამოსწმინდა და ნამდვილი სახე გამოუჩინა“, სახელდებოდა დაშნაკცუთიუნიც („ერთობა“, 12.01.1919). ამიტომაც იყო, რომ მმართველ პარტი-

[22] სხვათა შორის, გორში, ,,სომხებში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციისათვის“ დააკავეს საქართველოს პარლამენტის წევრი ზ. ზორიანი. იხ. გაზ. ,,საქართველო“, 1919 წ., 27 დეკემბერი. მთავრობის განკარგულებით დააპატიმრეს ასევე, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი დაშნაკებიც - სულ 9 კაცი (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 4 იანვარი), მაგრამ ყველანი მალევე გაანთავისუფლეს.

ას წინასაარჩევნო ლოზუნგებში უყურადღებოდ არც დაშნაკები დაუტოვებია. ერთ-ერთ საარჩევნო მოწოდებაში ვკითხულობთ: ,,მოქალაქენო! დაშნაკცუთიუნის პარტია ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას და მით ძირს უთხრის რევოლიუციას. არც ერთი ხმა დაშნაკცუთიუნის პარტიას. ყველა ხმა რევოლიუციისა და დემოკრატიის მესვეურს სოციალ-დემოკრატიის პარტიას N 1“ („ერთობა“, 25.01.1919).

იყო უფრო მძაფრი მოწოდებაც, რომელიც ასე ჟღერდა: „მოქალაქენო! დაშნაკცუტიუნის პარტიამ სომხეთის ჯარი საქართველოს ვერაგულათ შემოუსია და ძმათა შორის სისხლის ღვრა გამოიწვია. არც ერთი ხმა ერთა შუღლისა და მტრობის გაჩაღების პარტიას“ („ერთობა“, 31.01.1919).

დაშნაკების საარჩევნო კამპანია არ ყოფილა აქტიური. მოკლე ხნის წინ დასრულებულმა სომხეთ-საქართველოს ომმა საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა მათ წინააღმდეგ განაწყო, რაც, ბუნებრივია, არჩევნების პროცესზეც აისახა.

მოლოდინის მიუხედავად, დაშნაკცუთიუნმა საჭირო ხმების შეგროვება და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატის გაყვანა ვერ შეძლო.[23] შესაძლოა ეს იმითაც აიხსნას, რომ ამ დროს ახალციხესა და ახალქალაქში, ისე როგორც ბორჩალოსა და ზოგიერთ სხვა მაზრაში არჩევნები არ შემდგარა. დაშნაკცუთიუნის ლიდერებს იხტიბარი არ გაუტეხავთ და აქტიურად განაგრძეს სამზადისი დამატებითი არჩევნებისათვის. ამ ფაქტის გამო გაზეთი ,,სახალხო საქმე“ შენიშნავდა: ,,დაშნაკელებმა საარაკო დამარცხება იწვნიეს მთელ საქართველოში, მათ უნდობლობა გამოუცხადა თვით ტფილისის სომხობის დემოკრატიულმა ნაწილმა და რასაკვირველია ყველგან დამარცხებული დაშნაკელი მესხეთ-ჯავახეთს და ბორჩალოში მოიწადინებს რევანშის გამართვას. ჩვენ ვფიქრობთ ამ რევანშს შედეგად არ მოჰყვება დაშნაკელების გამარჯვება, მაგრამ ამით დაშნაკციუთუნი ცოტაოდნად გამოასწორებს თვითშერყეულ მდგომარეობას და სასახლის თეთრ დარბაზში სამიოდე სავარძელს ,,იშოვის“ („სახალხო საქმე“, 8.08.1919).

გაზეთის გათვლა და მოლოდინი მართებული გამოდგა. 1919 წლის აგვისტოში გამართული დამფუძნებელი კრების პირველი დამატებითი არჩევნების შედეგად, დაშნაკცუთიუნმა 13.583 ხმა მიიღო, ბარიერი გადალახა და საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სამი მანდატი მიიღო. დეპუტატები გახდნენ: ტიგრან ავეტისიანი, დავით დავითხანიანი[24] და ზორი ზორიანი (სცა, ფონდი 1834, ანაწ.2, საქ.17) მათ კრებაში ახალი - დაშნაკცუთიუნის ფრაქცია ჩამოაყალიბეს (თავმჯდომარე – ტიგრან ავეტისიანი).

გაზეთი ,,ერთობა“ მიესალმა დამფუძნებელი კრების შემადგენლობის ,,გამრავალფეროვნებას“.[25] „ახალი პარტიების წარმომადგენელთა შესვლა დამფუძნებელ კრებაში ჩვენ მიგვაჩნია სასურველ მოვლენად. ის პოლიტიკა, რომელსაც ეს მტრულად განწყობილი პარტიები უჩინარად აწარმოებდენ, ეხლა დღის სინათლზე, ფართო გზაზე გამოვა. მათი წარმომადგენლები საქვეყნოთ გამოჰფენენ მთელს თავის პოლიტიკურ და ზნეობრივს ავლა-დიდებას. ჩვენი პარტია პირის-პირ წარუდგება თავის მტრებს, რომლებიც აქამდის ძნელად ხელჩასაკიდებელნი იყვნენ მთელი ხალხი მოწმე და მსაჯული გახდება მათ შორის დავისა“, - წერდა გაზეთი („ერთობა“, 27.09.1919).

---

[23] პარტიის მიერ მიღებული ხმების რიცხვი 2353-ს შეადგენდა (ელექტორატის 0,5 %). საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 2, საქმ. 67.

[24] დ. დავითხანიანმა 1919 წ. ნოემბერში უარი თქვა დეპუტატის მანდატზე, გავიდა დამფუძნებელი კრებიდან და მუშაობა დაიწყო სომხეთის რესპუბლიკის სურსათისა და მომარაგების სამინისტროს რწმუნებულად საქართველოში. მისი ადგილი კრებაში დაშნაკცუთიუნის სიის მეოთხე ნომერმა გარეგინ ტერსტეფანიანმა დაიკავა.

[25] კრების პირველი დამატებითი არჩევნების შედეგად დეპუტატის მანდატი მოიპოვა დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული (იგივე ეროვნული) პარტიის ლიდერმა გრიგოლ ვეშაპელმაც.

დაშნაკცუთიუნის ფრაქციის თავმჯდომარე ტიგრან ავეტისიანი აირჩიეს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში,[26] სხვა დეპუტატები ასევე შედიოდნენ კრების ერთ ან ორ მუდმივმოქმედ კომისიაში.

უნდა ითქვას, რომ თუ კრებაში დასმული საკითხი უშუალოდ სომეხთა ეროვნულ ინტერესს არ შეეხებოდა, დაშნაკცუთიუნი მის განხილვაში დიდ ხალისს არ იჩენდა. მაგალითად, 1919-1920 წ. წ. სახელმწიფო ბიუჯეტზე მსჯელობისას ამ ფრაქციამ რეგლამენტით მისთვის განკუთვნილი დრო – 1 საათი ესერ დეპუტატს - ივანე ლორთქიფანიძეს დაუთმო და თვითონ ერთი სიტყვითაც არ მიუღია მონაწილეობა დისკუსიაში (ოქმები,ტ. VII, გვ.220).

1920 წლის 1 დეკემბერს, დაშნაკცუთიუნის ფრაქციამ, კონსტიტუციის პროექტზე აზრის გამოსათქმელად, დამფუძნებელ კრებაში სიტყვით სომხურ ენაზე გამოსვლის ნება ითხოვა: საქართველოში მრავლად ცხოვრობენ სომხები და სომეხ დეპუტატებს საშუალება უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ კონსტიტუციის განხილვაშიო. ამ საკითხმა კამათი გამოიწვია. სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა თანახმა იყო დაშნაკი დეპუტატებისათვის დაერთოთ რუსულად საუბრის ნება. ფედერალისტები წინააღმდეგ გამოვიდნენ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ამით ,,ცუდი და სამომავლოდ სახიფათო პრეცედენტი“ შეიქმნებოდა („სახალხო საქმე“, 4.12.1920).

მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა: ,,უმცირესობის ერთა წარმომადგენლებს – დამფუძნებელი კრების წევრებს - იმ სხდომებზე, რომლებზედაც განიხილება კონსტიტუციის პროექტი, შეუძლიათ ილაპარაკონ პრეზიდიუმისათვის გასაგებ ენაზე“ (ცსა, ფონდი 1836, ანაწ.1, საქ.736, ფურც.213; მაცაბერიძე მ., 2008, გვ.117). ეს ,,გასაგები“ ენა, ალბათ, რუსული უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, დაშნაკცუთიუნის ფრაქციამ შესწორება კონსტიტუციის პროექტის ერთ-ერთი თავის მიმართ, რუსულ ენაზე წარადგინა.

ტიგრან ავეტისიანის მიერ შეტანილი შესწორება შეეხებოდა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მე-14 თავის (ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი) 144-ე მუხლს. შესწორება ასე იყო ფორმულირებული: ,,სომეხთა ეროვნული უმცირესობის ეროვნულ-კულტურული განვითარების უფლება საჯარო-უფლებრივი თვითმმართველობის საფუძველზე უზრუნველყოფილია საგანგებო კანონით“ (სცა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.1385, ფურც.156).

ზორი ზორიანმა, ფრაქციის სახელით წარდგენილ პროექტის იმავე თავის იმავე მუხლის შესწორებას, შენიშვნის სახით, თან დაურთო საქართველოს სომეხთა ეროვნული თვითმმართველობის დებულება. ფრაქცია მოითხოვდა საკანონმდებლო დაწესებულებებში სომხური ენის სახელმწიფო ენასთან გათანაბრებას, სახელმწიფო კანონების, ცენტრალური ხელისუფლების, თვითმმართველი ორგანოებისა თუ ადგილობრივი ადმინისტრაციის დადგენილებათა ქართულის მსგავსად, სომხურ ენაზე გამოქვეყნებას, საქართველოს მთავრობის სხდომებში მინისტრის უფლებით მონაწილეობა უნდა მიეღო სომეხთა თვითმმართველობის საქმეში სომეხთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს და სხვ.[27]

1920 წლის შემოდგომაზე, როდესაც სომხეთი თურქეთის აგრესიის წინაშე მარტო დარჩა, სომეხი დეპუტატი სომხურ-ქართული დემოკრატიის გაერთიანებასა და ამიერკავკასიის დე-

---

[26] ავეტისიანი ასევე შედიოდა საქართველოს თავდაცვის ფონდის მთავარ გამგეობაში, რომელიც 1920 წლისათვის შეიქმნა. გაზ. ,,სახალხო საქმე“, 1920 წ., 3 დეკემბერი.

[27] იმის გამო, რომ ორივე ეს შესწორება კრების პრეზიდიუმს კონსტიტუციის განხილვის წესის დარღვევით, - დაგვიანებით გადაეცა, დამფუძნებელ კრებას ისინი აღარ განუხილავს. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 1385, ფურც. 166; ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 1385, ფურც. 166; ასევე, მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებები, თბ., 2015, გვ. 64-65; 78-82.

მოკრატიის სოლიდარობაზე ალაპარაკდა.[28] დამფუძნებელი კრების 5 ნოემბრის სხდომაზე დაშნაკმა გ. ტერ-სტეფანიანმა განაცხადა: ,,ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჰორიზონტზე კვლავ შავი ღრუბლები გამოჩნდნენ, რომელთაც ჰსურთ გაანადგურონ ამიერკავკასიის დემოკრატია. სომხის დემოკრატია, ისე როგორც ყოველთვის, დღესაც იბრძვის და მაღლა უჭირავს ამიერკავკასიის სოლიდარობის დროშა. სომხეთის საფრთხე საქართველოსაც ელის და ორი ერის დემოკრატიის ძალები უნდა შეერთდნენ, რომ აიცილონ თავიდან გარედან მომდგარი საფრთხე“ („სახალხო საქმე“, 10.11.1920).

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ერთობა ვერ შედგა, თვითიზოლაციის შედეგი სომხეთისათვის დამღუპველი გამოდგა. მას ,,შემწედ“ მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთი მოევლინა. მოსკოვმა თურქთა აგრესია კი შეაჩერა, მაგრამ სომხეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო და ეს ქვეყანა კრემლის მარიონეტ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გადააქცია (ჯანელიძე ო., 2009, გვ.265).

დაშნაკცუთიუნმა საერთო ენის გამონახვა ახლა ბოლშევიკებთან დაიწყო. გამართლდა ჯერ კიდევ 1920 წლის ივლისში საქართველოს დამფუძნებელი კრებაში სოციალ-დემოკრატი დეპუტატის გრიგოლ ცინცაბაძის განცხადება: ,,ჩვენ გვაქვს საბუთი იმისა, რომ მარტო შულავერში ათასამდე სომეხი დაშნაკელი გაბოლშევიკდა და ,,კომუნიზმით ეზიარა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.45). როგორც კი 1921 წლის თებერვალში რუსეთის წითელი არმიის ნაწილები საქართველოში შემოიჭრნენ, დამფუძნებელი კრების დაშნაკცუთიუნის წევრები ბოლშევიკებს მიემხრნენ. მაგალითად, დეპუტატი ზორი ზორიანი ახალციხის რევკომის შემადგენლობაშიც კი შევიდა (საქართველოს დამფუძნებელი კრება. 2016, გვ.239). ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ისტორიკოს ალექსანდრე მანველიშვილის მოგონების თანახმად, 1921 წლის მარტში ქალაქ ახალციხის საბჭოური ადმინისტრაცია ძირითადად ეთნიკურად სომეხი კომუნისტებით იქნა დაკომპლექტებული.[29]

გასაბჭოებულ სომხეთში დაშნაკცუთიუნის მემარცხენე ფრთა ბოლშევიკურ პარტიას შეერწყა. მემარჯვენე მიმართულება მცირე ხანს აგრძელებდა ანტისაბჭოთა მუშაობას, 1923 წელს კი ოვანეს კაჩაზნუნიმ დაშნაკთა პარტიის მისია ამოწურულად გამოაცხადა, პოლიტიკურ მემკვიდრედ სომეხი კომუნისტები აღიარა და დღის წესრიგში დაშნაკცუთიუნის თვითმკვლელობის საკითხი დააყენა (Качазнуни О., 1923, с. 60-63.) იმავე წელს დაშნაკცუთიუნი, როგორც პოლიტიკური ძალა, ლიკვიდირებულ იქნა.

18.5. დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია (მალხაზ მაცაბერიძე)

ოპოზიციური მიმდინარეობის ჩამოყალიბება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 1920 წლის გაზაფხულიდან გაჩნდა ოპოზიციური მიმდინარეობა, რომლის თვალსაზრისს გამოხატავდა მათ მიერ შექმნილი გაზეთი „ახალი სხივი“. ოპოზიციური მიმდინარეობის სახელწოდებაც ამ გაზეთის სახელის მიხედვით

[28] აუცილებელია ითქვას, რომ დაშნაკცუთიუნის წევრებს არ გამოუხატავთ თანადგომა საქართველოსა და აზერბაიჯანის დემოკრატიისადმი, როდესაც 1919 წლის ზაფხულში მათ დენიკინის თეთრგვარდიული არმიის შემოჭრის საფრთხე დაემუქრათ. იხ. Г. Арутюнович, Грузино-Азербайджанские антирусские военные договора и республика Армении (1919 г. Июнь-сентябрь) http: //ysu.am/files/%20политика%20Республики%20Армения.pdf

[29] ა. მანველიშვილი, ჩემი მოგონებები, გვ. 11. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის დარბაზი, ჯანრი კაშიას საარქივო ფონდი.

ჩამოყალიბდა. პარტიის შიგნით გაჩენილი ოპოზიციის მხრიდან კრიტიკა იმდენად გამწვავდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციაზე 1921 წლის 19 იანვარს იმსჯელეს პარტიული დისციპლინის შესახებ და „ახალი სხივი“ გამოაცხადეს ანტიპარტიულ ორგანოდ, ხოლო მისი ხელმძღვანელების თაობაზე ითქვა, რომ გაზეთის „პირდაპირ ხელმძღვანელებმა გასწყვიტეს კავშირი პარტიასთან“.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა მოელოდა, რომ „სხიველები“ დახურავდნენ გაზეთს, დაემორჩილებოდნენ პარტიის გადაწყვეტილებას და „ჩადგებოდენ პარტიის დისციპლინის ჩარჩოში“. თუმცა „ახალი სხივის“ ჯგუფმა გააგრძელა თავისი „ფრაქციული საქმიანობა“.

1921 წლის 22 იანვარს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო დამფუძნებელი კრების წევრის კირილე ნინიძის განცხადება, რომ გადის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შემადგენლობიდან, „ხოლო დამფუძნებელი კრების წევრათ რჩება“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.128).

1921 წლის 2 თებერვალს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საკონტროლო კომისიის წევრთა თანდასწრებით დაადგინა: გამოცხადდეს პარტიის გარეშე „სხივის“ პირდაპირი ხელმძღვანელები: კირილე ნინიძე, მუხრან ხოჭოლავა, ნიკიფორე იმნაიშვილი და ილია ფირცხალაიშვილი. პარტია თვლიდა, რომ პარტიიდან გარიცხვის შემდეგ დასახელებულმა პირებმა აგრეთვე დაკარგეს დეპუტატობის მანდატი. სათანადო ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გაერიცხათ დასახელებული პირები თავისი წრიდან.

დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შექმნის გამოცხადება

სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გარიცხული „ახალი სხიველები“ დამფუძნებელი კრებიდან წასვლას არ აპირებდნენ. 1921 წლის 11 თებერვალს, პარასკევს, 12 საათზე გაიხსნა დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 96-ე სხდომა. დღის წესრიგში იყო რამდენიმე დეკრეტი და პროექტი ამნისტიისა საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობის აღსანიშნავად (ოქმები, ტ. VIII, გვ.272). ეს ყველაფერი გაკეთდა კიდეც, მაგრამ სხდომაზე მოვლენები სკანდალურად განვითარდა. სხდომის დაწყებისას გაკეთდა განცხადება დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის („სხივის ჯგუფი“) შექმნის შესახებ, რომელსაც 8 დეპუტატი აწერდა ხელს. გარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან 2 თებერვალს გარიცხული ოთხეულისა, ესენი იყვნენ ერმალო კალაძე, ილია კოპალეიშვილი, თეიმურაზ ჭელიძე და აპოლონ სულაქველიძე.

ახალი ფრაქციის შექმნის განცხადებას მოჰყვა ასევე პავლე საყვარელიძემ განაცხადა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან გასვლის თაობაზე. პავლე საყვარელიძემ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან გასვლის მიზეზად დაასახელა ის გარემოება, რომ „არ ეთანხმება ფრაქციას ზოგიერთ სამართლებრივ საკითხში“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.274).

როგორც გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავდა, ამ განცხადებების კითხვას კმაყოფილებით შეხვდნენ ოპოზიციური ფრაქციები, განსაკუთრებით კი „სოციალისტ-ფედერალისტები დიდ სიხარულში იყვნენ“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.274).

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისაგან 9 დეპუტატის ჩამოცილება არ ცვლიდა ძალთა თანაფარდობას დამფუძნებელ კრებაში, სოციალ-დემოკრატებს არ დაუკარგავთ დომინირებული მდგომარეობა, მაგრამ თავად ფაქტი იყო მმართველი პარტიისთვის უსიამოვნო, მით უმეტეს, რომ იანვარში არასოციალისტური პარტიები გაერთიანდნენ და დამფუძნებელ კრებაში ერთიანი დემოკრატიული ფრაქცია შექმნეს.

„სხიველთა“ განცხადებას სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ანანია სალუქვაძის გამოსვლა მოჰყვა. მან აღნიშნა, რომ „ახალი სხივის“ ჯგუფი სოციალ-დემოკრატიული პარ-

ტიიდან გარიცხული იყო და ამიტომ აარსებდნენ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ანანია სალუქვაძის გამოსვლა გააპროტესტეს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა გრიგოლ ვეშაპელმა და სოციალისტ-ფედერალისტმა იოსებ ბარათაშვილმა, რომელთა აზრითაც რეგლამენტი დაირღვა და რიგგარეშე განცხადების საპასუხოდ ანანია სალუქვაძეს სიტყვა არ უნდა მისცემოდა, რადგანაც ეს კამათის დაწყებას ნიშნავდა. „ანანია სალუქვაძისთვის უკანონოთ სიტყვის მიცემაში მე ვხედავ, რომ პრეზიდიუმი დაემორჩილა სოც. დემოკრატიულ ფრაქციასო“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.275), - აღნიშნა იოსებ ბარათაშვილმა, რასაც დიდი აღშფოთება მოჰყვა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში, ბარათაშვილს ეს სიტყვები დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის შეურაცხყოფად ჩაეთვალა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც ი. ბარათაშვილს სიტყვა ჩამოართვა და სხდომა დახურა, რის შემდეგაც თავმჯდომარის სავარძელიც დატოვა. თავმჯდომარის ადგილი ალექსანდრე ლომთათიძემ დაიკავა, რომელმაც მოითხოვა, რომ იოსებ ბარათაშვილი პრეზიდიუმის შეურაცხყოფისათვის ორი სხდომით გაეძევებინათ დამფუძნებელი კრებიდან. ბარათაშვილმა საპასუხოდ განაცხადა, რომ ის მხოლოდ ფაქტს აღნიშნავდა და არ უნდოდა პრეზიდიუმისთვის შეურაცხყოფის მიყენება. საბოლოოდ, დამფუძნებელმა კრებამ, ხმათა უმრავლესობით, დაადგინა ერთი სხდომით მისი გაძევება (ოქმები, ტ. VIII, გვ.275).

სკანდალი ამით არ დამთავრებულა. 12 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს მოუხდა ასევე ექვთიმე თაყაიშვილის წერილობითი განცხადების განხილვა. ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ ალ. ლომთათიძის თხოვნით თავმჯდომარეობდა 11 თებერვლის სხდომას. ი. ბარათაშვილის გამოსვლით გამოწვეული ხმაურის გამო მან სიტყვა ჩამოართვა ორატორს, სხდომა დახურა და თავმჯდომარის სავარძელი დატოვა. ამიტომ მისთვის მოულოდნელი იყო ალ. ლომთათიძის მიერ სხდომის გაგრძელება და ი. ბარათაშვილისთვის მოთხოვნილი სასჯელი, რომელსაც არ ეთანხმებოდა. ე. თაყაიშვილი თავს შეურაცხყოფილად თვლიდა და უარს ამბობდა პრეზიდიუმის წევრობაზე. ალ. ლომთათიძემ ბოდიში მოიხადა და აღნიშნა, რომ ხმაურში მას არ გაუგია ე. თაყაიშვილის მიერ სხდომის დამთავრება და ამიტომ გააგრძელა სხდომა. პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ „სამწუხარო ინციდენტი გაუგებრობა იყო“ და ე. თაყაიშვილს სთხოვა არ გასულიყო პრეზიდიუმიდან (ოქმები, ტ. VIII, გვ.278-279).

ჰქონდათ თუ არა პარტიიდან გასულ დეპუტატებს დამფუძნებელ კრებაში დარჩენის უფლება

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მიიჩნევდნენ, რომ მათი ფრაქციიდან გასულ დეპუტატებს არ ქონდათ „ზნეობრივი და პოლიტიკური უფლება“ დეპუტატებად დარჩენილიყვნენ („ერთობა“, 15.02.1921). ამის დასამტკიცებლად გაზეთი „ერთობა“ ასახელებდა ორ არგუმენტს:

- ფრაქციიდან გასული პირები არჩეული იყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით და პარტიის მიერ საარჩევნოდ წარდგენილი პლატფორმის საფუძველზე. არჩევნებში გაიმარჯვა პარტიამ და არა პარტიის სიაში შემავალმა პიროვნებებმა. ამდენად, თუ დეპუტატი ემიჯნებოდა პარტიას, მას უარი უნდა ეთქვა დამფუძნებელი კრების წევრის მანდატზეც. ეს არგუმენტი დამაჯერებლად არ ჟღერდა, რადგანაც არ არსებობდა ამის დამავალდებულებელი საკანონმდებლო რეგულაცია და არსებობდა საწინააღმდეგო პრეცედენტიც, - როდესაც გერონტი ქიქოძემ დატოვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ის დარჩა დამფუძნებელი კრების წევრად და მისთვის არავის მოუთხოვია დამფუძნებელი კრებიდან წასვლა.

- მეორე არგუმენტი იყო ის ხელწერილი, რომელიც თავის დროზე დადებული ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით დამფუძნებელ კრებაში გასულ ყოველ დეპუტატს. თითოეულ მათგანს აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომ დეპუტატობაზე უარს იტყოდნენ,

როგორც კი ამას მოსთოვდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი („ერთობა“, 15.02.1921).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან ახალი ფრაქციის წევრების წინააღმდეგ მიმართული კამპანია, სავარაუდოდ, შემდგომშიც გაგრძელდებოდა, მაგრამ საბჭოთა რუსეთის თავდასხმის და ომის დაწყების შემდეგ ეს თემა აქტუალური აღარ იყო.

დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის („ახალი სხივის“) დეკლარაცია

„ახალი სხივის“ ჯგუფის პოზიცია, რომელიც უკვე დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სახელით გამოდიოდა, ჩამოყალიბებულია იმ დეკლარაციაში, რომელიც მათ წაიკითხეს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 11 თებერვლის სხდომაზე. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან გამოყოფილი 8 დეპუტატი მომხდარი განხეთქილების მიზეზს მმართველი პარტიის ხელმძღვანელობის მოქმედებაში ხედავდა, რომელთაც ჩაატარეს „შერჩეულ დელეგატებისგან შემდგარი პარტიული კონფერენცია“, მიაღებინეს „წინასწარ შემუშავებული დადგენილება... პარტიის გათიშვის მიზნით“ და ამის გამო „ახალი სხივის“ ჯგუფი აღმოჩნდა „განხეთქილების ფაქტის წინაშე“. ამიტომ იძულებული გახდნენ დამფუძნებელ კრებაში დაეარსებინათ „დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.441).

ახალი ფრაქციის პროგრამა არსებითად იგივე იყო, რაც მმართველ პარტიას ჰქონდა. „ჩვენ ვდგევართ სოციალ-დემოკრატიულ პლატფორმაზე“, - ნათქვამი იყო ახალი ფრაქციის დეკლარაციაში, მაგრამ მმართველი პარტიისგან განსხვავებით, საკმარისად არ მიაჩნდათ „პროგრამის მხოლოდ ფორმალური და სიტყვიერი აღიარება“. მათი მიზანი იყო ცხოვრებაში რეალურად გაეტარებინათ „უფლებრივი სახელმწიფოს პრინციპი“ და „მასთან ერთად პარტიასაც შერჩეს თავისი სოციალისტური და კლასობრივი სახე“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.441). ამის მისაღწევად დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის დეკლარაცია ორ მიმართულებას სახავდა - ერთი იყო იმ რეფორმების სწრაფად განხორციელება, რასაც ანხორციელებდა ანდა რომელთა გატარებასაც გეგმავდა მმართველი პარტია. ეს იყო „აგრარული რეფორმის საჩქაროდ დასრულება“, მუშათა დაზღვევის კანონების „საჩქაროდ გატარება“, პირველი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა, დემოკრატიული წყობილების განმტკიცება. განაპირა კუთხეების „საარსებო მოთხოვნების“ დაკმაყოფილება, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა, ძლიერი თავდაცვის ფონდის შექმნა და ა. შ. ამ მოთხოვნებში, პრინციპში, არაფერი იყო ახალი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამოცხადებულ პოლიტიკასთან შედარებით.

ახალი ფრაქციის დეკლარაციის სიახლე იყო მისი კრიტიკული ნაწილი, რომელშიც აღნიშნული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის და მისი ხელმძღვანელობის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის ნაკლოვანებებზე. კრიტიკულ ნაწილში წარმოდგენილი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. არ არის განხორციელებული მთავრობის პასუხისმგებლობა. „მრავალი კანონი, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული, აუსრულებელი რჩება. მთავრობა ნაკლებად უწევს ანგარიშს სახელმწიფო კონტროლს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.438).

2. პარტიის და სახელმწიფოს ერთმანეთში არევა. ასეთი სისტემა „საფუძვლად უდევს ჩვენს პარტიულ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორწლიანმა გამოცდილებამ კი დაადასტურა ამ სისტემის „უვარგისობა“(ოქმები, ტ. VIII, გვ.440).

3. საზოგადოებაში, რომელიც „მოწინააღმდეგე კლასებად არის დაყოფილი“, სოციალ-დემოკრატიის მიერ დავიწყებულია კლასობრივი ბრძოლის პრინციპი. სოციალ-დემოკრატია „კერძო საკუთრების გაუქმების პერსპექტივაზე აშენებისათვის მოღვაწეობს“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კი კერძო საკუთრებაზეა დამყარებული. ამიტომ სოციალ-დე-

მოკრატიული მთავრობა „იძულებულია კერძო საკუთრების ფარგლებში იმოქმედოს და არსებითად კლასთა მორიგების საქმეს ემსახუროს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.440).

4. მოვალეობათა შეთავსება, ახალი ფრაქციის აზრით, „კიდევ უფრო ართულებს ისედაც წინააღმდეგობით სავსე მდგომარეობას“: ცენტრში მინისტრები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები იყვნენ, ადგილობრივ ქალაქის თავები, ერობის თავმჯდომარეები, კომისრები და მილიციის უფროსები სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კოლექტივებს ხელმძღვანელობდნენ. აღსანიშნავია, რომ „ახალ სხიველთა“ მოთხოვნასთან დაკავშირებით შეუთავსებლობის შესახებ, პირველ რიგში კი მინისტრები რომ არ აერჩიათ ცენტრალური კომიტეტში, ანანია სალუქვაძემ 1920 წლის დეკემბერში წერილით მიმართა იმ დროს საქართველოში მყოფ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ცნობილ ლიდერს კარლ კაუცკის და სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა. კარლ კაუცკიმ, რომლის პასუხიც გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა, განაცხადა, რომ ასეთი შეთავსება კარგიც არის და „მთავრობის გაბატონება პარტიაზე“ თავიდან ვერ იქნებოდა აცილებული „პარტიულ წესდებაში შემზღუდავ მუხლების შეტანით“ („ერთობა“, 10.12.1920)

5. პარტია ვერ აკონტროლებდა მმართველობის ორგანოებს, ისინი „თავის თავ აკონტროლებდნენ“, ე. ი. „არავითარ კონტროლს არ ექვემდებარებოდნენ“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.440).

6. დამფუძნებელ კრებაში დიდი უმრავლესობის მქონე სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია კი არ იყო „მდგომარეობის ბატონ-პატრონი“, არამედ „მთავრობა, ცენტრალურ კომიტეტში გამაგრებული“, მთავრობა, რომელიც „ფორმალურად დამფუძნებელი კრების აღმასრულებელი ორგანოა, ნაკლებად უწევს მას ანგარიშს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.440).

7. თავად „მთავრობაც, როგორც მთელი, დაჩრდილულია“ და მნიშვნელოვან საკითხებს თავის ნებაზე წყვეტდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ცენტრალურ კომიტეტის უფრო მოხერხებული წევრები“. ახალი ფრაქციის შეფასებით, ეს იყო „მეორე არაფორმალური მთავრობა“, რომელიც ყოვლის შემძლე იყო: ხშირად პოლიტიკური საკითხებით არ კმაყოფილდებოდნენ და სასამართლოს პრეროგატივაშიც ერეოდა (ოქმები, ტ. VIII, გვ.440).

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ გაზეთი „ახალი სხივი“ სწორედ ამ ნაკლოვანებებთან ბრძოლას ისახავდა მიზნად და მიმართული იყო „სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის აღორძინებისა და გაჯანსაღებისკენ“, „მუშათა პარტიის კლასობრივ პოზიციის გამაგრებისაკენ“. არსებული ვითარება, ახალი ფრაქციის შეფასებით, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას პოზიციებს აკარგვინებდა. გარკვეული ჯგუფები „მმართველობის ყოველსავე ნაკლს პარტიას აწერდნენ და მთავრობით უკმაყოფილონი სოციალ-დემოკრატიაზე გულს იცრუებენ და ბოლშევიკურ ბანაკში ვარდებიან“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.442).

ახალი ფრაქციის განცხადებით, „უპასუხისმგებლობა და უკონტროლობა ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ძლიერებას და ჩვენი გაჩუმება კი ხელს შეუწყობდა სახელმწიფოებრივ სხეულის დასუსტებას და სოციალისტური საქმის შეფერხებას“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.442). ფრაქციის მიზანი იყო ხალხის წინაშე „ნამდვილი მდგომარეობის გამოაშკარავება“ და ამით ვითარების გამოსწორება.

ბევრი რამ იქიდან, რასაც სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან გასული დეპუტატები თავიანთ დეკლარაციაში აცხადებდნენ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხით ნათქვამი ჰქონდათ დამფუძნებელ კრებაში არსებულ სხვა ოპოზიციურ ფრაქციებს. ახლა იმავეს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გასული დეპუტატები ამბობდნენ და თავიანთ მიზნად ამ ნაკლოვანებების წარმოჩენას აცხადებდნენ. საბჭოთა რუსეთის თავდასხმა და ომის დაწყება რომ არა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი ფრაქციის შექმნის შემდეგ დამფუძნებელი კრების

სხდომებზე გაიმართებოდა მწვავე კამათი ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა ვითარება 11 თებერვლის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა...

„ახალ სხიველთა“ შემდგომი ბედი

დაწყებულმა ომმა შიდაპარტიული დავა უკანა რიგში გადასწია. ახალი ფრაქციის არცერთი წევრი ემიგრაციაში არ წასულა. „ახალმა სხივმა“ საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც გააგრძელა გამოსვლა, თუმცა სულ სამი ნომერი გამოვიდა და 1921 წლის 26 ივნისს გაზეთის გამოცემა შეწყდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და ბოლშევიკების კრიტიკისათვის გაზეთი დახურეს, მისი გამომცემლები - კირილე ნინიძე, ნიკოლოზ იმნაიშვილი და მუხრან ხოჭოლავა დააპატიმრეს.

„ახალი სხივის“ ჯგუფის 8 წევრიდან რეპრესიები ყველას შეეხო. მათი შემდგომი ბედი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

სახელი, გვარი	შემდგომი ბედი
კირილე ნინიძე (1878-1937)	1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ დარჩა საქართველოში და იბრძოდა საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ, რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, დახვრიტეს 1937 წელს.
ერმალო კალაძე (1893-1958)	დარჩა საქართველოში და თავიდან ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1923 წლის 15 აგვისტოს პრესაში განაცხადა, რომ კავშირი გაწყვიტა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. შემდეგ ცხოვრობდა და მუშაობდა თავის სოფელში.
ილია კოპალეიშვილი (1865-1924)	ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. დახვრიტეს 1924 წლის აჯანყების დროს, თუმცა მძიმედ ავადმყოფს, მასში მონაწილეობა არ მიუღია.
თეიმურაზ ჭელიძე (1876-1937)	ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. რამდენჯერმე დააპატიმრეს და საბოლოოდ, გადაასახლეს ყაზახეთში, სადაც 1937 წელს დახვრიტეს.
აპოლონ სულაქველიძე (1871-1936)	ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. თავიდან ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1923 წლის 15 აგვისტოს განაცხადა, რომ კავშირი გაწყვიტა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. ცხოვრობდა და გარდაიცვალა თავის სოფელში.
ილია ფირცხალაიშვილი (1885-1937)	ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. თავიდან ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1924 წელს ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.
ნიკიფორე იმნაიშვილი (1888-1937)	ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. რამდენჯერმე დააპატიმრეს და 1937 წელს დახვრიტეს.
მუხრან ხოჭოლავა (1881-1922)	ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. აქტიურად იყო ჩართული წინააღმდეგობის მოძრაობაში. გარდაიცვალა 1922 წლის 13 დეკემბერს.

თავი XIX. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921) (მალხაზ მაცაბერიძე, თამარ ორჯონიკიძე)

19.1. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს ეროვნული უმცირესობები შეადგენდნენ: სომხები, თურქულენოვანი მუსლიმები (იმდროინდელ დოკუმენტებში მათ „თათრებად“ მოიხსენიებენ, შემდეგ კი აზერბაიჯანელები ეწოდათ), რუსები, ბერძნები, აფხაზები, ოსები, გერმანელები. მათი ნაწილი ინტეგრირებული იყო ქართულ საზოგადოებაში, ნაწილი გაუცხოებული აღმოჩნდა ახლად აღდგენილ საქართველოს სახელმწიფოსგან და სეპარატისტულ ტენდენციებს ამჟღავნებდა, ეროვნულ უმცირესობათა ძირითადი ნაწილი კი იწყებდა ახალი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრებასთან შეჩვევას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალა (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები) თანხმდებოდა იმაზე, რომ ეროვნულ უმცირესობებს ფართო უფლებები უნდა მინიჭებოდათ და დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ უმცირესობათა ჩართვას საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ეს პირველ რიგში ითქმის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე, რომელიც ხელისუფლებაში იმყოფებოდა. „ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ გამომდინარეობდა ჩვენი პოლიტიკის დოქტრინიდან, მთელი ჩვენი წარსული მოღვაწეობიდან“, - აღნიშნავდა შემდგომ თავის მოგონებებში ნოე ჟორდანია (ჟორდანია ნ., 1990, გვ.104).

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის გამოხატულება იყო ტერმინი „საქართველოს ხალხი“, რომელიც აღნიშნავდა საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მათი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა. ამ ტერმინს იყენებდა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. დამახასიათებელია საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 აპრილის სხდომა, როდესაც განიხილებოდა აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები „ქართველ ერს“ მოუწოდებდნენ ეროვნული ენერგიის მობილიზებისკენ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი კი „საქართველოს ხალხს“ მოუწოდებდა სამშობლოს დაცვისკენ (ოქმები. ტ.VI, გვ.273)

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც ახალი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს როლს ასრულებდა, 1918 წ. 13 სექტემბერს მიიღო კანონი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში. სომხებს გამოეყოთ 10 ადგილი, თათრებს -4, აფხაზებს - 3, რუსებს - 2, ოსებს - 2, ქართველ ებრაელებს - 2, ებრაელებს - 1, ბერძნებს - 1 და გერმანელებს - 1. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა გაეგზავნათ ამ ერების ეროვნულ საბჭოებს, რომლებიც არჩეულნი იყვნენ საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებდნენ. თუკი ასეთი ეროვნული საბჭო არ არსებობდა, საქართველოს ეროვნულ საბჭოში წევრის გაგზავნა შეეძლოთ ამ ერის წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა დემოკრატიულ დაწესებულებებში იყვნენ არჩეულნი (აქტები, გვ.62-63).

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა (ქართული) არ იცოდა, შეეძლო სიტყვის წარმოთქმა დედა ენაზე (აქტები, გვ.81). შემდეგ ასევე მიღებული იქნა დაწვრილებითი რეგლამენტი, რომლის თანახმადაც უმცირესობის წარმომადგენელს შეეძლო სიტყვა წარმოეთქვა სხვა უმცირესობის ენაზეც, თუკი ეს ენა პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცოდა (აქტები, გვ.83 - ასეთი „უმცირესობის ენა“ რუსული იყო).

19.2. არჩევნები როგორც ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური ინტეგრაციის ფორმა

1919 წლის თებერვალში, როდესაც დამფუძნებელი კრების არჩევნები ტარდებოდა, 9 თვე არ იყო გასული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რაც ახალი სახელმწიფოს წინაშე იდგა, ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია იყო. წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობა ამ ინტეგრაციის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა.

არჩევნების დროს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ინტეგრაცია რამდენიმე ფორმით ხდებოდა. პირველ რიგში არჩევნებში ხმის მიცემა ნიშნავდა საქართველოს მოქალაქედ საკუთარი თავის მოაზრებას და რომელიმე პარტიისათვის მხარდაჭერას. შემდეგი ფორმა იყო ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა არჩევნების მონაწილე პარტიათა სიებში. ამ მხრივ შეიძლება განვასხვავოთ: ა/ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობა არჩევნებში საერთო-ქართულ პარტიების საარჩევნო სიების მეშვეობით და ბ/ კონკრეტული ეროვნული უმცირესობების სახელით მოქმედი პოლიტიკური სუბიექტების მეშვეობით.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ყოფნა ქვეყნის მასშტაბით მოქმედ პოლიტიკურ პარტიაში მათი პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალ ფორმას წარმოადგენს, მეტყველებს მათ სრულ ჩართულობაზე ქვეყნის ერთიან პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეროვნული უმცირესობის სახელით მოქმედი ცალკე პოლიტიკური პარტია მის განკერძოებას ნიშნავს, მაგრამ იმავდროულად მონაწილეობა არჩევნებში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის გარკვეული ფორმაა.

19.3. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს ტრადიციული პოლიტიკურ პარტიების საარჩევნო სიებში

საქართველოს ტრადიციულ პოლიტიკურ პარტიებს მივაკუთვნებთ იმ პოლიტიკურ სუბიექტებს, რომლებიც უშუალოდ დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ არ შექმნილა და მოღვაწეობის გარკვეული ისტორია გააჩნდათ.

ასეთი პარტიები იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას გამოეყო მემარცხენე ფრთა და არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიამ, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გამოეყვნენ და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს ეროვნული პარტია.

რამდენად იყვნენ ამ პარტიების წინასაარჩევნო სიებში ეროვნული უმცირესობები წარმოდგენილი? საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ყოფნა ყველაზე მეტად მოსალოდნელი იყო ყოფილი რუსეთის იმპერიის

ფარგლებში მოქმედი პარტიებისაგან გამოყოფილ სუბიექტებში. ასეთი პირველ რიგში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელიც გამოეყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას (მენშევიკების) და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონ-ერთა პარტია, რომელიც ჩამოსცილდა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას. თუმცა, მონაცემები გვიჩვენებს, ასეთი მოლოდინი პირველ რიგში გამართლდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემთხვევაში (იხ. ცხრილი N 1).

დანარჩენ ქართულ პარტიებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ან არ იყვნენ, ან თუ იყვნენ, - იმ ეთნოსების წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იყვნენ ინტეგრირებულნი ქართულ საზოგადოებაში.

ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია თავიდანვე ინტერნაციონალური პარტია იყო. „სოციალ-დემოკრატიას იმით ქონდა გავლენა საქართველოში, რომ ყველა ერის ინტერესებს თანასწორათ ვიცავდით“ (ჟორდანია ნ. 1990, გვ.104). საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის შემდეგ, პარტიამ შეინარჩუნა გავლენა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებში. ეს 1919 წელს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროსაც გამოჩნდა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმათა უმრავლესობა მიიღო თბილისში, სადაც ეროვნული უმცირესობების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობდა, ხოლო ახალქალაქის მაზრაში ჩატარებულ არჩევნებში, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ, „სომხურმა ნაციონალურმა პარტიამ დაშნაკმა მიიღო გაცილებით ნაკლები ხმა, ვინემ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ“ (ჟორდანია ნ. 1990, გვ.104).

ცხრილი N 1

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ყოფნა საქართველოს ტრადიციულ პოლიტიკურ პარტიებსა და მათ განაყოფებში

პარტია	კანდიდატების საერთო რაოდენობა წარდგენილ სიაში	მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები	ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ადგილები პარტიულ საარჩევნო სიაში
1.საქართველოს სოც-დემ. მუშათა პარტია	130	20	19, 22, 26, 30, 32, 36, 40, 44, 49, 51, 63, 65, 69, 90, 92, 93, 98, 99, 117, 121
2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	96	2	10, 21
3. საქართველოს სოციალ-ისტ-რევოლუციონერთა პარტია	73	4	14, 42, 72, 73
5. საქართველოს სოციალ-ისტ-ფედერალისტთა პარ-ტია	120	1	107
7. საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული პარტია	50	-	
8. საქართველოს ეროვნული	25	1	20

პარტია			
9. საქართველოს სოციალ-ისტ-ფედერალისტთა მაშ-ვრალთა პარტია	38	-	

წყარო: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 25 დამატება; კრებ.: პირველი საყოველ-თაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ., 2018, გვ.35, 39, 42-43, 48, 51, 54, 55

19.4. ეროვნული უმცირესობების პარტიები

უშუალოდ დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ შეიქმნა ეროვნული უმცირესობების სახელით მოქმედი რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტი. 1919 წლის ძირითად არჩევნებში მო-ნაწილეობა მიიღო მუსლიმთა სახელით მოქმედმა ორმა და ბერძენთა ერთმა პარტიამ. ეროვ-ნულ უმცირესობათა სახელით მოქმედი ახლადშექმნილი პოლიტიკური გაერთიანებების საქ-მიანობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ვერც ძირითადი და ვერც დამატებითი არჩევნების შედე-გად მათ ვერ დააგროვეს ხმების საკმარისი რაოდენობა დამფუძნებელ კრებაში თუნდაც ერთი ადგილის მოსაპოვებლად (იხ. ცხრილი N 2).

ცხრილი N 2

ეროვნულ უმცირესობათა სახელით მოქმედი პარტიები

პარტია	პირთა რაოდენობა წარდგენილ სიაში	მიღებული ხმების რაოდენობა (ძირითად და დამატებით არჩევ-ნებში)
საქართველოს მუსლიმთა ეროვნუ-ლი საბჭო (N 6)	5	105
ბორჩალოს მაზრის მუსლიმთა კავ-შირი (N 12)	5	224
საქართველოს ელინთა დემოკრა-ტიული კავშირი (N 15)	10	553

წყარო: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 25 დამატება; კრებ.: პირველი საყოველ-თაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ., 2018, გვ.94-95, 96

19.5. უცხოური პოლიტიკური პარტიები

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობისათვის დაუშვეს ორი პოლიტიკური სუბიექტი, რომლებიც, რეალურად, სხვა ქვეყნების პოლიტიკურ პარტიებს წარ-მოადგენდნენ. ეს იყო სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკციუთუნი“ (N 4) და რუსე-თის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (N 13).

დაშნაკთა პარტია მმართველი პოლიტიკური ძალა იყო საქართველოს მეზობელ სომხეთ-ში. 1918 წ. შემოდგომა-ზამთარში დაშნაკთა ტერიტორიულ პრეტენზიებს სამხედრო კონფლიქ-ტი მოჰყვა ორ ქვეყანას შორის. მიუხედავად ამისა, საქართველოში მოქმედი დაშნაკთა პარტია დაუშვეს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც გარკვეული დროის მანძილზე რჩებოდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შემად-

გენლობაში. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია შეიქმნა 1918 წ. შემოდგომაზე, როდესაც ის ოფიციალურად გამოეყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას (მენშევიკების). ის მოიაზრებოდა როგორც საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატის პარტია, თუმცა თბილისში მოქმედმა გარკვეულმა რუსულენოვანმა ჯგუფებმა უარი თქვეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ყოფნაზე და საქართველოს სოციალ-დემოკრატიის, ისევე როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დაიკავეს. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ არჩევნებში დაშვებულ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ ვერ შეძლო დამფუძნებელ კრებაში თავის წარმომადგენლის გაყვანა. რაც შეეხება დაშნაკთა პარტიას, ძირითად არჩევნებში მან მხოლოდ 2353 ხმა დააგროვა და ვერცერთი ადგილი ვერ მოიპოვა.[30] დაშნაკთა წარუმატებლობამ, როგორც ჩანს, აღაშფოთა სომხური პოლიტიკური ძალები. სომხური „სახალხო პარტიის“ ორგანო „ჟოღოვორდი ძაინი“ საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნასთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენ, საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობანი, შეძლებას მოკლებულნი ვართ მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში“ და მოითხოვდნენ ცოტა ხნის შემდეგ დაეშალათ არსებული და მოეწვიათ ახალი დამფუძნებელი კრება, რომელშიც „დაცული იქნებოდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებები“ („ერთობა“, 16.03.1919). საპასუხოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ორგანო გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავდა, რომ დამფუძნებელ კრებაში უკვე იყო არჩეული „რამდენიმე წარმომადგენელნი თითქმის ყველა ეროვნული უმცირესობისა“, სხვა საკითხია, რომ ისინი არ იზიარებდნენ „ჟოღოვორთი ძაინის“ პოლიტიკურ მიმართულებას („ერთობა“, 16.03.1919).

დაშნაკებმა დამფუძნებელ კრებაში ადგილები მოიპოვეს 1919 წ. აგვისტოს ბოლოს გამართულ 1-ლი დამატებითი არჩევნების შემდეგ, როდესაც არჩევნები ჩატარდა სამხრეთ საქართველოს ნაწილში - სამცხე-ჯავახეთში. შედეგად დაშნაკებმა კიდევ 13.583 ხმა მიიღეს და დამფუძნებელ კრებაში 3 ადგილი მოიპოვეს („ერთობა“, 16.03.1919). (იხ. ცხრილი N 3)

ცხრილი N 3

ეროვნულ უმცირესობები უცხოურ პოლიტიკურ პარტიებში

პარტია	პირთა რაოდენობა სიაში	ეროვნული შემადგენლობა	მიღებული ხმები მლიანობაში	დამფუძნებელი კრების წევრი
სომეხთა რევოლუციური პარტია „დაშნაკცუთიუნი“ (N4)	19	ყველა სომეხი	16.891	3
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (N13)	12	სიის პირველი ოთხი პირი სომეხი იყო	839	-

წყარო: კრებ.: პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ., 2018, გვ.96

[30] ძირითად არჩევნებში დაშნაკებმა ყველაზე მეტი ხმა თბილისში (786) და თბილისის მაზრაში (433) მოიპოვეს (პირველი დემოკრატიული არჩევნები საქართველოში, გვ.89)

19.6. ეროვნული უმცირესობები დამფუძნებელ კრებაში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალა (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები) თანხმდებოდა იმაზე, რომ ეროვნულ უმცირესობებს ფართო უფლებები უნდა მინიჭებოდათ და დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ უმცირესობათა ჩართვას საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსს ეროვნული უმცირესობის 23 წარმომადგენელი ატარებდა

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსს 145 ადამიანი ატარებდა. მათგან 23 ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი იყო. დამფუძნებელი კრების წევრი გახდა: 8 სომეხი, 3 აფხაზი, 4 რუსი, 2 გერმანელი, 2 ებრაელი, 2 ოსი, 1 თურქულ ენაზე მოლაპარაკე მუსლიმი, 1 ბერძენი.

დამფუძნებელ კრებაში არჩეული ეროვნული უმცირესობის 23 წარმომადგენლიდან, 4 სომეხი ეროვნების წევრი არჩეული იყო დაშნაკცუთიუნის პარტიიდან (დაშნაკთა პარტიამ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 3 ადგილი მოიპოვა. 1919 წ/ 7 ნოემბერს დავით დავითხანიანმა უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრობაზე და მას პარტიული სიიდან მომდევნო პირი ჩაენაცვლა, - გარეგინ ტერ-სტეფანიანი). ყველა დანარჩენი კი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. სოციალ-დემოკრატების საარჩევნო სიაში შედიოდა საქართველოში მცხოვრები ყველა ძირითადი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი და ისინი დამფუძნებელი კრების წევრები გახდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები დამფუძნებელი კრების წევრები გახდნენ არა უბრალოდ ეროვნების, არამედ მათი კვალიფიკაციის გამო. დამფუძნებელ კრებაში არჩეული ეროვნული უმცირესობების 23 წარმომადგენლისაგან 12-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება (ავეტისიანი ტიგრან, აუშტროვი რუბენ, ბერნშტეინი ერიკ, ბიული პავლე, გაგლოევი გიორგი, დავარაშვილი მოსე, დავითხანიანი დავით, ელიგულაშვილი იოსებ, ზახაროვი დიმიტრი, ფანიანცი კონსტანტინე, ფაშალიდისი იოანის, შერვაშიძე ვარლამ), 2-ს ჰქონდა გიმნაზია დამთავრებული (ზოროიანცი ზორი, ტერ-ფარსეგოვა ელეონორა), 1-ს სასულიერო სემინარია (ემუხვარი არზაყან), 1-ს სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი (გორჯუა ვასილ) და მხოლოდ 5-ს დაწყებითი (ვარდოიანცი, ლოსკუტოვი, შევჩუკი, ფარნიევი, მამედოვი).

დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთა უმრავლესობა იყო დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილი რომელიმე კომისიის წევრი და მონაწილეობდა მის მუშაობაში.

რაც შეეხება დამფუძნებელი კრების სხდომებზე გამოსვლებს, დაშნაკთა ფრაქცია მონაწილეობდა მათთვის პრინციპულად მიჩნეული საკითხების განხილვისას. დამფუძნებელ კრებაში „დაშნაკთა“ ფრაქციის წარმომადგენლის ერთ-ერთი პირველი გამოსვლა 1919 წ. 14 ნოემბერს ეხებოდა საქართველოსა და სომხეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის განხილვას. ტერ-სტეფანიანცი მიესალმა ამ ხელშეკრულებას და იმედი გამოთქვა, რომ ეს გააადვილებდა „სოლიდარობას საქართველოსა და სომხეთის დემოკრატიას შორის“ (ოქმები, ტომი IV, გვ.24).

1919 წ. 3 დეკემბერს დაშნაკთა ფრაქცია, სხვა ოპოზიციურ ფრაქციებთან ერთად, დაუპირისპირდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომელიც მთავრობის პოზიციას იცავდა ერთ-ერთ უცხოურ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ფრაქციის აზრით, ხელშეკრულება სასარგებლო არ იყო „ჩვენი რესპუბლიკისთვის ფინანსიურის მხრით“ (ოქმები, ტომი IV, გვ.186).

დამფუძნებელი კრების 1921 წ. 15 თებერვლის სხდომაზე, როდესაც საბჭოთა რუსეთის ჯარების თავდასხმით შექმნილი ვითარება განიხილებოდა (მაშინ ეს საბჭოთა სომხეთის თავდასხმა ეგონათ), დაშნაკთა ფრაქცია უხერხულ მდგომარეობაში იყო. მისი წარმომადგენელი ცდილობდა აეხსნა თავდასხმის მიზეზი: „როგორც მთავრობის თავმჯდომარემ გვამცნო საბჭოთა სომხეთი 11 თებერვალს თავს დაესხა საქართველოს სადარაჯოებს. მე არ ვიცი რა მიზნით ჰქნეს ეს, ის კი ვიცი, რომ სომხეთის რევკომმა მოითხოვა საქართველოსგან ჯარები გამოეყვანათ ნეიტრალურ ზონიდან. ამის დრო 12 - გასულა და სჩანს თავდასხმას ამასთან უნდა ჰქონდეს კავშირი“ („სახალხო საქმე“, 17.02.1921).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გასული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები არ შედიოდნენ ამ პარტიის ფრაქციის მთავარ ორატორთა შორის, მაგრამ ასევე მონაწილეობდნენ ცალკეული საკითხების განხილვისას. აღსანიშნავია 1919 წ. 2 აგვისტოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე გურჯუას გამოსვლა, რომელიც აფხაზეთის საბჭოს წევრიც იყო. მან უარყო ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის ბრალდება სეპარატიზმის თაობაზე და აღნიშნა: „ერთი დემოკრატიული რესპუბლიკა და ერთი სახელმწიფოებრივი კანონი ყოველ საქართველოს ნაწილისთვის (ტაში). აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული, მაგრამ ნაწილი ამ საქართველოისა მხოლოდ თავის შინაურ საქმეში იქნება დამოუკიდებელი“ (ოქმები, ტომი III, გვ.142).

დამფუძნებელი კრების მუშაობაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობაზე წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოცემული ცხრილი:

ცხრილი N 4

დამფუძნებელი კრების მე-2 სესიის სხდომებზე (1920 წ. 19 მარტი - 6 ივლისი) ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობა

დამფუძნებელი კრების სხდომა	ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი დეპუტატის მონაწილეობა
II სხდომა (19 მარტი), IV სხდომა (23 მარტი), Vსხდომა (26 მარტი)	ი. ელიგულაშვილი მომხსენებელი იყო რკინიგზის ჭიათურის მონაკვეთზე განსაკუთრებული ტარიფის გაუქმების კანონპროექტზე, მონაწილეობდა იმავე საკითხის მე-2 მოსმენით განხილვასა და კანონის მიღებაში.
V სხდომა (1920 წ. 28 მარტი)	გაგლოევმა (ს-დ.) გამოიტანა დეკრეტი გზათა უწყების მოსამსახურეთა დღიური ანაზღაურების გაზრდის შესახებ.
VIII სხდომა (1920 წ. 6 აპრილი)	გ. გაგლოევს გამოაქვს დეკრეტი ქუთაისის რკინიგზის სადგურის გაფართოების დაფინანსების შესახებ
X საგანგებო სხდომა (1920 წ. 8 აპრილი)	ტერ-სტეპანიანის (დაშნაკი) გამოსვლა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის 1920 წ. 9 მარტის რეზოლუციის განხილვის დროს. რეზოლუცია ეხებოდა სომხების მიერ მუსლიმთა შევიწროებას ყარსისა და ერევნის ოლქებში
XIV სხდომა (1920 წ. 30 აპრილი)	ტერ-სტეპანიანის(დაშნაკი) გამოსვლა აზერბაიჯანში ბოლშევიკების შეჭრის საკითხის განხილვის დროს.
XXIV სხდომა (1920 წ. 15 ივნისი)	განიხილეს ერ. ბერშტეინის (სოც,-დემ.) თხოვნა სხდომებიდან ერთი თვით განთავისუფლების შესახებ, რადგანაც მომარაგების სამინისტრო აგზავნიდა ევროპაში.
XXX სხდომა (1920 წ. 6 ივლისი)	სოც-დემ. ფრაქციის განცხადება საგზაო კომისიაში გ. გაგლოევის მაგიერ ვ. თევზაიას დასახელების შესახებ.

წყარო: საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტომი VI, გვ. 8, 99, 128, 134, 192-193, 227-228, 298, 505, 606.

სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო არა დამფუძნებელი კრების სხდომებზე გამოსვლა, არამედ ურთიერთობა შესაბამისი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან. ისინი ხშირად ჩადიოდნენ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში და ქონდათ მათთან ურთიერთობა.[31]

დამფუძნებელ კრებაში შესული სომეხი ეროვნების პარლამენტარებიდან დაშნაკები და, საერთოდ, მათი ელექტორატიც შედარებით გაუცხოებული იყო ქართული საზოგადოებისგან. სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გასული სომეხი პარლამენტარები კი ქართულ საზოგადოებაში იყვნენ ინტეგრირებულნი. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ემიგრაციაში წასული სომეხი ეროვნების დამფუძნებელი კრების წევრები აგრძელებდნენ მუშაობას საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციაში და დაკრძალული არიან პარიზის ახლოს, ლევილის ქართულ სასაფლაოზე (რ. აუშტროვი, მ. ვარდოიანცი).

19.7. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ: დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლების შემდგომი ბედი

საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა 1921 წლის 17 მარტს ბათუმში გაიმართა. სხდომამ მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლას და საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვა.

დამფუძნებელი კრების წევრთა საერთო ბედისაგან გამონაკლისი არც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი წევრები იყვნენ. 1921 წელს საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი 7 წევრი (აუშტროვი რუბენ, ბერნშტეინი ერიკ, დავითხანიანი დავით, ელიგულაშვილი იოსებ, ემუხვარი არზაყან, ფაშალიდისი იოანის, ვარდოიანცი - 1922 წელს გაასახლეს უცხოეთში).

საქართველოში დარჩენილთაგან სხვადასხვა სახის რეპრესიები შეეხო უმრავლესობას, მათგან 5 კი დახვრიტეს: ავეტისიანი ტიგრან (1938 წ.), ბიული პავლე (1938 წ.), გურჯუა ვასილ (1924 წ.), გაგლოევი გიორგი (1937 წ.), ლოსკუტოვი ანდრეი (1937 წ.). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში დარჩენილი დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნული უმცირესობის 6 წარმომადგენლის (ტერ-სტეფანიანი, ფანიანცი, კოვალიოვი, ზახაროვი, ფარნიევი, მამედოვი) შემდგომი ბედი უცნობია, ეროვნული უმცირესობებიდან რეპრესირებულთა ოდენობა შეიძლება ორჯერ მეტიც იყოს.

---

[31] მაგალითად ცნობები 1921 წლის გაზეთებიდან: **12 იანვარი -** დამფუძნებელი კრების და მთავრობის სახელზე დამფუძნებელი კრების წევრებმა ვარდოიანმა, ჩხეიძემ, შევჩუკმა და კოვალიოვმა, რომლებიც ქართულ ჯარის საზღვართან განლაგებულ ნაწილებში იმყოფებოდნენ, ჯალალ-ოღლის და ვორონცოვკის რაიონში მყოფი მებრძოლების დავალებით დამფუძნებელ კრებას უძღვნიდნენ მხურვალე სალამს და გამოხატავდნენ მზადყოფნას, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავდნენ სამშობლოს („ერთობა“, 12.01.1921 წ. გვ.3); **21 იანვარი -** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა ნეიტრალური ზონის მცხოვრებთაგან (რუსები, სომხები და მუსლიმები) მიიღეს დეპეშა, რომლებმაც დამფუძნებელი კრების წევრების კოვალიოვის და ჩხეიძის მოხსენებების მოსმენის შემდეგ, სოფლების ყრილობებზე მიიღეს გადაწყვეტილება და ითხოვდნენ საქართველოსთან შეერთებას („ერთობა“, 21.01.1921 წ. გვ.3).

აფხაზი ვასილ გურჯუა დახვრიტეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო. რადგანაც, ბოლშევიკური პროპაგანდის თანახმად, ეს იყო „ქართველთა აჯანყება“, გურჯუას ჩეკისტებმა დასახვრეტთა სიაში ეროვნება შეუცვალეს და ქართველად ჩაწერეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დამფუძნებელი კრების დაშნაკი წევრების ბედი საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ. დაშნაკთა პარტია მაშინვე ოკუპანტების მხარეზე გადავიდა, იმ იმედით, რომ ბოლშევიკები საქართველოს ტერიტორიის ნაწილებს სომხეთს გადასცემდნენ. დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი, რომელიც კარგად აჩვენებს დაშნაკთა პოზიციას. ციტატა იმდროინდელი არაბოლშევიკური გაზეთიდან: „ახალციხეში შემდგარ რევკომს, დაშნაკის ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრის, ზორიანის თავმჯდომარეობით, თითქმის ახალციხის მთელი ქართველი ინტელიგენცია დაუტუსაღებია, როგორც კონტრრევოლუციონერები. სამოციოდე მათგანი თფილისს გაუგზავნიათ ახალციხიდან - ხაშურამდი ფეხით. მაგრამ იმ გარემოებისათვის, რომ დატუსაღებულნი მხოლოდ ქართველები ყოფილან, ყურადღება მიუქცევია კომპარტიის ერთ-ერთ რწმუნებულს, ტომით რუსს და ოთხი კაცის გარდა ყველანი გაუნთავისუფლებია, როგორც მსხვერპლნი უსაფუძვლო დაბეზღებისა. ასე ესმით გაკომუნისტებულ დაშნაკებს კომუნიზმი“ („სოციალისტ-ფედერალისტი“, 22.03. 1921).

1922 წელს თბილისში მოკლეს ახმედ ჯემალ-ფაშა, ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც მიიჩნევდნენ სომეხთა მასობრივი განადგურების ერთ-ერთ შემოქმედად. მისი მკვლელობის ორგანიზების ბრალდებით საბჭოთა ხელისუფლებამ დაპატიმრებები დაიწყო, რომელიც შეეხოთ დაშნაკცუტიუნის წევრებსაც, მათ შორის დამფუძნებელი კრების საქართველოში დარჩენილ დეპუტატებს (გარეგინ ტერ-სტეფანიანი; ზორი ზორიანცი).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ახორციელებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკას. ამისკენ იყო მიმართული ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის კანონმდებლობა, რომელიც განსახიერდა 1921 წ. 21 თებერვალს მიღებულ კონსტიტუციაში. 1919 წ. დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა პროპორციული სისტემით, ნულოვანი ბარიერის პირობებში, რაც კარგ საფუძველს ქმნიდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ორგანოში.

ზოგიერთი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა (მუსლიმები, ბერძნები) არჩევნების წინ შექმნეს თავიანთი პოლიტიკური გაერთიანებები (საქართველოს მუსლიმთა ეროვნული საბჭო, ბორჩალოს მაზრის მუსლიმთა კავშირი, საქართველოს ელინთა კავშირი), რომელთაც დამფუძნებელ კრებაში თავიანთი წარმომადგენლები ვერ გაიყვანეს. სომხური უმცირესობა დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობდა დაშნაკთა პარტიის მეშვეობით და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. თუმცა წარმატებული აღმოჩნდა მხოლოდ დაშნაკთა პარტიის მონაწილეობა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები იყვნენ ქართული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებშიც. ამ მხრივ ყველაზე თანმიმდევრული იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის საარჩევნო სიაშიც იყო და დამფუძნებელი კრების წევრები გახდნენ საქართველოში მცხოვრები ყველა ძირითადი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი.

ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკა მხოლოდ ნაწილობრივ აღმოჩნდა წარმატებული. ამას განაპირობებდა ის ხანმოკლე პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობდა. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის და გასაბჭოების შემდეგ ეროვნული უმცირესობების ნაწილი დამპყრობლებმა საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენეს.

კომუნისტური რეპრესიები დამფუძნებელი კრების წევრ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებსაც შეეხოთ. ამასთან მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ რაღაც პერიოდის განმავლობაში რომელიმე მათგანი საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გასული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებიც ემიგრაციაში წავიდნენ, საქართველოს ინტერესების დამცველებად დარჩნენ.

თავი XX. დამფუძნებელი კრება და საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება (მალხაზ მაცაბერიძე)

დამფუძნებელი კრება მოწვეული იყო საქართველოს კონსტიტუციის შესამუშავებლად, ეს იყო მისი უმთავრესი საქმე. დამფუძნებელმა კრებამ შეასრულა ეს ამოცანა და კონსტიტუცია მიიღეს 1921 წლის 21 თებერვალს, როდესაც თბილისის მისადგომებთან საბჭოთა რუსეთის წითელ არმიასთან მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა. თუმცა, როდესაც დამფუძნებელი კრების საქმიანობის პერიოდს ასზე მეტი წელი გვაშორებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაძლებელი იყო კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის უფრო ადრე დამთავრება და კონსტიტუციის მიღებაც უფრო მშვიდ ვითარებაში, - ვთქვათ 1920 წლის გაზაფხულზე, შემდეგ კი, უკვე კონსტიტუციის საფუძველზე, საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაც. მოვლენები სხვაგვად განვითარდა და ამას ვერ შევცვლით, მაგრამ შეგვიძლია განვიხილოთ, თუ რატომ შეიძლებოდა კონსტიტუციის პროექტის უფრო ადრე წარმოდგენა და მიღება, ისევე როგორც იმის ჩვენება, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამის გაკეთება.[32]

20.1. კონსტიტუციის შემუშავების გაჭიანურება

დამფუძნებელმა კრებამ თავის მესამე სხდომაზე, 1919 წლის 18 მარტს, სხვა კომისიებთან ერთად, აირჩია საკონსტიტუციო კომისია 15 წევრის შემადგენლობით. მასში შევიდნენ დამფუძნებელ კრებაში არსებული ფრაქციების წარმომადგენლები, თუმცა ცხადია დომინირებდნენ სოციალ-დემოკრატები, რომელთაც კომისიაში 10 წევრი ჰყავდათ.

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა ცალკე არის განხილული (იხ. მაცაბერიძე მ., 2021) და ამაზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ კომისიას დამფუძნებელი კრებისთვის კონსტიტუციის პროექტის წარდგენა უფრო ადრე შეეძლო, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა, რამდენიმე მიზეზის გამო:

1/ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას შეეძლო თავის მუშაობისთვის საფუძვლად დაედო საქართველოს ეროვნული საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) საკონსტიტუციო კომისიის მიერ შეკრებილი მასალები და კონსტიტუციის პროექტისათვის მათ მიერ დაწერილი თავები;

2/ საქართველოს პარლამენტის და დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიებში დომინირებდა ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა - სოციალ-დემოკრატია, ამიტომ ერთნაირი იყო ხედვა იმ ძირითადი პრინციპებისა, რაც უნდა ასახულიყო კონსტიტუციის პროექტში;

3/ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე ერთი წლის განმავლობაში არსებობდა და მისი უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მოწყობა მისაღები იყო სოციალ-დემოკრატიისთვის, შესაბამისად, შეიძლებოდა არსებული პრაქტიკის კონსტიტუციაში დაფიქსირება, რაც რეალურად მოხდა კიდეც;

---

[32] საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების შესახებ შოთა რუსთაველი ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით 2021 წელს გამოიცა მალხაზ მაცაბერიძის მონოგრაფია „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება, მიღება, სახელმწიფო მოწყობის კონცეფცია“ (საგრანტო პროექტის ნომერი SP-21-290). ამიტომ მოცემულ თავში მოკლედ შევეხებით მხოლოდ დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის შემუშავების ძირითად საკითხებს და ყურადღებას გავამახვილებთ იმ ასპექტებზე, რაც დასახელებულ მონოგრაფიაში არ არის განხილული

4/ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში შედიოდა რამდენიმე ის პიროვნება (15-დან 7), რომლებიც ადრე მუშაობდნენ პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიაში:

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია	საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისია
რაჟდენ არსენიძე (ს. დ.) - თავმჯდომარე	რაჟდენ არსენიძე - კომისიის წევრი
პავლე საყვარელიძე (ს. დ.) - თავმჯდომარე 1920 წ. 4 თებერვლიდან	პავლე საყვარელიძე - კომისიის მდივანი
სერგი ჯაფარიძე (ს. დ.) - თავმჯდომარის თანაშემწე	სერგი ჯაფარიძე - თავმჯდომარე
გიორგი გვაზავა (ე. დ.) - მდივანი	გიორგი გვაზავა - კომისიის წევრი
ლევან ნათაძე (ს. დ.) - კომისიის წევრი	ლევან ნათაძე - კომისიის წევრი
სამსონ დადიანი (ს. ფ.) - კომისიის წევრი	სამსონ დადიანი - თავმჯდომარის ამხანაგი
გიორგი ნანეიშვილი - მოწვეული პირი	გიორგი ნანეიშვილი - მოწვეული პირი

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას რომ მიღებული ქონდა მნიშვნელოვანი მასალები თავისი წინამორბედისგან, ეს რაჟდენ არსენიძემაც (ს. დ.) აღნიშნა დამფუძნებელი კრების 1919 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე, როდესაც კონსტიტუციის შემუშავების გაჭიანურების საკითხი განიხილებოდა. მისი თქმით, „ჯერ კიდევ ეროვნულ საბჭოს და პარლამენტის დროს არჩეული იყო სპეციალური კომისია, რომელიც დებულებებს იმუშავებდა ჩვენი ძირითადი კანონებისთვის. მან თითქმის პარლამენტის დახურვამდე შეიმუშავა უმთავრესი ნაწილი ჩვენი კონსტიტუციისა, ასე რომ დამფუძნებელი კრების კომისიისთვის, ერთგვარი წინასწარი მუშაობა დამთავრებული იყო და ამით მისი მოქმედება გაადვილებული“ (ოქმები, ტ. III, გვ.345).

მაგრამ დამფუძნებელი კომისიის საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა თავიდან დაიწყო და რაჟდენ არსენიძემ კომისიის ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ „დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიამ, როგორც არჩეულმა უფრო სრულუფლებიან დაწესებულების მიერ, საჭიროდ დაინახა, მთლად ამ ნამუშევრის გადასინჯვა, ხელახლად განხილვა და თავის მიერ საბოლოოდ შემუშავებულ პროექტის წარმოდგენა“ (ოქმები, ტ. III, გვ.345). კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა გაჭიანურდა, რამაც ოპოზიციის ნაწილის შეშფოთება გამოიწვია.

20.2. კონსტიტუციის პროექტის წარმოდგენის დაჩქარების მოთხოვნა

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს წარუდგინა წინადადება, რომ საკონსტიტუციო კომისიისთვის დაევალებინათ „ერთი თვის განმავლობაში“ დამფუძნებელი კრებისთვის წარედგინა „სრული კანონპროექტი კონსტიტუციისა“ („საქართველო“, 26.10.1919).

აღნიშნული წინადადება დამფუძნებელი კრების 1919 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე განიხილეს. წინადადების ავტორმა გიორგი გვაზავამ (ე. დ.) აღნიშნა, რომ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია (რომლის წევრი თვითონაც იყო) უკვე შვიდი თვე გავიდა და მერვე თვეა, რაც კონსტიტუციის პროექტის შექმნაზე მუშაობს. საკონსტიტუციო კომისიის მიერ „ბევრი უკვე დამუშავებულია“, ამიტომ, მისი განცხადებით, სავსებით რეალური იყო ერთი თვის ვადაში კონსტიტუციის პროექტი „დაიბეჭდოს, გამოვიდეს და დარიგდეს“ (ოქმები, ტ. III, გვ.343).

კონსტიტუციის პროექტის შემუშავების დაჩქარების აუცილებლობა გვაზავამ ახსნა როგორც საშინაო, ისე საგარეო მიზეზებით. კონსტიტუცია აწესრიგებს ქვეყნის პოლიტიკურ და

ეკონომიკურ ცხოვრებას, „კონსტიტუცია არის უფლებრივი კალაპოტი, რომელშიც მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრება სახელმწიფოსი“ (ოქმები, ტ. III, გვ.345). კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება ხელს შეუწყობდა საქართველოს საერთაშორისო აღიარების საქმეს, რადგანაც დასავლეთის წამყვანი ქვეყნებისთვის ცხადი გახდებოდა, რომ საქართველო ქმნიდა უფლებრივ (სამართლებრივ) სახელმწიფოს, ემიჯნებოდა „უკიდურეს სოციალისტურ მიმართულებას, სახელდობრ ბოლშევიკებს“ (ოქმები, ტ. III, გვ.344).

გიორგი გვაზავას თავის სიტყვაში აღარ უთქვამს, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებაში ძალზედ შთამბეჭდავი იყო მითითება ევროპის ქვეყნებზე, რომელთაც, საქართველოსგან განსხვავებით, მოკლე დროში შეიმუშავეს და მიიღეს კონსტიტუციები: „გერმანიამ სულ ორი-სამი თვე მოანდომა თავის კონსტიტუციის შემუშავებას. პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია და ზოგი სხვა ერები, თუმცა ჩვენზე უფრო გვიან დაიწყეს მუშაობა, მაგრამ დიდი ხანია უკვე გამოაქვეყნეს თავიანთი კონსტიტუცია. მხოლოდ ჩვენ ვდგევართ ერთსა და იმავე ადგილას. ჩვენთვის კი კონსტიტუციის დამტკიცება და გამოქვეყნება მეტად საჭიროა...“ („საქართველო“, 26.10.1919).

საპასუხო განმარტებით გამოვიდა რაჟდენ არსენიძე (ს. დ.), მაშინ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. მისი განცხადებით, საკონსტიტუციო კომისიაში „მუშაობა სისტემატიურად სწარმოებდა და სწარმოებს დღემდის, - რაც ძალა და ღონე გვქონდა ვეწეოდით ამ შრომას“ (ოქმები, ტ. III, გვ.346). რაჟდენ არსენიძე არც გიორგი გვაზავას იმ არგუმენტს უარყოფდა, რომ „ევროპაში 4-5 თვეში ხდება კონსტიტუციის დამუშავება“ (ოქმები, ტ. III, გვ.346). მაგრამ ამის შემდეგ ჩამოთვალა კონსტიტუციაზე მუშაობის გაჭიანურების მიზეზები:

ა/ საქართველოში არ იყო და არც „გარედან“ (უცხოეთიდან) მოუყვანიათ სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ „კონსტიტუციის მთავარ დებულებების... მკაფიოდ, მოკლედ და სხარტად ჩამოყალიბება და მის პრინციპების შესახებ, დაწვრილებით მოხსენების გაკეთება“ (ოქმები, ტ. III, გვ.346).

ბ/ კომისიას „უხდებოდა თავის საკუთარ შინაური ძალებით მუშაობა, თითონ უნდა დაეგროვებინა ყოველგვარი მასალა, დაემუშავებინა საკითხი“ (ოქმები, ტ. III, გვ.346).

გ/ საკონსტიტუციო კომისიის წევრებს, გარდა კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისა, „სხვა ასეთი ბევრი საქმეები ედოთ თავს“ და ასეთ პირობებში უფრო სწრაფად მუშაობა არ შეეძლოთ“ (ოქმები, ტ. III, გვ.346).

რაჟდენ არსენიძემ ამის შემდეგ აღნიშნა, რომ „კონსტიტუციის დამუშავების დამთავრება სულ მოკლე ხანში“ მოხდებოდა, ვინაიდან მთავარი საკითხები დამუშავებული იყო და „ცოტაღა დარჩა მუშაობა“ (ოქმები, ტ. III, გვ.346). რაჟდენ არსენიძემ არ გამორიცხა ისიც, რომ თუკი დამფუძნებელი კრება დაავალებდა კომისიას, დააჩქარებდნენ მუშაობას და კონსტიტუციის პროექტს „ერთ თვეში წარმოადგენდნენ“, მაგრამ არ მიიჩნია მართებულად ასე ნაჩქარევად მიეღოთ კონსტიტუცია, „როგორც ვიღებთ ხოლმე ზოგიერთ დეკრეტებს. ეს კონსტიტუცია არის და არა დეკრეტი, რომელიც შეიძლება მივიღოთ ნაფუსფუსევად“ (ოქმები, ტ. III, გვ.346).

რაჟდენ არსენიძემ მოითხოვა, რომ თუკი რაიმე „არაჩვეულებრივი, ექსტრა-ორდინალური გარემოება არ გვაიძულებს“, საკონსტიტუციო კომისიისთვის მიეცათ კიდევ 3 თვე. „მე მგონია, რომ 2-3 თვეში მაინც შევსძლებთ დამთავრებას და იანვარში საშუალება გვექნება და დამფუძნებელი კრების წინაშე წარმოვადგინოთ განსახილველად“ (ოქმები, ტ. III, გვ.347). რაჟდენ არსენიძემ დამფუძნებელ კრებას სთხოვა, რომ „დრო არ დაენიშნათ“ (ანუ მხოლოდ ერთი თვე არ მიეცათ) და საკონსტიტუციო კომისია სამი თვის განმავლობაში დაბეჭდავდა „კონსტიტუციის პროგრამას“ და გამოაქვეყნებდა „საზოგადოების ფართო წრეების გასაცნობად“ და საბოლოოდ წარმოადგენდა „დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებაში“ (ოქმები, ტ. III, გვ.347).

როგორც ვხედავთ, რაჟდენ არსენიძე პირობას დებდა, რომ სამი თვის შემდეგ - 1920 წლის იანვარში კონსტიტუციის პროექტი მზად იქნებოდა. სავარაუდოდ, ამან დამფუძნებელი კრების წევრებზე გარკვეული გავლენა მოახდინა. რაჟდენ არსენიძის განმარტების მოსმენის შემდეგ, მიუხედავად სხდომის თავმჯდომარის მიმართვისა, სიტყვით აღარავინ გამოსულა. პრეზიდიუმში შესული იყო ორი წინადადება, - ეროვნულ-დემოკრატების და სოციალ-დემოკრატების (ამ უკანასკნელი წინადადების შინაარსი ოქმში არ არის დაფიქსირებული). სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე ლომთათიძემ განაცხადა: „მე ვერ უყრი კენჭს მეორე წინადადებას, რადგან აქ საკითხი ესე სდგას: ან უნდა მივიღოთ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება, ან უარვყოთ“ (ოქმები, ტ. III, გვ.347). კენჭისყრის შედეგად ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება უარყოფილი იქნა.

20.3. ღონისძიებები საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დასაჩქარებლად და კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება

რაჟდენ არსენიძის მიერ დამფუძნებელი კრებისთვის მიცემული დაპირება საკონსტიტუციო კომისიამ ვერ შეასრულა. 1920 წლის იანვარში დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საკონსტიტუციო კომისიას გადაჭრით მოსთხოვა მუშაობის დაჩქარება. სოციალ-დემოკრატების მთავარმა ორგანომ გაზეთმა „ერთობამ“ 1920 წლის 30 იანვარს გამოაქვეყნა მოწინავე წერილი „საჩქაროა კონსტიტუცია“, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ“, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება „განსაკუთრებით იქცევა მიუცილებელ მორიგ საკითხად“. გაზეთი ასახელებდა კონსტიტუციის მიღების კონკრეტულ სავარაუდო თარიღსაც, - „დამფუძნებელ კრების წლის თავი უნდა აღნიშნულ იქნეს მის მთავარ სამუშაოს დაგვირგვინებით. ჩვენ მივაქცევთ აქეთკენ დამფუძნებელ კრების ფრაქციათა ყურადღებას“ („ერთობა“, 30.01.1920).

გაზეთი აღნიშნავდა, რომ საქართველოს უკვე თავისუფლად შეუძლია სასურველი კონსტიტუციის შემუშავება, რადგანაც „ჩამოშორებულია ის პოლიტიკური მოტივები, რომელნიც დღემდე ასე თუ ისე ჰბოჭავდა ჩვენი ერის ნამდვილი ნებისყოფის გამოჩინებას“, - მოხსნილია გარეშე ძალის გავლენა და მისთვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობა, ქვეყნის შიგნით კი მუშათა კლასის მყარი ბატონობა დამყარდა. „ჩვენი ცხოვრება უკვე დგება მკაფიოდ გამოხატულ დემოკრატიულ ურთიერთობათა კალაპოტში და დროა იგი საკონსტიტუციო ნორმებში იქნეს ჩამოსხმული“ („ერთობა“, 30.01.1920).

შეშფოთება გამოთქვა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმაც. 1920 წლის 7 თებერვალს საკონსტიტუციო კომისიას გაეგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელშიც პრეზიდიუმი კომისიას შეახსენებდა ძველ დაპირებას 1920 წლის იანვარში კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დამთავრების თაობაზე და აღნიშნავდა: „იანვარმაც განვლო, მაგრამ კონსტიტუციის დამფუძნებელ კრებისათვის წარდგენისა არავითარი ნიშანი არა სჩანს, არც ის იცის პრეზიდიუმმა, - სახელდობრ როდისათვის უნდა მოველოდეთ მის შემოტანას“ (არქივი, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.67). პრეზიდიუმი აღნიშნავდა, რომ უკვე „უკმაყოფილების ხმა“ ისმოდა სხვადასხვა წრეში „ძირითად კანონების შემუშავების დაგვიანების გამო“ და სთხოვდა საკონსტიტუციო კომისიას ეცნობებინა, რა მდგომარეობაში იყო „კონსტიტუციის მთლიანად დასრულებისა, დაბეჭდვისა და კრებისათვის წარდგენის საქმე“ (არქივი, ფ.1833, ანაწ.1, საქ.191, ფურც.67).

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას მართლაც სერიოზული ხარვეზები ახასიათებდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად განხორციელდა ორგანიზაციული ცვლილებები. შეიცვალა კომისიის ის წევრები, რომლებიც ვერ ახერხებდნენ კომისიის სხდომებზე სისტემატიურ დას-

წრებას, 1920 წლის 4 თებერვალს კი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა პავლე საყვარელიძე, რაჟდენ არსენიძის ნაცვლად, რომელიც იუსტიციის მინისტრი გახდა.

1920 წლის გაზაფხულზე საკონსტიტუციო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ სპეციალური თავის შემუშავებას, რისთვისაც 1920 წლის მარტში ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა საქართველოში არსებული ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებთან და მოისმინა მათი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით (იხ. მაცაბერიძე მ, 2021, გვ.287-317).

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 6 მარტის სხდომაზე აირჩიეს ე. წ. მცირე კომისია, რომელშიც შევიდნენ ა. ჩხენკელი, პ. საყვარელიძე და გ. გვაზავა. მიიწვიეს აგრეთვე რ. არსენიძე. მცირე კომისიას უნდა განეხილა და სისტემაში უნდა მოეყვანა კონსტიტუციის პროექტის უკვე დაწერილი ნაწილი და კომენტარები. ასევე იმავე შემადგენლობით შეიქმნა სარედაქციო კომისია, რომელსაც დაევალა „კონსტიტუციის რედაქციული გასწორება“. მასში დამატებით მიიწვიეს კ. ნინიძე, ივ. ჯავახიშვილი, ივ. გომართელი, გრ. ყიფშიძე, ექ. თაყაიშვილი, ვ. ყიფიანი და ივ. კარიჭაშვილი.

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 21 აპრილის სხდომაზე პავლე საყვარელიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დამთავრება მეტად სასწრაფო საქმე იყო და წინადადება წამოაყენა მუშაობის დაჩქარების მიზნით კვირაში ოთხი სხდომა ჩაეტარებინათ, მაგრამ კომისიის წევრები ამას არ დაეთანხმნენ და უცვლელად დატოვეს მუშაობის არსებული წესი - კვირაში ორი სხდომა.

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 5 მაისის სხდომაზე პავლე საყვარელიძემ კვლავ დააყენა კონსტიტუციის პროექტის შემუშავების დამთავრების საკითხი და კონკრეტული ვადაც დაასახელა - მაისის ბოლო. საკონსტიტუციო კომისია გეგმავდა კონსტიტუციის პროექტთან ერთად გამოექვეყნებინა კონსტიტუციის კომენტარებიც, რაც პავლე საყვარელიძის განცხადებით, საზოგადოებას გაუადვილებდა კონსტიტუციის გაცნობას და შესწავლას, ასევე „მნიშვნელოვანი მასალა“ იქნებოდა ისტორიისთვის, მაგრამ იმის გამო, რომ კომენტარები გამოსაცემად მზად არ იყო, 1920 წლის 22 მაისის სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიამ საბოლოოდ დაადგინა, რომ კონსტიტუციის პროექტი კომენტარების გარეშე დაებეჭდათ. 1920 წლის 2 ივნისს საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე წაიკითხეს სარედაქციო კომისიის მიერ შესწორებული კონსტიტუციის პროექტის ტექსტი, შეიტანეს ზოგიერთი მცირე შესწორება და დაადგინეს, რომ „კონსტიტუცია დღესვე მიცემულ იქნეს დასაბეჭდად“.

1920 წლის 8 ივნისს საკონსტიტუციო კომისიამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს გაუგზავნა სტამბიდან გამოტანილი ანაბეჭდი, ხოლო 12 ივნისს საკონსტიტუციო კომისიამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს აუწყა, რომ „კონსტიტუციის პროექტი უკვე დაიბეჭდა“ (უფრო დაწვრილებით იხ. მაცაბერიძე მ., 2021, გვ.100-110).

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 15 ივნისის სხდომის ბოლოს თავმჯდომარემ ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნა: „უნდა მოგახსენოთ, რომ კონსტიტუციის ტექსტები დაბეჭდილია და დაურიგდა დამფუძნებელი კრების წევრებს და იყიდება წ.-კ. გ. ს. მაღაზიაში“ (ოქმები, ტ. VI, გვ.505).

20.4. კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაწყება

კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნების და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-2 ყრილობაზე საკონსტიტუციო საკითხების განხილვის შემდეგ, როდესაც შეთანხმდნენ კონსტიტუციასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე, მმართველი პარტიის ხელმძღვანელობაში

გაჩნდა მოსაზრება, რომ დამფუძნებელ კრებას დაუყოვნებლივ დაეწყო კონსტიტუციის პროექტის განხილვა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე 1920 წლის 8 ივლისს, ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით დაადგინეს, რომ დამფუძნებელ კრებას „ახლავე, აუცილებლად“ დაეწყო კონსტიტუციის პროექტის განხილვა.

საკითხს კვლავ დაუბრუნდნენ 1920 წლის 11 ივლისს უკვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. ვ. გეგეჭკორმა მოითხოვა კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაუყოვნებლივ დაწყება დამფუძნებელ კრებაში, რადგანაც კონსტიტუციის მიღება საჭირო იყო „საგარეო საქმისათვის“ - ხელს შეუწყობდა რესპუბლიკის იურიდიულ ცნობას. ამის წინააღმდეგ გამოვიდა ნოე ჟორდანია, რომელმაც კონსტიტუციის პროექტის დაუყოვნებლივ დაწყების წინააღმდეგ რამდენიმე მიზეზი დაასახელა: ა/ სხვა პარტიები მზად არ იყვნენ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაუყოვნებლივ დასაწყებად; ბ/ საეჭვო იქნებოდა ქვორუმის შედგენა, რადგანაც სხვა პარტიების დეპუტატები სხდომებს არ დაესწრებოდნენ, „ყველანი დასასვენებლად წასულიყვნენ“ და სოციალ-დემოკრატებს ქვორუმის შესადგენად „მინისტრების დასწრებაც“ დასჭირდებოდათ; გ/ გარდა ამისა, „ყოვლად შეუძლებელი“ იყო, რომ მარტო სოციალ-დემოკრატებს განეხილათ და მიეღოთ კონსტიტუცია, სხვა პარტიების მონაწილეობის გარეშე, ამას მოჰყვებოდა „დიდი დავა და უკმაყოფილება პარტიებში“; დ/ კონსტიტუციის განხილვის წინ აუცილებელი იყო პრესაში კამპანიის დაწყება, კონსტიტუციაზე „ბევრი უნდა იწერებოდეს“. ნოე ჟორდანიას განცხადებით, ამ მიზეზების გამო „მთავრობამ გადასდო კონსტიტუციის განხილვა“ (არქივი, ფ. 1825, ანაწ.1, საქ.129, ფურც.52).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე კამათში ბევრმა მიიღო მონაწილეობა და უმრავლესობა ემხრობოდა კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაუყოვნებლივ დაწყებას და დაადგინეს კიდეც: „არ გადაიდვას. შეუდგნენ ეხლავე განხილვას. იქნეს გენერალური დებატები, შემდეგ ჩვენი ფრაქციიდან განაცხადებენ, რომ შესწორებები გვაქვს და კომისიას მიეცემა წინადადება რომ იმუშაონ“ (არქივი, ფ. 1825, ანაწ.1, საქ.129, ფურც.53). თუმცა, საბოლოოდ, დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაუყოვნებლივ დაწყების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაწყება შემოდგომისთვის გადაიდო.

დამფუძნებელი კრების რეგლამენტით განსაზღვრული არ იყო კონსტიტუციის პროექტის განხილვის განსაკუთრებული წესი. ამის გამო, როდესაც დღის წესრიგში დადგა პროექტის განხილვა, თავისთავად წამოიჭრა საკითხი - განეხილათ იმავე წესით, როგორც ჩვეულებრივი კანონი, თუ შეემუშავებინათ ცალკე რეგლამენტი. ეს საკითხი ჯერ კიდევ საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 7 ივლისის სხდომაზე დაისვა, შეიმუშავეს განხილვის წესის პროექტიც, რაც წარუდგინეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი 1920 წლის ნოემბრის დასაწყისიდან აქტიურად შეუდგა კონსტიტუციის განხილვის წესის შემუშავებას (დაწვრილებით იხ.: მაცაბერიძე მ., 2021, გვ.112-116).

კონსტიტუციის პროექტის განხილვის წესი დამფუძნებელი კრების 1920 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე განიხილეს. მომხსენებელმა, კონსტანტინე ჯაფარიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ საერთო აზრის თანახმად, „შეუძლებელია, რომ კონსტიტუციის პროექტი განხილულ იქნეს იმ წესით, რომელიც ჩვეულებრივ კანონ-პროექტებისათვის არის შემოღებული“ (ოქმები, ტ. VII, გვ.518), ამავე დროს „ახალმა წესმა უნდა მოგვცეს საშუალება, რომ ეს მეტის-მეტად სერიოზული და რთული საგანი საფუძვლიანად იქნეს განხილული და გაშუქებული და იმავე დროს ეს განხილვა დიდხანს არ გავაგრძელოთ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.518).

კონსტიტუციის პროექტი, ჩვეულებრივი კანონისგან განსხვავებით, სამი განხილვით კი არა, ხუთი განხილვით უნდა მიეღო:

პირველი - კონსტიტუციის პროექტის ზოგადი განხილვა;

მეორე - კონსტიტუციის პროექტის ცალკეული თავების ძირითად დებულებათა განხილვა;

მესამე - კონსტიტუციის პროექტის ცალკეული თავების მუხლობრივი განხილვა;

მეოთხე - კონსტიტუციის პროექტის ცალკეულ თავებს შორის წინააღმდეგობათა დასაძლევად შემოტანილი შესწორებებისა და ცვლილებების განხილვა;

მეხუთე - კონსტიტუციის მთლიანი ტექსტის საბოლოო რედაქტირება.

რომელიმე თავის მეორე და მესამე განხილვებს შორის აუცილებელი იყო 10-დღიანი შუალედი, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა სხვა თავების განსახილველად.

კონსტიტუციის პროექტის განხილვის წესი დამფუძნებელმა კრებამ უცვლელად მიიღო (ოქმები, ტ. VII, გვ.519).

კონსტიტუციის განხილვის წესის განსაზღვრასთან ერთად საკონსტიტუციო კომისიამ და ფრაქციების წარმომადგენლებმა შეარჩიეს კონსტიტუციის განხილვის დაწყების დღეც. ამის თაობაზე კონსტანტინე ჯაფარიძემ აღნიშნა: „კონსტიტუციის განხილვა შეერთებულმა კრებამ გადასწყვიტა მოხდეს კვირაში ერთხელ. ეს დღე უნდა იქნეს კვირა. სხდომა უნდა დაიწყოს 10 საათზე და უნდა გათავდეს 3-ზე. პირველი დღე კონსტიტუციის განხილვისა იქნება კვირა, 21 ნოემბერი“ (ოქმები, ტ. VII, გვ.519).

ეს გადაწყვეტილება არ მოიწონა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, რომელმაც შეიტანა ალტერნატიული წინადადება: „კონსტიტუციის განხილვის დღე უნდა იყოს არა კვირა, როგორც პრეზიდიუმის და ფრაქციების შეერთებულ სხდომის მიერ იყო გადაწყვეტილი, არამედ ოთხშაბათი, საღამოს ექვს საათ ნახევარი“ (ოქმები, ტ. VII, გვ.519). კენჭისყრის შედეგად გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, 1920 წლის 24 ნოემბერს, საღამოს 6 საათსა და 25 წუთზე გაიხსნა დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 59-ე საგანგებო სხდომა. თავმჯდომარეობდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი, ს. მდივანი; მდივანი იყო დამფუძნებელი კრების მდივნის ამხანაგი ქრ. შარაშიძე. კონსტიტუციის პროექტის პირველი (ზოგადი) წესით განხილვა დაიწყო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის, პავლე საყვარელიძის მოხსენებით, რომელშიც კარგად იყო წარმოჩენილი კონსტიტუციის პროექტის კონცეფცია. დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაწყება ფართოდ გააშუქა იმდროინდელმა პრესამ (დაწვრილებით იხ.: მაცაბერიძე მ., 2021, გვ.118-130).

20.5. სოციალ-დემოკრატების მიერ კონსტიტუციის მიღების დაჩქარების სურვილი

1921 წლის იანვარ-თებერვალში დამფუძნებელი კრება აგრძელებდა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვას. სოციალ-დემოკრატებს, თავისი დიდი უპირატესობის გამო დამფუძნებელ კრებაში შეეძლოთ კონსტიტუციის მიღება ოპოზიციის მხარდაჭერის გარეშეც, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ განხილვის პროცესს. განხილვა ჭიანურდებოდა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უკვე მიაჩნდა, რომ საჭირო იყო კონსტიტუციის მიღების დაჩქარება.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციაზე (1921 წლის 19-20 იანვარი) დიდი ყურადღება დაეთმო კონსტიტუციის საკითხებს. კონფერენციამ აღნიშნა

„კონსტიტუციის დაჩქარებით მიღების აუცილებლობა“. პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს დაევალათ ენერგიული ზომების მიღება იმისათვის, რომ დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის განხილვა დაესრულებინა „არა უგვიანეს ორი თვისა“ და ამასთან დაადგინა, რომ კონსტიტუცია მიეღო და დაემტკიცებინა თვით დამფუძნებელ კრებას, ე. ი. უარყოფილი იქნა კონსტიტუციის რეფერენდუმზე გატანის მოთხოვნა, რაც მეტ დროს მოითხოვდა.

კონსტიტუციის მიღებით დამფუძნებელი კრება შეასრულებდა თავის მოვალეობას და დაინიშნებოდა კონსტიტუციის საფუძველზე პარლამენტის არჩევნები. კონფერენციის დადგენილებით, თუკი რაიმე სადავო საკითხი წარმოიშობოდა კონსტიტუციის თაობაზე, მათი განხილვა და გადაწყვეტა მიენდო „ცენტრალურ კომიტეტს და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბიუროს“ („ერთობა“, 23.01.1921).

1921 წლის 6 თებერვალს გამართულ ზეიმზე საქართველოს იურიდიულ ცნობასთან დაკავშირებით, მიტინგზე გამოსულმა ალექსანდრე ლომთათიძემ აღნიშნა, რომ „ამ რამდენიმე კვირის შემდეგ დამფუძნებელი კრება დაასრულებს კონსტიტუციის განხილვას და ჩვენი სახელმწიფო დაიწყებს ნამდვილი უფლებრივი გზით სიარულს და განვითარებას“ („ერთობა“, 8.02.1921).

უმთავრესი პრობლემა, რაც ამ დროისათვის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობას აფერხებდა, დამფუძნებელ კრებაში ოპოზიციის ორატორების ხანგრძლივი გამოსვლები იყო. გამომსვლელთათვის, ფაქტობრივად, დროის ლიმიტი არ არსებობდა. ამიტომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოთხოვნით გამოსვლები დროში შეიზღუდა. „კონსტიტუციის შესახებ დებატებმა ისეთი ხასიათი მიიღეს, რომ ერთი წელიწადი მაინც დასჭირდებოდა კონსტიტუციის დამტკიცებას. ამიტომ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ზომები მიიღო საკითხის განხილვის დასაჩქარებლათ და ორატორთა ლაპარაკის დრო შეამცირა“, - აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა“ („ერთობა“, 8.02.1921).

ამ გადაწყვეტილებას ოპოზიციის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. სოციალისტ-ფედერალისტმა სამსონ ფირცხალავამ გაზეთ „სახალხო საქმეში“ ამას „გადაჭარბებული სიჩქარე“ უწოდა. ამას სოციალ-დემოკრატების მხრიდან პასუხი მოჰყვა და ოპოზიციის მოთხოვნას, არ შეზღუდულიყო დებატები კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით, „ახირებული პრეტენზია“ უწოდეს. კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში ერთ წელიწადზე მეტ ხანს მიმდინარეობდა, კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებიდან ნახევარ წელზე მეტი დრო იყო გასული და ყველას შეეძლო მისი გაცნობა. დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის განხილვა 1920 წლის 24 ნოემბერს დაიწყო. 1921 წლის თებერვლის დამდეგისათვის კონსტიტუციის განხილვას მიეძღვნა 17 სხდომა, სადაც ილაპარაკა 50 ორატორმა და „ჯერ მხოლოდ 6 თავის ზოგადი განხილვა გათავდა“ („ერთობა“, 3.02.1921).

კონსტიტუციის პროექტის განხილვაზე გამოსული 50 ორატორიდან 17 მომხსენებელი იყო. დანარჩენი 33 გამომსვლელი ფრაქციების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია - 9 გამომსვლელი, სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია - 9 გამომსვლელი, ესერთა ფრაქცია - 6 გამომსვლელი, ეროვნულ-დემოკრატები - 6 გამომსვლელი. „აქედან ცხადად ჩანს, რომ მმართველ პარტიას ოპოზიციისთვის სრული საშუალება მიუცია ფართოთ ესარგებლათ დამფუძნებელი კრების ტრიბუნით. ამიტომ სრულიად უსაბუთოა მათი დღევანდელი წუწუნი და საყვედური, მათ მოისურვეს დაუსრულებელი ლაყბობა და ეს არ დაანება სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ“, - აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა“ („ერთობა“, 3.02.1921).

20.6. ესერების მიერ დამფუძნებელ კრებაში წარდგენილი კონსტიტუციის პროექტის კრიტიკა

სოციალისტ-რევოლუციონერთა მიერ დამფუძნებელი კრებისათვის თავიანთი კონსტიტუციის პროექტის წარდგენა ყველა ფრაქციამ დაგმო. განსაკუთრებული კრიტიკით სოციალისტ-ფედერალისტები გამოირჩეოდნენ. სამსონ დადიანმა დამფუძნებელი კრების 1921 წლის 23 იანვრის სხდომაზე კიდევ ერთხელ აღნიშნა ესერების მიერ შემოტანილი პროექტის ზედმეტობა. „მე რომ გავეცანი სოც.-რევოლუციონერების პროექტს, მაშინ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ სრულიად ზედმეტი იყო მეორე პროექტის შემოტანა და ყველა ის, რასაც ისინი გვაწვდიან, ჩვენ შეგვეძლო შესწორების სახით წარმოგვედგინა“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.139-140).

სამსონ დადიანი საკონსტიტუციო კომისიის პროექტიდან ესერების პროექტის დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა, - „დიდი ნაწილი ესერების პროექტისა იგივეა, რაც კომისიის პროექტი“. ესერებს თავიანთი ხედვები, მათი დახასიათებით „უაღრესად სოციალისტური“ შეეძლოთ საკონსტიტუციო კომისიაში წარედგინათ, ანდა დამფუძნებელ კრებაში შესწორებების სახით შეეტანათ. სამსონ დადიანის შეფასებით, ესერთა პროექტის 65 მუხლი საკონსტიტუციო კომისიის პროექტს ემთხვეოდა, დანარჩენი მუხლების დიდი ნაწილი კი ფედერალისტებს შესწორებების სახით ჰქონდათ წარდგენილი (ოქმები, ტ. VIII, გვ.140).

სამსონ დადიანმა საჭიროდ ჩათვალა დაეცვა საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა ესერების ბრალდებისაგან, რომ კომისიაში ოპოზიციას მუშაობის საშუალება შეზღუდული ჰქონდა. „მე, როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრმა უნდა განვაცხადო, რომ ის შთაბეჭდილება, რომელიც მიუღიათ ესერებს საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობის დროს, მე არ მიმიღია. კომისიაში მე არ მიგრძვნია, რომ უმრავლესობის პარტიას რაიმე მუხლის შესახებ გაეწიოს ჯიუტობა პარტიულ თვალსაზრისით. თუ რაიმე წინააღმდეგობა იყო, მე მგონია, არ ვეთანხმებოდით ერთმანეთს იმდენად, რამდენად ერთი თავი არ ეთანხმებოდა მეორე თავს არა პარტიულად, არამედ ობიექტურად, მეცნიერულის თვალსაზრისით“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.140).

ობიექტურობისთვის უნდა ვთქვათ, რომ ფედერალისტებიც და სოციალ-დემოკრატებიც სოციალისტები იყვნენ და რიგ საკითხებში მათი ხედვები ამის გამო ემთხვეოდა ერთმანეთს. რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატებს, მათთვის უფრო იგრძნობოდა პარტიული ხედვების სხვაობა, რადგანაც, როგორც თვითონ აღნიშნავდნენ, მათთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი „სოციალისტური ტენდენციები“.

26.7. ეროვნული დროშის შესახებ

დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს დისკუსიის საგანი გახდა ეროვნული დროშის საკითხი. ამის მიზეზი გახდა ესერების კონსტიტუციის პროექტი, რომლის 129-ე მუხლის თანახმად უნდა შეცვლილიყო საქართველოს სახელმწიფო დროშაც: „რესპუბლიკის დროშა არის წითელი იისფერი წარწერით: „საქართველოს შრომის რესპუბლიკა“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.426). დამფუძნებელი კრების სხდომაზე ესერმა ივანე გობეჩიამ განაცხადა, რომ სამფეროვანი დროშა მათთვის მიუღებელი იყო.

ეროვნული დროშის შეცვლის წინააღმდეგი იყო ყველა დანარჩენი ფრაქცია. სოციალისტ-ფედერალისტი სამსონ დადიანი დამფუძნებელი კრების 1921 წლის 5 იანვრის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ არსებული დროშა „სამი წლის დაუღალავი ბრძოლით და სისხლით არის შეღებილი, თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, რომ სამი წლის განმავლობაში ეს დროშა იყო ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების ემბლემა და დღეს ვინც იმას ამბობს, რომ ეს დროშა უნდა შევცვალოთო, ის თავისდა უნებურად შეიძლება, საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძვის“.

ს. დადიანი ესერთა ლიდერს ლეო შენგელაიას სთავაზობდა, - აბა სცადეთ და ჯარს უთხარით „გადააგდე ეგ ეროვნული დროშა“ და „პასუხსაც კარგს მიიღებო“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.44).

სამსონ დადიანი ეროვნული დროშის საკითხს დამფუძნებელი კრების 1921 წ. 23 იანვრის სხდომაზეც დაუბრუნდა. „ბატონებო, ეს სამფეროვანი დროშა დაკავშირებულია მაისის 26-თან. ამ დროშის ქვეშ სამი წლის განმავლობაში ჩვენი ხალხი სისხლსა ღვრის, იგი ფრიალებს დღესაც ჩვენს საზღვრებზე, იგია ემბლემა, გამოხატულება ჩვენი თავისუფალი ეროვნულ სახელმწიფოსი“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.144). მისი თქმით, ვისთვისაც ეს დროშა მიუღებელია, იმისთვის მიუღებელია ქართული სახელმწიფოც. ს. დადიანმა გაიხსენა ისიც, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ხანებში ამ დროშის წინააღმდეგი იყვნენ სოციალ-დემოკრატებიც. გაიხსენა ჯუღელის სიტყვებიც, რომელმაც ეროვნული დროშა „რევოლუციის ღალატად“ მიიჩნია. მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა, ს. დადიანის თქმით, „ისტორიის და რევოლუციის წინაშე... უკვე ქედი მოიხარეს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.144).

ს. დადიანის თქმით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშაში ერთმანეთს გადაეჭდო „ორი დროშა, სოციალისტური და ეროვნული... სოციალისტურმა იდეამ თავის საფარველს ქვეშ მიიღო იდეა ეროვნული“. მისივე განცხადებით, „ვინც ვერ მიიღებს ამ ეროვნულ დროშას, იგი, მაშასადამე, ვერ იღებს ეროვნებას და ნუთუ ამის თქმა შეუძლია იმას, ვინც ამ დამფუძნებელს კრებაში ზის?“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.144-145).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშაში სოციალისტური და ეროვნული დროშების პრინციპების შეხამების იდეას იზიარებდნენ სოციალ-დემოკრატებიც. სოციალ-დემოკრატი პავლე საყვარელიძე დამფუძნებელი კრების 16 იანვრის სხდომაზე შეეხო საკითხს, თუ რატომ არ იყო წითელი დროშა გამოცხადებული „ჩვენ ნაციონალურ დროშად“. საყვარელიძე მიუთითებდა, რომ ეს ასეც იქნებოდა, რომ არა საქართველოს ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ტრადიცია და საკუთარი ეროვნული დროშის ქონა. ამის გამო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა, „ნაციონალური დროშა საუცხოვოთ ეთანხმება ჩვენს პრინციპებს, იგი ემბლემაა ორი იდეის - რევოლუციის და ეროვნული შეთანხმების“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.57).

26.8. საჭიროა თუ არა რეფერენდუმი კონსტიტუციის მისაღებად

კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს სადავო გახდა საკითხი კონსტიტუცია უნდა მიეღო დამფუძნებელ კრებას თუ გაეტანათ რეფერენდუმზე. ესერთა კონსტიტუციის მე-7 მუხლში აღნიშნული იყო: „დამფუძნებელი კრების მიერ მიღების შემდეგ ეს კონსტიტუცია გადაეცემა ხალხს სარეფენდუმოთ“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.410).

ესერებს იმის იმედიც ქონდათ, რომ რეფერენდუმზე დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კონსტიტუციას ხალხი უარყოფდა და, საბოლოო ჯამში, მხარს დაუჭერდა მათ მიერ წარდგენილ კონსტიტუციის პროექტს.

ესერებს ამ საკითხში ეთანხმებოდნენ და კონსტიტუციის რეფერენდუმზე გატანას მხარს უჭერდნენ სოციალისტ-ფედერალისტებიც. დამფუძნებელი კრების 1921 წლის 23 იანვრის სხდომაზე გამოსვლისას სამსონ დადიანი აღნიშნავდა, რომ მათ პარტიას „აუცილებელ საჭიროებად“ მიაჩნია, რომ დამფუძნებელი კრების მიერ მიღების შემდეგ კონსტიტუცია „წარედგინოს ხალხს სარეფენდუმოდ“ და ამას ხალხის სუვერენობაზე მითითებით ასაბუთებდა: „საერთოდ, რამდენადაც შესაძლებელია, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ სუვერენობა ხალხისა მიღწეულ იქნეს“. ს. დადიანის თქმით, ხალხს, კონსტიტუციის თანახმად, რეფერენდუმის და ინიციატივ-

ის უფლება ჩვეულებრივი კანონმდებლობის მიმართ აქვს და მით უმეტეს ხალხს უნდა წარედგინოს სახელმწიფოს ძირითადი კანონი - კონსტიტუცია (ოქმები, ტ. VIII, გვ.139).

სოციალ-დემოკრატების ლოგიკა კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით განსხვავებული იყო და რეფერენდუმის ჩატარებას გამორიცხავდა. დამფუძნებელი კრების 1921 წლის 16 იანვრის სხდომაზე პავლე საყვარელიძე აღნიშნავდა, რომ დამფუძნებელი კრების დანიშნულება სახელმწიფოებრივი წყობის დაფუძნება იყო და ამ მიზნით აირჩია ხალხმა. „ხალხმა აირჩია დამფუძნებელი კრება იმისათვის, რომ მას მიეღო კონსტიტუცია და დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის მიღება არის საბოლოო, რადგანაც სათანადო დავალება არჩევნების დროსვე მისცა მას ხალხმა“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.34).

აღნიშნული საკითხი სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა. 1921 წლის იანვარში ვერავინ იტყოდა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მაგრამ მაშინ კონსტიტუციის მისაღებად რეფერენდუმის საჭიროებას რომ დათანხმებოდნენ, საქართველო კონსტიტუციის გარეშე დარჩებოდა...

თავი XXI. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ახალი მეხსიერების პოლიტიკის ფორმირება (მალხაზ მაცაბერიძე)

21.1. უქმე დღეები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ნებისმიერ სახელმწიფოს თავისი მეხსიერების პოლიტიკა გააჩნია. მეხსიერების პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი თარიღების შერჩევა, მათი ინსტიტუციონალიზაცია დღესასწაულების, ხსოვნის დღეებისა და სხვადასხვა სახის აღნიშვნების დაწესებით და კალენდარში შეტანით.

ახალშექმნილი ქართული სახელმწიფო თავის მეხსიერების პოლიტიკას აყალიბებდა და ეს საკითხი დამფუძნებელი კრების განხილვის საგანიც გახდა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერმინ „მეხსიერების პოლიტიკას“ არავინ იყენებდა.

1918 წლის 31 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი „საქართველოს უქმე დღეებისა“. კანონის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკაში წესდებოდა შემდეგი სამოქალაქო უქმე დღეები:

„ა/ ახალი წელიწადი - იანვრის პირველი;

ბ/ რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი დღე - მარტის 12;

გ/ ინტერნაციონალის დღესასწაული - მაისის პირველი

დ/ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე - მაისის 26 (აქტები, გვ.197-198).

1919 წლის 6 ივნისს დამფუძნებელი კრების სხდომაზე განიხილეს კანონპროექტი „უქმე დღეების რიცხვის შემცირების შესახებ“. ამ საკითხზე სიტყვით გამოვიდა ორი მომხსენებელი - ერთი შრომის კომისიიდან და მეორე იურიდიული კომისიიდან. იმდროინდელ საქართველოში, გარდა კვირა დღეებისა, იყო 20 უქმე დღე, აქედან 16 საეკლესიო უქმე დღეები იყო, 4 - სამოქალაქო.

მომხსენებელი შრომის კომისიიდან გერასიმე მახარაძე საჭიროდ თვლიდა თავდაპირველად 8 საეკლესიო უქმე დღის გაუქმებას. ამით საქართველო დაუახლოვდებოდა „იმ კულტურულ ქვეყნებს, სადაც უქმე დღეების რიცხვი ძლიერ მცირე არის“ (ოქმები, ტ. II, გვ.87). მომხსენებელმა დაასახელა უქმე დღეების რიცხვიც კულტურულ ქვეყნებში - ჰოლანდიაში იყო 4 უქმე დღე, ინგლისში - 6, გერმანიაში - 8, ბელგიაში - 13, იტალიაში - 15, საფრანგეთში - 11. შრომის კომისიის მიერ შემოთავაზებული გეგმით უქმე დღეების რიცხვი საქართველოში 12-მდე შემცირდებოდა. შრომის კომისიის აზრით, უქმე დღეების შემცირებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი ექნებოდა, - დაიზოგებოდა წელიწადში დაახლოებით 8 მლნ. მანეთი (ოქმები, ტ. II, გვ.87). მომხსენებელი იურიდიული კომისიიდან ფირცხალაიშვილი ეთანხმებოდა შრომის კომისიის პოზიციას გარდა ერთისა, - საჭიროდ მიიჩნევდა უქმე დღედ დარჩენილიყო წითელი პარასკევი, რადგანაც ცხოვრებაში მისი გატარება „საძნელო იქნებოდა“ და აღდგომის სამზადისში „მშრომელი ხალხი“ ამ დღეს არ იმუშავებდა (ოქმები, ტ. II, გვ.88).[33]

თუმცა, სოციალისტებს შორის უფრო რადიკალური პოზიციაც იყო საეკლესიო უქმეებთან დაკავშირებით. ამაზე პირდაპირ განაცხადა დამფუძნებელი კრების სხდომაზე ვლასა მგე-

[33] საბოლოო ჯამში, დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 17 ივნისს უცვლელად მიიღო „უქმე დღეების რიცხვის შემცირების“ კანონი, უქმე დღედ არ დარჩა წითელი პარასკევიც (იხ. აქტები, 1990, გვ.273-274).

ლაძემ (ს. დ.). სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის სხდომაზე, იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ ეკლესია სახელმწიფოსგან გამიჯნულია, მოითხოვდა, რომ სახელმწიფოს საერთოდ უარი ეთქვა საეკლესიო უქმეების აღნიშვნაზე. „მე ფრაქციაში პრინციპიალურად წინააღმდეგი ვიყავი, მე ვამბობდი, რომ ეკლესია გამოვყავით, ვისაც უნდა ილოცოს, წაბრძანდეს და სადაც უნდა ილოცოს. ეს რწმენის საკითხი არის“, მაგრამ მისი ეს წინადადება არ გავიდა, როგორც ვლასა მგელაძემ აღნიშნა „ფრაქციის უმრავლესობამ დაახრჩო“ (ოქმები, ტ. II, გვ.127).

არც შრომის კომისია და არც იურიდიული კომისია ეჭვქვეშ არ აყენებდა ამ დროისათვის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულ 4 სამოქალაქო უქმე დღეს:

ახალი წელიწადი - 1 იანვარი;

რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი დღე - 12 მარტი;

ინტერნაციონალის დღესასწაული - 1 მაისი;

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი.

დამფუძნებელ კრებაში დიდი კამათი გამოიწვია ალექსანდრე ასათიანის (ერ. დ.) მიერ გამოთქმულმა ორმა წინადადებამ: ა/ საეკლესიო უქმე დღეების გაუქმების თაობაზე კონსულტაციები გაემართათ ეკლესიასთან და ბ/ გაეუქმებინათ ორი სამოქალაქო უქმე დღე, 12 მარტი და 1 მაისი. დამფუძნებელ კრებაში მყოფი სამივე სოციალისტური პარტიისათვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხედვა.

კამათი გაგრძელდა კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის დროს 1919 წლის 13 ივნისს.

21.2. „დამფუძნებელ კრებას არ სჭირდება კონსულტაცია ეკლესიასთან“

1919 წლის 6 ივნისის სხდომაზე ალ. ასათიანმა განაცხადა, რომ უქმე დღეების შემცირების კანონპროექტი სრულიად არ შეეფერებოდა „ქართველი ერის დიდი უმრავლესობის სურვილს“ - ერთი მხრივ „სრულიად უდროო“ იყო და მეორე მხრივ, რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ მოიტანდა „შრომის ნაყოფიერების გაძლიერებაში“. იმ უქმე დღეების შემცირების ნაცვლად, რომლებიც „საუკუნეთა მსვლელობაში დაკანონებულია ეკლესიისა და ხალხის ჩვეულების მიერ“, სჯობდა შრომის სამინისტროს მიეღო ზომები საეკლესიო უქმეების „ორჯერ უქმეობის“ წინააღმდეგ, რაც „ახალი სტილის“ კალენდარის შემოღებას მოჰყვა (ოქმები, ტ. II, გვ.88-89).

ალ. ასათიანმა წინადადება წამოაყენა, რომ უფრო ფრთხილი ყოფილიყვნენ საეკლესიო უქმე დღეების შემცირებასთან მიმართებაში, რადგანაც „ეკლესიის აზრს და სიტყვას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ღირებულობა ქართველი ერის დიდი უმრავლესობის თვალში“. ამიტომაც საეკლესიო უქმეების „მექანიკური არითმეტიკული შემცირების“ ნაცვლად, ეკლესიისთვის ეკითხათ, „რომელია ისეთი უქმეები, რომელთა მოსპობას საეკლესიო უწყება და ეკლესია არ დაეთანხმება“.

1919 წლის 13 ივნისს ალ. ასათიანმა კვლავ გაილაშქრა საეკლესიო უქმე დღეების გაუქმების წინააღმდეგ, რადგანაც ის შეთვისებულია „ერის უმრავლესობის მიერ“ და „ნაჩქარევად მათი ამოშლა“ არ შეეფერება „საკანონმდებლო ორგანოს სიდინჯეს და სიდარბაისლეს, რომელიც ჩვენ არასოდეს არ უნდა გვტოვებდეს.“ საეკლესიო უქმეების შემცირების გზად მან კვლავ ეკლესიასთან შეთანხმება მიიჩნია და აღნიშნა, რომ „საეკლესიო უწყება არ იქნება წინააღმდეგი“ რამდენიმე უქმე დღის „ამოღებისა“, რომლებიც „უკანასკნელ ხანებში“ იყო შემოღებული (ოქმები, ტ. II, გვ.121).

ალ. ასათიანის წინადადებამ სოციალისტური პარტიების წარმომადგენელთა აღშფოთება გამოიწვია. 6 ივნისს, კირილე ნინიძის (ს. დ.) განცხადებით, დამფუძნებელი კრება არ იყო ვალდებული რაიმე ეკითხა ეკლესიისთვის, ეკლესია „არ შეიძლება დღეს ხალხის წარმომადგენლად ჩაითვალოს“, მისივე თქმით, „ეკლესია და ხალხი... სრულიად დაშორდნენ ერთმანეთს“ (ოქმები, ტ. II, გვ.90).

13 ივნისის სხდომაზე იესე ბარათაშვილმა (ს. ფ.) განაცხადა, რომ უქმე დღეების შემცირება ეკლესიასთან შეთანხმებით იქნებოდა „შემცირება... იმ უფლებისა, რომლითაც აღჭურვილი არის დამფუძნებელი კრება“. სწორედ დამფუძნებელი კრება იყო „გამომხატველი ხალხის სურვილისა და ნებისა“ (ოქმები, ტ. II, გვ.129). მისივე თქმით, ძველი უქმეების დავიწყება და ახალი უქმეების დამკვიდრება, „ხალხის მიერ სხვა დღესასწაულის მოთხოვნა“ დღის წესრიგში იდგა.

იგივე აზრი გამოთქვა გერასიმე მახარაძემ, რომლისთვისაც გაუგებარი იყო საეკლესიო უქმეების გაუქმება „ეგრედ წოდებულ საეკლესიო ბიუროკრატიულ წრეების დადგენილებით“. საკითხი უნდა გადაეწყვიტა დამფუძნებელ კრებას, რადგანაც სწორედ იქ იყვნენ „საქართველოს ხალხის წარმომადგენელნი“ (ოქმები, ტ. II, გვ.133).

გერასიმე მახარაძემ არ გამორიცხა, რომ საეკლესიო უქმეების შემცირებას გამოეწვია უკმაყოფილება მოსახლეობის ჩამორჩენილ, „განსაკუთრებით ფანატიკურ ნაწილებში“, მით უმეტეს, თუ მას დაემატებოდა „დემაგოგია ცუდ ხარისხისა“ და ამას გართულებები მოჰყოლოდა (ოქმები, ტ. II, გვ.131), თუმცა იქვე განმარტავდა, რომ „უქმეების შემცირება სრულიად არ ეხება რწმენას“ და საეკლესიო უქმე დღეების ნაწილის გაუქმება მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ „სახელმწიფოს ხარჯზე არ მოხდებოდა“ მისი აღნიშვნა. მოიშველია წინა გამოცდილება, როდესაც „საეკლესიო უქმეების ამორიცხვას“ არ მოჰყოლია „რაიმე აღელვება“ ხალხში (ოქმები, ტ. II, გვ.132).

21.3. რატომ უნდა იზეიმონ საქართველოში „რუსეთის რევოლუციის პირველი დღე“

ალექსანდრე ასათიანმა შესაძლებლად მიიჩნია ორი სამოქალაქო უქმე დღის გაუქმება და თავის ამ მოთხოვნას ზოგადი მოსაზრებაც წარუმძღვარა: „საჭიროა, რომ ნაჩქარევად არ კანონდებოდეს ისეთი უქმეები, რომელნიც სრულიად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ ხალხისათვის“, მით უმეტეს, რომ ეს დღეები სამაგალითოდ მიჩნეულ ევროპის ქვეყნებში „სრულიად არ იუქმებიან“ (ოქმები, ტ. II, გვ.89).

ასეთ „ნაჩქარევად, ზევიდან მიღებულ“ უქმე დღედ პირველ რიგში 12 მარტი, - „რუსეთის რევოლუციის პირველი დღე“ დაასახელა. ასათიანის თქმით, „შეიძლება შესაძლებელი იყოს, რომ ამა თუ იმ წრემ... თავისთვის დააკანონოს რუსეთის რევოლუციის პირველი დღე, როგორც უქმე“, მაგრამ „ერის უმრავლესობისათვის“ ეს უქმე „არ არის მისაღები და მისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს“ (ოქმები, ტ. II, გვ.89).

ალექსანდრე ასათიანმა ეს განცხადება დამფუძნებელი კრების 1919 წლის 6 ივნისს გააკეთა. მაშინ, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ასათიანის განცხადებას სოციალისტური პარტიების მხრიდან რაიმე რეაქცია არ მოჰყოლია. მაგრამ როდესაც 13 ივნისს, უქმე დღეების შემცირების კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის დროს, ალ. ასათიანმა კვლავ აღნიშნა, რომ გასაუქმებელია „სამოქალაქო უქმეები, რომელიც მეტად ნაჩქარევად დავაწესეთ და გავხადეთ სავალდებულოდ მთელი ქვეყნისათვის“ (ოქმები, ტ. II, გვ.121), ამას სოციალისტური პარტიების რისხვა მოჰყვა. პირველ რიგში პროტესტი 1 მაისის, როგორც უქმე დღის გაუქმების იდეას მოჰყვა, მაგრამ არც 12 მარტი დაუტოვებიათ დაუცველი. იესე ბარათაშვილის (ს. ფ.) თქმით, სწორედ რე-

ვოლუციამ „მოგვიტანა ჩვენ თავისუფლება, რომელმაც მოგვიტანა ჩვენ დამოუკიდებლობა“ (ოქმები, ტ. II, გვ.129). მანვე თავის გამოსვლისას უპასუხა გ. გვაზავას ადგილიდან წამოძახილს: „თქვენ გავიწყდებათ ბატონო გვაზავა, რომ ეს 26 მაისი და 12 მარტი დაკავშირებული არის. თუ 12 მარტი არ იქნებოდა, თუ 12 მარტი არ ყოფილიყო, 26 მაისიც არ იქნებოდა (ოქმები, ტ. II, გვ.130). ბარათაშვილის ამ სიტყვებს დარბაზში ტაში მოჰყვა, რის შემდეგაც ორატორმა რიტორიკული კითხვა დასვა: „ნუ თუ თქვენ თხოულობთ, რომ ასეთი მარტივი საკითხი აგიხსნათ?“ (ოქმები, ტ. II, გვ.130).

12 მარტს ქართული სოციალისტური პარტიები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ და ამ თარიღს, როგორც უკვე ითქვა, დამფუძნებელი კრების გახსნაც სპეციალურად დაამთხვიეს. ეს იყო სიმბოლურად იმის ხაზგასმა, რომ საქართველო ერთგული რჩებოდა რუსეთის თებერვლის რევოლუციის იდეალებისა, რომელთა რეალიზებაც ბოლშევიკური გადატრიალების გამო ვერ მოხერხდა რუსეთში.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 22 მარტის სხდომაზე, სოციალისტ-ფედერალისტებმა თავიანთ დეკლარაციაში ხაზი გაუსვეს, რომ „1919 წლის მარტის 12 ისევე აღიბეჭდება საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, როგორც შარშანდელი მაისის 26-ი“ (ოქმები, ტ. I, გვ.83) და მოითხოვეს, რომ რუსეთის „რევოლუციის პირველი დღე ისეთსავე დიდმნიშვნელოვან დღედ აღვიაროთ, როგორც მაისის 26 და მარტის 12 (ოქმები, ტ. I, გვ.83). თუმცა რუსეთის თებერვლის რევოლუციის პირველი დღე ახალი სტილით 12 მარტი იყო და ამ თარიღმა „ორმაგი დატვირთვა“ შეიძინა სოციალისტებისათვის.

პერიოდულად დამფუძნებელ კრებაში იმართებოდა დისკუსიები იმის თაობაზე, თუ რამ მოუტანა საქართველოს დამოუკიდებლობა. სოციალისტების აზრით, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა რუსეთის რევოლუციის შედეგად. ამას არ ეთანხმებოდნენ მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები და აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შესაძლებელი გახდა მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის დამარცხების და სახელმწიფოებრიობის ნგრევის შედეგად.

ამ მხრივ დამახასიათებელი იყო დამფუძნებელი კრების 1920 წლის 19 მარტის სხდომაზე გერონტი ქიქოძის გამოსვლა, რომელიც, ასევე, საქართველოს დამოუკიდებლობას რუსეთის რევოლუციის შედეგად მიიჩნევდა. მას შეეკამათა გიორგი გვაზავა:

„გ. ქიქოძე: რუსეთის რევოლიუციამ მოგვცა ეროვნული თავისუფლება და აღიარება.

გ. გვაზავა: ომმა მოგვცა ეს!

გ.ქიქოძე: შეიძლება ომთანაც იყოს დაკავშირებული“ (ოქმები, ტ. VI, გვ.39).

თუმცა, გ. ქიქოძე შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ამ თემას და საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძვლად კვლავ რუსეთის რევოლუცია მიიჩნია.

რუსეთის რევოლუციას და მის მნიშვნელობას სოციალისტ-რევოლუციონერები ხშირად ახსენებდნენ სრულიად სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 11 მაისის სხდომაზე ივ. გობეჩიამ (ს. რ.) განაცხადა, რომ რუსეთთან გაფორმებულ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში „ყველაზე ნაკლები დამსახურება მიუძღვის“ საქართველოს „მთავრობასა და მმართველ პარტიას“ და ეს „რუსეთის დიდი რევოლიუციის გამარჯვებაა“, რომელმაც, გობეჩიას თქმით, წამოაყენა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი (ოქმები, ტ. VI, გვ.340).

21.4. რა მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისათვის „მუშათა ინტერნაციონალის დღეს“

მეორე სამოქალაქო უქმე დღე, რომლის გაუქმებაც ალექსანდრე ასათიანმა მოითხოვა, იყო პირველი მაისი. მისი განცხადებით „შეიძლება მუშათა ინტერნაციონალის დიდი საპატიო დღე იყოს, მაგრამ ეს არი უქმე მარტო ერთი კლასისა“, უქმე „ნაჩქარევად, ზემოდან მიღებული“ და „ერის უმრავლესობისთვის... არავითარ ღირებულობას არ წარმოადგენს“ (ოქმები, ტ. II, გვ.89). აღსანიშნავია, რომ 1919 წლის 6 ივნისს, როდესაც ეს იდეა წამოაყენა ალ. ასათიანმა, მასზე სოციალ-დემოკრატების პასუხი საკმაოდ ზომიერი იყო. კირილე ნინიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ „ამ ინტერნაციონალის დღესასწაულს ჩვენ არ ვსთვლით სავალდებულოთ“, მაგრამ, მისი აზრით, რაც თქვა ალ. ასათიანმა სარწმუნოებაზე, იგივე პრინციპი უნდა გავრცელებულიყო მუშათა დღესასწაულიც: „თუ კი დღეს მუშები თხოულობენ ამ ინტერნაციონალის დღესასწაულს, არ შეიძლება ავუკრძალოთ და უთხრათ - თუმცა შენ ამ ინტერნაციონალს უფრო მაღლა აყენებ, ვიდრე მორწმუნე აღდგომას, მაგრამ შენ უნდა მობრძანდე და იმუშაო“ (ოქმები, ტ. II, გვ.90-91).

13 ივნისს, უქმე დღეების შემცირების კანონის მუხლობრივი განხილვის დროს, ალ. ასათიანმა კვლავ გაიმეორა, რომ „ინტერნაციონალიზმის დღე“ შეუძლია „ვისაც სურს იუქმოს“, მაგრამ „სავალდებულოდ მათი მთელი ხალხისთვის მიჩნევა, არ არის დემოკრატიული ღონისძიება“ (ოქმები, ტ. II, გვ.122). აქ კი ალ. ასათიანს 1 მაისის უქმე დღეების სიიდან ამოღების იდეის გამო სოციალისტური პარტიების საერთო რისხვა დაატყდა თავს.

ყველაზე მკაცრი და ემოციური გამოსვლა ჰქონდა ვლასა მგელაძეს (ს. დ.), რომელმაც წარმოუდგენლად მიიჩნია „ინტერნაციონალური დღესასწაულის წაშლა“, ანუ 1 მაისის დღესასწაულისათვის სახელმწიფოებრივი სტატუსის ჩამორთმევა. „ჩვენ სისხლი იმისთვის კი არ გვიღვრია, ჭაღარაც იმისთვის არ შეგვირევია ამ ბრძოლაში, რომ მერმე მოხვიდეთ აქ და გაბატონდეთ და გვითხრათ: „მოსპეთ უმთავრესი დღესასწაულიო“ (ოქმები, ტ. II, გვ.125). ვლასა მგელაძე პირდაპირ მუქარაზე გადავიდა: თუკი 1 მაისის დღესასწაული სახელმწიფოებრივი ზეიმი არ იქნებოდა, მაშინ ვლასა მგელაძის თქმით, „ვერც მთავრობა დარჩება და ვერც დამფუძნებელი კრება“ (ოქმები, ტ. II, გვ.125), „ჩვენ ამ დამფუძნებელ კრებას გავრეკავთ“ (ოქმები, ტ. II, გვ.126). ვლასა მგელაძემ ეროვნულ-დემოკრატებს სულ „სპეკულანტები და ვაჭრები“ უწოდა (ოქმები, ტ. II, გვ.126), ხოლო მუშათა წითელი დროშა „ფარნაოზის დროიდან“ მოტანილად გამოაცხადა (ოქმები, ტ. II, გვ.128).

იესე ბარათაშვილმა (ს. ფ.) 1 მაისისთვის უქმე დღის სტატუსის „მოსპობის“ მოთხოვნაში დაინახა ეროვნულ-დემოკრატების გარკვეული „ფსიხოლოგიური სულისკვეთება“ (ოქმები, ტ. II, გვ.130), მისი აზრით, ეროვნულ-დემოკრატებს აშინებდათ სიტყვა „რევოლუცია“. გერასიმე მახარაძემ (ს. დ.) დაინახა „რეაქციონური სურვილი“, „დენიკინიზმი“, რასაც ეროვნულ-დემოკრატების აღშფოთება მოჰყვა. გრ. ნათაძემ (ს. რ.) სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის სახელით პროტესტი განაცხადა, რომ „ამისთანა წინადადების შემოტანასაც კი“ ადგილი ჰქონდა დამფუძნებელ კრებაში (ოქმები, ტ. II, გვ.124).

სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს იმის თაობაზე, თუ რატომ უნდა ყოფილიყო 1 მაისი უქმე დღე. გერასიმე მახარაძის თქმით, დამფუძნებელი კრება იდგა „რევოლიუციისა და ინტერნაციონალის ნიადაგზე“ და იბრძვის „ინტერნაციონალური და რევოლუციონური დროშის ქვეშ“, ამიტომაც 1 მაისის დღესასწაულის მოსპობა „ყოვლად მიუღებელი არის“ (ოქმები, ტ. II, გვ.133).

იესე ბარათაშვილის (ს.ფ.) თქმით, „პირველი მაისის დღე არის დღე მშრომელი ხალხისა და საქართველო ეკუთვნის სწორედ ამ მშრომელ ხალხს“ (ოქმები, ტ. II, გვ.130). მისივე განმარტებით, საქართველოს სახელმწიფო იყო მშრომელთა სახელმწიფო, 1 მაისი არის „მშრომელი ხალხის დღესასწაული, საქართველო ეყრდნობა ამ შრომას. საქართველოს მომავალი უნდა იყოს დაფუძნებული ამ შრომაზე, ჩვენ უნდა შევქმნათ შრომის სახელმწიფო“ და ასკვნიდა: ამ სახელმწიფოს სწორედ ამიტომ „ორი დღე უნდა დაედოს საფუძვლად - დღე ინტერნაციონალისა და რევოლიუციისა“ (ოქმები, ტ. II, გვ.130-131).

გრიგოლ ნათაძემ (ს. რ.) აღნიშნა, რომ ქართველი სოციალისტებისათვის „სამშობლო, დემოკრატიზმი, ინტერნაციონალიზმი ერთ მთლიან იდეალად გადაიქცა“ და სწორედ „ინტერნაციონალიზმი დაედვა სარჩულად ჩვენს სამშობლოსადმი სიყვარულს“ (ოქმები, ტ. II, გვ.123). გრ. ნათაძის აზრით, ინტერნაციონალიზმის დღესასწაულის წინააღმდეგ გალაშქრება იყო „მებრძოლისათვის ფეხქვეშ ნიადაგის გამოცლა“ და სამშობლოს მოყვარული პატრიოტი, თუნდაც არასოციალისტი, პატივს უნდა სცემდეს სოციალისტურ იდეალებს, რადგანაც „სოციალიზმი დღეს ქართველი ერის ეროვნული იდეალია“ (ოქმები, ტ. II, გვ.124).

ამავე დროს ალ. ასათიანის კრიტიკასთან ერთად, არ მოიწონეს ვლასა მგელაძის განცხადებაც, - დამფუძნებელ კრებაში რომ ასეთი გამოსვლა არ უნდა დაეშვათ. მომხსენებლის გერასიმე მახარაძის თქმით, დაუშვებელი იყო, ვინმესთვის აეკრძალათ რაიმე განცხადების გაკეთება. „რაც გულწრფელად და პირდაპირ წარმოითქმება ის, რაც ვისაც გულში აქვს, ეს ჩვენთვის უფრო უკეთესია“, რადგანაც „დამფუძნებელ კრებას და მშრომელ ხალხს არ ეშინიათ იმისა, თუ რას იტყვის მემარჯვენე პარტიის წარმომადგენელი. აი სწორედ ამაში არის... ქართველ მშრომელ ხალხის ძალა“ (ოქმები, ტ. II, გვ.131).

სხდომის თავმჯდომარე ალ. ლომთათიძემაც საჭიროდ ჩათვალა გამიჯვნოდა ვლასა მგელაძის განცხადებას, რომ „ასეთი აზრები არამც და არამც არ გაჰზედოთ და არ გამოსთქვათ“. მან ხაზი გაუსვა, რომ სანამ ის თავმჯდომარე იქნებოდა არავის აუკრძალავდა ტრიბუნასთან გამოსვლას და „თავისი აზრის და შეხედულების“ თავისუფლად გამოთქმას. ალ. ლომთათიძემ იმედი გამოთქვა, რომ „დიდი უმეტესობა დამფუძნებელი კრებისა ამას იზიარებს“, რასაც დარბაზიდან წამოძახილები მოჰყვა „სუყველას ესე ესმის“ (ოქმები, ტ. II, გვ.134).

21.5. „ორმაგად საზეიმო“ თარიღი

დამფუძნებელმა კრებამ თავის არსებობის მანძილზე სამი საზეიმო სხდომა ჩაატარა, აქედან მხოლოდ ერთი მიეძღვნა ისტორიულ თარიღს და 1920 წლის 12 მარტს ჩატარდა. ეს იყო უკვე „ორმაგად საზეიმო“ თარიღი: რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მორიგი წლისთავი, რევოლუციისა, რომელსაც ქართველი სოციალისტები, პირველ რიგში სოციალ-დემოკრატები დიდ პატივს სცემდნენ და საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის თარიღი, რომელიც სპეციალურად დაამთხვიეს რუსეთის თებერვლის რევოლუციის მეორე წლისთავს და ამიერიდან ეს ორი თარიღი მათთვის ერთმანეთს გადაეჯაჭვა. ამასთან, როგორც ჩანს, ბევრი სოციალ-დემოკრატისთვის თავისებური გრადაცია არსებობდა „საკაცობრიო მნიშვნელობის“ და „ადგილობრივ“ საზეიმო თარიღებს შორის. ამ მხრივ დამახასიათებელია ვალიკო ჯუღელის მიერ თავის დღიურში გაკეთებული ჩანაწერი 1919 წლის 12 მარტს: „დღეს ორი დიდი დღესასწაულია, დემოკრატიის ორი დღესასწაული: დიადი რევოლუციის მეორე წლის თავი და საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნა!... რევოლუციის ერთიანობის დღესასწაული ადგილობრივი მნიშვნელობის დღესასწაულს დაემთხვა, და ამ დამთხვევამ ახალი ერთიანობისათვის დიადი ბრძოლის სურვილი უნდა გააღვიძოს ჩვენში!“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.204).

საზეიმო იყო დამფუძნებელი კრების 1920 წლის 12 მარტს გამართული 97-ე სხდომა. ეს რიგით მეორე საზეიმო სხდომა 1920 წლის 14 იანვრის სხდომის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოს „დე ფაქტო“ ცნობას. თუკი მაშინ ფრაქციების წარმომადგენლებიც გამოვიდნენ სიტყვებით, 12 მარტის სხდომა სხვანაირად წარიმართა, - სიტყვით გამოვიდა მხოლოდ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე. დარბაზი საზეიმოდ იყო მორთული, „სხდომას აუარებელი გარეშე საზოგადოება“ (ოქმები, ტ. V, გვ.467) ესწრებოდა. სხდომა დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა: გაიხსნა 11 საათსა და 10 წუთზე და დამთავრდა 11 საათსა და 45 წუთზე. თავის სიტყვის ბოლოს ალექსანდრე ლომთათიძემ საზოგადოებას გააცნო თბილისში დაგვიანებით მიღებული, 1920 წლის 21 თებერვალს ინგლისის თემთა პალატის სპიკერის მიერ გამოგზავნილი მისალოცი დეპეშა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო. „ამ დეპეშას დამფუძნებელი კრება და დამსწრე საზოგადოება ტაშით და ოვაციით შეეგება“ (ოქმები, ტ. V, გვ.471).

რაც შეეხება ალექსანდრე ლომთათიძის სიტყვას, მან კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალური თვალსაზრისი უახლოეს წარსულში განვითარებული მოვლენების შესახებ. ალექსანდრე ლომთათიძემ თავიდანვე ხაზი გაუსვა ორი ისტორიული თარიღის დამთხვევას, რაც საზეიმო იყო „ჩვენი დემოკრატიისა და ერისათვის“ (ოქმები, ტ. V, გვ.467). ერთი იყო რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აფრიალებული „რევოლუციის დიადი დროშა“, რომელმაც რუსეთში მხოლოდ რამდენიმე თვე იარსება, შემდეგ კი რუსეთში რევოლუცია „ასცდა ისტორიული აუცილებლობის გზას“ (ოქმები, ტ. V, გვ.468). საქართველოს დემოკრატიამ „ეს გზა არ გაიზიარა“ და „საკუთარ ფეხზე დადგომა ირჩია, საკუთარ ძალების ანაბრად მიტოვებულმა“ (ოქმები, ტ. V, გვ.468). ალექსანდრე ლომთათიძის თქმით, ეს იყო საქართველოს მიერ ერთა თვითგამორკვევის უფლების გამოყენება, რადგანაც „დიდი რევოლიუცია ერთა თვითგამორკვევის მღაღადებელიც იყო“ (ოქმები, ტ. V, გვ.468).

ალექსანდრე ლომთათიძის თქმით, საქართველომ, რომელიც „ანარქიის, რეაქციის და იმპერიალიზმით“ იყო გარშემორტყმული (ოქმები, ტ. V, გვ.468), შესძლო რუსეთის „რევოლიუციის დროშა და მისი დიდი ლოზუნგები“ გადმოეტანა „მშობლიურ ნიადაგზე და აქ განახორციელა ეს დიდი რევოლიუციის მონაპოვარნი... რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკილ იქნა, საქართველოს დამფუძნებელი კრება ჩვენმა ხალხმა ანარქიის ქარცეცხლში დიდის ბრძოლით გამოატარა და თავის დედა ქალაქში შეკრიბა იგი. დემოკრატიის მოთხოვნილებანი, ხალხის უზენაესობის განმტკიცება, რომელიც უარყოფილი იქნა იქ, შესრულებული იქნა აქ“ (ოქმები, ტ. V, გვ.469).

ალექსანდრე ლომთათიძემ ხაზი გაუსვა, რომ „რუსეთის დიდი რევოლუციის... დიდებული იდეალების“ განსახორციელებლად „სხვა გზა, სხვა პოლიტიკა იყო საჭირო“ და ეს გზა საქართველოს დემოკრატიამ აირჩია (ოქმები, ტ. V, გვ.469). ამის შემდეგ ალექსანდრე ლომთათიძემ ილაპარაკა „ქართული დემოკრატიის“ მიღწევებზე, რომელმაც „მკვდრეთით აღადგინა საქართველო“ და „დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის დროშით მიიყვანა ევროპის ხალხთა ოჯახში“ (ოქმები, ტ. V, გვ.469). ამასთან, საქართველომ „დიდი რევოლიუციის მიერ ნაკარნახევი რეფორმები თითქმის ყველა განახორციელა და ამ მხრივაც ბევრ ხალხთათვის მისაბაძი გახდა“ (ოქმები, ტ. V, გვ.470).

ალექსანდრე ლომთათიძემ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ „რევოლიუციის ნაკარნახევია დამოუკიდებელი საქართველო“ და ესაა „ნიადაგი ჩვენი ერის აღორძინებისა და რაკი ეს ასეა, უდიდესი დანაშაული იქნებოდა კაცობრიობის წინაშე, რომ მას ამ მიზნის მიღწევაში ვინმემ ან რამემ ხელი შეუშალოს“ (ოქმები, ტ. V, გვ.470). ალექსანდრე ლომთათიძის განცხადებით,

საქართველომ უნდა იარსებოს თავის „ბუნებრივ და ისტორიულ საზღვრებში“ (ოქმები, ტ. V, გვ.470) და ხაზი გაუსვა იმ დროს აქტუალურ საკითხს ბათუმის ოლქის საქართველოსთვის დაბრუნების დაჩქარების აუცილებლობაზე, რასაც დარბაზი ტაშით შეხვდა.

საზეიმო სხდომაზე რომ სხვა ფრაქციების წარმომადგენლებიც გამოსულიყვნენ, ისინი, სავარაუდოდ, მოვლენების სხვაგვარ ხედვას ჩამოაყალიბებდნენ. თუ მემარცხენე ოპოზიცია სოციალ-დემოკრატების მიერ საქართველოში გატარებული პოლიტიკის კრიტიკაზე გააკეთებდა აქცენტს, მემარჯვენე ოპოზიციისთვის კრიტიკის საგანი შეიძლება გამხდარიყო როგორც სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა, ისე რუსეთის რევოლუციის საზეიმო თარიღად გამოცხადება.

21.6. დამფუძნებელი კრება და 26 მაისი

1919 წლის 26 მაისი, - დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთი წელი, ბუნებრივია, დამფუძნებელი კრების საგანგებო ყურადღების ცენტრში მოექცა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 25 აპრილის სხდომაზე განიხილეს დამოუკიდებლობის წლისთავის აღნიშვნის საკითხი, რისთვისაც დამფუძნებელ კრებასთან არსებულ ხელოვნების კომისიას მომზადებული ჰქონდა გარკვეული პროგრამა, რომლის განსახორციელებლადაც ითხოვდა 100 ათასი მანეთის გამოყოფას. მომხსენებელმა პავლე საყვარელიძემ აღნიშნა, რომ 26 მაისის დღესასწაული უნდა ჩატარებულიყო „რაც შეიძლება კარგათ, რაც შეიძლება ბრწყინვალეთ. მოტივების მოყვანა ზედმეტია. რათ უნდა ვიდღესასწაულოთ, ეს ცხადია ... ეს არის სახელმწიფოებრივი დღესასწაული, ეს დღესასწაული იქნება ამიერიდან მთელი ერისა, მთელი დემოკრატიისა და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს“ (ოქმები, ტ. I, გვ.303).

პავლე საყვარელიძის განცხადებით 26 მაისი იყო სახალხო დღესასწაული და მას თბილისში და პროვინციაშიც აღნიშნავდა ხალხი, „როგორც ნამდვილ დემოკრატიულ დღესასწაულს“ (ოქმები, ტ. I, გვ.303). დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია მიზნად ისახავდა მხოლოდ გაძღოლოდა დღესასწაულს, მიეცა ერთგვარი ტონი, ერთგვარი მიმართულება, ეხელმძღვანელა იდეურად“. დაგეგმილი იყო სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის „მსვლელობა რევოლიუციურ-დემოკრატიულ და ეროვნულ მომენტების აღნიშვნით“ (ოქმები, ტ. I, გვ.303).

ლეო ნათაძემ (ს. დ.) სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანონპროექტს, მაგრამ საჭიროდ მიიჩნია საფინანსო კომისიასაც წარმოედგინა თავისი დასკვნა დასახელებული თანხის გამოყოფის შესახებ (ოქმები, ტ. I, გვ.304).

მომდევნო სხდომაზე 1919 წლის 6 მაისს, მომხსენებლის პავლე საყვარელიძის არყოფნის გამო საკითხი გამოიტანა მეორე მომხსენებელმა გერონტი ქიქოძემ (ე. დ.). მან წარმოადგინა საფინანსო კომისიის დასკვნა, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია, რომ გამოყოფილი თანხის შეზღუდულობის გამო „უმთავრესად ეს თანხა მოხმარდეს... საქართველოს პოლიტიკურ ცენტრს, დედა ქალაქს“ და „თუ შესაძლებელი იქნება ხელოვნების კომისიის წარმომადგენელნი“ გაიგზავნონ პროვინციაში „იდეური ხელმძღვანელობის“ გასაწევად.

დამფუძნებელმა კრებამ კიდევ ერთი 26 მაისის აღნიშვნა მოაწყო.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 აპრილის სხდომაზე კირილე ნინიძემ წარმოადგინა დეკრეტი 26 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად, რომელიც დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიისათვის 300 ათასი მანეთის გადაცემას ითვალისწინებდა. კ. ნინიძემ აღნიშნა, რომ ხელოვნების კომისია თხოულობდა 1 მილიონ მანეთს, მაგრამ საფინანსო კომისიამ გაითვალისწინა ერთი მხრივ „სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობა“ და მეორე მხრივ, „ის გარემოება,

რომ ხალხს თვით შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ამ დღესასწაულის მოწყობაში“, ამიტომაც თანხა 300 ათას მანეთამდე შეამცირა (ოქმები, ტ. VI, გვ.250).

გ. გვაზავამ (ე. დ.) ეს თანხა მეტად მცირედ მიიჩნია. „26 მაისი ეს უპირველესი დღესასწაულია, ეს არის ჩვენს მიერ თავისუფლების მოპოება. აქ ბევრი ფული უნდა დაიხარჯოს, რომ შევაგნებიოთ ხალხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ დღეს“, - აღნიშნა გვაზავამ და გამოყოფილი თანხის გაორმაგება მოითხოვა (ოქმები, ტ. VI, გვ.250).

სიტყვით აღარავინ გამოსულა, კ. ნინიძემ კი კომისიის სახელით აღნიშნა, რომ „ხაზინის მდგომარეობის“ გათვალისწინებით საკმარისად მიიჩნია 300 ათასი მანეთი. მან ასევე აღნიშნა, რომ 26 მაისის დღესასწაულში ხალხი მიიღებდა მონაწილეობას და „ეს მონაწილეობა ფართო მასის უფრო ლამაზი იქნება, ვიდრე სახაზინო ფულებით მოწყობილი დღესასწაული“ (ოქმები, ტ. VI, გვ.251). გ. გვაზავას წინადადება დამფუძნებელმა კრებამ უარყო.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები დამოუკიდებლობის დღეს ყოველთვის აღნიშნავდნენ, მაინვ ამ თარიღისადმი დამოკიდებულება, ზოგიერთებისთვის მაინც, თავისებურად გაორებული იყო. დამოუკიდებლობის დღე მათთვის ცოტა ხნის წინ შეძენილი საზეიმო თარიღი იყო. ვალიკო ჯუღელი თავის დღიურში 1919 წლის 27 მაისს აღნიშნავს: „გუშინ ჩვენი დამოუკიდებლობის წლისთავი იყო. გაგრაში ჩვენ სახალხო გვარდიელთა დიდი მიტინგი მოვაწყეთ. მე გამოვდიოდი ამ მიტინგზე და ჩემს სიტყვაში უფრო მეტი სევდა იყო, ვიდრე სიხარული. ამ დღეს მე ზეიმისა და მწუხარების, სიხარულისა და გლოვის დღეს ვუწოდებ...“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.232).

თავი XXII. დამფუძნებელი კრება და ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლა

1919 წლის შემოდგომაზე, ოქტომბერ-ნოემბერში ბოლშევიკებმა საქართველოში, მოსკოვიდან მიღებული მითითების შესაბამისად, სცადეს აჯანყების მოწყობა და დემოკრატიული ხელისუფლების დამხობა. დამფუძნებელ კრებას რამდენიმე სხდომაზე მოუხდა ამ გამოსვლებით შექმნილი ვითარების განხილვა და, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ანარქიასთან“ საბრძოლველად გარკვეული ზომების მიღება. „ანარქიას“ ეწოდებდნენ საქართველოში მომხდარ ტერორისტულ აქტებს, უწესრიგობებს, აჯანყებებს, რომელთა უკან, როგორც წესი, საქართველოს სახელმწიფოს მიმართ მტრულად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფები, ძირითადად ბოლშევიკები, იდგნენ.

22.1. ანარქიის გამომწვევი მიზეზები

დამფუძნებელი კრების სხდომებზე განიხილებოდა „ანარქიის“ და „არეულობების“ გამომწვევი მიზეზები. მიზეზებს ოპოზიცია ქვეყნის შიგნით ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის ნაკლოვანებებში, ასევე გარეშე ძალების მოქმედებაში ხედავდა. დამფუძნებელი კრების მუშაობის პერიოდში ანარქიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება განსაკუთრებით აუცილებელი გახდა 1919 წლის შემოდგომიდან. 1919 წლის სექტემბერში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო საქართველოში საყოველთაო აჯანყების მოწყობის გადაწყვეტილება. აჯანყება უნდა დაწყებულიყო თბილისში 1919 წლის 23 ოქტომბერს. ბოლშევიკებმა შექმნეს „სამხედრო-რევოლუციური შტაბი“, თუმცა 22 ოქტომბერს შტაბის თითქმის მთელი შემადგენლობა დააპატიმრეს. ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება აჯანყების გადადების შესახებ, მაგრამ აჯანყება მაინც დაიწყო რამდენიმე მაზრაში. ვალიკო ჯუღელი თავის დღიურში 1919 წლის 25 ოქტომბერს წერდა: „გუშინ ბოლშევიკებმა წარუმატებელი შეიარაღებული გამოსვლები მოაწყვეს საქართველოს რესპუბლიკის ბევრ კუთხეში: ფოთში, სამტრედიაში, დუშეთში, თელავში. ხოლო ლაგოდეხში ხელისუფლების ხელში ჩაგდება მოახერხეს!“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.254). ჯუღელს გარკვეული სიმპატიები ქონდა ბოლშევიკების მიმართ და ამ აჯანყებას მაინც „უღირს ბოლშევიკებს“ აბრალებდა: „ნუთუ მათ ჩვენი ხალხის პოლიტიკური და ფიზიკური განადგურება უნდათ? არა, ეს მხოლოდ დამნაშავე, უგუნური და უღირსი ბოლშევიკების სურვილია! და სად არიან პატიოსანი ბოლშევიკები!?“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.255).

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილეს ბოლშევიკური გამოსვლების მიზეზები და შედეგები.

ბოლშევიკების აჯანყება არ ყოფილა „ოპერეტა“

მომხდარს სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ, კერძოდ კი გაზეთმა „ბორბამ“ დაცინვით „ოპერეტა“ უწოდა, რამაც გავლენა მოახდინა დამფუძნებელ კრებაში გამომსვლელთა ნაწილზე. ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ „ეს იყო ძალიან დიდი სერიოზული გამოსვლა“ და ეს არ ყოფილა „მხოლოდ ოპერეტი“, „ეს იყო ძალიან დიდი საყოველთაო გამოსვლა“ (ოქმები, ტ. III, გვ.405).

სახალხო გვარდიის ხელმძღვანელმა ვალიკო ჯუღელმა აღნიშნა, რომ „ამ გამოსვლისათვის დიდი მზადება იყო, დიდი ორგანიზაცია ჰქონდათ“, მაგრამ „ეს გამოსვლა მათ მოუხდათ ძალიან ნაადრევად“ (ოქმები, ტ. III, გვ.403), რადგანაც შეეცადნენ თავიანთი აჯანყება რუსეთში

ბოლშევიკური გადატრიალების მორიგი წლისთავისთვის დაემთხვიათ. ჯუღელის აზრით, ბოლშევიკებს აჯანყების მომზადებისთვის უფრო მეტი დრო რომ დაეთმოთ, ის უფრო საშიშ ხასიათს მიიღებდა. ამავე დროს ჯუღელმა ისიც აღნიშნა, რომ ბოლშევიკების 1918 წელს მოწყობილ აჯანყებებთან შედარებით 1919 წლის შემოდგომის აჯანყება „უფრო ადვილად ჩაახშეს“ და ეს „დიდი დაწინაურება“ იყო „ჩვენი სახელმწიფოსი“ (ოქმები, ტ. III, გვ.399).

ბოლშევიკების გამოსვლა შინაგანი მიზეზებით არ იყო გამოწვეული

ნოე რამიშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ბოლშევიკების გამოსვლა არ იყო გამოწვეული „შინაურ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების განვითარებით“ და ის მოწყობილი იყო უცხო ძალების მიერ, „რომელნიც შემოიჭრენ უცხო სახელმწიფოდან“ (ოქმები, ტ. III, გვ.378). საქართველოში მოწყობილ აჯანყებაში, მინისტრის თქმით, ერთმანეთს დაემთხვა დენიკინელებისა და ბოლშევიკების ინტერესები. ბოლშევიკები, რომლებიც ამ დროს მარცხდებოდნენ ევროპაში, ცდილობდნენ პოზიციების განმტკიცებას ცენტრალურ აზიაში და საქართველოშიც შეეცადნენ „თავისი ბაზის გადმოტანას“. ამისათვის საქართველოში აგზავნიან „მრავალ აგენტებს დიდ ძალი თანხით“ (ოქმები, ტ. III, გვ.379). ბოლშევიკების აჯანყების წარმატების შემთხვევაში საქართველოში შემოიჭრებოდა დენიკინის ჯარი. დენიკინელები ისედაც ცდილობდნენ დიდი სახელმწიფოების დარწმუნებას, თითქოს საქართველოს „სახელმწიფო წეს-წყობილება ბოლშევიკურია“ (ოქმები, ტ. III, გვ.378). დენიკინელთა შემოჭრა საქართველოში ასევე ხელსაყრელი იქნებოდა ბოლშევიკებისათვის, რადგანაც ეს გარკვეუწილად გაუადვილებდა მათ მდგომარეობას რუსეთში.

ნოე რამიშვილის თქმით, ბოლშევიკების აგენტურა ეყრდნობოდა „არა ადგილობრივ ელემენტებს“, მათ შეაიარაღეს „მოსყიდული უცხო ელემენტები, ჩინელები და რამოდენიმედ რუსეთიდან მოსული სხვა ძალები“ (ოქმები, ტ. III, გვ.379-380). საქართველოში ისინი ეყრდნობოდნენ ყაჩაღებს და დეზერტირებს, თანაც „ყაჩაღების დიდ ნაწილს დეზერტირები შეადგენენ“(ოქმები, ტ. III, გვ.380), ყაჩაღების 2/3 დეზერტირებისგან შედგებოდა (ოქმები, ტ. III, გვ.383). ბოლშევიკების რაზმებში ირიცხებოდნენ „მეფის ყოფილი ოფიცრები. შედგა ბლოკი: „ბოლშევიკების გვერდით ხედავთ დენიკინის აშკარა აგენტებს და ამავე დროს ყაჩაღებს, დეზერტირებს და ქურდბაცაცებს“ (ოქმები, ტ. III, გვ.381).

რატომ არ დაუჭირა ხალხმა მხარი აჯანყებულებს: ორი განსხვავებული პასუხი

ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ დენიკინელებს და ბოლშევიკებს „არა აქვთ ფესვები ადგილობრივ ცხოვრებაში“ (ოქმები, ტ. III, გვ.384) და ბოლშევიკების აჯანყებას „ხალხი... არ აჰყვა, ხალხი დემოკრატიულ წყობილების ერთგული დარჩა“. ნოე რამიშვილის და სოციალ-დემოკრატების აზრით, ხალხი იმიტომ არ გაჰყვა ბოლშევიკებს, რომ „ანარქიის ტალღები შეაჩერებდა აგრარულ რეფორმას“ და დაასამარებდა „დიდი სოციალურ და რევოლუციონურ რეფორმის განხორციელებას“ (ოქმები, ტ. III, გვ.382).

მემარჯვენე ოპოზიციისთვის ეს პასუხი არადამაჯერებელი იყო. გრიგოლ ვეშაპელმა (ე. პ.) აღნიშნა, რომ დეზერტირების და ყაჩაღების გარდა, საქართველოში იყო „ბლომად უკმაყოფილო ელემენტები“ (ოქმები, ტ. III, გვ.387). მათი უკმაყოფილება სწორედ სოციალისტური მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკით იყო გამოწვეული და თუკი ისინი არ აჰყვნენ ბოლშევიკების მოწოდებებს, არა იმიტომ რომ მთავრობის აგრარული რეფორმა მოსწონდათ, არამედ მათთვის მთავარი იყო ეროვნული მოტივი. გრიგოლ ვეშაპელის თქმით, ბოლშევიკებიც და დენიკინელებიც ხალხისთვის რუსები იყვნენ და „ეს ეროვნული მოტივი, ეს შიში უცხოელების წინაშე კარგად არის გამჯდარი ქართველ ხალხში“ (ოქმები, ტ. III, გვ.388). სწორედ ეროვნული მოტივის გამო „შიგნით სოციალური მოძრაობა ამ აჯანყებაში არ გარეულა“ (ოქმები, ტ. III, გვ.389).

მთავრობა „სასტიკი ზომების“ მიღება მიიჩნია საჭიროდ

ნოე რამიშვილმა ბოლშევიკების აჯანყების დამარცხებაზე საუბართან ერთად, ისიც აღნიშნა, რომ ბოლშევიკების მხრიდან ახალი აჯანყებები კვლავ მოსალოდნელია. მისი განცხადებით, „იმ აგენტთა შორის, რომელნიც აქ გამოგზავნეს, ცნობილი მეთაურნი არიან ბოლშევიკურ რუსეთისა და ეს ხალხი ასე ადვილად იარაღს არ დაჰყრის“ (ოქმები, ტ. III, გვ.383).

ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა „შესაფერი და სასტიკი ზომების“ მიღებ. კერძოდ: ა/ ბრძოლის გაძლიერება ყაჩაღებისა და დეზერტირების წინააღმდეგ, რათა „დეზერტირობა მოსპონ და ლიკვიდაცია უყონ ყველა იმ ელემენტებს, რომელნიც აძლიერებენ ყაჩაღობას და ქმნიან ანარქიას“ (ოქმები, ტ. III, გვ.383); ბ/ სახელმწიფოს ფარგლებიდან გააძევონ „უცხო ელემენტები“, რომლებიც ქვეყნის აღმშენებლობაში კი არ მონაწილეობენ, არამედ ცდილობენ „დრო იხელთონ, ანარქია გააძლიერონ და მოამზადონ ნიადაგი უცხო ძალების შემოჭრისათვის“ (ოქმები, ტ. III, გვ.383).

ლეო შენგელაიამ (ს. რ.) ესერების სახელით მიუღებლად მიიჩნია რაიმე რეპრესიული ზომების მიღება ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოში აჯანყებას აწყობდნენ. მისი განცხადებით, „სოციალისტების ბრძოლა სოციალისტების წინააღმდეგ იარაღით ხელში - ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია!“ (ოქმები, ტ. III, გვ.391) და „იარაღით ბრძოლა იდეასთან შეუძლებელია“ (ოქმები, ტ. III, გვ.392). ამას ისეთი რიხით ამბობდა, თითქოს ბოლშევიკები თავად არ იბრძოდნენ იარაღით ხელში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის წინააღმდეგ. ესერებმა თავიანთი რეზოლუციის პროექტში ჩაწერეს: „სოციალისტთა ბრძოლა სოციალისტების წინააღმდეგ იარაღით ხელში არის უდიდესი დანაშაული სოციალიზმის წინაშე“ (ოქმები, ტ. III, გვ.414).

მემარჯვენე ოპოზიციამ ცვლილებები მოითხოვა მთავრობის პოლიტიკაში

მემარჯვენე ოპოზიციამ, როგორც უკვე ითქვა, დამაჯერებლად არ მიიჩნია მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პოზიცია, რომ ბოლშევიკების გამოსვლას ქვეყნის შიგნით დასაყრდენი არ ჰქონდა და ხალხი კმაყოფილი იყო გატარებული აგრარული რეფორმით. სპირიდონ კედიამ (ე. დ.) განაცხადა, რომ „ხალხში მეტად დიდია ასაფეთქებელი მასალა და საკმაოა ერთი ნაპერწკალი, რომ მიიღოს ცუდი მიმართულება“ (ოქმები, ტ. III, გვ.396). იგივე იყო ნიკო ნიკოლაძის (ე. დ.) პოზიცია, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ხალხში დიდი გაჭირვებაა და „ამისთანა გასაჭირში მყოფ ხალხს ადვილად აიყოლიებს და ააშფოთებს მოქრთამული ბოროტგამზრახვი ბრბო“ (ოქმები, ტ. III, გვ.413).

გრიგოლ ვეშაპელი დაეთანხმა მთავრობის პოზიციას, რომ აჯანყების მომწყობნი სასტიკად უნდა დაესაჯათ, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ „ცარიელი რეპრესიებით შეუძლებელია ბრძოლა“ (ოქმები, ტ. III, გვ.391). საჭირო იყო მთავრობას ცვლილებები შეეტანა თავის პოლიტიკაში. სპირიდონ კედიას თქმით, „დღევანდელი ვითარება... არის შედეგი მთავრობის პოლიტიკისა“ და მხოლოდ „ამ პოლიტიკის გადასინჯვა და მასში ძირითადი ცვლილებების შეტანა შესძლებს ჩვენი ცხოვრების და საზოგადოების დამშვიდება“ (ოქმები, ტ. III, გვ.395)

რატომ არ მიიღო მთავრობამ დროულად ზომები

მემარჯვენე ოპოზიციამ ყურადღება იმაზეც გაამახვილა, რომ მთავრობას შეეძლო გაცილებით ადრე მიეღო ზომები და მაშინ საქმე აჯანყებამდე შეიძლება არ მისულიყო. გრიგოლ ვეშაპელის (ე. პ.) განცხადებით, მთავრობამ აჯანყების მზადების შესახებ მაისიდან იცოდა, უცხო ელემენტების შემოსვლა „ჩვენი მთავრობის თვალწინ ხდებოდა“ და საქართველო „ერთგვარ ოაზისად გადაიქცა და დენიკინელები და კომუნისტები, რომელნიც რუსეთში ერთმანეთს ახრჩობენ, აქ თავისუფლად დასეირნობენ და ერთმანეთს ეხმარებიან“ (ოქმები, ტ. III, გვ.385). სპირიდონ კედიას (ე. დ.) თქმით, „საქართველოს კარები ყველასთვის ღია იყო, შედიოდა და გამო-

დიოდა ყველა, ვისაც სურდა“ (ოქმები, ტ. III, გვ.395). გრიგოლ ვეშაპელის აზრით, ეს ყველაფერი „ჩვენი გადამეტებული ინტერნაციონალიზმით“ აიხსნებოდა (ოქმები, ტ. III, გვ.386).

ესერების რჩევა მთავრობას: იმოქმედეთ ბოლშევიკური „მაქსიმალიზმით“

ლეო შენგელაიამ (ს. რ.) გარდა იმისა, რომ მიუღებლად მიიჩნია აჯანყების მომწყობი ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიები, კიდევ უფრო ორიგინალური რჩევა მისცა მთავრობას. მისი განცხადებით, ბოლშევიზმი ძლიერი იყო „თავისი სოციალური მაქსიმალიზმით“ და ბოლშევიკების დასამარცხებლად საჭიროა მათთვის ამ იარაღის წართმევა. ამიტომ მმართველ პარტიას მთელი თავისი პოლიტიკა უნდა შეეცვალა და „ბოლშევიკები უნდა განაიარაღონ რევოლუციის სოციალისტური გაღრმავებით“ (ოქმები, ტ. III, გვ.392).

ცხადია, სოციალ-დემოკრატებისთვის ასეთი რჩევა მიუღებელი იყო. რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.), როდესაც შეაჯამა გამართული დისკუსია, კურიოზულად მიიჩნია ესერთა რეცეპტი, - „მიიღეთ ეს მაქსიმალიზმი და ბოლშევიკები გახდითო“ (ოქმები, ტ. III, გვ.409).

მემარჯვენეთა რჩევა მთავრობას: მტკიცე ეროვნული პოლიტიკა

მემარჯვენეებმა, იმისათვის რომ შემდგომშიც გამკლავებოდნენ ბოლშევიკების გამოსვლებს, სოციალ-დემოკრატიული მთავრობისაგან „ნამდვილი ეროვნულ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის“ გატარება მოითხოვეს. „დაადექით ნაციონალურ თვალსაზრისს და თქვენ მიიღებთ ბოლშევიზმის გაქარწყლებას“, - ასეთი იყო გიორგი გვაზავას და ზოგადად ეროვნულ-დემოკრატების რჩევა (ოქმები, ტ. III, გვ.410).

გიორგი გვაზავას (ე. დ.) თქმით, „მთავრობა მერყეობს, გადაჭრით არ სდგას სახელმწიფოებრივ ნიადაგზე. მას აქვს ერთნაირი სულიერი კავშირი ბოლშევიკებთან და ეს გზა არის დამღუპველი ჩვენთვის“ (ოქმები, ტ. III, გვ.408). სპირიდონ კედიამაც (ე. დ.) ასევე მოუწოდა ხელისუფლებას დაეძლია „ფარული სიმპატიები იმ დოქტრინისადმი, რომლის ცენტრსაც წარმოადგენს მოსკოვი და პეტროგრადი“ (ოქმები, ტ. III, გვ.394). გიორგი გვაზავას განცხადებით, სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამოუკიდებლობა არ მიაჩნდათ უდიდეს ღირებულებად და შესაძლებლად თვლიდნენ დამოუკიდებლობის უარყოფას, „თუ რუსეთი იქნება აღდგენილი“ (ოქმები, ტ. III, გვ.408).

ამის შედეგად, სპირიდონ კედიას თქმით, „ერში არ არის... ერთსულოვანი სიმტკიცე, უკრიტიკო ერთობლივი გრძნობა მთავრობის და მმართველ წრეებისადმი“ (ოქმები, ტ. III, გვ.394). გიორგი გვაზავას განცხადებით, სოციალ-დემოკრატების მერყევი

თუმცა, გიორგი გვაზავას თქმით, მიუხედავად სოციალ-დემოკრატების „30 წლის ანტიეროვნულ მოღვაწეობისა“, ქართველმა ხალხმა „მაინც შეჰქმნა ის სამშობლო, რომლის შესახებ ბ. ჯუღელი აქედან აცხადებს ხოლმე, ლაპარაკი არ მიყვარსო“ (ოქმები, ტ. III, გვ.407).

სოციალ-დემოკრატებს არც მემარჯვენეთა რჩევა მოეწონათ და ამაში მხოლოდ „საშიში ნაციონალიზმი“ დაინახეს. რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) განცხადებით, ნაციონალიზმი „ბოლშევიზმს ვერ გააქარწყლებდა“, ნაციონალიზმის ნაყოფი კი ის იყო, რომ „მან დაამხო მრავალი სახელმწიფო და კიდევ ბევრს დაამხობს“ (ოქმები, ტ. III, გვ.410).

სოციალ-დემოკრატები სოციალიზმის გზას უშეცდომოდ მიიჩნევდნენ

სოციალ-დემოკრატებმა არც ესერების რჩევა მიიღეს და არც ეროვნულ-დემოკრატების. თავიანთი პოლიტიკა სწორად და უშეცდომოდ მიაჩნდათ და რაიმე ცვლილებების გატარებას საჭიროდ არ მიიჩნევდნენ. რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) პარტიის სახელით აღნიშნა: „ჩვენ სოციალისტები ვართ და ჩვენ სწორედ ამით წავართვით ბოლშევიზმს ყველა სასიცოცხლო ელემენტი. ჩვენ მათ წავართვით იდეოლოგია სოციალიზმისა, იდეოლოგია მუშათა კლასის და ამით დავამარცხეთ“ (ოქმები, ტ. III, გვ.410).

რაჟდენ არსენიძის ეს განცხადება უპასუხოდ არ დარჩენილა. დამფუძნებელი კრების უხუცესმა წევრმა ნიკო ნიკოლაძემ (ე. დ.) სოციალიზმის გზით საქართველოს გადარჩენა ეჭვქვეშ დააყენა. მისი განცხადებით, „სოციალიზმს დემაგოგიის მეტი ჯერ არაფერი შეუქმნია. ის ყოველთვის ყოფილა დესპოტიზმის წინამორბედი, დესპოტიზმის მეტი არა შეუქმნია რა და ვედრც შეჰქმნის“ (ოქმები, ტ. III, გვ.412). ნიკო ნიკოლაძემ საჭიროდ მიიჩნია დემოკრატიული პრინციპების თანმიმდევრული დაცვა. მისივე თქმით, არ შეიძლებოდა ისეთი სიტყვების წარმოთქმა, „რომელნიც შორიდან თუ ახლოდან გვახსენებენ სამოქალაქო ომს“ (ოქმები, ტ. III, გვ.413).

22.2. სამხედრო სასამართლოების შექმნა

დამფუძნებელი კრება 1919 წლის 11 ნოემბერს კვლავ დაუბრუნდა ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს, რადგანაც სხვადასხვა ადგილზე კვლავ გაგრძელდა ბოლშევიკური აჯანყებები. 9 ნოემბერს ასეთი აჯანყებები მოხდა აჯანყებების მცდელობები ქართლსა და გურიაში. ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა აღნიშნა: „დღეს... აშკარაა, რომ ჩვენ საქმე გვქონდა მეტის-მეტს სერიოზულ განზრახვასთან“ (ოქმები, ტ. III, გვ.487). აჯანყებები ხდებოდა ბოლშევიკური პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილებით და „მთელი სიგრძე-სიგანით ააშკარავებს სახეს იმ პარტიისას, რომელიც არ ერიდება არავითარ სამარცხვინო საშვალებას და რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიულო წყობილების დამხობას“ (ოქმები, ტ. III, გვ.488). ცხადი გახდა ბოლშევიკების სამოქმედო გეგმაც: ხალხს მოუწოდებდნენ ჯარში არ წასულიყვნენ, არანაირი გადასახადი არ გადაეხადათ და თუკი ხელისუფლებაში მოსვლას მოახერხებდნენ, საქართველოს დენიკინის წინააღმდეგ ომში ჩაბმას აპირებდნენ, უნდათ „ხელოვნურად ჩააბან ხალხი რუსეთის სამოქალაქო ომში“ (ოქმები, ტ. III, გვ.489). ნოე რამიშვილის პროგნოზით კომუნისტების გამოსვლებს შემდეგშიც ექნებოდა ადგილი, „არა ერთხელ შეეცდებიან ასეთი გამოსვლები მოახდინონ“ (ოქმები, ტ. III, გვ.489).

დეკრეტი სამხედრო სასამართლოების შესახებ

მთავრობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით დამფუძნებელი კრებისგან ითხოვდა დეკრეტის მიღებას, რომლის ძალითაც უნდა შექმნილიყო დროებითი სამხედრო სასამართლოები. მათ უნდა ჰქონოდათ იგივე უფლებამოსილება, რაც 1918 წელს შექმნილ დროებით საგანგებო სასამართლოებს, - „განხილვა უმძიმეს ბოროტ-მოქმედებათა: მოღალატეობა, ცარცვა-გლეჯა, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, რკინის გზის ლიანდაგის აყრა და სხვა“ (ოქმები, ტ. III, გვ.474). ოღონდ თუ საგანგებო სასამართლოებს დიდი დრო სჭირდებოდათ, სამხედრო სასამართლო უფრო გამარტივებულ წესით და მოკლე დროში გამოიტანდა განაჩენს. როგორც გერასიმე გიორგაძე (ს. დ.) აღნიშნავდა, საჭირო იყო „სისასტიკე და სისწრაფე“, „უნდა იყოს სწრაფი და სასტიკი სამსჯავრო“ (ოქმები, ტ. III, გვ.483).

შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე ითხოვდა დამატებით 10 მილიონი მანეთის გამოყოფას „ანარქიასთან საბრძოლველად“. დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის ორივე მოთხოვნა დაკმაყოფილა, თუმცა დისკუსიის შემდეგ.

ფრაქციების დამოკიდებულება

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, ბუნებრივია მხარს უჭერდა სამხედრო სასამართლოების შემოღებას. მხარი დაუჭირეს სხვა ფრაქციებმაც, გარდა სოციალისტ-რევოლუციონერებისა. ესერები საგანგებო ზომების მიღებას პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ. ლეო შენგელაი-

ამ (ს. რ.) კვლავ განაცხადა, რომ ანარქიასთან ბრძოლა მხოლოდ „უფლების განმტკიცებით“ და „წმინდა რევოლიუციონურ შემოქმედებით“ შეიძლებოდა (ოქმები, ტ. III, გვ.474).

სხვა ფრაქციების წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ მდგომარეობის სიმძიმე. გიორგი გვაზავას (ე. დ.) თქმით, „დადგა ისეთი მომენტი, რომ ასეთი ყოყმანი ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ ყველა ვამჩნევთ საჭიროებას სახელმწიფოს განწმენდისას ყველა იმ ელემენტებისაგან, რომლებიც ემუქრებიან მის არსებობას“ (ოქმები, ტ. III, გვ.476). მისივე განცხადებით, მთავრობას უფრო ადრეც შეეძლო მიეღო „მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები“ (ოქმები, ტ. III, გვ.487). გრიგოლ ვეშაპელმა (ე. პ.) ნოემბერში მომხდარი აჯანყებები შეადარა ოქტომბრის ბოლოს მომხდარ გამოსვლებს და აღნიშნა, რომ „მაშინ გაცილებით უფრო იოლი ხასიათი ჰქონდა ამ არეულობას. ეხლა სამწუხაროდ მდგომარეობა უფრო რთულია და მძიმე“ (ოქმები, ტ. III, გვ.477). თანაც უცხო ძალება „საშუალება ეძლევათ თან და თან ჩაითრიონ ნაწილი ქართველი ხალხისა ამ ავანტიურაში“ (ოქმები, ტ. III, გვ.477). მდგომარეობას ისიც აუარესებდა, რომ მთელ საქართველოში ცუდი მოსავალი მოვიდა. როგორც გრიგოლ ვეშაპელი აღნიშნავდა „აქამდე ჩვენი ბედი ის იყო, რომ კარგი მოსავალი იყო და უზრუნველყოფილი იყო ხალხის მდგომარეობა“ (ოქმები, ტ. III, გვ.458). მისივე თქმით, მოუსავლიანობა შეიძლება ხალხის არათუ ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ბედია გადამწყვეტი შეიძლება ყოფილიყო.

სამხედრო სასამართლოების შექმნის მხარდაჭერასთან ერთად, ოპოზიციურ ფრაქციებს გარკვეული მოსაზრებები და წინადადებებიც ჰქონდათ. გიორგი გვაზავას (ე. დ.) აზრით, სამხედრო სასამართლოების შექმნასთან ერთად საჭირო იყო ჯერ ქვეყანაში სამხედრო წესების გამოცხადება და იმ წესების განსაზღვრა, „რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სამხედრო სასამართლომ“ (ოქმები, ტ. III, გვ.476). გრიგოლ ვეშაპელმა (ე. პ.) მოითხოვა გვარდიის გაწმენდა „უცხო ელემენტებისაგან“ (ოქმები, ტ. III, გვ.478).

მკაცრი ზომების მხარდაჭერასთან ერთად, გრიგოლ ვეშაპელმა (ე. პ.) აღნიშნა, რომ „მარტო ამ რეპრესიებით დამფუძნებელი კრება და მთავრობა თავს ვერ დაიიმედებს“ (ოქმები, ტ. III, გვ.479) და საჭირო იყო კონკრეტული ზომების გატარება „სოციალური კანონების სფეროში“ (ოქმები, ტ. III, გვ.479).

სამსონ დადიანი (ს. ფ.) მხარს უჭერდა სამხედრო სასამართლოების შემოღებას, მაგრამ არ სჯეროდა, რომ ამას ბოლშევიკები აკეთებდნენ და აჯანყებების ორგანიზატორებად უფრო დენიკინელებს და „რუსეთის რეაქციულ ძალებს“ ვარაუდობდა (ოქმები, ტ. III, გვ.481).

ოპოზიციური ფრაქციების მოსაზრებები მიუღებელი აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატებისთვის. სამსონ დადიანის საპასუხოდ ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო ბოლშევიკების მიერ მოწყობილი გამოსვლები, სერგი ჯაფარიძის (ს. დ.) თქმით, „მთელი რესპუბლიკის სამხედრო წესზე დაყენება მეტად შეაწუხებდა ხალხს“ (ოქმები, ტ. III, გვ.485). გერასიმე გიორგაძემ (ს. დ.) მიუღებლად მიიჩნია გვარდიის გაწმენდის მოთხოვნაც, რადგანაც „უცხო ერების წარმომადგენლები ჩვენ გვარდიასთან ერთად იბრძოდენ ჩვენი მტრების წინააღმდეგ“ და „სადაც არ უნდა იყვეს რევოლიუციონერი ყოველთვის რევოლიუციონერად დარჩება“ (ოქმები, ტ. III, გვ.484).

დისკუსია ანარქიის მიზეზებზე, იმის თაობაზე, თუ რა თანაფარდობა არსებობს მის გამომწვევ შიდა და გარე მიზეზებზე, შემდგომშიც გრძელდებოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე გრიგოლ ვეშაპელის (ე. პ.) მისი განცხადებით, „ტყის საკითხმა ხელი შეუწყო იმ არეულობას, რომელსაც ჩვენში ხშირათ ჰქონდა ადგილი. მართალია ამ აჯანყებებს უმთავრესად ასაზრდოებდა გარედან შემოსული ფული და კანონს გარეშე მომქმედი სხვა და სხვა ძალები“ (ოქმები, ტ. IV, გვ.149). მისგან განსხვავებით თედო ღლონტი (ს. ფ.) ანარქიის მიზეზებს მხოლოდ ქვეყნის შიგნით ხედავდა: „მიზეზი ანარ-

ქიისა არის ის, რომ ხალხის უდიდესი ნაწილი არ არის დაკმაყოფილებული“ ძალები“ (ოქმები, ტ. IV, გვ.158).

22.3. რისი პროპაგანდა შეუძლია დამფუძნებელი კრების წევრს

დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისია

ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში გაჩნდა დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიის შექმნის იდეაც. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე გრიგოლ ვეშაპელი (ე. პ.) აღნიშნავდა: „დამფუძნებელ კრების წევრებმა ვიცით, რომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას განსაზღვრული აქვს საპროპაგანდო კომისიის შექმნა“ (ოქმები, ტ. III, გვ.457).

მართლაც, სულ მალე, 1919 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წინადადება წამოაყენა აერჩიათ დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისია. რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) განცხადებით, „იმ სოციალურ არა სასიამოვნო მოვლენას, რომელსაც ამ უკანასკნელ დროს ჰქონდა ადგილი“ (ოქმები, ტ. III, გვ.495), დამფუძნებელი კრება რეპრესიებით ებრძოდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და არც იყო „ერთად-ერთი უმთავრესი ზომა“ (ოქმები, ტ. III, გვ.495). საჭირო იყო ხალხში დემოკრატიული იდეების განმტკიცება. რაჟდენ არსენიძის განცხადებით, „შეუგნებელ მცხოვრებლებს, რომლებიც შეცდომაში შეყავთ სხვა ბნელ ელემენტებს“, უნდა მიეწოდოს „ნამდვილი და ნათელი შეხედულება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობაზე, ჩვენს მუშაობაზე, დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მის მთავრობაზე“ (ოქმები, ტ. III, გვ.495).

რაჟდენ არსენიძის თქმით, დამფუძნებელი კრების დეპუტატებს ხალხთან კონტაქტი ჰქონდათ, ხვდებოდნენ ადამიანებს, მაგრამ ეს კეთდებოდა პარტიული კუთხით და ამას ჰქონდა „ხასიათი ერთმანეთთან დავისა და ბრძოლისა“. სოციალ-დემოკრატების წინადადება კი ითვალისწინებდა სხვა ფორმატს, - საპროპაგანდო კომისიის ფარგლებში დეპუტატები ხალხთან უნდა მისულიყვნენ დამფუძნებელი კრების დავალებით და პოზიტიურად უნდა გაეცნოთ მათთვის „დამფუძნებელი კრების მუშაობა და მთავრობის მოღვაწეობა“ (ოქმები, ტ. III, გვ.496). სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია თვლიდა, რომ საჭირო იყო შეექმნათ „მცირე კომისია 7 კაცისგან შემდგარი“, რომელიც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით იმოქმედებდა.

სოციალ-დემოკრატების ინიციატივით, დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 11 ნოემბერს მიიღო კანონი, რომლის თანახმად დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან დაარსდა საპროპაგანდო კომისია. კომისიის უმთავრესი მიზანი იყო ფართო მასებისთვის გაეცნო დამფუძნებელი კრების საქმიანობა, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა.

კომისიის არჩევა შემდეგისთვის გადაიდო. 18 ნოემბერს დამფუძნებელმა კრებამ აირჩია კომისიის სრული შემადგენლობა: გიორგაძე (ს. დ.), გომართელი (ს. დ.), ბადრიძე (ს. დ.), ურატაძე (ს. დ.), გობეჩია (ს. რ.), სპ. კედია (ე. დ.), ს. ფირცხალავა (ს. ფ.) (ოქმები, ტ. IV, გვ.56).

1919 წლის 20 ნოემბერს კომისიამ ჩაატარა თავის პირველი სხდომა და შეიმუშავა სამუშაო გეგმა. გეგმის თანახმად საქართველო დაიყო 16 საპროპაგანდო ოლქად. კომისია გეგმავდა კავშირს სამაზრო ერობებთან და ქალაქებთან და მათი მეშვეობით აპირებდა მუშაობის წარმართვას.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 4 თებერვლის სხდომაზე გამოიტანეს დეკრეტი საპროპაგანდო კომისიისთვის 1 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ, თუმცა თავად კომისია 2 მლნ მანეთს ითხოვდა. საპროპაგანდო კომისიის სახელით სხდომაზე გამოსული გრ. ურატაძე

(ს.-დ.) აღნიშნავდა, რომ კომისიის აზრით, პროპაგანდას უნდა ჰქონოდა საუბრის ხასიათი, დეპუტატები გაემგზავრებოდნენ რაიონებში და ადგილობრივ მოსახლეობასთან ისაუბრებდნენ „ჩვენი დამოუკიდებლობის, დამფუძნებელი კრების მუშაობის და ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“ (ოქმები, ტ. V, გვ.143). გარდა ამისა, კომისიის სახელით დაიბეჭდებოდა ფურცლები, წიგნაკები და ბროშურები. დამფუძნებელი კრების დადგენილების თანახმად, პირველად დაიბეჭდა მთავრობის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული მოხსენება 1920 წლის 14 იანვარს უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარების გამო. კომისიის აზრით. „პროპაგანდა არამც და არამც პარტიული და არც პრაქტიკული ხასიათი“ არ უნდა ჰქონოდა (ოქმები, ტ. V, გვ.144). პროპაგანდასთან ერთად, კომისიას დაევალებოდა ადგილობრივი პირობებისა და საჭიროებების გაგება და პრეზიდიუმისთვის მოხსენება.

დეპუტატების რაიონებში მგზავრობას და სხვადასხვა მასალის ბეჭდვას თანხები ესაჭიროებოდა და საპროპაგანდო კომისია 2 მილიონ მანეთს ითხოვდა, საბიუჯეტო კომისიამ კი 1 მლნ. მანეთის გამოყოფაზე განაცხადა თანხმობა, თუმცა საპროპაგანდო კომისია დამფუძნებელი კრებისგან ისევ 2 მილიონ მანეთს ითხოვდა.

პროპაგანდის „საერთო“ და „გამმიჯვნელი“ საკითხები

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 4 თებერვლის სხდომაზე ისაუბრეს იმ საერთო საკითხებზე, რაც ყველა ფრაქციას აერთიანებდა და საერთო აზრი ჰქონდათ. თევდორე კიკვაძე (ს. დ.) აღნიშნავდა, რომ დამფუძნებელი კრების წევრები არიან „წარმომადგენელი არა რომელიმე პარტიისა, არამედ მთელი ერისა“ (ოქმები, ტ. V, გვ.148-149) და პროპაგანდისთვის მიდიოდნენ როგორც დამფუძნებელი კრების წევრები. სპ. კედიას (ნ. დ.) განცხადებით, დამფუძნებელი კრების წევრებს აერთიანებდათ „საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა ხალხში და ამავე დროს დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცება“ (ოქმები, ტ. V, გვ.154-155). თედო ღლონტის (ს. ფ.) აზრით, საერთო საკითხები იყო „დამოუკიდებლობა, წარმომადგენლობითი სისტემა, პარლამენტარიზმი“ (ოქმები, ტ. V, გვ.152). ლეო შენგელაიას (ს. რ.) განცხადებით დამფუძნებელი კრების წევრებს აერთიანებდათ „დამოუკიდებლობა ჩვენი რესპუბლიკისა და რესპუბლიკანური წეს-წყობილება“, ანუ პარლამენტარიზმი (ოქმები, ტ. V, გვ.147).

იმ საკითხების შემდეგ, რაც დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციას აერთიანებდა, დგებოდა კითხვა, რამაც მწვავე დებატები გამოიწვია: როგორ უნდა მოქცეულიყო დამფუძნებელი კრების წევრი ხალხში, როდესაც მას მოუწევდა საუბარი დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონსა და მიმდინარე პოლიტიკის შესახებ (ოქმები, ტ. V, გვ.155). ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ისინი ვერ გახდებოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპაგანდისტები და არ დაიცავდნენ იმ კანონებს, რომლების დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატებმა ხმათა უმრავლესობის გამო მიიღეს.

„გამოდის, რომ ჩვენ უნდა ვაქოთ და ვადიდოთ თქვენი პოზიცია და ტაში დაუკრათ თქვენს დადგენილებებს, რომელსაც შეიძლება ბევრი თქვენგანიც არ იზიარებს“, - განაცხადა ლ. შენგელაიამ (ოქმები, ტ. V, გვ.146). „როდესაც თქვენ თითების საშუალებით გადასწყვეტთ ამ საკითხს, მე უნდა წავიდე სოფელში და დავიცვა თქვენი აზრი ისე, როგორც საჭიროა თქვენი პარტიული ინტერესებისათვის?“ - კითხულობდა ფედერალისტი თედო ღლონტი (ოქმები, ტ. V, გვ.151).

ლ. შენგელაიამ (ს. რ.) ისიც აღნიშნა, რომ მმართველ პარტიას „საგანგებო პროპაგანდისტები“ იმიტომ სჭირდებოდა, რომ დამფუძნებელი კრება ხალხში არ იყო პოპულარული და ამიტომ პროპაგანდა იყო „საქმიანობა მმართველი პარტიისა და დამფუძნებელი კრების უმრავლესობისა“. დამფუძნებელი კრების არაპოპულარობის მიზეზებად კი ასახელებდა: ა/ სოციალ-დემოკრატების მიერ რევოლუციის ღალატს, - „თვით სასახლეს ჩამოხსენით წითელი დროშა

რევოლუციისა"; ბ/ ძალთა თანაფარდობა დამფუძნებელ კრებაში არ შეესაბამებოდა ქვეყანაში რეალურად არსებულ ძალთა თანაფარდობას და სოციალ-დემოკრატები არ გამოხატავდნენ „ხალხის ფართო მასების ინტერესებს" (ოქმები, ტ. V, გვ.147).

ოპოზიციური ფრაქციები მოითხოვდნენ, რომ მიმდინარე პოლიტიკის გაშუქებისას უფლება ქონოდათ ეთქვათ ის, რასაც შესაბამისი ფრაქცია იცავდა დამფუძნებელ კრებაში. „ყოველ ფრაქციას მაშასადამე ჰქონდეს უფლება, რომ თუ ამას საჭიროება მოითხოვს ისე გააშუქოს საკითხი, როგორც აშუქებს ამას ესა თუ ის ფრაქცია დამფუძნებელ კრებაში" (ოქმები, ტ. V, გვ.147), „პატარა ფრაქციას მიეცეს უფლება, რომ თავისი აზრი, რასაც ლაპარაკობს დამფუძნებელ კრებაში, აგრეთვე სხვაგანაც სთქვას" (ოქმები, ტ. V, გვ.148). მოითხოვდნენ დაცული ყოფილიყო „პრინციპი თავისუფალი მსჯელობისა, თავისი პოლიტიკის დაცვისა, ისე როგორც ეს ესმის დამფუძნებელი კრების ყოველ ფრაქციას" (ოქმები, ტ. V, გვ.154).

თედო ღლონტი ამტკიცებდა, რომ თუკი ყველა ფრაქციის წარმომადგენელი ილაპარაკებდა საკანონმდებლო აქტებზე ისე, „როგორც ისინი ლაპარაკობენ დამფუძნებელ კრებაში" (ოქმები, ტ. V, გვ.152), ფრაქციები ილაპარაკებდნენ იმას, რასაც „მისი სინდისი ავალებს" (ოქმები, ტ. V, გვ.153), ამით ხელს შეუწყობდნენ ხალხის პოლიტიკური აზროვნების განვითარებას და ამ შემთხვევაში გააკეთებენ „დამფუძნებელი კრების საქმეს... სახელმწიფოს საქმეს" (ოქმები, ტ. V, გვ.154).

ასეთი მიდგომა კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატებისათვის. თევდორე კიკვაძის (ს. დ.) თქმით, დამფუძნებელი კრების წევრებმა მოქალაქეებს უნდა ურჩიონ „მიღებული კანონები უკრიტიკოთ მიიღონ", ოპოზიციას კი უნდოდა მიღებული კანონი შეეძულებინათ. „ჩვენ ასე არ ვფიქრობთ და ეს არის აგიტაცია კანონების წინააღმდეგ მიმართული" (ოქმები, ტ. V, გვ.149). იგივე განაცხადა გრიგოლ გიორგაძემაც (ს. დ.) და ხაზი გაუსვა, რომ ოპოზიციის მხრიდან დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ აგიტაცია დაუშვებელია: „თუ ჩვენ ხალხს უთხარით, რომ ძალაუნებურათ უნდა მივიღოთ ეს კანონი და ვათრიოთ ეს ახალ არჩევნებამდის, ეს იქნება ნამდვილი აგიტაცია დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ და კრებას არ შეუძლია არც ფორმალურად და არც არსებითად ასე საკითხის გადაჭრა გაიზიაროს" (ოქმები, ტ. V, გვ.156). გრ. ურატაძის აზრითაც, დამფუძნებელ კრებას არ ჰქონდა „არც ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება, გაგზავნოს ისეთი დეპუტატი თუ ფრაქცია, რომელიც დაიწყებს ისეთ ბრძოლას, რომელიც არსებითად მიმართული იქნება თვით დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ" (ოქმები, ტ. V, გვ.158).

ოპოზიციის მოთხოვნა საპროპაგანდო კომისიის მუშაობის ფარგლებში შეხვედრების დროს გამოეთქვათ თავიანთი თვალსაზრისი მიმდინარე პოლიტიკაზე, სოციალ-დემოკრატების მიერ მიჩნეული იქნა კომისიის გამოყენებად პარტიული სააგიტაციო მიზნებისათვის. ოპოზიციის წარმომადგენლებს ისიც უთხრეს, რომ საპროპაგანდო კომისიის შექმნას მათ თავის დროზე მხარი დაუჭირეს და თავიანთი მოსაზრებები მათ სწორედ ამ კომისიის შექმნის დროს უნდა გამოეთქვათ, ახლა კი ამ საკითხის დაყენება უკვე გვიანი იყო (ოქმები, ტ. V, გვ.155). საპროპაგანდო კომისიას სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით 2 მლნ მანეთი გამოეყო (ოქმები, ტ. V, გვ.160).

22.4. დროებითი საგანგებო ზომები ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად

დეკრეტი „ანარქიის საწინააღმდეგო ზოგიერთი ზომისა“

მიუხედავად 1919 წლის ოქტომბრის ბოლოს ბოლშევიკების პირველი გამოსვლების განეიტრალებისა და მათ წინააღმდეგ მიღებული გარკვეული ზომებისა, ნოემბრის დასაწყისში ბოლშევიკებმა კვლავ სცადეს აჯანყებების მოწყობა. ვალიკო ჯუღელმა 1919 წლის 9 ნოემბერს თავის დღიურში ჩაწერა: „ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი დემოკრატიის, ჩვენი ქვეყნის განადგურებისათვის დენიკინელები, ბოლშევიკები და ყაჩაღები გაერთიანდნენ! ისინი რელსებიდან აგდებენ მატარებლებს, ყრუ, მიტოვებულ კუთხეებში აწყობენ აჯანყებებს და ემზადებიან საერთო გამოსვლისთვის“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.255). აჯანყების მცდელობა იყო დუშეთში, სოფელ მეტეხში ბოლშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს, ბოლშევიკებმა კიდევ უფრო მასშტაბური გამოსვლები მოაწყეს გურიაში. 10 ნოემბერს ღამით ბოლშევიკები თბილისში აპირებდნენ აჯანყების მოწყობას, თუმცა, როგორც ვალიკო ჯუღელი 1919 წლის 11ნოემბერს თავის დღიურში აღნიშნავს, „ღამით არანაირი გამოსვლა არ ყოფილა. ბევრი ბოლშევიკი წინასწარ იქნა დაპატიმრებული... მათმა გამოსვლამ გაურკვეველ მომავალში გადაინაცვლა... პროვინციებში ყველგან ლიკვიდირებულია ბანდები“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.257). 1919 წლის 3 დეკემბერს ვალიკო ჯუღელი დღიურში ჩაწერს: „ანარქიულ-ხულიგნური გამოსვლები ყველგან ლიკვიდირებულია და ზოგიერთი დამნაშავე სიკვდილითაც დაისაჯა.“ (ჯუღელი ვ., 2022, გვ.257).

ბოლშევიკების ახალი გამოსვლების პირობებში, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე დეპუტატები კვლავ დაუბრუნდნენ ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, განიხილეს და მიიღეს მთავრობის მიერ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დროებით, ანარქიასთან საბრძოლველად, შინაგან საქმეთა მინისტრისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭების შესახებ.

მომხსენებელმა სერგი ჯაფარიძემ (ს. დ.) ისაუბრა აღნიშნული დეკრეტის საჭიროების თაობაზე. მისი თქმით, დამფუძნებელმა კრებამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება „უმძიმეს დანაშაულთა საჩქაროდ გასამართლების“ შესახებ და შემოღებული იქნა „სამხედრო საგანგებო სასამართლო“, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას, მაგრამ სასამართლოს იშვიათად უვარდებოდა ხელში „ნამდვილი მომწყობი ანარქიულ გამოსვლებისა, მთავარი დამნაშავე ანუ ინტელექტუალური ხელმძღვანელი“, „მთავარი შტაბი ამ ელემენტებს“ თბილისში ქონდათ მოწყობილი და აქედან ხელმძღვანელობდნენ გამოსვლებს (ოქმები, ტ. IV, გვ.37).

შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ დეკრეტი მიმართული იყო საქართველოში მოქმედ იმ უცხო ძალების წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებდნენ „ჩვენ საზოგადოებაში მყოფ ნაძირალების მოსყიდვით“ და სურდათ „საქართველოს დამოუკიდებლობის დასამარება“. მინისტრის თქმით, ამ გამოსვლის მოსაწყობად უკვე დახარჯული ქონდათ 12 მილიონი მანეთი. მისივე განცხადებით, „როდესაც ჩვენს წინააღმდეგ გამოდის უცხო ძალა, არ შეგვიძლია გულხელ დაკრეფილი ვიყოთ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.43).

დეკრეტი შინაგან საქმეთა მინისტრს უფლებას აძლევდა:

1/ აეკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი პარტიის არსებობა, „რომელიც წარმოადგენს უცხოეთის პარტიის ნაწილს და ემორჩილება გარეშე სახელმწიფოში მყოფ მთავარ პარტიულ ორგანოების ხელმძღვანელობას“, თუკი ის მოქმედებდა „საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“, ანდა ერეოდა „მის შინაურ საქმეში“ და ასეთი პარტიის ბეჭდვითი ორგანოც უნდა დახურულიყო;

2/ საქართველოში შემოსული უცხოეთის მოქალაქე, რომელიც თავის მოქმედებით ზიანს მიაყენებდა საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს, ან ცდილობდა მისი მთლიანობის დარღვევას, ან „სიტყვით თუ წერილობით“ ეწეოდა აგიტაციას რესპუბლიკის წინააღმდეგ, მინისტრს შეეძლო ა/გაეძევებინა საქართველოს საზღვრებიდან; ბ/ აეკრძალა მისთვის საქართველოს გარკვეულ ადგილებში ცხოვრება; გ/ დაეპატიმრებინა (აქტები, 1990, გვ.318-319).

დეკრეტის მიღების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს სოციალისტ-რევოლუციონერებმა, რომელსაც მხარი არ დაუჭირეს სხვა ოპოზიციურმა ფრაქციებმა. სპირიდონ კედიამ (ე. დ.) აღნიშნა, რომ საერთოდ, „საჭირო არ უნდა ყოფილიყო ამ დეკრეტის გარშემო დიდი კამათის გაჩაღება“ და ესერების წარმომადგენელმა ლეო შენგელაიამ „დააშავა დამფუძნებელი კრების და ქვეყნის წინაშე“ იმით, რომ „საქართველოს მტრების წინააღმდეგ“ საბრძოლველი „ერთადერთი აუცილებელი ღონისძიება“ მიზანშეუწონლად გამოაცხადა (ოქმები, ტ. IV, გვ.45-46).

უცხოური პარტიების მტრული საქმიანობა

ნოე რამიშვილის თქმით, დეკრეტი, რომელიც კრძალავდა „უცხო სახელმწიფოებში მოქმედ ცენტრალურ ორგანოს დირექტივების თანახმად“ პირველ რიგში ეხებოდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საქართველოში. მისი ადგილობრივი ორგანო - საოლქო კომიტეტი კავკასიაში მოქმედებდა მოსკოვიდან მიღებული დირექტივების თანახმად და ასრულებდა „მის სტრატეგიულ დავალებებს“ (ოქმები, ტ. IV, გვ.44). მაგრამ, ბოლშევიკების გარდა, საქართველოში მოქმედებდნენ სხვა რუსული პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლების ასევე არ ღებულობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ესენი იყვნენ „რუსული სოციალისტური პარტიები ესერების და მენშევიკების“. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შექმნის შემდეგ, საქართველოში მოქმედებას აგრძელებდნენ შესაბამისი რუსული პარტიების ორგანიზაციები, რომელთა წევრებმაც უარი თქვეს ახლადშექმნილ ქართულ პარტიებში გაწევრიანებაზე. ასევე საქართველოში დარჩენილი ან შემოსული იყვნენ რუსეთის წამყვანი ბურჟუაზიული პარტიის, - კონსტიტუციურ დემოკრატების (კადეტების) წევრებიც.

სერგი ჯაფარიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, საქართველოში შეუძლიათ ცხოვრება „ისეთ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებსაც არ შეუძლიათ იმოქმედონ და იცხოვრონ რუსეთში“, მაგრამ ერთი პირობით, - ისინი არ უნდა ერეოდნენ საქართველოს „შინაურ ცხოვრებაში, არ იმოქმედონ ჩვენ სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ“ (ოქმები, ტ.IV, გვ.38).

საქართველოში მოქმედ რუსულ პარტიებს, „რომლებიც არ სცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას“, დამფუძნებელ კრებაში დამცველი გამოუჩნდა ესერთა ფრაქციის სახით. ლეო შენგელაიამ (ს. რ.) სამი არგუმენტი მოიშველია:

ა/ საქართველოში არსებული რუსული პარტიების, - ესერებისა და „მენშევიკების“ ადგილობრივი ორგანიზაციები, „არ მოქმედებენ თანახმად იმ ტაქტიკისა“, რაც უკავიათ რუსეთის ესერებისა და მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტებს. „რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერების და რუსეთის მენშევიკების ცენტრალური კომიტეტები, არ იქნებიან იმის მომხრე, რომ ჩვენში რუსი ესერები და რუსი მენშევიკები გამოვიდნენ იარაღით ხელში სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ“. პირიქით, ისინი სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას (ოქმები, ტ. IV, გვ.41).

ბ/ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა ჯერ ბოლომდე გამორკვეული არ იყო. პარიზის საზავო კონფერენციას ჯერ არ უცვნია საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოში მოქმედ რუსულ პარტიებს ჰგონიათ, რომ „კონფერენცია არ იცნობს“ საქართველოს დამოუკიდებლობას და საქართველო ისევ რუსეთის ფარგლებში მოექცევა. ამიტომ საქართველოში არ-

სებულ „რუსულ პარტიებს არ სურთ დაშალონ თავიანთი ორგანიზაციები“. ლეო შენგელაია ირწმუნებოდა, რომ „როგორც კი საზავო კონფერენცია იცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას, ეს პარტიები თავიანთ პოზიციას შეცვლიან“ (ოქმები, ტ. IV, გვ.42).

გ/ მმართველი პარტიის, - სოციალ-დემოკრატიის, „ორჭოფი პოლიტიკა“ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. ნოე ჟორდანიას ზოგიერთი განცხადება, გაზეთ „ერთობაში“ და „ბორბაში“ დაბეჭდილი „არა ერთი ორჭოფი წერილი“ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ „ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, ისეთ ატმოსფერას, თითქოს ჩვენ სხვათა შორის უყურებთ დამოუკიდებლობას, თითქოს მმართველი პარტია არაა წინააღმდეგი, რომ ჩვენ ისევ რუსეთს შეუერთდეთ ფედერატიულ ნიადაგზე“. ლეო შენგელაიას განცხადებით, თუკი პერსპექტივაში განიხილება რუსეთთან ფედერაციული შეკავშირება, მაშინ „სრულიად უაზროა გამოვსცეთ სასტიკი დეკრეტი იმ რუსულ პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც სწორედ რუსეთთან ფედერაციას მოითხოვენ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.42).

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა არასწორად მიიჩნია ლეო შენგელაიას არგუმენტი, თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობის „ცნობისა და განმტკიცების“ შემდეგ რუსული პარტიული ორგანიზაციები საქართველოში „თავისთავად მოისპობა და გაუქმდებაო“. საქართველო სახელმწიფოებრივად უნდა განმტკიცდეს ჯერ „ქვეყნის შიგნით“, რომ სხვა სახელმწიფოებმა იცნონ მისი „დამოუკიდებელი არსებობა“. ნოე რამიშვილმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში ემიგრანტულ ჯგუფებს არა აქვთ უფლება ჩაერიონ „ამ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში“ და იბრძოლონ „არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.44).

შალვა ნუცუბიძემ (ს. ფ.) აღნიშნა, რომ ლეო შენგელაია „ბუნდოვანი არგუმენტებით“ გამოვიდა და „ბევრი ბუნდოვანება შეიტანა, მაგრამ ნათელ საკითხს მაინც ვერაფერი ვერ დააკლო“ (ოქმები, ტ. IV, გვ.48). თუ პარტიები, რომელთა დასაცავადაც ლეო შენგელაია გამოვიდა, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არ გამოდიან, მათ არაფერი ემუქრებათ, საქართველოდან გაძევებული იქნება „ისეთი ხალხი, რომელნიც ძირს უთხრიან ჩვენს დამოუკიდებლობას“ (ოქმები, ტ. IV, გვ.48).

სანქციები მტრულად განწყობილი უცხოელების მიმართ

დეკრეტი მიმართული იყო არა მხოლოდ უცხოური პოლიტიკური ორგანიზაციების, არამედ იმ უცხოელების მიმართ, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ, მაგრამ რომელთა მოქმედებაც „საზიანოდ იქნებოდა მიჩნეული სახელმწიფო ინტერესების მიხედვით“ (ოქმები, ტ.IV, გვ.38). მარტო თბილისში, ქალაქის მოურავის ბენია ჩხიკვიშვილის ინფორმაციით ცხოვრობდა 100 ათასზე მეტი უცხოელი (ოქმები, ტ. IV, გვ.40). შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის განმარტებით, დეკრეტი შეეხებოდა მხოლოდ „სპეკულანტებს და უსაქმო პირებს“, რომლებიც „უცდიან ხელსაყრელ პირობებს, რომ გამოიწვიონ არევ-დარევა და რომლებსაც სურთ ისარგებლონ ამ ანარქიით ჩვენ წინააღმდეგ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.45).

დეკრეტის ამ მუხლის წინააღმდეგაც გაილაშქრეს ესერებმა. ლეო შენგელაიას განცხადებით, სახელმწიფო ინტერესი არ მოითხოვდა „უცხოელების წინააღმდეგ მიმართული აქტის“ მიღებას, რასაც შეიძლება გაერთულებინა საქართველოს საერთაშორისო აღიარება და საქართველოს მტრებს მისცემდა „დიდ საბაბს“ საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციების მოსაწყობად, დეკრეტი ბოლშევიკებს მისცემდა ახალ კადრებს (ოქმები, ტ. IV, გვ.42).

ესერებისთვის ამ საკითხშიც მხარი არავის დაუჭერია. სპირიდონ კედიამ (ე. დ.), პირიქით, აღნიშნა, რომ დეკრეტი „ძლიერ გვიან“ იყო შემოტანილი და ეროვნულ-დემოკრატები ჯერ კიდევ 1918 წელს მოითხოვდნენ „საქართველოს დედა ქალაქი დაცლილი ყოფილიყო აუარებელ მავნე ელემენტებისაგან“ (ოქმები, ტ. IV, გვ.46). სპირიდონ კედიამ ხაზი გაუსვა, რომ თბი-

ლისში „მრავალი ანტი-ქართული ელემენტები“ მოქმედებდა „საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეის წინააღმდეგ“ და თუკი საქართველოს ინტერესები მოითხოვს, „ეს ზომა მოყვანილი უნდა იყვეს სისრულეში უშიშრად და სიმტკიცით“ (ოქმები, ტ. IV, გვ.46-47).

იგივე აზრის იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი შალვა ნუცუბიძეც. მისი თქმით, ნორმალურ პირობებში „სოციალისტების ნახევარიც არ მისცემდა ხმას ამ დეკრეტს“, მაგრამ შექმნილ პირობებში, „უნდა იქმნას მიღებული რადიკალური ზომები თფილისის გასაწმენდათ“ (ოქმები, ტ. IV, გვ.47).

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა დამფუძნებელი კრების წევრებს მიმართა, რომ მათ წინაშე არჩევანი იყო: ან უნდა მიეღოთ ის ზომები, რომლებიც მიმართული იყო „მტრების ასალაგმად“, ანდა დაეჯერებინათ ლეო შენგელაიასთვის და „მიეღოთ გზა ძველებური ქართველური ხელგაშლილობისა, პოლიტიკური დამონებისა და გადაგვარებისა“ (ოქმები, ტ. IV, გვ.45). დამფუძნებელმა კრებამ წარმოდგენილი დეკრეტი მიიღო ყველა ფრაქციის მხარდაჭერით, გარდა ესერებისა. დეკრეტი „ანარქიის საწინააღმდეგო ზოგიერთი ზომისა“ ამოქმედდა 1919 წლის 21 ნოემბრიდან.

22.5. სასჯელი შეიარაღებულ ძალებში ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებისათვის

ახალი რეალობა ბოლშევიკური აგიტაციისათვის

დამფუძნებელი კრება ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროების წინაშე 1920 წლის ზაფხულში აღმოჩნდა. საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, საქართველოს ხელისუფლებამ მოახდინა ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზაცია. კომუნისტებმა საქართველოში გამოაცხადეს „დამოუკიდებელი“ კომუნისტური პარტიის შექმნა, ვითომ ისინი უკვე აღარ მოქმედებდნენ მოსკოვიდან მიღებული მითითებებით და უკვე ლეგალურად გააგრძელეს აქტიური მუშაობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასამხობად. შექმნილი ვითარება რომ საბჭოთა რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა, ამის თაობაზე ესერები პირდაპირ მიუთითებდნენ სოციალ-დემოკრატებს. საკმარისია დავიმოწმოთ ესერთა რეპლიკები დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 ივლისის სხდომიდან, - შენგელაია: „ეს თქვენი ზავის შედეგია!“ ლორთქიფანიძე: „ურატაძეს ჰკითხეთ!“ (ოქმები, ტ. VII, გვ.150). ივანე ლორთქიფანიძე მიუთითებდა ამ ხელშეკრულების ძალით ბოლშევიკების ლეგალურ არსებობაზე: „თუ ამ ორგანიზაციას ლეგალურად შეუძლიან არსებობა, როგორ შეიძლება აგიტაციისათვის ის დავხვრიტოთ?“ (ოქმები, ტ. VII, გვ.153).

დამფუძნებელი კრების აღნიშნულ სხდომაზე განსახილველად გამოიტანეს კანონ-პროექტი „ჯარში ან სახალხო გვარდიაში აგიტაციისათვის სასჯელის გადიდების შესახებ“. მომხსენებელმა ზაქარია გურულმა (ს. დ.) აღნიშნა, რომ 1918 წლის 5 ივლისს საქართველოს პარლამენტს მიღებული ჰქონდა კანონი დროებითი სიკვდილით დასჯის შესახებ, მაგრამ აღნიშნული კანონი ვერ ფარავდა „ერთ განსაკუთრებულ ბოროტმოქმედებას“, რომელიც „სისტემად გადაიქცა“ და ცდილობს „არსებული დემოკრატიული წყობილების“ დამხობას. ეს იყო „აგიტაცია ჯარსა და გვარდიაში და საზოგადოდ, შეიარაღებულ ძალაში“ (ოქმები, ტ. VII, გვ.135).

იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის განცხადებით, იდეა მომდინარეობდა სამხედრო წრეებიდან, მათი ინიციატივით აღიძრა საკითხი თავდაცვის საბჭოში, შემდეგ მთავრობაში და გადაეცა იუსტიციის მინისტრს, რომელმაც კანონ-პროექტი შეიმუშავა (ოქმები, ტ. VII, გვ.149). დამფუძნებელ კრებაში კი განიხილა და მოიწონა სამხედრო და იურიდიულმა კომისი-

ებმა. კანონპროექტი შეიარაღებულ ძალებში ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებისთვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა: „ვინც ჯარისკაცს, სახალხო გვარდიელს, ოფიცერს ან სხვა სამხედრო სამსახურში მყოფ პირს, ნაწილს ან რაზმს, ან რესპუბლიკის სხვა შეიარაღებულ ძალას მოუწოდებს სიტყვით ან წერილობით, საჯაროდ ან ფარულად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წესწყობილების შესაცვლელად ან მის მთავრობის ჩამოსაგდებად, ის ისჯება სიკვდილით“ (ოქმები, ტ. VII, გვ.139). ეს იყო დროებითი, განსაკუთრებული ზომა.

ესერები და ფედერალისტები კანონპროექტის წინააღმდეგ

კანონპროექტის წინააღმდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაილაშქრეს სოციალისტ-რევოლუციონერებმა. ივანე გობეჩიამ (ს. რ.) სიკვდილით დასჯის ინსტიტუტს „საზიზღარი და სამარცხვინო“ უწოდა და შეუძლებლად მიიჩნია სოციალისტური პარტიის მხრიდან „იდეურ მოწინააღმდეგეთა აზრები, მოძღვრების და იდეების გავრცელების წინააღმდეგ“ მისი გამოყენება (ოქმები, ტ. VII, გვ.136).

ფედერალისტთა წარმომადგენელი სამსონ დადიანი არ გამორიცხავდა, რომ „ხვალ და ზეგ უსასტიკესი ზომებით დაგვჭირდეს დაცვა თავისუფლებისა და არსებობისა“, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ჯერ არ არსებობდა ისეთი მდგომარეობა, რომ მიემართათ „ამ უკიდურესი ზომისათვის“ (ოქმები, ტ. VII, გვ.148).

კამათში მონაწილეობა მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებს არ მიუღიათ, ესერებსა და ფედერალისტებს კი სოციალ-დემოკრატმა ორატორებმა უპასუხეს. იუსტიციის მინისტრმა რაჟდენ არსენიძემ აღნიშნა, რომ არასწორი იყო კანონის ინტერპრეტაცია ესერების მიერ. სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო არა ზოგადად მთავრობის კრიტიკისათვის, რაზეც ესერები საუბრობდნენ, არამედ ჯარისა და გვარდიის მოწოდებისათვის დემოკრატიული რესპუბლიკის შესაცვლელად და მთავრობის ჩამოსაგდებად“ (ოქმები, ტ. VII, გვ.145). ზაქარია გურულის (ს. დ.) განცხადებით, კანონში ლაპარაკი აგიტაციაზე კი არ იყო, არამედ მთავრობის დამხობისაკენ მოწოდებაზე. ასეთი მოწოდება არსებული კანონებითაც დანაშაულად იყო ცნობილი, ახალი კანონი ზრდიდა სასჯელის ზომას (ოქმები, ტ. VII, გვ.157). რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) აღნიშნა, რომ არსებულ ვითარებაში ეს „ერთ-ერთი ზომათაგანი“ იყო სახელმწიფოს თავდაცვისათვის (ოქმები, ტ. VII, გვ.149).

მკაცრად შეაფასეს კანონის მიღების მოწინააღმდეგენიც. გრ. ცინცაბაძის (ს. დ.) თქმით, დეკრეტის წინააღმდეგ ამხედრდნენ „მობოლშევიკო ესერ-ფედერალისტების ჯგუფი“ (ოქმები, ტ. VII, გვ.156). ზ. გურულმა ესერები „ბოლშევიკების მონათესავე პარტიად“ გამოაცხადა (ოქმები, ტ. VII, გვ.157). რაჟდენ არსენიძის განცხადებით, ესერების მიზანი იყო „ყველა სახელმწიფოს მოწინააღმდეგეთა და ბოროტ-მოქმედთა დაცვა, განსაკუთრებით კი ბოლშევიკებისა“ (ოქმები, ტ. VII, გვ.143).

რატომ არ დახვრიტა მეფე ნიკოლოზმა ნოე ნიკოლოზის ძე

ივანე გობეჩიამ (ს. რ.) წარმოდგენილი კანონპროექტის წინააღმდეგ ერთ არგუმენტად ის გამოიყენა, რომ თავის დროზე ნოე ჟორდანიას „მეფის სასამართლომ წარმოდგენილ კანონპროექტში ნაგულისხმევ ნაწერებისთვის მხოლოდ სამი წლის ციხე გადაუწყვიტა“. სოციალ-დემოკრატების მიერ დამფუძნებელ კრებაში შეტანილი კანონით კი „ის დიდი ხანია დახვრეტილი იქნებოდა“. გობეჩიას განცხადებით, ნიკოლოზის მთავრობა „იდეურ მოწინააღმდეგეებთან - სოციალისტებთან - ბრძოლაში... უფრო წინდახედული და თავდაჭერილი იყო, ვიდრე მენშევიკური პარტია თავის მომმე სოციალისტურ პარტიებთან ბრძოლაში“ (ოქმები, ტ. VII, გვ.137).

მას უპასუხა ზაქარია გურულმა, რომელმაც გობეჩიას ეს მაგალითი მიიჩნია არევ-დარევად „შინაარსის გაგებისა“. კერძოდ, „ნოე ჟორდანია სწორედ იდეების გავრცელებისათვის და-

საჯეს. იქ იყო კრიტიკა და ეს არ მოსწონდათ. იქ იყო მეცნიერული კრიტიკა, აქ აშკარად არის ნათქვამი, რომ ისჯება მოწოდებისათვის მთავრობის ჩამოსაგდებად“ (ოქმები, ტ. VII, გვ.157).

ესერებს ტერორისტული წარსული გაუხსენეს

როდესაც ესერები კანონპროექტის განხილვის დროს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, სოციალ-დემოკრატებმა მათ თავიანთი წარსული გაახსენეს, როდესაც ესერთა პარტია რუსეთის იმპერიის არსებობის დროს ტერორს ბრძოლის ფორმად მიიჩნევდნენ. ივანე გობეჩიას ერთხელ სიტყვა პეტრე გელეიშვილის (ს. დ.) რეპლიკამ შეაწყვეტინა: „რატომ მაშინ არ ფიქრობდით, როცა ტერორს აწარმოებდით?“ (ოქმები, ტ. VII, გვ.138). რაჟდენ არსენიძემ „ულოღიკობად“ მიიჩნია ესერების ძველი მეთოდი, „როცა ტერორით ფიქრობენ სახელმწიფოს დანგრევას“ (ოქმები, ტ. VII, გვ.143). სერგი ჯაფარიძემ კი აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კანონ-პროექტის რედაქცია ამოღებული იყო „რუსეთის დროებითი მთავრობის კანონიდან. დროებით მთავრობაში მაშინ იუსტიციის მინისტრად იყო ესერი კერენსკი. ეს რედაქცია იყო ესერების რე-დაქცია, რომლითაც ამ შემთხვევაში ჩვენ ვიხელმძღვანელეთ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.150).

ვისი აღსასრულის დღე მოახლოვდა

ივანე გობეჩიამ (ს. რ.) კანონპროექტის განხილვის დროს თავისი სიტყვა ხელისუფლების მოახლოებული დამხობის თაობაზე განცხადებით დაამთავრა: „ასეთი ზომებით და ასეთი კა-ნონებით მმართველი პარტია ვერ შეინარჩუნებს თავის ბატონობას. და თუ ჩვენ სოციალ-დე-მოკრატიას ასეთი კანონების მიღება სჭირდება სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების შესანარ-ჩუნებლად, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას ამ ტრიბუნიდან: „დადგა თქვენი ხალხზე ბატო-ნობის აღსასრულის დღე“ (ოქმები, ტ. VII, გვ.141), რასაც დარბაზში ხმაური მოჰყვა.

ესერებს ზაქარია გურულმა (ს. დ.) უპასუხა. მისი თქმით, „ამ ორი წლის განმავლობაში“ ესერები სისტემატიურად ლაპარაკობდნენ სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების აღსას-რულის მოახლოებაზე. ზაქარია გურულის განცხადებით, სინამდვილეში „დემოკრატიული რესპუბლიკა უფრო განმტკიცდება“ და ესერები „ხახა-მშრალი“ დარჩებიან და სწორედ მათი აღსასრულის დღე მოახლოვდება. თავისი სიტყვა ზაქარია გურულმა ესერებისადმი მიმარ-თვით დაასრულა: დამფუძნებელ კრებაში „თქვენ ჩამოხვედით ექვსიოდე სავარძლამდე, ჩა-მოხვალთ ორამდე და ჩქარა შეიძლება ერთი ადგილი აღარ დაგრჩეთ აქ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.158).

22.6. ანარქიის წინააღმდეგ მებრძოლი სტრუქტურები

ანარქიის წინააღმდეგ მებრძოლ ერთ-ერთ სტრუქტურას წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმი, რომლის დანიშნულებაც იყო ანარქიასთან, სპეკულაციასთან და კონტრრევოლუციასთან ბრძოლა. რაზმი დაარსდა 1918 წელს. საქართველოს პარლამენტმა მისი უფლებამოსილება 6 თვით განსაზღვრა. 1918 წლის 28 იანვარს პარლამენტმა კიდევ 6 თვით გააგრძელა მისი საქმიანობა. 1919 წლის 1 ივლისს ეს ვადა ამოიწურა და მთავრობამ დამფუძნებელი კრების წინაშე იშუამდგომლა, რომ „განსაკუთრებული რაზმის არსებობა კვლავ კიდევ დაკანონდეს 6 თვის ვადით“ (ოქმები, ტ. III, გვ.42).

მომხსენებელმა იოსებ ირემაშვილმა (ს. დ.) აღნიშნა, რომ განსაკუთრებულმა რაზმმა „თავის დანიშნულება გაამართლა“ (ოქმები, ტ. III, გვ.43) და მხარი დაუჭირა მისთვის ვადის გაგრძელებას. რაზმის წინააღმდეგ, ტრადიციულად, ესერებმა გაილაშქრეს. ლეო შენგელაიას (ს. რ.) განცხადებით, ეს რაზმი რევოლუციის დამცველი ორგანო კი არა, „ნამდვილი კონტრ-

რევოლიუციონერების ბუდე“ იყო. მისივე თქმით, „რუსეთის ოხრანკასა და ბ. რამიშვილის საგანგებო რაზმს შორის არავითარი განსხვავება არც შემადგენლობით, არც მოქმედების მეთოდებით“ არ არსებობდა (ოქმები, ტ. III, გვ.43) შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა აღნიშნა განსაკუთრებული რამზის დამსახურებები, მათ შორის „დენიკინის მომხრეებთან ბრძოლა“, განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული რუსეთის ესერების და კადეტების წინააღმდეგ. მინისტრის თქმით, ასეთი ზომები შემდგომშიც იქნებოდა მიღებული „ყოველ იმ ჯგუფთა წინააღმდეგ, რომელნიც უარყოფენ ჩვენ დამოუკიდებლობას და სცდილობენ მის დამხობას“ (ოქმები, ტ. III, გვ.47). ესერების წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღეს დეკრეტი რაზმის უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ. იოსებ ირემაშვილის განცხადებით, ეს რაზმი კი არ უთხრიდა ძირს „ჩვენ დემოკრატიულ წესწყობილებას“, არამედ ესერების მსგავსი გამოსვლები (ოქმები, ტ. III, გვ.51).

1919 წლის 30 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ კვლავ განიხილა რაზმის მოქმედების ვადის გახანგრძლივების საკითხი. მოხდა გარკვეული ცვლილებებიც. თუ ადრე რაზმში 20 თანამშრომელი იყო, მათი რიცხვი 40-მდე გაიზარდა. ამასთან თუ ადრე რაზმი მხოლოდ თბილისში მოქმედებდა, ახლა მისი საქმიანობა მთელ რესპუბლიკაზე ვრცელდებოდა (ოქმები, ტ. IV, გვ.351).

რაზმის არსებობის წინააღმდეგ კვლავ გაილაშქრეს ესერებმა. ლეო შენგელაიას (ს. რ.) განცხადებით, „საგანგებო და საეჭვო რაზმების არსებობა ეწინააღმდეგება უფლებრივ სახელმწიფოს ელემენტარულ ცნებას“ (ოქმები, ტ. IV, გვ.352), რაზმის უფროსები „ყოფილი ბოქაულები და სიშჩიკები“ იყვნენ და როგორ უნდა ებრძოლათ კონტრრევოლუციასთან, როდესაც „თვითონ შესდგება კონტრ-რევოლიუციონერებისაგან“ ოქმები, ტ. IV, გვ.354). ნოე რამიშვილს კვლავ მოუხდა რაზმის მნიშვნელობაზე საუბარი. მისი თქმით, სწორედ „საგანგებო რაზმმა მოგვცა საშუალება გაგვეგო უმთავრესი ნაბიჯები ბოლშევიკების მოქმედებისა“ ოქმები, ტ. IV, გვ.356).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობას ცდილობდა გარეშე პოლიტიკური ძალა, რომელიც ეყრდნობოდა თავის აგენტურას საქართველოში და „უკმაყოფილო ელემენტებს“, რომელთა რაოდენობის გაზრდასაც ყოველნაირად ცდილობდა ეს აგენტურა. კანონის თანახმად „ჯაშუშად ჩაითვლება ყველა ის, ვინც საქართველოს ჯარის, გვარდიის და სხვა რაიმე დაწესებულების ცნობებს აგროვებს, რომ გადასცეს სხვა სახელმწიფოს მთავრობას“ (ოქმები, ტ. VI, გვ.401).

ჯაშუშობასთან ბრძოლის საკითხი დაევალა გენერალურ შტაბთან არსებულ „დამზვერავ ნაწილს“, რომელმაც დაამტკიცა, რომ „მას დიდი ცოდნაც და გამოცდილებაც აქვს ამ დარგში“ (ოქმები, ტ. VI, გვ.401). თუმცა, მალევე, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 8 ივნისის სხდომაზე გამოცხადდა, რომ იუსტიციის სამინისტრომ ითხოვა კანონ-პროექტის უკან დაბრუნება „მისი დეტალურად შემუშავებისთვის“ (ოქმები, ტ. VI, გვ.450).

22.7. მემარცხენე ოპოზიციის ბოლშევიკური გავლენის ქვეშ მოქცევა

დამფუძნებელ კრებაში არსებული მემარცხენე ოპოზიცია, - ესერები და ფედერალისტები - სოციალ-დემოკრატებს იმის გამო უპირისპირდებოდნენ, რომ „დაუყოვნებლივ“ არ იწყებდნენ „სოციალიზმის მშენებლობას“ საქართველოში. მათთვის ბოლშევიკური რუსეთი, ბოლშევიკური რეჟიმის მიერ მოპოვებულ წარმატებებთან ერთად, სულ უფრო მიმზიდველი ხდებოდა.

რა ხდება ბოლშევიკების მოახლოებისას

ი. სალაყაია (ს. დ.) დამფუძნებელი კრების 1920 წლის 2 მარტის სხდომაზე გამოსვლის დროს ერთ „კანონზომიერებას“ აღნიშნავდა, რაც რუსეთში გამოვლინდა, - ბოლშევიკების მიახლოებასთან ერთად, „სხვა პარტიები იცვლიდნენ აზრს“ (ოქმები, ტ. V, გვ.381). მისი აზრით, ამ კანონზომიერებამ საქართველოს საზღვრებთან ბოლშევიკების მოახლოებასთან ერთად, დამფუძნებელ კრებაშიც იჩინა თავი. მისი თქმით, ილია ნუცუბიძის (ს. რ.) და სამსონ დადიანის (ს. ფ.) გამოსვლები, „მთელი ეს აზროვნება შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ახლოს არიან ბოლშევიკები“, - „ალბათ ასე მოსდის ჩვენ ოპოზიციასაც“ (ოქმები, ტ. V, გვ.381).

ი. სალაყაიამ დაინახა საფრთხე, რომ ბოლშევიკების გავლენის ქვეშ მოქცეულ ოპოზიციას შეიძლება ხელისუფლებაში მოსვლაზეც ეფიქრათ და ამის მისაღწევად გარეშე ძალა, - რუსეთის ბოლშევიკები გამოეყენებინათ. ი. სალაყაია (ს. დ.) იმავე სხდომაზე ესერებს მიმართავდა: „თქვენი გაბატონება და თქვენი გამარჯვება ჩვენში შეიძლება მხოლოდ გარეშე ძალის წყალობით, რომელიც არსებითად მტერია საქართველოსი, ასეთი მაგალითები ყოფილა. რომელ ძალაზე გსურთ თქვენ დაეყრდნოთ, თუ არა გარეშე და უცხო ძალაზე“ (ოქმები, ტ. V, გვ.381).

რუს ბოლშევიკებს საქართველოზე თავდასხმის დროს ასეთ სცენარზე არ უფიქრიათ და საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმი დაამყარეს, მაგრამ თავიდან, სანამ პოზიციებს განიმტკიცებდნენ, გამოიყენეს მემარცხენე პარტიების ის ფრაქციები, რომელთაც შესაძლებლად ჩათვალეს „საბჭოთა პლატფორმაზე“ დადგომა. მაგრამ ეს იყო შემდეგ.

ბოლშევიკების ქება ფედერალისტი თედო ღლონტის მიერ

1920 წლის გაზაფხულიდან კი მემარცხენე ოპოზიციის მხრიდან დამფუძნებელი კრების სხდომებზე ბოლშევიკების პირდაპირი ქება ისმოდა. დამახასიათებელია დამფუძნებელი კრების 1920 წლის 28 ივლისის სხდომა, სადაც თედო ღლონტი (ს. ფ.) სიტყვებს არ იშურებდა ბოლშევიკური რეჟიმის შესაქებად და ამაოდ ცდილობდნენ სოციალ-დემოკრატები მის შეჩერებას:

„თ. ღლონტი: მე ვამბობ, ბოლშევიკებს დიდი პერსპექტივები აქვთ.

ვ. თევზაია: ნუ შესტოპავ, ფრაქციის წარმომადგენელი ხარ!

ხმა ადგილიდან: სოვდეპიაში რა არის?

თ. ღლონტი: სოვდეპიას ვერც საზოგადო მეურნეობაში, ვერც საზოგადო თანხების მოვლაში, ვერც ერთ დარგში ვერ დასცინებთ... ამ ხალხმა შესძლიო ის, რომ...

ხმა ადგილიდან: დაანგრია რუსეთი!

თედო ღლონტი: მას დღეს ანგარიშს უწევს ევროპა.

ხმაურობა, თავმჯდომარე ზარს რეკავს.

თედო ღლონტი: რუსეთმა, რომელსაც გროშიც არ მიუღია უცხოეთიდან, შესძლო წარმოების და საკუთრების ტრანსფორმაციის საკითხის ისე დაყენება, როგორც ეს საჭირო იყო...

ლ. ნათაძე: თქვენი ფრაქცია იზიარებს თქვენს აზრს?“ (ოქმები, ტ. VII, გვ.180-181).

ნოე ხომერიკი შემდეგ აღნიშნავდა, რომ თედო ღლონტი „ასე შეყვარებულია ბოლშევიკებზე“ (ოქმები, ტ. VII, გვ.239).

სოციალისტ-რევოლუციონერთა „გაბოლშევიკება“

თედო ღლონტის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე კი რუსია (ს. დ.) სოციალისტ-რევოლუციონერებს მიმართავდა: „თქვენი უმეტესობა, დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკები ხართ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.154).

ესერების „გაბოლშევიკება“ ხელისუფლების შეშფოთებას იწვევდა. გრიგოლ გიორგაძემ (ს. დ.) დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 ივლისის სხდომაზე ილაპარაკა ქართველი და რუსი კომუნისტების საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედების გააქტიურების შესახებ. „ჩვენი

ქვეყნის დაუძინებელი მტერი, თავიანთი მოსყიდული აგენტებით, მილიონამდე ფულს ხარჯავენ, რათა ხალხში უკმაყოფილება გააძლიერონ, სისხლის ღვრას და არევ-დარევას შეუწყონ ხელი“ (ოქმები, ტ. VII, გვ.45). ასეთ დროს ყველა მოქალაქე და მით უმეტეს დეპუტატი, მოვალეა, უფრო მეტად დაეხმაროს მთავრობას „ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებაში“ (ოქმები, ტ. VII, გვ.45). ესერები კი, გრიგოლ გიორგაძის განცხადებით, ასე არ იქცეოდნენ, - „თქვენ ასე არ იქცევით, მეტადრე მას შემდეგ, რაც ბოლშევიკები მოახლოვდნენ ჩვენ საზღვარს წითელი აზერბაიჯანის სახით, აქ ერთი ათად გაძლიერდა ჩვენ რესპუბლიკის წინააღმდეგ მუშაობა... თქვენ აქ პარლამენტში ბოროტად სარგებლობთ იმ განუსაზღვრელი თავისუფლებით, რომელიც ჩვენში არის და თქვენ ამით მათ წისქვილზე წყალს ასხამთ, მათ ჩვენ წინააღმდეგ ზურგს უმაგრებთ“ (ოქმები, ტ. VII, გვ.45). მან მოიტანა აფხაზეთის მაგალითი, სადაც „ყველა ყოფილმა ბოლშევიკმა ესერებად გამოაცხადეს თავი“ (ოქმები, ტ. VII, გვ.44), „თითქმის ყველა დეზერტირმა მათ პარტიას შეაფარეს თავი“ (ოქმები, ტ. VII, გვ.46).

გრიგოლ გიორგაძემ ესერებს მიმართა, თუ მათი ასეთი მოქმედების პირობებში, როგორ გაერჩიათ ბოლშევიკებისაგან, - როცა „ჩვენ მთავრობას და მის მოღვაწეობას კონტრ-რევოლიუციონურს და რეაქციონურს უწოდებთ, რით გაგარჩიოთ ჩვენი მტრებიდან“ (ოქმები, ტ. VII, გვ.45).

თავი XXIII. საგარეო პოლიტიკის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (ოთარ ჯანელიძე, პაატა სურგულაძე)

დამფუძნებელი კრება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მერვე თვეში შეიქმნა. ამ ხნის განმავლობაში უკვე ჩამოყალიბდა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ინსტიტუციები – სამინისტროები, უწყებები, დეპარტამენტები და მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტრო (როგორც მაშინ ზოგჯერ უწოდებდნენ – გარეშე საქმეთა სამინისტრო). გამოიკვეთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზნები, პრიორიტეტები და მიმართულება, რომლებიც ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში იყო ხაზგასმული.

საყოველთაო არჩევნების გზით შექმნილ დამფუძნებელ კრებას, როგორც „ერის უზენაეს ბატონს“, უნდა განეგრძო ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობა და მისი დემოკრატიული განვითარება. კრების პრეროგატივა იყო ასევე, რესპუბლიკის საგრეო პოლიტიკის ვექტორის განსაზღვრაც.

საქართველოს დამფუძნებელ კრებაში საგარეო პოლიტიკის შესახებ საკითხი პირველად 1919 წლის 14 მარტს დაისვა. ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების მიზნებად რევოლუციის მონაპოვართა ნაყოფის განვითარება, მისთვის შესაფერი იურიდიული და პოლიტიკური კალაპოტის შექმნა და „მუდმივი საგარეო მყუდროების დამკვიდრების“ ამოცანა განსაზღვრა. მთავრობის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიპლომატიური საშუალებებით მოკავშირეებთან მეგობრული განწყობილება დაამყარა. „დელეგაცია საზავო კონგრესზე გავგზავნეთ და ჩვენ ეჭვი არ გვაქვს, იმაში, რომ ჩვენ ხალხთა ლიგაში შევალთ, როგორც სრულ უფლებიანი წევრი, მეზობელ რესპუბლიკებთან მეგობრული დამოკიდებულობით (ოქმები, ტ. I, გვ.30).

მმართველი პოლიტიკური ძალის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესვეურები მიიჩნევდნენ, რომ ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოსათვის საგარეო ურთიერთობაში საჭირო და აუცილებელი იყო „დემოკრატიულ ხაზის გატარება“, რომელიც არ იქნებოდა არც სოციალისტური და არც ვიწრო ბურჟუაზიულ-ნაციონალური ხასიათის (ოქმები, ტ. I, გვ.101).

იმ დროს „დემოკრატია“, განსაკუთრებით სოციალისტურ ლექსიკაში, ყველაზე ფართოდ გავრცელებული, შეიძლება ითქვას, მოდური სიტყვა იყო, რომლის შინაარსი არაერთ ცნებას აერთიანებდა. მათ შორის გამოიყენებოდა, დაბალი სოციალური ფენების, – მუშათა კლასის, გლეხობის, ორივეს ერთად სინონიმად, ხოლო ზოგჯერ ერის მნიშვნელობითაც კი. მაგალითად, როდესაც რომელიმე სოციალისტი დეპუტატი იტყოდა, რომ „დემოკრატიის უზენაესი წარმომადგენელი არის დამფუძნებელი კრება“, – ტერმინ დემოკრატიაში ერი იგულისხმებოდა.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა აზრით, საერთაშორისო პოლიტიკაში დემოკრატიულობა ნიშნავდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის „ძმობისა და სოლიდარობის“ პრინციპზე აგებას, რაც მნიშვნელოვანწილად იდეალისტური თვალსაზრისი იყო, მაგრამ თანხვდებოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დიდი სახელმწიფოების მიერ დეკლარირებულ ძლიერ სამშვიდობო მისწრაფებას. მსგავსი პოლიტიკა და საერთაშორისო წესრიგი შთაგონებული იყო და დაეფუძნა აშშ პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის მორალურ-სამართლებრივ კონცეფციებს, რომლის გამოხატულებასაც ერთა ლიგა წარმოადგენდა (სენარკლენი პ., არიფენი ი., 2014, გვ.25).

რაჟდენ არსენიძე დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხედვას ამ საკითხში ასე გამოხატავდა: „საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი ძარღვი უნდა იყოს საერთო მშვიდობიანობისადმი მისწრაფება“. მეზობლებთან სადავო საკითხები უნდა გადაიჭრას დიპლომატიური გზით, მოლაპარაკებით, შეთანხმებით, არბიტრაჟის მეშვეობით (ოქმები, ტ.I, გვ.101; 175).

მმართველი უმრავლესობის ამგვარი დოქტრინული ხედვის შემდეგ, შეიძლება უსაფუძვლოდ ჩანდეს ეჭვი, რომ თითქოს ნოე ჟორდანიას უკვე ერთპარტიული მთავრობა აპირებდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება გაძღოლოდა და სულაც არ იყო აუცილებელი რთულ დიპლომატიურ ლაბირინთებში გარკვევა 130-კაციან საკანონმდებლო ორგანოს ეკისრა, „მით უფრო, დამფუძნებელი კრების ოპოზიციას სცოდნოდა მთავრობის ყველა საიდუმლო“ (მამაცაშვილი გ., 2013, გვ.42).

ნოე ჟორდანიასა და მისი მთავრობის ზოგიერთ წევრს რომ მსგავსი თვალსაზრი ჰქონოდა, არ არის გამორიცხული თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს. მაგალითად, როდესაც 1919 წლის იანვარში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაცია პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიემგზავრებოდა, მთავრობის თავმჯდომარემ, ისე რომ მინისტრებთანაც კი არაფერი შეუთანხმებია, დელეგაციის მეთაურს კარლო ჩხეიძეს მოქმედების კონკრეტული გეგმა და ინსტრუქცია მისცა. დავალება ითვალისწინებდა, რომ თუ დიდი სახელმწიფოები ახლად წარმოშობილი ქართული რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღიარებისაგან თავს შეიკავებდნენ, დელეგაციას უფლება ჰქონდა ეზრუნა საერთაშორისო მანდატის მოსაპოვებლად და შეეძლო მიეღოთ ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პირობით. ნოე ჟორდანიას სიტყვებით: „წასვლის წინ კარლო მოვიდა ჩემთან და კიდევ ერთხელ გადავიკითხეთ ინსტრუქცია, მე ავიღე და პირველ გვერდზე დავაწერე, განზე დარჩენილ ცარიელ ადგილზე შემდეგი: თუ არც ერთი ეს პირობა არ იქნება მიღებული, მზად ვართ მივიღოთ ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობა, ოღონდ შინაურ საქმეებში ჩვენ დავრჩეთ სუვერენი. ეს რეზოლუცია არავისთვის გამინდვია, არავის გაუგია, ვიცოდით მხოლოდ მე და კარლომ ჩემი პასუხისმგებლობით“ (ჟორდანია ნ., 1990, გვ.95).

1920 წლის აპრილში, თბილისიდან მოსკოვში, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე გაიგზავნა. ეს მთავრობის თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილება იყო, რომელიც მან მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს გაუზიარა (ჟორდანია ნ., 1990, გვ.112). განაწესიც, რომლის თანახმადაც, წარგზავნილ დესპანს რუსეთისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება და საზღვრების ხელშეუხებლობა უნდა მოეთხოვა, მისთვის უშუალოდ ასევე ნოე ჟორდანიამ შეიმუშავა (ჟორდანია ნ., 1990, გვ.112).

ამის მიუხედავად, სოციალ-დემოკრატიულ აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეუცვლია ჯერ კიდევ კოალიციური მთავრობის დროს მოქმედი პრინციპი, რომლის თანახმად, დიპლომატიურ სამსახურში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, მათ შორის, მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები თუ მათთან იდეურად ახლო მდგომი უპარტიო ადამიანები. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ უპარტიოები: ზურაბ ავალიშვილი, მიხაკო წერეთელი, მიხეილ სუმბათაშვილი, გიორგი სიმონ სიდამონ-ერისთავი, არისტო ჭუმბაძე, გიორგი მაჩაბელი და დავით ღამბაშიძე, ფედერალისტები სიმონ მდივანი და გრიგოლ რცხილაძე, ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ალშიბაია და სხვ.

ფაქტია, რომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას დამფუძნებელ კრებაში ასარჩევი კომისიების ჩამონათვალში საგარეო საქმეთა კომისია არ შეუტანია, არადა, ამის სრული უფლება და

შესაძლებლობა ჰქონდა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტი ითვალისწინებდა მუდმივი და დროებითი კომისიების შექმნას. დროებითი კომისიების ოდენობა განსაზღვრული არ ყოფილა, მუდმივმოქმედი კომისია კი სულ 4 უნდა აერჩიათ, თუმცა დამფუძნებელ კრებას შეეძლო გაეზარდა მათი რიცხვი.

პირველი მუდმივმოქმედი კომისიები (სარეგლამენტო, საკონსტიტუციო, საბიუჯეტო-საფინანსო და სარედაქციო) საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მესამე სხდომაზე, 1919 წლის 18 მარტს ჩამოაყალიბეს (ოქმები, ტ. I, გვ.60-61). 29 მარტს შეიქმნა კიდევ 9 კომისია (შრომის, თვითმმართველობის, აგრარული, სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის, სამხედრო, იურიდიული, ხელოვნების, საგზაო) (ოქმები, ტ. I, გვ.152-157). სწორედ ამ დღეს გამოითქვა აზრი, რომ საჭირო იყო აერჩიათ ასევე, საგარეო საქმეთა კომისიაც. ინიციატორი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია იყო, რომლის თვალსაზრისი გიორგი გვაზავამ გამოხატა. მისი განმარტებით, საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ აუცილებლად მოითხოვს, თვალი ვადევნოთ მის ყოველმხრივ განვითარებს. ეს კი მეტად ძნელი და მძიმე საქმეა. საჭიროა მუდმივად ვიყოთ საქმის კურსში და დაგვიანებით არ ვიგებდეთ განვითარებული მოვლენების შესახებ. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს დამფუძნებელმა კრებამ, რისთვისაც უნდა შეიქმნას შესაბამისი კომისია (ოქმები, ტ. I, გვ.153).

ეს მოსაზრება არ გაიზიარა დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, რომლის წარმომადგენელმა ნოე ცინცაძემ განაცხადა, რომ მსგავსი კომისია პარლამენტში მართლაც არსებობდა, მაგრამ მას ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია. ახლანდელ პირობებში საგარეო საქმეთა კომისიას შეიძლება საინფორმაციოთ ხასიათი მიეცეს. მისი არჩევა საჩქარო არ არის. თუ შემდეგში ქვეყანა საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებას დადებს, „მაშინ ჩვენ ამის და მიხედვით ასეთ კომისიას ავირჩევთ. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხს მერმე განვიხილავთ“ (ოქმები, ტ. I, გვ.153-154).

ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა არა გიორგი გვაზავას, არამედ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოსაზრება: საქართველოს დამფუძნებელ კრებაში საგარეო საქმეთა კომისია არ ჩამოყალიბებულა (ოქმები, ტ. I, გვ.154).

ცნობილია, რომ დამფუძნებელ კრებაში სადეპუტატო მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას მმართველი პოლიტიკური ძალა – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ფლობდა. დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, სოციალ-დემოკრატებს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კვალიფიციური ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავდათ. ეს მათ საშუალებას აძლევდათ, იოლად გაევლოთ ნებისმიერი საპარლამენტო პროცედურა და ჰქონოდათ მხარდაჭერა არა მხოლოდ რიგითი კანონ-პროექტის ან დეკრეტის დასამტკიცებლად, არამედ კონსტიტუციის მისაღებად ან მასში ცვლილებების შესატანად და სხვ.

ამ ტიპის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრის თუ მისი განხორციელების მიმართულებითაც ოპოზიციის ნებისმიერი განსხვავებული შეხედულების დაძლევისა და საკუთარი თვალსაზრისის გამარჯვების სრულ გარანტიას უქმნიდა. ასე მოხდა საგარეო საქმეთა კომისიის საკითხთან მიმართებაშიც. უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მმართველი პარტიის მხარეს თითქოს ფორმალური ლოგიკაც იყო, რადგან საქართველოს პარლამენტში მოქმედ საგარეო საქმეთა კომისიას, მართლაც, თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ამას აქვს თავისი ახსნა. პარლამენტისა და ხსენებული კომისიის საქმიანობა სულ რაღაც ოთხი თვე გაგრძელდა (1918 წ. ოქტომბერი – 1919 წ. იანვარი). დროის ამ მონაკვეთში ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე ინტენსიური საგარეო პოლიტიკის წარმოებით. ამ პერიოდში საქართველოს დემოკ-

რატიულ რესპუბლიკას არც ერთ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ხელშეკრულება არ გაუფორმებია და არც რაიმე საკანონმდებლო ბაზა შემუშავებულა ქვეყნის საგარეო პოლიტიკისათვის. სწორედ ამ გარემოებას ეყრდნობოდა ნოე ცინცაძის თვალსაზრისი, რომ თუ დამფუძნებელ კრებაში საგარეო საქმეთა კომისია შეიქმნებოდა, მას მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი უნდა ჰქონოდა. სოციალ-დემოკრატ დეპუტატს არ დაუკონკრეტებია, რა იგულისხმებოდა „საინფორმაციო ხასიათში“. სავარაუდოდ, კომისია მოისმენდა ინფორმაციას აღმასრულებელი ხელისუფლების და კონკრეტულად, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ, რომელსაც ცნობად მიიღებდა.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია არ დააკმაყოფილა უმრავლესობის პასუხის არც ერთმა პუნქტმა – არც კომისიის შექმნის გადავადების წინადადებამ და არც ჩამოყალიბების შემთხვევაში, კომისიის უფლება-მოსილების საინფორმაციო ხასიათით შემოზღუდვამ. ეროვნულ-დემოკრატებმა საკითხი პერიოდული პრესის მეშვეობით, დამფუძნებელი კრების კედლებიდან გარეთ, ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გაიტანეს. მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის გარშემო „ტორტმანი და გამოურკვეველი ღელვა“ არ წყნარდება, საქართველო ვერ დარჩება დიდი საერთაშორისო პოლიტიკის გარეშე, ფხიზლად და წინდახედულად უნდა ვიმოქმედოთ, – წერდა პეტრე სურგულაძე გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში „დამფუძნებელი კრება და ჩვენი პოლიტიკა“. პოლიტიკოსის აზრით, „როცა მთელი ერი და მისი ტანჯვით მოპოვებული თავისუფლება ერთი შემცდარი ნაბიჯით შეიძლება განსაცდელში ჩავარდეს, უაღრესი მოვალეობა ჩვენი არის საგარეო საქმეებში ვიყოთ როგორც ერთი პიროვნება, შეთანხმებული და შეერთებული. ხოლო ასეთი შეთანხმება გულისხმობს, რომ ყოველთვის, ვიდრე დღეს რაიმე მძიმე დიპლომატიური ნაბიჯი გადაიდგმება, საქართველოს უმრავლესობის წარმომადგენელი მთავრობის პასუხისმგებელნი პირნი სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებსაც დაეკითხებიან და შეეცდებიან მათთან თანხმობით იმოქმედონ“. პეტრე სურგულაძე განმარტავდა, რომ „ასეთი მოქმედება პრაქტიკულადაც და ზნეობრივადაც აუცილებელია. ამიტომაც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამფუძნებელი კრება, ან უკეთ რომ ვთქვათ, მისი უმრავლესობა გაიაზრებდა ამ ელემენტარულ აზრს და იმ მრავალ კომისიათა შორის, რომელიც მან შექმნა, აუცილებლივ დააწესებდა საგარეო საქმეთა კომისიასაც. მაგრამ მოვსტყუვდით. ყოველგვარი კომისია ავირჩიეთ, ხოლო როცა მოვაგონეთ უმრავლესობას, საჭიროა საგარეო საქმეთა კომისიაც ავირჩიოთ, უარი მივიღეთ“.

წერილის ავტორი ცდილობდა აეხსნა და საზოგადოებისათვის განემარტა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მმართველი პარტიის უარის მოტივი. იგი გამორიცხავდა ვარაუდს, რომ „ამ მძიმე დროს ხელმძღვანელნი ერიდებიან ზოგიერთი საკითხის შესახებ წინასწარ, უდროოდ გახმაურებას“ და უფრო სარწმუნოდ დამფუძნებელი კრების უმრავლესობის წინდაუხედავობას მიიჩნევდა. პეტრე სურგულაძეს არ ტოვებდა განცდა, რომ ეს შეცდომა გამოსწორდებოდა, უახლოეს სხდომაზე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო ასეთ კომისიას ჩამოაყალიბებდა და დასძენდა: ამით „დამფუძნებელ კრებაში არსებულ ყველა საზოგადოებრივ მიმდინარეობას საშუალება მიეცემა, თვალყური ადევნოს საგარეო საქმეებს და შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიონ ამ მძიმე მომენტში ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელთ“ („საქართველო“, 4.04.1919).

ხსენებულ წერილს გამოხმაურება არ მოჰყოლია, ყოველ შემთხვევაში, პერიოდულ პრესაში ამის თაობაზე ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანიზაციაში საგარეო საქმეთა კომისიის არსებობას, რომ გიორგი გვაზავამ 1919 წლის 6 მაისს დამფუძნებელი კრებაში

კიდევ ერთხელ წამოჭრა ეს საკითხი. დეპუტატი კოლეგების დარწმუნებას საზღვარგარეთის სახელმწიფოთა გამოცდილების მოხმობით შეეცადა. აღნიშნავდა, რომ მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მქონე ქვეყნებიც კი ქმნიან თავისებურ ორგანოს, რომელსაც ავალებენ ხოლმე საერთაშორისო საქმის მოწესრიგებას. შვეიცარიაში ამ მიზნით მოქმედებს ფედერალური საბჭო; საფრანგეთში საერთაშორისო ხასიათის საკითხები პარლამენტის გარეშე არ წყდება; ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება მეტად ძლიერია, ორივე პალატა ცალ-ცალკე მაინც ირჩევს კომიტეტებს, რომლებსაც ევალებათ თვალყური ადევნონ საგარეო საქმეთა წარმოებასა და მოწესრიგებას.

გიორგი გვაზავას სიტყვებით, „დიდი სახელმწიფოები გარეშე საქმეთა წარმოებაში მარტო მინისტრს კი არ ემყარებიან; რაც უნდა ნიჭიერი იყოს ერთი კაცი, ყოვლად შეუძლებელია, მარტო მისი იმედით ვიყოთ და მარტო მას მივანდოთ მოწესრიგება და მოწყობა ყველა ამ საკითხებისა“. არ არის საკმარისი, რომ დამფუძნებელ კრებას აქვს ხელშეკრულებათა რატიფიკაციის უფლება, დეპუტატებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ თვით მოლაპარაკებებსა და პოლიტიკურ მიმართულების შემუშავებაში. ამისათვის კი საჭიროა შევქმნათ კომიტეტი, როგორც ამერიკაში, ან კომისია, როგორც ჩვენ უწოდებთ ხოლმე, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ყველა ფრაქცია.

გიორგი გვაზავამ წამოაყენა წინადადება, რომ პროპორციულ საფუძველზე ჩამოეყალიბებინათ 10 კაციანი კომისია (5 სოციალ-დემოკრატი, 2 ეროვნულ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი და 1 სოციალისტ-რევოლუციონერი), რომელსაც დაევალებოდა უშუალო მონაწილეობა საერთაშორისო საკითხების მოწყობაში და მის მოწესრიგებაში (ოქმები, ტ. I, გვ.343-345).

მმართველი პარტია ამჯერად დაეთანხმა ოპოზიციონერი დეპუტატის აზრს, მაგრამ გარკვეული ცვლილებით. თანხმობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ იმ ხანად თბილისში მიმდინარეობდა სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს პირველი კონფერენცია,[34] რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას მიეძღვნა. მათ შორის: ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტას, საერთო ძალებით დამოუკიდებლობის დაცვას, რკინიგზის, ფოსტა-ტელეგრაფის, მოსალოდნელი წინასწარი საფრთხის დროულად განმუხტვას და სხვ.

ილია ფირცხალაიშვილმა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ მხარს უჭერენ საგარეო საქმეთა დროებითი კომისიის შექმნას 8 წევრის შემადგენლობით. კრებამ სწორედ ეს წინადადება დაამტკიცა – ანუ უნდა ჩამოყალიბებულიყო დროებითი კომისია,[35] რომელიც იმავე სხდომაზე აირჩიეს შემდეგი შემადგენლობით: დიომიდე თოფურიძე, გერასიმე მახარაძე, იოსებ სალაყაია და კონსტანტინე ჯაფარიძე (სოციალ-დემოკრატები), სიმონ მდივანი (ფედერალისტი), გიორგი გვაზავა (ეროვნულ-დემოკრატი) და ივანე გობეჩია (ესერი) (ოქმები, ტ. I, გვ. 344-345).

1919 წლის 8 მაისს, თავის პირველ სხდომაზე, კომისიამ, რომელსაც უძღვებოდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, ჩამოაყალიბა კომისიის პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგე-

[34] კონფერენცია, რომელიც პერიოდულმა პრესამ „კავკასიის ერთა პირველ კონფერენციად“ მონათლა (გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 25 აპრილი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით იქნა მოწვეული და 1919 წლის 27 აპრილს გაიხსნა.

[35] დამფუძნებელი კრების რეგლამენტის თანახმად, დროებითი კომისია გაუქმებულად ითვლებოდა იმ დროიდან, „როცა დამფუძნებელი კრება საბოლოოდ გადასჭრის საკითხს, რომლისთვისაც ეს კომისია იყო არჩეული“ (აქტები, 1990, გვ.242)..

ნელი დეპუტატი სიმონ მდივანი, თავმჯდომარის ამხანაგად – გერასიმე მახარაძე, ხოლო კომისიის მდივნად ესერი ივანე გობეჩია აირჩიეს (ცსა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.235, ფურც.4).

სოციალ-დემოკრატებს არ გაუჭირდებოდათ კრების საგარეო საქმეთა კომისიის ხელმძღვანელიც თავიანთი ფრაქციიდან შეერჩიათ, თუმცა ეს აუცილებლად არ მიიჩნიეს და თავმჯდომარის პოსტი ოპოზიციას დაუთმეს. ამ ნაბიჯში უმრავლესობის მიერ უმცირესობათა უფლების აღიარება და ზოგადად, საპარლამენტო ცხოვრებაში დემოკრატიული კულტურის თვალსაჩინო გამოვლინებაც გამოსჭვივის. იგი იმის დასტურადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში დემოკრატიული ღირებულებები მხოლოდ დეკლარირებული კი არ იყო, არამედ პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა. ეს ხშირად ასეც იყო, მაგრამ განსახილველი საკითხის შესწავლა ცხადყოფს, რომ ოპოზიციურ სპექტრს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა მმართველი პარტია ჯერ ამგვარი კომისიის შექმნის აუცილებლობაში დაერწმუნებინა, ხოლო შემდეგ იმაშიც, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ცალკეულ საკითხში კომისიის თვალსაზრისისათვის ანგარიში გაეწია.

როგორც ვნახეთ, საგარეო საქმეთა კომისია, როგორც მაშინ უწოდებდნენ – გარეშე საქმეთა კომისია – დროებით, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციის მუშაობის ვადით ჩამოყალიბდა, მაგრამ მალე მისი გარდაქმნის აუცილებლობაც გამოიკვეთა. ეს საკითხი უკვე საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ივლისის პლენარული სხდომის დღის წესრიგში დაისვა. კომისიის თავმჯდომარე სიმონ მდივანმა კომისიის სახელით, მისი მუდმივ კომისიად გარდაქმნა მოითხოვა, რაც ასე განმარტა: რესპუბლიკის წინაშე არსებობს სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებიც მინისტრის და კომისიის შეთანხმებით უნდა გადაწყდეს. ამასთან, „საჭირო არის, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს კავშირი ჰქონდეს ყოველ ფრაქციასთან და თავის დროზე ფრაქციებს ცნობა ჰქონდეს დღევანდელ გარეშე პოლიტიკის მდგომარეობაზედ“. კომისიის არსებობა მუდმივად საჭიროა, რადგან „საჭიროა თვალ-ყური ვადევნოთ და ჩავერიოთ საგარეო სამინისტროს ცხოვრებაში, ისე, როგორც შესაფერი კომისიები ერევიან ამა თუ იმ უწყების მდგომარეობაში“ (ოქმები, ტ.II, გვ.354).

დამფუძნებელმა კრებამ კენჭი უყარა საგარეო საქმეთა კომისიის წინადადებას და იგი უცვლელად დაამტკიცა. ამით საგარეო სამეთა კომისიამაც მუდმივი ხასიათი შეიძინა.

დამფუძნებელი კრების რეგლამენტით, მუდმივი კომისიები ერთი სესიის ვადით იქმნებოდნენ, ამიტომ ყოველი სესიის დასაწყისში საჭირო იყო მათი შემადგენლობის ხელახალი არჩევა და დამტკიცება (მუხლი 19) (აქტები, 1990, გვ.242). კრების მეორე სესია 1920 წლის მარტში გაიხსნა. 16 მარტს მუდმივი კომისიის წევრები თავიდან აირჩიეს.

კომისიის შემადგენლობა ამჯერად 9 კაცით განისაზღვრა. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ლიდერმა ლეო შენგელაიამ წამოაყენა წინადადება, რომ ყოველ კომისიაში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს თითოეულ ფრაქციას. წინადადებას მხარი დაუჭირეს ეროვნულ-დემოკრატებმა. გიორგი გვაზავამ განაცხადა: „კომისია ამზადებს კანონ-პროექტებს და კომისიაში ხდება ის უმთავრესი მუშაობა, რომელსაც ჰქვიან შეთანხმება. ...კომისიაში ხვდება ერთმანეთს სხვა და სხვა აზროვნებანი და იქ ზოგჯერ ერთი კაცის ხმას, მის შეხედულებას აქვს დიდი მნიშვნელობა საქმისათვის იმიტომ, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ მიმართულების კერძო აზრი აღძრავს აზრის მიმდინარეობას და კარგია თავის შედეგებით. ...კომისიაში უნდა ისმოდეს ყოველი ხმა ყოველი ფრაქციისა. ...ყოველ ფრაქციას უნდა მიეცეს უფლება იყოლიოს თავისი წარმომადგენელი კომისიებში გარდამწყვეტი ხმით“ (ოქმები, ტ. V, გვ.478-479).

გამოთქმულ მოსაზრებებს მმართველი პარტიაც დაეთანხმა. ახლადარჩეულ საგარეო საქმეთა კომისიაშიც კრებაში იმ დროისათვის არსებულ ყველა პოლიტიკური ფრაქციის წარმომადგენელი შევიდა: სოციალ-დემოკრატთაგან: აკაკი ჩხენკელი, დიომიდე თოფურიძე, ნიკო-

ლოზ ელიავა, კონსტანტინე ჯაფარიძე და იოსებ სალაყაია, ფედერალისტთა პარტიისაგან სიმონ მდივანი, ეროვნულ-დემოკრატთაგან გიორგი გვაზავა , ესრთაგან – ივანე გობეჩია და ეროვნული პარტიისაგან – გრიგოლ ვეშაპელი (ოქმები, ტ. V, გვ.482).

სიმონ მდივანი მეორე ვადითაც დარჩა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე. 1920 წლის 7 მაისს თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნეს იოსებ სალაყაია, რომელიც ამ პოსტზე 1921 წლის 10 იანვარს კონსტანტინე გვარჯალაძემ შეცვალა (ცსა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.235, ფურც. 26, 38).

1919 წლის 9 და 27 ოქტომბერს დაისვა საკითხი მუდმივი კომისიის ფარგლებში მცირე კომისიის არჩევის შესახებ,რასაც ასევე, ითვალისწინებდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტი, მაგრამ იგი არ აურჩევიათ, რადგან აღარ მიიჩნიეს საჭიროდ.

კომისიამ 1919 და 1920 წლებში 12-12 სხდომა გამართა, ხოლო 1921 წელს მხოლოდ 3 სხდომის ჩატარება მოესწრო. არსებობის მთელი ხნის განმავლობაში, კვორუმის შეუკრებლობის გამო, კომისიის სხდომა ერთხელ ჩაიშალა (1919 წ. 15 მაისი) და ერთხელ (1919 წ. 29 მაისი) კერძო თათბისის სახით გაიმართა.

დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის მუშაობას ინტერესით ეკიდებოდნენ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელები. კომისიის საქმიანობაში სისტემატურად მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, მათ შორის მინისტრი ევგენი გეგეჭკორი (დაესწრო 11 სხდომას), მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ქარცივაძე (11 სხდომა) და კონსტანტინე საბახტარაშვილი (8 სხდომა). ოთხ სხდომაში მიიღო მონაწილეობა სამხედრო მინსტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ, ორში –დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ალექსანდრე ლომთათიძემ, ხოლო თითო სხდომას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია (1920 წ. 7 მაისი), დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1921 წ. 22 იანვარი) და სახელმწიფო კონტროლიორი ფილიპე გოგიჩაიშვილი.

დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის პირველ სხდომა მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებს დაეთმო, მომდევნო სხდომაზე კი, რომელიც 1919 წლის 12 მაისს გაიმართა, დღის წესრიგში 3 საკითხი იყო დასმული: 1. კავკასიის კონფერენციის მუშაობა; 2. დამოკიდებულობა ინგლისელებთან; 3. იტალიელების შემოსვლა.

კავკასიის კონფერენციაში იგულისხმებოდა 1919 წლის 27 აპრილიდან თბილისში მიმდინარე სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის წარმომადგენელთა კონფერენცია (კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებიც), რომლის მოწვევის ინიციატორი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება იყო. ოფიციალური თბილისი მიიჩნევდა, რომ მოლაპარაკების მეშვეობით გადაიდგმებოდა პირველი ნაბიჯი მეზობელ სახელმწიფოთა შორის გაუგებრობის, ურთიერთმტრობით შექმნილი გათიშულობის დაძლევისა და სადაო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრისათვის გზის გასაკაფად („ერთობა“, 6.04.1919).

პრობლემა კი მართლაც ბევრი დაგროვილიყო, მათ შორის, საზღვრების გამიჯვნის, საგარეო საფრთხეებისაგან თავდაცვის, ტრანსპორტის მიმოსვლის, ლტოლვილთა საკითხის მოწესრიგებისა და სხვ. საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ევგენი გეგეჭკორი – საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი, ნოე რამიშვილი – შინაგან საქმეთა, განათლებისა და სამხედრო მინისტრი, და კონსტანტინე კანდელაკი – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

კონფერენციამ მთავარი ყურადღება დაუთმო რკინიგზებისა და ფოსტა-ტელეგრაფის გამართული მუშაობის, ეკონომიკური თანამშრომლობის, საქონლის გაცვლა-გამოცვლის, საერ-

თო ძალებით დამოუკიდებლობის დაცვის, ტერიტორიული პრეტენზიების მოწესრიგებისა და სხვ. საკითხებს.

„ინგლისელებთან დამოკიდებულება“ ითვალისწინებდა რეგიონში მყოფი მოკავშირეთა სამხედრო ძალების ბრიტანელ სარდლობასთან ურთიერთობის საკითხს, რომელიც, სხვადასხვა მიზეზით, დროდადრო იძაბებოდა ხოლმე. განსახილველი პერიოდში გამწვავებული იყო მდგომარეობა ქართული სამხედრო შენაერთების მიერ გაგრისა და არტაან-ფოცხოვის დაკავებისა და ასევე, თბილისში ერთ-ერთი ინგლისელი ექიმის მკვლელობის გამო. რაც შეეხება „იტალიელების შემოსვლას“, 1919 წლის გაზაფხულისათვის ბრიტანეთის მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა კავკასიიდან ჯარების გაყვანა. მათ ნაცვლად საქართველოში ანტანტის ეგიდით იტალიის სამხედრო კონტიგენტი უნდა შემოსულიყო (ცუხიშვილი რ., 1995, გვ.59: ჯოჯუა დ., 1997, გვ.56).

ყველა ამ საკითხზე საგარეო საქმეთა კომისიას ვრცელი მოხსენება წარუდგინა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა. განხილვასა და მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს: გიორგი გვაზავამ, ივანე გობეჩიამ, კონსტანტინე ჯაფარიძემ, სიმონ მდივანმა, იოსებ სალაყაიამ და ნიკო ელიავამ. მშრალი საოქმო ჩანაწერის მიხედვით კომისიამ დაადგინა: „ა/ ინგლისის სარდლობის სურვილის წინააღმდეგ გაგრის ოლქის დაკავებისა გამო განვაცხადოთ მწუხარება და მასთან განვმარტოთ, რომ ეს ზომა არის მიმართული საქართველოს უდაო ტერიტორიის, - როგორც არის გაგრის ოლქის დასაცავად დენიკინისაგან.

ბ/ ინგლისელ ექიმის მოკვლის გამო მთავრობამ გამოსთქვას მწუხარება და აღუქვას ერთგვარ თანხის გადაცემა მოკლულის ოჯახისთვის ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებისა და ჩვენი მთავრობის შეთანხმებით.

გ/ სამაგიეროდ უნდა იქნეს მოთხოვნილი ანაზღაურება იმ ზარალისა, რომელიც მოგვაყენა ხიდის აფეთქებით ინგლისის აგენტებმა.[36]

გ/ გაიმართოს მოლაპარაკება ინგლისთან და ინგლისის შემწეობით ამერიკასთან მომავალ შეთანხმების შესახებ“ (ცსა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.235, ფურც.6).

სამხრეთ კავკასიის მეზობელ ქვეყნებთან ქართული სახელმწიფოს ურთიერთობას ყველაზე მეტად საზღვრების გაუმიჯნაობა ართულებდა. ამ საკითხს აზერბაიჯანის ხელისუფლება რელიგიური პრინციპით უდგებოდა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ზაქათალის ოლქს, ასევე მუსლიმებით დასახლებულ ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების ნაწილს ეცილებოდა. ამის მიუხედავად, ოფიციალური ბაქო და თბილისი სხვა სფეროებში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობასა და პარტნიორობას ახერხებდნენ. ბაქოს ნავთობი საქართველოსთვის შეუცვლელი იყო, აზერბაიჯანისთვის კი საქართველო დასავლურ სამყაროსთან დამაკავშირებელ უმოკლეს გზას წარმოადგენდა. ამ გარემოებებს ორივე ქვეყანაში ანგარიში ეწეოდა (ჯანელიძე ო., 2009, გვ.131). მეტიც, როდესაც რეგიონს მოხალისეთა თეთრგვარდიული არმიის შემოჭრის საფრთხე დაემუქრა, 1919 წლის ივნისში აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის სამხედრო-თავდაცვითი ხელშეკრულებაც კი გაფორმდა. მხარეებმა გარე აგრესიის შემთხვევაში სამხედრო ურთიერთდახმარების ვალდებულება იკისრეს[37] და იმაზეც შე-

[36] იგულისხმება ფაქტი, როდესაც 1918 წლის ნოემბერში სომხური დაშნაკცუთუნის პარტიის წევრებმა პოლკოვნიკმა შმაგაილოვმა, კუჩარიანმა, კურნიულიანცმა და სხვებმა მცხეთის მახლობლად, სოფელ ძეგვში სარკინიგზო ხიდი ააფეთქეს. ამ ინციდენტის გამო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის მატარებლებით მიმოსვლა შეწყდა. ბრალდებულები შეიპყრეს და გაასამართლეს, მაგრამ ინგლისელთა სარდლობამისინი თავის აგენტებად გამოაცხადა და მათი განთავისუფლება მოითხოვა.

[37] ხელშეკრულება თავდაცვით კავშირთან სამხრეთ კავკასიის მესამე რესპუბლიკის - სომხეთის შეერთებასაც ითვალისწინებდა, მაგრამ სომხეთი ამ ალიანსს არ შეერთებია.

თანხმდნენ, რომ ტერიტორიული დავები მოლაპარაკებისა და არბიტრაჟის გზით გადაეწყვიტათ.

ხელშეკრულების მზადების პროცესში, დიპლომატებისა და მაღალი რანგის სამხედროების გარდა, საქართველოდან აქტიურად იყო ჩართული დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიაც. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ კომისიამ ცალკე განიხილა აზერბაიჯანთან მოლაპარაკების საკითხი და ორჯერ იმსჯელა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო ხელშეკრულების დადების შესახებ (ცსა, ფონდი 1833, ანაწ.1მ საქ. 235, ფურც.10; 12-13).

კომისიის წევრთა ამგვარმა ჩართულობამ და მიღწეულმა კონსესუსმა, შეიძლება ითქვას რომ, ხელშეკრულების რატიფიცირება დამფუძნებელ კრებაში[38] მნიშვნელოვნად გააადვილა, - დოკუმენტს ყველა საპარლამენტო ფრაქციამ მხარი ერთხმად დაუჭირა (ოქმები, ტ. II, გვ.239).

საგარეო საქმეთა კომისიის მიერ 1919 წელს განხილული სხვა საკითხებიდან აღსანიშნავია: კავკასიის კონფერენციის საფინანსო და სავაჭრო სექციის მუშაობის შესახებ; საქართველოს მთავრობისა და მოხალისეთა სარდლობის წარმომადგენლის შორის მოლაპარაკების შესახებ; პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკებაზე მყოფი საქართველოს დელეგაციის მუშაობის შესახებ (ორჯერ); არტაანის საკითხი; საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა; ბოლშევიკებთან დამოკიდებულების საკითხი; ინგლისელთა მისიის წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი; რუსეთის ყოფილი იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ქართველების სამშობლოში გადმოყვანის შესახებ; მომენტის და საქართველოს მდგომარეობის შესახებ (ორჯერ); უცხოეთის ქვეყნები არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობების ხარჯისა და მომავალი წლისათვის საჭირო ასიგნებათა შესახებ; სომხეთში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლის გერასიმე მახარაძის საინფორმაციო ხასიათის მოხსენება სომხეთის შესახებ, მოამზადა დეკრეტი საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამერიკის შეერთებულ შტატებში და ყუბანის ოლქში დელეგაციის გასაგზავნ ხარჯისათვის სამი მილიონი მანეთის კრედიტის გახსნის თაობაზე და სხვ (ცსა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.235, ფურც.3-24).

1919 წლის 16 ივნისს კომისიის სხდომაზე მისმა წევრმა ეროვნულ-დემოკრატმა გიორგი გვაზავამ შეიტანა წინადადება, რომ, კომისიაზე გაიმართოს მსჯელობა ჩვენი დელეგაციის მოქმედების შესახებ პარიზის კონფერენციაზე ბატონ მინისტრის თანდასწრებით. ასეთი სხდომა მართლაც გაიმართა 1919 წლის 19 ივნისს, რომელსაც მთავრობიდან ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები კონსტანტინე საბახტარიშვილი და ნიკოლოზ ქარცივაძე. მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს: გიორგი გვაზავამ, ივანე გობეჩიამ და კონსტანტინე საბახტარიშვილმა.

დამფუძნებელი კრებისა და მისი კომისიის დაინტერესება პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი დელეგაციის საქმიანობით აბსოლუტურად ლოგიკური იყო. სწორედ ამ კონფერენციაზე უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საერთაშორისოდ აღიარების უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელზეც დიდად იყო დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალი.

1919 წლის 9 ოქტომბერს კომისიაში მეტად საინტერესოდ წარიმართა მსჯელობა სომხეთთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოკიდებულების საკითხის ირგვლივ. საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ნიკოლოზ ქარცივაძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გიორგი გვაზავამ, გრიგოლ ვეშაპელმამ, ნიკო ელიავა,

[38] მოხსენება ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ „გარეშე საქმეთა კომისიის და იურიდიულ კომისიის დავალებით“, გააკეთა საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე სიმონ მდივანმა.

კონსტანტინე ჯაფარიძემ და ივანე გობეჩიამ. კომისიის თავმჯდომარემ სიმონ მდივანმა წარმოადგინა ორი მეზობელი რესპუბლიკის მოლაპარაკების თეზისები. ამ თეზისების საფუძველზე, კომისია დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებას ბორჩალოს მაზრიდან ლორის დროებით დათმობისა და ახალქალაქის მაზრის შემოერთების შესახებ, მაგრამ გაითვალისწინა აგრეთვე გრიგოლ ვეშაპელის შესწორება, რომ: „ტერიტორიალური დათმობა ლორში დადასტურებულ იქმნას ბ. მდივნის მოხსენების თეზისების თანახმად მხოლოდ იმ აუცილებელ პირობით, რომ სომხეთის დელეგაციამ წინდაწინ გამოაქვეყნოს დეკლარაცია, რომ საკითხი საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიალური გამიჯვნისა გადაწყდება სავსებით ქართველ-სომხურ კონფერენციაზე და სრულებით მოიხსნება პარიზის კონფერენციის [დღის] წესრიგიდან“. კომისიამ, გიორგი გვაზავას უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ეს წინადადება მიიღო (ცსა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.235, ფურც.19-20).

საგულისხმოა კიდევ ერთი საკითხი, „მომენტის და საქართველოს მდგომარეობის შესახებ“, რომელიც დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიამ 1919 წლის 20 ოქტომბერს, საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის მოხსენების საფუძველზე განიხილა. მოხსენებაში არსებითი იყო ახალგაზრდა ქართულ რესპუბლიკაზე დიდი სახელმწიფოს მანდატის დაწესება-არდაწესების პრობლემა.

ახლად ჩამოყალიბებულ ქვეყნებზე ძლიერი სახელმწიფოების მანდატის რეალური შინაარსი სათავეს ერთა ლიგის წესდებიდან იღებს, რომლის მიხედვით, ეს საერთაშორისო ორგანიზაცია პასუხისმგებლობას კისრულობდა იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების მიმართ, რომლებიც ომის შედეგად მათი მმართველი სახელმწიფოებისაგან თავისუფლება მოიპოვეს, მაგრამ შექმნილ მძიმე ვითარებაში, ჯერჯერობით, დამოუკიდებელი არსებობის რეალური შესაძლებლობა არ გააჩნდათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას გეზი სრულ სუვერენიტეტზე ჰქონდათ აღებული და ეს ასახული იყო კიდევაც პარიზში მიმავალი დელეგაციისათვის მიცემულ დირექტივებში. თუმცა განსაკუთრებულ ვითარებისათვის, იმავე დირექტივაში აღნიშნული იყო: ,,თუ დამოუკიდებლობის საკითხი ძალზედ გამწვავდა და არას გზით არ ცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, იმ შემთხვევაში, დელეგაციას ნება ეძლევა დაუთმოს, მხოლოდ ერთი განსაზღვრით: თუ იქნება პროტექტორატი, – მხოლოდ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოთა“ (სურგულაძე ა., სურგულაძე პ., 1989, გვ.387).

დელეგაცია მანდატის კოზირს ჯერ რეზერვში იტოვებდა, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში მას აუცილებლად გამოიყენებდა. არსებულ სიტუაციაში მანდატის მიღება ერთადერთ სწორ გამოსავლად მიაჩნდა ზურაბ ავალიშვილს, რომელიც, ჩვენი აზრით, არც ცდებოდა, რადგანაც, საქართველოზე მანდატის დაწესების საკითხი რომ დადებითად გადაწყვეტილიყო, ჩვენი ქვეყანას შეიძლება თავიდან აეცილებინა ის დიდი კატასტროფა, რაც მას თავს დაატყდა 1921 წლის თებერვალ-მარტში.

მანდატის საკითხზე საქართველოს მთავრობასა თუ მთავრობის მიერ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილ დელეგაციაში მსჯელობა აქამდეც ყოფილა, მაგრამ იმ ხანად საკითხი უფრო მწვავედ წამოიჭრა, რაც საქართველოში გენერალ ჯეიმს ჰარბორდის ხელმძღვანელობით აშშ-ს საგანგებო მისიის ვიზიტით იყო განპირობებული (ჯანელიძე ო., 2018, გვ.246-264).

მოხსენების განხილვისა და კამათის შემდეგ, საგარეო საქმეთა კომისიამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „კომისია იღებს რა მხედველობაში მდგომარეობის გართულებას, ავალებს ბატონ მინისტრს უახლოეს მთავრობის სხდომაზე დასმულ იქნას საკითხი საქართველოს მანდატის შესახებ“ (ცსა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.235, ფურც.21).

დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიამ 1920 წელს დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოლაპარაკებისა და სამშვიდობო ხელშეკრულების დადების საკითხს. ცნობილია, რომ კრემლთან მოლაპარაკების მიზნით, 1920 წლის აპრილში, მოსკოვს გაიგზავნა დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე. კანდიდატურა ნოე ჟორდანიამ შეარჩია და ევგენი გეგეჭკორთან შეათანხმა ერთადერთი მოტივით: „დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინისა და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი“ (ჟორდანია ნ., 1990, გვ.112).

გრიგოლ ურატაძე რსდმპ სტოკჰოლმისა კონფერენციისა (1906 წ.) და ლონდონის მეხუთე ყრილობის (1907 წ.) მონაწილე იყო (Справочник по истории КПСС), ლენინს კი 1911 წლიდან იცნობდა, როგორც ლონჟიუმოს პარტიული სკოლის მსმენელი. მოსკოვში ჩასულმა ურატაძემ მთავრობის თავმჯდომარისაგან რწმუნების სიგელი ითხოვა და რსფსრ-ს წარმომადგენლად დანიშნულ ლევ კარახანთან რამდენიმედღიანი მოლაპარაკების შემდეგ, 1920 წლის 7 მაისს ხელი მოაწერა ცნობილ ხელშეკრულებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე, კერძოდ, 5 მაისს, მან ხელშეკრულების პროექტი თბილისს გადმოსცა. როგორც საარქივო დოკუმენტი მოწმობს, პროექტმა „საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიულეტენში, რომლიდანაც ეს ფრაზა დავიმოწმეთ, დაკონკრეტებული არ არის, ვისზე მოახდინა პროექტმა ასეთი შთაბეჭდილება. ყოველ შემთხვევაში, 8 მაისს, პირდაპირი მავთულით საუბრისას, საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა გრიგოლ ურატაძეს უთხრა: „თქვენს მიერ გადმოცემული ტექსტი ტოვებს სიგელის შთაბეჭდილებას და არა ხელშეკრულებისა ორ თანასწორ მხარეს შორის. ამიტომ შეიტანეთ ნაცვალგების პრინციპიო“ და დასძინა: „მეხუთე მუხლი თქვენი რედაქციით სრულიად მიუღებელია, იგი ლახავს საქართველოს სუვერენობას. ახლავე უნდა მიიღოთ ზომები, რომ ის ამ სახით არ დარჩეს ხელშეკრულებაში“ (სცა, ფონდი 1864, ანაწ 2., საქ. 242, ფურც.16-17).

„რუსეთთან საზავო ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ ვეცდებით რატიფიკაციის დროს, რომლის უფლება აქვს დამფუძნებელ კრებას და რომელიც უთუოდ უნდა მოხდეს, ამ მუხლებს მივცეთ სხვა სახე და შემლებისდაგვარად ჩვენ სასარგებლოდ შევცვალოთ მათი რედაქცია“, – ატყობინებდა 1920 წლის 19 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კონსტანტინე საბახტარაშვილი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს სხვადასხვა ქვეყანაში (სცა, ჰარვარდის ფონდი, საქ.753; სცა, ფ.1864, ანაწ.2, საქ.434, ფურც.82).

„ზოგიერთ“ მუხლთა შორის, რომელიც შეიძლებოდა საზიანო გამომდგარიყო ქართული სახელმწიფოსათვის, იგულისხმებოდა ასეთი შინაარსის მე-16 მუხლიც: „... ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან, და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია“ (договор вступает в силу самим фактом и с момента его подписания и не будет подлежать особой ратификации) („ერთობა“, 6.06.1920).

საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების საკითხებს საგარეო საქმეთა კომისიამ ყველაზე მეტი - ოთხი ცალკე სხდომა მიუძღვნა, კერძოდ: 1920 წლის 4, 7, 10 მაისსა და 7 ივნისს, 11 ივნისს კი იმავე თემაზე სამსჯელოდ საგარეო საქმეთა და იურიდიულ კომისიათა შეერთებული სხდომა გაიმართა. ყველა მათგანის მუშაობაში მონაწილეობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, ხოლო 11 ივნისის სხდომაზე მიწვეული იყო მოსკოვიდან წინა დღით დაბრუნებული გრიგოლ ურატაძეც.

4 მაისს გამართულ სხდომაზე მინისტრმა ისაუბრა მიმდინარე მომენტის, საქართველოს მდგომარეობისა და „სოვდეპიასთან“[39] მოლაპარაკების შესახებ. სხდომის ოქმში საუბრის შინაარსი არ არის ასახული, დადგენილებაში კი წერია: „მოხსენება მიღებულ იქნეს ცნობად. პროექტი ზავის ტექსტის გაცნობის შემდეგ მიღებულ იქნეს“ (ცსა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.235, ფურც.25).

კომისიის მომდევნო სხდომას, 7 მაისს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს დაეთმო, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიაც დაესწრო. მიღებული დადგენილების თანახმად, „ხელშეკრულება მიღებულ იქნა - ერთის წინააღმდეგ (გრიგოლ ვეშაპელი), თავს იკავებენ ბ-ნნ: გიორგი გვაზავა, ივანე გობეჩია. საკითხი რატიფიკაციის შესახებ გაირჩეს შეერთებულ იურიდიულ კომისიასთან ერთად სხდომაზე“ (ცსა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.235, ფურც.26).

ამ სხდომის შესახებ აკაკი ჩხენკელს თავის დღიურში ჩაუწერია: „წუხელის გავსინჯეთ საგარეო კომისიაში საზავო ხელშეკრულების ტექსტი, მიღებულ იქნა თითქმის ერთხმათ ჩემი აზრი რომ ჩათვლილი არ იქნეს გუბერნიები და ოლქები; იქნება მაშასადამე, დასახელებული ორი ხაზი ერთი ჩრდილოეთით ქედისა, მეორე ზღვის რუსულ-ოსმალური საზღვარი 1914 წლამდე ბათუმის ჩათვლით. მთავრობამაც დათანხმდა ამას და ასე გაიგზავნება დღეს“. (ა.ჩხენკელი, 2022).

დადგენილების ერთხმად მიუღებლობის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ სხდომა უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის კამათის, შეხედულებათა და მოსაზრებათა დაპირისპირების ვითარებაში უნდა წარმართულიყო. საკამათო, სავარაუდოდ, სწორედ ხელშეკრულების პროექტის ხსენებული მუხლები უნდა ყოფილიყო, რომელთაგან მე-16 მუხლზე მსჯელობამ კომისიის კიდევ ერთი სხდომა მოითხოვა. ვიდრე კონკრეტულად ამ მუხლზე იმსჯელებდა, საგარეო საქმეთა კომისია 10 მაისსაც შეიკრიბა და კრემლთან ხელშეკრულების თაობაზე ევგენი გეგეჭკორის ახალი მოხსენება მოისმინა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება კომისიამ ამჯერად ცნობად მიიღო და იმავდროულად დაგენილებაც გამოიტანა, რომ „სოვდეპიასთან ზავის გამო მოხდეს საერთო დეკლარაციული გამოსვლა დამფუძნებელ კრებაში“ (ა.ჩხენკელი, 2022, გვ. 27).

1920 წლის 11 მაისს საქართველოს დამფუძნებელი კრების წინაშე მთავრობის რიგგარეშე განცხადებით ევგენი გეგეჭკორი გამოვიდა. „ზავი რუსეთთან ხელმოწერილია და მოკლე ხანში წარედგინება დამფუძნებელ კრებას სარატიფიკაციოდ“, - განაცხადა მინისტრმა და დეპუტატებს ხელშეკრულების ძირითადი დებულებები გააცნო (ოქმები, ტ. VI, გვ.322).

მცირე დებატის შემდეგ კრებამ მოიწონა მთავრობის პოლიტიკა და კმაყოფილება გამოთქვა რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარების გამო.

1920 წლის 7 ივნისის სხდომაზე „ხელშეკრულება მიიღეს, და მოიწონეს ყველამ ერთის წინააღმდეგ“. სხდომის გადაწყვეტილებით, დოკუმენტი განსახილველად გადაეცა საგარეო საქმეთა და იურიდიული კომისიების, რომლებსაც შეერთებულ სხდომაზე ხელახლა უნდა განეხილათ „ხელშეკრულება საბოლოო ფორმაში“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 12.06. 1920 წ.).

ამასობაში თბილისში დაბრუნდა საქართველოს მხრიდან მოსკოვის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი გრიგოლ ურატაძე. მან ჩამოიტანა 7 მაისის ხელშეკრულება და 12 მაისს ხელმოწერილი მისი დამატებაც, რომელიც ზაქათალის ოლქს ეხებოდა. ურატაძემ ცალკე მოხსენება წარუდგინა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციას და ასევე წარსდგა დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზეც. 11 ივნისს შემდგარ საგარეო საქმე-

[39] ტერმინი „სოვდეპია“ რსფსრ-ს ფიგურალური სახელწოდება იყო ზოგჯერ ირონიული შინაარსითაც.

თა და იურიდიულ კომისიათა შეერთებული სხდომის დღის წესრიგში ამჯერად საკითხი ასე იყო ფორმულირებული: „საქართველოსა და რუსეთს შორის ამა 1920 წლის მაისის 7-ს მოსკოვში დადებულის ხელშეკრულების მე-XVI მუხლის განხილვის საკითხი“. ოქმიდან არ ჩანს, გაიმართა თუ არა კამათი, დადგენილებაში კი აღნიშნულია: „საქართველოს მთავრობის აზრის გაცნობამდე ხელშეკრულების მე-XVI მუხლის შესახებ კომისია ღიად სტოვებს საკითხს“ (სცა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.235, ფურც.28).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და პირველ რიგში საგარე საქმეთა სამინისტროს მესვეურებს სჯეროდათ, რომ საბჭოთა რუსეთთან მოსკოვში ხელმოწერილ ხელშეკრულებას რატიფიკაციისათვის დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომაზე გაიტანდნენ და დოკუმენტში ქართული მხარისათვის სასარგებლო ცვლილებებს შეიტანდნენ.

საგულისხმოა, რომ საგარე საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ამაში კავკასიაში მოკავშირე სახელმწიფოების – ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებსაც არწმუნებდა. „საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 7 მაისს, 1920 წ. დადებული ხელშეკრულება მოკლე ხანში წარდგენილ იქნება დამფუძნებელ კრებაში რატიფიკაციისათვის და ამ პროცესში მან უნდა განიცადოს ისეთი ცვლილებანი, რომელთაც აუცილებლად დაინახავენ რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება და მთავრობა“, – ვკითხულობთ წერილში, რომელიც მომზადებულია მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების 1920 წლის 15 ივნისის კოლექტიური ნოტის პასუხად და დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში (ცსა, ფონდი 1864, ანაწ.2, საქ.276, ფურც.3).

წერილი ხელმოუწერელია და არც თარიღი უზის, ამიტომ ძნელია თქმა, ის საერთოდ გაეგზავნათ თუ არა ადრესატებს, მაგრამ ამგვარი შინაარსის წერილის მომზადება ცხადყოფს, რომ აზრი ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ არა მხოლოდ გრიგოლ ურატაძის მოსკოვიდან თბილისში დაბრუნებამდე (1920 წ. ივნისის პირველი დეკადა) დომინირებდა, არამედ მას შემდეგაც არსებობდა, რაც ხელშეკრულების ტექსტი ქართულ ენაზეც გამოქვეყნდა (საბჭოთა რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულების ტექსტი 1920 წლის 6-7 ივნისს დაიბეჭდა გაზეთში „ერთობა“, ხოლო 8 ივნისს - ოფიციოზში - გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“) და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა. ნათქვამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ 1920 წლის 25 ივნისს, დამფუძნებელ კრებაში სიტყვით გამოსვლისას, ოპოზიციონერი დეპუტატი, ეროვნული პარტიის ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი აცხადებდა: რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების „რატიფიკაცია ჯერ არ მომხდარა, თუმცა ეს შედის როგორც რუსეთის, ისე ჩვენს კონსტიტუციაში“ (ოქმები, ტ. VI, გვ.550). საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მიღებული, მაგრამ გამოქვეყნებული იყო მისი ცალკეული თავები (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 27, 28, 30 დეკემბერი), 1920 წ. ივნისის დასაწყისში კონსტიტუციის პროექტი ცალკეც დაიბეჭდა, დაურიგდათ დამფუძნებელი კრების წევრებს და იყიდებოდა კიდეც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში (ოქმები, ტ. VI, გვ.505).

ცნობილია, რომ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მასზე ხელისმოწერისთანავე, ყოველგვარი რატიფიცირების გარეშე შევიდა ძალაში. ამით საერთაშორისო სამართლის ნორმა არ დარღვეულა, რადგან ეს სამართალი ამგვარ პრეცედენტს იცნობს და არ გამორიცხავს (ეს ნორმა დღესაც მოქმედია. ვენის 1969 წლის კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად: ხელშეკრულება ძალაში შედის იმ წესით და იმ თარიღიდან, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოთა შორის), თუმცა

ოპოზიციამ, იმის გამო რომ ხელშეკრულება რატიფიკაციის გარეშე ამოქმედდა, სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება მკაცრად გააკრიტიკა. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათი პარტია დადებითად შეხვდა საბჭოთა რუსეთთან გაფორმებულ მოსკოვის სამშვიდობო ხელშეკრულებას, განაცხადეს: ხელშეკრულება საქართველოს მთავრობამ დამფუძნებელი კრების ზურგს უკან დადო და მასში ისეთი მუხლების შეტანასაც დათანხმდა, რომლებიც არამარტო იურიდიულად ზღუდავს საქართველოს სუვერენიტეტს, არამედ ფაქტობრივად საფრთხეს უქმნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას (ჯანელიძე ო., 2002, გვ.356).

ამ მხრივ მკაცრი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერი სამსონ ფირცხალავაც. მისი სიტყვებით: „ის ფაქტი, რომ მოსკოვში დადებული ხელშეკრულება არ განუხილავს და არ დაუდასტურებია ქართველი ხალხის უზენაეს დაწესებულებას – დამფუძნებელ კრებას, ეს უეჭველი შელახვაა დამფუძნებელი კრების უფლებებისა, ეს ყოვლად მიუღებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში და ამიერიდან მსგავსი არ უნდა განმეორდეს" (ოქმები, ტ. VI, გვ.545).

„რისთვის არსებობს დამფუძნებელი კრება, ხალხის წარმომადგენლობა, თუკი ისეთს დიდ საკითხს, როგორიც არის რუსეთთან ხელშეკრულება, დამფუძნებელი კრების ზურგს უკან, მის დაუკითხავად გადაწყვეტენ?" – წყენით კითხულობდა გაზეთი „სახალხო საქმეც" („სახალხო საქმე", 8.06.1920 წ.).

საქართველოს დამფუძნებელ კრებას მართლაც გააჩნდა რატიფიკაციის უფლება, რაც ორ შემთხვევაში კიდევაც გამოიყენა. ერთზე, – საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის თავდაცვითი კავშირის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი, რაც შეეხება მეორეს – ისიც აზერბაიჯანთან ურთიერთობას უკავშირდება.

1920 წლის 25 ივნისს საგარეო საქმეთა კომისიამ სარატიფიკაციოდ გაიტანა გასაბჭოებულ აზერბაიჯანთან 1920 წლის 12 ივნისს ქ. აღსტაფაში გაფორმებული ხელშეკრულების ტექსტი. საგულისხმოა, რომ ამ საკითხზე აკაკი ჩხენკელმა დამფუძნებელ კრებაში თავისი გამოსვლა დაიწყო სიტყვებით: „მოქალაქენო! მაქვს პატივი საგარეო კომისიის დავალებით მოგახსენოთ ხელშეკრულება..." (ოქმები, ტ. VI, გვ.5436).

დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიამ 1920 წელს ასევე განიხილა ინგლისელების მიერ ბათუმის ევაკუაციის, საქართველოს იურისდიქციაში ბათუმის გადმოცემის, რუსეთთან ზავის დადების შემდეგ საქართველოს მდგომარეობის საკითხები, სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლის გერასიმე მახარაძის საინფორმაციო მოხსენება სომხეთში მდგომარეობის თაობაზე, ეროვნული დემოკრატიული ფრაქციის წინადადება საქართველოს რესპუბლიკის ერთა ლიგის წევრად მიღების შესახებ, გადატრიალება სომხეთში და საქართველოს საერთაშორისო საკითხი, ანგორაში საქართველოს წარმომადგენლის გაგზავნის საკითხი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის საკითხი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ყურადღების ცენტრშიც იდგა და იგი პარიზის კონფერენციაზე ჩვენი დელეგაციის განსაკუთრებული ზრუნვის საგანსაც წარმოადგენდა. ,,მიიღეთ ზომები ბათუმის საკითხის საჩქაროდ დასამთავრებლად. ეს კითხვა საშინლად აღელვებს მთელ საზოგადოებას. დღიდან დღეზე ელიან როგორც ბათუმის ოლქისათვის, ისე მთელი საქართველოსათვის კითხვის კეთილად დაბოლოებას. საქართველოს მთავრობა თანახმაა ბათუმი დარჩეს დიდი ბრიტანეთის ბაზად. ამ მხრიდან რესპუბლიკის საზღვარი მთლიანდ ღიაა. სასიკვდილო საფრთხე მოგველის ჩვენც და ბრიტანეთსაც", – აღნიშნული იყო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის

მიერ 1920 წლის 31 იანვარს პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციისადმი გაგზავნილ მიმართვაში (სცა, ჰარვარდის ფონდი, ანაწ.1, საქ.334, ფურც.18).

საინტერესოა აგრეთვე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პირველი მოადგილის ალექსანდრე ლომთათიძის მიერ 1920 წლის 29 მარტს საქართველოს დელეგაციისადმი გაგზავნილი წერილი N 1219. ამ წერილით დელეგაციას მიეწოდა მთელი რიგი დოკუმენტები, მათ შორის დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები და ქვეყნის 1919-1920 წლების ბიუჯეტის პროექტი. ამავე დროს დელეგაციას ეგზავნებოდა პრეზიდიუმის მიმართვა მოკავშირე სახელმწიფოების პარლამენტებისათვის გადასაცემად ბათუმის საქართველოსთან შემოერთების თაობაზე. წერილს ხელს აწერდნენ ალექსანდრე ლომთათიძე, დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე და კანცელარიის გამგე ილია ზურაბიშვილი (ცსა, ფონდი 1833, ანაწ.1, საქ.912).

საგარეო საქმეთა კომისიამ იმსჯელა და თავისი აზრი გამოთქვა დეკრეტების პროექტებზე პოლონეთში გასამგზავრებელი დიპლომატიური მისიის საჭიროებისთვის 2 მილიონი მანეთის გადაცემის, საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში – საგანგებო ხარჯების დასაფარავად 6 მილიონი მანეთისა და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ევგენი გეგეჭკორის საზღვარგარეთ წასვლისათვის სათანადო თანხის გადადების შესახებ (ცსა. ფონდი 1864, ანაწ.2, საქ.235, ფურც.24-36). საგულისხმო იყო 1920 წლის 9 ნოემბერს ჩატარებული სხდომა, რომელზეც კომისიის თავმჯდომარემ სიმონ მდივანმა წამოაყენა წინადადება „დამსახურებული საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის ნივთიერად უზრუნველყოფის შესახებ“. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია: „ეთხოვოს ბ-ნ მდივანს განმეორებით სთხოვოს ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს, რათა შესაფერისი ბინა აღმოეჩინოს ბ-ნ ჩერქეზიშვილს, აგრეთვე ქ-ნ ჩერქეზიშვილისას მიეცეს გარეშე საქმეთა სამინისტროს შესაფერისი სამსახური“ (ცსა. ფონდი 1864, ანაწ.2, საქ.235, ფურც.36).

დადგენილების რეალიზება ვეღარ მოესწრო, მაგრამ ქვეყნის თავისუფლებისათვის თვალსაჩინო მებრძოლის, უცხოეთში ფართოდ ცნობილი მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის ამგვარი დაფასების ფაქტი და საერთაშორისო დონეზე არანაკლები საქმიანი კავშირების მქონე მისი მეუღლის, ფრიდა ჩერქეზიშვილის დიპლომატიურ სამსახურში დასაქმების იდეა ყოველმხრივ გამართლებული იყო.

1921 წელს დამფუძნებელი კრების კომისიამ სულ 3 სხდომის გამართვა მოასწრო, მათგან ორი ცალკე და ერთიც კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიასთან ერთად. განხილულ საკითხთა შორის აღსანიშნავია: საქართველოს და სომხეთ-აზერბაიჯანის დამოკიდებულობის შესახებ და კანონპროექტი დასავლეთ ევროპაში საქართველოს წარმომადგენლის შტატების დამტკიცების თაობაზე (სცა, ფონდი 1864, ანაწ.2, საქ.235, ფურც.38).

ეს უკანასკნელი საკითხი აღმოჩნდა, რომელზეც დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიამ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის წევრებთან ერთად იმსჯელა. გაიზიარეს გრიგოლ ვეშაპელის წინადადება, რომლის თანახმადაც, საგარეო საქმეთა სამინისტროს კომისიაში უნდა წარედგინა 1. „განსხვავება იმ ხარჯისა, რომელიც ეხებოდა პირველი დელეგაციისა და კანონპროექტში აღნიშნულ წარმომადგენლის შტატის შენახვას“ და 2. ინფორმაცია დასავლეთ ევროპაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის შტატების შესახებ გამოეცხადებინათ ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ამავე სხდომამ გრიგოლ რცხილაძის წინადადების საფუძველზე დაადგინა, რომ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის პოლიტიკური ფუნქციებით აღჭურვილი თანამშრომლები მთავრობას დაენიშნა (სცა, ფონდი 1864, ანაწ.2, საქ.235, ფურც.40-41).

როგორც ვნახეთ, დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიას მისი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში რაიმე კანონ-პროექტი ან საკანონმდებლო აქტი არ შეუქმნია, მაგრამ სხვა მხრივ, თავის პროფილურ (დარგობრივ) საკითხებს სისტემატურად განიხილავდა. მათ შორის, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენციის დღის წესრიგის საკითხები, ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების რამდენიმე სარატიფიკაციო პროექტის მომზადება და პლენარული სხდომისათვის წარდგენა და სხვ.

კომისია მუდმივად იყო ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის კურსში, მხარში ედგა დიპლომატიურ უწყებას და მჭიდროდ თანამშრომლობდა მასთან. უნდა აღინიშნოს, რომ კრების საგარეო საქმეთა კომისიაში შემავალი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები არც კრიტიკული აზრის გამოთქმას ერიდებოდნენ, რაც სავსებით ლოგიკური იყო დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. ამასთან, ეს გარემოება მმართველ პოლიტიკურ ძალასაც ხელს უწყობდა, მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას, გამოეჩინა მეტი სიფრთხილე, გონიერება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება.

ამრიგად, საქართველოს დამფუძნებელი კრება აქტიურად იყო ჩართული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. ძირითად მუშაობას ამ მიმართებით საგარეო საქმეთა (გარეშე საქმეთა) კომისია ეწეოდა. კომისიის წევრები განიხილავდნენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამზადებდნენ რეზოლუციებისა და მიმართვების პროექტებს, რომლებიც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პლენარულ სხდომებზე ან პრეზიდიუმში მოწონების შემდეგ ქვეყნდებოდა და შედიოდა მოქმედებაში.

თავი XXIV. დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა საქართველოს ფაქტობრივი აღიარების გამო (მალხაზ მაცაბერიძე)

1920 წლის 12 იანვარს პარიზის უმაღლესმა საბჭომ საქართველო და აზერბაიჯანი სცნო ფაქტობრივად („დე-ფაქტო“) არსებულ სახელმწიფოდ. ამ დროისათვის დამფუძნებელ კრებას ორი კვირით შეწყვეტილი ჰქონდა საქმიანობა, თუმცა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ევალებოდა „თუ საჭიროდ დაინახავდა“ მოეწვია დამფუძნებელი კრების სხდომა. სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ფაქტობრივ აღიარებასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა 1920 წლის 14 იანვარს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა მოიწვია.

დარბაზი საზეიმოდ იყო მორთული, სხდომას ესწრებოდა მთავრობა სრული შემადგენლობით, საქართველოში მყოფი უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები. მთავრობის თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ სიტყვა წარმოთქვეს დამფუძნებელ კრებაში იმ დროს არსებული ფრაქციების წარმომადგენლებმა. სხდომის ბოლოს, შემოსული „აუარებელი მისალმების დეპეშებიდან“ წაიკითხეს დეპეშები „ესტონელთა, პოლონეთის წარმომადგენელის, ადერბეიჯანის პარლამენტის, სომხეთის პარლამენტის, ამიერკავკასიის რუსთა საბჭოსაგან“ (ოქმები, ტ. V, გვ.26). დამფუძნებელმა კრებამ დაავალა პრეზიდიუმს პასუხი გაეცა ამ დეპეშებისთვის. გარდა ამისა, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით, ნოე ჟორდანიას საზეიმოდ წარმოთქმული სიტყვა უნდა დაებეჭდათ და ხალხში გაევრცელებინათ.

აკაკი ჩხენკელმა (ს-დ.) თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოს ფაქტობრივი აღიარების გამო უნდა მიეღოთ ამნისტიის კანონი. „უნდა შეუმსუბუქოთ ხვედრი იმათ, ვინც ციხეებში და საპყრობილეში არიან“, რასაც დარბაზში ტაში მოჰყვა. მთავრობას მიენდო შესაბამისი კანონ-პროექტის მომზადება და „მახლობელ სხდომაზე“ წარმოდგენა. ასევე მთავრობის თავმჯდომარეს, როგორც საქართველოს უმაღლეს წარმომადგენელს, უნდა მიემართა „თანასწორი დეპეშით“ პარიზის სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარისთვის, საფრანგეთის პრეზიდენტისთვის, ხოლო საგარეო მინისტრი „შესაფერისი დეპეშით“ მიმართავდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ლორდ კერზონს, „რომელმაც იკისრა თავის თავზე ინიციატივა, რომ ეს საკითხი დაეყენებია“ (ოქმები, ტ. V, გვ.12).

24.1. „ჩვენო დიდო ნოე!“

საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარება ევროპის წამყვანი ქვეყნების მიერ საქართველოს მმართველმა პარტიამ შეაფასა როგორც თავისი პოლიტიკის სისწორის დადასტურება. „ბატონებო, პოლიტიკა განიზომება მისი შედეგებით. საუკეთესოა ის, რომელიც იძლევა საუკეთესო ნაყოფს და ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს მიერ არჩეულ გეზს თავიდანვე მივყევართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე“, - განაცხადა თავის გამოსვლაში ნოე ჟორდანიამ და გაიხსენა დამოუკიდებელი საქართველოს ორწლიანი ისტორიის მიღწევები და ხაზი გაუსვა, რომ „ამ ნაცად გზას ჩვენ ვერ გადაუხვევთ, არ გადაუხვევთ და მის დასაცავათ მომხთურთ იარაღით შევებრძოლებით“ (ოქმები, ტ. V, გვ.12).

ნოე ჟორდანიას სიტყვის შემდეგ გამოსულმა აკაკი ჩხენკელმა (ს-დ.) საქებარი სიტყვები არ დაიშურა მთავრობის თავმჯდომარის მისამართითაც. მისი თქმით, „საქართველოს ხალხზე, განურჩევლად ეროვნებისა“ საუბრის დროს უნდა ვახსენოთ „მისი ბელადი“. ქება მართლაც

შთამბეჭდავი გამოუვიდა: „ჩვენო დიდო ნოე! შენ იყავი ჩვენი პარტიის ბელადი და მამა, შენ ასაზრდოვე დემოკრატია და დააყენე იმ გზაზე, რომელზედაც სდგას დღეს და შენ ხარ დღესაც ქართველი ერის და მთელი საქართველოს ხალხის ბელადი მამა. ვაშა შენ!“ ჩხენკელის ამ სიტყვებს დარბაზში „მხურვალე ტაში“ მოჰყვა (ოქმები, ტ. V, გვ.12).

სხვა ფრაქციების წარმომადგენლებს თავიანთ გამოსვლებში ნოე ჟორდანია არ შეუქიათ, მაგრამ არც მთავრობის პოლიტიკა გაუკრიტიკებიათ.

24.2. საქართველოს ევროპული არჩევანი

1920 წლის 14 იანვარს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსვლისას, ნოე ჟორდანიამ წარმოთქვა ცნობილი სიტყვები: „მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“ (ოქმები, ტ. V, გვ.9). რასაც დარბაზში ხანგრძლივი ტაში მოჰყვა. საქმე ეხებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ორიენტაციას. საქართველოს საზღვრებს რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში გამარჯვებისკენ მიმავალი ბოლშევიკები უახლოვდებოდნენ და მათ საქართველოს ხელისუფლებას, როგორც სოციალისტურს, „სამხედრო კავშირი“ შესთავაზეს კონტრრევოლუციისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივად საბრძოლველად. ამ წინადადებაზე საქართველოს მთავრობის მხრიდან „გადაჭრით უარი“ მიიღეს.

„დასავლეთი თუ აღმოსავლეთი - აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდავ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს“, „საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარენ: ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკენ“, - განაცხადა ნოე ჟორდანიამ (ოქმები, ტ. V, გვ.9). ნოე ჟორდანია გულისხმობდა საქართველოს არჩევანს ევლო ცივილიზაციური განვითარების გზით, რუსეთს კი ბოლშევიკები ჩამორჩენილობისკენ მიაქანებდნენ.

საქართველოს ევროპული არჩევანისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ნოე ჟორდანიას შემდეგ სხვა გამომსვლელებმაც ილაპარაკეს. „საუკუნოებრივი მისწრაფებანი ქართველი ერისა ევროპაში გზა გაეკაფა, გაედო ხიდი ურყეველი, ეს დღეს შესრულებული არის“, - აღნიშნა ალ. ლომთათიძემ (ოქმები, ტ. V, გვ.10). „ბოლშევიზმი იმ სახით რა სახითაც დღეს არსებობს, უახლოვდება აზიას და შორდება ევროპის მაღალ კულტურას“, - განაცხადა აკაკი ჩხენკელმა (ოქმები, ტ. V, გვ.15). ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა ასევე დაეთანხმა მთავრობის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ „ჩვენი გზა,... არის გზა ევროპისაკენ“. საქართველოს სახელმწიფოს ფაქტობრივი აღიარება კი მიიჩნია იმის დადასტურებად, რომ „საქართველო სამუდამოდ მოწყდა რუსეთს - არაბუნებრივ კავშირს და ამით იწყება ახალი პირობები თავისუფალ განვითარებისა“ (ოქმები, ტ. V, გვ.21). ნაციონალისტთა წარმომადგენელმა გრ. ვეშაპელმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსკენ მოიწევს „რუსეთის ახალი იმპერია“ და „რუსეთის იმპერიალიზმი ეწინააღმდეგება ევროპის მეტოქე ძალების ინტერესებს“ (ოქმები, ტ. V, გვ.24). გრ. ვეშაპელის თქმით, საქართველოს ყველა ძალა უნდა გაერთიანდეს და არ დაუშვას „რომელიმე რუსული ძალის დამკვიდრება საქართველოში, სულ ერთია, იქნება ეს მემარჯვენე, მემარცხენე ცენტრალური, დემოკრატიული, ბოლშევიკური თუ დენიკინური“ ტერ-სტეფანიანი (დაშნაკი) გახარებული იყო იმით, რომ „საქართველოს რესპუბლიკა ფეხსა სდგამს ევროპის საერთო ოჯახში“ (ოქმები, ტ. V, გვ.24-25). მხოლოდ ესერთა წარმომადგენელმა ლეო შენგელიამ სხვა კუთხით გაიაზრა საქართველოს ფაქტობრივი აღიარება: „ეს არის ბრწყინვალე გამარჯვება ქართველი დემოკრატიისა და სასტიკი დამარცხება იმპერიალიზმისა“ (ოქმები, ტ. V, გვ.19).

24.3. ფაქტობრივი აღიარებიდან იურიდიული აღიარებისაკენ

საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღიარების დიდ მნიშვნელობასთან ერთად, აკაკი ჩხენკელი დაწვრილებით შეეხო, თუ რატომ მიიღო საქართველომ მხოლოდ ფაქტობრივი აღიარება და არა ფორმალური (იურიდიული). მისი თქმით საქმე ეხება ქვეყნის საზღვრების საკითხს. „როდესაც ფორმალურად იცნობენ რომელიმე სახელმწიფოს, იციან მისი საზღვრებიც“ (ოქმები, ტ. V, გვ.14). იგივე აღნიშნა გიორგი გვაზავამაც (ერ.-დემ.), რომლის თქმითაც საქართველო იურიდიულად აღიარებული იქნება მაშინ, როდესაც „მისი საზღვრებიც გამოირკვევა“ (ოქმები, ტ. V, გვ.22).

ა. ჩხენკელის განცხადებით, საზღვრებთან დაკავშირებით „საქართველოს დელეგაციამ უკვე წარუდგინა პარიზის კონფერენციას მემუარი საქართველოს საზღვრების შესახებ“. საქართველო ითხოვდა, რომ ის ცნონ „სამართლიან საზღვრებში“ და ამ საზღვრებში შედიოდა „ბათუმიც და მისი ოლქი“ (ოქმები, ტ. V, გვ.14).

ოპოზიციური არასოციალისტური ფრაქციების წარმომადგენლები ხაზგასმით მოითხოვდნენ საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენას. გ. გვაზავას (ე. დ.) განცხადებით გარდა ბათუმის და ბათუმის ოლქისა, უცნობი იყო რა ბედი ელოდა „განაპირა კუთხეებს, ლაზისტანს, ისპირს, თორთუმს და სხვა ნაწილებს, რომელნიც ყოველთვის ეკუთვნოდა საქართველოს და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს“. მანვე იმედი გამოთქვა, რომ „მთელი საქართველო, ისტორიული საქართველო, წინანდელ ისტორიულ საზღვრებში აღდგენილი იქნება“ (ოქმები, ტ. V, გვ.22). გრ. ვეშაპელის (ნაციონალისტი) აზრით კი საქართველო „თავის ისტორიული ბუნებრივი საზღვრების“ დაცვას მეზობელ სახელმწიფოთა და „ევროპის ძალების“ დახმარების გარეშეც შეძლებდა (ოქმები, ტ. V, გვ.25).

გარდა საზღვრების საკითხის გარკვევისა, საქართველოს იურიდიული აღიარების დაჩქარების ერთ-ერთ გზად მიიჩნეოდა საქართველოს „ისტორიული უფლების“ გახსენებაც. ალ. ლომთათიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით და პარიზის კონფერენციის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარებით განხორციელდა „ერთა თვითგამორკვევის პრინციპი“ (ოქმები, ტ. V, გვ.10). თუმცა, აკაკი ჩხენკელმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლებას უნდა დამატებოდა საქართველოს ისტორიული უფლება, საქართველოს მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე აპელირებაც. მისი თქმით, ევროპაში „უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს ანექსია არ ყოფილა ცნობილი არც ერთ სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო აქტით“ (ოქმები, ტ. V, გვ.17). იგივე აღნიშნა გრ.ვეშაპელმა, რომ საქართველოს რუსეთის ასწლოვანი ბატონობის შემდეგ, თავისი ისტორიის ძალით, შეუძლია „თავისი უფლება, საკუთარი ტერიტორია და სუვერენობა მოჰკითხოს მსოფლიოს“ და მოითხოვოს პოლონეთის მსგავსად „დამოუკიდებლობის აღდგენა“ (ოქმები, ტ. V, გვ.23).

24.4. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის განმტკიცება

დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომაზე გამომსვლელები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი ქვეყნის შიგნით უკვე აღარ არის რაიმე განხილვის საგანი. ესერთა ერთ-ერთმა ლიდერმა ლეო შენგელაიამ დამფუძნებელ კრებას შეახსენა, რომ „1918 წლამდე ჩვენში არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს თავისუფლებას მოითხოვდა, დღეს კი არ არსებობს არც ერთი პარტია, თუნდაც ცოტა ოდნავ გავლენიანი, რომელიც არ იყოს მომხრე და არ იცავდეს ჩვენ დამოუკიდებლობას“, თუმცა ამასთან ხა-

ზი გაუსვა, რომ „ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება არ არის გამარჯვება ნაციონალიზმისა“ (ოქმები, ტ. V, გვ.20).

აკ. ჩხენკელის (ს. დ.) თქმით, პარტიებს შორის ყოველთვის მიდის სოციალური ბრძოლა, ხშირად მწვავე და სასტიკი, მაგრამ ამის გამო დამოუკიდებლობის თაობაზე „რყევა, ლაპარაკი, კამათი შეუძლებელია“. არის ერთი რამ, „რომლის შესახებ დავა არ შეიძლება: ეს არის სახელმწიფოს არსებობა, ერის არსებობა. აქ არ არის მარცხენა, მარჯვენა, ცენტრი. ის ერთია, გამომხატველი ერის სულისკვეთებისა, მისი აღორძინების გამომჭედი, მისი მომავლისა“. მანვე იმედი გამოთქვა, რომ დამოუკიდებლობის იდეა გადავა ხალხში, მის ფსიქოლოგიაში და „მას ვერ დაანგრევს, ვერ წაშლის ვერავითარი ძალა“ (ოქმები, ტ. V, გვ.16-17).

24.5. კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის შესახებ

უმაღლესმა საბჭომ 1920 წ. 12 იანვარს აღიარა საქართველოს და აზერბაიჯანის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა. მომხდარი დამფუძნებელ კრებაში გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც იქნა გააზრებული. ა. ჩხენკელის თქმით, „ევროპა მიხვდა ამიერ-კავკასიის მნიშვნელობას, ევროპას ესმის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობა“. მისივე განცხადებით, ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლად დარჩენა აუცილებელი ფაქტორია ევროპასა და აზიაში მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. მისივე აზრით ამიერკავკასიასა და საქართველოში ისკვნებოდა „ერთგვარი კვანძი ევროპისა და აზიას შორის“ (ოქმები, ტ. V, გვ.17).

დამფუძნებელ კრებაში წუხილი გამოითქვა იმის გამო, რომ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს საქართველოსა და აზერბაიჯანთან ერთად არ უცვნია სომხეთის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა. ლეო შენგელაიამ (ს.-რ.) იმედი გამოთქვა, რომ „ახლო მომავალში“ ცნობილი იქნებოდა „სომხეთის დამოუკიდებლობაც“ და სომხეთიც „სხვა ამიერკავკასიის ერებთან ერთად“ გასწევდა „ძმურ და სოლიდარულ თანამშრომლობას“ (ოქმები, ტ. V, გვ.19). მისი აზრით, თუკი მოხდებოდა „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ნეიტრალიზაცია“, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა მთელი ძალებით „ბრძოლის გაჩაღება ექსპლოატატორების წინააღმდეგ“ (ოქმები, ტ. V, გვ.20).

გ. გვაზავამ (ე. დ.) იმედი გამოთქვა, რომ ამიერკავკასიასთან ერთად დამოუკიდებლობას მოიპოვებდა ჩრდილოეთ კავკასიაც და შეიქმნებოდა „ის კავშირი, რომელიც საჭირო არის მთელი კავკასიისათვის“ (ოქმები, ტ. V, გვ.23). ამიერკავკასიის ერების მიერ მოპოვებულ დამოუკიდებლობაზე ილაპარაკა ტერ-სტეფანიანმა (დაშნაკი) (ოქმები, ტ. V, გვ.25).

სომხეთმაც მალევე მიიღო დამოუკიდებლობის ფაქტობრივი ცნობა და ამის თაობაზე დამფუძნებელი კრების 23 იანვრის სხდომაზე „რიგს გარეშე განცხადება“ გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა. მან აღნიშნა, რომ ეს ცნობა „გამოიწვევს მთელ ჩვენ ხალხში დიდ კმაყოფილებას“ და ხაზი გაუსვა, რომ ამიერკავკასიის ხალხების „ინტერესები ერთად უნდა მიდიოდნენ, რომ ჩვენი ბედი ერთმანეთზე გადაჯაჭვულია და ერთის ბედნიერება, ერთის მხიარულება მეორის ბედნიერებას, მეორეს მხიარულებას უნდა შეადგენდეს“. ეს გარემოება ამიერკავკასიის ხალხებს ავალებს „ერთად ბრძოლას და ერთად მოქმედებას“ (ოქმები, ტ. V, გვ.43). ამ განცხადებას საერთო ტაში მოჰყვა და დამფუძნებელი კრების სახელით მილოცვის დეპეშა გაეგზავნა სომხეთის პარლამენტს.

24.6. ერთა ლიგაში საქართველოს შესვლის საკითხი

საქართველოს ფაქტობრივი აღიარების შემდეგ, ქართველ პოლიტიკოსებს დღის წესრიგში დამდგარ ამოცანად ერთა ლიგაში შესვლა ესახებოდათ. ამის თაობაზე განცხადებები გაკეთ-

და დამფუძნებელი კრების 14 იანვრის საზეიმო სხდომაზეც. ოღონდ სოციალისტების და არასოციალისტების დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი განსხვავებული იყო.

გ. გვაზავამ ე. დ.) აღნიშნა, რომ საქართველოს ფაქტობრივი ცნობის შემდეგ მორიგ ამოცანად ხდებოდა ერთა ლიგაში შესვლა და „უფლებრივი წყობილების“ განმტკიცება (ოქმები, ტ. V, გვ.22). „უფლებრივი“ მაშინდელი ტერმინოლოგიით „სამართლებრივს“ ნიშნავდა, სამართლებრივი სახელმწიფო კი ეროვნულ-დემოკრატებს მიაჩნდათ ხელისუფლების „სოციალისტური ტენდენციების“ შეზღუდვის საშუალებად.

სოციალისტები კი ერთა ლიგას სხვა თვალით უყურებდნენ. აკაკი ჩხენკელიც (ს. დ.) აღნიშნავდა, რომ საქართველოს შეუძლია ერთა ლიგაში შესვლა, რომლის შექმნის ინიციატივითაც გამოვიდა აშშ. თუმცა ამ იდეას უკავშირებდა სოციალისტების სურვილს საერთაშორისო მშვიდობისა და მუდმივი ზავის თაობაზე. ამიტომ ერთა ლიგა, ქმედითი სტრუქტურა რომ ყოფილიყო, უნდა დაყრდნობოდა „ყველა ერის დემოკრატიას, მშრომელ მასას“ (ოქმები, ტ. V, გვ.15).

24.7. დისკუსია დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებული ამნისტიის მასშტაბის გამო

14 იანვარს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უნდა გამოცხადებულიყო ამნისტია უმაღლესი საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარების გამო. შესაბამისი პროექტი მალევე მოამზადა მთავრობამ და გადასცა დამფუძნებელი კრების იურიდიულ კომისიას. კომისიამ პროექტი დასამტკიცებლად დამფუძნებელი კრების 1920 წლის 27 იანვრის სხდომაზე გამოიტანა. თუმცა, ერთსულოვნად მიღებული გადაწყვეტილება ამნისტიის შესახებ ცხარე განხილვის საგანი გახდა. ესერებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა მოითხოვეს, რომ გამოცხადებულიყო სრული პოლიტიკური ამნისტია და გაეთავისუფლებინათ პოლიტიკური დანაშაულის ბრალდებით დაკავებული ყველა ადამიანი. ამ კამათში არასოციალისტური ფრაქციები არ ჩარეულან.

საქმე ეხებოდა დამნაშავეთა ისეთ კატეგორიას, რომლებიც მომხსენებლის გრიგოლ გიორგაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენი დამოუკიდებლობის, დემოკრატიული წესწყობილების წინააღმდეგ იბრძოდნენ“ (ოქმები, ტ. V, გვ.62). ამგვარი დანაშაულისთვის გასამართლებულები ძირითადად ორი კატეგორიის იყვნენ: ა/ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც საქართველო-სომხეთის ომის დროს საქართველოს წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობდნენ; ბ/ ბოლშევიკების მიერ მოწყობილი აჯანყებების მონაწილეები.

მთავრობის მიერ მომზადებული ამნისტიის პროექტი ერთმანეთისგან მიჯნავდა ერთი მხრივ „წამქეზებლებს და ხელმძღვანელებს“ და მეორე მხრივ იმ ადამიანებს, რომლებიც მათ აიყოლიეს. ამნისტია ეხებოდა მეორე კატეგორიის ადამიანებს. „მეთაურნი, წამქეზებელნი, სავსებით გამორიცხული უნდა იყვნენ, ესე იგი არავითარი შეღავათი არ უნდა მიეცეთ მათ, მაგრამ ისინი, ვინც ერთგვარად გაიყოლია ამ ხალხმა, იარაღად გამოიყენა, ამის შესახებ პროექტის დებულება ისეთი აზრისაა, რომ ისინი განთავისუფლებულნი უნდა იყვნენ სასჯელისაგან“, - განაცხადა გრიგოლ გიორგაძემ (ოქმები, ტ. V, გვ.62). იუსტიციის მინისტრის, რაჟდენ არსენიძის თქმით თავისუფლება მიენიჭებოდა „იმ აუარებელ გლეხკაცობას, რომელიც... ბოროტი აგიტაციით იქნა ჩათრეული ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაში“ (ოქმები, ტ. V, გვ.67).

ასეთი იყო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პოზიციაც. თუმცა, დამფუძნებელ კრებაში განხილვის დროს ამ მიდგომას დაუპირისპირდნენ ესერები და ფედერალისტები და მოითხოვეს სრული პოლიტიკური ამნისტიის გამოცხადება.

ესერთა განცხადებით, ფართო პოლიტიკური ამნისტია დამფუძნებელ კრებას ჯერ კიდევ დამფუძნებელი კრების შეკრების დროს უნდა გამოეცხადებინა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო კი უნდა გამოცხადებულიყო სრული პოლიტიკური ამნისტია, დანარჩენ დამნაშავეებს კი სასჯელი უნდა შემსუბუქებოდათ (ოქმები, ტ. V, გვ.64). ლეო შენგელაია (ს. რ.) იმასაც ამტკიცებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ შეცვალა ძველი მოწინააღმდეგეების პოზიციები და „თვით ისინიც, ვინც ჩვენს დამოუკიდებლობას თავიდან ებრძოდა, ურიგდებიან ჩვენს დამოუკიდებლობას მას შემდეგ, რაც იგი აღიარებულია ევროპის მიერ“ (ოქმები, ტ. V, გვ.64).

იესე ბარათაშვილი (ს. ფ.) იმასაც ამტკიცებდა, რომ ბოლშევიკებმა რუსეთში მოწყობილი რევოლუციით სარგებელი მოუტანეს საქართველოს დამოუკიდებლობას. „26 მაისი არის რევოლუციის მონაპოვარი... ჩვენი დამოუკიდებლობის მოპოვება დაკავშირებულია სწორედ ამ რევოლუციასთან“ (ოქმები, ტ. V, გვ.71-72).

ბარათაშვილის აზრით ამნისტია პირველ რიგში პოლიტიკურ დამნაშავეებს უნდა შეხებოდათ და თუკი კვლავ ჩაიდენდნენ დანაშაულს, შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოახერხებდა მათ დაპატიმრებას (ოქმები, ტ. V, გვ.72). მის ამგვარ მსჯელობას გ. გვაზავას (ე. დ.) დამცინავი რეპლიკა მოჰყვა: „დილით დავიჭიროთ, საღამოთი გაუშვათ“ (ოქმები, ტ. V, გვ.73).

სოციალ-დემოკრატები იცავდნენ თავიანთი პოზიციის სისწორეს. გრ. გიორგაძის თქმით, მათთვისაც არ იყო ადვილი იმის თქმა, რომ „მეთაურები ციხეში უნდა დარჩნენო“ (ოქმები, ტ. V, გვ.77). მაგრამ როგორც სხდომაზე გამოსულმა იუსტიციის მინისტრმა რ. არსენიძემ აღნიშნა, საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა ეხელმძღვანელათ ხალხის და რესპუბლიკის ინტერესებით (ოქმები, ტ. V, გვ.66), მისივე თქმით, „სადაც ბრძოლა არის... იქ არ შეიძლება შეწყალებაზე... ლაპარაკი“ (ოქმები, ტ. V, გვ.67), პოლიტიკური მოწინააღმდეგეების განთავისუფლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც „საგანი ბრძოლისა გაუქმებული იქნება“ (ოქმები, ტ. V, გვ.66-67).

რ. არსენიძის თქმით, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლი ბოლშევიკები შეიძლება განთავისუფლებული იქნან მხოლოდ მაშინ, თუკი „საბჭოთა მთავრობა და მისი აგენტები“ ხელს აიღებდნენ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაზე (ოქმები, ტ. V, გვ.67). იგივე აღნიშნა კირილე ნინიძემაც. მისი თქმით, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ამნისტია შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, „როდესაც ბოლშევიკები ხელს აიღებენ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაზე“ (ოქმები, ტ. V, გვ.76).

იგივე მიდგომა იყო სომხეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოს საწინააღმდეგო გამოსვლების ხელმძღვანელთა მიმართაც.[40] რ. არსენიძის თქმით, არც სომხეთთან იყო გადაჭრილი პრობლემები, ომი არ მიმდინარეობდა, მაგრამ საზღვრების საკითხი კვლავ მოუწესრიგებელი იყო (ოქმები, ტ. V, გვ.68-69).

განსახილველ საკითხს სხვა კუთხით შეხედა გრ. ვეშაპელმა (ე პ.). მისი განცხადებით „12 იანვრის აქტი დამნაშავეთა მიერ არ ყოფილა მომზადებული“. საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამარჯვება რიგით ადამიანებსაც უნდა ეგრძნოთ და წინადადება წამოაყენა ამნისტიასთან ერთად შეემუშავებინათ პროექტი აუკრეფავი გადასახადების პატიების შესახებ (ოქმები, ტ. V, გვ.74). სოციალ-დემოკრატებისთვის ეს წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა. გრ.

[40] სომხების ეროვნულ საბჭოს დამფუძნებელი კრებისთვის გამოგზავნილი ჰქონდა ამნისტიის პროექტი ყველა იმ პირისათვის, რომელთაც „სასჯელი ჰქონდათ მისჯილი საქართველო-სომხეთს შორის ომში საწინააღმდეგო მოღვაწეობისათვის“ (ოქმები, ტ. V, გვ.64-65).

გიორგაძის (ს. დ.) თქმით, ყველას თავისი წვლილი უნდა შეეტანა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში (ოქმები, ტ. V, გვ.78-79).

24.8. დამოუკიდებლობის ფონდის შექმნა

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 10 თებერვლის სხდომაზე მიიღეს დადგენილება დამოუკიდებლობის ფონდის შექმნის და ამ ფონდისთვის თანხების შესაგროვებლად საყოველთაო ხელმოწერის გამოცხადების შესახებ.

ფონდის შექმნის იდეის და მისი დანიშნულების თაობაზე მოხსენებით გამოვიდა ექვთიმე თაყაიშვილი. მისი თქმით, საქართველოსთვის არსებობდა ორი მნიშვნელოვანი თარიღი, - 26 მაისი, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე და 12 იანვარი, როდესაც „ევროპამ გვიცნო თავისუფალ სახელმწიფოდ და შევედით ევროპის სახელმწიფოთა დიდ ოჯახში“ (ოქმები, ტ. V, გვ.167).

ე. თაყაიშვილის თქმით, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მიიჩნია, რომ ეს დღე „რაიმე განსაკუთრებული საქმით“ უნდა აღენიშნათ და ამ მიზნით, ხელმოწერების გზით უნდა შეეგროვებინათ „ჯეროვანი თანხა დამოუკიდებლობის ფონდის სახით“ (ოქმები, ტ. V, გვ.167). დამფუძნებელ კრებას შეეძლო თავად გაეღო თანხა, მაგრამ ეს მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს, - დამოუკიდებლობის აღიარების დღის აღნიშვნაში რიგით ადამიანებს უნდა მიეღოთ პირადი მონაწილეობა.

პროექტი წარედგინა მთავრობას, რომელმაც მხარი დაუჭირა და ამასთან მიიჩნია, რომ „ეს დღე ძეგლის სახით აღინიშნოს“ (ოქმები, ტ. V, გვ.167). ე. თაყაიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი არ იყო. პრეზიდიუმი აპირებდა მის განხილვას ხელოვნების კომისიასთან და საერთო აზრი მოხსენდებოდა დამფუძნებელ კრებას და სწორედ მას უნდა გადაეწყვიტა საბოლოოდ „ძეგლი თუ სხვა რაიმე კონკრეტული ფორმა აჯობებს ჩვენი აზრის განხორციელებისათვის“ (ოქმები, ტ. V, გვ.167).

დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი დამოუკიდებლობის ფონდის შექმნას, თავად ფონდი კი უნდა ყოფილიყო დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში.

თავი XXV. საქართველოს დამფუძნებელი კრება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხები (1920 წლის აპრილი-მაისი) – (მალხაზ მაცაბერიძე, ოთარ ჯანელიძე)

25.1. აზერბაიჯანის გასაბჭოება და საბჭოთა რუსეთის თავდასხმის საფრთხე

1920 წლის გაზაფხული კრიტიკული აღმოჩნდა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობაში, რაც, ბუნებრივია, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების ყურადღების ცენტრში მოექცა.

1920 წლის აპრილის ბოლოს მკვეთრად შეიცვალა გეოპოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში - აზერბაიჯანში თითქმის უბრძოლველად დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და გამოიკვეთა საბჭოთა რუსეთისა და მუსტაფა ქემალის თურქეთის კავშირი. საქართველოში მოელოდნენ საბჭოთა რუსეთის თავდასხმას, საომარი მოქმედებები დაიწყო კიდეც, თუმცა ლენინმა საქართველოსთან საზავო ხელშეკრულების გაფორმება არჩია, რადგანაც მაშინ საბჭოთა რუსეთს ძალზედ უჭირდა პოლონეთთან მიმდინარე ომში და დროებით შეაჩერა საომარი მოქმედებები სამხრეთ კავკასიაში. თუმცა, აპრილის ბოლოს, წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ, არავინ იცოდა როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

1920 წ. 30 აპრილს დამფუძნებელი კრების სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ განაცხადა „ადერბაიჯანში ბოლშევიკების შემოსვლის შესახებ“. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ „საბჭოთა რუსეთის მოსაზღვრეობა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისთვის თანდათან მუქარათ ხდება“ (ოქმები, ტ, VI., გვ.270).

ცნობილია, რომ ლენინისა და ბოლშევიკური ელიტის დამოკიდებულება რუსეთისაგან გამოყოფილი ქართული სახელმწიფოსადმი იმთავითვე ნეგატიური იყო. საბჭოთა რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში საქართველო კვლავ რუსეთის ნაწილად წარმოედგინათ და მის სუვერენიტეტს არ აღიარებდნენ. მეტიც, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კრემლში მტრულ ქვეყნად განიხილავდნენ და აუცილებლად მიიჩნევდნენ მის განადგურებას.

ნოე ჟორდანიას სიტყვით, ბოლშევიკური რუსეთი საქართველოს უპირისპირდებოდა „იდეოლოგიურად და ნაციონალურად.” მთავრობა ზრუნავდა, რომ „ხალხში გასავალი არ ჰქონოდა მოსკოველთა პროპაგანდას, არ მომხდარიყო აზრთა და გზათა არევ-დარევა, ყოფილიყო ფართე მასების მიერ გაგებული და შეგნებული ჩვენი და მათი წყობის, ...ცხოვრების წესების განსხვავება” (ჟორდანია, 1990, გვ. 107).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფოდა ყველა გარემომცველ ქვეყანასთან, მათ შორის საბჭოთა რუსეთთანაც, მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. თბილისში არ გამორიცხავდნენ ჩრდილოელ მეზობელთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობას, ეძიებდნენ კიდევაც საამისო გზებს, ოღონდ წინაპირობად რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებას ასახელებდნენ.

ბოლშევიკთა პროვოკაციებს, საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის ხან ფარულ, ხანაც აშკარა აგრესიას საქართველოში არ მოჰყოლია ანტირუსული ისტერია, მოსახლეობის დევნა და ქვეყნიდან დეპორტაცია. პირიქით, საკუთარი სამშობლოდან პროლეტარულ რეჟიმს

გამოქცეული რუსი ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი საქართველოს ეკედლებოდა, აქ მყუდრო ნავსაყუდელს ჰპოვებდა და მოღვაწეობას განაგრძობდა.

დამფუძნებელ კრებაში, მთავრობის თავმჯდომარის განცხადების შემდეგ, სიტყვით გამოვიდნენ საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლები. ამ გამოსვლების მიზანი შექმნილი ვითარების პარტიული შეფასება და მოსალოდნელი თავდასხმის წინაშე ქვეყნის ერთიანობის დემონსტრირება იყო.

25.2. ახალი ბრესტ-ლიტოვსკის საფრთხე

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანს შორის მოქმედი ხელშეკრულების თანახმად, 1920 წ. 27 აპრილს, ოფიციალურმა ბაქომ აზერბაიჯანზე საბჭოთა რუსეთის თავდასხმის გამო თბილისისაგან სამხედრო დახმარება ითხოვა.

ნოე ჟორდანიამ განმარტა საქართველოს მთავრობის პოზიცია: საქართველო ემზადებოდა ბაქოს მიმართულებით ჯარის გასაგზავნად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანი წინააღმდეგობას არ უწევდა შემოჭრილ ბოლშევიკებს (ოქმები, ტ, VI., გვ. 270-271). ჟორდანიას განცხადებით, აზერბაიჯანში არსებული ხელისუფლება ადვილად დაემხო „კომუნისტებსა და ანატოლიის ნაციონალისტებს შორის“ გარიგების შედეგად (ოქმები, ტ, VI., გვ. 271). ეს გარიგება მიმართული იყო საერთო მტრის - ანტანტის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნოე ჟორდანიას და აკაკი ჩხენკელის (ს. დ.) შეფასებით, სახეზე იყო ახალი ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმება, როდესაც რუსეთი და ოსმალეთი ერთმანეთთან გარიგებაზე მიდიოდნენ და სამხრეთ კავკასიას იყოფდნენ (ოქმები, ტ, VI., გვ. 276).

სპირიდონ კედიას (ნაციონალ-დემოკრატი) თქმით, შეიქმნა ახალი რეალობა - თუ მანამდე იმედი არსებობდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები ერთად დაუპირისპირდებოდნენ რუსეთს, ახლა აზერბაიჯანი ბოლშევიკებს ჩაბარდა და შეიძლება იგივე გაეკეთებინა სომხეთსაც (ოქმები, ტ, VI., გვ. 288).

ლეო შენგელაიამ (ს. რ.) აღნიშნა, რომ აზერბაიჯანმა ჩვენ კი არ გვიღალატა, არამედ თავის თავს უღალატა (ოქმები, ტ, VI., გვ. 283). ა. ჩხენკელი აზერბაიჯანთან დაკავშირებით შენიშნავდა: „ჩვენ გვინდოდა, რომ ეს სახელმწიფო მართლა სახელმწიფო ყოფილიყო, მართლა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება“, მაგრამ ამაში მოტყუვდნენ. ა. ჩხენკელმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ „თვით ადერბეიჯანის ხალხი მიხვდება საითკენაც გადაისროლა ის მისმა მმართველმა წრეებმა“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 277).

დაშნაკთა ფრაქციის წარმომადგენელმა გარეგინ ტერ-სტეპანიანმა ყურადღება გაამახვილა, რომ საქართველოს საფრთხე არა მხოლოდ აზერბაიჯანში შეჭრილი საბჭოთა რუსეთის მხრიდან, არამედ ოსმალეთისაგანაც ემუქრებოდა (ოქმები, ტ, VI., გვ. 298).

საერთო შეფასებით, ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის შემთხვევაში, მოისპობოდა დემოკრატიული წყობილება და დამყარდებოდა ტირანია. ნოე ჟორდანიამ კვლავ დაადასტურა ქვეყნის ევროპული არჩევანი, არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ. მისივე თქმით, საქართველო მზად იყო როგორც თავდაცვის, ასევე მოლაპარაკებებისთვისაც (ოქმები, ტ, VI., გვ. 270-271).

25.3. საქართველო კვლავ მარტო დარჩა

აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმის გამარჯვება საქართველოსთვის ავისმომასწავებელი სიგნალი იყო, რადგან ბოლშევიზმის საფრთხე მასაც პრაქტიკულად დაემუქრა. საქართველო რომ მარტო დარჩა საბჭოთა რუსეთიდან მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხის წინაშე, ამის

თაობაზე მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ განაცხადა. იგივე აღნიშნა ა. ჩხენკელმა (ოქმები, ტ, VI., გვ.277).

ნ. ჟორდანია თვლიდა, რომ ბოლშევიკები სოჭის ან დარიალის მხრიდან საქართველოში შემოჭრას ვერ მოახერხებდნენ, აზერბაიჯანის მხრიდან კი თავდასხმა სავსებით რეალური იყო, რადგანაც „საზღვრები გაშლილია“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 270).

მარტოდ დარჩენილი საქართველოს პოლიტიკოსები, ცხადია, ცდილობდნენ საზოგადოების გამხნევებას. ნოე ჟორდანიას თქმით, „მარტოობა ყოველთვის არ ნიშნავს დაუძლურებას. პირიქით, მარტოთ დარჩენა ზოგჯერ ნიშნავს ძლიერებას“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 272).

ფრაქციების წარმომადგენლები იმედს გამოთქვამდნენ, რომ საქართველოს მოსალოდნელი ბოლშევიკური აგრესიის წინაშე მარტოს არ მიატოვებდნენ და მას მხარში ევროპა ამოუდგებოდა. სპ. კედიას სიტყვით, ანტანტა მიხვდებოდა საქართველოს მნიშვნელოვან როლს ბოლშევიზმთან ბრძოლაში და მას დაეხმარებოდა (ოქმები, ტ, VI., გვ. 290). გრ. ვეშაპელმა გაკვირვება გამოხატა, რომ ბრიტანეთს არ ესმოდა საქართველოს მნიშვნელობა კავკასიის ქედთან საბჭოთა რუსეთის შესაჩერებლად (ოქმები, ტ, VI., გვ. 293-294). მანვე წარმოადგინა დიდი ომის სცენარი - რუსეთ-ოსმალეთის ომი ინგლისის წინააღმდეგ, რომელშიც მათ მხარეზე გერმანიაც ჩაერთვებოდა (ოქმები, ტ, VI., გვ. 294-295).

ვალიკო ჯუღელის თქმით, საქართველო მარტო არ იყო და თუ იბრძოლებდნენ ევროპა დაეხმარებოდა საქართველოს (ოქმები, ტ, VI., გვ. 303).

საქართველოს მართლაც მოუწია ბრძოლა. საბჭოთა ჯარის ნაწილები აზერბაიჯანიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში შემოიჭრნენ. მათი პოლიტიკური წინამძღოლი, ქართველი ბოლშევიკი სერგო ორჯონიკიძე არწმუნებდა ვ. ლენინს, რომ თბილისს რამდენიმე დღეში აიღებდნენ.

საქართველოს მთავრობამ გაატარა დამატებითი ღონისძიებანი: გაამაგრა სახელმწიფო საზღვრები, გამოაცხადა მობილიზაცია, აღმოსავლეთ საქართველოში შემოიღო სამხედრო წესები, ჩამოაყალიბა თავდაცვის ფონდი და სხვ. ქართული საჯარისო შენაერთების სარდლად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე, რომელიც მყისვე შეუდგა ენერგიულ მოქმედებას და ძალები სათანადო მიმართულებით გადააჯგუფა.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება და მთავრობას რესპუბლიკის თავდაცვის საჭიროებისათვის დამატებით 300 მილიონი მანეთი გამოუყო (ჯანელიძე, 2013: 218).

25.4. ბოლშევიკების იმპერიალისტური პოლიტიკა

ფრაქციების წარმომადგენლებმა დაწვრილებით ილაპარაკეს ბოლშევიკების რეალურ მიზნებზე და ხაზი გაუსვეს მათი მოქმედების იმპერიალისტურ ხასიათს.

აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ბოლშევიკები დაადგნენ იმპერიალისტურ პოლიტიკას, სხვა ერების დაპყრობის პოლიტიკას (ოქმები, ტ, VI., გვ. 275). მისივე თქმით, „ბოლშევიზმის მოვლენა ამიერკავკასიაში“ იყო „სწორედ ძველი უღლის - რუსეთის იმპერიალიზმის აღდგენა“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 275-276). ლეო შენგელაიას განცხადებით, საქართველოს თავს ესხმოდა „ველიკორუსული იმპერიალიზმი“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 285). შალვა ნუცუბიძის შეფასებით, ბოლშევიზმი იყო იმპერიალიზმი, კერძოდ კი სოციალისტური იმპერიალიზმი (ოქმები, ტ, VI., გვ. 281).

ლ. შენგელაიას სიტყვით, მდგომარეობა მოითხოვდა „უდიდეს მსხვერპლს ერისაგან, ყოველი მოქალაქისაგან“, რადგანაც ომი საქართველოს სახელმწიფოს განადგურებას ისახავდა მიზნად (ოქმები, ტ, VI., გვ. 284-285).

ა. ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დაპირისპირება იყო დემოკრატიზმისა და დესპოტიზმის დაპირისპირება (ოქმები, ტ, VI., გვ. 274), „ბრძოლა ბოლშევიზმსა და დემოკრატიზმს შორის“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 277). თუმცა სოციალისტ-ფედერალისტმა შ. ნუცუბიძემ ხაზი გაუსვა, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო არა პოლიტიკური ხასიათის, გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პროგრამების თაობაზე, არამედ ბრძოლა „ორ სახელმწიფოს შორის“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 279).

შ. ნუცუბიძე განსაკუთრებულ საფრთხედ მიიჩნევდა იმ ილუზიებს, რაც ბოლშევიკების გამოჩენას მოსდევდა სოციალისტების ნაწილისათვის, თითქოსდა მიმდინარეობდა მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია, რასაც სოციალიზმის იდეალების პრაქტიკული განხორციელება უნდა მოჰყოლოდა. შ. ნუცუბიძის თქმით, ბევრს უჭირდა იმის გარჩევა, თუ ვინ მოადგა საქართველოს საზღვრებს, „მტერი თუ მოყვარე“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 278). მისივე განცხადებით, საქართველოს ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა ბოლშევიკური მსოფლიო რევოლუციის იდეის მიმართ (ოქმები, ტ, VI., გვ. 280).

„ბოლშევიზმის თანმდევი ილუზიები“ საფრთხეს რომ წარმოადგენდა, ეს სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის ლიდერის ლეო შენგელაიას გამოსვლამაც დაადასტურა. მისი თქმით, კომუნისტები დამფუძნებელ კრებაში რომ ყოფილიყვნენ, მათთან პროგრამულად ბევრი არაფერი ექნებოდა სადავო. ქართველი ესერები ბოლშევიკებს უპირისპირდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ საქართველოს დაპყრობა სურდათ. ამავე დროს, ლ. შენგელაია მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მოუწოდებდა „უფრო მემარცხენე“ პოლიტიკის გატარებას, რათა ჯარში მყოფ მუშებსა და გლეხებს დაენახათ, თუ რისთვის იბრძოდნენ (ოქმები, ტ, VI., გვ. 284-285).

25.5. რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმი და ქართული პოლიტიკური სპექტრი

საქართველოს მემარცხენე თუ მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და მთავრობას მუდმივად აკრიტიკებდნენ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სხვადასხვა სფეროში დაშვებული ხარვეზებისათვის, მერყეობისათვის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაში და ა.შ., ბოლშევიზმის შეფასების საკითხში ხელისუფლებასთან თანაზიარნი იყვნენ. ქართულ პოლიტიკურ ძალებს სწორად ჰქონდათ გაცნობიერებული ბოლშევიკური რეჟიმის არსი. ისინი ბოლშევიზმს რეაქციულ, ქართველი ერის მიზნებისა და იდეალებისათვის სრულიად მიუღებელ მიმდინარეობად აღიქვამდნენ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბოლშევიზმის საქართველოში შემოღწევა ძირს გამოუთხრიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, გამოიწვევდა ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობას და სხვ. მაგრამ ქართველი პოლიტიკოსები არც იმას ივიწყებდნენ, რომ ბოლშევიზმი რუსეთში გაბატონებული სახელმწიფოებრივი ძალაც იყო და იგი ანგარიშის გაწევას საჭიროებდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი გვაზავა აცხადებდა: „თუმცა ბოლშევიკთა შეხედულება და მოძღვრება ჩვენთვის მისაღები არ არის, მაგრამ ვინაიდან მათ უჭირავთ მთელი სახელმწიფო, ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ მოლაპარაკება, ...როგორც სახელმწიფოსთან.” ასეთივე აზრისა იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაც. მისი ერთ-ერთი ლიდერი სამსონ ფირცხალავა მიუთითებდა: „უნდა განვაგრძოთ

მშვიდობიანი პოლიტიკა რუსეთის ბოლშევიკების მიმართ და ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, დავამყაროთ მათთან წესიერი მეზობლური ურთიერთობა" („სახალხო საქმე", 18.11.1920).

საყურადღებო თვალსაზრისს გამოთქვამდა დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანო, გაზეთი „კლდე." მის ფურცლებზე ვკითხულობთ: „რუსეთთან მორიგებაზე ლაპარაკი უთუოდ მისაღებია, მაგრამ ერთ საფუძველზე: რუსეთმა ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აიღოს საქართველოზე და აზრადაც არ უნდა გაიტაროს საქართველოზე ამა თუ იმ სახით თავისი გავლენის დამყარება. საქართველოს სუვერენობა საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს პოლიტიკას და ეკონომიკურ ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან."

სტატიის დასასრულს მითითებული იყო ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზეც, კერძოდ, გაზეთი ხაზს უსვამდა შემდეგს: „შეიძლება ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება, პოლიტიკური ძაფის გაბმა რუსეთთან, მაგრამ აბსოლუტური დამოუკიდებლობის ნიადაგზე" და, რომ „შესაძლოა, რუსეთი ამაზე დასთანხმდეს, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ საერთაშორისო გარანტიები" („კლდე", 30.04.1920).

ქართული პოლიტიკური ელიტა ერკვეოდა ბოლშევიზმის აგრესიულ ბუნებაში, გრძნობდა ბოლშევიკური რუსეთისაგან მომდინარე საფრთხის სერიოზულობასაც და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე ზრუნვის პარალელურად ამ სახელმწიფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის მიღწევის გზებსაც დაეძებდა.

25.6. მზადყოფნა თავდაცვისა და მოლაპარაკებებისათვის

ნოე ჟორდანიას განცხადებით, საქართველო მზად იყო როგორც თავდაცვისათვის, ასევე მოლაპარაკებებისათვის (ოქმები, ტ, VI., გვ. 270-271). იგივე გაიმეორა სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით შალვა ნუცუბიძემაც (ოქმები, ტ, VI., გვ. 283).

აკაკი ჩხენკელის თქმით, საქართველო იცავდა ნეიტრალიტეტს და არ ერეოდა რუსეთის სამოქალაქო ომში. საქართველოს პოლიტიკა ზოგადად იყო ლოიალობა და ნეიტრალიტეტი ყველა მეზობლის მიმართ (ოქმები, ტ, VI., გვ. 2019: 275). მისივე სიტყვით, „ჩვენ ვიცავთ მხოლოდ ჩვენ თავს, დამოუკიდებლობას, რევოლუციის მონაპოვართ" (ოქმები, ტ, VI., გვ. 274).

განცხადება მოლაპარაკებებისათვის მზადყოფნის თაობაზე არ იყო უბრალო დეკლარაცია. ნოე ჟორდანიას ამ მიზნით მოსკოვში გაგზავნილი ჰყავდა წარმომადგენელი რომელიც პირადად იცნობდა ლენინს და სხვა ბოლშევიკებს. თუმცა ამ ამბის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა (ჟორდანია, 1990. გვ.112).

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ ბოლშევიკებთან შეთანხმების შესაძლებლობას. ვ. ჯუღელს შეცდომად მიაჩნდა ბოლშევიკებთან დათმობებზე წასვლა შეთანხმების მიღწევის იმედით. მისი თქმით, „დავთმოთ იმ ილუზიით, რომ ბოლშევიკებთან შეიძლება რაიმე შეთანხმება და მოლაპარაკება", არის ყველაზე საშიში ილუზია (ოქმები, ტ, VI., გვ. 302).

25.7. საქართველოს საზღვრების შესახებ

საბჭოთა რუსეთის შესაძლო თავდასხმის მოგერიების საკითხთან ერთად, დამფუძნებელი კრების სხდომაზე განხილვის საგანი გახდა საქართველოს საზღვრების საკითხი. ინგლისელთა ჯარის წასვლის შემდეგ საქართველო მოელოდა ბათუმის ოლქის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას. ასევე მეზობელ აზერბაიჯანთან სადავო ჰქონდა ზაქათალის ოლქი, ხოლო სომხეთთან ყოფილი ბორჩალოს მაზრის ნაწილი (ე. წ. „ნეიტრალური ზონა").

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელი ა. ჩხენკელი აღნიშნავდა: „სწორედ დღეს, სწორედ ამ მომენტში გამოიჭედება საქართველო თავის ბუნებრივ საზღვრებში“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 274).

გრიგოლ ვეშაპელი საჭიროდ მიიჩნევდა საქართველოს საზღვრების გასწორებას საინგილოსა და ბორჩალოში. მისი თქმით, საქართველო უნდა დადგეს „ნამდვილ, ბუნებრივ საზღვრებზე, როგორც ადერბეიჯანთან, ისე სომხეთთან“, „ასევე უნდა ითქვას ბათუმზე“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 295-296).

სპ. კედიამ განაცხადა, რომ ქართველი ერი დაიცავდა სამშობლოს, ასევე აღიდგენდა ტერიტორიულ მთლიანობას - დაიბრუნებდა ბათუმის ოლქს (ოქმები, ტ, VI., გვ. 291).

25.8. გამარჯვების იმედი

რას ემყარებოდა გამარჯვების იმედი? საქართველოს ერთიანობას დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. სპ. კედიას თქმით, ბოლშევიზმი „განიცდის სასტიკ დამარცხებას ყველგან, სადაც პირდაპირ შეეჯახა დარაზმულ, ეროვნულ ერთეულებს“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 289).

განხეთქილება შეიძლება ყოფილიყო პარტიული - არსებობდა საფრთხე, რომ ოპოზიციაში მყოფი მემარცხენე სოციალისტების სიმპათიები ბოლშევიკებისკენ გადაიხრებოდა. ასევე შესაძლებელი იყო ეთნიკური უმცირესობების გამოყენება ბოლშევიკების მიერ.

ვ. ჯუღელმა გაიხსენა 1918 წელი, როდესაც საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში ბოლშევიკებმა მოაწყეს აჯანყება ცხინვალის რეგიონში, ხოლო სადახლოში „თათრის ბრბოების გამოსვლა მოხდა“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 300). როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ჯუღელს ცხინვალზე ოსების თავდასხმა ტყუილად არ გახსენებია, - 1920 წლის მაისის დამდეგს ბოლშევიკებმა კვლავ მოაწყეს ოსების აჯანყება, ოღონდ თავად მალევე გააფორმეს საზავო ხელშეკრულება საქართველოსთან.

ფრაქციათა წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საქართველო ერთიანი იქნებოდა სამშობლოს დაცვის საქმეში. შ. ნუცუბიძის თქმით, დამფუძნებელი კრების მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტია იდგა „საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე“ და ბოლშევიკები ვერ გამოიყენებენ საქართველოში არსებულ ოპოზიციურ ძალებს (ოქმები, ტ, VI., გვ. 282). სპ. კედიამ მოუწოდა პარტიებს იდეური გაერთიანებისათვის სამშობლოს დაცვის საქმეში (ოქმები, ტ, VI., გვ. 291). გრ. ვეშაპელმა იმედი გამოთქვა, რომ ქართველი ხალხი საკუთარ მთავრობას ამჯობინებდა უცხოების გაბატონებას (ოქმები, ტ, VI., გვ. 296). ყველაზე მკაფიოდ ქვეყნის ერთიანობის აუცილებლობას ხაზი გაუსვა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით გამოსულმა ა. ჩხენკელმა. მისი თქმით, „ქართველი ერი განურჩევლად პარტიული რწმენისა, საქართველოს ხალხი განურჩევლად ეროვნებისა, იქნება როგორც ერთი კაცი, როგორც ერთი პიროვნება და ბოლომდის შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას“ (ოქმები, ტ, VI., გვ.:273).

გარეგინ ტერ-სტეპანიანმა კი დაშნაკთა პარტიის სახელით განაცხადა, რომ მისმა პარტიამ „პირველი დღიდანვე მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობა“ და ბოლომდე ამ ნიადაგზე იდგებოდა (ოქმები, ტ, VI., გვ. 298).

დეპუტატთა ერთსულოვანი სულისკვეთება აისახა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დადგენილებაში, რომელშიც ვკითხულობთ: „დამფუძნებელი კრება ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთელი საქართველოს ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა, ქართველი ერი, საქართველოს დემოკრატია, მისი სახელოვანი, ბრძოლაში გამობრძმედილი შეიარაღებული ძალა - ჯარი და სახალხო გვარდია და მთელი შეიარაღებული ხალხი შეურყევლად დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

დამფუძნებელი კრება მიმართავს დემოკრატიას, რომ იმანაც აღიმაღლოს ხმა უზენაესი სამართლიანობის დასაცავად, და ღრმად სწამს, რომ გასაჭირის დროს ევროპის დემოკრატია არ დასტოვებს საქართველოს დემოკრატიას მარტოდ ბრძოლის ველზე“ (ოქმები, ტ, VI., გვ. 306).

დამფუძნებელი კრების განხილულ სხდომაზე დეპუტატების გამოსვლები ცხადყოფს, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხე ხელისუფლებასა და ოპოზიციას ავიწყებდა პარტიულსა თუ კლასობრივ წინააღმდეგობას და შეკავშირებისა და ერთად დგომისაკენ უბიძგებდა. ამ ფაქტში აკაკი ჩხენკელი ერის კულტურის მახასიათებელ ნიშანს ხედავდა და აცხადებდა: ,,როდესაც გარედან გვადგება საფრთხე, ჩვენ ერთნი ვართ განურჩევლად რწმენისა და ეროვნებისა.“

25.9. მოლაპარაკების კულისებში

1920 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ნ. ჟორდანიას დავალებით მოსკოვს გაიგზავნა დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე. მისი შერჩევა ამ მისიისათვის მხოლოდ ერთმა გარემოებამ განაპირობა: ნ. ჟორდანიას სიტყვით: „დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინისა და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი” (ჟორდანია, 1990, გვ.112). (გ. ურატაძე სოციალ-დემოკრატთა სტოკჰოლმისა და ლონდონის კონგრესის მონაწილე იყო, ხოლო ლენინს ჯერ კიდევ 1911 წლიდან იცნობდა, როგორც ლონჟიუმოს პარტიული სკოლის მსმენელი).

ვ. ლენინი დათანხმდა საქართველოს მთავრობის წინადადებას, დაეწყოთ მოლაპარაკება სახელმწიფოთა ურთიერთცნობისა და აღიარების თაობაზე. რუსეთის ინტერესების დაცვა მოლაპარაკებებში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ კარახანს მიენდო. კრემლში ფიქრობდნენ, რომ თუ დიპლომატიური მოლაპარაკება მათთვის სასურველ შედეგს ბოლომდე ვერ მოიტანდა, საქართველოს ყურადღებას მაინც მოადუნებდა და ასეთ შემთხვევაში სამხედრო ჩარევის გეგმა უფრო ეფექტურად იმოქმედებდა.

საზავო მოლაპარაკების მსვლელობისას გ. ურატაძისთვის კერძო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა რუსეთის ჯარის ნაწილები აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ და ჩვენს ჯარებთან ომს აწარმოებდნენ. საქართველოს წარმომადგენელს, როგორც თვითონ იგონებს, მიუმართავს ლენინისათვის და განუცხადებია, რომ თუ იგი არ გასცემდა განკარგულებას ომის შეწყვეტის შესახებ, მოლაპარაკებას თავს გაანებებდა. ლენინს უპასუხნია, რომ ამის შესახებ არაფერი იცის, ხოლო „ჭორებმა არ უნდა შეუშალოს ხელი მოლაპარაკებასო” (ურატაძე, 1958, გვ. 79).

როგორ შეხვდა ჩვენი ქვეყანა სამშვიდობო ხელშეკრულებას? აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ქარცივაძე: „რუსეთთან ზავის ხელის მოწერამ ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი გამხნევდა და დამოუკიდებლობის დაცვისაკენ მისწრაფება უფრო გაცხოველდა. მთავრობის მდგომარეობაც განმტკიცდა. მოხდა დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომელიც ერთსულოვანის კმაყოფილებით შეეგება რუსეთთან ზავს. ქალაქი იმ დღეს ბაირაღებით მოირთო და ზარბაზანმა 21-ჯერ გაისროლა. ქუჩებს სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა. საქართველოს ყველა კუთხიდან მოგვდის ცნობები, რომ ხალხი ყოველგან დიდის სიამოვნებით ეგებება ამ ცნობას... მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთთან ზავმა და ჩვენი ავტორიტეტი გაიზარდა მათ თვალში” (საქართველოს ეროვნული არქივი, საქმ. 753).

25.10. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულება და საქართველოს დამფუძნებელი კრება

1920 წლის მაისის დამდეგს აზერბაიჯანის ტერიტორიიდან წითელი არმიის შენაერთები საქართველოს ფარგლებში შემოიჭრნენ. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგე მოიგერიეს და უკანვე გააბრუნეს. მას შემდეგ, რაც მოსკოვმა დაინახა, რომ შეუძლებელია საქართველოს იოლი დამარცხება, ს. ორჯონიკიძეს ებრძანა, შეეწყვიტა საომარი მოქმედებები და აზერბაიჯანში დაბრუნებულიყო (თოიძე, 1991, გვ.14).

მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკება წარმატებით გაგრძელდა და 1920 წლის 7 მაისს სამშვიდობო ხელშეკრულებაც გაფორმდა. რუსეთი უპირობოდ ცნობდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, აღიარებდა მას თავის ისტორიულ საზღვრებში (ადრე კავკასიის სამეფისნაცვლოში შემავალი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ყველა მაზრა, ასევე ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქები) და ხელს იღებდა საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე. ამ, საქართველოსათვის დიდმნიშვნელოვან დაპირებათა გვერდით, ხელშეკრულების ტექსტში იყო ისეთი მუხლებიც, რომლებიც ლახავდნენ ქართული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს და საფრთხეს უქმნიდნენ მის სუვერენიტეტს (კავკასიის უღელტეხილების ნეიტრალიზება, ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის ლეგალური მოღვაწეობის უფლების მინიჭება, სხვა სახელმწიფოებთან თავისუფალი ურთიერთობის შეზღუდვა).

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი მოსკოვში გაგზავნილ დიპლომატიურ წარმომადგენელს გ. ურატაძეს წერდა: `რუსეთთან საზავო ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ ვეცდებით რატიფიკაციის დროს, რომლის უფლება აქვს დამფუძნებელ კრებას და რომელიც უთუოდ უნდა მოხდეს, ამ მუხლებს მივცეთ სხვა სახე და შეძლებისდაგვარად ჩვენ სასარგებლოდ შევცვალოთ მათი რედაქცია".

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე ამყარებდა იმედს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაც, მაგრამ ხსენებული დოკუმენტი მასზე ხელისმოწერის დღიდანვე, რატიფიცირების გარეშე, „თვით ფაქტის ძალით" შევიდა ძალაში. ამდენად, ნოე ჟორდანიას მოგონებებში აღნიშნული ფაქტი, რომ თითქოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა ხსენებული ხელშეკრულება (ჟორდანია, 1990, გვ.115), ზუსტი არ არის.

საბჭოთა რუსეთთან მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს დამფუძნებელ კრებას დეტალურად არ განუხილავს, მაგრამ მსჯელობის საგანი გახდა ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულების დადების თვით ფაქტი. 1920 წ. 11 მაისს დამფუძნებელი კრების სხდომაზე მთავრობის სახელით, საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა გააკეთა განცხადება, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ზავის ხელშეკრულება დაიდო (ოქმები, ტ, VI., გვ.321).

დეპუტატებმა, როგორც უმრავლესობიდან, ისე უმცირესობიდან, მოიწონეს საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება და მის მიმართ მრავალი ეპითეტი გამოთქვეს: „დიდი დღე" (ევგენი გეგეჭკორი); „დიდი ისტორიული მოვლენა" (აკაკი ჩხენკელი); „დიდი გამარჯვება ჩვენი ერისა, საქართველოს დემოკრატიისა" (ივანე გობეჩია); „ეს არის ჩვენი ეროვნული გამარჯვება" (გიორგი გვაზავა) და სხვ. (ოქმები, ტ, VI., გვ.322; 323; 335).

მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენელმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი გვაზავამ, ისე როგორც სხვებმა, რუსეთთან ხელშეკრულების დადების ფაქტს მაღალი შეფასება მისცა. მანვე მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გააკრიტიკა ზავის დადების გამო ვ. ლენინთან გაგზავნილი დეპეშისათვის, რომელშიც გამოთქმული ყოფილა რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობის სურვილი „გარდაქმნან საერთო ცხოვრება სოციალისტურ ნიადაგზე" (ოქმები, ტ, VI., გვ.341).

დამფუძნებელი კრების წევრები კარგად აცნობიერებდნენ ხელშეკრულების მნიშვნელობას, რაც უპირველესად იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოფილი მეტროპოლია იურიდიულად სცნობდა ყოფილი კოლონიის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ეს გარემოება უდავოდ განამტკიცებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესტიჟს შინ თუ გარეთ, აადვილებდა მისი სუვერენიტეტის საერთაშორისო ცნობასა და აღიარებას.

ამიტომაც იყო, რომ კრებამ მიიღო ასეთი რეზოლუცია: „მოისმინა რა გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, დამფ. კრება იწონებს მთავრობის პოლიტიკას, კმაყოფილებას გამოსთქვამს რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარების გამო და დარწმუნებულია, რომ მთავრობა განაგრძობს სათანადო ზომების მიღებას რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და მისი საზღვრების დასაცავად“ (ოქმები, ტ, VI., გვ.342).

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთთან მოსკოვში გაფორმებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ოპტიმიზმი და იმედის სულისკვეთება გააძლიერა. ამ ხელშეკრულებამ, როგორც საერთაშორისო სამართლებრივმა დოკუმენტმა, მართლაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებას დასავლეთის დიდი სახელმწიფოების მიერ, მაგრამ თავად ბოლშევიკურ რუსეთთან ურთიერთობა ვერ მოაწესრიგა.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოზე თავდასხმა ამჯერად შეაჩერა, მაგრამ არცთუ დიდი ხნით, - მხოლოდ 1921 წლის თებერვალ-მარტამდე, როდესაც წითელი არმიის ნაწილებმა, თავსმოხვეულ ომში, დაამარცხეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მის არსებობას ბოლო მოუღეს.

თავი XXVI. დამფუძნებელი კრება და ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან (მალხაზ მაცაბერიძე)

26.1. საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მე-4 პუნქტში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურდა „საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან“ კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, „განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან“. ეს იყო მიჩნეული საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრინციპად. თუმცა, ამ გზაზე საქართველო, როგორც ევგენი გეგეჭკორი აღნიშნავდა, „ბევრ დაბრკოლებას“ წააწყდა.

როგორ წარმოედგინათ „კეთილმეზობლური“ ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან? კარლო ჩხეიძის თქმით, ეს უნდა ყოფილიყო „დემოკრატიული კავშირი ყველა იმ ერებთან, რომელნიც ჩვენ გვერდით მოსახლეობენ და რომლებთანაც ჩვენ ისტორიულად და მომავალშიც ერთი გზით სვლა გვჭირდება“ (ოქმები, ტ. II, გვ.218). ეს არ იყო ცარიელი, დეკლარაციული სიტყვები. როგორც სიმონ მდივანი (ს. ფ.) დამფუძნებელი კრების 1919 წლის 22 ივნისის სხდომაზე აღნიშნავდა, „ეს იყო ძირითადი პრინციპი, რომლითაც ჩვენი მთავრობა ხელმძღვანელობდა და ამ პრინციპის განხორციელება მუდმივი საზრუნავი იყო“ (ოქმები, ტ. II, გვ.218).

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის თქმით, „კეთილ-მეზობლური განწყობილება[41] ამიერ-კავკასიაში მობინადრე ერებთან“ იყო ის „უმთავრესი გეზი“, რომლის გარშემოც ტრიალებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობით „პოლიტიკური და ადმინისტრაციული ენერგია“. უნდა მომხდარიყო მათთან „სოლიდარული კავშირის“ დამყარება და ამ გზით მიღწეული უნდა ყოფილიყო „მთელი ამიერ-კავკასიის ერების ბედნიერება და კეთილდღეობა“ (ოქმები, ტ. II, გვ.224-225).

მეზობელი სახელმწიფოების და ხალხების მიმართ ყურადღებას და პატივისცემას დამფუძნებელი კრება ყოველთვის საგანგებოდ გამოხატავდა. დამფუძნებელი კრების მე-2 სხდომაზე 1919 წლის 14 მარტს საჭიროდ ჩათვალეს წაეკითხათ „რამდენიმე მნიშვნელოვანი და საყურადღებო დეპეშა“, რომელთა გამომგზავნებიც ულოცავდნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნას. მათ შორის იყო აზერბაიჯანის პარლამენტის და სომხეთის მთავრობის მისალოცი დეპეშები (ოქმები, ტ. I, გვ.52-53). 21 მარტის სხდომაზე კი წაიკითხეს მთიელთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და სამოკავშირეო საბჭოს თავმჯდომარის მისალოცი დეპეშები (ოქმები, ტ. I, გვ.63-64). დამფუძნებელი კრება ტაშით შეეგება მეზობელი ხალხებისგან გამოგზავნილ მისალოც დეპეშებს, როგორც კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებისათვის მზაობის გამოხატულებას.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 22 ივნისის სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულება, სხდომის ბოლოს თავმჯდომარემ საგანგებოდ აღნიშნა, რომ „ლოჟაში იმყოფებოდნენ ინგუშეთის წარმომადგენლები“ და მათ დამფუძნებელი კრების სახელით მიესალმა. დეპუტატები ფეხზე წამოდგნენ და ტაშით მიესალმნენ ინგუშ სტუმრებს (ოქმები, ტ. II, გვ.239).

[41] იმდროინდელი ტერმინოლოგიით სიტყვა „განწყობილება“ გამოიყენებოდა დღევანდელი „ურთიერთობის“ მნიშვნელობით.

მეზობელ კავკასიურ სახელმწიფოებთან - აზერბაიჯანთან, სომხეთთან და მთიელთა კავშირთან ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების ზრუნვის განსაკუთრებული საგანი იყო. თუმცა პრობლემები ურთიერთობაში მრავლად იყო და ეს პირველ რიგში სასაზღვრო-ტერიტორიულ დავებს უკავშირდებოდა. ამით იყო გამოწვეული სომხეთის თავდასხმა საქართველოზე და სომხეთ-საქართველოს ომი 1918 წლის ბოლოს და ქრონიკული სასაზღვრო ომი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.

ეს კონფლიქტები ხელს უშლიდა როგორც ამ ქვეყნების სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, ისე მათ პრესტიჟს და აღიარების პერსპექტივებს საერთაშორისო არენაზე. ამაზე არაერთხელ გაამახვილეს ყურადღება დამფუძნებელ კრებაში. მაგალითად ყურადღება მიექცა და განხილვის საგანი გახდა დამფუძნებელ კრებაში ავტორიტეტული დასავლური გამოცემის „ტაიმსის“ კორესპონდენტის მიერ გავრცელებული თვალსაზრისი, რომ „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის ეროვნული შუღლია გაჩაღებული და ერთმანეთი ისე სძულთ, რომ მათ არ შეუძლიათ ერთად ცხოვრებაო“ (ოქმები, ტ. I, გვ.405). გარდა ამისა, იმავე გაზეთის კორესპონდენტის თქმით „ამიერკავკასიის რესპუბლიკებს არ შეუძლიათ სახელმწიფო მოაწყონ, ვერავითარი უნარი, ვერავითარი ნიჭი ვერ გამოიჩინეს ადმინისტრატიულ აპარატის შექმნაში და არა აქვთ საშუალება მოაწყონ ცხოვრება“ (ოქმები, ტ. I, გვ.409).

სპირიდონ კედია (ე. დ.) შეეცადა აეხსნა, თუ რატომ გამოდიოდა საქართველო ამიერკავკასიის ქვეყნების „საერთო შემოკრებისა და გაერთიანების წინადადებით“ (ოქმები, ტ. II, გვ.231). მისი თქმით, საქართველოს ამგვარი როლი განსაზღვრული იყო მისი „ცენტრალური პოზიციით მთელს კავკასიაში“, რომელიც საქართველოს ისტორიულად ეჭირა „სახელმწიფოებრივი ტრადიციის, თუ კულტურის, თუ ტოპოგრაფიის ძალით“ (ოქმები, ტ. II, გვ.231). საქართველოს ამ როლს ასევე განაპირობებდა მისი „სარწმუნოებრივი სახე“, რადგანაც გაყოფილი იყო ქრისტიანულ და მუსლიმურ ნაწილებად. ეს ვითარება საქართველოს ერთი მხრივ „აერთებდა და აკავშირებდა აზერბაიჯანის მუსლიმანურ სახელმწიფოსთან და მის ხალხთან“, მეორე მხრივ კი საქრისტიანო საქართველო უკავშირდებოდა „კავკასიის ფარგლებში სომხის ერს“ (ოქმები, ტ. II, გვ.232).

დღის წესრიგში იდგა ამიერკავკასიის სამ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება და სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება გარეშე მტრისაგან საერთო ძალებით თავდაცვისათვის, თუმცა ფედერალისტები უფრო შორსაც მიდიოდნენ. სიმონ მდივანმა 1919 წლის 22 ივნისს საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულების განხილვისას აღნიშნა, რომ მათი იდეალია საქართველოს სამეზობლოში ეხილათ ამიერკავკასიის ერთა შეკავშირება შვეიცარიის მსგავსად. ასეთ განცხადებას ეროვნულ-დემოკრატთა ირონიული რეაქცია მოჰყვა. „თქვენ სოციალ-ფედერალისტების კლუბში წაიღეთ ეს სურათი და იქ შეინახეთ“ - უპასუხა მაჭავარიანმა (ოქმები, ტ. II, გვ.239).

საგულისხმო იყო დამფუძნებელი კრების 1920 წლის 8 აპრილის (საღამოს) სხდომა, სადაც სპეციალურად განიხილეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის 1920 წლის 9 მარტის საგანგებო სხდომის რეზოლუცია „ყარსის და ერევნის ოლქებში მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ“ (ოქმები, ტ. VI, გვ.211). განხილვის შემდეგ ერთხმად მიიღეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის რეზოლუციის პროექტი, რომლის თანახმადაც „ხმლით გადაჭრა ნაციონალურ-ტერიტორიალური საკითხებისა საზოგადოდ დასაგმობი და გასაკიცხია“. ასევე აღინიშნა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის „მტრობა და სისხლის ღვრა ხელსაყრელია მხოლოდ იმათთვის, ვინც ცდილობს ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკების დამხობას და დემოკრატიის ხანგრძლივი ბრძოლით მონაპოვარ თავისუფლების მოსპობას“ (ოქმები, ტ. VI, გვ.228). საქართველოს

დამფუძნებელმა კრებამ მოუწოდა სომხეთს და აზერბაიჯანს „ენერგიული ზომები“ მიეღოთ „სადაო საკითხების მორიგეობით დასათავებლად“ (ოქმები, ტ. VI, გვ.228).

26.2. კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციები

1919 წლის 26 აპრილს თბილისში გაიხსნა კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია „4 ერის წარმომადგენლობის“ (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მთიელთა რესპუბლიკა) მონაწილეობით. კონფერენციის მოწვევის ინიციატორი საქართველო იყო. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის განცხადებით, ეს კონფერენცია შედგა „ჩვენის ინიციატივით, ჩვენის დაჟინებით“ (ოქმები, ტ. II, გვ.225).

ამ კონფერენციის გამართვა ე. გეგეჭკორს საქართველოს პოლიტიკის წარმატებად მიიჩნევდა, თუმცა, მისივე თქმით, „არავითარ ილუზიას აქ ალაგი არ უნდა ჰქონდეს“ (ოქმები, ტ. I, გვ.396). ე. გეგეჭკორის განცხადებით, ეს კონფერენცია ვერ დამთავრდებოდა „ამიერ-კავკასიისთვის აუცილებელი“ შედეგით, ე. ი. ვერ მოხდებოდა „სრული შეთანხმება პოლიტიკურ და ეკონომიკურ კითხვებში ამიერ-კავკასიის ერთა შორის.

ე. გეგეჭკორი მაინც მოელოდა, რომ თბილისში მიმდინარე კონფერენციაზე მაინც მოხერხდებოდა „საერთო ნიადაგის“ გამონახვა, ეს „საერთო ნიადაგი“ კი უნდა ყოფილიყო „ჩვენი თავისუფლების დაცვა, სოლიდარულად ამ მხრით მოქმედება“ (ოქმები, ტ. I, გვ.396). თუმცა ეს იმედი გამართლდებოდა თუ არა, ე. გეგეჭკორის განცხადებით, ამას „მომავალი დაგვანახებდა“ (ოქმები, ტ. I, გვ.396).

უკვე კონფერენციის შემდეგ ევგენი გეგეჭკორი აღნიშნავდა, რომ კონფერენციამ ვერ გადაჭრა ის პრობლემები, რაც კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობას უშლიდა ხელს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ე. გეგეჭკორის თქმით, კონფერენციაზე „პირის-პირ შეხვდნენ ურთიერთს ორი მოპირდაპირე მსოფლიო მხედველობა, ორი პოლიტიკა“ (ოქმები, ტ. II, გვ.226). ერთი მიმართული იყო თანამშრომლობისაკენ, მეორე კი „სულ სხვაგან ეძებდა ხსნას“ და არა მეზობელ ხალხებთან თანამშრომლობაში.

გიორგი ლასხიშვილი (ს. ფ.) იმედს გამოთქვამდა, რომ „ისტორიის ლოღიკა, სინამდვილე“ ყველას შეაგნებინებდა „იმ ურყევ ფაქტს“, რომ „კავკასიის ერთა სოლიდარობა ერთად-ერთი გზაა ჩვენის არსებობისათვის და მომავალში თავისუფლად განვითარებისათვის“ (ოქმები, ტ. II, გვ.229).

26.3. საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულება

1919 წლის 16 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც განსაზღვრავდა ამ ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის ფორმებს და ხასიათს. ეს ორი ქვეყანა შეთანხმდა ერთობლივად გამოსულიყვნენ თავიანთი შეიარაღებული ძალებით „ყოველგვარ თავდასხმის წინააღმდეგ“, რომელიც ერთ ან ორივე რესპუბლიკას დაემუქრებოდა. ეს მუხლი არ ვრცელდებოდა იმ კონფლიქტებზე, რომლებიც „შესაძლოა ატყდეს საზღვრების გამო“ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის „ჯერ კიდევ დაუმთავრებელ გადამიჯვნის ნიადაგზე“ (ოქმები, ტ. II, გვ.221-222). თუკი შეიქმნებოდა ისეთი ვითარება, როდესაც შეთანხმებაში მონაწილე მხარეები ჩაბმული აღმოჩნდებოდნენ საომარ მოქმედებებში და რომელიმე ქვეყანა „ერთ ან ორივე მოკავშირეს“ თავს დაესხმოდა „საზღვრის გამო დავის იარაღით გადაჭრის მიზნით“, ისიც მეომარ მხარედ ჩაითვლებოდა.

საქართველო-აზერბაიჯანის შეთანხმება ატარებდა თავდაცვით ხასიათს და თუკი რომელიმე ხელმომწერი მხარე წინასწარ შეუთანხმებლად საომარ მოქმედებებს დაიწყებდა, შეთანხმების დამდები მეორე მხარე ვალდებული არ იყო მონაწილეობა მიეღო საომარ მოქმედებებში.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებდნენ მათ შორის საზღვრების გამო ჩამოვარდნილი უთანხმოება გადაეჭრათ „შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშუალებით“ და ეს გადაწყვეტილება „უნდა მიჩნეულ იქნეს საბოლოოდ და სავალდებულოდ ორივე მხარისათვის“ (ოქმები, ტ. II, გვ.222).

შეთანხმება დადებული იყო სამი წლის ვადით. ამ ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე შეთანხმების დამდებ მხარეს უფლება ჰქონდა განეცხადებინა თავისი სურვილი ახალი ვადით შეთანხმების გაგრძელების ან მასზე უარი ეთქვა. საინტერესო იყო ხელშეკრულების მე-9 მუხლი, რომლის თანახმადაც თუკი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაარსდებოდა ხალხთა ლიგა, რომელიც უზრუნველყოფდა „ყველა მის მონაწილე სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და საზღვრების ხელშეუხებლობას“, იმ მომენტიდან, როდესაც საქართველო და აზერბაიჯანი შევიდოდნენ ხალხთა ლიგაში, შეთანხმება „ძალა-დაკარგულად ჩაითვლებოდა“ (ოქმები, ტ. II, გვ.222).

სიმონ მდივანის სიტყვებით, საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულებას საფუძვლად ედო „ძალთა გაერთიანება, სუვერენობის შენარჩუნება, უფლებების დაცვა - ერთი მთლიანი კავშირის შექმნა“ (ოქმები, ტ. II, გვ.218). იგულისხმებოდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკის თანამშრომლობის ძირითადი პრინციპი და ხელშეკრულებასთან შეერთება შეეძლო სომხეთსაც. ხელშეკრულებაში სპეციალურად იყო აღნიშნული, რომ სომხეთს უფლება ჰქონდა „ორი კვირის განმავლობაში, ამ შეთანხმების ოფიციალურად შეტყობინების დღიდან“ შეეძლო მასთან შეერთება (ოქმები, ტ. II, გვ.222).

აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება მთავრობამ სარატიფიკაციოდ წარუდგინა დამფუძნებელ კრებას. ამის თაობაზე 1919 წლის 20 ივნისის სხდომაზე დამფუძნებელი კრების წევრებს აცნობა სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნია დამფუძნებელი კრების სპეციალური სხდომის მოწვევა აღნიშნული ხელშეკრულების განსახილველად. სხდომა დაინიშნა კვირას, 22 ივნისს. ეს წინადადება დამფუძნებელმა კრებამ კამათის გარეშე მიიღო (ოქმები, ტ. II, გვ.190).

1919 წლის 22 ივნისის სხდომაზე გარეშე საქმეთა კომისიის და იურიდიული კომისიის დავალებით მოხსენებით გამოვიდა სიმონ მდივანი. მისი თქმით, საქართველო-აზერბაიჯანს შორის გაფორმებული ხელშეკრულება „არ წააგავდა“ აქამდე გაფორმებულ „არც ერთ ხელშეკრულებას“, რადგანაც „ყოველ შეთანხმებას“ ძველად „ჰქონდა საფუძვლად აგრესიული მიზნები“ (ოქმები, ტ. II, გვ.219). საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმაც ხაზი გაუსვა, რომ საქართველო-აზერბაიჯანს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იყო „თავდაცვითი აქტი“, რაც თავიდან-ბოლომდე გასდევდა მთელ ხელშეკრულებას (ოქმები, ტ. II, გვ.227).

საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულების განხილვა იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დამფუძნებელი კრება სახელმწიფო ხელშეკრულების რატიფიცირებას ახდენდა. 22 ივნისის სხდომაზე სიტყვით გამოსულმა ფრაქციების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანთან გაფორმებულ ხელშეკრულებას და კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაადასტურა კიდეც თავისი მხარდაჭერა (ოქმები, ტ. II, გვ.239).

გიორგი ლასხიშვილმა (ს. ფ.) აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმების დღე - 16 ივნისი „ბრწყინვალე დღეთ დარჩება ჩვენი ქვეყნის და საერთოდ კავკასიის ერთა ახალ პოლიტიკურს ისტორიაში“ (ოქმები, ტ. II, გვ.228). გიორგი ლასხიშვილის შეფასებით ხელშეკრულებაში არ იყო „ორჭოფობა, ორაზროვანი და ფარული აზრები“, ხელშეკრულებას ჰქონდა მხოლოდ „მოგერიებითი და თავდაცვითი ხასიათი“ (ოქმები, ტ. II, გვ.228).

ხელშეკრულებას სრულად დაუჭირეს მხარი ეროვნულ-დემოკრატებმაც. „თვით ხელშეკრულება სავსებით მისაღებია. არც ერთი მუხლის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი არ გვეთქმის“, - აღნიშნა სპ. კედიამ (ოქმები, ტ. II, გვ.232). მანვე შეაქო, თუმცა ამ შექებით გააკრიტიკა მმართველი პარტია, რომელმაც მისი აზრით თავიდან მოიშორა „ის პარტიული პრინციპები“, რაც ხელს უშლიდა „საქართველო-აზერბაიჯანის კავშირს“ (ოქმები, ტ. II, გვ.231).

26.4. სომხეთი და საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულება

როგორც უკვე ითქვა, 1919 წლის 16 ივნისს გაფორმებული საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამ შეთანხმებასთან სომხეთის შეერთებასაც. ხელშეკრულებასთან სომხეთის მიერთების საკითხი 22 ივნისს დამფუძნებელი კრების სხდომაზე ხელშეკრულების განხილვის დროს ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო.

სპირიდონ კედიას (ე. დ.) ნაკლად მიაჩნდა ის გარემოება, რომ საქართველო-აზერბაიჯანის თავდაცვით ხელშეკრულებასთან შეერთებული არ იყო სომხეთი, რის გამოც „ფრონტი კავკასიისა გაწყვეტილია და დარღვეული“ (ოქმები, ტ. II, გვ.232).

გიორგი ლასხიშვილს ხელშეკრულების კიდევ ერთ ღირსებად მიაჩნდა ის, რომ „იგი იზოლაციას არ უკეთებს, განმარტოებით არ სტოვებს“ ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკას, რომელიც ხელშეკრულებასთან შეერთებული არ იყო“ (ოქმები, ტ. II, გვ.228). ის იმედს გამოთქვამდა, რომ აზერბაიჯანთან გაფორმებული ხელშეკრულება იყო მხოლოდ „პირველი ნაბიჯი“, რასაც მოჰყვებოდა სხვა ხელშეკრულებებიც, რომლებიც „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს უფრო მჭიდრო შეთანხმების და შეკავშირების ფორმებს გამოუძებნიან“ (ოქმები, ტ. II, გვ.230).

ლეო შენგელაია (ს. რ.) ასევე გულდაწყვეტილი შენიშნავდა, რომ ხელშეკრულება ეხებოდა მხოლოდ საქართველოს და აზერბაიჯანს და „არა ამიერ-კავკასიის სამ რესპუბლიკას, როგორც იყო სასურველი და მოსალოდნელი“ (ოქმები, ტ. II, გვ.237). მანვე იმედი გამოთქვა, რომ „ჩვენი პირველი მოკავშირე აზერბაიჯანი“ იყოს „მხოლოდ პირველი მერცხალი ჩვენი ახალი მოკავშირეების მთელი რიგისა“ (ოქმები, ტ. II, გვ.228). რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) ასევე ხაზი გაუსვა, რომ „მორიგ საკითხად დაისმის ამიერ-კავკასიის ერთა დემოკრატიის შეერთება, დაკავშირება“ (ოქმები, ტ. II, გვ.235).

მართალია საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულებით სომხეთს ორი კვირის ვადა ჰქონდა მიცემული ხელშეკრულებასთან შესაერთებლად, მაგრამ ამის ნაკლები იმედი ჰქონდათ. რაჟდენ არსენიძის (ს. დ.) თქმით, სომხეთის მთავრობა ატარებდა „მრუდე და არა პირდაპირ პოლიტიკას“, ეს იყო „პოლიტიკა უცხო ძალაზე დამყარების“, რომელიც მიზნად ისახავდა „დანარჩენთაგან გამოყოფის საშვალებით“ ზედმეტის მიღებას მეზობლებთან შედარებით (ოქმები, ტ. II, გვ.235). იმავეს აღნიშნავდა ლეო შენგელაია (ს. რ.), რომელიც სომხეთის „განზე დგომის“ მიზეზად მიიჩნევდა დაშნაკების „პოლიტიკურ სიბეცეს“ და „იმპერიალიზმის გამთიშველ პოლიტიკას“. თუმცა, იმედოვნებდა, რომ სომხები შეძლებდნენ სწორი დასკვნების გაკეთებას. „შეუძლებელია მთელი ერი იყოს რეაქციონერი, შეუძლებელია, რომ მთელი ერი იყოს თავის მტერი და მოღალატე“ (ოქმები, ტ. II, გვ.237). ასეთი მოსაზრება სხვებმაც გამოთქვეს. „სომხის ერს მართებს დაფიქრება, იცოდეს კარგათ, რომ იზოლაციაში განმარტოებით და ყველას წინააღმდეგ მას კავკასიაში არსებობა არ შეეძლება“ - აღნიშნა სპირიდონ კედიამ (ოქმები, ტ. II, გვ.232).

შემთხვევითი არაა, რომ საუბრობდნენ სომეხ ხალხზე და არა იმდროინდელ მმართველ პარტიაზე. სიმონ მდივანის თქმით, „მესამე ერის დემოკრატია“ ამ გზას დაადგებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოიშორებდა „დღევანდელ თავის ხელმძღვანელებს“ (ოქმები, ტ. II, გვ.238).

თავი XXVII. საქართველოს დამფუძნებელი კრება და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი (მალხაზ მაცაბერიძე)

27.1. დამფუძნებელი კრების საქმიანობის დამამთავრებელი ეტაპი

1921 წელს დამფუძნებელ კრებას უნდა დაემთავრებინა მუშაობა. უმთავრესი ამოცანა, რის გამოც მოიწვიეს დამფუძნებელი კრება, - კონსტიტუციის შემუშავება, დასასრულს უახლოვდებოდა. სავარაუდოდ კონსტიტუციას გაზაფხულზე მიიღებდნენ. დამფუძნებელი კრება შეიკრიბა 1919 წლის 12 მარტს, რუსეთის თებერვლის რევოლუციის მე-2 წლისთავზე, როგორც სიმბოლო მისი საქმის გაგრძელებისა. შესაძლოა, კონსტიტუციის მიღებაც სიმბოლურად დაემთხვიათ ამავე თარიღისათვის, საზეიმოდ მიეღოთ 1921 წლის 12 მარტს, დამფუძნებელი კრების საქმიანობის ორი წლის თავზე.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ კი მოვლენათა შემდგომი განვითარება უკვე მკაფიოდ იყო გაწერილი. კონსტიტუციის შესაბამისად, უნდა ჩატარებულიყო პარლამენტის არჩევნები. აღნიშნულს არეგულირებდა 1921 წლის კონსტიტუციის 61-ე მუხლი, რომლის თანახმადაც პარლამენტი უნდა შეკრებილიყო „ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს“. ახალი პარლამენტის არჩევნები კი უნდა დანიშნულიყო შემოდგომაზე, „ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში“, თანაც „იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას“. კონსტიტუციის ბოლო, 149-ე მუხლში კი აღნიშნული იყო: „პირველ პარლამენტის შეკრებამდე მის მაგივრობას გასწევს დამფუძნებელი კრება“.

1921 წელს ნოემბრის პირველი კვირა დღე 6 ნოემბერი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის რომ თავი დაენებებინათ და ქვეყანას მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობა მისცემოდა, 6 ნოემბერი იქნებოდა ღირსშესანიშნავი დღე ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა...

1921 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმიანობაში ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული პერიოდი გამოიყოფა:

პირველი პერიოდი - 1921 წლის 4 იანვრიდან 11 თებერვლის ჩათვლით, როდესაც საქართველო და დამფუძნებელი კრება აგრძელებდა მშვიდობიან საქმიანობას;

მეორე პერიოდი - 1921 წლის 15 თებერვლიდან 17 მარტის ჩათვლით, როდესაც დამფუძნებელ კრებას საქმიანობის გაგრძელება მოუხდა საქართველოს დამარცხებით და ოკუპაციით დამთავრებული ომის პირობებში.

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმიანობის სრულყოფილ შესწავლას მნიშვნელოვნად ართულებს შესაბამისი წყაროების ნაკლებობა. არ არის მიკვლეული (თუკი საერთოდ ასეთი რამ შეიქმნა) ომის დროს გამართული დამფუძნებელი კრების სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშები, მნიშვნელოვანი ხარვეზებითაა შემონახული სხვა დოკუმენტაცია. ომის პირობებში დამფუძნებელი კრების ნორმალური საქმიანობა შეწყდა. შემორჩენილია ერთი დოკუმენტი, რომელიც კარგად ასახავს იმ დროს შექმნილ ვითარებას. 1921 წლის 24 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი თავდაცვის საბჭოს სასწრაფო წერილს უგზავნის, სადაც აღნიშნულია, რომ უკანასკნელი მობილიზაციით (19 წლიდან 40 წლამდე) „დამფუძნებელი კრების კანცელარიის თითქმის მთელი შემადგენლობა, გარდა ორი-სამი კაცისა, ჯარში უნდა იქნას გაწვეული“, რითაც დამფუძნებელი კრების მუშაობა მთლიანად შეფერხდებოდა. ამიტომ მობილიზაციიდან დამფუძნებელი კრების კანცელა-

რიის 7 თანამშრომლის განთავისუფლებას ითხოვდნენ (ოქმები, ტ. VIII, გვ.313). უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის სასწრაფოდ დატოვებას 24 თებერვალს ღამით მოჰყვა დამფუძნებელი კრების დოკუმენტაციის ნაწილობრივი განადგურება, ანდა გატანილი დოკუმენტების ნაწილის შემდგომ დაკარგვა. 28 თებერვალს ქუთაისში გამართული დამფუძნებელი კრების სხდომის შესახებ მხოლოდ საგაზეთო ანგარიში მოგვეპოვება, ბათუმში 17 მარტს გამართული დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის შესახებ კი მხოლოდ მოგონებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ.

თებერვალ-მარტის ომის დროს დამფუძნებელი კრების საქმიანობასთან დაკავშირებით დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი დოკუმენტური მასალა თავმოყრილია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ დამფუძნებელი კრების დოკუმენტების მრავალტომეულის ბოლო, მერვე ტომში (ოქმები, ტ. VIII, გვ.280-334). მასალა, სამწუხაროდ, საკმაოდ მცირეა, თუმცა მისი გაანალიზებაც წარმოდგენას გვიქმნის ომის პერიოდში დამფუძნებელი კრების საქმიანობის შესახებ.

27.2. დამფუძნებელი კრება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული აღიარება

1921 წლის 30 იანვარს დამფუძნებელი კრების სხდომა დღის 1 საათზე გაიხსნა. ივანე გომართელი მოხსენებით გამოდიოდა კონსტიტუციის პროექტის მე-7 თავის (ფინანსების) შესახებ. მოხსენება დაახლოებით 40 წუთს გაგრძელდა. ამ დროს დამფუძნებელი კრების კულუარებში უკვე ლაპარაკობდნენ საქართველოს იურიდიული აღიარების შესახებ. იტალიის მისიის წარმომადგენელმა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას გადასცა ევგენი გეგეჭკორის მიერ გამოგზავნილი რადიო-დეპეშა „საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მიერ იურიდიულად ცნობის შესახებ“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.193).

საქართველოში მყოფმა იტალიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩერუტიმ განაცხადა: „მივიღე რა რადიოთი გეგეჭკორის ეს ცნობა, მე დაუყონებლივ პირადად გადავეცი იგი მთავრობის თავმჯდომარეს და ვუსურვე საქართველოს რესპუბლიკას განვითარება და აყვავება“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.200).

ივ. გომართელის გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და დეპუტატები, რომლებმაც უკვე იცოდნენ თუ რაში იყო საქმე, მის ტრიბუნაზე ასვლას მხურვალე ტაშით შეხვდნენ. ნორ ჟორდანიამ თავისი მოკლე გამოსვლა საზეიმოდ დაიწყო:

„მოქალაქენო, მომეცით ნება მოგილოცოთ ის ამბავი, რომელიც ახლა მივიღეთ. ჩვენ გვატყობინებს ევგენი გეგეჭკორი იტალიის მისიის საშვალებით, რომ ამ თვის 27-ს უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველო იურიდიულად“.

ამ სიტყვებს მოჰყვა ტაში, ოვაციები, „ვაშა“.

ნოე ჟორდანიამ საზეიმოდ გააგრძელა: „ამ აქტით იშვა ახალი სახელმწიფო კაცობრიობის წიაღში, ეს ახალი სახელმწიფო არის ჩვენი სახელმწიფო“, რასაც ასევე ტაში მოჰყვა (ოქმები, ტ. VIII, გვ.193).

ნოე ჟორდანიას თქმით, იმ რთულ ვითარებაში, რომელშიც საქართველო იმყოფებოდა, „ჩვენი იურიდიული ცნობა უდრის უდიდეს დახმარებას“, „ჩვენ ამიერიდან არ გვეშინია არავითარი საფრთხის, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფოდ ცნობა არის აქტი არა წუთიერი, არამედ - არის აქტი მუდმივი“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.193). ნოე ჟორდანიამ მადლობა გადაუხადა იმ სახელმწიფოების მთავრობებს, რომელთაც იურიდიულად სცნეს საქართველო და ამ სახელმწიფოების

მისიებს საქართველოში, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ აღიარებაში. ნოე ჟორდანიას განცხადებით, ამის შემდეგ საქართველოში „გაორკეცებულად უნდა ემუშავათ“ და რაც შეიძლება მალე მიეღოთ „კონსტიტუციონური სახეც“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.194).

ნოე ჟორდანიას შემდეგ მოკლე სიტყვით გამოვიდა ალ. ლომთათიძე. მისი განცხადებით, „ჩვენ ხალხს, ჩვენ ერს აუსრულდა მოლოდინი“, „ჩვენმა ერმა იცოდა, რომ მისი დაუღალავი ბრძოლა ამ უდიდესი გამარჯვებით დამთავრდებოდა“. ალ. ლომთათიძეს თქმით, „ჩვენი ხალხი დაუღალავათ იშრომებს და იმუშავებს, რომ აიყვავოს, გააძლიეროს, დაიცვას მტრისაგან თავის თავისუფალი სამშობლო და ევროპის ხალხებთან ერთად საკაცობრიო იდეალების გზაზე ძლევამოსილად იაროს“. ალ. ლომთათიძემ „დამფუძნებელი კრების და მაშასადამე, მთელი ერის სახელით“ მადლობა გამოუცხადა ყველას, ვინც საქართველოს იურიდიული აღიარების მიღწევაში დაეხმარა. პირველ რიგში ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას (ოქმები, ტ. VIII, გვ.194).

ალ. ლომთათიძის სიტყვის შემდეგ დამფუძნებელი კრების სხდომა დახურულად გამოცხადდა, სხდომის დახურვის წინ კი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ნოე ხომერიკმა წინადადება წამოაყენა, რომ დამფუძნებელი კრების სახელით მისალმების დეპეშა გაეგზავნათ ჯარისა და გვარდიისათვის, რაც ერთსულოვნად მიიღეს ტაშით (იხ. დანართი).

ამის შემდეგ დეპუტატები, მთავრობის წევრები და სხდომაზე დამსწრე საზოგადოება დამფუძნებელი კრების დარბაზიდან აღფრთოვანებული გარეთ გავიდნენ „ეროვნული ჰიმნის გალობით“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.195). დამფუძნებელი კრებიდან დაწყებული მანიფესტაცია ქუჩაში მოსიარულეთათვის მოულოდნელი ამბავი იყო. მუშათა სახლთან, მთავრობის სახლის წინ შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართეს დამფუძნებელი კრების წევრებმა. „ქუჩებში გამოჩნდნენ სახალხო გვარდიის ცხენოსანი და ქვეითი ნაწილები, ჯარის ნაწილები მუსიკით, მუშათა ჯგუფი - წითელი დროშებით“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.195).

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის აივანზე გამოვიდნენ პრეზიდიუმის წევრები ალ. ლომთათიძე და ე. თაყაიშვილი, ასევე მთავრობის წევრები: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, გრ. ლორთქიფანიძე და სხვები. სიტყვებით გამოვიდნენ სამსონ დადიანი, ნოე რამიშვილი, ხალხის თხოვნით ნოე ჟორდანია, ასევე ალ. ლომთათიძე, პ. საყვარელიძე, ისიდორე რამიშვილი („ერთობა“, 1.02.1921)

დამფუძნებელი კრების 11 თებერვლის სხდომაზე მიიღეს ამნისტიის პროექტი საქართველოს იურიდიული ცნობის აღსანიშნავად („ერთობა“, 13.02.1921).

27.3. ახალი თავდასხმა საქართველოზე

1921 წელს ომი 11-12 თებერვალს ღამით, სომხეთის მხრიდან ე. წ. ლორეს ნეიტრალურ ზონაში თავდასხმით დაიწყო. ამ თავდასხმისათვის საქართველოს ხელისუფლებას თავიდან დიდი ყურადღება არ მიუქცევია, ის მიიჩნიეს სასაზღვრო კონფლიქტად. ასე რომ თავდასხმის პირველ დღეებში (12-14 თებერვალს) დამფუძნებელი კრება აგრძელებდა ჩვეულებრივ საქმიანობას.

პირველი ცნობები თავდასხმის შესახებ 13 თებერვალს გამოქვეყნდა. გენერალური შტაბი იუწყებოდა საქართველოზე „მუხანათური თავდასხმის“ შესახებ: „ღამით, თებერვლის 11-ს, ბეზობდალით სად. შაგალთან, ბორჩალოს მაზრაში, ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს თავს დაესხენ სომხეთის მხრიდან რეგულიარული ნაწილები. ამავე დროს ბორჩალოს მაზრის განაპირა ადგილების მცხოვრებთა ერთი ნაწილი, რუსებისა და სომხებისაგან შემდგარი, აჯანყდა და თავდამ-

სხმელთ შეუერთდა. მეორე ნაწილი კი დარჩა ჩვენი რესპუბლიკის ერთგული და თავის დროზე შეგვატყობინა, თუ როგორ მზადდებოდა ჩვენზე თავდასხმა“. გენერალური შტაბი აღნიშნავდა, რომ „ვორონცოვკის რაიონში აჯანყება ჩაქრობილია“, ხოლო „შაგალის, უზუნლიარის და შინიხის რაიონებში ბრძოლა სწარმოებს“ („ერთობა“, 13.02.1921)

13 თებერვალს გამართულმა მწერალთა ყრილობამ დამფუძნებელ კრებას კ. მაყაშვილის ხელმოწერით გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „თფილისში მყოფ მწერალთა ყრილობა აღშფოთებას გამოთქვამს ჩვენს საზღვარზე მტრისაგან ვერაგულ და მოულოდნელ თავდასხმის გამო. ყრილობა მხურვალედ მიესალმება დამფუძნებელ კრებას და დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკის მთავრობა ღირსეულ ნაბიჯს გადადგამს ერისა და ქვეყნის სიამაყის დასაცავად. დიდება და გამარჯვება ჩვენს სახელოვან ლაშქარს“ („ერთობა“, 15.02.1921).

რამდენიმე დღის შემდეგ მისი ქალიშვილი, ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი მარიამ (მარო) მაყაშვილი თბილისის მისადგომებთან მტერთან ბრძოლაში დაიღუპა...

15 თებერვალსაც ქართული პრესა იმედს გამოთქვამდა, რომ „სომხურ-რუსული საბჭოთა თავდასხმა“ წარმატებით იქნებოდა მოგერიებული.

27.4. ახალი ფრაქცია და დამფუძნებელი კრების პარტიული სპექტრი 1921 წლის თებერვალ-მარტის წინ

სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამოსულმა 8 დეპუტატმა არა მარტო ახალი ფრაქცია შექმნა დამფუძნებელ კრებაში, არამედ ცალკე პარტიაც დააარსა სახელწოდებით „დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია“, ყოველ შემთხვევაში ასეთი სახელით მოიხსენიებს მას გაზეთი „ერთობა“.

1921 წლის 12 თებერვლისათვის დამფუძნებელი კრების პოლიტიკური სპექტრი შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

პარტია	ადგილები დამფუძნებელ კრებაში
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია	93
დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია „სხივი“	8
დემოკრატიული ფრაქცია (არასოციალისტური პარტიების გაერთიანება)	10
სოციალისტ-ფედერალისტები	9
სოციალისტ-რევოლუციონერები	6
დაშნაკცუთუნი	3
დამოუკიდებელი დეპუტატი	1

ცხადია, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან 9 დეპუტატის გასვლა (8 „სხიველი“ და 1 დამოუკიდებელი დეპუტატი) არ ცვლიდა ძალთა თანაფარდობას დამფუძნებელ კრებაში, სოციალ-დემოკრატები 2,5-ჯერ აღემატებოდნენ ყველა ოპოზიციურ ფრაქციას ერთად აღებულს (37 დეპუტატი), მაგრამ ეს მეტად არასასიამოვნო ფაქტი იყო მმართველი პარტიისათვის მოსალოდნელი საპარლამენტო არჩევნების წინ. თუმცა მოვლენები ისე განვითარდა, როგორც არ მოელოდნენ საქართველოში...

27.5. კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის გაგრძელება

1921 წლის 12 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა განიხილა კონსტიტუციის პროექტის XVI-XVII თავებისთვის ფრაქციების მიერ შეტანილი წინადადებები და დასკვნისათვის გადასცა საკონსტიტუციო კომისიას (ოქმები, ტ. VIII, გვ.276).

კვირას 14 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა განიხილა საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნები კონსტიტუციის პროექტის VII-XV თავების მუხლებთან ფრაქციების მიერ წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით და ამ თავების მუხლობრივი განხილვა შეიტანა დამფუძნებელი კრების 16 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში (ოქმები, ტ. VIII, გვ.280-282).

14 თებერვალს ასევე შედგა დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 97-ე სხდომა, სადაც მუხლობრივად განიხილეს IV-VI თავები. ამ სხდომის შესახებ, გარდა დღის წესრიგისა, სხვა მასალა არ მოგვეპოვება (ოქმები, ტ. VIII, გვ.283).

27.6. „წითელი სომხეთის თავდასხმის“ განხილვა დამფუძნებელ კრებაში (15 თებერვალი)

დაწყებული ომის შესახებ დამფუძნებელმა კრებამ პირველად იმსჯელა 98-ე სხდომაზე 15 თებერვალს, სადაც „ომის შესახებ რიგს გარეშე განცხადება“ გააკეთა ნოე ჟორდანიამ. „მთავრობის თავმჯდომარის განცხადება საბჭოთა სომხეთის ვერაგული თავდასხმის შესახებ“, - ასეთი სათაური აქვს ნოე ჟორდანიას გამოქვეყნებულ სიტყვას გაზეთ „ერთობაში“(„ერთობა“, 16.02.1921).

15 თებერვლის სხდომის შესახებ ძირითადად საგაზეთო ანგარიშების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. ყველამ იცოდა, რაც ხდებოდა. სხდომას დაესწრნენ თბილისში მყოფი უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, პრესისა და თვითმმართველობათა წარმომადგენლები, დარბაზი სავსე იყო სტუმრებითა და მსმენელებით. თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე (ოქმები, ტ. VIII, გვ.284).

მთავრობის თავმჯდომარე თავის სიტყვაში შექმნილ ვითარებას ფაქტობრივად არასწორად აფასებდა, რაზეც მისი მოხსენების სათაურიც მეტყველებდა. „შინაგანი ბალშევიკური შეთქმულება და გარედან თავდასხმა - აი რა მოხდა ბორჩალოში“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.286), - აღნიშნავდა ნოე ჟორდანია. საქართველოს თავს დაესხა საბჭოთა სომხეთი, რომელსაც „გარეშე ძალის“ იმედი ჰქონდა, მაგრამ ამ „გარეშე ძალას“ არასწორად პოულობდნენ: ჟორდანიას თანახმად, რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა საქართველოსთან გაფორმებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ერთგული იყო. „ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენლისა, რომ მოსკოვი ამ საქმეში არ ერევა, რომ ის გადაჭრით სდგას 7 მაისის ხელშეკრულების ნიადაგზე“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.286).

სომხეთის კომუნისტურ რეჟიმს კი, ჟორდანიას თანახმად, ეხმარებოდნენ ბაქოში მყოფი „საქართველოდან გაქცეული ქართველი ბოლშევიკები, თავისი ხალხისა და ერის აშკარა მოღალატენი, ერევნის ავანტიურის წამქეზებელნი“, სწორედ მათ მოიყვანეს „სომხეთ-რუსეთის რეგულარული ნაწილები ბორჩალოს მაზრაში“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.286). ანუ საქართველოს მთავრობა თვლიდა, რომ ბაქოში მოკალათებული რუსეთის კომპარტიის სამხარეო ბიურო მოსკოვის ნებართვის გარეშე მიიღებდა მონაწილეობას საქართველოზე თავდასხმაში!

მთავრობის თავმჯდომარის შემდეგ სიტყვის გამოვიდა დამფუძნებელ კრებაში არსებული ყველა ფრაქციის წარმომადგენელი.

დამფუძნებელი კრების 15 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილებით დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს დაევალა მიემართა უცხო სახელმწიფოთა პარლამენტებისა და ერთა ლიგისთვის საქართველოზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით (ოქმები, ტ. VIII, გვ.293).

დამფუძნებელმა კრებამ 16 თებერვალს ასევე მიიღო დადგენილება, რომელიც 17 თებერვალს გამოქვეყნდა („საქართველოს რესპუბლიკა“, 17.02.1921). დამფუძნებელი კრება აღნიშნავდა, რომ „სომხეთის მუხანათურ თავდასხმაში“ უმთავრეს ძალას წარმოადგენდა ბაქოდან გამოსული რუსთა მხედრობა“. დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა მთავრობის მიერ მიღებული ზომები „რესპუბლიკის დასაცავათ და მისი თავისუფლების უზრუნველსაყოფად“ და გამარჯვების რწმენა გამოთქვა (იხ. დანართი).

27.7. თბილისი საფრთხის ქვეშ...

„შესაძლოა მოგვიხდეს თბილისის დატოვება... (16 თებერვალი)

შემორჩენილია დოკუმენტის ფრაგმენტი, რომელიც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის, მთავრობისა და ფრაქციათა წარმომადგენლების 16 თებერვლის შეერთებული სხდომის ჟურნალს წარმოადგენს.

თათბირი, სადაც თავმჯდომარეობდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთათიძე დაიწყო მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას გამოსვლით. ნოე ჟორდანიამ ითხოვდა, რომ მთავრობას მინიჭებოდა „საგანგებო ფუნქციები, რაც დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის“ და „რაც საჭიროა... რესპუბლიკის დასაცავად მთავრობას ექნეს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.303).

მთავრობის თავმჯდომარემ ასევე ილაპარაკა დროებით თბილისის შესაძლო დატოვების შესახებ. „მთავრობა ფიქრობს, რომ მოსალოდნელ შემოტევაში საჭირო იქნება ქ. ტფილისის დაცლა, რადგან უფრო ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილები ქ. ტფილისის დასავლეთით მდებარეობს და ცოცხალ ძალთა შესანახად იქნებ საჭირო დარჩეს გენერალური ბრძოლა მცხეთის აღმოსავლეთით გადავიტანოთ. ამ შემთხვევაში ქ. ტფილისიდან გამოტანილი უნდა იქნეს რესპუბლიკის საგანძური“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.303).

ალ. ლომთათიძემ აღნიშნა, რომ მთავრობის აღჭურვაზე იმ ზოგიერთი უფლებით, რაც დამფუძნებელი კრების პრეროგატივა იყო უნდა გადაწყვეტილიყო დამფუძნებელი კრების სხდომაზე, რომლის მოწვევაც 17 თებერვალსვე იყო შესაძლებელი, მიმდინარე თათბირზე კი შეეძლოთ მხოლოდ ემსჯელათ თბილისიდან სახელმწიფო საგანძურის გატანაზე და „შესაძლებელი შემთხვევისათვის“, თვით „დამფუძნებელი კრების გადატანის შესახებაც“.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა სპირიდონ კედია, რომელიც დაეთანხმა მთავრობის საგანგებო უფლებებით აღჭურვას. „მთავრობას, ეჭვს გარეშეა, უნდა მიენიჭოს იმ ზომების მიღების უფლება, რომლებიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის დასაცავად. მას საკონსტიტუციო კანონების შეჩერების უფლებებიც უნდა ექნეს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.303). ამის შემდეგ სპირიდონ კედია აღნიშნავს: „ხოლო, რაც შეეხება დამფუძნებელ კრებას...“

ამ სიტყვებით წყდება ტექსტი და სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით სხვა გამომსვლელებსა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. ვითარება სწრაფად იცვლებოდა და 16 თებერვალს ღამით კიდევ ერთი სხდომა ჩატარდა.

„ქალაქ ტფილისიდან დამფუძნებელი კრება არ იქნეს გადატანილი“ (16-17 თებერვლის ღამე)

მტრის მოულოდნელი შემოტევის შედეგად უკიდურესად სახიფათო ვითარება შეიქმნა. 16 თებერვალს ღამით განიხილებოდა თბილისის სასწრაფოდ დატოვების შესაძლებლობაც. ამ საკითხზე იმსჯელეს მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე.

სხდომა 16 თებერვალს, ღამის 12 საათზე დაიწყო. მთავრობის თავმჯდომარის დავალებით თბილისის გენერალ-გუბერნატორმა ბენია ჩხიკვიშვილმა თათბირს მოახსენა „სამწუხარო ცნობა“, რომ „ქალაქი ტფილისი ამაღამვე დაცლილი უნდა იქნეს, ვინაიდან მტერი დილით უნდა შემოიჭრეს ქალაქში“. მისივე თქმით, რკინიგზის სადგურზე უკვე იდგა მატარებელი „დამფუძნებელი კრების წევრთა გასაყვანათ და სახელმწიფო ქონების გატანისათვის“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.301).

ცნობამ დამსწრეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. შალვა ქარუმიძემ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია დამფუძნებელ კრების წევრთა თბილისიდან წასვლისა და წინადადება წამოაყენა, თბილისი უბრძოლველად არ დაეთმოთ, დამფუძნებელი კრების წევრებს კი ჯარისკაცებთან ერთად ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, ის პირადად დარჩებოდა და ბრძოლას განაგრძობდა. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ბიქტორ თევზაია, რადგანაც „ტფილისის დატოვებით ბრძოლა არ თავდებოდა“ და მხარი დაუჭირა „დამფუძნებელი კრების გახიზვნას“, რათა „იქიდან ხელი შეეწყოს ბრძოლის წარმოებას“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.301). გრიგოლ ვეშაპელი დაეთანხმა ბიქტორ თევზაიას.

კამათი თბილისის შესაძლო დატოვებასთან დაკავშირებით შეწყდა, რადგანაც დარბაზში შემოვიდა სახალხო გვარდიის ხელმძღვანელი ვალიკო ჯუღელი და განაცხადა, რომ თბილისის დატოვება ასე სასწრაფოდ არ იყო საჭირო და ევაკუაციისთვის ერთი დღე მაინც ექნებოდათ. ვალიკო ჯუღელის სიტყვები ოქმში შემდეგნაირად არის გადმოცემული: „მტერი მოდის ტფილისზე, ვინაიდან ჩვენი ჯარი განადგურებულია, მაგრამ იმედია, რომ ხვალ მაინც სარდალი შეძლებს მტერი ტფილისთან შეაჩეროს და ევაკუაცია მოხდეს სახელმწიფო ქონებისა“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.301).

ვალიკო ჯუღელის ინფორმაციამ თათბირზე მყოფთა განწყობა გააუმჯობესა. „ვალიკო ჯუღელის მოხსენების შემდეგ მდგომარეობა უკეთესად იხატება“, - განაცხადა სოციალისტ-ფედერალისტმა სამსონ დადიანმა. მისივე თქმით, „თუ შესაძლოა მტერი ხვალ არ იქნეს შემოშვებული ქ. ტფილისს“, დამფუძნებელ კრებას უნდა მიეღო „ყოველი ზომა ჯარის მოსაგვარებლად“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.302). ამ დროს დარბაზში შევიდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, რომლის მოხსენებაც ვალიკო ჯუღელის ინფორმაციას იმეორებდა. ნოე ჟორდანიამ დამსწრე დეპუტატებს სთხოვა „ქალაქ ტფილისიდან დამფუძნებელი კრება არ იქნეს გადატანილი“, სასწრაფოდ იქნას ზომები მიღებული „ორი-სამი ათასი მეომრის“ მობილიზებისათვის და „თვით დეპუტატები კი წავიდნენ ჯარში მეომართა გასამხნევებლად“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.302).

კრებამ დაადგინა, რომ „ამაღამვე შეგროვილი იქნეს ორი-სამი ათასი ჯარის კაცი ქალაქ ტფილისში და მოყვანილი მთავარსარდლის განკარგულებაში“, რისთვისაც შეიქმნა მოხალისეთა სამობილიზაციო კომიტეტი (ალექსანდრე ლომთათიძის, სპირიდონ კედიას, ილია ნუცუბიძის და გრიგოლ რცხილაძის შემადგენლობით). კომიტეტს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა გენერალურ შტაბთან და „მოხალისენი მთავარსარდლის განკარგულებაში“ უნდა გადაეგზავნა. მოქმედ ჯარში გაიგზავნა დამფუძნებელი კრების წევრები: ივანე ლორთქიფანიძე, იოსებ მაჭავარიანი, ნიკოლოზ იმნაიშვილი და სამსონ დადიანი. „ომის საწარმოებლად ხელსაყრელი პი-

რობების შესაქმნელად“ ფშავში გაიგზავნა შალვა ქარუმიძე, კახეთში - ანდრო ჭიაბრიშვილი, სანდრო ახმეტელაშვილი და გაბრიელ ცისკარიშვილი (ოქმები, ტ. VIII, გვ.302).

27.8. ფრონტისპირა თბილისი: მიტინგები დამფუძნებელ კრებასთან და ჯარის ნაწილების საომრად გაცილება

ომის პირველ ეტაპზე თავისთავად ჩამოყალიბდა თავისებური ტრადიცია სამხედრო ნაწილების ფრონტზე გაცილებისა, როდესაც სამხედრო ნაწილი აუცილებლად ჩაივლიდა ხოლმე „სასახლის“ ანუ დამფუძნებელი კრების წინ, სადაც თითქმის ყოველთვის ხალხი იყო შეკრებილი ახალი ამბების გასაგებად. სამხედრო ნაწილს და შეკრებილ მოქალაქეებს სიტყვით მიმართავდნენ ხოლმე დამფუძნებელი კრების წევრები

გვარდიის გაცილება ფრონტზე

სამხედრო ნაწილის პირველი ასეთი გაცილება კვირას, 13 თებერვალს შედგა, დაახლოებით დღის 12 საათზე. ეს იყო თბილისში დაბანაკებული გვარდიის საგანგებო ბატალიონი და ვალიკო ჯუღელის რაზმი.

დამფუძნებელი კრების აივნიდან ფრონტზე მიმავალთ სიტყვით მიმართა ალ. ლომთათიძემ. მან ღრმა რწმენა გამოთქვა, რომ „საქართველოს ერთგულნი გუშაგნი შეანანებენ მტერს მის ქურდულ, მუხანათურ თავდასხმას და ჩვეულებრივ გამარჯვებული დაბრუნდებიან ჩვენს დედაქალაქში“. სიტყვით გამოვიდნენ სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლები. ფედერალისტთა ფრაქციის წევრმა შ. ალექსი-მესხიშვილმა აღნიშნა, რომ „სამშობლოს განსაცდელის დროს ყოველი პარტიული შუღლი მიყუჩებულია“. მისი თქმით, „არ არსებობს არც ერთი პარტია, გარდა მამულიშვილთა პარტიისა. ყველა პარტიები მჭიდროდ შემოკრბებიან მთავრობის და დამფუძნებელი კრების გარშემო და საქართველოს შინაგან სიმტკიცეს უზრუნველყოფენ“. დემოკრატიული პარტიის სახელით იოსებ მაჭავარიანმა მეომრებს მოაგონა „საქართველოს წარსულის ბრწყინვალე მომენტები“ და „მამულიშვილთა თავდადებული ბრძოლა“ სამშობლოს დასაცავად. ესერთა სახით ილაპარაკა გობეჩიამ, რომლის თქმითაც, „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მზათ არის მთელი თავისი მცირედი ძალ-ღონე მსხვერპლად შესწიროს სამშობლოს თავდაცვის საქმეს“. უხუცესმა სოციალ-დემოკრატმა, სილიბისტრო ჯიბლაძემ მეომრებს მიმართა: „მე ვწუხვარ, რომ ჩემი სიბერე და უძლურება ნებას არ მაძლევს თქვენთან ერთად გავიდე ბრძოლის ველზე და იქ დავაგდო ჩემი ძვლები“ („ერთობა“, 15.02.1921).

მეომრები აღაფრთოვანა სოციალ-დემოკრატ ვლასა მგელაძის სიტყვამ: „საქართველოს დროშა... მრავალჯერ დაცემულა, მაგრამ რკინის ხელებიდან ფოლადის ხელში გადადიოდა ის და მტერი მუდამ დამარცხებული რჩებოდა. დღეს ეს დროშა ჩვენ გვაბარია. გახედეთ მთა წმინდას; ორი დიდი მოხუცის აჩრდილი გიყურებთ თქვენ იქიდან და გახედეთ აი იმ მთას, სადაც ჩვენ ძმათა სასაფლაო გვაქვს გათხრილი. იქიდან სახელოვან ბრძოლაში დაღუპული გმირები შემოგვცქერიან. ჩვენში ცოცხლობს ძველი საქართველოს უკვდავი სული და ჩვენ დავიცავთ სამშობლოს დროშას ისეთივე სიმტკიცით, როგორც სამი ათასი წლის განმავლობაში იცავდენ მას ჩვენი მამა-პაპანი“ („ერთობა“, 15.02.1921).

როგორც გაზეთი „საქართველო“ აღნიშნავდა, „ნაშუადღევის 2 საათზე დასრულდა მიტინგი და საგანგებო რაზმი დაიძრა სასახლიდან სადგურისაკენ მუსიკით. გვარდიელთა ახოვანება, მედიდურება და იდუმალი მკრთალი ღიმილი სახეზე სიამის შუქსა ჰფენდა აზღვავებულ ხალხზე, რომელიც ტაშით უხვდებოდა გზა და გზა“ („საქართველო“, 15.02.1921).

27.9. კონსტიტუციის მიღება დამფუძნებელი კრების მიერ

როდესაც 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი დაიწყო, საქართველოს დამფუძნებელი კრება ამთავრებდა საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობას. დასრულებული იყო პროექტის ზოგადი და თავობრივი განხილვა, მიმდინარეობდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა ცალკეული მუხლების მიხედვით. 1921 წლის 16 თებერვალს დანიშნული იყო დამფუძნებელი კრების სხდომა, რომლის დღის წესრიგში მუხლობრივი განხილვისათვის შეტანილი იყო კონსტიტუციის პროექტის მე-7 - მე-15 თავები, ხოლო 17 თებერვალს კონსტიტუციის პროექტის ბოლო ორი თავი. ამით დამთავრდებოდა მუხლობრივი განხილვა. რაც შეეხება თავებს შორის შესაძლო წინააღმდეგობათა შესწორებას და ტექსტის საერთო რედაქციას - ეს დიდ დროს არ დაიკავებდა (ამის შესახებ იხ.: მაცაბერიძე მ., 2021, გვ. 136-148). ომის დაწყება, თბილისთან მიმდინარე ბრძოლები, ბუნებრივია, აისახა დამფუძნებელი კრების მუშაობაზე. უფრო დაჩქარდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა.

1921 წლის 21 თებერვალს, ორშაბათს, გაიმართა დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 99-ე სხდომა, რომელმაც დაამთავრა კონსტიტუციის პროექტის განხილვა და მიიღო კონსტიტუცია. სხდომა გაიხსნა საღამოს 4 საათზე. მომხსენებელი იყო საკონსტიტუციო კომისიიდან სერგო ჯაფარიძე. სხდომაზე მუხლობრივად განიხილეს კონსტიტუციის პროექტის V-XVII თავები (ოქმები, ტ. VIII, გვ.305). განსახილველად გამოტანილი კონსტიტუციის პროექტის 13 თავიდან თითოეულს თავისი მომხსენებელი ჰყავდა. დამფუძნებელ კრებას უნდა მოესმინა საკონსტიტუციო კომისიის დასკვნა კონსტიტუციის მუხლებთან დაკავშირებით ფრაქციების მიერ წარმოდგენილ შესწორებებზე და შემდეგ კენჭი ეყარა ამ მუხლებისთვის. როგორც ჩანს, ამავე დღეს მოხდა თავებს შორის შესაძლო წინააღმდეგობათა განხილვა და საერთო რედაქტირება. ამ პროცედურების დროში გაჭიანურება უკვე საზიანო იყო. გაზეთმა „საქართველომ“ კონსტიტუციის მიღების ზუსტი დროც დააფიქსირა: „თებერვლის 21-ს ღამის 10 საათზე და 13 წუთზე დამფუძნებელმა კრებამ, თბილისის მიდამოებში ზარბაზნების გრიალის ქვეშ, საბოლოოდ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია“ („საქართველო“, 23.02.1921). კონსტიტუციის მიღებით დამფუძნებელმა კრებამ შეასრულა თავისი უმთავრესი მისია.

27.10. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფრანგულენოვანი თარგმანის შესახებ (ირაკლი იაკობაშვილი)

საქართველოს კონსტიტუციის ქართული ტექსტის დედნად დღემდე აღიარებულია 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული ტექსტი, რომელიც პირველად დაიბეჭდა ქ. ბათუმში, პოლიგრაფისტ ნიკოლოზ ხვინგიას სტამბაში 1921 წლის (სავარაუდოდ) მარტის თვის დასაწყისში.

კონსტიტუციის ფრანგული თარგმანის ოფიციალური ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1922 წელს, საფრანგეთში; კონსტიტუციის ფრანგული თარგმანის წინასიტყვაობაში საგანგებოდაა ნახსენები, რომ “*ფრანგული თარგმანი დამტკიცდა დამფუძნებელ კრების 1921 წლის 22 თებერვალს*”. ვინაიდან, სამწუხაროდ, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 22 თებერვლის სხდომათა არანაირი საბუთი სადღეისოდ ქართულ არქივებში არ იძებნება, ჩვენ უნდა ვენდოთ ამ ცნობას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ფრანგული თარგმანის დამფუძნებელ კრებაზე დამტკიცების თარიღად მივიჩნიოთ 1921 წლის 22 თებერვალი.

1921 წლის მარტიდან დევნილობაში მყოფ ქართული ხელისუფლების ოფიციალურ დოკუმენტების გამოსაცემად მომზადებისას, ერთგან, ქართულ ემიგრაციის ლიდერთა მსჯელობა-

თა შორის წავაწყდი ხსენებას მასზედ, რომ საქართველოს ხელისუფლება დევნილობაში განაგრძობდა საქართველოს კონსტიტუციის ტექსტის დახვეწას, დაზუსტებას, და რომ ეს დახვეწილი ტექსტი კონსტიტუციისა თარგმნილი ყოფილა ფრანგულ ენაზე.

მე დავინტერესდი ამ შესწორებებით და შევადარე დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის ტექსტი 1922 წელს საფრანგეთში დაბეჭდილ კონსტიტუციის ფრანგულ თარგმანს და აღმოვაჩინე, რომ კონსტიტუციის ქართულ დედანის და მის ფრანგულ თარგმანს შორის მართლაც არის საკმაო სხვაობა; კონსტიტუციის ფრანგულ თარგმანში - გარდა იმისა, რომ - ქართული ენიდან ნებისმიერი ტექსტის ფრანგულ ენაზე თარგმნისას, შეუძლებელია არ შეიცვალოს ტექსტის წყობა: ასეთი ცვალებადობა ფრანგულ თარგმანში მართლაც არის, თუმცა ამ ცვალებადობებს ჩვენ შინაარსობრივ განსხვავებად არ მივიჩნევთ; - კონსტიტუციის ფრანგულ თარგმანში ჩანს ტექსტის ისეთი ცვლილებები, რომელნიც არ არიან გამოწვეულნი ერთი (ჩვენს შემთხვევაში - ქართული) ენიდან მეორე (ჩვენს შემთხვევაში - ფრანგულ) ენაზე თარგმნისას წყობის გარდაუვალი შეცვლით: ფრანგულ თარგმანში ხშირად განვრცობილია ან შეცვლილია გარკვეული ჩამონათვალები, მხოლობით რიცხვში ნახსენები არსებითი სახელები ხშირად შეცვლილია მრავლობითით, კონსტიტუციის ცალკეული მუხლების გარკვეულ ნაწილში შეტანილია დაზუსტებები, რიგი ცნებები თარგმანში შედარებით ვრცლადაა მოყვანილი, ზოგან ჩამონათვალი გაზრდილია, დაზუსტებულია, ცალკეული საკითხები გავრცობილადაა თარგმნილი.

ზემოხსენებული დაზუსტებებისგან განსხვავებით, კონსტიტუციის ტექსტის ფრანგულ თარგმანში მხოლოდ ერთ ადგილას არის შემთხვევა კონსტიტუციის ტექსტში ახალი საკითხის შეტანისა: ქართული დედანის პირველი თავის მეოთხე მუხლში მოყვანილია მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშის აღწერა, იმ დროს როდესაც იმავე პირველი თავის მეოთხე მუხლის ფრანგულ (იქიდან კი - ინგლისურ[42]) თარგმანში დამატებულია საქართველოს რესპუბლიკის გერბის (ფრანგ. - Le sceau, ინგლ. - The Seal) აღწერა. ფრანგული თარგმანის სხვა ადგილას კი (კერძოდ, მე-14 თავის 130-ე მუხლში), ადგილობრივ თვითმართველობების უფლებების განმარტებაში დამატებულია მთელი წინადადება, რომელიც არაა ქართულ დედანში.

აქვე საჭიროდ ვთვლი, ხაზგასმით განვაცხადო: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის ქართული დედანის ტექსტს და მის ფრანგულ თარგმანს შორის სხვაობა მართლაც არსებობს, თუმცა ფრანგულენოვან ტექსტში შეტანილი არც ერთი დაზუსტება თუ ჩამატება არ ცვლის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის ქართულ ტექსტის არც ერთ მუხლში მოყვანილ აზრს[43]. ფრანგულ თარგმანში ჩამატებული ყველა ასეთი ცვლილება შეიძლება შედარდეს დღევანდელ საქართველოს პარლამენტში კანონთა

---

[42] კონსტიტუციის ინგლისური თარგმანი იხ. *Konst. Kandelaki.* The Georgian question before the free world. Paris, 1953. 2019 წელს, "ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის" მიერ გამოიცა კონსტანტინე კანდელაკის ამ წიგნის ინგლისურიდან ქართულად თარგმანი: იხ. *კონსტანტინე კანდელაკი,* ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე. გამომცემელი, ნოე ჟორდანიას ინსტიტუტი, თბ. 2019 წ. კონსტანტინე კანდელაკის 1953 წლის ინგლისურენოვანი წიგნის გამოცემის 2019 წლის ქართულ თარგმანად მოყვანილია 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული და ბათუმში, პოლიგრაფისტ ხვინგიას მიერ დაბეჭდილი საქართველოს კონსტიტუციის ქართული ტექსტი (ტექსტის სტილის სრულად შენარჩუნებით) ზემოდ ნახსენებ ორი ჩანართით (თავი 1, მუხლი 5, და თავი 14, მუხლი 130), რომლებიც არ დამტკიცებულა დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 თებერვალს (და რომელი ჩანართებიც დამატებულია ფრანგულ, და საფიქრებელია, ფრანგულიდან ინგლისურენოვან თარგმანში).

[43] ხაზგასმა აქ და ქვევით (თუ საგანგებოდ არაა აღნიშნული) ჩემია.

დამტკიცებისას ე.წ. "მეორე მოსმენის" დროს, კანონის მუხლობრივი განხილვისას კანონში შეესატან ისეთ ცალკეულ ტერმინოლოგიულ ცვლილებებს, რომელთა მიზანია უფრო დაზუსტდეს, უფრო ნათლად, უფრო ერთაზროვნად განიმარტოს კანონის ე.წ. "პირველ მოსმენისას" მიღებული ძირითადი პრინციპები.

კონსტიტუციის ქართულ დედანსა და მის ფრანგულ თარგმანს შორის არსებულ ტერმინოლოგიურ სხვაობის დადგენის შემდეგ, მე დავინტერესდი ამ თვალსაზრისით გადამევლო თვალი საქართველოს კონსტიტუციის ტექსტის ინგლისურ ენოვანი თარგმანისთვის; ეს თარგმანი საქართველოს კონსტიტუციისა მოყვანილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის, ბ. კონსტანტინე კანდელაკის მიერ 1953 წლის ინგლისურენოვან გამოცემაში "The Georgian question before the free world".[44]

აღმოჩნდა, რომ კონსტანტინე კანდელაკის 1953 წლის გამოცემაში მოყვანილი ინგლისურენოვანი ტექსტი საქართველოს კონსტიტუციისა თარგმნილი უნდა იყოს საფრანგეთში, 1922 წელს დაბეჭდილი საქართველოს კონსტიტუციის ფრანგული თარგმანიდან; აქაც, ფრანგულის მსგავსად, ტექსტში მოყვანილია ის ორი ჩანართი (თავი 1, მუხლი 5, და თავი 14, მუხლი 130) რომლებიც არ დამტკიცებულა დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 თებერვალს. კონსტანტინე კანდელაკის 1953 წლის ინგლისურენოვან წიგნის გამოცემის 2019 წლის ქართულ თარგმანად მოყვანილია დამფუძნებელ კრებაზე დამტკიცებული და ბათუმში, პოლიგრაფისტ ხვინგიას მიერ დაბეჭდილი საქართველოს კონსტიტუციის ქართულ ტექსტი (ტექსტის პირვანდელი სტილის სრულად შენარჩუნებით), თუმცა ამ ე.წ. "კანონიკურ" ტექსტში ჩართულია კონსტიტუციის მხოლოდ ფრანგულ ტექსტში არსებული ორი ჩანართი (თავი 1, მუხლი 5, და თავი 14, მუხლი 130), რომლებიც არ დამტკიცებულა დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 თებერვალს. საჭიროდ ვთვლი აქ ასევე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ ორი წინადადების ჩამატება კონსტიტუციის ინგლისურენოვან ტექსტში არანაირ ჩრდილს არ აყენებს კონსტანტინე კანდელაკის ამ ფრიად საყურადღებო ნაშრომში 1953 წელს მოთავსებულ კონსტიტუციის ინგლისურენოვან თარგმანს, ისევე როგორც ინგლისურიდან ქართულ თარგმანს, ამ გამოცემის საკვანძო მნიშვნელობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შემსწავლელთათვის.

ჩემი აზრით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის ფრანგულ თარგმანში გარკვეულ დაზუსტებების შეტანის მთავარი (და ერთადერთი) მიზანი იყო კონსტიტუციის ფრანგულენოვანი თარგმანი - თავისი ფორმით, ტექსტში ტერმინოლოგიით ტერმინოლოგიით უფრო გასაგები, უფრო მისაღები სტილით ყოფილიყო შესრულებული - თან ისე, რომ არ შეცვლილიყო კონსტიტუციის ქართულ დედანში ნახსენები არც ერთი დებულება. თუ ვიმსჯელებთ კონსტიტუციის ფრანგული (და ინგლისური) თარგმანის მაღალი ხარისხით, მთარგმნელებმა თავის მიზანს ბრწყინვალედ მიაღწიეს.

ქვემოთ მომყავს რამდენიმე მაგალითი კონსტიტუციის ქართული დედანის და ამ მუხლთა ფრანგულ თარგმანში შეტანილი სხვაობებისა.

მუხლი 3.

ქართული დედანი: საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

ფრანგული თარგმანი:რესპუბლიკის ოფიციალური ენა არის ქართული.

მუხლი 4.

---

[44] კონსტიტუციის ინგლისური თარგმანი იხ. *Konst. Kandelaki.* The Georgian question before the free world. Paris, 1953. 2019 წელს, "ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის" მიერ გამოვიდა კონსტანტინე კანდელაკის ამ წიგნის ინგლისურიდან ქართულად თარგმანი: *კონსტანტინე კანდელაკი*, ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე. გამომცემელი, ნოე ჟორდანიას ინსტიტუტი, თბ. 2019 წ.

ქართული დედანი: საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის – შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა.

ფრანგული თარგმანი: საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის – შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა; საქართველოს რესპუბლიკის გერბი არის გამოსახულება თეთრი გიორგისა ცხენზე, გარშემორტყმული შვიდი მნათობით

მუხლი 5.

ქართული დედანი: ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

ფრანგული თარგმანი: კანონები და დეკრეტები ძალაშია მხოლოდ მისი არსებული ზოგადად დაკანონებული წესით გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 7.

ქართული დედანი: ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

ფრანგული თარგმანი: ადმინისტრაციული დაყოფა და ავტონომიების საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 36.

ქართული დედანი: გონებრივი, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით.

ფრანგული თარგმანი: გონებრივი, კომერციული, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით.

მუხლი 41.

ქართული დედანი: პოლიტიკური დევნილი, რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

ფრანგული თარგმანი: არც ერთი პოლიტიკური დევნილი, რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

მუხლი 42.

ქართული დედანი: მოქალაქის უფლებათა დარღვევისათვის, როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირი მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის კანონების თანახმად.

ფრანგული თარგმანი: მოქალაქის უფლებათა დარღვევისათვის, როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირები მიეცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის კანონების თანახმად.

მუხლი 63.

ქართული დედანი: ინიციატივის უფლება ეკუთვნის: (…) ბ) 5. 000 ამომრჩეველს.

ფრანგული თარგმანი: ინიციატივის უფლება ეკუთვნის: (…) ბ) ნებისმიერ ამომრჩეველთა 5.000 - იან ჯგუფს.

მუხლი 70.

ქართული დედანი: განსაკუთრებულ გარემოებაში, უკეთუ მთავრობის დადგენილების გამოტანა დაბრკოლებულია, პრეზიდენტს შეუძლია გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს პარლამენტს.

ფრანგული თარგმანი: მთავრობის გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში, პრეზიდენტს შეუძლია, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მიმართოს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, ამასთან, მან დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს პარლამენტს.

მუხლი 79.

ქართული დედანი: სასამართლოს განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ფრანგული თარგმანი: სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

მუხლი 43.

ქართული დედანი: ამბოხებისა ან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33, და 38, ომის დროს კი 21 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

ფრანგული თარგმანი: ქვეყნის შიგნით ამბოხებისა ან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში ის საკონსტიტუციო გარანტიები, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33, და 38, ომის დროს კი შესაძლებელია 21 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

პარლამენტის სესიებს შორის მთავრობას შეუძლია თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

მუხლი 65.

ქართული დედანი: პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს.

ფრანგული თარგმანი: პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს ბიუროს.

მუხლი 70

ქართული დედანი: (...) მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილისა ან მოვლენისა, კანონში აღნიშნულ წესისამებრ.

ფრანგული თარგმანი: (...) მთავრობის თავმჯდომარეს განსაკუთრებული უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის საჯარო სამსახურის სხვადასხვა სამსახურებში, ლოკალურ ადმინისტრაციებში, კერძო საქმიანობის კანონში აღნიშნულ წესისამებრ.

მუხლი 98.

ქართული დედანი: ადგილობრივი თვითმართველობა არის ამავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ, განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

ფრანგული თარგმანი: ადგილობრივი თვითმართველობა არის ამავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის ეკონომიურ და კულტურულ საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

27.11. დამფუძნებელი კრების საქმიანობა თბილისის დატოვების წინ

ნოე ჟორდანიას მოხსენება (21 თებერვალი)

დამფუძნებელი კრების 21 თებერვლის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. როგორც გრ. დიასამიძე იგონებს, დამფუძნებელმა კრებამ, „როდესაც საბოლოოთ მიიღეს კონსტიტუციის პროექტი“, სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანია (ოქმები, ტ. VIII, გვ.311). მას კრება „დიდი ოვაციებით და ტაშის ცემით“ შეხვდა („საქართველოს რესპუბლიკა“, 24.02.1921). გრ. დიასამიძის შეფასებით, ჟორდანიას სიტყვა “ყოვლად დამაშოშმინებელი“ იყო.

ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელ კრებას მოახსენა, რომ 19 და 21 თებერვლის გენერალური ბრძოლის შედეგად მოხერხდა რუსეთის წითელი არმიის შეტევის მოგერიება. ჟორდანიას თქმით, „თფილისი არის და უნდა გადავაქციოთ საქართველოს ვერდენათ“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.309). სავსებით სწორი იყო დებულებაც, რომ ბრძოლის ბედი თბილისში გადაწყდებოდა. თბილისის დატოვება, რაც სამხედრო მოსაზრებით მოხდა რამდენიმე დღის შემდეგ, პოლიტიკური თვალსაზრისით კატასტროფული შედეგების მომტანი აღმოჩნდა, - ბევრმა საქართველოში ომი წაგებულად ჩათვალა. 21 თებერვალს საღამოს კი თბილისის შესაძლო დატოვებაზე აღარავინ ფიქრობდა.

ქართველ სამხედროებს რუსი ტყვეებისაგან ხელში ჩაუვარდათ წითელი არმიის სარდლობის ბრძანება, რამაც გააქარწყლა ომის დასაწყისში (მაგალითად, დამფუძნებელი კრების 15 თებერვლის სხდომაზე) არსებული ილუზია, რომ საბჭოთა რუსეთი ერთგული იყო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისა და ვითომდა საბჭოთა სომხეთის თავდასხმას რუსეთის ჯარი შეუერთდა მოსკოვთან შეუთანხმებლად, ბაქოში მყოფი ე. წ. „კავბიუროს“ ავანტურისტული გადაწყვეტილებით. 21 თებერვალს ნოე ჟორდანია უკვე იმაზე საუბრობდა, რაც სინამდვილეში ხდებოდა: რომ სწორედ მოსკოვს „დიდი ხანია ჰქონია განზრახვა“ და სწორედ იქ იყო მიღებული გადაწყვეტილება საქართველოში შეჭრისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თაობაზე. ცხადი გახდა მისი განხორციელების სცენარიც, რაც შემდეგ საბჭოთა რუსეთმა სხვაგანაც რამდენჯერმე გაიმეორა. ვითომდა ლორეში დაიწყო სახალხო აჯანყება, შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი და ამ კომიტეტის „მოწვევით“ და მათ „დასახმარებლად“ საქართველოში შემოიჭრა რუსეთის წითელი არმია, - ჯერ სომხეთის, შემდეგ აზერბაიჯანის მხრიდან.

საერთო ვითარების შეფასებისას ნოე ჟორდანია ოპტიმისტურად იყო განწყობილი: თბილისზე წითელი არმიის შემოტევა მოიგერიეს, სომხეთში დაშნაკებმა საბჭოთა ხელისუფლება დაამხეს და გამოაცხადეს, - საქართველოს არ ვეომებითო. საქართველომ მიიღო პირველი საერთაშორისო დახმარებაც: 20 თებერვალს ფრანგული ესკადრის მხარდაჭერით ქართულმა ჯარმა აფხაზეთში უკუაგდო წითელი არმია და გაგრა დაიბრუნა. „ჩვენ აქტიური დახმარება გაგვიწია საფრანგეთმა“, - ნოე ჟორდანიას ამ სიტყვების გაგონებაზე, როგორც გრ. დიასამიძე იგონებს „მთელი დამფუძნებელი კრება ფეხზე წამოდგა და ტაშისკვრით მიეგება ამ განცხადებას“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.311).

რადგანაც უკვე ცხადი იყო, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ „ქართველი ხალხის უღირსი შვილნი“, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ „ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებულ არიან ქართველი ხალხის მოღალატეებათ. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.312). რადგანაც „რევკომის“, ანუ როგორც მას უწოდ-

ებდნენ „შულავარის მთავრობის“ შემადგენლობა პერსონალურად ცნობილი იყო, დამფუძნებელი კრების დადგენილების მომდევნო პუნქტში რევკომის წევრები ცხადდებოდნენ „ქართველი ხალხის მოღალატეებათ“ და უნდა ჩამორთმეოდათ „ყოველივე ქონება და დაყენებულ იქნან კანონ გარეშე“. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მთავრობას დაევალა.

დამფუძნებელმა კრებამ თავისი დადგენილებით მთავრობას სრული ნდობა გამოუცხადა, მთავრობას დაევალა და უფლება ეძლეოდა მიეღო „ყოველგვარი ზომა, რომელსაც ის საჭიროდ დაინახავს თავდაცვისათვის ბრძოლის უკეთ მოსაწყობად და რესპუბლიკის საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად“.

დამფუძნებელი კრების უკანასკნელი დღე თბილისში...

თბილისში დამფუძნებელი კრების საქმიანობის შესახებ შემორჩენილია 24 თებერვლით დათარიღებული ორი მოკლე დოკუმენტი, - ერთი უკვე ვახსენეთ, როდესაც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი ითხოვდა მობილიზაციიდან გაეთავისუფლებინათ კანცელარიის 7 თანამშრომელი, მეორე წერილში დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი გენერალური შტაბის უფროსს მიმართავს და აღნიშნავს, რომ დამფუძნებელი კრების წევრებს, - შალვა ალექსი-მესხიშვილს და სამსონ დადიანს „დაევალათ ფრონტზე ყოფნა, რათა ყოველგვარი საშუალებით და დახმარებით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს დაცვის საქმეს“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.314).

დამფუძნებელი კრების სხვა ოფიციალური დოკუმენტი დღეისათვის არ არის მოკვლეული. არ ვიცით, როგორ მოხდა დამფუძნებელი კრების გადასვლა ქუთაისში, რა დოკუმენტაცია წაიღეს ან გაანადგურეს, დამფუძნებელი კრების დეპუტატების რა ნაწილმა დატოვა თბილისი.

„საბჭოთა ნიადაგზე“ გადასული დამფუძნებელი კრების წევრები

თბილისის დატოვებამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქართველი ხალხის საბრძოლო სულისკვეთებას და გამარჯვების რწმენას. თბილისის დატოვების შემდეგ დამფუძნებელი კრების მუშაობაში აღარ მონაწილეობს დაშნაკთა ფრაქცია. დაშნაკები, რომლებმაც სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დაამხეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მხარეს გადავიდნენ და შესაბამისი განცხადებაც გამოაქვეყნეს. დაშნაკები დამფუძნებელ კრებაში კი იყვნენ წარმოდგენილნი, მაგრამ თავს საქართველოს პოლიტიკურ ძალად არ განიხილავდნენ. მაგრამ თბილისის დატოვების შემდეგ მერყეობა დაეტყოთ მემარცხენე ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსაც. ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე პირველები დადგნენ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები, რომელთა ლიდერებიც შალვა ნუცუბიძე და თედო ღლონტი იყვნენ.

ჯერ კიდევ ომი მიმდინარეობდა, როდესაც თბილისში დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა“. ამ გაზეთის მეორე ნომერში 1921 წლის 1 მარტს შალვა ნუცუბიძემ გამოაქვეყნა თავისებური საპროგრამო სტატია „მენშევიკების დამოუკიდებლობა თუ საქართველოს დამოუკიდებლობა“. შალვა ნუცუბიძის თქმით, მენშევიკები დიდი ხნის განმავლობაში წინააღმდეგი იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და მოვლენათა განვითარების გამო იძულებული გახდნენ დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ. თუმცა, ამ დამოუკიდებლობას „შოვინისტური“ თვალსაზრისით უყურებდნენ და შეეცადნენ საქართველო გაემიჯნათ მსოფლიოში მიმდინარე სოციალური რევოლუციისაგან, დაივიწყეს კლასობრივი ბრძოლის ინტერესები. მენშევიკების ამ პოლიტიკამ კრახი განიცადა და ახლა იღუპება „მენშევიკების დამოუკიდებლობა“, საქართველოს დამოუკიდებლობა კი ხელშეუხებელი იქნება, თანაც „კლასობრივი ბრძოლის ამოცანებიც“ გადაწყდება. შალვა ნუცუბიძემ, თედო ღლონტმა და სხვებმა დაიჯერეს რუსეთის წითელ არმიასთან ერთად შემოსული ქართველი ბოლშევიკების განცხადე-

ბები, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას არაფერი ემუქრება, მიმდინარეობს მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია და რუსეთის წითელი არმია მაშინვე წავა საქართველოდან, როგორც კი ამას ეტყვიან.

27.12. დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში (28 თებერვალი)

თბილისის დატოვების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებმა ქუთაისში გადაინაცვლა და დამფუძნებელი კრების სხდომაც ამ ქალაქში გაიმართა - 1921 წლის 28 თებერვალს. სხდომის ანგარიში გაზეთმა „ერთობამ“ გამოაქვეყნა („ერთობა“, 2.03.1921).

სხდომა გაიხსნა ქუთაისის თეატრის შენობაში, საღამოს 7 საათზე. პრეზიდიუმი სცენაზე იყო მოთავსებული, დეპუტატები - პარტერის წინა რიგებში ისხდნენ, პარტერის დანარჩენი ადგილები და ქანდარა ხალხით იყო გაჭედილი. „წარმოდგენილია ყველა ფრაქცია“, - ნათქვამია საგაზეთო ანგარიშში, მაგრამ გამომსვლელთა შორის აღარ იყო დაშნაკთა პარტიის წარმომადგენელი. როგორც ჩანს, დაშნაკთა ფრაქცია თბილისის დატოვების შემდეგ ჩამოსცილდა დამფუძნებელ კრებას.

სხდომა მიჰყავდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს კარლო ჩხეიძეს, რომელმაც თავისი შესავალი სიტყვა დაიწყო დამფუძნებელი კრების საქმიანობის ზოგადი შეფასებით, იმის აღნიშვნით, რომ მალე ორი წელი სრულდებოდა მისი მუშაობის დაწყებიდან. „თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორი წელიწადი არის უმდიდრესი და უდიდესი ეპოქა მის (საქართველოს - მ. მ.) ისტორიაში“, - აღნიშნა კარლო ჩხეიძემ. მისივე თქმით, „ჩვენი მომავალი თაობანიც, მომავალი ისტორიკოსები ბევრჯერ შეეკითხებიან თავის თავს, თუ სად იყო ქართველ ხალხში იმდენი ცხოველმყოფელი ძალა, რომელმაც ამდენი საქმე გააკეთებინა მას“ (ოქმები, ტ. VIII, გვ.315). თუმცა შექმნილ ვითარებაში დამფუძნებელ კრებას მიღწევებზე სალაპარაკოდ არ ეცალა. აღმოსავლეთ საქართველო მტრის ხელში იყო, თბილისის დატოვების შემდეგ ქართული ჯარი გორი-სურამის პოზიციაზე იდგა. რუსეთის წითელი არმია აფხაზეთისა და რაჭის მხრიდანაც შემოიჭრა საქართველოში. დამფუძნებელი კრების სხდომაზე არაფერი უთქვამთ, მაგრამ საქართველოს სამხრეთი კუთხეების დაკავება თურქებმა დაიწყეს. მიუხედავად ყველაფრისა ომი გრძელდებოდა და ჯარს, ქვეყნის მოსახლეობას გამხნევება, გამარჯვების იმედის შენარჩუნება სჭირდებოდა. კარლო ჩხეიძის თხოვნით, დამფუძნებელმა კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი მიაგო ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნას (ოქმები, ტ. VIII, გვ.3016).

შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე, შემდეგ კი სიტყვით გამოვიდნენ ფრაქციების წარმომადგენლები: შალვა მესხიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი), ნიკოლოზ იმნაიშვილი (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი), ივანე გობეჩია (სოციალისტ-რევოლუციონერი), სპირიდონ კედია (დემოკრატიული პარტია), ივანე გომართელი (სოციალ-დემოკრატი). სამწუხაროდ, ფრაქციების წარმომადგენელთა გამოსვლები გაზეთში შემოკლებითაა დაბეჭდილი.

რის იმედი ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებას? პირველ რიგში ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა, „ლიხის მთაგრეხილის ბუნებრივ საზღვარზე“ მტრის შეკავებისა. გრიგოლ ლორთქიფანიძის განცხადებით, ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, „ვინაიდან ყოველი ზედმეტი დღე ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს“.

დამფუძნებელი კრების 28 თებერვლის სხდომის უმთავრესი დანიშნულება იყო საზოგადოების გამხნევება და მტერთან საბრძოლველად ეროვნული ენერგიის მობილიზება. თბილი-

სის დატოვებით ომი არ დამთავრებულა, საჭიროა ძალების მობილიზება და ომის ბედის ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალება. სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ყველა გამომსვლელის სიტყვა. „დღეს ყველა უნდა ვიქცეთ გმირებად" (ივ. გობეჩია), „საჭიროა დიდი სიმტკიცე, ბრძოლის ენერგიის რაციონალიზაცია, შეგნება და რწმენა გამარჯვებისა" (სპირიდონ კედია), საჭიროა „მტკიცე სურვილი გამარჯვებისა" (ივ. გომართელი), „თუ ჩვენ გამოვიჩენთ ნების სიმტკიცეს, ჩვენსკენაა გამარჯვება“ (ნ. იმნაიშვილი), „თფილისს დავიბრუნებთ სულ ახლო მომავალში“ (შალვა მესხიშვილი“ - აი ზოგიერთი ფრაზა გამომსვლელთა სიტყვებიდან.

"ჩვენი დღევანდელი მტერი ისეთი თვისებისაა, რომ მასთან ზავი არ შეიძლება", "მოდის რუსული იმპერიალიზმის ყველაზე უფრო საზიზღარი და საშინელი ფორმა", „ეს თავდადებული ბრძოლა თავდები იქნება იმისი, რომ საქართველო უკვდავი იქნება", 28 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო მიმართვა ქართველი ხალხისადმი და დასავლეთის ქვეყნების პარლამენტებისადმი. დამფუძნებელი კრების დავალებით, პრეზიდიუმმა მისალმება გაუგზავნა ქართულ ჯარს. ასევე აირჩიეს თავდაცვის კოლეგია, რომელშიც შევიდა ფრაქციების თითო წარმომადგენელი. დამფუძნებელი კრების სხდომები დროებით შეწყდა, მისმა წევრებმა კი სხვადასხვა კუთხეს მიაშურეს თავდაცვისაკენ მიმართული ძალისხმევის გასაძლიერებლად.

საქართველოს დამფუძნებელი კრების 28 თებერვლის სხდომაზე გადაწყდა, რომ დამფუძნებელი კრების სხდომები დროებით შეეწყვიტათ; ამასთანავე, მისი მომავალი სხდომების მოწვევა მიენდო პრეზიდიუმს, "როდესაც ის საჭიროდ დაინახავს".

სამწუხაროდ, თბილისის დატოვების შემდეგ საბრძოლო სულისკვეთების მობილიზება ვერ მოხერხდა, ისევე როგორც დასავლეთის მორალური თანაგრძნობა არ გადაზრდილა რეალურ მხარდაჭერაში. ომის მეორე ეტაპზე საქართველოს წინააღმდეგ რუსეთისა და თურქეთის ერთობლივი მოქმედება კი წარმატების არანაირ შანსს არ უტოვებდა ჩვენს ქვეყანას.

27.13. დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომები ბათუმში

საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობის ბოლო ეტაპი ბათუმში გამართული ორი სხდომაა - 15 და 17 მარტს. ბათუმში განიხილებოდა თებერვალ-მარტის ომში დამარცხების მიზეზები და მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იმის თაობაზე თუ როგორ უნდა ემუშავათ დეოკუპაციისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომების მნიშვნელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, ჯერ მიკვლეული არ არის ამ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები და მათ შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მოგონებების და ზოგიერთი დოკუმენტების მიხედვით. ჩვენ შევეცდებით ამ მასალების საფუძველზე აღვადგინოთ ამ დღეების მოვლენათა განვითარება და განვიხილოთ საბჭოთა პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ზოგიერთი მითი.

როგორც უკვე ითქვა, თბილისის დატოვების შემდეგ დამფუძნებელი კრების სხდომა 28 თებერვალს ქუთაისში გაიმართა, ქუთაისის დატოვების შემდეგ კი დამფუძნებელი კრების დეპუტატების ნაწილმა გადაინაცვლა ბათუმში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელ დასაყრდენში. დღეს ძნელი სათქმელია, თუ დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან რამდენი იმყოფებოდა ბათუმში. ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, - ქვორუმი იყო და დამფუძნებელი კრების ბოლო სხდომები სავსებით ლეგიტიმური იყო. დამფუძნებელი კრების ქვორუმი 50 წევრის დასწრებით განისაზღვრებოდა, ჩვენთვის კი ცნობილია 15 მარტს გამართულ სხდომაზე ერთ-ერთი კენჭისყრის შედეგები. ამ კენჭისყრაში 66 დეპუტატი მონაწილეობდა (თოდუა ი., 2019, გვ.144), ეს კი დამფუძნებელი კრების წევრთა 50%-ზე მეტია.

ბათუმში თავმოყრილი დეპუტატები, ბუნებრივია, ხშირად იკრიბებოდნენ ქალაქის საკრებულოს შენობაში და ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე მსჯელობდნენ.

15 მარტი: დამფუძნებელი კრების წევრთა თათბირი

იონა თოდუას მოგონების თანახმად, 1921 წლის 15 მარტს, დღისით, დამფუძნებელი კრების წევრთა ნაწილი ოპოზიციური ფრაქციებიდან ითხოვდნენ დამფუძნებელი კრების სხდომის მოწვევას, მაგრამ ქვორუმი არ იყო. როგორც იონა თოდუა აღნიშნავს, „ქვორუმი არ შესდგა და თათბირი გაიხსნა“ (თოდუა ი., 2019, გვ.143). თათბირს მრავალი გარეშე ადამიანი ესწრებოდა.

ნიკოლო მიწიშვილი აღწერს თუ როგორ გამოიყურებოდა დარბაზი, სადაც მიმდინარეობდა დამფუძნებელი კრების სხდომები, ამ შემთხვევაში თათბირი: „ანათებდა ორი დიდი ლუსტრა. ერთი სამთვალა „ბრა“... მარცხნივ - ტრიბუნა. ტრიბუნას უკან პატარა მაგიდა. უკან - მეორე ოთახში გასავალი კარები... ტრიბუნას წინ (ირგვლივ) რამოდენიმე რიგი სკამებისა. იქ დეპუტატები ისხდნენ უკვე. ყველა კარები ღია იყო და კორიდორებიდან შიგ (ცერებზე) იყურებოდა ხალხი. დიდძალი. ტევა არ იყო“ (მიწიშვილი ნ., 2006, გვ.31-32).

იონა თოდუა მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. სოციალ-დემოკრატები მწვავე კრიტიკის ქვეშ მოექცნენ. „გაიხსნა თათბირი, ყველა ფრაქციები უსაყვედურებდნენ ჩვენს ფრაქციას, რომელსაც თითქოს განზრახ არ ნდომოდეს, რომ დამფუძნებელი კრება შემდგარიყო“ (თოდუა ი., 2019, გვ.143).

იონა თოდუა ჩამოთვლის დამფუძნებელი კრების ოპოზიციურ ფრაქციებსაც, - დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ნაციონალისტები. ეს ჩამოთვლა მნიშვნელოვანია: დამფუძნებელი კრების ოპოზიციურ ფრაქციებს შორის აღარ არიან დაშნაკცუთიუნი (რომელიც 28 თებერვალს დამფუძნებელი კრების ქუთაისის სხდომაში არ მონაწილეობდა) და სოციალისტ-რევოლუციონერები.

თათბირს თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე, რომელმაც დამფუძნებელი კრების სხდომის შეკრება საღამოს 8 საათისთვის გადადო. „ფრაქციები მოითხოვდნენ, რომ ამ დაპირებულ დროს მაინც უსათუოდ შემდგარიყო კრება“ (თოდუა ი., 2019, გვ.144).

15 მარტი: დამფუძნებელი კრების სხდომა

დამფუძნებელი კრების სხდომა 15 მარტს საღამოს მართლაც შედგა. ქვორუმი შედგა და კრება გაიხსნა საღამოს 8 სთ 30 წუთზე კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. კრება საკმაო ხანს გაგრძელდა და დაიხურა დაახლოებით ღამის 1 საათზე. მთავარი მომხსენებელი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, რომელსაც „თვითონ საჭიროდ მიაჩნდა მთავრობის არჩევა“ (თოდუა ი., 2019, გვ.144), ანუ კოალიციური მთავრობის შექმნა, რადგანაც საჭირო იყო „თავდაცვისა და მთავრობის ნდობა“ (თოდუა ი., 2019, გვ.144).

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მთელი ოპოზიციის (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების, ნაციონალ-დემოკრატების, ფედერალისტების, ნაციონალისტების და უფრაქციო დეპუტატის პავლე საყვარელიძის) საერთო კრიტიკის ქვეშ მოექცა. ისინი „უსაყვედურებდნენ მთავრობას საერთოდ და კერძოდ, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სამხედრო სამინისტროზე პარმენ ჭიჭინაძის მეთაურობით“ (თოდუა ი., 2019, გვ.144). მიუხედავად არსებული მძიმე ვითარებისა, ოპოზიციონერი დეპუტატები „იმედს გამარჯვებისას მაინც პოულობენ თითქოს“ (თოდუა ი., 2019, გვ.144).

ოპოზიციურმა ფრაქციებმა უნდობლობა გამოუცხადეს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, ასევე მოითხოვდნენ მთავრობის გადადგომას და მის რეორგანიზებას. თუმცა, სოციალ-დე-

მოკრატიულმა ფრაქციამ, ხმათა უმრავლესობის პირობებში, „მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ნდობას უცხადებდა მთავრობას და თავდაცვის საჭიროებას აღნიშნავდა“. ხმების თანაფარდობა იყო 42 მომხრე, 22-ის წინააღმდეგ (თოდუა ი., 2019, გვ.144).

ამის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო ორი რეზოლუცია: ერთი საქართველოს დაცვის შესახებ და მეორე, ქონების (ეროვნული საგანძურის) საზღვარგარეთ გაგზავნის შესახებ, რათა ის ბოლშევიკებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

სამწუხაროდ, დამფუძნებელი კრების 15 მარტის სხდომის შესახებ სხვა მასალები ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

17 მარტი: დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა

1921 წლის 17 მარტს ბათუმში გაიმართა დამფუძნებელი კრების მეორე და უკანასკნელი სხდომა, რომლის შესახებაც ძირითად წყაროს წარმოადგენს გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის (1884-1957), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გენერალური შტაბის უფროსის, მოგონებები.

თავის უკანასკნელ სხდომაზე დამფუძნებელი კრება ერთსულოვანი იყო. „დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაადგინა - გაგზავნოს საზღვარგარეთ საქართველოს ეროვნული მთავრობა ბატონ ნოე ჟორდანიას მეთაურობით“, - წერს ალექსანდრე ზაქარიაძე (ზაქარიაძე ა., 2003, გვ.296).

ემიგრაციაში მთავრობის გაგზავნა იმის ჩვენება იყო, რომ საქართველო არ ურიგდებოდა ბოლშევიკურ ოკუპაციას და გააგრძელებდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. როგორც ალ. ზაქარიაძე აღნიშნავს, „მთავრობას დაევალა დაეცვა საქართველოს და ქართველი ერის ინტერესები მთელი დედამიწის მთავრობებისა და ერების წინაშე“ (ზაქარიაძე ა., 2003, გვ.296).

სოციალ-დემოკრატებსა და ოპოზიციურ ფრაქციებს შორის, როგორც ჩანს, მიღწეული იქნა კომპრომისი. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს ოპოზიციის მოთხოვნა კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზების ძიების მიზნით ემიგრაციაში გაგზავნილი მთავრობისათვის მნიშვნელოვანი იყო ამ საკითხში საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიების ერთიანობის ჩვენება. როგორც ალექსანდრე ზაქარიაძე აღნიშნავს, მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას უფლება მიეცა „შეედგინა კოალიციური მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: ორი წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული, ერთი - ეროვნულ-დემოკრატიული და ერთი - სოციალისტ-ფედერალისტური პარტიების. ბატონ ნოე ჟორდანიას ეძლეოდა უფლება თვითონ დაენიშნა თავისი მოადგილე. მთავრობას მიეცა უფლება თან წაეყვანა მუშაობისათვის აუცილებელი სპეციალისტები და პიროვნებები“ (ზაქარიაძე ა., 2003, გვ.296).

კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებაზე ოპოზიციამ უარი თქვა. ემიგრაციაში წასული მთავრობა ისევ სოციალ-დემოკრატებით დაკომპლექტდა: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, კონსტანტინე კანდელაკი, გიორგი ერაძე.

ალ. ზაქარიაძე აღნიშნავს, რომ „ამავე კრებაზე დამფუძნებელმა კრებამ მოუწოდა, ქართველი ერი და მისი ინტელიგენცია დარჩენილიყვნენ ხალხთან და მისი ბედ-იღბალი გაეზიარებინათ“ (ზაქარიაძე ა., 2003, გვ.296). აქ კორექტურა უნდა იყოს, - „ქართველი ერი“ დარჩეს „ხალხთან“ გაუგებარია. სავარაუდოდ, დამფუძნებელი კრება ხალხთან დარჩენისკენ, ინტელიგენციასთან ერთად, მოუწოდებდა დამფუძნებელი კრების დეპუტატებს და პოლიტიკური პარტიების წევრებს. „მხოლოდ მათ, ვისთვისაც მოსალოდნელი იყო რეპრესიები ბოლშევიკების

მხრივ მათი მუშაობისთვის დამოუკიდებლობის დროს, ეძლეოდათ უფლება წასულიყვნენ ემიგრაციაში“ (ზაქარიაძე ა., 2003, გვ.296).

ალექსანდრე ზაქარიაძეს დასახელებული ნაშრომი, როგორც ავტორის წინასიტყვაობის დათარიღებაშია აღნიშნული, დაუწერია 1947 წელს (ზაქარიაძე ა., 2003, გვ.180).[45] დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის შესახებ თხრობას ალექსანდრე ზაქარიაძე ამთავრებს სიტყვებით: „ასეთი იყო უკანასკნელი დადგენილება თავისუფალი ქართველი ერის თავისუფლად არჩეული პარლამენტისა. ამიტომ, სანამდე ქართველი ერი არ იქნება თავისუფალი და მას არ ექნება შესაძლებლობა მართლაც თავისუფლად აირჩიოს თავისი პარლამენტი, მანამდე ეს დადგენილება სავალდებულო რჩება ყველა ქართველისთვის და საქართველოს მოქალაქისთვის“ (ზაქარიაძე ა., 2003, გვ.296).

დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომას და მის გადაწყვეტილებას ეხება კონსტანტინე კანდელაკიც: „საქართველოს კანონიერი მთავრობა, რომელიც მოქმედებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების (1921 წლის 17 მარტის) შესაბამისად, გემით გაემგზავრა ევროპაში, რათა ემიგრაციაში განეხორციელებინა დაკისრებული მისია, რომელიც ქართველი ხალხის სუვერენული ინტერესების დაცვაში, ცივილიზებული სამყაროს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ხელისუფლების მხარდაჭერის მოპოვებაში მდგომარეობდა“ (კანდელაკი კ., 1953, გვ.15).

დამფუძნებელი კრების დადგენილებით, მთავრობას საჭირო სპეციალისტების წაყვანის უფლება მიეცა. ამის თაობაზე მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვეტილებაც მიიღო, - წაიყვანდნენ მათ, ვის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა. ნოე ჟორდანიას თქმით, მთავრობამ დაადგინა, რომ „საზღვარგარეთ წამსვლელთა რიცხვი მთავრობის ხარჯზე არ უნდა აღემატებოდეს 100-125 კაცს, და ეს ისეთები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც საქართველოში დახვრეტა მოელის“ (ჟორდანია ნ., 1921, გვ 3).

დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის შესახებ საბჭოთა ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო დებულება, რომ თითქოს 1921 წლის 17 მარტს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე „მიიღეს დადგენილება საქართველოს კონსტიტუციის მოქმედების დროებით შეჩერების შესახებ“ (ერემოვი გ., 1960, გვ.110). ეს დებულება ყალბია.

დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია მიიღო და გამოაქვეყნა, ანუ კონსტიტუცია იურიდიულად მოქმედი დოკუმენტი გახდა. კონსტიტუციის მე-10 მუხლი კი აცხადებდა: „ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული“. კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევები დაფიქსირებული იყო 43-ე მუხლში - ამბოხებისა ან ომის დროს პარლამენტს უფლება ქონდა დროებით შეეჩერებინა გარკვეულ უფლებათა გარანტიები; 44-ე მუხლის ძალით კი დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება ჰქონდა დროებით შეეჩერებინა რამდენიმე მუხლი. მთლიანობაში კი, 1921 წლის კონსტიტუციას, ამოქმედების შემდეგ, ვერავინ შეაჩერებდა. შეიძლებოდა საგანგებო ვითარებაში მისი ზოგიერთი მუხლის შეჩერება, საკონსტიტუციო ცვლილებების გზით ყველა მუხლის გადასინჯვა, გარდა მართვა-გამგეობის ფორმისა, მაგრამ კონსტიტუციის შეჩერების მექანიზმი არ არსებობდა.

[45] 1957 წელს, გარდაცვალების წინ, ალექსანდრე ზაქარიაძემ ხელნაწერი გადაუცია ვალიკო ჩუბინიძისთვის, რომელმაც 1988 წელს აღნიშნული ხელნაწერი გადასცა კარლო ინასარიძეს. ამ უკანასკნელმა 1990 წელს ხელნაწერი გურამ შარაძეს გადასცა, რომელმაც 2003 წელს აღნიშნული ნაშრომი გამოაქვეყნა.

როგორც ვნახეთ, 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის შეჩერების შესახებ არაფერია ნათქვამი არც იონა თოდუას და არც ალექსანდრე ზაქარიაძის მოგონებებში. კარლო ინასარიძე, რომელიც ეხება დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომას ბათუმში, ასევე არაფერს ამბობს კონსტიტუციის მოქმედების შეჩერებაზე: „1921 წლის 16 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ჩაატარა უკანასკნელი სხდომა ბათუმში და საქართველოს მთავრობას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დაავალა დაეტოვებია საქართველოს ტერიტორია და უცხოეთიდან განეგრძო მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის“ (ინასარიძე კ. 1984, გვ.479).

დამფუძნებელმა კრებამ სწორედ 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ემიგრაციაში გაგზავნა საქართველოს მთავრობა, ნოე ჟორდანიას როგორც მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილება განსაზღვრული იყო 1921 წლის კონსტიტუციის 70-ე მუხლით.

27.14. დამფუძნებელი კრება და საბჭოთა რეჟიმი

ნოე ჟორდანიას „საქართველოში დატოვების“ სურვილი

საქართველოში წითელი არმიის შეჭრის ნებართვის გაცემასთან ერთად, ვ. ლენინი ფრთხილობდა და ცდილობდა საქმე ისე წარმოეჩინა, რომ საქართველოში „შიდა გადატრიალება“ ხდებოდა ან კიდევ უფრო მეტი, ხელისუფლებაში ნოე ჟორდანიაც შეენარჩუნებინა. ეს იდეა ჩამოყალიბებულია 1921 წლის 2 მარტს სერგო ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც ამ დროს ბაქოში იმყოფებოდა: „... უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი“ (ლენინი ვ., ტ.32, გვ.189-190).

ნოე ჟორდანიასთან ბლოკის იდეა ლენინს ადრეც ქონდა, 1918 წლის მაისში, როდესაც ბოლშევიკების მდგომარეობა ამიერკავკასიაში მყარი არ იყო. 1918 წლის 24 მაისს ვ. ლენინი ს. შაუმიანს სწერდა: „ბაქოს მდგომარეობა ძნელია საერთაშორისო თვალსაზრისით. ამიტომ გირჩევთ სცადოთ ბლოკი ჟორდანიასთან. თუ შეუძლებელია, საჭიროა ლავირება და გადაწყვეტილების გაჭიანურება, სანამ არ განმტკიცდებით სამხედრო თვალსაზრისით“ (ლენინი ვ., ტ.44, გვ.57).

გ. ორჯონიკიძემ ლენინის 1921 წლის 2 მარტის წერილის გაცნობისთანავე მოსკოვს აცნობა, რომ საქართველოს კომუნისტები ერთსულოვნად ეთანხმებიან ლენინის მითითებებს, ლენინის აღნიშნული წერილი კი ტელეგრაფით მაშინვე გადასცა თბილისში, „რევკომის“ ხელმძღვანელობას. შ. ელიავამ და მ. ორახელაშვილმა, თავის მხრივ, აღუთქვეს ლენინს, რომ მის მითითებებს შეასრულებდნენ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა ქართველი ინტელიგენციის დელეგაცია (ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: თოიძე ლ. 1991, გვ.134-135). მოლაპარაკების ერთერთი საკითხი ნოე ჟორდანიასთვის საქართველოში დარჩენის შეთავაზება იყო. სერგო ქავთარაძე, შემდეგ იგონებდა, რომ მან პირადად შესთავაზა ნ. ჟორდანიას დარჩენილიყო საქართველოში („მნათობი“, 1964, N 4, გვ.18).

ნოე ჟორდანია გამორიცხავდა შექმნილ ვითარებაში ბოლშევიკებთან რაიმე შეთანხმებას. რაც შეეხება „ჩვენს საქართველოში დარჩენას, ამაზე ორი აზრიც კი არავის ქონებია“, - აღნიშნავდა ნოე ჟორდანია. „ჩვენი დადგენილება იყო - არავითარ შემთხვევაში არ ვიცნობთ რუსის

ჯარის მიერ დაყენებულ მთავრობას საქართველოს კანონიერ მთავრობათ. ისინი იყვნენ და არიან საქართველოს ოკუპანტები“ (ჟორდანია ნ., 1921, გვ.1).

მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანიას ემიგრაციაში წასულმა მთავრობამ ვერ მიაღწია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ისტორიულ პერსპექტივაში სწორი იყო. საქართველოს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში აღნიშნულია: „საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში“.

გერონტი ქიქოძე გადმოგვცემს იმ დროს ქართულ საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, რომ ლენინს ძალიან ეწყინა ნოე ჟორდანია საქართველოში დარჩენაზე რომ ვერ დაითანხმეს ქართველმა ბოლშევიკებმა: „ამბობენ, ლენინს ძალიან ეწყინა, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს ნოე ჟორდანიას შეთანხმებოდნენ და ორჯონიკიძეს და ბუდუ მდივანს გულისწყრომით უთხრა, თქვენ სოციალიზმის საქმე დააზიანეთ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშიო“ (ქიქოძე გ., 2003, გვ.60).

დამფუძნებელი კრების ოპოზიციური ნაწილის გამოყენების იდეა

თავიდან, საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებაში, როგორც ჩანს, გაჩნდა იდეა საბჭოთა რეჟიმის ლეგიტიმაციისთვის გამოეყენებინათ დამფუძნებელი კრების ოპოზიციური ნაწილი, რომელიც აკრიტიკებდა „მენშევიკურ ხელისუფლებას“, მით უმეტეს ომში დამარცხების შემდეგ. ამაზე მეტყველებს სერგო ქავთარაძის დეპეშა, რომელიც ბათუმიდან საბჭოთა რევკომს ატყობინებდა: „გთხოვთ გამომიგზავნოთ სპეციალური მატარებელი პარტიების, ფრაქციების და დამფუძნებელი კრების წევრთა წასაყვანად. მათ გადასწყვიტეს შეიკრიბნენ თბილისში, რათა ერთხმად მიღებულ რეზოლუციით დაგმონ წინანდელი მთავრობა. მე პრინციპულად მოვიწონე მათი გადაწყვეტილება“ (ამხ. სერგო ქავთარაძის დეპეშა - გაზ. „კომუნისტი“, 1.04.1921 წ.).

როგორც ჩანს, საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმმა სცადა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა საქართველოში მრავლად დარჩენილი დამფუძნებელი კრების დეპუტატები, განსაკუთრებით კი ოპოზიციური ფრთა. არ გამორიცხავდნენ მათ შეკრებასაც, თუკი მიიღებდნენ საბჭოთა რეჟიმისთვის სასურველ გადაწყვეტილებებს: ა/ დაგმობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციაში წასულ მთავრობას; ბ/ აღიარებდნენ რუსეთის წითელი არმიის ინტერვენციის შედეგად შექმნილ მარიონეტულ საბჭოთა რეჟიმს საქართველოში. მაგრამ დამფუძნებელი კრების შეკრების მცდელობას ჰქონდა თავისი დიდი საფრთხეებიც. თბილისში შეიკრიბებოდა კანონიერი ხელისუფლება, - დამფუძნებელი კრება, რომლის ფონზეც მკაფიოდ გამოჩნდებოდა ე. წ. საბჭოთა ხელისუფლების სრულიად არალეგიტიმურობა. თბილისში შეკრებილ ზოგიერთ ოპოზიციონერ დეპუტატს შეიძლება გაეკრიტიკებინა ნოე ჟორდანიას მთავრობა, რომ ვერ დაიცვა ქვეყანა საბჭოთა რუსეთის აგრესიისგან, მაგრამ დამფუძნებელი კრების დეპუტატების დიდი უმრავლესობა დაგმობდა საქართველოს საბჭოთა ოკუპაციას და არ შეურიგდებოდა საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევას.

ძნელი სათქმელია, თბილისში მყოფმა ბოლშევიკებმა რამდენად ყურადღებით განიხილეს დამფუძნებელი კრების გამოყენების იდეა. თუმცა, დამფუძნებელი კრების თუნდაც ოპოზიციური ნაწილის მუშაობის გაგრძელება ბოლშევიკების გეგმებში არ შედიოდა. დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქცია საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე იდგა და მათთვის მუშაობის უფლების მიცემა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებას „სირთულეებს“ შეუქმნიდა.

1921 წლის 24 მარტს მიღებული N 7 დეკრეტით ბოლშევიკურმა „რევოლუციურმა კომიტეტმა“ საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნა გამოაცხადა:

„საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის ამა 1921 წლის მარტის 24-ს დადგენილების თანახმად საქართველოს დამფუძნებელი კრება დათხოვნილია.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე (მახარაძე)

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი (გაბრიჩიძე)

1921 წ. მარტის 24

ქ. ტფილისი, სასახლე“

(დეკრეტი საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნისა, - გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 27.03. 1921).

„ოპოზიციური ფრაქციების რეზოლუციების“ შესახებ

დამფუძნებელი კრების დაშლის გამოცხადებასთან ერთად, ბოლშევიკურ პრესაში გამოქვეყნდა მოკლე ცნობა იმის თაობაზე, რომ დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე ოპოზიციურმა ფრაქციებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც დაგმეს ნოე ჟორდანიას მთავრობა და გამოაქვეყნეს ამ რეზოლუციის ტექსტიც.

ბათუმში დამფუძნებელი კრების ყველა ოპოზიციურმა ფრაქციამ მიიღო ერთობლივი რეზოლუცია, რომელშიც უნდობლობა გამოუცხადეს მთავრობას - „თუმცა ქართველმა ხალხმა ყოველივე მიიტანა სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე, დღევანდელმა მთავრობამ მაინც ვერ შესძლო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა და უცხადებს მას უნდობლობას“ (გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 12.04.1921).

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?

ოპოზიციური ფრაქციები რომ უკმაყოფილონი იყვნენ ნოე ჟორდანიას მთავრობით ომში დამარცხების გამო ეს ფაქტია და ამის თაობაზე ზემოთაც აღვნიშნეთ, მაგრამ დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე, გამომდინარე საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად ბრძოლის ინტერესებიდან, ოპოზიციურმა ფრაქციებმა მხარი დაუჭირეს ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლას, ოღონდ ეს მთავრობა ინტერპარტიული უნდა ყოფილიყო.

ოპოზიციური ფრაქციების რეზოლუციის პროექტი, სავარაუდოდ, დამფუძნებელი კრების 15 მარტის სხდომაზე იყო წამოყენებული და ის რეზოლუციად ვერ იქცეოდა ხმების ნაკლებობის გამო (იხ. იონა თოდუას მოგონებები დამფუძნებელი კრების 15 მარტის სხდომის შესახებ). თუმცა, ბოლშევიკური პრესისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა და ოპოზიციური ფრაქციების რეზოლუციის პროექტი დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის რეზოლუციად გამოაცხადეს.

27.15. დამფუძნებელი კრება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

დამფუძნებელი კრების აღდგენის მოლოდინი

საბჭოთა ოკუპაციის პირველ ხანებში საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლ ძალებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს დეოკუპაციის შემთხვევაში ხელისუფლებაში დაბრუნდებოდა საქართველოს დამფუძნებელი კრება და მის მიერ დანიშნული მთავრობა. ამაზე კარგად მეტყველებს 1922 წლის თებერვლის დასაწყისში ჩატარებული საქართველოს სოციალ-დე-

მოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური კონფერენციის მიერ მიღებული მიმართვა დამ-ფუძნებელი კრების პრეზიდიუმისადმი:

„საქართველოს დამფ. კრების პრეზიდიუმს: ნ. ჩხეიძეს, ექ. თაყაიშვილს და ს. მდივანს

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ, სავსებით დარწმუნებული, რომ ჩქარა აღსდგება საქართველოს რესპუბლიკის შელახული უფლებები და მას სათავეში ჩაუდგება ისევ ხალხის თავისუფალი ნების გამომხატველი უმაღლესი ორგანო და მისი კანონიერი მთავრობა“ (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არ-ალეგალური კონფერენციის ანგარიში - „თავისუფალი საქართველო“, 1922, N 22, გვ.21).

ეს მიმართვა თარიღდება 1922 წლის 7 თებერვლით. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, - 1922 წლის 3 მარტს საქართველოს სამმა პოლიტიკურმა პარტიამ (სოციალ-დემოკრატიული, დემოკრატიული პარტია და სოციალისტ-ფედერალისტთა) მიიღო ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამ სამ პარტიას „დამოუკიდებლობის ერთსულოვ-ნათ დამცველ დამფუძნებელ კრებაში ემხრობოდა დეპუტატთა 93%“. დეკლარაცია მოითხოვ-და საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანას და ოკუპაციის გაუქმებას, „რასაც ბუნებრივათ მოჰყვება რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ დაწესებული კანონიერი რეჟიმის აღდგენა“ (საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა დეკლარაცია - „თავისუფალი საქართველო“, 1922 წ. 15 აპრილი, N 20, გვ.4).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს და, მთლიანად ქართველ ხალხს, ალბათ ბოლომდე ვერც წარმოედგინათ, თუ რა საშინელი რეპრესიები და განსაცდელი დაატყდებოდა ქვეყანას ბოლშევიკური ოკუპაციის პირობებში; ვერ წარმოედგინათ, თუ რა ხან-გრძლივი იქნებოდა "ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის პერიოდი".

1940 წელი: დამფუძნებელი კრების წევრების კრება პარიზში

დაწყებული მეორე მსოფლიო ომის პირობებში, 1940 წლის 4 თებერვალს დევნილი ეროვ-ნული მთავრობის პრეზიდენტმა ნოე ჟორდანიამ საფრანგეთში მყოფი დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრები შეკრიბა, საერთაშორისო სიტუაციის მოკლე ანგარიში გააცნო და დევნილი ეროვნული მთავრობის სახელით დეკლარაცია წაიკითხა, რომელიც მოგვიანებით გაზეთებშიც დაიბეჭდა (კანდელაკი კ., 1953, გვ.170-171).

დევნილი მთავრობა და საფრანგეთში მყოფი დამფუძნებელი კრების წევრები გაემიჯნენ ფაშისტურ ბლოკს და ინგლის-საფრანგეთის ბლოკს დაუჭირეს მხარი: „დღესდღეობით მსოფ-ლიოს თავზე ორი დროშა ფრიალებს - თავისუფლების და მონობის. საქართველოს ადგილი თავისუფლების დროშის ქვეშ არის“, - ნათქვამი იყო მთავრობის დეკლარაციაში (კანდელაკი კ., 1953, გვ.171).

დეკლარაციის მოსმენის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო:

„დღეს მიმდინარეობს ომი დემოკრატიის, ეროვნული და ადამიანის თავისუფლების-თვის მებრძოლ ქვეყნებსა და ბარბაროსულ დიქტატურას შორის, რომელმაც მრავალი ერი უკვე დაიპყრო, დანარჩენებს კი ემუქრება. ჩვენ პირველების მხარეს ვართ... ვისარგებლებთ შემთხვე-ვით და კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საფრანგეთს, ამ კეთილშობილ ქვეყა-ნას, ჩვენი თანამემამულეებისთვის გაწეული სტუმართმოყვარეობისთვის, მის სახელოვან ჯარს კი გამარჯვებას ვუსურვებთ“ (კანდელაკი კ., 1953, გვ.173).

ქართველი ემიგრანტების მიერ დაკავებული პოზიციის გამო, საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ ნაცისტებმა ქართული ოფისი გაჩხრიკეს და დოკუმენტები წაიღეს, ორი წევრი კი დააპ-ატიმრეს (კანდელაკი კ., 1953, გვ.174).

დასკვნა

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მუშაობა დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მე-10 თვეში და მისი მიზანი იყო კონსტიტუციის შემუშავება ახლადშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის. მისთვის ამოსავალი იყო 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც დაამტკიცა თავის პირველივე სხდომაზე. დამფუძნებელი კრების უმთავრესი ამოცანა, - კონსტიტუციის შემუშავება გაჭიანურდა და დამფუძნებელ კრებას, როგორც საკანონმდებლო ორგანოს ორი წლის განმავლობაში განიხილავდა და გადაწყვეტილებებს ღებულობდა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმთავრეს საკითხებთან დაკავშირებით.

დამფუძნებელმა კრებამ ორი სესიის მანძილზე ჩაატარა 200-ზე მეტი პლენარული სხდომა, მუშაობდა დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილი მუდმივი კომისიები (პირველი სესიის დროს 17, მეორე სესიის დროს 19), მათ მიერ გამოყოფილი მცირე კომისიები, რეგულარულად მართავდა სხდომებს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. ესაა საპარლამენტო მუშაობის დიდი გამოცდილება, რომელიც მრავალმხრივ არის საინტერესო.

დამფუძნებელი კრების მუშაობის ხასიათს განაპირობებდა და მასზე გავლენას ახდენდა რთული საგარეო და საშინაო ვითარება. საქართველოს დამფუძნებელი კრება მუშაობდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც მსოფლიო ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ნგრევისა და კრიზისის პერიოდიდან, როდესაც რევოლუციის ტალღამ მოიცვა მრავალი ქვეყანა. ასეთ პირობებში საქართველოს დამფუძნებელ კრებას საბოლოოდ უნდა განესაზღვრა საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობა, დაეცვა მისი ისტორიული საზღვრები, მიეღწია საქართველოს საერთაშორისო აღიარებისათვის. თუმცა, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იმ ისტორიულ ვითარებაში დამოუკიდებლობის დაცვა ვერ შეძლო.

დამფუძნებელი კრების მუშაობის ხასიათზე გავლენას ახდენდა მისი პარტიული შემადგენლობა. მასში დომინირებდნენ მემარცხენე სოციალისტური პარტიები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი ხედვა დამფუძნებელი კრების დანიშნულების, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის თაობაზე. სოციალისტ-რევოლუციონერებს და სოციალისტ-ფედერალისტებს უფრო მემარცხენე-რადიკალური პოზიცია ეკავათ და შესაძლებლად მიაჩნდათ საქართველოში „სოციალიზმის მშენებლობის“ დაწყება. მათგან განსხვავებით სოციალ-დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში შეიძლებოდა თანმიმდევრული დემოკრატიული წყობილების შექმნა და მათი ეს თვალსაზრისი განაპირობებდა როგორც დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო მუშაობის ხასიათს, ისე ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის საკითხების გადაწყვეტას.

მთლიანობაში, დამფუძნებელი კრების მუშაობის ხასიათი ბევრად განსაზღვრა მასში სოციალ-დემოკრატიული პარტიის აბსოლუტურმა დომინირებამ. ამის გამო აღნიშნულ პარტიას შეეძლო დამოუკიდებლად, თავის შეხედულებებისამებრ გადაეწყვიტა დღის წესრიგში მდგარი ყველა საკითხი. გადაწყვეტილებების მიღების დროს სოციალ-დემოკრატებს არ სჭირდებოდათ თანხმობის ძიება დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილ სხვა ფრაქციებთან. ეს ბევრად განაპირობებდა დამფუძნებელ კრებაში დისკუსიების მიმდინარეობას. ოპოზიციური ფრაქციების კრიტიკა უმეტესწილად ატარებდა პრინციპულ-თეორიულ ხასიათს და მათ კარგად იცოდნენ, რომ არ შეეძლოთ გავლენის მოხდენა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე.

დამფუძნებელ კრებაში ერთი პარტიის დომინირება ძალა-უნებურად განაპირობებდა ისეთი ვითარების შექმნას, როდესაც მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას, თავმოყრილს მთავრობასა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, შეეძლო ზეგავლენა

მოეხდინა დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასა და, შესაბამისად, დამ-ფუძნებელი კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ასეთ ვითარებას აკრიტიკებდნენ დამფუძნებელი კრების ოპოზიციური ფრაქციები.

დამფუძნებელი კრების საქმიანობის დროს ოპოზიციისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენ-ტად იქცა შეკითხვები მთავრობისადმი. შეკითხვის განხილვა, როგორც წესი, რამდენიმე სხდო-მის განმავლობაში გრძელდებოდა და, რიგ შემთხვევებში, ოპოზიცია აღწევდა მთავრობის მხრიდან კონკრეტულ საკითხებზე შეცდომების აღიარებას. შეიძლება ითქვას, რომ შეკითხვები იყო მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

დებატები დამფუძნებელ კრებაში, როგორც წესი, ატარებდა მწვავე ხასიათს. ზოგჯერ სხდომის თავმჯდომარეს უჭირდა წესრიგის დაცვა, დეპუტატები გაცხარების დროს, ერთმა-ნეთს სიტყვიერ შეურაცხყოფასაც აყენებდნენ. დამფუძნებელ კრებაში გამოყოფდნენ მემარცხე-ნე და მემარჯვენე ოპოზიციას. ხელისუფლების კრიტიკის დროს უფრო მწვავე იყო მემარცხენე ფრაქციების, განსაკუთრებით ესერების გამოსვლები. მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგე-ნელთა გამოსვლები, როგორც წესი, კორექტული იყო და არ იყო მიმართული ოპონენტის შე-ურაცხყოფისაკენ. ამ განსხვავებას მემარცხენე და მემარჯვენე ოპოზიციას შორის აღიარებდა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიაც.

დებატები დამფუძნებელ კრებაში იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა. ყველა ფრაქციას ჰქონდა თავისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი იდეოლოგია, რომლის საფუძ-ველზეც აყალიბებდნენ თავიანთ პოზიციას ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან და-კავშირებით. იდეოლოგიური დაპირისპირება და მწვავე დებატები რიგ შემთხვევებში გადა-იზრდებოდა ხოლმე პიროვნულ დაპირისპირებასა და სიძულვილში, დაცინვასა და შეურაც-ხყოფაში.

მიუხედავად მწვავე დაპირისპირებებისა, დამფუძნებელი კრება ახერხებდა ერთიანობის დემონსტრირებას. ეს ხდებოდა საზეიმო თარიღების (საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების) აღნიშვნის დროს; ასევე მაშინ, როდესაც ქვეყანა მძიმე საგარეო საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა ხოლმე. ორივე შემ-თხვევაში კარგად ჩანდა ის საფუძველი, რაც აერთიანებდა დამფუძნებელ კრებაში წარმოდგე-ნილ ყველა ფრაქციას. მიუხედავად განსხვავებული იდეოლოგიური პოზიციებისა, დამფუძნე-ბელ კრებაში არსებულ ყველა ქართულ პოლიტიკურ ძალას აერთიანებდა იმის უპირობო აღი-არება, რომ საქართველო უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწი-ფო.

დამფუძნებელმა კრებამ არა მარტო შეიმუშავა და მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, არამედ თავის უკანასკნელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით (საქართველოს მთავრო-ბის და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ემიგრაციაში წასვლის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის გასაგრძელებლად) სამართლებრივი და პრაქ-ტიკული საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას, რასაც შვიდი ათეული წელი დასჭირდა. 1991 წლის 9 აპრილს, როდესაც აღდგა საქართველოს სახელ-მწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ცოცხალი აღარ იყო დამფუძნებელი კრების არცერთი წევრი.

საქართველოს დამფუძნებელი კრება მიჩნეულია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ხალხის მიერ არჩეულ პირველ საკანონმდებლო ორგანოდ და მისგან იწყება თანამედროვე საქართველოს პარლამენტების ათვლა.

დანართი

საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმიანობის ქრონიკა

1919 წელი

12 მარტი - საქართველოს დამფუძნებელი კრების 1-ლი სხდომა. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკოლოზ ჩხეიძე, მის უფროს მოადგილედ ალექსანდრე ლომთათიძე. დამფუძნებელი კრების წევრებმა ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

14 მარტი - დამფუძნებელი კრების მე-2 სხდომა. დამფუძნებელი კრების წევრად უფროსი მდივნის თანამდებობაზე აირჩიეს კონსტანტინე ჯაფარიძე. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გამოვიდა განცხადებით „პარლამენტის მთავრობა მიდის და ადგილს უთმობს დამფუძნებელი კრების მთავრობას“. ახალი მთავრობის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ნოე ჟორდანია. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით მთავრობის თავმჯდომარეს მიენიჭა „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელის“ სტატუსი, რასაც სოციალისტ-ფედერალისტების და ესერების პროტესტი მოჰყვა. მოისმინეს სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენება. აირჩიეს საგანგებო კომისია „ახალციხის მაზრაში მდგომარეობის გამოსარკვევად“. აირჩიეს სამანდატო კომისია.

18 მარტი - დამფუძნებელი კრების მე-3 სხდომა, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა დეპუტატობის და მოხელეობის შეუთავსებლობის საკანონმდებლო წინადადება. აირჩიეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრები: თავმჯდომარის ამხანაგებად სიმონ მდივანი (ს. ფ.) და ექვთიმე თაყაიშვილი (ერ. დ.), უმცროს მდივნებად გიგო ნათაძე (ს. რ.) და ქრისტინე შარაშიძე (ს. დ.). აირჩიეს 4 მუდმივი კომისია: სარეგლამენტო, საკონსტიტუციო, საბიუჯეტო-საფინანსო და სარედაქციო.

21 მარტი - დამფუძნებელი კრების მე-4 სხდომა. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო პრეზიდიუმის წინადადება დამფუძნებელი კრების რეგლამენტის შემუშავებამდე ეხელმძღვანელათ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით. მსჯელობა ახალციხის მაზრაში გაგზავნილი საგანგებო კომისიის უფლებამოსილების შესახებ. დამტკიცდა ახალი მთავრობის შემადგენლობა (მთავრობის თავმჯდომარე და 4 მინისტრი), წაიკითხეს მთავრობის დეკლარაცია, ოპოზიციის ფრაქციებმა მოითხოვეს შემდეგ სხდომაზე განეხილათ მთავრობის დეკლარაცია.

22 მარტი - დამფუძნებელი კრების მე-5 სხდომა. მსჯელობა მთავრობის დეკლარაციის შესახებ. ოპოზიციურმა ფრაქციებმა (სოციალისტ-ფედერალისტებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა) კრიტიკულად შეაფასეს მთავრობის დეკლარაცია. სოციალისტ-ფედერალისტებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა წარმოადგინეს თავიანთი ფრაქციების დეკლარაციები. სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ დაამტკიცეს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14-16 თებერვლის არჩევნების შედეგები: 109 სოციალ-დემოკრატი, 8 ეროვნულ-დემოკრატი, 5 სოციალისტ-რევოლუციონერი, 8 სოციალისტ-ფედერალისტი. არჩევნების დროს დარღვევების შესახებ განაცხადეს სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა.

29 მარტი - დამფუძნებელი კრების მე-6 სხდომა. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წარმოადგინა კანონპროექტი დამფუძნებელი კრების წევრობის და მოხელეობის შეუთავსებლობის შესახებ, რასაც ყველა ოპოზიციური ფრაქციის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა. განიხილეს დამფუძნებელი კრების 1919 წლის ხარჯთაღრიცხვა და დამფუძნებელი კრების კანცელარიის შტატი. აირჩიეს მუდმივი კომისიები: შრომის, თვითმმართველობის, აგრარული, სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის, სამხედრო, იურიდიული, ხელოვნების და საგზაო.

4 აპრილი - დამფუძნებელი კრების მე-7 სხდომა. დაამტკიცეს დამფუძნებელი კრების წევრობის და მოხელეობის შეუთავსებლობის კანონის საბოლოო ტექსტი. მოისმინეს ახალციხის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება. დაიწყეს დამფუძნებელი კრების რეგლამენტის განხილვა.

8 აპრილი - დამფუძნებელი კრების მე-8 სხდომა. დაამტკიცეს დამფუძნებელი კრების 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის კანონი და დამფუძნებელი კრების კანცელარიის შტატი. მიიღეს საბოლოო ტექსტი დადგენილებისა ახალციხის ამბების გამო. გაგრძელდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტის განხილვა. სოციალისტ-რევოლუციონერებმა მოითხოვეს ქვორუმის 50-დან 66 წევრის დასწრებამდე გაზრდა, რასაც სოციალ-დემოკრატები არ დაეთანხმნენ. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით გადაწყდა მცირე კომისიების შექმნა ადმინისტრაციული დაწესებულებების მუშაობის შესამოწმებლად. სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები ამ სახით კომისიების შექმნის წინააღმდეგი იყვნენ. აირჩიეს კიდევ ორი მუდმივი კომისია: სამეურნეო და საბიბლიოთეკო.

11 აპრილი - დამფუძნებელი კრების მე-9 სხდომა განიხილეს: კანონპროექტი სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებისთვის ავანსის გაცემისა; პროექტი დეკრეტისა ქალაქებში დაუსახლებელ მიწებზე აკრძალვის დადებისა, რასაც დიდი კამათი მოჰყვა. მიიღეს „წესი კანონთა გამოქვეყნებისა“.

15 აპრილი - დამფუძნებელი კრების მე-10 სხდომა. მიმდინარე საკითხების განხილვასთან ერთად გაგრძელდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტის მუხლობრივი განხილვა. შეუთავსებლობის კანონის თანახმად იოსებ გედევანიშვილმა (ერ. დ.) უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრობაზე.

17 აპრილი - დამფუძნებელი კრების მე-11 სხდომა. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის განცხადება სოჭის ფრონტზე არსებული ვითარების შესახებ და მსჯელობა მის გამო. მიმდინარე საკითხების განხილვა (კანონპროექტი ამიერ-კავკასიის ბონების გამოცემის გაგრძელების შესახებ, დადგენილება სასამართლოს განაჩენის გამო შემოსული არზების განხილვის შესახებ.

25 აპრილი - დამფუძნებელი კრების მე-12 სხდომა. მიიღეს დამფუძნებელი კრების რეგლამენტის საბოლოო ტექსტი, საქართველოს მოქალაქეობის დამატებითი კანონპროექტი. დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ხელოვნების კომისიას გამოეყო 100 ათასი მანეთი. სამხედრო მინისტრის განცხადება ქართული არმიის მიერ სოჭის და არტაანის მიმართულებით საომარი ოპერაციების წარმოების შესახებ.

6 მაისი - დამფუძნებელი კრების მე-13 სხდომა. პატივი მიაგეს გარდაცვლილი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების რაფიელ ჩიხლაძის და ოსმან შავყი გვარამაძის ხსოვნას. პრეზიდიუმმა დამფუძნებელი კრების სხდომების დღეებად დაადგინა სამშაბათი და პარასკევი, დასაწყისი 12 საათი, დამთავრება 15 საათი. განიხილეს დამფუძნებელი კრების წევრთა იმუნიტეტის დეკრეტის პროექტი. ასევე კანონპროექტი ხაზინის შემოსავლის გასაძლიერებლად ზოგიერთი ზომების მიღების შესახებ. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით შეიქმნა საგარეო საქმეთა დროებითი კომისია. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის შეკითხვა ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის უკანონო მოქმედების შესახებ.

9 მაისი - დამფუძნებელი კრების მე-14 სხდომა. პატივი მიაგეს დამფუძნებელი კრების გარდაცვლილი წევრის ყადირ-ბეგ შერვაშიძის (ს. დ.) ხსოვნას. გარდაცვლილი დეპუტატების ნაცვლად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიიდან დამფუძნებელი კრების წევრებად შეიყვანეს სოლომონ ვადაჭკორია, ერმალოზ სირბილაძე და იოსებ ირემაშვილი. სოციალ-დემოკრატების წინადადებით სახელმწიფო კონტროლიორად აირჩიეს ფილიპე გოგიჩაიშვილი (კენჭის-

ყრაში მონაწილეობა მიიღო 66 დეპუტატმა - 61 მომხრე, 2 წინააღმდეგი, 1 თავი შეიკავა, 2 ბარათი ცარიელი აღმოჩნდა). განიხილეს ოჯახური მდგომარეობით ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების კანონ-პროექტი, ასევე მოქალაქეობის კანონ-პროექტი. საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი გეგეჭკორის განცხადება ქვეყნის საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

10 მაისი - დამფუძნებელი კრების მე-15 საგანგებო სხდომა. განიხილეს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

13 მაისი - დამფუძნებელი კრების მე-16 სხდომა. პრეზიდიუმის წინადადებით დამფუძნებელი კრება სხდომებს დაიწყებდა 11 საათზე, დაამთავრებდა 15 საათზე. დააკმაყოფილეს დამფუძნებელი კრების წევრის, ელიგულაშვილის (ს. დ.) თხოვნა სამი თვით წასულიყო ევროპაში სახელმწიფო საქმეთა გამო. გაგრძელდა მსჯელობა მოქალაქეობის კანონის შესახებ. მუხლობრივი განხილვა კანონპროექტისა ხაზინის გასაძლიერებლად ზომების მიღების შესახებ. კანონპროექტი სახაზინო რკინიგზების მოსამსახურეებისათვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

16 მაისი - დამფუძნებელი კრების მე-17 სხდომა. განიხილეს მიმდინარე საკითხები და ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვები სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარის, მღვდლიშვილის დათხოვნის და ძეგვის ხიდის აფეთქების გამო.

20 მაისი - დამფუძნებელი კრების მე-18 სხდომა. განიხილეს მიმდინარე დეკრეტები; კანონპროექტი მოქალაქეობის შესახებ.

27 მაისი - დამფუძნებელი კრების მე-20 სხდომა. ცვლილებები საბიუჯეტო-საფინანსო და შრომის კომისიებში. გერონტი ქიქოძემ დატოვა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია. მიმდინარე კანონპროექტების განხილვა. ესერების შეკითხვა გაფიცვისათვის ქალაქის მოსამსახურეთა გადასახლებისა და დაპატიმრების შესახებ. ესერების შეკითხვა შავი ზღვის რკინიგზაზე სახაზინო ქონების დატაცების შესახებ.

30 მაისი - დამფუძნებელი კრების 21-ე სხდომა. გაგრძელდა მსჯელობა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის შეკითხვაზე გაფიცვისათვის ქალაქის მოსამსახურეთა გადასახლების და დაპატიმრების გამო. დამფუძნებელმა კრებამ მხარი დაუჭირა მთავრობის მოქმედებას, რადგანაც რეპრესიები შეეხო იმ „პოლიტიკურ ელემენტებს“, რომლებიც „რესპუბლიკის დამხობას“ ესწრაფვოდნენ.

1 ივნისი - დამფუძნებელი კრების 22-ე სხდომა. დამფუძნებელი კრების სხდომაზე მოისმინეს საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი გეგეჭკორის განცხადება დენიკინის ჯარების ამიერკავკასიაში შემოჭრის საფრთხის შესახებ. დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციამ მხარი დაუჭირა დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად მიღებულ ღონისძიებებს.

3 ივნისი - დამფუძნებელი კრების 23-ე სხდომა. განიხილეს კანონპროექტი სახალხო სკოლების მასწავლებლების ხუთწლეულ დამატებათა დაწესების შესახებ.

6 ივნისი - დამფუძნებელი კრების 24-ე სხდომა. განიხილეს კანონპროექტი უქმე დღეების რიცხვის შემცირების შესახებ. თბილისის თვითმმართველობას სესხად მიეცა 10 მილიონი მანეთი.

10 ივნისი - დამფუძნებელი კრების 25-ე სხდომა. განიხილეს კანონპროექტი პირველდაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად საზაფხულო კურსების მოწყობის შესახებ; დამტკიცდა ქუთაისის დროებითი საგანგებო სასამართლოს შტატი; საზღვარგარეთ ვაჭრობის მოსაგვარებლად გამოიყო 2 მილიონი მანეთი. მთავრობის განკარგულებაში 1919-1920 წლების ბიუჯეტის პროექტით აღრიცხული ჯამის 1/12 ნაწილი.

13 ივნისი - დამფუძნებელი კრების 26-ე სხდომა. უქმე დღეების შემცირების კანონპროექტის მეორე მუხლობრივი განხილვა.

17 ივნისი - დამფუძნებელი კრების 27-ე სხდომა. ახალციხე-ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა დასახმარებლად გამოიყო 1 მილიონი მანეთი. დამფუძნებელი კრების წევრებს 2.500 მანეთამდე გაეზარდათ გასამრჯელო. განიხილეს სოციალისტ-ფედერალისტთა შეკითხვა გენერალ ნათიშვილის მიერ დენიკინის დასახმარებლად კავკასიის მკვიდრთა კორპუსის შედგენის შესახებ.

20 ივნისი - დამფუძნებელი კრების 28-ე სხდომა. მთავრობის განკარგულებაში 20 მილიონი მანეთი გამოიყო უცხოეთთან ვაჭრობისათვის.

22 ივნისი - დამფუძნებელი კრების 29-ე სხდომა. განიხილეს აზერბაიჯანის და საქართველოს მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულება.

24 ივნისი - დამფუძნებელი კრების 30-ე სხდომა. განიხილეს დეკრეტი ჯარის ნაწილებიდან გაქცევის საწინააღმდეგო ზომების შესახებ. 500 ათასი მანეთი გამოიყო „ანარქიასთან საბრძოლველად“.

27 ივნისი - დამფუძნებელი კრების 31-ე სხდომა. განიხილეს საზღვარგარეთ სასწავლებლად გასაგზავნებისთვის 1 მილიონი მანეთის გამოყოფის საკითხი.

1 ივლისი -დამფუძნებელი კრების 32-ე სხდომა. საერობო დაწესებულებებს გამოეყოთ 7 მილიონ მანეთზე მეტი. განიხილეს უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევის კანონპროექტი.

4 ივლისი - დამფუძნებელი კრების 33-ე სხდომა. ქალაქ ფოთში ხიდის ასაშენებლად გამოიყო 1,5 მილიონი მანეთი.

8 ივლისი - დამფუძნებელი კრების 34-ე სხდომა. დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის შესახებ. მუხლობრივად განიხილეს კანონპროექტი უძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ.

11 ივლისი - დამფუძნებელი კრების 35-ე სხდომა. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით დაარსდა მუდმივი გარეშე საქმეთა კომისია.

15 ივლისი - დამფუძნებელი კრების 36-ე სხდომა. განიხილეს კანონპროექტი ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის დაარსების შესახებ.

18 ივლისი -დამფუძნებელი კრების 37-ე სხდომა. განიხილეს კანონპროექტი სენატის დაარსების შესახებ.

22 ივლისი - დამფუძნებელი კრების 38-ე სხდომა. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გამოეყო 120 ათასი მანეთი.

23 ივლისი - დამფუძნებელი კრების 39-ე სხდომა. დამტკიცდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შტატები. შიდა გადასახლებისთვის გამოიყო 5 მილიონი მანეთი.

25 ივლისი - დამფუძნებელი კრების მე-40 სხდომა. მუხლობრივად განიხილეს სენატის კანონპროექტი.

28 ივლისი - დამფუძნებელი კრების 41-ე (სასწრაფო) სხდომა. მიიღეს დეკრეტი, რომელიც ქალაქებს საფუთო გადასახადის დაწესების უფლებას აძლევდა; მიიღეს დეკრეტი სახელმწიფო უნივერსიტეტთან პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ; მიიღეს დეკრეტი საშუალო საპოლიტეხნიკო სასწავლებლის დაარსების შესახებ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ მიეცა დამატებითი დაფინანსება. მიიღეს გადაწყვეტილება დამფუძნებელ კრების კანცელარიასთან საკუთარი სტამბის დაარსების შესახებ. მიიღეს დეკრეტი ბინების და სხვა სადგომებისათვის უმაღლესი ფასების დაწესების შესახებ. არ მიიღეს ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება ლეჩხუმში საგანგებო კომისიის გაგზავნის შესახებ.

29 ივლისი - დამფუძნებელი კრების 42-ე სხდომა. სახელმწიფო დაწესებულებებს მიეცათ 3-თვიანი დაფინანსება ბიუჯეტის შემუშავებამდე. მიიღეს დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის მოქმედების გაგრძელების შესახებ. განიხილეს

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა ჭიათურის მომრიგებელ მოსამართლის გადაწ-ყვეტილების შესახებ, ასევე ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა სოხუმის ოლქში მდგომარეობის შესახებ.

31 ივლისი - დამფუძნებელი კრების 43-ე სხდომა. გაგრძელდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვის განხილვა. განიხილეს დეკრეტი სამხედრო საჭიროებისათვის 15 მილიო-ნი მანეთის გამოყოფის შესახებ. მიიღეს დეკრეტი კავკასიის მუზეუმის გაუქმების და საქარ-თველოს მუზეუმის დაარსების შესახებ.

1 აგვისტო - დამფუძნებელი კრების 44-ე სხდომა. განიხილეს დეკრეტი სამაზრო მილი-ციაში მოსამსახურეთა ჯამაგირის გაზრდის შესახებ. მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებე-ლი კრების თავმჯდომარის უფროს ამხანაგს და მინისტრებს დაუწესდათ „საწარმომადგენლო“ ხარჯები. დეკრეტით მთავრობის განკარგულებაში 50 მილიონი მანეთი გამოიყო. განიხილეს ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა სოხუმის ოლქის შესახებ.

2 აგვისტო - დამფუძნებელი კრების 45-ე სხდომა. განიხილეს დეკრეტი ერობებისთვის 10 მილიონი მანეთის სესხის გამოყოფის შესახებ. გეოლოგიური გამოკვლევებისათვის 200 ათასი მანეთი გამოიყო. მარგანეცზე შემოიღეს სახელმწიფო მონოპოლია. ხელფასები გაუზარდეს სა-მოქალაქო უწყებების სახელმწიფო მოსამსახურეებს, გზათა უწყების მუშა-მოსამსახურეებს, დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეებს. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს მცირე კომისიებისათვის გამოეყო 150 ათასი მანეთი. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შე-კითხვის შემდეგ განიხილეს სოხუმის ოლქთან დაკავშირებული რიგი საკითხები. განიხილეს ასევე შეკითხვა გაზეთ „სალი კლდის“ დახურვის გამო. დამფუძნებელმა კრებამ „თვენახევ-რით“, - 19 სექტემბრამდე მუშაობა შეწყვიტა.

25 სექტემბერი - დამფუძნებელი კრების 46-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტი მთავრობის სახ-ლის რემონტისათვის დამატებით 700 ათასი მანეთის გამოყოფის თაობაზე. განიხილეს ეროვ-ნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა ქალაქ ხონის წარმომადგენლების დაპატიმრების შესახებ.

29 სექტემბერი - დამფუძნებელი კრების 47-ე სხდომა. სამანდატო კომისიის მოხსენება 1-ლი დამატებითი არჩევნების შესახებ. დეკრეტი სამგზავრო მატარებლებში მცველთა რაოდენ-ობის გაზრდის შესახებ რკინიგზებზე გახშირებული თავდასხმების გამო. დამფუძნებელი კრე-ბის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე მოსულ ინგლისის წარმომადგენელს ოლივერ უორ-დროპს.

30 სექტემბერი - დამფუძნებელი კრების 48-ე სხდომა. განიხილეს საქართველოს სახელ-მწიფო ბანკის წესდება. გაუქმდა 1915 წლის კანონი გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარე-თის და ოსმალეთის ქვეშევრდომობის შეზღუდვის შესახებ.

ოქტომბერი - დამფუძნებელი კრების 49-ე სხდომა. განიხილეს კანონპროექტი საბაჟოების შესახებ. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა ნ. ჩარკვიანის დაპატიმრების შესახებ.

7 ოქტომბერი - დამფუძნებელი კრების 50-ე სხდომა. მსჯელობა სენატის წევრების არჩე-ვის შესახებ.

10 ოქტომბერი - დამფუძნებელი კრების 51-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტი ერობების მიერ შემოღებული ერთდროული სანიტარული გადასახადის მყიდველებზე დაკისრების აკრძალ-ვის შესახებ. ეროვნული პარტიის ლიდერის, გრიგოლ ვეშაპელის განცხადება მისი პარტიის პოლიტიკური პოზიციის შესახებ დამფუძნებელ კრებაში.

14 ოქტომბერი - დამფუძნებელი კრების 52-ე სხდომა. განიხილეს ეროვნულ-დემოკრატი-ული ფრაქციის შეკითხვა ხონის ამბების შესახებ.

17 ოქტომბერი - დამფუძნებელი კრების 53-ე სხდომა. განიხილეს დეკრეტი, რომლითაც მთავრობას 50 მილიონი მანეთი გამოეყო მუშა-მოსამსახურეებისთვის პირველადი მოხმარების საგნების მისაწოდებლად.

21 ოქტომბერი - დამფუძნებელი კრების 54-ე სხდომა. გარეშე საქმეთა მინისტრს 3 მილიონი მანეთი გადაეცა ამერიკაში და ყუბანში გასაგზავნი დელეგაციების ხარჯებისათვის. ფოთლოვან თამბაქოზე მონოპოლია გამოცხადდა. განიხილეს და დაამტკიცეს სახელმწიფო კონტროლის შტატები.

24 ოქტომბერი - დამფუძნებელი კრების 55-ე სხდომა. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მოითხოვა საკონსტიტუციო კომისიას დაეჩქარებინა მუშაობა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით მოიხსნა დეკრეტები მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრებისათვის ხელფასების გაზრდის შესახებ.

28 ოქტომბერი - დამფუძნებელი კრების 56-ე სხდომა. განიხილეს დეკრეტის პროექტი სამხედრო საჭიროებისათვის 15 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. დაამტკიცეს სახელმწიფო კონტროლის შტატები და ხელფასები, განიხილეს დეკრეტი 800 მილიონი მანეთის ბონის გამოცემის უფლების მიცემის შესახებ.

31 ოქტომბერი - დამფუძნებელი კრების 57-ე სხდომა. გზატკეცილების სამმართველოს გამოეყო 380 ათასი მანეთის კრედიტი ქუთაისიდან მამისონისკენ მიმავალი გზის შესაკეთებლად. შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის განცხადება საშინაო მდგომარეობის შესახებ, რასაც ფრაქციების წარმომადგენელთა გამოსვლები მოჰყვა.

4 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების 58-ე სხდომა. მსჯელობა ბონების გამოცემის შესახებ.

7 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების 59-ე სხდომა. ფინანსთა სამინისტროს საბჭოს დებულების დამტკიცება. სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის წინადადება მოუსავლობით დაზარალებულ ადგილთა მდგომარეობის გამორკვევის შესახებ. დეკრეტი ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევისა,

11 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების მე-60 სხდომა. დეკრეტის განხილვა დროებითი სამხედრო სასამართლოს შესახებ. დეკრეტი სახაზინო და კახეთის რკინიგზაზე ტარიფების გაზრდის შესახებ. მიიღეს დეკრეტი საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წინადადება წამოაყენა აერჩიათ საპროპაგანდო კომისია.

14 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების 61-ე სხდომა. მთავრობის თავმჯდომარის განცხადება მომარაგების სამინისტროს დაარსების შესახებ. საქართველოსა და სომხეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განხილვა და რატიფიკაცია.

18 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების 62-ე სხდომა. მიიღეს: ა/ დეკრეტი სამხედრო უწყების განკარგულებაში 15 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ; ბ/ დეკრეტი საშემოსავლო გადასახადის საცხოვრებელი მინიმუმის შესახებ; გ/ დეკრეტი ანარქიის წინააღმდეგ ზოგიერთი საბრძოლო ზომის შესახებ; დ/ დეკრეტი სოხუმის ოლქში დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ; ე/ დეკრეტი მთავრობის წევრთა ჯამაგირის გადიდებისა; ვ/ დეკრეტი დამფუძნებელი კრების წევრთა გასამრჯელოს გადიდებისა. აირჩიეს საპროპაგანდო კომისია.

21 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების 63-ე სხდომა. განიხილეს ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა ფირმა „სიბუნიონთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ. მიესალმნენ დამფუძნებელი კრების სხდომაზე მოსულ სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარეებს უსუფბეკოვს და ხატისოვს.

25 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების 64-ე სხდომა. განიხილეს დეკრეტები: ა/ სახელმწიფო მოსამსახურეების ჯამაგირის გადიდებისა; ბ/ რესპუბლიკის ლაშქრის ჯამაგირის მომატე-

ბისა; გ/ დეკრეტი სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. გაგრძელდა მსჯელობა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვაზე „სიბუნიონთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თაობაზე.

28 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების 65-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტი სახალხო განათლების უწყების მოსამსახურეთა ჯამაგირების 100%-ით გადიდების შესახებ. განიხილეს კანონ-პროექტი ნავსადგურების გადასახადთა ახალი ნიხრის დაწესების შესახებ. გაგრძელდა მსჯელობა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვის გამო.

2 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 66-ე სხდომა. განიხილეს უმთავრეს სავალუტო საქონლებზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადების საკითხი. განიხილეს დეკრეტი ტყის მფლობელობის და სარგებლობის შესახებ.

3 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 67-ე, სასწრაფო სხდომა. გაგრძელდა მსჯელობა ტყის მფლობელობის და სარგებლობის შესახებ. დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებებისათვის ყოველთვიურად 65.827.720 მანეთის გადადების დეკრეტის მოქმედების გახანგრძლივების შესახებ. მიიღეს დეკრეტი საზღვარგარეთ გასაგზავნ პირთათვის დამატებით 3 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ.

5 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 68-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებების მთავრობისათვის აუცილებელი წარდგენის შესახებ. მიიღეს დეკრეტი სასამართლო უწყების დაწესებულებათა შტატების შემცირების და ჯამაგირის მომატების შესახებ. დახურულ რეჟიმში განიხილეს კანონპროექტი სახალხო გვარდიის შესახებ.

9 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 69-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტი სახელმწიფო უნივერსიტეტთან სააგრონომიო განყოფილების გახსნის შესახებ. მიიღეს დეკრეტები მაზრების და ქალაქების მილიციის ჯამაგირების გაზრდის შესახებ. მიიღეს დეკრეტი დამფუძნებელი კრების კანცელარიის შტატების დამატების შესახებ.

12 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 70-ე სხდომა. დახურულ რეჟიმში მუხლობრივად განიხილეს და მიიღეს კანონპროექტი სახალხო გვარდიის შესახებ.

16 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 71-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტი დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეების ჯამაგირის გაზრდის შესახებ. გამოიყო თანხა საქართველოს მუზეუმის შენობის დასამთავრებლად. დამფუძნებელი კრება მიესალმა დიპლომატიურ ლოჟაში შემოსულ საფრანგეთის სამხრეთის ფლოტის ადმირალს დებონს.

19 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 72-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტი სახალხო გვარდიის შესანახად 20 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. მიიღეს დეკრეტი საქართველოს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა ქონების გაძლიერების და დამსახურებულ მოღვაწეთა დახმარების თაობაზე,

23 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 73-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტი სამხედრო საჭიროებისათვის სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 30 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. მიიღეს დეკრეტი გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 22.600.000 მანეთის გამოყოფის შესახებ. განიხილეს საბიუჯეტო საკითხები.

26 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 74-ე სხდომა. მიიღეს: ა/ დეკრეტი განათლების სამინისტროს შტატის შეცვლის და ჯამაგირის გადიდების შესახებ; ბ/ დეკრეტი ერობათა ხმოსნების რწმუნებულების ვადის გაგრძელების შესახებ.

29 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 75-ე სხდომა. განიხილეს სასწრაფო საკითხები, რადგანაც დამფუძნებელი კრება 31 დეკემბრიდან 18 იანვრამდე სხდომებს აღარ გამართავდა. მიიღეს დეკრეტი მთავრობის საქმეთა სამმართველოს შტატის და ხარჯთაღრიცხვის დამტკი-

ცების შესახებ. დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის გამოიყო 1 მილიონი მანეთი. დამ-ფუძნებელი კრების პრეზიდიუმს გამოეყო 200 ათასი მანეთი მცირე კომისიებისათვის.

30 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 76-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტი გზატკეცილების შესანახად 16 მილიონი მანეთის გამოყოფის თაობაზე, მიიღეს დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული რაზმის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

30 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 77-ე სხდომა. სიტყვით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია ახალი სამინისტროს დაარსების შესახებ და გაიმართა დისკუსია მთავრობის რეფორმასთან დაკავშირებით.

31 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების 78-ე სხდომა. გაგრძელდა მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების შესახებ. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით მთავრობის თავმჯდომარეს მიენიჭა განსაკუთრებული უფლებამოსილება, რის წინააღმდეგაც გამოვიდნენ ოპოზიციური ფრაქციები.

1920 წელი

14 იანვარი - დამფუძნებელი კრების 79-ე, საგანგებო საზეიმო სხდომა პარიზში უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს ფაქტობრივი („დე ფაქტო“) აღიარების შესახებ. განცხადებით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, სიტყვით გამოვიდნენ ფრაქციების წარმომადგენლები. „დე-ფაქტო“ აღიარეს აზერბაიჯანიც.

23 იანვარი - დამფუძნებელი კრების მე-80 სხდომა. განიხილეს აგრარული რეფორმის საკითხი. გარეშე საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი გამოვიდა განცხადებით, რომ ანტანტამ სომხეთიც სცნო „დე-ფაქტო“.

27 იანვარი - დამფუძნებელი კრების 81-ე სხდომა. პატივი მიაგეს დამფუძნებელი კრების გარდაცვლილი წევრის სიმონ ხუნდაძის ხსოვნას. განიხილეს საქართველოს „დე-ფაქტო“ ცნობასთან დაკავშირებით ამნისტიის კანონპროექტი.

30 იანვარი - დამფუძნებელი კრების 82-ე სხდომა. განიხილეს დეკრეტი 800 მილიონი მანეთის ბონების გამოცემის შესახებ. განიხილეს გრიგოლ ვეშაპელის შეკითხვები: ა/ აფხაზეთში თამბაქოს მონოპოლიის განხორციელების შესახებ; ბ/ აფხაზეთში ქვეშევრდომობის კანონის გატარების შესახებ. მიიღეს დეკრეტი სახალხო გვარდიის შესანახად ყოველთვიურად 15 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ.

3 თებერვალი - დამფუძნებელი კრების 83-ე სხდომა. გაგრძელდა აგრარული რეფორმის განხილვა.

4 თებერვალი - დამფუძნებელი კრების 84-ე სხდომა. ესერებმა დააყენეს რეგლამენტის დაცვის საკითხი და გააპროტესტეს სხდომების დაგვიანებით დაწყება. მიიღეს დეკრეტი ყველა სამოქალაქო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეების ჯამაგირის მომატების შესახებ. საპროპაგანდო კომისიას 1 მილიონი მანეთი გამოეყო.

6 თებერვალი - დამფუძნებელი კრების 85-ე სხდომა ვერ ჩატარდა ქვორუმის უქონლობის გამო.

10 თებერვალი - დამფუძნებელი კრების 86-ე სხდომა განიხილეს დეკრეტი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დაწესებულებათა ორგანიზაციის შესახებ. იმსჯელეს დეკრეტის პროექტზე დამოუკიდებლობის ფონდის შექმნისათვის საყოველთაო ხელმოწერის გამოცხადების შესახებ.

13 თებერვალი - დამფუძნებელი კრების 87-ე სხდომა. განიხილეს საპროფესიო და სატეხნიკო სკოლათა შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის კანონპროექტი; მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა თანამდებობის პირთა ჯამაგირის ახალი ნორმები. განიხილეს გრ. ვეშაპელის შეკითხვა აფხაზეთში თამბაქოს მონოპოლიის განხორციელების შესახებ.

17 თებერვალი - დამფუძნებელი კრების 88-ე სხდომა. იმსჯელეს მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა თანამდებობების პირთა ჯამაგირის ახალი ნორმების შესახებ. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დეპუტატთა დაჯარიმებიდან შემოსული თანხა მოხმარდეს დამფუძნებელი კრების გარდაცვლილ დეპუტატთა ოჯახებს.

20 თებერვალი - დამფუძნებელი კრების 89-ე სხდომა. დეკრეტით შეიცვალა უცხოეთიდან შემოსულ საქონელზე საბაჟო ტარიფი. სახელმწიფო ბანკის გამგის და გამგეობის წევრთა არჩევნები.

24 თებერვალი - დამფუძნებელი კრების 90-ე სხდომა. მოისმინეს ინფორმაცია გორში მომხდარი მიწისძვრის შესახებ და განიხილეს დახმარების გაწევის საკითხები. მიიღეს დეკრეტი სამხედრო უწყებისათვის დამატებით 58 მილიონი მანეთის გამოყოფის და ყოველთვიურად 30.609.671 მანეთის დახარჯვის შესახებ. განიხილეს კანონპროექტი გარეშე საქმეთა მინისტრისათვის 3 მილიონი მანეთის გადაცემის შესახებ. გაუქმდა საგვარეულო უძრავი ქონების გამოსყიდვის უფლება.

27 თებერვალი - დამფუძნებელი კრების 91-ე სხდომა. შეიტანეს ცვლილება კანონში შეუთავსებლობის შესახებ. დაამტკიცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა.

1 მარტი - დამფუძნებელი კრების 92-ე სხდომა. გაგრძელდა მსჯელობა შსს კანცელარიის შტატების და ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტის შესახებ.

2 მარტი - დამფუძნებელი კრების 93-ე სხდომა. გარეშე საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა განცხადება გააკეთა ბათუმის არჩევნების შესახებ. გაგრძელდა შსს შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტის განხილვა.

5 მარტი - დამფუძნებელი კრების 94-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტი სახაზინო და კახეთის რკინიგზების ტარიფის გადიდების შესახებ.

9 მარტი - დამფუძნებელი კრების 95-ე სხდომა. გაგრძელდა მსჯელობა ვეშაპელის შეკითხვაზე აფხაზეთში თამბაქოს მონოპოლიის განხორციელების შესახებ.

9 მარტი - დამფუძნებელი კრების 96-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტები რესპუბლიკის ლაშქრის და სახალხო გვარდიის მოსამსახურეებისთვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

12 მარტი - დამფუძნებელი კრების 97-ე სხდომა. საზეიმოდ აღინიშნა რუსეთის რევოლუციის მესამე წლისთავი.

16 მარტი - დამფუძნებელი კრების 98-ე სხდომა. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის და კომისიების არჩევნები.

19 მარტი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-2 სხდომა. განიხილეს სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის შეკითხვა ბათუმის ოლქის საქართველოსთან შემოერთების საკითხის მდგომარეობის შესახებ. საკითხის განხილვა გაგრძელდა საღამოს სხდომაზეც.

23 მარტი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-3 სხდომა. განიხილეს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის მდგომარეობა ქვეყანაში.

23 მარტი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-4 (საღამოს) სხდომა. დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის დამატებით 500 ათასი მანეთი გამოიყო. გაგრძელდა რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მდგომარეობის განხილვა.

26 მარტი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-5 სხდომა. მიიღეს დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს დაარსების შესახებ. სულ განიხილეს ან მიიღეს 29 დეკრეტი, მათ შორის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამატებითი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

30 მარტი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-6 სხდომა. მიიღეს დეკრეტი მთავრობის სახლის შტატის და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ. განიხილეს კანონპროექტი სამაზრო-სასოფლო მილიციის და ადმინისტრაციის ახალი შტატის შემოღების შესახებ.

2 აპრილი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-7 სხდომა. დეკრეტი სამხედრო უწყების საჭიროებისათვის 50 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. ტფილისის თვითმართველობას სესხად მიეცა 30 მილიონი მანეთი. მთავრობის სახლის დამწვარი ნაწილის აღსადგენად თანხა გამოიყო. დეკრეტი პროპორციულ სააქციზო გადასახადის დაწესების შესახებ.

6 აპრილი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-8 სხდომა. დეკრეტი აფხაზეთის კომისარიატისათვის ყოველთვიურად 1 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. ზოგადი განხილვა კანონისა ოფიცერთა და ჯარისკაცთა ტანსაცმლის ფორმის შეცვლის შესახებ. ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების დეკრეტის ზოგადი განხილვა.

8 აპრილი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-9 სხდომა. დეკრეტი სახალხო გვარდიისათვის 32 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. დამფუძნებელი კრების წევრებს სახაზინო რკინიგზით უფასოდ მგზავრობის უფლება მიეცათ. მოისმინეს მიწისძვრისაგან დაზარალებულთა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადება.

8 აპრილი -დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-10 საღამოს სხდომა. განიხილეს აზერბაიჯანის პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია „ყარსის და ერევნის ოლქებში მომხდარი სისხლისღვრის შესახებ“.

20 აპრილი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-11 სხდომა. მუხლობრივად განიხილეს კანონპროექტი ოფიცერთა და ჯარისკაცთა ტანისამოსის ფორმის შეცვლის შესახებ. ზოგადად განიხილეს სადისციპლინო წესდება.

23 აპრილი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-12 სხდომა. გრიგოლ ვეშაპელის შეკითხვა ტყის კანონის შეუსრულებლობის შესახებ. დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას გადაეცა 300 ათასი მანეთი 26 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად. ტფილისის სამხედრო სკოლას დამატებით გამოეყო 195 ათასი მანეთი. დაამტკიცეს ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფრის შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

27 აპრილი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-13 სხდომა. სადისციპლინო წესდების მუხლობრივი განხილვა და დამტკიცება. დაამტკიცეს შსს ადმინისტრაციის ნაწილების ინსპექციის შტატი. უარი ეთქვა ივ. ზედგინიძის შუამდგომლობას ს. ჯაფარიძის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის აღძვრის შესახებ.

30 აპრილი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-14 სხდომა. ნოე ჟორდანიას გამოსვლა აზერბაიჯანის გასაბჭოების შესახებ, ფრაქციების წარმომადგენლებმა განიხილეს შექმნილი მდგომარეობა. მიიღეს დეკრეტი მთავრობის განკარგულებაში 300 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ თავდაცვის მიზნებისათვის.

4 მაისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-15 სხდომა. სხდომის თავმჯდომარის განცხადება სამხედრო სკოლაზე თავდასხმის შესახებ. დამფუძნებელმა კრებამ ფეხზე ადგომით პატივი მიაგო თავდასხმის შედეგად დაღუპული იუნკერის მაყაშვილის ხსოვნას. გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატის და ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტის ზოგადი განხილვა. მიწათმოქმედების სამინისტროს დამატებით 43,7 მილიონი მანეთი გამოეყო.

11 მაისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-16 სხდომა. მთავრობას გამოეყო 100 მილიონი მანეთი ერობებისათვის სესხის მისაღებად. მთავრობის რიგგარეშე განცხადება რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ და მისი განხილვა.

18 მაისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-17 სხდომა. აბრეშუმის პარკის, თამბაქოს და მატყლის მწარმოებლებისათვის 75 მილიონი მანეთი გამოიყო სესხის მისაცემად. დეკრეტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით დავის და საჩივრის შესახებ. გაგრძელდა გრიგოლ ვეშაპელის შეკითხვის განხილვა ტყის კანონის შეუსრულებლობის შესახებ.

21 მაისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-18 სხდომა. დეკრეტი სოციალური დახმარების და მისი ორგანიზაციის შესახებ. სახალხო გვარდიის მობილიზაციით გამოწვეული ხარჯის დასაფარად 55,4 მილიონი მანეთი გამოიყო. სახალხო გვარდიის 1919-1920 წლების ხარჯთაღრიცხვის დამატებად 28 მილიონ მანეთზე მეტი გამოიყო. დეკრეტი სამხედრო მფრინავთა ჰაერში ფრენისათვის გასამრჯელოს მიცემის შესახებ. ზოგადი განხილვა კანონპროექტისა სახელმწიფო ბანკის შტატის და ხარჯთაღრიცხვის შესახებ. საზღვარგარეთ სასწავლებლად მყოფ სახელმწიფო სტიპენდიანტებს 12 მილიონი მანეთი გამოეყოთ. განიხილეს დეკრეტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით დავისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ.

25 მაისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-19 სხდომა. სამანდატო კომისიის მოხსენება დამფუძნებელი კრების მეორე დამატებითი არჩევნების შესახებ. გაგრძელდა მსჯელობა აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით დავა-საჩივრების სასამართლოსგან ჩამოშორების შესახებ. დეკრეტით აიკრძალა საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და საკულტურო ნივთების საქართველოდან გატანა. დეკრეტი ტფილისის სასახლის საკანონმდებლო დაწესებულების საბინადროდ აღიარების შესახებ.

28 მაისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-20 სხდომა. დეკრეტი მთავრობის მოამბის „საქართველოს რესპუბლიკის“ შტატის და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ. დეკრეტი საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შტატის და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ. ორივეს განხილვას კამათი მოჰყვა.

1 ივნისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 21-ე სხდომა. მოხსენება საქართველოს სენატის 1919 წლის განმავლობაში მოქმედების შესახებ.

8 ივნისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 22-ე სხდომა. დეკრეტი გასატან საქონელზე დროებითი ბაჟების შემოღების შესახებ. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის შეკითხვა მთავრობისადმი ემისიის უფლების დარღვევის შესახებ და მისი განხილვა.

15 ივნისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 24-ე სხდომა. დეკრეტი თავდაცვის ფონდისთვის 400 მილიონ მანეთის გადადების შესახებ. დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებათა მუშა-მოსამსახურებისთვის ერთდროული დახმარების შესახებ. მუშა-მოსამსახურეებისთვის პირველი მოთხოვნილებების საგნების მისაწოდებლად მთავრობის განკარგულებაში 120 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. დეკრეტი 3 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ მიხეილ არამიანცისათვის ჩამორთმეული სახლის ფასის ასანაზღაურებლად. სხდომის თავმჯდომარემ აცნობა დეპუტატებს, რომ დაიბეჭდა კონსტიტუციის პროექტი.

18 ივნისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 25-ე სხდომა. ზოგადი განხილვა კანონპროექტისა საპყრობილეთა დამცველი რაზმის შტატის და ხარჯთაღრიცხვის შესახებ. დეკრეტი მობილიზაციით გაწვეულ ჯარისკაცების და გვარდიელების დახმარების შესახებ. დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის მოქმედების გაგრძელების შესახებ და დისკუსია ამის თაობაზე.

22 ივნისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 26-ე სხდომა. სამუსლიმანო საქართველოს სკოლების შესანახად გაწეული ხარჯების დასაფარად გამოიყო 2,23 მილიონი მანეთი.

დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 1920-1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშში სათანადო თანხის გადადების შესახებ.

25 ივნისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 27-ე სხდომა. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობებს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების განხილვა და რატიფიკაცია.

29 ივნისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 28-ე სხდომა. მთავრობის განცხადება ქალაქ ბათომსა და ბათომის ოლქზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შესახებ. დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ბონების 7 მილიარდი მანეთის ემისიის შესახებ. გზათა უწყებას 1919-1920 წლის ხარჯთაღრიცხვის დამატებად 150 მილიონი მანეთი გამოყო.

2 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 29-ე სხდომა. დეკრეტები ქ. თბილისისათვის 50 მილიონი მანეთის სესხის მიცემის შესახებ, ფოთის თვითმმართველობისათვის 6 მილიონი მანეთის სესხის, ჭიათურის თვითმმართველობისათვის 3 მილიონი მანეთის სესხის გამოყოფის შესახებ. კანონპროექტი ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსების შესახებ. კანონპროექტი საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დაარსების შესახებ. სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის შეკითხვა ბორჩალოს მაზრის ადმინისტრაციის თვითნებობის და უკანონოდ მოქმედების შესახებ.

6 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 30-ე სხდომა. ზოგადი განხილვა კანონპროექტისა მადნეულის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შესახებ. დეკრეტი სეტყვისგან დაზარალებულებისათვის სათესლე სიმინდის მისაწოდებლად 10 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. გამოეყოთ სესხად თელავის თვითმმართველობას 3 მილიონი მანეთი, ლანჩხუთის თვითმმართველობას 1,5 მილიონი მანეთი, ოზურგეთის თვითმმართველობას 2 მილიონი მანეთი, ზუგდიდის თვითმმართველობას 2 მილიონი მანეთი, ოჩამჩირის თვითმმართველობას 2 მილიონი მანეთი.

9 ივლისი -დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 31-ე სხდომა. პრეზიდიუმმა მთავრობის თავმჯდომარისგან მიიღო შეტყობინება, რომ ბათუმი საქართველოს გადმოეცა. კრება მალე დაიხურა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით ბათუმის შემოერთების ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

13 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 32-ე სხდომა. პატივი მიაგეს გარდაცვლილი დეპუტატის, ლავროსი კიღურაძის ხსოვნას. ზოგადი განხილვა კანონპროექტისა საკლავ საქონელზე გადასახადის გადიდების შესახებ. დეკრეტი ქალაქების და მაზრების დამშეულ მცხოვრებთა დასახმარებლად 55 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ.

16 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 33-ე სხდომა. სახელმწიფოს 1919-1920 წლის ბიუჯეტის პროექტის ზოგადი განხილვა.

20 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 34-ე სხდომა. დეკრეტი ტელეგრაფ-ტელეფონის ქსელის გასავრცელებლად 35 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. შრომის ხელშეკრულების შესახებ კანონპროექტის ზოგადი განხილვა.

22 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 35-ე სხდომა. დეკრეტი სამონოპოლო საქონლის მწარმოებლებისათვის 100 მილიონი მანეთის სესხის გამოყოფის შესახებ. მსჯელობის გაგრძელება 1919-1920 წლის ბიუჯეტის შესახებ.

23 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 36-ე სხდომა. შრომითი ხელშეკრულების შესახებ კანონპროექტის ზოგადი განხილვა.

27 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 37-ე სხდომა. ზოგადი განხილვა კანონპროექტისა ჯარში ან სახალხო გვარდიაში აგიტაციისათვის სასჯელის გადიდების შესახებ.

28 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 38-ე სხდომა. მსჯელობის გაგრძელება 1919-1920 წლის ბიუჯეტის შესახებ.

29 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 39-ე სხდომა. გაგრძელდა სახელმწიფოს 1919-1920 წლის ბიუჯეტის განხილვა.

30 ივლისი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-40 სხდომა. გაგრძელდა სახელმწიფოს 1919-1920 წლის ბიუჯეტის განხილვა.

3 აგვისტო - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 41-ე სხდომა. გაგრძელდა მსჯელობა შრომის ხელშეკრულების შესახებ.

4 აგვისტო - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 42-ე სხდომა. დეკრეტი თავდაცვის ფონდისთვის 400 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. გაგრძელდა მსჯელობა სახელმწიფოს 1919-1920 წლის ბიუჯეტის შესახებ.

6 აგვისტო - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 44-ე სხდომა. ზოგადი განხილვა კანონპროექტისა სასოფლო-სამეურნეო საშუალო და დაბალი ორგანიზაციების შესახებ. პოლონეთში გასაგზავნი მისიის საჭიროებისათვის 3 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. გორის თვითმმართველობას გამოეყო 3 მილიონი მანეთის სესხი, სოხუმის თვითმმართველობას 4 მილიონი მანეთი, ხაშურის თვითმმართველობას 2 მილიონი მანეთი, გორის მაზრის ერობას 20 მილიონი მანეთის სესხი. დეკრეტი რუსეთში გასაგზავნ მუშათა დელეგაციის საჭიროებისათვის 8 მილიონი მანეთი გამოიყო.

7 აგვისტო - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 45-ე სხდომა. მსჯელობის გაგრძელება 1919-1920 წლის ბიუჯეტის შესახებ,

10 აგვისტო - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 46-ე სხდომა. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის შეკითხვაზე მსჯელობის გაგრძელება ბორჩალოს მაზრაში ადმინისტრაციის თვითნებობის და უკანონო მოქმედების შესახებ. შრომითი ხელშეკრულების მუხლობრივი განხილვა.

11 აგვისტო - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 47-ე სხდომა. შრომითი ხელშეკრულების კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა. ბათუმის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებების შესანახად 178,5 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. სიღნაღის თვითმმართველობას 2 მილიონი მანეთის სესხი მიეცა, ონის თვითმმართველობას 3 მილიონი, სენაკის მაზრის ერობას 480 ათასი მანეთი. ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლების შეკეთება-დაცვისათვის 2 მილიონი მანეთი გამოიყო. გორის მაზრის სკოლების აღსადგენად 20 მილიონი მანეთი გამოიყო. ზოგადად განიხილეს კანონპროექტი ნატურალური საგზაო ბეგარის შესახებ.

13 აგვისტო - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 48-ე სხდომა. განიხილეს 27 სხვადასხვა დეკრეტი.

14 აგვისტო - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 49-ე, სასწრაფო სხდომა. მიიღეს შრომის ხელშეკრულების კანონის საბოლოო ტექსტი. მიიღეს დადგენილება 1919-1920 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით.

16 აგვისტო - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 50-ე სხდომა. დეკრეტი საზღვარგარეთიდან ზოგიერთი საგნის შემოტანის აკრძალვის შესახებ. დეკრეტი რესპუბლიკის ყველა დაწესებულების და წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირის გაზრდის შესახებ. დეკრეტი რკინიგზის ტარიფის გაზრდის შესახებ. დეკრეტი სასახლის შესაკეთებლად 9 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. დეკრეტი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობისათვის სესხის მიცემის შესახებ. თანხა გამოიყო დასავლეთ ევროპაში გასაგზავნი საქართველოს მუშათა დელეგაციის საჭიროებისათვის. დამფუძნებელი კრების სხდომები შეწყდა 15 ოქტომბრამდე.

15 სექტემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 51-ე საგანგებო სხდომა. ევროპის სოციალისტების დელეგაციის საზეიმო მიღება. სიტყვით გამოვიდა ყველა ფრაქციის წარმომადგენელი.

15 ოქტომბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 52-ე სხდომა. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს 3 მილიონი მანეთი გამოეყო. სატეხნიკო კომისიის მოხსენება დამფუძნებელი კრების სასახლის შესაკეთებლად წარმოებული მუშაობის შესახებ. სხდომები შეწყდა შენობის რემონტის დამთავრებამდე.

5 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 53-ე არაჩვეულებრივი სხდომა. განიხილეს გართულებული მდგომარეობა თურქეთ-სომხეთის ომის გამო. დამფუძნებელ კრებას აცნობეს, რომ 24 სექტემბერს გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა იურიდიულად.

9 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 54-ე სხდომა. ნიკო ნიკოლაძემ უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრობაზე. მისი ადგილი შალვა ამირეჯიბმა დაიკავა. განიხილეს ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება საქართველოს რესპუბლიკის ერთა ლიგის წევრად მიღების შესახებ სათანადო შუამდგომლობის აღძვრისა.

12 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 55-ე სხდომა. მიიღეს კონსტიტუციის პროექტის განხილვის წესი. მთავრობის განკარგულებაში 2 მილიარდი მანეთი გადაიდო თავდაცვის ფონდისთვის.

16 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 56-ე სხდომა. დეკრეტი საზღვარგარეთიდან ზოგიერთი საქონლის შემოტანის აკრძალვის შესახებ.

19 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 57-ე სხდომა. დეკრეტი ბორჯომის სახელმწიფო მამულში სანატორიუმის მოსაწყობად 1 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

23 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 58-ე სხდომა. მიიღეს დეკრეტების საბოლოო ტექსტები საზღვარგარეთიდან ზოგიერთი საქონლის შემოტანის აკრძალვისა, ბორჯომის სახელმწიფო მამულში სანატორიუმის მოწყობისა, დეკრეტი საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელი სადგურის დამთავრებისათვის სათანადო თანხის გამოყოფისა.

24 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 59-ე საგანგებო სხდომა. დაიწყო საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვა, მოხსენებით გამოვიდა პავლე საყვარელიძე.

26 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის მე-60 სხდომა. დეკრეტი საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების შტატის და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

30 ნოემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 61-ე სხდომა. მუხლობრივი განხილვა კანონპროექტისა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ.

3 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 63-ე სხდომა. მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას განცხადება მთავრობაში ცვლილებების შესახებ - შეიქმნა ცალკე განათლების სამინისტრო და მთავრობის თავმჯდომარის მუდმივი მოადგილის თანამდებობა.

7 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 64-ე სხდომა. კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაჩქარების მიზნით ორშაბათის გარდა გამოიყო კიდევ ერთი დღე - კვირა.

8 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 65-ე სხდომა. საქართველოს კონსტიტუციის პროექტის პირველი, ზოგადი წესით განხილვის გაგრძელება.

10 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 66-ე სხდომა. მიიღეს საბოლოო ტექსტი დეკრეტისა სახელმწიფო ბანკის დამზღვევი ფონდის დასაარსებლად 50 მილიონი მანეთის სესხად მიცემის შესახებ.

14 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 67-ე სხდომა. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს სასახლის შესაკეთებლად 8 მილიონი მანეთი გამოეყო. დეკრეტი პატიმართა შესანახად დამატებით 40 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ.

15 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 68-ე სასწრაფო სხდომა. გაგრძელდა საქართველოს კონსტიტუციის პირველი (ზოგადი) წესით განხილვა.

17 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 69-ე სხდომა. გაგრძელდა მსჯელობა კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

19 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 70-ე სხდომა. გაგრძელდა კონსტიტუციის პროექტის ზოგადი წესით განხილვა.

21 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 71-ე სხდომა. გაგრძელდა მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

22 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 72-ე საგანგებო სხდომა. დამთავრდა კონსტიტუციის პროექტის პირველი (ზოგადი) წესით განხილვა.

24 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 73-ე სხდომა. დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა გადავიდეს კონსტიტუციის პროექტის თავობრივ განხილვაზე. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის შეკითხვის განხილვა დეპუტატის შეუვალობის დარღვევის გამო.

24 დეკემბერი -დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 74-ე (შუადღის) სხდომა. დაიწყო კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) განხილვა.

28 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 75-ე სხდომა. დეკრეტი ყოფილ თავად ნიკოლოზ მინგრელსკისთვის ქონების ჩამორთმევის შესახებ. დეკრეტი არტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონის ახალციხის მაზრასთან შეერთების შესახებ. მსჯელობის გაგრძელება მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

29 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 76-ე სხდომა. კონსტიტუციის პროექტის მე-2 თავობრივი განხილვის გაგრძელება.

31 დეკემბერი - დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 77-ე სხდომა. განიხილეს და მიიღეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება 10 მილიარდი მანეთის ემისიის შესახებ.

1921 წელი

1 იანვარი - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა დახმარება მიეცათ დამფუძნებელი კრების სტამბის მომუშავეებისათვის „მუყაითი და გულდადებითი მუშაობისთვის“.

4 იანვარი - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა განიხილა იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის განცხადება, რომელმაც შალვა ნუცუბიძის გამოსვლაში დაინახა ცილისწამება და ითხოვდა საკითხის განსახილველად მცირე კომისიის შექმნას. პრეზიდიუმმა განცხადება დასკვნის გამოსატანად იურიდიულ კომისიას გადასცა.

4 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის 78-ე სხდომა. ესერებმა გააპროტესტეს რეგლამენტის დარღვევა და სხდომების დაგვიანებით დაწყება. გაგრძელდა მსჯელობა მთავრობის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ. დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკას 3 მლნ მანეთი გამოეყო.

5 იანვარი - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა პრეზიდიუმის საჭიროებისათვის ეტლის შეძენა. განიხილეს დამფუძნებელი კრების წევრებისა და მოხელეებისათვის იაფი სასადილოს მოწყობის საკითხი.

5 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის 79-ე საგანგებო სხდომა. განიხილეს კონსტიტუციის პროექტის X თავი. დამფუძნებელმა კრებამ სასწრაფოდ მიიღო დეკრეტი თავდაცვის საჭიროებისათვის 3 მილიარდი მანეთის გამოყოფის შესახებ. იანვარ-თებერვალში სახელმწიფო დაწესებულებების შესანახად მთავრობას გამოეყო 1920-1921 საბიუჯეტო წლის 1/12 ნაწილი.

12 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის მე-80 სხდომა. ქვორუმის უქონლობის გამო სხდომა არ შედგა.

16 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის 82-ე (საგანგებო) სხდომა. დამფუძნებელმა კრებამ დაამთავრა კონსტიტუციის პროექტის 1-ლი თავის ზოგადი წესით განხილვა. დაადგინეს 1-ლი თავის მუხლობრივ განხილვაზე გადასვლა.

17 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის 83-ე სხდომა. განიხილეს კანონპროექტი რადიოტელეგრაფის გუნდის შეცვლის და დამატების შესახებ. სამხედრო სამინისტროს თხოვნით ორი წლით შეაჩერეს 1919 წლის 26 მაისის კანონი „ოჯახის მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების გამო“. გაგრძელდა კამათი მთავრობის თავმჯდომარის განცხადების შესახებ. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ნოე ჟორდანიამ.

19 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის 84-ე სხდომა. კონსტიტუციის პროექტის მე-2 თავის („მოქალაქეობის“) საზოგადო წესით განხილვა. მოხსენებით გამოვიდა პავლე საყვარელიძე. კონსტიტუციის მე-3 თავის („მოქალაქის უფლებები“) შესახებ მოხსენება გააკეთა კონსტანტინე ჯაფარიძემ.

21 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის 85-ე სხდომა. დამფუძნებელმა კრებამ იმსჯელა ტყვარჩელის კონცესიის შესახებ (იტალიის ეკონომიურ წრეებთან). დამფუძნებელმა კრებამ კონცესია მისაღებად აღიარა. წინააღმდეგი იყვნენ ესერების და სოციალისტ-ფედერალისტების ფრაქციები.

22 იანვარი - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომა. ფრაქციების მიერ კონსტიტუციის პროექტის მე-2 თავის შესწორებები გადაეცა საკონსტიტუციო კომისიას. სამხედრო სამინისტროს თხოვნით შემოღებული იქნა წესი - დამფუძნებელი კრების წევრები თუკი მოისურვებდნენ ფრონტის დათვალიერებას, წინასწარ უნდა ეცნობებინათ სამხედრო მინისტრისათვის, რათა მას გაეფრთხილებინა ნაწილების ხელმძღვანელები. განიხილეს კირილე ნინიძის განცხადება, რომ გადის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან და რჩება დამფუძნებელი კრების წევრად.

25 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის 87-ე სხდომა. პეტრე სურგულაძემ (ე. დ.) პირადი განცხადებით დატოვა დამფუძნებელი კრება, მას ჩაენაცვლა რაფიელ ივანიცკი. განიხილეს და მიიღეს სახაზინო და კახეთის რკინიგზებზე ტარიფის გაზრდის დეკრეტი. სოციალისტ-ფედერალისტებმა მოითხოვეს სპეციალური სხდომის დანიშვნა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო, რაც უარყო დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ.

26 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის 88-ე (საგანგებო) სხდომა. დამთავრდა ზოგადი მსჯელობა კონსტიტუციის პროექტის მე-3 თავის შესახებ. დაიწყო კონსტიტუციის პროექტის მე-4 თავის განხილვა მეორე (თავობრივი) განხილვის წესით. მოხსენებით გამოვიდა სერგო ჯაფარიძე.

28 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის 89-ე სხდომა. მუხლობრივად განიხილეს საქართველოს კონსტიტუციის 1-ლი თავი. დაადგინეს, რომ დამოუკიდებლობის აქტი კონსტიტუციის შესავლის სახით მიღებული იქნას კონსტიტუციის მთლიანად მიღების შემდეგ. თა-

ვობრივი განხილვის წესით იმსჯელეს მე-4 და მე-5 თავებზე. კონსტიტუციის მე-6 თავის („სასამართლო“) შესახებ მოხსენებით გამოვიდა სამსონ დადიანი (ს. ფ.).

30 იანვარი - დამფუძნებელი კრების II სესიის 90-ე სხდომა. მიმდინარეობდა კონსტიტუციის პროექტის მე-7 თავის („სახელმწიფო ფინანსები“) განხილვა. მოხსენებით გამოდიოდა ივანე გომართელი (ს. დ.). სხდომაზე მივიდა და განცხადება გააკეთა მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ, რომელმაც განაცხადა, რომ 27 იანვარს უმაღლესმა საბჭომ საქართველო იურიდიულად სცნო. სხდომა შეწყდა და სასახლის წინ საზეიმო მიტინგი გაიმართა. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო მიმართვა ჯარისა და გვარდიისადმი.

1 თებერვალი - დამფუძნებელი კრების II სესიის 91-ე სხდომა. გაგრძელდა მსჯელობა მთავრობის პოლიტიკის შესახებ. შალვა ქარუმიძემ (ე. პ.) მოითხოვა ფრაქციათა წარმომადგენლებისგან განსაკუთრებული კომისიის შექმნა იმის გამოსარკვევად, თუ რა გააკეთა გორის დამხმარე კომიტეტმა. რაჟდენ არსენიძემ (ს. დ.) მოკლედ ისაუბრა კომიტეტის საქმიანობის შესახებ და ვრცელი მოხსენების წარმოდგენას უახლოეს მომავალში შეპირდა.

4 თებერვალი - დამფუძნებელი კრების II სესიის 92-ე სხდომა. სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია განცხადებით გამოვიდა დეპუტატებს ბენია ჩხიკვიშვილსა და შალვა ნუცუბიძეს შორის მომხდარი ინციდენტის გამო. განიხილეს დეკრეტი სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეების ჯამაგირის მომატების შესახებ. მიიღეს დეკრეტი 50-ათასიანი და 100-ათასიანი ბონების გამოცემის შესახებ.

5 თებერვალი - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომა. ფრაქციათა შენიშვნები კონსტიტუციის პროექტის მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 თავებთან დაკავშირებით დასკვნისთვის გადაეცა საკონსტიტუციო კომისიას.

8 თებერვალი - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომა. ფრაქციების მიერ შემოტანილი შესწორებები კონსტიტუციის მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15 თავებთან დაკავშირებით დასკვნისათვის გადაეცა საკონსტიტუციო კომისიას.

8 თებერვალი - დამფუძნებელი კრების II სესიის 94-ე სხდომა. მიიღეს რამდენიმე დეკრეტის საბოლოო ტექსტი. გაგრძელდა მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო. მიიღეს სოციალ-დემოკრატების რეზოლუცია, რომელიც იწონებდა მთავრობაში მომხდარ ცვლილებებს და ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად კამათი ამ საკითხზე დასრულებულად გამოცხადდა.

9 თებერვალი - დამფუძნებელი კრების II სესიის 95-ე სხდომა. მუხლობრივად განიხილეს კონსტიტუციის პროექტის მე-3 თავი. თავობრივად განიხილეს მე-16 და მე-17 თავები.

11 თებერვალი - დამფუძნებელი კრების II სესიის 96-ე სხდომა. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას გამოეყო „ახალი სხივის“ ჯგუფი“ (8 დეპუტატი), რომელთაც ცალკე ფრაქცია შექმნეს დამფუძნებელ კრებაში.

14 თებერვალი - დამფუძნებელი კრების II სესიის 97-ე სხდომა. საქართველოს კონსტიტუციის მე-4, მე-5 და მე-6 თავების მუხლობრივი განხილვა.

15 თებერვალი - დამფუძნებელი კრების II სესიის 98-ე სხდომა. სიტყვით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია „საბჭოთა სომხეთის თავდასხმის“ შესახებ. მთავრობის თავმჯდომარის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ფრაქციების წარმომადგენლები.

16 თებერვალი - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის, მთავრობის და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომა. განიხილეს ფრონტზე შექმნილი რთული მდგომარეობა.

21 თებერვალი - დამფუძნებელი კრების II სესიის 99-ე სხდომა. სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანია თბილისზე მტრის შემოტევის მოგერიების შესახებ. კონსტიტუციის განხილვის დამთავრება და მიღება.

22 თებერვალი - დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს კონსტიტუციის ფრანგული თარგმანი.

28 თებერვალი - დამფუძნებელი კრების რიგგარეშე სხდომა ქუთაისში. სიტყვით გამოვიდნენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე და ფრაქციების წარმომადგენლები. აირჩიეს თავდაცვის კოლეგია. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო მიმართვები ქართველი ხალხისადმი და მსოფლიოს პარლამენტებისადმი.

15 მარტი - დამფუძნებელი კრების სხდომა ბათუმში. მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ნდობას უცხადებდა მთავრობას და თავდაცვის საჭიროებას აღნიშნავდა. მიიღეს რეზოლუცია ქონების საზღვარგარეთ გატანის შესახებ, რათა ბოლშევიკებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

17 მარტი - დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა ბათუმში. ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის საზღვარგარეთ წასვლის შესახებ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით. მას უფლება ეძლეოდა შეექმნა კოალიციური მთავრობა. მთავრობას დაევალა დაეცვა საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესები მთელი მსოფლიოს მთავრობებისა და ერების წინაშე. ემიგრაციაში უნდა წასულიყო დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი და დამფუძნებელი კრების ის წევრები, რომელთაც რეპრესიები ემუქრებოდათ.

დამფუძნებელი კრების წევრები (1919-1921)

დეპუტატის გვარი, სახელი	პარტია	საქმიანობა დამფუძნებელ კრებაში
1.ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე (1868-1953)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; მთავრობის თავმჯდომარე
2. ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე (1859-1922)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან
3. ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე (1864-1926)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
4. წერეთელი ირაკლი გიორგის ძე (1882-1959	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
5. რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე (1881-1930)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების და სამხედრო საქმეთა მინისტრი
6. გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე (1882 – 1954)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი
7. ხომერიკი ნოე გიორგის ძე (1883-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; მიწათმოქმედების, შრომის და გზათა მინისტრი
8. რამიშვილი ისიდორე ივანეს ძე (1859-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
9. ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე (1874-1959)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიაში 8.02.1921-მდე (VIII, 243) გარეშე საქმეთა კომისიაში 16.03.1920-დან მომარაგების კომისიაში 16.03.1920-დან 23.11.1920-მდე

10. არსენიძე რაჟდენ მათეს ძე (1880-1965)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარეგლამენტო კომისიაში 18.03.1919-დან სარედაქციო კომისიაში 18.03.1919-დან საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან 30.01.1920-მდე (V, 106) იურიდიული კომისიის წევრი 29.03.1919-დან ხელოვნების კომისიის წევრი 29.03.1919-დან 30.01.1920-მდე (V, 106).
11. ლომთათიძე ალექსანდრე სპირიდონის ძე (1882-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიაში - 8.02.1921-დან (VIII, 243)
12. გიორგაძე გრიგოლ კიმოთეს ძე (1879-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საბიუჯეტო კომისიაში - 6.05.1919-დან (1, 354) იურიდიულ კომისიაში - 20.05.1919-დან (1, 526) სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან საპროპაგანდო კომისიაში 16.03.1920-დან 23.11.1920-მდე სატეხნიკო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437)
13. მახარაძე გერასიმე თომას ძე (1881-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარედაქციო კომისიის წევრი 18.03.1919-დან საგარეო საქმეთა კომისიის წევრი 6.05.1919-დან
14. ელიავა ნიკოლოზ ზურაბის ძე (1876-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიის წევრი - 29.03.1919-დან თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის კომისიაში - 29.03.1919-დან 4.01.1921-მდე იურიდიული კომისიის წევრი (VIII, 7) საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 16.03.1920-დან გარეშე საქმეთა კომისიაში 16.03.1920-დან მომარაგების კომისიაში 16.03.1920-დან 23.11.1920-დან
15. ჩხიკვიშვილი ბენიამინ გრიგოლის ძე (1879-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიაში 16.03.1920-დან
16. შერვაშიძე ვარლამ ალექსანდრეს ძე (1888-1957)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი 29.03.1919-დან 23.11.1920-მდე
17. ჯუღელი ვალერიანი ანთიმოსის ძე (1887-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან
18. ნინიძე კირილე იესეს ძე (1878-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან იურიდიული კომისიის წევრი 29.03.1919-დან საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 7.10.1919-დან (III, 238) ხელოვნების კომისიის წევრი 16.03.1920-დან გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სოციალ-

		დემოკრატიული ჯგუფის შემადგენლობაში - 11.02.1921
19. ვარდოიანცი მიკიჩ კარაპეტის ძე (1871-1955)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
20. ახმეტელაშვილი ვლადიმერ გიორგის ძე (1875-1942)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; აგრარულ კომისიაში 6.06.1919-დან მომარაგების კომისიაში 23.11.1920-დან
21. ანდრონიკაშვილი კონსტანტინე მანუელის ძე (1876-1938)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 4.01.1921-დან (VIII, 7) სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან
22. კოვალიოვი მიხეილ ანდრიას ძე (1879- …)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გზათა კომისიის წევრი 29.03.1919-დან სატეხნიკო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437) სამეურნეო კომისიაში 23.11.1920-დან
23. ონიაშვილი დავით ეფრემის ძე (1883-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის კომისიაში - 29.03.1919-დან 21.12.1920-მდე იურიდიულ კომისიის წევრი 29.03.1919-დან 20.05.1919-მდე (1, 526)
24. ხოჭოლავა მუხრან მაქსიმეს ძე (1881-1922)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან 30.03.1920-მდე (VI, 157) სახალხო განათლების კომისიაში 16.03.1920-დან საპროპაგანდო კომისიაში 23.11.1920-დან გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის შემადგენლობაში - 11.02.1921
25. დგებუაძე ალექსანდრე ივანეს ძე (1882-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან
26. ფარნიევი ალექსანდრე ივანეს ძე (1883 - …)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
27. თევზაია ვიქტორ ვასილის ძე (1884-1932)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში 16.03.1920-დან შრომის კომისიაში 10.08.1920-მდე
28. გვარჯალაძე კონსტანტინე იაგორის ძე (1883-1969)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გარეშე საქმეთა კომისიაში - 23.11.1920-დან
29. აბაშიძე ჰაიდარ ალიბეგის ძე (1893-1965)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სახალხო განათლების კომისიის წევრი 29.03.1919-დან

30. ბერნშტეინი ერიკ ადოლფის ძე (1866-1932)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; მომარაგების კომისიაში 16.03.1920-დან 23.11.1920-მდე
31. ერაძე გიორგი პავლეს ძე (1882-1971)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
32. ლოსკუტოვი ანდრია ვასილის ძე (1892-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან
33. სალაყაია იოსებ ბეჟანის ძე (1881-1940)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის კომისიაში - 29.03.1919-დან საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 5.06.1919-დან (1, 354) საგარეო საქმეთა კომისიის წევრი 6.05.1919-დან სამანდატო კომისიაში 16.03.1920-დან
34. გელეიშვილი პეტრე პავლეს ძე (1870-1938)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 8.02.1921-დან (VIII, 243) სარეგლამენტო კომისიაში 16.03.1920-დან საბიბლიოთეკო კომისიაში 16.03.1920-დან
35. ჯაფარიძე სერგი დავითის ძე (1871-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან იურიდიულ კომისიაში 20.05.1919-დან (1, 526)
36. ტერ-ფარსეგოვა მახვილაძისა ელეონორა მიხეილის ასული (1875-...)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი 29.03.1919-დან საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 16.03.1920-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი 16.03.1920-დან საპენსიო კომისიის წევრი 16.08.2020-დან
37. სალუქვაძე ანანია მაქსიმეს ძე (1889-1935)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან 16.08.1920-მდე (VII, 437) სამეურნეო კომისიის წევრი 8.04.1919-დან აგრარულ კომისიაში 16.03.1920-დან
38. თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე (1871-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან საგარეო საქმეთა კომისიის წევრი 6.05.1919-დან 23.11.1920-მდე
39. ჯიბლაძე ვლადიმერ გიორგის ძე (1879-1938)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან 16.08.1920-მდე (VII, 437)
40. მამედოვი გუსეინ გული-მამედ ოღლი (1875- ...)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
41. რუსია მელიტონ ივანეს ძე (1878-1951)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან

		თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის კომისიაში - 29.03.1919-დან იურიდიული კომისიის წევრი 29.03.1919-დან სატეხნიკო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437)
42. ანჯაფარიძე გიორგი ნესტორის ძე (1887-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საბიუჯეტო კომისიაში 5.06.1919-დან 91, 354)
43. შარვაშიძე ყადირ თუფან-ბეგის ძე (1887-1919)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გარდაიცვალა 8.05.1919 (1, 357-358)
44. ფაშალიდი ივანე გიორგის ძე (1885-1968)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
45. ჩიხლაძე რაფიელ ალექსის ძე (1877-1919)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან გარდაიცვალა 27.04.1919 (1, 307)
46. საყვარელიძე პავლე დავითის ძე (1882-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარეგლამენტო კომისიაში 18.03.1919-დან საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან და 30.01.1920-დან (V, 106). ხელოვნების კომისიის წევრი 29.03.1919-დან სატეხნიკო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437) სარედაქციო კომისიაში 23.11.1920-დან გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით - 11.02.1921
47. ცაბაძე ვასილ ზაქარიას ძე (1872-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 16.03.1920-დან მომარაგების კომისიაში 16.03.1920-დან შრომის კომისიის წევრი 8.02.1921-დან (VIII, 243)
48. ნათაძე ლევან იასონის ძე (1880-1922)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარეგლამენტო კომისიაში 18.03.1919-დან საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან სახალხო განათლების კომისიის წევრი 29.03.1919-დან ხელოვნების კომისიის წევრი 29.03.1919-დან აგრარულ კომისიაში 23.11.1920-დან
49. გაგლოევი გიორგი ალექსის ძე (1883-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გზათა კომისიაში - 16.03.1920 და 1920 წ. 13 ივლისიდან (VII, 21) თვითმმართველობის კომისიაში 21.12.1920-დან
50. ურატაძე გრიგოლ ილარიონის ძე (1878-1959)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან ხელოვნების კომისიის წევრი 29.03.1919-დან სამანდატო კომისიის წევრი 16.03.1920-დან გზათა კომისიის წევრი 16,03.1920-დან საპროპაგანდო კომისიაში 16.03.1920-დან

51. დავარაშვილი მოსე რახამის ძე (1893-1980)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სახალხო განათლების კომისიის წევრი 29.03.1919-დან გზათა კომისიის წევრი 29.03.1919-დან
52. ჯაფარიძე კონსტანტინე იასონის ძე (1884- ...)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საგარეო საქმეთა კომისიის წევრი 6.05.1919-დან საკონსტიტუციო კომისიაში 16.03.1920-დან
53. ცინცაძე ნოე კონსტანტინეს ძე (1887-1978)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; ხელოვნების კომისიის წევრი 29.03.1919-დან 25.04.1919-მდე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან - 6.05.1919-მდე (1, 354) სახალხო განათლების კომისიის წევრი 29.03.1919-დან
54. ძველაია ბარნაბ პავლეს ძე (1880-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან
55. გურული ზაქარია დავითის ძე (1878-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან საპენსიო კომისიის წევრი 16.08.2020-დან
56. ჩიქავა ალექსანდრე ჩიტოს ძე (1882-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის კომისიაში - 29.03.1919-დან
57. ყიფიანი რუბენ ლუარსაბის ძე (1883-1965)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამეურნეო კომისიაში 23.11.1920-მდე
58. შარაშიძე დავითი გრიგოლის ძე (1886-1935)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან 7.10.1919-მდე ხელოვნების სექციაში ნოე ცინცაძის ნაცვლად 25.04.1919-დან სამეურნეო კომისიაში 16.03.1920-დან
59. მგელაძე ვლასა დარისპანის ძე (1871-1943)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; ხელოვნებია კომისიის წევრი -16.03.1920-დან
60. გონაშვილი დიმიტრი მიხეილის ძე (1880-1938)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
61. ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული (1879-1967)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი 29.03.1919-დან
62. სურგულაძე სიმონ ელიზბარის ძე (1885-1920	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გარდაიცვალა 1920 წ. 23 იანვარს (V, 59)
63. გურჯუა ვასილ გიორგის ძე (1885-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
64. ნოდია ვასილ გიორგის ძე (1891-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან

		იურიდიული კომისიის წევრი 29.03.1919-დან 20.05.1919-მდე (1,526) საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 21.12.1920-დან 4.01.1921-მდე (VIII, 7) სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი 29.03.1919-დან
65. აუშტროვი რუბენ გიორგის ძე (1887-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან
66. მიქელაძე ოსმან შავყი ეფენდი (1894-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
67. ქუმსიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე (1891-1942)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; აგრარულ კომისიაში 16.03.1920-დან
68. საბახტარაშვილი კონსტანტინე ბეჟანის ძე (1884-1938)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
69. ფანიევი (ფანიანცი) კონსტანტინე აბგერის ძე (1890-...)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან - 6.05.1919-მდე (1, 354) თვითმართველობის კომისიაში 6.06.1919-დან (II,104)
70. კანდელაკი კონსტანტინე პლატონის ძე (1883-1958)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი
71. ბადრიძე ილია გიორგის ძე (187801937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში 16.03.1920-დან საპროპაგანდო კომისიაში 16.03.1920-დან
72. შარაშიძე ქრისტინე გიორგის ასული (1889-1973)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარედაქციო კომისიის წევრი 18.03.1919-დან სახალხო განათლების კომისიის წევრი 29.03.1919-დან
73. სულაქველიძე აპოლონ ალმასხანის ძე (1871-1936)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამეურნეო კომისიის წევრი 16.12.1919-დან. გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის შემადგენლობაში - 11.02.1921
74. კოპალეიშვილი ილია ივანეს ძე (1865-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის კომისიაში - 29.03.1919-დან 23.11.1920-მდე აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან სამეურნეო კომისიის წევრი 8.04.1919-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში 16.03.1920-დან გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის შემადგენლობაში - 11.02.1921

75. ჭავჭანიძე ივანე თედორეს ძე (1886-1946)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან თვითმმართველობის კომისიის წევრი 29.03.1919-დან 6.06.1919-მდე (II,104) გზათა კომისიის წევრი 29.03.1919-დან
76. ჭიაბრიშვილი ანდრია იაკობის ძე (1884-...)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან 7.10.1919-მდე სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან
77. ცინცაძე გიორგი იოსების ძე (1880-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
78. ჩხეიძე დავით ანდუყაფარის ძე (1888-1948)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; ხელოვნების კომისიის წევრი 29.03.1919-დან აგრარულ კომისიაში 16.03.1920-დან
79. ბოლქვაძე ელისაბედ იოსების ასული (1885-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში 16.03.1920-დან მომარაგების კომისიაში 16.03.1920-დან
80. ცისკარიშვილი გაბრიელ დიმიტრის ძე (1892-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის კომისიაში - 29.03.1919-დან იურიდიულ კომისიაში 4.01.1921-დან (VIII, 7) სამანდატო კომისიაში 16.03.1920-დან საბიბლიოთეკო კომისიაში 16.03.1920-დან
81. თევზაძე სარდიონ ონისიმეს ძე (1882-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან 23.11.1920-მდე სამეურნეო კომისიის წევრი 8.04.1919-დან სამეურნეო კომისიაში 16.03.1920-დან სამხედრო კომისიის წევრი 16.08.1920-დან (VII, 437)
82. ცინცაბაძე გრიგოლ დიმიტრის ძე (1879-1938)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 16.08.1920-დან (VII, 437)
83. ფირცხალაიშვილი ილია გიორგის ძე (1885-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; იურიდიული კომისიის წევრი 29.03.1919-დან საპენსიო კომისიის წევრი 16.08.2020-დან შრომის კომისიაში 8.02.1921-მდე (VIII, 243) სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში 16.03.1920-დან მომარაგების კომისიაში 23.11.1920-დან გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის შემადგენლობაში - 11.02.1921
84. კიკვაძე თედორე გაბრიელის ძე (1868-1935)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სახალხო განათლების კომისიის წევრი 29.03.1919-დან

		სამანდატო კომისიაში 16.03.1920-დან სარედაქციო კომისიაში 16.03.1920-დან 23.11.1920-მდე სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში 23.11.1920-დან
85. კაციაშვილი ნიკოლოზ აღდგომელის ძე (1875-1919)	ს. დ.	გარდაიცვალა 1919 წლის თებერვალში - დამფუძნებელი კრების სესიის გახსნამდე
86. ტატიშვილი ივანე ალექსის ძე (1878-1963)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან
87. კვარაცხელია იოსებ ანტონის ძე (1883-...)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
88. წულაძე ვასილ ქაიხოსროს ძე (1889-1969)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამეურნეო კომისიის წევრი 8.04.1919-დან 16.12.1919-მდე
89. იმნაიშვილი ნიკიფორე ბესარიონის ძე (1888-1837)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარეგლამენტო კომისიაში 18.03.1919-დან სახალხო განათლების კომისიის წევრი 29.03.1919-დან საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 7.10.1919-დან (III, 238) საბიბლიოთეკო კომისიის წევრი 8.04.1919-დან სამხედრო კომისიის წევრი 30.03.1920-დან (VI, 157) - 8.02.1921-მდე (VIII, 243) გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის შემადგენლობაში - 11.02.1921
90. ემუხვარი არზაყან კონსტანტინეს ძე (1881-1939)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
91. გომართელი ივანე გედევანის ძე (1876-1938)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარედაქციო კომისიის წევრი 18.03.1919-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი 29.03.1919-დან ხელოვნების კომისიის წევრი 29.03.1919-დან საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 16.03.1920-დან საპროპაგანდო კომისიაში 16.03.1920-დან
92. ბიული პავლე იაკობის ძე (1878-1938)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან საბიბლიოთეკო კომისიის წევრი 8.04.1919-დან სახალხო განათლების კომისიაში 16.03.1920-დან
93. ელიგულაშვილი იოსებ აარონის ძე (1890-1952)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან - 27.05.1919-მდე (1, 527) შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან 27.05.1919-მდე (1, 527)

		1920 წ. 13 აგვისტოს შეუწყდა დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსი სხვა თანამდებობაზე დანიშვნის გამო. მას ჩაენაცვლა ანა სოლოღაშვილი (VII, 414)
94. კიღურაძე ლავროსი (ლავრენტი) პავლეს ძე (1880-1920)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან აგრარულ კომისიაში 29.03.1919-დან - 6.06.1919-მდე გარდაიცვალა 1920 წლის ივნისში
95. გვარამაძე თავაზ-ყადირ-მამაც-გული ოღლი (ოსმან-შავყი) (1849-1919)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გარდაიცვალა 1919 წლის 24 აპრილს, გარდაცვალებაზე ისაუბრეს 6.05.1919 სხდომაზე (1, 308)
96. რუხაძე ლევან პორფილეს ძე (1884-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საბიბლიოთეკო კომისიის წევრი 8.04.1919-დან
97. ახმეტელაშვილი სიკო გიორგის ძე (1879-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი 29.03.1919-დან44 აგრარული კომისიის წევრი 16.03.1920-დან
98. შევჩუკი გერასიმე დიმიტრის ძე (1884- ...)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში 16.03.1920-დან სამეურნეო კომისიაში 16.03.1920-დან
99. ზახაროვი დიმიტრი ვასილის ძე (...-...)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
100. წულაია პავლე ლუკას ძე (1882-1943)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან გზათა კომისიის წევრი 29.03.1919-დან მომარაგების კომისიაში 23.11.1920-დან
101. ბერიშვილი პავლე აბრამის ძე (1891-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიაში 27.05.1919-დან (1, 527)
102. ბაკურაძე ვასილ ზურაბის ძე (1886-...)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;
103. კალაძე ერმალოზ თედორეს ძე (1888-1958)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გზათა კომისიის წევრი 29.03.1919-დან სამხედრო კომისიის წევრი 30.03.1920-დან (VI, 157) სამეურნეო კომისიაში 16.03.1920-დან გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სოციალ-დემო-კრატიული ჯგუფის შემადგენლობაში - 11.02.1921
104. ჭელიძე თეიმურაზ სტეფანეს ძე (1876-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გავიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის შემადგენლობაში - 11.02.1921
105. მურვანიძე გიორგი ექვთიმეს ძე (1883- ...)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;

106. ფაღავა გიორგი აქვსენტის ძე (1895-1924)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან შრომის კომისიაში 10.08.1920-დან
107. მაჭავარიანი იოსებ ივანეს ძე (1877-1938)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; მომარაგების კომისიაში 23.11.1920-დან
108. ჟღენტი ლეონტი ალმასხანის ძე (1884-1969)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან 30.03.1920-მდე (VI, 157) დაკარგა დამფუძნებელი კრების წევრობა მე-2 დამატებითი არჩევნების შედეგად 25.05.1920
109. ლორია ფილიპე გლახუნის ძე (1878-1962)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან გზათა კომისიის წევრი 29.03.1919-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი 16.03.1920-დან დაკარგა დამფუძნებელი კრების წევრობა მე-2 დამატებითი არჩევნების შედეგად 25.05.1920 დამფუძნებელი კრების წევრი კვლავ გახდა ლავროსი კიღურაძის გარდაცვალების შემდეგ, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 13 ივლისის სხდომის გადაწყვეტილებით (VII, 14-15).
სოლოღაშვილი ანა (ოლღა) ილიას ასული (N 110) (1882-1937)	ს. დ.	სარედაქციო კომისიის წევრი 18.03.1919-დან 23.11.1920-მდე საბიბლიოთეკო კომისიის წევრი 8.04.1919-დან დაკარგა დამფუძნებელი კრების წევრობა 29.09.1919 წ-დან 1-ლი დამატებითი არჩევნების შედეგად (III, 183) 27.01.1920 წ. გახდა დამფუძნებელი კრების წევრი გარდაცვლილი სიმონ სურგულაძის ნაცვლად (V, 59) დაკარგა დამფუძნებელი კრების წევრობა მე-2 დამატებითი არჩევნების შედეგად 25.05.1920 1920 წ. 13 აგვისტოს კვლავ გახდა დამფუძნებელი კრების წევრი იოსებ ელიგულაშვილის ნაცვლად, რომელსაც უფლებამოსილება შეუწყდა (VII, 414) საპენსიო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437)
ვადაჭკორია სოლომონ ივანეს ძე (N 111) (1880-1928)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 9.05.1919-დან დაკარგა დამფუძნებელი კრების წევრობა 29.09.1919 წ-დან 1-ლი დამატებითი არჩევნების შედეგად (III, 183)
სირბილაძე ერმალოზ ივანეს ძე (N 112) (1875-1937)	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 9.05.1919-დან აგრარულ კომისიაში 6.06.1919-დან დაკარგა დამფუძნებელი კრების წევრობა 29.09.1919 წ-დან 1-ლი დამატებითი არჩევნების შედეგად (III, 183)
ირემაშვილი იოსებ გიორგის ძე	ს. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 9.05.1919-დან

(1879-1944) (N 113)		საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 27.05.1919-დან (1, 527) დაკარგა დამფუძნებელი კრების წევრობა 29.09.1919 წ-დან 1-ლი დამატებითი არჩევნების შედეგად (III, 183)
110. ნიკოლაძე ნიკოლოზი (ნიკო) იაკობის ძე (1843-1928)	ე. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გზათა კომისიის წევრი 29.03.1919-დან 1919 წ. 9 ნოემბერს პირადი განცხადების საფუძველზე უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრობაზე. მისი ადგილი დაიკავა მომდევნო კანდიდატმა შალვა ამირეჯიბმა
111. კედია სპირიდონ მალხაზის ძე (1884-1948)	ე. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან სატეხნიკო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437)
112. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე (1886-1960)	ე. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან ხელოვნების კომისიის წევრი 29.03.1919-დან 27.05.1919 - გავიდა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციიდან (1, 528) საბიბლიოთეკო კომისიის წევრი 30.03.1920-დან (VI, 157) სამხედრო კომისიის წევრი 30.03.1920-დან (VI, 157) ხელოვნების კომისიის წევრი 30.03.1920-დან (VI, 157)
113. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე (1869-1941)	ე. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან სარეგლამენტო კომისიაში 18.03.1919-დან საგარეო საქმეთა კომისიის წევრი 6.05.1919-დან
114. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე (1863-1953)	ე. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სახალხო განათლების კომისიის წევრი 29.03.1919-დან საბიბლიოთეკო კომისიის წევრი 8.04.1919-დან ხელოვნების კომისიის წევრი 16.03.1920-დან
115. მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე (1873-1937)	ე. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარედაქციო კომისიის წევრი 18.03.1919-დან აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი 29.03.1919-დან იურიდიული კომისიის წევრი 29.03.1919-დან ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიაში 16.03.1920-დან
116. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე (1889-1953)	ე. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი - 18.03.1919-დან შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან თვითმმართველობის და ადგილობრივი

		მმართველობის კომისიაში - 29.03.1919-დან აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან სამეურნეო კომისიის წევრი 8.04.1919-დან საპენსიო კომისიის წევრი 16.03.1920-დან და 16.08.2020-დან (VII, 437) სამანდატო კომისიაში 16.03.1920-დან სახალხო განათლების კომისიაში 16.03.1920-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში 16.03.1920-დან საპროპაგანდო კომისიაში 16.03.1920-დან მომარაგების კომისიაში 16.03.1920-დამ
117. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე (1873-1931)	ე. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან დაკარგა დამფუძნებელი კრების წევრობა 29.09.1919 წ-დან 1-ლი დამატებითი არჩევნების შედეგად კვლავ გახდა დამფუძნებელი კრების წევრი მე-2 დამატებითი არჩევნების შედეგად 25.05.1920 დატოვა დამფუძნებელი კრების წევრობა -25.01.1921 (VIII, 147)
ამირეჯიბი შალვა გიორგის ძე (1887-1943)	ე. დ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 9.11.1920-დან. ჩაენაცვლა ნიკო ნიკოლაძეს;
ივანიცკი-ინგილო ალექსანდრეს ძე (1886-1966)	ე. დ.	გახდა დამფუძნებელი კრების წევრო 25.01.1921, პეტრე სურგულაძის ნაცვლად (VIII, 243)
118. შენგელია ლეო ანდრიას ძე (1887-1937)	ს. რ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის კომისიაში - 29.03.1919-დან აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში 16.03.1920-დან
119. ნუცუბიძე ილია დავითის ძე (1883- ...)	ს. რ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარედაქციო კომისიის წევრი 18.03.1919-დან საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში 6.06.1919-დან (II, 104) საბიბლიოთეკო კომისიის წევრი 8.04.1919-დან მომარაგების კომისიაში 16.03.1920-დან
120. გობეჩია ივანე პავლეს ძე (1881-1963)	ს. რ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გზათა კომისიაში 4.07.1919-დან (II, 109) იურიდიული კომისიის წევრი 29.03.1919-დან ხელოვნების კომისიის წევრი 29.03.1919-დან სამეურნეო კომისიის წევრი 8.04.1919-დან საგარეო საქმეთა კომისიის წევრი 6.05.1919-დან საპენსიო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437) სამანდატო კომისიაში 16.03.1920-დან საკონსტიტუციო კომისიაში 16.03.1920-დან
121. გობეჩია იოსებ პავლეს ძე (1879-1963)	ს. რ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან

		სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან საგარეო კომისიის წევრო 21.12.1920-დან ხელოვნების კომისიის წევრი 21.12.1920-დან
122. ნათაძე გრიგოლ იასონის ძე (1878-1951)	ს. რ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 18.03.1919-დან - 6.06.1919-მდე (II, 104) სახალხო განათლების კომისიაში 29.03.1919-დან საბიბლიოთეკო კომისიაში 16.03.1920-დან
ლორთქიფანიძე ივანე ნესტორის ძე (1890-1937)	ს. რ.	დამფუძნებელი კრების წევრი გახდა მე-2 დამატებითი არჩევნების შედეგად 25.05.1920 გზათა კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) ადგილობრივი მმართველობის კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) სატეხნიკო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437)
123. ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე (1865-1931)	ს. ფ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 16.03.1920-დან
124. რცხილაძე გრიგოლ სიმონის ძე (1876-1934)	ს. ფ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის კომისიაში - 29.03.1919-დან აგრარული კომისიის წევრი 29.03.1919-დან - 6.05.1919-მდე (1, 354)
125. ნუცუბიძე შალვა (ვარლამ) ისაკის ძე (1888-1969)	ს. ფ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარეგლამენტო კომისიაში 18.03.1919-დან სახალხო განათლების კომისიის წევრი 29.03.1919-დან საბიბლიოთეკო კომისიის წევრი 8.04.1919-დან სამხედრო კომისიაში 16.03.1920-დან
126. ფირცხალავა სამსონ გიორგის ძე (1872-1952)	ს. ფ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; სარედაქციო კომისიის წევრი 18.03.1919-დან ხელოვნების კომისიის წევრი 29.03.1919-დან ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიაში 16.03.1920-დან საპროპაგანდო კომისიაში 16.03.1920-დან
127.ალექსი-მესხიშვილი შალვა ვლადიმერის ძე (1884-1960)	ს. ფ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; იურიდიული კომისიის წევრი 29.03.1919-დან
128. ბარათაშვილი იესე ალექსანდრეს ძე (1874-1937)	ს. ფ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; საკონსტიტუციო კომისიაში 18.03.1919-დან სარეგლამენტო კომისიაში 18.03.1919-დან შრომის კომისიის წევრი 29.03.1919-დან საპენსიო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437) სამანდატო კომისიაში 16.03.1920-დან
129. გედევანიშვილი იოსებ	ს. ფ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919;

კონსტანტინეს ძე (1872-1939)		სამეურნეო კომისიის წევრი 8.04.1919-დან 15.04.1919 - სამხედრო სამსახურში ყოფნის გამო უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრობაზე (1, 240)
130. მდივანი სიმონ გურგენის ძე (1876-1937)	ს. ფ.	დამფუძნებელი კრების წევრი - 12.03.1919; გზათა კომისიის წევრი 29.03.1919-დან 6.05.1919-მდე (1,355) სამხედრო კომისიის წევრი 29.03.1919-დან საგარეო საქმეთა კომისიის წევრი 6.05.1919-დან სარეგლამენტო კომისიაში 16.03.1920-დან საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 16.03.1920-დან სახალხო განათლების კომისიაში 16.03.1920-დან
ღლონტი თევდორე (თედო) ზურაბის ძე (1888-1937)	ს. ფ.	კ. გედევანიშვილის ადგილი დაიკავა 15.04.1919-დან (1, 240) აგრარულ კომისიაში 6.05.1919-დან (1,355) გზათა კომისიაში 6.05.1919-დან (1,355) სამეურნეო კომისიაში 16.03.1920-დან მომარაგების კომისიაში 16.03.1920-დან სატეხნიკო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437)
დადიანი სამსონ პლატონის ძე (1886-1937)	ს. ფ.	დამფუძნებელი კრების წევრი გახდა 1-ლი დამატებითი არჩევნების შედეგად 29.09.1919 (III, 183) საკონსტიტუციო კომისიაში 16.03.1920-დან სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში 16.03.1920-დან
ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე (1892-1926)	ე. პ.	დამფუძნებელი კრების წევრი გახდა 1-ლი დამატებითი არჩევნების შედეგად 29.09.1919 (III, 183) სამხედრო კომისიაში 16.03.1920-დან გზათა კომისიაში 16.03.1920-დან საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში 16.03.1920-დან საგარეო კომისიაში 16.03.1920-დან საპენსიო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437) საკონსტიტუციო კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) საპროპაგანდო კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) იურიდიული კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) თვითმმართველობის კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) ხელოვნების კომისიის წევრი კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) მომარაგების კომისიის წევრი 27.02.1920-დან
ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე 91887-1952)	ე. პ.	დამფუძნებელი კრების წევრი გახდა მე-2 დამატებითი არჩევნების შედეგად 25.05.1920 აგრარული კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) განათლების კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478)

		მომარაგების კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) სამეურნეო კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) შრომის კომისიის წევრი 8.06.1920-დან (VI, 478) სატეხნიკო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437)
ზორიანცი ზორი ნავასარდის ძე (1885-1943)	დშ.	დამფუძნებელი კრების წევრი გახდა 1-ლი დამატებითი არჩევნების შედეგად 29.09.1919 (III, 183) ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიაში 16.03.1920-დან
ავეტისიანი ტიგრან გიორგის ძე (1891-1938	დშ.	დამფუძნებელი კრების წევრი გახდა 1-ლი დამატებითი არჩევნების შედეგად 29.09.1919 (III, 183) საკონსტიტუციო კომისიაში 16.03.1920-დან
დავითხანიანი დავით გრიგოლიდ ძე (1888-1957)	დშ.	დამფუძნებელი კრების წევრი გახდა 1-ლი დამატებითი არჩევნების შედეგად 29.09.1919 (III, 183) დამფუძნებელი კრების წევრობაზე უარი თქვა 11.11.1919 (III, 472)
ტერ-სტეფანიანი გარეგინ არზატის ძე (1876- ...)	დშ	დამფუძნებელი კრების წევრი 11.11.1919-დან III, 472) სახალხო განათლების კომისიაში 16.03.1920-დან გზათა კომისიაში 16.03.1920-დან სამეურნეო კომისიაში 16.03.1920-დან საპენსიო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437) სატეხნიკო კომისიის წევრი 16.08.2020-დან (VII, 437)

დამფუძნებელი კრების სხდომები (1919-1921)

სხდომა	სხდომის დრო და განსახილველი საკითხები	სხდომის თავმჯდომარე	მდივანი	პრეზიდიუმში მყოფი პირები
1919 წ. 12 მარტი	დაწყება - 12:12 დამთავრება - 14:50	სილიბისტო ჯიბლაძე /ალ. ლომთათიძე	გიორგი ფაღავა	
მეორე სხდომა 1919 წ. 14 მარტი	დაწყება - 13:20 დამთავრება - 15:15 4 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე		
მე-3 სხდომა 1919 წ. 18 მარტი	დაწყება - 12:25 დამთავრება - 13:45 3 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	
მე-4 სხდომა 1919 წ. 21 მარტი	დაწყება - 12:35 დამთავრება - 13:30 4 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-5 სხდომა 1919 წ. 22 მარტი	დაწყება - 12:15 დამთავრება - 15:35 2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-6 სხდომა	დაწყება - 12:35	ალექსანდრე	კონსტანტინე	ექვ. თაყაიშვილი

1919 წ. 29 მარტი	დამთავრება - 15:35 3 საკითხი	ლომთათიძე	ჯაფარიძე	ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-7 სხდომა 1919 წ. 4 აპრილი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 15:02	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-8 სხდომა 1919 წ. 8 აპრილი	დაწყება - 12:40 დამთავრება - 14:40 5 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-9 სხდომა 1919 წ. 11 აპრილი	დაწყება - 12:40 დამთავრება - 15:45 5 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-10 სხდომა 1919 წ. 15 აპრილი	დაწყება - 12:55 დამთავრება - 14:50 6 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-11 სხდომა 1919 წ. 17 აპრილი	დაწყება - 12:50 დამთავრება - 15:25 6 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექ. თაყაიშვილი გრ. ნათაძე
მე-12 სხდომა 1919 წ. 25 აპრილი	დაწყება - 11:15 დამთავრება - 14:40 3 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-13 სხდომა 1919 წ. 6 მაისი	დაწყება - 12:15 დამთავრება - 16:25 9 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-14 სხდომა 1919 წ. 9 მაისი	დაწყება - 12:15 დამთავრება - 16:35 9 საკითხი	სიმონ მდივანი/ ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	კ. ჯაფარიძე გრ. ნათაძე
მე-15 საგანგებო სხდომა 1919 წ. 10 მაისი	დაწყება - 19:15 დამთავრება - 22:25 4 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-16 სხდომა 1919 წ. 13 მაისი	დაწყება - 12:35 დამთავრება - 15:55 11 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი კ. ჯაფარიძე ქრ. შარაშიძე
მე-17 სხდომა 1919 წ. 16 მაისი	დაწყება - 11:35 დამთავრება - 17:45 14 საკითხი	ს. მდივანი/ ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე გრ. ნათაძე
მე-18 სხდომა 1919 წ. 20 მაისი	დაწყება - 11:40 დამთავრება - 14:30 10 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე/ სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
მე-20 სხდომა 1919 წ. 27 მაისი	დაწყება - 11:15 დამთავრება - 14:50 11 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე ქრ. შარაშიძე
21-ე სხდომა 1919 წ. 30 მაისი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 15:00	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი

	9 საკითხი			გრ. ნათაძე კ. ჯაფარიძე
22-ე სხდომა სასწრაფო 1919 წ. 1 ივნისი	დაწყება - 13:07 დამთავრება - 15:10	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
23-ე სხდომა 1919 წ. 3 ივნისი	დაწყება - 11:35 დამთავრება - 11:55 2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი კ. ჯაფარიძე ქრ. შარაშიძე
24-ე სხდომა 1919 წ. 6 ივნისი	დაწყება - 11:25 დამთავრება - 14:15 6 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
25-ე სხდომა 1919 წ. 10 ივნისი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 15:15 9 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	გრიგოლ ნათაძე	ალ. ლომთათიძე კ. ჯაფარიძე
26-ე სხდომა 1919 წ. 13 ივნისი	დაწყება - 11:35 დამთავრება - 13:45 7 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე
27-ე სხდომა 1919 წ. 17 ივნისი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 15:50 11 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	გრ. ნათაძე ს. მდივანი ქრ. შარაშიძე
28-ე სხდომა 1919 წ. 20 ივნისი	დაწყება - 11:35 დამთავრება - 13:45 7 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი კ. ჯაფარიძე ქრ. შარაშიძე
29-ე სხდომა საგანგებო 1919 წ. 22 ივნისი	დაწყება - 13:07 დამთავრება - 14:45	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
30-ე სხდომა 1919 წ. 24 ივნისი	დაწყება - 11:50 დამთავრება - 15:15 6 საკითხი	ალ. ლომთათიძე/ ექვ. თაყაიშვილი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრ. შარაშიძე
31-ე სხდომა 1919 წ. 27 ივნისი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 14:15 9 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	ქრისტინე შარაშიძე	ს. მდივანი გრ. ნათაძე კ. ჯაფარიძე
32-ე სხდომა 1919 წ. 1 ივლისი	დაწყება - 12:05 დამთავრება - 13:55 5 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ს. მდივანი ქრ. შარაშიძე კ. ჯაფარიძე
33-ე სხდომა 1919 წ. 4 ივლისი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 14:20 9 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექ. თაყაიშვილი
34-ე სხდომა 1919 წ. 8 ივლისი	დაწყება - 11:50 დამთავრება - 15:07 9 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
35-ე სხდომა 1919 წ. 11 ივლისი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 15:25 14 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი გრ. ნათაძე კ. ჯაფარიძე
36-ე სხდომა	დაწყება - 12:00	ალექსანდრე	კონსტანტინე	ექვ. თაყაიშვილი

1919 წ. 15 ივლისი	დამთავრება - 14:30 14 საკითხი	ლომთათიძე	ჯაფარიძე	ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
37-ე სხდომა 1919 წ. 18 ივლისი	დაწყება - 11:55 დამთავრება - 15:45 11 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ს. მდივანი გრ. ნათაძე კ. ჯაფარიძე
38-ე სხდომა 1919 წ. 22 ივლისი	დაწყება - 11:45 დამთავრება - 15:45 16 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე
39-ე სხდომა 1919 წ, 23 ივლისი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 14:48 10 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	კ. ჯაფარიძე ს. მდივანი გრ. ნათაძე
მე-40 სხდომა 1919 წ. 25 ივლისი	დაწყება - 12:20 დამთავრება - 15:45 17 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი ქრ. შარაშიძე
41-ე სხდომა სასწრაფო 1919 წ. 28 ივლისი	დაწყება - 11:00 დამთავრება - 15:13 19 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი კ. ჯაფარიძე
42-ე სხდომა 1919 წ. 29 ივლისი	დაწყება - 12:20 დამთავრება - 15:00 13 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
43-ე სხდომა 1919 წ. 31 ივლისი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 15:45 31 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ს. მდივანი კ. ჯაფარიძე
44-ე სხდომა 1919 წ. 1 აგვისტო	დაწყება - 12:45 დამთავრება - 16:20 24 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	სიმონ მდივანი
45-ე სხდომა 1919 წ. 2 აგვისტო	დაწყება - 12:20 დამთავრება - 16:50 29 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ს. მდივანი კ. ჯაფარიძე
46-ე სხდომა 1919 წ. 26 სექტემბერი	დაწყება - 11:52 დამთავრება - 13:10 5 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ს. მდივანი გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
47-ე სხდომა 1919 წ. 29 სექტემბერი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 14:20 3 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ს. მდივანი ქრ. შარაშიძე
48-ე სხდომა 1919 წ. 30 სექტემბერი	დაწყება - 11:00 დამთავრება - 12:37 4 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
49-ე სხდომა 1919 წ. 7 ოქტომბერი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 15:18 5 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	კონსტანტინე ჯაფარიძე
50-ე სხდომა 1919 წ. 7 ოქტომბერი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 16:20 5+2 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	ქრისტინე შარაშიძე	გრიგოლ ნათაძე
51-ე სხდომა 1919 წ. 10 ოქტომბერი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 13:20 5 საკითხი	სვიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
52-ე სხდომა 1919 წ. 14 ოქტომბერი	დაწყება - 11:00 დამთავრება - 16:25 7 საკითხი	სვიმონ მდივანი	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
53-ე სხდომა	დაწყება - 12:00	სვიმონ	კონსტანტინე	ექვ. თაყაიშვილი

1919 წ. 17 ოქტომბერი	დამთავრება - 16:10 6 საკითხი	მდივანი	ჯაფარიძე	ქრ. შარაშიძე
54-ე სხდომა 1919 წ. 21 ოქტომბერი	დაწყება - 11:00 დამთავრება - 15:05 9 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე
55-ე სხდომა 1919 წ. 24 ოქტომბერი	დაწყება - 12:25 დამთავრება - 13:45 8 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
56-ე სხდომა 1919 წ. 28 ოქტომბერი	დაწყება - 12:05 დამთავრება - 15:05 10 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	კ. ჯაფარიძე ქრ. შარაშიძე
57-ე სხდომა 1919 წ. 31 ოქტომბერი	დაწყება - 12:20 დამთავრება - 16:15 10 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი გრ. ნათაძე ს. მდივანი
58-ე სხდომა 1919 წ. 4 ნოემბერი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 15:45 9 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
59-ე სხდომა 1919 წ. 7 ნოემბერი	დაწყება - 12:35 დამთავრება - 9 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ს. მდივანი გრ. ნათაძე
მე-60 სხდომა 1919 წ. 11 ნოემბერი	დაწყება - 12:15 დამთავრება - 15:40 9+9 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
61-ე სხდომა 1919 წ. 14 ნოემბერი	დაწყება - 12:50 დამთავრება - 16:10 18 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
62-ე სხდომა 1919 წ. 18 ნოემბერი	დაწყება - 12:25 დამთავრება - 15:45 14 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი
63-ე სხდომა 1919 წ. 21 ნოემბერი	დაწყება - 12:51 დამთავრება - 16:05 18 საკითხი	სვიმონ მდივანი	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი
64-ე სხდომა 1919 წ. 25 ნოემბერი	დაწყება - 12:35 დამთავრება - 16:15 11 საკითხი	სვიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი გრ. ნათაძე
65-ე სხდომა სასწრაფო 1919 წ. 28 ნოემბერი	დაწყება - 12:20 დამთავრება - 16:10 15 საკითხი	სვიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი გრ. ნათაძე
66-ე სხდომა 1919 წ. 2 დეკემბერი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 16:00 22 საკითხი	სვიმონ მდივანი	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი
67-ე სხდომა სასწრაფო 1919 წ. 3 დეკემბერი	დაწყება - 12:40 დამთავრება - 15:05	სვიმონ მდივანი	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
68-ე სხდომა 1919 წ. 5 დეკემბერი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 16:50 21 საკითხი	სვიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე
69-ე სხდომა 1919 წ. 9 დეკემბერი	დაწყება - 12:45 დამთავრება - 16:05 22 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
70-ე სხდომა 1919 წ. 12 დეკემბერი	დაწყება - 12:10 დამთავრება -	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე

	21 საკითხი			
71-ე სხდომა 1919 წ. 16 დეკემბერი	დაწყება - 12:20 დამთავრება - 14:25 15 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	გრ. ნათაძე ქრ. შარაშიძე
72-ე სხდომა 1919 წ. 19 დეკემბერი	დაწყება - 12:15 დამთავრება - 14:05 17 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი კ. ჯაფარიძე
73-ე სხდომა 1919 წ. 23 დეკემბერი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 15:20 6+2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ს. მდივანი გრ. ნათაძე
74-ე სხდომა 1919 წ. 26 დეკემბერი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 15:50 6 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი გრ. ნათაძე
75-ე სხდომა 1919 წ. 29 დეკემბერი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 8+2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ს. მდივანი ქრ. შარაშიძე გრ. ნათაძე
76-ე სხდომა (დილის) 1919 წ. 30 დეკემბერი	დაწყება - დამთავრება - 16:10 14 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	
77-ე სხდომა (საღამოს) 1919 წ. 30 დეკემბერი	დაწყება - დამთავრება - 24:30 17 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	გრ. ნათაძე
78-ე სხდომა 1919 წ. 31 დეკემბერი	დაწყება - 13:00 დამთავრება - 19:05 12 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე/ სვიმონ მდივანი	გრიგოლ ნათაძე	კ. ჯაფარიძე
79-ე სხდომა საგანგებო-საზეიმო 1920 წ. 14 იანვარი	დაწყება - 13:30 დამთავრება -	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე გრ. ნათაძე
მე-80 სხდომა 1920 წ. 23 იანვარი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 16:35 20 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	
81-ე სხდომა 1920 წ. 27 იანვარი	დაწყება - 13:52 დამთავრება - 15:50 7+3 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
82-ე სხდომა 1920 წ. 30 იანვარი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 16:15 10+1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
83-ე სხდომა 1920 წ. 3 თებერვალი	დაწყება - 11:30 დამთავრება - 16:50 9 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი
84-ე სხდომა 1920 წ. 4 თებერვალი	დაწყება - 13:05 დამთავრება - 15:10 8 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ექვ. თაყაიშვილი
85-ე სხდომა 1920 წ. 6 თებერვალი	დაწყება - 11:30 სხდომა ჩაიშალა	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი
86-ე სხდომა 1920 წლის 10 თებერვალი	დაწყება - 11:30 დამთავრება - 12:30 11+1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი
87-ე სხდომა	დაწყება - 11:30	ალექსანდრე	კონსტანტინე	ექვ. თაყაიშვილი

1920 წ. 13 თებერვალი	დამთავრება - 16:20 11+4 საკითხი	ლომთათიძე	ჯაფარიძე	ქრ. შარაშიძე
88-ე სხდომა 1920 წ. 17 თებერვალი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 15:05 11+3 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე
89-ე სხდომა 1920 წ. 20 თებერვალი	დაწყება - 12:00 დამთავრება - სხდომა შეწყდა მიწისძვრის გამო 14 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
90-ე სხდომა 1920 წ. 24 თებერვალი	დაწყება - 12:05 დამთავრება - 17+3 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრ. შარაშიძე ს. მდივანი
91-ე სხდომა 1920 წ. 27 თებერვალი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 16:30 15+2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
92-ე სხდომა 1920 წ. 1 მარტი	დაწყება - 12:10 დამთავრება - 16:04 6 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე
93-ე სხდომა 1920 წ. 2 მარტი	დაწყება - 12:25 დამთავრება - 15:00 10+3 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი
94-ე სხდომა 1920 წ. 5 მარტი	დაწყება - 12:20 დამთავრება - 16:20 20 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე
95-ე სხდომა 1920 წ. 9 მარტი (დილა)	დაწყება - 12:30 დამთავრება - 15:10 4 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	გრიგოლ ნათაძე	ს. მდივანი კ. ჯაფარიძე ქრ. შარაშიძე
96-ე სხდომა 1920 წ. 9 მარტი (საღამო)	დაწყება - 20:00 დამთავრება - 22:30 25 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
97-ე სხდომა საზეიმო 1920 წ. 12 მარტი	დაწყება - 11:45	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ს. მდივანი ქრ. შარაშიძე
98-ე სხდომა 1920 წ. 16 მარტი	დაწყება - 13:00 დამთავრება - 16:10 24 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრ. შარაშიძე
II სესია მე-2 სხდომა 1920 წ. 19 მარტი (დილის) 1920 წ. 19 მარტი (საღამოს)	დაწყება - 12:20 დამთავრება - 13:40 22 საკითხი დაწყება - 20:00 დამთავრება - 22:30	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
II სესია მე-3 სხდომა 1920 წ. 23 მარტი	დაწყება - 12:40 დამთავრება - 23 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე
II სესია მე-4 სხდომა (სასწრაფო) 1920 წ. 23 მარტი (საღამო)	დაწყება - დამთავრება - 22 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი
II სესია მე-5 სხდომა 1920 წ. 26 მარტი	დაწყება - 12:50 დამთავრება - 15:20	ალექსანდრე ლომთათიძე	ექვთიმე თაყაიშვილი	

	29 საკითხი			
II სესია მე-6 სხდომა 1920 წ. 30 მარტი	დაწყება - 12:45 დამთავრება - 14:20 28 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია მე-7 სხდომა 1920 წ. 2 აპრილი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 14:55 12+5 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	ქრისტინე შარაშიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე
II სესია მე-8 სხდომა 1920 წ. 6 აპრილი	დაწყება - 12:45 დამთავრება - 15:20 18+2 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია მე-9 სხდომა 1920 წ. 8 აპრილი	დაწყება - 14:45 დამთავრება - 15:30 16 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	ქრისტინე შარაშიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე
II სესია მე-10 სხდომა (საგანგებო) 1920 წ. 8 აპრილი (საღამო)	დაწყება - 21:05	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრისტინე შარაშიძე
II სესია მე-11 სხდომა 1920 წ. 20 აპრილი	დაწყება - 12:45 დამთავრება - 13:30 9 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრისტინე შარაშიძე
II სესია მე-12 სხდომა 1920 წ. 23 აპრილი	დაწყება - 11:05 დამთავრება - 14:25 9 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია მე-13 სხდომა 1920 წ. 27 აპრილი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 13:30 7 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია მე-14 სხდომა 1920 წ. 30 აპრილი	დაწყება - 11:30 დამთავრება - 16:10 7 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ს. მდივანი
II სესია მე-15 სხდომა 1920 წ. 4 მაისი	დაწყება - 13:00 დამთავრება - 14:00 6 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია მე-16 სხდომა 1920 წ. 11 მაისი	დაწყება - 12:35 დამთავრება - 11 საკითხი	სიმონ მდივანი	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია მე-17 სხდომა 1920 წ. 18 მაისი	დაწყება - 13:00 დამთავრება - 15:35 8+1 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია მე-18 სხდომა 1920 წ. 21 მაისი	დაწყება - დამთავრება - 16:00 13 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია მე-19 სხდომა 1920 წ. 25 მაისი	დაწყება - 11:15 დამთავრება - 15:00 11 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია მე-20 სხდომა 1920 წ. 28 მაისი	დაწყება - 13:00 დამთავრება - 15:35 10 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 21-ე სხდომა 1920 წ. 1 ივნისი	დაწყება - დამთავრება - 16:50 10 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვთიმე თაყაიშვილი
II სესია 22-ე სხდომა 1920 წ. 8 ივნისი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 16:30	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე

	11 საკითხი			
II სესია 24-ე სხდომა 1920 წ. 15 ივნისი	დაწყება - 12:20 დამთავრება - 15:00 18+3 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 25-ე სხდომა 1920 წ. 18 ივნისი	დაწყება - 12:10 დამთავრება - 14:20 16 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი
II სესია 26-ე სხდომა 1920 წ. 22 ივნისი	დაწყება - 13:00 დამთავრება - 14:00 12 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი	ქრისტინე შარაშიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე
II სესია 27-ე სხდომა 1920 წ. 25 ივნისი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 11 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრ. შარაშიძე
II სესია 28-ე სხდომა 1920 წ. 29 ივნისი	დაწყება - 12:40 დამთავრება - 14:25 9+2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
II სესია 29-ე სხდომა 1920 წ. 2 ივლისი	დაწყება - დამთავრება - 9+2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე
II სესია 30-ე სხდომა 1920 წ. 6 ივლისი	დაწყება - დამთავრება - 14:25 5+6 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
II სესია 31-ე სხდომა 1920 წ. 9 ივლისი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 13:10 10 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრ. შარაშიძე
II სესია 32-ე სხდომა 1920 წ. 13 ივლისი	დაწყება - 11:35 დამთავრება - 6+1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 33-ე სხდომა 1920 წ. 16 ივლისი	დაწყება - 12:30 დამთავრება - 15:25 5 საკითხი	კონსტანტინე ჯაფარიძე		
II სესია 34-ე სხდომა 1920 წ. 20 ივლისი	დაწყება - 13:40 დამთავრება - 15:00 6+1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
II სესია 35-ე სხდომა 1920 წ. 22 ივლისი	დაწყება - 12:40 დამთავრება - 15:30 1+1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრ. შარაშიძე
II სესია 36-ე სხდომა 1920 წ. 23 ივლისი	დაწყება - 12:45 დამთავრება - 15:00 7+2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე
II სესია 37-ე სხდომა 1920 წ. 27 ივლისი	დაწყება - 11:10 დამთავრება - 15:30 12 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრ. შარაშიძე
II სესია 38-ე სხდომა 1920 წ. 28 ივლისი	დაწყება - 19:00 დამთავრება - 22:40 14 საკითხი	სიმონ მდივანი	ქრისტინე შარაშიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე
II სესია 39-ე სხდომა 1920 წ. 29 ივლისი	დაწყება - 12:20 დამთავრება -16:00 1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია მე-40 სხდომა 1920 წ. 30 ივლისი	დაწყება - 12:45 დამთავრება -15:10 1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	

II სესია 41-ე სხდომა 1920 წ. 3 აგვისტო	დაწყება - 12:45 დამთავრება -15:50 19 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 42-ე სხდომა 1920 წ. 4 აგვისტო	დაწყება - 12:45 დამთავრება -15:15 2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე
II სესია 43-ე სხდომა 1920 წ. 6 აგვისტო	დაწყება - 12:40 დამთავრება -15:10 24 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრისტინე შარაშიძე
II სესია 44-ე სხდომა 1920 წ. 7 აგვისტო	დაწყება - 10:00 დამთავრება -15:30 1საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 45-ე სხდომა 1920 წ. 10 აგვისტო	დაწყება - 11:15 დამთავრება -15:05 34 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრისტინე შარაშიძე
II სესია 46-ე სხდომა 1920 წ. 10 აგვისტო	დაწყება - 11:15 დამთავრება -15:05 34 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრისტინე შარაშიძე
II სესია 47-ე სხდომა 1920 წ. 11 აგვისტო	დაწყება - 11:23 დამთავრება -13:20 14 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 48-ე სხდომა 1920 წ. 13 აგვისტო	დაწყება - 11:00 დამთავრება -14:00 27 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრისტინე შარაშიძე
II სესია 49-ე სხდომა (სასწრაფო) 1920 წ. 14 აგვისტო	დაწყება - 13:30 დამთავრება -15:25 10 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 50-ე სხდომა 1920 წ. 16 აგვისტო	დაწყება - 11:00 დამთავრება -15:15 19 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 51-ე სხდომა (საგანგებო) 1920 წ. 15 სექტემბერი	დაწყება - 10:15	ალექსანდრე ლომთათიძე		ს. მდივანი ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე ქრ. შარაშიძე
II სესია 52-ე სხდომა 1920 წ. 15 ოქტომბერი	დაწყება - 12:40 დამთავრება -12:50 2 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრ. შარაშიძე
II სესია 53-ე სხდომა (არაჩვეულებრივი) 1920 წ. 5 ნოემბერი	დაწყება - 19:35 დამთავრება - 1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	ს. მდივანი ექვ. თაყაიშვილი კ. ჯაფარიძე
II სესია 54-ე სხდომა 1920 წ. 9 ნოემბერი	დაწყება - 12:20 დამთავრება -14:15	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 55-ე სხდომა 1920 წ. 12 ნოემბერი	დაწყება - 12:55 დამთავრება -	სიმონ მდივანი	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 56-ე სხდომა 1920 წ. 16 ნოემბერი	დაწყება - 11:00 დამთავრება -	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 57-ე სხდომა 1920 წ. 19 ნოემბერი	დაწყება - 12:10 დამთავრება -13:30	სიმონ მდივანი	ქრისტინე შარაშიძე	

II სესია 58-ე სხდომა 1920 წ. 23 ნოემბერი	დაწყება - 12:50 დამთავრება - 5 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 59-ე (საგანგებო) სხდომა 1920 წ. 24 ნოემბერი	დაწყება - 18:00 დამთავრება -	სიმონ მდივანი	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია მე-60 სხდომა 1920 წ. 26 ნოემბერი	დაწყება - 13:00 დამთავრება -13:15 3 საკითხი	სიმონ მდივანი	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 61-ე სხდომა 1920 წ. 30 ნოემბერი	დაწყება - 13:30 დამთავრება - 2 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 63-ე სხდომა 1920 წ. 3 დეკემბერი	დაწყება - 13:10 დამთავრება -13:40 2 საკითხი	სიმონ მდივანი	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრისტინე შარაშიძე
II სესია 64-ე სხდომა 1920 წ. 7 დეკემბერი	დაწყება - 13:23 დამთავრება -15:00 2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 65-ე სხდომა 1920 წ. 8 დეკემბერი	დაწყება - 18:53 დამთავრება -22:00 1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე
II სესია 66-ე სხდომა 1920 წ. 10 დეკემბერი	დაწყება - 13:10 დამთავრება -16:05 5 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრისტინე შარაშიძე
II სესია 67-ე სხდომა 1920 წ. 14 დეკემბერი	დაწყება - 13:50 დამთავრება -16:22 6 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 68-ე სხდომა (სასწრაფო) 1920 წ. 15 დეკემბერი	დაწყება - 19:05 დამთავრება -22:00	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 69-ე სხდომა 1920 წ. 17 დეკემბერი	დაწყება - 12:00 დამთავრება - 4 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრისტინე შარაშიძე
II სესია 70-ე სხდომა 1920 წ. 19 დეკემბერი	დაწყება - 12:00 დამთავრება -			
II სესია 71-ე სხდომა 1920 წ. 21 დეკემბერი	დაწყება - 12:55 დამთავრება -16:05 2 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 72-ე სხდომა (საგანგებო) 1920 წ. 22 დეკემბერი	დაწყება - 19:05 დამთავრება -22:00 1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 73-ე სხდომა 1920 წ. 24 დეკემბერი	დაწყება - 13:20 დამთავრება -20:00 1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ქრისტინე შარაშიძე
II სესია 74-ე სხდომა 1920 წ. 26 დეკემბერი	დაწყება - 13:12 დამთავრება -15:00 1 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე
II სესია 75-ე სხდომა 1920 წ. 28 დეკემბერი	დაწყება - დამთავრება - 5 საკითხი			
II სესია 76-ე სხდომა 1920 წ. 29 დეკემბერი	დაწყება - 17:30			

II სესია 77-ე სხდომა 1920 წ. 31 დეკემბერი	დაწყება - 13:30 დამთავრება -15:45 3 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 78-ე სხდომა 1921 წ. 4 იანვარი	დაწყება - 13:00 დამთავრება -15:35	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვ. თაყაიშვილი ქრ. შარაშიძე
II სესია 79-ე სხდომა (საგანგებო) 1921 წ. 5 იანვარი	დაწყება - 18:45 დამთავრება -20:30	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 80-ე სხდომა 1921 წ. 12 იანვარი	დაწყება - 19:05 ქვორუმი არ შედგა, სხდომა ჩაიშალა	ექვთიმე თაყაიშვილი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 82-ე სხდომა 1921 წ. 16 იანვარი	დაწყება - 12:30 დამთავრება -15:50	ექვთიმე თაყაიშვილი	კონსტანტინე ჯაფარიძე	
II სესია 83-ე სხდომა 1921 წ. 17 იანვარი	დაწყება - დამთავრება -16:00 6 საკითხი	ექვთიმე თაყაიშვილი		
II სესია 84-ე სხდომა 1921 წ. 19 იანვარი		ექვთიმე თაყაიშვილი		
II სესია 85-ე სხდომა 1921 წ. 21 იანვარი	დაწყება - 12:10 დამთავრება -19:40 5 საკითხი	ნიკოლოზ ჩხეიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვთიმე თაყაიშვილი
II სესია 86-ე სხდომა 1921 წ. 23 იანვარი	დაწყება - 12:00	ნიკოლოზ ჩხეიძე		
II სესია 87-ე სხდომა 1921 წ. 25 იანვარი	დაწყება - 13:00 დამთავრება -16:00 5 საკითხი	ნიკოლოზ ჩხეიძე	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 88-ე სხდომა (საგანგებო) 1921 წ. 26 იანვარი	დაწყება - 10:25	ალექსანდრე ლომთათიძე	ქრისტინე შარაშიძე	
II სესია 88-ე სხდომა 1921 წ. 27 იანვარი	დაწყება - 11:00			
II სესია 89-ე სხდომა 1921 წ. 28 იანვარი	დაწყება - 13:05	ალექსანდრე ლომთათიძე	კონსტანტინე ჯაფარიძე	ექვთიმე თაყაიშვილი
II სესია 90-ე სხდომა 1921 წ. 30 იანვარი	დაწყება - 13:00 სხდომა შეწყდა საქართველოს იურიდიული აღიარების გამო	ალექსანდრე ლომთათიძე		
II სესია 91-ე სხდომა 1921 წ. 1 თებერვალი		ალექსანდრე ლომთათიძე		
II სესია 92-ე სხდომა 1921 წ. 4 თებერვალი	დაწყება - 12:00	ალექსანდრე ლომთათიძე		
II სესია 94-ე სხდომა 1921 წ. 8 თებერვალი	დაწყება - 12:00 7 საკითხი	ალექსანდრე ლომთათიძე		
II სესია 95-ე სხდომა 1921 წ. 9 თებერვალი				
II სესია 96-ე სხდომა 1921 წ. 11 თებერვალი	დაწყება - 12:00	ექვთიმე თაყაიშვილი		
II სესია 97-ე სხდომა 1921 წ. 14 თებერვალი				
II სესია 98-ე სხდომა 1921 წ. 15 თებერვალი				

II სესია 99-ე სხდომა 1921 წ. 21 თებერვალი	დაწყება - 16:00			
II სესია ქუთაისის სხდომა 1921 წ. 28 თებერვალი	დაწყება - 19:00	ნიკოლოზ ჩხეიძე		
II სესია ბათუმის სხდომა 1921 წ. 15 მარტი	დაწყება - 20:30 დამთავრება -16 მარტი 01:00	ნიკოლოზ ჩხეიძე		
II სესია ბათუმის სხდომა 1921 წ. 17 მარტი				

დამფუძნებელი კრების მუდმივი კომისიები (1919 წელი)

სარეგლამენტო კომისია

1. ლ. ნათაძე (ს. დ.), 2. რ. არსენიძე (ს. დ.), 3. პ. საყვარელიძე (ს. დ.), 4. ნ. იმნაიშვილი (ს. დ.), 5. გ. გვაზავა (ერ. დ.), 6. ი. ნუცუბიძე (ს. რ.), 7. ი. ბარათაშვილი (ს. ფ.)

საკონსტიტუციო კომისია

1. რ. არსენიძე (ს. დ.), 2. მუხრან ხოჭოლავა (ს. დ.), 3. პ. საყვარელიძე (ს. დ.), 4. ლ. ნათაძე (ს. დ.), 5. ვ. ჯაფარიძე (ს. დ.), 6. კ. ანდრონიკაშვილი (ს. დ.), 7. რ. ჩიხლაძე (ს. დ.), 8. მ. რუსია (ს. დ.), 9. გ. ფაღავა (ს. დ.), 10. პ. წულაია (ს. დ.), 11. ი. ბარათაშვილი (ს. ფ.), 12. გ. ლასხიშვილი (ს. ფ.), 13. სპ. კედია (ერ. დ.), 14. გ. გვაზავა (ერ. დ.), 15. ი. გობეჩია (ს. რ.).

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

1. დ. თოფურიძე (ს. დ.), 2. ნ. ელიავა (ს. დ.), 3. ნ. ცინცაძე (ს. დ.), 4. დ. ონიაშვილი (ს. დ.), 5. დ. შარაშიძე (ს. დ.), 6. ან. ჭიაბრიშვილი (ს. დ.), 7. ი. ელიგულაშვილი (ს. დ.), 8. კ. პანიევი (ს. დ.), 9. გრ. ურატაძე (ს. დ.), 10. ივ, ჭავჭანიძე (ს. დ.), 11. გ. ქიქოძე (ერ. დ.), 12. ა. ასათიანი (ერ. დ.), 13. გ. ნათაძე (ს. რ.)... 15. ლავრენტი კიღურაძე (ს. დ.).

სარედაქციო კომისია

1. რ. არსენიძე (ს. დ.), 2. ქრ. შარაშიძე (ს. დ.), 3. ოლ. სოლოღაშვილი (ს. დ.), 4. ივ. გომართელი (ს. დ.), 5. ს. ფირცხალავა (ს. ფ.), 6. ი. მაჭავარიანი (ერ. დ.), 7. ი. ნუცუბიძე (ს. რ.).

შრომის კომისია

1. გერასიმე მახარაძე (ს. დ.), 2. იოსებ ელიგულაშვილი (ს. დ.), 3. ილია ბადრიძე (ს. დ.), 4. ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძე (ს. დ.), 5. მინადორა ტოროშელიძე (ს. დ.), 6. ანდრია ლოსკუტოვი, 7. ელისაბედ ბოლქვაძე, 8. გერასიმე შევჩუკი (ს. დ.), 9. ვასილ ნოდია (ს. დ.), 10. ფილიპე ლორია (ს. დ.), 11. იესე ბარათაშვილი (ს. ფ.), 12. ლეო შენგელია (ს. რ.), 13. ალექსანდრე ასათიანი (ერ. დ.).

თვითმმართველობის და ადგილობრივი მმართველობის კომისია

1. დავით ონიაშვილი (ს . დ.), 2. მელიტონ რუსია (ს. დ.), 3. ივანე ჭავჭანიძე (ს. დ.), 4. ილია კოპალეიშვილი (ს. დ.), 5. გაბრიელ ცისკარიშვილი (ს. დ.), 6. ნიკოლოზ ელიავა (ს. დ.), 7. იოსებ სალაყაია (ს. დ.), 8. ალექსანდრე ჩიქავა (ს. დ.), 9. გრიგოლ რცხილაძე (ს. ფ.), 10. ლეო შენგელია (ს. რ.), 11. ალექსანდრე ასათიანი (ერ. დ.).

აგრარული კომისია

1. ლავრენტი კიღურაძე (ს. დ.), 2. კირილე ნინიძე (ს. დ.), 3. რაფიელ ჩიხლაძე (ს. დ.), 4. ილია კოპალეიშვილი (ს. დ.), 5. სარდიონ თევზაძე (ს. დ.), 6. პავლე ბიული (ს. დ.), 7. ბარნაბ ძველაია (ს. დ.), 9. იოსებ მაჭავარიანი (ერ. დ.), 10. ივანე ტატიშვილი (ს. დ.), 11. გრიგოლ რცხილაძე (ს. ფ.), 12. ლეო შენგელია (ს. რ.), 13. ალექსანდრე ასათიანი (ერ. დ.).

სახალხო განათლების კომისია

1. ლევან ნათაძე (ს. დ.), 2. ჰაიდარბეგ აბაშიძე (ს. დ.), 3. მოსე დავარაშვილი (ს. დ.), 4. ნოე ცინცაძე (ს. დ.), 5. ქრისტინე შარაშიძე (ს. დ.), 6. თედორე კიკვაძე (ს. დ.), 7. ნიკიფორე იმნაიშვილი (ს. დ.), 8. შალვა ნუცუბიძე (ს. ფ.), 9. გრიგოლ ნათაძე (ს. რ.), 10. ექვთიმე თაყაიშვილი (ერ. დ.).

სახალხო ჯანმრთელობის კომისია

1. ივანე გომართელი (ს. დ.), 2. ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძე (ს. დ.), 3. სიკო ახმეტელაშვილი (ს. დ.), 4. ვარლამ შერვაშიძე (ს. დ.), 5. მინადორა ტოროშელიძე (ს. დ.), 6. ვასილ ნოდია (ს. დ.), 7. იოსებ მაჭავარიანი (ერ. დ.).

სამხედრო კომისია

1. სილიბისტრო ჯიბლაძე (ს. დ.), 2. გრიგოლ გიორგაძე (ს. დ.), 3. რუბენ აუშტროვი (ს. დ.), 4. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი (ს. დ.), 5. ვარლამ ჯუღელი (ს. დ.), 6. ალექსანდრე დგებუაძე (ს. დ.), 7. ანანია სალუქვაძე (ს. დ.), 8. ზაქარია გურული (ს. დ.), 9. ანდრო ჭიაბერაშვილი (ს. დ.), 10. მუხრან ხოჭოლავა (ს. დ.), 11. ვლადიმერ ჯიბლაძე (ს. დ.), 12. ლეონტი ჟღენტი (ს. დ.), 13. სიმონ მდივანი (ს. ფ.), 14. იოსებ გობეჩია (ს. რ.), 15. პეტრე სურგულაძე (ერ. დ.)

იურიდიული კომისია

1. რაჟდენ არსენიძე (ს. დ.), 2. დავით ონიაშვილი (ს. დ.), 3. კირილე ნინიძე (ს. დ.), 4. მელიტონ რუსია (ს. დ.), 5. ილია ფირცხალაიშვილი (ს. დ.), 6. ვასილ ნოდია (ს. დ.), 7. შალვა მესხიშვილი (ს. ფ.), 8. ივანე გობეჩია (ს. რ.), 9. იოსებ მაჭავარიანი (ერ. დ.).

გზათა კომისია

1. მიხეილ კოვალევი (ს. დ.), 2. მოსე დავარაშვილი (ს. დ.), 3. პავლე წულაია (ს. დ.), 4. ფილიპე ლორია (ს. დ.), 5. ერმოლოზ კალაძე (ს. დ.), 6. ივანე ჭავჭანიძე (ს. დ.), 7. სიმონ მდივანი (ს. ფ.), 8. ნიკო ნიკოლაძე (ერ. დ.).

ხელოვნების კომისია

1. ივანე გომართელი (ს. დ.), 2. გრიგოლ ურატაძე (ს. დ.), 3. დავით ჩხეიძე (ს. დ.), 4. ნოე ცინცაძე (ს. დ.), 5. პავლე საყვარელიძე (ს. დ.), 6. რაჟდენ არსენიძე (ს. დ.), 7. ლევან ნათაძე (ს. დ.), 8. სამსონ ფირცხალავა (ს. ფ.), 9. ივანე გობეჩია (ს. რ.), 10. გერონტი ქიქოძე (ერ. დ.).

საბიბლიოთეკო კომისია

1. ოლღა სოლოღაშვილი (ს. დ.), 2. პავლე ბიული (ს. დ.), 3. ნიკიფორე იმნაიშვილი (ს. დ.), 4. ლეონტი რუხაძე (ს. დ.), 5. შალვა ნუცუბიძე (ს. ფ.), 6. ილია ნუცუბიძე (ს. რ.), 7. ექვთიმე თაყაიშვილი (ერ. დ.).

სამეურნეო კომისია

1. ანანია სალუქვაძე (ს. დ.), 2. სარდიონ თევზაძე (ს. დ.), 3. ილია კოპალეიშვილი (ს. დ.), 4. ვასილ წულაძე (ს. დ.), 5. იოსებ გედევანიშვილი (ს. ფ.), 6. ივანე გობეჩია (ს. რ.), 7. ალექსანდრე ასათიანი (ერ. დ.).

საგარეო საქმეთა კომისია

1. დიომიდე თოფურიძე (ს. დ.), 2. გერასიმე მახარაძე (ს. დ.), 3. იოსებ სალაყაია (ს. დ.), 4. კონსტანტინე ჯაფარიძე (ს. დ.), 5. სიმონ მდივანი (ს. ფ.), 6. გიორგი გვაზავა (ერ. დ.), 7. ივანე გობეჩია (ს. რ.)

დამფუძნებელი კრების მუდმივი კომისიები (1920 წელი)

სამანდატო კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1. გრიგოლ ურატაძე (ს. დ.), 2. თედორე კიკვაძე (ს. დ.), 3. გაბრიელ ცისკარიშვილი (ს. დ.), 4. იოსებ სალაყაია (ს. დ.), 5. იოსებ ბარათაშვილი (ს. ფ.), 6. ალ. ასათიანი (ე. დ.), 7. ივანე გობეჩია (ს. რ.)

სარეგლამენტო კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.ლევან ნათაძე (ს. დ.), 2. პეტრე გელეიშვილი (ს. დ.), 3. პავლე საყვარელიძე (ს. დ.), 4. გიორგი გვაზავა (ე. დ.), 5. სიმონ მდივანი (ს. ფ.)

საკონსტიტუციო კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.პავლე საყვარელიძე (ს. დ.), 2. მუხრან ხოჭოლავა (ს. დ.), 3. ლევან ნათაძე (ს. დ.), 4. კონსტანტინე ჯაფარიძე (ს. დ.), 5. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი (ს. დ.), 6. მელიტონ რუსია (ს. დ.), 7. გიორგი ფაღავა (ს. დ.), 8. პავლე წულაია (ს. დ.), 9. პეტრე გელეიშვილი (ს. დ.), 10. იოსებ ბარათაშვილი (ს. ფ.), 11. სამსონ დადიანი (ს. ფ.), 12. ტიგრან ავეტისიანი (დშ.), 13. ივანე გობეჩია (ს. რ.), 14. გიორგი გვაზავა (ე. დ.), 15. სპირიდონ კედია (ე. დ.).

საბიუჯეტო-საფინანსო კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.გრ. გიორგაძე (ს. დ.), 2. დავით ონიაშვილი (ს. დ.), 3. იოსებ სალაყაია (ს. დ.), 4. კირილე ნინიძე (ს. დ.), 5. ივანე გომართელი (ს. დ.), 6. ელეონორა მახვილაძე (ს. დ.), 7. ვას. ცაბაძე (ს. დ.), 9. გრ. ურატაძე (ს. დ.), 10. იოსებ ელიგულაშვილი (ს. დ.), 11. სიმონ მდივანი (ს. ფ.), 12. ილია ნუცუბიძე (ს. რ.), 13. გრ. ვეშაპელი (ე. პ.), 14. გიორგი ლასხიშვილი (ს. ფ.), 15. ნიკოლოზ ელიავა (ს. დ.), 16. ნიკიფორე იმნაიშვილი (ს. დ.).

სარედაქციო კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.ივანე გომართელი (ს. დ.), 2. ქრისტინე შარაშიძე (ს. დ.), 3. ანა სოლოღაშვილი (ს. დ.), 4. თედორე კიკვაძე (ს. დ.).

სახალხო განათლების კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.ლეო ნათაძე (ს. დ.), 2. მუხრან ხოჭოლავა (ს. დ.), 3. ქრისტინე შარაშიძე (ს. დ.), 4. მოსე დავარაშვილი (ს. დ.), 5. თედორე კიკვაძე (ს. დ.), 6. ნიკიფორე იმნაიშვილი (ს. დ.), 7. სიმონ მდივანი (ს. ფ.), 8. პავლე ბიული (ს. დ.), 9. გრიგოლ ნათაძე (ს. რ.), 10 ექვთიმე თაყაიშვილი (ე. დ.), 11. გარეგინ ტერ-სტეფანიანი (დშ.), 12. შალვა ნუცუბიძე (ს. ფ.)

სამხედრო კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.სილიბისტო ჯიბლაძე (ს. დ.), 2. გრიგოლ გიორგაძე (ს. დ.). 3. ვალიკო ჯუღელი (ს. დ.), 4. ალექსანდრე დგებუაძე (ს. დ.), 5. ანანია სალუქვაძე (ს. დ.), 6. ვლადიმერ ჯიბლაძე (ს. დ.), 7. ზაქარია გურული (ს. დ.), 8. რუბენ აუშტროვი (ს. დ.), 9. აკაკი ჩხენკელი (ს. დ.), 10. ანდრია ჭიაბრიშვილი (ს. დ.), 11. მუხრან ხოჭოლავა (ს. დ.), 12. ვიქტორ ჟღენტი (ს. დ.), 13. გრიგოლ ვეშაპელი (ე. პ.), 14. სპირიდონ კედია (ე. დ.), 15. ილია ნუცუბიძე (ს. რ.), 16. სიმონ მდივანი (ს. ფ.).

ხელოვნების კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.პავლე საყვარელიძე (ს. დ.), 2. ივანე გომართელი (ს. დ.), 3. დავით ჩხეიძე (ს. დ.), 4. ვლასა მგელაძე (ს. დ.), 5. ლეო ნათაძე (ს. დ.), 6. კირილე ნინიძე (ს. დ.), 7. სამსონ ფირცხალავა (ს. ფ.), 8. ექვთიმე თაყაიშვილი (ე. დ.), 9. ივანე გობეჩია (ს. რ.).

გზათა კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.გიორგი გაგლოევი (ს. დ.), 2. მიხეილ კოვალიოვი (ს. დ.), 3. პავლე წულაია (ს. დ.), 4. ფილიპე ლორია (ს. დ.), 5. გრიგოლ ურატაძე (ს. დ.), 6. ერმალოზ კალაძე (ს. დ.), 7. თედორე ღლონტი (ს. ფ.), 8. გარეგინ ტერ-სტეპანიანი (დშ.), 9. ივანე გობეჩია (ს. რ.), 10 ნიკოლოზ ნიკოლაძე (ე. დ.), 11. გრიგოლ ვეშაპელი (ე. პ.).

იურიდიული კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.ნიკოლოზ ელიავა (ს. დ.), 2. სერგო ჯაფარიძე (ს. დ.), 3. კირილე ნინიძე (ს. დ.), 4. მელიტონ რუსია (ს. დ.), 5. გრიგოლ გიორგაძე (ს. დ.), 6. ილია ფირცხალაიშვილი (ს. დ.), 7. შალვა მესხიშვილი (ს. ფ.), 8. ივანე გობეჩია (ს. რ.), 9. იოსებ მაჭავარიანი (ე. დ.).

სახალხო ჯანმრთელობის კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.ივანე გომართელი (ს. დ.), 2. ელეონორა მახვილაძე (ს. დ.), 3. ს. ახმეტელაშვილი (ს. დ.), 4. ვარლამ შერვაშიძე (ს. დ.), 5. მინადორა ტოროშელიძისა (ს. დ.), 6. ვასილი ნოდია (ს. დ.), 7. ვიქტორ თევზაია (ს. დ.), 8. ილია კოპალეიშვილი (ს. დ.), 9. ილია ბადრიძე (ს. დ.), 10. ილია ფირცხალაიშვილი (ს. დ.), 11. ელისაბედ ბოლქვაძე (ს. დ.), 12 გერასიმე შევჩუკი (ს. დ.), 13. ფილიპე ლორია (ს. დ.), 14. ალექსანდრე ასათიანი (ე. დ.), 15. ლეო შენგელაია (ს. რ.), 16. სამსონ დადიანი (ს. ფ.).

აგრარული კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.კირილე ნინიძე (ს. დ.), 2. სიმონ ახმეტელაშვილი (ს. დ.), 3. დავით ჩხეიძე (ს. დ.), 4. ილია კოპალეიშვილი (ს. დ.), 5. სარდიონ თევზაძე (ს. დ.), 6. პავლე ბიული (ს. დ.), 7. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (ს. დ.), 8. ივანე ტატიშვილი (ს. დ.), 9. აპოლონ სალუქვაძე (ს. დ.), 10.თედო ღლონტი (ს. ფ.), 11. ალექსანდრე ასათიანი (ე. დ.), 12. ლეო შენგელაია (ს. რ.).

საბიბლიოთეკო კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.ნიკიფორე იმნაიშვილი (ს. დ.), 2. პავლე ბიული (ს. დ.), 3. გაბრიელ ცისკარიშვილი (ს. დ.), 4. პეტრე გელეიშვილი (ს. დ.), 5. შალვა ნუცუბიძე (ს. ფ.), 6. ექვთიმე თაყაიშვილი (ე. დ.), 7. გრიგოლ ნათაძე (ს. რ.).

სამეურნეო კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.ილია კოპალეიშვილი (ს. დ.), 2. სარდიონ თევზაძე (ს. დ.), 3. რუბენ ყიფიანი (ს. დ.), 4. თეიმურაზ ჭელიძე (ს. დ.), 5. გერასიმე შევჩუკი (ს. დ.), 6. ერმალოზ კალაძე (ს. დ.), 7. თედო ღლონტი (ს. ფ.), 8. ივანე გობეჩია (ს. რ.), 9. გარეგინ ტერ-სტეფანიანი (დშ.).

გარეშე საქმეთა კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.აკაკი ჩხენკელი (ს. დ.), 2. დიომიდე თოფურიძე (ს. დ.), 3. ნიკოლოზ ელიავა (ს. დ.), 4. კონსტანტინე ჯაფარიძე (ს. დ.), 5. იოსებ სალაყაია (ს. დ.), 6. სიმონ მდივანი (ს. ფ.), 7. გიორგი გვაზავა (ე. დ.), 8. ივანე გობეჩია (ს. რ.), 9. გრიგოლ ვეშაპელი (ე. პ.).

ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.დავით ონიაშვილი (ს. დ.), 2. მელიტონ რუსია (ს. დ.), 3. კონსტანტინე პანიევი (ს. დ.), 4. ილია კოპალეიშვილი (ს. დ.), 5. გაბრიელ ცისკარიშვილი (ს. დ.), 6. ნიკოლოზ ელიავა (ს. დ.), 7. იოსებ სალაყაია (ს. დ.), 8.ბენია ჩხიკვიშვილი (ს. დ.), 9. სამსონ ფირცხალავა (ს. ფ.), 10. იოსებ მაჭავარიანი (ე. დ.), 11. ზორი ზარიანი (დშ.).

საპროპაგანდო კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.სამსონ ფირცხალავა (ს. ფ.), 2. ალექსანდრე ასათიანი (ე. დ.), 3. გრიგოლ გიორგაძე (ს. დ.), 4. ილია ბადრიძე (ს. დ.), 5. ივანე გომართელი (ს. დ.), 6. გრიგოლ ურატაძე (ს. დ.).

მომარაგების კომისია (1920 წ. 16 მარტი)

1.საკაკი ჩხენკელი (ს. დ.), 2. ვასილი ცაბაძე (ს. დ.), 3. ელისაბედ ბოლქვაძე (ს. დ.), 4. ნიკოლოზ ელიავა (ს. დ.), 5. თედო ღლონტი (ს. ფ.), 6. ალექსანდრე ასათიანი (ე. დ.), 7. ილია ნუცუბიძე (ს. რ.), 8. ერიკ ბერშტეინი (ს. დ.).

საპენსიო კომისია (1920 წ. 16 აგვისტო)

1. ზ. გურული (ს. დ.), 2. ე. მახვილაძისა (ს. დ.), 3. ი. ფირცხალაიშვილი (ს. დ.), 4. ა. სოლოღაშვილი (ს. დ.), 5. ივ. გობეჩია (ს. რ.), 6. ი. ბარათაშვილი (ს. ფ.), 7. ალ. ასათიანი (ე. დ.), 8. გრ. ვეშაპელი (ე. პ.), 8. ტერ-სტეფანიანი (დშ.).

სატეხნიკო კომისია (1920 წ. 16 აგვისტო)

1. გრ. გიორგაძე (ს. დ.), 2. პ. საყვარელიძე (ს. დ.), 3. კოვალიოვი (ს. დ.), 4. მ. რუსია (ს. დ.), 5. ივ. ლორთქიფანიძე (ს. რ.), 6. თ. ღლონტი (ს. ფ.), 7. სპ. კედია (ე. დ.), 8. შ. ქარუმიძე (ე. პ.), 9. ტერ-სტეფანიანი (დშ.).

დამფუძნებელი კრების მიმართვა ჯარსა და გვარდიას საქართველოს იურიდიულ აღიარებასთან დაკავშირებით

სალამი ჯარსა და გვარდიას დამფუძნებელი კრებიდან

სამხედრო მინისტრს

ასლი მთავარ სარდალს

გთხოვთ დაუყოვნებლივ გადასცეთ ჯარსა და გვარდიას: უდიდესი სიხარულით აღსავსე დამფუძნებელი კრება მოგილოცავთ თქვენ, ჩვენი ქვეყნის ერთგულნო დარაჯნო, საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობას სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს მიერ. თქვენმა თავდადებამ და თქვენმა დაღვრილმა წმინდა სისხლმა მოუპოვა თქვენს სამშობლოს სრული თავისუფლება და ამიერიდან საქართველო შეიქმნა სრულუფლებიანი წევრი მსოფლიო სახელმწიფოთა დიდი ოჯახისა.

გაუმარჯოს ჩვენ სამშობლოს, გაუმარჯოს თქვენ შეუდრეკელ სიმწიფეს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე.

გაზ. „ერთობა“, 1921 წ. N 23, 1 თებერვალი, გვ.2

დამფუძნებელი კრების დადგენილება (1921 წლის 15 თებერვალი)

მოისმინა რა განცხადება მთავრობის თავმჯდომარის საბჭოთა სომხეთის ვერაგული თავდასხმის შესახებ დამფუძნებელი კრება საქართველოს სუვერენული ერის სახელით აღშფოთებას გამოსთქვამს სომხეთის, საბჭოთა რუსეთის მიერ საერთაშორისო უფლების ელემენტარული ნორმების ფეხქვეშ გათელვის გამო.

დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ საბჭოთა სომხეთის ამ მუხანათურ თავდასხმაში უმთავრეს ძალას წარმოადგენს ბაქოდან გამოსული რუსთა მხედრობა, რომელიც იმპერიალისტურ ძალათ მოევლინა ამიერკავკასიის ერებს.

დამფუძნებელი კრება სავსებით ადასტურებს მთავრობის მიერ რესპუბლიკის დასაცავად და მისი თავისუფლების უზრუნველსაყოფად მიღებულ ზომებს.

დამფუძნებელი კრება აცხადებს, რომ სრულიად საქართველოს ერი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება შემოსეულ მტერთა მოსაგერებლად.

დამფუძნებელ კრებას სწამს, რომ მთელი მოწინავე კაცობრიობა თავის მსჯავრს დასდებს ამ ვერაგულ თავდასხმას.

დამფუძნებელი კრება მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის ჯარსა და გვარდიას, დარწმუნებულია, რომ საქართველოს ერთგულნი და მამაცნი შვილნი დაიცავენ სამშობლოს მიწა-წყალს და სრულ გამარჯვებას მიანიჭებენ მის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

"საქართველოს რესპუბლიკა", 17 თებერვალი 1921 წ. N 37, გვ.2

დამფუძნებელი კრების მოწოდება (1921 წლის 16 თებერვალი)

სამშობლოს ერთგულთ

სომხეთით და აზერბეიჯანით მტერი კვლავ თავს დაგვესხა. დაგვესხა მუხანათურათ, ომის გამოუცხადებლივ. მამაპაპურის ვაჟკაცობით ბრძოლაში უკვე ჩაება პირველ რიგში მდგომი ჯარი და გვარდია და გმირულის თავდადებით იცავენ სამშობლოს დიდებას და დამოუკიდებლობას. საერთო ხიფათის დროს მთელი ქართველი ხალხი ფეხზე უნდა დადგეს და უზენაესი მსხვერპლის გასაღებათ განემზადოს. ჩვენ ვიცით, სამშობლოს გაჭირვების დროს, შინ, კერის პირას, გული არ დაუდგება არც ერთ ქართველ ვაჟკაცს, რომელიც ჯარში გაწვეული არ არის და დღეს სხვებთან ერთად არ იხდის თავის საღვთო მოვალეობას საყვარელი სამშობლოს წინაშე.

ჩვენ მოუწოდებთ სამშობლოს ერთგულთ, რომ დაუყოვნებლივ მოიქცნენ თავთავის პარტიულ ცენტრებში და პროფესიონალურ კავშირებში: იქ მიიღებენ სათანადო ბარათებს და ამ ბარათებით გამოცხადდით დამფუძნებელ კრებაში, მოხალისეთა სამობილიზაციო ბიუროს წინაშე.

მაშ, ყველანი, ვისაც გული გვერჩის და ძარღვებში სისხლი გვიდუღს, ვინც ჯარში არ ვართ გაწვეულნი და ჯერ არ ვომობთ,- ყველანი ჩავებათ მოხალისეთა რაზმში და მივეშველოთ ფრონტზე თუ ზურგის სამსახურში ჩვენს სიამაყეს და იმედს - ჯარს და გვარდიას - და მათთან ერთად დავიცვათ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფლება და ღირსება.

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიასთან არსებული მოხალისეთა სამობილიზაციო ბიურო

ხელს აწერენ:

ალ. ლომთათიძე, გრ. რცხილაძე, სპირიდ. კედია, ზაქ. გურული, ილ. ნუცუბიძე

1921 წ. 16 თებერვალი

ქ. ტფილისი

„საქართველო" 17 თებერვალი 1921 N 37

დამფუძნებელი კრების მოწოდება (1921 წლის 17 თებერვალი)

ქართველო ერო!

შენ ვერაგი მტერი დაგესხა.

მისი მიზანია – დაგიპყრას, თავისუფლება წაგართვას, მონათ გაგხადოს. შენზე მოიწევს მტერი შიშველ-ტიტველი, მშიერი, დაჩვეული სხვის ძარცვა-გლეჯას. თუ მისი განზრახვა განხორციელდა, უნდა გამოეთხოვო შენს საზღვარს, შენს ქონებას. შენი თვალით განახვებენ შენი ოჯახის აწიოკებას და ნამუსის ახდას.

ქართველო ერო! შენ ბევრი განსაცდელი გინახავას, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შენ არა ერთხელ შეხვედრიხარ მტერს, მაგრამ ასეთი მდაბალი და უნამუსო მტერი შენ ჯერ არ გყოლია. ეს მტერი მამაცია მხოლოდ ლაჩრებთან, მაგრამ ლაჩარია მამაცებთან. და შენს ჯარსა და გვარდიას ეს სიმამაცე არ აკლია. მთელი კვირაა ის გაშმაგებით ებრძვის მასზე უფრო მრავალრიცხოვან მტერს.

ქართველო ერო!

შენი ვალია გვერდში ამოუდგე ქვეყნის დამცველებს. შენ უნდა დაეხმარო და გაამხნევო ის, ვინც თავის სიცოცხლის განწირვით შენ სიცოცხლეს განიჭებს, შენ მშვიდობიან შრომას იცავს. შენს მიწა-წყალს გარშემო ფოლადის სალტეთ არტყია.

მთელი ქართველი ერი: ქალი და კაცი, დიდი და პატარა, გლეხი და მუშა, ინტელიგენტი და ვაჭარი - ყველა ფეხზე უნდა დადგეს, ფრონტს მხარში ამოუდგეს.

მტერი ახლოა საქართველოს დედაქალაქთან და აი აქ არის საჭირო შენი შველა, შენი სწრაფი დარაზმვა.

ქუდზე კაცი!!!

დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მთელს ქართველ ერს ამხედრდეს მტრის თავხედობის წინააღმდეგ, როგორც ერთი კაცი.

ვისაც იარაღის ტარება შეუძლია – დაუყოვნებლივ მიაშუროს სამხედრო ბანაკებს: გვარდიის შტაბებს და სადაც ესენი არ არის, იქ თემებს და ერობებს. აქ დაირაზმეთ თქვენ და აქედან მოაშველეთ ტფილისს მებრძოლი ბათალიონები. არ დააყოვნოთ ერთი წამი. არ დაგავიწყდეთ, რომ მტერი ქურდულად დაგვესხა, რომ დრო მოეგო.

ვინც სახლში რჩებით - იზრუნეთ ფრონტისთვის. მოაგროვეთ სურსათი, ტანისამოსი ჩვენი მამაცი მებრძოლთათვის. გააძლიერეთ ფხიზელი თვალ-ყურის დევნება ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისაც გულში ჩვენი დაღუპვა უძევს.

თვითონ საკუთარი ძალით დაიცავით ყოველგან წესიერება. იზრუნეთ და იფიქრეთ მხოლოდ ფრონტზედ, მხოლოდ გამარჯვებაზე!!!

ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ!!!

სხვა საქმე და სხვა დანიშნულება დღეს ქართველ ერს არა აქვს.

მაშ გამარჯვებისაკენ!

შენ ერთხელ კიდევ შარავანდედით უნდა შემოსო ქართველი ერის სახელი გამარჯვებით, ბრწყინვალე გამარჯვებით. ამ გამარჯვებაში შენ წინ მიგიძღვის დამფუძნებელი კრება და მისი მთავრობა.

გაუმარჯოს საქართველოს!

გაუმარჯოს მის თავისუფლებას!!!

საქართველოს დამფუძნებელი კრება

"საქართველოს რესპუბლიკა", 18 თებერვალი 1921 წ.

"საქართველო", 1921 წ. 19 თებერვალი, N 39, გვ.2

დამფუძნებელი კრების დადგენილებანი (1921 წლის 21 თებერვლის საღამოს სხდომა)

I.

მოღალატე ქართველთა შესახებ

იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში ან ამ ბრძოლას აქტიურ დახმარებას უწევს, გამოცხადდეს საქართველოს ხალხის მოღალატეთ, ჩამოერთვას მთელი ქონება და მოესპოს საქართველოს კანონთა მფარველობა. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდოს მთავრობას.

II.

შულავერის მთავრობა - სამშობლოს მოღალატენი

დამფუძნებელმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა, საიდანაც გამოირკვა, რომ ქ. შულავერში შემდგარა ჯგუფი, რომელიც თავის თავს უწოდებს საქართველოს მთავრობას და რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის რუსეთის საბჭოთა ლაშქართ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ადგენს: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამაიკ ნაზარეთიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია აღიარებულ იქნენ საქართველოს ხალხის მოღალატეებათ. ჩამოერთვას მათ მთელი ქონება და გამოცხადდენ საქართველოს კანონთა მფარველობის გარეშე.

III.

თავდაცვისათვის

დამფუძნებელი კრება ადგენს: მიენდოს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომა, რომელსაც ის საჭიროდ დაინახავს თავდაცვისათვის ბრძოლის უკეთ მოსაწყობად და რესპუბლიკის საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

"სახალხო საქმე", 23 თებერვალი 1921

"საქართველოს რესპუბლიკა", 24 თებერვალი 1921 N 42

ქართველ ხალხს დამფუძნებელ კრებისაგან (1921 წლის 28 თებერვალი)

დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა რა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის მოხსენება და გაითვალისწინა რა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, მიმართავს ქართველ ერს შემდეგი მოწოდებით:

"მუხანათი მტრის შემოსევის გამო თფილისი დროებით მოსწყდა საქართველოს, ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლა თავდებია, რომ ჩვენი სამშობლოს დედა-ქალაქი დაბრუნებულ იქნება თავისუფალ რესპუბლიკის წიაღში.

დამფუძნებელი კრება განაგრძობს მუშაობას ქ. ქუთაისში, რომ აღასრულოს თავისი წმინდა მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე იგი მზად არის მთელი თავისი ძალღონე შესწიროს ხალხის კეთილდღეობას და შემოსეული მტრისაგან სამშობლოს დაცვას.

ეს მტერი აწარმოებს დაპყრობის და განადგურების პო-ლიტიკას, მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას. მისი განზრახვაა ქართველ ერს ხელი ააღებინოს თავის ოჯახზე, მიწა-წყალზე და სახლ-კარზე, ხელფეხი შეუბორკოს მას და თავის ყურმოჭრილ მონათ აქციოს.

შემოსეული ბოლშევიკები აწიოკებენ ხალხს, ყველა 50 წლამდის იძულებით მიჰყავთ თავის ჯარებში და საომრად გზავნიან რუსეთისა და სხვა შორეულ ფრონტებზე.

ასე მოიქცნენ ბოლშევიკები ყველგან, სადაც გაიმარჯვეს, ასეთი დღე დააყენეს რუსეთის ყოფილ მთლიან ტერიტორიაზედ აღორძინებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და ასეთივე ბედის წინ სდგას ჩვენი თფილისიც.

თავისუფალი ერი ვერასოდეს ვერ შეურიგდება ამისთანა სიცოცხლეს. სხვისი ინტერესებისათვის სიკვდილს, უცხო ქვეყნებში უაზროდ თავისი სისხლის დაქცევას, ჩვენი ხალხი ამჯობინებს სამშობლო კერისათვის თავდადებას.

ამ განსაცდელის ჟამს მან უკვე გამოიჩინა და იჩენს უდიდეს გმირობასა და ერთსულოვნებას.

ჩვენ მარტონი არა ვართ. ევროპის მუშათა კლასმა უკვე აღიმაღლა ხმა ჩვენს სასარგებლოდ და ბალშევიკური თავდასხმელების წინააღმდეგ, საერთაშორისო დემოკრატია ვერ მოითმენს წითელი იმპერიალიზმის მიერ დემოკრატიულ საქართველოს ფეხქვეშ გათელვას. ევროპიდან უკვე ვღებულობთ ნივთიერ დახმარებას და საფრანგეთის საზღვაო ძალები ჩვენ ჯარებთან შეთანხმებით იცავენ საქართველოს მიწა-წყალს.

ჩვენ შინაგან სიმტკიცეზე, ჩვენი ბრძოლის უნარზეა და-მოკიდებული, რომ ეს დახმარება კიდევ უფრო გაფართოვდეს და გაძლიერდეს.

მთელი საქართველო დღეს უნდა გადაიქცეს ერთ სამხედრო ბანაკად და თავის მამაც ჯარსა და გვარდიას გვერდში ამოუდგეს. მთავრობა და სარდლობა თავის მხრით ყოველი ღონისძიებით სცდილობენ, რომ ხალხის თავგანწირული ბრძოლა მისი სრული გამარჯვებით გათავდეს.

დამფუძნებელი კრება მოუწოდებს ქართველ ერს მტკიცე და შეურყეველი რწმენით დადგეს სამშობლოს კერის სადარაჯოზედ.

გაუმარჯოს დამოუკიდებელს, თავისუფალ საქართველოს!

1921 წ. 28 თებერვალი

საქართველოს დამფუძნებელი კრების მიმართვა პარლამენტებისადმი (1921 წლის 28 თებერვალი)

ინგლისის თემთა პალატას, საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის პარლამენტებს, გერმანიის რაიხსტაგს.

სამი წელი სრულდება, რაც საქართველომ დამოუკიდებლობის დროშა აღმართა.

ამ ხნის განმავლობაში ქართველი ერი დაუღალავი ენერგიით აშენებდა დემოკრატიულ სახელმწიფოს.

ყოფილი რუსეთის უზარმაზარი ტერიტორიის სივრცეზე საქართველო ერთად ერთი ბედნიერი კუთხე იყო თავისი მშვიდობიანობით და წესრიგით, თავისი ხელუხლებელი, გაუნადგურებელი დაბა-ქალაქებით და სოფლებით.

სამი წლის განმავლობაში საქართველომ სამჯერ გმირულად მოიგერია გარეშე მტრის შემოსევა, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი მაგალითი, რომ ქართველ ლაშქარს სხვისი ტერიტორიის დაპყრობა განეზრახოს.

დღეს, სწორედ მაშინ, როცა მთელმა განათლებულმა ევროპამ სცნო საქართველო თავისი ოჯახის სრულუფლებიან წევრად, ბალშევიკური რუსეთის დამშეული "წითელი" არმია ომის გამოუცხადებლათ ოთხის მხრით დაესხა ჩვენს ქვეყანას.

სამმილიონიანი ხალხის ლაშქარი თავდავიწყებით იგერიებს ძლიერ მტერს.

საქართველოს გული - მისი მთავარი ბურჯი - თფილისი ამჟამად მტრის ხელშია, მაგრამ ქართველ ხალხს იარაღი არ დაუყრია: მას გადაწყვეტილი აქვს ებრძოლოს მოსეულ მტერს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე განაგრძოს ქვეყნის დაცვა საშინელი განადგურებისაგან.

საქართველო პატარაა და სრულიად ობლად ებრძვის მრავალრიცხოვან გააფთრებულ მტერს.

მთელი განათლებული კაცობრიობისაგან ცნობილი ქვეყანა იბრძვის თავისი უწმინდესი უფლებისათვის, თავისი ორი ათასი წლის კულტურის დასაცავად, თავისი ხალხის ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად.

და ეს ბრძოლა ქართველი ხალხისა ბალშევიზმის წინააღმდეგ არის ამასთანავე ბრძოლა ევროპის კულტურის დასაცავად, რადგანაც საქართველოში ბალშევიზმის გამარჯვება დიდ მუქარას უმზადებს მთელ განათლებულ კაცობრიობას. საქართველო სრული გაჟლეტის საფრთხის წინაშე სდგას. მას ესაჭიროება სასწრაფო დახმარება, ხოლო არა მარტო ზნეობრივი, არამედ - რეალურიც.

საქართველოს დამფუძნებელი კრება მოუწოდებს თქვენს ხალხს - აღმოუჩინოს ჩვენს ქვეყანას ეს დახმარება.

ბიბლიოგრაფია

დამფუძნებელი კრების სხდომების ოქმები

ოქმები, I, 2019 - საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტომი I. 1919 წლის 12 მარტი - 27 მაისი. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.

ოქმები, II, 2019 - საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტომი II. 1919 წლის 30 მაისი - 25 ივლისი. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.

ოქმები, III, 2019 - საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტომი III. 1919 წლის 28 ივლისი - 11 ნოემბერი. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.

ოქმები, IV, 2019 - საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტომი IV. 1919 წლის 14 ნოემბერი- 31 დეკემბერი. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.

ოქმები, V, 2019 - საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტომი VI. 1920 წლის 14 იანვარი - 16 მარტი. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.

ოქმები, VI, 2019 - საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტომი VI. 1920 წლის 19 მარტი - 6 ივლისი. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.

ოქმები, VII, 2019 - საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტომი VII. 1920 წლის 9 ივლისი - 31 დეკემბერი. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.

ოქმები, VIII, 2021 - საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტომი VIII. 1921 წლის 1 იანვარი - 17 მარტი. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.

დოკუმენტების კრებულები

არჩევნები 1919 - პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბილისი, 2017 - http://cesko.ge/res/docs/Brochure-1919.pdf

აქტები, 1990 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). თბილისი, „ივერთა მხარე“, - 495 გვ.

დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, თბ., 1918

საქართველოს დამფუძნებელი კრება - 1919. თბილისი, 2016

საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატები. თბილისი, 2016. http://firstrepublic.ge/ka/theme/19?gender=f

საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=35

საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=35

გაზეთები

„ერთობა“ - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

„კლდე“ - დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო

„საქართველო“ - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო

„სახალხო საქმე“ - საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი ორგანო.

„საქართველოს რესპუბლიკა“ - მთავრობის მოამბე

„მიწა“ - მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის ორგანო

„ახალი სხივი“ - სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანო

„შრომა“ - ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

„ჩვენი ქვეყანა“- ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ქუთაისი

„ნაციონალისტი“ - საქართველოს მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის ორგანო

საარქივო ფონდები

აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 39, ანაწ. I, საქმ.18.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1825, ანაწ.1, საქ.159.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1833, ანაწ.1, საქ.180.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1833, ანაწ.1, საქ.181

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 235.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 912.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 1385.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1861, საქმ. 73,

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 76.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 2, საქმ. 17.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 2, საქმ. 75,

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. 5.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. 43.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. 736.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ, 2, საქმ. 242

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ, 434

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 276,

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის ფონდის მიკროფირები, საქმე 753.

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის ფონდი, ანაწ. 1, საქმ. 334.

ნაშრომები

ასათიანი ა., 1937 - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, (1917-1937 წ. წ.), ჟურნ. ,,სამშობლო", პარიზი, 1937, N 21-22.

ბენდიანიშვილი ა. 2001- საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი.

გამახარია ჯ. 1991 - ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბილისი

გვაზავა გ., 1928 - საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე), პარიზი

დაუშვილი ა., 2011 - ფოთის საზღვაო პორტი 1917-1921 წლებში, ჟურნალი ,,ანალები", N 7.

ვადაჭკორია შ., 2001 - ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბილისი

თოიძე ლ. 1990 - ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისთვის. თბილისი, გამომცემლობა „ივერთა მხარე."

თოდუა ი. 2019 - „გაქცევის დღიური" - წიგნიდან: ქრისტინე (ბადუ) თოდუა-წულუკიძე. ჩემი თავგადასავალი და ზოგიერთნი მოგონებანი. თბ., საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია

ერემოვი გ., 1960 - საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები. თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ზაქარიაძე ა. 2003 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921 წწ.) - წიგნში: გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტომი IV. თბილისი, 2003, გვ.177-316.

ინასარიძე კ. 1984 - პატარა „ოქროს ხანა". საქართველოდ დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. რადიო-დოკუმენტაცია. მიუნხენი

კანდელაკი კ. 1953 - ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე (აქტები - დოკუმენტები - მტკიცებულებები). პარიზი.

კაუცკი კ., 1920 - სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბილისი

კუპატაძე ბ., 2019 - საარჩევნო სისტემის განვითარება და პოლიტიკური პარტიები საქართველოში (1917-1920 წწ.), საქართველოს ეროვნული არქივის საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი

ლენინი ვ. 1921 - წერილი ორჯონიკიძეს. თხზ, ტ. 32, გვ.189-190.

გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 187. ლორთქიფანიძე გ., 1995, გვ.187

მაკდონალდი 1921 - სოციალისტური სახელმწიფო კავკასიაში - კრებულში: ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში, ტომი II, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2022, გვ. 80-97.

მამაცაშვილი გ., 2013 - საგარეო პოლიტიკის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921), თბილისი.

მაცაბერიძე მ. 1996 - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბ., ცოდნა

მაცაბერიძე მ. 2008 - უზენაესი ბატონი ქვეყნისა: როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით. თბ.

მაცაბერიძე მ. 2011B - პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921). თბ., ახალი აზრი.

მაცაბერიძე მ. 2015 - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებები. თბ.: ახალი აზრი

მაცაბერიძე მ., 2021 - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება, მიღება, სახელმწიფოს მოწყობის კონცეფცია. თბილისი.

მიწიშვილი ნ. 2006 - თებერვალი. თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“.

ნარკვევები, 2007- ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი

პატარიძე ე. 1995 - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეური გადახალისებისათვის, ჟურნალი „ივერია“, პარიზი, N 5-6.

რამიშვილი ნ., 1926 -კარლო ჩხეიძე სამშობლოდან გახიზვნის შემდეგ. „ბრძოლა“, N 12-13.

სენარკლენი პ., არიფენი ი. 2014 - საერთაშორისო პოლიტიკა. თანამედროვე თეორიები და ამოცანები, თბილისი.

დ. სილაქაძე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დისკუსია სახალხო გვარდიის შექმნის თაობაზე 1918 წ ზაფხულში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება. აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი, XII, 2013-2015, გვ. 206.

ურატაძე გ. 1959 - ნამდვილი და ყალბი ისტორია, პარიზი.

ჟორდანია ნ. 1919. - დამფუძნებელი კრება, მისი ფუნქცია და ძალა უფლება (მოხსენება სოც.-დემ. ორგანიზაციათა შეერთებულ კრებაზე) – „ერთობა“, 27 თებერვალი 1919, N46, „ერთობა“, 1 მარტი 1919 N 48

ჟორდანია ნ. 1921 - წერილი, 22 ივლისი.

ჟორდანია ნ. 1990 - ჩემი წარსული, თბილისი, გამომცემლობა „სარანგი“.

სურგულაძე 1989 - ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბილისი

ცინაძე ზ., 2013/2014 - ზ. ცინაძე, დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება, ჟურნ. ქართული წყაროთმცოდნეობა, 2013/2014, XV-XVI, გვ. 223.

ცუხიშვილი რ., 1995 - ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წლებში, თბილისი

ჩიტაია დ. 2006 - აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო, თბილისი

ჩუბინიძე ვ., 1938 - მოგონება 1905 წლიდან 1921 წლის 15 მარტამდინ, პარიზი.

ქარუმიძე შ., 1918 - სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმება, თბილისი

ჯაგუნავა პ., 2017/2018 - ჟურნალის National Geographic ორი სტატია საქართველოს შესახებ (1918 წლის ოქტომბრის და 1919 წლის ნოემბრის ნომრები),- ჟურნ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XIX/XX, თბ., 2017/2018

ჯანელიძე ო, 1998 - ექვთიმე თაყაიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე, ,,ლიტერატურა და ხელოვნება“, N 2.

ჯანელიძე ო. 2002 - ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002

ჯანელიძე ო. 2009 - საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბილისი.

ჯანელიძე ო., 2013 - ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, გამომცემლობა „საარი."

ჯანელიძე ო., 2015 - ნოე რამიშვილი - საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბილისი

ო. ჯანელიძე ო., 2016 - საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბილისი.

ჯანელიძე ო., 2018a - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბილისი.

ჯანელიძე ო., 2018b - მემარჯვენე ოპოზიცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, წიგნში - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის? საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი, თბილისი

ჯონსი ს. 2019 - დემოკრატიის ფორმირება საქართველოში: 1918-1921, კრებულში - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის? თბ., 2019.

ჯოჯუა დ., 1997 - საქართველო-იტალიის ურთიერთობა-1921 წლებში, თბილისი.

ჯოჯუა დ. 2010-2013. 1918 წლის 24 ივნისის გადატრიალება საქართველოში და მისი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე, კრებულში - ზურაბ პაპასქირი - 60, თბ., 2010-2013, გვ. 453, 456.

ჯუღელი ვ. 2022 - მძიმე ჯვარი (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები. თბ., გამომცემლობა „ზიარი".

Gerard J. Libaridian Encyclopedia of Russian History. Dashnaktsutiun/ James R. Millar. Gale, 2004, T. I.

Eve Hepburn, 2014 - Eve Hepburn, Forging autonomy in a unitary state: The Åland Islands in Finland. https://link.springer.com/article/10.1057/cep.2014.10

P. Skinner, Georgia. The Land Below the Caucasu, New-York-London-Tbilisi, 2014, გვ. 461.

O. Janelidze, Abkhaz Issue in the Constituent Assembly of Georgia, Global Journal of Human Social Science, Volume XXI, Issue IV, Version I, Year 2021, p. 2.

Борьба за победу советской власти в Грузии. Документы и материалы, Тб., 1958, с. 379-380.

Бгажба О., 2006 - О. Бгажба, С. Лакоба, История Абхазии с древнейших времен до наших дней, Сухум, 2006

Гамахария Дж. , 1997 - Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия - историческая областъ Грузии, Тб.

Деникин А., 2002 - Очерки русской смуты. Воспоминания, мемуары, Минск-Харвест

Качазнуни О., 1923 - Дашнакцутюн больше нечего делать, Тифлис

Лакоба. С., 1990 - С. Лакоба. Очерки политической истории Абхазии, Сухуми

Маилян Б., 2009 - К вопросу о политическом статусе Абхазии (март 1917.- февраль 1921 гг.), Вестник РАУ, серя: гуманитарные и общественные науки 2

Ментешашвили А., 1998 - Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, Тб.

Справочник по истории Коммунистической партии и Советского Союза 1898-1991 http://www.knowbysight.info/2_KPSS/07905.asp

Тоидзе Л. 1996- К вопросу о политическом статусе Абхазии. Тб.

The Constituent Assembly of Georgia: The Experience of the Georgian Parliamentarianism

Summary

The Constituent Assembly of Georgia (1919-1921) played an important role in the history of the Democratic Republic of Georgia and correspondingly, it plays the same role in the contemporary history of the country. The Constituent Assembly of Georgia is the representative body in the history of Georgia which was created as a result of the first general elections.

In spite of its huge historical significance, the Constituent Assembly of Georgia is still under researched problem and waits for its detailed investigation. The present research is an attempt to fill in the existing gaps in this respect. The presented monograph equally provides answer to range of issues regarding activities of the Constituent Assembly of Georgia, as well as raises numerous questions in this respect. The current research also sets the framework for the future study of the uncovered problems related to the Constituent Assembly of Georgia.

The leaders of the Democratic Republic of Georgia, in accordance to those-days viewpoints, argued that for the elaboration of the constitution of the newly established republic it was necessary to assemble a representative structure - the Constituent Assembly - endowed with special rights. This issue is discussed in the first chapter of the present work.

The Constituent Assembly of Georgia worked for 3 years. The first session was held on March 12, 1919 and the last one on March 17, 1921, in Batumi, before the emigration of the government of the Democratic Republic of Georgia. The Constituent Assembly worked during the full two sessions, that is across 737 days in total. The Constituent Assembly of Georgia served its main function in its best – elaborated and approved the first constitution of Georgia on February 21, 1921.

Although this happened not in a way it was initially conceived. The adoption of the constitution should be followed by the parliamentary elections, whereas before its first session the Constituent Assembly would continue its activities. Although the events turned out in other way round. The constitution was adopted on February 21, 1921 under the conditions of the Russian invasion and heavy military clashes at the outskirts of Tbilisi. According to the decision of the last session of the Constituent Assembly, the government of Georgia and the presidium of the Constituent Assembly was sent to emigration with the task of working on the ways of the restoration of the independence of Georgia. This was made possible only after the seven decades, when none of the members of the Constituent Assembly were alive. Most of them became the victims of the Bolshevik repressions.

Apart from the elaboration of the constitution, the Constituent Assembly governed the Democratic Republic of Georgia and directed its domestic and foreign policies. This was the complicated period, when under the resulted destruction of the First World War and the conditions of the World revolutionary waves a great transformation occurred in the socio-economic and political life of Georgia. The political leaders were trying to create an independent and democratic state and this should be made under the absence of statehood for nearly a century long period.

During these hard times the public figures and politicians of the Democratic Republic of Georgia had some achievements and mistakes. Each political party considered its position to be the only right way to follow and actively debated with their opponents, who hold the different position. Nowadays, after 100 years since those times, most of those-times questions, actively debated in the Constituent Assembly, are already answered.

The Constituent Assembly of Georgia (1919-1921) was the first representative institution in the history of Georgia elected according to the universal suffrage. Elections were held according to the party list, proportional representation and under the zero barrier/threshold. Such system created a good precondition for the representation of any political, religious and ethnic minority. Participation of national and religious minorities in the elections of the Constituent Assembly was one of the forms of their integration in the Georgian society.

The Constituent Assembly of Georgia were comprised of 130 members, elected according to proportional representation. The elections of the Constituent Assembly were held on February 14-16, 1919. In those parts of Georgia, where elections could not be organized at that time, the two additional elections were held in the summer, 1919 and in the spring, 2020.

By the time of declaration of independence (May 26, 1918), different political parties and groups formed in the Russian Empire functioned in Georgia. After the formation of the independent state, locally based parties were supposed to form the basis for the party system in the country, while others were to disappear from the political arena. Real influence of the parties should have been proved through elections of the Constituent Assembly.

15 political units participated in the elections. They can be divided into four groups:

- Political parties and their breakaway parts – 7 units;
- Political groups created by the Georgian intelligentsia – 3 units;
- Political associations of ethnic minorities – 3 (4) units;
- Foreign political parties – 2 units.

Political parties which were created by intelligentsia hurriedly, on the eve of elections (Union of non-party members, Shota Rustaveli Party, Aesthetic League of Patriots) did not win the support of electorate and no single deputy of the Constituent Assembly was elected from these parties. Representatives of the political units of national minorities (National Council of the Muslims of Georgia, Union of Muslims of Borchalo district, Democratic Group of Georgian Greeks, National Party of Abkhazians) ended the elections with the same result. From the foreign parties, Revolutionary Federation "Dashnaktsjutjun" won three seats in the Assembly; Social-Democratic Party of Russia did not collect enough votes.

As for the first group of parties in our classification, initially 4 out of the 7 units won the elections, later on, 6 units were represented in the Assembly. The composition of parties in the Constituent Assembly looked as follows:

Political parties	Main elections - February1919	1st additional elections – August 1919	2nd additional elections – May 1920
Social-Democratic Party of Georgia	109	105	102

National-Democratic Party of Georgia	8	7	8
Socialist-Revolutionary Party of Georgia	5	5	6
Socialist-Federalist Party of Georgia	8	9	9
"Dashnaktsjutjun"	-	3	3
National Party of Georgia	-	1	2

Elections of the Constituent Assembly and two years of its activities revealed some trends in the development of the Georgian political spectrum, in particular, domination of the leftist political parties (they had 122 and, later on, 120 seats out of 130 in the Assembly), weakening of the Social-Democratic Party (the number of deputies decreased from 109 to 92), formation of the radical leftist wing ("Akhaliskhivi" group) by 1921, unification of the Right political forces (formation of the "Democratic Party").

Due to additional elections, death of deputies or some other reasons the constituency of the Constituent Assembly changed several times. The status of deputies was entitled to 145 persons, among them 23 were representatives of the National Minorities.

Party composition of the Constituent Assembly by February 11, 1921, looked as follows:

Party	Seats in the Constituent Assembly
Social-Democratic Labor Party of Georgia	92
Independent Social-Democratic faction "Skhivi"	10
Democratic fiction (union of non-socialist parties)	10
Socialist-Federalists	9
Socialist-Revolutinaries	6
"Dashnaktsjutjun"	3

In the Autumn of 1921 elections of the Parliament of Georgia should have been held on the basis of the Constitution of 1921, however, the Soviet occupation led to the dramatic changes in the development of the country.

The Constituent Assembly of Georgia started its work in the 10th month since the declaration of independence of the country. Its aim was to elaborate the constitution for the newly created Democratic Republic of Georgia. The Constituent Assembly was referring to the Act of Independence of Georgia of May 26, 1918, which was approved on the first session of the Constituent Assembly of Georgia. The crucial aim of the Constituent Assembly – elaboration of the constitution – was prolonged in time; the Constituent Assembly, the main legislative body, was discussing and taking decisions on the domestic and foreign policies of the country during the two years following to the declaration of independence.

The Constituent Assembly of Georgia conducted more than 200 plenary meetings during the two plenary sessions. The permanent commissions created by the Constituent Assembly were working effectively [17 permanent commissions during the first session and 19 during the second session]. In addition, the small commissions were also set in effect by these big commissions and regular meetings were held by the presidium of the Constituent Assembly. This is a huge experience of the parliamentary life which is interesting in many respects and from different point of views.

The work of the Constituent Assembly was defined and heavily influenced by the hard domestic and foreign situation of the country. The Constituent Assembly was working in the post-WW I period, when the world had not yet escaped the subsequent destruction and crisis that followed the war; numerous countries were under the tide of revolutions. Under such circumstances the Constituent Assembly of Georgia had to finally set the organization of the state, defend its boundaries and secure international recognition of the country. Although, the Democratic Republic of Georgia did not manage to defend its independence at those historical times.

The working process of the Constituent Assembly was determined by its party composition. The assembly was dominated by the leftist socialist parties, which had their own vision regarding the purpose of the Constituent Assembly and revolutionary transformation of the society. The Socialist-Revolutionaries and Socialist-Federalists were on a more radical-leftist position and argued for the beginning of the building socialism in Georgia. Different from them, the Social-Democrats argued that it was possible to create a democratic order in the country. This viewpoint laid the foundation to the mode of the work of the Constituent Assembly, and defined the issues of the constitutional order of the country.

All in all, the work of the Constituent Assembly was mainly set by the absolute majority position held by the Social-Democratic Party. Due to this fact, the above-mentioned party was able to form the day-agenda of the Constituent Assembly unilaterally and to solve all the existing issues independently, according to its own vision. During the decision-making process, the Social-Democrats had not to seek for a consent from the side of the other fractions represented in the Constituent Assembly. This fact influenced the mode and process of discussions in the legislative body. The criticism from the side of opposition fractions mainly had a principle-theoretical nature; they were aware that they could not change the final decision.

The dominant position of the single party in the Constituent Assembly created an undesirable reality: the leadership of the ruling Social-Democratic Party, holding positions in the government and in the central committee of the party, could influence over the fraction of the Social Democratic party represented in the Constituent Assembly and correspondingly had a say over the decisions taken by the Constituent Assembly. Such a reality was criticized by the opposition fractions of the Assembly.

The questions coming from the side of opposition towards the government became the main instrument in the hands of the opposition during the working process of the Constituent Assembly. The discussion of the questions, as a rule, continued during several sessions and, in some cases, the opposition managed to force the government to acknowledge their mistakes on particular issues. It could be said that these questions appeared as an important instrument of the parliamentary control over the government.

The Constituent Assembly was a place of the active debates. In some cases, head of the sessions failed to maintain order and during the hot discussions deputies even insulted each-other. During the criticism of the government, the leftist fractions were more bitter, especially the speeches of the Socialist Revolutionaries; whereas the speeches of the representatives of rightist opposition, as a rule, were more correct and did not aim to insults the opponents. This difference

between the leftist and the rightist oppositions was recognized by the ruling Social-Democratic Party.

The debates in the Constituent Assembly had an ideological basis. Each fraction had its own well formulated and structured ideology, which formed the foundation of their position on the domestic and foreign politics of the country. The ideological confrontations and sharp debates sometimes were transformed into the personal enmity and hatred followed by the mockery and outrage.

In spite of harsh contradictions, the Constituent Assembly managed to demonstrate its unity. This happened during the celebrations of important events (the day of independence of Georgia, the day of international recognition of the independence of Georgia) as well as during the hard times, when the country faced a serious external threat. In both cases, the foundations on which the unity of the fractions represented in the Constituent Assembly was based, became apparent. In spite of the different ideological positions, the all-Georgian political forces represented in the Constituent Assembly were united by the unconditional recognition of the main goal: building Georgia as an independent and democratic state.

The Constituent Assembly not only elaborated and adopted the constitution of Georgia, but according to the decision taken on its very last session (on the emigration of the government of Georgia and the presidium of the Constituent Assembly for the continuation of the struggle for the restoration of the independence of Georgia) created a lawful and practical foundations for the struggle against the Soviet occupation which lasted for 70 years. On April 9, 1991, when the independent statehood of Georgia was restored, none of the members of the Constituent Assembly were alive.

The Constituent Assembly of Georgia is considered as the first legislative body elected in the history of the country. It is the starting point for counting the numbers of parliaments in contemporary Georgia.